

517/6  
1940

საქართველოს  
საბჭოთავო

# ლოტერეის მატიანე

517/6

\*

წიგნი  
1-2

დააბრუნეთ წიგნი დროზე  
Возвратите книгу во время



ЛИТЕРАТУРИС  
МАТИАНЕ

(ЛЕТОПИСЬ ЛИТЕРАТУРЫ)

КНИГА  
1—2

# ლ. მ. თ. პ. კ. ა. ტ. შ. კ. ი. ს. მ. ა. ტ. ი. ა. ნ. ი.

წიგნი  
1-2



პ/მგ. რედაქტორი გიორგი ლორნიძე  
პ/მგ. მდივანი გიორგი აბაშიანიძე

რედაქციის გამგე თ. თქროშიძე  
ტექნორედაქტორი ს. ცაიშვილი  
კორექტორი: მ. ჯაფარიძე

გადაეცა წარმოებას 10/XII-1939 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად  
22/XI-1940 წ. ანაწყოების  
ზომა 7×11. ფორმა-  
თა რაოდ. 37.  
ტირ. 1500.  
ფვ3285.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა საქართველოში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კულტურული მემკვიდრეობის ლენინურ-სტალინური გაგებისა და ქართველი ხალხის უმდიდრესი ლიტერატურისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულების საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღები, რომლებიც გადაიქცნენ სოციალისტური კულტურის უდიდეს ზეიმად, სახალხო დღესასწაულად. განთავისუფლებულმა ქართველმა ხალხმა სიამაყით ამოზიდა მზის სინათლეზე თავისი კლასიკოსების ბრწყინვალე სახელები და დაუკავშირა ისინი კომუნისმის მშენებლობის დიად პროცესებს.

ქართული მხატვრული აზროვნების გენიალური ოსტატები შეიქმნენ საყვარელი და ახლობელი არა მარტო თავისი ქვეყნისათვის, არამედ დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის. წარსულის კლასიკოსთა მხატვრული და ინტელექტუალური მემკვიდრეობა გადამუშავებული და გამდიდრებული სახით შევიდა სოციალისტური კულტურის საგანძურში, იქ სადაც თავს იყრის ყველაფერი საუკეთესო, რაც კაცობრიობას შეუქმნია თავისი განვითარების გრძელ გზაზე.

ქართველ მოღვაწეთა დიდი ხნის ოცნება—ქართული კლასიკური ძეგლებისა და ქართველ მწერალთა თხზულებების გამოცემისა, სინამდვილედ იქცა მხოლოდ დღეს.

მიუხედავად საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის სწრაფი ზრდისა და წარმატებისა, ჯერ კიდევ მრავალი ამოუცხებელი ხარვეზი გვაქვს არა მარტო ლიტერატურის ისტორიის სისტემატური ჩამოყალიბების, მეცნიერულ-კრიტიკულ განზოგადებათა სფეროში, არამედ მითავარი და მიუცილებელი ფაქტორული მასალის შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეშიც. კერძოდ ეს ითქმის XIX საუკუნეზეც. გასული საუკუნის ქართული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზროვნება, რომელიც ასახავს საქართველოს ახალ ცხოვრებას, დიდი რუსი ხალხისა და დასავლეთ-ევროპის კულტურის თანაზიარობას და რომელსაც გააჩნია თავისუფლებისათვის ბრძოლის დიდებული ტრადიციები,—სამწუხაროდ ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის. მწერალთა და მოღვაწეთა მემუარები, მათი შემოქმედებითი ისტორიის წყაროები, დღიურები, დაუბეჭდავი ნაწერები, თხზულებათა ვარიანტები, მიწერ-მოწერა და სხვა მრავალი ფაქტიური მასალა ჩვენი მწერლებისა, მოაზროვნეების, კრიტიკოსებისა თუ პუბლიცისტების, ჯერ კიდევ მრავლად აწყვია მუზეუმების სეიფებში და ელის თავის მკვლევარსა და გამომზეურებელს.



აღნიშნული ფაქტიური მასალის პუბლიკაცია, რამდენადაც ეს წარმოიბრუნა გენს ლიტერატურის ისტორიის საფუძველს,—ერთი უმთავრესი მიზანია ჩვენი პერიოდული კრებულისა.

რა თქმა უნდა, კრებული ამასთანავე ფართო ადგილს დაუთმობს ამ მასალის მეცნიერულ სისტემატიზაციისა და განზოგადების ცდებს, ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებს, გამოკვლევებს, მიმოხილვებს, ნარკვევებს, სადაო პრობლემათა განხილვას, რეცენზიებს და სხვ.

რედაქცია პირველ რიგში შეეცდება წარმოადგინოს კრებულში ქართული მწერლობის შეუსწავლელი მხარე. ამით აიხსნება წინამდებარე კრებულში მასალების სიმრავლე ნიკოლოზ ბარათაშვილის და მისი გარემოს შესახებ.

რედაქცია, კრებულის შემდეგ ნომრებში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართულ რევოლუციურ-მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიულ განვითარებას, კერძოდ დიდი **ხტალინის** თანამოსაჯრის ალექსანდრე წულუკიძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის შესწავლას.

კრებულში პირველყოვლისა იბეჭდება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცული მასალები. მუზეუმში წლების განმავლობაში აწარმოებდა ლიტერატურული მასალების ძიებას, შეგროვებასა და დამუშავებას. სხვა არქივებსა და დაწესებულებებში აღმოჩენილი ფაქტიური მასალები უმთავრესად საქ. ლიტერატურული მუზეუმის გეგმისა და მითითების მიხედვით არის მოძებნილი და დამუშავებული.

ცნობილია, რომ ქართული მწერლობა ღარიბია მემუარული ლიტერატურით. ჩვენ საგანგებოდ შევუკვეთეთ ჩვენს მსცოვან მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს მოგონებების დაწერა. უმრავლეს შემთხვევაში მოგონებათა ას აწარმოებდნენ ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები.

**XIX** საუკუნის ჩვენი მწერლობა განიცდიდა დიდი რუსი ხალხისა და დასავლეთ ევროპის მხატვრული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების გავლენას. ჩვენი კრებული ცდილობს გამოაქვეყნოს დოკუმენტები, მასალები და გამოკვლევები, რომლებიც გააშუქებენ ჩვენი ლიტერატურის განვითარების აღნიშნულ პროცესს.

საბჭოთა კავშირის ხალხების საზოგადოებრივი და ინტელიქტუალური ცხოვრების ასეთი შესწავლის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვიითიებებს ამხანაგების **ი. ხტალინის**, **ხ. კაროვის** და **ა. ჟდანოვის** ცნობილი „შენიშვნები სსრკ-ის ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტზე“.

პირველ წიგნში, ამ მიზნით, ჩვენ ვბეჭდავთ ახალ მასალებს რუსეთის უდიდესი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის საქართველოში ყოფნის შესახებ, მის ურთიერთობაზე ქართველ ინტელიგენციასთან. ასეთი ხასიათის მასალას სისტემატურად მოათავსებს კრებული თავის ფურცლებზე.

ჩვენს კრებულში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის, საზოგადოებრივი აზროვნების მასალები და ქართული კულტურის აქტიური საკითხები. აგრეთვე ყურადღების ცენტრში მოექცევა ჩვენი კრიტიკისა და ესთეტიკურ შეხედულებათა განვითარების ისტორია. წი-

ნამდებარე წიგნში ქართული პერიოდიკისა და ესთეტიკის გარშემო მნიშვნელოვანი მასალებია მოთავსებული.

დასასრულ, კრებულის რედაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იკონოგრაფიულ მემკვიდრეობის პუბლიკაციას. დროა ეს შესანიშნავი დარგი ჩვენში თავის სიმაღლეზე დადგეს. გრაფიკულ-მხატვრული მასალა, რომელსაც პირველ წიგნში ვაწვდით მკითხველებს, შეიცავენ ლიტერატურულ-ისტორიულ ინტერესს. რედაქცია ამავე პრინციპით შეარჩევს იკონოგრაფიულ მემკვიდრეობას შემდეგ ნომრებშიც.

ფიქრობთ ჩვენს კრებულში გამოქვეყნებულ მასალას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურისმცოდნეობის წინსვლისათვის.

ლიტერატურული მუზეუმი წელიწადში გამოსცემს თავისი პერიოდული კრებულის ორ წიგნს.

წინამდებარე კრებული (1-2) ეხმაურება ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ვასილ ბარნოვის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა საიუბილეო თარიღებს.

კრებულის შემდეგი წიგნი მთლიანად მიეძღვნება აკაკი წერეთელს.

რედაქცია.

I—XI—1940 წ.

თბილისი,





დავით სულიაშვილი

## მოგონებები ძველ გორზე

### სახვავლებელი

ასე მგონია გუშინ იყო, — მამაჩემის მარჯვენა ხელს ჩემი პატარა თითები ჩაუბლუჯავს და თითქო მკლავზე დაკიდებული, ქანაობით მიფეხები ჩოხის კალთებს. ხან შიგ ვიბლანდები, ქარი რომ შემოუბერავს, — ხან გამალებით მივრბინვარ, რომ მსვლელობას არ ჩამოვრჩე.

ეს არის მატარებლიდან ჩამოვედით. გორის მაღალი და გრძელი ხიდი გავიარეთ და ახლა ქუჩის შუაგულით მივემართებოთ.

— აი, შეილო, ეს არის შენი სკოლა! ამ კედლებში ჩემი ფულიცაა ჩაჭანებული!

მეუბნება მამა და ორსართულიან სახლისაკენ მიმახედებს. ჩემი თვალები კი ფარდულიან დუქნის წინ თაბახებზე დალაგებულ წითელ-ლოყა ატმებს ვერ მოსცილებიან...

მაღალ შენობას შევხედე, — მეგონა კედელში ჩატანებულ მანეთიანებს დავინახავდი, მაგრამ მწყრივ აგურებისა და პრიალა ფანჯრების მეტი ვერაფერი შევამჩნიე.

მამა ჩემი დიაკვანი იყო. სასულიერო სკოლის აშენებაში მასაც ჰქონდა შეტანილი თავისი წვლილი და ამას იკვებინდა.

სირბილით მივყვებოდი მამას.

უფერული დაბალი შენობები და მოღუნებული ქუჩის ყრუ ხმაური, არ მახალისებდა. დაბალჭერიან დუქნების წინ პატრონები ჩამომხსნადარიყვნენ, მუცლებზე თავები დაედოთ და სთვლემდნენ.

ბაყალი ხილით სავსე თაბახებს, ფოთლიან ტოტით ბუზებს უგერებდა. წინსაფრით ვაშლებსა და ატმებს წმინდდა. ვაჰკიოდა, — „აბა, ატამი, ატამი!“

იშვიათად ქვეფენილზე ეტლი გაიხრიგინებდა. მიძინებულთ გამოალვიძებდა, მტვერში გაიგუნგლემოდა და ხმაური სადმე ვიწრო ქუჩაზე მიწყდებოდა.

სოფელში დატოვებული ტოლამხანაგები მაგონდებოდნენ: ჩენი ეზოს წინ წრელახტს თამაშობენ... გიგლა შარობს, გატანილ ქამარს დათას არ ანებებს, ჭინჭულობს და იგინება... ვასიკო წრეს უვლის, წრიდან ქამარი გამოაქვს და ფეხებში იციმება...

„აბა, აქეთ ხიდისთავის ატამი!.. გირვანქა ორი კაპიკი, ორი!..“

ქუჩის მყუდროებას ბაყალის ძახილი შეარხევს და ჩემ ფიქრებსაც მომაცლილებს...

მივრბივარ... ზევით რომ ავიხედავ, ამაყად აზიდულ კლდოვან სიმაღლეზე, კბილებიან გალავანს ვამჩნევ. შემდგარი ზვირთივით მედიდურად დასცქერის იგი ქვემოდ გაფანტულ დაბალ სახლებს. მალლობიდან ბილიკები დაგრებილი თოკივით ძირს ეშვება, ერდობებზე გადაივლის და ეზოებში იკარგება...

მამას მივმართე იქ ავსულიყათ.

— არა, შვილო! რა დროს ეგ არის! ჯერ სკოლაში უნდა მიგაღებინო! იქ ასვლას მერეც მოესწრები!..

მამაჩემს დაკოჭრებული ხელის გული აქვს. მინდა ჩემი თითები გავინთავისუფლო. წინ მივრბივარ და ქუჩის პირად მიმდინარე რუში კენჭებს ვისვრი.

### პირველი მასწავლებელი

მეორე დღეს მამა ჩემმა კვლავ მომიტოვა ხელი და სკოლაში წამიყვანა. ევილხივილით ავსებულ გრძელ დერეფანში მივედი. მამამ ზედამხედველი მოძებნა, — განცხადება გადასცა.

ცოტა ხნის შემდეგ მან მამას ჩემი ხელი ჩამოართვა და ახლა მის მკლავზე ჩამოკიდებულმა გავიბრინე გრძელი დერეფანი...

პირველ განყოფილებაში მიმიღეს. ბავშვებით სავსე ოთახში რომ შემიყვანეს, ჩემსავით პატარა ბიჭები დაბალ მაგიდების გვერდით დარბოდნენ, ყვიროდნენ და ხტოდნენ.

ერთ ადგილს შევდექი გაცოცხლებული და მათ ცელქოვას შევაჩერდი. მერე ერთი მსხვილთავა ბიჭი მომვარდა, ხელი მომიტოვა, მიმიზიდა, მაგიდისკენ წამიყვანა და სკამზე დამსვა. მითხრა, — „აი, ჩვენ ერთად ვისხდებით აქ“... მერე სახელი და გვარი გამომკითხა, თავისიც მითხრა. წიგნი მიჩვენა, — „აბა, შენ თუ გაქვს ამისთანა“.

დღიდან მეც მქონდა, მხოლოდ თან არ წამომელო და მეწყინა, რომ იმას წიგნი მოეტანა მე კი არა.


ევილხივილი უცბად შეწყდა, — კლასში მასწავლებელი შემოვიდა. ერთმა მოწაფემ ლოცვა წაიკითხა. წვერებიანმა მასწავლებელმა მაგიდაზე საკლასო ყდიანი დღიური დადო. უბიდან სათვალეები ამოიღო — ყდიანი დღიური გადაშალა. აქედან გვარები ამოკითხა.

სათითაოდ ავგაყენა. გვეკითხებოდა ვინ სადაური ვიყავით, ვისი შვილი, ზაფხული როგორ გავატარეთ და კიდევ რამდენი დამა გვეყავდა.

მისი ქალარა-მერეული წვერები, ტუჩებზე გადმოფენილი ქერა უღვაშები, ნაოჭიანი და ფართე შუბლი, — მიზიდავდა. მეგონა მასწავლებელი უსათუოდ მკაცრი, მუდამ გაჯავრებული და მტუქსავი უნდა ყოფილიყო. ეს კი მეტად სანდომიანი იყო და მამობრივი მზრუნველობით გვექცეოდა.

მაგიდებისკენ გამოივლიდა, თავზე ხელს დაგვისვამდა. მისი წალისყელივით დანაოჭებული შარვლის ტოტები სიარულის დროს ხან ფეხსაცემს ეფინებოდა, ხან კი კოკებთან ძირ-მომტკრეულ ბოთლივით ეკიდებოდა...

მალე ზარი დაკრეს. მასწავლებელმა დეისაძემ ყდაში ჩასმული დღიური დაკეცა და გავიდა. მაშინვე გავცვიფრდი დერეფანში. განცვიფრებული ჩემი თვალები იქ დატოვებულ მამას ეძებდა, მაგრამ ის აღარსად სჩანდა. გასასვლელ



ქველი ჭორო (1880 წ.) ნ.ბ. პერსვეტ-სოფტანისა

კარებისაკენ გავიქეცო, მაგრამ გარეთ არ გამიშვეს. კედელთან მივდექი და თვალებიდან ცრემლები დამცვივდა...

მსხვილთავა ამხანაგი მოვიდა. ტირილის მიზნეს შემეკითხა. რომ არაფერი ეუბასუხე, ხელი მომიკიდა, ეზოში გამიყვანა და თამაშობაში ჩამრია.

ზარი კიდევ დაირეკა. ისევ კლასებში შეგვრეკეს. გაცვეთილები რომ დამთავრდა, გასასკლელ კართან მამა დამხვდა. სახე უღიმოდა: მოწაფეებში გარეული რომ მნახა—გაეხარდა...

იმ დღეს ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა მამამ რომელ დიასახლასთან დაეტოვებინე, ამიტომ ჩვენებურ ღვდლებთან ერთად სამიკიტნოში წავედი და ღის-გასათევად...

### „ ჩ ა ნ ა ხ ა “.

სამიკიტნოს მოზრდილ ოთახში რომ შევედი, კედელთან ჩამწყრივებულ ქონით გასიპულ ფიცრის მაგიდებთან ჩვენსავეთ ჩამოსულები ისხდნენ და საუბრობდნენ. დაბალი ტანის მიკიტანი ხან ერთ მაგიდასთან და ხან მეორესთან სველ ხელადას მოარბენინებდა, დახლის უკან რომ გავიღოდა,—მისი მოტყეპილი თავი-ღა მოსჩანდა,—ბოთლებით სავსე აყულებულ კედელთან ბოთლებს ხსნიდა, ფაცურობდა... ახლად მოსულებს ესალმებოდა, „ქუჭყინი სახოცი დახლს სწმენდა, თეფშებზე დანაჩანგალს აწყობდა, დამხმარე პატარა ბიჭს უჯავრდებოდა...

ღვდლები შემოდიოდნენ განიერი ანაფორებით და ფარჩის სახელოებით, მათ მოყვებოდნენ გრძელ ჩოხიანი დიაკვნები.

— ჩანახას გამარჯობა!

— ჩანახას ჩემი ლოცვაკურთხევა!

— ჩანახას დღეგრძელობა!..—მისეალმებოდნენ ღვდლები მიკიტანს.

— რასა იქ, ჩანახა!

— როგორა ხარ!—ეკითხებოდნენ დიაკვნები.

მიკიტანი ჩანახა მოლიმარი სახით თავს აქნევდა. წელში იხრებოდა, მოსულებს მეორე ოთახში იწვევდა.

ის მართლა ჩანახს ჰგავდა,—მრგვალი, მსხვილი, დაბალი. დახლიდან ჩიკორივით მოგორავდა, მოკლე თეხებით და გასიებული ზედა ტანით.

ღიბზე ვერცხლის ქამარი ჰქონდა შემოკრული. ყარაბანდულას შავი, მოკლე ნაოქიანი ახალუბი ეცვა და ჩექმებში ჩატანებული განიერი შარვალი. კარტოფილის ცხვირზე ყურძნის მარცვლის ოდენა შავი ხალი შეჭეპივით დაჯდომოდა.

„ჩანახაც“ ღვდლებმა დაარქვეს, ალბათ იმ ჩანახის მოსაგონებლად. გლეხებიდან რომ ღრამას ჰკრეფდენ, პურის მოსავლის შემდეგ.

— თქვენ ოთახში მობრძანდით, წმინდაო მამაო, თქვენთვისა გვაქვს შენახული!... მიუძღვებოდა ანაფორიანებს მეორე ოთახში მიკიტანი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩანახა!... ეგრე უნდა მამს!.

აქეზებდნენ ღვდლები.

ჩამოსულ და პატივცემულ სტუმრებისათვის, განსაკუთრებით ღვდღეობისათვის, ჩანახას მოწყობილი ჰქონდა უკანა ოთახი, — აქ ფარულად ქეიფიც შეიძლებოდა და გრძელ ტახტზე ლამის ვათევაც.

— აბა, ერთი გემრიელი სუფრა გავვიშალო, ჩანახა!..

— ვა, მაშ ვილას ვაუშალო, თუ თქვენ არა! — უბასუხებდა ჩანახა.

— ყაურმა ვაქვს, ჩანახა?

— გახლავთ!

— ჩანახი?

— ჩანახი თუ ჩანახას არ ექნება, მაშ ვილას ექნება! — ხითხითებდნენ დიაკვნები.

— ატენის ღვინო?

— მაშ! რომელიც გნებავთ! ატენისაც ხიდისთავისაც!..

ჩანახაც დაგოგმანებდა. გრძელ მაგიდაზე თეფშებსა და დაქრილ პურს ალაგებდა. წვანილით, ყველით, პამიდორით, ცოცხალით სუფრას ამშვენებდა; კიქებს ჩამწყვრივებდა, სველ ხელადებს დადგამდა, დანაჩანგალს ააჩხრიალებდა, სკამებს შემოარიგებდა...

— წმინდანო მამებო, დაბრძანდით! სუფრა გაშლილია!.. — მიმართავდა წვერიანებს.

აირეოდა ერთმანეთში სკამები და ანაფორები, შეიქნებოდა პატიჟი.

— მამაო იოსებ, მობრძანდით!

— არა, მამაო დიმიტრი, თქვენს შემდეგ!..

— მამაო ილო, აქეთ მობრძანდით!..

— ნუ სწუხდებით! დაბრძანდით!

— დაბრძანდით!

და ანაფორიანები სხდებოდნენ რანგის და წლოვანების მიხედვით. მაგიდის ბოლოში დიაკვნებს მოაქცევდნენ. მერე ისევ წამოდგებოდნენ, უმცროსი დიაკვანი „მამაო ჩვენოს“ წაიკითხავდა, დეკანოზი სუფრას აკურთხებდა, პირჯვარს გადაიწერდნენ, ჯვრებს უბეში ჩაიდებდნენ და კმაყოფილ სახით სერობას შეუდგებოდნენ...

ჩანახას საქმელები ჯამებით მიჰქონდა — ყაურმა, ჩანახი, ბოზბაში, წვადები და სველი ხელადები...

წვერგაბარნილი ღვდღეები ანაფორას გაიხდიდნენ. დიაკვნები ჩოხის სახლებს დაიკარწახებდნენ და ღვინით სავსე ჩაის კიქებს ულვაშებში აყირავებდნენ. მერე ქონიან ჯამებს მოწმენდავდნენ, ხელის გულზე დაიდებდნენ, ღვინით გაავსებდნენ, დასკლიდნენ და ერთმანეთს გადააწვდიდნენ...

... „პაი მრავალჟამიერ“!.. — იმღეროდნენ შეზარხოშებულნი.

ბავშვებს მალე ძილი მოგვერეოდა. იქვე ფარდაგაშლილ გრძელ ტახტზე მუთაქები ელავა. ჩანახა საიდლანაც ვიწრო ლეიბსა და აქრელებულ საბნებს მოატანდა. ჩვენც ფეხსაცმელებს გავიხდიდით და მალე ძილს მივეცემოდით. ხოლო, სიმღერა და ყვირილი ხშირად გვალვიძებდა. გიგრზე გადავბრუნდებოდით და მოკუტუთული თვალებით ლამფის მკრთალ სინათლეზე, პაპიროსის კვამლში გახვეულ გრძელ წვერიანებს ვხედავდით.

მეორე დღეს მამამ დიასახლისთან მიმიყვანა. თვითონ სოფელში წავიდა.

### ღ ე დ ა ე ნ ა

ჩემი დიასახლისი თავიდანვე მკაცრად შემხვდა,—გარეთ გასვლის ნება არ მომცა და ახალი, ჩემთვის უცნობი რეჟიმი მაშინვე მაცნობა.

ვიჯექი და ცრემლიანი თვალებით ფანჯარაში ვიციკირებოდი. განიერ ქუჩის ორივე მხარეს (მაშინდელ ერთადერთ დიდ ქუჩას) ვიწრო რუ მიყვებოდა. შიგ იხვეები დასკურავდნენ. გამვლელი ბიჭი მათ კენჭებს ესროდა. მაშინ ისინი ფართხალით მტვერიან ქუჩაზე გაცვივებოდნენ, ყვილით ფრთებს იბერტყავდნენ და წყლის წვეთებს მტვერში შავწერტილებად ტოვებდნენ. შერე ისევ რუში ცვივდებოდნენ და შიგ იყვინთებოდნენ.

ქუჩებზე იშვიათად ეტლი გაივლიდა, ბოლოვით ავარდნილ მტვერში გაეხვეოდა, უკან ბიჭი გამოუდგებოდა, ბორბლის ბოძზე შეუხტებოდა და ისიც მტვრით იფარებოდა.

შემოდგომის გოდრებით და ურმებით დატვირთული ურემი აპრიალბული თვლებით მტვერში გაგორდებოდა. გაყვითლებული ვაზის ფოთლებით თავმოკრულ გოდრებიდან წითელი ვაშლები და ყვითელი ატმები მოსჩანდა. კოფოზე ჩამოკიდებული ქარვის აკიდოები ქანაობდნენ. ხეჭუჭური და ვაშლით სავსე კალათები მჭიდროდ ერთმანეთს ეკვროდნენ. მეურმე შოლტით ხელში ყვეარ ხარებს ერგებოდა.

მადის აღმძვრელი გემოვნებით, სურნელებით და ფერებით,—მსუყე შემოდგომა თვალწინ გაივლიდა.

ჩვენი სახლის პირდაპირ დაბალქერიანი სახლი იდგა. თეთრ კედელში დატანებული, რუსული პატარა ფანჯრები, მიცვალებულის დაუხუჭავი თვალებით გამოიციკირებოდა. ფიცრებით დახურული წოწილა სახურავი კუმოს თავით გრძელდებოდა.

ქუჩის მყუდროება არაფრით ირღვეოდა... მის სიგრძეს მხოლოდ ორიოდ საბაყლო დუქანი და არსენიძის წიგნების და საკანცელარია ნივთების მაღაზია ამშვენებდა.

სწავლის დაწყების წინ არსენიძის მაღაზიაში მისვლა გვიხაროდა. ახალი წიგნების და რვეულების ყიდვა გვახალისებდა. ფერადი ფანქრები და გადასაღები სურათები გვიყვარდა.

სიამოვნებით ჩავაწყობდი ხოლმე ჩანთაში იაკობ გოგებაშვილის „ღედანას“—ვარდისფერ ყდაში, „ბუნებისკარს“—თეთრ ყდაში და Русское слово—ნაცრისფერ ყდაში.

გადავშლიდი „ღედანას“ და... რა ამბებს, რა ზღაპრები, პატარა მოთხრობები, ამოცანები და სურათები...

— „ჰე, ჩიტებო, ჩიორებო,

სად ჰყოფილხართ,


რა გინახავთ,

ღედა ჩემი არ გინახავთ?..“

ვეკითხებოდი ღედის ამბავს ჟრიაშულით აფრენილ ჩიტებს.

„როგორ არა, ღედა შენი ამ დილაზე

ვაშლებს ჰკრეფდა დიდ ბაღაში!..“



თბილისის სასტუმროს სანაირი

გვიბასუხებდნენ ჩიტები და მხიარული, აღფრთოვანებული გავრბოდით სკოლაში დედისაგან ვამოგზავნილ ვაშლების მოლოდინში...

შორიდან ხშირად გვესმოდა ორთქლმავლის საყვირის ხმა, მიწყნარებულ არეს რომ ვაბაობდა. გორისჯვრის ბუჩქებში თეთრი კვამლი, ლეჩქავით აფრიალებოდა. ერთმანეთზე გადაბმული ნავთის მრგვალი ქვაბები ხრიალით გაირბენდნენ მოხეუელ რკინისგზის ლიანდაგზე და ისევ გორაკს მიეფარებოდნენ.

მეტყვეები სრიალით მიაცურებდნენ გრძელ ტივს. მერე ხიდის ქვეშ გაძვრებოდნენ მჩქეფარე ტალღებში და სისწრაფით სცილდებოდნენ შიძინებულ გორის ეკლესიის გუმბათებს...

მხოლოდ ჩქარი, აქაფებული ლიახვი ახმაურებდა გორის სანაპირო ქუჩებს. ზაფხულში მკლავგაშლილი შეგებრძოლებოდათ მის ტალღებს და მეორე ნაპირს გავცურავდით. ცხელ ქვიშაზე გავგორდებოდით, მზის სხივებზე კანს დაფიწვავდით და კვლავ ცივ ტალღებში შევცურდებოდით...

კოკიაობა

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, გორის მთვლენმარე ქუჩები რამდენიმე წუთით მოწაფეების მხიარული ჟივილხივილით შეიფრთხილებდა. მხარზე ჩამოკიდებული აბგებით ქვაფენილზე მივხტოდით, ერთმანეთს ვეწეოდით, ზურგზე ვახტებოდით, ასკინკილა გავრბოდით...

გაზაფხულის პირად სადმე კედელთან მოტკეპნილ ადგილზე კოკიაობას ვთამაშობდით, წიგნებს ქამარში ჩავირკობდით, ან კედელთან მივდებდით. ჯიბეები სავესე გვკონდა გაქლისილი, ჩატყვიებული თუ წითლად შეღებილი კოკებით. ჩატყვიებულში შაურზე მეტს ვაძლევდით, წითელს კი სამ კაპიკად ვყიდულობდით. კოკი თუ ალჩუს ჯდებოდა, ის იყო მომგებიანი.

ვისაც კოკი ალჩუს უჯდებოდა, მასზე იტყოდნენ, — „მაგას რა უჭირს, შვილოსა, კოკი მუდამ ალჩუს უჯდება“...

კოკიაობას ასეთი გატაცებით ვთამაშობდით, რომ ყველაფერს ვივიწყებდით. ვიგინებოდით ვილანძლებოდით, და ხშირად ჩხუბით და მუშტიკრავით ვამთავრებდით...

კოკს ავავადებდით და თან ვეხვეწებოდით, — „ალჩუ, კოკო, შენი ჭირიმე!..“ თუ ალჩუს დაჯდებოდა, მაშინ აღარ ვარტყამდით, ქუჩიანებს და თაფიანებს დაურტყმელად ავიღებდით.

ხშირად რომელიმე წაგებულ ახირდებოდა:

— შენი წითელი კოკი გაქლისილია, სულ ალჩუს ჯდება, არ მინდა, გამოცვალე!...

— თუ ეგ რა არც ჩატყვიანებული შეიძლება!...— მიუგებდა მეორე.

— კარგი ეგრე იყვეს!... აი, სუ უბირი კოკები ვათამაშოთ...— კოკის დაჯდომას გაფაცვიცებით თვალს ვადევნებდით, თუ ალჩუს არ ჯდებოდა ვიგინებოდით. ერთი რომ წააგებდა, მეორესაგან მოგებულ კოკებს იყიდდა...

კოკების თამაშს მასწავლებლები გვიშლიდნენ, ამიტომ ხშირად ციხეზე ავდიოდით და იქ ვთამაშობდით.



ციხის მწვანეზე თავს ლალად გვრძობდით. კოქაობა რომ მოგვწყინდებოდა კიდაობას ვიწყებდით.

აქ ამოდითდენ საქალაქო სკოლის მოწაფეებიც და ორი მოწინააღმდეგე ფალავანი,—ჩვენი სკოლის და მათი—ერთმანეთს ეტაკებოდა.

საქილაო წრე ირკალეობდა, ზოგი დაჯდებოდა, ზოგი ჩაცუტქდებოდა... თვითოეული მხარე თავის ფალავანს აქეზებდა.

— აბა, გოლა, არ შემარცხვინო!...—იძახოდა ერთი მხარე.

— აბა, დათა, გვერდული, გვერდული!...—ამხნეებდა მეორე.

\* ტრინანანა.. ნანინა.. ტრინაანი ტრინანაანი“...—გაიძახოდა ვინმე ზურნის ხმაზე, მოკიდავეები ერთმანეთს კისერში წვდებოდნენ, ხალათს წიწქნიდნენ... მოშვებული შარვალი ძირს ეთრეოდა, შიშველი მუცელი ჩნდებოდა...

რკალად შემორტყმული ბიჭები ხტოდნენ, ვერ ისვენებდნენ. მოკიდავეებს ამხნეებდნენ, წელში იზნიქებოდნენ, კბილებს აკრაქუნებდნენ...

მკლავებით ერთმანეთზე გადაბმული მოკიდავეები, წრეში ტრიალებდნენ. ერთმანეთს შეიჯღრვებდნენ, სარმას გამოკრავდნენ, ფაფხურობდნენ, გვერდულასათვის წაიჩოქებდნენ...

მაყურებლები ხუფნით მოკიდავეებს უახლოვდებოდნენ, გარს ეხვეოდნენ, ყვიროდნენ, აქეზებდნენ.

კიდაობა ერთმანეთის ლანძღვით და გინებით თავდებოდა. ორივე მხარე თავის ფალავანს ვამარჯვებას იკვებნიდა, დამარცხებულად თავს არავინ თვლიდა...

— რომ წამოიკიდა, ხომ დაანარცხა მიწაზე!...

— მერე რავუყოთ, ისევ უცბად ხომ წამოხტა?...

— ზურგი ხომ არ დაურტყამს მიწაზე?...

ჩხუბით და გინებით მოგრობდით ციხის დაღმართზე და მივდიოდით შინ. გორისჯვარზე მზის უკანასკნელი სხივები აბზინდებოდა, ქუჩებს შავი ნაბდები ეფინებოდა...

o s

პატარა მოწაფეები გულწრფელად ვეტანებოდით ისეთი უფროსი კლასის მოწაფის გაცნობას და დაახლოებას, რომელიც სხვა მოწაფისაგან გაირჩეოდა რაიმე შესამჩნევი თვისებით,—ნიჭით, კარგი სწავლით, მეცადინეობით, ყოჩალობით.

ასეთი მოწაფე ჩვენთვის წასაბად გმირად ხდებოდა და თუ ის ყველას სჯობნიდა ახტურმაწი, წრელახტში, კიდაობაში, ბურთაობაში და კარგი სწავლითაც მოსწავლეებს თავს აყვარებდა, მაშინ მისდამი ჩვენს ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

ჩვენ ვცდილობდით ასეთ მოწაფესთან ახლო ვყოფილიყავით და მისი ყურადღება დაგვემსახურებინა.

მთელ სკოლაში მაშინ წესიერებით, ყოჩალობით, კარგი სწავლით და თითოთ საჩვენებელი,—სოსო ჯულაშვილი იყო. მის შესახებ ვიცოდით, რომ ის იყო პირველი მოწაფე და თუმცა სასულიერო წოდების დედამამის შვილი არ

ყოფილა, მაგრამ კარგი სწავლისათვის მას სკოლის გამგეობა თვეში ხუთ მანეთს აძლევდა, რაც იშვიათი იყო იმ დროს.

დიდ დასვენების დროს, გრძელ დღერეფანში რომ დავსეირნობდით და ვცეცქობდით, ერთხელ ამხანაგმა წამწურჩულა, — „აგერ სოსო, აი ის!“

ჩვეულებრივი ბავშვის ცქრიალა თვალები, უბრალო ბამბაზის დაქუქნილი, მაგრამ სუფთა ხალათი, ჩექმებში ჩატანებული შარვალი და კარტუზიანი ქუდი. ხალათი მუდამ ბრტყელი ქაპრით მჭიდროდ შემოჭირებული და ქოჩორა თმა შუბლზე ჩამოცვენილი.

ხშირად, როცა ის თავის მეგობრებთან მხრებზე ხელგადახვეული დღერეფანში დაიარებოდა, შორიახლოდან მიედევდი და ვაკვირდებოდი.

ერთხელ მან ჩემი მისკენ მიპყრობილი თვალები შეამჩნია. უცბად მოვიდა ჩემთან, მკლავში ხელი მომკიდა, შემანჯღრია, გვერდზე მომიღო, გამიცინა და შემეკითხა, — „რა გვარი ხარო“... მეც ვუთხარი ჩემი გვარი. „ყოჩაღ, ყოჩაღო“... მითხრა და გაიქცა.

ჩემს მხედველობაში აღიბეჭდა მისი წყვილი, სიღრმეში წასული თვალები, ანთებული სანთლებივით რომ ციმციმებდნენ და მისი ღიმილი, ვიწრო და გრძელი ტუჩების ქვევით რომ თეთრი კენჭებივით ციალებდნენ. ამის შემდეგ მინდოდა სულ ახლო ვყოფილიყავი მასთან, ასე უბრალოდ, ტოლამხანაგურად რომ მომკიდა ხელი.

დიდი დასვენების დროს სკოლის ფართე ეზოში გაიმართებოდა ბურთის თამაში. ორ წყებად გაიყოფოდა მოთამაშეების გუნდი. თვითველ გუნდს სათავეში მარდი მოთამაშე უდგებოდა. ერთ მხარეს სოსო ჯულაშვილი დგებოდა.

ჩვენ თითქმის ყველა სოსოს შეპოვერტყმოდით გარს და ვეხვეწებოდით, — სოსო, გენაცვა, მე ამირჩიე! შენი კირიმე, სოსოჯანი!..

დაიწყებოდა არჩევანი.

— არჩევანი მე! — იტყოდა ერთი.

— არა, მე! — უპასუხებდა მეორე.

— ეს ბიჭი მე!

— ეს ბიჭი მე!

ჩვენც აქეთ იქით ვდგებოდით. თუ სოსოს წრეში მოგვხდებოდით, ვბტოდით, ვცბუკავდით! ისიც მხრებზე ხელს მოგვხვევდა და წახალისებულნი, რაკილა თამაშს დავიწყებდით, — ვინღა დაგვიდგებოდა წინ!..

გამარჯვება უსათუოდ ჩვენ გვერგებოდა!

ყოველნაირ თამაშობას ის თავისებურად მიუდგებოდა. თავის გუნდის წევრებს დაარიგებდა, — ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო. თვითველს თავის ადგილს მიუჩენდა, სუსტს მარდების შუა ჩააყენებდა, გუნდს ორგანიზაციულად შეჰკრავდა. მოწინააღმდეგეს სიმძაფრით ეკვეთებოდა.

წრელახტში მას ქამარს ვერაინ წაართმევდა. პირველობას არავის დაუთმობდა. გუნდის რომელიმე სუსტ წევრს ისე გაამხნევებდა, რომ ისიც თავდაუზოგველად იბრძოდა.



სემინარიული მოსახლე ჯვრელაშვილი „გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძესთან

ნაბ. უჩა ჯაფარიძისა

თვითონ სოსო წრის გარშემო მარდად დარბოდა. ერთისკენ გაექანებოდა, მოწინააღმდეგის ყურადღებას იქითკენ მიაქცევდა და ამ დროს ჟღერდებოდა გასხლტებოდა, ქამარს არწვისავით დაეცემოდა, მოიტაცებდა, სივრცეში შეათამაშებდა... მერე კი წრეში მღვარ ქამრიანებს ჩამოურბენდა და სიცოცხლე გქონდეს ის მათ წვივებს აუწყვამლა.

თამაშის დროს ყველა მას ჟუქეროდა. მისი სიმარდით აღტაცებულნი ყვიროდნენ, ტაშს უკრავდნენ, შესძახებდნენ, თვალის გუგას ანათებდნენ, ხტოდნენ, აქებებდნენ,—

— ეგრე, ეგრე, გენაცვა სოსოჯან!..

ხშირად თამაში შეწყდებოდა. სოსოს გარშემო წრე გაკეთდებოდა, გარს მოძღერლები შემოერთყვოდა. მაშინ სივრცეში სოსოს წკრიალა ხმა გაისმოდა. მას ხმა ჰქონდა ისეთი ტკბილი და მიმზიდველი, რომ ყველა თამაშობას მიატოვებდა, სულს განაბავდა...

მასწავლებლებიც ფანჯრებიდან გადმოდგებოდნენ და სმენად ქცეული სიმღერით სტკბებოდნენ...

სიმღერას ლეკური მოჰყვებოდა,— „ცანგალა გოგონა და!..“ დაიწყებდა სოსო; „ჰოიდა გოგონა!“ ... ბანით მოჰყვებოდნენ დანარჩენი მოძღერლები. „ეს ბიჭი კარგად თამაშობს, ფეხის ფრჩხილებზე დგებაო, ცანგალა გოგონა და!..“ „ჰეიდა და გოგონა!..“

წრის გულში ვინმე ხტოდა, ქვინტებზე დგებოდა. სოსოს ხმა სივრცეში წკრიალებდა და იქვე გალაყინის გადამა ლიახვის მჩქეფარე ტალღების ხმაურს უერთდებოდა.

სოსო კარგად სწავლობდა. კლასიდან კლასში მუდამ პირველ მოწავედ გადადიოდა. ის სწავლობდა და ამავე დროს სხვებსაც ასწავლიდა. მეზობლებმა ყველამ იცოდა, რომ ის ნიჭიერი იყო და მასწავლებლებს ჟუყვარდა. თუ მათ შეილებს რომელიმე საგანში გაუჭირდებოდათ, სოსოსთან მიიბრუნდნენ,— შეეხვეწებოდნენ, მათი შეილისთვის ესწავლებინა.

ისიც მიუჯდებოდა და იმდენჯერ გაამეორებინებდა გაკვეთილს, სანამ კარგად არ შეასწავლიდა.

— აბა, ახლა გაშედოს ლავროვმა „დეოიკის“ დასმა!..— ეტყოდა სოსო პატარას,— თუ კიდევ ცუდი ნიშანი მიიღო, კითხარი!..

გამხნევებული ბავშვი გარბოდა და ორიანებს სამიანებად ისწორებდა.

სკოლის საგნების გარდა სოსო ძალიან ბევრ წიგნებს კითხულობდა. ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასებში გადაკითხული ჰქონდა ქართული ლიტერატურა. ძალიან უყვარდა ზღაპრული ამბები, ყარამანიანი და სხვა ასეთი გმირები. ბელეტრისტებში ყველაზე ძლიერ ყაზბეგი მოსწონდა. თუ რაიმე წასაკითხ წიგნს იშოვიდა ჩაბლუჯავდა, შინ გაიქცეოდა და სანამ არ წაიკითხავდა არ მოეშვებოდა. წაკითხულს უსათუოდ ამხანაგებს გაუზიარებდა. მათაც ურჩევდა იმ წიგნის წაკითხვას.

ხოლო სავალალო ის იყო, რომ მაშინ წიგნს ისე ადვილად ვერ იშოვნიდი! სად იყო ამდენი ბიბლიოთეკები და წიგნის მაღაზიები! ან ისეთი იაფი გამოცემანი! თუ ვინმე შეიტყნდა, მისი წიგნი ხელიდან ხელში ვადადიოდა და პატრონს თითქმის აღარ უბრუნდებოდა...

სოსოს მუდამ ჰყავდა რჩეული მეგობარ-ამხანაგები და არავის არაფერში არ ჩამორჩებოდა. ჩვენ, უმცროსი კლასების მოწაფეებს თავს გვიტოლებდა. მაჯაში ხელს მოგვკიდებდა, გვერდულს მოგვდებდა, თითქო გვეჭიდებოდა, — დახე ამ რჯულდალსა, ლამის წამაქციოს, — გვეტყოდა, გაგვიცინებდა, წაგვახალისებდა და ვარბოდა.

მაშინდელი გორი ორ მთავარ უბნად იყოფოდა, — ზედა და ქვედა უბნად. სოსოს სახლი ზედა უბანში იდგა, — რუსის უბანში.

დედა მისი ეკატერინე სიამაყით იყო სავსე, რომ მისი შვილი ნიჟიერი და კარგი მოწაფე იყო. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ხელი შეეწყო მისთვის და ამიტომ ჯანსა და ენერგიას არ იშურებდა ოღონდ შვილი კარგად ყოლებოდა.

ის ნატრულობდა სოსო მასწავლებელი გამოსულიყო და ამ ბნელ სარდაფიდან, სადაც ცხოვრობდნენ, ფართე და ნათელ ოთახებში გადასულიყვნენ.

გორში იმ დროს სამიოდე ქარაველი მწერალი ცხოვრობდა, — სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოთური და მელანია (ნათიძე) „ბნელის“ ავტორი. ესენი იმ დროს გავრცელებულ ხალხოსანთა მოძრაობას მისდევდნენ და ფარულად ქართლის სოფელში არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ.

მათთან მსგელობა სოსოსაც ჰქონდა...

ამ ჯგუფს ქართული პატრიოტიზმიც ახასიათებდა და ეს გვიტაცებდა ჩვენც.

სკოლის გარეშე ცხოვრება უფრო მეტ გავლენას ახდენდა ჩვენზე ვიდრე სკოლა...

### ქართული ენა

სკოლაში, დიდი დასვენების დროს, ეზოში სხვადასხვა სათამაშოებით ვერთობოდით.

ერთ მხარეს რომ წრელახტს თამაშობდნენ, მეორეს — ბურთაობას. იქით ახტურმას, პოლტაობას, ასკინკილას, სალაობას და სხვა. ბევრი გავარდებოდა, ჩიკორი მოგორავდა, რომელიმე უკულმა შირბოდა, მეორე მას მისდევდა, დაიჭერდა. ერთი მათგანი უსუნბქველად, წიაწოს ძახილით უკან გამოიბოდა... ყვირილი, ევილიზივილი, გაძახილი ერთმანეთში ირეოდა.

მაღე ზარის რეკის ზრიალი შეარხვედა ჰაერს. უცბად შეწყდებოდა ქრია-მული, შეჩერდებოდა თამაში და ყველა სკოლის კარისაკენ ვარბოდა, — ერთმანეთს ზურგზე ახტებოდა, მუჯლუგუნს ჰკრავდა, წინ უსწრებდა, სარმას გამოდებდა, წააქცევდა, ასკინკილა მიხტოდა.. გრძელ დერეფანს სირბილით გაივილიდა და კლასებში შეეკვივებოდა.

მხიარული, აწითლებული სახეები უცბად მოიღუშებოდა, ჩხუბი, ალიაქოთი და ლაპარაკი შეწყდებოდა, — გარეთ თამაშობის დროს, კიდევ შეიძლებოდა ქართულად ლაპარაკი და გინება, ხოლო კლასში ყველას რუსულად უნდა ელაპარაკნა. უკვე მესამე განყოფილებიდან მოწაფეებს მხოლოდ რუსულად უნდა გამოეთქვათ თავისი აზრი, რუსულად უნდა შეკითხებოდნენ ერთმანეთს და რუსულადვე ეპასუხნათ. ქართული სიტყვა რომ არ წამოცდნოდათ (რადგან რუსული იმდენათ არ ეხერხებოდათ), სღუმდნენ და ერთმანეთს მუნჯურად ელაპარაკებოდნენ..

წესის დასაცავად მოწაფეს ხელში ფიქრის ფირფიტა ეკავა, მას ყური ჰქონდა გამახვილებული, რომ ვინმესათვის ქართული ლაპარაკი შეემჩნია. მაშინ ის ფირფიტას გადასცემდა.. ყველა ცდილობდა გაკვეთილების დამთავრებისას ფირფიტა არ შერჩენოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უსადილოდ სტოვებდნენ, ე. ი. გაკვეთილების შემდეგ სკოლაში უნდა დარჩენილიყო კიდევ ერთი ორი საათით.

ქართული ლაპარაკი აკრძალული გვქონდა. ყველა საგნებს რუსულად გვასწავლიდნენ, ხოლო ქართული ენის გაკვეთილს უკანასკნელი ალაგი ჰქონდა დათმობილი. სკოლას ვამთავრებდით მხოლოდ გოგებაშვილის დედაენის და ბუნების კარის გავლით. აგრეთვე გავდიოდით ხუცურ ქაშნა და დავითნს.

ქართული წიგნების კითხვა აკრძალული გვქონდა. სკოლის ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა არცერთი ქართული წიგნი, გარდა სახარებისა და კატეხიზმისი....

### რუსული ენის მასწავლებელი

რუსული ენის მასწავლებელი ლავროვი, პირწავარდნილი „ველიკოდურთავნიკი“ იყო. მას გრძელი წაბლისფერი თმა ჰქონდა, კისერთან რუსულად შეკრეპილი. მისი სათვალეები მუდამ პრიალებდა. უსათუოდ მასწავლებლის ფორმის ტანისამოსში დადიოდა. უყვარდა კაკარდიანი ქუდი და მზზინავი ლილეები....

რუსულ სიტყვების გამოთქმას ზედმიწევნით გვთხოვდა. გვეუბნებოდა,— თუმცა იწერება „дежурный“, ხოლო უნდა გამოვთქვათ — „дежурнай“, ласковый, „ласковой“....

ჩვენც მას მეტ სახელად „აი“-ს ვეძახდით....

ცდალობდა გვარები შეგვეცვა და რუსული დაბოლოება მიგვეცა,—ხუცი-შვილის მაგიერ—ხუციევ, ელისაბედაშვილის მაგიერ—ელისაბედოვ, დავითაშვილის მაგიერ დავიდოვ და ასე შემდეგ.... ლექსის დასწავლის დროს გვეუბნებოდა— „აბა თქვენ მწერლობაში თუ მოგეპოებათ მსგავსი რამ...“

ჩვენ არ ვიცოდით მოგვეპოებოდა თუ არა. გვეკითხებოდა,— „აბა რუსული ენის გარდა, რომელიმე სხვა ენა თუა ისეთი ლაშაზი“.— ჩვენ არც ეს ვიცოდით...

წირვალოცვაზე სიარული უყვარდა. მეფის საგვარეულოს რომ მოიხსენებდნენ, ის მყისვე მუხლებზე ეცემოდა, დაჩოქილი ევედრებოდა ღმერთს და მათ დღეგრძელობას შესთხოვდა. ცივ იატაკზე შუბლს არტყამდა. მაშინ გრძელი თმა წინ წამოუცვივდებოდა, სათვალეებში აებნეოდა, არეული თმა სახეს უფარავდა, ის კი გამალებით პირჯვარს იწერდა.

წირვალოცვა მუდამ რუსულ ენაზე წარმოებდა. გუნდიც რუსულად გალობდა; ქართულად იშვიათად იმღერდნენ „უფალო შეგვიწყალო“-ს.

ლავროვი რუსულ ლექსებს ზეპირად გვასწავლიდა, მაგრამ მისი შინაარსი ხშირად არ გვესმოდა.

### აკრძალული სამშობლო

რუსული ენის მასწავლებლის ლავროვის შოვინიზმმა, მისგან ჩვენი მშობლიური ენას დაჩაგვრამ, წარსულის არაფრად მიჩნევამ და აწმყოს აუგად ხსენ-



ნებაში, — ჩვენში სამშობლოს სიყვარული და წარსულის შესწავლის სურვილი დაბადა.

ვეგებულობდით, რომ ჩვენც გვყავდა კარგი პოეტები, ლამაზი იყო ჩვენი სამშობლო, წარმტაცი და დიადი ჩვენი წარსული.

ზეპირად ვსწავლობდით აკრძალულ ლექსს და გავიძახოდით:

..... არ გავცვლი შე ჩემს სამშობლოს  
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა....

გეოგრაფიის რუკებზე ვეძებდით ჩვენს მდინარეებს, სოფლებს და ქალაქებს, ხოლო ვერსად რომ ვერ ვნახულობდით, — თავმოყვარეობა შელახული ვრჩებოდით და ვღონდებოდით...

გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ქართველებს ტუზემცებს გვეძახდნენ და სადაც კი შევხვდებოდით ამ სიტყვას, შავი მელნით ვშლიდით, იმ გვერდს კი ვკეცავდით და აღარ ვკითხულობდით....

საქართველოს ნამდვილი რუკა „ბუნებისკარის“ ბოლოში იყო მოქცეული. რუკაზე აღნიშნულ ჩვენ დაბა-ქალაქებს, სოფლებს და მდინარეებს სიხარულით და აღტაცებით ვუშხერდით...

გვინდოდა ასეთი რუკა სხვა რუკათა შორის ჩვენი კლასის კედლებზე ყოფილიყო ჩამოკიდებული. იმ ხანებში არსენიძის წიგნის მაღაზიაში ამხანაგს საქართველოს მონრდელი რუკა ენახა, ითხრა: „ვიყიდიოთ, ჩარჩოში ჩავსვათ და კლასში დავკიდოთ ლავროვის გულის გასახეუქადო“... — ასეც მოვიქეციით.

დიდი აღტაცება და სიხარული გამოიწვია ბავშვებში, როცა რუკაზე თავიანთი სოფლის სახელები წაიკითხეს. დიდხანს ვერ ცილდებოდნენ და თვალეზგარწყინებული შეცქეროდნენ...

ხოლო, როცა რუსული ენის მასწავლებელი ლავროვი კლასში შემოვიდა და კედელთან ახლო გაიარა, — რუკა შემჩნია, — მობრუნდა და მიაფურთხა...

ჩვენ გავფითრდით, საფეთქელმა გამალებით იწყო ცემა. ერთხანად სიჩუმე ჩამოვარდა და... უტბად ასეთი ლაწანი გაისმა, ყველა შევეკრითით... მოწაფემ ლავროვს სილა გაარტყა. მას სათვალეები დაემსხვრა... საკლასო დღიურს ხელი წამოავლო და კლასიდან გავარდა...

კედელთან, რასაკვირველია, რუკა ჩამოხსნეს, მოწაფე სკოლიდან დაითხოვეს...


### მასწავლებლები

უცხო ენებიდან მაშინ ჩვენ ბერძნულს გვასწავლიდნენ. ამ მკვდარ ენას გააცოცხლებდა მასწავლებელი აბესალაშვილი, რომელიც იმ წელს ოზურგეთში დაბადებულადან გადმოიყვანეს.

მოწაფეებს სჩვევიათ ზოგი მასწავლებლის აბუჩად აგდება. პირველსავე გაკვეთილზე მან ერთი მოწაფე დაფაზე გაიყვანა, რალაც დააწერინა და უთხრა: *смарай!*... — სმარაიო და წაგვსკდა სიცილი...

მოწაფე პირდაღებული იდგა, — ვერ გაეგო რას ნიშნავდა „სმარაი“...

აბესალაშვილი გაცხარდა, დაიბნა. აღარ იცოდა ვისთვის შეეტია ჩვენთვის, რომ ვიცინოდით, თუ ვაშტერებულ მოწაფესთვის, რომელსაც აბესალაშვილიდან ვუყვიროდით: „სმარაი, სმარაი!“.



დაბნეული ხან ჩვენ, ხან მასწავლებელს უმზერდა,—ვერ გავეგო რაში იყო საქმე. ხოლო, როცა მასპინძელმა მას გურული კილოთი დაუწყო ლანძღვაგინება და დაწერილის წაშლით აჩვენა, თუ რას ნიშნავდა „счастье“,—ჩვენ უფრო მეტად ავვიტყადა სიცილი.

ამის შემდეგ მას „მშარიაი“ დაეარქვით. მისი გაკვეთილის დროს ყველა თავთავის საქმეში იყო გაართული,—ვინ ბზრიალას თლიდა, ვინ კოჭებს ეალერსებოდა, ვინ სხვა წიგნს კითხულობდა, მას კი ყურს არვინ უგდებდა.

კლასში შემოვიდოდა, საკლასო დღიურს გადაშლიდა და თვითონ მაგიდების შორის დიახრებოდა. ამით ისარგებლა ერთმა მოწაფემ,—დასვენების დროს კალია დაიჭირა, ფრთები მოაცალა, ერთ ფეხზე მელანში დასველებული ბამბა მიიბა. როცა „მშარიაი“ ჩვენსკენ წამოვიდა იმან კალია საკლასო დღიურზე დასვა...

ქარგად ვხედავდით, როგორ დალოდავდა ჩვენ გვარებზე და ნიშნებზე მელნით გათხუპნილი კალია და შავ ხაზებს აგრძელებდა..

ჩემად ვიციოდით, უურადლება მაგიდისკენ იყო მიმართული. მასწავლებელმა გვერდზე ჩაგვიარა და ფეხზე მდგარ მოწაფეს დაუყვირა,—„ბიჭო, ეგ წარსული დრო კი არაა, აორისტია, აორისტი!. დაეგდე! არაფერი არ იცი!“ უთხრა და მაგიდისკენ წაივდა ნიშნის დასასმელად..... გაოცებული შეჩერდა...

არაფერი თქვა. კალია გადაავლო. ზედამხედველს დაუძახა, თვითონ კლასიდან გავიდა, გაშლილი დღიური დაუკეცავი წაიღო.

იმ დღეს მთელი კლასი უსადილოდ დაგეტოვეს და ყოფაქცევაში ყველას ნიშნები დაგვიკლეს.

ართემეტიკისა და გეოგრაფიის მასწავლებელი ილურიძე ძალზე ახირებულნი მასწავლებელი იყო. გაკვეთილის ჩაბარების დროს ერთ შეცდომას დაუშვებდი თუ არა, მაშინვე გიყვირებდა,—*ах ты несчастный!*“ და დაფიდან გაგაგდებდა. გაშლილ დღიურში გვარს მოძებნიდა და ერთიანს დაგიწერდა.

ახლა მეორეს ვაუძახებდა, იმასაც უყვირებდა,—*ты что это сапоги надел... микитан ты несчастный!*..“

ძალზე ეჯავრებოდა მოწაფეს რომ ყელიანი წალები ეცვა.—„აქ კი არა, სამიკიტნოში უნდა იყო, შე უბედურო შენა“...—სიბრაზისაგან თვალების გუჯა უწითლდებოდა, ცხვირი უჭარხლდებოდა. სხვას გამოიძახებდა, მასაც უყვირებდა, ერთიანს დაუწერდა.

გაკვეთილის დამთავრებისას საკლასო დღიურში თუთმეტზე მეტ მოწაფეს ერთიანები ეწერათ. ზარს დარეკავდნენ თუ არა, მოწაფეები მასწავლებლის მაგიდას შემოეხვეოდნენ.

— მასწავლებელო, მასწავლებელო! შენი ჭირიმე მასწავლებელო!.. გადამისწორე რა არის!..—ყელს უწევდნენ, ეხვეწებოდნენ..

მასაც შეეცოდებოდა, დღიურს გადაშლიდა, გვარს მოძებნიდა,—*несчастный*,—ეტყოდა და ერთიანს ოთხიანზე ასწორებდა.

— მეცა მასწავლებელო, მეცა!..—ეხვეწებოდა მეორე.

იმასაც შეხედავდა, კალამს სამელნეში ჩააწობდა და ერთიანს ოთხიანზე ასწორებდა. თან იღიმებოდა, „*несчастный*“ ამბობდა და სხვებსაც ერთიანების მაგიერ დღიურში ოთხიანებს უწერდა.



ამ მასწავლებელს მეტსახელად „ნესჩასტის“ ვეძახდით.

ვიცოდით, რომ მას ღვინო უყვარდა, დილით სამიკიტნოში გამოივილიდა. ორიოდ არაყს გადაკრამდა და სკოლაში წითელი ცხვირით მოდიოდა. ბაღნით შებურღნილი ლოყები ლურჯ-წითელი ხაზებით ჰქონდა დასერილი, თვალები მოწყენილი და რაღაც ღრმა სევდით დამწუხრებული. იქნებ მიყრუებული გორის პროვინციული ცხოვრება და მასწავლებლის მძიმე ტვირთი აღონებდა მას? ეს კია, გორის ერთადერთ გასართობს—კრიგს, არასდროს არ დააკლდებოდა.

ჯერ კიდევ დაწყებამდე იქ ტორღივლებდა. გახურებული კრიგის დროს, შუა წრეში ჩადგებოდა, დახვეულ პაპიროსს ტუნებში გამოიჩრიდა, აბოლებდა, წრეს არ სცილდებოდა. თუ მოკრივეთა შორის თავის მოწაფეს შეამჩნევდა, შორიდან ამხნევებდა, —„ეგრე, ბიჭო, ეგრე! აი ყოჩაღ!..“

ხშირად მასაც მოხედებოდა მოქნიული მუშტი ბეჭებში, მაგრამ ის ადგილიდან არ იძროდა....

ინსპექტორი ბუტირსკი, დაბალი, ჯმუხი კაცი იყო, რომელსაც წითელი უღვაშები თამბაქოს წვეისაგან გაყვითლებოდა... გატრეცილ სახეზე პაჭუა ცხვირი კარტოფილის მსგავსად ჩაყვინთულიყო. განიერი ქროლა თვალები მუდამ გაბოროტებული გამოიციქირებოდა....

წირვის დროს ეკლესიაში არ გვასვენებდა. რიგებში ჩამოვილიდა და თუ ორივე ფეხი სწორი და გაკიშული არ გქონდა, არაშედ ოდნავ მოხრილი—ისე გიჩქმეტდა, რომ თვალებში ცრემლები წამოგვივიდოდა. მას აშკარად სძულდა ქართული და ქართველობა.

ქართულ ლაპარაკს თუ ყურს მოჰკრავდა, მაშინვე შემოგვიტევდა, —„დაანებეთ თავი მაგ ენაზე ლაპარაკს“...—ისეთი მძულვარებით გვეტყოდა, რომ ყოველ შეგინებაზე უარესი იყო.

გაკვეთილსა და გაკვეთილს შორის, დასვენების დროს, დერეფანში დაიარებოდა, —თამაშის ნებას არ გვაძლევდა. ჩაყვითლებული თითებით მუდამ წვერობს ნიკაპს იფხანდა. ბოროტულად შემოგხედავდა... მის სახეზე ვერასოდეს ღიმილს ვერ შენიშნავდი...

შემდეგში ის ბერად აღიკვეთა და კარიერა ქართველების მძულვარებით გაიკეთა...

ერთი სიმპატიური მასწავლებელი გვყავდა, გალობას გვასწავლიდა, —სიმონ გოგლიჩიძე. გორელებს ყველას უყვარდა. ლამაზი კაცი იყო, მუდამ მოლიმარი. ქერა უღვაშებს მოკლე წვერი უმწვენებდა. მაღალ შუბლზე ხუჭუჭა ქოჩორი ბჟჩქვივით ედგა. მუდამ სუფთა და მოდაზე შეკერილი კოსტუმი ეცვა. უსათუოდ მიგიჩიდავდა, მოგზიბლავდა.

გალობას ჩვენც და გორის საქალაქო პროვინიანზისაც ასწავლიდა. პატარა გოგონებსაც უყვარდათ სიმონი და დამღერდნენ:

მიყვარს, მიყვარს ლიმონი  
გოგლიჩიძე სიმონი...

### გამოცდები

ლამაზი და სურნელოვანია გორში გაზაფხული. ბაღები და ვენახები ყვავილდებიან, —ტყემალი თეთრ ჟუხალთუნებს ჰვანტავს, ანთებული სანთელივით

აკილდებიან ატმის შტოები, ორლობის ჩირაღდანვივით გადმოეფინება თეთრ-ფიფქიანი ფშატის ტოტები...

გარემოს მოეფინება ფუტკრის ბზუილი და ჩიტთა ქვილი...

მწვანით იმოსება გორისჯვარიც. დაბლობში მინდორი ჩითსაცვით გაიშლება.

ოთახის ფანჯრები გაიღება და სურნელოვანი ჰაერი გიზიდავს გარეთ...

ამ დროს წლიური მეკადინეობა თავდება, სკოლებში ყოველდღიური ქრიამული ბავშვებისა წყდება და გამოცდები იწყება.

ჩვენც გარეთ გავრბოდით და ბაღების მიწყნარებულ კუთხეებში ღიღინა-მწვანე ხალიჩაზე გავშლიდით წლის განმავლობაში მობეზრებულ ბერძნული ენის ქრესტომატიას და არითმეტიკის ამოცანებს.

გამოცდებისათვის ჯგუფებად ვმეკადინებოდით.. ბალახზე გაშლილი ბერძნული წიგნი ეგდო. თვალდახუჭული გავიძახდით: „ვისილევ ურანიე პარაკლიტე... ვისილევ ურანიე პარაკლიტე... ო ენტის ურანის... აგისითიტო ტო ონომასუ“... როცა შეგვეშლებოდა წიგნში ჩავიხედავდით. კიდევ დავხუჭავდით თვალებს და მომბეზრებლად გავიძახდით,—„ვისილევ ურანიე პარაკლიტე, პარაკლიტე“...

გარშემო ბუნება კი ისეთი თბილი და მიმზიდველი იყო... მტკვრის პირად ვისხედით, ძველი ასწლოვანი ვერხვის დაშვებული ტოტები თიბავსილი დედაკაცივით მისტიროდა გამალეებულ მტკვარს... ფოთლებით ეპოტივებოდა მის ტალღებს, თითქო უნდა დაიჭიროს, არ გაუშვასო.. მაგრამ თეთრი სიცილით ტალღა არ ნებდებოდა, ფოთლებს აისხლიტავდა, ბუტბუტით ქვეით ეშურებოდა, შორიდან თეთრ კბილებს აკრაქუნებდა.

ბუნების თამაში გვხიბლავდა...

მეორე დღეს კი, როცა წითელი მაუდით გადაფარებულ მაგიდის წინ გამოცდისთვის წავდგებოდით,—გული გამალეებით სცემდა. ამ დღეს სადღესასწაულო ელფერი ეძლეოდა, ვლელავდით, ვმოუსვენრობდით...

მასწავლებლებიც გამოცდებზე ახალ სერთუკებში გამოწყობილები მოდიოდნენ.

სამი ყორანი წითელ მაგიდას შემოუსხდებოდა. მაგიდაზე ბილეთების ნომრებს დაყრიდნენ და ანბანით გამოგვიძახებდნენ.

ჩვენ ამ დღისათვის პარუსინის თეთრს ხალათებს ვიცვამდით.

უბეში კენჭებს ვიყრიდით,—გვწამდა, რომ გულს გავვიმარებდა, გამოცდის დროს არ შეგვეშინებოდა. მაგიდასთან გასვლისას ვინმე ხალათს გაისწორებდა. უცაბედად ქამარი შემოეხსნებოდა და ლიახვის პირად აკრეფილი კენჭები იატაკზე დაცვიფდებოდა, გაიფანტებოდა... შემკრთალი მოწაფე ერთ ადგილას იდგა გაფითრებული. არ იცოდა,—კენჭები აეკრიფა, მის ფეხებთან რომ დაგროვდნენ, თუ მაგიდასთან მისულიყო.

მასწავლებლები კი იცინოდნენ...

ბერძნულის გამოცდაზე ცუდლუტობით გავიდოდით. ტექსტის თარგმანს მეტად წვრილი ასოებით წიგნის ბოლო ფურცლებზე ვწერდით. მაგიდაზე რომ ბილეთს ავიღებდით, წიგნის მოსატანად უკან გაეპრუნდებოდით. ამხანაგი მყისვე მოძებნიდა იმ ალაგს და დანიშნულ წიგნს გადმოგვცემდა.

ერთი რომ უპასუხებდით, მეორე ემზადებოდა. ერთმანეთს ვუკარნახებდით, ვეხმარებოდით და გამოცდას ემზადებდით...

გამოცდების შემდეგ აჩემებულ, არა სასურველ წიგნს მოწაფე თასმებით შეკრავდა, გორისჯვრისკენ წაიღებდა, რკინისგზის ლიანდაგის რელსზე მიაბამდა და მოლიმარი, ცულლუტური სახით უმზერდა, როგორ მისრიალებდნენ ვაგონების ბორბლები ყდაზე და როგორ დაფართატებდნენ გადაჭრილი ფურცლები ბორბლებისაგან ანიავებულ კორიანტელში.

**ჯვრისწერა**

სილამოს, როცა მზე ჩაეშვეებოდა, დახურული ბაზრის დარბაზები იკეტებოდა. ბაზრის ნოქრები ბინისკენ ეშურებოდნენ,—თაბახებს მიალაგებდნენ, სადერცოკო მაგიდებს დუქანში შეიტანდნენ, გოდრებით ფიჩხულს კუთხეებში მიღებდნენ და რაკილა მწუხრი მოეფინებოდა,—ღარივით ვიწრო ქუჩა,—ბნელდებოდა. მაშინ დახურული ბაზარი გვირაბივით გამოიყურებოდა.

დიდ ქუჩებზედაც შეწყდებოდა ეტლისა თუ ურმის ხმაური. ბოძებზე დაყუდებული ფანრები ცალი თვალით ბეჭუტავდნენ. მკრთალ სინათლეზე, გამვლელის ჩრდილი იშვიათად აეკეროდა ქვაფენილს და ლანდივით გაქრებოდა...

ზამთრის გრძელი ღამე დღეს ამოკლებდა. მცხოვრებნი თავთავიანთ ბინებში მიუჭიდებოდნენ.

რვა საათზე, ყაზარმებიდან მოვარდნილი საყვირის ხმები, უცნაურ ჰანგებად შეიქრებოდა გარინდულ უბნებში..

გუგუნით და კრიალით ეს ხმები შორს გაიჭრებოდა, ისევ მოახლოვდებოდა... თითქო ვილაცას უხმობდა, ეძახოდა... ზარის წყრიალით სივრცეში ავარდებოდა, ისევ ძირს დაეშვეებოდა...

ძილისთვის განწყობილი გორი უფრო გაინაბებოდა, სმენად იქცეოდა... მერე, როცა ხმები შეწყდებოდა, შემოფარგლულ ეზოებში ზეწარივით დაუფენილი შუქი ჰქრებოდა. ალაყაფის კარი ურდულეებით იკეტებოდა...

იძინებდა გორი.

ხოლო იშვიათ შემთხვევაში რომელიმე უბანი ახმაურდებოდა, სინათლეს არ ჩააქრობდა და ჩქარი ნაბიჯით ოქონის ეკლესიის პატარა ეზოსკენ გარბოდა. გზად მიმავალი გოგონა მეზობლისას შეუხვევდა, მეგობარს გამოიწვევდა და ილუმბალი ხმით ეუბნებოდა—

- გაიგე, ტურიაშვილის ლიზა რომ ამალამ ჯვარს იწერს?..
- მაშა, ქა!
- ოქონაში!
- ათ საათზე!
- წამოხვალ?
- მაშა, ქა!..

საგანგებოდ დაგვიანებით დანიშნულ ჯვრისწერისათვის (მაყურებლები რომ არ მოგროვილიყვნენ), ოქონის გალავანში ხალხი მაინც გროვდებოდა. ამ გასართობ შემთხვევას არავინ ჩამორჩებოდა.



— ქა, პირველად ხედავ თუ?

— ჩერქეზული ძიელ უხდება!..

— ისა!.. დედოფალი!—როგორი გაფითრებულია!..—ალაპარაკდებოდნენ გოგოები.

მნათე ტრაპეზში ფაცურობდა. გვირგვინებს შტვერს აცლიდა, ზევიდან ქაღს დაუშვებდა, შაურთან კელპატრებს ანთებდა. ეკლესია ნათდებოდა. თებობდა, აბზინდებოდა, გაბრწყინდებოდა ყველაფერი, — ყვავილებით მორთული მკერდი და თეთრი ტანისამოსი...

ჭვინტებზე შემდგარ მაყრებს. გვირგვინები თავების ზევით ეჭირათ და აქეთ იქით აქანავებდნენ...

აივანზე შვგროვილი ბიჭების ყვირილი და ძახილი არ სწყდებოდა მათი ხმაური და ღრიანცელი ჯვრისწერას ბრწყინვალეების ელფერს უკარგავდა...

ფილონში გახვეული კამილაკიანი ღვღელი მალე ნეფედედოფლის მარჯვენა ხელებს ერთმანეთზე გადააჯდობს. „ისხია მზიარულობის“ სიმღერით სადავითნეს გარშემო შემოატრიალებს. ახლა ღვღელი და დიაკვანი ერთად მღერიან.

აივანზე მდგომ ბიჭების ხმაური თითქო შეწყდა, — ყველა სანახაობას უტკეპრის. მაყრები გვირგვინებით დედოფლის გრძელ კაბას ახტებიან, მირბიან, მაგრამ მაინც უკან რჩებიან...

ბიჭები ზევიდან მაყრებს უყვირიან, ხარხარებენ და ერთმანეთს ვასძახიან... მზიარულება და ღრიანცელი მატულობს...

მალე ღვღელი ტრაპეზისკენ გასწევს. იქიდან ვერცხლის თასით ღვინოს წამოიღებს...

ზევით ქანდარაზე ხელება ატყდება, თითქო რაღაცისათვის ემზადებიანო. ყველა იშმუშნება. დედოფალი დახრილ თავს უფრო დაბლა დახრის, გაფითრდება და ყვავილებით მორთულ სანთელს შეაქტერდება.

ნეფე უფრო თამამია, მაგრამ სიწითლე მასაც შეპარვია... ერთხანად თითქო რაღაცის მოლოდინში სიჩუმე ჩამოვარდება. ღვღელი ბუტბუტებს, ხელში თასი უჭირავს, ნეფესკენ მობრუნდება კიდევ წაიბუტბუტებს და ღვინოს მიუტანს ტუჩებთან...

როგორც უღრან ტყეში უცბად ავარდება ქუხილი, ისე ატყდება ეკლესიაში ბიჭების ყვირილი და შეძახილი: „შეხვრიპაა, შეხვრიპაა!“ და ეს დაჟინებული ძახილი ეკლესიის თაღებს სწყდება, კედლიდან კედელს გადაეცემა... ბრბოს ამზიარულებს, აგიჟებს, ათრობს.. აღარ ისმის არც დიაკვნის გალობა, არც ღვღლის ამღერებული ლოცვები.

ყვირილი და ღრიანცელი მხოლოდ მაშინ შეწყდება ღვღელი რომ ნეფედედოფალს სამგზის თასით ღვინოს დაალევიანებს...

სიჩუმე ჩამოვარდება, როგორც ქარიშხლის ჩაქარდნის შემდეგ...

ახლა დამშვიდდებიან, დაწყნარდებიან, თითქო თავის მოვალეობა მოიხადესო... ჯვრისწერას თავს ანებებენ, კბეზე დაეშვებიან და ხმაურით შინისკენ მიდიან...

ეკლესიაში მყარები, გოგოები და ნათესავებიღა რჩებიან.  
მალე ჯერისწყნარაც თავდება...  
ქუჩებში კვლავ სიწყნარე ჩამოვარდება

### მოსახლეობა

ქალაქის ყოველი უბანი თავის ცხოვრებით ცხოვრობს, თავის ელფერს ატარებს და საკუთარ ზნეჩვეულებით მიაბიჯებს...

გორი ორ მთავარ უბნად იყოფოდა—ზედა და ქვედა უბნად და როგორც მდინარის მთავარ შტოებს, თავისი მივარდნილი პატარა უბნებიც თან მიჰყვება, ისე ზედა უბანიც და ქვედაც თავისი მიუჩრებული მცირე უბნებით ცხოვრობდნენ. ყველა თავის თვისების დამახასიათებელ სახელსაც ატარებდა,—ციხის უბანი, რუსის უბანი, გარეუბანი სამების და სხვა.

გორი შემორტყმული იყო ქართლის პატარა სოფლებით და მისი მცხოვრებთა რიცხვი ათიათას არ აღემატებოდა.

ოთხი სასწავლებლის კედლებიდან მოვარდნილი ჟრიამული ავსებდა მის ქუჩებს,—ერთი საშუალო სამასწავლებლო სემინარია და სამი დაბალი,—ქალეზის პროგიმნაზია, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლები.

წერილი სივაჭრო დუქნები,—ფართოფელოზის, ხილფელოზის, რკინეულობის, თევზეულობის, საყასბოების,—ყავრით დახურულები და დაბალქერიანები რიგად მიჰყებოდნენ ერთმანეთს.

სხვადასხვა ქუჩაზე დაფანტული იყო კერძო სახელოსნოები,—ხარაზების, დერციკების, მკედლების, ნალბანდების... სადმე ზანტად კვამლს ფანტავდა ორი-ოლე აგურის ქარხანაც.

ზედაუბანში ცხოვრობდნენ,—ხარაზები, მეთევზეები, მეეტლები, მედროგეები და მეღუჭენები.

ქვედა უბანში კი,—მასწავლებლები, სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა მოხელეები, წვრილი მესაკუთრენი, ვაჭრები, მოწაფეები...

რკინისგზის სადგური ქალაქიდან დაცილებული იყო და მისი გარემოს ცხოვრება ქალაქის სუნთქვაში არ შედიოდა. საქონლის ბაქანზე შემოდგომობით გასაგზავნად იყარა უამრავი კომპოსტო, ხახვი, კარტოფილი. გოდრებით—ხეჭეჭური, ატამი, ვაშლი და სხვა.

მოდუღუნე მტკვარი რაკილა ლიახვს შეიერთებს და ხიდსაც გასცილდება, თითქო გორის დანახვა ეზარებაო, მიჭეფარე ტალღებით დაეშვება ქვევით. მის ზედაპირზე აცურებული ტივიც ახლა გამალებით მისრიალებს ქალაქისკენ და ერთხელაც არ შედგება გორის სანაპიროებზე, რადგან გორს ფიცრები არ სჭირდება, მისი ზრდა შეჩერებულია.

... როცა მეფის მატარებელმა გორში გაიარა, მსახურებმა ქალაქი ვერ შენიშნეს და ნაგავი გადმოყარესო, ამის შემდეგ გორი აღარ იზრდებაო,—ამბობდნენ თვით გორის მცხოვრებნი.

სადგურიდან ხიდზე გადავლის შემდეგ მოედანზე გახვიდოდით, აქედან მარცხენა მხარეს გაყვებოდა ერთადერთი სწორი და განიერი ქუჩა, რომელსაც გორელები „მეფის ქუჩას“ უწოდებდნენ. ამის ზევით ქუჩები ვიწროვდებოდა

მიხვეულ-მოხვეულებით მიდიოდა. ოქონასთან იხრებოდა,— ერთი ვიწრო ქუჩა დახურულ ბაზარში შედიოდა, მეორე ციხეზე ადიოდა.

ერთადერთი მოედანი ამშვენებდა გორის ქუჩებს და ისიც კაზარმებს ეკუთვნოდა, თუმცა მისი ფართობით ჩვენც ვსარგებლობდით,—სკოლის შემდეგ ნასადილეც აქ ვთამაშობდით წრილახტს, ახტურმას, სალაობას, კოკაობას, კიდაობას და სხვა.

აქ გროვდებოდა რუსის უზნის ნახირი და სალამოობით აქვე იშლებოდა. გატაცებული ვიყავით ისრის სროლით. ინდოელებივით ისრებს ქამრებში და ქათმის ფრთებს ქუდებში გავირტობდით. მკლავებს გავიშოვლებდით და „ენადირობდით“. ისარზე წვეტიან ლურსმანს დავასობდით და როცა სალამოობით ნახირის ძროხები ბლავილით ვიწრო შესახვევებს გაუდგებოდნენ, ალაყაფის კარებში ჩავსაფრდებოდით. შუბლში დამიზნებული ისარი ხშირად ასხლტებოდა, მაგრამ თუ კისერში მოხვდებოდა, წვეტიანი ისარი ჩამოეციდებოდა და ძროხა ბლავილით გარბოდა... პატრონი ეზოდან გამოვარდებოდა, კისრიდან ისარს ამოაძრობდა. წყევლითა და გინებით, დამნაშავეს ეძებდა, მაგრამ ის ვერას გზით ვერ გვიპოვებდა. ჩვენ კი სახლის სახურავებიდან სერის ვუმზერდით და ვიცი-ნოდით...

### ღიასახლისი „ფოფოლია“

ჩემი ღიასახლისის ოჯახი ორი პირისაგან შედგებოდა,—ქვრივი დედა „ფოფოლია“ და მისი ქალიშვილი „ტოტა“. რამდენიმე წელიწადი ვცხოვრობდი მათთან, რადგან ძალიან იაფად გვინახავდა,— შეიდ მანეთად თვეში. ღიაკენის შვილები აქ ვიყრიდით თავს. ღიასახლისის „ფოფოლიას“ ვუწოდებდით. თუმცა კოვავთ ვიცოდით, რომ მისი ქმარი ღვდელი არ ყოფილა.

მისი გრძელი შავი ტანისამოსი მუდამ იატაკს ეთრეოდა. გამხდარი, მაღალი სამოცი წლის დედაკაცი სუსტი დანაოქებული სახით. თალხი ჩიხტაკობით და უარშოო ლეჩაქი თავს ეხურა. მტკიცე და მკაცრი შუბლი, წვრილი ალესილი ცხვირი და მოკლე ნიკაპი...

მის ქალიშვილს „ტოტას“ ვეძახდით, მაშინ მე არ ვიცოდი თუ „ტოტა“ სიტყვა ტყა-საგან წარმოდგებოდა. „ტოტა“ განებივრებული შვილი იყო დედისა. გაუთხოვარი, ამაყი და რამდენადმე ნასწავლი. თეთრი, ქერა პირისახე ჰქონდა. აბურკული ლოყები და ცისფერი თვალები. მედიდური იყო და მოწაფეების წვალება უყვარდა. ქართულ წიგნებს კითხულობდა. ნათნოვარი წიგნი,—ყაზბეგის ელგუჯა, ერთხელ მან და მისმა ამხანაგმა მთელი ღამე ხმაძალა იკითხეს. მე რასაკვირველია არ მეძინებოდა, ლოგინში ვიწექი და განაბული ვისმენდი... მეორე დღეს ელგუჯას ამბავს ამხანაგებს გატაცებით ვუყვებოდი..

ეს ორი ადამიანი—„ფოფოლია“ და „ტოტა“—მოწაფეების შენახვით ირჩენდნენ თავს, ამიტომ ცამეტამდე მოწაფე ორ პატარა ოთახში ჰყავდათ მომწეხდელული.

მოხერხებული, ქვიანი ფოფოლია ცამეტი მოწაფის „დისციპლინა“ რომ დაეცვა, არსად არ გვიშვებდა, არც ეზოში სათამაშოდ და არც სხვაგან სადმე. სკოლიდან რომ მოვიდოდით გრძელ ტახტზე მოვიკეცავდით და მთელი დღის განმავლობაში ვისხედით ერთ ალაგას.

გრძელი ტახტის წინ გრძელი უჯრებიანი მაგიდა იდგა, შიგ წიგნები გვეწყო. თავში ტოტა იჯდა და თვალყურს გვადევნებდა. ზოგი მოწაფე, ლარიბი-დიაკვნის შვილი, თვეში ხუთ მანეთს იხდიდა, სამაგიეროდ ის მოსამსახურეობას ეწეოდა,—სახლს გვიდა, დილა-სალამოს სამოვარს ადუღებდა, მეზობლის პიდან წყალს მოიტანდა, ქურქელს რეცხდა, დილას ადრე დგებოდა და ქათმებს საკენკს უყრიდა.

ასეთ მოწაფეს თავისუფლად სიარულის ნება ჰქონდა. ჩვენ შევნატროდით მას უმეტესად იმისთვის, რომ წყლის დაღვევა შეეძლო.

ფოფოღია ნებას არ გვაძლევდა წყალი გვეცა, ვითომ რაღაც ჰიგიენური მოსაზრებით, ნამდვილად კი იმიტომ, რომ ბევრი წყალი არ დახარჯულიყო, რათა წყლის მოტანის დროს სკოლის ზედამხედველს არ შეენიშნა მოწაფე, რომ წყალს ზიდავდა. ხშირად ისე მოგვეწყურებოდა, რომ როცა წვიმდა სახურავებიდან ჩამონავალ წვიმის წყალს მუქს შეეუშვებოდა და წყურვილს ვიკლავდით.

პურის მომჭირნეობას მეტად ეწეოდა ფოფოღია. ფქვილს სასწორზე ყიდულობდა, თონეში აცხობინებდა. პურის მცხობელს დღეში ორ თონის პურს და ერთ აბაზს აძლევდა. მთელი დღე იმდენს აკვრევინებდა, რომ ცამეტ ბავშვს რჩი კვირა გვეყოფინდა. პური ფაშრდებოდა, ხმებოდა, თავის კბილებსაგან იქვეცებოდა...

სკოლაში პურს არ გვატანდა. თუ ვინმე ჩვენგანი ამხანაგს პურს სთხოვდა, მას უსათუოდ დააბეზლებდა მისივე ამხანაგი. როცა დამნაშავე შინ ბრუნდებოდა, ტოტა მას კარებშივე დააჩოქებდა, ხელებს მალა ააწვევინებდა და უსადილოდ სტოვებდა.

ჩამოსულ მამებს ტკბილი სიტყვით ხიბლავდა. მათაც უხაროდათ, რომ შეილები წესიერად ისხდნენ, არ ცელქობდნენ და მეცადინობდნენ...

საახალწლო და სააღდგომო დღესასწაულებიდან დაბრუნებისას, მამები ჩამოჰყებოდნენ, თან ხორავით დატვირთულ ხურჯინებს მოიტანდნენ. ფოფოღია პირზე ღიმილს ხურჯინს გახსნიდა,—მოხარულ მსუქან დედლებს, ღორის ბარკლებს, ხაჭაპურებს, ტაბლებს, ნაზუქებს, კვერცხებს და თონის თეთრ პურებს მაგიდაზე ალაგებდა. ხორავი იმდენი გროვდებოდა, რომ ორი კვირის განმავლობაში ფოფოღია არც პურს აცხობდა, არც სანოვაგეს ყიდულობდა...

მაგიდის გარშემო ფეხმორთხმული ვისხედით. იმავე მაგიდაზე ვსადილობდით და ნასადილევს იქვე ვრჩებოდით მთელი დღის განმავლობაში მუხლ-მოკეცილი.

დაბალჭერიანი ოთახის ფანჯრები ქუჩას გასცქეროდა, მაგრამ ჩვენ ზურგ-შექტულები ვისხედით და მოძრაობას ვერ ვხედავდით. ამ ოთახში ფოფოღია, ტოტა და ორიოდე მოწაფე იწვა. მეორეში კი ეზოსკენ, ერთ განიერ ტახტზე,—დანარჩენები... შუაკარი მუდამ ღია იყო და რომ დილას დამლაგებელი მოწაფეები ადრე ამდგარიყვნენ ტოტამ გრძელი ჯოხი გასდო თავის ლოგინიდან მეორე ოთახამდე და თავი რომ არ, შეეწუხებინა ადგომით, ამ ჯოხით აღვიძებდა დამლაგებელ მოწაფეებს. საბანს გადახდიდა, დაარტყამდა და გამოუძინებელ ბავშვს ფეხზე დააყენებდა. ისინიც გაიშმუშნებოდნენ, წაიცვამდნენ—ერთი ქათმებს საკენკს უყრიდა, მეორე წყალზე მიდიოდა, მესამე სამოვარს ადუღებდა.



სადილს ფოფოღია ამზადებდა. ორიოდ გორგანქა ხორცს ან ლობიოს მოხარ-  
 შავდა. იმ დღეს კი, როცა გორში მდიდარი ვაქრის დასაფლავებაზე ქელეხში  
 ხალხს იწვევდნენ ჩვენი დიასახლისი სადილს არ ამზადებდა.

### ქ ე ლ ე ხ ო ბ ა

გორის ლარიბი მოსახლეობა ქელეხობის დროს შინ კერძს არა ხარშავდა, —  
 „დღეს ქელეხობაა“!..

„ვაჭარი იოსება გარდაიცვალა, ღმერთმა შეინდოს“!..

„აცხონოს ღმერთმა“!.. ამბობდა მოსახლეობა და ქელეხში მიდიოდა.

იმ დღეს არც ციხეში მზადდებოდა სადილი. ციხის უფროსმა იცოდა, რომ  
 ტუსალებს ქელეხიდან კერძი მოუვიდოდათ და სადილის ფულს, რასაკვირველია,  
 თვითონ იჯობავდა. ტუსალებისთვის ქელეხი პირველ რიგში იგზავნებოდა.

ჩვენი დიასახლისიც იმ დღეს მზარული დაიარებოდა. სკოლიდან, რომ  
 მწიგრები მოვცვივდებოდი (ცამეტი ბავშვი) გამოგვიცხადებდა, „დღეს ქელეხ-  
 ში წახვალთო“!..

ჩვენც მივრბოდით...

„ლავაში თან წამოიღეთო.“ — გვაბარებდა დიასახლისი

ჩვენ შევდიოდით ფართე ეზოში, რომლის გრძელი აივანი ყვეთლად შე-  
 ლებილი მოაჯირით და მაღალი დახურული კიბით, მიწილი სიგანით გადასტკეპოდა  
 მოტყულებილსა და გორიდან კარმიდამოს. ეზოში ფაციფუცობდნენ. თავშალიანი  
 გოგონები კიბეს სირბილით აივლიდნენ. თალხად თავდახურული ქალები აივანზე  
 სუფრას შლიდნენ: სასაფლაოდან ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბრუნებულნი და ჩქა-  
 რომდნენ მათ მოსვლამდე ყველაფერი რიგზე ყოფილიყო...

ბიჭები ერთმანეთზე დაწყობილ მათლაფებს და თეფშებს მიაბრებინებდნენ,  
 ზევით აჰქონდათ თონის პაჭარა პურები, ლავაშები, ბოთლები, ქიჭები...

ეზოშიც არეული ხალხი ფუსფუსებდა — ვის ფიცარი მოჰქონდა მაგიდის-  
 თვის, ვის ტაბურეტი და ვის ჩაქურ-ლურსმანი. აქაც სუფრა იშლებოდა. გრძელი  
 ფიცრის მაგიდები ეზოს სამი კუთხით მიჰყვებოდა.

ერთ კუთხეში სახელდახელოდ ყავრით დახურულ ფარდულის ქვეშ გრძელ  
 ზედადგარებზე შედგმულ დიდრონ ქვაბებში შილაფლავი იხარშებოდა. თეთრი  
 წინსაფარით დაბალი ჯმუხა მზარეული ქაფქირით ხელში ქვაბებს გარს უვლიდა  
 შილაფლავს ურევდა, ცეცხლს უკეთებდა.

იქვე კარტოფილს ფუქვინდნენ და გომბებში ყრიდნენ. ხახვს სჭრიდნენ,  
 გოდრებთან მწვანეხალს თეფშებზე ალაგებდნენ, ცოცხალს ჩელტზე აწყობდნენ,  
 დოშისთვის გრძელ საინებს მოითხოვდნენ...

მაღე მახლობელ ქუჩაში შავი ნაკადული გამოჩნდებოდა თალხ ლეჩაქია-  
 ნელი, გაზომილი ნაბიჯებით, კრიალოსანის თამაშით და წყნარი მუსაი-  
 ფით ეზოს უახლოვდებოდნენ.

ჯგუფებად გრძელჩოხიანები და კრავის ქუდიანები უკან მოდიოდნენ...

მათ მოახლოვებასთან ეზოში აჩოჩქოლდებოდნენ, მოძრაობას გაახშირებდ-  
 ნენ, აქეთ იქით მირბოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ...

შემოსასვლელ კარებში ორი პატარა ბიჭი დადგებოდა,—ერთს დოქი ეჭირა და მხარზე პირსახოცი ჰქონდა გადაგდებული, მხოლოდ მეორეს დიდი მათლათა,—ღვინოში დასველებული, დამტვრეული ლავაშით. მოსულები კარებთან ჩერდებოდნენ. ხელს დაიბანდნენ, შეიმშრალებდნენ და ღვინოში დასველებულ ლავაშის ლუქმას შექამდნენ. ეზოს გაივლიდნენ. ქალები კიბეზე ადიოდნენ, ხოლო კაცები ეზოში დალაგებულ ფიცრებზე სხდებოდნენ...

აივნის სიგარძეზე უარშიო ლეჩაქები აფრიალდებოდა. ეზოში დალაგებული ფიცრები კაცებით გაივებოდა.

მაგიდებთან აირეოდნენ დოშისა და შილაფლავის მომტანნი, ზოგი აქეთ მიდიოდა, ზოგი იქით.

დამსხდრების გარდა უფრო მეტი ქუჩაში უცდიდა. იმათთვის ცალკე ქვაბი იდგა. ამ ქვაბთან გაივლიდნენ, ერთმანეთში აირეოდნენ, ლავაშსა და შილაფლავს მიიღებდნენ, უკანვე გაბრუნდებოდნენ, თითო კიჭა ღვინოს დააღვინებდნენ.

შინ წასაღებად ჩვენ რიგში მეორეთ ვდგებოდით, ლავაშში გახვეულ შილაფლავს შინ წავიღებდით...

ამ შილაფლავით და ლავაშით მეორე დღესაც ვიკვებებოდით.

### ს ა მ ლ ვ თ ო

უფრო ხალისით ვეშურებოდით, როცა სამღვთვანო მივდიოდით. ამ დღესაც დიასახლისი სადილს არ ამზადებდა, შილაფლავის მოტანას გვავალბდა. მთელმა გორმა იცოდა, რომ იმ დღეს ხარაზების ამქარს სამღვთო ჰქონდათ სამების ბაღში.

ჩვენც მივრბოდით...

სამების ორლობიან ვიწრო ქუჩაზე, ღია ალაყაფის კარით ხეხილიან ბაღში შევდიოდით. აყვავებულ ატმებისა, ვაშლებისა და ფშატის სურნელება ყნოსვას ატკბობდა. გახაფხულის ნიაფი ყურში გვეჩურჩულებოდა.

არეული ხალხი ბალახს თელავდა. ხალისით წაპოსული ღეროები იღუნებოდა, წევებოდა...

ჯამებით ხელში ჯგუფად ჩამდგარიყვნენ,—ერთმანეთს აწევებოდნენ, მუჯლუგუნს კრავდნენ, წინ მიიწევდნენ.

„შვილოსა შენ მეორეთ მოდიხარ, მე პირველადაც არ მიშეგბ?“

„აბა, როდის ვიყავი?“

„რას ჩხუბობთ, შვილოსა! ყველას გვეყოფა, შეხე აიმ დიდ ქვაბსა!“..

დიდ ქვაბს ვერ ვხედავდი. ამიტომ გვერდზე გავხტი, წინ წავედი. უცბად შევდექი,—კოშკივით მარლა აზიდული ორი შავი ქვაბი, რკინის გრძელ ზედადგარზე იდგა. თავახდით ქვაბებიდან ორთქლი ამოდიოდა, აქეთ იქით ასაწევი მოზრდილი ყურები, კლიტესავით ეკიდა.

ორი მკლავ-დაკარწახული ტაბურეტზე შემდგარიყო, ქვაბებიდან ნიჩხებით შილაფლავი ამოჰქონდათ და გაშვერილ ჯამებსა და ლავაშებზე ასხამდნენ...

იქით, ბაღის სიღრმეში, გაშლილ ატმებისა და ვაშლების ქვეშ, მწვანეზე სიგარძით გრძელი სუფრა დაეფარებინათ. ჩოხიანები მუხლმოკეცილი აქეთ

იქით შემოსხდომოდნენ. მერიქიფე ნაოკიან ზურგებს ჩაუვლიდა, გამოწვდილ-  
ყანწებს ხელადიდან ავსებდა, მეორე მხრით ახალგაზრდა ბიჭი ორთქლიან შილაფ-  
ლავს არიგებდა...

დიდქვაბებთან არეული ხალხი ყაყანებდა, ერთმანეთს ეჩხუბებოდა, ლა-  
დავას რომ მიიღებდა შილაფლავისთვის გარბოდა. მერე ჩაის კიქით ლენოს გა-  
დაკრავდა, იქვე ბალახში ჩაჯდებოდა და შილაფლავით დღუკმებოდა...

გათილილ ბალახზე თეთრი ძვლები ეყარა. ფაფის ნაქუწებს და ნაწლავეებს,  
ძალღები წიწკინდნენ და თან იღრინებოდნენ...

ლობის ძირში, ყასბები ცხვრის ტყავებია შინ წასალეზად მარილს აყრიდნენ,  
სისხლიანი ხელებით თავფებს ატყავებდნენ. ძვალს გადაზნიქავდნენ და იქიდან  
თეორ კოქს ამოავდებდნენ. იქვე შეჯგუფულ ბიჭებს ესროდნენ. ისინიც ჩხუბით  
და ლანძღვა-გინებით ერთმანეთს უსწრებდნენ, იტაკებდნენ და გარბოდნენ...

შილაფლავით გათხუზული ტუჩებით არეულ ხალხში დავიარებოდით, ამ-  
ხანაგებს ვხვდებოდით, — ლავაშში გახვეული შილაფლავი ილიაში ამოედლოთ,  
თითონ კი გაქონილი ტუჩებით ხორციან ძვალს ღრნიდნენ.

— მე ორჯერ ვავიარე და ორი კიქა ლენო დავლიე!.. — იკვებიდა ერთი.

— მე ორი ლავაში ავიღე!..

— მე კიდევ ორი კოქი მოვიტაკე!.. — დაურთავდა მესამე.

თავისუფლად სიარული გვიტაკებდა, შინ დაბრუნება გვაფიწყებოდა. ლა-  
ვაში და თბილი შილაფლავი თითო კიქა ლენით საკმარისი იყო, რომ კარგ  
გუნებაზე დავეყენებინეთ.

შინ წასვლა მაინც აუცილებელი იყო, როცა ხეტიალი მოგებზრდა, ერთ-  
მანეთი მოვქებნეთ. შინ მისატანი შილაფლავი მხოლოდ ორს აღმოაჩნდა.

მივდიოდით და ვიცოდით, რომ დიასახლისი დავიანებისათვის დაგეტუქ-  
სავდა, დაგვსჯიდა.

### ს ა ც ე ც ხ ლ უ რ ი

დიასახლისი „ფოფოლია“ განრისხებული დავიხვდა. „ტოტა“ დავიჯავრდა.  
მეორე დღეს გორისჯვრობა იყო. ვვითხრა, — ხვალ გორისჯვრობაზე ვერ წაბ-  
ვალთო.

იმ საღამოს ჩვენ ეკლესიაში ლოცვაზე წავედით. გზაში ვჩხუბობდით და  
დავვიანების მიზეზს ერთმანეთს ვაბრალებდით. ძალიან მწყინდა რომ გორის-  
ჯვრობაზე არ წავედოდით.

ჩვენი ეკლესიის პატარა ზარი ფინიასავით ჰყეფდა. გრძელ დერფთანში ინს-  
პექტორმა დაგვთვალა, — გვარები ამოიკითხა. მერე განიერსა და ფართე ეკლე-  
სიაში რიგებდა ჩავამწყობოდა.

მოვარაყებულ კანკელი ბზინავდა. წმინდანები ზევიდან დაგვცქერდნენ,  
თითქო იღიმებოდნენ, თითქო დაგვცინოდნენ.

ამაღლებულ საგალობელზე მომღერლები მრგვალ რიგებდა დაეწყვენ, მო-  
აჯირს ზურგით მიაწვენ.

აღსავლისკარის ვარდისფერი ფარდა შრიალით გაიხსნა, კარი ორ ნაწი-  
ლად გაიღო და ფილონიში გახვეული ღვდელი თეთრად მოფენილი თმით და  
წყურით ღია კარებში აიყუდა. თავი დალუნა, პირჯვარი გადაგვსახა, მერე ისევ  
ტრაპეზისკენ მიბრუნდა, ფილონის შიგნიდან ხელები გამოაძვრინა, მაღლა აღა-

პურო, პირველი სამგზის გადიწერა და წრივინა ხმით წარმოსთქვა: „ქრთხელ არს ღმერთი ჩენი ყოვლადე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“...

მალობლებმა ფეხი შეიცვალეს, ერთმანეთისკენ მიიწიეს, ლოტბარს შეაცქერდნენ, ნოტები ხელში მოიმარჯვეს—„აამინ“—შეგალობეს. „Блажен муж иже не иде на совет нечестивых, алилуия, алилуия, алилуия!!.. მღეროდნენ კლიროსზე.

...„ეჰ, რა კარგი იქნებოდა ხვალ გორისჯვრობაზე წავსულიყავ!“... ეფიქრობ და მეზიზღება „ტოტა“. „ი ღმერთს შეგებეწები და ის დასჯის მას სამაგიეროდ!... სულ გიგლას ბრალი კი იყო! რამდენ ხანს მოგუნდით მის ძებნას!“..

ტრაპეზის წინ მდგარ ფილონში გახვეულ ღვდელს პატარა ბიჭი ახრწოლებულ საცეცხლურს მიაწვდის. აბზინებული ფილონი ოთხკუთხიან მოყვარაყებულ მაგიდას გარს შემოუვლის.

საცეცხლური ახტის და დახტის. კბილები წითლად დაუტკეპია, იქიდან ზოლებად კვამლი იფანტება. კვამლში გახვეული ფილონი მოძრაობს, ტრაპეზიდან გამოვა, კანკელზე ამართულ წმინდანების წინ შედგება. საცეცხლური ავარდება, ჯერ ქრისტეს მიაფრქვევს ახრწოლებულ კვამლს, მერე ღვთისმშობელს, შემდეგ პაულე მოციქულს მიუბრუნდება და ასე ყველა წმინდანს ჩამოუვლის, ჩვენკენაც მოტრიალდება. პირველს ვისახავთ და ვიღუნებით.

ჩემი ფიქრები კვლავ გრძელდება. უეცრად მკლავში ტკივილს ვგრძნობ, მეწვის. გვერდში ვილაცა აჩრდილივით ამომდგომა. შეეხედე,—ინსპექტორი ბლტირსკი მიბღერის, მკლავზე მჩქმეტს. მუხლი მომიღუნავს და მიჯავრდება.

მტკივან იდაყვზე ხელს ვისვამ და ვიკმუხნები.

კლიროსზე ახლა „ГОСПОМИЛОЕ“-ს მღერიან. ღვდელი ტრაპეზიდან კაკანებს. ეკლესიაში ყოუნა მომწყინდა. გარეთ გასვლა მინდა. აქ გაზაფხულის სუფთა ჰაერია, წყალიც არის დასაღევი... „არ დამითხოვეს დაწყველილი ბუტირსკი“!..

ამხანაგს ვეკითხები, ხომ არ აქვს ეკლიანი ბორცვი. უკანა რიგში მდგარ ამხანაგს ჰქონებია. ვიოჩქებ და მალულად ვართმევ. ეკლიანი წვეტები ნეგსივით იჩხვლიტება. რიგში ჩამალული მას ნესტოებთან მივიტან, შიგ შევრჩი და რომ გაიჭედება მუშტს მივარტყამ.—მიჩხვლიტა, მაგრამ ჯერ შედგეს არ ვგრძნობ. ვიკმუხნები. კიდევ მივკრავ მუშტს უფრო გამეტებით... კიდევ და კიდევ... ნესტოს თხელი კანი ორ ადგილას ამეწვის. ზედა ტუჩი თბილი სითხით ითხუპნება. ხელის გულიც წითლად მისველდება...

ახლა კი დამითხოვეს ინსპექტორი!

ეზოში გავდივარ. ხელს დავიბან, სისხლის ღენას შევიწყვეტ. წყალსაც დავლეგ.

შორიდან მესმის ლიხვის შრიალი. გორიჯვარს გავხედავ, ქოჩორა ბუჩქებით რომ შორთულა. დასავლეთის მხრივ თითქო ტყეს ხანძარი მოღებია, ასე აელვარებულა ცის კიდური.

დიღბანს დარჩენა არ შეიძლება. სისხლის ღენას ცივი წყლით ვიკავებ ისევ ეკლესიაში შევდივარ.

სალამის ლოცვა მალე თავდება. ღვდელი ჩამოილოცავს.—... и всех святых помилюет и спасет нас, яко благ и человеколюбец...

ხოროც „დостоინო“ იპლერებს და ლოცვაც გათავდება...

ტუსაღებივით გამოვცვივდებით ეკლესიიდან. კვლავ ევიღბივილით ივსება განიერი დერეფანი. ჩავცივდებით კიბეზე და ვავრბივართ წინისაკენ...

### გორისჯვრობა

მეორე დღეს წირვის შემდეგ ჩვენი ამხანაგები გორისჯვარზე წავიდნენ. ჩვენ კი ფანჯრიდან ვუშუბრლით ჩირალდანიანი ურმები მწვანე ტოტებით და მინდვრის ყვავილებით მორთული, ამოძრავებულ ბუჩქებივით გორაკისკენ, რომ მიეშურებოდნენ...

დიდ ქუჩაზე ჩაივლიან, ხიღზე გავლენ და გორისჯვრის აღმართს შეუღდებიან. სოფლებები სადღესასწაულოდ მორთულან,—გოგოებს და ბიჭებს ახალი ტანისამოსი აცვიათ. ფარდავით დაფენილ ურემზე გოგოები წამომსხდარან, ბიჭები კი ხარებს მიუძღვებიან...

გორელები სავაჟროდ მიდიან. ლიმონათები და ფოჩიანი კამფეტები მიაქვთ, არღანი და ლატარიის მრგვალი მაგიდა ზურგზე მოუგდიათ...

ჩვენი სკოლის ბიჭებიც დაგროვილან და ხტუნვით მირბიან... ჩვენ ფანჯრებთან ჩავვივლიან და გვიძახიან, მაგრამ დიასახლისი მათ უჯავრდება და გინებით ისტუმრებს...

ოთახში ცივა. გარეთ კი გაზაფხულის მცხუნვარე მზის სხივები თეთრ კედელს გახურებულ თონესავით აპრიალებს...

ტუსაღებივით დამწყვდეულები ფეხმორთხმით ვსხედვართ ტახტზე და თვლებით გადაშლილ წიგნს ჩაგჩერებვართ...

რატომ იყო ფოფოღია ასეთი მკაცრი და შემდეგი ჩემი ცხოვრება ყოველ მხიარულებას მოკლებული? სულ მცირე რამ მაშინ ჩემ გულს შევებას მისცემდა.. მეც მინდოდა ამხანაგებივით ლაღი, თავისუფალი და გაბედული ვყოფილიყავი. ერთხელ კიდევ დავსწრებოდი გორისჯვრობას...

მაღალი, შაქრის თავივით ზევით აზიდული გორისჯვარი, ბუჩქებით დაკულულებული და მტკვრის ტალღებით განბანილი,—იმ დღეს ბრწყინავდა, ბზინავდა...

მის ფერდობზე უამრავი მლოცველი,—ვაჟარი, ღვდელი თუ ერისკაცი ხალისით მიდიოდა. ზემოქართლის მდელის გადახედავდა, ლიახვის ხეობას თვალს გააყოლებდა...

გიჟი, აჩქარებული, დაუდგვარი ლიახვი თერგივით „რბის და ღრიალებს“. ყინულიან მთას, რომ მოსხლტება აქაფებულ რაშვივით დაეშვება დაბლა და გორისციხეს მიადგება. აქ თითქოს მოიქანცაო, ჯერ მსვლელობას თავს ანებებს, მაღლობს გვერდს უხვევს და ახლა დინჯათ მიავორებს თავის ტალღებს. უახლოვდება თავის დედას, მოდულუნე მტკვარს და მის წიაღში აღშობს მგზნებარე ვნებებს...

დიღბანს კი ებრძვის, ალესილი ხანჯლებით აწეული ტალღები ერთმანეთს ეკვეთებიან და . . . თავდება ლიახვი...

გორისჯვარი კი დღესასწაულობს. გაზაფხულის პირად მისი დღეობა იწყება. უკვე ამწვანებულა მკაუნა, აყვავებულია ტყემალი და ატმის ტოტი და-რინძულია ფირუნისფერით...

კოშკივით ცის თაღებში აზიდული გორისჯვარის ციხეგალავანი ამწვანებული ტოტებით და ყვავილებითაა მორთული.

ეკლესიის მცირე ეზოში მლოცველები ფუსფუსებენ. კარი ღიაა. პირჯვარის წერით და მუხლმოდრეკით კედელს ჰკოცნიან. ეკლესიაში შედიან, ხატებს ემთხვევიან და შუბლს ცივ იატაკზე არტყამენ.

ღვდელი საცეცხლურით ხელში და ოლარიო, მლოცველების წინ დგას და შეუცნობს სიტყვებს ბუტბუტებს. დიაკვანი დავითნს აკაქანებს. საცეცხლური ხრჩოლავს და მოსულებს ბურანში ხვევს.

გაასაღლელ კართან შეუწყვეტელი მიმოსვლაა.—გადიან და იმავე დროს შემოდიან, ერთმანეთს ეჯახებიან. შემოსულები ხატების წინ ეცემიან. პირჯვარს გადიწერენ, ხელებს მალა აღაპყრობენ.

კანკელის კუთხეში დიდი ჯგუფი მლოცველებისა ერთმანეთს ეცილება, ეჩხუბება და წინ მიიწევს. აქ მალალ მაგიდაზე კვერცხის მსგავსი მრავალი ყვითელი ქვა თუ შუშა დევს. ყველა მას ეტანება, ცდილობს მის აღებას. რაკილა ხელთ იგდებს დახუჭულ თვალის გარშემო სამგზის მოისვამს,—ჯერ მარჯვენაზე, მერე მარცხენაზე. თვალს რომ გაახელს უკეთესად ხედავს... მრგვალი ქვა თვალის ავადმყოფობის გამკურნავია...

ეზოში გორელ ვაჭრებს ჩარდახიანი დუქნები გაუმართავთ. მწვანე ტოტები, ბალახით და ყვავილებით მოურთავთ. ქუდებში მინდვრის ყვავილები ჩაურჭვიათ. ბიჭები მწვანე ტოტებს გავლით გოგოებს ლოყაზე მოუცაცუნებენ... ერთმანეთს ყვავილებს ესვრიან, იციხიან...

გაზაფხულის დღესასწაულია, თუ გორისჯვარის წმინდა გიორგის?..

„აბა აქეთ, აქეთ ცივი ღიმონადი...“—გაპკვიან ვაჭრები და ტოტებს აშორიალებენ...

ბიჭები ღიმონადს ხსნიან, აქაფებულ წყალს ქიქაში ასხამენ და გოგოებს ჰპატიუებენ...

კუთხეში რკალი შეუკრავთ და „დაირა-ბუზიკას“ აქყობინებენ... ციკვავენ, ბუქნაობენ, ხელგაშლილი ერთმანეთს სათამაშოდ იწვევენ...

უფრო მოშორებით არღანი ჭყვიის,—გორის ძმაბიჭებს ცხვარი დაუკლავთ, მწვადებს სწვავენ და ატენის ღვინოს სვამენ. გამელულთ ეპატიეებიან. ღვინოს აღევიწებენ...

ქეიფი და დროსტარება საღამომდე გრძელდება.

**ყ ე ნ ო ბ ა**

ერთხელ ყველიერში სამი დღით შინ წავედი. უკან მამაჩემმა ჩამომიყვანა. აღრიანი გაზაფხულის სხივებისგან გამთბარი მიწა იტკეპნებოდა, ბილიკები შრებოდა, ლეჩაქის ნაფლეთებად მიდამოს ორთქლი ეფინებოდა...

დიდ ქუჩაზე, რომ გავედით შუა გულში არეული ხალხი დაეინახეთ.

— დახე, დღეს ყენობაა!—თქვა მამაჩემმა.

— წავიდეთ ჩქარა, ვნახოთ!—შევძახე და გავიქეცი.

მამა უკან გამომყევა, თვალს არ მაშორებდა, რომ არეულ ხალხში არ დავ-  
კარგულიყავ.

გაშლილი ხალხი შუაგულ ქუჩაზე ნელი ნაბიჯით მიდის. ისმის ზურნის  
კუიპინი, ყვირილი, ძახილი...

ჩოხიანები, კაკარდიანები, ხალათიანები,—ერთმანეთში არეულა. პატარა  
ბიჭები წინ გარბიან, რაღაცას შესცქერიან.

გვერდიდან მოვუბრინე, რიგებს გავუსწარი და წინ გავიქეცი,—ორი აზი-  
დული აქლემი ნელი, გაზომილი ნაბიჯით, თითქოს მიწას ტეკვნიანო, ზღაზვნით  
და ქანაობით მიაბიჯებენ. გრძელი კისრები გველებივით აუყირავებიათ და  
ვერცხვივით პატარა თავებს აქეთიქით აქანებენ, თითქოს ვინმეს ეძებნო.  
გვერდში ქონდრის კაცებივით მიმავალ ხალხს კი ვერ ამჩნევენ...

აქლემის კუზიან ზურგზე კაბით გადაჩაჩხული, შეთხუზნული სახით, მკერდ-  
ჩავარდნილი ქალი თუ კაცი (ვერ გაარჩევ) მორცხვად თავჩალუნილი ილიმება,  
ალმაცვრად აქეთიქით იცქირება. თავზე თავშალი შემოუკრავს, შუბლზე წამოუ-  
წვეია და ნიკაბთან მარყუჟად შეუკრავს.

მეორე აქლემზე მჯდარი ყარაჩოღულად ჩაცმული ვაჟი თამამად იცქირება.  
აქლემის ქანაობასთან ერთად ისიც აქეთიქით ექანება, იზნიქება, იგრიხება,  
იმანქება, შავ ულვაშებს იგრესს.

ორივეს თავზე დამსხვრეული გვირგვინები აღვიათ. ვაჟს სპარსული ჩაღმა  
ხურავს, სპარსული ხმალი და ხანჯალი წელს უმშვენებს. ნეფედლოფალი-  
ვით ერთმანეთს არ სცილდებიან.

ნეფე მზიარულია, ხალხსაც ამზიარულებს. იგი ხშირად დედოფლისკენ გა-  
დაიწვეს, ხელს მოხვევს და კოცნის. დედოფალი ინაზება, მორცხვობს... ბიჭები  
იციანიან და აქლემების ფეხებთან მირბიან...

ყვირილი, სტვენა, ძახილი და ზურნის კუიპინი ქუჩას ამზიარულებს. გრძელ  
ჯოხიანი მეზურნეები გაბერილი ლოყებით და ბაყაყის ვაჭყლეტილი თვალებით  
ბრბოს უკან მისდევენ... დოლის ბრახუნი ქუჩებს ეფინება...

მცხოვრებნი სახლებიდან გარეთ გამორბიან... ფანჯრებიდან ბავშვები და  
ქალები იცქირებიან...

ორი ჩოხიანი გამვლელებისაგან და მცხოვრებლებიდან კრავის ქულში  
ფულს აგროვებს.

ზოგან ბრბო შეჩერდება. მაშინ ზურნა უფრო აქყიპინდება. ვინმე ახალ-  
გაზრდა წრეს მორკალავს. აქლემებს დააჩოქებენ, ნეფე-დედოფალს ჩამოსხავენ.  
პატარა ბიჭები გაცეცებულ თვალეებით დედოფალს უცქერიან,—უნდათ გაიგონ  
ქალია თუ კაცი. ჩამოსვლისას რომ ფეხს აიშვერს კაბის ქვევით შარვალს და  
წალბებს გამოაჩენს,—ყველა შეჰკვივლებს. მივარდებიან,—ჩქმეტენ, ძუძუებს უსინ-  
ჯავენ, ხტიან და იციანიან.

სათამაშო წრეში ნეფე-დედოფალს ხელის კვრით შეაგდებენ. ზურნა ლე-  
კურს ააჭყიპინებს და ორი წყვილი წალა,—ერთი კაბის ქვეშ და მეორე ჩოხას  
ქვეშ,—ათამაშდება, ხტუნავს და ქვინტებზე ღებება...

მერე ისევ აქლემებზე შესვამენ და არეული ხალხი შუა ქუჩით კვლავ დაიძვრის...

დღის განმავლობაში ქუჩებს მოივლიან, საღამოს კი ლიხების პირას გავლენ. ნეფე-დედოფალს ჩამოსვამენ, გვირგვინებს მოხდიან. მათ კი წყალში გადაყრიან, ამოწუმპავენ... ზედმეტ ტანსაცმელს გახდიან და ჩვეულებრივ ტანსაცმელით სუფრაზე დასვამენ... მოგროვილი ფულით ქეიფს შეყვებიან. შებინდებისას კრივს გამართავენ.

ყვინის გამასხარავეების სანახაობა გორელებმა დიდხანს შეინარჩუნეს,—გასულ საუკუნის დამლევამდე ამ ჩვეულებას მისდევდნენ... ყვინობას გორში ორ ალაგას აწყობდნენ,—ზედა უბანში და ქვედა უბანში. ეს ორი ყვინი დღის განმავლობაში ერთმანეთს არ უნდა შეხვედროდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ამტყდარიყო კრივი...

ჩვენ, პატარეებს, ძალიან გვინდოდა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ, რათა ხელჩართული კრივისათვის გვეცქირნა, მაგრამ ეს ნატვრა არც ერთ წელს არ აგვისრულდა.

სამაგიეროდ ვიცოდით, რომ მთელი კვირის განმავლობაში ატეხილი კრივი ამ დღეს უკანასკნელი გადამწყვეტი შეტაკებით დამთავრდებოდა.

ჩვენც გულის ძვრით მოველოდით საღამოს.  
საღამოზე გამარჯვებულს პირველობა რჩებოდა.

### კ რ ი ვ ი

ციხის დასავლეთი კედელი გახურებულ თონესავით გიზგიზებს. სხივები თანდათან ზევით აიწევენ, მალე კედელი დაიჩრდილება და გორისჯვარზე აბზინდებიან...

მიწუნარებულ ქუჩებს მწუხრი ეფინება. ეკლესიებისა და შენობების კედლები მიტოვებულ ნანგრევებს ჰგვანან...

საკრებულოსა და ოქონას შორის ჩუსტებიანი პატარა ბიჭები დარბიან, დაკეტულ დარაბების წინ შეჩერდებიან, თავს იყრიან, თითქო ვილაცას უცდიან, მოუსვენრობენ.

დახურულ ბაზარში დარაბები სისწრაფით იკეტებიან, ნოქრები საკრებულოს კიბეზე ჩამოცვივდებიან, ქუჩაზე რომ გამოვლენ ქვედა უბნისკენ წავლენ... შექუჩდებიან...

მიმოსვლა ხშირდება, ხალხი ემატება. კაკარდიანები, ხალათიანები და ფიჯაკიანები ფილაქანის პირად ეწყობიან.

სახლების ერდოებზე, კიბეებზე და აივანზე თავდახურული ქალები და ბავშვები გადმოსხდებიან.

ჩოჩქოლი მატულობს. პატარა ბიჭები შუა ქუჩაზე გადადიან. ხალხიც თან მიჰყვება. ორი ბანაკი ერთმანეთს დაუპირდაპირდება,—ზედა და ქვედა უბანი დღეს უკანასკნელად შეებრძოლებიან ერთმანეთს, რომელიც გაიმარჯვებს ამ წლის პირველობა მისია.

ორი ბანაკის შუა დარჩენილი ალაგი თანდათან მცირდება, ერთმანეთს უახლოვდებიან. მოზრდილებს პატარა ბიჭები თან მიჰყავთ, რალაცას არიგებენ, აქეზებენ და ყოჩებივით ერთმანეთს აახლოვებენ...



ზედაუბნიდან ერთი უქაპრო ხალათიანი ბიჭი ხელების ქნევით წამოვიდა, ქვევიდან მისი ტოლი დაუხვდა, ერთმანეთს სილები გააწნეს, მუშტებიც მიაყოლეს. ახლა ოჩაიე მხრიდან გადმოცვივდნენ. ჯკუღური კრივი გახურდა... წრე მოირკალა...

„მიდი, მიდი!.. ზედ მიდი!.. ეგრე!.. დასცხე!..“

უყვირიან ზევიდანაც, ქვევიდანაც.

პატარეებს ამხნევენ, აქეზებენ, აწვებიან. მალე წრიდან პატარა ბიჭები გამოძვრებიან, მათ მოზრდილები შეცვლიან. ახლა კი დაგა-დუგი შორს ისმის... მუშტის ტრიალი, თვალში ნაკერწყალი, ცხვირში სისხლი, კბილთა ხრჭენა, აწითლებული ლოყები, ჩალურჯებული უბეები, გინება და ყვირილი...

მათ გარშემო,—შემჭიდროებული მხრები და მუხლები. წინ წაწეული თავები და შეძახილი,—ეგრე!.. მიდი! ზედ მიდი!..

უცბად წრე გაირღვევა. ზედაუბნელებს ახალი ძალა მიემატა, ქვედა უბნელები დაიხვეწნენ, გაიქცვიან. მალე აქედანაც ახალი მასველები მკლავ-დაკარწახებული გაცვივდებიან, წრე კვლავ შეიკვრის... დაგა-დუგი შორს ისმის...

მაყურებელთა ათასი გული გამალებული სცემს, სახე იღვიძება, ხან გაიშლება... მხრებით ერთმანეთს აწვებიან, კვინტებზე დგვიანა,—

„ოხ, შენი ჰირიმი!.. მიდი! დასცხე!..“—გაიძახიან.

ახლა ქვედაუბნელებმა გაიტანეს.

ასტეხენ ყიჟინას,—

„აი ეგრე, აი!.. მიდი! ზედ მიდი!..“

ზედაუბნელების მხრიდან ჰაბუკების ახალი ნაკადი შეიჭრა. წრე შემჭიდროვდა, შედგა... დალილები, დასისხლიანებულები წრეში ველარ სძლებენ, შემჭიდროებულ მუხლებს გაარღვევენ და წრიდან გავლენ. ეზოგბში შეცვივდებიან, წყალს მოითხოვენ და სისხლიან ცხვირპირს დაიბანენ. ჰამარს ისწორებენ, ქულს ეძებენ. მერე მაყურებელთა შორის ჩადგებიან...

ზედაუბნელების მძლავრმა ნაკადმა კვლავ წრე გააარღვია. ქვედა უბანი გაიფანტა, ხალხი ერთმანეთში აირია.

აწეული მუშტებით, დაკარწახებული მკლავებით, ყვირილით და გინებით ზედაუბნელები მიობიან... ხალხიც უკან მიყვება. ოქონამდის ჩაცვივდებიან და უცერად ნახევრად დაკეტილ დუქნის დარაზიდან მკლავ დაკარწახებული, აკალთებული ცნობილი მოკრივეები,—ხოლერა, ორი ძმა-გოკომბიჭი, გლატკა და ლოხოზა,—მათ წინ აიმართებიან... გაიმართება ხელჩართული კრივი,—მუშტების ტრიალი, დაგა-დუგი, შეძახილი, ყიჟინა და სილების ლაწალუწი...

ზედაუბნელები მიობიან, ხალხიც თან მისდევს, პატარა ბიჭები მიხტებიან.

„ეგრე, აი! მიდი, ზედ მიდი!..“

ახლა კი გამარჯვება ქვედა უბნელებს დარჩებოდათ, რომ ძველი გამოცდილი მოკრივე, ცნობილი ხოდელი,—კამეჩივით მძლავრი, მხარბეჭიანი და ძარღვიანი,—მათ წინ შედგა. შედგა და სირობილი შეაჩერა. გვერდში მას ეგნატაშვილი და ატოცილი ამოუდგა...

კაი მოკრივე, ბოლოს გადმოვოაო,—ნათქვამია...

კრივი ერთ ადგილს შედგა, შედგა...

ბოძებევით მიწაზე დაბჯენილი მუხლები, კვახის ოდენა მუშტი...

ვერავინ უძლებს... და, ნელი ნაბიჯით, მსხვილი და მხარბეჭიანი ხოდელი მიდის... წინ არავინ უხვდება და ოქონამდის რომ ჩარეკავს,—შედგება... ქვევიდან არავინ გამოდის და გამარჯვება ზედაუბნელებს რჩებათ...


უკვე დაბინდდა... მაყურებლები ნელნელა ვიწრო ქუჩაში ძვრებიან, სიბნელეში იშლებიან. ერდოებიდან და კიბეებიდან ჩამოდიან გვირაბივით ჩაშაყებული ქუჩა მიყურდება, უდაბნოვდება...

მეორე დღეს სკოლაში მოკრივეების ამბავს ჩვენ ვაგრძელებდით... ქვედა და ზედა უბნელების ნაცვლად, ჩვენ კლასებად ვიყოფოდით,—ერთი კლასი მეორეს ეკრივებოდა.

როგორც დიდ კრივში,—ჯერ პატარეები გამოვიდოდნენ, მათ დიდები მიეშველებოდნენ. მეოთხე კლასელები რომ გამოცვივდებოდნენ, წინ აღარავინ ხვდებოდა. გამარჯვებაც მათ რჩებოდა...

ჩვენც გვეყავდა ჩვენი გმირი მოკრივეები,—ხოდელის ადგილს, მსხვილთავა ძაგნიძე, ხოლერას მაგიერ—ალელი მაქარაშვილი, გოჭიბიჭობას—მოხისელი გოლა იჭერდა...

ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ გორის ცხოვრებას ვეთხოვებოდით: თბილისის სემინარიაში გადავდიოდით... დავიწყებას ეძლეოდა გორელი გმირები,—ხოდელი, ხოლერა, გოჭიბიჭები... უფროსი კლასის მოწაფეები თავის წრეში გვიზიდავდნენ და ორი მიმართულება (ორი უბნის მაგიერ)—ძველი ხალხოსნური და ახალი მარქსისტული,—ერთმანეთს ებრძოდნენ... ჩვენც ამ კამათში ვიწრთობოდით და მომავალი, სხვა ბრძოლებისთვის ვემზადებოდით.



ვასილ ბარანოვი (1856—1934)

ნახ. ქეთევან შალალაშვილისა

## მასილ ბარნოვი (ბარნაველი)

ბიოგრაფია

(გარდაცვალებიდან 5 წლისთვის გამო)

ვასილ ზაქარიას ძე ბარნოვი დაიბადა 1856 წელს სოფ. კოდაში (ყოფ. ტფილისის ნაწრა). ოჯახში დარჩენილი გადმოცემით, ვ. ბარნოვის წინაპრები გადმოსახლებულან მესხეთის ს. ბარნაგიდან (აქედან წარმოსდგა გვარი ბარნაველი, რომელიც მაშინდელი რუსიფიკაციის წყალობით ბარნოვად გადაკეთდა).

პირველი წლები თავის ბავშვობისა ვასილ ბარნოვმა გაატარა თავისი პაპის, იაკობ ლედლის, დიდ პატრიარქალურ ოჯახში. შემდეგ მისი მამა ზაქარია გაამწესეს ლვლად ერწოში, ტოლათ-სოფელში, რომელიც ხვესურებით არის დასახლებული. საუკეთესო მოგონებები დარჩა ვ. ბარნოვს ბავშვობის ამ ხანიდან.

როდესაც ვ. ბარნოვი წამოიზარდა, ის მიაბარეს ტფილისის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში გამეფებული იყო მკაცრი რეჟიმი, უწყალო მოპყრობა მოწაფისადმი. განსაკუთრებით მძიმე იყო ეს რეჟიმი ქართულ ბავშვებისათვის, რომლებმაც ანტირეზისტენტური რუსულს ისე, რომ სიტყვებს ქართულად არ უხსნიდნენ.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვ. ბარნოვი შევიდა სასულიერო სემინარიაში. აქ უკვე შედარებით უკეთესი მოპყრობა იყო მოზრდილ მოსწავლევადმი, მაგრამ ქანდარმული რეჟიმი სულს უხუთავდა მათ.

ამ რეჟიმის მიუხედავად სემინარიის, კედლებში შემოანათა რევოლუციონერების თხულებებმა. მოწაფენი აღფრთოვანებით კითხულობდნენ მათ და ინახავდნენ ერთი დიდი ქვის ქვეშ სემინარიის ეზოში. აქვე ინახებოდა ქართული წიგნები და ეურნალებიც.

ქართულ ლიტერატურაში შექრილი ახალი პანგები აღფრთოვანებდნენ მოწაფეებს. ისინი უკუხედავდნენ ახლებოდნენ ზოლმე ქუჩაში მიმავალ აკაკის, ილიას.

თვით სემინარიაში კი გრძელდებოდა „სასტიკი დევნა ყოველივე ქართულისა, სემინარიის ეზოში დასწევს სემინარიის ძველი ქართული ბიბლიოთეკა.

თვით ვ. ბარნოვისთვის ამ დროს ყოფა შემსუბუქებული იყო მით, რომ, როგორც კარგი მოსწავლე, იგი მიღებული იყო პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე.

სემინარიის დამთავრების შემდეგ ვ. ბარნოვმა ერთი წელი დატოვა ზედამხედველად თბილისის სემინარიაშივე და შემდეგ წელს (1878 წ.) შევიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში საისტორიო ფაკულტეტზე. შესასვლელ გამოცდების საუკეთესოდ ჩაბარების გამო ვ. ბარნოვი მოაყვდა სახელმწიფო ხარჯზე აკადემიის პანსიონში.

ამ დროს მოსკოვის აკადემიაში საქმაოდ ლიბერალური სული შეფობდა. აქ მოწაობდნენ გამოჩენილი პროფესორები: კლუბესკი, კუდროივეცი.

აკადემია ვას. ბარნოვმა დაამთავრა 1882 წელს. სამაგისტრო თხულებად ჩააბარა „პასკალი იესუიტების წინააღმდეგ“.

თუმცა რუსეთშივე შესთავაზეს სამსახური, ვ. ბარნოვმა მაინც არჩია საქართველოში დაბრუნებულიყო. აქ ერთი წლის განმავლობაში მსახურობდა მასწავლებლად სენაკ-სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ.

ტფილისში ვ. ბარნოვი თავისი სურვილით მუშაობდა ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის კაბინეტში და გახუთ „ივერია“-ს რედაქციაში. „ივერიის“ რედაქტორად ამ დროს იყო ილია ჭავჭავაძე.

1885 წელს სემინარიის მოწაფემ ლალიაშვილმა მოჰკლა რექტორი ჩუღუცი.

ამის მოჰყვა ქართველი ერის დაწვევლა საქართველოს გზარბოსისაგან, დიმიტრი ყიფიანის მიერ ამ საქციელის დაგმობა და ამის გამო ყიფიანის მოკლა.

ქართველი მასწავლებლები აღარ შეარჩინეს სემინარიაში. გ. ბარნოვიც გადაიყვანეს ქ. თელავში. აქ ოცდახუთი წლის განმავლობაში, ის იყო მასწავლებლად სასულიერო სასწავლებელში და აგრეთვე წმ. ნინოს საქალბო სასწავლებელში.

მთელი ამ დროს განმავლობაში გ. ბარნოვიც მუდამ მოისწრაფოდა ტფილისში, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა და სადაც შეკრებილი იყო მოწინავე ინტელიგენცია. ყოველწლიური ოხონებები გ. ბარნოვისა ტფილისში გადმოყვანის შესახებ უშედეგოდ რჩებოდა.

მხოლოდ 1911 წელს გ. ბ. დანიშნეს ტფილისში სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. რევოლუციის შემდეგ გ. ბ. მასწავლებლობდა ქალთა მე-7 გიმნაზიაში. ამავე დროდანი კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურიდან მუშათა აუდიტორიებში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე და წითელარმიელთა კლუბში.

გ. ბარნოვიც განსაკუთრებული მაღალი სინდისიერებით ეკიდებოდა თავის პედაგოგიურ მუშაობას. მუდმივი მზრუნველობა მოწაფეებზე, მისწრაფება მათთვის საუკეთესო მასალის მიწოდებაზე ახასიათებდა მას, როგორც მასწავლებელს. შესანიშნავი იყო მის მიერ მოწაფის ფსიქოლოგიის ცოდნა და აღღო, რითაც იგი შეამჩნევდა მოწაფის ნიჭს და წააზლისებდა მის განვითარებას.

გ. ბარნოვის ნაწარმოებები იბეჭდებოდა 1878 წლიდან თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნებად: „ამქრის მშენებება“, „ტფილისის ანრდილები“, „ვერდუანჯები“, „არმაზის მსხერვეა“, „ფერად-ფერადი“ და სხვა.

მის მიერ შექმნილი ისტორიული რომანების მთელი ციკლი (ხოციერთი ჯერ დათბეჭდავია), რომელშიც ასახულია საქართველოს ცხოვრების მთავარი მომენტები ქართების შემოსვლიდან— მე-18 საუკუნის მიწურულამდე. მთელ რიგ მოთხრობებში აიხატა ძველი ტფილისი; არის რკალი მოთხრობებიც წერილი ხელოვნების და მუშების ცხოვრებიდან, სოფლის ცხოვრებიდან და სხვა. გ. ბარნოვის დარჩა აგრეთვე დამუშავებული ლექციები ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან (3 ტომად).

1930 წელს ვასილ ბარნოვს დამბლა დაეცა, მაგრამ რა წამს ცოტა მოკეთდა, განაგრძო ისევ თავისი შემოქმედებითი მუშაობა, აკანკალებული ხელით დაწერილი აქვს პირველი შავები თავის მოთხრობებისა: „ქალი კახელი“, „ბურუსი“, „ისკანდარი“. არ თანმდებოდა ეკარანა ეს მოთხრობები, რადგან ეფიკრებოდა, დასტყობიყო ნაწარმოებს.

მხოლოდ მოგონებანი „სამწუხრო ღიმი“ და აგრეთვე „საარაკო განძი“ დაწერილია მთლად კარანხით.

ოთხი წელიწადი გ. ბარნოვიც ავადმყოფობის გამო ვერ გამოდიოდა სახლიდან. ამ დროს გადიკთხა და შეასწორა ბევრი თავისი ნაწარმოები, დაწერა ახლები, გამუდმებით კითხულობდა წიგნებსა და გახუთებს.

1934 წლ. 4 ნოემბერს ვას. ბარნოვი გარდაიცვალა. უკანასკნელ წუთამდე შერჩა მაღალი, ნათელი გონება და კეთილშობილური სათნო სული.

**„სამწუხრო ღიმი“ შემახება:**

მოგონებები „სამწუხრო ღიმი“ იწერებოდა ვას. ბარნოვის მიერ 1933 წლის ზაფხულიდან 1934 წლის ოქტომბრამდე, დროგამომშვებით.

1933 წლის ზაფხულს განსაკუთრებით სუსტად იყო ვასილ ბარნოვი. მისი რომანის „ისკანდარი“-ის საბოლოოდ გასწორება დინთავრებული იყო. ახალი მოთხრობის დაწყებისთვის ძალ-ღონე არა ჰქონდა და ვერც წიგნის წაკითხვა შეეძლო დიდხანს. მუდმივი შემოქმედებითი მუშაობას შეჩვეულს უმოქმედობა სულს უზოთავდა და უფრო ძალიან ასუსტებდა.

სთხოვეს მოგონებების დაწერა. ზოგიერთი ეპიზოდი ოჯახში, თავის მეგობრებისთვის უამბინია.

მსმენელებს მოსწონდათ ესა თუ ის ამბავი და ხშირად სთხოვდნენ, გვიამბო. თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით მოუყვებოდა ხოლმე.

ჯერ უარზე იყო, მოგონებების დაწერა არ უნდოდა. მერე დათანხმდა. პირველ საღამოს დაიწერა რვეულის ერთი ფურცელი, მერე ამ მუშაობამ ვასილ ბარნოვი გამოაბრუნა, ხალისი მოემატა, სიყვარულით წერდა. ზოგჯერ ერთ ჯერზე მთელი პატარა მოგონება დაიწერებოდა, შემდეგში ვასილ ბარნოვმა უკვე შესძლო, მოგონებების წერის შიგა და შიგ მთხრობების დაწერაც, აგრეთვე დიდი მუშაობის ჩატარებაც წინად დაბეჭდილ ნაწარმოებთა გადახედვებზე და სტილისტურად შესწორებაზე. „სამწუხრო ღიმი“-ს წერდა საღამოობით, უკარნახებდა.

ზოგჯერ, თუ ვერ მოხერხდებოდა მუშაობა, იტყვოდა:

— დღეს საღამო დაგვეკარგა.

ეს არ ებებოდა, რა თქმა უნდა, იმ დღეებს, როდესაც მის სანახავად მოდიოდნენ. ყოველთვის ძალიან უხაროდა თავის სტუმრები. ისინი აკავშირებდნენ მას გარემო სამყაროსთან, რომელსაც ავადმყოფობის გამო რამდენიმე წელიწადი მოუწყვეტილი იყო.

„სამწუხრო ღიმი“ შემდეგში დაარქვა თავის მოგონებებს. განსაკუთრებული გეგმა არ ჰქონია. საღამოობით, მუშაობის დაწყებისას, იტყვოდა, რის დაწერაც ჰსურდა.

მაინც რამდენიმე თემა წინადადეგ ჰქონდა აღნიშნული რვეულის სახეებზე, რომ არ დატვირთებოდა.

შევ რვეულზე დარჩენილია სათაურები დაუწერავად დარჩენილ მოგონებებისა: „ჩემი ქადაგებანი“, „კოდის გადასახედავი“, „ჩანგლები ბურსაში“, „მარმარილოს მაჯა“, „შევსლაპამ!“

სხვა ბევრი მოგონება იყო კიდევ, რომლის დაწერა არ მოისურვა, ზოგი ემნელებოდა, მათთან დაკავშირებულ მძიმე განცდის გამო; ზოგიერთი, მაგალითად, სწავლაში რომელიმე საინტერესო გამარჯვებაზე (ფილოსოფიაში)— ქებასავით გამოეცა.

დაწერის იმავე ან მეორე დღეს ჩამწერს წააკითხებდა ხმა-მაღლა რამდენჯერმე, გასწორებდა.

დრო რომ გაივლიდა, კიდევ გადაიკითხავდა და კიდევ შესწორებდა, თუ რამე იყო შესასწორებელი.

„სამწუხრო ღიმი“ შესდგება პატარ-პატარა მოგონებებიდან: იმ ადგილებზე, სადაც უცხოვრია ბავშობაში ვასილ ბარნოვს; მისი პაპის და დედა-მამის ოჯახზე და იქ გაცოწილ სხვა-დასხვა სასოჟლო და საოჯახო ამბებზე; სასწავლებლებზე, სადაც უსწავლია; ძველი ტფილისის ამბებზე, ცოტა მოგონებები სწავლის დამთავრების შემდეგი დროისა.

სარა ბარნაველი

## ს ა მ წ უ ხ რ ო ლ ი მ ი

### ა კ ა დ ე მ ი ა შ ი

სკოლაშივე გადავწყვიტე მასწავლებლად გამწესებულყავ. ამითი უნდა მეცხოვრა. ეს უფრო მეტ თავისუფალ დროს მომცემდა ჩემი საკუთარი რამე სა-  
მუშაოსათვის. ეს კი საჭირო იყო, რადგან ბევრი რამ მიტაცებდა, მეტადრე ხე-  
ლოვნება. ერთ-ერთი უნდა შემესრულებინა. მაშ უნდა წავსულიყავ უსათუოდ  
აკადემიაში, რადგან საშუალო სასწავლებელი ცოტა სასყიდელს აძლევდა მას-  
წავლებელს. უპაღლესი სწავლა ერთი-ორად აფასებდა შრომას.

დადგა წუთი და დავადექი მოსკოვის გზას, იქ გამგზავნეს. მაშინ ძნელი  
იყო აკადემიაში შესვლა. რამდენიმე საგანში გამოცდა უნდა დაეჭირა თუნდ  
რჩეულს, თუნდ თავის ნებით მისულს. მეტადრე მოსკოვის აკადემიაში იყო  
ძნელი. იქ ესეთი წესი ჰქონდათ:

მიღებულთა სიას ნიშნების ჯამით ამწყვირებდნენ. ვისაც ნიშანი მეტი  
ჰქონდა, ის პირველობდა. სულ წელიწადში ორმოცდაათ კაცამდე იღებდნენ.  
აქედან ოცდაექვსი საექლესიო ხარჯზე იყო, დანარჩენი თავის ხარჯზე. მე უსა-  
თუოდ საექლესიო ხარჯზე უნდა მოვყოლიყავი, რადგან ჩემი ხარჯი სრულებით  
არა მქონდა.

ერთი წესიც: თხზულების ნიშნებს ოთხ-ოთხჯერ ამრავლებდნენ, პასუხე-  
ბის ნიშნებს არ აღიდებდნენ, ესე აღგენდნენ ჯამს. პასუხში თუნდ ორიანი გჭო-  
ნიყო, არა უშავდა რა, თუ კალამი გიჭრიდა.

საკვირველი გამოდიოდა: მოწაფეს შეიძლებოდა პასუხებში სუსტები მიელო  
და სიაში თავს მოჰქცევყო. მე რომ გამოცდებს ვიჭერდი, პირველ მოწაფედ  
მოჰყვა ვოლოგდიდან სემინარისტი ობრაჰცოვი, თუმცა პასუხებში ძლიერა ვერ  
იყო, ყოფაქცევაშია 4 ეჯდა, მაგრამ წერაში სულ ხუთები მიიღო. სამი ხუთიანი  
60-ს გააკეთებდა ოთხზე გამრავლებული. როგორ მისწვდებოდა პასუხის გაყი-  
ნული ნიშანი!

პირველად სამღვთო წერილი დავაწერინეს. მე ეს საგანი კარგად ვიცოდი,  
წერაშიაც მიმარჯვდებოდა სემინარიაში. დიდი ყურადღება აღარ მივაქციე, სი-  
ფრთხილეს ავცდი. მაინც ძალიან კარგი მეგონა.

მეორე—ფსიქოლოგია იყო. ცნობიერების არის სივიწროვეს შეეხებოდა (პერ-  
ბარტის თეორია). გავიყინე. ცხრა საათიდან 11 საათამდინ კალამმა ერთი ასო  
ვერ დასვა. თეორიას ვიცნობდი, გაკვეთილშიც გვქონდა, მაგრამ როგორაც  
შეკრთა კალამი და ფეხი ველარ გადადგა.

დავიღუბე! ვიმეორებდი ფიქრში. თეთრივე ქალაღი უნდა მიმეცა ყუ-  
რისმგდებელისათვის, ე. ი. ზერო.

საკვირველი ის იყო: ამ საგანში რომ დავმუხლისთავდი, ფიქრი პირველ თხზულებასთან გადავიდა. შეეხებდე: საკმაოდ ცარიელი იყო. კალამს ის ეწერა, რაც წვერზე მოსდგომიყო. სიტყვებიც კი კარგად არ დავითავებდინა.—ეს ორი-ანს მომცემს, დავასკვნენი, ე. ი. მთლად გაქარწყლდებოდა წერის ნიშნები, მე კი სწორედ ამათი მქონდა იმედი. ჭირის ოფელი რომ დამასხა, წარმომიდგა კლასი სემინარიაში. გაკვეთილი მასწავლებელ ივანე ცვეტკოვისა. სწორედ ამ გაკვეთილს ხსნიდა, მისი ნალაპარაკევი მკაფიოდ მესმოდა. დაათვა გაკვეთილი და მეც დავსვი წერტილი. საუკეთესო გამოვიდა. პირველმა—სამი აილო, მესამემ—ოთხი. მე-11-ე ვიყავ სიაში. მერგო სახელმწიფო ხარჯი. სულ მიიღეს 52 კაცი.

\*

მეორე დღეს უფროს სტუდენტთა კომისიამ ჩამოგვიარა სახელმწიფო ხარჯზე მყოფთ. მისი ვალი იყო ფული შეეგროვებინა თავის ხარჯზე დარჩენილ სტუდენტთათვის, და საზოგადოდ სტუდენტთათვის საღამოს გასამართავად. ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენს მისცემდა. ჩემთან რომ მოვიდა, ამოვიღე და ქისა მივეცი. შემომხედეს:—ფული რალად მიინდა მეთქი? სახელმწიფო ხარჯზე ვარ!

დამცინეს:—გამოუცდელი ყოფილხარო.—ამოიღეს ფული, დათვალეს. ნაწილი ღარიბთათვის გადადეს, ნაწილი საღამოსათვის.—აჰა, ესეც შენ, დაგჭირდებო!

თავის ხარჯზე ზოგი მდიდარიც მოჰყოლიყო, იმათ თავის ნებთი მინც გამოიღეს ფული ამ საქმისათვის. ძალიან მხიარულია ჩავატარეთ საღამო: არაყი, ლუდი თავსახშელად გვქონდა. ტკბილი სასმელებიც მოგვეპოვებოდა. მაშინ გავიგე, რომ სვილის პურს მდოვვი და არაყი უხდებოდა.

\*

ვეწიე სურვილს, და მერე როგორ მთლიანად! თითქო სიზმარი სავესებით ამისრულდა. მშვენიერი სასახლე ორ ბაღს შუა. ფართო-ფართო ოთახები თუ დარბაზები. თბილი ჰაერი, სუფთა. შეფერებული ტანისამოსი. რჩეული საზრდოობა უხვად. ცხოვრების ყოველღიურ ყოფის მხრივ მეტს ვეღარას ვინა-ტრიდით სტუდენტები. ლექციებზედ თავისუფალი სიარული, თუ მინდა წავიდოდი, თუ მინდა არა. ერთი იყო: როცა ლექციას კითხულობდა რომელიმე გამოჩენილი პროფესორი, მთელი სტუდენტობა იმ აუდიტორიაში შეგროვდებოდა. უფროსები ჯავრობდნენ, რადგან სხვა პროფესორებს აღარა ჰყვანდათ მსმენელები. ერთი კარგი შემოელოთ აღრიდგანვე: სადილ წინ არაყს ვსვამდით, ვინ თითო კვანჩხას, ვინ კარგ სამ ყანწსაც, ფული კი ყველას არა ქონდა: აი ამისთანგბს ერთ ათიოდე კაცს ვიქირავებდით არაყზე. ერთი ბოთლიმც დავგვარჯოდა. ეს დაქირავებულები დადიოდნენ იმ აუდიტორიაში, საცა მსმენელები არ იყვნენ. ინსპექცია კმაყოფილი იყო. ერთი კი მკაცრად: აუდიტორიაში წასვლას არ შეიძლებოდა ასცდნოდი. შეიძლებოდა ასცდნოდი, მაგრამ მაშინ თუ რვეული, ან წიგნი გქონდა გადაშლილი და მუშაობდი. მოვიდოდა მეწესე, დაგიხედავდა, კიდევ რასმე გასწავლიდა ეს მომავალი პროფესორი და გაგცდებოდა. მაგრამ რა უნდა გითხრა, რომელი მხარე ვაქო ამ საქმებურად მოწყობილ სასწავლებლისა. გავისხენებ სწორედ იდეალურ ბიბლიოთეკას. ორი დიდი სახლი გამოქედილი



იყო რჩეულ წიგნებით. ყველა სპეციალობის თითქმის ყველა წიგნები მოიპოვე-  
 ბოდა, და, თუ რომელიმე წიგნს ვერ იშოვიდი იქ, სტუდენტს უფლება ჰქონდა  
 გამოეწერინებინა ეს წიგნი. უარს არ გეტყოდნენ. ოთხი წელიწადი ამ ბიბლიო-  
 თეკებმაც დამაბეს აკადემიაში გამოუსვლელად, თუმცა ჯიბეც მოისუსტებდა.  
 მთელი თავისუფალი დრო წიგნებთა თქმას უნდებოდა. არც კი გვყოფნიდა.  
 მაშინ გავაგე: კარგი ავტორები რომ სწერენ, ჩვენ იმათ ნაღვაწებზე ვქეიფობთ,  
 ვლოთობთ, ვცეკვავთ, ვდღესასწაულობთ.

\*

ნიადაგი საქმაოდ მშრალი იყო სერგიევის პოსადში, ჰავა ხომ სწორედ ჩემ-  
 ზედ შეზავებული. ოთხი წელიწადი ისე გვატარე, არც ერთხელ არა ვყოფილ-  
 ვარ ავად. თუ სურდოთი შევიქნებოდი შეუძლოდ, ჩაის დავლევი, ერთ ყანწს  
 არაყს დავაყოლებდი და ისე ვვარაობდი ლოგინზე, ხან ერთი, ხან ორი დღე,  
 თუ გაძნელდებოდა—სამი დღე. ლაზარეთი კი ძვირფასად გვქონდა მოწყობილი:  
 რა საკუთარი დოქტორი, მოწყობილი აფთიაქი, ფერწლები. სტუდენტი იქ  
 ბატონკაცურად ავადმყოფობდა. მაინც მთელ ოთხ წელიწადში ორმოცდათორ-  
 მეტ კაცისაგან ერთი დაგვაკლდა, ისიც პირველსავე წელიწადს: ქლეტი მოჰყო-  
 ლიყო, იქვე დავასაფლავეთ, აკადემიის ბაღში. ერთი ქართველი სტუდენტიც  
 ემარხა იქ. ზედ წაეწერათ:—ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ...

დიდის ამბით დასაფლავეს, სტუდენტებმა გამოიჩინეს თავისი მქერმეტ-  
 ყველება, ერთი ახალგაზრდა პროფესორიც მოვიდა ეშხში, თქვა სიტყვა და რა  
 სიტყვა! საბურველივით გადაებურა თქმები მიცვალებულს:

აფსუს, რომ აღარ ესმოდა!

ესე ერთი თვის შემდეგ მომკვდარის დედ-მამამ მოაღწიეს აკადემიას. ფე-  
 ხით მოვიდნენ შვილის საფლავის თაყვანის საცემად. იტირეს, ივაგლახეს, ჩვენც  
 ავგატირეს. გლაზაკებით ეცვათ. ეს ნამდვილი გამოტირება იყო. კეთილი კაცი  
 იყო ის სტუდენტი. მისი სურათები დავირიგეთ. ერთი მეც შემჩინა ყუთში.

\*

კარგი იყო აკადემიის ცხოვრება მოსწავლისათვის, ყოველმხრივ ხელსაყრე-  
 ლი, მაგრამ ხანდისხან იქაც იპოვნიდა კაცს მოწყენილობა.

როცა ამ გუნებაზედ ვიყავით, მე და ვასილი ობრაზცოვი წავიდოდით  
 „ობჰორნი რიად“-ში. აქ იყო მოხარშული თუ მომწვარი ყოველი უვარგისი ნა-  
 შთი უსაბზანისა: ლეილი, ფილტივი, ელენთა, ნამზნევი თუ მიძველებული. გრო-  
 შად იყიდებოდა. დაეწივადით ერთ ორ ბოსიაკს ქალს თუ ვაჟს, უყიდდით ამ  
 იაფ სანოვავეს, პურს, თამბაქოს და, რაც უმთავრესი იყო, არაყს. ერთი ორი  
 კონჩა არაყი გულს გაღუხსნიდა ამ ცხოვრების ნალექებს, და ისინი გვიამბობ-  
 დნენ თავის გადასულ ცხოვრებას. შიგა-და-შიგ განათლებულები იყვნენ, ან სუფთა  
 ოჯახის წევრები. სასმულს ხელი დაერივნა მათთვის და დაემხო ყოველი კეთი-  
 ლი მისწრაფება.

ყველაზე ძვირფასი ქვეყნიერებაზე მათთვის მაგარი სასმელი იყო. ყველა-  
 ფერს გაჰყიდდნენ მისთვის, კიდევ გაეყიდნათ. ფეხშიშველა, თავშიშველა, ნაფ-

ლეთებით ტანისამოსის მავიჯრად. სიციფე-ყიამათშიაც ასევე იყვნენ შემოსილნი. შერჩენოდან ნასწავლის ნატებები. იტყოდნენ ფილოსოფიიდან, ლეთისმეტყველებიდან, მათემატიკიდან. ზოგს ოჯახი ისევ ჰქონდა, ნათესავი ჰყვანდა, მაგრამ ვერ დაუახლოვდებოდნენ მათ. მათი ხელი მეტად შესჩვეოდა პარავას. წამოიღებდნენ, რასაც მოჰხელავდნენ, სულ უბრალო ფასში გადაადგებდნენ, რომ დაელიათ მადლიანად. როცა გავათავებდით ამ სტუმარეულობას, ისინი ზრდილობიანად წამოდგებოდნენ, მადლობას მოიხილდნენ, ხელს ჩამოგვართმევდნენ და გავგზორდებოდნენ.

ერთხელ პროფესორიც შევხვებოდა, არყისაგან განადგურებული, დისერტაცია დაწერილი ჰქონიყო. ერთნატილი უვლიდა, ხელი უკანკალებდა, კიდევ რაღაცას მოელოდა.—გამოვსწორდები, ლენოს ავკვეთავ, და მაშინ ნახავთ, რებესა და რა კარგებს დაქვწერ,—გვეტყოდა იმედინად, იმედ-ამოშრტილი.

ზოლას თხზულებები იმ „ობჟორნი რიადებში“ მაქვს წაკითხული. ობრაზ-ცოვის ძალიან უყვარდა იქ რომანების კითხვა. რა მშვენიერი კითხვა იცოდა!

\*

თუ მოწყენილობა დასჭარბებდა, მაშინ ხადკოვის მონასტერში წავიდოდი. ეს დედათა საფანე ნახევარ სადგურზე იყო „პოსიდიდან“. მონასტრის უფროსი ბოლგარელი ქალი იყო. ტფილისიდან მივართვი წერილი. გამეცნო. როცა მივიდოდი, ოთახი მზად იყო. არაფერს არ ართმევდნენ, მარტო ვინც რასმე შესწირავდა, იმას იღებდნენ. ჩემგან არც შესაწირავს ელოდნენ: ყვავს რა ჰქონდა? ბუს გაჰქონდა. მდიდარი მონასტერი იყო. კარგად გვესაზრდობდნენ. ერთი იყო ძნელი: მისულებიც იმათ წესს მთლად უნდა დაემორჩილებულიყავით.—წირვა-ლოცვა, ეკლესიაში უძრავად დგომა. ვასრულებდით, რასა გკარგავდით?

ისე არ იღებდნენ ქალს მოლოზნად, თუ უკანასკნელ სამოც თუმანს მაინც არ შეიტანდა. დავრჩებოდი ორი, იშვიათად სამი დღე. თხზულებას დაწვერიდი იქვე და წამოვიდოდი, საქართველოზე მამბობინებდნენ, უყვარდათ სმენა.

ბოლო წელიწადს ჩემი იქ ყოფნისა, მონასტერში მოიყვანეს ერთი ულამაზესი ახალგაზრდა. მონაცრისფერი თმა კობტა თავზე ძნად, სულ ხუჭუჭი. შეორთქილი ვერცხლის შუბლი, ოსტატი ჯავაირჩისგან ნაკვერი. ძვირფასი ხმა. როცა ის შუა ეკლესიაში მარტო იტყოდა რომელსამე საგალობელს, მთელი ეკლესია ყურადღებდა გადაიქცივოდა. დიდი კაცის შვილიაო, სასახლემდე უწევდაო ხმა. სტუდენტები დადიოდნენ წირვაზე, ოლონდ ენახათ და მოესმინათ. ფრანგულს ამბობდა. ისე გავარდა ხმა მის მშვენიერებაზე, რომ ახალგაზრდა პროფესორებიც მიდიოდნენ სასმენ-სანახავად. ის გვიკვირდა: ამისთანა ძვირფასი განძი რომ დაამწყვდიეს, ნეტა შინ რალა დაიტოვეს მისი საფასი.

\*

გავათავეთ აკადემია. ვეწიენით მიზანს. ჩვენ გარემოებებში ეს ადვილი არ იყო. ძნელიც იყო. წამოვედით. კი არ წამოვედით, გამოვეფრინდით, ისე მოვალწიეთ ყირიმის მიდამოებს, ვერც კი გავივით. ჰო! ამაში ზოგს არაყი ჰშველოდა: ყველა სადგურზე თითო-ოროლა ყანწი. მე ესეც არა მქიროდა. მიხაროდა. ყირიმს რომ დაუახლოვდით, ასეთი შემთხვევა მქონდა. ვაგონში ვიჯექი ჩემთვის

კუთხეში, რალაც შუქმა მიიქცია ჩემი ყურადღება. გავაყოლ-გამოვაყოლე თვალი და ვიპოვე: წყვილი თვალი ერთის ახალგაზრდა ქალისა მომჩერებოდნენ. თვალები სულ მზერად იყვნენ გადაქცეულნი, შავი ალმასები, დიდრონები, დაკუთხულები. ვინა სთქვა, ალმასი შავი არ არისო? არა სცოდნია!

ერთ წამს მეც ველარ მოვწვეტიე მზერა, გავიფიქრე: წავალ მეთქი, ვნახავ. არ დამცალდა, ქალი თითონ აღვა, პირდაპირ წამოვიდა ჩემკენ, ხელი ჩამომართვა, მომიჯდა. ახალგაზრდა იყო, კურსი დაესრულებინა და მოდიოდა.

— წამო, გაგაცნო, ეს დედა ჩემი, ეს მამა. — მეცნიერი აგრონომი ყოფილიყო რალაც სახელმწიფო მამულისა. ისე გაიარა სამმა სადგურმა, ვერ გავიგეთრა, მამამ მოგვავონა, გადასვლის დროაო. ქალმა არც აცია, არც აცხელა, მომხვია ხელი და გადამოკცნა. მეც ვაკოცე. რასა ვკარგავდი? დედ-მამამაც მაკოცეს. ისე დავეთხოვენი ერთმანეთს, ცრემლებით თვალეზზე. აი აღთქმა, აი მისამართი.

ჩაიარა ყველაფერმა. ვის-ლა ახსოვდა შემთხვევა. ერთხელ კიდევ გამახსენდა თქმა:

— ჯოჯოხეთი კეთილ სურვილებით არისო მოკირწყლული.

\*

აი შავი ზღვაც. აქ რომ მე მისველებს ხელებს, იქ ჩემ სამშობლოსა ჰკოცნის, ეალერსება. ფაზისის შესართავი აქაფებულობა. თუ სწყინს, რომ შავ ზღვას უერთდება. უნდა დაჰმორჩილდეს ბედს.

ერთი მწვავე აზრი ტრიალებდა თავში: გავათავე, მიზანს მივალწვი, მოვიდი, მაგრამ მომაქვს რამე ჩემ ლამაზ სამშობლოსათვის?

კინალამ დამავიწყდა ერთი ეპიზოდი: გემზე ვიდექით ფოთის ახლო, ახლოვე გვედგა ერთი ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი ქალი. რუსულად ვლაპარაკობდით ერთმანეთში. წარმოვიდგინეთ, რომ ქალმა ქართული არ იცის და ქართულენაზე დავუწყუე შემკობა. ცუდები ვთქვით, ახალგაზღურები. წამოვიდა უეცარი წვიმა. ერთ ჩემ ამხანაგს ახალი ქოლვა ეკირა, გაშალა და მიართვა ქალსა:

— Позвольте предложить, а то промокнете!

— მაღლობა, ყმაწვილო, არა შიშავს რა!

ისე შეგვკართო იმის ქართულმა, რომ იქ არ დავდექით, დაბლა ჩავედით.

### სკიტი პარაკლიტი

აკადემიიდან ასე სამოც ვერსზე დაბურულ ტყეში უბრალო ტყის გზით მიხვიდოდი მამათა საფანეში. ეს „წმინდანები“ აქ შეგროვილი იყვნენ მთავრობისაგან, სხვადასხვა ცოდვების მოსანანიებლად, სხვადასხვა ყაჩაღობისთვის სასჯელის მოსახდელად.

მეგობარმა სტუდენტებმა აიტეხეს, წავიდეთ ვნახოთო. მარხილით წავედით. გაეხარდათ ჩვენი მისვლა: პარიკა, სტუდენტები მოსულანო. მოკითხვა, გაცნობა, ჩაი, ნამცხვარი, არაყი, აღარც ალაგდა სუფრა. სვამდნენ, მიკვირდა, არ ეკიდებოდათ. მხოლოდ ლაპარაკმა უფრო მაღალი ბგერები აითვისა. მეგონა, ეს არის მეთქი ვახშმად იქცევა სადილი, როდესაც ერთი ბერი წამოდგა.

ფართე ჯვარი გადისახა, „მამაო ჩვენო“ თქვა, „რამეთუ განმადღე მე“ დასძინა. მოგვიბრუნდა:

— აბა, ეხლა წავიდეთ, ვილოცოთ!

მივდივართ ქვევით და ქვევით. მალარო ჭასავით. ადგილ-ადგილ, ენახოთ, ვძელწვერა ბერი ეყუდა ნიშში. ჯვარს გადმოგვწერაედა, ჩვენ თავს დაუქრავდით და გავცდებოდით. ერთი მოსახვევიც და განათდა. მდიდრულად მოწყობილი ეკლესია. სანთლები ენთო. წაილოცეს ბერებმა, გვამთხვევინეს ჯვარს. ერთმა მიგვიწვია:

— მობრძანდით, სასწაული გიჩვენათ.—ენახეთ ზოგი საგულისხმიერო, ზოგიც საარაკო: ნოეს წვერის თიეთიკი, ქრისტეს ლურსმანი, არონის კვართხი, უდაბნოში გამოკიდებული სპილენძის გველი. ამეებზე ხალხს ადვილად ევსწავლით ისტორიასო, ჩავგილაპარაკა ბერმა. გვიჩვენა ზაწაწა ყუთი, გახსნა, ამოიღო ჯვარი და მიუბყრა ერთ ჩემ ამხანაგს. იმან შენიშნა:—თბილიაო. ბერმა უთხრა, ეგ ჯვარი ზამთარ-ზაფხულ თბილიაო თავისთავად, და მომიპყრო მე. ეშმაკად წამომცდა:—მამაო, ძალიან ცხელი ხომ არ არის?—ამხანაგმა სერთუკის კალთა დამწია. ბერმა შუბლი შეიკუმხნა. მივხედი, გაგჩუმდი, ამოვედით მშვიდობით.

ამხანაგმა მითხრა:—კაცო, ერთიცა და კიდევც დაგვლუბავდა შენი სიტყვა. მერე რა ადვილი იყო: მონასტერს გარშემო ხელოვნური [ტბა ერტყა, თევზით სავსე.

აქა ენახე საქართველოდან წამოღებული წმინდა სტეფანეს მკლავი ოქროს ლუსკუმაში, ქართული წარწერით.

მოვედით აკადემიაში. ინსპექტორმა ცეცხლი გადაგვაყარა თავზე, იქ რას წახირებულხართო.

\*

ჩამოვიდნენ სტუდენტები უნივერსიტეტიდან, გვეწვიენ რამდენიმე. დიმიტრი ჯანაშვილმა კეხნა დაიწყო, ჩემისთანად მწვადს ვერავინ შესწავასო. მოდი, ტყეში წავიდეთ, პური ვჭამოთო. ვიყიდეთ სუკები, არაყი, წავედით.

აკადემიის ახლო ნაძვის ტყე იყო დიდი. ერთ ალაგას წყალიც გვეკულებოდა. მივედით. დიმიტრიმ დიმიტლავა, გაიხადა. პერანგის ამარა შეუღდა მხარეულობას. გრძლა-გრძლად დაქრა სუკები, წაუსო მარილი. დავანთეთ ცეცხლი, მე ვიცი არ მოეკიდებოდა კვარს. ჰალე დაგროვდა ნავეერჩხალი. გავთაღეთ ხის შამფურები, გავღვერეთ, ავაგეთ ხორცი, დაუწყეთ ცეცხლზე ტრიალი. შევხანხლეთ, დავლიეთ, იქვე შამფურიდან დავიწყეთ ჭამა. ლაპარაკი, ხუმრობა, ერთმანეთის დაცინვა, სიმღერა თუ უბრალო ღრიალი. პურის ჭამა განახევრებული იყო, ჯანაშვილმა დაიწყო სიტყვა. არც ჩვენ ჩამოვრჩით. ეთქვით და ვთქვით. რამდენი რამე აღუთქვით საწყალ საქართველოს. ჯანაშვილი ეგნში მოვიდა, აღტაცებამ შეიპყრო. აირჩია ერთი ნაძვი, ზედ კენწეროზე მოექცა, იქიდან სცადა ჩენი დამწყსვა. ამ ღროს თავს წამოგვადგა მეტყვე თავისი კაცებით.

— ეს რა ამბავი გაქვთ?

— ესვამთ, ვჭამთ და სიტყვებს ვამბობთ.

- მერე, უბედურება რომ მოახდინოთ?
- რა უბედურება?
- კაცო, ვერ ხედავთ, ნაძვის ტყე არის, ჩამოცვივებულ ფოთლებით და წაყოფით საესე. ერთი ალმა დაჭრას, მთელი ტყე გადიწვის. ვინა ხართ?
- სტუდენტები ვართ ქართველები!
- მესმის! აბა თქვენ რა გითხრათ, ან როგორ დაგსაჯოთ, მაინც ვაცნობებ თქვენ ინსპექტორს.
- დასხედით, კაცო, ჯერ დავლიოთ, მერე უთხარით ინსპექტორს.
- რა გაეწყობა!
- დაჯდა თავის კაცებით. დავლიეთ. სულ რაც გვქონდა შევცამეთ. მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს.
- მაინც ეცნობებინა ინსპექტორისათვის:
- აქ „დიკარები“ გყოლიათ. ტყე არ გადამიბუფონო.

### ეკზარხს მოუსვენეს

ეკზარხი ევსევი 20 წელიწადი ბატონობდა საქართველოს ეკლესიას. წამოსადგი კაცი, ყავლიანი, ფიცხი. გაფოთებაში დაუნდობელი. შიგ შუა ეკლესიაში დააჩოქებდა შემცოდე ღვდელს. საბოლოოდ-კი მაგნე არ იყო, კაცს ადვილად არ წაახდენდა. აიხირა: ქრისტე ვირით დადიოდა, მინდა მივბაძოო. აყიდინა თეთრი ჯორი, დიდუბეში დასეირნობდა. ფარჩის ანაფორების შრი-ალზე ატოხებდა ჯორი, ჩიოდა მეჯინიბე.

სწორად ცეცხლი იყო, როცა მრევლებს ჩამოუვლიდა სოფელ-სოფელ. უნდა გაჰმასპინძლებოდი ბატონ-კაცურად, მაინც გაგლანძლავდა, თუ პატარა ხინჯს იპოვიდა, შენსავე სუფრაზე არ დაგინდობდა. მოვიდა ჯერი და სარგევი-ზიოდ ამოვიდა კოდაზე. მთელი შაჰი-გელდი იყო: მოსდევდნენ უკან ღვდლები ცხენებით, ეტლებით; პრისტავი, ყაზახები. ღვდელმა იაკობმა მოხადა ქვევრებს. სათონეში დატრიალდა ორომები: ლავაში, ნაზუქი, შოთი, კაკალა-პური, ფაფხაქელები, გასტუმრება უნდოდა მთელ ქორწილის ხალხს. კარგათ ჩაიარა სადილმა, შემოსძახა იაკობმა მრავალ-ქამიერ. აღმუვლდნენ ღვდლები, —ყოჩაღ! შეაქო ეკზარხმა, მაინც ზოგიერთი ბგერა გაუსწორა: თითონ მგალობელი კაცი იყო. ვათავდა სადილი. ამოდენა ხალხი გაიკრიფა ეზოდან, ზოგმა ბაღში ჩაისეირნა, ზოგმა წყაროსაკენ. ჩურჩულით-ღა ლამაზაკობდნენ. ეკზარხს ეძინა! ძალღი ხარია, მოზვერის რამ ტოლა, მივიდა და, ჩვეულებისამებრ, დიდი ოთახის კარის ზღურბლთან დაეგდო კმაყოფილი. ძილი უნდოდა. ვანო დიაკვანი ხვანაირად ფიქრობდა, ძალღი სურდა მოეშორებინა როგორმე კარებისაგან. ცოტა წაასტენა, ფრთხილად წაუწრუწუნა, ხორცის ნაჭერი მიუგდო ცხვირთან. იმან პირი იქით მიიღო, რო ალარ მოეშო, ძალღი გაწყრა და მთელმხარემ შეუღორნა. ვანო აადლევა ძალღის ურჩობამ, წამოავლო კეტსა ხელი და სდრაუზა ძალღს: — არც ეხლა წამოდგები?

ძალღის ღრილით, დაფრთხობა მიყუფულ ღვდლებისა, გაიღო კარები. გამოვიდა პერანგა ეკზარხი.

— Что что такое?..

გაქვედა ყველა.

### კლუჩევსკის ლექცია

გამოგვიცხადა ვასილ იოსებისძემ:—ლექციას ვკითხულობ სოციალიზმის დაწყებაზე და რევოლუციის გაღვივებაზე რუსეთში! იგრილა მთელმა აკადემიამ. გაივსო ვეება დარბაზი. კათედრის საფეხურებზე ისხდნენ, იატაკზე მოიკეცეს, დაცარიელდა სხვა აუდიტორიები. ინსპექტორი ცდილობდა რამდენიმე სტუდენტი შეენარჩუნებინა სხვა პროფესორებისათვის, რომ არ ჩაშლილიყო ლექციები, რექტორიც ჩამოეშველა, ვერას ვახდა. გაჯავრდა ინსპექტორი, სულ ყველას გამოგვრეკავო. კლუჩევსკის აუდიტორიაში რიხიანად შეაღო კარი. კლუჩევსკი უკვე კითხულობდა ლექციას. ინსპექტორმა არ ინება, მაშინვე ეხმო სტუდენტები.

კლუჩევსკიმ ყურიც არ შეიბერტყა. პირველი ფრაზებიდანვე დაინტერესდა ინსპექტორი, ცოტა ხანს ისმენდა ფეხზე მდგომი. მერე მისწივ-მოსწია სტუდენტები და ჩამოჯდა სკამზე, ლექციის ბოლომდე არ განძრეულა, ხმა არ ამოუღია. უბის წიგნიც-კი ამოიღო და ფანქარი. გაფაციცებით სწერდა ნათქვამს, თითქო კლუჩევსკი იმას უკარანახებო. რექტორსაც მოსდომნიყო შემოსვლა, მაგრამ თავი შეემაგრებინა. კლუჩევსკისა სთხოვა სტუდენტობამ, ნულარ შესწავებდა ლექციას. იმანაც უსმინა: პირველ ლექციას წააბა ნეორე. მარტო მას შეეძლო ესე გაეტაცნა ახალგაზრდობა, ძველები. ერთი თვისება ჰქონდა მის ლექციებს: სტუდენტობა ხომ ამაყია, თავის თავი უზენაეს ნიჭიერად და მეცნიერად მიიჩნია, იმის ლექციის შემდეგ ფრთებ-ჩამოყრილი, თავდაღუნული, დაბეჩავებული მიდიოდა აუდიტორიიდან, თავის თავს ადარებდა ვასილ იოსების ძეს.

როცა ის კითხულობდა, მე თვალს ვადევნებდი მის თმას. გძელი თმა ეყენა. ერთი კულული არა დგებოდა თავზე. ასწევდა მარცხენა ხელით, თითქო უნდა დააბასო, კულული ხელზე ადრე ჩამორბოდა სახეზედ. მელიას სამლოთო მაგონდებოდა:—ღმერთო, ეს თავი (სადღაც ეპოენა) გორაზე ამბიანე და სამლოთოს შემოგწირავო. როცა აიტანდა,—გიმტყუნეო, და თავი ისევ ჩამოუგორდებოდა.

\*

ერთი პროფესორი გვყვანდა—გოლუბინსკი. მოხუცებული იყო. მთელ წირვას, ლოცვებს ფეხზე მდგომი ისმენდა. პირჯვარის წერას და მუხლის მოყრას არ მოაკლებდა. უბრალოდ ეცვა: შავი სერთუკ-შალვარი. მთლად უანგარო: ჯამაგირს რომ აიღებდა, შინ იმდენი არ მიჰყვებოდა, თვის ბოლომდინ ჰყოფნიდა: ურიგებდა გაქირვებულებს. დიდი მორწმუნე, მაგრამ არა ფანატიკოსი, რბილი. გვასწავლიდა ეს კაცი მათემატიკას, ფიზიკას, ასტრონომიას, კოსმოგრაფიას, საზოგადოდ, ამ გვარ საგნებს.

ესე მომზდარიყო: წინად აკადემიაში ეს საგნები ფართედ ესწავლებინათ. ყველა საგანს თავისი კათედრა ჰქონიყო, როცა აკადემია გადაეკეთებინათ, საგნები ცალ-ცალკე მოესპოთ. დაეტოვებინათ ერთი კათედრა და ერთი პროფესორი, რომელიც მარტო უძღვებოდა ამოდენა საგანს. ერთი პირობაც დაედოთ: ყველა ეს საგანი ისე უნდა ისწავლებოდა, რომ ცხადათ სჩანდეს მათი დამო-

კიდებულება ღვთისაგან და ღვთისმეტყველებისაგანო. ნიშნებს არა სხავდა. ვინც დაედოდიოთ მის აუდიტორიაში, ყველას ნიჭიერად და განათლებულად გვთვლიდა.

ამ კაცს ახირებული ამბავი შეემთხვა. გროვდებოდნენ ათას სემინარიიდან საუკეთესო მოსწავლეები აკადემიაში შესასვლელად: გოლუბინსკი მიდიოდა ფართო ეზოზე ქისკარისაკენ. ყმაწვილმა კაცმა გადმოიღო ჩემოდანი, უბრძანა:

— ეი, მოდი აილე ჩემოდანი და გამომყე. მისცა და ყელმოლორებული წამოვიდა. პროფესორი დამორჩილდა, მისდევდა უკან ბარგით. შენიშნეს ეს ამბავი სტუდენტებმა. ელდანაკარავეები გამოეჰანენ, გამოგლიჯეს ხელიდან ბარგი, გადაავდეს. მოითხოვეს თითონ ბოდიში პროფესორის წინაშე, მიბრუნდნენ ახალგაზრდისაკენ, რამდენიმე წაუდეს კისერში, ჰკვა ასწავლეს.

### იგივე ვახვი

ევსევის დაეპირებინა წასვლა. მოჰგონებოდა იაკობ ღვდელი: მითხრეს, კარგი მოჯირითეო. ღვდელს შეჰმინებოდა, მაგრამ მეტი გზა აღარ ჰქონდა, შეეკაზმა თავისი წაბლისფერა, ჩაეცვა საუკეთესო ტანისამოსი.

მზიარულად მიეღო, ებრძანებინა, ჩემ ამალაში უნდა იყო. ამ მოგზაურობის დროს გზაზე იაკობს აღარავისთვის დაენებებინა ერთი ფანჯარა კარტისა. ჯირითით მისდევდა. მეორეს ცხენ და ცხენ პრისტავი მიჰყვებოდა. შეენიშნა ეკზარხს და ეკითხა: ღვდელი რად მოჰყვება ეტლს ჯირითობით? გადაეცა იაკობისთვის, — თითონ მიბრძანა, მეც ვასრულებ და ისე, რომ სულ თვალწინ ვიყო! — ამ ერთგულებამ კამილავკა აწყალობებინა ეკზარხს იაკობისთვის.

### იხვე ვახვი

სემინარიაში გვაშადებდნენ ღვდლებად. სააღდგომო დიაკვნობა უნდა იცოდესო, და ჩვენც გვაზეპირებდნენ დავითნს, ჟამნს, სამოციქულოს...

ეკზარხ ვესევეს ყოველ შაბათს და დღესასწაულის წინა დღეს ღამის თევითი ლოცვა ჰქონდა გაკიშული თავის კარის ეკლესიაში. საყდარი საესე იყო ხალხით. სულ მდიდარი ხალხი დადიოდა. თითონ ეკზარხი იმ კარებში იდგა, რომელიც ეკლესიიდან მის დარბაზებში გადიოდა. სუფთად, ფარჩებში გამოწყობილი, მიტრაზე ბრილიანტის ჯვარი, ფაფუკ ხელებიანი წამოსადექი ვაჟკაცი. მლოცავი ხატებს რომ ჩამოუფელიდა და ემთხვევოდა, მიბრუნდებოდა და ეკზარხსაც ხელზე ეამბორებოდა. ეს მიღებული წესი იყო. ამ ლოცვაზედ ინსპექტორის ბრძანებით ესწრებოდა რამდენიმე სემინარისტი, რომელთაც უნდა წაეკითხათ აღნიშნული ნაჭერი ლოცვებისა. ინსპექტორი ხშირად ნიშნავდა ზოგიერთს, ვისაც შეეძლო მეათეო და გარკვეული კითხვა. მესამე კლასში ვიყავით თითქმის კვირა გამოშვებით მგზავნიდა მე და აისორ ივანოვს, ჩვენ ამას შეჩვეულები ვიყავით მისგან. გვიხაროდა კიდევ იქ წასვლა იმისათვის, რომ პანსიონში შეგვეძლო გვიან დაბრუნება. ერთ საღამოს ლოცვაზე, როცა საესებით საესე იყო ეკლესია, წაკითხვის შემდეგ წავედიო წყვილად ეკზარხის ხელზე საკოცნელად. გადასწერა პირჯვარი ივანოვს, ამთხვევინა ხელზე და გაისტუმრა, მომიბრუნდა მე:

- შენ ბარნოვი?
- დიახ, ბატონო!
- შენც ღურაქი ხარ და მამა შენი აბრამიც განვეცვიფრდი.

— არ იცი, რომა მრევლმა იჩივლა, გაუცარცვია იქაურობა, უსათუოდ ჩამოვართმევ მრევლს.

- შევბედე:
- მამაჩემი ღვდელი ზაქარია განსლავთ.
  - ზაქარია?
  - დიახ, კოდელი.
  - მოიყარე სამჯერ მუხლი!

მოვიყარე მუხლი, წამოვედი. რომ მივედიოდი, აქეთ-იქიდან წამჩურჩულეს, რა დაემართა, რამ გააბოროტა ეს კაციო.

რას ვიტყვოდი?

შინ რომ მივედი, ყველაფერი ვუამბე ინსპექტორს კუვშინსკის, ჩაიხარხარა ფაჩხატ უღვაშებში:

— შეშლია ყოვლად სამღვდელოს, სხვა ბარნოვი ღვდელი მამაშენად მიუღია და გაულანძობიარ შეცდომით.

აი მომივალ შაბათს მე გიწერ, წადი ისევ და წაიკითხე შენი წასაკითხი!

წავედით მე და ივანოვი. წავეითებთ, მივედით სამთხვევლად, ჯვარი ჯერ მე გადამსახა, მამთხვევინა ხელზე, მერე ივანოვს. არაფერი არა სთქვა, მხოლოდ თვალებში სიცილი ვერ შეიმაგრა.

**ვესევი აკადემიაში**

ვესევი მემრე გამოაგდეს საქართველოში სამსახურიდან. სადღაც მიგდებულ ადგილას გადაიყვანეს. მოსკოვზე გამოიარა. აკადემიაში შემობრუნდა, მოიკითხა ქართველები, მარტო მე შევჩრჩი ხელში. მითელილ-მოთელილი ტანისამოსი ეცვა. აღარც იყო ისე ყველიანად. მკითხა ამბავი, ვუამბე.

— კიდევ ვინ არიან საქართველოდანაო?—ჩამოუთვალე, ერთიც ბერძენია თბილისელი მეთქი ი...

— ნუ მომაგონებ მაგ გვარსაო! Извращенная личность!

სადღა იყო ის მაგნატი ვესევი!

**ოქელაშვილი და იაკობ ღვდელი**

კოდაში, შუა სოფელში, მოზრდილი სახლი, დიდი დერეფანი მუხის კოქებზე. შუაში ვეება ბოძი. შესავალი კედელი ღია, გელაზებით შეზღუდული. კიბეც—სამი გელაზი. მარჯვნივ პატარა ოთახი. იმის გვერდზე მარცხნივ კედელში დიდი კარები გარანდული. ეს იყო დიდი ოთახის კარი, სასტუმროსი. ურდულთან კარს რომ გააღებდი, ორი კიბე იყო ქვისა. ჩახვილოდი შინ სახლში. სამზარეულო, საკუჭნაო, კიღობანი აქ იყო გამართული. მარცხნივ—შესავალი საოთონეში. შინ სახლიდან პირდაპირ შარნის კარი—სუფთა ოთახი, ქვევრებ მომწყრივებული, ბალის იარალი, ჯავნები. ამ პატარა ოთახში მუღამ მწიფიღ...



სუნნი იღვა. ეს იყო არსენას ოთახი. ეგრე ვეძახდით. იმის გვერდზე ოდა და გომურის. გომურის კარის გვერდით კიდევ კარი ურდულით დასაკეტი.

იაკობმა გვიან შეიმოსა ღვედლობა. მანამდისინ მოქეიფე ახალგაზრდობაში რეულყო. ახოვანი ვაჟაკი, თეთრ-წითელი, მძლავრ მარჯვენის მქონე. კარგი შიქმელი, ცოტა დამცინველი. დაახლოვებიყო ის არსენას და ბოლომდის შერჩა შეგობრად. გაქირვებაში არსენა შეეფარებოდა ღვედლის სახლს. იმისთვის მზად იყო ყველაფერი მარანში. მარანს ერთი ფანჯარაცა ჰქონდა შემთხვევაში გამოსაყენებლად.

არსენა მორწმუნე კაცი იყო. ყოველ დიდ მარხვაში მოვიდოდა შერჩეულ დღეს დღისით, წოითხოვდა აღსარებას და ზიარებას ღვედლისაგან. აღსარების დროს ცხენიდან ერთ ფეხს ჩამოსდგამდა, ერთი ისევე უზანგოში ეღვა. ეტყოდა: — უშთაფრესი კოდეა, კაცის კვლა არ ჩამიდენიაო, თუ მომიკლავს, როცა შემებრძოლებოდა, მაშინ. გასაცარცვად კი არავის, ვინდობ: მეც მიჭირს და გაქირვებული მეგობრებიც ბევრი მყავს. ეზიარებოდა, ხელზე ემთხვევოდა.

გამიგია, როცა არსენა იაკობთან იყო საზიარებლად თუ მოსასვენებლად, სოფლის მისაველ გზებზე ყარაულს დააყენებდა, რომ დროზე ეცნობებინა მიმებნელის მისვლა. ისიც უთქვამთ, ვინმე სოფლიდან მოსაკითხსაც მიაართმევდა.

ამათაც, ღვედლს და არსენას, ერთხელ შეჯახება მოჰხდენიათ: კოდიდან პატარძალი მიჰყვანდათ მარაბდას. მეტორწინებებს ამბავი მიჰსვლიათ: არსენა გდარაჯობთ, პატარძალის მოტაცება უნდაო. შეშინებულან, მისულან და უთხოვნიათ იაკობისათვის: წამოგყვევი, შენი ხათრი აქვს, და გამკლავებაც შეგიძლიანო.

შეზარხოშებულ ღვედლს ხალხის თხოვნა აღარ გაეტეხა, ჩამოეღო ხმალი და გაჰყოლოდა მაყრებს.

ღამე სირონიკანთ ორღობეში, ბოგირთან, მართლა დაჰხვედრიყოთ არსენა და შეეცია.

ყველანი განაბულიყვნენ. იაკობი დამდგარიყო წინა და დაეძახა: გზა დაადგეო! წამოსულიყო არსენა მისკენ დამბაჩით ხელში. განსაცდელში ღვედლს დაეჭნია ხმალი. დაქირლიყო არსენას ცხენი.

— არსენ! — დაეძახა ღვედლს.

— იაკობ, შენ? ჩქარა ცხენი, ჩემი დაქირლია.

ღვედელი მაშინვე გადმოსულიყო ძირს და მიეცა თავისი ცხენი. პატარძალი მაინც გადაერჩინა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცხენი ისევ მიჰსვლია ღვედლს.

არსენას ბინა კუმისის მღვიმეებშიც ჰქონდა, და თუ ნულა შემოაკლდებოდა, ღვედელი გაატანდა იმასთან ულუფას, ვითომ დიაკვანს სამებაში გზავნიდა.

\*

ის ძველი სახლი კოდაზე დაქეულია, ახლით არის შეცვლილი. არსენას ერთი ხმალთავანი შერჩენოდა მარანს. იქ ეკიდა ტახტის კედელზე. ჩემ დროს უკვე ჟანგმოკიდებული იყო. მემრე ხანჯლად გააკეთა სოლომ.

**ისევ აკადემია**

მე რომ აკადემიაში შევედი, ერთი ფენომენალური სტუდენტი სწავლობდა მეოთხე კურსზე—რომან ილიჩი. გვარი დამავიწყდა. საკვირველი ნიჭი ჰქონდა. უკვე შეესწავლა ფრანგული, გერმანული ისე იცოდა, რომ პირდაპირ სთარგმნიდა. ფილოსოფია პროფესორებზე კარგად იცოდა, ორიგინალებში წაეკითხა. მათემატიკაშიაც კი ყოჩაღად იყო. ის მეოთხე კურსზე იყო, როდესაც აკადემიას დასპირდა ფილოსოფიის მასწავლებელი. არჩევანში რომანიც ჩადგა. ყველაზე ძლიერი კონკურენტი ჰყვანდა ყაზანის ფილოსოფიის პროფესორი, ვგონებ, გუსევი. შეიკრიბნენ. ერთი-ორი მეცნიერი უნივერსიტეტიდანაც იყო. შეჯიბრებულებმა აუდიტორიაში წაიკითხეს ლექციები, სხვები ჩამოსცილდნენ, დარჩა ორი კონკურენტი. კანტზე იყო ლაპარაკი. სთქვა გუსევმა. ოპონენტათ გამოვიდა ილიჩი. უთხრა კარგები, ბევრჯერ ჩააჩუმა.

ახლა წაიკითხა თითონ რომანმა. გუსევმა ბევრი ვერა უთხრა-რა. სტუდენტს გერმანულად და ფრანგულად მოჰყვანდა ციტატები. კრიტიკა რომ მიიყურწა, რომანმა თავისი თეორია სთქვა მოკლედ ამ საკითხზედ. ძალიან ნათლად გამო-სთქვა აზრი, დამაჯერებლად.

გაშას ძახილი გამოიწვია, გამოვიდა მეტაფიზიკოსი კულდრიაეცევი ვიქტორი, ჩვენი მასწავლებელი. უთხრა:

— ვიცი შენი უნარი, მაგრამ ჩემ მოლოდინს გადააჰარბე, პრინციპიალურად ვერ დაგეთანხმები, მაგრამ იმოდენა ცოდნა გამოიჩინე, და ისე მკაფიოდ, შეგნებულად სთქვი, რომ არ შემიძლიან არ დაგყვე და არ მოგიწონო. ამოირჩიეს, სტუდენტებსაც ჰქონდათ ხმა.

დაიწყო კიდევ ლექციების კითხვა, ძალიან იზიდავდა.

მოსკოვში შეხვედრიყო ერთი ქალი, შეჰყვარებოდა. ეთხოვნა, ჯვარი დაეწერა. მოიყვანა. ლამაზი ქალი იყო, მხოლოდ თხელი აგებულობისა, ნაზი. იმავე გაზაფხულზე ავად გახდა ტუბერკულოზით, ველარ უშველეს ქალს, გარდაიცვალა. გადაირია ილიჩი. საფლავს აღარ მოწორდა. ჩასტიროდა მიწას. გაცივდა, გადაჰყვა.

**ს ო ლ ო**

ვანქის უბნიდან ამბავი მოგვივიდა: ბატარა ბიჭი მოსულა იქ, იმის მუშტს დიდებით ვერ უძლებენო. დაეკვებნათ, წავალთ და ნიორივით დაგებგვავთ ანჩისხატის უბნულეზსაო. ახალი პანგები იცისო კრივისა. გვეწყინა. შევიკრიბენით ათი-ოდე ბიჭი. ავარჩიეთ მოკრივეები. მოკრივეებში: სოლო, ნიკო დევდარიანი, ძუბუა მჭედლიშვილი. ჩვენ ამაღათ გაყვევით.

— ნუ იმალებით, გამოდით, გაჩვენოთ, როგორ უნდა დაბეგვა!—უეუთვალეთ. ლამე იყო მთვარიანი. მალე გამოვიდნენ. იქიდან უფრო ბევრი იყო, მაგრამ ეჭვმატები ერია.

— აბა, ტარიელ! აბა, ტარიელ, გვასახელე!—დაიძახეს ვანქელეზმა და განდნენ ჩვენ წინ. გამოიყვანეს ტარიელი. ტანით დიდი არ იყო, მაგრამ მხარბეჭიანი ბიჭი ჩანდა.

— აბა! ვინ გაბედავს?

შეფუტირანდით ანჩხატელნი. მიემართეთ სოლოს. ხმაც არ ამოიღო, ისე გავიდა. რო შეხედა, ცოტა, შეშინდა, უკან დაიწია. იქ იმ ბიჭს დაუძახეს:

— გაინახე, ტარიელ, თორემ შეაშინებ ყველას!

ეხლა-კი გაბედა სოლომ. ტარიელამ მუშტები რაღაცნაირად დაატრიალა და დეტანა, მუშტებს მკერდთან ატრიალებდა. სოლომ შენიშნა ეს, გაეჭანა და სდო მუშტი პატარა მუცელში. ბიჭმა ერთი კი დაიყვირა: ვაიო! და გადაიქცა.

— არიქა, მოკლა!—დაიძახეს ვანქელებმა და მისცვიდნენ.

ჩვენ მართლა გვეგონა, რომ მოკვდაო. დეკარით ფეხი, გამოვიქცით. არ მომკვდარიყო, მოესულიერებინათ. რამდენიმე კვირას ვანქის უბანში არ გავივლია ცალ-ცალკე, დაგვიჭერენ და ჯავრს იყრიანო.

\*

ამ მუშტმა სოლო ერთხელ გადაარჩინა.

ერთ-ერთი სოფელი იოსება უეცრად გამდიდრდა. ქალაქიდან ნათრევი მოეყვანა ცოლად, იმას ფულები მოჰყოლიყო. იოსებამ იყიდა ცხენი, კარაული, ძროხები. სარჩო რომ გაიჩინა, ეზოს შესანახად—ავი ძალდი ჯაჭვით დააბა. სოლო მოდიოდა შინ. უნდა გამოეველო იოსებას ეზოსთან. ხელში-კი ჯოხი არ შერჩენოდა. დაინახა ეს დაბმულმა ძალმა, შეპყეფა და გამოიწია ძალმუხად. გაწყდა საყელური. ძალდი წამოვიდა ანთებული თვალებით. შეყალყდა, სახეში უნდა სცემიყო. სოლომ მოუქნია მუშტი, სდო საფეთქელში და გადააბრუნა. ძალდი ისე შეკრთა, რომ შედგა, მისვლა მეორედ ვეღარ გაბედა.

### ყ ე ე ნ ო ბ ა

ყენობამ მშვენივრად ჩაიარა. მშრალი დარი იყო, სითბო, სოფლიდან შერგოვილი უხვი სანოვავე, სასმელი; ჭიდაობა კოდელთა სასარგებლოდ დამთავრებული.

მხიარულ გუნებაზე დადგა ხალხი, გამოითქვა აზრი:

— წავიყვანოთ ყენი და ვებრძოლოთ სხვა სოფლების ყენებს. დაარჩიეს მოქიდავეები. უთავეს გაბრუა ირემიანთი, კოდის საამაყო მოქიდავე. წერილი ბიჭი იყო, მხარბუქიანი, ძარღვიანი, ფიცხი, როგორც ნაპერწკალი. გასინჯეს კარგად ჯოხები—რომ ჩხუბი მოხდებოდა, იარაღი ჰქონიყოთ ხელში და წავიდნენ. აყევივით ბიჭბუჭობა. მივედით მუხათს, მიუგზაინეთ ელჩი:—ომად მოესულ-ვართ თქვენთან, ან ცხვარი დაგვიკალით და გავემისაპინძლდით, ან გამოიყვანეთ თქვენი მოქიდავეები. გამოვიდნენ მუხათელები, მოჰყვანდათ თავიანთი მოქიდავე ჯუნა. ეს მსხვილი ახალგაზრდა იყო, მძიმე. კამერის ღონე ჰქონდა. შეეშინდით კოდელები: ეგონათ, ჯუნა სოფელში არ იყო. გაბო გამხნევედა, ამბობდა, იცინოდა. ესე თქვეს: შეკრთაო, აღელდა და ის აცინებ-ალაპარაკებსო. გავიდნენ, დაუკრეს ზურნა. უპასუხეს მუხათელებმა საჭიდაოთივე, ყურთა-ხმა აღარ იყო. გაბომ სცადა სარმა, ვერ გაიმარჯვა, ვერც კი შეატორტმანა. ჯუნამ უკდო მახიური, ცალ ფეხზე დასცა გაბო. ჟრიამული ატყდა მუხათელებისაგან.

გაცხარდა გაბო, დაუკეტა მკლავი, მოსდო მოგვერდი და გადმოაბრუნა ვეება ვაჟკაცი, დასცა, წარბი გაუხეთქა. მოგვეცეს ხარჯი, მეტი რაღა ღონე ჰქონდათ.

წავედით ბორბალოს. მუხათელეებიც გამოგვეყენენ.

გამოიყვანეს შაქრო, მათი პირველი მოქიდავე. ახალი ბიჭი იყო, მსუბუქი. გაბომ პირველ მისვლაზევე კისრულით წამოიღო.

დასცეს კიჟინა, გამოართვეს ხარჯი.

წავედით ერტისისაკენ. შარაზე გავიჩრდიეთ. გამოვიდნენ. მოჰყვანდათ მოქიდავე ფარჩა. ამის სახელი კოდაზეც ვიცოდით. საფიქრო კაცი იყო. გაბომ, გახალისებული რომ იყო, შიში დაკარგა. დაუბინა ზურნის ხმაზედ კალო, ეცა ფარჩას, შეაჯანჯლარა. მოხდა ესე: ფარჩა დაიხარა, ფეხებში გაება გაბრუსას. დაიძახეს:—თათრული მოგვერდი! დატორტმანდა გაბრო, გვეგონა წაიქცაო, ვადავიძახეთ, გამავრდა. დაჰკრა საყელოში ხელი, დაუტრიალდა, მოგლიჯა მიწას, გაისროლა ძალიან. მიულოცეთ.

ვაშლოვანში ვედარ წავედნენ, დაგვიანდა. ვაშლოვანელები თითონ გამოვიდნენ. იმათმა ყვინმა და ჩვენმა ყვინმა ზავი შეკრეს. იქიდან ზურნამ სათამაშო დაუკრა და სულ ცეკვით ჩამოვიდა ხალხი კოდაზე, დიდი ქეიფი გაიმართა. აღღგრაძელებდნენ გაბოს—კოდის სიამაყეს.

წარმავალია დიდება. ვაჰკრება სანთელივით. გაბოს დიდი მარცხი მოუვიდა თელეთობას. მოიყვანეს ერთი ზერდაგი ბიჭი, მოსვლისთანავე ქალაქელმა ისეთი სარმა ჰკრა, კამეჩს ფეხს მოამსხვრევდა. წაიქცა გაბუა, დაეცა...

### ნესვ-ყარფუზი

პაპა მეურნეობას ეწეოდა. ერთი გუთნის ხარ-კამეჩი ება გომურში, თავისი გუთანი გაჰქონდა. დიდი მუშაობის დროს ორი მოჯამაგირე ეჭირა. ზაფხულშიც ორ ურემს ამუშავებდა ქირით. მეტადრე ხალისიანად მუშაობდნენ კაციც, ხარ-კამეჩიც ნესვ-ყარფუზობის დროს. იალღუჯის გადაღმა, მტკვრის ნაპირ-ნაპირ, საცა კი წყალი მისწვდებდა არხითა თუ რუებით, დიდძალი ბოსტანია გაშენებული და ისე ქციამდა. მშვენიერი ნესვ-ყარფუზი მიდის. სიტხე უდიერი. წყალი მრავალი. ნიადავი ნოყიერი. ყარფუზი იზრდება—ცალი ხელით აღება გაგვიძირდება. მოიწება თუ არა, კოდელები შეებამენ და მიდიან სახამთროს ქირაზე. ურემები ღასტებთ არის გამართული<sup>1</sup>. თითო ურემზე დადებულია კიდევ, გასასყიდის გარდა, ურემის პატრონის წილი—რამდენიმე ყარფუზი და ნესვი, ამის ჩასაწყობად ურემზევე, კოფოსთან, გადგმულია გოდორი. ურემს რომ დაუდებენ, ამ წნელებით გამაგრებულ გოდორში ჩააწყობენ წილად ნარგებს. ჩვენ, ბალღებს, სწორედ ეს გვავინტერესებდა. როცა აღალს უნდა გამოველო, შევეკმაზავდით ცხენებს—ორი ცხენი იყო საჭირო—გადავკიდებდით კაფხაჯებს, ტომარასაც და დაეუხვებოდით მომავალ ურემებს იქ, საცა ისვენებდა აღალი. არაყიცა გვექონდა ხოლმე ბოთლით. დავალეინებდით მეურმეებს, ჩვენც

<sup>1</sup> ქალაქში უნდა ჩაიტანონ ყარფუზი ქირით გასასყიდად. ნესვ-ყარფუზის მოედანი მაშინ განჯის კართან იყო გამართული.

გადავკრავდით, გავკრიდით ნესვ-ყარფუსს, დანაყრდებოდით. ავკიდებდით ჩვენ წილს ცხენებს და გავფუძვებოდით.

კვირაში ორჯერ გამოივლიდნენ. ჩვენი მარანი და დიდი ოთახი სავსე იყო ნესვით თუ ყარფუხით. ბევრნი ვიყავით: პაპას ოჯახი, მისი შვილიშვილები, ყოველდღიური სტუმრები, მოლოზნები, გზა-აბნეული ბერები...

სხვები ჭირას რომ იღებდნენ, ნარგებ წილსაც ქალაქში გაიტანდნენ და ჰყიდნენ. პაპამ სცადა თითონაც ეს, მაგრამ მოჯამაგირეებმა რალაც ბეყა-ფული მოიტანეს—მოეპარნათ. მთელი ზაფხული ვკამდით ამ კარგ ხილს და არ ილეოდა.

### სირონიკა და მისი საქოლაგი

სირონიკა დალაქი იყო — „ცირულნიკი“. ცირულნიკი გადააკეთეს სირონიკად და ასე დაერქო ამ დალაქს. დიდი ნიჭი შეაჩნდა მხვექელობისა. პატარა ფული მსხვილ-მსხვილად აქცია, მსხვილი გაამრავლა, ფულის ძალით ნელ-ნელა დაიჭირა ხელში სოფელი და გამთქვინდა. ღიბი, ლბაბი, რიხიანი ხმა, ვერცხლის ქამარი, ოქროს საათი ძეწყვით, ყაფლიანი წაღები... ვისღა ახსოვდა წურბელების დამსხმელი, თმის მპარსავი! ცოლის შერთვაშიაც მედი ააჩნდა—ყაფლანიანთ სახლიდან გამოიყვანა მოახლე. ლამაზი ქალი იყო, ზრდილობაც ესწავლა, ველარ გამოარჩევდით აზნაურის ოჯახებში. ბატონიანი ხელს უმართავდნენ, გაჭირვებაში ეშველებოდნენ. რა სახანავები, სათიბები, ზვარები, ცხვარი, საქონელი! გამდიდრდა კაცი, გამდიდრდა.

ჭიანჭველას რომ ფრთები ამოუფა, ლმერთი მაშინ გაუწყურება. ამ კაცსაც ლმერთი გაუწყურა და კეკუა გამოუღია. თანდათან ხელი მოუჭირა სოფელს და გაწურა. ადრტვინდა სოფელი. მოჰმართეს ღვდელს: — მოძღვარო, მოგვეშველე, ურჩიე იმ კაცს, თორემ ლამის ვალებში ცოლშვილი გაგვიყიდოს. — დაუჯერა ღვდელმა, სხვა გზა არ ჰქონდა, ჩაიცივა ანაფორა, გადიქიდა ჯვარი, აიღო ყავარჯენი და გაემართა.

— კაცო, სირონიკა, სოფელი აღშფოთებულია. ხომ იცი ბევრი შეუძლიან ხალხს. ცოტა შვებით მოეჭეცი, გირჩევ, აბა მეტი რა შემიძლიან?

— მამაო, მომისმინე, მეორედ აღარ გეტყვი. მობრძანდი ხოლმე ჩვენთან, როცა სათქვენო საქმე მექნება. სტუმრადაც მობრძანდი ხოლმე, სასიამოვნო იქნები. ჩემ საკუთარ საქმეებში—კი ნუ გაერვევი. იცოდე, თუ მოჰყევი ჩემ ფარგალში, ვერ დაგინდობ ვერც შენ, საქმე ეგრე თბოულობს!

წამოვიდა. გავიდა კადეგ ხანი. ვნახოთ, ერთ დილას ხმაურობაა დიდი, კაცი, დედაკაცი, ბაღი გამოსულიყვენ და მიდიოდნენ სირონიკანთკენ. ქვები ეკირათ ხელში: — უნდა ჩაეჭოლოთ ეგ ვეშაბი, თუ არა, დაგვთქავსო.

შემოეხვივნენ სახლს. შინ არ აღმოჩნდა. გაეგებინებინათ, და ადრე გაპარულიყო ბატონიანთ სახლში ცოლშვილიანად, ველარ შეჰბედეს ბატონს. გამოვიდა ერთი:

— კაცო, გამიგონეთ! იმ ბოროტმა თავს უშველა, მაგრამ სოფელში არ შემოვიდეს დღეის იქით. თუ შემოვა, საცა მოვასწრობთ, იქ ჩავაქვავოთ. ეხლა კი ეგ ქვები წავიღოთ სოფლის თავში. იქ ვესროლოთ, მითომ იმასა ვკლავთ. ეს არის ჩვენი წესი, ეს იყოს იმისი საქოლაგი.

სოფელში საყდართან დადო ფიცი. დაარისხეს ფიცის გამტეხი. წავიდნენ გადასახედავზე და, ქვეები რომ ეჭირათ, ერთ ადგილას დაუშინეს და თან ლანძღვდნენ ბოროტმომქმედს, წყევლიდნენ, ჰქოქავდნენ.—ამის შემდეგ ვინ მიიახლოს ამ საქოლავს და ქვა არ მიაგდოს, ავად არ მოიხსენიოს, თითონ მას მიერგუნოს ის წყველა და ქოქვა, რაც აქ წამოითქვა.

სირონიკა ველარ შევიდა სოფელში, იდარდა, დასწულდა და მოკვდა. გაოხრდა მისი დიდი ქონება. ერთი ქალი დარჩა. ნანგრევები იმას ერგო.

ესლა რაო ქოქოლა იციან და წყევლის დროს ხელებს იქნევენ, თითქო ქეები გადაყარეს, ეს იმის მაჩვენებელია, საქოლაიმც ამიგია შენთვისო.

წამოვიზარდე. ვცადე მარტო წასელა კოდიდან ტფილისში. პირველი გზობა მენაჯიშა. მგზავრებს აყვივი. მერე ვავიკვეთე და, აღარც მაშინ, როცა კოდიდან მივიდიოდი, მომყვანდა ცხენი და ბიჭი, არც ქალაქიდან როცა წამოვიდიოდი.

გამოვკრავდი ხელსახოცში წიგნებს, პურს და რამე სატანს, შევედგებოდი გზას. ადგილებიც შენიშნული მქონდა, სადაც უნდა დამესვენა, მათ შორის უპირველესი იყო ქოჩორა ზე. აქედან, როგორც ხელის გულზე, ჩანდა ქალაქის გაშლილი ნაწილი. ვათვლიერებდი და ვაზრობდი, სად იყო ჩვენი სასწავლებელი, ან სხვა რომელიმე სასახლე. თუ ქალაქიდან მოვდიოდი, ქოჩორა ხეს ვეტყოდი, რა გამარჯვება გამომატანა სკოლამ, მოვიკითხავი, ტოტს ჩამოვართმევი, პასუხს მეტყოდა. ქოჩორაზე ხელს გადმისომდა, დამავალებდა, არ შევდრკონილიყავ ცხოვრების ძნელ წავარნაზე. აგრეთვე, თუ სოფლიდან მოვდიოდი, ზურგს მივყუდებდი, ვეტყოდი, თუ რამე შესამჩნევი შემემთხვეოდა. მეპრე გადაუხვევდი ლელესაკენ. ნაპრაღში რომ წყალი ჟონავს, დავეწაფებოდი და მადლობას ვეტყოდი, რა გრილი იყო და წმინდა. ერთ პურის ნატეხს იქ შევჭამი, მერე ჩავეუვლიდი ორსულ კლდეს. გრძლად ვუამბობდი ჩემ თავგადასავალს სოფელში თუ ქალაქში. თან მაღალი ხმით დავუძახებდი:

— ხომ გამიკეთებია კარგად?

მომცემდა პასუხს:

— კა-ა-რგა!

ან კიდევ:

— ხომ მოვქცეულვარ უშნოდ.

მომცემდა პასუხს ნაწყენი:

— უ-უ-შნო!

დავემშვიდობებოდი:

— იყავ გამარჯვებით!

— გამარჯვებით!

დავეშვებოდი წინანაურის წყაროდან. აღარ იყო საჭირო დასვენება. არა, ცოტა ხან შევდგებოდი იქ, სადაც ნაპრალიდან ომხივარი ამოდის. ხელს დავი-  
 ორთქლავდი.

ერთხელ კოდიდან რომ მოვდიოდი აღდგომის შემდეგ შინ, მამამ გახედა ცას, კრწანისს:

— ბიჭო, დღეს ნუ წახვალ, რაღაც ნისლი ძეგს დიდი.

გავჯიუტდი. წაველ. ბუღამს რომ ავცილდი, ნისლი დამწვედა. რა უწავდა. მივდიოდი ზევით და ზევით. შენივთდა ნისლი. მტკიცედ მოიცო მთელი არე-მარე. კლდის წაგარნამ დაკარგა სახე. დავთავკვევდები და გავალ ნისლიდან, გამზობი:

- არ მეჩემა ბილიკი.
- ბიკო, გზა თუ ამერია, ვთქვი.

გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი გვერდზე, სალი კლდე ამეპართა წინ. მეორე მხარეს წაველ, ხრამს მივადექი. დაგვარგე გზა. დავჯექ, ვუსტიდი. ნიაფი ცოტა სისინებდა, ნისლს ვერ სძრავდა. რო გამიქირდა, ავზობლდი კონცხზე, გავიხედე და მღელვარე ბურუსში კენწერო დავინახე ქოჩორა ხისა, კარგა მოშორებით იყო. დავზომე თვალით და იქეთკენ წავედი. ვიპოვე. მალე მთლადაც მოიწმინდა არე. შიში კი ვიწვინე.

\*

— მაშაო იაკობ, ჰკითხავს ევსევი მასპინძელს, ხატი რომ იმ სიმალღეზე დაგისვენებია, როცა ლოცულობ, უწევს იქამდის ლოცვის ხმა?

ხატი მართლა კუთხეში ესვენა კერთან.

— ბატონო ეკზარხო, მეც მომივიდა ეგ აზრი და იმისთვის ეს ჩემი მა-ლალი ტახტი სახატეს ქვეშ დავდგი. როცა მინდა ხატმა ისმინოს ჩემი ვედრება, ტახტზე ავალ და ისე ვლოცულობ. მომისმენს ხოლმე.

**ჰამე! არ ჰამე!**

ყვარლის გზას შესდგომოდა ქართველი. მიდიოდა აღმართ-აღმართ. ცხენი სადავით ექირა. გატენილი ხურჯინი ცხენზე, ზღვენი მიჰქონდა. ზევიდან მომავალმა ლეკმა შორიდანვე თვალი დაჰკრა მგზავრს და ცხენს წნელის რგოლი გაუკეთა ცხვირზე, რომ მას არ დაეუბიხვინა სხვა ცხენის დანახვაზე, და ჩავსაფრა. მიუახლოვდა მგზავრი დიდ ლოდს. გამოჩნდა ყაჩაღი ლეკი და დამბაჩა მკერდზე დააბჯინა:

- დაყარე იარაღი!
- მოიხსნა იარაღი.
- წამოაყვა ცხენი!

ქვის იქით ტაფობი ყოფილიყო მწვანე. იქ ჩამოაცარიელებინა ხურჯინი: ცოვად დედალი, ინდაური, მოზრდილი გოჭი, ქალღღივით თეთრი. ამოიღო ღვინო, არაყი.

- ნაზუქები გაქვს? ამოყარე!
- დაიწყო ჰამა.
- დაჯექ შენც, არა გშიან?
- ჰაი, ჰაი, მშიან.

აილო ქართველმა ხანჯლის შვილი, მოთალა გოჭი, დაიწყო გემრიელად ჰამა.

- ლეკმა თვალი ველარ მოაშორა.
- რას მიყურებ? შენ რად-ლა არა სჰამე?

— სჯული მიკრძალავს!  
 უმატა ქართველმა გოკის ქამას.  
 — სრულებით არა გაქვთ ნება ღორი სქამოთ?  
 — არა! თუ ძალა დაგვატანეს, შეგვიძლიან ვკამოთ,—მაშინ ცოდვა არ იქნება. იცი რა ქენ შენ? ძალა დამატანე—ქამე-თქო.  
 — კარგი! ბატონი ხარ!  
 — აღდექ, აი ხმალი!  
 — ქამე, ლეკო, ბურვაკი, თორემ მოგკლავ!  
 — არა! სჯული ნებას არ შიძლევს.  
 — ქამე!  
 — არ ქამე!  
 — ქამე მეთქი!  
 — არ ქამე!  
 — ჰე, შე რჯულ ძაღლო, აბა ნუ სქამ!  
 მოუქნია ხმალი, აღარც შეაყენა, მოსხლა თავი ყაჩაღს. ჩააწყო ნათლიის მოსაკითხი, დასძინა ყაჩაღი ლეკის იარაღი და ტალავარი და შეუდგა არხენინად გზას.

### ძველი ხელთნაწერები

მანამ სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი, ჩემ ხარჯზე ვიყავ, და ეს ხარჯი ისე სუბტუქი იყო, ნეკით აიწეოდა. პატარა ბარგი თვითონ ეძებდა პატარა კარებს პაწაწინა ოთახისას, რომლის კუთხეს შესაძლოა იყო დროებით დაპატრონებულიყო. და მოვიარე თითქმის ყველა ქუჩები: სიონის ქუჩა, სალაყბოს მიდამოები, შუა ბაზრისაკენ ამავალი ქუჩა, პატარა წმინდა გიორგის ქუჩა, ანჩხატის უბანი, გარეთ-უბანი, ვანქის უბანი, მუხრანანთხიდი სურთ. ტანტალის მიზანი იყო, რაც შეიძლება ნაკლებ ფული მოსდომნოდა გაძღომას და გათბობას. ეს იყო, მანამ სემინარიაში გადავედი და ბურსაში მიმიღეს საეკლესიო ხარჯზე. მშიერ ოჯახებიდან ცივ სასწავლებელში, გამოშტერებულ ოსტატების ხელში. სისასტიკე. ყველაფერი ზეპირად. კიდევ კარგი, მეხსიერება მარჯვე მქონდა. დაყრიდი წიგნებს და გავიდოდით კაკლისა თუ კოკის სათამაშოდ. ამ შეუწყვეტელი ბინების ცვლის დროს, შემხვდა პატარა, წყნარი ბინა, გრძობასაც მოუკლებლყო. ყორღანაშვილის სახლში ერთი ოთახი ექირა კეთილად სახსენებელ სოფიო პეტროვნა შევნივინას. რუსის ქვრივი, სომხის ქალი, ქურქების უბნიდან, შეძლების მექონიც კი. თითონ ის, მისი ქალი მანია, თითქმის ჩემოდენა, და მე ვცხოვრობდით ცალკე, ვისხედით ჩვენ ბინაში გუგულებივით. ქალი მშრომელი იყო, ამ დღე მუხლს არ ჩაიდრეკდა, ხელს არ დააყენებდა, ოთახის მოვლა, საკვების მზადება, ქრა-კერვა. თვითონვე ვაჭრობდა. მაგრამ ჩვენ, ბალებს, სალამო გვიხაროდა. სანთელს რომ ავანთებდით, პატარა ხალიჩას გამოვეწვივდით ბუხრისაკენ, ქრაქი ბუხრის თავზე გვედგა, ტახტ-ქვეშიდან გამოვთრევდით მოზრდილ ყუთს, რომელიც სავეს იყო ძველის-ძველი რვეულებით. ბევრი მათგანი ლამაზი ხელით ნაწერი, სულ ქართულები. წამოწვებოდა დედა სოფიო. ერთ მხარეს მანია წამოუწვებოდა, მეორე მხარეს მე. უფრო პირქვე ვიწვქით ხოლმე.



და დაიწყებდა კითხვას ხმამაღლა. ემარჯვებოდა ქართული. ყარაშანიანი, ვისრამიანი, ამირან-დარეჯანიანი, ვარდ-ბულბულიანი, ამირანიანი... და ვინ იცის კიდევ რაები. ათი წუთი არ გავიდოდა, რომ დეიდა სოფიოს ხმა შეემღვრეოდა ყელში მოდებულ ცრემლებით, მერე ტირილსაც ამოუშვებდა. თან ტიროდა, თან იღვერფლებოდა, ჩვენც გვატირებდა. ხან კასკასებდა, ჩვენც გვახარხარებდა, საცა კი შეგვხვდებოდა სასაცილო. ესე, ათის ნახევარზე ვიძინებდით. ერთი წელიწადი მომიხდა იმათთან ცხოვრება, და კეთილ ღიმილით ვიგონებ ჩემ იქ ყოფნას. წიგნები... მე რა ვიცი რა იქნა! ბურსაში დაგვაფიწყეს ქართული წიგნიც, იმათი ინტერესიც.

### ძალად ცხონება

კოდაზე, პატარა ოთახში, ტახტის თავით ერთი მოზრდილი თახჩა. შიგ ეწყო საეკლესიო ხელწამოსაკრავი წიგნები, ჯვარი და ოლარი, სანთელ-საკმეული, სანაწილე. მამა როცა ემზადებოდა წირვისათვის, დადებულ აკაფისტებს-დაუჯდომელებს ამ თახჩასთან კითხულობდა, როგორც რამ ნიშთან. როცა ზაფხულში საორთვეოდ ავიდოდი სახლში, ან ზამთარში დიდ დღესასწაულებში, იმ პატარა ოთახს დავეპატრონებოდი. კარგი ბუხარიცა ჰქონდა. თახჩაში ჩემ წიგნებს და საწერ-კალამს ჩავაწყობდი. ლოგინსაც იქვე პატარა ტახტზე გავშლიდი და იქ ვმეცადინობდი. ჩემ წიგნს კარზე ვერა ნახავდნენ, ფანჯარაში ვკითხულობდი, არც იმის თქმა მიყვარდა, რასა ვკითხულობ. მამა ცდილობდა, საეკლესიო წიგნებზე მივედრიკე, მაგრამ მე ვუხიაკობდი. მინც თავისას არ იშლიდა, ხერხს ეძებდა, როცა დაეწვებოდი, მაშინ შემოვიდოდა, დაანთებდა წმინდა სანთელს და მოჰყვებოდა ლოცვების კითხვას ნელის ხმით, თუმცა ჩემთვის კარგად გასაგონად. ძალაუნებურად ვუგდებდი ყურს. რა კითხვა იცოდა! როცა ძნელი ქართული შეხვდებოდა, იქვე ახსნიდა:

— პირად-პირადი, ე. ი. ფერად-ფერადი; ღვთიშობელო ქალწულო, მშვენიერო შროშანო—შროშანი—ყვავილია უშანკო, თეთრი...

ვსწავლობდი უნებლიედ, კიდევ მიხაროდა, რომ ახალ სიტყვებს ვიძენდი, დანატრულებული ვიყავი სკოლაში ნატიფ ქართულს. ხევაიანიც იყო ასეთი ცდა. რამდენიმე ლოცვა, მაშინ უწვიგნოთ დასწავლილი, დღესაც კარგად მახსოვს. ბოლოს, როცა უკვე დიდი ვიყავ, და მაინც ვერ შემაჯერო ეკლესიისკენ, მითხრა:

— ბიჭო, არ იქნა, ვერ მოვკიდე შენს გულს ღვთის სიტყვა, ალბათ სხვა წერაზე ხარ გაჩენილი. იყავნ ნება უფლისა!—მითხრა.

გალობის სწავლებაც სცადა რამდენჯერმე, აკაფისტებში საგალობლებს ჩაურთამდა, მაგრამ ამაოდ. არც თითონ ეხერხებოდა გალობა და ხმის შეწყობა, ვერც მე შემაჩვია. საეკლესიო წესები რომ მტკიცედ ვიცოდი, ეს აიხსნება ამ სისტემატიური წვრთნითაც.

### ქალადიდში

სენაკისკენ გაგვიწვიეს თხუთმეტიოდე კაცი საქეიფოდ. მასპინძელი იყო მაშინდელი საკმაოდ დიდი მემამულე ფარნა გვიჩია. ცხენებით მივდიოდით, ვაჟებიც, ქალებიც. შავ რაშხედ ვიჯექ. ჩემმა სახლის პატრონმა გიორგი ზედიამ

მომართვა. შევარდნეზივით შემოაფრინდნენ რაშებს მხედრები, თითო მითრახი გადაუჭირეს, აათამაშეს. მეც შეეჯექი როგორც იყო. სულ პატარაობის შემდეგ იშვიათად ვმჯდარეარ ცხენზე, ისიც რამე ფრახ ცხოველზე. ცხენის პატრონმა შემატყო, რომ მეშინოდა, წამჭურჩულა, ძალას ნუ დაატანო. მალე შეაჩნდა ერთი ჩვეულება: რუვს რომ ნახავდა ან ნაკადს, იშვერდა ოთხივე ფეხს და გადადრინდებოდა, ძლივს შევრჩებოდი. სალთა კაცი ვიყავე, ხუთ ოთახიანი სახლი მექირა. მე და ბედიას ოჯახი ვეარშიყებოდით ერთმანეთს. მდიდარიც იყო, ქალიც კარგი ჰყვანდა. მივედით, ჩამოვხდით, თითოს თითო ყაზახი მოგვიჩემეს სამსახურად. დიდი სადილი. შექეიფიანებული ხალხის არშიყობა. ერთი თავისებური თამაში. დადგნენ მწკრივში რგვლად, სულ მარჯვე ახალგაზრდები, დაბუქნეს, ორი წრე შემოიარეს დგომელა. მერმე ჩაიკრიბნენ მუხლებში და დაიწყეს ჩქარი და მწყობრი მოძრაობა, მოძრაობა კი არა, ფრენა მერცხალივით, თან დაჰმღეროდნენ ყველა ტაეპის ბოლოში, დასძახებდნენ: საბრ... ჰოი, საბრ... რალო.

კარალ და მოკავშულობაასხმულ მოცეკვავებს მოძრაობა თითქო სულ არ ემჩნეოდათ, ისევ ისე იყო გაჩერებული, ფარლული თუ საყური. ძალიან თავისებური მეჩენია. უნდა ჩამეწერა თვით მოძახილი, მაგრამ რა დროს ლაპარაკი და ჩაწერ-ამოწერა იყო ამ ვახელებულ ხალხში. ჩვენი სახლის პატრონი ქალი ჩემ გვერდზე დაფრინავდა, არ კი მგონია, რომ ფრთას ვუმშვენიებდი, ალბათ ძლივს დავაბიჯებდი, ცოტად ნასვამი. ლამე იქ დავრჩით. დაუშო წვიმამ, და რა წვიმამ: ნოე ცოცხალი ყოფილიყო, წარღვნა ეგონებოდა, ხომალდს შეუტყვეთდა. ბნელოდა, როგორც ჯოჯოხეთში, ალი რომ ქრება იქ. შემოაკლდათ თამბაქო, დაწვეს თუ სადმე წყოს ნატეხი ნახეს. ვახურებული სმა... თამბაქო ოქროზედ მეტად დაფასდა. მასპინძელი წამოდგა და შემოათვალეირა ხალხი, გამოვიდა ერთი ახალგაზრდა:—მე ვიახლები, ბატონო, თამბაქოს მოსატანად.

— საიდან?

— გაღმა დუქნიდან, რასაკვირველია!

დათანხმდნენ, შემოვიდა ცოტა ხანს შემდეგ. უწინდო ფეხზე ქალამანი, ვიწრო შალვარი და ჩოხა, გაწეწილი თმა.

— აბა რამდენისა მოვიტანოთ?

— აი ოც და ხუთი მანეთი, შენც გეყოფა, შენ სავაქროსაც.—გადადგა ფეხი უკან, ჩანთქა სიბნელემ.

— თუთრი ოც და ხუთიანი? ცოტაც არის, წერას ატანილი კაცი თუ ვაბედავს ეხლა ჭალადიდის ტყეზე გავლას.

გავხედე მე ფანჯარას. განა წვიმდა, რიონი გადმოშვებულყო, წყალი ხეებს წელამდი მოსდგომოდა. ისე სუბუქად რად ჩაეცვა, ვიკითხე,—რომ ტანისამოსი ვერ გაქლენთილიყო, თორემ ტყვიასავით დამძიმდებოდა.

მშვიდობით დაბრუნდა, რამდენსამე ადგილას მხოლოდ სისხლი გადმო-სდოდა ნაკაწრებისაგან. დაფეთებულნი ეცნენ თუთუნს. მეც ავიღე ერთი გლარ-ჯის მილი. ბოლი იყო, სხვა არაფერი.

— და ამისთვის კაცის სიცოცხლის გამეტება?

## ვირი ბანზე

ვირს მეტად უყვარს ნაცარი. ნაცარში ჩაღვრმა და მტერის აღენა ქერისკამას ურჩევნია; ნაცარში გორაობა ხომ ნარის ყვავილების კვენტასაც უჯობს.

ვირი გვეყვანდა ჯიმშერა. ბოხარი გამოეწმინდათ. საესე ტაშტი ნაცარი ბანზე აეტანათ და დერეფნის კედელთან ახლო დაეყარნათ, თანაც გაეშანწლოთ: მიწურ ბანში ძნელად უშვებს ნაცარი წვიმის წყალსა. ჯიმშერამ თვალი მოჰკრა გათანტულ ნაცარს და ავიარდა ბანზე ყროყინით, ერთი დასუნა, ერთი დაჭერუტუნა ნაცარს, ჩაიკეცა და გაგორდა მადიანად.

ვერ მეეზომნა თვალით! რო გადაგორდა, ასცდა სახურავს და ძირს ხვათქანი გასცივდა. ვეღარც ადგა, ძნელიც იყო. კედლის სიმაღლე ოთხ ადღამდე იქნებოდა. მოკვდა, მოკვდა ჯიმშერა საწყალი.

## გ ა ლ ა ვ რ ი

ოთხი გაკვეთილის შემდეგ ვბრუნდებოდი შინ ჰოლიციის ვიწრო ქუჩით. ჩავათავე ნახევარ-ქუჩა, თან ახლად ჩატყვიავებულ ჯილას ვსინჯავდი: ხან ავაგდებდი, ხან მიზანში ვესროდი.

— ჩავალ, დავისწავლი გაკვეთილებს და წამოვალ კოქის სათამაშოდ, ვფიქრობდი.

უეცრად მომესმა დიდი ღრიალი, ძახილი, ყრიაშული. მივიხედე უკან და რა დავინახე:

ვეებერთელა კამეჩს დაეწყვიტა აპურები და გაგიყებული მორბოდა, თან დორბლს ქაფად ყრიდა. ძლიერი იყო, თითო მუხლის გადაკვრანე თუ ბარძაყისა ორ-სამ კაცს აქცევდა, თანაც რქებით მუშაობდა. ხალხი და ღრიალი თან და თან ემატებოდა, დამიახლოვდა. დავიფანტე. ის იყო უნდა წამომწყეოდა, რომ ძველ კედელში დავინახე კარი შეღებული, ვეძგერე და, ტახტი მდგარიყო, იმას ვეცი. ის იყო ჩამოირბინა ვაცოფებულმა კამეჩმაც.

ჩემ შევარდნაზე, ხალხის ღრიალ-ყვირილზე დაფრთხა ბებერი დედაკაცი.

— ვაიმე, რა ამბავია! — დაიძახა.

— კამეჩია გაგიყებული.

— მიხურე!

საჭირო აღარ იყო, ქვეით ჩაიარა ამბავმა. დედაკაცს სადილი ჰქონოდა გაშლილი, შექამანდი ედგა, ერთი სტაქანი ღვინოც. შექამანდს არა დაუშავდარა, ღვინო კი დაიღვარა.

დამსვა, მაწყნარებდა:

— დაიცა, შეშინებულსას შეგილოცავ!

ნახშირი გამოიღო, შავ-ტარა დანა აიღო, დაიწყო დუღუნე, თან მარიგებდა:

— წყნარად იყავ, სასოებით, და უსათუოდ გარგებს. წყალი ჩამაყლაპა, მომიალერსა და გამომიშვა. ამის შემდეგ კვირაში ერთხელ მაინც შეგბრუნდებოდი და მოვიკითხავდი.

სოფელში რომ უამბე, დედამ ყურადღება მიაქცია. მეც წავხალისდი და და ბებერი ლამის მოხუც ანგელოზად დავსახე.

გავიდა ზაფხული, როცა ქალაქში მამგზავრებდნენ, დედამ ერთი ქილა ერბო ჩადგა ხურჯინში, პირზე ფაშვი ჰქონდა გადაკრული:

— ეს ქილა მთავრად იმ შენ ახალ ბებოს, მოიკითხე ჩემ მაგივრად, მაღლობა გადაუხადე გადარჩენისათვის.

ჩავედი, ავასრულე დედის სიტყვა. ძღვენი რომ მივართვი, დედაცატი გაშტერებული დარჩა, მემრე ატირდა:

— მაღლობა ღმერთს, ქვეყანაზე კიდევ ყოფილა კარგი ხალხიო.

ამბობენ, ბებრებს გული დაქვლილი აქვთ, და მცირე კეთილზე თუ ბოროტზედ ნამი მოსდითო თვალზე.

მანამ ავასრულებდი დედის სურვილს, ღმერთს ვეღროიჯებოდი:

— ჯერ ნუ მოჰკლავ ბებერს მეთქი, ერთი მივართო ეს ძღვენი, გავახარო. აესრულებინა ღმერთს.

ალბათ მართლა შიგა და შიგ გულჩვილობას იჩენს ხოლმე.

### ი ა გ ო რ ი

კიდევ მითქვამს: ჩვენ, ბარნოვიანთ ოჯახიდან, ერთი რომ ღვლად მიდიოდა, მეორე ხმალს ემსახურებოდა. ჩემ პატარაობას, მოსამზადებელ კლასში რომ ვიყავი, ბიძა იაგორი ჯარიში იყო და ომობდა. მაშინ გაუწყვეტლად ომობდა საქართველო რუსებთან ერთად. ლეკს ებრძოდა, ჯავრსა ყრილობდა. იაგორი უბრალო ჯარისკაცი იყო. რახან არაფერი შესაძინევი მოწმობა არა ჰქონდა, სკოლაშიაც დაბალი საფეხური გაეთავებინა, მის აუცირობაზე წარდგენა მხოლოდ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. გამოჩენილიყო ასეთი შემთხვევა: აფიცერი ავად გამხდარიყო და ბარნოვი ჩაეყენებინათ ხელმძღვანელად. დაენახათ, რომ დიდი ბრბო ლეკებისა შეეფარა ტყეს, რომელშიც უკვე ჩასაფრებული იყვნენ ქართველები. ჯარი სასოწარკვეთილებში შესულიყო: ლეკი რომ სამოკ კაცამდე იქნებოდა, ქართველნი ათამდე. რამე ხერხი თუ გადაარჩენდა, თუ არა ამოწყდებოდნენ ქართველები.

ჩავედა მზე. დაბნელდა. იაგორმა მოისახრა, ჩასაფრებული ლეკი საით წავიდოდა.

და ზედ გზაზე ჩააყენა თავის კაცები. ერთად კი არა, სულ ცალ-ცალკე, სხვილი ღეროიან ხეების უკან.

— არ დაიძრათ, არც თოფი გაისროლოთ, მანამ ჩემი თოფის ხმა არ გაიგონოთ!

მერმეც ერთბაშად კი ნუ დასცლით თოფებს, კანტი-კუნტად ესროლეთ და რა წამს ვინ გაისროლოს თოფი, მაშინვე ადგილი იცვალოს, სხვა ხეს ამოფაროს და თოფი გატენოს, მოიმარჯვოს. სროლა შეუწყვეტელი გამოვა. მტერს უნდა ეგონოს, რომ ქართველები ბევრნი ვართ და დიდი ადგილი გვიჭირავს. აუსრულეს ბრძანება. ჯერ ღამე გატეხილი არ იყო, რომ ლეკმა შეგვამჩნია და დაგვიწყო სროლა. ტყეებისგან ხე ივარავდა ქართველს, გავარდა თოფი სხვა ადგილას, მარცხნივ, მარჯვნივ, მოშორებით. სიჩუმე კი იყო ქართველთა ბანაკში. თუ მომაკვდავის ძახილი გაისმოდა, ეს ლეკის ბანაკიდან იყო. ლეკმა ვეღარ გაბედა წინ წასვლა, რომ გამოეკვლია მტერი. რიყრავი, ახალი გათე-

ნება. ლეკი ნელ-ნელა გაიპარა, რამდენიმე მკვდარი დაეტოვებინა ნაომარ აღ-  
გილზე. ტყვია ხეებს ასხმოდა. ძალიან მოუწონეს ხერხი იაგორს, ჯვარი მისცეს  
და აფიცრობაზე წარადგინეს. დრო იყო აღნიშნული, როდის მოეცემა იმას  
წაოჩინება. მეფურნა შინ წიგნი, ისიც მეფურა, მოვალ ვნახავთო, მაინც საქმე  
მაქვს მაინთაო. პაპა აღელდა სიხარულათ და დანიშნულ დროს, ახლებში ჩაც-  
მული, ყავარჯნით ხელში, გაუდგა გზას, რომ შეჰპროდა თავის ბედნიერ შვილს.

წავედით. გადასახედავზე შევედქით. იქიდან ჩანდა ყველა მომავალი, თუ  
მიმავალი. კარგა ხანი ვუცადეთ, კიდევ გადაწყვიტეთ, იქნება დღეს ვერ მოვი-  
დესო. მაინც პაპა გაჯიუტდა და იჯდა ქვაზე. ცოტა და გამოჩნდა ერთი ცხე-  
ნოსანი ბუღამის თავქვეზე. ორი, სამი... სამხედრო ურემი, კაცები სულ თოფ-  
ქვეშ იყვნენ, იაგორი მოუძლოდა წინ. დავიძარით ნელ-ნელა, შევხვდით, გადაე-  
ხვივნენ ერთმანეთს მამა და შვილი. ჩვენც გვაკოცა გამარჯვებულმა. აქამდინ კი  
ეგრე არ იცოდა. როცა მოვიდოდა და გვნახავდა, შუბის ქარქაშს გადმოგვიჭი-  
რებდა თითოს. საშინელი ტკივილი იყო: ქარქაშს ბოლო ჩატყვიანებული  
ჰქონდა.

შინ რომ მივედით, ლამაზი სანახავი ვნახეთ: ბებო ქათბოში მორთული,  
ქალები ახლებში მოგვეგებნენ ღობის გარედ. ბებო ტიროდა სიხარულით. თითქო  
აღდგომა არის და ეკლესიაში მიდიანო, ისე იყვნენ აფერადებული და მხიარუ-  
ლები. სადილიც კარგი დაგვხვდა. დაუკრეს. ჩამოდგა, ითამაშა იაგორმა, ძალი-  
ან მოუწონეთ, არ ვიცი, მართლა კარგად ცეკვავდა, თუ ჩვენ ყველა მისი მო-  
ძრაობა ლამაზი გვეჩვენებოდა.

სტავროპოლში მარხია ის ჩვენი კარგი ძია!

### ბებერიც რუსის წერა ყოფილა!

ჩვენ მეზობლებს მათუხალის ტოლი ბებერი ჰყვანდათ. ცხოვრებაში ერთხელ-  
ორჯელ ჩაეხედა მისთვის სულთამხუთავს ცეცხლიანი თვალებით, მაგრამ გას-  
ცდენიყო, არ წაეყვანა, მემრე სულ დაჰვიწყებოდა. ცხოვრობდა უტკივარი, თან-  
დათანა ხმებოდა, ილეოდა. კიდევ დაჰვიწყებოდათ მისი წლოვანება. ცოცხლო-  
ბდა, თან ყმაწვილდებოდა.

ბალღივით ცელქობდა, თამაშობდა, ასდევდა მესამე თაობას. მეტადრე  
უყვარდა ტიკინები. თითონ აშენებდა, უჭრიდა-უყერავდა, ურეცხავდა, ნანას  
ეტყოდა. თუ სახლში მოკედებოდა ვინმე, ჩასძახებდნენ:—ბებო, ესა და ეს ბალღი  
მოკვდა.

— იპ, რა ვქნა, მე ჩემი ბალღები მყვანან მოსავლელები! იტყოდა. ის იყო  
მისი გლოვა. რომ ძველ ამბავზე რამე სიტყვა ჩამოფარდებოდა, იტყოდნენ: ალ-  
ბათ ბებო მოესწრობოდა, მაგრამ გამოოგნდა და ველარას გვიამბობსო!

ცხოვრობდა ესე, თავისთავს თვითონ უფელიდა.

კოდაზე მშრალი ნიადაგია, ხმელი, და სახლები მიწურები ჰქონდათ; ზამ-  
თარში თბილი, ზაფხულში გრილი, უნესტო. მხოლოდ მთელ ოთახებს ერთი  
მთლიანი მიწური ერდო ჰქონდათ, ფრთებ ჩამოშვებული, საიდანაც გინდოდა,  
იქიდან ახვიდოდი ბანზე, მხოლოდ წინა მხარე მალალი იყო. ამ მხრივ ქვის კე-  
დელიც ჰქონდა გავლებული.

ბებერს სწორედ ეს მყუდრო ადგილი უყვარდა, აქ თამაშობდა, აქ ეძინა. ერთხელ რუსის ჯარი იდგა სოფელში. ერთი რუსი ასცდენოდა ჯარს და დახეტიალობდა სოფელში. ასულიყო ერდოზე, დადიოდა, ხან ერთ ბანში ჩაიხედებდა, ხან მეორეში. მიაღწია დერეფანს, გადადგა ნაბიჯი ნოუფიქრებლად და ჩავარდა, ზედ ი ბებერს დაეცა და გასრისა სიფრიფანა დედაკაცი.

რომ დახედეს, გაცინათ:

— ეს ბებერიც რუსის წერა ყოფილაო, თქვეს.

რუსი უვნებლად გადარჩა, ადგა, იძახდა:

— ეშმაკმა ქამოს ამ ბებრის თავი, აქ რა უნდოდაო!

### თ ე ვ ზ ე ბ ი

ტოლათ-სოფელს რომ ხევი ჩამოუღიოდა, არ იყო დიდი. თევზი ბლომად იცოდა, მხოლოდ პატარები—ჭიჭინები. კაცები ღრმად შედიოდნენ ტბორეებში, მსხვილებსაც იჭერდნენ. ბაღლები კი პაწააებითაც ვემაყოფილდებოდით. თევზი აქ ამოდიოდა იორიდან აძეით. ერთხელ ჩავირბინე წყალზე, ზუერებსა ვჭრიდი, დავინახე გუბე. წყალი რომ დამშრალიყო, ეს გუბე შერჩენილიყო. გუბეში (თვალებს არ ვუჯერებდი) დავინახე რამდენიმე დიდი კაპოეტი, ვერსად წავიდოდა ეხლა ის.

გავიჭეცი ვუთხარ დედას. ავიღე სათლი და დავბრუნდი, გუბედან წყალი ცოტა კიდევ გავუშვი, ისე რომ თევზებს ზურგი ამოუჩნდათ. ჩავედი გუბეში და სულ ხელით ამოვიყვანე. ხტომი-ხტომით წაველი, ვუჩვენე დედას. თევზები კი პირსა დაფაუნდნენ. ჩავუსხით ახალი წყალი. ჯერ კიდევ ეტყობოდათ სიცოცხლე, იძროდნენ.

ზედატანებაზე მამა მოვიდა, გასინჯა თევზები, მომიწონა ნანადირევი, თითონ მოგვიხარშა. თევზის გაკეთების ხელი გამოცდილი ჰქონდა.

### ა ლ ქ ი

ტფილისიდან გასვლა აგარაკზე მეტად საჭირო ყოფილიყო. უნდა ოჯახი მოშორებოდა უდიერ სიციხეებს. დავიწყეთ თათრის ელივით გადასახლება. ჩავაბარგებდით—წავიდოდით, მივიდოდით, ისევ გავშლიდით საჭირო საგნებს. ჩემთვის ხათბალა იყო ეს აბარგებ-დაბარგება. ამ სააგარაკო ადგილებიდან პირად მე უფრო მომეწონა მანგლისი. ერთხელ მშვენიერ ადგილას დავიჭირეთ საზაფხულოდ სახლი. მისული იყო ზედ ფიჭვნარამდინ. ჩენი ეზო იმავე დროს ნაძენარის ნაწილი იყო. დავდგი უბრალო ხის მაგიდა, ლურსმებით მაგრა შეკრული, გავიტანე ქალაღი, საწერ-კალამი და დავჯექე წერად. იქ დავიწყე და იქვე ვავათავე რომანი „მიმქრალი შარავანდედი“. ჩაისაც იქვე ესვამდი, პურსაც იქვე ვჭამდი, გავეცანი ზოგიერთ ხეებს, დავუშობილდი. კარგები იყვნენ მზის სხივებზე აზზინებული მათი დანამული ტოტები. ერთმანეთში სცოდნიყოთ ბასი, მიშველებაც სჩვევოდათ ერთმანეთისა. სადაც მაგიდა მედგა, იქ ერთი ხე ქარს ძირიანად ამოევლო. მეორე მიჭველებოდა, მკერდზე მიეყრდნო და დღითი-დღე თუ თვე და თვე, შერყეული ახალ ფესვებს ხვევდა დედამიწას.

წყაროც ახლო გვქონდა, როცა დაბნელებოდა, უნებლიედ ავკრებდი სა-  
მუშაოს, ერთად შევაგროვებდი რვეულებს; თეთრი ქვა მქონდა გვერდზე, იმ  
ქვას დავადებდი, რომ ქარს არ გაეშანლა.

ვახშმად ძალიან მიყვარდა ახალი ცივი წყალას სმა. ავიღებდი სურას და  
წავიდოდი წყაროზე.

ყანაზე გადადიოდა ბილიკი. ის მიხაროდა, რომ სახეზე მიშხაპუნებდნენ  
თავთავეები. შეეხედე წყაროს. მის თავზე კედელზე, თეთრად რაღაც მომჩვენა.

— ძალი თუა! — ვიფიქრე.

არც დამყეფა, არც ინძროდა. ზედ რომ მივედი წყალზე, გავარჩიე კარ-  
გად: ქალი იჯდა დედიტშობილა, თმა გაშლილი.

გავიმაგრე გული და მივედი, ავაესე სურა, კიდევ დაველიე. მოჩვენება იჯდა  
უხმოლ, ფეხებს იქნევდა. შეეკრთი, არა, მოჩვენებისა კი არ მეშინოდა: გიჟი თუ  
ჯამოპპარეია ქირისუფლებს, გავიფიქრე, ნელი ნაბიჯით წამოვედი, მანამ შემო-  
ვერიე ყანაში.

### ქ ა დ ა გ ი

ხევსურებს მოსწონდათ ქადაგი: მომავალს ხედავს და გვიამბობს. თითონ  
კი არა, ხატი ჩასჩურჩულებს ყურში და, რასაც ის ეუბნება, იმას ამოიძახებს  
ჩვენ სასმენად.

გავიქექით ბალღები: აბანთ სახლში მოსულიყო ქადაგი და მკითხაობდა.  
ჯერ ისე ახალგაზრდა დედაკაცი იყო. სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა. თვა-  
ლები დაკარგული. ხევსურები გარშემო უსხდნენ და უსმენდნენ.

ენახოთ, გაინდა მამა, მოდიოდა ყავარჯნით ხელში, მოაბიჯებდა.

— რა ამბავია, რას აკეთებთ?

კაცები ფეხზე წამოდგნენ.

— არც რას, მოძღვარო, აი ქადაგი მოსულა და გვიმკითხავენს.

— მაგან თავის თავისაც არა იცის რა, თქვენ რა უნდა გითხრათ!

— გვეტყვის, ხატი ეუბნების.

— აბა სად არის?

— ჩვენ ვერ დავინახავთ!

— ჩვენთვის უჩინარია.

ღვდელმა მოზომა თვალით მკითხავი, ასწია თავის არგანი, მაგრამ სხეებ-  
საც ეთვლიერებინათ. სწედნენ ჯოხში, არ მისცეს ნება დაეკრა. დედაკაცი გა-  
აბარეს დიაცებმა. ღვდელს და ვაჟაკებს თითო ყანწი არაყი ხვდათ, აბას სახლი  
შეძლებული იყო.

### გ ა გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

გოგებაშვილი სასწავლებლის ზედამხედველად რომ მოვიდა, მესამე კლასში  
ვიყავ. მაშინ ჯერ შხებლა ისევე მეფობდა. დაბალ კლასებში, საცა წვრილფეხობა  
იყო, ყველა გაკვეთილზე გამოისმოდა ბლავილი და ღრიალი.

დღის განმავლობაში ნახევარი კლასი მაინც დაიშხებლებოდა. რაც კლასი  
უფრო ზევით იყო, იმდენი იშვიათად იცემებოდა, თუმცა სულ ზემო კლასსაც

დანაშაულის დროს არ ასცდებოდა ეს. კონების მოტანა დავალებული ჰქონდა იმ შეგირდებს, რომლებიც განაპირას ცხოვრობდნენ, ბაღების ახლო. იმ ბაღებიდან იპარავდნენ წველებს და კლასში მოჰქონდათ, იქვე ინახებოდა მერხებში. შიშით ვინ ახლებდა ხელს. ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ცემა, რომ თუნდ ეჭვარბი მოსულიყო კლასებში დასავლელად, მასწავლებლები თავისას არ იშლიდნენ.

— გოგებაშვილი! გოგებაშვილი!— გაისმა ხმა, ჩვენ ზედამხედველად რომ დანიშნეს, ისა! წამოსადეგი კაცი გამოდგა. ბეწვის საყულოიანი გვებანაკი ესხა. ჩამოიარა ყველა კლასები, ხელი ჩამოართო მასწავლებლებს, შეგირდებსაც გადამოუგდო ზოგი რამ სიტყვა.

— კაცო! კაცო! ახალ ზედამხედველს შეხება და შიშმა გადაუგდია, უთქვამს, ვერ მოვითმენო, რომ შეგირდებს ლახამდეთო.

მართლა, და იმ დღიდან შესწყდა კლასში მოსწავლის გალახვა. დაჩოქებით დასჯასაც უკვე ერიდებოდნენ მასწავლებლები, ალბათ ამასაც არ იყბულებსო. ისე ერთბაშად გადაეარდა ფიზიკური დასჯა, როგორც წისკვილს წყალი გადაუგდო, და ბორბალი შესდგეს. წარმოიდგინე, დაშინდა მასწავლებლობა.

— კაცო, ამბობენ, რასაც იტყვის, გველის ხერულში გაძვრება და აასრულებს კიო.

ესე დალოცვილი გახდა მის შემოსვლის დღე.

თითონ კარგი მასწავლებელი გამოდგა. აქამდინ ყველაფერს ზებირად ვსწავლობდით, და მასწავლებელსაც წინ გაშლილი სახელმძღვანელო ედო, რომ მოწაფეს პასუხის დროს არაფერი აერივნა ან შეეშალნა. ეხლა, გაკვეთილის მიმდინარეობის დროსაც და მოსმენის დროსაც, თვითნებულ სიტყვას გვიხსნიდა თითონ, მასწავლებელსაც ეს სთხოვდა.

ყველა კლასიდან ამოირჩია საუკეთესო მოწაფეები. სადილს უკან, დანიშნულ დროს, ავიდოდით იმის ბინაზე, და ის დაგვასწავლიდა მოცემულ გაკვეთილს, მოგვისმენდა. ჩვენ უნდა ეს გაკვეთილი კლასისთვის გვესწავლებინა, ჩვენი ჯგუფებისათვის. თუ შეგირდმა გაკვეთილი ვერ იცოდა მეორე დღეს, მიზეზს ჩვენ გვკითხამდა. თუ რომელიმე მშველელი არ გამოდგებოდა, შესცვლიდა სხვა მოწაფით. მართლა და ამ ფონდმა მუშაობა გააძლიერა, და ამას თავის სახეირო შედეგი ჰქონდა.

ერთი საკვირველი ჩვეულება:

მაშინ მიღებული იყო, მასწავლებელს ბავშვის კირისუფალი ნოიკითხავდა, მობრთმევდა ხილს, ნამცხვარს თუ მაგისტანა სხვა რამ საიასალოს. ეს ქრთამად არ ითვლებოდა. მასწავლებელს სახლში მობრთმევდნენ. იაკობი ამაზე უარს არ ეტყუოდა, ჩამობრთმევდა, გადასდებდა, დამატებითი გაკვეთილის შემდეგ მოსაკითხს ჩვენ დაგვირიგებდა. ძალიან გვიხაროდა, როცა ვინახავდით,— ფანჯარაზე ეწყო ჩურჩხელების კონა, ვაშლები, მსხალი, ნაზუჭი, ვიცოდით გაკვეთილის გათავებისას ჩვენ დაგვინაწილებდა, ვხალისობდით.

მაშინ პანსიონებიც იყო სასწავლებელთან, მაგრამ საშინელი უშმინდურობა და ქუქყი სუფევა. გოგებაშვილმა მოსპო ეს მწვირი. თითონ დაივლიდა, გასინჯავდა ყველა ლოგინს, საცვლებს და, როგორც შეიძლებოდა, ისე ასუფთავებინებდა. ზედმეტი ფულიც გამოალებინა ამ საგნისათვის სამღველოებას.



ციაგი შემოგვადგა მის მოსვლით საწყალ, დაჩაგრულ შევირდობას, და დიდ პატივსა ვცემდით, ვეთაყვანებოდით.

კოლშვილს არ მოეკიდა, დრო იღარ მექნება, ჩემ არჩეულ საგანს, პედაგოგიკას, შევსწიროო ჩემი შრომაც და ჩემი დროცაო. ბოლოს კი ნანობდა ამას. ამაყ კაცს ხანდისხან უთქვამს ჩემთვის:

— შეცდომა მომივიდა, რომ ესე უჩამომავლოდ ჩავიარეო.

ბოლოს ვნახე, როცა ის მძიმე ავადმყოფი იყო. მითხრა:

— რაც აზრი მქონდა, ავასრულე, ქართულ სკოლას საფუძველი ჩავუყარეო!

ვუპასუხე:

— ძვირფასი შრომაა. სკოლა გაქართულდა მავ შრომით, მაგრამ სულ ყველაფერი ვერ აასრულე!

— რაღა დამრჩა გასაკეთებელი?

სცადა რიხიანათ სიტყვის შემობრუნება.

თავი ისევ ბალიშზე დაუვარდა.

მე გავიღიმე:

— ის დაგრჩა, შენი ნაშრომები მთლიანად არ გამოეცი, რომ მალაზიაში შეესულიყავი, მეთქო:—გოგებაშვილი! იმასაც დიდტანიანი ერთი წიგნი გადამოელო!

— მართალს ამბობ მაგას-კი! აზრადაცა მქონდა, მაგრამ არ დამცალდა.

— მაშ, როცა მოიხიდი ამ ავადმყოფობას, აასრულე. შენი თხზულებები შენზე კარგ გამომცემლებს ვერ იშოვიან.

### ბ ა კ ა რ ი ძ ე

ვახშაშზე ინსპექტორმა გამოგვიცხადა, ხვალ თქვენთვის დაყორულებულია ერეკლეს აბანო, და ოც-ოცი, ოცდახუთი, მეტი ნუ წახვალთ ჯერზე, ისე კი რომ სადილობამდინ გათავდეს დაბანვა. ერთი ჯგუფი სისხამ დილაზე წავედით. რომ შევედით, უცხო ხალხი დაგვიხდა იქ, ბანაობდნენ. ვცადეთ გაგვერეკა, არ დაგვიჯერეს, მუშტზე დაიწყეს ყურება. გავიდა ერთი ოციოდე წუთი. ვბანაობდით, თან ერთმანეთს უღრენდით. ვერ მოითმინეს სემინარისტებმა, შარი მოუდეს. ასტყდა ლანძღვა. გაიტყუაშუნეს სილებმა. დაეშო მუშტი სახეს. მოიბასრა სისხლით არა ერთი. ჩხუბი გამწარდა, მეაბანოე შემოვიდა, იმასაც სცემეს. შეეტყობინებინათ პოლიციისთვის. შემოვიდა პრისტავი, რის ვაი-ვაგლახით გააშველა მოჩხუბრები, გარეშენი ძალიან ნაბეგვები აღმოჩნდნენ.

— ჩავიოციათ ხალხი, ამას ესე უბრალოდ ვერ ჩავატარებ. აბა, თქვენნი გვარი და სახელი!

ტიტლიკანები წავდგებოდით, გკვითხავდა გვარს, სახელს. ვეტყოდით: ჩალაძე, სანთლოვი, ქადაშვილი, ჯაგიძე...

— აბა, იბანეთ ეხლა. დაათავეთ, ფრთხილად წადით. მე ამ სიით იქ მოვალ და გიჩვენებთ თქვენ სეირს, თან გვემუქრებოდა, თან ეღიმებოდა. მიხედა, რომ ნამდვილ გვარებს არ ვამბობდით.

წავედით, სემინარიაში ვიკვებდით გამარჯვებამ. თან იმაზე ვიცინოდით, როგორი გვარები ჩავწერეთ მოსატყუებლად. ინსპექტორთან ჩვენა ვთქვით, არ გვიჩხუბნია, სხვებმა იჩხუბეს და ტიტვლები სემინარისტები ეგონათო.

ინსპექტორმა უთხრა პრისტავს:

— აბა, გვიჩვენე გვარები, და მე ვიცი, რასაც ვუხამ.

პრისტავი კითხულობდა: სანთელოვი, ქადაშვილი, კალამ-მკვლარი... ინსპექტორი თავს იქნევდა:

— არა, ასეთი ჩვენ არა გვყავს. პრისტავმა ამოიკითხა: ბაკარიძე.

— A-a, Это, наверное, верзнула Макаридзе! დამიძახეთ!

პრისტავმა შეხედა, იცნო ვეება.

— ეს იყო სწორედ.

გააკავეს, ჰკითხეს, ათქმევინეს, ვინც ვიყავით ჯგუფში. ინსპექტორმა ჩასწერა, აღუთქვა პრისტავს. ის რომ წავიდა, მიუბრუნდა მაკარიძეს:

— Чудак, ყველამ გამოსცვალეს გვარები, და შენ რაღა დავგმართათო.

— მეც გამოვცვალე, ბატონო ინსპექტორო, ბაკარიძე დავწერე.— დასცინა. გამოაგდო. თითო თავში ჩააფარეს ამხანაგებმა.

ამის იქით მაკარიძე აღარ იყო სემინარიაში, ბაკარიძე იყო.

### რვეულის გასწორება

შემოვიდა კლასში მასწავლებელი. ახეზილი იყო.

— თქვენ ღირსნი არა ხართ რომ კაცმა ყურადღება მოგაქციოთ და მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს თქვენზე.

— რათა, ბატონო მასწავლებელო, რა დავაშავეთ?

— დღეის ამას იქით თხზულებებში კარგ ნიშანს არ დავგისომთ, ზევითი ნიშანი— კი არა, სამიანსაც მოგანატრებთ.

— არ გვეტყვიტ, ბატონო, რა დანაშაული გვაქვს?

— თქვენც კარგად იცით.

ექზარბს გაეჯორა.

გავიდა ერთი თვე. იმავე მასწავლებელმა მოგვცა თემა. დავადგინეთ, ისე დავეწერა, ფორმის გულისათვის. მართლაც, ეგრე დავწერეთ, უგულოდ. გავიდა დღეები.

დამიბარა რექტორმა. შევედი თუ არა:

— სანაქებო მოწაფედ ითვლები, და რაღაც დავგიღაბნია, მასწავლებლისთვის მიგიცია.

ხელში ეჭირა რვეული, იქნევდა. თხზულება წითელი მეღნით იყო ავარგარებულნი.

— ეს რა ამბავია, სამი ზის და ისიც კუდებით. არა მე ამას ვერ გაბატებ ვერც შენ, ვერც მთელ კლასს. სამაგალითოდ დავსჯით. ილანძლა, ილანძლა.

— გვიბოძეთ, ბატონო, რვეული.

დავხედე, ნახევარი თხზულება გასწორებულია წითელი მეღნით. აწერია „შეუძლებელია გასწორება“. ზის სამი ორი კუდით.

— და ეს სამუშაო გგონიათ?

- არა, ბატონო, მე სრულებით არ ჩემუშავია, არც კლასმა იმუშავა.
- მაშ?
- მე გადმოვწერე მთელი თხზულება სიტყვა-სიტყვით წიგნიდან (წიგნის ავტორი იყო განთქმული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი ნაველი).
- აბა, მოიტა, მიჩვენე.
- ჩამოფურბინე წიგნი. მასწავლებლისაგან გასწორებული ადგილიც და მთელი თხზულებაც წიგნში იყო.
- გაშტერდა.
- როგორ გაბედეთ გადმოწერა?
- ესე, ამ თემის მოცემის წინ შემოვიდა მასწავლებელი კლასში გაჯავრებული, გვეცა და თქვა, ამის იქით სულ მალალი ნიშანი თქვენთვის არის სამი. ჩვენც აღარ ვიზრუნეთ.
- როგორ გამიბედეთ თქვენ? როგორ შეიძლება? ღირსი ხართ დასჯისა. გამოშართო რვეული. მიუტოლა სხვა რვეულებს. ჯვარი აღარ გადმომწერა:
- წადით, მომშორდით თვალიდან,—მკაცრად თქვა, მაინც ხმაში სილბოეტყობოდა და თვალბეჭეში ღიმილი.
- მასწავლებელი ერთი კვირა ზედ არ გვიყურებდა, ალბათ ძალიან გაჯორა რექტორმა.

### გაკვეთილი ზურგზე

რექტორი გვასწავლიდა ზნეობითი ღვთისმეტყველებას. ესეთი ჩვეულება ჰქონდა: ერთხელ რო მოგისმენდა, მემრე თავს დაგანებებდა, მანამ მთელ კლასს არა ჰკითხავდა. მოწაფეებმა უკვე ვიცოდით, როდის უნდა დავისწავლოთ გაკვეთილი კარგა, და როდის შეიძლება არ დავისწავლოთ, კვირაში ორი გაკვეთილი ჰქონდა.

— დაიძახეს: ჰარიქათ, ეკზარხი მოვიდაო. ეკზარხი ევსევი იყო, ცეცხლივით ცხელი. გაიკანკა მთელი სემინარია, მეტადრე მასწავლებლები, ჩვეულებად ჰქონდა ამ დიდ უფროსს: აღმინისტრაციასაც, მასწავლებელსაც რამე შარებს მოუდებდა და გასჯორავდა.

რექტორის გაკვეთილი გვექონდა. შემოვიდა ეკზარხი. წაიკითხეს ლოცვა, უმღერეს „ისპოლაეტი დესპოტა“. მივიდა და ჩაჯდა სავარძელში. რექტორმა გადუშალა ჟურნალი, თუ ინებებთ კითხვასაო.

— თქვენა ჰკითხეთ!—უბრძანა რექტორს.

ჟურნალი კი არ მისცა, იდაყვი დააბჯინა წიგნს. დაიბნა რექტორი, არ იცოდა ვისთვის დაეძახნა, ვინა ჰყვანდა მოსმენილი.

— ბარნოვ ვასილი!—დაიძახა უცაბედად.

წამოვდექი. გაკვეთილი არ ვიცოდი, ჩემი ჯერი არ იყო. მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა მეთქვა, რომ არ ვიცი, შევარცხენდი კლასსაც, მასწავლებელსაც.

ჩემ წინ ნესტორ ყიფიანი იჯდა, ზორბა ვაქაკი. ყარამანის მხარბეჭიანი. დავსწვდი ჩემ წიგნს, მოვკმუქნე ხელში ის ფურცელი საცა გაკვეთილი იყო და გაეკარ ნესტორას ზურგზე. საყელოში გავუმავრე ზევითი მხარე, დავდექი და

ისე მკაფიოდ დაუწეე ლაპარაკი, თითქო მარტო ეს გაკვეთილი მისწავლია გუშინაო.

ექზარხმა ერთი მესროლა:

— Хорошо!

რექტორმა რალაც შენიშნა. მე რომ გაკვეთილს ვამბობდი, ის ნელნელა წამოვიდა ჩემკენ. მე ყურიც არ გავიბერტყე, მოვიდა და ჩემ გვერდზე დადგარა უნდა მექნა: ფურცელი გამომეღო საყელოდან, მაშ უნდა დავჩუმებულიყავ, რა ვიცი, რა ეწერა ქვევით!

მე განვაგრძე ჩემი გაკვეთილი.

დაიძახა:— Довольно с него, хорошо!

მაშინ ჩამოვხსენი ფურცელი და შევინახე ისევ წიგნში. რექტორს სახე გაქვევებული ექირა, კლასში აბა რას მეთყოდა.

რო გაათავდა გაკვეთილები, და ჩაცვივდით სასადილოში დაქიმითებული-ახალგაზრდობა, შემოვიდა რექტორის მსახური:

— რომელია აქ ბარნოვი? ეხლავე რექტორთან.

არ გამეზარდა, ზღაზვნით წაველ.

— გაკვეთილზე ის რა თაღლითობა ჩაიდინე! როგორ გაბედე! თუ გაეგო ექზარხს, შენი სინსილაც აღარ იქნებოდა სემინარიაში.

— ჰო და მეც მაგისი მეშინოდა, მეც გამომავდებდა, მთელ კლასსაც გამოლანძღავდა (თითონ რექტორი აღარ ვახსენე).

გაშრა.

— წადი ახლა და, თუ როდისმე შეენიშნე კიდევ სიყალბე, მარტო მე დაგიტხოვ სემინარიიდან, სულ ყველა რომ წინაღმდეგი იყვეს გამოორიცხვისა.

რო გამოვბრუნდი:

— დამიხედეთ, დამიხედეთ სანაქებო მოსწავლეს!

სთქვა და გატრიალდა.

### ქიდაობა გაკვეთილის დროს

მე და იუსტინე მამფორია სემინარიაში მისვლისთანავე დაეძმობილდით, ერთად ვმუშაობდით, ერთად ვწერდით, ვკითხულობდით, ვოცნებობდით. ჩვენი ხასიათები ერთმანეთს ეთვისებოდნენ. მხოლოდ ერთში ვერა ეთანხმდებოდით: ქიდაობაში ვერც ერთი ვერ ვერეოდით.

დღე ისე არ გავიღოდა, რამდენჯერმე არ გვებრძოლა.

ერთ-ერთი უნდა დავძალუღლიყავით, მეტი გზა არ იყო.

მათემატიკას გვასწავლიდა ღვდელი კოროლეცკი. ოდესმე სკოლნიყო, ეხლა ჩვენთან ერთად იმეორებდა. წესი არაფერი არ არსებობდა მის გაკვეთილზე. ვისაც არ ეზარებოდა, დაფას ეხვევოდა: ვისაც ეზარებოდა, მერხებზე გაწევებოდნენ. ერთხელ ბევრი შემოვხვია მასწავლებელს, რალაც თეორემას ხსნიდა გეომეტრიიდან. ვიდროვეთ და ვეცით ერთმანეთს მე და იუსტინე, საფალავნო ბრძოლა შეგვექმნა. ვისლა ახსოვდა გაკვეთილი თუ კოროლეცკი, უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. გამოვფხიზლდით, ვნახეთ, მთელი კლასი და მასწავლებელი გარს შე-

მოგვკობიყენენ. მასწავლებელს წვერში ეტაცნა ხელი და განცვიფრებული და-  
გვეურებდა:

— ეს რა ამბავია! საკრივოდ და საჭიდაოდ კლასში რა გინდათ. დამიძახეთ  
ეხლავე ინსპექტორს!

მოიყვანეს. დაგვიკითხეს, რას ვეტყუოდით? ამ საქციელზე აღარც შეიძლება-  
და ლაპარაკი. ვიდრე თავჩაღუნულნი ვართ. გაცხარდა ინსპექტორი:

— უსათუოდ უნდა გამოგრიკოთ სახელმწიფო ხარჯიდან შენც, შენც.

ეს კი ხუმრობა აღარ იყო. ფერი გვეცვალა, ნაცრისფერი თუ დაგველო.

მასწავლებელმა იგრძნო ჩვენი გასაჭირი, დაგვეხმარა:

— არა, ესენი მუყაითები არიან, კარგები არიან, მისმენდნენ, რაღაც კარ-  
გად ვერ გაიგეს და წაძიძგილავდნენ. ის მეწყინა მე და შეგაწუხე.

მოლბა ინსპექტორიც:

— პურის ქაშის დროს თქვენ ორივენი ხატის წინ დაჩოქილები უნდა იყე-  
ნეთ, მინამ არ გათავდება სადღილი. მე თითონ ჩამოვალ და გნახავთ.

დავთანხმდით, კიდევ გაგვეხარდა გულში, სირცხვილს ვკამდით, მაგრამ  
რა სახსენებელი იყო რაღაცა კდემა, როცა საეკლესიო ხარჯზე ისევ დავრჩით.  
ჯერ პირველი საქმელიც არ გაეთავებინათ, რომ ჩამოვიდა ინსპექტორი, გენახა.  
უამა თუ, რომ აუსრულეთ ბრძანება, შეგვიტია, გამოგვრეკა თავ-თავის ადგილას.

— თქვე, უბადრუტებო, თქვენა! კლასში, გაკვეთილზე, მასწავლებლის წინ  
რა დროს კიდაობა იყო, თქვე...

აღარ დაათვა.

### გოგებაშვილი შეჰყვარებოდათ

შეჰყვარებოდათ იაკობი. რატომ, მოსულ-მოსული წაბლა ვაჟაკი, რი-  
ხიანად მოუბარი.

ზის ერთხელ გოგებაშვილი ქაშეთის ბაღში, დიდ შადრევანთან. ჩამოუარა  
ერთმა ქალმა.

— ნება მომეცი, ერთი-ორი სიტყვა მოგახსენო!

— ინებეთ, სათხოვარი გექნებათ რამე.

— სათხოვარი კი არა, სახვეწარი-კი მაქვს, მხოლოდ მრცხვენიან, ენა ვერ  
გამომიგვნია.

— არა უშავს რა, ბრძანე, ქალო.

— შემომხედეთ, გაიგებთ; თქვენზე ამბობენ, გულთმისანიანო!

— აი ეხლაც დიდათ ხარ ღელვილი. მითხარ, უსათუოდ გიშველით რასმე!

— იაკობ, მიყვარხარ! უშენოდ ვეღარ ვაქდებ!

— ჰოო?! მაგის წამალს ვიშოვი მე.

ქალს ნათელი გადაეფინა და დაჟინებით დაუწყო მზერა კაცს.

— შენ იმას გაუჯავრებიხარ, რომ დაბალი ადგილი გიჭირავს, შეეცვლით,  
შეძლება არის.

— ბატონო იაკობ, შენ ვერ გამოიგე ღელვის მიზეზი.

— გავიგე, გავიგე. საალერსოს მეუბნები. მე-კი მაგისთვის სრულებით არ  
მცალიან.

წამოღვა იაკობ. გაიბერტყა გვაბანაკის კალთა და ზურგი შეაქცია ქალს. ქალი ერთხანს იღვა გაშეშებული, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. სად? რა ვიცი? ის კი ვიცი, რომ მასწავლებელი ქალი გარდაცვლილიყო: თავი მოეკლა.

### გიგოს შუშპარი

ამ წელიწადს დიდი მოსავალი მოვიდა კუმიისის ტბის არე-მარეში. თერთი თავთუხი თავთავის სიმძიმით იზნიქებოდა, წვებოდა. შავფხა გასუქებული ცას ეალერსებოდა. მხნელ-მთესველი ხალხი სიამოვნებით ხელებს იფშენეტდა. ხალისით გასჭრეს ყანები: გავლწავთ, ქალაქში ჩავიტანთ გასასყიდათაო.

ალგეთის წისქვილები გაივსნენ მიწით. გასასყიდათ გამზადებული ხორბალი სწრაფად გარდაიქნა ფქვილად. წაჭრიალდნენ ურემები ქალაქისაკენ.

ჩვენი ურემი სავსებით სავსე იყო დაზვეპილი ტომრებით. ძიას მოჰქონდა. ბაღლები: მე და სოლიკო ვახლდით. მუშტარი მზად დაგვხვდა. პირდაპირ შემოგვაძლიეს ხელსაყრელი ფასი. ძია გიგომ მაინც არ გაყიდა, ვიდრე არ გაიგო, რად ჩქარობდა მყიდველი: მცირე რუსეთში აფურთქნილიყო პურის ფასები და სავაჭრო მოჰყვა მაღალ ტალღებში.

მიუწონა, ჩამოართო ფული, რამდენიმე ურემი სხვაც გაიყიდა, თათრის მოედანს კი არ აკლდებოდა ზეგვივით წამოსული ფქვილი.

აბანოების მხრით მოისმა ზურნის სმა. ძია გიგომ გადაიყარა მხრებზე ყურთმაჯები, აფრინდა გატენილ ტომრებზე და ააყოლა ხელფები ზურნას, დაჭრეს აქეთ-იქიდან ტაში. ჩამოდგნენ სხვა მოცუკვავენი. შეიკრა წრე, გაიმართა ქორწილის ცეკვა. მოქეიფენი ნელნელა დაიძრნენ, თან სადღეგრძელოებს გადადიოდნენ. ჩავიდა მზე, დაკლეს საკლავი. ღამე წალახურის მინდვრებში იქეიფეს. მეორე დღეს, სისხამ დილაზე, დაიწყეს შექცევა. თან გაუდგნენ გზას. ერთნი თავიანთ სოფლებისაკენ ბრუნდებოდნენ, სხვანი გაჟინიანდნენ. შუშპარი აღარ შეწყვიტეს. ესე შემოვიდნენ ჩვენ ეზოში. მოეწყო დიდებული ვახშამი.

თავს იწონებდა გიგოლა.

პაპამ შესძახა ღიმილით:

— ახში, დააფრინე, ბიჭო?

თითონაც ჩაერია ქეიფში. საბძელი ეწოდა და ხელებს ითბობდა.

### დავაცხრავეთ

— ძია, ძია მოდის, ძია აბრამი!

შემოგვძახა ფანჯრიდან ნატომ. ვეცით ფანჯარას. თავის წითელ ცხენზე შემჯღარიყო აბრამ ღვდელი. მოდიოდა ნელ-ნელა. ვეებერთელა ხურჯინი პირთამდი გაეტენა. ხელსახოცშიაც რალაც იყო გამოკრული, უნაგირის თავზე. კაცის განიერ წვერს მთლად დაეფარნა მკერდი, სარტყელამდინ დასწვდენიყო შავი.

— უფ, რამოდენა წვერია!

აღმათ ავეთი წვერი ინატრა მაჰმადმა, როცა აიშაზე ქებინს იჭრიდა.

გაცვივდით კარზე. შემოვიტანეთ ხურჯინი. დავაბინავეთ ცხენი. რომ მოვედით, სუფრაც გაეშალნათ, და რა სუფრა! მობარშული დედლები, ტაბაკად ვარიები, ღვინო, არაყი, ნაზუქები. ღვთის მოწყალემა ყოველივე!

ჩვენ მაინც თვალი ხურჯინისაკენ გვრჩებოდა. დადგა დრო იმის ამოლაგებისაც. ჩვენი მთელი ყურადღება მიიპყრო ჩურჩხელების კონცემა. თითო მოზრდილი კონა ცალკე იყო გამოკრული და კანაფგადაქერილი. ერთი კონა ჩვენ დიასახლისს გადასცა. ჩვენც გვერგო ჩურჩხელების ნამტვრევები, დიდ პარკში ჩაბნეულიყო. ხუთი კონა გადადო იქით:

— ეს ლონგინოზისათვის!

დავნატრეთ ლონგინოზის ბედს. გაყო ყველაფერი და მომიბრუნდა:

— საღამოზე წაუღეთ, მძარტვით ჩემ მაგივრად. მეც გაიხლები თქო.

შეაწყეს თაროზე.

სოლიკოს თვალემა იქითკენ დარჩა. რალაცას მანიშნებდა, მაგრამ ვერ გავიგე.

დიდი კაცი ჰყვანდათ ეს ლონგინოზი, გავლენიანი, ეჭვარხის მარჯვენა ხელი იყო და ეფერებოდნენ.

წაიძინეს ცოტა სადილთ უკან.

კიდევ შეღამდა. ფანრები აანთეს.

— აბა, ბიჭო, ადექი, წაიღეთ!

ავდექით, წავიღეთ მე და სოლიკომ. ხმას არ იღებდა სოლიკო. გაცვივდით წმინდა გიორგის ქუჩას. შევბრუნდით საყდრისაკენ. შევდევით გიორგი მეცამეტის სასახლის კუთხეში, ფარანიც ერთი იქ. დავაწყეთ კონები ქვაზე. სოლომ ამოიღო და კანაფი გასჭრა.

— რას შვრები, კაცო?

— ვერ ხედავ, რასა ვშვრები? ვხსნი შეკრულს.

— რათა, ბიჭო, ეს ხომ ჩვენი არ არის.

— ეჰ, შენ არც ყურის დაგდება გცოდნია. სადილზე რაზე ვლაპარაკობდით. აკი აბრამმა სთქვა, ათ-ათი ჩურჩხელა თითო შეკრულაშიო, თუმცა ქართულ ჩვეულებით ცხრა-ცხრასა ვთვლით: ერთი შოთი, ერთი ცხრა კაკალა პური და ეგრე...

— მემრე?

— მემრე ვერ გაიგე; შე საწყალო? დავხსნათ, თითო ამოვიღოთ, ხუთი ჩურჩხელა მოგვიგროვდება, შევკრათ ისევ კონები და მივართოთ, როგორც წესია ქართული: ცხრა-ცხრა.

შევშინდი, ჰკვავი-კი დამიჯდა. ამოვიღეთ თითო ჩურჩხელა: სუფთადვე შევახვიეთ და მივართვით. მაღლობა გვითხრეს. ველარ მოითმინეს და გახსნეს. ყურადღება მიაქციეს გაჭრილ კანაფების კვანძებს. გადააბრუნ-გადმოაბრუნეს ეკვიანად, მაგრამ არაფერი არა თქვეს. ჩვენც ეს გვინდოდა. ვამოვბრუნდით, სალაყბომდინ სულ რბენით მოვედით. დავხსედით ისევ იმ დიდ ქვაზედ და გემრიელად შევიქვეცით. მემრე გავგიგეს შინაც, ლონგინოზიანათც, მაგრამ არა გვცემეს, ეციებოდათ, როცა ამაზე ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს, ჯავრობით დაიწყებდნენ, ხარხარით ათაგებდნენ.

### ზღაპარი და შაქარღამა

დაბალ სასწავლებელში მეტად დაბალ ოთახში ვცხოვრობდი, პატარაში. ბრუდეც იყო, სივანის კედელი ერთი გრძელი იყო, ერთი იმის ნახევარი. ექვსი ბალი ვცხოვრობდით: ოთხი სახლის პატრონისა, ორიც ფულით აყვანილი. ცოლქმარი იყო. კაცი სულ მ მანეთს იღებდა თვეში. სიღარიბის ბუდე იყო. დიასახლისი ადრე დგებოდა, ცოშ მოზელდა, ჩვენ ფურნეში წავიღებდით, იქვე ლავაშებს დაგვიცხობდნენ. ნაწილი სკოლაში მოგვექონდა, ნაწილს სახლშივე ვაბრუნებდით. ეს იყო ჩვენი საგზალი ორ საათამდინ. უფრო ძნელი იყო ჩვენი საქმე, როცა ფქვილი შეგვებდებოდა ალაო ან მწარე, მაინც კმაყოფილნი ვიყავით—ყმაწვილის ნაწლებები ღობეზე ეკიდნენ, მაინც ფანცქალებდნენ. ბნელოდა, ციოდა, შიოდა. სულ ეგრე-კი არ იყო. აქაც იყო შუქის შებები: ცოტას ხან და ხან ათბობდნენ, მცირეს აშუქებდნენ. ეს იყო დიასახლისი ტკბილი, წყნარი, ჭკვიანი, ცოტა ჩვენი ნათესავად ნაცხები, მარად კმაყოფილი; და მისი კაცი მთლად კმაყოფილებისაგან შემდგარი. გვეხუმრებოდნენ, დაგვიცინოდნენ, ცოტას გაგვიღიმებდნენ, ხანდახან გადაგვახარხარებდნენ, და ჭირი თუ გაჭირვება ჭრებოდა. სახლის პატრონმა მშვენიერი კალმის გამოქრა იცოდა. ბატის ფრთასაც თავისებურს მოიტანდა, ჭრელს. მთელ სკოლაში ჩვენისთანა კალამი არვის ეყირა. კიდევ ვვაჭრობდით: ღამაზ კალამში გვაძლევდნენ ვაშლს, მსხალს, ჩირს, ნაწუქს და კიდევ სხვა სიტკბოებას.

წელიწადში ორჯელ-სამჯერ ამ პატარა სახლშიც დიდი დღესასწაული შეგვიდგებოდა, სიხარულის ყრიაშული, თორემ წივილ-კივილი მარად სუფევდა. ეს იყო, როცა პაპა ჩამოვიდოდა სოფლიდან: პური, ლენიო, ასხმულები.

ტკბილეულის ფულს ამოიღებდა ჯიბიდან და ბუხრის თავზე დაყრიდა. პირდაპირ ხელის ზღება არ შეიძლებოდა, ხერხით გამოტანა კი ნებადართული იყო. ამ სხვადასხვა ხერხს დიასახლისიცა ხმარობდა, სახლისპატრონი ვაჟკაციც. მაგრამ ისე მარჯვედ, რომ ღირდა ხარჯად. პაპას შევატყობდით, რომ გაიგო, სუბუქ ღიმილზე ზევით ტუჩისა. მე მაშინ სწორედ დიდკაცი ვიყავი ბალებში. ველოდით საღამოს. მალე დადგებოდა. სანთელს ვუფრთხილდებოდით, მზე რომ ჩასვენდებოდა, ჩვენც ლოგინში ამოვყოფდით თავს. დიდ საღამოს ძილამდინ გატარებდა უნდოდა. ამის წამალი მე მეჭირა ხელში. ჩემი დიდი და პატარა ზღაპრები ჯერ ყოველთვის თბილ ბინას მამლევდნენ, რადგან პაპა ლოგინში იჯდა ბუხართან, თავის მგლის დიდი თულუფი წანობურული ჭქონდა ზურგზე, და მე, როგორც მეზღაპრეს, ბინა თულუფის კალთაში მქონდა დადებული.

— აბა, ვასიკო, დადგა შენი დრო, დაარკვიე! მე ბუხრისკენ გადავიხედავდი, პაპა გაიგებდა ჩემ აზრს და ჩამოიღებდა შაურიანს,—ეს ნიზნავდა, დიდი ზღაპარი მეთქვა.

როცა დავათავებდი, შაურიანი ჩემ ჯიბეში ჩავიღოდა. ხან თითონვე გადმოიღებდა კოპიტინს—3 კაპეიკს. შაურზე დიდი იყო კოპიტი, თუმცა ნაკლები ღირდა. შუც პატარა ზღაპარს მოვზომავდი და ეგრე ვატარებდით დროს. მქონდა ორშაურიანი ზღაპარიც. ეს იყო რკინის დევი. სამ ზღაპარს უღრიდა, ორშაურს მამლევდა პაპა.



ბალები სთვლიდნენ, რამდენი შეგროვდა ფული. მეორე დღეს ვიყიდ-  
დით შაქარლამას. შაურად ხუთი ოთხკუთხი სიტკბო იყო, ზედაც სურათი, თუ  
ჩაგვრჩებოდა, ვიყიდდით ხურმას, ბატიბუტს. პეტრე ბაყალს დახლი საგნე  
ჰქონდა იმ დღეებში ჩვენი ფულით, რომ გავხსნიდით შაქარლამას, რასმე ნაკვეს-  
საც ამოვიკითხავდით:

— Денег дай, денег дай и успеха ожидай!

— Учись, учись, дураком-же будешь! და სხვა.

მართლა! განიერი კედლის ნაწილი, ტახტის გვერდზე, მაგიდას ეჭირა. ეს  
ჩვენი კაბინეთი იყო, აქა ვმუშაობდით.

— დღე?

— დღე ვის ეცალა? კოქები, კაკლები, ჩილიკა-ჯოხი, ბურთაობა, შურ-  
დულით ბანებიდან ქვის სროლა, ასკინკილა, აწი-ოწე და ათასი სხვა სათამაშო,  
რომელიც ვარჯიშობაში გვეწვრთენიდა, სიფრთხილეს გვაჩვენებდა, გაპირების ატა-  
ნას გვაჩვენებდა.

### საჯარო გამოცდა

უწინ დაბალ სკოლებში და ნაღებშიაც სწავლა ნაძალადევი იყო: მასწავ-  
ლებელი თითქო ვალდებული არ იყო განემარტა გაკვეთილი, ძალასაც არავინ  
ატანდა: უჩვენებდა, დაასახლებდა წიგნის ფურცელს: „აქედან აქამდის ზვალის-  
თვის“. ამოვიკითხავდა ორ სიტყვას მოცემულ გაკვეთილის თავში და ბოლოში,  
ადგებოდა და გავიდოდა კლასიდან. მოსმენაც ვეგფივე შეუზნებელი იყო. მას-  
წავლებელი გაშლიდა სახელმძღვანელოს, გამოუძახებდა შეგირდს, იტყუადა:

„Един бог...“ და მოწაფეს უნდა ჩაეთავებინა ის ბოლომდის: „Во святой  
троице“ ან კიდევ: „Я еще дитя, дети не много знают...“

მასაც ვგერ ჩამოართმევდა სიტყვას მოსწავლე და განაგრძობდა. მასწავ-  
ლებელს კალამი ეჭირა და ადენებდა თვალს სტრიქონებს. თუ შეეშლებოდა  
მოწაფეს რამე, გააგდებდა მაგიდიდან და დასჯიდა. ისე რომ მოწაფეს შეეძლო  
არა სმენოდა რა, და საუკეთესოდ თვლილიყო, თუ მესხიერება უვარგოდა. იშ-  
ვიათი შემთხვევა არ იყო, რომ კურს-დასრულებულ მოწაფეს ორ წელიწადზე  
სულ დაჰვიწყებოდა რუსული. ქართულს ხომ ისეც არ გვასწავლიდნენ. წლის  
განმავლობაში შრომა არ უნდებოდა მასწავლებელს, მარტო ყვიროდა, ჯავ-  
რობდა, დააჩქებდა, თმას ავლეჯდა, კვირაში ერთხელ გაშხებავდა. მიჩვეულნი  
იყვნენ ესე ყველანი. თანაც იმედი ჰქონდათ მასწავლებლებს, რომ გამოცდების-  
თვის მოსწავლეები თავს ქვაზე ახლიან და დაიზიებებენ ყველაფერს, თუ არა  
იმათ გამოჰრეკავდნენ სკოლიდან. მასწავლებელს არაფერი ბრალი არ ედებოდა.

მაგრამ აქაც იყო ისეთი თვე, როცა შეფუტუხებული მასწავლებლები ცდი-  
ლობდნენ და იჭიმებოდნენ. ეს იყო საჯარო გამოცდების დრო. მაისის ნახევ-  
რამდინ დათავდებოდა სუყველა გამოცდები. შეგირდებს დაითხოვდნენ სოფელში.  
დატოვებდნენ ყველა კლასიდან და ყველა საგნიდან თითო-ორიოდა საუკეთესო  
მოწაფეს და მისცემდნენ ერთ ვებერთელა გაკვეთილს.

დანიშნულ დღეს დილიდანვე დიდი ამბავი შეუდგებოდათ. ყველაზე დიდი  
დარბაზი მოირთვებოდა ლამაზ-ლამაზი მაგიდებით, სავარძლებით, მოიფინებოდა

ხალიჩებით თუ ფერადი მალღებით. შუა დარბაზში ორი-სამი გრძელი მაგიდა, გადაფარებული წითელი მალღით. შუა მაგიდაზე იდგა დიდი საწერელი, და საწერლის თავზე მომართული იყო ზანზალაკი. ზოგ საეარძელზე ხავერდი გადაეფინათ. ჩვენ, მოწაფეები, ერთ კედელთან ვიყავით ჩამწყრივებულნი. სიჩუმე იყო სამარისებური. აგერ გაიღო კარები და დაიგრიალეს: „ისპოლაეტი დესპოტა.“

შემოვიდა ეკზარხი ევსევი, არქიელურ პირჯვართა სწერდა აქეთ-იქით. შემოჰყენენ მღვდელთ-მთავრები, დეკანოზები, სამხედროები ჯინჯილებით და დეზებით, ფრაკებში ჩაცმული ხალხი, ერთი-ორი ყახახურადაც იყო მორთული მდიდრად. რაც ცაში მასკულავებია, სულ მეეკრიბათ და მეკრდები დემშვენებინათ. გაიწყრილა ზარმა, გაინაბა ხალხი. ეკზარხმა რამდენიმე ფრასა ბრძანა, მიულოცა სამოსწავლო წლის გათავება და იმედი გამოთქვა, რომ ამ დიდებულ სტუმრეულობას თავს მოაწონებენ ახალგაზრდები თავის ცოდნით. რომელ მასწავლებლის შეგირდსაც უძახდნენ, მასწავლებელი სულ ფეხზე იდგა, უთითებდა, უჩვენებდა, ცდილობდა ვაჰმარჯუებო.

შეგირდები რომ დაიწყობდნენ თავიდან, ბოლომდე ისე ჩავიდობდნენ, სიტყვა არ შეეშლებოდათ. უმრავლესობა კარგად იყო მზად, ზოგი კი ძნელ ადვილს რომ ლაზათიანად წაიკითხავდა, უბრალო ფრასებში დაიბლანდებოდა და შედგებოდა უშეწოდ. დიდ-კაცები აქეთ-იქიდან ცდილობდნენ მოეგონებინათ, მაგრამ თითონაც კარგად არ ახსოვდათ. მასწავლებელი მიიღებდა შენიშვნას. მოწაფეს დააბრუნებდნენ. ამისთანა შემთხვევები იყო ხოლმე, თუმცა იშვიათად. სამაგოროდ, ზოგი წყრილით ჩაატარებდა თავის გაკვეთილს. შეაქებდნენ, ჰკითხავდნენ რამე ძალიან ადვილს, ცდილობდნენ არაფერში ჩაეჭრათ ბედნიერი. ესე ოთხ საათამდინ გასტანდა ეს საჩვენებელი გამოცდა. ჩვენ ძალიან გვიხაროდა. როცა მეფის მოადგილე მიხეილ ნიკოლოზის-ძე მოვიდოდა, მოჰყვებოდა საუკეთესოდ ჩაცმული ამაღა, ქაღებიც; ბევრჯერ რასმე გვითავაზებდა შეგირდების სახელზე. ერთხელ უბრძანა ჩაისთან თითო ნატეხი შაქარი მოეცათ. სხვა დროს მარტო მღვდლარეს გვაძლევდნენ. ერთხელ ბრძანა, სასახლიდან მეერთმით ბურსისათვის სასადილო კოვზები, თორემ აქამდისინ ხის კოვზები გვერქო ან წელნი, ან წალის ყელში. ერთხელ კრებიდან რომ გავიდა, სამზარეულოში ჩასულიყო, გაეისინჯა სადილი და ზოგი რამე სასიკეთო ებრძანებინა.

ნიშნები უფრო მეტი იყო, ვიდრე მე კარგი საქმეების სახელები ვიცოდი. დარდი წამიღებდა: ეხლა რომ ამას კიდევ მისცენ ნიშანი წარმატებისა, ნეტა როგორ-ღა დასტეეს მეკრდზე.

გაკვეთილებიდან ისეთს მასალას არჩევდნენ, რომელიც ან ძალიან სასაცილო იყო, ან საშინელი, ან გულს ასახუყებელი. მაგალითებრ, ერთხელ მე მკითხეს როგორ დასაჯა სამსონმა ფილისტიმლელები: დაიჭირა მელეები, გადააბა კულებით, მისცა კულებზე ცეცხლი და გაუშო შემოსულ ქირახულში, სულ გადააწვა. აქ კარგა ხანა იკამათეს, როგორ შეიძლებოდა კულების ისე ვაღაბმა, რომ არ გამქრალაყო ცეცხლი. ბევრი აცინა მასწავლებელმა, ღვდელმა ელიაშვილმა, რომელიც ცდილობდა თავისი გაფშეკილი კავები გადაეხა ერთმანეთისათვის შელის კულებივით.

კიდევ: თმა თუ ეზრდებოდა სამსონს, ძალაც ემატებოდა. ერთხელ ფილის-ტიმლელების ქალაქის კარები მოხსნა და მახლობელ გორაკზე დააყუდა. ერთხელ კიდევ ილია წინასწარმეტყველმა ორმოცი ქურუმი ბალისა თავის ხელით დაკლა. დებორამ მტრის ლაშქრის მოთავე დააძინა და საფეთქელი პალოთი გაუხვრიტა.

შინ რომ მოვიდოდი, დედა ძკითხავდა:

— რა მიუგე?

სხაპი-სხუპით ვეტყოდი, მაგრამ სრულებით არ მესმოდა სიტყვები, მარტო ვზეპირობდი.

ბოლოს ეკზარხი მალალ ჯვარს გადაგვწერდა და წიგნს გვითავაზებდა სახსოვრად. უფრო თავის ქადაგებებს მოგვცემდა.

საკვირველი ქადაგება იცოდა. მისი ქადაგება კული-კულ გაბმულ ტექსტებს წარმოადგენდა თავიდან ბოლომდინ. ხან და ხან მოზრდილ სიტყვას არ გასწყვეტდა, სულ ტექსტებით გაათავებდა.

### კაპეიკალ ორი გელაქნური

ჩემს სიმცროსს გელაქნური იყიდებოდა მეტეხის აღმართში, აქედან მარჯვენა, საცა ეს ქუჩა და რიყის ქუჩა იყრებიან. რომ მოვიდოდა საუკეთესო თევზი, მთელ ქალაქში დაიყრებოდა ხმა: — ჰარიკათ, ძალიან ახალი გელაქნური არისო!

— როგორ იყიდება?

— წყვილი აბაზად რაღა, როგორც ყოველთვის.

მიაწყდებოდა ხალხი. ჯერი ორკეცი, სამკეცი კეთდებოდა. დუქანს აუყრიდნენ დარაბებს. ერთი შუშის ადგილს დასტოვებდნენ ღია. ესეთი წესი იყო: აბაზს გამოჰკრავდი ხელსახოცის ყურში და გადაისროდი ფანჯარაში. შიგნით ერთი კაცი ფულსა ხსნიდა, მეორე არჩეულ წყვილ თევზს გამოჰკრავდა ხელსახოცში და ისევ ფანჯრიდან გადმოაგდებდა. მყიდველი დასტაცებდა ხელსა და წაიდიოდა. გასინჯვა არ იყო საჭირო. ნამხნევ მასალას არ გაუშვებდნენ.

გაგზავნეს სამი: სოლიკო და ორიც ჩვენ. მივედით. როგორც ყველამ, გადავისროლეთ ხელსახოცები. გადმოგვაწოდეს თევზი. სოლომ დასტაცა ხელი და მოუსვა. ჩვენც გავყვეით ჩანჩალით უკან. დუქანის ფანჯრიდან კი გამოისმა მკაცრი ხმა:

— ჰაი, ვილამაც კაპეიკი შემომატყუილა! სხვამ დასძახა: — ალბათ ის ბიჭები იქნებოდნენ, რომ გაიქცნენ!

იჩოჩქოლეს, არ ეცალათ, გაილანძნენ და განაგრძეს თავიანთი საქმე. შინ რომ მივედით, სოლომ გვიჩვენა აბაზი მუქაში. ჩურჩული შეგვექნა. მოგვაქციეს ყურადღება. გიორგიმ სტაცა ხელი, გაახსენინა მუქა, ამოაცალა აბაზი.

— წადით, თქვე ასეთ-ისეთებო! და გაგიძღვა. მინამ ჩვენ მივედით, კიდევ გაყიდულიყო თევზი. დუქანი ცარიელი იყო, ფულს ითვლიდნენ.

— კაცო, ე ბიჭებს კაპეიკი შეუტყუილებიათ, ვერ გაიგეთ? აი თქვენი აბაზი.

გაიცინეს. ერთმა მუშტები მოგვიღერა. სხვამ სტაქნით მიაწოდა ჩვენ სახლის პატრონს ღვინო, და ესე გათავდა ჩვენი ოინბაზობა.

### დამარბული წიგნი

აბრამის მამა რომ გაპყროა თავის ძმას, აბრამს რგებია მთელი სკივრი წიგნები, როგორც ღვდელსა და მწიგნობარს. მაგრამ ვერ შეუნახიათ ეს წიგნები კარგად. ვისაც რა სდომნია, წაუღიათ, აღარ მოუტანიათ ნათხოვარი. მალე ეს ზინეთი გაჩანავებულა. ჩემ დროს მახსოვს კიდევ დარჩენილიყო: სრული კარაბადინი, რომლითაც სწამლობდა ბებო ავადმყოფებს სოფელში, არისტოტელის ლოდიკა, პლატონი (ესენი ლურჯ ქალაღზე იყენენ დაწერილნი), საეკლესიო ისტორიის რამდენიმე ავტორი ნაგლეჯებში და ერთი სასწაულთმოქმედი სახარება, ამ სახარებას ძალიან პატივით ინახავდნენ. სასწაულს ასე მოუთხრობდნენ: ანთებულ თონეში ჩაპვარდნია ღვდელს და მთელი ამოუღიათ, არ დამწვარა.

მე კარგად ვიცნობდი ამ წიგნს. მოზრდილი იყო, პერგამენტზე დაწერილი. ყდებიც სქელი ტყავისა ჰქონდა და სწორედ ამ ტყავს შეენახნა წიგნი თონეში. მხოლოდ ერთი ყუა გარუქული იყო, ოთხი მახარობელი ეხატა წიგნში. მხატვრობა ვერ იყო შესაჩნვეი. გამოვიკვლიეთ: თბილ წყალში ჩავადგეთ ნაქერი და მერე გავშალეთ—ნამდვილი ტყავი ყოფილიყო. ეს წიგნი სკივრშივე იყო შენახული, მაგრამ ცალკე კუთხეში. ვკითხულობდით შიგა და შიგ, ახალსა და ძველ ასოებს ვადარებდით. აღარა გვაქვს ეს ეტრაცი. სემინარიაში ვიყავი. პაპა იდ გამხდარიყო და გარდაცვლიყო. ღვდელს რომ მარბავენ, სახარებას ატანენ თან. პაპასთვისაც უნდა ჩაეტანებინათ. ქართული სახარებები დიდრონები გამოდგარიყო, რუსული არ ჩაეტანებინათ:—არ იცის და როგორ წაიკითხავსო. ბიძაჩემ სოლოს გამოეტანა ის პერგამენტის სახარება, და ის დაედოთ გულზე პაპასთვის. დაემარხათ ძვირფასი წიგნი და კაცი ერთად. მაშინ უკვე მესმოდა ეს დანაკარგი. ბევრი ვიწუხებ, ვიჯავრებ, მაგრამ რალს გავაწყობდი, საფლავს ხომ ვერ შევარყევდი წიგნის გულისათვის. ალბათ საფლავის მიღღმა მთლად გადიკითხა ეს შესანიშნავი სახარება და ზეპირადაც დაისწავლა.

### ს ა რ უ ხ ა ნ ა

დიდ მარხვის წინ, სამი კვირა, ჰამის კვირებია, ზედმეტი ძლომისა. მეტადრე გაძლიერდება ჰამა ნების კვირას და შურის კვირას. ყველას აჯობებს ყველიერი. აქ სხვა გზა არ არის, სულ უნდა ჰამო და ჰამო: დილით, შუადღისას, საღამოს, ღამე და უდროოდ. ყველიერში საქანებელ-ბუქნელები არის შემოღებული. ალბათ გიორგი XIII-მ ხალხის ჩვეულებიდან მიიღო წესად, მაძლარ სადილის შემდეგ ფარდაგში ეგორავებინათ.

შავ ორშაბათიდან-კი აღარაფერი სახსნილო აღარ შეიძლებოდა გავგეკარებინა. სახსნილო ყველაფერი მიიჩმალეზოდა. ძალიან მორწმუნენი ორშაბათს მარტო მოხალულ ხორბალზე გადადიოდნენ. ეს დღე დუქნებში თუ სახლებში გადადებული იყო მთელი ჭურჭელის გახეხვ-გაწმენდაზე. აღულებდნენ დიდ ქვაბში ნაცარს და ამ ნაცარწმიდში გაატარებდნენ ყველა ქვაბს თუ სხვა ჭურჭელს, სულ უბრალო კოვხამდინ.

ჩამავალი მზე აბკყვრიალებდა სხივებს დაკრიალებულ ჯამ-ჭურჭელზე.

ეძახდნენ—ქურქლის დარუებას. ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, თითონ სიტყვა, თორემ საქმე ვიცოდი. ეს სიტყვა კიდევ შემხვდა: ჭიაკოკონობას ცეცხლზე რომ ხტებიან, თან იძახიან: არურთ კუდიანებს!—იქნებ, ეშმაკთ გალაღვას მოასწავებს სიტყვა.

სამშაბათს საქმლის დღეებში სავსე იყო სულ სამარხოთი: ლობიო, სისირი, მუკაშარი, ოსპი, ბაკლა და ყოველგვარი წნილეულობა: კომპოსტო, კიტრი, ჯონჯოლი, ქარქვეტა, წიწკა, ნიორი...

მახონი! მახონი! მთელ ბაზარს სამარხოსი და ზეთის სუნნი ასდიოდა, და ესე გრძელდებოდა აღდგომამდე.

ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახებისათვის. გაზაფხულის პირი იწყებოდა მაშინ, და ყოველი სამარხო გაიჭურუნებდა თელის გასაღვივებლად, ფერს იცვლიდა და გემოს, ან უნდა შეეკამათ შენახული სამარხო, ან არა, გადაეყარათ.

დაეთესათ?!

ემ, სათესლე დიდი ხანია არჩეული ჰქონდათ და განსაკუთრებულად შენახული, რომ წლიდანდელ მოსავალს კვლავინდელი დასჯობნებოდა. საქონელი და ფრინველი ძალიან წვრილფეხა იყო ჯერ, ან ნახამთრი და გახროკილი. აღდგომამდინ მარაგს გაათავებდნენ, ბატკანიც წამოიზრდებოდა წიწილასთან ერთად, და კარგი შესაქცევი შეიქნებოდნენ.

ყველგან სოფელში, თუ ქალაქში, იხარშებოდა დიდძალი სამარხო და ინთქმებოდა, მაგრამ საუკეთესო სამარხო, შეუდარებელი, მზადდებოდა სარუხანას დუქანში. არ იცო, სადა ჰქონდა იმას დუქანი? სრულებით არა გცოდნია შენ ქალაქი. დახურულ ბაზრის ბოლოში, მოედნისკენ რომ დადის გზა, დიდი ფიცრული იდგა. ეს ფიცრული ჰქონდა აღებული სარუხანას ქირით.

ორშაბათს რომ გახსნიდა დარაბებს, სასიამოვნო იყო დუქანში შეგხედვა: თაროებით მორთული; თაროებზე გამწკრივებული, უმანკოდ დაწმენილი ხის ჯამ-ქურქელი; ქურა, დიდი, გრძელი. ქურის სახურავი—თუჯის ფიცარი, მრავალგან ამოჭრილი ქვაბების დასადგმელად. ქურა ხურდებოდა სუფთა ნახშირით. ზაქას არ გაიბადებდა დუქანში, მტვერმა არ ამზნოსო საქმელსა. ყოველგვარი წნილი ქილებში თიხისა თუ შუშისა. კასრს არა ხმარობდა დუქანში, ეონავსო.

სამშაბათ დილით რომ შეგხედნა, გაიმებოდა: ზედმეტ კერძს მოითხოვდი. კერძს არიგებდა გრძელტარა ჩამჩებით, ან ქაფქირებით. მომართული ჰქონდა გირვანქიანი თუ სხვა წონის ანღები ჩამჩა. თითონ შორიდან დადგებოდა. ისე ფრთხილად იღებდა, აწონა საქირო აღარ იყო. შავები ეცო, დიდმარხველი ტანისამოსი. კლავები დაკაპიწებული. ვერცხლის სარტყელში ფართე ფეშტამალი. მეტადრე ლამაზადა ჰქონდა მოწყობილი ბაკლა, უწვნო. ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი რომ წყობისად ელაგა, მოგინდებოდა კოვზის წატაკება.

— ბაკლა! სარუხანას ბაკლა!

ესე ეპკრობდა შავ სამშაბათიდან წითელ პარასკევამდე. თითონაც კი ოჯახობით იკვებებოდა, თანხასაც ინახავდა, მემრე, აღდგომის დღესასწაულებს ქეიფში გაატარებდა და დუქანს აღარ გახსნიდა. თუ დასჭირდებოდა, ფეხზე

ვაჭრობდა ათას რამით. ძველ საქონელს ღუქანში არ დასტოვებდა: ან ბეყაფულად მისცემდა ვისმე, ან ისე უთავაზებდა. რაც უნდა ეყიდა ან გაეყიდა, დასტალულად დაადევნებდა:—ბაკლა! სარუხანას ბაკლა!

იმ წელიწადს დიდი ვაჭრობა გაუჩაღდა. მოაწყდა მუშტარი. ბევრჯერ ჯერებიც ვაკეთდებოდა მის ღუქნის წინ. უღვაშებში ილიმებოდა სარუხანა. კეთილი იყო ამ ხანში, სწორედ შაქრის ვაჭაკი. რამდენიც ვაჭრობამ იმატა, იმდენი უხშირა სარუხანამ დასტალული:—ბაკლა! სარუხანას ბაკლა!

ძნელი ის იყო, ღამეც არა ცხრებოდა. წყალი მოუნდებოდა, გაიძახებდა:—ბაკლა! სარუხანას ბაკლა! ქოშებს ეძებდა, თავის ფრახას იმეორებდა განუწყვეტლად, ბაღს აფრთხობდა. გული გაუწვრილდა დედაკაცს. არ გასჭრა არც რჩევამ, არც დარიგებამ, არც ხეყნამ ცოლისა თუ ბაღლისა.

— სხვა რამ სთქვი, კაცი! ან ზღაპარი, ან ლოცვა, თუ შელოცვა.

— ჰო, თქვენი ქირიმე, უსათუოდ! ბაკლა, ბაკლა სარუხანასი!

როცა ღვდელსაც აღარ გაუგონა ვაჭარმა, გაცოფდა დედაკაცი, დალაშქრა, სულ ზურგზე მტვერი აადინა.

სარუხანა ჯერ ილიმებოდა, მემრე შუბლი შეიკრა, ცდილობდა ეთქვა რამ, ან თავის დასტალული, ან სხვა სიტყვა. ვინ დააცალა! დედაკაცი ლანძღვას სეტყვასავით აყრიდა. მოგესმინა, გეგონებოდა, დაბახანაში გაუზრდიათ ქობინით ხელში პატროსანი მედაირის ქალიო. გადააჭარბა. მანამ მისი ქმარი გონს მოვიდა, ქალმა დაუბრაზუნა ფეხები, მოჰკიდა ხელი თავის გოგოს და უკუსძახა:—ღმერთმა ისიც შეარცხვინოს, რომელმაც კიდევ გადმოსდგას ფეხი შენ კარის ზღურბლზე!

სარუხანამ მაშინ-ღა ამოიღო ხმა!

— ბაკლა! ბაკლა სარუხანასი!

ვიღა უსმენდა? წავიდა ქალი, წავიდა.

დედაანი ახლო ცხოვრობდნენ. ისევ პირი-სახე ალექსილი ჰქონდა, როცა მივიდა.

— უი, შვილო, რა მოგივიდა? გაგაჯავრეს, თუ რამე უბედურება შეგემთხვა.

— უბედურებაც არის და მეტიც, კაცი გადამერია. სულ იძახის:—ბაკლა სარუხანასი, ბაკლა! არც დღეა მოსვენება, არც ღამე!

— რა უშავს, ქალო! მოყვარული ვაჭაკი არის, ხომ უყვარხარ?

— ეჰ, ნეტა ვეჯავრებოდე. მაშინ უფრო ასატანი გახდებოდა მისი ღრილი.

— არა, ბებო, მე მამასთან შინდა.

— ჰო, შვილო! წავიყვან შენ, დედაშენსაც. ერთი-ორი დღე მოიცადე და მერი.

ორი დღეც გავიდა და მთელი კვირაც. აღარ იბრუნა ფეხი ცოლმა.

სარუხანასაც ბევრი არ ეცალა. მუშტარი თავს აგლეჯდა. მასალას მომზადება უნდოდა, მოვლა. აქამდინ რომ ცოლი შეელოდა, ეხლა მარტოხელა-ღა შრომობდა. მეორე კვირას, სამშაბათს, სადილობისას, ბიჭი მიაღდა სარუხანას სიდდერის სახლს და მიართო სადილი: ბაკლა, ლობიო, წინილეულობა.

ტაბაკი სავსე იყო, დასხდნენ, შეექცნენ. და დაიწყო ნაირ-ნაირ სამარხო საქმელების გზავნა. ესე გასტანა წითელ პარასკევამდე. იმ დღეს მარხულობდა სარუხანა, და მასთან მთელი მისი მუშტარი. ცოლიც ამარხულა.

მთელი იმედი სარუხანას დამყარებული ჰქონდა აღდგომის დღეზე.

— მოვა, არ დადგება მოუსგლელი. მივალ, ქრისტე აღდგას ვეტყვი, ღვდელსაც თან მივიყვან. დაუჩოქებ, შევებეწეწები და წავიყვან შინ, როგორ გავხარდებმა, როცა ნახავს, რომ სააღდგომო სუფრა გაშლილია და სავსე.

აღდგომას ჩაიცო საუკეთესო რაცა ჰქონდა. ასე მგონია, ქორწილში მიდისო. ყელზე მოიხვია მწვანე ბაღდადი და წავიდა.

ღვთისმსახურება რომ გათავდა, ხალხი ულოცავდა ერთმანეთს ქრისტეს აღდგომას. სარუხანა ათვალეირებდა თავის ცოლს. ვერ დაინახა, ეკლესიის სვეტს ბქით იდგა ქალი, ვეღარ მოითმინა კაცის ტანჯვა, წადგა ფეხი და მიუახლოვდა:

— ქრისტე აღსდგა, ჩემო საყვარელო!

— აი, შე ღვთისაგან კურთხეულო! და დაიძახა:

— ბაკლა! სარუხანას ბაკლა!

ღვდელმა ააყოლა ხმა. სხეებმაც მისცეს ხმა:

— ბაკლა! სარუხანას ბაკლა!

და შეიქნა სიცილ-თქართქარი შუა ეკლესიაში.

### ქვევრი და ყმაწვილები

ჩვენ ეზოში, მარცვლეულობის ორმოების გარდა, მიწაში იყო ჩაფლული ორი ქვევრი. როცა კარგი მოსავალი მოვიდოდა, მარანი ვეღარ იტევდა ღვინოს, და ის ქვევრები მომეტებულ ტუბილის შესანახად იყო. ქვევრს ქვის სარქველი ჰფარავდა მიწა-წყარილი. ეზოს ის ადგილი ყოველთვის დაგვილი იყო და სუფთად შენახული. ოჯახში მარნის ღვინოცა კმაროდა. მოჭარბებული გარედ ქვევრებში ინახებოდა. თითქმის ყოველ წელს ამ ღვინოს გაჰყიდნენ.

ერთ დილას ვნახეთ პაპა და ღვინის ვაჭრები დიდ ლაპარაკში და კამათში იყვნენ. ქვევრები აცხადნათ. ჩავიცივით ჰაი-ჰარა და გავცივიდით, რუმბებსა და კოლოტებს ავსებდნენ. აღარ მოეშორდით. გაავსეს ტიკები, მოამზადეს ურემი ნავაქრის წასაღებად და შებრუნდნენ შინ, ალბათ ფასში გასასწორებლად, ქალბებსაც მოსწყენოდით და თავი დაენებებინათ იქაურობისთვის. ბურთი და მოედანი ჩვენ დავგრჩომოდა. ამით ისარგებლა სოლიკომ და მოათრია ხაპირი ქვევროთან.

— მოდიო, დასხდით ქვევრის გარშემო! დავგვატიყვა, ხმა კი არ ამოილოთ, თორემ ხედავთ? მუშტი მოგვიღერა. ჩაყო ქვევრში ხაპირი, მოწურა დანარჩენი ღვინო და ამოიღო. დალია თვითონ და ჩამოგვირიგა გარშემო მსხდომთ. ესე ამოღება ღვინისა რამდენჯერმე გაიმეორა. შეწითლდა, ჩვენც გავლაჟღავდით, ავეშალეთ ხმა. აღარ-კი გვესმოდა, ვინ რას ამბობდა, ან რისთვის, მერე გადავჯექით ჯოხის ცხენებზე და გავყევით სოლოს, ჯერ ჩაქჩაქით, მერე მოვკურცხლეთ. ქვევრს გარშემო ურბენდით. ზოგი წაიქცა, თავპირი სისხლით მოითხუპნა.

ქრამული გაეგოთ სახლში, გამოცვივდნენ:

6. ლიტერატურის მატრიანე № 1.

— დადექით, დადექით!— გვეძახებდნენ. ვილა იყო გამგონი. დაგვიჭირეს, ჩაგვეყვიროდნენ, ვერა გაგვაგონეს რა, გვირტყეს რამდენიმე გაბრაზებულღებმა. ამან პირსაქმეება გამოიწვია. პატარები მოეშვნენ. ქალებს ეგონათ, გული შეუწუხდათო. ჟრიაჟულმა იმატა. შეგვიყვანეს შინ, დაგვბანეს სახე, ჩაგვაწვინეს ლოგინში.

რომ გამოგვეღვიძა, მზე გადახრილი იყო. პაპა ღოინჯ-მოყრილი დაგმზეროდა, შემოგვიტია:

— აი, თქვე ლოთო-მამა...!— და მიუბრუნდა ქალებს:

— ნულარ გეშინიანთ, გამოფხიზლდნენ. კიდევ კარგია ქვევრში არ ჩაცვივდნენ.

ესე დავიწყეთ ლოთობა.

### გამარჯვებული დედა

ერწოში, ტოლათ-სოფელს მახლობელ ტყიდან ჩამოუღის ხევი. საცმიაო წყალია, სოფელს ჰყოფნის, წისქვილსაც უბრუნებს; ანკარაა, გრილი. მდინარის სათავემდინ სოფელი აღარ არის, არც მეკომური. ისე იხმარება, როგორც წყაროს წყალი. ეჰ! უკედავების წყაროებიც ბევრია ხევში. ეს ნაკადი პურის აკრებაში ძალიან ჰშველის სოფელს. დოლი მოდის და დიკა, კარგი მოსავალი იცის. ნადაგი შავია, ნოყიერი. ეს კია ძნელი: თიხასავით არ იტკიცება, რაც უნდა მორწყა კალო, მინც მარცვალს მიწა ასდევს, ისე რომ საფქვავს გარეცხვა სჭირდება. დედაკაცები რეცხავენ. იფქლს ჩაპყრიან ლაზლის ტომარაში, ესე ნახევრად, რომ თავისუფლად იძროდეს მარცვალი; მაგრა მოჰკრავენ პირს, ჩაადებენ ტომარას წყალში და შესდგებიან ფეხით. სტყულიტავენ, ჰხელავენ, აბრუნებენ ისე, რომ მთელი მიწა იხსნება წყალში და გასდევს ნაკადს. მაშინ ამოიღებენ და წაიღებენ სახლში. ბანები აქ მიწურები. ამ ბანებზე გაშლიან ფარდაგებს, ფლასებს, ჯეჯიმებს, და ზედ გაშლიან გარეცხილ ხორბალს. ორ-სამ დღეზე მზე გააშრობს და გაახმობს საფქვავს. ესე დამზადებულ ხორბალს ინახავენ ზამთრისათვისაც. მაშინ რეცხვა აღარ შეიძლება.

ჩვენც ესე ვიქცეოდით. რომ გავათავეთ ლეწვა, შევაგროვეთ იფქლი, გავრეცხეთ და გავფინეთ გომურის ბანზე. მზე ყოველმხრიდან უდგებოდა ამალეზულ ადგილს. ქათმების და ჩიტების დღესასწაული იყო, არამც თუ ჰყენკავდნენ, ფეხითაც ჰქეჰავდნენ, უკულმა ჰყრიდნენ. აქ მარჯვე ყარაული იყო საჭირო, დარაჯობა ჩვენზე იყო მონდობილი, ბალებზე. გვეჭირა გრძელი შხებლები და ვიგერებდით ფრინველს. გომურის ბოლოს სანათური იყო, და გომურის უწმინდურობას იქიდანა ჰყრიდნენ ისე, რომ სანათურთან ბევრი იყო სასუქი დაგროვილი. ესლა მთელი ეს ნაგავი სავსე იყო ვალალებული შამბით: ჰინჯარი, გარეული კანაფი, დიყა, ყინტორა, ტუხტი...

ტყის პირი იყო პირდაპირ, გაუფლელი. მოისმა შრიალი, და შამბიდან გამოძვრა უზარმაზარი ქრელი გველი, აიღო თავი, მიიხედ-მოიხედა და გაექანა ჩვენ სადგომ სახლისაკენ.

ბალებმა ქლავი-ქლუვი შევქენით. მე ვიყავი უფროსი, არც მეშინოდა: ნაბრძოლი ვიყავი ამ ქვეწარმავალთან, მაგრამ ხელში გრძელი შხებლა-ლა



შემოჩა. ახლო კეტი რამ არ ვგლო. დედა საჩესხ ქვეშ ჰკერავდა. ნახა ჩენი შე-  
ძრწუნება, წამოხტა, მოჰკრა თვალი მცურავს, დაიკივლა და წამოავლო ხელი  
მარგილს, ზედ მივიდა მცურავთან. დაუშო შემალღებული კეტი და ჩააქეჰყა  
პირუტყვი მიწას.

გველმა ერთი კიდეგ სცადა წამოდგომა, მაგრამ ტანი აღარ აჰყვა და გააფ-  
თრებულმა შხამი გადმოგვასხა, მაგრამ ვერ მოგვადინა.

უკვე გამოგვეშველნენ, თავი გაუქეჰყეს.

შეაქეს დედა გულმაგრობისათვის.

### დიდი ნესვი

ზაფხულში კოდა ხილით ივსება, ხილის ნაყოფით თუ ბოსტნეულით, ურ-  
მები ეზიდებოდნენ ნესვ-ყარულუს. არავინ ჰყიდულობდა, უფროსები გვასწავლი-  
დნენ ხილის არჩევას. ყველაზე ძნელი ასარჩევი ნესვი იყო. თუნდ გაკვეთილსა-  
ვით დაგვესწავლა ნესვების სახელები, მისი ხატება თუ სურნელება, მაინც შეს-  
ცდებოდი, და მთელი გზა ალგეთის ბოსტნებიდან კოდამდის ბევრჯერ კიტრანას  
ჰზიდავდი.

პაპას სახლში ყველაზე დიდი ამრჩევი ნესვისა მამა ჩემი ზაქარია  
იძველებოდა.

რომ წაიგრძელებდა ცხვირს და გაავლებდა ნესვს არშიაზე, მითომ გა-  
უჭრიაო, ისე იცნობდა.

ქალაქიდან მივდიოდით პაპიანთსა, მამა ზაქარიას წითელი ხურჯინი და-  
ფუტული მოსჩანდა. რომ გამოველით ქალაქს, საზამთროს მოედანზე, ერთი კი-  
დეგ გადავალო თვალი თავის ხურჯინს და შეიკეჰუნხა:

— არა, არ ვარგა ესეთი ზღვენის მიტანა სახლში! ავაგსოთ!

ბოსტნეულის მეორე გვერდიდან გამოვიდა ვაქარი:

— მამაო, ერთი აქეთ მოდექი!

— რა გინდა?

— ამ ნესვს იცნობ? რომ გაგიგონიათ, ნამდვილი დოსტიჯანი, აი ეს არის.  
ამისთანა რჩეული ნესვი წლებულ არ გაიყიდება ბაზარში. აბა, გასინჯეთ!

ჩამოართო მუშტარმა. ვაქარმა აუხსნა სულ წვრილ-წვრილად ნიშნები დოს-  
ტიჯანისა. ღვდელს მოეწონა, თითონაც გასინჯა და უფრო დიდი ქებით გადას-  
ცა ნესვი ვაქარს. ერთი კიდეგ დაფიქრდა და ჯიბეს გაიკრა ხელი. ამოიღო  
ხურდა, გადასცა ფასი. გააჭანჭყარა ნესვი ყურთან. ვეება ნესვი იყო, თუ კარგი  
გამოსულოყო, მთელი დღე გვეყოფოდა შინ. მამამ მოსთხოვა ვაქარს დანა.

— მე შენთვის სანიმუშოდ ამირჩევია, და შენ ეხლა დანით გინდა დასჭრა?  
სურნელება გაიფანტება. მანამ ახვალთ შინ, ნაქრებსაც პირი დაუწყობს ლბობას  
ხომ იცი, ძალიან ნაზია.

— მოიტა, კარგი.

გამოეცდით. შეიძლებოდა ლაპარაკი—ყაყანი აღარ იყო.

— მამი! რად გინდოდა ეს ნესვი? ნესვის მეტი რა ყრია ეხლა კოდაზე.

— არა! ძალიან სოვდა ვქენი. ხურჯინსაც უკვე აავსებს, თანაც სანიმუშოა.  
შევსხედით.

— მამი! როცა კოდაზე მივდივართ, აკი შაქარი, ჩაი, ზურგიელი და სხვა-იშვითი საქმელი მიგვაქვს შინ და ეხლა რას იტყვიან?

— იტყვიან, თუ: იფ რა მშვენიერია!

გამოვცდით კარგა გზას, ექვმა შეიპყრო:

— მართლა და რამ მაყიდინა! იტყვიან გაძუნწებულაო. იმასაც იტყვიან, დაჰნანებიაო ჩვენთვის ფული.

დაიცა, ერთი, შემომიტია!

დააყენა ცხენი. ამოიღო ნესვი. არშიებს რომ დაუწყო სინჯვა, სახეზე უსი-ამოვნება გადაეკრა:

— კარგია, არა უშავს რა... ოღონდ კი მართლა დოსტიჯანი გამოდგეს! მივედით, ბალები შემოგვეგებნენ. ჩამოხსნეს ხურჯინი:

— იფ, რამოდენა შაქარი მოუტანია!

— მთელი თავი შაქარია, კაცო, შეხედე!

რო გახსნეს თასმები, გამოათრიეს ხბოს ტოლა ნესვი.

პაპა ტახტზე იჯდა დერეფანში. სახეზე ბოროტი ღიმილი ააჩნდა:

— ბიჭო, ზაქრო, რად გინდოდა ამოდენა გოგრის წამოდება?

— მართლა, და რამ მომავონა? როცა შაქარი და ყავა უნდა მომეტანა, იაღლუჯის გოგრა მოვათრიე.

გასკრა. ჩაშმორებული სუნი ამოუშო. გადააბრუნა, თესლები გაბმული იყო თითქმის გახრწნილი.

— ნალად, ეშმაკო! ბიჭო, გადააგდე. მე რომა სუნი სიძუნწისა ამედევნება ხანდახან, უსათუოდ ამისთანა უხერხულობაში შემატოპინება.

დაეცინეთ ბალებმაც.

გადაყარეს ნახარში ქათმების გასახარად.

მოხსნა მამამ ჯიბე: ისე დაუწყო ხარჯვა, თითქოს ბზეს აბნეესო.

— რასა შვრები, კაცო, ვეყოფა!

სამი დღე დარჩა კოდაზე. ისე ქეიფობდა, თითქო კვირაცხოვლობა არისო. მიუბრუნდა პაპას:

— შენ მოძღვართ-მოძღვარი ხარ. აი ეხლა საჯაროდ ვინანიებ ჩემ შეცოდებას, ამ ნესვს რომ ვყიდულობდი, ხურჯინის აესება მეწადა და არა ოჯახის პატივცემა, შემინდე მამაო!

— ღმერთმა შეგინდოს! იცის იმ წყეულმა: ხანდახან ისეთ დროს მოასწრობს ადამიანს და ისეთ საქმეს გააკეთებინებს, მთელი წლობით უნდა ინანიოს და განიცდიდეს სირცხვილს.

გამხიარულდა დერეფანი.

#### სამხრეთის ჯვარი

უწინდელი ჩვენი სჯული გათვლილი იყო მზის მცირე წლიურ სავალზე, ზოდიაკიდან ზოდიაკამდე. აქ მაშინდელი ღვთის მეტყველება შეჩერდებოდა და გამართავდა შესაფერ დღესასწაულს. ამ ვარსკვლავთა შორის ქართველებისათვის

უმთავრესი იყო სამხრეთის ჯვარი. ეს ჯვარი დევის ნამუხლარზედ ჩნდება. წინა აზიაში და ჩრდილო აფრიკაში გამოჩნდება ესე სექტემბრის ნახევარს. შემოდგომის მზებუდობაში, ოთხი ბრწყინვალე ვარსკვლავი. გონების თვალწინ რომ გაავლოთ ხაზები, მათ შორის ჯვარის სახე დაიხატება (ჯვართ ამაღლება შემოდგომაზე).

ჩვენში ეს ის დრო არის, როცა ზაფხული მიიწურება და თან თანდათან დღე პატარავდება, ჰაერი ცივდება, საზრდო ისპობა, ესე იგი ბნელი და ბოროტი სჯობნის ნათელს.

შემდეგ ზოდიაკებზე უფრო მკაცრდება ბუნება. ენკენისთვეში დაწყებული ტანჯვა თანდათან ღრმავდება. ადამიანი სიმკაცრით ამ დროს აღარებდა ჯვარცმით წამებას. იმედი ისპობა, ეს უძნელესი ხანა არის ცხოვრებისა წელიწადში, ეს იქნება დეკემბრამდე, ზამთრის მზებუდობამდე. შემდეგ ჩაისახება იმედი, მზე ჩვენკენ დაბრუნდება. თანდათან ნათელი და სითბო იზრდება, და იშვება მესია—იმედი.

ოცდა ხუთსა ამ თვისასა ქრისტე დაბადებულა, ქონი.

ჯერ პატარა არის მესია, სულ პაწაწინა,—მაინც იმედია, მხსნელი დიდ გაჭირვებისაგან. ვინც წლით იზრდება, მესია დღით იზრდება. ქართველები ამ ჯერის პატივსაცემად და მარად სახსოვრად თავის ტანისამოსს ამოქსოვილ თუ ამოკერილ ჯვრებით ამკობდნენ წრეში, ცის სიმრგვლეში (ხევსურეთი). სისასტიკე ბუნებისა იმათ უფრო სტანჯავდა და ჯვარს აცვამდა.

მ ა რ ი ა მ ო ბ ა

მარიამობისთვის ნახევარში მზე გადასქრის ზოდიაკ ქალწულს, გადივლის რძალზე, და იგი ქალი ისევე ქალწული რჩება, მარად ქალწული.

ხალხისთვის ქვეყანაზედაც შეთხზეს ქრისტიანებმა ეკლესიის კარს მარიამ ქალწული.

ძველ ხატებში ზოდიაკ ქალწულს, ვარსკვლავებით შემკულს, ხატავდნენ ბავშვით ხელში.

ა ღ ღ გ ო მ ა

მზე გადივლის ზოდიაკ ვერძზე. პირველ დღეს აღდგომისას მზე ამოსვლისას ბატკანს ათამაშებს—აღდგომის ბატკანი.

ესე იგი, აღებულია საბეიზმის ღვთისმეტყველება, გადმოტანილია ციდან ქვეყანაზედ და გაუბირებული უბრალო ხალხისათვის. ამისგან არის წარმოებული ესეთი შეუთავსებელი ცნებები: სამება ერთარსება, შეილიანი ქალი—მაინც ქალწული, გარდაცვალებული—მაინც ცოცხალი...

უნდა აღდგენილ იქნას ქართული ძველი რჯულის დოღმატიკა. წიგნები განადგურებულია, ხალხის ხსოვნას შერჩენია ნამტკრეფი იმ საარწმუნოებისა.

### ჩვენი ძროხა

ერწოში ტოლათ-სოფელს ორი ხევი ჩამოუდის: ერთი დასავლეთიდან, მეორე სამხრეთიდან. სოფლის თავში ერთდებიან და ჩაუდინან სოფელს. დასავლეთიდან მომავალი ხევი დიდი ტყიდან გამოდის, მემრე ვიწრო ზოლი მოსდევს თხილიანისა, რველად ფართოვდება ტყე და წყალიც, იშლება ესე ნახევარ ვერსის სიგანეზე. ღრმა ქაობი დგება. ზედ შუაზე ამოღებულ ბეჭიდან გამოდის წყარო. წყაროს თავზე დიდი ქანდარი დგას. ეს წყარო ხევეში გადადის და უერთდება მეორე მოზრდილ ნაკადიან ხეეს. იმ ქაობთან, კყანტობიან ადგილს მირგვალა ჰქვია.

მირგვალის წვრილიანი საესეა ხილით: თხილი, პანტა, მაქალო, ზღმარტლი-სოფელზე სულ სამი ვერსით იქნება მოშორებული, მაგრამ საშიში ადგილია: ნადირი ძალიან ეტანება, გარეული ღორი, დათვი...

სოფლის ბავშვებს ხილის გამო ძალიან უყვართ ეს ადგილი, მაგრამ მარტო ვერ მიდიოდნენ. ხო-და, მწყემსს ნახირი შუადღისას მირგვალაში ჩაერეკა წყალის დასაღევად და დასასვენებლად. იქვე პანტაზე თურმე დათვი იყო ასული-განაბულიყო წყეული. როცა ედროვნა, ჩამოვარდნილიყო ხიდან და ზედ ზურგზედ დასცემოდა ჩვენ ძროხას.

კარგი ჯიშის ძროხა იყო, ბევრს იწველიდა, მაღალი იყო, კობტა. მამას კარგა ფული მიეცა იმაში. ძროხა ღრიალით გამოვარდნილიყო, მენახირეს ყვირილზე სოფელი გაეშველა. წაქცეული-და ნახეს ფური. კბილები რომ ღრმად ჩაეყარნა ქეჩოში, ტოტებით ხერხემლის აქეთ-იქიდან თითო საქალამნე ტყავი გადაეძრო. ესე დაკვარგეთ ჩვენი კარგი მეწველო, დაკლეს.

მირგვალის ნაკადის მარცხნივ აფენილი იყო დიდი ვაკე. ზედ ნაპირას, ოთხიოდე დღიური ნახნავის შემდეგ, იდგა ეკლესია. შემოზღულული დიდი ადგილი ტყრუშული ღობით.

ეკლესიის ქვევით იდგა სკოლა. ამას უფრო დიდი ეზო ერტყა. სკოლის ქვევით ღვდლის სახლი ვეებერთელა ეზოთი, სადაც ბაღაც იყო გამართული. მირგვალის ნაკადი ჩამოწანწყარებდა ბაღაში. ამ შენობის იქით, ჩრდილოეთისკენ იწყებოდა თითონ სოფელი.

სხენებული შენობების და მირგვალის ხევის შუა რჩებოდა დიდი ვაკე ესე ათი დღიურის ტოლა. ამ ვაკეზე იყო აშენებული ხევსურეთის ეკლესია კოპალეი—იალსარი. პატარა შენობა, ესე საყენ ნახევარი სიგანე, სამ საყენამდე სიმაღლე. ოთხკუთხი კოშკი.

წინა მხარეს შენობის შუაში დატანებული იყო თალიანი კარები, პატარა; კაცი მოხრილი შეძვრებოდა. კარი მაღლა იყო. მეოთხე საფეხურს აჰყვანდა კარებამდე, ურდულით იკეტებოდა. კარების აქეთ-იქით ჩარქობილი იყო ორი რქა გარეული თხისა. მუხის ყავრული. რომ შევიდოდა, შენობაში წელამდე დაიმაღლებოდა კაცი.

ცარიელი იყო, არაფერი არც ინახებოდა, არც ეხატა, მთელი შენობა თეთრად იყო გალესილი.

ძალიან მაგარი ქვითკირი, ვერ მოფშენიდი. იტყოდნენ ხევსურები, იალსრის აშენებაში წყალი არ გვიხმარიაო, კირი რძეშია აზელილიო.

იალსრის გარეშაშო დარგული იყო რამდენიმე იფნი. ზედ გვერდზე საყდარს ედგა დიდი ბალამწარა, სულ ჰფარავდა იალსარს.

ამ შენობის დასწვრივ, ესე ათიოდე ნაბიჯზე, იდგა ოთხი ბოძი. ბოძებზე გამაგრებული იყო ლითონის გუმბათი. ზედ ჯვარის სახეებია მოქდებული. გუმბათს თავზედაც სამი ჯვარი ედგა. ეს საზარე ყოფილიყო. ზარი იმ სიმბლეთ ეკიდა, რომ კაცი ხელს მოაწვდიდა. თურმე ბაღდადს შეაბამდნენ ზარის ღეროს და ისე ჩამორეკადნენ დღესასწაულში.

ეს დიდი ადგილი დანარჩენი ცარიელი იყო. მხოლოდ ზედ ნაპირას იდგა მთავარ დეკანოზის სახლი—კურდღელასი, მთლად განცალკევებული.

კურდღელას სახლის ეზოს ღობე და ჩვენი სახლის ღობე ახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

მთელი ეს შენობები შორიდან ისე ჩანდა, თითქო მეორე სოფელს ხედავო. იალსარის ვაკე ხევსურთათვის ხელშეუხებელი იყო, შეუვალი. გამველი დადგებოდა, შორიდან აკოცებდა, ხელს გაიწვდიდა სამლოცველოსაკენ და წავიდოდა.

სამღვთო იკვლოდა ლოდებით შემოწყობილ კალოში, შენობის გარშემო, სისხლით ისხურებოდა შემომწირველიც, წმინდა ადგილიც. თავი და მხარ-ტყავი ხუტყისა იყო. თუ უმნიშვნელო რამ საღმთო იყო, კურდღელა ჩვენ გაგვგზავნიდა, მე და თავის შვილიშვილს ბაჩყურას.

ლოცვას მე ვეტყობდი. ქადის ნაწვრეთს, ხან და ხან კოშტ სანთელს და პატრუქს კურდღელას წაუღებდით. ძალიან მომწონდა ეს, ყავლას მაძლედა და სოფელშიაც სახელს მიკეთებდა.

ისა მწყინდა, მამა და დეკანოზი მტრებად იყვნენ. ერთხელ დიდი ჩხუბი მოსვლიყოთ. საიდღანაც მოველი შინ. დედამ ჩქარა გამგზავნა, მოჩხუბართან წადი და მამას გვერდზე დაუდებო. მარჯვნივ, ჯოხთან. თუ დარტყმა მოინდომა, ეგებ ხელი შეუშალოო.

კურდღელამ იგრძნო ჩემი ქცევის მიზანი, გაიღიმა, ხელი ჩაიქნია, ვათავდა ჩხუბი.

...ერთხელ ბიჭები დავბროდით იალსარის ეზოში. სოლიკო მივიდა საზარესთან და ჩიჩქნა დაიწყო. აღმოაჩინა ჯაჭვის ტოტი, ამოსწია. მივეშველენით, ვერ ამოვაძრეთ. გადავყარეთ ქვები, გაეთხარეთ და ზარი აღმოვაჩინეთ: საზარეში დაკიდებული ზარის ქონა რომ აეკრძალათ, ხევსურებს ზარი საზარის ქვეშ ჩაეფლათ.

შეიყარა სოფელი, ძალიან დამწუხრებული იყვნენ ამ ამბით. დედას რჩევაზე გავიარეთ: სოფელს წავალბინეთ ზარი და ეკლესიის ზარებთან დავკიდეთ. მამას დავალებით, როცა უქმის დარისხება (დაყენება) იყო საჭირო, ან კვირადღეზე, ან რამე დღესასწაულში, უსათუოდ იმ ზარს ჩამოვკრავდი სამჯერ ნელ-ნელა. სოფელი იცნობდა თავის ზარის ხმას და მაშინვე ხელს აიღებდა საშუაოზე, იარაღს დაჰყრიდა.

ბეჩაივი ბერიკაცი კურდღელა, ჩიბუხიდან ცეცხლი გადავარდნილიყო, ლო-  
გინს მოჭიდებოდა და დანწვარიყო.

\* \* \*

ეს ამოდენა ოთხი შენობის ეზო, გარშემორტყმული ერთი მთლიანი ლო-  
ბით, იყო ჩვენი, ბალღების, დიდი სარბიელი: სათამაშო, სხედასხვა ვარჯი-  
შობის არე, ტიკინების საცხოვრებელი ადგილი... არა გვეჭირდებოდა სახალი-  
სოდ ეზოდან გასვლა. წყალიც იქვე ჩამოგვიწანწკარებდა, რომ წისქვილები გვე-  
შენებინა, ჩარხები გვეტრიალებინა. ტიკინების აგება ცალ-ცალკე სრულებით არ  
გვეჭირდებოდა: ტიკინებათ ყვაფილები გვეყვანდა. ზამთარში კარზე იყვნენ. დიდ  
თოვლის დროს ვნახამდით იმ ადგილს, საცა რომელი ტიკინი იზრდებოდა. ვა-  
ნუგეშებდით მომავალი გაზაფხულით. არჩეულ ყვაფილებს საეჭოთარი სახელები  
ჰქონდა; ჩაიძლეველა, გოგლია, მერცხალა, ქოჩორა, ნებიერთ ყვაფილი... არც  
ტანისამოსის შეკერვა სჭირდებოდათ, არც დაკერება, ყოველთვის ლამაზად  
ეცვათ ეშხიანებს. ახლა რამოდენა მცენარე იზრდებოდა ამ დიდ ეზოში! მთელი  
ეზო ნაფუძრებისაგან შესდგებოდა, ნასოფლარი იყო და ნოყიერობით მოჭარ-  
ბებული. დიდძალი ქამა-სოკო მოდიოდა, ხის სოკოსაც ვპოულობდით ლობის ძი-  
რებზე, საცა წიფლის სათრები ეყარა ან კუნძები. დაძველებულიყვნენ და სოკოს  
გვაძლევენ. ამ საქმელისათვის აღარსად გვეჭირდებოდა წასვლა. ყინტორა, ძირ-  
ხვეწა, თხის ძუძუ, ლაშქარა, ჭინჭრის დედა, ჭყიმი, ყვაფილიანი შამბები...

ეზოდან რომ ვახვიდოდი სამხრეთისაკენ, ტყემლის დაგვხვდებოდა ერთი  
ძველის ძველი ნანგრევი. სულ ქვიტკირი, ქვასავით მაგარი, ემჩინოდა საფუძე-  
ლები დარბაზებისა, წვრილ ოთახებისა. ერთ ადგილას ერთი ქვიტკირის გეჯა  
მთლიანად შენახული. არ იცოდნენ არც სახელი ამ ნანგრევისა, არც დრო მა-  
თის აშენებისა. ხეესურები რომ ჩამოსულან ერწოში, ეს ნაოხარი ესევე დახვედ-  
რიყოთ.

ეხლა მთელი ეს ნანგრევები კვრინჩხით იყო მოღებული: მთელი სოფლის  
ბალღებს ჰყოფნიდა.

იმას იქით ოციოდე ახო... მიწები ტყისთვის წაერთმიათ, შიგ მაინც დაე-  
ტრევენინათ პანტა თუ მაქალო, მუხა თუ წიფლა თითო-ოროლა. ესე მოსაჩრ-  
დილებელნი იყვნენ მუშაობის დროს და ხალხი ძალიან უფრთხილდებოდა იმათ.

მემრე შეხვიდოდით ტყეში. წვრილიანი: ტყეძალი, თხილი, მაყვლიანი,  
შვინდი, შინდა-წალა... მემრე ცოტა მაღალი ტყე, მემრე უეცრათ უტყეო ად-  
გილი ბალახოვანი, მარწყვით სავსე, და ოთხიოდე კალოს სივრცე ჯიშინი  
ლოლნოშო. ხევის პირამდე და ზედ წყლის პირას ერთად ერთი კაკლის ხე, ერ-  
წოში სულ არ იცის კაკალი. ზევით ტოტები მომტკრეული ჰქონდა. სქელი ღერო  
იყო დარჩენილი და ზედ რამდენიმე დაბალი ტოტი. მაინც ისხავდა მოზრდილ  
კაკალს.

ლოლნოშოვანი რომ დაიწყებოდა, იქ პირი უჩანდა ერთ ხაროს, რომელიც  
ხევისკენ მიდიოდა ირიბათ. ამბობდნენ, თუ ქვა კარგათ შეისროლე, სპილენძის  
ხმა გამოიღისო. მაინც გვიშლიდნენ, ბალღებს, მიახლოებდას: შეიძლება ან დათვს  
ჰქონდეს ბუნაგი, ან ფოცხვერსაო.

ამ ადგილიდან დაწყებული ჩრდილოეთისკენ წვრილიანი სავესე იყო შენობების ნაშთით, მეტადრე ბევრი იყო პატარა-პატარა სამლოცველო. ზოგან ტრაპეზი მთელი იდგა. ქალაქივით საცხოვრებელი თუ იყო ოდესმე, იქნება აქ იყო ძველი საყდრისი, ეხლა რომ ჩრდილოეთისკენ არის მთის ფერდობზე.

როცა ხევი აღიდგება, გამოაქვს ხან-და-ხან ვერცხლის ძველის ძველი ფული ან ბრინჯაოს რამე ნაკვეთები.

### კოხის კლდე

სოფლის ხევი რომ აჰყვე, აგიყვანს ღრმა ტყეში, თითქმის მთის წვერამდე იქ იკრებიება ტყის ნაკადები, სოფელს რომ ჩამოუღის. აქ არის პიტალო კლდე ტალისა.

კლდიდან ჩამოგორებულა ერთი ვეებერთელა ლოდი წმინდა ტალი. ხევისურებს რომ კოხი სკირდებათ, იქ მიდიან და ამტვრევენ წერაქვებით, მოაქვთ სოფელში, კვერებს უცვლიან გალესილ ქვებსა. ამ ტალს მოსდევს კბილებით ჩახმული ალმასივით ბრჭყვიალა ქვები, ზოგი ცალკე, ზოგი ჯგუფად. ეს თეთრი კბილები ჩამოვლია მიხაკის ფერ ტალში, ჯთითქოს ღრძილებში. ეს ბრჭყვიალა თვლები მინასა სჭრიან, მაგრამ პატარებია, ესე—ქინძისთავის ტოლებია. ჩვენ სახლში ინახებოდა რამდენიმე ნიმუში ამ მინერალისა, აღარ არის, ოჯახთან ერთად განიავდა.

### ზ ა ნ ზ ა რ ა

ერწო—პატარა ვაკე-ველი არის, ვარშემო ტყიანი მთებით შეზღუდული. ამ მთებიდან გამოსდის მრავალი ნაკადი და იკრებიება ერთ მდინარეში, რომელსაც ეძახიან აძექს. უმრავლესი ნაკადები ერთვის მარჯვენა მხრიდან. თითონ აძექი მომდინარეობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ერთვის იორს. აძექს თითქმის არ აქვს ხევი.

იქვე, მარცხნივ, იწყება მთის კალთა. ნაკადებსა აღიდგების დროს უზიდიათ შლამი და უგროვებიათ აძექის მარჯვნივ. დიდი ნაწილი ვაკისა ამ შლამით საგსეა, ღრმა ჭაობითა. ზედ უხვად მოდის ბალახი პრასასავით, მაგრამ მსხვილი, მაღალი. საქონელი ვერ ეკარება: ჩაიფლობა, ველარც ამოვა.

ეს ჭაობი ესე იცვლის მცენარეს: გამხმარი იძირება, ახალი ამოდის, და ესე ყოველ წელს.

კაცის ფეხ-ქვეშ მთელი ეს ადგილი იძვრის, ეძახიან ზანზარას. ზანზარის ზედ შუაზე ამოდის წყალი წმინდა, ცივი და შემრგო, მაგრამ წყალს რომ მიუდგვი, უნდა კარგად იცნობდე იმ ბილიკებს, რომლებსაც მხოლოდ შეუძლიანთ მიიყვანონ კაცი წყარომდე.

ბევრი ცოდევა ადევს აძექს, ზანზარასაც. საქონელი და კაციც ხშირად იულობა და იხრჩობა შიგ.

ხევისურებისათვის მთელი ზანზარა და აძექიც საენათ არის ნაქცევი მანე სულების. ერიდებიან ამ ადგილს.

ერთხელ ურემი ჩაგვივარდა ზანზარას ნაპირში თვლები წავიდნენ ძირს, ჩვენ ძალას ვატანდით ხარ-კამეჩს, მაგრამ მათ ფეხ ქვეშ მიწა ინგრეოდა, შეე-

ნიშნათ სოფლიდან, ჩამოგვეშველნენ. მაშინვე გამოუშვეს ხარ-კამეჩი, ნამდილ-მშრალზე გარეკეს, დაცალეს ზურვი და ცარიელი რის ვაი-ვაგლახით ამოათრის.

### მსხლების გორა

ტალის ადგილიდან რომ ჩამოჰყვები ხევს, იქვე ახლო გორაკია აღმოსავლეთისკენ მიქცეული, საშუალ აყრილ წიფლის ტყისა.

ეს გორა სავსეა მხოლოდ პანტითა. პანტას მიუბაძნია წიფელისათვის ცამდის ასვლა ლიტაოდ, ხოლო თავში გაშლილა ტოტებათ, ქოჩორი შეუკრავს. თითქოს განგებ არისო ეს ადგილი პანტისათვის დანიშნული.

შემოდგომაზე, როცა ხილი მოიწევა, ეს ადგილი დათევბის ბაღნარია. აქ იკვებება იმ მთის დათეობა. როცა ხევსურებს უნდათ იქ პანტის დაკრეფა, რამდენიმე კაცი მიდის შეიარაღებული, რადგან დათვი ჯავრობს, როცა თავის იორულში უცხოს შენიშნავს.

მე მოვეყვ ერთხელ იქ. შეკრებილიყვნენ ვაჟაკები, ბალებიც აეყოლებინათ. დამომძახეს, შენც წამოდიო. არ მიშვებდნენ, მაინც წაველი. რომ მივახლოვდით, ყვირილი დაიწყეს ნადირის დასაფრთხობად. მივედით. მიუფე პანტა ძირს იყო გაშლილი.

— ბიჭო, დათვი! დაიძახა ერთმა. ხის კენწეროზე განაბულიყო. პატარები გამოვიქეცით. მონადირემ თოფი მომართა. დათემა დაიღრიალა და წამოვიდა თავიქვე, შემრე სულაც მოსწყდა ხეს, პრაგვა გასძვრა ძირს. წამოხტა და გაიქცა. მონადირეს აღარ მისცეს ნება ესროლნა, ვაი თუ, უბრალოდ დასჭრა, დაბრუნდეს და გამწარებულმა შური იძიოსო. გულები სავსეები ჩამოვიტანეთ. ტკბილი პანტა იცის, წვნიანი.

### განმარტოებული წიფელა

ლოღნოშოვანის და დიდი ტყის შუა პატარა კორდია უხეო, მხოლოდ ბაღახი იზრდება იქ და განსაკუთრებით შარწყვი. ამ კორდის შუა ადგილას დგას ერთად ერთი უხარმაზარი და მალალი წიფელი, თავი ღრუბლამდე აუწვდენია, იქ კარავივით არის გადაშლილი. თავის ახლო სხვა ხეს არ გააჰკაუნებს.

როცა ტყეში წავიდოდით, მამას უყვარდა ამ წიფელისაკენ შებრუნება. წამოწვებოდა, დაისვენებდა, ზოგჯერ კიდევ დაიძინებდა. მე იქვე ვიჯექე ყარაულად და ვოცნებობდი: ნეტაი როდის ამოსულა ეს ხე, ალბათ რამდენიმე ასწელიწადს გასძლებს, რამდენი ზრეში შემა გამოვა, კაცმა რომ მოსჭრას და დაჩეხოს. თან ვშიშობდი, აქეთ-იქით ვიყურებოდი, ფაჩი-ფუჩზე ვკრთებოდი: ეხლა რომ ერთი დათვი გამოვიდეს, ხომ ორივეს დაგვკამს, როცა ცულის მეტი არა გვაქვს რა, გაიღვიძებდა მამა, პირჯვარს გადიწერდა, გადავეშვებოდით შინათკენ.

\* \* \*

ჩვენ სახლის წინ ჩამოდიოდა დიდი ხევი და გვერდზე მირგვალის ხევი. ამ ორი ხევის გაღმა გადაჭიმული იყო მშვენიერი სანახავეები. ერთ წელიწადს რომ ერთ მიწებსა ხნავდნენ, მეორე წელიწადს იმას საძოვრად სტოვებდნენ და ვგრე, ჩვენ ცხენს ვაძოვებდით ყანების მომკამლე საზოგადო საძოვარზე, ყანების



მომკის შემდეგ ნაყანაებში. ეს საქმე მე მეზარა. დილით გავიყვანდი, სალამომდე ორჯერ დავალევილებდი წყალს, ორჯელ გადაუნაცვლიდი საძოვარს.

როცა წავიდოდი, თან წავიღებდი პატარა ჩემ ნამგალს. ყანების ნალარებში მშენიერი ბალახი იცოდა, იმას გამოვითბავდი, ძნად შეეკრავდი და შინ წამოვიღებდი, რომ ღამე ცხენს და ხბოებს, თუ ცხვარს საკმელი ჰქონოდათ. ერთ-ორ ცხვარს ყოველთვის ვინახავდი.

სალამო ხანზე მზე რომ ტყეს დააფენდა სხივებს, წავიდოდი ცხენის მოსაყვანათ. აქ ჩემი ხათაბალა იწყებოდა: ცხენი არ მემორჩილებოდა. მივაყენებდი ბულულზე თუ ათეულზე, დამაცდიდა; როცა მოვიწოდებდი გადაჯდომას, დადგებოდა შორს. რამდენჯერმე მიზამდა ასე, ხანდახან კბილითაც დამწვდებოდა, ამწევდა, მეთამაშებოდა, მანამ არ შენიშნავდა ჩემ უხერხულობას ვინმე ახლო მომუშავე ქალი და სიცილით წამოვიდოდა ჩემკენ:

— იპი, კაციც ხარ, ცხენზე ვერ შემჯდარხარ! ამწევდა მზრებით, გაუკეთებდა საცხვირს და შემსვამდა. ერთსაც დაჰკრავდა ცხენს და გამისტუმრებდა. ეს იცოდნენ სოფელში და დამციხებდნენ:

— ასო! ასო! როდის ისწავლი ცხენზე შეჯდომას, თორემ დაილაღნენ ჩვენი დედაკაცები შენი მოვლით!

მაგრამ მერანამ სულ მასხარად ამიგდო. ძალიან ფიცხი ცხენი იყო, მოხუშარე. შეჯდომის ნებას-კი მომცემდა, მაგრამ მემრე ყველა ხერხა ხმარობდა გადმოგვდე. ბევრჯელ დაბეგვილი მიველი შინ. არც დაბმას ჰშენებდა. აურჩევი საძოვარს, ჩაურქობდი გრძელ ბალოს მიწაში და გაუშვებდი თოკს. ერთი-კი დაფიქრდებოდა, მერე გაქანდებოდა და მთელი ღონით დასჭიმავდა თოკს. უსათუოდ გასწყვეტდა ან თოკს, ან აფშარას, ან ბალოს ამოაძრობდა და განთავისუფლებდა თავს. ისევე უნდა მომეტყუებინა, დამეჭირა, მეორედ დამება თუ ახლო ხეს ვიპოვიდი, მაშინ-კი მივეჯაჭვავდი და უნდა დამორჩილებულიყო.

ერთხელ მეტად დამიგვიანდა ცხენის მოყვანა, სულ დამვიწყებოდა. გავიქევი ცხენთან, გავუკეთე აფშარა, შევეჯექი როგორც იყო. უეცრათ მომესმა ხმა ხევიდან. დავინახე მალალ ტოტზე ტრიალებდა რალაც თეთრად მოსილი. ჯერ მინდოდა ცხენი იქით მიმებრუნებინა, რომ ერთად წავსულიყავით, მაგრამ მემრე გადავიფიქრე. ვთქვი, ალქი არ იყოს და არ დამლუპოს მეთქი. დავკარ თოკი ცხენს და შეშინებულმა შევაქენე ეზოში. ჯერაც თმა ყალყზე დამდგარი არ დაწყობილიყო.

ქ ი ა კ ო კ ო ნ ა

მარტის ნახევარში, როცა მზე გადაჯდება ეკვატორზე, უკვე ყველგან სჩანს გაზაფხულის ძალი. ამ დროს ჩვენს ქვეყანაში ეზობებში, სათიფეებს, ზვინების ნადგომ ადგილებს მოფოცხავენ, დაჰკვიან. ნაწამორ შამბს, ჩალა-ბულას, ლოგინში ჩაფენილ ბურდოს შეაგროვებენ ერთად და მისციემენ ცეცხლს, ვნების კვირის ზოგან ოთხშაბათს, ზოგან ხუთშაბათს. ეს არის ჰიაკოკონა.

ჰიაკოკონაზე გადახტება ჯერ ოჯახის უფროსი, მემრე მომდევნოები. აკვნის ბავშვებსაც-კი გავაღებენ ალში. ესე გაისტუმრებენ ბნელ ცივ ზამთარს და სინათლით მიესალმებიან მომავალ ზაფხულს.

ამ ჩვეულების გამო ერთხელ მეტად შეფთხა ახლად მოსული რუსი. როცა დაანთეს ქიაკოკონები კოდაზე, ვაშლოვანში, ერთისში, რუსებს ეგონათ, აჯანყება დაიწყოვო, და სოფლებმა ერთმანეთს ნიშანი მისცესო.

ჩაპბერეს ღოროტოტო, დაჭკრეს დამფს, და საომრად გამოწყობილი ჯარი გამოვიდა შარაზე. კინალამ დაუწყეს სროლა ხალხს, ერთი მალლა გაიძახოდა, ჩქარა ზარბაზნები, ზარბაზნებიო.

რომ სოფელი არ აეოხრებინათ, ღვდელი, ქეთხუდა ხალხი მივიდნენ, გაუშმარტეს ჯარის უფროსს ყველაფერი და დაამშვიდეს როგორც იყო. ესე გადაიხადა ქართველთა აჯანყება რუსმა.

როცა ქიაკოკონაზე ხტებთან, იტყვიან: არ ურუ კუდიანებსო. არ ვიცო რას ნიშნავს. ეს-კი ვიცით, რომ ერთ შემთხვევაში კიდევ ხმარობენ მაგ სიტყვებს: დიდ მარხვის პირველ ორშაბათს ყველა ოჯახი აღუღებდა ნაცარწმინდს და ისე რეცხავდა მთელ ქურქელს ლითონისა და თიხისას, რასაც-კი შეჭებოდა წინა დღეებში სახსნილო. სამარხო საკმელი იხარშებოდა სამშაბათიდან. ამ ქურქლის დარეცხვას ეძახიან დარუებას.

### კ ა ლ ი

მამაც მისდევდა ხენა-თესვას, მაგრამ ძალიან ცოტას, ორი-სამი დღიური-სას. კალო-საბძელი სახლის პირდაპირ გვედგა. ზვინებს რომ დავდგავდით, გვიხაროდა, ვხალისობდით, ვითვლიდით, რამდენი გამოგვივიდოდა. გაეთოხნიდით კალოს, ბალახებს ძირიანად მოვაცლიდით, ნათოხნს გადაყრიდით. ხის ცოცხება გვქონდა, დავგვიდით სუფთად, მოვრწყავდით და ერთი დღე დავაცდიდით, რომ მიწა დამჯდარიყო, გამომშრალიყო. შემდეგ ჩაუშლიდით კალოს. ერთ-ერთი ზვინიდან გადმოჰყრიდა ძნებს. გავზიდავდით კალოზე. შემდეგ გავხსნიდით. ულოებს ცალკე შევავროვებდით. გაშლილ ძნებს ავიღებდით, ხელში დავიქნევდით მაგრად, რომ აწეწილიყო. ეს ჩაშლილი კალო კაცს წელამდე სწვდებოდა. ორი კვერთხა ვლუქავდით: ერთი კვერი ხარისა იყო, მეორე ცხენისა, ცხენზე უნდა მჯდარიყო ვინმე, რომ სწორედ ეტარებინა. ეს მთლად ჩემი ვალი იყო. ყველაზე სუბუჭი მე ვიყავი. მეკალოვე რომ შემჯდარიყო, წელს მოსწყვეტდა ისეც დაბარგულ ცხენს. შუა დღე გადასული იყო, როდესაც ნიჩბით უქცევდით გვერდს. ერთი ნახევარი საათი კიდევ, და დათავდებოდა ლეწვა. აქი ვჩქარობდი მე. შევავროვებდით არხანდებით შუა კალოზე ნალეწს, შევგვიდით და დავასვენებდით კარგი ნიავის მოლოდინში.

მე ეხლა მთლად თავისუფალი ვიყავი, რადგან ყოველ დღე დავდიოდი პანტაზე, მაქალოზე, თხილზე და ხუთყურაზე.

ჩავიცვამდი სატყეოდ, გადავიქიდებდი მხარზე აბგას და ვავროდი ჰაი-არა, რომ შემძლებიყო თვალნათლივ დაბრუნება. აბგა ვთქვი, მაგრამ ის აბგა სიდიდით ხურჯინსა ჰგავდა. სავსეს ჩამოვიტანდი, უხაროდათ. საკმელადაც გვყოფნიდა და ჩირათაც. მსხვილებს ვარჩევდით ჩირისათვის. თონეში გამოვავრობდით ასხმულებს და შევიჩახავდით. დედა შაქარში მოგვიხარშავდა, ტკბილი ხდებოდა.

კიდევ ტყის ხილს ესე ვინახავდით: როცა საბძელში ბზეს ვავროვებდით, შუაში რამდენსამე ადგილას ჩავფლავდი ხილს და ბზით ავაესებდით საბძელს

კარებამდე. ჩვენ ნებაზე აღარ იყო ხილის აღება, დიდძალ ბჭეში იყო გახვეული-  
ზამთარში, როცა ნელ-ნელა იღვოდა ბჭე, თავისთავად გადმოიშლებოდა შენა-  
ხული ხილი, წიოკობით გავებოდით შინ, ამასაც დედა თაფლით დაატკობდა.  
ხილი იყო და ხილი!

კლიუჩევსკი ოპონენტად

გვეყნადა პროფესორი ს . . . . ივანე. ეს თანამდებობა ნიჭით-კი არა  
ჰქონდა ნაშოვნი, არამედ ჯდომით და შრომით. სულ მუშაობდა განუწყვეტლად.  
შემოქმედებითი ნიჭი სრულებით არა ჰქონდა, სტუდენტობა მის შრომას პა-  
ტივსა სცემდა და ზრდილობიანად ეპყრობოდა.

მოვიდა ერთი კანონი: ვინც მაგისტრი არ არის, აკადემიას თავი უნდა  
დაანებოს. მაგისტრობისათვის-კი საჭირო იყო დაბეჭდილი თხზულება და სა-  
ჯაროთ იმ წიგნის დაცვა.

დაიწყო ს.—მაც, დასაბეჭდად ამზადებდა წიგნს. წერა, წერა, ვეებერთელა  
წიგნი გამოვიდა. წიგნს ერქვა: „Протестантизм в России“. დაიბეჭდა. დაი-  
ნიშნა საჯარო გამოცდა, ოპონენტებად აკადემიისავე პროფესორები იყვნენ, მათ  
შორის კლიუჩევსკიც. ისე ეშინოდა ს—ს იმისი, როგორც ცეცხლისა. იმის ხსე-  
ნებაზე გულს ეყრებოდა.

წიგნის დაცვა დიდებულად მოწყობილი. ვებერთელა დარბაზი საცხე. უნი-  
ვერსიტეტის პროფესორებიც. დაიწყო კამათი. ოპონენტები ძალიან რბილად  
ექცოდნენ. კლიუჩევსკი იჯდა გატრუნული. წიგნი ხელში ეჭირა. ბოლომდე  
არავითარი მონაწილეობა არ მიიღო კამათში. მიდგა ჯერი ვასილ ოსიპიჩხე.  
სოკოლოვი გაფითრდა, კირის ოფლმა დაასხა.

კლიუჩევსკიმ აიღო წიგნი, გადააბრუნა, გადმოაბრუნა და უთხრა:

— ამოდენა წიგნის დაწერა სწორედ სამადლობელო საქმე არის. კარგად  
არის ნამუშევარი ყველაფერი, მაგრამ აქ ერთი ადგილია, რომელიც ფასდაუ-  
დებელია! აი ეს ადგილი!—და მოიყვანა რაღაც ციტატა—ამოწერილია ამა და  
ამ წიგნიდან ამბობს ახალი ავტორი; აბა, მეცნიერს წააკითხეთ ეს ადგილი, არ  
შემეშალოს.

იმედმოცემულმა ავტორმა დაადასტურა.

— და ეს წიგნი თქვენ გეჭირათ ხელში?

კოტა შეტორტმანდა ს—ი, მიუგო:

— სწორედ!—

—და იცით თქვენ, რა ძვირფასი განძი გეჭირათ ხელში?

— ხო, ძლიერი წიგნია!

— დიდი მადლობა!—მობრუნდა საზოგადოებისკენ:

— ის წიგნი, რომელიც ხელთა ჰქონია ჩვენ ძვირფას პროფესორს, დაიწვა  
ამა და ამ წელს ამა და ამ ხანძრის დროს, და მას აქეთ მეცნიერება ეძებს იმ წიგნს  
და დიდად ნაანობს მის დაკარგვას. კარგად-კი გახსოვთ, (მიუბრუნდა ისეუ ს—ს),  
რომ ის წიგნი გეჭირათ?

სიჩუმე.

— თქვენ ის წიგნი-კი არ გეჭირათ ხელში, თქვენ გეჭირათ ამა და ამ კაცის თხზულება, რომელშიაც მოყვანილია ეს ციტატა, ერთად ერთი ნაპერი იმ დაკარგული წიგნიდან, ხომ ეგრეა?

ივან ს—ი გაცრეცილი იდგა კათედრაზე, გაშვებული.

თავმჯდომარე წამოდგა ფეხზე. წამოიშალნენ სხვებიც. ჩაიფურა ერთი დაკვირვებით უნიჭო კაცის ნაშრომი.

### ჯვარის წერა

— ღვდელი! ჰა ღვდელი!

— ვინა ხართ, კაცო, ამ დროს, რათ მეძახით?

— ჯვარ დასაწერად მოვიყვანეთ!

— კეთილი! ვინა?

— დამწვართ სოფლელი კილიკე და წყაროელი გულვარდი.

— კარგი ქალი მოუხელია! მოდიო. იცოდე-კი, თუმან ნაკლებ არ გაგატან შეგ ქედსავეთ ქალს!

— არა, ღვდელი, სამი მანეთი!

— კარგი, ხუთი მანეთი და ნახევარი ლიტრა ერბო.

— კარგი! კარგი!

— აი, ქალო, ეკლესიაში დგებართ, ხატების წინ. რასაცა ფიქრობ, ის უნდა სთქვა. თანახმა ხარ, გაჰყვე ამ კაცს ცოლად, გინდა?

ქალმა თავი ჩაღუნა, ოდნავ წაიჭურჩულა რაღაცა.

— აი, თუ იტყვი: ჰო, ჯვარ დაგწერ. თუ იტყვი: არა, აი ამ საყდარს ორი კარები აქვს: ერთით შენ გახვალ და შენი მაყრები, მეორით—შენი საქმრო და მისი მაყრები!

ქალი ჩაჩუმა. ვაჟის მაყრებმა ხანჯლები ამოაჩინეს ქარქაშებიდან. მაყრებმაც ხელი იტაცეს ხანჯლებზე.

— აბა, თქვი, იყოს თუ არა?

— იყვას, ჯან გაღვარდეს!

დაიწყო ღვდელმა...

### პ რ უ დ ნ ი

სემინარიის ძველ შენობაში მთელ სივრძე-სივანეზე ორი აივანი ჰქონდა გავლებული. ეს აივნები ისე ფართები იყვნენ, დერეფნებათ გამოდგებოდნენ. ერთი აივანი ჰყოფდა ზედა სართულს მეორე სართულისაგან, მეორე—მეორე და მესამე ძირის სართულს. მეორე ბალკონი კლასებისთვის იყო დანიშნული. ძირის სართული ბინები იყო სკოლის უფროსებისა და სხვებისა. მეორე სართული თავდება ლაზარეთით. აივანიდან შეიძლებოდა შესვლა.

— ბიჭო, ვასო! აი ეს წიგნი წაიკითხე საღამომდე, რასაც მოასწრობ. მერე ისე უნდა გადავცე, თორემ ღამე გაგვჩხრეკენ.

ჩამოვართვი წიგნი, ყდიანი იყო. ყოფილიყო პრუდონის თხზულება „Отщепенцы“. გავედო მეორე აივანზე და გადაშლილ წიგნს ვკითხულობდი, თან დაედოდი მთელ სივრძეზე აივანისა. ჩემ მთარველად და სასიყვარულოდ სააქადმყო-

ფოს კარები მიმაჩნდა, თუ მღევარი წამოვიდოდა, შევალბდი კარებს და შევი-  
ლოდი.

გაიღო კარები და გამოვიდა იმავე ბალკონზე ახალი რექტორი აბრამი,  
წინ მიუძღოდა ინსპექტორი კუვშინსკი, უჩვენებდა, უღიმოდა, უღრუნდა,  
ეტყოდა...

რომ დავინახე, დავქსელე საავადმყოფოს კარებისაკენ. მე შორს ვიყავი  
იმთვან, ზოვასწრობდი, მაგრამ დაკეტილი დამხვდა ის კარი. მოყვევი ხაფანგში.  
იქვე იყო საპირფარეო, ვიფიქრე, ჩამეგლო წიგნი, მაგრამ ყლიანს დაიკავებდა  
მილი, ეს არ ვარგოდა.

ქირის ოფლმა რომ დამასხა, გავბედე: არ მოეშალე წიგნის კითხვა, თან  
ვკითხულობდი, თან ნელის ნაბიჯით მივდიოდი მომავალ უფროსებისკენ. რომ  
მიუთახლოვდი, დავკეცი წიგნი, ამოვიდე ილიაში, გადავიჯვარედინე ხელები და  
მდაბლად თავის დაკვრით მოვთხოვე შენდობა. რექტორმა გადამწერა ჯვარი,  
კუვშინსკიმ ქება მითხრა. ისე მარჯვედ დამახასიათა, რომ რექტორმა ხელი ას-  
წია საკუთრებელად, მეორედ გადამასხა ჯვარი.

გამოცდი. დავიწყე ისევ ნელი სელა წიგნის კითხვით. მიველი მესამე სარ-  
თულში ასასვლელ კიბესთან, მივეფარე, მოვკურცხლე, გულხეთქებით ავვარდი  
ამხანაგებთან და წიგნი მივაგდე ვანო მახარობლიძესვე, ეპშტეინს. თუ მოვიკი-  
თხათ, რა წიგნი მექარა, იმ წამსვე დამითხოვდნენ პანსიონიდან, და ეს ნიშნავ-  
და სემინარიიდან დათხოვნას.

განა არა, მე რომ მალე. დავეთხოვე უფროსებს, რალაც მოძრაობა შევნი-  
შნე ინსპექტორის სახეზე. ალბათ მიხვდა და თავი მაინც შეიკავა; არ თუ უნ-  
დოდა ახალ რექტორთან გამგელავნება ძნელ საქმისა.

გადავჩი, გადავჩი...

### ჩიქორთანთ ლულდი

ერწოში ათი მეტი სოფელი იყო ხეცსურებისა. ზევით მთიდან გადმოსა-  
ხლებულიყვნენ, ისევ ძველ წესზე ცხოვრობდნენ, ცოტა უფრო ფართედ. ერთი  
კარგი ჩვეულება ჰქონდათ: წელიწადში ერთხელ ყველა სოფელი ჩამოირიგებდა  
ფართე პატიყისს. დაჰკლამდენ სალამოებს, გამობდიდნენ არაყსა, აღულეზდნენ  
ლულს. ღვდელს რომ აწირვინებდნენ, ხუცესიც თავისუფლად ღვთის მოქმედებ-  
და მის გვერდზე. სტუმარი დილიდანვე იკრიბებოდა. ხანში შესულები, რითიმე  
გათქმულები სპარობდნენ, სადღესასწაულოდ იყვნენ მორთულნი, სადილის მო-  
ლოდინში ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ. მასლაათობდნენ, ამ მთისას იტყოდნენ.  
იმ ბარისას, ძველსა თუ ახალს, ბუობდნენ, არიგებდნენ, აღადგენდნენ მთიდან  
წამოღებულ წესრიგს, თუ იგი სადმე შერყეულიყო ან დარღვეულიყო. ახალ-  
გაზრდებსაც ასინჯებდნენ ერთმანეთს. ჰრელ-ჰრელ ქოქომოები, ეშხით ჩა-  
ხლართული ქალამნები ჰრელ წინდებზე, ფოლადის მკლავები თუ წვივები.

ამისთანა დღესასწაულებში ღვდელ-დიაკვნთან ოჯახებში ჩიქორთანთ  
სამღვთო უფრო უხაროდა. ვერც ერთი სოფელი ვერ აღულეზდა იმისთანა ლულს  
ცალკე გოზაურს გავატანდით, რომ ტიკპორას არ გავფუჭებინა სუნი და გემო-  
ცილოზდნენ სხვა სოფლებიც, მკერდამდინაც ვერა სწვდებოდნენ; ლულის მკე-  
თებელმა რამ საიდუმლო სანელი თუ იცოდა.

მოსკოვში რომ ვიყავი, ერთხელ წამიყვანეს პორტერნაიაში. რომ ვიგემე მორთმეული პორტერი, ჩიქორთაანთ ლუდი დამიდვა თვალწინ, არ ვიცი-კი რად.

### პაპას საცოლევები

როცა მოსულა ჟამი, აბრამ ღვდელს რომ გადაეცა მრევლი იაკობისათვის, დაუწყვია ქალების არჩევა სასძლოთ. ერთი პირობა დაუდგია: ჩემი იაკობის საცოლე უსათუოდ გლეხის ქალი უნდა იყოს, და ეგებკოდელის, ალბათ იმიტომ, რომ თავად-აზნაურობის ახალგაზრდობაში გასული იაკობი ცოტა მოშინაურებულიყო, და შრომას თუ წესს შესჩვეოდა.

არჩევანი ხუთზე შემდგარიყო: დოღმაზაანთ ქეთევანი, ჩიბუხტარაანთ მართა, პატარკაციანთ ელენა, ძამუნაანთ ბარბარე და კიდევ ერთი სხვა. მე ამ ოთხს მოვესწარ: ამათში ქეთევანი ყველას სჯობნებია სიღამაზით, პატარკაციანთ ელენე კარგი მოცეკვავე ყოფილა.

ერთ დიდ მარხვას, როცა ქალებს უთქვამთ ეკლესიაში აღსარება, ღვდელი დაფიქრებული გამოსულა ეკლესიიდან და უთქვამს:—ავარჩიე!

— რა აარჩიე, მოძღვარო?

— ავარჩიე და გათავდა!—სხვა აღარაფერი უთქვამს რა.

როცა მეორე დღეს აზიარებდა ხალხს, ბარბარე მისულა საზიარებლად. უზიარებია, მერმე აუღია მთელი სეფისკვერი, მიუცია ბარბარესთვის და შუბლზე უკოცნია.

რომ გათავებულა წირვა, უკითხიათ, რად გამოარჩიე ის ქალი სხვებისაგანაო.—ეგ არის ჩემი სძალი, ჩემი არჩეული, იმისათვის გავარჩიეო, აღსარება ისე კვიანათ, მითხრა, რომ აღტაცებაში მომიყვანაო.

ჩემ დროს დანარჩენებში სამი-ლა იყო ცოცხალი. წელიწადში რამდენჯერმე ეწვეოდნენ იაკობს. ბებო დერეფანში გაუშლიდა სუფრას დიდ ტახტზე, თითონ მთარმევედა საქმელს, ემსახურებოდა პატივისცემითა. პაპა ხუმრობდა, აცინებდა, ისინიც ხან საიასალო ლუკმას მთარმევენენ, ადღეგრძელებდნენ, მოიგონებდნენ უწინდელ რამე ამბავს, გათავებისას ემთხვეოდნენ ერთმანეთს.

მე თვალზე დაჭყეტილი შევეყურებდი და ვერ წარმომედგინა, როგორი იქნებოდა ლამაზი რომელიმე მათგანი, ან მეორე როგორ ჩამოცქრიალდებოდა შეშპრისათვის, ეხლა რომ უკირდებოდათ ფეხის გადადგმა.

## შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

(ვასილ ბარნოვის მოგონებებზე „სამწუხარო ღიმი“)

1. „ა კ ა დ ე მ ი ა“—მოსკოვის სასულიერო აკადემია, სადაც სწავლობდა ვასილ ბარნოვი, ტფილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდგომ 1878—1882 წლებში.

საუკეთესო მასწავლებლები, კარგი ამბანაგები, საუკეთესო ბიბლიოთეკა და შესაძლებლობა მთელი დრო სწავლისათვის მოენდომებინა, იყო მიზეზი, რომ ვასილ ბარნოვი სიყვარულით იგონებს მოსკოვის აკადემიას.



5. „ობეჯორნი რიადები“—საეპიტო ადგილი, სადაც იყიდებოდა შხა საკმელი „უბრალო“ ხალხისთვის. მოსკოვში ასეთი ადგილი იყო სუხარევის კოშკთან (Сухарева башня), ვასილ ობრაზცოვიც, რომელთან ერთად უყვარდა ვასილ ბარნოვის ამ „ობეჯორნი რიადების“ კლიენტებში გარევა, ვ. ბარნოვის სიტყვით, იყო დიდად ნიჭიერი პიროვნება.

9. „სკიტი პარაკლიტი“—„Параклит Тарбеева Пустынь“, მიწერილი იყო სერგეი „პოსადზე“. იგი დაარსებული იყო 1859 წელს გეთსიმონის სკიტის რამდენიმე ბერისთვის, მათი განკარგულებით საცხოვრებლად.

სკიტი, საზოგადოდ, ერქვა რომელიმე მონასტრისაგან მოშორებით მოწყობილ სენაკებს, რომლებიც განკუთვნილი იყო მარტომყოფელ ბერთათვის. სკიტების შინაგანი წესწვობილება უკანასკნელ დროს მონასტრებისაგან არ განირჩეოდა, მხოლოდ სკიტები ექვემდებარებოდნენ რომელიმე მონასტრის წინააღმდეგარს.

10. დიმიტრი ჯანაშვილი (ინგილო)—ისტორიკოსი, ჟურნალისტი. ვასილ ბარნოვის დროს სწავლობდა აკადემიაში, მაგრამ მასხედ უფროსი იყო. აკადემიაში შესვლამდე კარგა ზანს უმსახურია.

12. კლუჩევსკი ვასილ ოსიპისძე (1841—1911), ისტორიკოსი. პროფესორი მოსკოვის სასულიერო აკადემიისა და უნივერსიტეტისა. ახლო იდგა ლიბერალურ წრეებთან. განთქმული იყო მისი ლექციები რუსეთის ისტორიიდან.

14. იაკობ დვდელი—ვასილ ბარნოვის პაპა (მამის მამა), სოფ. კოდაზე მსახურობდა. თავის პატარა მეურნეობას თითონ უვლიდა. იაკობს ჰქონდა დიდი პატრიარქალური ოჯახი, მუდამ სავეს მიმსვლელ-მომსვლელებით. ვასილ ბარნოვი ცხოვრობდა ბავშვობაში მის ოჯახში. „მსახური ეკლესიისა“-ში აწერილია ამ ძველებური ოჯახის ცხოვრების წესები (გარდა ფაბულისა). თვით არსენა ოძელაშვილს ჰქონდა აქ თავისი ბინა.

იაკობს დიდი სიყვარულით და პატივისცემით იგონებდა ვასილ ბარნოვი. კოდის „გადსახედავთან“ წმირად ერთად ყოფილან ორნი, და ბევრი რამ უამბია იაკობს ვასილ ბარნოვისათვის: აღექვანდრე ბატონიშვილის ბრძოლაზე კოდასთან, საშვილდის ალების ხერხზე (რომანი „ნათელბოსილინი“).

იაკობს გარდაცვლილა ვას. ბარნოვის აკადემიაში ყოფნის დროს და დაუსაფლავებიათ კოდის ეკლესიაში.

17. ოძელაშვილი და იაკობ დვდელი—ოძელაშვილი არსენა, ცნობილი ხალხური გმირი, დიდად პატივს სცემდა იაკობს.

18. კუდრიაცვევი ვიქტორი დიმიტრისძე (1828—1892) ფილოსოფოსი. იყო ფილოსოფიის კათედრაზე მოსკოვის აკადემიაში. მთელი რიგი მისი შრომებისა მიძღვნილია პროგრესისთვის, დარეინიზმისათვის და სხვა.

19. სოლო—სოლომონ ბარნოვი, იაკობის შვილი, ვასილ ბარნოვის ბიძა, მაგრამ სულ 3—4 წლით მასზე უფროსი. ვ. ბარნოვის დიდი მეგობარი. ბავშვობის წლები სოფ. კოდაზე და შემდეგ სასულიერო სასწავლებელში ერთად ჰქონდათ გატარებული. სასწავლებელში არ დაუმთავრებია: არ მოისურვა ამ მთიმე რეგიმის ატანა, რომელიც ამ დროს სასულიერო სასწავლებლებში იყო გამეფებული. (ეს რეგიმი აწერილია „ქორრა ხე“-ში. იხ. კრებული „ვარდფაჯები“).

20. ყუენობა—აწერილია ყუენობა კოდაზე. სოფლები ბორბალო, ერთისი, მარაბდა, ვაშლოვანი კოდის მახლობლად მდებარეობენ.

22. სირთნიკა და მისი საქოლავი—ამბავი, გავონილი სოფ. კოდაზე, კოდისავე ცხოვრებიდან.

23.—აწერილია ვ. ბარნოვის გამგზავრება სოფ. კოდიდან სასწავლებელში (ტფილისში) არდადეგების შემდეგ.

კოდა-ტფილისის გზის შესახებ მოთხრობილი აქვს ნაწარმოებში „ქორრა ხე“ (კრებული „ვარდფაჯები“).

24.—აწერილია საუბარი ვესევისა—საქ. ეკზარხოსის და მასპინძლის, იაკობ ბარნოვისა, ვ. ბ-ის პაპის შორის.

სხვადასხვა სოფლებში ჯამგზავრების დროს, ეხვევი სწვევია სოფ. კოდასაც, სადაც ეს-  
ტუმრა იაკობს. ისტუმრობა აწერილია აქვე მოყვანილ მოგონებაში: „ექზარხს მოუსვენეს“.

25. „ჰამე! არ ჰამე!“—ანეგდოტური შემთხვევა საქართველოში ლეკთა თარეშის დროი-  
დან. ჯაგონილი ვ. ბ-ის მიერ პაპის ოჯახში.

27. მამა ვასილ ბარნოვისა—ზ ა ქ ა რ ი ა ბ ა რ ნ ო ვ ი, სწავლობდა ტფილისის სასულ.  
სემინარიაში, უკანასკნელ კლასიდან გამოვიდა რექტორთან უსამოყენების გამო (დაახებთა  
ბალიში რექტორს).

მსახურობდა ლეღლად ჯერ სოფ. ღულში (ხევსურეთი), შემდეგ ტოლათ-სოფელში (ერწო),  
შემდეგ თავისი სურვილით გადავიდა სოფ. კოდახე, სულ ბოლოს მსახურობდა სოფ. ბოგეში.  
ძლიერ სათნო ზასიათის, გულკეთილი, ნაკითხი ადამიანი მატერული გემოვნების  
პატრონი.

დაქვრივების შემდეგ, პენსიაზე გადავიდა და ცხოვრობდა ვ. ბ-ის ოჯახში თელავში.  
გარდაიცვალა 1908 წელს.

28. ჳ ა ლ ა დ ი დ ი—აწერილია ჳალადიღში დროს გატარება. მოგონება ეხება იმ ხანას,  
როდესაც აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1882 წელს, ვ. ბარნოვი სამეგრელოში იქნა დანიშ-  
ნული სენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად.

30. გ ა დ ა ე რ ი ი—ამბავი დაბალ სასწავლებელში (სასულიერო სასწავლებელი) მოწაფეო-  
ბის დროისა.

31. ი ა გ ო რ ი—იაგორ (გიორგი) ბარნოვი, ვ. ბ-ის ბიძა, მისი მამის ძმა. კუბის პოლ-  
კის პორუჩიკი. გარდაიცვალა 30 წლისა.

32. „ი ბებერიც რუსის წერა ყოფილა“,—ძველი ამბავი, კოდახე მომხდარი, ჯაგონილი  
ოჯახში.

33. ტოლათ-სოფელი—სოფელ ერწოში, სადაც ვ. ბარნოვის მამა მსახურობდა, და სადაც  
ბავშვობის რამდენიმე წელი გაატარა ვას. ბარნოვმა.

ტოლათ-სოფელი დასახლებულია ხევსურებით.

34. „ა ლ ჭ ი“—მოგონება ეკუთვნის 1913 წელს, როდესაც ვასილ ბარნოვი მანგლისში  
იყო საავარაკოდ.

36. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი ა კ ო ბ—ცნობილი პედაგოგი და მწერალი.

37. ბ ა ქ ა რ ი ძ ე—ამბავი სემინარიულ პანსიონერების ცხოვრებიდან.

38. რვეულის გასწორება—(სასულ. სემინარიაში სწავლის დროისა).

41. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი შ ე მ ჭ ყ ვ ა რ ე ბ ო დ ა თ—ტრადიკული ამბავი გოგებაშვილის  
ცხოვრებიდან.

43. „ა დ ა ვ ა ც ბ რ ა ვ ე თ“—ამბავი სასულიერო სასწავლებელში მოწაფეობის დროისა.

44. ზ ლ ა პ ა რ ი და შ ა ქ ა რ ლ ა მ ა—აწერილია ის დრო, როდესაც ვასილ ბარნოვი  
სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და პანსიონში არ იყო; ჭირით ცხოვრობდა რომე-  
ლიმე ოჯახში.

აქ აწერილია მისი პაპის, იაკობის, ჩამოსვლა ტფილისში.

46. ჳ ა პ ე ი კ ა თ ო რ ი გ ე ლ ა ქ ნ უ რ ი—აქაც კვლავ აწერილია დაბალ სასწავლე-  
ბელში (სასულიერო სასწავლებელი) მოწაფეობის დრო, როდესაც ვ. ბარნოვი და სოლო ერ-  
თად იღვწენ მდგმურებათ, რომელიდაც ოჯახში.

47. დ ა მ ა რ ხ უ ლ ი წ ი გ ნ ი—აბრამ—ვასილ ბარნოვის პაპის, იაკობ ბარნოვის, მამა.

48. ს ა რ უ ხ ა ნ ა—ტფილისში დიდად გახმაურებული ამბავი, მომხდარი ვასილ ბარნო-  
ვის მამის მოწაფეობის დროს.

უასილ ბარნოვის ძმის, ალექსანდრე ბარნოვის თქმით, სარუხანას აღარ შეუტრიადა  
ცოლი და გაეყარა საბოლოოდ.

51. დ ი დ ი ნ ე ს ვ ი—აწერილია ამბავი ვ. ბარნოვის მამა ვასილთან ერთად როგორ  
გამგზავრა ერწოდან სოფ. კოდაში, თავის მამის ოჯახის სანახავად.



მ ა ს ა ლ ე ბ ი  
ილია ჭავჭავაძის  
ბიოგრაფიისათვის

## მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე<sup>1</sup>

საუბედუროთ ერთი ნაწილი ჩემის მოგონებათა ილია ჭავჭავაძის პირად ცნობისა და იმის ოჯახური განწყობილებისა, ჩემი სიბედნეშით და უთაურობით, დავკარგე, თუმცა მაინც და მაინც ბევრის თქმა რისამე არ შემეძლო; მე საზოგადოთ ძალიან გაუბედავი და მოკრძალებული ხასიათის ადამიანი ვარ და თვით ილიაც თავისის მკაცრი თუ ჩემ გვართვე, მოკრძალებული და გაუბედავი თვისებით არ მაძლევდა ნებას შინაურულად დავაახლოებულყვიყავ იმათთან, ოღლა, ილიას მეუღლე, ხშირად მპატიებდა მას შემდეგ, როცა მე ამორჩეული ვიყავ წერა-კითხვის საზოგადოების მართველობაში წევრად და ერთად გვიხდებოდა მე და იმას ამ საზოგადოებისთვის მუშაობა, იმის შეძლების გაძლიერებისთვის საქველმოქმედო ბაზრობა, რომელიც პირველ ხანებში, ძლიერ დიდ შემოსავალს იძლეოდა და დიდი შრომა და დიდი დროც სჭირდებოდა იმის მოწყობას, ხელმძღვანელობას.

შემდეგში, ხომ უფრო დავახლოვდით მე და ოღლა, როდესაც ჩემ სახლში და ჩემის ზედამხედველობით, დაწესდა ქალთა პროფესიონალი სკოლა — „ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ სახელობით და რომლის თავჯდომარეთაც იყო ოღლა ჭავჭავაძე არჩეული. ეს ნაცნობობა საერთო ინტერესებით და საქმით შეერთებული თითქმის მეგობრობათ იქცა ჩვენ შორის. მთელი 15 წელიწადი, თუ 12 სწორეთ არ მახსოვს, ვიყავ წ. კ. საზ. წევრად და ამ დროს განმავლობაში, ყოველ წლიურად ვაწყობდით მე და ოღლა „ბაზრობას“. შემდეგ, თუ მახსოვს არა მტყუნობს, არა ნაკლებ 15 წლისა, ასევე ვმუშაობდით საქველმოქმედო პროფ. ქალთა სკოლისთვის; ოღლა, როგორც მეუღლე წ. კ. საზ. უცვლელი თავჯდომარის ილიასი და შემდეგ პროფეს. სკოლის, რომელსაც ვგრეთვე თანაუგრძნობდა ილია და პირად თითონაც და სხვა პირებთან დახმარებითაც, მაგალითად, ნიკო ლოლობერიძის და დავით სარაჯიშვილის მოწვევით, თვითონ საწევრო ფულის გადახდით, გვეხმარებოდა. ხშირად მთხოვდა ოღლა, ვწვეოდი საგურამოში, მაგრამ მე იმოდენა გამბედაობა არა მქონდა, რომ ხშირად შემეწუხებინა ჩემის სტუმრობით და არც თუ მოცალეა მქონდა, რადგან საზოგადო საქმის გარდა, ოჯახი და წვრილშვილობა ხელს არ მიწყობდა

<sup>1</sup> ავტორმა მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე დასწერა 1986 წ. ჩენი დავალებით.

სეირნობისათვის. ასე რომ, ჩვენი ნაცნობობა, ოფიციალური დამოკიდებულებით სწარმოებდა. ილიაობას კი, რამდენჯერმე დავესწარი, რადგან მიღებული იყო, ამ შესანიშნავ დღეს, ყველა ქართველისათვის, მისულიყო და პატივი დათავყანისცემა მიეძღვნა დიდებულს კაცისათვის.

პირველ ხანებში ილია სცხოვრობდა პატარა ხის ოთხ ოთახიან სადგურში, რომელიც კარგა მშრომლებდ, ზედაძენის ტყის ძირას იდგა. სახლი უკან პირით მიქცეული იყო პატარა ეზოსკენ, რომელიც დაჩრდილული იყო რამდენიმე კაკლის ახოვანი ძირით და იქვე, ტყის ძირას, კაკლებ შუა ეზოში სჩქედდა პატარა წყარო, ლამაზი ქვათლილის აუზით. და როგორც პატარა იყო სადგური, ისეც სტუმრობა „ილიაობას“ არ იყო მრავალრიცხოვანი, ყოველთვის ახლო მეგობრებით და პირად ილიას ვაზეთის თანამშრომელთა რაოდენობით. კარგად მახსოვს ჩემი საგურამოს პირველად მისვლა. მე და ტასო თუმანიშვილი, რომელიც გათხოვებამდე, ჩემი ვანუყრელი თანამშრომელი იყო ყოველ საქველმოქმედო საქმეებში და წ. კ. საზ. ალევრაშიაც, რასაკვირველია ოლღასთანაც მუშაობდა, წავედით 19 ივლისს ილიას დასთან საგინოვის ცოლთან ერთად საგურამოს, ილიას ცნობილი კალიასკით, ჩვენთან თბილისიდან ერთად ღიზას ორი მეგობარი, რადესლაც მშვენიერი, დოდაშვილის ცოლი თამარი და მეორე არა ნაკლებ მშვენიერი (ველარ მოვიგონე სახელი). მისვლის უმალ, ღიზა თავის დოსტებით და თავის თან მოყოლილი მოახლით, თავის ოთახში შევიდა და აღარ გამოსულა, ჩვენ დავრჩით ბალკონზედ და ჩაი იქ მოგვართევს. ლაპარაკი როგორღაც არა ხერხდებოდა. ილიას ყოველთვის ამგვარი გავლენა ჰქონდა იმ ქალებზედ, რომელნიც შეკრებიან ხოლმე წარჩინებულ ადამიანის საზოგადოებაში, ოღლა კი მასპინძლობაში იყო ვართული.

ილიას აგარაკი ფრიად სადად და უბრალოდ იყო გაწყობილი. მაღალი, ძრიელ მაღალი ფეხებიანი ტახტი, რაღაც უბრალო მებელის ჩითით გადაფარებული, უბრალო შეუღებავი სტოლი, გრძელი ხის სკამები, უბრალოვე პატარა ლამაზი სტოლზედ, უფრო ღარიბ აზნაურის სადგურს ამსგავსებდა, მინამ დიდის თავადის და ბანკის მმართველის ოჯახს. მე ეკიპაჟში ძრიელ ვიწროება განვიცადე (ექვსნი ვისხედით) და ტახტზედ ავიკეცე დახუთული მუხლები და ქართულად მოვიკეცე. ილიამ უთუოდ სიტყვის მასალათ და ლაპარაკის ჩამოსაგდებათ, შემნიშნა და მითხრა: „კარგია განათლებული ქალი მოკეცას კადრულობო? მე სიცილით მიუგე: „თქვენი ტახტი, ბატონო, ისეთი მაღალია, რომ მაზედ ევროპიულად ჩამოჯდომა შეუძლებელია-მეთქი, თორემ არც მე ვეწყობი ავრე რაგად, მუხლები მოკეცას-მეთქი!“ და უეჭველია, ამ უზღელი პასუხით, უფრო ჩავაჩუმე და მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია. ლაქიამ ახმახმა და რიგიანად გამოწყობილმა ჩაი მოგვართვა. ოღლამ ამ ვაჟკაცს მკაცრათ შენიშვნა გაუკეთა: „თვლები არ გასხია, რომ სარძევე ასე ჭუჭყიანი მოგქონდაო? რამაც გამომარანჭული ლაქია ძრიელ შეარცხვინა და საჩქაროდ დასდგა სტოლზედ ფადნოსი ჩაით და გავიდა. მოსამსახურის ვასელის შემდეგ ილია წამოიდგა ზეზე და თითონაც არა ნაკლების სიმკაცრით ცოლს უთხრა: „რა დაგემართა, ოღლა, რომ ამოდენა კაცს, ამ უცხო ქალებთან მაგვარი შენიშვნა გაუკეთეო და გააწითლეო!“ ჩვენ კი არ შეგ-



ილია ტყეშელაშვილი და მისი მეუღლე ილია აივანზე სატურამიში

ვინიშნავს ლაქია გაწითლდა, თუ არა, მაგრამ კნინა კი ძრიელ გაწითლდა და ჩენი სიჩუმე ამის იქით, სრულ სიმუნჯეთ გადაიქცა. ასე რომ, პირველი სანატრელი და სასიხარულო ნაბიჯი დიდებული კაცის სახლში შესვლისა, სრულის ფიასკოთი გათავდა ჩემთვის და მთლად მოშალა ჩემი სადღესასწაულოდ მომზადებული აღმადგენა. კარგი, რომ მალე მოვიდნენ სხვა სტუმრები და ჩენი უკუმპრობა გააქარწყლეს თავიანთი ახმაურებით. სტუმრებ შორის ნიკო ხიზანაშვილიც იყო და იმის და ილიას შუა გაიმართა, რალაც საოცარი ოხუნჯობა, მასხარაობა, ერთმანეთის დაცინვა, უკადრისი სიტყვების გადმოვდება, რამაც მე სრულიად ამაღელვა და ხიზანაშვილს ბღვერით დაუწყე ყურება, ვფიქრობდი, როგორ ბედავს ეს უბედელი, ჩემ წარმოდგენაში ხელშეუხებელის, დიდების შეურაცყოფასმეთქი და უცებ დავინახე, რომ, ილიამ ხიზანაშვილს მოტყვლებილ თავზე ხელი დაჰკრა სიცილით, და რალაც უთხრა, ხიზანაშვილმა წამოიწია, სამაგიეროს გადასახდელად და ხელი რომ აიღო, მე ზეზე წამოვხტი და შევეყვირე: რას შვრებით-მეთქი, რამაც სიცილი გამოიწვია სტუმრებში, ილია კი გაწითლდა და ვახშმის გათავებამდე ხმა აღარ ამოუღია.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ილიამ დიდი და მშვენიერი სახლი აიშენა საგურამოში, სტუმართა რიცხვი დიდათ გაიზარდა, ილიას პატივმცემელთა ინტელიგენტთ და მეგობარ-ნათესავთ გარდა, ბევრი ხეპრე, შეუგნებელი და არა მკოდნე ილიას ნამდვილი ვინაობის ღირსებისა, მარტო „ილიაობა-ჯვარობაზედ“ თავის გამოსაჩენათ, საქეიფოთ მოდიოდა. ერთხელ, მასხოვს სხვათა შორის, ერთი კუდაბზიკა თავადი, რომელიც ჩუსტებით და წელზედ აკვანის თასმით მოჭერილი მინახავს ბანკიდგან ფულის მიღებამდე, ეხლა ბანკის ფულით გამოწყობილი თეთრ ჩერქესკაში და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით შეიარაღებული, ოთხცხენიანი ფაეტონით მოგრიალდა პირდაპირ შუა ეზოში და თავმოწონებით გადმოიღო ეკიპაჟიდგან დიდი ბოჩკა „ცოცხალით“ და კარგა მოზდილი ტიკით კახური „კამპანიში“ საქეიფოთ.

როდესაც საქეიფოთ მოსული დავინახე და ვიცან იმაში ჩემი ნათესავი, პინჟულაძე, კინალამ დამბლა დამეცა, სირცხვილის ოფლში გავიწურე. იმან კი ჩემ დანახვაზედ შეპორიალა: „ოჰ, შენც აქა ხარ! კარგი ალაგი ყოფილა მე და ჩემმა ღმერთმა! ეს საგურამო, ნამდვილი საქეიფო და სალხინო და თან თავის ვითომ გასაოცარ საოხუნჯო სიტყვებს ხარხარი დაუმატა.

იმ წელს მრავალი ხალხი მოვიდა თბილისიდან, ქუთაისიდან, თუ არა ვცდები, პროფესორი ჩუბინაშვილიც იყო, მაშინდელი პეტრბურგის სამხრეთული ენების მასწავლებელი, ილია წინამძღვრიშვილის სკოლა მასწავლებლებით, საგურამოს პატივცემული დარბაისელი გლეხობა. დიდი სამზადისი იყო ამოდენა ხალხის დასახვედრად. ახალი სახლის გასწვრივ, რამდენიმე ალგია იყო გაყვანილი და ხალხი, სკოლა იმ განიერ გასუფთავებულ გზებზე ორპირად ჩამომწყრივდა, შუაში ლურჯი სუფრები გაიშალა. პური, ყველი, მწვანელი, კიტრი და სხვა სანოვავე მრავალი ეწყო და უშველებელი გოზაურებით ახლო-ახლო ღვინო იღვა. ყანწები, სტაქნები, ჯამები. ერთი სიტყვით, ყველაფერი დიდის წესიერებით და გულ-უხეზობით იყო მომზადებული. ილია თანხლებით ინ-



ფელია გავგაინაძე სტუმართა შორის „ილი.ომა“ ფურს საფურცლებში.

ტელიგენციისა და რჩეული სტუმრებით, დადიოდა მოქიფევი გლეხობის გარშემო, აღაგ-აღაგ ჩაუდებოდა მათ შუა, ელაპარაკებოდა, მათ სადღეგრძელოს სვამდა. საგანგებოთ მოწვეული მომღერალნი, მღეროდნენ, „მრავალკამიერს“, „სუჭურულს“. მე დამავიწყდა მეთქვა, რომ იმ დილით, სანამ გლეხობა შეგროვდებოდა, უცებ სტუმრებ შუა, რაღაც ხმაურობა ასტყდა, მოსამსახურეები შემოცვივდნენ ოთახებში და არაგვის მხარეს დიდი ბალკონისკენ გაცვივდნენ. ქალები ეზოს ბალკონზედ ყავას, საუზმეს შევექცეოდით ოლლასთან, ილია ზემოთ ეტაქაში, თავის კაბინეტში კაცებთან ბაასობდა, თუ საუზნობდა, არ ვიცი. ამ პოულოდნელ ხმაურობაზედ, ჩვენც წამოვდგეთ. ზ მოდნაც სიჩქარით ჩამოვიდნენ და გარეთ ბალკონისკენ გავეჩქარენით ყველანი. მშვენიერი სურათი წარმოგვიდგა ყველას თვალწინ: ორმოცამდე ცხენოსანი, სულ ყმაწვილი კაცები, ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხავერდის ქულაჯებით, ძვირფასის იარაღით ასხმულნი, მშვენიერ დარახტულ ცხენებზედ, წყვილ-წყვილათ, ნელა, ნელა მოდიოდნენ და „მგზავრულს“ მწყობრათ მღეროდნენ. მალე მოუახლოვდნენ იმ გორას, რომელზედაც ილიას სახლი იყო აშენებული და თქარა-თქურით ამოიჭრნენ ზემოთ, წინ მოუძლოდათ გრიშა აბაშიძე თეთრ. ტანისამოსში, თეთრ ცხენზე მჯდომი და ხელში ეჭირა უშველებელი ბაირალი აღისფერი ატლასისა ოქრომკედის ბათეთით მოვლებული და ზედ ამოკერილის ილიას ლექსით: არ მახსოვს რომელი ლექსით.

მალე ყველანი ბალკონზე შეიკრიბნენ და აბაშიძემ თავის ოქროპირულის ორატორული ნიჭით, სიტყვა მოახსენა და მიულოცა ილიას ახალი სახლის აშენება და დღეობა. როგორც ყოველთვის გრიშას სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ქალები, მოსამსახურენი სიხარულით, თუ სიტყვის შინაარსით, აეტირდით. თითქო ილიასაც თვალები აევსო ცრემლებით, გადაეხვია აბაშიძეს, ჩამოართვა ბაირალი და დიდის მადლობით რამდენიმე სიტყვა უთხრა მისულებს. ბაირალი საჩქაროთ ვიღამაც გაიტაცა და მესამე ეტაქათ ამართულ ილიას კაბინეტის თავზე დაარქო, და დიდებულად აფრიალდა წითელი დროშა მთელი გარემოს დასანახავათ. ამ დროს მთელი საგურამოს რჩეული გლეხკაცობა ოჯახობით შეიკრიბა; საგურამოს ბალის, მებაღეთა კრებული სახლებით, საუკეთესო ხილით სავსე და ვარდის თაიგულებით, გარს შემოერტყა კრებულს და საერთო სიმღერა და მრავალკამიერი გაისმა, დიდებული სურათი იყო. ილია მთლად გარინდებული, გარდამეტებულის გრძნობით გამსკვალული, სიტყვის ვერ ახერხებდა ეთქვა, მხოლოდ ნათელი ედგა იმის ძვირფასს სახეს და ნამდვილ კმაყოფილებას გამოსახავდა.

შემდეგ ხალხი დალაგდა, გაიშარათა ნადიმი და თითქმის საღამომ მოატანა, როდესაც ხალხი აიშალა. ახლა გაიშარათა კიდაობა, ლეკური და ბოლოს ჩვეულებრივი აურზაურით დამთვრალი ხალხის მომპატებულად აღრეული ღვინით გაცლენთილი ხმაური. როდის, როდის დაწყნარდა ყველაფერი და რჩეულნი სტუმარნი მხოლოდ მაშინ შეუდგნენ ნადიმს კაკლებ ქვეშ, ძვირფასად გაშლილ სუფრას და დაიწყო სიტყვათა შადრევანი. ვინ ვის ასწრობდა მასპინძელთა მადლობას, ქემბის შესხმას, არა ჰქონდა დასრულება. სადილ შემდეგ ჩაი, ჩაის შემდეგ ვახშამი და ასე თითქმის გათენებამდე გავგრძელდა ნადიმი ილიას „ილიაობის“ დღესასწაულისა.

ეხლა მე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა ილიას წარსულ ცხოვრებაზედ, რომელზედ ბევრი უშვერი და უაზრო კორები იყო გავრცელებული ჩემი სიყმაწვილის დროს, და რომლის ნამდვილი გარემოება, მე შემდეგ შევიტყვე დაწვრილებით ჩემის მეგობრის, შესანიშნავი დედაკაცის, ნინო დავითის ასულის ერისთვის თქმულიდან. ნინო ერისთავიშვილისა, დავით დიასამიძის ქალი იყო, მეორე ცოლთან შექენილი. პირველ ცოლთან, ერისთავიშვილის ასულთან, დავითს დიასამიძეს ჰყავდა მარტო ერთი ქალი მარიამი. ეს ქალი, უკვე ხანში შესული და უსახური, მიათხოვა თავის ცნობილს და ახალ მეგობარს, თადეოზ გურამიშვილს. დავით დიასამიძეს დიდი და ერთიანი მამული ჰქონდა ზემო ქართლში საქაშეთში, თადეოზ გურამიშვილს საგურამოში, ორივენი ერთადერთი ბატონები იყვნენ თავიანთი დიდი მამულისა და მაშინდელმა ნამესტნიკმა ვარანცოვმა იმათ ჩააგონა, თუ ძალათი აკისრებინა არ ვიცი, არც ჩემდა სამწუხაროდ, არ გამამიკითხნია, ვისთვისმე, ეს კი ვიცი, რომ ამგვარივე მამულის მქონეს, მალალაშვილს ახალქალაქის ახლო ჰქონდა ამგვარივე მოწყობილი ბაღი და თუთის პლანტაციები, რომელიც ჩემის თვალთ მინახავს და ეხლაც არის ნაშთები მაშინდელი კულტურების, ს. ბორტას მეურნეობა: გაეჩინათ კარგი ჯიწის ხეხილი, საქონელი, მეტადრე გაეჩინათ თუთის სანერგე და შესდგომოდნენ აბრეშუმის მრეწველობას (უეჭველათ ცნობილია ამ მეურნეობის წყაროები და ამათი წარმოება და დასასრული). მე, მხოლოდ დავესწარ თუ მოვესწარ იმათ ნახვას 1869 წ. ზემო ქართლში, სოფელ საქაშეთში მშვენიერად დავეგმილს და მშვენიერად მოვლილს თვალ-უწევდნენ ბაღს, როდესაც მეორე ცოლთან შექენილი შვილი დავითისა, ნიკო დიასამიძე, უკვე დავაქაცხებული იყო და ცოლად დიდათ განათლებული ბებურიშვილის ქალი ჰყავდა, ოჯახი ევროპიულად მოწყობილი და ზემოთ ნათქვამი ბაღი უფრო გამშვენიერებული, რომლის გზა-ჯვარედინზედ აშენებული იყო ლამაზი ჰაივანი (ბესედეკა) სულ მწვანეებში გახვეული და აი ამ ბესედეკაში მქონდა ბედნიერება გამეტარებინა მთელი ორი კვირა რძალ-მულთა საზოგადოებაში და ბაასში. ნინო დიასამიძის დის ნინა ერისთავიშვილის ოჯახში და სწორეთ იქ გავიგონე დაწვრილებით ამ ორა ოჯახის, დიასამიძის და გურამიშვილის წარსული მეურნეობის ამბავი და აწმყო მდგომარეობა უკვე გარდაცვალებულ გურამიშვილის ოჯახის და მისი შვილების ამბავი. მე მაშინ, რასაკვირველია, გაგონილი მქონდა ილია ქაქუცავაძის სახელი, ქართულ ოჯახებში ჩარჩენილი, „საქართველოს მოამბის“ ნომრებიც მენახა და „კაცია ადამიანიც“ წამეკითხა, მაგრამ ჯერეთ იმდენად არ შემეგნო ილიას დიადობა და იმისი მამულიშვილობის ბუმბერაზობა და ნაამბობმა მაშინ მაინც დამაინტერესა იმითი, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ილიას თადეოზ გურამიშვილთან.

როგორც ნინო ერისთავმა მიამბო, ეხლა დიასამიძის სახლობა და გურამიშვილის ცოლშვილი ილიასთან მწყურალად იყვნენ, იმ მიზეზით რომ ილიამ და იმისმა ქვისლმა, სტაროსელსკიმ საჩივარი შეიტანეს საქართველოს ეგზარხოსთან და სთხოვდნენ, რომ ჩემ ნახვეარ დის მარიამის შვილებს—გურამიშვილებს აეკრძალოს ვაჟს ცოლის შერთვა და ქალს გათხოვებაო, რასაკვირველია, ისიც ამიხსნა ნინომ, რომ ეს თხოვნა იმით იყო ვითომ ახსნილი, რომ ჩემი დისწულები



სულელები არიან, დაბადებით და ჰავებუაძე და სტაროსელსკი, როგორც გონიერი და საზოგადო მოღვაწენი, სცდილობენ, რომ ამ ქორწინებით არ გავრცელდეს ჩამომავლობით იდიოტობაო,<sup>1</sup> ნიკომ, ჩემმა ძმამ, იწყინა ამგვარი ჩარევა თავის დისწულების საქმეში და უსიამოვნება მოუვიდა ჰავებუაძესთანაო. ახლა ნიკომაც საინფორმაციო შეიტანა, რომლითაც ამტკიცებს, რომ ჰავებუაძე და სტაროსელსკი, რომელთაც თავდებო გურამიშვილის პირველ ცოლთან შეძენილი ქალები ჰყავთ ცოლებათ, განგებ ამტკიცებენ ჩემი დისწულების იდიოტობასო, რომ იმათი წილი მამული თითონ გაინაწილანო. გავიდა ორი-სამი წელიწადი, მე გავთხოვდი, თბილისში ჩამოვსახლდი გორიდან. ერთ დღეს ნინო ერისთავისაგან მივიღე წერილი „ავჭალაში ვარ ჩემ დასთან, გურამიშვილის ცოლთან, გეთაყვა, ხვალ კვირა დღეს, ტარანტას გამოვიგზავნი და გვეწვიეო. აქ დიდი საქმეები სწარმოებს, რკინის გზა შენდება და შენთვის ბევრი რამ საინტერესო იქნებაო. მეორე დღეს დილა ადრეიან, მე და ჩემი ქმარი, სიამოვნებით წავიდეთ ავჭალაში. სექტემბრის ვასულები იყო. ჩვეულებრივი მყუდრო და მშით შემოდგომის დღე იყო, სურნელებით გაელენთილი ჰაერი. ორი-სამი საათის მგზავრობის შემდეგ, მივედით ავჭალაში და მართლა რომ ავჭალაში! სოფელი მთლად ჩეჩქით და ნეხვით იყო სავსე. სახლები, საბძლები, ბოსტნები ერთმანეთში არეული, ნახევრად დანგრეული, მცხოვრებნი ველურბივით მობუხუნნი, დედაკაცები პირაკრული თავშლის ბოლოებით. ორათ ორი სახლი იდგა მთელ სოფელში ქვითკირისა და მათ შუა მოხდილი კოშკი და ფართო და მაღალი კიხესავით გალავანი. პირველი სახლი, პატარა და ახლად აგებული, ახალის მოდის განიერის და მაღალი კარფანჯრით და ლამაზი ბალკონით, კარგათ შენახულ კოშკზედ იყო მიშენებული, მეორე სახლი კი ერთი უხარმაზარი, ორ ეტაჟიანი უშნოთ აწოწილი, უკვე ბალკონებ მიღრეცილ-მოღრეცილი წოწოლავე ვიწრო კიბით, გალავან შიგნით და ჩვენ ამ დიდ შენობაში, მაღალ გალავანით შემორტყმულში შევედით. ბალკონზედ, ეკიპაჟის ხმაზე, გამოცვივდნენ მასპინძლები, კიჟინით მოგვეგებნენ. ავედით კიბეზე და გასახტებული დავრჩით მეც და ჩემი ქმარიც, წინ გადავვიდგნენ ქართულად სარტყელ გულისპირით, ლეჩაქ გადაშლილი, რალაც თოჯინა ქალი, თვალზე გარშემო ჩალურჯებული წრეებით, განიერის ლაშებით, პირზედ სულელურის სიცილით და ჩემ ქმარს წაავლო ხელი და მე მეორემ რალაც ჩემგნით ჯერ არ ნახულმა არსებამ, რომელსაც პირზედ მთლად ქერა ბუსუსი ჰქონდა გადაკრული, პირი დაღრენილი და იქიდგან, რალაც არც თუ ძალღური, არც თუ პირუტყული ღრიალით. მეც და ჩემი ქმარიც შევეკრით და უკან დავიხიეთ, მაგრამ მალე ნინო მოგვეშველა, მოგვაშორა ეს კეთილგანწყობილი მასპინძელი და სიცილ-ხარხარით შეგვიყვანა თავის დასთან, გურამიშვილის ქვრივთან, რომელიც ბევრით არაფრით გაირჩეოდა თავის შვილებიდან, მხოლოდ სიცილის მაგვირად, ის უსიამოვნოთ ილრიკებოდა. პატარა ხანს უკან, ნინომ თავის ოთახ-

<sup>1</sup> ჩამომავლობით მიტომ, რომ მაშინგნის პირველი ცოლი იმ ერისთავიშვილის თჯახიდან იყო, რომელთაც რამდენიმე თაობა ცნობილი იყო იდიოტების გამრავლებითო.



Հայ Գործարար Կուսակցության Կենտրոնական Կոմիտեի Կազմը

ში შეგვიწვია და იქ კვლავ სიცილით აგვიხსნა: გახსოვს, კატო საქაშეთში რომ იყავი, იქ გიანზე მე ჩემი უბედური დისწულების ამბავი? მართლა, რომ უბედურები არიან, როგორც ხედავ, მეტადრე ვაჟი, სრულიად მოკლებულია ყოველ ადამიანურ შეგნებას და პირუტყვივით ხელით სატარებელია, მაგრამ რა გაეწყობა, ჩემი უბედური და, სრულიად მოკლებულია ღონისძიებას, როგორმე უპატრონოს ამ ორ უგუნურს და აი მეც და ჩემი ძმა ნიკოც იძულებული ვართ ამითან ვიტრიალოთ. ახლა მოიგო ნიკომ პროცესი ჭავჭავაძე სტაროსელსკისთან აღძრული და ქალს, როგორც იყო, ნება მისცეს გათხოვებისა და ვაჟს კი უარი უთხრეს. ან ვინ ოხერი მისთხოვდებოდა ამ პირუტყვით გაჩენილ ადამიანსაო.

— ჭავჭავაძე და სტაროსელსკი მავათი მემკვიდრეობის მისაკუთრების აზრით სჩიოდნენ, თუ მხოლოდ მთავრობას მიუთითეს ამ გარემოებაზე, რომ მავათი დაქორწილებას რა შედეგი მოჰყვებოდა? — შეეკითხა ჩემი ქმარი.

— რასაკვირველია, მთავრობას მხოლოდ ვანუცხადეს გარემოება, — უპასუხა ნინომ, — მაგრამ ხომ იციტ ქვეყნის ანბავი! რაკი ისინიც მონაწილენი იყვნენ თადეოზ გურამიშვილის მემკვიდრეობისა, ყველამ სხვა აზრი მისცეს იმათ განცხადებას. ყველამ ისე გაიგო, რომ ჭავჭავაძემ და სტაროსელსკიმ საჩივარი ზალიკის მემკვიდრეობის გაყალბებაზედ იყო ატეხილი და არა იმის სისულელის დასამტკიცებლად.

— მაშ, ეხლა რათ ამბობთ თქვენ რომ: ნიკომ ჭავჭავაძეს და სტაროსელსკის მოუგო პროცესიო. განა ისინი აწარმოებენ მავ საქმეს? თუ საეკლესიო მთავრობა თვითონ ჰკრძალავს მაგგვარ ქორწინებას? მე, რამდენადაც ვიცნობ, ერთსაც და მეორესაც, პირადი ინტერესებისათვის არ იკადრებდნენ განცხადებასო, ჩემის აზრით, თქვენ თითონ უნდა სცდილიყავით აგეცდინათ ქვეყნისათვის მაგგვარი უბედურობა. — აუხსნა ჩემმა ქმარმა ნინოს.

— ჰი, შე დალოცვილო, ვისა აქვს თავი მავათი მოვლის და პატრონობის! ეხლაც, თითქმის ნახევრად მავათ უნდებით და ჩვენი ოჯახები უპატრონოდ გვაქვს მიტოვებული. დეე, შეირთოს ვინმე გაჭირვებულმა, თითონაც ლუკმა გაიჩინოს და ამითაც უპატრონოს და მოუაროსო... ამგვარი ლოგიკით შესწყუდა ჩვენი ბაასი და ჩვეულებრივი ჩვეულებით, როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები სუფრას შემოუსხედით გარშემო და ვცდილობდით თვალი აგვეზორებინა როგორმე ამ წყვილზედ, რომელნიც ჰამაზიაც კი, ძლიერ ნაკლებად ემსგავსებოდნენ ადამიანებს. მეტადრე ვაჟი საცოდავი სანახავი იყო. ნახევარი საზრდო პირიდგან გადმოსდიოდა და თან შეუყენებლივ ბლაოდა, იცინოდა და ვითომ მე მიაღწრებდა, საზოგადოთ იმ უბედურს საშინელი მიდრეკილება ჰქონდა ქალების არსიყობისა, რასაკვირველია, წმინდა პირუტყუსლის მნიშვნელობით. ორ კვირას არ გაუფლია მას შემდეგ, რაც ჩვენ სტუმრად ვიყავით, ჩვენ და ნინო ერთისთავიშვილისა აეჭალაში შევხვდით ერთმანეთს „მცხეთობას“, პირველ ოქტომბერს. იმან ჩვეულებრივი, როგორც მეგობარს ხელი წამავლო და შემეხვეწა: გენაცვა, თუ მეგობარი ხარ, წიროვის უკან, როცა ხალხი დაიშლება, შენ ჩვენთან წამოდი აეჭალაშიო. რას ამბობ, ქალო, ნეტა მაშინაც ფეხი მამეტეხნა და აგჭალა არ მენახნა მეტქი უპასუხე.



საგერამოვლი შენაღები ულოკავენი ილია კაკაბაძეს სახელწოდების დღეს

— ეხლა უფრო სასაცილო გარემოებაა, ჩემო კარგო, ჩემი ხატრით, ჩემ სასუფიგებლად, წამოდი. მე რო მარტო დავჩე იმათთან, ვაგვიტელები და მე და შენ ერთად, თვალის ასარიდებლად, ვიპოვნით რასმე გასართობს და გულის მოსაოხებლად და მიამბო, რომ დარო (თუ არ ვიცო რა ერქვა გურამიშვილის ქალს დამაიწყდა) გავათხოვეთ და დღეს აქედგან აღარებელი ხალხი ჰყავს. მეფეს გაწეული, საზანდრებით და თორმეტი დაქირავებული ფაეტონი შებმული გველისო და დაუმატა: იცი, კატო, ვინ შეირთო ჩვენი პატარძალი? ვინ გაიბედნიერა თავი და ვინ გუდაშვიერმა იშოვნა მუქთახორა ოჯახი შესაქმელათა?

— ლევან ციციშვილმა, რომელსაც შენ იუნკრის სკოლისათვის ისე გაფაციცებით ამზადებდიო, გორში ამ ორი წლის წინათ. ამან კი მოუმზადებლად და დაუმუშავებლად სიხარულით და სიხარბით მობღუჯა იდიოტკაც და იმისი მზითვეიც და ქეიფობსო და სიცილით, მწარის სიცილით, დაუმატა: დიდი ლხინი იქნება, განთქმული საზანდარი იმღერებს, სამზადისი დიდებული და მე დეიდამ როგორ უნდა ვსთქვა უარიო. და განაგრძო: „შენი საბჭელი რომ იწოდეს, ხელეები მიანც მოითბეო“. ჩემი საქმეც ასეაო. ციციშვილს გარდა ცოლის ხვედრი მეთათხმეტისა, სიდედრის მეშვიდედი, ზალიკოს მთელი ნახევარი თადეოზის მამულისა ხელთ ექირა და ჰკვებავაძეს და სტაროსელსკის ტყუილად შესწამეს სიხარბე და ვერაგობა—იდიოტობის მტკიცებაშიო.

ლევან ციციშვილი ერთი საცოდავი, ავადმყოფი და უსახლ-კარო ყმაწვილი კაცი იყო, რამდენათაც მე ვიცოდი, ის სულ გამუდმებით სცხოვრობდა გორში, ნინოს ქმართან, ლუარსაბ ერისთავიშვილთან და რაღაც გამოურკვეველ თანამდებობას ასარულებდა, არც თუ ლაქისას, არც თუ რუსები რომ იტყვიან приживалщик-ისას. ხანდისხან დიასამიძიანთ ოჯახშიაც გაისეირნებდა ხოლმე და აი ეს გამოურკვეველი ქმნილება, შეიყვანეს დიდ ოჯახში, დიდად გაფურჩქენილ და აყვავებულ მამულში და როგორც მოსალოდნელი იყო, ციციშვილმა სულ ათ წელში გაფლანგა მთელი ქონება და თავის ხანმოკლე სიცოცხლის შემდეგ, დასტოვა ხუთი, თუ ექვსი შვილი ულუქმაპუროთ, უბედურის დედით და თავის ნახევრად ტვინგაწყალებულ ბალებით. ერთ-ერთი შვილი ამ მეუღლეთა, პირველი შვილი, მე შგონი, სხვა შვილებზედ ცოტა მაღლა იდგა გონებრივად, ის ბებიამ დიდის წვითა და დაგვით გამოზარდა, მეოთხე კლასამდე მიიყვანა და შემდეგ მამის სიკვდილისა, ისიც საგურამოში გადასახლდა და ხშირი სტუმარი იყო, თავის დედის—ოღლა ჰევქავაძისა და როგორც ახლო ნათესავი, სარგებლობდა ამათი დახმარებით. თანდათან ეს სარგებლობა, თურმე ძლიერ სამძიმო გახდა ილიასათვის, მეტადრე იმიტომ, რომ გარდა მატერიალური დახმარებისა, საშინლად აბეზრებდა თავს ყოველთვის ფიქრში და საქმეში გაბმულ ილიას და „ბოლოს ციციშვილის იერიში ისე სამძიმო გახდა ჩვენთვისაც, გამოიგონია ოღლასაგან, რომ იძულებული გავხდით დაგვეთხოვა სახლიდგანაო“. ეს ყველაფერი მე გამოიგონია ჩემის ყურით, ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც ექვ გარეშე არიან; ოღლა ჰევქავაძე და ნინო ერისთავისა შესანიშნავი იყვნენ ყოვლის დედაკაცურის პატიოსნებით და არც საქირო იყო იმათთვის ტყუილათ ვისმე გაჯახირება და ზღაპრების შეთხზვა.

ერთი ნამდვილი ამბავი კიდევ მახსოვს ილიას სახელის გასატეხთ მოგონილი და არ შემოძლიან, როგორც ნამდვილად მცოცნემ და პირველი პირიდგან გამგონემ აქ არ გავისხენო: ხალხში ხმა იყო დავარდნილი, რომ ილიამ, როგორც ღარიბმა თავადიშვილმა, გარიგებით და მოტყუებით შეიერთო, არა თავის ღირსი და შესაფერი ცოლიო.

მე კი ნამდვილი წყაროდანა მაქვს მოსმენილი, როგორც იყო საქმე და დღემდინ არ მითავნია ამის თქმა და ამ გზითაც არ მომისხნია ილიას სახელისათვის დაუმსახურებელი ჩრდილი, ადამიანთა უსამართლო განაჩენისა და დადგენილებისა. ივანე პოლტარაკი, ცნობილი ადვოკატი და ნატარიუსი შემდეგ ქმარი იყო ჩემი მულის და მე, როგორც რძალი იმავე ოჯახისა, რასაკვირველია, ხშირად ვხედავდი პოლტარაკის და რაკი იმან იცოდა, რომ დიდთ დაინტერესებული ვიყავი ყოველი ლიტერატურული ამბით და ლიტერატორთა ცხოვრებით, ხშირად ჩამოვადგებდა ხოლმე ლაპარაკს ილიაზედ და იმის დროინდელ ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეებზედ. თითონ პოლტარაკი ფრიად განვითარებული კაცი იყო და ნახევრად ქართველი, ქართველ ინტელიგენციასთანა ჰქონდა მეგობრული კავშირი, მით უფრო რომ ერთ გინაზიაში მიმდინარეობდა თურმე იმისი და ილიას სწავლა უნივერსიტეტში წასვლამდინ, პოლტარაკის თითონ სიღარიბის გამო ვერ მოეხერხებინა რუსეთში წასვლა, მაგრამ კავშირს კი არა სწყვეტდა მოწინავე ქართველებთან და ილიასთან რუსეთიდგან დაბრუნებიდგანაც ერთ ბინაზე თურმე სცხოვრობდა, და ილიას და იმისი მეგობრების: პეტრე ნაკაშიძის, ჩიკოძის, დავით ყიფიანის და დიმიტრი ყაზბეგის, რომელნიც „საქართველოს მოამბის“ გამოცემაში იღებდნენ მონაწილეობას ჩემდა საუბედუროთ, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ჩემი გაბანთ ოჯახში შესვლისა, პოლტარაკი დამდურებული იყო ილიასთან, ხმას თურმე არა სცემდა და ავისათვის ჩემთან არც კი ამქვანებდა, თავის მეგობრობის ამბავს ქავქავაძესთან, თორემ უფრო ვრცლად გამოვკითხავდი,—იმის ცხოვრების ამბავს: ილია და პოლტარაკი შერიგდნენ, მე ვგონებ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქში ჩამოიყვანეს დიმ. ყაზბეგი, ვითომ ნიკოლამესთან ქურ. „ქრებულში“, თანამშრომლად და პირველ ხანშივე იყო დაბეჭდილი ყაზბეგის პოთხრობა: „მანე სულები“. ამ ყაზბეგის ქალაქში ჩამოსვლამ დიდი მოძრაობა გამოიწვია ინტელიგენციაში და ნაჩუბარი, ძველი ამხანავი, პოლტარაკიც შეარიგა ილიასთან. ერთ დღეს პოლტარაკი ჩვენთან იყო სადილათ და დიმ. ყაზბეგიც უნდა მოსულიყო, მე მითხრა, პოლტარაკიმ, აბა, დააკვირდით როგორი თავი აქვსო. გენიოსი კაციაო, დიდათ მსწავლული და კარვად მომზადებული მწერლობისთვის, მაგრამ უცნაური ხასიათისაა, როგორც ყველა ფილოსოფოსის სენიაო, საზოგადოებას გაურბისო. ეხლა დიდის ხეწნით და მუდარით ჩამოვიყვანეთო, თითონ ილია წაივია ყაზბეგში ჩამოსაყვანათაო. მეგობრებს უნდათ აქ თბილისში ჩაბან როგორმე საქმეში, რომ სოფელში სრულიად არ ვადაგვარდეს და მაგის სიმძლავრე არ გაქარწყლდესო (მეშინიან არ ვიმეორებდე დიმ. ყაზბეგის ცხოვრების საშინელებას). ყაზბეგში, თავის ოჯახში, თურმე, ჰყავდათ ლამაზი ოსის გოგო, დიმ. და გიორგი ყაზბეგის დების მოახლე და ეს მოახლე, თურმე, შეუყვარდა დიმიტრის და როცა ამ სიყვარუ-





„ილია ოზა“ საგურამისში. გლეხები სტუდენტ ილია ჭავჭავაძესთან



ილიას ჰყავდა ლალა (სახელი დამაიფიწყდა) შუა ხნის კაცი, ყოფილი ყმა, რომელიც უნივერსიტეტშიაც თან ახლდა და წამით არა შორდებოდა თავის საყვარელ აღზდილ ნებიერსაო და ეხლაც ორ მიჯნურთა შუა, ეს ლალა იყო მათი მესაიდუმლეო.

ერთ საღამოს ჩვენთან უნდა შეგროვილიყვნენ საერთო მეგობრები, ილიას მსახურმა სუყველაფერი დაამზადა, ცხელ-ცხელი სამოვარი მოვართვა და თითონ კი საცალა მიიმალოა. ილია კი საშინელ მოუსვენრობას იჩენდა, ერთ ალაგას ვერა ჯდებოდა, ლაპარაკს სწყვეტდა, პასუხს შეკითხვებზედ რიგიანად ვერ იძლეოდა და მოუთმენლად შედიოდ-გადიოდა. შუა ღამე გადასული იყო, როდესაც ქუჩის კარებში დარბაისელმა მსახურმა თავი შემოყო და ვერ წარმოიდგენთ, თუ რა მოხდაო. ეს ჩვენი ლიბერალი და თავისუფლების მოტრფიალე პოეტი, სწავდა თავის მონამაგე ლალას საყველოში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე დაუწყო ჯანჯღარი და თან უშვერად ლანძღავდა და აკინებდაო: „მხეცო, ჩერჩეტო, უგუწურო პირუტყო, სად იყავი აქამდეო? სად ოხრობაში დაეთრეოდი, განა არ იცოდი რომ გელოდიო, რომ სული კბილით მეჭირაო! რომ შემეძლოს კბილით დაგვლეჯამდიო“ და სხვა. „ყმაწვილო, ყმაწვილო, ილიკოჯან, ნუ დამახჩე, დამაცალე, მათქმევინე, რაშიაც იყო საქმეო!“ ღრიალებდა საწყალი მონამაგე ბებერიო. თან ჩვენ წავეშველეთ, შევთათხეთ ილია, ამ გვარის თავხედობისთვის და ხელიდგან ძლივას გამოვგლიჯეთ თავის ერთგული შიკრიკიო, რომელმაც მხოლოდ ეხლა მოახერხა უბიძამ გამოეღო ხელის ოდენა საიდუმლო ბარათიო და ბრძოლისაგან მიქანცულმა მოხუცმა, გადასცა მოუთმენელ არსიეს და თან თავის მართლებას შეუდგაო. „ქალი „ვეჩერაში“ მძანდებოდა ნაწესტნიკთან, თორმეტ საათზე მოვიდა, სანამ თავის ოთახში შევიდა, სანამ მოახლემ შენი ბარათი გადასცა, სანამ საპასუხო უსტარი დასწერაო, დრო იყო საქირო თუ არაო?“

— მაპატიე, მაპატიე, ჩემო კარგო მეგობარო! — ლომობერათ მხარზედ ხელი დაადო ილიამ ლალას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ბარათი გადაიკითხაო.

მერე რო იცოდეთ რა იშვიათი კაცი იყო, რა უზომო ქრთვული და მოსამსახურე, როგორის დედა-შვილურის სიყვარულით უყვარდა, უვლიდა და ყოველს იმის სურვილს ასრულებდაო. არც ერთი დედა, არც ერთი აღმზრდელი, ვერ გამოიჩინდა ამოდენა ალერსს, ამდენ სინაზეს, როგორც ის უბრალო გლეხი, თავის აღზრდილისადმი, გახდიდა ტანთ, როგორც ბალსს, ჩააწვენდა გამზადებულ ლოგინში, დაუჯდებოდა ფეხთით და თან ხელს უსვამდა ფეხებზედ და თან ზღაპრებს უამბობდაო, მანამ დიეძინებოდა ნებიერს და მერე პირჯვარს გადასწერდა სასოებით და ფეხის აკრეფით გავიდოდა სამზარეულოში.

ამ სიტყვებით დაასრულა პოლტარაცკიმ თავისი ამბავი ილიას მიჯნურების შესახებ და ეს ლაპარაკი უშუალოთ მოწმობს, რომ ილიას და ოლლას სიყვარული ყოველგვარ ანგარების გარეშე იყო ჩასახული და ორი ახალგაზრდა, სრულნი ყოველგვარი პიროვნების ღირსებით, შეყვარებულნი იყვნენ და დიდხანს, დიდხანს ერთად და ერთგულებით ეწეოდნენ ღარიბი ცხოვრების ჰაპანსოდა მაშულის კანონიერი მეთოთხმეტედი მიიღეს მხოლოდ, ხანში შესულობის

შემდეგ, როცა თადეოზი გარდაიცვალა და მემკვიდრეობა კანონის ძალით გაი-  
ნაწილეს სუყველა შვილებმა.

ოღლა ფრად მშენიერი ქალი იყო, ილიაც არ ჩამოუვარდებოდა სილა-  
მაზეშიო და როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ორ ყმაწვილ და ბედნიერ  
არსებათ შორის, შეუფვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერია-  
ლურ ანგარიშს ალაგი არა ჰქონია იმათ შორის და არც შეიძლებოდა რომ  
ჰქონოდაო. მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიულის გა-  
ტაცების, რის შედეგიც იყო ბებიის სახლიდან ოლთას გამოპარვა და ჩვენი ამ-  
ხანაგების დახმარებით იმათი საიდუმლოთ დაქორწინებაო. რაც შეეხება ოლთას  
სიყრუეს ეგ უფრო შუა ხნიერების დროს დეემართაო და დიდათ აღელვებდა  
და აწუხებდა ილიასაო, თუმცა ილიას თაყვანება და ერთგულება თავის გენია-  
ლური ქმრისა სიკვდილამდე არ შეუტყვლია.

მე მრცხვენია, რომ ეს ჩემი წერილები და მოგონებანი ასე ბელეშურად  
და დაუმეშავებლად მაქვს დატოვებული, მაგრამ ჩემი ცხოვრების გარემოება და  
ღრმა სიბერის უღონობა, მამუღვიანებს მომავალს მემატინანეს დაუტოვო ის, რაც  
ვიცოდი ნამდვილათ და რის აღდგენაც ჩემ ხელთ იყო. შეიძლება ყველა ჩემი  
ნათქვამი და ჩაწერილი, განმეორება იყოს სხვის ნათქვამის, მაგრამ ერთმანეთის  
შემოწმებით სიმართლის გამორკვევა უფრო ადვილია. მით უფრო ვმართლულობ  
თავს, რომ წინეთ არ მქონდა განზრახვა გამომჟღავნებისა და ამ ბოლო დროს  
მომავონეს და ეხლა როცა, ცოტა არ არის მესხიერებამ მილალატა, შეიძლება  
ბევრი რამ ამცდა სათქმელი და რაც ვთქვი, ისე არ მომივიდა, როგორც საჭი-  
რო იყო, მაგრამ ჩემი ნათქვამი სრული სიმართლეა და თუ ილიას, ან თუ სხვის  
შესახებ დაწერილი მასალათ გამოადგება ვისმე, ეს სრულიად დააკმაყოფილებს  
ჩემ სურვილს და პრეტენზიას არ ვიჩენ, რომ ჩემი მემუარები ლიტერატუ-  
რულის მხრითაც, გაშალაშინებულნი იყვნენ. სუყოველთვის ჩემი ცხოვრება  
მოუსვენარი იყო და ეხლა როდესაც სიბერემ, რაფაელისა არ იყვის, „კი-  
სერში მაგრა ჩამიკაქუნა“, რა დრო და ძალა მაქვს. აზრები, მოგონებანი, განუ-  
შორებლივ ტრიალებენ ჩემ გონებაში, მაგრამ მათი აღსრულება, რიგიანად  
აღარ მეხერხება, უფრო კი შეკარგება მესხიერებიდან. ლამე, ძილი როცა გამი-  
ტყდება, მომავონდება ათასი საინტერესო ფაქტი აღსანიშნავათ, მეორე დღეს  
უკვე დავიწყებული მაქვს. ვიმედოვნებ მით, რომ სხვანი უფრო ვრცლად, უფრო  
თვალარგიანი აღნიშვნებით გაამუქებენ ილიას წარსულს და მომავალს. გაამუქე-  
ბენ იმ ნათელი შუქით, რომელიც ეკუთვნის იმის მდიდარს ბუნებას. 1936 წ.  
მე ამ ცოტა ხანში ჟურნალ „მნათობში“ წავიკითხე იაკობ მანსვეტოვის მოგონე-  
ბანი ილიას ცხოვრებიდან, ძლიერ ზერეულე დაწერილი და არა ნამდვილის  
ცოდნით და პატივის ცემით, როგორც შეკვეთილია მანსვეტოვის და ილიას ერ-  
თად ყოფნას დიდი ხნის განმავლობაში. მე ნამდვილად შევიტყე, რომ მანსვე-  
ტოვი წერ.-კით. საზოგადოების საქმის მწარმოებლად ყოფილა 4 წელიწადი.  
ბანკში კი უმსახურნია მხოლოდ ორი წელიწადი და ივერიის რედაქციაში ორი  
თუ სამი წელიწადი. სამსახურის გამო წ. კ. საზოგად. სამსახურის დროს, მა-  
გალითად, ის ადგილი მოგონებათა ბოლოში: „ილია ვანო მაჩაბელს ხმას არა  
სცემდა, ხელს არ ართმევდა, ისე, როგორც რძალ-დედამთილი გაწყრომის

დროს სწადიან ხოლმეო და როგორც თითონ ასწერა „კაცია ადამიანში“ და-  
 რეჯანის და იმის მაზლის ცოლის საქციელშიო.“

სირცხვილი არ არის, მაგ გვართ დაქვეითება ილიას და მაჩაბლის წაკი-  
 დების მიზეზების გაქარწყლება! ილიას უნდოდა „დროება“ თითონ შეესყიდა  
 მესხისაგან და ვანომ რომ დაასწრო, ის დიდად იწყინა ილიამ და გულში  
 ღვარძლი ჩაიდო და აღარ აპატიავ. ნუ თუ ეს იყო ნამდვილი მიზეზი, მათი  
 გამოიჯენისა? ნუ თუ დონ-იაგოს აღარ ახსოვს „ბანკოვიადას“ სცენები? ნუ  
 თუ დონ-იაგოს აღარ ახსოვს არწრუნისეული თეატრის გადაკეთება, სათავედ-  
 აზნაურო პანსიონის გაფართოვება, აუარებელი ფულის დახარჯვა ამ პანსიონ-  
 ზედ საზოგადო(კრების ნების დაურთველათ?

ქაბადიანი გაბაშვილი

## რამდენიმე შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან

(დახსიათება)

1877 წელს, თუ ცოტა გვიან, არ მახსოვს, ტასო მიხეილ თუმანიშვილის ქალიშვილი შემოვიდა ჩემთან და როგორც ყოველთვის, ეხლაც მთხოვა, ერთად წავსულიყავით ს. თ. ა. ბანკის წლიურ კრებაზედ. მე ჩემ ქმარს შევხედე, მინდოდა იმის აზრი შემეტყუო ამ გარემოებაზედ. იმან კი თვალი ამარიდა და ამიტომ გყოყმანობდი, გადაწყვეტილი პასუხი, ვერ მიმეცა მეგობრისთვის. ტასო მიხედა რაშიაც იყო საქმე და თითონ შეეხმაურა ჩემ ქმარს:—ბატონო ალექსანდრე, თქვენ კი არ მიბრძანდებით ბანკის კრებაზედ? ამბობენ, ძალიან საინტერესო ბაასი იქნება ბანკის მოგების განაწილებაზედ საზოგადო საქმეების დასახმარებლათაო.

— მე?—ყოყმანით მიუგო სანდრომ..—ცოტა ოდენი სამსახურის საქმე მაქვს დავალებული და თუ ადრე დავათავე, იქნებ შევიარო.

— უფრო კარგი!—სიხარულით შესძახა ტასომ და ისევ მე მომიბრუნდა:—წამო, წამო, გენაცვალე ხედავ ბატ. სანდროც იქ მოვა და იქიდან ერთად დაბრუნდებით.

მე, რასაკვირველია, სული მიკაწყაწებდა წასასვლელად, მაგრამ მე კვლავ შევხედე ქმარს, რაკი ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა ქალის ბანკის კრებაზედ დასწრებისა.

— წადი, თუ გინდა, მე რას მეკითხები! უკვე 12 საათია, კრება კი 10 ზეა, გამოცხადებული.

— აბა, ჰა! რაღას ელი! თუ მივდივართ, დროზედ მივიდეთ. დამაშურა ტასომ.

წავედით და დაგვიანებული დრო რომ შეგვემოკლებინა, სულ სიბრბილით გავიარეთ ვერიდან, სადაც მე ვცხოვრობდი სოლოლაკის ქუჩამდე, სადაც მაშინ ბანკის სადგური იყო. კრებაც იქვე იყო დანიშნული.

სწორედ დროზედ მივედით. ბანკის ანგარიშების კითხვა გაეთავებინათ, მოგება გამორკვეული იყო და ბაასი ფულის განაწილებაზე იყო მიმდგარი. ფულის მთხოვნელები, რასაკვირველია, მრავალნი აღმოჩნდნენ, მეტადრე სოფლიდან ჩამოსული მოსწავლეთა მშობლები, რომელნიც დიდის გაჭირვებით სცხოვრობდნენ ქალაქში და სხ. მაგრამ ბანკის თავმჯდომარემ, ილია ჭავჭავაძემ საჩქაროდ შეაწყვეტინა მდივანს პრეტენდენტთა სიის კითხვა და მოკლეთ სთქვა:

ჩვენ ვფიქრობთ და თქვენც დაგვეთანხმებით, უთუოთ, რომ ის რამდენიმე ათასი თუმანი, რომელიც წელს ბანკს მოგება აქვს, აქა იქ არ გავფანტოთ. ჩვენ ერთი დიდი საქმე გვადევს კისრად—სათავად-აზნაურო სკოლის შენახვა და ყოველი გროში სათავად-აზნაურო ბანკის მოგებისა, თავად-აზნაურთა შვილების აღზრდას უნდა მოვახმაროთ და თუ რამე გადაგვრჩება, იმ სკოლის კარი ცოტა ფართოდ უნდა გავაღოთ და არა თავადთა შვილებიც შევიფაროთ! სწავლა და მხოლოდ სწავლა უმთავრესი ჩვენი ვასაქირი, დაუმატა ილიამ და თან მოიყვანა ციფრები იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენი პროცენტით ნაკლებია ქართველთა შვილები სახელმწიფო სკოლებში და ეს ნაკლებობა, ბატონებო, დაუმატა დიდის გაზვიადებით, უფრო გაიზღება შემდეგში, რადგან ქართველი, სოფელში მცხოვრები თავად-აზნაური ვერას გზით ვერ მოახერხებს თავისი შვილის მომზადებას იმ კონკურსისთვის, რომელიც უამრავ მსურველთათვის არის გამოცხადებული. მსაჯელობა მალე შესწყდა. მთელი წლიური მოგება გადაღებული იყო ვაჟთა სკოლის მოსახმარებლად. მარტო „ვაჟთა სკოლებს“, შევძახე მე და ზეზე წამოვდექი, დასაცველად ჩემის გაკვირვებისა, რომ ქალებს კი არ იხსენიებდნენ თავად-აზნაურთა შვილებათ, მაგრამ უღონო, სრულიად უღონო აღმოჩნდა საზოგადოებაში გაბედულობით ლაპარაკისა. აქეთ-იქით ტაში დამიკრეს, ნიშნად ჩემის აზრის სიმართლისა, მაგრამ ძლიერ მდუნეთ, მით უფრო რო გადაწყვეტილება ერთი ხმევ იყო მიღებული. იმ ორი-ოდე ხმამ, რომელიც ჩემ გულის სიწრფელით წარმოთქმულს აზრს დაემოწმა, გამაბედვინა და უფრო ვერცლად და დალაგებით დავწერე წერილი პროტესტისა, რატო საზოგადოებამ პირველიდანვე არ იზრუნა, რომ ქალ-ვაჟთა სწავლა გაერთიანებული უნდა ყოფილიყო-მეთქი. ბანკის კრების მესამე-მეოთხედ დღეს მიწვეული ვიყავით ჩემ მულთან, ცნობილ თბილისის მსაჯულის ივანე პოლტარაკის ცოლთან. კვირა დღე იყო, აუარებელი ხალხი დადიოდა ბულვარებზედ სასეირნოთ, მე კარგა გზა მქონდა ვასავლელი სოლოლოკამდე, სადაც ჩემი მული ბინადრობდა და დავგვიანებით მიველ. ჩვეულებრივი სტუმრები კვირა დღეებისა ნათესაობა და მეგობრები, უკვე გაშლილ სუფრას შემოხვეოდნენ და ჩემ შესვლაზედ უცებ ახმაურდნენ: მობრძანდი, მობრძანდი, ქ-ნო ეკატერინე და დიდის ყურადღებით გადმიწვიეს სუფრის საუკეთესო ადგილას.

მე დიდად გაკვირებული დავრჩი ამ არა ჩვეულებრივი ყურადღებით, ამ ხალხისგან, რომელნიც თითქმის ყოველ კვირა დღეს ჩემთან ერთად სადილობდნენ პოლტარაკისას და ცოტა არ იყოს, ავიბუზე.

სტუმართა შორის იყო ერთი ყმაწვილი კაცი, ონიკაშვილი, ხუმარა და ლაზლანდარა. ის მიხედა, რომ მე არ ვიცოდი რაში იყო საქმე და წინ გადაამიშალა იმ დღის რუსული გაზეთი „Одзвѣ“-ის № გაზეთის მეორე გვერდზედ შეკეცილი და მაშინათვე თვალში მეცა ჩემი გვარი და სახელი. ხელახლად ახმაურდა მოსადილე კრებული და მომილოცეს გამარჯვება:

— რა ხუმრობაა, ბატონო კატო, „Одзвѣ“-ის კვირის №-ში გამოქიმივა! ეს დიდი ყურადღებაა ნიკოსავან<sup>1</sup> თქვენდამი მოქცეული, თუმცა სრულის ღირსე-

<sup>1</sup> ნიკო ნიკოლაძე იყო „Одзвѣ“-ის რედაქტორი.

ბით აღსაესე თქვენის აღძრულის კითხვის შესახებ, სთქვა გიორგი ყაზბეგმა, პირადად მეგობარმა ივანე პალტარაძისამ და ჩემმა კარგმა ნაცნობმა.

მთელი სადილი ჭირის ოფლის წმენდით ვავატარე და მხოლოდ სადილ შემდეგ, როცა მოსადილენი აქეთ-იქით გაიფანტნენ, ვაგებდე ვადაშეთალიერებინა, თუ რაში იყო ამდენი ხმაურობის საქმე. ჩემ ვაკვირებდას საზღვარი არა ჰქონდა, მე ისიც კი არ ვიციდი, რომ ჩემი სტატია „ქალთა აღზრდის“ შესახებ უკვე „დროებაში“ იყო დაბეჭდილი და მით უფრო იმით ვიყავ გაოცებული, რომ „ობზორმა“, ამ მაშინდელმა საოცნებო დიდებულმა გაზეთმა და მით უფრო განდიდებულმა რედაქტორმა ნიკოლაძემ, ყურადღება მიაქცია, ვილაც, უცნობ მბლავნელი ქალის ნათქვამს... რასაკვირველია, გამეხარდა, მაგრამ თითქო კიდევ შეეკრთი.

## 2

კვლავ ტასო თუმანიშვილი, ეს ჩემი განუშორებელი თანამგზავრი ყოველ საზოგადო კრებებზე დასწრებისა, გეეწვია.

— კატო, მე უშენოთ ხომ იცი ვერსად წავალ, დედა მხოლოდ შენთან, როგორც გათხოვილ ქალიან, მაძღვეს ნებას საზოგადოებაში გამოსვლისას და ბილეთი მამაწოდა, — ხელ მუხრანსკის სახლში წერა-კითხვის საზოგადოების კონცერტია გამოცხადებული. ვინ გინდა რომ არ იღებდეს კონცერტში მონაწილეობას; ოპერის არტიტები, მუსიკალური სკოლის პროფესორები და იცი კიდევ ვინ? მშვენიერი, იშვიათი დეკლამატორი დავით ერისთავი-გლუხარჩი!

მეორე დღეს ადრიაანად წაველ ტასოსთან, ის იქვე კლუბის მოახლოვებით სცხოვრობდა ბარიატინსკის ქუჩაზე და ისიც ისე ავალეღვე ჩემის მოუთმენლობით, რომ საათს აღარ შევეკითხეთ და თურმე ადრე ავედით კლუბში. კლუბის დარბაზი ოდნავ იყო განათებული, უშველემელ დარბაზში ჯერ სკამებიც არ დაეღებინათ. მარტო ზალის ბოლოში გამართულ სცენაზე ვილანიც ფარდას ვერას გზით ვერ აწყობდნენ და სიცილ-ხარხარი გაისმოდა...

დარბაზის მეორე ბოლოში კედელთან რამდენიმე გრძელი სკამებიც იდგა, უთუთო მოსწავლეთათვის, და ჩვენ ფანჯარასთან მივიყუყუნეთ სოფლიდგან ჩამოსული ტეტებივით.

ნელა-ნელა იკრიბებოდნენ კონცერტის მომწყობნი, მონაწილენი, თითო-ოროლა ჩვენებრი ადრიაანად მომსვლენი.

ბოლოს სცენიდან ჩამოვიდნენ რამდენიმე წევრი წ. კ. საზოგადოების მართელობისა, მათ შორის, ილია ჭავჭავაძეც და, რომელიც მაშინვე ჩვენსკენ წამოვიდა, როგორ მოვიფიქრებდით რომ, ის ვადმოლახავდა მთელ უშველემელ ზალას, მხოლოდ იმით რომ, ჩვენთვის პატივი ეცა და გვიკვირდა, თუ რა საქმე უნდა ჰქონოდა ცარიელ დარბაზის ბოლოში და როცა მოგვიახლოვდა და დაბლად თავი დაგვიკრა და მოგვესალმა, საშინლად შეეკრთით. ჩვენ თვალში, ეს ისეთი მოულოდნელი პატივისცენა იყო, იმისთანა მიუკარებელის კაცისაგან, რომ მთლად დავიკარგენით, ვავწითლდით, ენა ჩავვივარდა და ორივე ისე ვიდევით იმის წინ, როგორც კულუტობაში დაქერილი ბალები. მაგრამ რაც უფრო სასაცილო იყო, ეს თვით ილიას საქციელი, ისიც ვაწითლდა, ჩვენებრ

დაეკარგა სიტყვის თქმის ილაჯი და უხერხულად დაჯდა და აქეთ-იქით დაი-  
 წყო ყურება, ცარიელი გარემოს თვალიერება. ჩვენც დავსხედით ცოტა იმის  
 მოშორებით, მაგრამ პირმოკუმულნი, დაფანტულნი...

— შეიძლება არავეინ არ მოვიდეს და წერა-კითხვის საზოგადოება ცარი-  
 ელზედ დარჩეს, — ბოლოს ძლივს წარმოთქვა ილიამ და უცებ აღგა, გამოგვესა-  
 ლმა და წავიდა, ვითომ ამის გამოსარკვევად, რომ, თუ არავეინ მოვიდოდა, რა  
 გზას დასდგომოდა. ჩვენ სიცილი წაგვსკდა და თან სირცხვილით ერთმანეთს ვაბ-  
 რალეზდით ჩვენ უზრდელ, სულელურ საქციელს. ამასობაში დარბაზი გააჩალეს,  
 მოაწყეს, თითო-ოროლა, ჩვენებურად დაჩქარებული მდაბიოც შემოვიდა, მალე  
 ოღლა ქაეკვიპადისაც შემოვიდა, მორთული და მზიარული, რამდენიმე ახალგაზრ-  
 და არისტოკრატ ქალიშვილებით გარშემორტყმული. დარბაზის კარებთან დადგა  
 და მოსულ სტუმრებს, როგორც საღამოს დიასახლისი, ესალმებოდა, თითქო  
 ჰმადლობდა, რომ პატივი სცეს ამას და მობრძანდნენ.

აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ყველა წრის საზოგადოება, ინტელიგენცია,  
 მოსწავლენი, მასწავლებელნი. ყველანი მზიარულნი, მოძრავნი, მოღიმიარნი. ჯგუფ-  
 ჯგუფად იდგნენ, ბაასობდნენ; ერთი სიტყვით საღამო გაჩალდა, ზარი კონცერ-  
 ტის დაწყობისა გაისმა ზალაში და ყველა თავთავის ალაგზე გამოიჭიმა. მე და  
 ტასოც გავეშურენით ჩვენ ალაგებისკენ და ოღლას თვალს ვარიდებდით, გვე-  
 გონა, რომ იმან უკვე იცის ჩვენი ინცინდენტი ილიასთან და გვრცხვენოდა, ჩვენი  
 სისულელის. გათავდა თუ არა პირველი განყოფილება, ჩვენც დავიძარით მეორე  
 დარბაზში გასასვლელად; წინ გადაგვეღობა ოღლა და გვთხოვა პატარა ხანს  
 დაკრჩინილიყავით ზალაში. ჩვენ ენაზე ვიკბინეთ. ოღლამ თავისებურის სიცილ-  
 ხარხარით და აქეთ-იქით რხევით გადმოგვცა: ილიამ ამიხსნა თქვენი და იმისი  
 შეხვედრის ამბავი და დამავალა, ამეხსნა თქვენთვის, თუ როგორ დასძლია ის  
 თავისმა ჩვეულებრივმა ხასიათმა, ქალებთან სულელურმა მოკრძალებამ, სრუ-  
 ლად დამავიწყა იმათ დანახვანზედ მომზადებული ორიოდე სიტყვა იმაზედ, რომ  
 მე მოხარული ვარ, რო ქალმა პირველმა აღძრა აზრი ქალთა განათლებაზეო.  
 და თან მინდოდა დავპირებოდი, რომ, პირველსავე შემთხვევით ვისარგებლე-  
 დით ყველანი და ამათ კეთილის და საჯაროთ ცნობილ აზრს უთუოთ განვა-  
 ხორციელებთო. ოჰ! რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ეს დანაბარები, თითონ  
 ილიას ეთქვა ჩემთვის, მაგრამ ინსტიკტით მივხვდი, რომ შესაძლებელი იყო ამ-  
 გვარი თქმის უხერხულობა.

### მეორე შეხვედრა

ჩემი მოთხრობა, „რომანი დიდხევაში“ მიუტანე მე კეკეს, ს. მესხის მეულ-  
 ლის; ეურნალ „ივერიაში“ გადასაცემათ: მაშინ „დროება“ და „ივერია“ შეერ-  
 თებული იყო ერთ რედაქციათ ვანო მაჩაბლის რედაქტორობით და ერთ შენო-  
 ბაში, მუხრანსკის სახლში, ეხლანდელ რუსულ კლუბში და თითონ მესხიც ოჯა-  
 ხით იქვე იდგა. გავიდა კარგა დრო. მე ვერა ვბედავდი მისვლას მეგობართან  
 მეშინოდა, მეკითხა რამ ჩემი მოთხრობის შესახებ. ბოლოს, როგორც იყო გავბე-  
 დე და წაველ ერთ საღამოს. ის მწვანე აბაჭურ ჩამოფარებულ ლამპასთან თავი-  
 სებურათ პაპიროსებს აკეთებდა და ვერ დამინახა.





როცა გაიგო ვინცა ვარ, გაიცინა და მითხრა: ნეტა ერთი საათით ადრე მოსულიყავი და შენი ყურით გაგვეგონა, აი სწორეთ ამ მდივანზედ ლაპარაკი შენ მოთხრობის შესახებო.

— ჩემი მოთხრობა დაიბეჭდა და არ შემატყობინე? შე ავო აღამიანო, განა არ იცი, როგორ ვლელავ და რა მოუთმენლობით ველი ხოლმე მაგ ამბავს? ჰო. ახლა ხომ გაიგე და ახლა ისიც მოისწინე, თუ რას ლაპარაკობდნენ ამაზედ ილია, ვლადიმერ მიქელაძე და სერგეი.

— როგორ მოვიფიქრებდი, რომ ავრე ადრე დაბეჭდავდნენ, ვანო მაჩაბლის მაღლობელი უნდა ვიყავე.

— რას არ დაბეჭდავენ, როდესაც შენზე მიდგა საქმე, და არ იქნა და აღარავენ გამოგვიჩნდა მოთხრობების მწერალი და დაცინვით ჩაიცინა.

— ჰო, „ერთ კვებანაში მოახლე არ იყო“... რომ იტყვიან? წაგვტუტუნე მე ამოთხვრით.

— არა, არა! ნუ გეწინიან! პირიქით, დიდის კომპლიმენტებით შეაქეს შენი „რომანი დიდხევაში“. ილიამ სთქვა: უთუოთ მაგ ქალს ზეპირად აქეს დასწავლილი ვიქტორ-ჰიუგოს რომანები, რომ მაგვეკრათ მიულწევია იმის სტილის მომგზავსებაო და დაუმატა. ამ „რუსინების“ გამრავლების დროს, ეგ რა მანქანებით გადარჩენილა მაგვეკრ უბედურობასა. ქართულის ცოდნა არ დაუთურგმნიაო.

— მიქელაძემ, მიქელაძემ რალა სთქვა?— შევეკითხე კეკეს, რომ დამეფარა ის საწინელი მღელვარება, რომელიც მე ვიკრძენ იმის სიტყვების შემდეგ.

— მიქელაძემ? აბა მიქელაძე ვის დაეთანხმება! იმას ყოველთვის თავისი აზრი უნდა ჰქონდეს!— ვიქტორ-ჰიუგო კი რა მოგახსენო, მაგრამ ტურგენევის კი თითქო „რილაშიაც მიბაძავსო“. აზროვნებაში, თუ სულიერ შეთანხმებაში. სერგეიმ ხარხარი დაიწყო, რატო არ გვონიათ, რომ შესაძლებელი იყოს მიუბაძველობაო? და თუ მართლა, მაგ ახალგაზდას ატყრავთ რაისმე ჩანასახს მოწიგლის ბელეტრისტიკისა, უნდა ხელი წაუშართოთ... და კეკეს ჯერ არ დამეთავრებინა ეს სიტყვები, რომ ოთახში შემოვიდა ილია და სკამზედ დარჩენილი გულ-იილო და უკან გაბრუნდა. მეც უკან ავედევნე, ვითომ უნდა მეკითხნა, თუ მართალი იყო, რაც მითხრა კეკემ და მეტიც, მაგრამ იმან თითქოს არც კი დაინახა და ტალანში პალტოს ჩაცმა დაიწყო. მე ხელი შევაშველე ჩაცმაში, ჯოხიც მივაწოდე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა და თავჩაღუნული ჩაიარა კიბეზე. დამბლა დაცემულივით ვიდექ კიბის თავზედ და ვწყევლიდი ჩემ ქალად გაჩენის დღეს, თუ მართლა ქალების დანახვა უკრავდა კრიჰას იმ დიდებულ მეტყველებას, რომელიც ქალებს ზედმეტად ესაჭიროებოდათ მოსასმენად, შესასუნთქათ, იქნებ ასაყვავებლათაც... მაგრამ... ბედი მუხთალი...

### მესამე შეხვედრა

„გერმანიიდან ჩამოვიდა ერთი ყმაწვილი მწერალი, სახელად ლეისტი და სურს გაიცნოს ქართველი საზოგადოება, ქართული მწერლობა და შემდეგ შეეცადოს, სთარგმნოს ქართველთა ლიტერატურული საუნჯე „ვეფხვის-ტყაოსანი“.

ამისათვის ილიას სურს გაცნოს ეს ყმაწვილი მწერალი ქართველებს და ქართველ მწერლებს და თქვენც ვთხოვთ, კვირას 3 საათზე გვეწვიოთ, რასაც ჩემის მხრითაც უმატებ ჩემ გულითად თხოვნასაც. მწერდა ოღონდ ქვეყანადისა (წელიწადი არ მახსოვს) ჩემ სიხარულს, აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. პირველად მეძლე-ოდა შემთხვევა ვყოფილიყავ ილიას სახლში, მენახა იმის ბინა, მოწყობილობა. უკანასკნელ წვრილმანამდე, რაც კი დიდებული მწერლის საკუთრებას შეადგენს და იმის ვინაობას გამოსახავს... მაგრამ, მაგრამ... რითი, როგორ უნდა წავსულ-იყავ იმ კრებულში? არავითარი საშუალები და მორთულობა შესაფერი არა მქონდა. მაშინვე ჩემ მეგობართან, ნინო ერისთავის ცოლთან გავიქეცი, უამბე ჩემი ბედნაერება ამ უშველებელ მოვლენის შესახებ და თან ჩემი უნუგუმობაც, რომ წასასვლელად არ მქონდა მომზადებულობა.

ნინო ჩემი შვილების მომნათველი იყო, კარგი მეგობარი, იცოდა ჩემი ავლა-ღიღება და მაშინვე აღერსით მითხრა: „ნუ გეშინიან! კვირამდე სამი დღე არის და როცა საჭირო არის, სამოცი კაბაც შეიკრება“ და შენ ერთ კაბას, როგორ ვერ მოგისწრობ. მართალია, ილიასთან, შეიძლება, მწერლების გარდა ილიას და ენ. ორბელიანისა<sup>1</sup>, ოღონდ და, დისწულებიც, დიდებულად გამოპრან-ქულებიც ბრძანდებოდნენ, მაგრამ შენ ყველანი „ნიგილისტათ“ გიცნობენ და სასადავეს შენის ჩაცმულობისას, უფრო შესაფერად იცნობენ, და სიცილით ხელი გადამხვია.

კვირას სამ საათზედ უკვე გამოპრანქული ვიყავ მხიარულ იაფფასიან ბარე-ყის კაბაში, და არისტოკრატ სტუმრებს რომ უბრალო ვინმეთ არ ვჩვენებოდი, თავისი ძვირფასი არმიის მანტილია მომახვია მხრებზედ და გულისპირში ძველ-ბური, ერთადერთი, ბებიის ნაანდერძევი აღმასის ქინძისთავი დამიბნია და როცა კარზედ ფაიტონი გაჩერდა ჩემ წასაბრძანებლად ნადიმზედ, უკვებ უბიდგან გამოიღო იასამანი პარიზული ხელთათმანები საპარიკმახეროში გაწმენდილი, მაგრამ ბენზინის მაგივრად, იასამანის სურნელებით გაჟღენთილი.

— ხელთათმანები! რათ მინდა? გაზაფხულია.

— არა, ხელთათმანები აუცილებელია იმ საზოგადოებაში, რომელშიაც შენ მიწვეული ხარ, უხელთათმანობას უზრდელობათ ჩამოგართმევენ. — მითხრა ნინომ და პირჯვარი გადამწერა.

ყველას შეუძლიან წარმოიდგინოს ყმაწვილი ქალის გულის რაკრაკი, რომელიც პირველად მიდის თავის სადიდებელის პოეტის სახლში, მწერალთა კრებულ საზოგადოებაში და ზედ დამატებით იასამანის ვიწრო, ვიწრო ხელთათმანებით არისტოკრატებთან წასადგენათ!

დარბაზში შესვლის უმალ შესწყდა ჩემი გულის ფრიალი, პირზე სიხარულის ღიმილი გამეშალა, როცა დარბაზული კნიინების მაგივრად, გარშემო სულ ნაცნობი პირები დავინახე: გოგებაშვილი, ცხვედაძე, მიქელაძე, ჭყონია, სარაჯი-შვილი ალექსანდრე, თაყაიშვილი და არც ერთი ქალი! დაბ, არც ერთი ქალის ქაპანება! ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ აკაკი შემოვიდა და თავის დემო-

<sup>1</sup> ილიას და, ელისაბედ ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე პირველად ორბელიანზე იყო გათხოვილი.

წიურის ღიმილით ამათვლიერ-ჩამათვალღერა და შეჰყვირა: ოჰ! ფერჩატკები, იასამანი, კაბა, არშიები, ბოლიანტი! რა ცვლილება! და უნებლიეთ დანარჩენი კამპანიის ყურადღებით მოპყრობილი, კვლავ აეჩქროლდი. ოთახის შუა გულს ვიდექი და მზათ ვიყავ ავტირებულიყავი.

— ბატონებო, მობძანდით, სადილი მზათ არის! ტკბილის ღიმილით მოგვმართა ყველას ოღლამ, რომელიც მეორე ოთახის კარებში გამოდგა და მე ხელი-ხელში გამიყარა და შემიძღვა სასადილო ოთახში, რომლის მეორე კარებში გამონდა ილია, ისიც ხელი-ხელ გაყრილი წვეულების მიზეზის რაინდთან ერთად და ყველასთან თითო თითოდ ჩამოატარა, გააცნო. შემდეგ სუფრაზე დასხდომის ცერემონია დაიწყო: სუფრის თავს ოღლა, იმის მარჯვნივ სტუმარი ლეისტი მარცხნივ მე და ჩემ გვერდით აკაკი, სუფრის ბოლოს ილია იჯდა წარბ-შეკრული. უთუოთ გრძნობდა, რომ ნემცო სტუმარი ჩვენის სიმუნჯის გამო, გაოცებული იყო. ყველაზე მომეტებულით დიასახლისი გრძნობდა უნებრულოობას და მუნჯურის სიცილით სთხოვდა ყველას, ხელი მიეყოთ ჭამისთვის. უცებ ოთახში შემოიჭრა თავისებური სისწრაფით და რიხინანობით ვანო მაჩაბელი და ბოდისით დაგვიანებისათვის, ლეისტის გვერდით ცარიელ სკამზე დაჯდა. გამოცოცხლდა სუფრა, ყველამ ხელი მიჰყო ბაასს. ლეისტი იქამდე, რაღაც ცოცხალ-მკვდარი, რუსები რო იტყვიან „ყუყუა გოძიხვია“, გამოცოცხლდა, იმის უფერულ და არა ინტელიგენტურ სახეზედ, ორმა ლურჯმა (თუ მწვანემ) წყლიანმა თვალმა გამოანათეს, გააცოცხლეს, აზრი მისცეს იმის დატეტკილ სახეს. მაჩაბლის მასლაათმა ადვილად გამოიწვია იმაში სიცოცხლის ნიშნები, ყველაფრისადმი ინტერესი...

ილია ტოლუმბაშობდა. სუფრა წმინდა ქართული ხასიათის იყო, ფლაგიდგან დაწყებული ტრადიციულ ინდაურამდე. სადღეგრძელოები მჭერმეტყველოური, როგორც შეფერებოდა სახელოვან ტოლუმბაშს და სახლის პატრონს. სუფრის ბოლოს, ილია კაბინეთში კედელზედ ჩამოკიდებული შევარცხლილი ჯიბეც კი გამოჩნდა სუფრაზედ, მაგრამ არა, როგორც გასაჯიბრებელი სასმისი, მხოლოდ, როგორც იშვიათი რამ საგაყაკოთ მიღებული, იშვიათი სადღეგრძელოს დასალევით. ილიამ თავის ხელით მიიტანა უცხო სტუმართან ეს ქართული ლხინის ძლიერების უკანასკნელი სიტყვა და ვანო მაჩაბლის დახმარებით აუხსნა ამისი გმირობა, ვინც ამ ორ ბოთლიანს ჯიბეს გამოცლიდა და ფეხზე დღგომის ძალას არ დაჰკარგავდა.

აკაკი მთელი სადილის განმავლობაში წამით არ გაჩერებულა, იშვიათ გუნებაზე იყო, მასხარაობდა, დაგვიცინოდა ყველას დაწყობილი უცხო სტუმრიდგან: „ვინ იცის თავის ქვეყანაში მეჩქმის თანაშემწეა, ან აფთიაქის ყოფილი ფარმაცევტი და ეროთირება კიდევ, რო ამდენი დარბაისელნი, ლიტერატურის და პოეზიის წარმომადგენელნი ახვევია გარს. აი, ილიამ თქვენც უთუოთ, მოვიწვიათ ერთადერთი მანდილოსანი, რომ ეჩვენებინა, გაეკვირვებინა ნემენცი იპით, რომ განა თუ მარტო კაცები, ქალებიც კი დანავარდობენ ჩვენ პოეზიის პარნასზეო. თქვენ კი როგორც ახალი გლეხის პატარძალი, თვალზე დახრილი შესტყერით ვიღაც მაჩანჩალსაო“. ასე და ამრიგათ შეუყენებლოვ ხუმრობდა და პირში ლუქმის ჩაღების დროსაც არ მაძლევდა.



ილია ჭავჭავაძე სათავადო-ბანკის ბანკის თანამშრომლებთან ერთად ბაღში.

უტკველია, სტუმარი მიხვედრილი იყო ახირებულნი ოხუნჯობა აკაკისა იმასაც შეეხებოდა და ხანდახან ცალი თვალთ გადმოგვხედამდა ხოლმე.

როდის, როდის სადილი დასრულდა, უკვე შეძინებული იყო, ოთახი გააჩაღეს და მხოლოდ ეხლა შეენიშნეთ, რომ კარხედ დიდი ქარიშხალი ჰქროდა და თავსხმა წვიმა მოდიოდა. ყველანი ბალკონზედ გავედით, იქ კუთხეში მდგომ ლამაზთ ვაწყობილ ტახტის მუთაქას დავებჯინე და მთელის დღის მლეღვარების შემდეგ და აკაკის უმინაარსო ლაპარაკისაგან გამოშტერებულს, სული უნდა მამებრუნებინა, რომ აკაკი ტახტის წინა კუთხეში გამოიქამა, ფეხები განზე გაშალა და კვლავ მე მამობრუნდა. წაიკითხეთ ჩემი ახალი წიგნი? — „ხუთთარი სიყვარული“<sup>1</sup> ღიმილით ვთქვი მე. აბა თქვენ დაწერილს და ისიც მთელ წიგნს, რომელი სულდგმული ქართული არ დაეწაფებოდა! — ახლაც იტყვი, რომ მე არ შემძლიან რომანი დაწერო, რომ ჩემ მუხას არ ძალუძს სიყვარულის გრძნობა გამოსახოს? რომ ჩემ ბუნებას, ტემპერამენტს, რომანტიული სითბოს, სიმბურვალის ძლიერება არა აქვს მინიჭებული? აი ერთის მაგიერათ, ხუთი სხვადასხვა ძლიერების სიყვარული ავანთე.

— სიყვარული ერთი მხოლოდ და გაუყოფელი, თქვენ კი ხუთად ვანაწილეთ და მაგითი დაამტკიცეთ, რომ სიდიადე გრძნობისა სხვადასხვანაირია... ასე უნებლიეთ კვლავ აკაკის საზოგადოებაში მოვეყ და ძლივძლობით მივხვდი, რომ ჩემი საქციელი დაუშვებელი იყო, მით უფრო რომ ბალკონზედ თითქმის აღარავინ სჩანდა, წამოგხტი და უხრდელად მივატოვე ჩემი დღევანდელი ერთგული კავალერი.

ოთახში სტუმრები ემშვიდობებოდნენ ილიას; მე ოღლას დაუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად დავინახე და მეც ილიას ძვიმართე მოკრძალებით:

— თუ შეიძლება, ჩემთვისაც უბრძანეთ მოსამსახურეს, ფაეტონი მოიყვანოს. ილია თითქო გაკვირვებით დამაშტერდა და მკვახეთ მითხრა: ვანა თქვენ აკაკისთან ერთი ფაეტონით არ მიბრძანდებთ?

— რა გნებათ მაგითი სთქვათ? გაკვირვებულმა შევძახე და წარბები შევიკარი. ნუ თუ თქვენ თვალშიც დედაკაცი გასაკიცხია, როცა ის კაცთან თავისუფლად ლაპარაკობს!...

— არა, რას მიქვიან... მაგრამ ვათაგება აღარ დავაცადე და აღშფოთებული გავარდი გარეთ და მუხლებამდე ტალახში ტოპით, ძლივს მივალწიე ჩემ სახლამდინ.

— ნეტა ამ ხანათაც არაფერი, ეთქვა გავიფიქრე.

### მეოთხე შეხვედრა

1904 წლის გაზაფხულს სამშღვარ-გარეთ წაველ სიყრუის მოსარჩენათ. ჩემი შვილი, ბელგიის უნივერსიტეტის სტუდენტი მწერდა: „აქ დაბადებით ყრუ-მუნჯთ არჩენენ და შენ ხომ დიდი ხანი არ არის რაც ყურს დაგაკლდაო“. დაუჯერე, მაგრამ ტყუილი გამოდგა. რაც აქ მითხრეს ექიმებმა, იქაურებმა გამიმეორეს: „ჯერ სიყრუის მორჩენის გზა არ არის ნაპოვნო.“

<sup>1</sup> ავტორს ეწოდება ა. წერეთლის რომანის სათ.ური, უნდა იყოს-„სამგვარი სიყვარული“. რ. ე. დ.

აგრეთვე, სანატრელი და საოცნებო ევროპის ცხოვრების გრანდიოზობის სურათიც არ გამიმართლდა. ჩენი ქალაქი მხოლოდ მინიატურა იყო იმ სამი ოთხი დიდი ქალაქისა, რომელნიც მე ვინახულე. მუზეუმებში ხეტიალმა დამალა, სიმრავლემ სანახაობისამ თვალები ამიჭრელა, გონებაში ჩამრჩა მხოლოდ ერთადერთი მადონა რაფაელისა, რომელიც ისეთის სრულქმნილობით იყო გაკეთებული, რომ ძალა და ძლიერება იმის ცოცხალ თვალებში იდგნენ წარმოდგარი კრემლები, უშუალოდ ვიგრძენ ჩემ ლოყებზედ და გალიუცინაცია შეგონა. აქა-იქ ნანახ ქართველებს რომ შევხვდებოდით და შევნატროდი, რომ ევროპის უმაღლესი კულტურის თანახარნი არიან, ისინი უგემურად იღიმებოდნენ და წუწუნებდნენ ცხოვრების მუხანათობაზედ: ყველა ქვეყანას თავისებური აღმართ-დაღმართი აქვსო და სწორე გზა ბედნიერებისაკენ ვერავის უპოვია.

სხვათა შორის ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში, შევხვდი ჩემი შვილის შეგობრებს, სტუდენტ ქალებს, დიმიტრი ყიფიანის შვილისშვილებს: ნინას და ვაროს. ისინი მთლად აენტნენ ჩემი ნახვით, მიმიწვიეს, გამიმასპინძლდნენ, გამაცნეს თავიანთი პროფესორი უკრაინელი ქალი იოტიეკო, რომელიც რუსულს არ იჩენდა და მე შეცდომით დავიჯერე და ჩემის დამტკრეულის ფრანგულით მივახვედრე, რომ ალტაცებული ვარ ქალის მაგოდენ წარჩინებით, მაგ სიმალეზედ ჯერ ჩენი ქალი ვერ ასულა მეთქი, რომ ეგ აზრი მხოლოდ მომავალს ეკუთვნის და სხვა და იმან სიცილით მითხრა რუსულათ, მხოლოდ მალაოროსიულის აქცენტით: Вы льстите мне, мадам, я знаю многих русских женщин профессоров и ученых, რომელმაც თავის მხრით, წამიყვანა სახელგანთქმულ უსურის ექიმათ. გამაცნეს ბელგიელი ქალი მწერალი და თან ვაჟარი, მშვენიერი დიდი მღაზიის პატრონი, რედაქტორი გაზეთის, რეპორტიორები, ამერიკელი ოჯახი, რომელიც ჩამოსახლებული იყო ბრიუსელში, ევროპული მუსიკის და თეატრალური ხელოვნების შესასწავლათ და თან წამოელოთ და გამოსაჩენ აღაგას ჩამოეკიდნათ, თავიანთი წინაპართა ნამოქმედარი: თავის ქალის გადაძქვრალი კანი მონებისა და მრავალ ფოჩებთან მათრახი, იმავე მონა მუშების გასამათრახებლად. რას მოასწავებდა ეს შემადრწუნებელი რელიკვიები წარსულის ველურის დროებისა, ეხლა სტუდენტთა ოჯახში, რა მნიშვნელობას თამაშობდნენ, ეს კი ვერავინ ამიხსნა.

ბოლოს ხომ უდიდესი სიამოვნება მომანიჭეს, როდესაც წარმომიდგინეს ვილაქ პროფესორი, რუსულ ენისა, ივან ივანიჩ ივანოვი, რომელიც მაშინვე ვიცან; ეს ამ ქალების მამა იყო, დიმიტრის უფროსი შვილი, კოლა ყიფიანი, ჩვენში კარგათ ცნობილი ვეჟილი და საზოგადო მოღვაწე. შემდეგ რაღაც ოჯახური უბედურობისა გამო უგზო-უკვლოდ დაკარგული.

— ოჰ, ბატონო კატო! რა გხედავთ, ვყმაწვილდები, ჩემს თავს ჩემ მშვენიერ ქვეყანაში ვგრძნობ, თქვენთან მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, თითქო ვთანახარობ, სრულ ყოფილი ადამიანი ვარ... საწყალი მამა—დიდებული მოხუცი, უბედური საყვარელი ჩემი დიაი ლოლა, იმის ქმარი ანტონ, ენამახვილი, გონიერი... და ამის ხმას ძველებურად იშვიათის, გარმონით ხაცსეს, ჭვითინი შეეპარა, ველარ ვიხილავთ იმათ, ველარ მოვებევეი ძმურად, შეგობრულად...

ყველანი შეგვიპყრო კოლას უღრმესმა სინანულმა, მწუხარებამ.

— რა გიშლის, მეგობარო დაბრუნებას იქ, სადაც გაზდილხარ, შობილხარ, სადაც შვიური ქვიშხეთის სასახლე სიხარულით მიგიღებს და საიდგანაც კვლავ დასტკები თვალუწვდენელის პანარამით: ბორჯომის ხეობა, მტკვრის ზოლით წელშემორტყმული, ქართლის მინდვრები, სოფლები და შორს, შორს დიდებული გორის ციხე-ვალივანს ოდნავი ბურუსით შებურვილ სილუეტს... წრფელის გულით ვანუგეშე.



• ილია ჭავჭავაძის და ელისაბედ საგინაშვილი.

— არა, არა! შეჰყვირა იმან.—მე რენეგატი ვარ, отверженный родиной, блудный сын! და კვლავ ქვითინი, ქვითინი, რომელიც გწვამს და სანუგეშებელი ველარაფერი გიპოვნია უბედურისათვის. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი ჩვენი მეგობრობა უფრო და უფრო მკვიდრდებოდა.. შვილებიც და მამაც, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტები იყვნენ ყოველის გვარი ღირსებით, წმინდის გულით. მაღლა ფარდებში მფრენნი, პრაქტიკულ ცხოვრების უეცნი და ამის გამო უბედურნი—ლატაკნი...

წამოსვლისას, ბევრი რამ მამანდეს აღსასრულებლად, გამოსარკვევად, დასახმარებლად... პირველი და უდიდესი იმედი იმათი იყო, რომ სათავად-აზნაურო ბანკს, რომლის დაარსებისთვის იმათ მამას დიმიტრის ღვაწლი მიუძღოდა, სტიპენდია დაენიშნა სტუდენტ-ქალებისთვის, რომელნიც სტუდენტ პირობას, სწავლის ვათავების შემდეგ დაუბრუნდებოდნენ თავის ქვეყანას და ერთი ათასად გადაუხდიდნენ იმის ამაგს, დავალებას, ჩემი გრძნობა იმათთან მიმდელი



მეგობრობად გადაიქცა და იმათი დანაბარები ჩემ გულითად სურვილად და სამართლიან დავალებათაც.

მაგრამ კაცის საქმენი და განზრახვანი ზოგჯერ უთაურობით და ზოგჯერ ოჯახურის ვაი-ვაგლახით, მივიწყებული რჩება. თბილისში ჩამოსვლის უმოდ პირადმა საქმეებმა, უკულმა ტრიალმა, ისე ჩამითრია, იმდენი ენერგია დამჭირდა მათ მოსანელებლად, რომ ბრიუსელიდგან დაბარებული სულ დამავიწყდა და მხოლოდ თავში ხელი მაშინ შემოვიკარ, როდესაც ორი-სამი თვის შემდეგ, ფოსტალიონმა გადმომიცა მიმემთ დათალხული კონვერტი ბრიუსელიდგან. წერილი, ყიფიანის ქალებისა იყო. ჩემი ახლად ნაპოვნი ძმა და მეგობარი, კოლა ყიფიანი გარდაცვლილიყო და შვილების ვაგლახი უზომო იყო: „მამა აღარა გვეყავს, მეგობარო კატო! ძვირფასი მამა, დაუფიწყარი, შეუდარებელი მამა, ერთადერთი დასაყრდომი ქვეყანაზე უცხოეთში“...

სირცხვილმა დამწვა, დავგმე ჩემი თავი მეგობართა ლალატისთვის და დაუყოვნებლივ გავიქეცი ოლღასთან, რომ იმას ეშუამდგომლა ილიასთან და თუ მოისურვებს ყიფიანების ცხოვრების და იმათი გარემოების გაგებას, მეტადრე იმათი მამის გარდაცვალების შემდეგ, ვეახლები და აუხსნი-მეთქი, დაუმატე. გავიდა ერთი კვირა, მეორე... კვლავ გავიქეცი ოლღასთან. ოღლა თავისებურათ გულ-ლმობიერებით და შეწუხებული დამიხვდა და მითხრა, რომ „არავითარი პასუხი არ მისცა ილიამ ყიფიანების თხოვნაზე.“ გამეორება კი, შეუძლებელია იმასთან, თუ საპასუხო იმედი არა აქვს გადაწყვეტილი, ილია სულ არაფერს იტყვის. სირცხვილი, ფიცის გატეხა, გულის ტკივილი ვიგრძენ, მაგრამ პირად ნახვა ილიასი და თხოვნა კი მაინც ვერ ვაგებდე... კვლავ მივიწყება, თუ უილაჯობა ჩემი! და კვლავ კონვერტი ბრიუსელიდგან, საჩქაროთ ვაგვხე წერილი. ორი თაბახი ქალაღი წვრილის, წვრილის ხელით აქრელებული, იდეალურის ფრანგულის ენით დაწერილი! საჩქაროთ წვრილის ბოლო გადავათვალიერე: „იოტიეკო“, წერილი, ვითომ მოწერილი იყო ჩემთან, მაგრამ მთელი შინაარსი, ლალადი, თხოვნა უმდაბლესი: Ah le grand poete de la belle Georgie! Ah, le grand homm deson people!“ პროფესორი Institut Sol Vay Joteyco ... „ორი, ორი არსება, ორი კარგი ახალგაზრდა, გონიერი, წარჩინებული, განათლებული, ორი საამაყო შვილი მშვენიერი საქართველოსი“... და ათასი ამისთანა მიმართვა პროფესორისა კი არა, პოეტი ქალის, მხურვალე თხოვნა დახმარების. „აქაც შემდეგო მეპოვნა საშუალება ამათ დახმარებისა, მაგრამ ამათი გულშვიადობა არ იკადრებს არ მიიკარებს მოწყალებას, ამათ სურთ სამშობლომ წარუშმართოს ხელი, რადგან იმედი აქვთ, რომ ერთი ათად გადაუხდიან დავალებას“...

ახლა კი გადავწყვიტე, რაც უნდა მომხდარიყო, პირადათ გადამეცა ეს დედა-კაცურის დუდილით დაწერილი წერილი უცხოებისთვის, უცხო ერის შვილების საქომავოდ.

შინ არ დამხვდა ილია. საწერ სტოლზედ დავდე წერილი. ოლღასგან გავიანილი მქონდა, რომ ილიას სტოლი ხელშეუხებელია და არავითარი ნივთის დაძვრაც არ შეიძლება იქიდან. მაშასადამე, წერილი, უეჭველად, მიიპყრობდა ილიას ყურადღებას, მაგრამ ხმა, კრინტი... კვლავ სრული უყურადღებობა...



...მოთმინება დაკარგულმა, გაავზნებულმა, დავწერე, დავწერე კი არა, ცეცხლით ანთებული სიტყვები დავანთხიე ქალაღდზედ: „თავადო ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე! ნუ თუ მუხრანსკის, ან ორბელიანის ცოლი უნდა ვიყვე, რომ თქვენი პასუხის გაცემის ღირსი გავხდე? ვთხოულობ, გესმით, ვთხოულობ თქვენგან გადაწყვეტილ პასუხს, პროფესორ იოტეიკოს წერილის პასუხს, ყიფიანის ქალების შესახებ.“



ილია ჭავჭავაძე პოლონელ სტუდენტთა ჯგუფში 1859 წ.

არავითარი პასუხი... ვგრძნობდი, რომ არც-ლა შეიძლებოდა პასუხი ჩემი უგუნური აღშფოთების შემდეგ...



უბედურება და გულის გვირგვინია! მე ხომ ვიცოდი, მე ხომ ათასჯერ მჭონდა გაგონილი საზოგადო კრებაზე, რომ ქველმოქმედება ისეთი პირლია, უძლები რამეა, რომელსაც რამდენსაც ჩაუდევ, უფრო განზე პირს გააღებს, რომ დაკმაყოფილება არ შეიძლება.“

ილიას სიტყვები, რომლითაც ის ყოველ კერძო თხოვნას ბანკის მოგებიდგან უპასუხებდა და რომელიც, მე კარგად მჭონდა შეგნებული... მაგრამ გრძნობამ, გრძნობამ ამიხვია თვალები და შეჩვენება, შეჩვენება ძვირფასის დიდებულის უგუნურთა ძნელად მიუწდომელ გაგებისა, შემრჩა უპატიებელი.

---

6160 უიზიანი

## ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან

ცნობილია ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბელს შორის მომხდარი უთანხმოება და დავა სათავად-აზნაურო ბანკის საქმეების გარშემო. ორი დიდი ქართველი, ორივე ძვირფასი და საყვარელი ყველასათვის, ერთ დროს ისე შემტყბარნი და ერთად მომუშავენი თვისი ხალხის საკეთილდღეოდ, ბოლოს სამკედრო-სასიცოცხლო მტრობით გადაეციდნენ ერთმანეთსა.

თვითმპყრობელი მთავრობისაგან ისედაც გათანგული საქართველოს შვილთა შეგნებული ნაწილი ორ ბანაკად გაიყო. მართალია დასავლეთ საქართველოს თავისი ბანკი ჰქონდა და ქართლ-კახეთის ბანკთან არაფერი საერთო არ ჰქონდა, მაგრამ ილია და ვანო მთელი საქართველოს შვილები იყვნენ და იმათი გადაკიდება ერთმანეთზე ყველა მოწინავე ქართველის გულს მოედო და ერთმანეთს დაუპირდაპირა.

დასავლეთ საქართველოს შვილი იყო აკაკი, მხურვალე დამცველი ვანო მაჩაბლისა. დასავლეთ საქართველოს შვილი იყო ვლადიმერ მიქელაძე, რომელიც გაქირვების ტალკვესად ევლინებოდა ილიას პარტიას, როდესაც ბანკის წესდების რომელიმე მუხლის ჩაქიდებით საჭირო გახდებოდა მდგომარეობის შეელა და იმას მიმართავდნენ ხოლმე.

თვითონ ვლადიმერ მიქელაძე, ალბათ იმდენად მალა აყენებდა ბანკის გარშემო შექმნილ ამბავს, და თავის როლს ამ საქმეში, რომ ერთხელ ამ სიტყვებით გამოსთქვა:—*„Я сознаю Илье зря!“* მართალია ეს სიტყვები იყო წარმოთქმული ილიას პატივსაცემად გამართული დიდი ვახშმის შემდეგ, მხიარულ გუნებაზე მყოფი აღამიანისაგან, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მაინც, ალბათ გულში ნაღები იყო წარმოთქმული, რომ ილიას ერა შეუქმნა.

ბევრი იყო გულმხურვალედ ჩაბმული ილიასა და ვანოს შორის მომხდარ უთანხმოებაში და ორივე პარტიის ზოგი წევრი ერთმანეთსაც არ ზოგავდნენ უსიამოვნების მიყენებაში.

თვით ილია და ვანოც ისეთი დამოკიდებულობის შექმნას მათ შორის, იქნებ, თითონაც ძალიან სწუხდნენ თავის გულში, მაგრამ უკვე ფაქტის წინ დამდგარნი ერთმანეთს აღარ ინდობდნენ, მეტადრე კი ილია თავისი მწარე ენით, როდესაც ის მოწინააღმდეგეს ეხებოდა.

დაუფიწყარია დამსწრეთათვის ის წუთები თავისი საშინელი შთაბეჭდილებით, როდესაც ილიამ ვანო მაჩაბელი ბავშვების სათამაშოს, ეგრეთწოდებულ

„ვენკა-ვსტანკას“ შეადარა. ამის გაგონებაზე ბევრს თავზარი დაეცა. ეგონათ, რომ ვანო, რომელიც იმ დროს ილიას შუკან იჯდა, ტყვიას ესვრისო ილიას. მაგრამ საბედნიეროდ ასე არ მოხდა, ვინ იცის იქნებ იღვა კიდევ ეს საშინელი წუთი ჩვენს წინაშე, მაგრამ როგორც დიდმა პატრიოტმა არ გაუწერია ილია თავის სამშობლოს და თავი შეიკავა. ილიასაგან ვანოსადმი ასეთს უღმობებელ, დამამკირებულ შედარებაზე, ის მხოლოდ მოსწყდა იმ ალაგს, სადაც იჯდა და გავარდა გარედ. და იქნებ მართლაც ასედათ ერთმანეთის დაღუპვა.

ქართლ-კახეთმა ილიასა და ვანოს შორის განხეთქილება პროვინციალური პატრიოტიზმის ჩარჩოში ჩააყენა და შუაზე გაიყო, კახეთი ილიასკენ იყო, ქართლი ვანოსაკენ. საბანკო არჩევნების დროს თავს იყრიდა სოფლებიდან ქართლ-კახეთის ყველა ცენზიანი თავად-აზნაური, ქალიცა და კაციც. სტოვრობდნენ სასტუმროებში, ზოგი თავის ხარჯზე, უმრავლესობა კი პარტიათა საერთო ხარჯით. სტოვებდნენ თავის ოჯახებს რამდენიმე კვირით ისეთ დროს, როდესაც გახურებული მუშაობა იყო სოფლად. უმრავლესობამ ბანკის საქმეებისა ძალიან ცოტა იცოდა, მაგრამ ყოველ დღე საჭირო იყო კრებაზე დასწრება და ისხდნენ ისინიც იმის მოლოდინში, თუ როდის ჩაადგებდნენ საჭირო კენჭსა.

იყო ხოლმე ასეთი კუროვნებიც: ღამის კრებებზე დაქანტულებს ხანდახან კიდევ ჩასთვლემდა ვისმე და ერთი მეორეს ხელს წაჰკრავდა, გააღვიძებდა, ადექი, კაციო, ადექი, მიშო ადგაო.

ეს ადგომა შეეხებოდა რომელიმე საკითხის ფეხზე ადგომით გადაწყვეტას, თითონ თუ ვერ ერკვეოდნენ საკითხში, შეხედავდნენ თავ-თავისი პარტიის რჩეულ წევრებს და მისებრ მოიქცეოდნენ.

სოფლებიდან ჩამოსული ქალები უერთდებოდნენ ტფილისის ქალებს და მორთულ-მოკაზმულები ერთად ავსებდნენ ლოკებს თეატრში, სადაც კრებები ხდებოდა, რა თქმა უნდა, აქაც პარტიებად დაყოფილები—დიდმა უმრავლესობამ იმათშიც ბანკის საქმეების არა იცოდა—რა, რასაკვირველია, მხოლოდ ბანკის მეთაურებითა და ორატორებით კი, ვინც ვისი მომხრე იყო, ძალიან იყვნენ დანტერესებულნი. არც თუ უიმიობა იყო, რომ უცოლო ვაჟ-კაცებს გასათხოვარ ქალებს აღერებდნენ. ბევრი იყო მათ შორის შეტაკებაც პარტიულ ნიადაგზე, როდესაც ერთი პარტიის ქალი მეორის რომელსამე წევრს ცუდათ მოიხსენიებდა, ან წაეჭომაგებოდა, ამ შემთხვევაში თავისიანს იცავდნენ ისეთი თავ-გამოდებით, გეგონებოდათ აი, ერთმანეთს სწვდებიანო. ეს ხდებოდა, რა თქმა უნდა, კულუ-არებში.

ხანდახან მორბილებული თხოვნაც იყო ერთმანეთში: მორბის ერთხელ, ჩემსკენ, ხელებ-გაშლილი, სახე-აღეწილი, თავისი სილამაზით სახელ-განთქმული კნენია.

— სადა ხარ, ნინო, დაგეძებ რამდენი ხანია. ლევანზე რალაც უთქვამთ, რალაც ცუდი ამბავი მიუტანიათ დიდებულისძესათვის და ის თურმე ემუქრება ლევანს. გეფიცები დედაჩემის საფლავს, რომ ეს ტყუილია. ლევანს არა უთქვამს—რა იმაზე. შენ გენაცვალოს ჩემი თვალები, თქვენი პარტიის კაცია, დაამშვიდე ის ყმაწვილი, უბედურება არა დატრიალდეს—რა.

ერთი ბრგე ვაჟ-კაცი იყო ის დიდებულიძე, სახელი აღარ მახსოვს, და მართლა, ხომ ხუმრობა არ იყო იმისი გაბრაზება. დავიბრდი კნენინას, რომ რაც კი შემეძლო, ყოველ ზომებს მივიღებდი, იმის მხრივ ცუდი არა მომხდარიყო-რა.

საერთოდ ატმოსფერა იყო ძალიან დაძაბული. ერთხელ ერთი ქალის მიმართ უზრდელად მოქცევის გამო, კრებაზე დამსწრე ვიღაც ვაჭრისათვის სილა გაერთყათ კულუარში და ამ ამბავმა ისეთი შემფოთება გამოიწვია, რომ სცენიდანაც კი გავარდა კულუარში რამდენიმე კაცი, სილის გარტყმის ტკაცანი, რომ რევოლვერის ხმად მოსჩვენებოდათ.

ბანკის იმ ყრილობებზე იხარჯებოდა ბევრი დრო, ბევრი ფული, ფუქლებოდა ბევრი გასაკეთებელი საქმე და იყო ერთი აურხაური ისეთს თითქო ჩვეულებრივ, უბრალო რამეზე, როგორც ბანკის კრებებია, მაგრამ რამდენი უარყოფითი მხარეც არ უნდა ჰქონოდა ამ ყრილობებს, ეს მაინც უნდა ითქვას, რომ იყო შიგ დაღებითი მხარეც.

იმ დროს, როდესაც ჩვენი ენა ისე იყო დევნილი სასწავლებლებიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია რუსულ ენაში ვარჯიშობდა ყველგან და საჯაროდ სიტყვის წარმოთქმა ქართულად სულ არ ეხერხებოდა ბანკის ყრილობები დიდი ასპარეზი გამოდგა სამშობლო ენაზე ლაპარაკისათვის, გარდა ამისა, რომ ზოგიერთს მათგანს საერთოდ ლაპარაკიც შეასწავლა.

ჯერ დაიწყო ასე: გამოვიდოდა რომელიმე ორატორი სალაპარაკოდ და დაიწყებდა რუსულად.

— ქართულად, ქართულად! — იგრიანებდა კრება.

— რა ეჭნა, ბატონებო, რომ არ შეხერხება ქართულად — დარცხვენის კილოთი ბოდიშობდა ორატორი.

— არ შეიძლება რუსულად, არ შეიძლება, რამდენს არ გვესმის რუსული, როგორც გეხერხებათ, ისე ილაპარაკეთ ქართულად. — მიაძახებდნენ კრებიდან. ისიც უნებურად ალაპარაკებოდა ქართულად და რამდენჯერმე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ ისე გამოსწორდებოდა, რომ სასიამოვნო ხდებოდა მისი ყურის დაგდება. იყვნენ ერთი-ორი მათში, რომელთაც სულ ვერ მოახერხეს და ლაპარაკობდნენ რუსულად. ყველას სამაგიეროდ კი ატკობდა სმენას და მოჰყავდა აღტაცებაში ილიასა და ვანოს, ერთის მღორედ მღელვარე და მეორის მჩქეთარე, იშვიათი მჭერმეტყველებით სავსე ლაპარაკი და ესეც ხომ ღირდა რამედ.

მარტო იმის განცდა, რომ ერთი მოდგმის ხალხი თავს ვიყრიდით ერთად, ჩვენს ენაზე ვლაპარაკობდით, ჩვენს საკუთარ საქმეებზე, სადაც სხვა ვინმე ვერაფერში ვერ წამოგვედავებოდა, თავის ნებაზე ვერ გავცატარებდა, აი ეს იყო იმ დროს სახარბიელო და სასურველი.

მეტადრე იმ დროინდელი ქალები იყვნენ იმ კრებებზე განსაკუთრებულ პირობაში. მამა-კაცთა არც ერთს საზოგადო კრებაზე არ გრძნობდა ქალი თავს ისე თავისუფლად, როგორც ბანკის კრებაზე, სხვაგან რომ იმას თითქმის არა ეკითხებოდა რა, ბანკის კრებაზე იმას თავი მოჰქონდა ცენზით მინიჭებული კენჭის უფლებით და ეს მცირე უფლებაც კი აძლევდა მას რაღაც ძალას, სიამაყეს მპატებდა.

\* \* \*

1893-ის თუ 1894 წლის შემოდგომა იყო, ქვიშხეთის მცხოვრებლებს სიამოვნება მოგველოდა: ლუარსაბ ყიფიანის ქალი დანიშნული იყო იმერეთის აზნაურ პეტრე მაჭავარიანზე, დაქორწინება მათი უნდა ყოფილიყო იმ შემოდგომაზე და ვიყავით ამის მხიარულ მოლოდინში, როდესაც ყური მოვკაართ, რომ საპატარძლოს დასალოცავად, — როგორც ეს იყო მიღებული ჩვეულებად, — ტფილისიდან მოდისო ილია ქავჭავაძე.

ილიას ქვიშხეთში მოსვლით ისეთი ბრწყინვალე ელფერი ედებოდა მომავალ ქორწილს, რომ ყველანი დიდს კმაყოფილებას ვგრძნობდით, ვისაც კი მოგველოდა იმ ქორწილში ყოფნა, მართლაც ერთს დღეს, როდესაც დანიშნულ დროზე მოვიდნენ იმერეთიდან სასიძო და მისი მყარები, ილიაც ეწვია ქვიშხეთს თავისი თანამზღებელი მეგობრებით: დავით მიქელაძე (მეველე), გიორგი ჟურული, პეტრე ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ნ. ერისთავი, ხიზანაშვილი, ლევ. ჯანდიერი ალ. ჩოლოყაშვილი და სხვები. ყველა ესენი იყვნენ ცნობილნი ზოგი მწერლობასა და საზოგადო მოღვაწეობაში, ზოგიც ორატორობაში ბანკის ყრილობებზედ, ზოგი ბანკის მსახური იყო.

ამათთან ერთად მოჰყვნენ ილიას ქართლის თავად-აზნაურთა რამდენიმე ოჯახი. იმათში თავისი სტუმართ-მოყვარეობით სახელ-განთქმული სარდიონ ამირეჯიბი, თავისი ცოლით, მაკინეთი, არა ნაკლებ სახელ-განთქმულით თავისი შესანიშნავი სიმღერით, ცეკვით და დაირის დაკვრით.

ილია თავისიანებით ლუარსაბ ყიფიანთან ჩამობტა, ხოლო სარდიონ ამირეჯიბი და სხვები — ჩვენთან. ჩემი ქმარი, კოტე, იმ დროს სახლში არ იყო, სადაც იყო გაწვეული წარმოდგენებისათვის.

გაჩაღდა ქორწილი. ორ ოთახში იყო ორპირად გაშლილი სუფრა, ერთ ოთახში ილია თავისიანებით, მეორეში მყარები და სხვები. ტოლუმბაშად აირჩხეს ლევან ჯანდიერი. დაილია სადღეგრძელო ახლად დაქორწინებულთა, მათი მშობლებისა და იმის შემდეგ მთელი ყურადღება გადავიდა ილიასაკენ. თითოეული წვერი მისი, ასე ვსთქვათ, ამაღისა, ილიას მიჰმართავდა სიტყვით, ილია იყო ცენტრი მათი ყურადღებისა და სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც დაესწრებოდა ილია.

პირველ ხანად სიძის მყარები, თითონაც დიდის პატივისცემით მიჰმართავდნენ ილიას და სვამდნენ მის სადღეგრძელოს, მაგრამ, როდესაც ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ილიასი და მისი მეგობრების სახელი ისმოდა და ეს მყარები თითქმის აღარავის ახსოვდა, მათ შორის უკვე დრტყინვა ასტყდა.

— რაშია, ბატონებო, საქმე! ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება, შორიდან მოსულთ! — ისაყვედურებოდნენ ხმა-მაღლა.

საერთოდ მაყრიონი დიდი ნებიერი ნაწილია ქორწილისა, იმაზეა მიჰყრობილი მთელი ყურადღება მექორწინეთა და პეტრე მაჭავარიანის მყარები ზომ ერთი მეორეზე უკეთესი ვაჭკაცი, მშვენივრად გამოწყობილი ჩოხებით და ჩამჯდარნი იარაღში, — მით უმეტესად თხოულობდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და იმის ნაცვლად მათი ხსენება მთლად იყო დაჩრდილული.

რა თქმა უნდა, ტოლუმბაშიც ეხმაურებოდა ოხუნჯობით, ვითომდა მაყრების ოხუნჯობას, სვამდა მათ სადღეგრძელოს, მაგრამ იმათ გულს მაინც ვერ იგებდა, უკმაყოფილონი იყვნენ ძალიან.

მაგრამ ეს გარემოება ტოლუმბაშს ლევან ჯანდიერს და მის თანამომხრეთ ნაკლებად აინტერესებდათ, იმათ ის უნდოდათ, რომ დამსწრეთა ყურადღება მთლად ილიასაკენ ყოფილიყო და ეს ასეც იყო, რასაც დიდად ხელს უწყობდა საუცხოო დეკლამატორის, ნიკ. ერისთავის წარმოთქმული ლექსები ილიას. მეტადრე ხაზ-გასმით უყვარდა მას წარმოთქმა ილიას „მამაო ჩვენო“—სი, სადაც ილია ევედრება უფალს, რომ შეუნდოს უციცებს, და უფიცებად, რა თქმა უნდა, მაჩაბლის მომხრენი იგულისხმებოდნენ.

მე პირადათ ვიცნობდი ყველას, ილიასთან მოსულ სტუმრებს, ზოგს ნათესაური დამოკიდებულებით. იცოდნენ იმათ, რომ ვანო მაჩაბლის მომხრე ვიყავი, თუმცა რაც შეეხება ილიას, მართალია ბოლო დროს ის ისე აღარ ვახსნიდა შუბლს, მაგრამ ხელი არ უნდა გამხმობოდა, რომ მისთვის შავი კენჭი მიმეცა როდისმე! საერთოდ, მე არ ვიცი მაჩაბლის პარტიაში თუ ვინმე არ იყო მომხრე ილიასი, როგორც ბანკის თავმჯდომარისა. და განა კახელებში არ იყვნენ ვანო მაჩაბლისკენ! როდესაც ილიამ გამოაცხადა მისი აუტანლობის შესახებ ბანკში, რომ თუ ის იქ იქნება, მე აღარ დავრჩებიო, ასეთი სიტყვებით მიჰმართა ილიას კახეთში ცნობილმა მოხუცებულმა, კიკო ჩოლოყაშვილმა:—ილია, შენ თითონა ხარ აუტანელი. Ты сам, Илья, нетерпим! ჩვენ ორივენი გვინდობართ, ილია, ბანკს ნუ დაგვიღუპავთ!

მაგრამ როდესაც ამას არა ეშველარა და ისე მწვავედ დადგა ვანო მაჩაბლის საკითხი, იმან კი, რა თქმა უნდა, დიდი აღშფოთება გამოიწვია მაჩაბლის პარტიაში. საეჭვო ხდებოდა ილიას მომხრეთათვის ქართულების კვლავინდებური ერთგულება ილიასადმი. ამიტომ ორივე პარტია ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მეტი მომხრე მიეზიდათ თავისაკენ.

— რა კარგია, ილია, ნინო, რა კარგია!—მეუბნება ქორწილში ერთი ილიასთან მოსულთავანი და მითითებს ილიაზე იმ დროს, როდესაც ის ვილაცასთან იყო მუსაიფში გართული.

— რაო? ახლა მაცნობ ილიას?—გაკვირვებით ვუპასუხებ.

— როგორ მოგდის, რომ ილიას წინააღმდეგი ხარ?

— ისევე, როგორც შენ ვანო მაჩაბლისა.

— ჩვენ არა ვართ წინააღმდეგნი!—წყენით მიპასუხებს ის—აი, ჩვენ, ორმოცდა ათ კაცამდე, ნეიტრალები ვართ, საითაც სიმაართლეს ვხედავთ, იქით ვამღვთ ჩვენს ხმასა. ასე არა სჯობს? აი შენც ჩვენ ჯგუფს შემოუერთდი.

— შერე, თქვე დალოცვილებო, თუ ნეიტრალები ხართ—გაცხარებით ვუპასუხებ,—იზღენ საკითხებში, რომლებიც ბანკის კრებებზე ირჩევა, ისე ყველაფერში როგორ სტყუის ვანო მაჩაბელი, რომ თქვენი, ეგრედ წოდებული ნეიტრალების კენჭები, მთლად მისი საბუთების გასაშავებლად იყრებიან ყუთებში? მე თქვენი ნეიტრალობა არ მწამს და ვერც შემოვიერთდები.

არ იმა ეს პასუხი, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ეხმად იმათ ერთი რამ სხვა უფრო აწუხებდათ. საქმე ის იყო, რომ უკვე ორი დღის ქვიშხეთში მყოფი



ილია, ჩემს ოჯახში არ იყო მოსული. და თუ იმას არ სურდა ეს, მე ჩემის—  
მხრით როგორ შევაწუხებდი მოპატიუებით. ეს გარემოება კი ძალიან საჩოთი-  
როდ მიაჩნდათ. როგორ? ილია ქვიშხეთში არის და დიმიტრი ყიფიანის ოჯახში  
არ მიიწვიონ!

მართლა, რომ ეს ძალიან უხერხული იყო, ამაზე ეტყობოდათ ლაპარაკიც  
ჰქონდათ, მაგრამ მე არას მიმხელდნენ, თითქოს მერიდებოდნენ, იქნებ ძნელი  
ყოფილიყო ჩემთვის იმდენი სტუმრის მოწვევა, მაგრამ ეს საკითხი უბრალო  
შემთხვევამ გადასჭრა:

სწორედ მაშინ შემოვიდა ჩემთან სასადილოში სარდიონ ამირეჯიბი, რა-  
დესაც მე მზარკულს მეორე დღისთვის ხაშურში სანოვავის ყიდვას ვაბარებდი.  
როგორც ზემოთაც ვსთქვი, ბინად ჩვენთანაც იყვნენ სტუმრები და შესაძლებელ-  
ი იყო სადილად დარჩენილიყვნენ, სარდიონ ამირეჯიბმა თავის ყურით გაი-  
გონა, რომ მარტო ხორცს ერთს ყუთს ვაბარებდი. ამასთან იცოდა, რომ სახლ-  
შიც გვექონდა რამე და იფიქრა, ალბათ ეს არ უშლისო ხელს ილიას მოპატიუე-  
ბას და ახლა კი არ მომერიდა.

— ნინო, ამდენ სანოვავეს აბარებ, რატომ ილიას არ მოიპატიეებ? როგორ  
შეიძლება, რომ ილია თქვენს ოჯახში მოუსვლელი წავიდეს ქვიშხეთიდან?

— განა მე კი არ ვგრძნობ მაგას! განა მე არ მაწუხებს!— ვუპასუხე სარ-  
დიონს, — მაგრამ თუ კი თითონ, ქვიშხეთში მოსული, არ მოვა ჩემს ოჯახში,  
მე რად უნდა შევაწუხო? — სარდიონს სახეზე კმაყოფილება დაეტყო.

— ილია მოვა ამ ოჯახში რა თქმა უნდა, უთუოდ მოვა: — მართლაც, მეორე  
დღეს, საათის თორმეტზე გვეწვია ილია თავისი თანამხლებლებით. შემოვიდა  
დარბაზში, შემოანათა თავისი ნათელი, მშვენიერი შუბლითა და მოცინარი  
ლაშაზი თვალებით. მივეგებე, როგორც შეკვეთოდა ისეთს დიდს სტუმარს.  
პირველად იყო ჩვენთან ქვიშხეთში. აათვალ-ჩაათვალეირა იქაურობა, მკითხა  
კოტეხე, გავედით აივანზე, რომელიც გადაპყურებს ბუნების დიდი სილამაზის  
სურათს.

დიდხანს სჭვრეტდა ილია ამ სურათს. ვინ იცის, რას ფიქრობდა ილია  
დიმიტრიზე, მისი აივნიდან გადაწყურე? და უმკველად კი ფიქრობდა იმ დიმიტ-  
რიზე, რომელსაც ისე სასტიკად არ ინდობდა მათ შორის ატეხილი პოლემიკის  
დროს პრესაში, თავად-აზნაურთა ბანკის გარშემო, მაგრამ, რომლის ვერაგულად  
მოკვლამ ისეთი მოთქმა-გოდება გამოიწვია მასში.

გულ-გრილად ვერ წაიკითხავს ქართველი კაცი ილიას იმ მეთაურს თავის  
„ივერიაში“, იმ წერილმა ბევრს აუხილა თვალები, ვინც დარწმუნებული იყო,  
რომ ილიას სძულდა დიმიტრი და ცხადად დაანახვა ილია, როგორც უდიდესი  
პატრიოტი, როგორც უკეთილშობილესი მოქალაქე, როგორც დიდ-ბუნებოვანი  
ადამიანი!

რა უყოთ, რომ უთანხმოება ჰქონდათ ცხოვრებაში საერთო საკითხების  
გამო. ყველა გზას რომში მიჰყავსო. და იმ ორი ბუმბერაზი ქართველის რომი—  
ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობა იყო და ორივენი მისკენ მიისწრაფოდნენ.  
აი, მოსწყვიტა უღმობელმა მტერმა სამშობლოს ერთი მათგანი დიმიტრი და  
ილიაც ატირდა გაქცეული ცრემლებით:

.... „მძლეთ მობურთაღნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დიდ ხასიათის კაცი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთასრულობა, დიდ ხასიათობა, ივისდა მიუხედავად—ტრიალი ემარჯვებოდა თუ ემარცხებოდა. ყოველივე დიდებული საქმე, რითაც კი კაცობრიობა ჰქადულობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისიმე სხვისაგან.

ამიტომაც ხასიათიან კაცის წინაშე, ყველა უნებლიედ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით. ამიტომაც ყველა, დიდი და პატარა უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ.

ალარ არის დიმიტრი ყიფიანი. ალარ არის ის, ვისაც —

„ფეხი მთებს ედგა ქვეყნად,  
 ტინურად გამტკიცებული“.

ასეთი ძლიერი გამოთქმით ამთავრებს ილია თავის წერილს დიმიტრიზე და როდესაც ის ასე მოსთქვამდა დიმიტრის მოკვლას, მისი დიდი ქუთაც ვერ განსჭვრეტდა თავის მომავალ ასეთსავე ხვედრს და უფრო უსაშინელესად, ვინაიდან ილია ერთ-სისხლის მომისს, ქართველი კაცის წყეული მარჯვენივთ განიგებია.

უკვე ღრმად მოხუცებულებაში შესული ჩემი დედამთილი ნინო, სადილობამდე არავისთან ალარ გამოდიოდა თავის ოთახიდან, აქ კი ილიას პატივსაცემად გამოვიდა ისიც. გამიგონია მისგან ილიასადმი საყვედური, როდესაც სიტყვა მოიტანდა, „საძაგელი, საძაგელი, ილია, противный Илья, ჩენს ლეთებრივ დიმიტრის რომ ისე აწყენინებდა“, მაგრამ ახლა ამას არ დაუშლია მათთვის მიჰკებებოდნენ ერთმანეთს დიდი პატივისცემით და გაებათ მუსაიფი.

საინტერესოს ალბათ მოიგონებდნენ რასმე წარსულიდან ტფილისში, მაგრამ მე უკვე გავეშურე სასადილოსაკენ. საუბრე მზათ იყო და სტუმრები აივნიდან სასადილოში მივიწვიე. შემოუსხდნენ სუფრას და მადიანად მიესივნენ საქმელსა. მერე ვაჰყენენ სადღეგრძელოებს, მით უფრო ხალისით, რომ სახლში დაყენებული შუშხუნა ღვინო ძალიან მოეწონათ. ტოლუმზაშობას აქაც ლევან ჯანდიერი განაგრძობდა. პირველი ხსენება, რა თქმა უნდა დიმიტრისა იყო. ამ სახელზე პირველი წამოდგა ფეხზე ილია და დიდი შთაბეჭდილების სიტყვა წარმოთქვა, რომლითაც მიჰმართა დიმიტრის მიუღლეს და მწარედ აატირა. ჩემდა სავალალოდ ალარ მახსოვს მთელი მისი წინაარსი, ხსოვნაში ჩამრჩა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები:

„ამნაირად დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთ-მოძღვარი და ჩვენ კი მისი კალატოვებიო“.

მზიარული დროს გატარება დიდხანს გაგრძელდა, ნ. ერისთავის დეკლამაციით და მაკინე ამირეჯიბის წარმტაცი ცეკვა-სიმღერით.

იშვიათი იყო მისი სიმღერა ქართული ხმებისა და აგრეთვე იშვიათი მისი ლექსი. მოხდენილი ტანისა, შავგვრემანი, მეტად სანდომიანი, მომღიმარი პირისახისა, შავი, ცეცხლით სავსე თვალებით, მისი ცეკვის ასაყოლად დაკრულ საზანდრის ხმაზე რომ ვავიდოდა და გაშლიდა ხელებს, ვაცურავდა, ვაჰქროლავდა იატაკზე ისეთი სიმსუბუქით, თითქო გოგორაზე შემდგარაო და ამასთან

ისეთი მოქნილობით და მოხდენით, რომ მაყურებელთა უზომო აღტაცებას იწვევდა. მაკინე ამირეჯიბის ცეკვა-სიმღერას ბევრჯერ დაუტკბია ილიასთან სტუმრად მყოფი უცხო სტუმრებიც.

ილიაზე ისეთი აზრია, თითქოს მას სმენა არ ჰქონდა და არც სიმღერა უყარდა. სმენა იქნებ მართლაც არ ჰქონდა, რომ თითონ ემღერნა, მაგრამ სიმღერის უსიყვარულობა კი ძალიან საეჭვოა. აი თუნდა აქ, როდესაც მაკინე მღეროდა მისგან შექნილს და მასთან ერთად მომკვდარს შესანიშნავ ხმას ალ. ჭავჭავაძის სიტყვებზე:

„ქმუნვის მახვილი გულსა მსობია, მიჯირს რომ სული რად არ მზღომია“, ილიას სახის, მისი თვალების გამომეტყველებას ემჩნეოდა აშკარად, რომ დიდს სიაშოვნებას განიცდიდა. და მაკინეს სიმღერის მოსმენა ილიასაგან მინახავს მე სხვაგანაც.

მათ მზიარულებას აღვივებდა თავისი ოსუნჯობით ერთი სტუმართავანი. დარდიმანდი მზიარული ლევან ავალიშვილი. მთელი თავისი სიცოცხლე ქორწილებსა და დღეობებზე სიარულში გაატარა, „საცა ერდო მალალი იყო, ის იმისი მაყარი იყო“, ამ ქორწილსაც დაესწრო, რა თქმა უნდა. ერთი სადღეგრძელოს დასაღვევად, ილიას ლენო ჩაის ჭიჭით შესთავაზა.

— თავი მტკივა, ჩემო ლევან, ვერ დავლევ! — ბოდიშით უთხრა ილიამ.

— აბა, მაშ, თქვენი ქირიმე, ეგ თქვენი ავადმყოფი თავი გამიცვალეთ ჩემსაში! — გაუწია ყელი ილიას.

ილიას გაცინა და დინჯად მიუგო:

— წააგებ, ლევან, დამიჯერე წააგებ.

— ვაი თუ წააგო, ლევან, ვაი თუ წააგო! — დააყარეს სხვებმაც სიცილი.

შიმშილ-მორეული მაყრები კი კაცს კაცზე გზავნიდნენ, ჩამოდით სადილის დროა, შიმშილით ნუ დაგვხოცეთო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მათი გამკითხავი არავენ იყო, ყურსაც არ იბერტყავდნენ.

— არ გვინდა თქვენი სადილი, ჩვენ უკვე ვისადილეთ! — გაიძახოდნენ სტუმრები.

მესამე საათი იქნებოდა, რომ სამზარეულოში გამიხმეს. შევედი და რას ვხედავ! მაგიდაზე დგას დიდი გორდა ცოცხალ-ცოცხალი კალმახით სავსე.

წინა დღეებში ჩემგან შეკვეთილი, ეხლა ჩამოეტანა ჩვენ მამულში მცხოვრებელ თედო ლომიძეს, მთის მდინარე ნეძურაში დაქერილი. ახლაც თვალ წინ მიდგა ტიპიური, მალალი და ზორბა ტანის, მშვენიერ ნაკვთებიანი, შავგერქმანი სახის თედო ლომიძე, ასეთი ძღვენის მომტანმაც, რომ ბოდიშით მომმართა — მგონია დავაგვიანეო. თედოს დიდი მადლობა გადაუხადე, მაგრამ მე კი ჩავუიქრდი: ახლა რა უყო ამ თევზს? მაძლარ სტუმრებს რა აქმევთ, თანაც წასვლა უგვიანდებათ, არა და მენანებოდა, რომ ასეთი გემრიელი კალმახი კარგი ჭამის მოყვარულ ილიას არ რგებოდა.

გამოვიხმე ნ. ერისთავი და გაუზიარე ეს ამბავი. იმან ნ. ხიზანაშვილს წასწორა. იცოდა, რომ ის უფროც იყო მოყვარული კარგი ჭამისა. მაგონდება ანგდოტური ნაამბობი იმაზე: ერთხელ ანტონ ფურცელაძეს მიეწვია თავისთან რამდენიმე პირი და მათ შორის ნ. ხიზანაშვილი, რომ წაეკითხა მათ-

თვის ახლად დაწერილი მოთხრობა. გათავებისას, აზრთა გამოთქმის დროს, ნ. ხიზანაშვილს მოთხრობა სასტიკად დაუწუნია, ზოგიერთის შეკითხვაზე, თუ რა იყო, კაცო, არც ისე იყო დასაწუნნი, როგორც შენ გამოსთქვიო, ხიზანაშვილს უპასუხნია.

— არა, იმისმა ჩხემ, ძალიან მოუწონებდი! კითხვის დროს სასადილოსკენ მეჭირა ყური და იქიდან ვახშმის სამზადისისა ფაჩა-ფუჩიცი არ ისმოდაო.

კალმახის გაგონებაზე ნ. ხიზანაშვილმა გაბრწყინებული თვალებით ხმამალა გამოაცხადა თავისი აღტაცება და ილიას ეშმაკურად მიჰმართა:

— რას იტყვი, ილია, ნულა გვინდა კალმახი?

ილიამ გაიღიმა:

— ვფიქრობ, რომ კალმახს არც ისე დიდი მადა დასჭირდება, მე არაფერი მაჭკვს მისი საწინააღმდეგო.

ამაზე ყველანი ახმაურდნენ და შემომძახეს:

— უბრძანეთ მოხარშვა, ჩვენ არსად მივდივართ და კალმახის მადაც მოგვეპოვება.

— აბა, ჩემო თედო, შენს მოძღვნილს შენვე მოუარე, შენისთანად სხვა ვერავინ მოხარშავს. მეც უთხარი თედოს.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ორი ლანგარით შემოიტანეს სუფრაზე ომხივარ-ადენილი კალმახი. სტუმრების სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა. რა ცოტა უნდა მხიარულ გუნებას. ისეთი ჟრიაშულით გადილაგეს თეფშებზე კალმახი და ისე შეექცნენ, თითქო არა უქამიათ-რაო. ღმერთი კი მოწამეა, რომ სუფრას არა აკლდა-რა.

ბოლოს როგორც იყო აიშალნენ, გადამიხადეს გულთიადი მაღლობა და გაესწიეთ ერთად მეჭორწილებთან. ახლა იქ შემოუსხედით სუფრას, რომელსაც ისე ელოდნენ დამწეული მყარები.

გაჩნდა ისევ მხიარულება და სადღეგრძელოები. ძნელია ახლა გახსენება იმ სადღეგრძელოების, მათი ილიასადმი მიმართული სიტყვებისა, შემრჩა მხოლოდ შთაბეჭდილება, თუ როგორი სიღინჯით და შემწყნარებელის ღიმილით უსმენდა მათ ილია.

მე ვიჯექი ილიას პირდაპირ. ერთ გვერდზე მიჯდა ალ. ჩოლოყაშვილი, მეორეზე ლევან ჯანდიერი. უცებ ყურში ჩამილაპარაკა ალ. ჩოლოყაშვილმა:

— ნუ თუ თქვენ არას ეტყვიოთ ილიას?

მე შევკრთი და შეშინებულმა ვუპასუხე:

— არაფერს, ბატონო ალექსანდრე, არაფერს. მე ეგ აზრდაც არ მომსკელია!

ჩვენს ლაპარაკს მოჰყრა ყური ჯანდიერმა და იმანაც თხოვნა დამიწყო. ეტყობოდათ, უხერხულად მიაჩნდათ, რომ მარტო იმათ უხდებოდათ ლაპარაკი და დანარჩენ სტუმრებში არავინ აღმოჩნდა, რომ ორიოდ სიტყვა ეთქვა ილიასათვის.

გავგინდა ერთმანეთში ჩუმი დავა თხოვნა-უარისა და ამასობაში არ გასულა ათი წუთი, რომ უცებ წამოდგა ჯანდიერი და ხმა მალა დამძახა:

— სიტყვა ეკუთვნის ქალბატონ ნინოს.

ახა ვაითას! (როგორც იტყოდა ხოლმე დიმიტრი) რაღა ექნა? პირველად იყო ეს, რომ საჯაროდ შეთქვა რამე და ადვილად წარმოსადგენია ჩემი ყოფა-ადექი მაინც, შევხედე ილიას, ღიმილით შემომტყუერის, თითქო მამხნეებს. აბა, ხომ უნდა ვისიამოვნო ჩემი სიტყვით?... და ამ ვაჭირებებაში თითონ ილია მეხმარება: უცებ მაგონდება მისი ლექსი ქართველის დედისადმი და ვიწყობ იმით:

«ქართველის დედაო! ძუძუ ქართლისა  
 უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,  
 დედის ნანასთან ქვეთინი მთისა  
 მას უმზადებდა მომავალ გმირსა!

და ვაშენებ იმ ლექსზე პატარა სიტყვას, გამარჯვებული პოლიტიკის მიზეზით ქართველი ქალის გადაგვარების გზაზე შედგომის გარშემო. და ლექსის ბოლო სიტყვებში, თუ როგორი შვილი უნდა აღზარდოს ქართველმა ქალმა, გამოვსთქვამ ჩემს დიდს წუხილს, რომ უშვილო ქართველი ქალი ვერ ვუსრულებ ილიას ამ დავალებას, ასეთს მის სურვილს.

ქალის მიერ საჯაროდ წარმოთქმულმა სიტყვამ იმოქმედა, გაისმა მხურვალე ტაში, აქეთ-იქიდან დამიწყეს ხელზე კოცნა. მაგრამ ჩემი ყურადღება ილიასაკენ იყო. აქამდე თავდახრილმა, პირველად იმას შევხედე.... ეს მოშტერებით მიჟურებდა, თითქოს ფიქრობდა იმ ქართველის დედაზე, რომელსაც იმან მიჰმართა და რომლისაგანაც ის მოელოდა, კირთებ ქვეშ მგმინავი, ქართველი ხალხის გამოხსნელი გმირების აღზრდას.

და რომ მე, ერთ-ერთ იმ დედათა შორის, გულზე თურმე მომხვდა მისი მომართვა, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმ კმაყოფილებით სავსე ღიმილისა, რომელიც ბოლოს გადაეშალა სახეზე და რომელსაც, ვფიქრობ ვერ მოჰგვრიდა მისდამი მიმართული დიდის მჭერმეტყველობით წარმოთქმული სიტყვაც.

ეს იყო ჩემთვის დიდი განცდის წუთები.

\* \* \*

ქვიშებითდან ილია და სხვები სარდიონ ამირეჯიბმა თავისთან გაიწვია, იქიდან რამდენიმე ოჯახმაც. ყველგან უაღრესი პატივისცემით ხელებოდნენ, ყველგან დიდი მასპინძლობა გაუწიეს ქართლში პირველად მოსულს ძვირფას სტუმარს, ილიას. და ამგვარად პატივნაცემნი გაბრუნდნენ ტფილისისკენ.

ხოლო მაჩაბლის პარტიაში კი დაირბა ეს ამბავი და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, — ილია ქართლში იყო ხმებისათვისაო. მაგრამ, ნეტა როგორც ბრწყინვალედ ირჩევდნენ ხოლმე ბანკში ილიასაც და ვანოსაც, ისე მორიგებულაყენენ ერთმანეთში, ისე ბოლო ჰქონოდათ იმათ კარგი!

როდესაც ვანო მაჩაბელი უკანასკნელად აირჩიეს დირექტორად, ილიამ თავისი სიტყვა აასრულა და წავიდა ბანკიდან. იმის განცხადებამ სცენიდან, რომ ის მიდის, დიდი აჟურ-ზაჟური გამოიწვია კრებაში. ზოგი ტაშით შეხვდა ამ განცხადებას, ზოგი დრტყინავდა და იღვა დიდი ალიაქოთი.

ილია ამ დროს ჩამოდოდა წასასვლელად იმ კიბეზე, სცენას რომ აერთებდა პარტერთან. კიბეც გაქედალი იყო ხალხით, ილია ძლივს არღვევდა მათ.

სწორედ ამ დროს შეეფეთა წინ ერთი ვასო თაქთაქიშვილი, რომელსაც თმებში შაურიანის ოდენა თეთრი ჰქონდა ნიშანივით. ვანო მაჩაბლის მომხრე იყო, — ილია მას იცნობდა. იმ დროს თაქთაქიშვილი ილიას წასვლას ტაშს უკრავდა. ერთი აჰხედა ილიამ აღმაცერად და აგდებით მიახალა:

— ოჰ, შენც აქა ხარ, ნიკორა?

ამის თქმაზე მთელ კრებას წასკდა სიცილი და საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა თაქთაქიშვილი, თუმცა არც იმან დაზოგა ილია და რაღაცა უკმეხად უპასუხა.

წავიდა ილია ბანკიდან, მაგრამ მალე მიჰყვა მას ვანო მაჩაბელიც. იმან თავისი წასვლა ბანკიდან მეგობრებს ასე აუხსნა: — ილია აღარ დადის ბანკში, უთავმჯდომარეოდ კი საქმეები ფერხდება და ბანკი, ეს ჩვენი კულტურული საქმიანობის ერთადერთი მასაზრდოებელი, მე ხომ არ უნდა შევიწიროვო.

წავიდა და დიდხანსაც არ გაუვლია, რომ უკვალოდ დაგვეკარგა. შემდეგ ილიაც მოგვიკლეს და ასე არა ბუნებრივად დაასრულეს თავისი სიცოცხლე, ჩვენთვის იმ შავ-ბნელ დროს ისე საჭირო და სასიქადულო აღამიანებმა.



ანასტასია მარსია-ხოშტარია

**მოგონებანი წარსულიდან**

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!  
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია.“

სწერდა ილია.

დიადი გული, გახეული აწმყოს ნაღველში, შეუპოვარ ფარივით უდგა წინ თვითმპყრობელურ რეჟიმის უსამართლობას.

ყოველი სტრიქონი დიდებულ მგონის შემოქმედებიდან, სტიქიურად მღელვარე სულის სიძლიერით აღმოხეთქილი, ყოველი მისი სიტყვა მარგალიტებად ასხმულ რითმებიდან სამუდამოდ აღიბეჭდნენ ჩემს გონებაში ბავშობიდანვე.

„ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,  
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.  
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი  
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი“...

„არსაიღამ ხმა, არსით ძაბილი!!  
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,  
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძაბილი  
ქართელის ძილშია კენესა ისმოდა!“

ვისმენდი ამ მომჯადოვებელ სიტყვებს ძვირფას მასწავლებლების მიხეილ ყიფიანის და ნიკო ლომოურის გაკვეთილებზე და ვგრძნობდი ჩემთან ერთად მღელვარებად მრავალ ათასთა გული ასე მკაფიოდ და ძლიერად ასახულ დამონებულ ქვეყნის და მშრომელ გლეხობის ტრადიციის წინაშე...

როგორც დიდი ხნის მოწყურებული მგზავრი დაეწაფება მოულოდნელად კლდის ნაპრალიდან გადმოშვებულ ჩანჩქერს და წყურვილის მოკვლამდე იგრძნობს, რომ სანეტარო წყარო დაიშრიტა და ძუნწი წვეთები ძლივსდა უსველებენ გამომშრალ პირს, ისე მეც გორის პროვინიის დასრულებამ გამოიღვიძა ძლიერი წყურვილი — გამედრმავებინა შეძენილი ცოდნა, რასაც ვგრძნობდი, მხოლოდ შესავალი უნდა ყოფილიყო ჩემთვის საოცნებოდ დარჩენილ მეცნიერებისა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმეტესად სოფლად მყოფს, კიდევ დიდხანს არ მომეცა საშუალება მეხილა საკუთარის თვალთ საქართველოს აზროვნების და კულტურული ცხოვრების შესაქე, ჩავგრა-ვაეების და გაუტანლობის დაქიმულ სიმებზე ზოგჯერ სევდიანად და ზოგჯერ გამანადგურებელ ძლიერებით მღერალი მგოსანი. მძიმე იყო ჩემთვის მიყრუებულ სოფელში დაბეჩავებულ გაუუნათლებელ გლეხების და სწეულ მოხუცთა საზოგადოებაში განმეგრძო თვითგანვითარების საქმე.

მხოლოდ საყვარელი წიგნები-ლა შემჩნენ სანუგეშებლად ერთფეროვან ცხოვრებისათვის განწირულს. მწერლობამ გამოიტაცა. განხვევებული აკაკისა და ვანო მაჩაბლის ყურადღებით, აღღვებული ილიას ძლიერი კალმით დასურათებულ ერთა დუხპირით, ხოლო მეორეთა ფუქსავატ და უსაქმო ცხოვრებით, გავიმსჯეალე ერთის აზრით: მეც შემეტანა თუნდაც მცირედი რამ თანამედროვე მოღვაწეების სალაროში. ბედმა თითქო გამიღიმა, ვანო მაჩაბლის ჩვენს ოჯახთან კიდეც უფრო მეტად დაახლოვების გამო (შეირთო ჩვენი მეზობლის და ნათესავის ქალი) მომიცა საშუალება უფრო ხშირად ესტუმრებოდი თბილისს, ვზიარებოდი სულიერად ამამალღებულ ცხოვრებას, სახელოვანი მოღვაწეების აკაკი წერეთლისა და ვანო მაჩაბლის წრეში...

დიდებულ მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის ცხოველყოფიელ სხივების სიახლოვეში იმედები არ გამიმართლდნენ... ირგვლივ მყოფთა შური, მტრობა, ცბიერება, ფუქსავატი ბრწყინვალემა ჰკიდროდ შემოხვეოდნენ სუსტ ნებისყოფის ვანოს სპეტაკ სულს.

აღმოვჩნდი ილიას წინააღმდეგთა ბანაკში. დამახასიათებელია, რომ მალალოს ნიჭით დაჯღლიდობებულ ადამიანების უთანხმოებით ხშირად სარგებლობენ არარაობანი და პირადი გაართობის მიზნით უკვე შეუძლებელს ხდიან კაცობრიობის კეთილ-დღეობისათვის ერთნაირად მგზნებარე სულების შეერთებას.

ერთხელ სათავადაზნაურო ბანკის კრებას დავესწარა, ავისრულიე ბავშობიდანვე საოცნებოდ ქცეულ სათაყვანებელი ადამიანის ნახვის სურვილი. მოვისმინე დიდებული ორატორის სიტყვა და ალტაცებული დავეჩქარე გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილებანი ვანოსთვის.

— შეურიგდი ილიას, ნუ თუ შეუძლებელია შენთვის მასთან შეთანხმება?

— მაშ შევურიგდე?—თითქო დათმობის კილოთი შემეკითხა ვანო, მაგრამ განა შეეძლო უკან დახევა, როდესაც მაშინდელ თბილისის მოწინავე საზოგადოებას რალაც აღმაშფოთებელ სენად მოსდებოდა მაჩაბლისტებად და ჭავჭავაძისტებად დაყოფა და მათ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ საქმის გამოსარკვევად რუსეთიდან რევიზორებიც კი ჩამოვიდნენ. მეორე საღამოს ჩამოსული სტუმრები ეწვივნენ ვანოს, ლაპარაკობდნენ გარეშე საკითხებზე. ბანკის საქმეებთან დაკავშირებული უსიამოვნებანი თითქო განზე გადადნენ, შემდეგ სტუმრები სადილად ილიასთან იყვნენ მიწვეულნი. მხოლოდ მესამე დღეს შეხვდა კიდეც ვანო მათ აღექსადრეს სახელობის ბაღში გამართულ ლატარეა-აღევრაზე, რომელსაც დიასახლისობდა მეოსან ვახტანგ ორბელიანის ქალი მარიამი, რევიზორებთან ლაპარაკი საქირობოროტო საკითხებზე ვერც იმ დღეს მოხერხდა. რევიზიამ ორ კვირაზე მეტი გასტანა. ამ ხნის განმავლობაში რევიზორები არც ერთხელ აღარ მოსულან ვანოს ოჯახში, ილიასთან ხშირად დადიოდნენ. ვანო ნერვიულობდა, ამხანაგებთან ერთად ღელავდა. ბოლოს გამოსათხოვარ ვახშამზე რევიზორებმა სიამოვნებით მიიღეს ვანოსაგან მიპატივება. ვახშამზე დაესწრნენ ყველა ისინი, ვისაც კი ილიასთან უთანხმოება და ბრძოლა ჰქმნაროტ საქმედ მიაჩნდათ. სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე სცილდნენ, მოუთმენლობა მატულობდა, ყველანი რევიზორებს შეპყურებდნენ, თითქო ელოდებოდნენ მათგან:



— თქვენ მართალი ხართ! ილიას წყალობით ბანკი დაღუპვის გზაზეა შე-  
მდგარი. სრულიად მოულოდნელი იყო ერთ-ერთ რევიზორის სადღეგრძელო წრფელ  
და გრძობით აღსაცხე სიტყვაში. ის ურჩევდა ვანოს ნაკლებად აპჯოლოდა გა-  
ბოროტებას და შეთანხმებულიყო უბადლო საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავა-  
ძესთან, რომლის წყალობითაც ბანკის მართვა-წარმოება ღირსეულადაა დაყუ-  
ნებული, ზარალი არც მომავალში მოელის თუ, რასაც ვირველია, ასეთი ნიჭიერი  
პირები, როგორც ილია და ვანო ერთად იმუშაებდნენ. წასვლის დროს ვანომ  
რევიზორები სადგურზე გააცილა, აქ შეხვდა ილიას. სამწუხაროდ მათი ურთი-  
ერობა ისევ დაჭიმული დარჩა.

ისევ სოფელს დაუბრუნდი, თან წამოვიღე მესხიერებაში მკვეთრად აღ-  
ბეჭდილი ილიას სახე, მისი დინჯი, ენაწყლიანი ლაპარაკი, გულის სიღრმიდან  
აღმოხეთქილი მგზნებარე სიტყვები. ვკითხულობდი მის ნაწერებს და თვითო-  
ნაც შემოქმედების აღში გახვეული ვესაუბრებოდი ჩემს რვეულებს ფურცლებს,  
თან მეკრძალებოდა ასეთი ბუმბერაზის გვერდით ჩემი ახალგაზრდული აღმა-  
ფრენისა...

.....  
მთელმა საუკუნემ განვლო დიდებული მოღვაწის დაბადების დღიდან. წი-  
წამურის გზაზე ვერაგულად მოკლული მგოსანი დღეს გაცოცხლდა, რათა დას-  
ტკბეს სამშობლოსადმი მიძღვნილი იმედით აღსაცხე სიტყვების გამართლებით:

„წვილ წვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცები,  
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,  
არ გიმტყუნებენ შენა, თუ კი მათ მიენდები.  
მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დადების დღენია,  
ჩემო თეალის სინათლეც, რაზედ მოგიწყენია?“

დღეს საქართველო მოკავშირე მოძმე ერებთან ერთად ზეიმს უხდის თავის  
საყვარელ მგოსანს, რომელიც ახალი შარავანდედის ძლევაშობისაში ნაზარდ  
არწივებთან ერთად შეჭარბის აყვავებულ გასხივოსნებულ საბჭოთა სოციალის-  
ტურ ორდენოსან საქართველოს.

## ილია ყვარელი

ილია ჭავჭავაძე იყო ჩემის ქმრის სანდრო მახაშვილის ახლო ნათესავი ერთი ძმისგან იყო ილია, მეორე ძმისგან სანდროს დედა პელაგია, ესე იგი ჩემი დედამთილი. ილიას ჩემს ქალიშვილობაშიაც ძალიან თაყვანს ვცემდი, მაგრამ პირადი ცნობა არა მქონდა. ილია გავიცან ჩემი ქმრის სახლში, როდესაც ის ჩემს დროს პირველათ ჩამოვიდა თბილისიდან ყვარელში. ჩვენსა ჩამოხტა და დაპყრო ერთ კვირას. ეს ერთი კვირა ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. მე ძალიან სიამოვნებით შემხვდა, როგორც მახლობელს და ძლიერ მიყვარებოდა. ამ ერთ კვირაში სულ მზიარულად იყო, თავის ბიძაშვილს პელაგიას სულ ეხუმრებოდა, აგრეთვე სანდროს. ნათესავები მოდიოდნენ და ქართველურად გაიმართა მორიგი სადილები და ვახშმები. თავისი გამდელი სალომეც ნახა და დაასაჩუქრა. ილია ძლიერ კეთილი იყო, თავის გლეხებს ეზოები და ნადელები უსასყიდლოდ დაუბრუნა საკუთრებად. მზარეთულათ ყავდა თავისი ყოფილი ნაყმევი ლაზარე ლონაშვილი, თბილისში იყო ილიას ოჯახში, როგორც შინაური, ილიას ხშირად თან დაჰყავდა, საცა წავიდოდა თბილისს გარეთ. ლაზარეს ქალიშვილი სოფიო, როგორც შეილი, ისე ვახარდეს, გაათავებინეს გემნაზია და მასწავლებლობდა თელავის წმინდა ნინოს ქალების სასწავლებელში.

მე სანდროსგან გამოვიგონია: ილიას კარზედ, როგორც მლოცავი, ისე თურმე იდგნენ ყოველ დილას გაქირვებულები და თითო-თითო შემოდისდნენ და სთხოვდნენ დაამარებას, ზოგს ორ თუმანს, ზოგს ოცდაათ მანეთს, ვისაც როგორც ისაქიროებოდა და თანაც დარიგებას აძლევდა. ხელის გასამართად მოდიოდნენ მეტი წილი გაქირვებული სტუდენტები, ნაცნობი და უცნობი ქალი და კაცი. იმ დროს მეტი წილი გაქირვებული ხალხი იყო. სანდროს უყვირდა, ნეტა, როგორ ასდის ილია ამოდენა მთხოვნელსაო. ერთ დღით შესულა ხნიერი საწყალი ქვრივი ქალი და სთხოვა, სამი დღე არის მიცვალებული სახლში მისვენია და ვერ დამიმარბამსო. აიღო და ორმოცდა ათი მანეთი მიეცა, იმ დროს კარგი ფული იყო. იმ ერთ კვირაში, როცა ჩვენთან იყო სოფლიდან მოდიოდნენ გლეხები და სთხოვდნენ ეგზეკუცია მოეხსენეინებინა, რადგან ძალიან აწუხებდნენ ხალხს. ილიამ წასვლისას თბილისში მოახსენევინა მთავრობას ეგზეკუცია. ილიამ დაიბრება არ იცოდა და საქმეს კი გააკეთებდა. ყვარლის ხალხს ილია უყვარდა, რაც იქიდანაც აიხსნება, რომ ყვარლის ხალხს ილიასთვის არაფერი ზიანი არ მიუყენებიათ. იყო ასეთი შემთხვევა: რომ ერთ დიდ პირს ილიას გვარისას სახლის აივანზედ დიდრონი ლიმონის ხეები ნაჯახებით დაუჩეხეს და ვენახში ვახები ვადაუჟაფეს, მაგრამ ილია იმდენად კარგი იყო, ხალხს უყვარდა

და არას აენებდნენ. სანდრომ როცა გაათავა თბილისის გემნაზია, ილიამ გაგზავნა პეტერბურგში, სწავლის გასაგრძელებლად. სანდრო ჩაება პეტერბურგში ხალხოსნების წრეში და ვადმოიტანა იქიდან აკრძალული წიგნები ტროიკით, სამხედრო გზით თბილისში მშვიდობით ჩამოვიდა, მაგრამ ვილაცამ გაამხილა და დაეკირათ. მეტეხის ციხეში იყო პატიმრად, როგორც ქართველი „ნა-როდოვოლუცი“. ილია ძალიან შეწუხებული იყო, როგორც იყო წლი-ნახევრის შემდეგ გამოაშვებინეს, მაგრამ პოლიციის მხედველობის ქვეშ დარჩა.

ილიას თავის ბავშვობის კერა ძლიერ უყვარდა და ყოველ დღე მიდიოდა თავის კარმიდამოში. ჩვენთან ახლოს იყო და გადასწყვიტა შეეკეთებინა სახლიც და კოშკიც, რომელშიაც ილია დაიბადა. წასვლისას თბილისში, გამოგზავნა გერმანელი მწერალი არტურ ლესტი, სამი თვე ჩვენსა იცხოვრა, სახლი და კოშკი შეაკეთებინა და რადგან ის მამულის მომვლელი არ იყო, ისევე თბილისში დაბრუნდა და მერე სხვა მოურავი გამოგზავნა. მერე კი თავის სახლში ჩამოხტებოდა ხოლმე. ერთ საღამოს ქალაქის სათამაშო მაგიდებს ვშლიდი პასიანსისთვის, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ჩემო რძალო, ვარო, დიდი მეტოქე გყავს და ვინძლო მოიშორო თავიდან. მე მოვახსენე: ბიძავე, ვერ მივხვდი ვინ მეტოქეს ბრძანებთ?

— ქალაქი, ჩემო რძალო, ქალაქი!

ილიასგან ბევრი წიგნები გვქონდა, როცა „ქვათა ლალი“ გამოსცა მან მე თბილისში ვიყავ და მიველ ილიას და ოლლას სანახავად. ერთი წიგნი მეც მომიცეს და სხვა წიგნებიც. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, სახლი დაგვეწვა და წიგნებიც დაიწვა. ერთ წელიწადს რთველში ჩამოსულიყო ილია ყვარელში. მე კიდევ იყალთოში ვიყავ ჩემი შვილებით, სანდროს მამულში, რთველში მოგვივიდა კაცი და ილიას სადარბაზო ბარათი წარწერით „გელით“. მეორე დღეს წავედი ყვარელში, რომ მივედი ბავშვები შეცვიდნენ, — პაპა, პაპას! — ძახილით. ჩემი ქალიშვილი ოთხი წლისა იყო, დაიჭირა ილიამ და მუხლებშუა მოიმწყვდია და უთხრა, „მე მითხრეს, შენ ბევრი ლექსები თურმე იცი და აბა მითხარ, რა ლექსი იცი? ნინამ უთხრა „ტყემ მოისხა ფოთოლი,“ მაგრამ სხაპა-სხუბით. ილიამ უთხრა: ჩენი ნათლისმცემლის დიაკვანივით ჩქარობ, ლექსი კი კარგათ იცი, ყოჩაღ!

ერთს დღეს ჩვენსას იალალიდან ჩამოვიდა ვაჟა ფშაველა. ილიამ რომ დაინახა ძალიან იამა და მიესალმა: ოო, ვაჟა! ვაჟა! სალამ-ქალამი! რასა იქ, როგორ სუფევ ოჯახით, ოთხ-ფეხით? ვაჟას სიამოვნების აღმა აჰყრა სახეზედ, დასხდნენ და ხანგრძლივ იმუსაიფეს. ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ აკითხეს. ერთი ჩენი შვილი ილიას ნათლული გვყვანდა. ჩენს შვილს ვახუშტი ერქვა, ილიამ თავის სახელი დაარქვა, დიდი ნათლობაც გადაუხადეთ და კარგი დროც გაატარეს. ილიას ბავშვები ძალიან უყვარდა, როცა ილო მოიზარდა, მოვამზადებინეთ სათ. აზ. სასწავლებლისთვის. ილიას ეთქვა სანდროსთვის, ჩვენსა მოიყვანე საცხოვრებლათო! ილია და ოლლა ძალიან ანებივრებდნენ და ძალიანაც უყვარდით. ილიას, როცა დრო ჰქონდა სულ ეთამაშებოდა, ხან ეჭიდავებოდა, ხან ეკრივებოდა. ერთხელ ილიას დაეწერიანებინა ილოსთვის ბებისთან წერილი: ვიღებ კალამსა, ვიხდი სალამსა, ამით ვიგონებ ჩემსა ბებოსა. ილიას კიდევ წაეწერა, ამ

ლექსს ჩურჩხლები უნდაო, რა თქმა უნდა, ბებიამაც გაუგზავნა ჩურჩხლები. იმ ზამთარს ჩამოვიდა საახალწლოდ და ილიაც ჩამოვიყვანა, იმ დამეს ბევრი აცეკვა ილო და თან იძახდა: ყვავივით შლის ხელებსო. პარიზიდან რომ ჩამოვი-  
და, თუმცა ჩემი ქალიშვილი პატარა იყო, მაგრამ ჩამოუტანა მარგალიტის ყელ-  
ზედ შესაბამი და ფირუზის გულის ქინძისთავი.

როცა სახლი და კოშკი გააკეთებინა, თავის მეუღლე ჩამოიყვანა და კარგა ხანიც დაჩინნ. შემოდგომა იყო, ეზოში გზის პირას პატარა ორთვალისანი წის-  
ქვილი ჰქონდა და რუსხმული გააკეთებინა დურგალს. მოიწვია ხელოსანი და  
ურიგდებოდა, ხელოსანი ნარდათ თხოულობდა, ილია ურჩევდა დღიურად მორიგე-  
ბულიყვენ, მაგრამ ხელოსანმა ისევ ნარდი არჩივა; დაიქირავა ხელოსანმა მეშვე-  
ლეები და ერთ კვირას მოუნდნენ ფიცრის რუსხმულის გაკეთებას. გაათავეს სა-  
მუშაო, გადმოუგდეს წყალი რუსხმულში, მაგრამ წისქვილამდის წყალი არ ჩავი-  
და, ფიცრებ შუა გავიდა მთელი წყალი. რადგან კარგათ გაკეთებული უნდა ჩა-  
ებარებინა აჭყარეს ფიცრები და ერთ კვირას კიდევ იმუშავეს, მაგრამ კარგათ  
გააწყეს და წყალი რომ გადმოუგდეს მშვენიერად ჩაიხრიალა წისქვილის ბორ-  
ბალში.

ახლა ილიამ უანგარიშა დღიურობაზედ რამდენი დაჯდებოდა. გამოირკვა,  
რომ დღიურად მეტს იჭერდა ნამუშევარი, ვიდრე ნარდად. ხელოსანს გაუსწორ-  
და დღიურობაზედ და უთხრა, ჩემო რომანოზ, შენ თუ მაგრე ანგარიშით იმუ-  
შავე ვერას მოიგებ! ერთხელ ილიას მოვახსენე: ბიძია! ძალიან მაწუხებს, რომ  
ილო ისე ვერა სწავლობს, როგორც შეუძლიან, ხომ ნიჭიერი ბავშვია? ჩემო  
რძალო, ვარო! გულს ნუ იტეხთ, არც ერთ მეცნიერს კარგათ არ უსწავლია და  
თუ ეს არ გაამართლა ილიამ, მაშინ მშობლები ხართ დამნაშავენი. ბავშვს რვა  
წლამდის ანბანის სწავლაც კი არ უნდა, მხოლოდ ბუნებასთან და ხალხთან ახ-  
ლოს უნდა იყოს და გონება გაიხსნას ხალხში ყოფნით. რვა წლისა კი უნდა  
სასწავლებელში აძლიოთ. თქვე დალოცვილებო! ხუთი წლიდან დააწყებინეთ სწა-  
ვლა, გასაკვირველი არ არის რომ სწავლა მოსწყინდა. ბავშვების აღზრდაზე  
კიდევ დასწერა „მოამბეში“, მხოლოდ არ დაამთავრა, არ კი ვიცი, რა მიზეზით.  
ერთხელ ოღლამ შემიყვანა ილიას საწოლ ოთახში. საწოლთან ედგა მაგიდა, ზედ  
დიდი ბლოკნოტი, გათლილი ფანქარი და ორი შანდალი, შიგ კართოფლის  
სანთლებით. ოღლამ მითხრა, ყოველ ღამე ესე უმზადებ აქაც და თბილისშიაც;  
ცოტას ჩაიძინებს და მალე გაიღვიძებს, აანთებს სანთლებს და მანამ სანთელი  
დაიწვება სწერსო.

გათენებისას იძინებს მხოლოდ, აქ, როგორც სოფელში, ადრე იღვიძებს,  
ჰაერზედ უყვარს გასვლაო. ილიას ოთახს ოღლა ულაგებდა სოფელშიაც და თბი-  
ლისშიაც, თუმცა ხელზედ მოსამსახურე ყოველთვის ჰყავდათ. ილია თავის მეუ-  
ღლეს დიდ პატივს სცემდა და უყვარდა კიდევ. როცა ოღლას ამბავს ვკითხე-  
დით, იტყოდა, ჩემი ოღლა კიდევ ჩამოსული ადამიანი არისო! ილიამ თავის  
საკინძი აჩუქა სანდროს და ეს საკინძები აქამდე ინახება ჩვენ ოჯახში. საკინძი  
არის ვერცხლისა და მოოქროვილია. ზედ არის გამობატული ჰავკავაძეების  
საგვარეულო გერბი.



## ნოსტალგიის ჯაშარიძე

(ილიას მოურავი ყვარელში)

### მოგონება ილიაზე

კახეთში, სოფ. ყვარელში, მე მებარა ილია ჭავჭავაძის მამული 1908 წლამდის, და ამიტომ ბევრი რამ მახსოვს მისი ცხოვრებიდან. ილია თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა თავის მამულში, უფრო შემოდგომობით თავისი აღზრდილი იაკობით და ცხოვრობდა რაპდენიმე კვირას. ზოგჯერ მას მოჰყვებოდა თავისი მეუღლეც, ისე კი ცხოვრობდა თბილისში და ხან საგურამოში.

ილიას სახლ-კარი სოფ. ყვარელში შესდგებოდა სამი ოთახისაგან, ძველებური კუხნისაგან, ბელისაგან და ერთი უწინდელი კოშკი-ციხისაგან, რომელშიაც დაიბადა ილია. იმ კოშკში იყო ორი პატარა ოთახი, ერთი მაღლა, მეორე დაბლა. მარანი იყო ვენახის წალმით დახურული, რადგან წალმით დახურული ზაფხულში ღვინოს ინახავდა ძალიან ცივად. ილიამ მიაგმო, რომ ამ კოშკში ვარ დაბადებულიო, რომელშიაც ვცხოვრობდით მე, დედა, მამაჩემი და ვამზდელიო. შემდეგში კი ავაშენეთ მეორე სახლიო. ჩამოსვლისას უმეტეს შემთხვევაში ცხოვრობდა იმ ძველებურ კოშკში, რომლიდანაც მშვენივრად მოსჩანს ყვარლის მთები.

ილიას უყვარდა ძალიან თავის მამა-პაპური სახლ-კარი და ჭვევრ-მარანი და თვითონ ყვარელიც. მისი ვენახი შესდგებოდა ცამეტი, თოთხმეტი დესტენისაგან, ჰქონდა აგრეთვე სახნავი მიწა და ტყე. ილიას უყვარდა ძალიან გლეხობა, თვითონ გლეხებსაც ძალიან უყვარდათ ილია. როცა ილია მოვიდოდა თბილისიდან მაშინვე უნდა ეკითხნა ჩემთვის სოფლის ახალი ამბები და მისი ნაცნობი გლეხების ყოფა-ცხოვრება. ილიას ჩამოსვლისას დილაზედ რომ გავიდარი სოფლის ბაზარში, სოფლებები მე დამიწყებდნენ კითხვას, წუხელ მართლა ილია მოვიდა თუ არაო. ყველაში ეს ამბავი იწვევდა დიდ გახარებას. ჩემი ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ საათის ათზე, თერთმეტზე მოიყრიდნენ თავს გლეხები ილიას სანახავად. ილია ძალიან ადრე დგებოდა, საათის შვიდზე ფეხზე იყო ამდგარი, მაშინვე ჩამოვიდოდა ეზოში და ყველას გულთბილად მოიკითხავდა, ყველასათვის ხელი უნდა ჩამოერთმია, შემდეგ თავის ოთახში უნდა მიეწვივნა. დაუწყებდა კითხვას სოფლის საქმეზე. კითხავდა, მთავრობა ხომ არ გაწუხებთო, როგორ გექცევათ პრისტავიო, ხომ არ გაწუხებთო, ან უდიერად ხომ არ გექცევათო, სულ სათითაოდ გამოკითხავდა ყველა ამბებს და ეტყოდათ: „თუ ვინიცოდაა ცუდათ მოგებყრათ, მაშინვე მაცნობეთო, ანდა ჩემზედ მოუშვერდა ხელს, უთხარით ნოსტრევანს, მაშინვე დაწვრილებით მომწერს და მოვახსნევინებ სამსახურიდანო და მოვაშორებთ აქედანაო. მთელმა გლეხაკაცობამ ერთბაშად უთხრეს: „ბატონო ილიავ! თქვენი თავი გვიცოცხლოს ჩვენს საიმედოთ, დიდხანს იცოცხ-

ლეთ, თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოსო და ჩვენც გადაგვახდევინოს ღმერთმაო. 1906 წ., როდესაც სოფ. ყვარელში წყალი მოვარდა და ნახევარი სოფელი წაიღო და სამოცი ადამიანი წყალმა დაახრჩო, მაშინ ილიამ ბევრი ამავე დასდო სოფელს, იმით, რომ მთავრობის დახმარება მოახერხა და სოფლის თავში გააკეთებინა ჯებირები მდინარე ღურუჯზედ. ყოველ ჩამოსვლაზე უთუოდ უნდა პატივი ეცა სოფელელებისათვის. საუზმეს გაუშართავდა, არაყს დააღვინებდა, ეტყოდათ ხუმრობით: „დალიეთ, გუნებაზედ კარგად ვახდებთო“. მე მეტყოდა, რომ, რომელიც კარგი ღვინო გქონდეს ის მოიტანეო.

მთელი იქ ყოფნის დროს ილიასთან სოფელელები ყოველდღე მოდიოდნენ, ზოგი სანახავად, ზოგი კი სთხოვდა რაიმე დახმარებას. ილია სიამოვნებით იღებდა მათ და ყველა მათ მიერ ნაამბობ ჭირვარამს ყურადღებით უსმენდა... ილიას უყვარდა გლეხები, განსაკუთრებული სიმპატიით ექცეოდა თემურა ზაუტაშვილს, ალექსი იმერლიშვილს, ნიკო ზურიაშვილს, იასე კოკორაშვილს, ადამო ქარენაშვილს, ფიქო ჯიბოშვილს, ლევან ღვინიაშვილს, ლევან მაისურაძეს. ესენი იყვნენ ის გლეხები, რომლებიც მთავრობას კრიკაში უდგებოდნენ. თემურა ზაუტაშვილს ილიამ ერთხელ მოუტანა ფეშქაშათ უბის საათი, რომელმაც ის ძალიან გაახარა. სულ იმას იძახოდა, რომ ილიამ საათი მომიტანა სახსოვრადო. ილიას გლეხები ძალიან ეპატივებოდნენ თავისთან, მაგრამ არსად არ მიდიოდა, ეტყოდა, რათ უნდა შეგაწუხოთო—ძალიან ძნელი იქნებოდა, რომ წასულიყო სადმე. ყვარელში ცხოვრობდა ილიას ნათესავი სანდრო მაყაშვილი, რომელიც ილიას უყვარდა. სანდროც პატიოსანი, განათლებული კაცი იყო და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ილიას. რთველის დროს ილია გაამართვინებდა მუშებისათვის სადილს და ეტყოდა სანდრო მაყაშვილს, რომ, აბა, სოფელში ვინც გინდა ამოიჩიეო და წამოიყვანეო სადილადო. და თვითონაც მათთან სიამოვნებდა. უყვარდა სოფლის სიმღერები და ჩაიქრებული ყურს უგდებდა. მარანში, საწნახელში რომ ყურძენს წურვას დაუწყებდნენ, მაშინვე მეტყოდა, აბა, ვაუშასპინძლი კარგად ღვინით. ილია კი იჯდა სკამზე იქვე და სიამოვნებით ყურს უგდებდა იმათ ოხუნჯობას და სიმღერებს. ილიას თავის ოთახში ყოველ დღლით უგზავნიდით თეფშით ყურძენს. ზოგჯერ გათენებამდის მუშაობდა და რაღაცას სწერდა, ყურძენი კი ხელუხლებელი იყო.

ილიასაგან ნაყმეებს ნაჩუქარი ჰქონდათ ნაღვლები, ვენახები და სამოსახლოები. ილიას ჰყავდა ერთი ნაყმევი მოხუცი ლაზარე ღონიაშვილი, იქნებოდა სამოცდა ხუთი წლისა, ილიასთან შერბილი, რომელიც ძალიან უყვარდა. ილია რა წამს ჩამოვდოდა თბილისიდან, მაშინვე დაიბარებდა იმას და რადგან ის ყოფილი მზარეული იყო სადილს მას ამზადებინებდა. ლაზარეს ჰყავდა შვილები. ერთი ქალი თვითონ ილიამ გაუზარდა თბილისის გიმნაზიაში და მიადებინა სწავლა-განათლება თავის ხარჯზედ.

1905 წელს, როდესაც კახეთში დაიწყო მღელვარება და გლეხთა გამოაჯღი, ზღუტობა თოვლების ტყვეობა უპატიო თვითნებობით. ჩამოდნობა ასეთი შემთხვევა იყო ილიას ტყვეშიც. ეს საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში, ამ ხანებში ილია ყვარელში ჩამოვიდა, მოსვლისთანავე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, და როდესაც ვაივო ეს ამბავი, მაშინვე გააუქმა სასამარ-

თლოში ეს საქმე. გაიცინა და ხუმრობით მითხრა: „არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცაო, ტყე კი უფრო ხშირი გაიზრდებაო“. და გადაჭრით მითხრა, რომ მათ საწინააღმდეგოდ არაფერი არ ჩაიდინოვო.

მახსოვს 1905 წ. რომ ჩამოვიდა, მეორე დღესვე შეაბმევიანა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად. მე ძალიან გამოვიკვირდა და ვკითხე: „ნუ თუ თბილისში ასე მალე მიხვალთ?“ მან მიპასუხა: „ჩემო ნოზრევეან! მე თბილისში არ მივალ, მაგრამ, სადაც მივდივარ ჯერ არც იმას გეტყვიო“. გაიღიმა და მითხრა: „ჩემმა გამზრდელმა მასწავლა, რომ კაცი დილით რომ მიდიოდეს სადმე, მას ამის შესახებ არაფერი არ უნდა ჰკითხოვო“. მხოლოდ მითხრა, რომ სადილად აქ ვიქნებო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ის წავიდა საბუეში და და გრემში. ამ სოფლებში იმ ხანად მოხდა გლეხთა გამოსვლები, რომლის დროს მოჰკლეს ერთი გლეხი ქალი, გვარად ხეჩიაშვილი ეთერი და სოფლელებს ზეკუციად ჩაუყენეს ყაზახები. როგორც ვფიქრობ, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი და ამიტომ მოსვლისთანავე გაემგზავრა ამ სოფლებში და მოახსენებინა ზეკუცია. შემდეგში იაკობმა მიახმო: „როდესაც მივედით სოფელში, ილიამ მაშინვე გამოაძახებინა უფროსი და ნახევარი საათით ელაპარაკაო, რაღაცა ქალადი უჩვენა, რის შემდეგ უფროსმა მოწიწებით საღამი მისცა და წავიდა, იმავე დღეს ზეკუციაც მოხსნილი იყო სოფელზეო“. მე თვითონ კი ვნახე, რომ მოკლული ქალის გვარი და სახელი ილიას უბის წიგნაკში ეწერა.

საზოგადოდ ილია ძალიან თავდაბლად ეპყრობოდა ყველას. ეინტერესებოდა გლეხობის ცხოვრება და გულმოდგინეთ ეცნობოდა მათ ჭირვარამს. მის გარშემო მომუშავე ადამიანებს სიყვარულით ეპყრობოდა. უყვარდა საჩუქრების მოტანა და სხვა. უყვარდა სუფთა ანგარიში. ჩემი ორი შაური რომ მართებოდა და გასულიყო წელიწადი, მაინც არ დაივიწყებდა.

ქ. ტფილისი, 1937 წ.

0. ანდრონიკაშვილი

**მოგონება ილია ჭავჭავაძეზე**

ილია, ჩემი დიდი ხნის ნაცნობი იყო და ამასთან მეგობარიც. ჩვენ ერთი-ერთმანეთთან ხშირად დავიარებოდით და ვუმასპინძლდებოდით პურ-მარილით. მას საგურამოში მამული და სახლი ჰქონდა (კოლისა). ხშირად ვეწვეოდი ხოლმე საგურამოში. ილია დიდის სიხარულით მოგვევებებოდა ხოლმე და ზოგჯერ რამდენიმე დღეს არ გამოგვიშვებდა სახლიდან. საკვირველია, რომ ილია, რომელსაც შეეძლო ორი, სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ ემუშავა ჯიუტივით, ამავე დროს მზად იყო, თუ შემთხვევა შეხვდებოდა, აგრეთვე დღე და ღამე ამხანაგებთან დრო გაეტარებინა.

საშინლად უყვარდა ქალაღის თამაშობა. ერთხელ დაპატიყებული ვიყავით ილიასთან და სამნი ერთად წავედით. მივედით თუ არა, სიხარულით მოგვეგება და გაგვაქანა ქალაღის სათამაშო მაგიდასთან.

— მოიცა, შე დალოცვილო, ჯერ დიასახლისს მივესალმოთ.

რაკი ჩავსდებოდით სათამაშოდ, თამაშობის შეწყვეტის ნებას გვაძლევდა მხოლოდ პურის საჭმელად.

ილიას ეზოში ჰქონდა გამართული მშენიერი აუზი და ყოველგვარი მოწყობილობა; სხვათა შორის, ხორბლის საღეწი მანქანაც, მაგრამ ლეწვას აწარმოებდნენ მაინც ჩვეულებრივი წესით. თუმცა ილიას ყოველგვარი მოწყობილობა შეეძინილი ჰქონდა, მათით სარგებლობა მაინც ვერ იყო წესიერად დაყენებული. ეს იმას ამტკიცებს, რომ იგი დიდი ქუთის პატრონი იყო, მზად იყო ყველაფრისათვის ხელი მოეცადა, მაგრამ აზრით გადაწყვეტილი საქმის განხორციელებას კი ვერ ასწრებდა.

ილია სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე იყო და გამგეობის წევრებად ივ. მაჩაბელი, მამაცაშვილი და სხვანი იყვნენ. სწორედ ამ საქმემ გამოიწვია ილიასა და ივ. მაჩაბლის შეტაკება. ბანკის თაობაზე სხდომები იმართებოდა, ამ სხდომებზე გაილაშქრა ივ. მაჩაბელმა ილიას წინააღმდეგ. ერთ სხდომაზე მან წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომლითაც ამტკიცებდა, რომ ბანკის საქმე ძალიან ცუდად მიდის, ეს იმის ბრალია, რომ თავმჯდომარე არაფერს არ აკეთებსო და მთელი საქმის წარმოება მინდობილი აქვს წევრებსო. დღისით შემოივლის ბანკში პირველ, მეორე საათზეო, გახსნის მიღებულ კონვერტებს, დაუსვანს რიცხვს და თავს დაანებებსო.

ილიამ მოისმინა რა ივ. მაჩაბლის სიტყვა, უბასუხბ: თანახმა ვარ, რომ საქმე ჯეროვანად ვერ მიმდინარეობს, მე თითქმის არაფერს არ ვაკეთებ და მთელი საქმის წარმოება მინდობილი აქვთ ჩემ თანამშრომლებსო; მაგრამ ვთხოვთ



სამართლიანად გამოიყენათ დასკვნა: თუ ბანკის საქმე ცუდად მიდის და მას აწარმოებენ მხოლოდ ჩემი თანამშრომლები, ჩემი რა ბრალიაო. ამ განცხადებით მთლად გააუქმა ივ. მაჩაბლის ნალაპარაკები.

ივ. მაჩაბელი ჩემი კარგი მეგობარი იყო და ცოტად თუ ბევრად ნათესაობრივი დამოკიდებულებაც გვექონდა: მისი მამა, ჩემი ნათლია იყო. მე ხშირად ვეტყუდი ხოლმე: შენ ნიჭიერი ადამიანი ხარ, ილია განთქმული მწერალი და პოეტი; რა ძალა გადგა, რომ მის წინააღმდეგ გალაშქრებულხარ-მეთქი. მაგრამ ივანე მეტად სუსტი ხასიათისა იყო და ადვილად ემორჩილებოდა იმ ჯგუფს, რომელიც ილიას წინააღმდეგ მუშაობდა. ამნაირად ეს ორი ნიჭიერი ადამიანი ერთი ერთმანეთს დაშორდნენ. ერთ სხდომაზე არტილერ. ლენერალი მუსხელიშვილი თავმჯდომარედ იყო. ბასის დროს მან განაცხადა: Здесь происходит давление ума. ილიამ უპასუხა: Там где происходит давление ума, никакая ваша артиллерия не способна оказать противодействие.

ილია ცხადად ჰხედავდა, რომ ყოველი გამოლაშქრება მის წინააღმდეგ უნაყოფოდ მიმდინარეობდა; მაგრამ, ხშირად მაინც შფოთავდა და ალბათ თავმოყვარეობა უშლიდა, წყნარად მოესმინა ყოველი გამოლაშქრება მის წინააღმდეგ.

ილია დიდი ქუთის ბატონი სუსტი ხასიათისა იყო, ასე რომ, ხშირად უბრალო მოვლენა აღელვებდა და აშფოთებდა კიდევაც.

ერთ სხდომაზე ბელადად მიშო მაჩაბელი გამოვიდა, რომელიც განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ილია თეატრის სცენაზე კულისებში დადიოდა აღელვებული, მეც იმ დროს იქ ვიყავი. რა გაწუხებს მეთქი, ვკითხე.

— როგორ თუ რა მაწუხებს? მიპასუხა. მიშო მაჩაბელმა თავის სისულელე დაიწყო და სხდომა უნდა მოთინებოდა ყურს უგდებდეს.

— მერე შენ რა გაწუხებს-მეთქი, რაც უფრო ბევრო ილაპარაკებს, იმდენად მეტი სისულელე წამოსცდება-მეთქი. მე ის მაწუხებს, რომ სხდომა მის ობროდობის მოსამენად ტყუილ-უბრალოდ დროს ჰკარავებს. ერთს თავაღანაურობის კრებაზე მიშო მაჩაბელმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის გვიამბო თავის მოგზაურობა ფშავ-ხევსურეთში. ძალიან ძნელი სავალი გზა იყო კლდე-ღრეებზეო, როდესაც ერთ მაღალ სერზე ავედით, ძაღლის ყუფა შემოგვესმა და მე ჩემი თავი მომაგონდაო. კრებაზე სიცილი ასტყდა და ლაპარაკისაგან დასუსტებულს მიშო მაჩაბელს ხელი მოჰკიდეს და თითქმის გულწასული გარედ გაიყვანეს. ილია მომიბრუნდა და მითხრა: აბა, როგორ ავიტანო გულგრილად ამისთანა შემთხვევა: მიშო მაჩაბელს თავის სისულელისაგან თვითონვე გული შეუწუხდა და ამხელა საზოგადოება იძულებულია ყური უგდოს მის ობროდობას და ტყუილ-უბრალოდ ჰკარავადეს დროს. მე უპასუხე, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ძალაუნებურად უნდა გულგრილად მოვისმინოთ ყოველი წარმოთქმული სიტყვა მეთქი.

ილია ყმაწვილობიდანვე სტუდენტობის დროს რევოლუციურ უნარს იჩენდა. ბატონ-ყმობის შესახებ რამდენიმე წერილი დაბეჭდა, რომელშიც სასტიკად ჰკიცხავდა ბატონ-ყმობას და 1860 წლებში, როდესაც მთავრობამ გამოაცხადა ბატონ-ყმობის გაუქმება, ის სიხარულით მიეგება ამ მოვლენას. სოფელ ყვარელში, მას ყმები ჰყავდა, გამოუტხადა მათ, რომ თავის მამულს უთმობს

გლახკაცობას. მას დარჩა მხოლოდ ცოლის მამული საგურამოში. ილია აქაც სცდილობდა, რომ გლახკაცობასთან კარგი განწყობილება ჰქონოდა, გლახკაცები პატივს სცემდნენ მას, და ყოველ მის რჩევას დაუყოვნებლივ ასრულებდნენ.

საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: სტუდენტობის დროს ქართველი სტუდენტები ხშირად იკრიბებოდნენ იმ საკითხის გასარჩევად, თუ ქართველმა სტუდენტობამ რა როლი უნდა ითამაშოს თავის ქვეყნის პოლიტიკაში. ბელადად ამ კრებებისა ილია ჭავჭავაძე იყო. ერთ დღეს, ორშაბათს დილით, ილიასთან მივიდა ნიკო ნიკოლაძე. ოთახში რომ შევიდა, ილია და სამი სხვა სტუდენტი ქალაქს თამაშობდნენ. მეორე მაგიდაზე გაშლილი იყო სუფრა, დადგმული სამოვარი და ცოტა-ოდენი საუზმე. მოსამსახურემ უთხრა ნიკოლაძეს, რომ ეს მეორე დღეა, რაც სამოვარი შევიტანეო და დღევანდლამდის ხელუხლებელი სდგას მაგიდაზეო, ჩაიც არ დაუღვევიათო. ნიკოლაძემ ჰკითხა ილიას, რატომ უნივერსიტეტში არ მოხვედითო. ილიამ უპასუხა, რომ დღეს კვირაა და უნივერსიტეტში არავინ იქნებაო. დღეს კვირა კი არ არის, ორშაბათიაო, უპასუხა ნიკოლაძემ. გამოაშკარავდა, რომ შაბათიდან მოკიდებული ორშაბათამდის, ილიათავის კომპანიით განუწყვეტლივ თამაშობდა ქალაქს დაუძინებლივ ორ დღესა და ღამეს. ეს ფაქტიც ამტკიცებს, რომ რასაც კი ილია ხელს მოჰკიდებდა, სამუშაო იყო თუ დროს გატარება, შეუდარებელი ენერგიით ასრულებდა თავის მოვალეობას.

საზოგადოდ, ილია დიდი ჭკუის პატრონი იყო, დაულალავი მუშაკი, მშვენიერი მოლაპარაკე, საზოგადოების საყვარელი და თვალსაჩინო წევრი. ამასთანავე ძალიან პურადი. ძლიერ უყვარდა მას თავის სამშობლო და მისთვის თავს არ დაზოგავდა.

**დავით მასლოვი**

ილიას მეფუტკრე საგურამოში

**ჩემი მოგონებანი ილიას შესახებ**

(საქ. ლიტ. მუზეუმის ექსპედიციის მასალებიდან)

მე ძველი საგურამოელი ვარ. აქ ჩამოვედი 1901 წ. შემოდგომაზე და მას შემდეგ ამ სახლში ვცხოვრობ, თავიდანვე მეფუტკრეობას ვეწეოდი. დაბადებული ვარ ტულის გუბერნიაში, ბელეცკის მაზრაში, სოფ. კონდრატოვოში.

ჩემი მშობლები გლეხები იყვნენ. სოფლის სკოლისა და ქალაქ ბელეცში მაზრის სამოქალაქო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო კურსებზე ქალაქ უმანში. 1893 წ. იძულებული ვიყავი დამეწყო მასწავლებლობა საეკლესიო-სამრევლო სკოლაში. ეს გარემოება ჩემთვის სახეიროდ იქცა. მე გავიგე რელიგიის სიყალბე და მისგან სამუდამოდ პირი ვიბრუნე.

1894 წლიდან გადავედი სოფ. ბუნიწი (ორლოვის გუბერნია) საეროზო სამინისტრო სკოლის მასწავლებლად. და საბოლოოდ გავიზიარე ტოლსტოის მოძღვრება, რომელიც მაშინ შეიძლება, ითქვას, რუსი ინტელიგენციის გატაცების საგანი იყო.

აი, აქ, სოფ. ბუნიწი, შემთხვევით რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე, რომ კავკასიაში, ტფილისის მახლობლად სოფ. კიკეთში ესაჭიროებოდათ მეფუტკრე. დიდხანს აღარ მიფიქრია, გადავწყვიტე გამომგზავრება კავკასიისაკენ, რომლის შესახებ მე ბევრი კარგი რამ გამეგო რუს მწერალთა ნაწარმოებებიდან და განსაკუთრებით ლერმონტოვის ნაწერებიდან.

ტფილისში 1900 წლის 30 დეკემბერს ჩამოვედი და აქედან კი სოფ. კიკეთს წავიდი. ენერგიულად შევუდექი მიტოვებულ საფუტკრის მოწესრიგებას, ვმუშაობდი მთელი ზაფხული, შემოდგომამდე. იქაურობა მაინცა და მაინც ძალიან არ მომწონდა და გადავწყვიტე დიდხანს იქ არ დავრჩინილიყავ. ჩემმა ბატონმა ჩემი სამსახურში მოწყობის მიზნით გამაცნო ტფილისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე ივანე გაბრიელის ძე თულაშვილი. სწორედ ამ თულაშვილმა ჩამომიყვანა საგურამოში ილია ჭავჭავაძესთან.

— აი, ვინ ჩამოგიყვანე! — უთხრა თულაშვილმა ჭავჭავაძეს და ჩემზე მოათითა — შენ სხვადასხვა დარგი გიყვარს, აი ეს მეფუტკრეობის სპეციალისტია.

ჩვენ ვიდექით მშვენიერ, სუფთა სახლის წინ. ჩვენს წინ ფართოდ გადაშლილიყო ბაღები და მინდვრები. ყველაფერი ახარებდა თვალს, სუფთა მთის ჰაერით, კულტურული გარემო და თითონ გულღია მასპინძელი. და აი მას აქეთ

დავრჩი საცხოვრებლად საგურამოში. აქ მე გამოტაცა ადგილ-მდებარეობამაც და თვით პატრონმაც. თითქოს სამშობლოში მოვხვდი, ისე ვგრძნობდი თავს და ყველას და ყველაფერს ისე დავეუახლოვდი, რომ მხოლოდ სიკვდილი დამაშორებდა აქაურობას, აქ არის ჩემი საფლავი.

საგურამოში მე დამხვდა თუმცა მოხალისის ხელით გაკეთებული, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი შეურნეობა; ეს შეურნეობა იმდენ შემოსავალს ვერ იძლეოდა, რომ მით ოჯახს ეცხოვრა, მაგრამ თავის ხარჯს მაინც ანაზღაურებდა: მოსამსახურეების ჯამაგირსა და ბეგარას იხდიდა და გარდა ამისა თანდათან ფართოვდებოდა.

საქონელი აქ არც ისე ბევრი იყო—სულ 30 სული ითვლებოდა, მაგრამ ამის და მიუხედავად პატონმა სეპარატორი შეიძინა.

მახსოვს, როგორ დაედგით ჩვენ ერთად სარდაფში დიდი მაგარი ჯირკვი და მასზე მივამაგრეთ სეპარატორი.

მამულში ჰყავდათ აგრეთვე ღორების პატარა ფარა 25—30 სული. თითონ ვამზადებდით ღორს, ამ საქმის სპეციალისტი იყო ილია ჭავჭავაძის სიძე—აფხაზი.

მინდვრები დათესილი იყო პურით, სიმინდითა და ქერით. მუშაობდნენ გლეხები. იღა ჭავჭავაძე მათგან იღებდა პირობისამებრ მეოთხედს. ხშირად ესეც ხდებოდა, როცა მიწას ამუშავებდნენ ქერივ-ობლები, ან ცუდი, უმნიშვნელო მოსავალი იყო, ილიას არაფერი აღარ მიჰქონდა. მამულში მისდევდნენ კულტურულ შეფრინველობას. ფრინველები ორი ჯიშისა იყო: პლიმუტროკი და ლანგშანი (შავები). წიწილებს ჩეკდნენ ინკუბატორებით. ამ კრუხების შესახებ, ილია ჭავჭავაძეს რომელიღაც წიგნში ამოეკითხა; ეს იყო გამთბარი ბუდეები; წიწილები ბუდეს ეჩვეოდნენ და უკრუხობთ იზრდებოდნენ. ილია მუდამ სცდილობდა, რომ შეურნეობის ყველა კულტურული წამოწყებანი ფართოდ გავრცელებულიყო გლეხებში და ჩაენერგა მათ შორის რაციონალური მეურნეობის ჩვევები. ამ მიზნით ილია ჭავჭავაძე ხშირად მგზავნიდა ხან ერთს, ხან მეორე გლეხთან მთელ რაიონში, რომ მე ადგილზე მეჩვენებინა მათთვის, როგორ უნდა გაემრავლებინათ ფუტკარი.

ხშირად, როცა საფელში გავივლიდი, ჩემზე აჩვენებდნენ გლეხები:

— აი, ეს არის უკრუხო წიწილებს რომ ჰჩეკავს!

მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილ დარგებს გარდა, დიდი ყურადღება ექცეოდა, მევენახეობასა და ღვინის დაყენებას; აღარ მახსოვს, რამდენი ვედრო ღვინო მოსდიოდათ მამულში.

ვაზის გავრცელებული ჯიშები იყო: რქა-წითელი და საფერავი. იყო აგრეთვე კაკლისა და თხილის-ფუნდუკის ბაღები. ბევრი იყო ხილის ხეები, განსაკუთრებით კურკრავანი. ტყეილ-უბრალოდ, რომ არაფერი დაკარგულიყო ბაღში, ჩვენ გვქონდა ხილის და ბოსტნეულის სახმობი და კონსერვების პატარა „ქარხანა“. ამ საქმის სპეციალისტად ჩვენ გვყავდა გიგო თოიძე, რომელიც თეთრ ბალისაგან მშვენიერ სიროპებს ამზადებდა. ბაღში იზრდებოდა ნაირ-ნაირი ყვავილები, მაგრამ მეპატრონეს განსაკუთრებით უყვარდა იასამანი და ხვიარა ვარდი. ესენი ბლომად მოიპოვებოდა საფუტკარეში.

ჩვენ ვცდილობდით მეფუტკრეობა, რაც შეიძლება ფართოდ გავგეშალა. იმ ხანებში ორასი სკა ვყავდა, მაგრამ მეპატრონის სიკვდილის შემდეგ ეს საქმე სულ უკან და უკან წავიდა, და მენშევიკების ბატონობის დროს ჩვენ ბალში 50 სკას თუ დაითვლიდით.

იყო შემთხვევები, როცა ილია საათობით დაუჯდებოდა ხოლმე სკებს, და ჩაფიქრებული თვალ-ყურს ადევნებდა ფუტკრების ცხოვრებას.

ილიას ძალიან უყვარდა მეურნეობა, მაგალითად გატყდა ლურსმანი ან ხრახნილი. მივდივარ სამჭედლოში (ჩვენ პატარა სამჭედლო ვეჭონდა) და ვიწყებ რკინის ნაჭრის გახურებას, რომ ლურსმანი გამოვჭედო, ილია თან მომყვება, იღებს საბერველს და აღვივებს ქურას.

ილიას დამოკიდებულება მოსამსახურებთან ასეთი იყო:

— თედო, აქ მოდი, აი, ორი შაური, ეს შენია, არ გახსოვს? ჯამაგირი რომ მოგეცი, ხურდა არ იყო, აიღე, შეილო, შენი შრომის ფულია!

ის ზედმიწევნით სამართლიანი იყო. იგი ყაირათიანიც იყო, ეს იმისათვის, რომ საშუალება ჰქონოდა რამე სერიოზულ საქმეზე დაეხარჯა ფული, და არა ტყუილ უბრალოდ.

მახსოვს, ერთხელ ილიამ მითხრა:

— თქვენ თუ სკებს ჰღებავთ, რატომ ჩვენ ორივეს ერთად არ შეგვიძლია ჩვენი ეტლის ბორბლის შეღებვა?

წავედით ფარდულში, სადაც ეტლი იდგა, და ბევრი დაკვირვების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ბორბლების შეღებვა შესაძლებელია. ფხვნილი საღებავი ყოველთვის ვეჭონდა, ოლიფა, ცარცი და სხვა. მაშინვე შეუდექით ბორბლების ღებვას, და როგორც დღეს ისე მახსოვს, ბორბლები ყვითლად შევღებეთ; მართალია, ილია თვითონ არ ჰღებავდა, მაგრამ მონაწილეობას იღებდა საღებავების შეზავებაში, პროპორციის გამოანგარიშებაში და თვალყურს ადევნებდა მუშაობას.

— რაც თვითონ შეუძლია გააკეთოს კაცმა—ამბობდა ილია კიდევ—უნდა გააკეთოს, ეს აუცილებელიც არის და სასიამოვნოც.

ეს წვრილმანები დამახასიათებელია მისი საქმისადმი დამოკიდებულებისა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ილია განსაკუთრებით დაინტერესდა ჩიან მცენარეების ბალით—ეს პატარა, ტანდაბალი ხეებია, რომლებიც ნაყოფს მესამე წელიწადს იძლევიან.

მახსოვს, აი, ამ მუხის ძირას ვისხედით და ვმსჯელობდით ასეთი ბალის გაშენებაზე. მოსე მოურავი გვარწმუნებდა, რომ ასეთი ბალი აქ არ გაშენდება, მაგრამ მე მაინც შეუდექი ასეთი ბალის გაშენებას და მართლაც მივაღწიე მიზანს, რითაც დიდად ვასიამოვნე ილია.

იმ ბალიდან ეხლა აღარაფერი დარჩა, მაგრამ აი ეს ხეები, რომლებსაც ეხლა თქვენ უყურებთ, აი ეს კაკალი და წაბლი, პირადად ილიას დარგულია: «დანიელ, ნუ თუ ჩვენ ამ ხეების ჩრდილ ქვეშ დავეჯდებით?».—ნაღვლიანად მითხრა ილიამ, როცა ამ წაბლის ხეს რგავდა.

ილიას მშვენიერი მეურნეობიდან აღარაფერი დარჩა არც ბალი, არც ეენახი.

ილიას სიკვდილის შემდეგ, მამული, „წერა-კითხვის“ საზოგადოებას გადა-  
ეცა. ეს სახ-ბა მამულს იჯარით აძლევდა, ხოლო მოიჯარადრეები კი ცდილობდნენ  
რაც შეიძლება მეტი გამოეწურათ და მოეპარათ.

პირველი მოიჯარადრე ვილაც პროვიზორი სტაუჩაიტი იყო. თვითონ ტფი-  
ლისში ცხოვრობდა, აქ კა მისი ცოლი დიასახლისობდა.

მათ შემდეგ მოიჯარადრეებად იყვნენ—წინამძღვრიანთ-კარის სკოლის მას-  
წავლებლები მაღალაშვილი და ნაკაშიძე. შემდეგ მენშევიკების დროს მამულს  
განაგებდა ვასო რცხილაძე. იმ ხანად ასეთი ამბავი მოხდა: ბაღში ვიყავი და  
ვხედავ ბაღს უახლოვდება ორმოცი ცხენოსანი. ერთ-ერთი მათგანი გამოდგა  
პოლკოვნიკი ინწკირველი. მან მკითხა, თუ ვინ დაეხეტებოდა ტყეში და ათევედა  
თუ არა ვინმე ღამეს ილიას სახლში, მე ამის შესახებ არაფერი არ ვიცოდი.

მეორე დილით ისინი ხელმეორედ გამოჩნდნენ, შეჩერდნენ ძველ მარანთან,  
(ეს მარანი თადეოზ გურამიშვილას დროს იყო აშენებული), ჩამოხტნენ ცხენიდან  
და შეცვივდნენ ტყეში. მალე მოისმა ტყიდან ბაჟქა-ბუთქი. ინწკირველის რაზმმა  
უკან დაიხია. სჩანდა, რომ მალლიდან იყო სროლა, რადგან დაჭრილი არავინ  
იყო, ტყეები კი სახლის სახურავზე სცივოდა.

მეორე დილით ტფილისიდან მენშევიკების ჯარისკაცების მთელი რაზმი  
ჩამოვიდა, რომლებმაც ამ სახლში მთელი ღამე გაათენეს. აი, აქ მოვლო ბოლო  
ჩვენ საფუტკრეებს: ჯარის კაცებმა ძირიან-ფუსვიანად გასთელეს მთელი საფუ-  
ტკრე. ისინი ვედროებით ეზიდებოდნენ თავს სოფლებში და ნახევარ ფასად  
ჰყიდდნენ. მას შემდეგ რა ჯარისკაცები წავიდნენ, საფუტკრეებიდან მხოლოდ  
ნარჩენებილა დარჩა, მაგრამ მე მაინც შეეძელი ათი სკის შეგროვება, რომელიც  
დავაბინავე სტაროხელსკის მამულში და 1924 წლისათვის იმათგან მე უკვე ორ-  
მოცი სკა მქონდა.

1924 წ. მიწსახკომმა ჩემს საფუტკრეებთან ერთად გადამიყვანა წინა-  
მძღვრიანთ სკოლაში, იქ მე ოთხმოცი სკა ვაგამრავლე.

როცა 1930 წელს საგურამოში გახსნეს სამეურნეო ტექნიკუმი და შეუერ-  
თეს წინამძღვრიანთ-კარის სკოლას, მე დირექტორ ფურცელაძესთან ერთად  
შუაზე გავყავი 80 სკა, ორმოცი დასტოვეს წინამძღვრიანთ სკოლაში, ორმოცი  
კი აქ გადმოიტანეს.

სწორედ აქედან იწყება ილიას სახლში საფუტკრეების ახალი დასაწყისი.  
ილია ჰაეჭავაძეს განსაკუთრებით უყვარდა მეფუტკრეობა და მთელი სა-  
ფუტკრე დანაწილებული იყო ვრცელ ბაღში. სახლის წინ მხოლოდ 13 სკა იყო  
მოთავსებული, ასე ვთქვათ: სასწავლო-საჩვენებელი ხასიათისა, რომ ყველა ცდები  
ჩატარებულყო მხოლოდ ამ ნაკვეთზე, რომ დანარჩენი საფუტკრეები არ შეგვე-  
წუხებინა.

ხშირად ილია სტუმრებთან ერთად აივანზე იჯდა, მე კი აქედან ფუტკრეებზე  
მთელ ლექციას უკითხავდი მათ. სტუმრებიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა  
არტურ ლეისტი.

მე არ მახსოვს, რომ ილიას აქ თავის თხზულებები ეწეროს. რამდენჯერმე  
მე მას უთხარი: „თქვენს ნაწერებს მთელი ევროპა კითხულობს, თქვენ კი ყველა-  
ფერი მიატოვეთ“!

«არ არის უკვე ის შთაგონება, ის პირობები და მასთან ახალი თაობა მოვიდა ჩემზე უკეთესი... იყო დრო, როდესაც ადვილად ვწერდი, თითქოს ვინმე შეკარნახობდა, ესლა კი ისე აღარ არის, თავის თავზე ძალის დატანება კი არა ბუნებრივია და აქედან არაფერი არ გამოვაო».

ილია საგურამოში მთელი ზაფხულობით ჩამოდიოდა. ავარაკები მას არ უყვარდა. ზამთრობით იშვიათად მოდიოდა აქ, და ისიც სამეურნეო საქმეებისათვის. მახსოვს, ერთხელ იანვარში მოვიდა, წინასწარ შეგვატყობინა, რომ 17-ს ჩამოვა, მაგრამ თითქოს განგებ ისეთი საშინელი დღე დადგა, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, პირდაპირ საშინელება იყო. გაიფიქრე, მოდი ილიას გამოვცდი, შეასრულებს თუ არა თავის სიტყვას, რას ვხედავ—ილია ჩამოდის თავის განუყრელი ლაქია ტარასაშვილი იაკობით. წვერზე და ულვაშებზე ყინულის ლოლუები ჰკიდა, თითონ კი შეფუთვნილია.—ასეთ ამინდში ჩამოსვლა როგორ გააბედეთ?—ასეთ ყინვაში?—ეკითხე მე.

— რადგან მე შეგატყობინეთ, რომ ჩამოვალ მეთქი, მოვიდოდი კიდევაც მიუხედავად ყველაფრისა,—მიპასუხა მან.

თავის მუშების მიმართ, ისე, როგორც გლეხებისადმი ილია ძალიან მგრძობიარე და სამართლიანი იყო. არავისგან არ მოითმენდა უსაქმობას და არავის არ აპატიებდა უსამართლობას, ანდა ქედმაღლურ მიმართვას მუშებისადმი. ხშირად ეტყოდა ხოლმე ცოლს: «ოღო, რა გვაქვს დღეს ჩვენ სადილად?».

— რა და წვენი და კატლეტები.

— მუშებისათვის?

— ლობიო.

— ეს ცოტაა. ისინი ფიზიკური მომუშავენი არიან, და საჭიროებენ კარგ კვებას.

— თედო!—მიმართავს ის მოსამსახურეს—შეაბი ეტლი.—თავის სადილს მუშებს გაუგზავნიდა, თვითონ კი ლობიოზე დარჩებოდა.

ილია ცდილობდა შეეგნოთ გლეხებს კულტურული მეურნეობის სარგებლობა.

— აი, უთხარით გლეხებს, რა სარგებლობა მოაქვს მანქანას,—მეუბნებოდა ილია,—ისინი თქვენ უფრო დაგიჯერებენ, ვინემ მე. მე რომ უთხრა, ისინი იფიქრებენ, რომ ამას მარტო ჩემთვის ვაკეთებ და ეს მხოლოდ ბატონის განზრახვააო.

ლოთობა ილიასთან აკრძალული იყო. მე ილია არასდროს მთვრალი არ მინახავს.

ერთხელ კალოობის დროს, ილია უძახის გლეხს სოლკას და ეკითხება:

— სოლკა, რაზდენი ღვინის დალევა შეგიძლია შენ ერთ ჯერზე?

— ერთი ხელადა არ მეყოფა, ბატონო.

— ე, ეს კარგი არ არის, შენ გინახავს როდისმე, რომ მე მთვრალი ვყოფილიყავ, ან გაგიგონია?

— არა ბატონო, არა!

— მაშ, მე კი ყოველ დღე ვსვამ!



ილია გავქავაძე პირველი კურსის სტუდენტი—1858 წ.



მართლაც ილია სადილოს დროს ორ ჭიქა ღვინოს დაღვედა, მაგრამ მე არასდროს იგი მთვრალი არ მინახავს და არც შეზარხოშებული, გარდა ილიაობის დღისა.

ამ დღეს, 20 ივლისს აქ ჩამოდიოდნენ ყველა რაიონიდან. ვის არ ჰნახავდით აქ. ამ დღეს უარის თქმა არ შეიძლებოდა. ინდებოდა ახალ-ახალი ქვევრები, მკვთიდან ჩამოდიოდა მზარეული ვანო მღებრიშვილი სპეციალურად ხაშის გასაკეთებლად. ილიას კი ყველაზე მეტად ხაში უყვარდა.

ილია სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი ცოლი ოღლა განუყრელად მასთან იყო.

ოღლა განუყრელად თან ახლდა ილიას, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. უყვარდა ქმარი. ერთხელ, მახსოვს ასეთი შემთხვევა:

ერთ საღამოს მე და ილია გრიგოლის ძე ვისხედით აივანზედ. წყაროს მახლობლად. ჩვენ წინ მოსამსახურემ გაიარა. პოლონელი ქალი იყო. „მანია!— დაუძახა ილიამ— ერთი ჭიქა წყალი თუ შეიძლება“. მოსამსახურემ იმ წუთსავე, მოართვა წყალი წყაროდან. ოღლა თავიგონის ასული მეორე სართულის აივანზე იჯდა და ყველაფერს ჰხედავდა.

მესმის, ოღლამ საჩქაროდ ჩამოირბინა კიბეები, გაირბინა აივანი, სადაც ჩვენ ვისხედით, დაეცა მიწაში და დაიწყო თავის ხლა მიწაზე. მე და ილია მივივარდით მისაშველებლად, ავიყვანეთ, შუბლზე ცივი წყალი დავასხურეთ და გრძნობაზე მოვიყვანეთ.

— ოღლა, გონზე მოდი! შენ ისევ შენებურად განაგრძობ. ნუ დაივიწყებ, რომ მე უკვე 70 წლის ვარ.— უთხრა მას ილიამ.

ოღლამ უსმინა, უსმინა (ცუდად ესმოდა) და შემდეგ უთხრა:— დაამთავრე ილია? ეხლა მე დამიგდე ყური: ნუ დაივიწყებ რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მოგიტანო ჭიქა წყალი, შენ კი ამ სიამოვნებას მიკარგავ.

აი, როგორ ძლიერ უყვარდა მას ილია.

### ილიას ხიკვდილი

ეს მოხდა მგონი 29 აგვისტოს. ილია გრიგოლის-ძე გაემგზავრა ტფილისს და განკარგულება მისცა მოურავ ჯაშს, რომ დახვედროდა წიწამურში მეორე დღის დილის 11 საათზე, რადგან ილიას იქ საქმე ჰქონდა. ამბობენ, რომ მეორე დღით ოღლა თავიგონის ასულს ცუდი სიზმარი ენახა და ილიას სთხოვა მგზავრობის გადადება, მაგრამ ილიამ გადაწყვეტილი უარი სთქვა ამაზე. „რადგანაც მე ვთქვი რომ ვიქნები მეთქი, ვიქნები კიდევ“— სთქვა მან.

ილია გრიგოლის-ძე ცხოვრობდა ტფილისში თავის ახალ სახლში ანდრეევის ქუჩაზე, სადაც ჯერ თავლაც არ ჰქონდა გამართული, ამისთვის ილიას ეტლი სასტუმრო-ბაკებში იდგა. გამოირკვა, რომ ილიას მკვლელობის წინა საღამოთი მეეტლესთან მოსულან მკვლელები, მოჰლაპარაკებინან მას— თუ სად უნდა შემოებრუნებინა ეტლი, რომ უფრო მოხერხებულად და უეცრად დასხმოდნენ თავს ილიას.

წიწამურის ხევიანდე, წყაროსთან, ილიამ ეტლი გააჩერებინა. იგი ყოველთვის ისვენებდა ამ ადგილას, რომ დაელია მშვენიერი წყაროს წყალი თუნუქის-

ქიქით, რომელიც წყაროს ქვაზე ჯაჭვით იყო მიმაგრებული. ამ ხანად ილია მეტხანს შეჩერდა წყაროსთან, რადგან თავის მოურავს ჯაშს უტდიდა, მაგრამ ჯაში არ სჩანდა. მაშინ ილია ეტლში ჩაჯდა და ვანაგრო გზა.

იმ დღეს დილის 10 საათზე მე გამოვედი ბალიდან და ვხედავ—ჯაში ასულა კაკლის ხეზე და გრძელი ჯოხით კაკალს ჰპერტყავს. მე შევხსენე, რომ უკვე 10 საათია და დრო არი ილიას შესახვედრად წახვიდე მეთქი. მან მიპასუხა წავალო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხიდან მაინც არ ჩამოდიოდა. 10 წუთის შემდეგ კიდევ შევხსენე: „დიმიტრი სოფრომის-ძეე.—ვეუბნები მე—თქვენ უნდა იყვეთ წიწამურში 11 საათზე, იცოდეთ არ დაიგვიანოთ“.

— „ჰო, კი, მე განკარგულება კიდევ გავეცი და ცხენს ჰკაზმავენ“.—მიპასუხა.

მესამედაც მომიხდა შეხსენება—და მაშინ დავეკვიდი. როგორც იქნა, ის ჩამოვიდა კაკლის ხიდან, შეჯდა ცხენზე და წავიდა. მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ოცი წუთით რომ მიესწრო, არაფერი არ მოხდებოდა, რადგანაც ჯაში „სტრაჟნიკებთან“ იქნებოდა და მკვლელები დაცემას ვერ გაბედავდნენ. ჯაშმა უკან მოაქუნა ცხენი, იგი ფერმკრთალი და დაბნეული იყო.

— ნუ აღელდებით, უბედურება მოხდა,—ყვიროდა იგი—ილია მოჰკლეს!

მალე მეეტლემ ოღლა თადეოზის ასული მოიყვანა, იგი დაპრილი იყო, უგრძობლად იწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ოთახში დაეწვინეთ—თვლები გაახილა და მითხრა: „იქ, კუთხეში კარადაში ბამბა დევს, აიღეთ და მომწმინდეთ უბლიდან სისხლი“. შემდეგ მკითხა: „სად არის ილია?“ ამის შემდეგ ჩვენ მისგან გონიერი სიტყვა აღარ გავვიგონია.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოასვენეს ურმით ილია გრიგოლის ძე და იაკობი—ილიას ლაქია.

ილიას მკვლელობაში ჩვენ მაშინვე ჯაშზე ავიღეთ ეჭვი.

არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ილიას: „მომეხმარეთ, რომ როგორმე მოვიშორო ჯაში, ის აგიტაციას ეწევა ჩემს წინააღმდეგ—უთხარით, რომ მე მას უკეთეს ადგილს მივცემ, ოღონდ გამეცალოს, ყოვლად უვარგისი მეურნეა“.

მე მაშინ ვიფიქრე, რომ ჯაში წმინდა კაცი არ არის, რომ იგი ცუდი მიზნით არის ილიასთან მოგზავნილი.

ამ შემთხვევის შემდეგ ჯაში დააპატიმრეს, ერთი-ორი წელიწადი იჯდა, შემდეგ გაანთავისუფლეს და ამბობდნენ, რომ კარგს ადგილსაც სთავაზობდნენ.

როგორღაც, მე ერთხელ მომიხდა მასთან შეხვედრა ტფილისში, ვორონ-ცოვის ხილთან, ჩვენ ცოტა ვილაპარაკეთ და მალე დავშორდით ერთმანეთს.

### ილიას დაკრძალვა და მკვლელების ძებნა

როდესაც, ილია და მისი ლაქია იაკობი მოასვენეს სახლში, ილია დაასვენეს სასტუმრო ოთახში, იაკობი კი—მეზობელ ოთახში. არ მახსოვს, თუ რომელიმე გლეხი მაშინ იქ მოსულიყოს, მაგრამ გვამის განკვეთას კი რამდენიმე კაცი დაესწრო. არ მახსოვს, იმ დღესვე თუ მეორე დღეს ტფილისიდან ჩამოვიდნენ გამომძიებელი ილიაშენკო და ორი მძებნელი, ერთ-ერთი იყო გვარად ტომაშეცკი და დაიწყეს გამოძიება. პირველ რიგში დაჰკითხეს მეეტლე. მან

ბევრი ილაპარაკა: გვიამბო, თუ როგორ მოვიდნენ მათან სისტუმრო-ბაგებში, როგორ ემუქრებოდნენ და როგორ დასთანხმდა ცხენების შეჩერებას დანიშნულ ალაგას.

რადგან მეეტლეს შეპირდნენ, თუ ყველაფერს იტყოდა მას ხელს არ ახლებდნენ—ისიც გულახდილად ლაპარაკობდა. დაკითხვის შემდეგ მეეტლე დააპატიმრეს. მკვლელებიდან მან დაასახელა ვანო ინაშვილი, საგურამოს რაიონის ყოფილი მამასახლისი, პავ. ფშავლიშვილი, ვილაც ლომა წიწამურიდან და ერთი საგურამოელი გიგო მეზერიშვილი, რომელმაც თითქოს მკვლელებს ათხოვა თავის სანადირო თოფი. გიგო მოჰყვდა ციხეში, სანამ საქმე გაირჩეოდა და მე მგონია, უდანაშაულოდ დაიტანჯა. ვანო ინაშვილმა გვიჩვენა ადგილი, სადაც იმალებოდა ფშავლიშვილი. ვანო ციხიდან გამოიყვანეს, ფეხები შეუკრეს, ცხენზე დასვეს და ყაზახებთან ერთად წაიყვანეს სოფ. დიდ ლილოში. იქ მახლობლად საძოვარი ადგილებია და ერთ-ერთ ფარეხში იმალებოდა პავლე ფშავლიშვილი. ამ ფარეხის ბანზე იდგა ბიჭი. ვანომ დაუძახა მას და უთხრა, რომ პავლესთვის დაეძახნა—ბიჭმა უპასუხა არავინ პავლე აქ არ არის! ბიჭს კიდევ განუმეორეს, მაგრამ იგი მინც უარზე იყო. რადგან ვანო თავისას არ იშლიდა და კიდევაც დამეუქრა,—ყველაფერი ეს გაიგონა დამალულმა პავლემ და პირველმა ასტეხა სროლა ყაზახებთან.

მთელი ფარეხი დაინგრა, ბიჭიც მოჰკლეს და პავლემც. მოკლული პავლე იქიდან ტფილისში წამოიღეს.

სასამართლოს დადგენილებით მეეტლე თედო, ვ. ინაშვილი და წიწამურელი ლომა—ჩამოაღრეს. საგურამოელი სასამართლომდე მოჰყვდა ციხეში, ფშავლიშვილი მოსპეს თავდასხმის დროს.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოდ ილიას სიკვდილის სურათი, საჭიროა გახსენება იმ აღრინდელი ტრადიციისა, რომელიც მოხდა საგურამოში. ეს იყო მოურავ მოსე მურმანიშვილის სიკვდილი.

ეს მოხდა 1907 წლის ივლისში. მოურავმა გამოაცხადა, რომ კანტორიდან მას დაეკარგა 40 მანეთი. ამ დაკარგვას ის აშკარად აბრალებდა მამულის დარაჯს, პავლე ფშავლიშვილს. ექვი მასზე მიიტანა იმიტომ, რომ მოურავმა ის მარტო დაინახა კანტორაში. პავლე თითქოს ამარაგებდა საგურამოს ტყეებში მოხეტიალეებს. ვინ იყვნენ ტყეში მოხეტიალეები, არ ვიცი. პავლე ფიცულობდა და კატეგორიულად უარს ამბობდა, რომ ამ საქმეში ის მართალი იყო. დანამდეილებით კი ლაპარაკობდნენ, რომ ფული მოურავის ცოლმა აიღოო. ეს საქმე მალე უშედეგოდ მიყრუვდა. ერთ დღეს საღამოთი მინდვრიდან ბრუნდებოდა ნახირი. მოურავმა შენიშნა, რომ ნახირს ერთი ხბო აკლდა. მაგრამ ყველა ლაპარაკობდა, რომ მენახირემ საქონელი უკლებლივ მორეკა ეზოში. რამდენიმე ხნის შემდეგ, მეღორემ მორეკა ღორები. ღობის იქით ხეგია საკმაოდ ბუჩქნაროვანი. ღორებმა ამ ადგილს დაიწყეს ჭყვილი და ჩხუბი. ხალხი დაინტერესდა, და სწორედ იმ ადგილას დაიწყეს მიზეზების ძებნა. მალე ნახეს ბალახნარში ეგდო ყელგამოჭრილი ხბო, რომელსაც მიფარებული ჰქონდა მწვანე ფოთლები და ფიჩხები. მოურავმა იქვე გამოაცხადა, რომ ამ საქმეში პავლეს ხელი ურევიაო. აქ მოურავი მოდგა პავლეს და დაუწყაო საყვედური და მუქარა, მაგრამ



ილია პეტერბურგელ ამბანაყეზი.

პაველ მაინც უარზე იდგა, იგი უარყოფდა თავის მონაწილეობას ამ საქმეში. მეორე დღეს მოურავმა მაინც დაუძახა სოფლის პოლიციელს და გამოუცხადა მომხდარი შემთხვევა. პაველ დააპატიმრეს. გამოძიებაში, როგორც გამოირკვა პაველ დამნაშავე არ იყო. ეს საქმე ჩაიდინა საგურამოს ერთ-ერთმა გლეხმა, რომელსაც ჰქონდა კავშირი მეტყვევებთან. პაველ მცხეთაში წაიყვანეს. მან სუყველას გამოუცხადა, რომ ის არაფერში არ არის დამნაშავე, და ამ შემთხვევის შემდეგ კი ის არაფერს არ დაერიდება და მოჰკლავს მოურავს.

მცხეთაში ის სამი დღე დააკავეს, მეოთხე დღეს კი ერთ „სტრახნიკთან“ ერთად წაიყვანეს ღუშეთში, მაგრამ გზაში იგი გაიქცა.

მოურავი გააფრთხილეს, რომ პაველ მას სიკვდილით ემუქრება და ურჩივს მორიდება.

7 ივნისს ჩვენთან ემზადებოდნენ თიბვას და მოურავმა გლეხები გაგზავნა სათიბში. ეზოში დაერჩით დამლაგებელი ქალი და მე.

ჩვეულებრივ 7 საათზე ჩაი დაველი და წავედი საფუტკრეში. ბუჩქნარი და ბალის ხეები ჰვარავდა მოურავის ბინას. ჯერ მუშაობა არ მქონდა დაწყებული, რომ მომესმა კარის კრიალი, მოურავის ცოლის ყვირილი—ახ! და სროლა. მე მაშინვე მივხვდი, რომ მოურავს თავს დაესხნენ. ყველა ხელსაწყოები იქვე დავყარე და გავიქეცი მამულში, რომ დამეძახა ვინმესთვის მოსაშველებლად. მაშინ ილია თავის მეუღლით პეტერბურგში ცხოვრობდა. მოვედი სოფელში და ვერაფერი ვერ ვთქვი—მე მუნჯურად ვანიშნე, რომ წყალი მოეცათ. მეჩვენებოდა თითქოს მე ვილაღ მომღვედა და უნდოდა ჩემი მოკვლა. როგორც იქნა გამოვერკევი და ესთქვი: „თავდასხმას!“—მაშინ გვიე სტაროსელსკი იქ იყო და განკარგულება მისცა ორი „სტრახნიკის“ გაგზავნისა, რომელნიც მამულს იცავდნენ. „სტრახნიკები“ მხოლოდ მუხამდე მივიდნენ ნახევარ გზაზე და შეჩერდნენ, წინ წასვლისა შეეშინდათ. ჩვენ მალე შევამჩნიეთ რომ ჩვენი დამლაგებელი ქალი ხელს უქნევს „სტრახნიკებს“. გამხნეებული „სტრახნიკები“ წავიდნენ. მეც დავბრუნდი სახლში. რა ენახე! ოთახში იატაკზე ეგდო მოკლული მოურავი, თავი მოეჭრათ ხანჯლით და მუცელი გამოფეხრათ. მისი ცოლისათვის თავი გაეტეხათ და იქვე მიეგდოთ ქმრის გვამზე. მას სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა. სჩანდა, რომ მოულოდნელად დაესხნენ თავს. იარაღის ხმარება ვეღარ მოუსწრია, და თავის თავს იცავდა მხოლოდ ბოთლით. მოურავის სიკვდილის შემდეგ მკვლელები ვერ ნახეს, მაგრამ სუყველამ ვიცოდით, რომ ეს გაქცეული პაველ იყო. ბოლოს გამოირკვა, რომ მკვლელები იგივე კაცები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე. მოურავის ცოლმა მხოლოდ ორი დღე იცოცხლა. მე მაშინვე ღებეშით შევატყობინე ილიას ეს ამბავი. არ მახსოვს ერთი თუ ორი კვირის შემდეგ ის ჩამოვიდა პეტერბურგიდან თავის ცოლით და ჩამოიყვანა ზაალ ჭავჭავაძე—როგორც მცველი. ორი თვის შემდეგ მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

მოურავის სიკვდილის შემდეგ, მე შევამჩნიე, რომ ილიას ცოტა ეშინოდა. ამ ხანებში ჩამოვიდა ზაალ ჭავჭავაძე. არ მახსოვს ახალი მოურავი ჯაში, როდის განჩნდა, ყოველ შემთხვევაში ძალიან მალე მოურავის სიკვდილის შემდეგ.

ძველ მოურავას შემკვიდრებს (ძმებს) ილიამ ანგარიში გაუსწორა.  
ილიას სახლში რუსებიც მუშაობდნენ და ქართველებიც, მწყემსებად თათ-  
რებიც ჰყავდა. მოსემდე მამულის უფროსად სომეხი იყო, მე თითონ რუსი ვარ,  
იაკობი, მისი ერთგული ლაქია ოსი. ფრინველებს თვალყურს ადევნებდა გერ-  
მანელი შვარცი. ილია ყველას ერთნაირი პატივისცემით გვექცეოდა. იგი მაგა-  
ლითი იყო თავის ხალხისათვის. მას ლოთები არ უყვარდა, არც ცუდლუტები,  
ყოველთვის მხარს უჭერდა კარგ მომუშავეებს.

ჩაწერა გრიგოლ ჯაფარიძემ.

2 ივლისი, 1936 წ.

## 6050 (ს. 33) ზუსრავის ახალი ახვლედიანი

(ილიას ოჯახის ხელზე მოსამსახურე 70 წ.  
ტფილისის მცხოვრები, კალინინის ქ. № 7)

### მ ო ზ ო ნ ე ბ ა ნ ი

ათი წლის ვიყავი ილიასთან რომ მიმიყვანეს. იქ გავიზარდე. ილია ჯერ სოლოლაკში იდგა ზუბალოვის სახლებში, შემდეგ კი ამ სახლში გადმოვიდით. 15 წელიწადი აქ ვცხოვრობდით. ეს სახლი უყიდა ილიამ თავის დას ლიზას, ალექსანდრე საგინოვის (ლიზას მეუღლე) გარდაცვალების შემდეგ. ამ სახლში სკოლა იყო და ეკუთვნოდა ილია წინამძღვრიშვილს. სახლს ვადაკეთება დასჭირდა და ჩვენ ყველანი ოთხი თვით საგურამოში წავედით.

აქ შეიდი ოთახი გვეჭირა. ორ ოთახში აივნის ბოლოს „ივერია“-ს რედაქცია იყო დროებით მოთავსებული.

ილიას ჰყავდა მზარეული ლაქია მოსე, მე ხელზე მოსამსახურედ ვიყავი, ოლლას ვემსახურებოდი. ილიამ ლაქია მოსე საგურამოში გაგზავნა მოურავად, აქ კი იაკობი ჩამოიყვანა ლაქიად.

ამ სახლში (ახლა კალინინის ქ. № 7) ილია, ოლლა და ლიზა ცხოვრობდნენ. 15-წლის განმავლობაში ილიას ოჯახობა და ლიზა შესმატკბილებულად იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ილია და ოლლა წავიდნენ რუსეთს. იქედან ოლლამ წერილი გამოუგზავნა ილიას დისწულს—ნინო აფხაზის ქალიშვილს—კატონ ნაზაროვის ცოლს), სადაც მახსარად იგდებდა ლიზას და ცილს სწამებდა. ეს წერილი შემთხვევით ლიზას ჩაუვარდა ხელში და საშინლად იწყინა. უჩვენა მხოლოდ თავის დას მაკოს, მაყაშვილის მეუღლეს.

ბოლოს ეს ამბავი ილიამაც გაიგო და ძალიან შეწუხდა. გადაწყვიტა აქედან გადასვლა, რადგან ამ ამბის შემდეგ ოლლას და ლიზას ხშირად მოსდიოდათ უსიამოვნება ერთმანეთ შორის. გადასვლა მოხდა ლიზას საზღვარ-გარეთ ყოფნის დროს. ილიას ეს სახლი მეტად უყვარდა. ილია საგურამოში წავიდა, რომ თვალთ არ ენახა სახლის დაცლა. სთქვა: „მე ვერ უყურებ, როგორ გადააქვთ აქედან ბარგიო“.

ილია ჯერ ვაგზლის ქუჩაზე ცხოვრობდა, შემდეგ კი ანდრეევის (ორჯონიკიძის ქ.) ქუჩაზე გადავიდა.

ლიზა საზღვარ-გარეთიდან რომ ჩამოვიდა, ბიჭმა სადგურშივე უთხრა, რომ კნიაზი გადავიდაო! ლიზას დაუწყია ტირილი და უთქვამს: „ნამდვილად ილია გარდაიცვალაო!“—რადგანაც ვერ წარმოიდგინა თუ ილია როდისმე ამ

სახლიდან გადავიდოდა. ბიჭმა დაამშვიდა და გზად ილიას ახალი ბინა უჩვენა. სახლში რომ მივიდა და ნახა ცარიელი ოთახები, ისევ ტირილი დაიწყო: „ერთი ძმა მყავდა და ისიც მომცილდაო!“ იმ დღეს ილია მოვიდა ლიზასთან. გადააკონა, ლიზამ უთხრა: „რათ გადააკეთე სახლი თუ არ გინდოდაო?“ ილიამ პასუხი არ გასცა, ბოლთას სცემდა ოთახში და პაპიროს პაპიროსზე ეწეოდა. ლიზას ტირილმა ილიაზე ძალიან იმოქმედა.

ილიას თავისი და ლიზა ძალიან უყვარდა, დიდ პატივს სცემდა. სადილად ერთ თავში ილია დაჯდებოდა, მეორე თავს ლიზა. პირველად მისი სადღეგრძელო უნდა დაეღია და ასე იტყოდა: „ჩემო დაო ლიზო, ღმერთმა გადღეგრძელოსო!“

ლიზასაც განსაკუთრებით უყვარდა თავის ძმა. ძმაზე უკეთესი არავინ ჰყავდა, მას იფიცავდა და მის მორიდებაში იყო მუდამ. ყოველთვის „ილიას მზეს“ ფიცულობდა. ილიას სიკვიდილის შემდეგ ისევ ასე განაგრძობდა ამ ფიცს. ლიზა და მკო ძალიან ანჩხლები იყვნენ. ილია იტყოდა ხოლმე: „ჩემი დები მე სრულიადაც არ მგვანანა“.

ოღლა ძალიან გულკეთილი ქალი იყო. ვის არ ენმარებოდა. ლატარიას აწყობდა, სამკერვალოც გახსნა ლარიბ ხალხთა დასახმარებლად.

ილიას ღამით უყვარდა მუშაობა. ამ დროს ვინც არ უნდა მოსულიყო ოღლა გაისტუმრებდა: „ილია სახლში არ ბრძანდებოა“. ილია მუშაობის დროს ძალიან ბევრ პაპიროსს ეწეოდა. დილით ორ დიდ საფერფლეს გამოვიტანდინამწვავებით საესეს. მუშაობის დროს ოღლას ჩაი შეჰქონდა ილიასათვის. ფეხაკრეფით გამოვიდოდა, ისე, რომ ილია არც კი შეამჩნევდა. ოღლა მთელი დღე ატარებდა მასზე ზრუნვაში, თვალეში შესცქეროდა, უთქმელად იყო და ქმრის სურვილები. სანამ ილია მუშაობდა, ოღლა ვერ ისვენებდა, შფოთავდა, ვერც იძინებდა.

სადილის შემდეგ ილია აუცილებლად მიიძინებდა. აქ, შუშაბანდში ტახტი იდგა. ხშირად მინახავს ილია სათვალეებით და გაზეთით ხელში მიიძინებული.

ძილის შემდეგ დაღევდა ჩაის. თუ წასასვლელი იყო სადმე წავიდოდა, თუ არა და დაიწყებდა მუშაობას.

ილიასთან ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები: დავით სარაჯიშვილი, არტურ ლეისტი, იაკობ გოგებაშვილი, გიგო ყიფშიძე, ა. ახანაშვილი და სხვები.

ილიას სიმღერა ძალიან უყვარდა, მაგრამ თითონ არ მღეროდა.

ყოველ კვირას საგურამოდან ერთი ურემი სანოვავე მოსდიოდა და შემაურმოზიც.

„ქვათა ღალადს“ ილია ერთი თვე სწერდა.

ილიას ბიჭებთან არ უყვარდა ლაპარაკი. ხოლო საგურამოში „ილიაობას“ გლეხებში ჩადგებოდა და ხელგადახვეული დაიწყებდა ღიღინს. ლიზა ეტყოდა ხოლმე: „ილია, აბა როგორ გეკადრება, ასე რომ ხელს ჰხვევ გლეხებსო?“

ერთხელ არტო ყაზაროვმა ილიას ძალლი მოუყვანა. ილიას „ბოქსი“ ძალიან უყვარდა. როცა პატარა იყო ილია თავის კაბინეთში პურს ჩაულობდებოდა და ისე აქმევდა, ეალერსებოდა კიდეც და თითონ აბანავებდა ხოლმე.



საგურამოშიც კი მიჰყავდა. ილიას ძალი იხე მიეჩვია, რომ დილით სამსახურში რომ მიდიოდა, ძალი უნდა ჩაეკეტათ ოთახში, რომ თან არ გამოჰყოლოდა.

ერთ დილით ილია და არტურ ლეისტი წავიდნენ საგურამოში. ვნახოთ ძალი აღარ არის. აქეთ ვეცით, იქეთ ვეცით, ვერსად ვერ ვიპოვეთ. სალამოს მოსე ლაქიამ გადასწყვიტა პოლიციაში გამოეცხადებინა ძალის დაკარგვის ამბავი.

სალამოს ილია და ლეისტი ჩამოვიდნენ და თან ჩამოიყვანეს ძალი. ჩვენს სინარულს და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. თურმე ძალი კვალ-და-კვალ გასდევნებია ილიას ეტლს.

ჩაწერა თინა ქავთარაძემ.

**მ. შამანაური**

**სოტა რამ ილია ზავზავაძეზე**

1912 წელს, 20 დეკემბერს მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც დროებით ვალდებული გლეხები იძულებითი წესით, ბანკის საშუალებით, გამოისყიდინენ თავიანთ მამულებს („ნადლეღს“) თავიანთ ყოფილ მებატონეებიდან. ეს უკანასკნელი ფულს ხაზინიდან მიიღებდნენ, ხოლო გლეხები კი, გრძელ ვადიანი სესხის სახით, ამ მამულების გამოსასყიდ საფასურს ხაზინაში შეიტანდნენ და ამ რიგად ისინი ხდებოდნენ მესაკუთრე გლეხები. ამ მუშაობის ჩატარება მინდობილი ჰქონდათ მაშინდელ მომრიგებელ შუამავლებს. იმ დროს მე ვმუშაობდი ახმეტის მომრიგებელ შუამავალთან მდივნის (თარჯიმანის) თანამდებობაზე და მთელი ეს მუშაობა ჩემ ხელში გადიოდა.

თითო მეკომურ გლეხს მიცემული ჰქონდა 5 დესეტინა მამული და რომ გაგვეგო, რომელ გლეხს, რა ზომის მამული ჰქონდა და სად, რომ ამ მამულეზე ნასყიდობის სიგელები შეგვედგინა, მაშინდელმა ტფილისის საგუბერნიო გლეხთა საქმეების საკრებულომ ვადმოგვიგზავნა 1864 წელს შემდგარი ბატონ-ყმობის გადავარდანასთან დაკავშირებული სიგელები (Уставная грамота), სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელ მეკომურ გლეხებს სად, რა ზომის, რა მიჯნებს შუა, რა ხარისხის (სარწყავი თუ ურწყავი) მამული მიეცა. ერთი ასეთი სიგელი შემდგარი იყო ერთის მხრივ თვით ილია ჭავჭავაძის და მეორის მხრივ გლეხებ გონდაურების (გვარია) სახელზე. რადგან ილია უშვილო მოკვდა და ჩვენ არ ვიცოდით ამ გონდაურების მამულის ფული ვის სახელზე ჩაგვერიცხა და რადგან ჩვენ ეკვი გვქონდა, რომ ილიას თავისი პირადი ქონება ნანდერძევი ჰქონდა მაშინდელ კართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის, ამიტომ ჩვენ ამ საზოგადოებას ოფიციალურად შევეკითხეთ, ხომ არ არის ვადაცემული მათზე ახმეტური გონდაურების გლეხების დალა, რაზედაც უარყოფითი პასუხი მივიღეთ. ამასობაში გამოცხადდნენ ჩვენთან გონდაურებიც და ჩვენ შეკითხვაზე გავემარტეს, რომ ისინი დღიდან ბატონ-ყმობის გადავარდნისა, უკვე მესაკუთრე გლეხები არიან და დროებით ვალდებულ გლეხებთან არაფერი საერთო არა აქვთ; რომ მაშინ ილია ჯერ სრულიად ახალგაზრდა მოსულა ჩვენ მამებთან და უთქვამს: „ძმებო, ბატონ-ყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება, მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად ვადმომიცია, არავითარი დალა თუ ხარჯი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შეიღებს ასწავლეთ.“—ჭახარებულმა ბევრი გველაპარაკა და თანაც საბუთი მოგვცა და წავიდა. რადგან ილიას

ვატემული საბუთი დაკარგული აღმოჩნდა, ჩვენ გლებების განცხადება ოფიციალურად შევამოწმეთ და სრული ქეშმარიტება აღმოჩნდა, გონდაურებს არაფისთვის ღალა არ ეძლიათ, გარდა სახაზინო გადასახადისა, როგორც შესაკუთრე გლებებს.

მე ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება და ჰთანტავს იმ ბურჟუსს და ჭორებს, რაც ილიას ირგვლივ იყო შექმნილი.

მაშინ ახმეტაში მომრიგებელ შუამავლად იყო გიორგი ივანეს ძე ცისკარი-შვილი, რომელიც დღესაც სოფ. ზემო ალვანშია არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად. გონდაურებიც ახმეტაში 7—8 კომლია და ამ ამბის ხელმეორედ შემოწმება, თუ ვისმეს ეჭვი შეეპარა მუდამ შეიძლება.

1936 წ. 19/10 კ. თელავი

ბ. პაპიაშვილი

**„გადახტი ბატონი“**

ბატონყმობა რო გადავარდა მაშინ ილია ქაფქაფაძე დუშეთში მაზრის მომ-  
რიგებელი შუამავალი იყო და თავად-აზნაურობისგან განთავისუფლებულ გლეხ-  
კაცობას მიწებს უზომავდა და კორღნებს ჰყრიდა. ყმობის და მონობის უღლი-  
დან გლეხკაცობა თავისუფლებოდა და თავის თვალებით უყურებდა გლეხკა-  
ცობის სიბარულს.

აი, რას გადმოგვცემს 139 წლის მოხუცი, დათა პაპიაშვილი, რომელიც  
დღესაც ცოცხალია და მშვენივრად ახსოვს, თუ ილიაზე რას ლაპარაკობდენ  
ბაზალეთელები და ჩრდილელიანი გლეხები. როდესაც ილია ბატონყმობი-  
დან განთავისუფლებულ გლეხებს მეზატონეებიდან სანადელო მიწებს ურიგებდა.  
მაშინ ათ საენიანი თოკი გვექირა ხელში და ილია გლეხებს მზარდამზარ მოგვ-  
დევდაო, გვიამბობს პაპიაშვილი, ჩვენთან ერთად იყენენ თავადები, აზნაურები,  
მათი ქალბატონები და მღვდლებიც კი. თავად-აზნაურობა ყოველ ბიჯზე ილიას  
აყალმაყალს უტეხდა. კბილების ღრქენით მოგვიბრუნდებოდნენ და გვეტყოდნენ:  
„ო-ი, და-და-და-და თქვე ბუგრიანებო, რა დღეს ველირსეთ, რო თქვენ ჩვენ მი-  
წებს იზონავთო!

გვახსოვს, ერთხელ ილიამ სიცილით უთხრა ხვლებუზა შაბურიშვილს,  
„დადგება დრო, რო გლეხკაცებს დარჩებათ თქვენი ველებიც და ტყვეებიცო“.  
აყაყანდებოდენ მეზატონენი. ილია თვალს ჩაგვიკრავდა და გვანიშნებდა, გას-  
წით ბიჭებო თოკსა-ო, თავს მალლა აიღებდა და ჩუმით ჩაიციენებდა გადახტი-  
თო... ასე რო ილიამ იცოდა, რო დღიურს ორი კაბლო ემატებოდა და საზღ-  
ვარიც იქ ჩაფარდებოდა, ვეიხაროდა, გეიხაროდა და შეგვიყვარდა „გადახტი  
ბატონი“, ესე დავარჯვით მაშინ, როცა ილია დუშეთში „მირაოი პოსრედნი-  
კად“ იყო.

ერთხელ ალექსანდრე ჩრდილელმა გაუზომა თავის მოყმეს მიწა, — და თი-  
თქმის ნახევარ დღისა მეტი აღმოაჩნდა ყმას. გაეხარა და საზღვრების ამოგდება  
ეწადა, მაგრამ „გადახტი ბატონისა“ ცოტა დასტურიც უნდოდა. გაიქცა დუ-  
შეთში თავის შავი ტაიქით და დორბლებმორეულმა მათრახის ტუნტურით  
უთხრა „გადახტი ბატონს“.

— თავადიშვილო! რაშია საქმე, რო ის რაც კანონიერი ზომაა, იმაზე  
მეტი მოგიზომავს და დავიკორღნია კიდევცო? აბა მე გიცხადებ, აი მიედივარ  
და ერთი კარგადაც გაგიწკებავ იმ ძალის ლეკვებს და კორღნებსაც თავიანთი  
ბარებით ამოვადებინებო! გაიცინა ილიამ და უთხრა:

— ამოაგდებ და შენც ამოვარდები შენი სახლკარიდანო!

იქ იყვნენ, ამ კამათის დროს: ი. შუშიაშვილი, არჯევანა უნდილაშვილი, სიმონ გელიშვილი და ომანა ქურციკიძე.

\* \* \*

ერთხელ ბაზალეთის ტბისპირზე ვიყავით. ტბა, მშვენიერ გაშლილ მინდორზე ლურჯად იდგა და წყნარ-წყნარად ტალღებს თავის ბორცვიან ნაპირებს ზვირთებს აღვრიდა. ილია იქ იყო და დაფიქრებული ტბას მიჩერებოდა. ბოლოს ამოიღო ქალაღი და ხელში დაიჭირა, ადგა ფეხზე და მყინვარს დაუწყობ ცქერა, უცქირა, უცქირა და ბოლოს-კი მოგვიბრუნდა და გვითხრა: — „ივანე, აბა ერთი მითხარი, ამ ტბის შესახებ თქვენი მამა-პაპანი, რას იტყოდნენ ხოლმე? ან როგორ დადგა ამოდენა წყალი იმ ტრიალ მინდორზეო“. მერე მოუყვებით ჩვენც, როგორც გაგვეგონა და ილია-კი ღიმილით ვვინმენდა. მოჰყვა არჯევანა: — იქ, ბატონო, როგორც ჩემი ბაბუსაგან ვამიგონია. აი ვიტყვი.

ილიამ ჩაახველა და ჩვენთან მარჯვედ დაგვიჯდა.

— ჰო, აბა, აბა მომიყვიეთ, როგორ იტყოდნენ, რა ანდახები გაგიგონიათ ან თუ იცით რამე: ლექსი, ზღაპარი, ყველაფერი მოიგონეთ და მითხარით...

... იტყოდა ივანე: მე ესე ვამიგონია, რომ აქ ყოფილა სოფელი. მდგარა ერთი მაღალი კოშკი და ჰქონიათ ღრმა ქა, ვინც იმ ქიდან წყალს ამოიღებდა აუცილებლად მგრა უნდა ღვეფარებინა სარქმელი, თორე წყალი გადმოიღოდა და კოშკში მყოფ ხალხს დაარჩობდა. იმ კოშკში ერთ პატარადალს ჰყოლია ოქროს ქორიანი ვაჭი შვილი, ოქროს აკვანში თურმე ზდიდა და გარს იმ ციხეს ჯარი იცავდა-ო. გამოსულა პატარადალი, აუესია ვერცხლის კოკა და ქა დავიწყებია პირ-ახდილი... უცებ ამოვარდნილა ძლიერი წყალი, გავსილა კოშკი და ჩაძირულა, შიგ ჩაუტანია კოშკიც და სოფელიც. ამბობენ ეს ტბა უძირაოა და მართალია თუ არა არ ვიცი, აი ეგრე ვამიგონია მეტი არაფერი ვიცი... ყველანი ივანეს თქმაზე იცინიან და იტყვიან: ჩვენც ეგრე ვაგვიგონია.

— ილია: კეთილი ჩემო ივანე, აბა კიდევ-კიდევ!

ივანე: კიდევ რაზე მეკითხები რა ვიცი?!

ილია: აი ამ ნაცრის გორაზე, რომელიც კოშკივით დგას ამ ტბის პირას და ზედ ქვევრებით არის საფე, რატოა, რო სულ ძვლებით არის საფე და ადამიანების თავებით?

არჯევანა და ომანა ერთად, მაგრამ ილიამ გვითხრა „ერთმა ილაპარაკეთო“ არჯევანს შერცხვა და თავი მოიფხანა, ბატონმა მხარზე ხელი დაკრა და მიფეგრა, ბოლოს სამი მანეთი ამოიღო და გვითხრა: გადახტით ღუშეთის ხევზე და მავ ფულთი ღვინოც მოიტანეთ და საჭმელიცო.

მაშინ ღვინო, თუნგი ექვსი შაური იყო, ცხვარი მანეთი და ბურვაკი ათი შაური, ღუშეთში გაიქცა ცხენით არჯევანი და ჩვენ კი ისევ გვითხრა „გადახტო ბატონმა“ „აბა კიდევ დავიწყობ“-ო.

ომანა: ამ ნაცრი გორაზე ასე ვამიგონია, აგერ აიმ ტყეში ხო ხედავ, ბატონო! რო ეკლესიაა—ჰო-და იქ თურმე ცხოვრობდა ფშარაველი, ფშარაველს ყოლია შხეთუნახავი ცოლი, როცა ფშარაველი სანადიროდ წასულა,

უდროვია დევს და ფშარაველისათვის ცოლი მოუტაცნია. ფშარაველის ცოლს ისეთი დაუწველია, რო არაგვ გაღმა ფშარაველს გაუგონია. ფშარაველს ჰყოლია ისეთი ცხენი, როგორც ელვა და გამოფრენილა კოშკისკენ, გამოჰკიდებია და დევს სწორედ ამ ადგილას დასწევია; დევი და ფშარაველი შებმულან, ფშარაველს დევი დაუკაფია და აი ეს მთა იმის ძელებით და სისხლით არის დამდვარიო, ფშარაველი დევთან ბრძოლაში დაჭრილა და დიდხანსაც ვერ უცოცხლია. როცა ფშარაველი მომკვდარა, მაშინ ფშარაველის ცოლს ფშარაველის საფლავზე თავი მოუკლავს და ზედ ქართველ ერს საყდარი აუშენებიათ.

ილია: მერე და ის დევი საიდან მოსულა?!...

დათა: იმ დევზე ასე მოგახსენებდენ, ბატონო, როცა აქ ის ოქროს აკვანი, ოქროს ქოჩრიანი ყრმით დაღუპულა, მაშინ ამ ტბას დევი დაპატრონებია. ბევრი გმირი ჰყავს იმ დევს ამ ბაზალეთის ტბის პირზე მოკლულიო. ასე იტყვიან და გაგვიგონია, მაგრამ მძლეთა-მძლე ნუ დალიოს უფალმა და ფშარაველს-კი ცხრა თავიანი დევი აი ამ ადგილზე ჩაუკუწვია...

ილია: კანკის ქედი რათა ჰქვიან და რა იცით იმაზე?!

ივანე: კანკის ქედი ჩვენ ასე გაგვიგონია, ვითომ სპარსეთი დიდი ჯარით შემოგვეყვია და აუოხრებია ჩვენი სამშობლო... ბოლოს ბაზალეთის მინდორზე მომხდარა დიდი ხელჩართული ომი და არაგვის ერისთავს დაუმარცხებია. სპარსეთის ჯარს გაქცევა დაუპირებია, მაგრამ შენ მტერს ნურა კარგი, ბატონო, რო იმათთვის დღე დაუყენებიათ, ერისთავს უბრძანებია ქართველთა ლაშქრისათვის, რო ერთი ამბის წამლები არ გაუშვათო და კაი მავათო! შემორტყმიან გარშემო და კეტით კანკები უმტვრევიათ; აი ამიტომ ეძახიან კანკის ქედს, შენი კირიმიე...

ილია: ერთი მითხარ, ჩემო ივანე, არ არის თქმულება ის ვინ ყოფილა და რა გვარი, ან სახელი არ არის იმ ერისთავის?

ივანე: როგორ არა, თითონ ჩვენ სოფელში უცხოვრია და სახელიც ნუგზური რქმევია, ნუგზურივით ყოფილა შავი<sup>1</sup>. დღესაც ეტყობა იმის ნასახლარები და როცა კი იმ ადგილს გავთხრით, არ შეიძლება არ ამოცვივდეს: შუბები, წერაქვები, ნაჯახები, მძივები და ვინ იცის რა. იმის ნასახლარზე დღეს ცხოვრობენ პარკაულები.

\* \* \*

მოიტანა არჯევანმა ლვინო და დავსხედით ნაკრი-გორაზე, არა გვექონდა ქიქა არც ყანწი, რო ლვინო დავგესხა და დავგელია. ბოლოს მოვიგონეთ, რო ხურჯინში სადაც პური გველაგა გვექონდა წყლის დასალევი თიხის ჯამი;

— თუ მიირთმევთ ამ ჯამით ლვინოს ბატონო!

— რატო, რატო! დაასხით, დავლიოთ!

ივანე: რა თავა-დაბალია, ვინ თავადი და ასეთი, რამდენი თავადებია რო ჩვენთან ლაპარაკსაც არ კადრულობენ, არა თუ პურის ჭამას.

<sup>1</sup> ლაპარაკი უნდა იყოს ნუგზარ ერისთავზე (XVI—XVII სს).

## ილია ჭავჭავაძე

(მოგონებანი)

ეს იყო 1893 წ. სამასწავლებლო ინსტიტუტში ვსწავლობ. ვარ მესამე კლასში ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. დაირეკა ზარი. შემოვიდა დირექტორი დიმიტრი ვიკენტიევიჩ კალლოვიჩი. დინჯად და დარბაისლურად დაჯდა კათედრაზე უკვე ხანში შესული. სიჩუმეა. ჩუმად თვალს გვევლებს მოწაფეებს.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი დირექტორი არ იყო ცუდი კაცი. კარგად, მშობლიურად გვეპყრობოდა და კარგადაც გვინახავდა. იყო თავის დროის ლიბერალი.

მეცადინეობენ მოწაფეები. ზოგი გაკვეთილებს ამზადებს, ზოგი კითხულობს წიგნს. ორი თუ სამი მოწაფე განზე დგას და ლაპარაკობენ. „რას იპრანქებით ვილაც: რუსთაველიო, დაუწერია რალაც ძაღლის ტყავი—დიდი რამეა!“—ხმა მალღივ წამოიყვია შავრაზმიელმა ბუსლაევმა. ამ ხმაზე წამოვარდა შაქრო კანდელაკი, რომელიც კლასის ერთ კუთხეში იჯდა და წიგნს კითხულობდა, მივარდა გააფთრებული და შეუყვია: „რა დაუწერია?“

— ძაღლის ტყავი, რა იყო?—იყო პასუხი.

კანდელაკმა არც აცივა, არც აცხელა და ისეთი სილა უთავაზა ბუსლაევს, რომ უკანასკნელი გაიშხლართა იატაკზე.

ბუსლაევი გავარდა დირექტორთან საჩივლელად. კანდელაკი დაჯდა თავის ადგილზე და განავრძო წიგნის კითხვა.


როცა გამოვიძია საქმე, დირექტორს, ეთქვა ბუსლაევისათვის:

„არ უნდა შეურაცყოთ ერის სიამაყე“-ო.

კანდელაკს შერჩა სილა. იმ შავბნელ, უაღრეს რუსიფიკატორობის დროს სხვა დირექტორი ასე არ მოიქცეოდა, ასე არ შეხედავდა საქმეს. ამ საქმესულ სხვა ხასიათს მისცემდნენ და ვინ იცის, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჩვენი შაქრო კანდელაკი გამოეპნტრიშათ ინსტიტუტიდან „მგლის ბილეთით“.

ზის ეს ჩვენი დირექტორი, როგორც ვთქვით, კათედრაზედ და ჩუმად თვალს გვევლებს მოწაფეებს.

— დიად... წარმოთქვა კალლოვიჩმა ბოლოს, — ჩვენ, რუსებმა არ ვიცოდით, რომ ქართველებს ჰყავთ ასეთი დიდი ადამიანი, როგორც არის ილია ჭავჭავაძე. ასეთ კაცს, ჩვენ, რუსებმა ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს შემოგვავლო თვალი ქართველ მოწაფეებს.



ილია ჭავჭავაძე თავის ნაოცხავეებში.



— ეხლა მესმის—განაგრძო დირექტორმა,—ამის შემდეგ, თუ ილია ჭავჭავაძის დაწერილ რამეს წარმოადგენენ თეატრში, მითხარით და მე თვითონ გავგზავნი, მხოლოდ, რომ მოხვალთ, მიახებთ რა ნახეთ და რა გაიგონეთ—(საერთოდ ქართულ თეატრში არ გვიშვებდნენ).

ამის შემდეგ გაიმართებოდა თუ არა რამე წარმოდგენა, მაშინვე ვეტყობდი დირექტორს და ისიც გავგიშვებდა ხოლმე.

ერთხელ, ქართულ თეატრიდან რომ მივედი, მეორე დღეს გვკითხა დირექტორმა: აბა მიახებთ, რა ნახეთ და ვისი პიესა იყო. ჩვენ ვუთხარით, რომ ვნახეთ ილია ჭავჭავაძის პიესა „დედა და შვილი“.

კმაყოფილი დარჩა ჩვენი დირექტორი კალლოვიჩი და თავის ქნევით წართქვა: „ღიად... მესმის... მესმის!“—ო.

\* \* \*

აღმოსავლეთ-საქართველოს თავად-აზნაურობას ბანკის კრება აქვს. ქართული თეატრის დარბაზი, ყოფილი არწრუნის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე, საესეა ხალხით. თუ არა თავადი, ან აზნაური, სხვას არ შეუძლიან კრებაზე შესვლა. შემსვლელს თავად-აზნაურობის მანდატი (ბილეთი) უნდა ჰქონდეს. მე არა მაქვს, იმიტომ რომ, არც თავადი ვარ და არც აზნაური, მაინც ვიშოვე მანდატი ნაცნობების წყალობით და შევედი კრებაზე.

თეატრი საესეა ხალხით. აქ არის სერთუკებით და პიჯაკებით შემოსილი ინტელიგენცია, ეპოლეტებით მხარდამშვენებული, ჩინ-ორდენებით სამხედრო პირნი და სოფლიდან ჩამოსული ჩოხა-ახალუხში, ქულაჯაში გამოწყობილი, იარაღში ჩამსხდარნი თითქო სალაშქროდ მიდიანო,—თავად აზნაურები.

სცენაზე შიგნით დვას სამი მაგიდა. შუაში, მარჯვნივ და მარცხნივ. შუა მაგიდასთან სხედან ღენერალი მუსხელიშვილი, პეტრე გრუზინსკი და ერთი-ორი სხვა. მუსხელიშვილი თავმჯდომარედ არის. მაგიდასთან მარჯვნივ ზის ილია ჭავჭავაძე და ერთი-ორი სხვა კაცი. მარცხნივ მაგიდასთან ივანე მაჩაბელი და ორიც სხვა კაცი.

ქართლ-კახეთის მთელი თავად-აზნაურობა აქ არის. ხალხს ღელვა ეტყობა. აშკარად სჩანს, რომ ეს მთელი თავადაზნაურობა ორ ბანაკად არის გაყოფილი: ჭავჭავაძის მომხრენი. როგორც მაშინ ეძახოდნენ „ჭავჭავაძისტები“ და მაჩაბლის მომხრენი—„მაჩაბლისტები“. სხდომითაც-კი განცალკევებით სხედან.

ამ ორ ბანაკს შორის არ იყო კარგი განწყობილება. ატმოსფერა შეკუმშული იყო. ხან და ხან იქამდის გამწვავდებოდა ეს განწყობილება, რომ იარაღით იწვედნენ ერთი ერთმანეთზე „ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბლისტები“.

დარბაზიდან კიბე იყო აღმებული სცენაზე ასასვლელად. ერთი ლელო ანდრონიკაშვილი—ეს სახელგავარდნილი ხულიგანი, რომელიც ქეიფში შესული გაჩერებდა კონკას, ჩამოყრიდა ხალხს, ჩაჯდებოდა თავის დამქაშებით და უბრძანებდა კონდუქტორს გაერეკა ცხენები—გაექანა კიბისაკენ, რომ ასულიყო სცენაზე, მაგრამ დაედევნა რამდენიმე კაცი დარბაზიდან და ჩამოათრია ისევე ძირს.



ილია დუშეთის საზოგადოებაში 1872 წ.

გამოდინდნენ ორატორები. გამოვიდოდა რომელიმე ორატორი თუ არა, უკვე იცოდნენ მსმენელებმა ჭეჭეჭეჭისაკენ ილაპარაკებდა თუ მაჩაბლისაკენ.

გამოვიდა მიშო მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის მომხრე. ლაპარაკობს პათოსით, სხაპა-სხუპით, ილაპარაკა ნახევარ საათს მეტი თუ არა, არა ნაკლები. მისი სიტყვა იყო მჩატე, რახა-რუხით სავსე, როგორც იტყვიან თეატრალური. ბევრ ისრებს ესროდა მიშო მაჩაბელი ილიას, მაგრამ ილია იჯდა დინჯად, დარბაისლურად. იჯდა ისე, თითქოს ლაპარაკი მას არ ეხებოდა. ხელში ფანქარს ათამაშებდა და გულმოდგინეთ ყურს უგდებდა მიშო მაჩაბელს. როგორც იყო გაათავა მაჩაბელმა... ივანე მაჩაბლის მომხრეებმა ტაში დაუკრეს. მძიმედ, ნელინაბიჯით, ისევე დარბაისლურად, ხელში ისევე ფანქრით წამოდგა წინ ილია. დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა სმენად გარდაიქცა.

— ბატონებო,—დაიწყო ილიამ,—ჩვენმა მიშო მაჩაბელმა იმდენი აქენა თავ-ქვე ცხენი, სანამ საკუდური შემოაწყდებოდა... და შემოაწყდა კიდევ!..

იგრილა ხალხმა. სიცილ-ხარხარი, ტაში, „ვაშა“-ს ძახილი. ვინც ივანე მაჩაბლის მომხრენი იყვნენ, ისინიც კი იცინოდნენ. ივანე მაჩაბელს და თვით მიშო მაჩაბელსაც კი ეციინებოდათ და იქნევდნენ თავებს. ილიამ ამით უკვე გაიმარჯვა, მიშო მაჩაბელი განადგურდა.

ილია კარგა ხანი იდგა, სანამ ხალხი დამშვიდდებოდა. როგორც იქნა დამშვიდდა ხალხი. ილიამ განაგრძო სიტყვა, მაგრამ ძალიან მოკლედ მოსჭრა.

\* \* \*

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კრებაა. თავმჯდომარეობს ილია ჭეჭეჭეჭე. კამათია. ილიამ ერთ საკითხზე თავის მოსაზრება წამოაყენა:

— თქვე დალოცვილის შვილო, მაგას სად მივსწვდებით,—წამოიძახა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა ხალხიდან.

— ხოსიტაშვილო<sup>1</sup>, თუ ვერ მისწვდები, კიბე მიადგი,—უთხრა ილიამ. ხალხში სიცილი ატყდა. ევდოშვილი დავარდა თავის სკამზე, ჩაღუნა თავი და თვითონვე იცინოდა.

\* \* \*

1906—7 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოვებით. საღამოა. შემხვდა მეგობარი.

— არ მოხვალ? მომიბრუნდა მეგობარი,—დღეს 8 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში ქართველ ღვდღებს კრება აქვთ. ღვდღებს უნდათ გამართონ სრულიად საქართველოს სამღვდლოების კრება, მთავრობა ამის ნებას არ აძლევს და ამაზე იქნება სჯა-ზაასი. საინტერესოა, წავიდეთ.

— წავიდეთ,—ვუთხარი მე და გავსწიეთ.

სკოლის დარბაზი სავსე იყო ხალხით. ვინ ვინდა, რომ აქ არ იყო. იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირნი. კრება უკვე დაწყებული იყო. იდგა გაცხარებული კამათი. თავმჯდომარეობდა კრებას სიონის ტაძრის ბლალოჩინი

<sup>1</sup> ევდოშვილის ნამდვილი გვარია.



ილია ჭავჭავაძე 1880-1881 წ.

ტყემალაძე, დარბაზში იდგა გრძელი მაგიდა. კუთხესთან ვზივარ. დვას ხმაურობა. ხან და ხან სიცილ-ხარხარი. უცბათ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და კარებისაკენ იყურებოდნენ. ავღეკი შეც და გავიხედე კარებისაკენ. ვინ ვნახე?—ჩვენი დიდი, საყვარელი ილია.

დარბაისლურად, დინჯად მოვიდა ილია და დაჯდა ჩემთან ახლო; იმავე კუთხესთან, ისე რომ ჩემი მუხლი იმის მუხლს ეხებოდა. ბედნიერი ვიყავი, რომ იმასთან ვიჯექი ასე ახლოს. პირის პირ შევეცქეროდი იმ დიდებულ კაცს, რომელიც სახელოვანად წინ უძღოდა ხელში ლამპრით თავის ერს ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. შევეცქეროდი იმ ილიას, რომელმაც მისცა ხალხს: „აჩრდილი“, „განდევილი“, „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“, „კაცია აღამიანი?“, „ოთარაანთ ქერივი“ და სხვა: ამ ნაწარმოებზე აღვიზარდებით, ამ ნაწარმოებებმა ჩაგვიწერეს დავრდომილისა და სამშობლოსადმი სიყვარული. შევიგენით კლასთა წინააღმდეგობა, ბატონისა და ყმის ურთიერთობა.

— განავრძეთ. რას გაჩუმებულხართ?—მიუბრუნდა ილია, ტყემალაძეს.

დაიწყეს ლაპარაკი. ილია იჯდა დინჯად. თითებში პენსნეს ატრიალებდა და გულმოდგინეთ ყურს უგდებდა ყოველ მოლაპარაკეს. მისი გაშლილი მაღალი შუბლი არც იშლებოდა, არც იკუმშებოდა, მისი დიდრონი ქვეიანი და გამომეტყველი თვალები უყურებდნენ მოლაპარაკეს ისე, თითქო უნდა ჩაძვრეს მის გულში და ამოიკითხოს იმის გულის ნადებიო.

სიჩუმე ჩამოვარდა. აღარავინ ლაპარაკობს. წამოდგა თავმჯდომარე ტყემალაძე და მიჰმართა ილიას:

— ბატონო ილიავ; მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა, დავგარიგეთ, გვითხარით როგორ მოვიქცეთ?

ილიამ დასდო პენსნე მაგიდაზე და სთქვა:

— გული სუსტი მაქვს, ბევრს ვერ ვილაპარაკებ, აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული, ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფის მოადგილეს, მიმართეთ თვით მეფეს და, თუ არაფერი გამოვა, არა უშვავს-რა, ერთი-ორი მათრახი თქვენ ანაფორებსაც მოხვდესო.

ბევრმა ხანმა არ გაიარა, სულ რამდენიმე დღემ—ღედლები შეიკრიბნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, მცსვივდნენ ყაზახები და ერთი ორი მათრახი-კი არა, სულ ბურტყლი აადენინეს მათ ანაფორებს.

## ამონაწერები ზაქარია ყიფშიძის კარგო წერილებიდან

ალ. ყიფშიძე (ფრონელი) სწერს ტფილისიდან მოსკოვს თავის ძმას,  
სამხედრო ხასწავლე<sup>1</sup>ლის მოწაფეს ზ. ყიფშიძეს:

23 ოქტომბერი, 1893 წ.<sup>1</sup>

... „ახლა აქაური ამბავი: ამ თვეში ილიამ დაიწყო მოგზაურობა ქართ-  
ლში. მე ილიას ვადარებ ადმირალ აველანს და ჩვენ წვრილმანობას მის შტაბს.  
ვიყავით ს. ახალგორში თ. ნ. ერისთავთან (ლექსების მკითხველთან) ილია,  
მეველე, ალ. ჩოლოყაშვილი, ლ. ჯანდიერი, გიგა<sup>2</sup> [ყიფშიძე], ან. ლულაძე და  
სხვანი. დიდის ამბით მივიღეს. ეზოში სკოლის შევირდებმა უმღერეს „ტყეს  
ესხმება ფოთოლი“ (ნუ დაივიწყებ, რომ ახალგორში სულ სომხები არიან) და  
„ქართველო ხელი ხმალს იკარ“. ვიდრე სახლში შეველით, მიგვიწვიეს პატარა  
ტურფა კარის ეკლესიაში, სადაც ადვილობრივმა ღვთაებმა (წარმოიდგინე ჩემი  
ამხანაგი აღმოჩნდა) „რეჩი“ უთხრა და აკურთხა ილია და მისი შტაბი.

მდგომარეობა ნ. ერისთავისა ნამდვილი ფეოდალურია, ეზოს ქვის გალა-  
ვანი არტყია და შიგ ხუთი ციხეა. ვნახეთ აგრეთვე გზაში ოძისი, შეწირული  
მეორე ერისთავის მიერ სათ.-აზ. სკოლისთვის. აქ უშველებელი დარბაზია.  
საზოგადოთ ქსნის ხეობა ტურფაა, როგორც ჩვენი სამშობლო. ვნახე აგრეთვე  
მდგომარეობა მუხრან-ბატონისა, მისი შესანიშნავი მარანი, ორ ეტაქათ ჩაშვე-  
ბული ღვთაებში, სადაც დაცულია 400.000 მან-ად ღირებული ღვინო. სადი-  
ლად ვიგემე ღვინო, დაყენებული 1874 წელსა.

მეორე კვირას წავედით ყიფიანთში ს. ქვიშხეთს. დიდი ამბები იყო აქაც.  
დიმიტრი ყიფიანის სახლში, საუზმის დროს იმდენი „რეჩები“ ითქვა, რომ სმე-  
ნით დავიღალე. ილიამ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ დასვენებით, მოკლედ და მკა-  
ფიოდ. Он производит неотразимое впечатление. ან ვინ გადურჩება დაუმო-  
ნებელი, მის გონიერ ლაპარაკს, ახდის შუბლს და მშვენიერ, წყლიან თვალებს.  
მაკინე<sup>3</sup> კინალამ ვადამერია. მართლა ესენი (სარდ.<sup>4</sup>) ახალგორშიც იყვნენ.  
ქვიშხეთიდან დიდის ამბით გამოგვაცილეს, ბარბარინოს სადგურამდინ ასი ქალი  
და კაცი მოგვყვა. ილია დიდათ ნასიამოვნები დარჩა. არ მოელოდა. იულიაც<sup>5</sup>

<sup>1</sup> წერილში წელიწადი არაა აღნიშნული, მაგრამ საპასუხო წერილით ირკვევა მოყვანი-  
ლი თარიღი.

<sup>2</sup> გრ. ყიფშიძე.

<sup>3</sup> და <sup>4</sup> მაკინე, მეუღლე სარდითნ ამირეჯიბისა, სოფ. სალოლაშენის მემამულისა.

<sup>5</sup> იულია მეუღლე ს. წვერის მემამულის ა. კალატოზაშვილისა ორთავე ოჯახებში მუდამ  
გულთბილათ იღებდნენ ქართველ ლიტერატორებს და საერთოდ ინტელიგენციის წარმომად-  
გენელთ.

ქვიშხეთს იყო და მერმე ამან გაგვიწვია ს. წვერს, სადაც ხეალ, კვირა დილას მივიღვართ. მოგვდევნ აგრეთვე პეტრე და მიხეილ გრუზინსკები, ბატონიშვილები. ხელად იულოა, წინააღმდეგი ილიასი, დამწუნებელი „განდევლისა“ „დ. თავდადებულისა“, რა ამბებშია. იქიდან სალოლაშენში ჩამოვივლით“.

2

**იგივეს წერილი იმავე ადრესატს, 14 ნოემბერი 1893 წ.**

.... „მართლა დიდი ამბები იყო აბელის<sup>1</sup> ახალ სახლებში. იულოა, რომელიც ამას წინად „განდევლის“ კრიტიკას უკეთებდა, სულ „რეჩებს“ და ხოტბას ასხამდა ილიას. ილიამ შესანიშნავი სიტყვა სთქვა შესახებ „სვინდისისა“. დიდი შთაბეჭდილება იქონია მსმენელებზე. ილია საშინლად აღელვებული იყო. და დიდის დალაგებით, მოხერხებით, გრძნობით და გამპრიახობით ლაპარაკობდა. აგრე მოლაპარაკე თითქმის არ მინახამს ილია. ვერ მივხვდი დღესაც, რა არის ამის მიზეზი. ასე დაასკვნა: ნამუსიანმა კაცმა ყელიც რომ გამოიმკრას, არ მეწყინება, რადგან ამას ნამუსი და სვინდისი ეუბნება, გულწრფელათ არის დაჯერებული, რომ მე მავნე კაცი ვარ და ქვეყნისათვის საპიროა ჩემი მოშორება. ეს იმისი რწმენაა გულწრფელი და გულწრფელი კაცისაგან, შეიძლება სცდებოდეს, მაინც არ მეწყინება. მაგრამ უნამუსო კაცს სიტყვის თქმასაც უმართებულოდ არ ვაპატივებ, ის იმეორებს სხვის ნათქვამს და ამისათვის იგი მავნე [დამაშასადამე ღირსია სასჯელისა, ხომ მიხვდი სადა სცემს მათრახებს...“

3

**იგინივე იქვე, 22/1 1894 წ.**

... „პირველ იანუარს სალოლაშენში ვიყავით. ილიაც წამოვიდა. იქიდან ხვედურეთს ვავედით. ქეიფი და „რეჩობა“ ძალიანი იყო. ილიამ მოახდინა იქაურ საზოგადოებაზე „Неотразимое впечатление“...“

გიგზავნი „ივერიას“. მართლა როგორია „ივერია“ მეველეს რედაქტობით. მე გული ამიცრუვა მაგ კაცმა, ისე უხეირო მუშაკი ყოფილა. თითქმის ორი თვე აღარ მიწერია და წარსულ კვირას, როცა ის ავად გახდა, ხუთი წერილი ზედიზედ დავწერე. ჩეხიაზე კიდევ მიეარტყი მეველეს და ილიამაც უბრძანა მეველეს, ჩემს წერილებს ხელი არ ახლოს ხოლმე“...“

4

**ანდრო ნადირაძე<sup>2</sup> წ. ყ-ხ სოფ. სალოლაშენიდან მიხკოვს 5/2 1894 წ.**

.... „ამ დროს მოუვიდათ (ამირეჯიბებს.—ზ. ყ.) ქალაქიდან საშას (ალ. ყიფშიძე. ზ. ყ.) წერილი, რომ ილია მოდის და ჩვენც კარგად ბლომად ხალხი მოვდევთო. რასაკვირველია დიდის ამბით მიიღეს ილია, მეველე, საშა, გიგა, გრ. აბაშიძე, ყიფიანები და სხვა. დარჩნენ ორი დღე და მესამე დღეს ხვედურეთში პოსტრენიკმა (ციციშვილ.—ზ. ყ.) გაიწვია. ამ დროს უსახელო წერილები მოსულან ლანძღვა-გინებისა ილიაზე, იმიტომ დაეხეტები ქართლში, რომ მეკენ-

<sup>1</sup> იხ. შენიშვნა 5.

<sup>2</sup> მაშინ სემინარიაში მომხდარ არეულობის გამო გამოვადებული, შემდეგ ვეტ-ექიმი და ორიოდე პატარა მოთხრობების ავტორი.

ქეები გინდა იშოვნო შე ასეთ-ისეთოო.<sup>1</sup> მაკინემ თავის სიმღერებით ძალიან ასიამოვნა ილია, რომელმაც ფეშქაშად გამოუგზავნა თავის ნაწერების ოთხი ტომი და ზედ დააწერა: „რაც სიტყვას აკლდეს ბუნებით თქვენმა ხმამ შეასრულოს“.

5

სონა ედილაშვილი<sup>2</sup> მახვე, მოსკოვს, 10/2 1894 წ.

... „მოვიცადა იანვარში თიღვაში წასვლა, რადგან სახალწლოდ ილია მოვიდა თავის „პეჩეტით“, ესე ეძახდნენ თავიანთ თავს, ყველა ილიას-პეჩეტები ვართო, ეგ კი ჩვენი არქიელიაო“...

6

ალ. ყიფშიძე წ. ყ-ს ტფილისიდან მოსკოვს,  
16—18/5 1894 წ.

... „აქაური ამბები ბევრია, მაგრამ როგორ ანუსხამს ადამიანი პატარა-ბარათში. ბანკობიანობა გაჩაღებულია, ივერიიდან შეიტყობ ბეცრსა, თუმცა ანგარიში უწნოდ არის შედგენილი. მაჩაბელს დიდი დასი ყავს, მაგრამ მგონი ვერ გაიმარჯვებს. კამათობაში კი ტყავი გააძრეს საცოდავს, არც მიშა დარჩა გაუწეწელი. ორატორები არ ყავთ, ილიას კი შეიღი-რვა კაცი, აბა რას ვახდებ-საცოდავი ვანიჩკა. Он мне напоминает отравленного волченка. ხეალ ზედ გათავლება კამათობა და არჩევნებიც იქნება“...

7

ლადო ედილაშვილი წ. ყ-ს გორიდან მოსკოვს, 12 აპრილი 1895 წ.

... ყველიერში საშინელი კრივები იყო, მთელი გორი ფეხზე იდგა-აქ იყვნენ საცქერლად მთელი რედაქციის წევრები: ილია, მეველე, გიგო, საშა და სხ...  
და სხ...

8

ალ. ყიფშიძე წ. ყ-ს ტფილისიდან ოზურგეთს, 18/II 1899 წ.

... „თუ არ ვცდები, პალიკო ყიფიანს<sup>3</sup> კარგად იცნობ (აქ დაწერილებითაა ნაამბობი მის მიერ, ბაქოში ბანკის ფულის გაფლანგვის შესახებ.ზ.—ყ.) კაცი წყნარი, ჩუმნი, კარგი ამხანაგი, განვითარებული და ფულების გაფლანგვა! ქალაქის თამაშმა ეგ იცისო, ნიშნს გვიგებენ. განა და ილია არა თამაშობს-ქალაქდსა, მაგრამ სალი კლდესავით მაგრა სდვას, საზოგადო კუთვნილებას-მოწიწებითა უყურებს და არწივით იფარავს მობარებულს ქონებას“...

<sup>1</sup> იქამდის იყო გამწვავებული ბრძოლა ორ ჯგუფს შორის, რომ როცა ორი მეზობელი ოჯახის წარმომადგენლები; კალატოზიშვილები (მაჩაბლის მომხრენი და ამირაჯიბი ილიასი) დაბრუნდნენ სოფელში არჩევნების შემდეგ, ერთმანეთთან უბრაოდ იყვნენ მთელი ორი თვე.

<sup>2</sup> ერთ დროს ქართული თეატრის მოლარე.

<sup>3</sup> მაშინ დამოგდებული სენინარიელი, შემდეგ პედაგოგი.



9

**იგვე მასვე. ტფილ. ოზურგეთს, 7/2 1900 წ.**

... „მართლა ამ საგნის შესახებ (დაწვრილებითაა ნაამბობი, რა გარე-შობაში იბეჭდებოდა მისი წერილები ახალქალაქის მაზრაში მომხდარ მიწის-ძვრის შესახებ და როგორ შეხვდა საზოგადოების სხვადასხვა წრე.—ზ. ყ.) ისიც უნდა ვითხრა, რომ თვით ილია ჭავჭავაძემ მებეჭებოდა სწერეო. აი ნამდვილი გამარჯვება—თვით ილია მოეხარე. ეს რა არის, ერთის თვის წინათ მითხრა... (დასახელებულია პიროვნება) მომივიდა შენი წერილების შესახებ და არ მინდა დაბეჭდო. შევებეწე. გოხოვთ, რომ დაბეჭდოთ მეტი და მაშინ ელირსა ნათელსა ის საცოდავი წერილი“.

10

**იგვენი 3/5 1900 წ.**

... „შაბათს საღამოს ილიასთან წაველი აღდგომის მისაგებებლად ძველის ჩვეულებისამებრ, კარგა ხანია ეს ბედნიერი დღე მასთან არ გამიტარებია, მინდოდა უკანასკნელად<sup>1</sup> დაემტკებარიყავ დიდებული მოხუცის ცქერით. მართლაც დაეტკბი, გულით გიმხიარულე და ბოლოს გამოთხოვების დროს შეილივით ვეამბორე. ასეთი სიაშოვნება ჩემთვის დაუფიწყარი იქნება და მიხედვები, რა ნაირად გულმოსაკლავია და გულდამწყვეტი ის უშმაწური სიტყვები ილიას შესახებ, რომლის ნიმუშებიც შენ მომაწოდე. აქაც გაისმის მაგისტანაები კანტი-კუნტად და ერთნაირად მოქმედობენ ჩემზედ... (აქ გამოსათხოვებელ გამართულ სადილ-საღამოებზეა ლაპარაკი.—ზ. ყ.) ლევან ჯანდიერის ჩემთვის გამართულ ვახშამზე, ილიამ სთქა. [ილია ყველგან ესწრება], კვირაში ერთხელ შევიკრიბნოთ ხოლმეო, ჩვენს გაჭირვებაზე ვილაპარაკოთ ხოლმეო და ამ საღამოებს საშას სახელი უწოდოთო. ეს ამბავი გინდა დაიჯერე, გინდა არა, ნამდვილი კია...“

11

**იგვე მასვე. ახალციხიდან პეტერბურგს, 19/12 1902 წ.**


... „წელს (ახალციხის—ზ. ყ) საქალეო სკოლისათვის 300 მ. ვთხოვე თავადაზნაურობას. ორატორებმა: ილია ჭავჭავაძემ, მიშო მაჩაბელმა... სთქვეს, რომ 10000 მ. ცოტააო. თუ მხოლოდ ხ თხოულობს—ეს ამტკიცებს „Скромность просителя“. ილიას სიტყვებია (500 მოგვეცეს) განა ეს ცოტაა? ეროვნული გრძნობა იზრდება... ეს დიდი პლიუსია...“

12

**იგვე მასვე. პეტერბურგიდან ტფილისს, 4/4 1906 წ.**

... „ამბებს ჩემს შესახებ შენგან ველი (ხმები დადიოდა მაშინ, რომ მას და სტაროსელსკის სამხედრო სამართალში ამღევენო.—ზ. ყ.) ილიამ მისაყვედურო

<sup>1</sup> ახალციხეში იყო გადაყვანილი სამსახურში და იქ უნდა წასულიყო იმ დღეებში.



ილიას კარმელ ამო უყარულში

რატომ არ მომწერე, მე გავიგებდიო... აქ ჩამოსულმა ილიამ, მიქელაძემ და მიშა გელდევანოვმა გადამიკრეს—რატომ არ უნდა ვიყარო კენჭი დეპუტატობაზე-დავფიქრდი და გადავწყვიტე... „სკრომობამ“ გააპირვა საქმე“.

13

**იგივე მასვე. პეტ. ტფილისს, 18/4 1906 წ.**

...ამ სამი ოთხი დღის წინად ერთი ფელეტონი იყო „სტრანაში“ ჩვენებურ სატრაპების შესახებ წაიკითხე. მ. კოვალევსკის ფელეტონი იყო ილიას შესახებ. თუ ვერ შოულვობ „სტრანას“, მომწერე და გამოგიგზავნი ხოლმე... ილიამ და ვ. მიქელაძემ ფურორი მოახდინეს აქა, ყველაზე<sup>1</sup> ლიბერალები, ყველაზე მოწინავენი ეგენი აღმოჩნდნენ. დანარჩენი შენ იანგარიშე“...

14

**იგივე მასვე. პეტერბ. ტფილისს, 5/5 1906 წ.**

... „ხვალ დღით აქ ჩამოვა ილია, სადგურზე შეებვდები და ყველაფერს გავიგებ ჩემი საქმისას. დამპირდა—შეგიტყობ ტფილისში რას გიპირებენო (სასამართლოში მიცემის შესახებ.—ზ. ყ.) ვფიქრობ წამოსვლას ესე 10 მაისს... თუ გადავაცილე... ბევრი-ბევრი ორი-სამი დღე. ალბათ ილია და კირიონი გამაჩერებენ. ამათთვისინ საჭირო ვიყავი...“

15

მიწერ-მოწერაში აღმოჩნდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სადარბაზო ბარათი, რომელზედაც ილიას ხელითაა (უთარილოდ). „ანტონ, სადილად ჩემთან მოდიო. რაღაა, რას უტედიო?“

შემდეგ ალ. ყიფშიძის ხელითაა დაწერილი: „ილიამ ჰკითხა ალ. ჩოლ.-ს მიღლის ლოლიკა არ გაქვსო? მაქვსო. სხვა ლოლიკა არა გაქვსო? ჩემი მაქვსო, მაგრამ როგორ გაკადროო.“

დ. ჭავჭავაძე. ილიამ სთხოვა სიბრძნე-სიცრუის წიგნი. პასუხი: სიბრძნეს რუსეთში ისწავლიდი და სიცრუეს აქ ისწავლი“.

რედაქციისაგან: ხსენებული მასალები რედაქციას მოაწოდა აწ გარდაცვლილმა ჭაჭარია ყიფშიძემ.

<sup>1</sup> სახეში ჰყავს სახ. საბჭოს წევრები.

პირობი პიკნიშვილი

ი ლ ი ა ს თ ა ნ

მე ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო ოთხ-კლასიან სასწავლებელში, სადაც ზოგ საგნებს გავდიოდით ქართულად, მასწავლებლებლად გვეყვანდა ვასო რცხილაძე და ზაქარია კანდელაკი.

ვსწავლობდით ილიას ნაწერებს, პოემებს ზეპირად, მოთხრობებისას კი შინაარსს.

მახსოვს, 1892 წ. თვით ილია და იაკობ გოგებაშვილი დაესწრნენ ჩვენი კლასის გამოცდას და კმაყოფილნი დარჩნენ.

გაზ. „ივერიას“-ს დღიდან არსებობისა ჩვენს სასწავლებელს მუდამ ორ ექზემპლიარს გვიგზავნიდა უსასყიდლოდ. ერთხელ, „საშობაო“ დათხოვნის დროს მამას წაუკითხე „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „ღიმიტრი თავდადებული“. ამ ნაწერებმა მამა ძლიერ მიიზიდა და მთხოვა ამის დამწერი მაჩვენეო“. 1893 წ. ჩამოვიდა მამა თბილისში ჩემთან და გამიმეორა—„გლახის ნაამბობის“ და „კაკოს“ დამწერი უნდა პირადად მაჩვენოვო! ამ დროს ილიას არ ეცალა „ბანკოვიდის“ გამო. მაშინ დიდი იერიში მიიტანეს ილიაზე, უნდოდათ საბანკო არჩევნებში მისი გამოშვება. მახსოვს, რომ თვით გორის მაზ. თავ. აზნ. წინამძღოლი კ. თუმანიშვილი მოვიდა ჩვენს სოფელში, და ჩვენებურს აზნაურებს ფული დაურიგა: ოღონდ წამოდით და შავი კენჭი მიეცით ქავეკაძესო. მიზეზად ასახელებდა ვითომც ილია კახელებს ბევრს ფულს აძლევდა და ქართლებს ნაკლებს სათაე. აზ. ბანკიდან და სხვა. ხალხი ქართლიდან ტივებითაც კი ჩამოიყვანეს.

ამრიგად, მაშინ მამაჩემი ილიას უნახავი დაბრუნდა სახლში.

1894 წ. მამაჩემი კიდევ ჩამოვიდა და მაშინ კი ღირსი გახდა ენახა ილია „ივერიის“ რედაქციაში. ილიამ სიამოვნებით მიიღო მამაჩემი და გამოპკითხა მიზეზი ნახვისა. მე მამაჩემს ჩამოვართვი სიტყვა და მოვახსენე მისი გულის წაღილი. პირღიმილით შეეკითხა: რომელი უფრო მოგწონს ჩემი თხზულებიდანო? მამამ დაუსახელა „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ და უამბო შემდეგი, რასაც ილია გულმოდგინედ უსმენდა: „ნ წლის წინათ ბატონყმობის გადავარდნამდე ჩვენმა ბატონმა ამილახვარმა მამაჩემს მოურავი გამოუგზავნა მკათათევში, ერთი საპალნე ხორბალი პური მომართვიო! მამაჩემმა უარი უთხრა. მეორე დღეს თავადი ამალით მობრძანდა და ჯაშუსის წყალობით იპოვნა ორმო, საიდანაც ჩვენი საზრდო პური სულ წაიღეს. მამა კი თურმე გაატიტვლებინა, და ურმის თვალზე მიაკერევიანა, რის შემდეგაც უსასტიკესი სასჯელი ვერ გადაიტანა და მოკვდაო.

როცა დავეთვა ცდიო, დედაჩემმა მოიწადინა ჩემი ცოლის შერთვა და ვე-  
ახელით ბატონს ს. კვაობითში ნებართვის ასაღებადო (ნებართვის აღებას უნ-  
დოდა 25 მ. ოქროთი ეგრეთ წოდებული „საჩქეპე“) ბატონი ფულზე დაგვყა-  
ბულდა, მხოლოდ პირველ ღამეს პატარძალი ჩემთან უნდა მოიყვანოვო“. ამაზე  
მე ცივი უარი უთხარი, ის კი დამემუქრა: აბა წადი და ცოლი შეირთე და მე  
სერის ვაჩვენებ იმ ღედელს, რომელიც ჯვარს დაგწერსო. იმ საზიზღარმა და  
წყვეულმა მაიძულა, რომ იგი ჩამეძალეებინა, იმავე წელს, რის გამოც 5 წელი-



ილია ჭავჭავაძე დუშეთის საზოგადოებაში 1872 წ.

წადი სასჯელი მომახდევინეს ციმბირშიო. გაბრო და კაკო ჩემი ღვიძლი ძმები  
არიანო როცა დაებრუნდი ციმბირიდან და ჯვარი დავიწერე, სწორეთ იმ დღეს  
გორში გამოაცხადეს ბატონყმობის გადავარდნაო“ (1864 წ. 8 თებ).

მამაჩემის ნახვა ილიას მეტად მოეწონა, მერე ფული ამოიღო და მისცა  
მამაჩემს; საღამოზე ქართული თეატრია, შენი ვაფი და შენ წამოდიითო. იღგმე-  
ბოდა „სამშობლო“ დავით ერისთავისა. მე კიდევ მიბრძანა, წავსულიყავ ქ. შ.

წ. კ. გამავრც. საზ. მალაზიაში შიო მღვიმელთან და მიმელო მთელი მისი თხზუ-  
ლებანი უსასყიდლოდ. გამოემშვიდობა, აკოცა მამას და სთხოვა, საგურამოში  
მეწევე ილიაობასო.

წაფიყვანე მამა თეატრში. „სამშობლოში“ მამაჩემს ძლიერ მოეწონა სვი-  
მონ ლეონიძე, — მხოლოდ ქეთევანმა კი მეტად ააღელვა. რამდენიმე დღის შემ-  
დეგ მამა დიდათ ნასიამოვნები დაბრუნდა სოფელში და მალეც გარდაიცვალა.<sup>1</sup>

სოფ. თორტიზა (გორის რაიონი)  
1936 წ. 15 სექტ.

<sup>1</sup> მასალა ამოღებულია კერძო წერილიდან გიორგი ლეონიძისადმი.

## ლუარსაბ ხელაძე

### ვინ იყო დ. ჯაში?

დ. ჯაში იყო ერთი უბრალო ასოთამწყობთაგანი. დამთავრებული ჰქონდა მხოლოდ ჩოხატაურის სამკლასიანი სკოლა. 17 წლისა იქნებოდა, როდესაც იგი ჩამოვიდა ტფილისში და შევიდა შეგირდათ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, ამოირჩია ასოთამწყობის დარგი. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე კარგი ასოთამწყობი იყო და მუშაობდა ვაზეთზე „Тифлисский рабочий“, რომელიც გამოდიოდა იმ ხანებში, ე. ი. 1901 წელს, ნიკო ელიავას რედაქტორობით, იბეჭდებოდა ნ. თამაშვეის სტამბაში.

სულ ეს იყო მისი სტამბებში მუშაობის სტაჟი.

შემდეგ რამოდენიმე ხნისა, რაღაც პროვოკაციული საქმის მოწყობისთვის, ის ჩავარდა მეტეხის ციხეში. ამისათვის მიუსაჯეს მას ორი თუ სამი წელიწადი ციხე, სასჯელის მოხდის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, ჯაში კიდევ ხელახლა მოხვდა ციხეში, მხოლოდ ამ ჩავარდნით მან ჩაითრია თან რამდენიმე კაცი, რომელთაც მოახვია თავზე ვითომცდა ბომბების დამზადება ვორონცოვის ხიდის ყურში არსებულ ერთ-ერთ ნომრებში.

ამ საქმეში, რასაკვირველია, მან სხვები გახვია, და თითონ კი რამდენიმე დღის შემდეგ, გამოშვებულ იქნა ციხიდან.

დ. ჯაშისთვის ციხე უკვე საშიშო აღარ იყო, რადგან იმდენად დახელოვანდა და იმდენად შეითვისა იქ ჯდომა, რომ ციხეში ჩავარდნა მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. თუმცა, რომ თქვას კაცმა, ამ მახინციებიტაც ფონს ვერ გადიოდა და მშვიერი იყო.

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, დ. ჯაში უკვე კარგად ჩაცმული დადიოდა გარეთ და უფულობა აღარ ეტყობოდა. დ. ჯაში თანამშრომლობდა მხოლოდ გაზ. „Москов. Вед.“ და „Петербургск. Вед.“-ში. მის თანამშრომლობას ამ ვაზეთებში შეადგენდა განსაკუთრებით მთავარმართებლის ქება-დიდება. ფსევდონიმი მისი იყო „Джигит“ და სხ.

გარეგანი შეხედულებით ვერ შეატყობდით—ეს კაცი თუ რამეს წარმოადგენდა, ან მოახერხებდა, მაგრამ სწორედ ეს სამკლასიანი ადამიანი იმდენად მკერმეტყველი და გამჭრიახი იყო, რომ თავისი მოქნილი ენით დაწერილ ქება-დიდებას განცვიფრებაში მოჰყავდა, როგორც კავკასიის მეფის მოადგილე, აგრეთვე მისი თანამოაზრენი.

ერთ გაზაფხულის საღამოს მოვიდა ჩემთან სახლში უზნის ზედამხედველი და მითხრა, რომ პოლიცემისტერი გიბარებს და ამ საათშივე უნდა გამოცხადდეო. მიველი. მაშინ პოლიცემისტერად იყო—ზასიპკინი. მან მითხრა: „თქვენ, როგორც ციხეში მოსამსახურე, დ. ჯაშს უნდა იცნობდეთ, როგორმე უნდა

იპოვნო და გამოვიგზავნო საჩქაროთო.“ მეორე დღეს ვნახე ჯაში და გავუგზავნე. გავიდა დრო. რამოდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ჯაში და როგორც დინტერესებულმა ვკითხე: რაზე დაგებარა პოლიცემისტერმა მეთქი? ცოტათი შეყოყმანდა, თითქოს არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ განმეორების შემდეგ მითხრა: „პოლიცემისტერმა მითხრა, რომ მეორე დღეს, თორმეტ საათზე, გამოცეხადღე აუცილებლად ნამესტნიკთან, ვორონცოვ-დაშკოვთან, მე ძალიან შეეფიქრიანდი, თქვა მან, მაგრამ რა უნდა მექნა, წაუსვლელობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ტანისამოსი არაფერი მქონდა შესაფერისი და ეს ძალიან მაწუხებდა. ბოლოს გადავწყვიტე ქირით ამელო მალაზიიდან (იმ ხანებში ამნაირი მალაზიები არსებობდა). მეორე დღეს გაწოვწყვე ფრაკში და მიველი სასახლეში—მაგრამ შესვლა არ გინდა? აველი კიბეზე, შევიხედე მისაღებ ზალაში და თვალები ამიჭრელდა სხვადასხვა სანახაობებით.

კანცელარიის დირექტორმა, ალბათ იცოდა, ვინც ვიყავი, რა ვიყავი და მომცა ადგილი, სადაც უნდა ვმდგარიყავ. მე გოცეხული ვიყავი ამ სანახაობით. ჩემ დღეში არ ვყოფილვარ დიდრონ პირებთან და არც ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავ. ზალაში იდგნენ გაყოფილი ორ რიგად: ერთ მხარეს სამხედრო პირები იყო ჩამწყრივებული და მეორე მხარეს სამოქალაქო ჩინის პირნი. მე ვიდექი ზალის შუა ადგილას, მაგრამ ველავდი და სულ ვკანკალობდი. ამ დროს გამოდის ზალაში მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი, თავის ამალით და ყველას ესალმება იქეთ-აქეთ. ამ დროს ჰკითხულობს: „А где Джигит? (ფსევდონიმი ჯაშის) რომ უჩვენეს ჩემზე, წამოვიდა მეფის მოადგილე ჩემკენ მოსასალმებლად და მე როგორც გამოუცდელმა, არ ვიცოდი დიდრონ პირებთან შეყარის წესრიგი—დაუჩოქე და თავყანი ვეცი, თუმცა ასე არ უნდა მოვექცეულიყავ. მეფის მოადგილე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამაღო და მითხრა: „ჯიგითი“ თქვენა ხართ მოსკოვისა და პეტერბურგის უწყებებში, რომ სწერთ ჩემზე? მე დაუვდასტურე და შემაქა: „ყოჩაღ, ყოჩაღ, სამშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარო“ და სხვა. მთხოვა განმეგრძო მუშაობა დიდი რუსეთის საკეთილდღეოთ, მომაგონა აგრეთვე ვაზ. „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი დიდი ფელეტონი, „ჯიგითი“-ს ფსევდონიმი, რომელიც შეეხებოდა, სხვათა შორის, თათრების მიერ ჩენი სახელმწიფო საზღვრების შერყევას და ბოლოს ვამთავრებდი „Но от зорьких глаз заместника Кавказского ничего не улизнул“, ე. ი. დროზე იყო შემჩნეული ნაკლი მეფის მოადგილეს მიერ, რაც სასწრაფოდ აღდგენილი იქნა.

ეს უნებლიეთი ჩემი „ვიზიტი“ დამთავრდა. წამოსვლისას მოვიდა ჩემთან კანცელარიის დირექტორი და მითხრა: „დღეს თქვენ ჩენი სტუმარი ხართ და გთხოვთ მობრძანდეთ რესტორან „ანონაში“ საღამოს 5 საათზე“. მე სირცხვილით უარი ვერ უთხარი და მივეცი სიტყვა.

წაველი სახლში. გამოვიცვალე ფრაკი და პატრონს ჩავებარე. საღამოს ჩაველი „ანონაში“, დავიარე ყოველი კუთხე რესტორანისა, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი ცალკე ოთახი იყო, სადაც ლაქიებმა არ შემისვეს, მითხრეს: აქ დიდი პიროვნებები არიან, შენი აქ შესვლა არ შეიძლება და რა მექნა დავაპირე უკან წამოსვლა, რადგან უკვე დავვიანებული იყო. ამ დროს



მეფის მოადგილის კანცელარიის მოსამსახურეთა ერთ-ერთმა მოსაძიებელთაგანმა კარი გააღო და ოფიცინანტს დაუძახა, აქ ერთი სტუმარი უნდა მოსულიყო ჩვენთან და სად არისო. მაშინვე დამინახეს და საყვედური მითხრეს, რომ დავიგვიანე, თუმცა-ლა ჩემი ბრალი არ იყო, მაგრამ ოფიცინანტებმა ჩემი სტუმრობა მათთან სირცხვილად მიიჩნიეს, ასე თუ ისე შეუდექით პურისქამას. ჩამოვარდა ლაპარაკი სწავლა-განათლების შესახებ. მე მომიბრუნდა მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი და მეკითხება: რომელი უნივერსიტეტი დაასრულე?— ჩოხატაურის უნივერსიტეტი-მეთქი, უპასუხე მე. დირექტორი ცოტა არ იყოს გაშტერდა, როგორც უმაღლეს კურსს დამთავრებულს ჯერ ამ სახელწოდების უნივერსიტეტი მას არ გაუგონია და ხელმეორედ შემეკითხა: უკაცრავად, ვერ გავიგონე, რომელი უნივერსიტეტი დაასრულეთ? მე ვეღარ მოვითმინე, გამეცინა და უთხარი, ჩოხატაურში არავითარი უნივერსიტეტი არ არის, არის, მხოლოდ სამკლასიანი სოფლის სკოლა, რომელიც ჩემთვის უნივერსიტეტიც იყო და სკოლაც.

ამაზე ბევრი იცინეს, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ თუ მე მხოლოდ სამკლასიანი ვიყავი. ბევრი ხუმრობის და სიცილის შემდეგ, გავათავეთ პურისქამა და დავიშალენით. იმ ხანებშივე მომანდევს მუდმივი მეთვალყურეობა გერმანელთა კოლონიებისა, (ეკატერინენფელდი, ლიუქსემ: ურგი, ელენენდორფი) მქონდა მოცემული წინადადება თხიხელი ყურადღება მიმიქცია მათთვის“.

ზემომოყვანილი ამბავი და მოქმედება, თვით დიმიტრი ჯაშის ნაამბობით, გვიბადებს უამრავ ეჭვებს მის ბოროტმოქმედებაზე ილიას მკვლელობის შესახებ.

\* \* \*

დაახლოებით 1904 წ. თუ ცოტა გვიან, აღარ მახსოვს, ილია ჭავჭავაძე, ამორჩეული იყო სახელმწიფო საბჭოს წევრად. ყოველი მისი გამოსვლა საბჭოში, მისი დალაგებული აზრი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მას რუსეთის მთავრობა დიდ ანგარიშს უწყევდა. ყოველი მისი შორსმხედველობა და მოქმედება საყვარელ საქართველოს კეთილდღეობისთვის მაშინდელი რუსეთის მთავრობის შეხედულებით, იყო არა სასურველი. ყოველი მისი მუშაობა ჟურნალ-გაზეთებში სიტყვით თუ საქმით ხატავდა ქართველი ერის გათვითცნობიერებას და აღორძინებას. ამიტომ რუსეთის მაშინდელი მთავრობა ცდილობდა ილიას დაღუპვას.

განზრახვა საქმედ აქციეს. დ. ჯაში არ კმაყოფილდება მეფის მოადგილის შეთავაზებულ ადგილს და მას კიდევ ახალ ადგილს სთავაზობენ. საგინაშვილის ქერივი, მეფის მოადგილის კანცელარიის პროტექციით შუამდგომლობს ილიასთან მოაწყოს ჯაში მოურავად საგურამოში, როგორც კარგი და გამოცდილი სამოურაო კაცი, თუმცა არაფერი სამოურაო ცოდნა მას არა ჰქონდა. ჯაში ჩადგა მოურავად და შეუდგა „მუშაობას“.

გავიდა დრო, ჯალათებმა და ნაძირალებმა ისე მოაწყვეს საქმე, როგორც უნდოდათ. ილიას სიკვდილის შემდეგ გაიარა რამდენიმე ხანა, დიმიტრი ჯაშმა დაიწყო სოფლებში და მახრებში სიარული და ლექციებს კითხულობდა ილიას მკვლელობის შესახებ, რომ ილია მოჰკლეს თავის გლეხებმა, რომელიც უკმაყოფილონი იყვნენ. თუმცა-ლა ამ ლექციებს არავინ ესწრებოდა, ხოლო ჯაშს ზიზ-

ლით უყურებდნენ. ხშირად მინახავს 1918—1920—წწ. ხარფუხის კლუბში, სადაც საღამოები იმართებოდა, ჯაში ვინმეს ეკამათება ილიას მკვლევლობის შესახებ, მაგრამ ჩქარა კამათი ჩხუბად გადაექცეოდათ და ისიც მაშინვე გაიპარებოდა კლუბიდან.

საზოგადოდ აღელვებულ ხალხს საბუთი არა ჰქონდა ხელში, რომ ჯაშის მოწყობილი იყო ილიას მკვლელობა, თორემ იქვე შუაზე გაგლეჯდნენ მას.

როდესაც რუსეთის მეფის ტახტი გადაბრუნდა და ქვეშ მოიყოლა ხალხის ყველა მოღალატენი, დ. ჯაში შიშით გარეთ ვერ გამოდიოდა და ამ დროს საიდუმლო „ოხრანკაში“ და ჟანდარმის სამმართველოში აღმოჩნდა ამის საბუთები, რომ ჯაში იყო პროვოკატორი და გამცემი აგენტი საიდუმლო განყოფილებისა.

ამის შემდეგ აშკარად შეიქნა დ. ჯაშის საზიზღარი ხელმძღვანელობა მეფის მთავრობის ჟანდარმერიის დავალებათა აღსრულებაში. დ. ჯაშმა „პირნათლად“ შეასრულა მეფის მთავრობის ეს საზიზღარი დავალება—შეისყიდა ჯაშუშები, და ხელიდან გამოგვაცალეს უდიდებულესი ადამიანი.

რევოლუციის შემდეგ ჯაში დარჩა გარიყული: ან სამუდამოდ უნდა მიმალულაყო სადმე, რაც ვერ მოუხერხდა, ან თავი უნდა მოეკლა.

ასეც მოხდა. მომართული თოფი მას არ ასცდენია და იქვე გაგორდა უსულოდ.

## საგურამოქალი გლეხები ილია ჭავჭავაძის შესახებ

(საქ. სახ. ლიტერატურული მუზეუმის 1937 წელს შეგროვილ მასალებიდან)

### ალექსი შოთენიაშვილი (76 წლ. ილიას თხებისა და ცხვრების ჯრების მწყემსი.

ჩემს პატარაობაში ცელქი და დაუყენებელი ბავშვი ვიყავი, ცელქობისათვის ხშირათა მცემდნენ ხოლმე სახლში. როცა კი რამეს დავაწავებდი და მეშინოდა ჩვენების ცემისა, მაშინვე ბატონის სახლს მივაშურებდი. ბატონი და ქალბატონი ოლინკა ძალიან მიყვარდნენ, ბატონი გამიცინებდა ხოლმე და მეხუმრებოდა, ოლინკა კი მუდამ მისვლისას, ხან რას მაქმევდა და ხან რასა. როცა დალაშქრებოდა და ჩვენები ძებნას დამიწყებდნენ, ჯერ ახლო მეზობლებში მომნახავდნენ და თუ იქ არ ვიქნებოდი იცოდნენ, რომ ბატონიანთას ვიქნებოდი. დედაჩემი ამოვიდოდა ხოლმე ჩემს წამოსაყვანად. ქალბატონი ეტყოდა დედაჩემს, თუ ჩემი ხათრი გაქვთ ეს ბიჭი არ გალახოთო და გამოფევებოდი დედაჩემს იმედინად. ვიცოდი, რომ ქალბატონის ხათრით აღარა მცემდნენ. ქალბატონი მეტად კარგი გულისა იყო და ყველას მოყვარული.

\*

ათი, თუ თერთმეტი წლისა როცა გავხდი ბატონის ხბორებსა და თხებს დადევდი მწყემსად. ერთხელ ერთი თხა მოკვდა. აწყინა, ბალახმა, ამის გულისათვის გამოიჯავრდა მოურავი, შენ ესროდი ქვასა და იმიტომ მოკვდაო. როცა ბატონი მოვიდა და გაიგო, გასჯავრებიაო, ახლა ბატონი თითონ მოურავს გაუჯავრდა, რათა ტუქსავ მა ბიჭსაო, მინდვრიდან ცოცხალი მოუყვანია, შენ კი დროზე ვერ დაგიკლავს და უსულადოთ მოკვდარაო, რა მაგისი ბრალიაო!

ხშირად დაგვიძახებდა ხოლმე ბატონი, როცა თავისი სახლის ახლო დაგვიწახავდა, პატარა გოგო-ბიჭებსა და ყველას წიგნებს დაგვირიგებდა და გვეტყოდა, აი, ეს წიგნი ისწავლეთო, თუ თქვენ სახლებში გყავთ ისეთი, რომ კითხვა იცის, უთხარით რომ გასწავლონო, უეჭველად ისწავლეთ, კარგია წიგნის სწავლაო. ჩემთვის ბარე თერთმეტი წიგნი ექნება მოცემული ბატონსა.

ჩვენ ბატონსა ჰქონდა საღეწი/მანქანა, გლეხებში აქირავებდა, როცა თითონ მორჩებოდა ვალეწვას. ვისაც არა ჰქონდარა და ღარიბები იყვნენ, იმათ არაფერს ართმევდა და უფასოდ ათხოვებდა ხოლმე. ხშირად გამოვიდოდა ეტლით მინდორში. დათვალაიერებდა მანქანასა, იქ დაგვიძახებდა ვინც კი ახლო ვმუშაობდით, გვიძახებდა, დაისვენეთო. ახლა გვეტყოდა, იმღერეთო, ჩვენცა ვმღეროდით, ვშაირობდით. და ბატონი იცინოდა ხოლმე. ჰაი და ჰაი, რა კაცი იყო საწყალი, რო იტყვიან მკვდარი სჯობიან ცოცხალსაო, სწორეთ ბატონი ილია არის ეგრეთი, რომ ბევრ ცოცხალს სჯობიან.

როცა მოკლეს ბატონი, მთელი სოფელი ჩავედით. ყველა შეგეწუხებით, ვწყევლიდით და ვაგინებდით მშობელ მამასავით საყვარელ ილიას მკვლელს.

ილია სოფლის კაცისთვის მალამო იყო, უკადრისი კაცი არ იყო, ძალიან უყვარდა გლეხობასთან ლაპარაკი, როცა გლეხები ლაპარაკს დაიწყებდნენ, ერთი ქართულით ყველას აჯობებდა.

ილია ძლიერ მართალი კაცი იყო. წინეთ მოსამართლედ იყო დღუშეთში. ერთ დღით წამოვიდა და პირს იბანს ილია, ამ დროს ხევესურმა გაიარა და არ მიესალმა „რად არ მომესალმოა“? გაუკვირდა ილიასა, ის კი იმიტომ არ მიესალმა—ნიშანი არა ჰქონდა ილიასა. რა იცოდა? მემრე შევიდა, გაიკეთა ნიშანი და ისე გამოვიდა. ხევესურს უთხრა „მე თავს ვიჯარიმებ, რადგან უნიშნოდ ვიყავი“—ო და სამი მანეთი მისცა ხევესურს. ასეთი მართალი კაცი იყო!

ვაჟა ფშაველა ხშირად მოდიოდა სტუმრად ილიასთან, სხვა ხევესურებიც ფართითა და ხმლით, დადგებოდნენ და შეიქნებოდა ხმლების ლაწა-ლუწი.

ილიას მელორე ჰყავდა და იმას აძლევდა ვაჟა-ფშაველას ქალაღებებს (ე. ი. წიგნებს. რ ე დ.)

ერთი გზირიანთ სოსიკა იყო, არაკამდა (არაკებს ანზობინებდა) და ამღერებდა ძველ სიმღერებსა, ძალიან უყვარდა ხუმრობა.

როგორც მამამ შვილი დაარიგოს, ისე გვარიგებდა ჩვენი: „თქვენ ყური არ უგდოთ უხეირო ხალხსაო, მიძიმდ იყავითო, მე მიყურეთო“. ქურდ-ბაცაცები ფოთოლივით იყო მაშინ ტყეში.

ილია მოსაკლავი კაცი არ იყო, სულ ჩვენი სოფლის ჯობრითა მოკლეს. ნამდვილი სასოფლო კაცი იყო ილია.

ილია რო ქალაქს ჩავასვენეთ, მთელი სოფელი გავეყვით, ვაგინებდნენ: „ეს საგურამოელები გასაწყვეტლები ხართო, ასეთი თავი კაცი, როგორ ვაიმეტეთო“!

ჩვენ, როგორ ვავიშებდით, იმის მკვლელებსა მეგელივით ვეტანებოდით.

**ანდრო მანისუბაძე (88 წლ. საგურამო)**

8—9 წლის ბიჭი ვიქნებოდი, როცა საწყალი მამაჩემი მოკვდა. მამაჩემს ვალი ჰქონდა ადგილი ერთი დღუშელი სომხისაგან. მამაჩემი სანამდის ცოცხალი იყო, მანამდინაც ღარიბი ვიყავით და როცა ის მოკვდა, მაშინ ხო უფრო გავლატაკდით. დღუშელ ჩარჩს მამაჩემმა ვერ გადაუხადა ვალი და მისი სიკვდილის უკან ჩვენ დაგვაწვა. რო ველარ შეეძელით ვალის მიცემა, ჩარჩმა გვიჩვილა დღუშეთში მოსამართლესთან, მაშინ სოფელ ებნისში ვცხოვრობდით. როცა დაიბარა მოსამართლემ, დედაჩემმა მე, ორი ჩემი ძმაი და ერთი დაი წავგიყვანა დღუშეთში. მივედით თუ არა შეგვიყვანა მოსამართლის ოთახში. დედაჩემმა ტირილი დიწყო და ისე ელაპარაკებოდა, როგორ გადავიხადო ვალიო, ბავშვები შიშვითილთ მეხოცებიანო. თან მოგვკიდა ხელი დედაჩემმა და მოსამართლის ახლო დაგვაყენა. მოსამართლე ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს. როცა მოსამართლე ჩვენ აღარ გვიყურებდა, და თავისთვის რალაცას წერდა, მაშინ ფათვლიერებდი, მოსამართლე იყო ჯმუხი, მარილიანი სახე ქონდა. მერე მოსამართლემ ილაპარაკა და გადაწყვიტა, რომ, სანამ ყმაწვილიო,—ჩემზე იძახდა,—ოცი წლისა

არ გახდებოა, მანამ, ერთი კაპიციკ არ უნდა გადაიხადოთო. ჩარჩს ეწყინა და დედაჩემი კი ძალიან გახარებული იყო. მოსამართლემ ის გადაწყვიტა, რომ იმ დღიდან სარგებელი არ უნდა გადაგვხანდა, ხოლო, როცა მე ოცი წლისა გავხდებოდი, მაშინ მარტო თავნი უნდა მიგვეცა. როცა მოსამართლის ოთახიდან გამოვედით, გარეთ ბიძაჩემი დიმიტრი დაგვხვდა, მამაჩემის ძმა და იმან გვითხრა, ეგ მოსამართლე ილია ჭავჭავაძეს რო უძახიან, ის არისო!

ილია როცა ქალაქიდან მოვიდოდა სოფელში, მაშინვე დაიბარებდა საგურამოელ დარბაისელ გლეხებს—სოსიკო გზირიშვილს და მარტია უნდილაშვილს. ძალიან უყვარდა ეს ორი კაცი, ისე არ მოვიდოდა, რომ ისინი არ ენახა.

\*

ერთმა ჩემმა მეზობელმა, ლაბაურმა გიორგამ მიწა წამართვა. მოურავისთვის ეთქვა, მე კარგა მოუვლი იმ მიწასაო, ჯირკვებს ამოვყრი და გავტენამო. მოურავმა წამართვა მიწა და ლაბაურს მისცა. როცა ბატონი მობძანდა ქალაქიდან მოვახსენე: ბატონო, ნაფარეხეგის მიწა წამართვა მოურავმა და გიორგა ლაბაურს მისცა მეთქი. ბატონმა მითხრა, დაჯექი სკამზედაო. დაწერა ქალაღი, დაკეცა, მომცა, წაიღე და მოურავს მიეციო. მოურავად ინაშვილი გიორგა იყო, მიუტანე. მოურავმა წაიკითხა და მითხრა, მიწა ისეგ შენთვის მოუცია ბატონს, წაღე და როგორც წინათა გქონდა, ახლაც ისე იმუშავეო. იცოცხლე, რო მე გაგებარდა.

**ალექსანდრე უნდილაშვილი (ბრმა, 65 წლის გლეხი).**


ღმერთმა დალუპოს ილიას დამღუპავი, მე, თაობითვე ბრმა ვიყავი და ძალიან ვეცოდებოდი ილიასა. მუდამ მეხმარებოდა ხოლმე: ხან ფულით, ხან პინახულით, ბევრჯელ ტანისამოსიც უყიდა ჩემთვის.

ილია რუსეთში იყო და სანამ იქიდან დაბრუნდებოდა, ყაჩაღებმა ილიას მოურავი მოსე და მისი ცოლი მოკლეს. როცა ილია მოვიდა რუსეთიდან, დაიბარა გლეხები და უთხრა: ვინ მოკლა მოსე და იმისი ცოლიო? ყველა იძახოდა: რა ვიცი, ბატონო, ჩვენ არ ვიცით, ვინ დახოცაო!

— თუ ვისმე რამე დაგვიზავათ, რუსეთში ხო არ მოგვედებოდი, აქ არ მოვიდოდითო? გეთქვათ და მე გამოვასწორებდი საქმესა, აბა რისთვის მოკალითო, ან მათმა მკვლელმა რა გააკეთა, მითხარიო? უნდა იფიქროთ და ისე უნდა მოიქცეთ, უცებ რაც მოგივიდეს ფიქრებში, განა მაშინვე უნდა აასრულოვო!.. იმათ მკვლელს მხეტლური საქციელი ჩაუდენია!

მამაჩემი იტყოდა ხოლმე, რომ, ილია ჭავჭავაძე დიდი მეცნიერიო—ცაზე რამდენი ვარკველავი არი, სულ იცისო.

ეს ამბავიც მამაჩემისაგან გამიგონია, როცა მოსამართლედ იყო დღუშეთშიაო, ერთი კაცი მივიდა და ილიასთან იჩივლა, რომა, ამა და ამ კაცს ფული ვასესხე. ნაღდი ფული და უარს მეუბნება მართებულეზაზე და აღარ მაძლევსო. ილიამ ერთ დღეს მაჩივარიცა და მოვალეც დაიბარაო. მოვალემ თურმე ილიასაც უთხრა: მე არაფერი მმართებს მაგისიო, მაგრამ ილია ერთი შეხედვით შეატყობდა მტყუანი იყო თუ მართალი. იმ მოვალესაც იმ საათში შეატყო, რო მტყუანი



ილია ჭავჭავაძე 1870-იან წ.

იყო, მაჩივარს უთხრა ილიამ, რომა, როცა შენ ამას ფული მიეცი, იქ არავინ იყო ან კაცი ან ხე, ან ქვა? როგორ არა, ბატონო! ერთი მუხა ღვას იმ ადგილასა!— უთხრა თურმე მაჩივარმა. მაშ, წადი, ერთი პატარა ტოტი მოტეხე იმ მუხაზე და მიმიტანეო. მაჩივარი წავიდა და მართლაც თურმე მოეტანა მუხის ტოტი, აბა მე ამას ვკითხვამ და გამაჩინდება მტყუანი და მართალიო, სთქვა ილიამ და სხვა ოთახში აპირებდა თურმე გასვლას, მაგრამ იმ მოვალემ იფიქრა, უფრო ძნელად წავა საქმე, მუხის ტოტი მე გამამტყუნებსო. წადვა წინა და უთხრა ილიას: მართალია, ბატონო, მე მმართებ მაგ კაცის ფული და ტოტიც მეტს რაღას გეტყვიო... ილიამ უთხრა: მერე, შე კაი კაცი, ტყუილს რათ ამბობდიო? ამ ერთ თვეში ჩააბარე, თავის ფულიო!

მაჩივარს მაშინვე უნდოდა ფული, მაგრამ ილიამ უთხრა: ერთმანეთი კი არ უნდა დაახრჩოთო. ამ საათში ვინ მისცა მაგ საწყაღსა, ახლავ ჩაგაბაროს? რომ ჰქონოდა ხომ შენგან აღარ ისესხებდაო? ილიამ ვააუქმა სარგებლის მიკემა და ერთი თვის შემდეგ უნდა დაებრუნებინა ფული მაჩივარისათვის უსარგებლოთა.

ილიას სიტყვის გამგები კაცი არ იყო ქვეყანაზე. ერთხელ, ამ დიდ გზაზე შემხვდა ილიაი და დამიწყო ლაპარაკი: როგორა ხარო? მე უთხარი: რაღა როგორა ვარ, გინდა ვიყვე, გინდა არა, უსინათლო აღამიანის სიცოცხლე რა არის მეთქი?... მერე მითხრა: მე მიცნობო? მე ხმაზე ვიცანი: როგორ არა, ბატონო, გიცნობ მეთქი. მაშინ ერთი თუმანი მაჩუქა და მითხრა, ჩვენსა მოდი ხოლმე და სამხარი მუდამ იქა ქამეო!


მერე დაატანა, ხვალ მოდი ჩვენსა და მოსე მოურავი ფულს მოგცემსო! მართლაც მივედი, მაგრამ მოურავმა ფული არ მამცა, სამხარი კი ვქამე. ერთი, ორი თვის მერე კიდევ შემხვდა ილია და მკითხა: ფული ხო მოგცა მოსემ, რომ დაგპირდიო?—არ მამცა მეთქი, უთხარი. გაკვირვებით მითხრა: მაშ არ მოუცილო? არა მეთქი, კიდევ უთხარი, მერე გავიგე რომ, ჩემის გულისთვის, მოურავს გასჯავრებოდა. ამის მერე მოურავს ჰირივით ვეჯავრებოდი.

**ილო ჩალაშრი (ილიას მეეტლე, 80 წლის)**

ეჰ! სიცოცხლე მაშინ იყო, როცა ის ცოცხალი მყავდა, ცოტა რა რომ გამპირვებოდა და გაეგო მაშინვე ფეხზე წამომაყენებდა, ყველაფრით მებმარებოდა, თექვსმეტი წელიწადი იმასთან ვიყავი და ერთხელ ცუდი სიტყვა არ უთქვამს, ასეთი ოჯახის აღამიანი იყო ილიაი.

ერთხელ თავის სამშობლო სოფელში (ყვარელში) წავიყვანე ილია და ხაშმის მინდორზე გამაჩერებინა ფაიტონი, ლაქიამ სადილი გამართა, ხელათ ცეცხლი დაანთო, წვადი შესწვა, მოიტანა, დასკრა და ჩვენ პურის ქამა დავიწყეთ. წვადი არ იყო კარგად შემწვარი. ილიამ მითხრა, რომა, აბა, ილო, წვადი ნახეო. ავიღე და წვადის ერთი ნაჭერი შევქამე, მკითხა, როგორიაო? მე ვუპასუხე როგორია და უშია მეთქი!

მაშინ ერთი იაკობა ჰყავდა ლაქიათა და უთხრა: იაკობ, უმ წვადს რო გვაქმემ დასახოცად ხო არ გინდევართო და ერთი მაგრა ვადიხარხარა ილიამ.— არა მე და ჩემი ილო ასეთ წვადს არა ვქამთო.



ილის მკვლელობის ადგილი (წიწამურა).



ყვარელში წასვლა ბევრჯერ მოგვიხდა, მაგრამ ყველა სად მესსომება, ეს კი მახსოვს, ერთხელ კიდევ მივდიოდით ყვარელში, თელავს რომ შევედით ილიამ მითხრა, აქ მე ვიცი ბევრი დაგვიწყებს პატიჟობას და ცხენები არ დააყენო, მაგრა გარეეყო. მართლაც ჯერ შესულები არც კი ვიყავით თელავში, რომ სამი ცხენოსანი შემოგვხვდა, დამიძაბეს, გააჩერეო და მე არ ვაჩერებდი, მაგრამ ძალათი დამიყენეს ცხენები. ბევრი ხვეწნით მოაბებურეს თავი ილიასა, გვეწვიეო, მაგრამ არ ეწვია. მერე ისინი თავიანთ გზაზე წავიდნენ, მე შემოუტეე ცხენებსა და ქორებივით წაიყვანე. შაქრიანის ხილზე რო მივედით ილიამ მითხრა: „აქ დაასვენე ცხენები და ჩვენც აქ ვისადილოთო“ დავაყენე ფაიტონი, ვადავედით, ვიყიდეთ თევზი, დავსხედით, ვჭამეთ სადილი. ქალაქში შევახვიეთ დანარჩენი საკმელი და ისევ გაუღდექით გზასა.

ერთხელ კიდევ მცხეთაში რალაც საქმის გულისთვინ ჩამოვედით და მცხეთიდანვე გამოვბრუნდით სავურამოში. კამარის ხევის პირზე რომ მოვედით ერთი კაცი მარტოდ მარტო იჯდა და ქეიფობდა. იმან დაუძახა ილიას, ბატონო, თუ ღირსი ვარ მეწვიეთო. ილიამ მითხრა: „დააყენე ფაიტონიო“. დავაყენე. ილია ვადავიდა ფაიტონიდან, მივიდა იმ კაცთან, მან სავსე ჭიქა შემოაგება, ილიამ დალოცა და კი არ დალია. მერე იმ კაცმა უთხრა:—მე ამხანაგი არა მყავს, ვთხოვთ, ბატონო, რომ ერთად ვიქეიფოთო!

— მე დრო არა მაქვს და არ შემიძლიან. თქვენ როგორც ატარებდით დროს ისევე გაატარეთო—უთხრა ილიამ, თან ამოიღო და სამი მანეთი ფული მისცა—ამისი ღვინო მიირთვიო—მადლობაც გადაუხადა, გამოემშვიდობა და ჩაჯდა ფაიტონში და მითხრა:—აღმართია და დღე ცხენებმა თავიანთ ნებაზე იარონ, ცოდვანიაო—მეც ხმა აღარ გამიცია ცხენებისთვის და სულ ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ.

სანამ ცოლს მოვიყვანდი, მანამ იმასთან ვიყავი მეფაიტონედ, როცა ცოლი მოვიყვანე ქორწილის ღვინოცა და ყველაფერი რაც დამპირდა სულ ილიამ მომცა. მე მინდოდა სიკვდილამდინ არ მოვშორებულყავი და სულ ილიასთან ვამეტარებინა სიცოცხლე, მაგრამ სახლში ძმები ამიჯანყდნენ, სახლისთვინ არა ზრუნავ, შენ იქა ხარ და ჩვენ მარტო დიდი მუშაობა და ჯაფა გვეყრებაო. მე კი ისეთ ჯამაგირს მძძლედა ილია, რომ ჩემი ერთი თვის ჯამაგირის ფასს ერთ წელწადას ვერ იშოვიდნენ, მაგრამ კიდევ მიწყურებოდნენ და ეგონათ, რომ ვითომ არაფერი მიმქონდა სახლში. რალას ვიზამდი, მეც ავღდექი და უთხარ ილიას, გამათავისუფლე, ბატონო მეფაიტონეობიდან მეთქი. რათა, რა ვაგიჭირდა ჩემთანაო? უთხარი, რომ ძმები ამიჯანყდნენ და რა ვქნა-მეთქი?—მე შენ მინდოდი რო მყოლოდი და რახან ასეა წადი რა ვქნა, სთქვა ილიამ და გამანთავისუფლა. მერე მითხრა ილიამ, კი მაგრამ ძმები რათ ავიჯანყდნენ, ჯამაგირს რო ვაძლევ სახლში არ მივაქვსო?

— მიმაქვს მაგრამ უნდათ, რომ შათ გვერდით ვიმუშაო მეთქი.

— წადი, წადი, ჩემო ილო, რა ვქნათ, ძმებს არ უნდა აწყენიოვო! ეხლა რო ილიას სახლთან, კაკლების ქვეშ ქვებია, ეგ ქვები წიწამურადან ჩვენ მოვიტანეთ. თქმულება იყო, რომ წიწამურაში ერთ ადგილას ხაზინა არის დამარხულიო. ილიას ინტერესი ქონდა იმ ადგილის გათხრისა. ერთხელ მოახერხა,

წავგიყვანა აქაური რამდენიმე კაცი და დაგვაწყებინა იმ ადგილის გათხრა. ჩვენ კარგა ხანი მოგვიხდა მუშაობა იმ მიწის მოთხრაზე. ილია იჯდა და გვიყურებდა. მე შევეტყე რომ ცოტა ეძინებოდა ილიას,—მე ვუთხარი—ბატონო! ჩვენა ვმუშაობთ და თქვენ რაღათ სწუხდებით, მიბრძანდით ემანდ ახლო, კარგი მწვენივა და იქ დაისვენეთ მეთქი!—არ მინდა რო დავიძინო, ბიჭო, იქნებ რამე გამოჩნდეს მა მაწაშიო!—სთქვა ილიამ. მერე ვუთხარი, თუ კი რამე გამოჩნდება, ღმერთი იყვეს თავლები რომ ჩვენ არას დავმალავთ მეთქი. ახლა ილიამ მითხრა—არა, ბიჭო, მე იმას კი არ ვამბობ, რომ თქვენ დამალავთ. მე ის მინდა. რაც გამოჩნდება გამოჩენისთანავე ჩემის თვალით დავინახავო. მოვთხარეთ, მაგრამ დიდი ფიქალი ქვების მეტი არაფერი გამოჩნდა, ამოვიტანეთ ის ფიქლები და ილიამ თავის კაკლების ქვეშ მაგილებად გაგვამართვინა.

როცა ილია მოკლეს მე სულ სამი თვის წასული ვიყავი მისგან. ილიას მკვლელობის დროს თან რომ ვყოფილიყავ, მეც იმასთან მოვიკლავდი თავსა!

\*

როცა კალოზე პურს დავახვავებდით, იტყოდა ხოლმე ცხონებული—აბა, რომელიც კარგი ბიჭი ხართ, წინ წამოდექითო! ერთი-ორი ბიჭი წადგებოდა.

ილია იტყოდა—აბა მოდი და დავნაძღვედეთ, ამ ხვადიდან რამდენი კოდი გამოვავო? ილია ან სამ მანეთიანს ამოიღებდა, ან პერანგს დაჰპირდებოდა. ვიდრე სულ არ ავრწყავდით, ილია ფეხს არ მოიცივლიდა კალოდან. ილიაც იტყოდა თავის აზრს—თუ რამდენი კოდი გამოვიდოდა კალო.

ვისი სიტყვაც გამართლდებოდა, ის იღებდა საჩუქარს.

ილია დილა ადრიან გამოვიდოდა ხოლმე თავის თათრული წითელი ქუდიით (შავი ფუნჯი ჰქონდა) და კალოში ძნის ჩაშლას ესწრებოდა, როცა ცხენებს შეაბამდნენ, მაშინ ყველა ცხენს კარგად დაათვალიერებდა, ჩარჩიკი ან სხვარამე სწორედ რომ არ ყოფილიყო, მაშინვე გაასწორებინებდა.

\*

ინაშვილი გიორგი ილიას შინა კაცი იყო. როცა გაბო მღებრიშვილი დააყენა ილიამ მოურავად, გიორგი ასწავლიდა ხოლმე ყველაფერს.

ავჭალის წყალსადენი აკეთებდა მტკვარზე ჯებირს. ილიას აედო თავის თავზე საჭირო ფიჩხის ჩატანა. რადგანაც ავჭალა დაშორებით არის საგურამოზე, ილიამ სთქვა, საჭიროა წინწამურში გომი ავაშენოთო!

ერთ შაბათ საღამოს ილია ფაიტონით ამოვიყვანე საგურამოში (ქალაქიდან), რალაცაზე იყო გაჯავრებული. მოვედით თუ არა, დაუძახა მღებრიშვილს და უთხრა—„აბა მითხარი, რამდენი კოქი და სხვა ხე-ტყე დასჭირდება წინწამურის გომსაო?“ უბრძანებდა უთხრა—„წავალ ოთახში, იქ ვიანგარიშებ და მერე გეტყვიო!“ (გაბოს უნდოდა გიორგისთვის ეკითხნა).

ილიამ უთხრა—„არა, აქ უნდა იყო და ისე მიანგარიშოო!“ . ეგრე არ შემიძლიანო—უბასუხა გიორგომ. მაშინ ილიამ უთხრა: „აბა შენ რა მოურავი ხარ, რომ ეგეც არ იციო. შენ როგორ შეგიძლიან ჩემს საქმეს გაუძღვეო. მე შენ გითხოვ სამსახურიდანო!“ დაითხოვა მართლაც. მერე დაუძახა ინაშვილ გიორ-

ვას და უთხრა: „გიორგი რათ გიყვარს ღვინო, რათა ლოთობ? ყველა საქმეს შენ აკეთებ, შე საწყალო და ჯამაგირს კი მღებრიშვილი იღებსო, აი აგრე იცის მომეტებულმა ღვინის სმამაო!“

### ზაძარა ჯამანისხვილი (საგურაშო)

როგორც ჩემი შვილი ნიკალა, ისე მითირნია, როცა მოკლეს საწყალი ილიაი.

ჩვენ სოფელში თუ კი პური დააკლდებოდა ვისმე და გაიგებდა, მაშინვე თითონვე დაიბარებდა და მისცემდა: ზოგს ნახევარ კოდს, ზოგს ექვს ჩანახს და, რომელიც ძალიან გაჭირვებულ იყო, ორ-სამ კოდობით პურს და ფულსაც აწუქებდა ხოლმე. მე თითონ, ერთხელ ორ კოდნახევარი პური და ერთი თუმანი ფული მაჩუქა. მე კი არ მითხოვნია, ლაპარაკი ყოფილიყო სოფელში პურის დაკლებაზე და ვილაც ბედნიერი ენის პატრონს ჩემზე ეთქვა, რომ ძალიან გაჭირვებითა ცხოვრობსო, კაცი გამოეგზავნა ჩემთანა, ახლავე ამოდი ჩემთანაო; თურმე უნდა ქალაქს წასულიყო, გარეთ ეტლი იდგა შემშლი, თურმე ჩემ მისვლას ელოდებოდა. მე მაშინვე წავედი და სანამ ილიას სახლამდინ მივიდოდოდი, ვფიქრობდი: ალბათ ვინმე რამეზე დამაბეზღებდა ტყუილათა ბატონთან და იმაზე თუ მიბარებს მეტქი! როცა მიველი ილია კიბეზე ჩამოდიოდა, მე ძირს ვიდექი და როცა ილიამ შემომხედა მე თავი დაუკარი, მივესალმე. ილიამაც სალაში მომცა და გაბმულად მითხრა: აი ღმერთმა ვაცოცხლოს! მე გავიგე რომ შენ, თურმე პური გაკლია, მართალია? შკითხა ილიამა. დიახ, ბატონო, რა გქნა, ვმუშაობ, დღე და ღამეს ვასწორებ, მაგრამ მაინც ღატაკი ვარ მეტქი...—ის კაცი მეცოდება და ის კაცი მიყვარს, რომელიც მშრომელია და არა ზარმაცობს; მე ვიცი, რომ შენ შრომა გიყვარს, მხოლოდ გემდურები იმისათვის, რომ, როცა ასეთი გაჭირვება გადგია კარზე, რატომ არ მაგებიანებო? თუ მე აქ არა ვარ ხოლმე, მოურავი ხომ სულ აქ არის, უთხარი და შემწეობას გაგიწევს. მე ნათქვამი მაქვს მოურავთან, რომ შენისთანა კარგ კაცს ხელი მიაშველოს თუ, მოურავი არას მოგცემს, ქალბატონთან მიხვალ და დაგეხმარება. მეც ხშირად აქა ვარ ხოლმე, ნუ გეშინიან. ამოიღო საფულე და ერთი თუმანი ფული მომცა. მე მადლობა ვუთხარი, შემდეგ ამოიღო პატარა რალაც შეკერილი ტყავიდან ქალღი და ფანქარი და რალაცა უცებ დასწერა და მე მამცა, თან მითხრა, ეგ ქალღი მოურავს მიუტანეო, თითონ კი ჩაჯდა ეტლში და წავიდა. ცოტა ქვემოთ რო ჩავიდა ილიამ უკან მოიხედა, მე ვიდექი და სანამ ეტლი მოეფარებოდა ტყეს, მანამ თვალს ვადევნებდი.

იმ დღეს უცადე მოურავს და არ მოვიდა; მეორე დღეს დილით მივედი, ქალღი მივიცი მოურავს, წაიკითხა, მითხრა, წადი, ტომრები წამოიღე, სამი ცალი და ვინმე მოიყვანე რო გიშველოსო. მე მეგონა ალბათ უნდა მამუშაოს მეტქი. ტომრები ვიშოვე, ერთი ჩემი მეზობლის ბიჭი წაიყვანე და მივედი. ბიჭს უთხრა: ჩახტი ამბარში და კასრით პური მიაწოდე და შევედი. ბიჭი მაწოდებდა და მე ტომარაში ვცლიდი კასრსა, ორი ტომარა სავსე და მესამე ნახევრად რო მოიყარა, მოურავმა თქვა: კარგით, ეყოფაო. აბა, ეხლა წაიღეთ, მით-

ზრა მოურავმა. მე ვერ გავიგე თუ სად უნდა წამელო და ვკითხე, სად წავილო მეთქი? სადა და სადაც შენი ნებაა იქ წაილეო. ბატონმა გაჩუქა. ე ქალღმერთი იმასა მწერს, განა შენ არ გითხრა ბატონმა, რომ შენთვის პური უნდა ეჩუქებინაო? არა მეთქი, უთხარი და თან გახარებული დავავლე ხელი ტომარასა. მე მეგონა ბატონმა მარტო თუმანი მაჩუქა, იმაზე დაუბარებიაო მეთქი. ბევრი სხვაც მახსოვს რომელი ერთი მოვიგონო.

### პავლი უნდილაშვილი (66 წლ.)

1. მე პატარა ვიყავ მეშვიდე წელიწადში. ნიკოლოზის დროს, ბოქაულის ჩვენთვის წაერთმია შკაფი და ლოგინი რ მანეთში. დედაჩემი წავიდა ილია ქავჭავაძის ცოლთან და შეეხვეწა: „ძალიან გაჭირებული ვარ, და ყმაწვილი აიყვანე ხბორებშიო.“ ქავჭავაძის ცოლმა ამიყვანა და წლიურად მიძღვედნენ რ მანეთს. მაშინ ქავჭავაძიანთ სალექსი მანქანა ჰქონდით, მანქანის კბილი რომ ჩატყდებოდა, მე შეეაკეთებდი ხოლმე. მემრე ვთქვი—ხარი არა მყავს, კამეჩი არა მყავს, სჯობია ქალაქში წავიდე და ხელობა რამ შევისწავლო მეთქი. წავედი და ერთ სახელოსნოში დავიწყე მუშაობა. დილით დუღუქის ხმა გვაღვიძებდა და სამუშაოდ მივდიოდით. ძალიან მეზარებოდა დუღუქის ყვირილი და დავტოვე ქალაქი. სოფელში ჩამოველი და წისქვილში დავდექი. ერთხელ ილია ჩამოვიდა წისქვილში და მკითხა: „ხელობა სად ისწავლეო?“—მე ვუპასუხე, რომ ქალაქში ვისწავლე მეთქი. ილიამ თავის სახლში დამიბარა სახლის შეკეთებაზე სამუშაოდ. ამის შემდეგ ხშირად ვმუშაობდი ილიასთან. ილია ჩვენთან ბატონურად არ იქცეოდა, ხანდახან ჩვენთან დროების გატარებაც უყვარდა.

ერთხელ, არავგებ, თითონ ილია გამოგვეყვა სათევზაოდ. მდინარის ტოტი შეეკარი და ხელით ვიჭერდით თევზებს, დაჭერილი თევზი იქვე მოგხარშეთ. ილიამ ღვინო მოატანინა და ერთად ვისადილეთ.

„ილიაობა“ დღეს, ილია მთელ სოფელს დაჰპატიჟებდა, სამი საპალნე ღვინო დაინარჯებოდა, სამი ძროხა დაიკვლოდა.

ერთხელ იქა ვარ და ვმუშაობ. მოურავს საქონლისათვის ბზე დააკლდა, უნდა ვინმე გაეგზავნა და ეყიდა, თურმე სამი თუმანი აუღია და მაგიდაზე დაუდგია. მაშინ ილია პეტერბურგში იყო, მემრე ვილაც შესულა და ის ფული აუღია, მე იმ დროს საბერველს ვაკეთებდი. მოურავის ცოლი ჩემთან იდგა და მელაპარაკებოდა. მოურავმა დაუძახა: „ფული შენ ხომ არ აგილიაო?“ იმან უარი უთხრა. მაშინ იქ ერთი მეველე იყო, იმას მოახვია თავს ამ ფულის დაკარგვა და დაჭერინა.

ერთხელ გლეხებმა ღალა არ მოიტანეს და ამისათვის გაბრაზდა მოსე და ყაზახები მოაყვანინა

საერთოდ მოსე მოურავი უდიერი კაცი იყო და ილიამ რა იცოდა თუ მოსე რა თვითნებობას ჩადიოდა მის მამულში?

### სოლკა ლაბაური 75 (წლ.)

„ბავშვობიდანვე ვმუშაობდი ილიასთან. ჯერ მორჩილად ვიყავი და ხბორებში თუ სხვაგან მგზავნიდნენ. შემდეგ თანდათან რო წამოვიზარდე, ურემი ჩავიბარე და დიდხანს ვიყავ მეტურმედ. რაც მახსოვს, იმას მოგახსენებ:

„ილია რო დავაფლავებთ, მესამე დღეს მთელი საგურამოს კაცები დაგვიბარეს ვერაზე რო დიდი სასამართლო იყო და სათითაოდ დაგვეკითხეს. ყველაფერი მაშინ უამბეთ ილიას კარგ კაცობაზე და ყველაფერი მაშინ ჩაწერეს.“

მე როცა დაექორწილდი, ილიას ვთხოვე, რომ ღვინო მოეყიდნა ჩემთვის. ილიამ გამომართო წიგნაკი, ჩაიხედა და მითხრა.

ბიჭო, შენ აღარა გერგება ჯამაგირიდანო.

მე უთხარი—მაშ, მე აქ რაღათა ვარ?

მაშინ უთხრა მოურავს—მიეცი ერთი ვედრა არაყი და 20 ვედრა ღვინოო. ეს ყველაფერი ილიას ბრძანებით მიანგარიშეს ერთ-მესამედათ და ნელა-ნელა ისე გადავიხადე, რო არც კი გამიგია.

ილიას ჰქონდა აბრეშუმის ბაირალი სამფერი (მწვანე, წითელი და შავი), როცა სახლში იყო, მაშინ ავაფრიალებდით, თუ არა და ჩამოვიღებდით.

საგურამოში ამოვიღოდა თუ არა ილია, მაშინვე დაიხურავდა წითელ ქუდს ფუნჯიანს. ფუნჯი ყურზე სცემდა ხოლმე. სხვა ქუდს არ იხურავდა, თუ სხვაგან არ წავიდოდა.

ილიამ გაჯავრება იშვიათად იცოდა და თუ კი გაჯავრდებოდა არას დროს არ იტყოდა ფინთ ქართულს. იტყოდა ხოლმე „აი, შე ოხერო,“ თუ ძლიერ გაუჯავრდებოდა ვისმეს, მაშინ ეტყოდა: ბიჭო, შე, ოხერო, ბატი ხო ბატია, იმა-საც კჳა აქვს და შენ კი არა გაქვსო—და გაანებებდა თავს.

ძალიან ეჯავრებოდა მატყუარა, ქურდი და ცუდლუტი ადამიანი.

ილია იშვიათად ვაიციხებდა. სულ წიგნებს ჩასჩინებდა, ან დადიოდა ჩაფიქრებული, როცა კალო გვექონდა, მაშინ კი მთელი საღამო მუშებთან ლაპარაკობდა ხოლმე.

ერთ ზაფხულს ურემით ვეზიდებოდით საკალოო აყალო მიწას.

დილა აღრიან მოვიტანეთ მიწა რაძენინიშე ურემი. ურემები რო დავცალეთ, პური გვშიოდა და მე გადავედი ბაღაში და კიტრები გადმოვიტანე. ჩავსხდით და დაუწყეთ ჭამა. ამ დროს გამოჩნდა ილია, ჯოხი მიაკაქუნა ღობის მარგილზე. მივიხედე. თითით მანიშნა მივსულიყავი.

— რასა სჭამთო?—იკითხა ილიამ.

— კიტრსა და პურს—უბასუხე მე.

— ბიჭო, განა შეიძლება დილა აღრიან ნამიან კიტრის ჭამა, ხო ავად გაჭხდითო. განა ამ სახლში საჭმელი გამოილიაო?“ მე უთხარი—მოურავი ყურადღებას არ გვაქცევს-მეთქი.

დაუძახა მოსე მოურავს და უთხრა: „რატომ, ყურადღებას არ აქცევ ამ ხალხს? ხო გვაქვს ყველი? მე დავასწარი მოურავს: „ბატონო, ოთხი გუდა საესეა და მეხუთე ნაკლულადაა.“

ილიამ უბძანა—ყოველდღე მიეცი თ ყველას სამყოფი ყველიო!“ იმ დღიდან დღით აღრიან გვეძლეოდა ხოლმე ყველი.“

ერთხელ მე ვიღებდი კალოზე ნაოთხალ ძნას. ილიამ დამიძახა და მი-  
თხრა— „როცა მოურავი სახლში არ იყოს, მაშინ შენ დათვალე ხოლმე ძნა და  
რადგანაც წერა არ იცი, უთხარი ხოლმე კნინას და ის ჩასწერს. თუ ვისმესი  
ერთი ძნაც კი ზედმეტი მოვიდა, უსათუოდ უკან ვაატანე, თუ დააკლდეს—ნუ  
წაეჩხუბები, მხოლოდ ჩაწერეთ და მაშინ სხვა საქმეა“.

ერთხელ ნავდარაანთ კარის მცხოვრებმა იორდანე ნავდარაშვილმა  
ილიასაგან ისესხა ორმოცი კოდი პური. კალოზის შემდეგ ნავდარაშვილმა უკან  
მოიტანა. მე ვრწყამდი: თავნის გარდა მოეტანა სარგებელიც, როგორც ჩვენ  
გლენკაცობაში იყო მაშინ მიღებული, კოდზე ერთი პინა (20 გირგანქა).

შევღვ ილიასთან და მოვასხენე, რომ ავრწყეთ, ყველაფერი სწორედ გამო-  
ვიდა. სარგებელზედაც მოვასხენე.

ილიამ მითხრა, რა კი ავეთი კარგი და პატიოსანი გლეხი ყოფილა, სარ-  
გებელი უკან გაატათ და ერთი მარცვალი არ აიღოო.

მეც სარგებელი უკან დაუბრუნე.

ნავდარაშვილმა თქვა, ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ილია ქაეჭავაძეო,  
მართლა ნამდვილი ადამიანი ყოფილაო.

ერთხელ ილიამ დაგვიბარა ქალაქში ორი ურემი. ჩავედით. სახლი-  
დან წამიყვანეს ბანკში. შიგ რო შევედი, გამიკვირდა—იმდენი ხალხი ანგარი-  
შობდა ჩოტქზე. ვილაცამ მითხრა—აგე, ის პატარა ფანჯარა რო აქვს კარებს,  
ის დააკაქუნე და შედიო. მე გულში გამიელვა—ჩვენი ბატონი ხო არ დაუქე-  
რიათ-მეთქი.

შევდი, ორნი ისხდნენ: ილია და წერეთელი აკაკი. აკაკი რამდენჯერმე  
მყვანდა ნახახი ილიაობას საგურამოში.

ილიამ მითხრა—დღეს ორივე ურემზე უნდა დაუღო 120 ფუთი შაბიამანი  
და გოგირდი და ყვარელში უნდა წაიღოო.

მე მოვასხენე: ბატონო, თოვს, ჩოლუმი ამინდია, მე კი წავალ, მაგრამ სა-  
ქონელი ცოდევა. აკაკი წერეთელმა უთხრა ილიას—კარგი გლეხი გყოლია!  
ილიამ მითხრა—ყველა გზა მუხლიანია, თუ საქონელმა ვერ შესძლო, გზაში ყვე-  
ლგან შეგიძლია საქონელი შაასვენო! ეხლა კი ჩემი სიტყვის დაგდება არ შეი-  
ძლება და უნდა წახვიდეთო.

რას ვიზამდი, დაუდეთ და წავედით.

საგარეჯოს ბოლოზე წავედით და დიდის ვაი-ვაგლახით ჩავედით ყვა-  
რელში. მეორე დღისით ერთი ურემი ყვარლიდან გადავიტანე შილდაში. უკან  
რო წამოველეთ, ყვარლის მოურავმა ილიასთან გამომატანა ხოხობი, ჩურჩხე-  
ლები და ლეღვის ჩირი.

ილიას მეტისმეტად უყვარდა საქონელი. ერთი დიდი ჯორი ჰყვანდა.  
როცა არეულობა პირველად დაიწყო, დანიელ მასლოვმა რამდენიმე წერილი  
მისწერა ჩემად, რომ არეულობა იწყებაო. ილიას არა სჯეროდა, რომ მის მა-  
მულს ვინმე რამეს დაუშავებდა. ერთ მშვენიერ დღეს ვილაც ყაჩაღებმა ხანჯლით  
მოუკლეს ჯორი. ილია ამოვიდა. ძალიან ეწყინა და გაჯავრდა. მეც იქ დავესწარი.  
ილიამა სთქვა—საცოდავ პირუტყვს რას ემართლებოდნენო, ეს ხომ ნადირობაა.  
ისევე სჯობია კაცი მოკვდეს, ვიდრე უდანაშაულო პირუტყვი, როგორ შეიძლება  
ასეთი სიმხეცეო“

აკაკი წერეთელი როცა იყო ხოლმე ილიაობას, სადილს რო გაათაგებდნენ, სუფრაზევე მოუფიქროდათ ლაპარაკი. წერეთელი ჩქარა და აღელვებული ლაპარაკობდა ხოლმე, გრძლიათაც ლაპარაკობდა. ილია სულ ჩუმად იყო ხოლმე, მერე ადგებოდა, ორიოდ სიტყვას იტყოდა და ყველა ტაშს დაუკრავდა, მაგიდაზე ზარი ედოთ ხოლმე და ლაპარაკს რო დაამთავრებდა მოლაპარაკე, მაშინ იმ ზარს დარეკავდნენ ხოლმე.

ილია მკაში ხშირად დადიოდა და მუშებს უყურებდა. ერთხელ მობრძანდა, მიიხედ-მოიხედა და დამიძახა: „აბა, სოლკა, ბიჭებს ესა და ეს აკლიაო, წადით სარდაფში და ღვინო მოიტანეთ უჩუმრად, ისე დალიეთ, ხინჯი არ დაგიჩნეთ, როგორც აიტანს თქვენი სტომაქიო.“ დაჯდებოდა ისიც და უყურებდა.

ილია მაშინ ფიცრულში ცხოვრობდა. ახალი სახლები ჩემს ხელში გაკეთდა, 6 წელი ვიმუშავე იქა. სახლი მალე უნდა აგებულიყო და ამიტომ ჩვენ წვიმა და სეტყვაშიც გვიხდებოდა მუშაობა.

### ზაპარა ხავეჭიანი

ერთხელ კვირა დღეს ილია, რალაც საქმისათვის სოფლის თავს ამოსულიყო. ხნიერი კაცები შეკრებილიყვნენ, ილიას ქებას ლაპარაკობდნენ, მეც მიველი და ყურს ვუვადებდი იმათ ლაპარაკსა. შევხედო და ამ დროს ილია წამომოდგა თავსა, გამარჯობათ, უთხრა ხალხს. ყველამ ქუდი მოუხადეს თავიდან და ვინც ძირს იჯდნენ მაშინვე ზეზე წამოდგნენ. „სხვა რასა იქო დაროგორა ხართო“ და სახე გაცივებული შეყურებდა ხალხსა. კაცებმა უპასუხეს: რას ვაკეთებთ, არაფერს, ბატონო! კვირა დღეა და ვისვენებთ, ვერთობით ლაპარაკითაო. გვერთეთ, მაგრამ მე რალათ მძრახამთო?

თურმე გაუგანია, რომ იმაზე ქონდათ მუსაიფი. არა, ბატონო, თქვენი დამძრახველი ყველასთან პირშავი იქნება, ვინ არის ისეთი ოხერი, რომ თქვენ არ უყვარდეთ და თქვენ მზეს არა ფიცულობდესო. თქვენზე კარგის მეტს ვინ რას იტყვის, უთხრა იმ ხალხში ერთმა ყველაზე უფრო ბებერმა კაცმა.—მადლობთ! მადლობთ! იცოცხლები! მეც ყველა დიდი და პატარა ჩემი სოფლის ხალხი ძალიან მიყვარს—სთქვა ილიამ. მერე ცოტა გაჩერდა და რალაცაზე დაფიქრდა. ისე მახსოვს, გუშინდელი დღესავით.

ილიას სოფელში მოსვლასა წითელ ბაიარას გადმოჰკიდებდნენ ხოლმე. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ვისაც ილიასთან საქმე ქონდა, იმას გვეგო ვისაც უნდოდა მისულიყო საქმის გასაკეთებლად. ვილაკამ რო მოიგონა ტყუილი თითქოს კოკა გაუტეხინა ილიამ გლესსა წყალზედაო, მოჰორილია, ესე რომ ყოფილიყო ჩვენზე უკეთესათ ვის ეცოდინებოდა, ან იმ სიშორეთ როგორც ილიას წყაროა, ვინ წავიდოდა წყაროზე.

### სანდრო ბედუქიძე

ბავშვი ვიყავი. ერთხელ მე და მამა ჩემმა ნაოთხალი ძნა აუტანეთ. ილია ეზოში იყო. მოვიდა. მოიკითხა მამაჩემი. ჩემზე უთხრა—კარგი ბიჭი გყოლიაო! ილიამ ბარათში ჩაიხედა და მერე თქო,—ათი ძნა მეტიაო და უკან გამოგვატანა

მამაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე ოჯახში: „ილია ისეთი კაცი იყო, რომ ერთხელ, ჩემს მამასახლისობის დროს, როცა არეულობა დაიწყო, ხალხს დაუძახა და უთხრა:—აი, ხალხო, გაუფრთხილდით ტყის, ჩემ ხეხილსაც და ვენახებ-ბსაო, ნურაფერს წაახდენთო. მე ერთი უშვილო კაცი ვარ და ყველაფერი თქვენ დაგრჩებათო!

ხალხი რო წამოვიდა, მე შემეყვანა ოთახში და მარტოკას მითხრა—„აი, დაინხომე ჩემი სიტყვა, ჩვენ გლენებს მალე ეშველებათო. მე რო ყველას უთხრა ჩემი გულის ნადები, მთავრობა და თავადახნაურობა ჩამომახრჩობენო“. მე მენდობოდა და იმიტომ მითხრა.

### ვანო მახარაშვილი (82 წლისა. სოფ. ჯილაურა)

ილიასთან მკაში ვყოფილვარ ბევრჯერა, დარიგებას გვაძლევდა ხოლმე, თუ სახლში ცხოვრების წესი როგორია და როგორ უნდა მოვექცეულიყავით სახლში თუ გარეთ, რა ვიცი რაღას არ გვეტყოდა ხოლმე. ერთხელ ილიას სახლში ყრილობა იყო მამასახლისის ამორჩევაზე, ილიამ უთხრა ხალხსა, მამასახლისად ისეთი კაცი უნდა აირჩიოთ, რომელიც სოფელსა და გლენებს გაუფრთხილებდა. ისე, როგორც თავის ორ თვალსაო; უნდა იყვეს ჰკვიანი და ისეთი კაცი, რომელსაც ტყუალი ლაპარაკი ეჯავრებაო. სოფელმა ჩემი ძმა ამოირჩია მამასახლისათა, ილიამ სთქვა, მე როგორც ვიცნობ, ეგ კაცი, მართლა კარგი კაცი უნდა იყოსო. დაიბარა ჩემი ძმა და დაარიგა, სოფელში გლენებს უნდა კარგათ მოექცე, არავის მტრობა არ უნდა გქონდეს! და ყველა ერთნაირად უნდა გიყვარდეს, ერთი შეორეს არ უნდა დააჩაგვრინო, თორემ დიდი ცოდვააო.

### ილიკო მამულაშვილი (109 წლის ბიწმენდელი გლენი)

რამდენჯერ მომხდარა, რომა, ტყის ყარაულებს ჩემთვისაც და ჩემი მეზობლებისთვისაც ტყიდან შეშის გამოტანის გულისთვის ცულები, თოკები და ჭაპნები წაურთმევიათ, მაგრამ რა წამს მივსულვართ, ილია მაშინვე დაგვიბრუნებდა ხოლმე. მე თითონ სამ-ოთხჯერ მაინც მომიხნა წართმეული ჭაპანის გამოტანა. ილია კი სალაპარაკოდ არ შემეხვედრია, სახლის მოსამსახურეს ვეტყოდი ვისმესა და ისინი მიდიოდნენ, ილიაც უბძანებდა მაშინვე მიეცითო!

### იოსებ ვოშიძე (55 წლის გლენი ილიას მოჯამაგირე)

როცა ჩვენ კალოზე ვმოშაობდით, ილია ხშირად ატარებდა დროს ჩვენთან. აიღებდა ფოცხს ან ჩანგალს და კალოზე, სადაც პურის თავთავი აიხვეტებოდა კვერისაგან იმ ადგილებს ასწორებდა. შემდეგ ჩამოჯდებოდა კალოს პირზე და გვიყურებდა. სახლში ნათქვამი ჰქონდა ილიასა, რომ კარგი საქმელები მოეტანათ ჩვენთვის სადილ-სამხრითა. მართლაც არც ერთი დღე ისე არ წასულა, რომ ჩვენ ხორცი არ გვექონოდა საქმელად. კალოზე ბევრი ხალხი ვიყავით ხოლმე, გვეტყოდა ხოლმე ილია, სულ ზეზე ნუ ხართ ამ სიტყვითო. ბევრი ხალხი იმიტომ ხართ, რომა, რიგრიგობით დაისვენოთ ჩრდილშიო. ასე გვეტყოდა ხოლმე,



საწყალი, აბა, შეილო, იმ დროში იმისთანა კაცსა, სადა ნახავდი? სხვის მოჯამაგირეებს სული ხლებოდათ მუშაობითა. ჩვენ კი ასე კეთილად გვექცეოდა.

### კამლო ლაბაშკი (36 წლის)

დედაჩემი მუშაობდა ილიასთან, პურის მცხობელს ეხმარებოდა. მე ხშირად მივდევი დედაჩემს. ერთხელ ჩვენ მალლა ვიყავით, ეზოში, ნიორი გვეჭონდა გაფენილი. იქ ამოიტანა ხალიჩა და მუთაქა ბიჭმა, ილიაც ამოვიდა და წამოწვა.

ილიამ დედაჩემს ჰკითხა: „რას გაძლევს მოურავიო?“-

— ხუთ შაურსა და სამ პურსაო!—უპასუხა დედამ.

წამოსვლისას ილიამ ორი მანეთი მაჩუქა.

როცა ილია ჩამოვიდოდა საგურამოში, ბაირაღს აუშვებდნენ და ამით ანაშენებდნენ გლეხებს, თუ ვის რა დარდები ჰქონდათ, მოსულიყვნენ და შეეჩვილათ.

ერთ-ერთმა გასულმა ბიჭმა ვანო ბიჩინგაურმა, რომელიც 14 წლით იყო გადასახლებული შორს ციმბირს, იქიდან მოსწერა ერთ თავის ნაცნობს: „ძმაო საბა! რა ვიცოდით ჩვენ, რეგვენებმა, თუ ილია ქავექავაძე, ასეთი კარგი კაცი იყოო!.

### სანდრო უნდილაშვილი (ილიას მეხბორე 46 წლ. საგურამო)

ილიაობას ყველა მხრიდან იყრიდა ხალხი თავსა. ერთ წელიწადსაც ილიაობას ბევრი ხალხი მოვიდა. დიდი დროს ტარება იყო. ერთი ზაქარელი კაცი ძალიან დაითრო და მეტი სიმთვრალით დაიხრჩო, მკვდარი წაიღეს. მერე ილიამა სთქვა, რომა როცა კაცი ჩემს საბაბზე და ჩემს ოჯახში მოკვდა მკვდარიც ჩემიაო, აილო ორი ტომარა პური, ორი კოკა ლენია და რალამდენიც ფულიც გაუგზავნა იმ მკვდარი კაცის ოჯახსა დასამარხათა.

ას კაცზე მეტი მარტო ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე, ილიაობას. ყველა სოფლის ხალხს ცალ-ცალკე დასხამდა საქეფოდ. უსათუოდ მოვიდოდა ხოლმე ჩვენთან სუფრაზე, დაგვხედავდა, ხევსურებთანაც ყოფნა ძალიან უყვარდა სუფრაზედ ხევსურების სიმღერა.

### მანო უნდილაშვილი (80 წლის საგურამოელი გლეხი)

ილია როცა პირველად მოვიდა ჩვენში მე არ ვიცნობდი, არ მენახა. ერთხელ საქონელს ვაძოვებდი იმის ადგილში, შევხედე და ერთი ახალგაზრდა ცოტა შავგერმანი და კარგი ტანის ვაჟკაცი მიდის ბილიკზე, მხარზე ორ ლულიანი თოფი ჰკიდია, როცა ჩემ სიახლოვით გაიარა ცოტახანს შეჩერდა და მითხრა, ბიჭო, არ გეწინიან აქ რო აძოვებ, არ იცი ეს ალაგი ვისიაო?

მე ვუთხარი, როგორ არ ვიცი აი, მაღლა რო სახლი იმი სახლის პატრონი ქავექავაძეა და ეს ალაგიც იმისი არის მეთქი. მე არ ვიცოდი და მერე კი გავიგე, თურმე თითონ ყოფილიყო ქავექავაძე.

მერე მივხვდი თუ რათაც გაიცინა, როცა ქავექავაძის გვარი ვახსენე.

### სოფიო უნდღლაშვილი (ილიას ხაბაზი, 70 წლისა)

ერთხელ, საგურამოში ილია ხნაეს მიწასა, თავისი მოჯამაგირეებით. თავისი ზეღით მოჭკონდა ხოლმე სამხარი გუთანზედ.

ილიას თონეცა ჰქონდა, ფურნეცა. მუდამ დღე ახალახალ პურს ვაცხობდი თონეში: ოცსა, ოცდა ათს ცალს ვაცხობდი გამტკიცულს.

ბევრჯერ უთქვია ჩემთვის ილიას: სოფიო, ხანდინინ შენ გააკეთე კერძიო, სოფლური კერძი ძალიან მიყვარსო. მეტად ჰქვიანი და კარგი იყო ილია, ვეველას შვილივით არიგებდა, ჰქუას ასწავლიდა და ეფერებოდა.

### მართა გვირიშვილი (85 წლის)

ჩემი მამამთილი თადეოზ (თაზია) გვირიშვილი ცოტა შერეკალი და იმავე დროს ძლიერ მოხუცი იყო. ერთხელ ილიაობას თაზიამ აიღო ჯამით ღვინო, ძლიერ კარგი სიტყვა უთხრა და სახალხოდ დალოცა ილია. როცა დალია, გაფხვსო ჯამი და გადასცა გლეხებს, ვინც იმის სუფრაზე ისხდნენ. რადგანაც თაზია დორბლიანი იყო, ამიტომ არავინ ჩამოართვა. მაშინ სივიდა ილია, აკოცა საქორწინებ და თითონ გამოცალა ჯამი. მთელ იმოტელა ხალხს შერცხვა, მაგრამ რალას იზამდნენ.

ერთხელ ჩემი შვილი დაიჭირეს საბალახოების გამო, მე აღარ ვიცოდი რა მექნა. არავინ მყვანდა ქოშავი და პატრონი. ძალიან შეეწუხდი, აქეთ მივარდი, იქით მივარდი. ბოლოს მომავონდა ილია და გავიქეცი იმათ სახლისაკენ. ჩემ იღბალზე ილია სახლში დამხვდა: მივედი თუ არა, სალამიც არ მიმიცია, ისე ტირილით ვუთხარი: მიშველე რამე, ბატონო, ჩემი შვილი დაიჭირეს და რაზე დაიჭირეს მეც არ ვიცი, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ჩემი შვილი არაფრის დამნაშავე არ არის მეთქი. ილიამ მითხრა, რომ ნუ გეშინიან, შენ წადი და სახლში არხვინად იყავიო; მე ეხლავე დღუშეთში წერილს გავგზავნი და გამოუშვებნო. მართლაც მეორე დღეს ჩემი შვილი გამოეშვათ და სახლში მოვიდა, ილიას რო ქალადი არ მიეწერა დავილუპებოდი. ვინ გამოუშვებდა იმ დროსა, როცა სულ უღმერთო მოხელეების ხელში იყო სამართალი? ძალიან ებრაღებოდა საწყალი ხალხი.

### ნატო ცვიშვილი (70 წლის, სოფ. ჯილაურა)

გაზაფხულობით ბევრს დააკლდებოდა ხოლმე ჰინახული, ილიასთან ვინც კი მივიდოდა და სთხოვდა, პური მასესხეო იმ საათში აძლევდა, თითონ რო მარცვალაც არ დარჩენოდა, ცარიელს მაინც არ გამოისტუმრებდა კაცსა. მოგე-ქონდა და კალოზე იმდენივე რწყევას, რასაც წამოვიღებდით, ისევე ვუბრუნებდით ხოლმე. ვისაც შეატყობდა, რომ ცოტა მოსავალი მოსდიოდა, იმას აღარ ართმევდა. ვისაც ბლომად მოუვიდოდა იმათ კი უკანვე ართმევდა ხოლმე.

ერთი მეორეში პირი არ წაიხდინოთ, ერთხანეთში ნდობა არ დაკარგოთ, თორემ ცხოვრება გავიძნელდებათო ხშირად ასე გვარიგებდა.

მე ილიას ლაპარაკს ბევრჯერ შევესწარი. მე თითონ კალატოზი ვარ ხელობითა და ილიას სახლის კირიცი მე დაეწვი და სახლის აშენებაზედაც მე ვმუშაობდი, ილიას სახლის მთელი კედლები ჩემი ამოყვანილია.

### სოლომონ ფრიდონაშვილი (საგურამო)

ზოგნი ამბობდნენ ილიამ წყაროზე კოკა გამიტეხაო. ჯიბრით გაზეთში გაუშვეს, გლეხს წყალზე კოკა გაუტეხაო. კოკა ილიას არ გაუტეხია, აქ ერთს ლეჩხუმელი გორგასიძე იყო ტარასენცკიანთა, (სტაროსელსკებთან. რედ.) იმან გაუტეხა. ილიას სახლამდი ვინ წავიდოდა წყალზე, როცა აქვე სოფელში იმაზე უფრო კარგი წყაროები იყო... ის თურმე, მთელი საქართველოს მამა ყოფილა და ჩვენ რა ვიცოდით... ქურდი და მატყუარა კაცი ძალიან ეჯავებოდა. ორჯელ, თავის სამშობლო სოფელში—ყვარელში გაგვგზავნა საწყალმა, ღვინოების მოსატანადა,—ესახელებოდა ხოლმე თავისი სოფლის ღვინო რომ ეჩვენებინა აქაურებისათვისაც და ილიაობას მოსულ სტუმრებისათვისაც. ილია ასეთი კაცი იყო, რომ, კაპიკს შენსას არ ინდომებდა და თითონაც არავის არაფერს გაატანდა, თუ ძალითა და ან მოპარვით მოინდომებდა იმისაგან. ილიას ცოლი სულ აქ იყო ხოლმე სოფელში და თითონ ილია კი ათასში ერთხელ მოვიდოდა. დახედავდა თავის მამულსა და ისევ წავიდოდა ხოლმე. ერთხელ დღეობაში მაქიდავა ილიამა. მე სულ ცოტახანში წავაქციე ჩემი მოქიდავე. ილიამ ხუთი მანათი ფული და ერთი საყენი შემა მაჩუქა.

\* ილიაობა მიდიოდა ოც კათათვეში და ამ დღეს საიდან არ მოდიოდნენ ხალხი... ძაან კარგ ქეიფს გავწევდით ხოლმე.

იმის მკვლელს გაუხმეს ხელი, განა ის მოსაკლავი კაცი იყო!...

### გიორგა ბედუაძე (80 წლის მოხუცი. საგურამო)

ილია მეოთხედებს იღებდა, მაგრამ ძალიან კარგი კაცი იყო. ერთხელ ღალა მიუტანე კალოზე, სადაც მოურავისთენ უნდა ჩამებარებინა, ილიასწორედ იმ დროს კალოზე იყო. გადმოვცალე ურემი. მოურავი თვლიდა, მე კი, წინ და წინ დათვლილი მქონდა ძნები და ორი ძნა მეტი გამოვიდა. ეს გაიგო ილიამ, რომ ორი ძნა მეტი მივიტანე. მოვიდა ახლო და მითხრა: ორი ძნა უკანვე წაიღე, მეტი რათ მოიტანეო? ურემზე დაუდე და წაიღე, რაც მეტი იყო. მე აღარ მიმქონდა: სირცხვილია, ორი ძნის უკან წაღება მეტიქი, მაგრამ ილიამ არა ქნა: მე უშვილო კაცი ვარ, შენ კი ცოლშვილის პატრონი და ღარიბი გლეხი კაცი ხარ, წაიღეო და უკანვე გამომატანა. ძნები ურემზე შეგყარე და მე კი ცოტახან ლაპარაკში ვავერთე. ჩვენბური გლეხები მუშაობდნენ ილიას კალოზე. იმ დროს სოსიკა გზირიშვილიც იქა მუშაობდა, რომელიც ძალიან უყვარდა ბატონსა. ილიამ უთხრა სოსიკა გზირიშვილსა: სოსიკა, რამე იმღერეო, ი, სოსიკამაც ილიაზე გამოთქვა ლექსი და იმღერა:

შამკობილო ვარდის კონა—  
ილია ქავჭავაძეო,  
თავადებში ხარ ნაქები—  
გლეხებისა მოწყალეო...

დიდი ლექსი იყო, მაგრამ მე აღარ მახსოვს. ის რო მღეროდა, ილია შეყურებდა და სახე უღიმოდა, როგორც სახითა ისე გულითაც ლამაზი კაცი იყო საწყალი.

### ილია მოძვრიშვილი (72 წლისა. საგურამო)

ილიაობა დღეს, მთელი საგურამო—ერწოს მუშები, მცხეთისა და კახეთის კნიაზობა, იყრიდა თავსა. ილია დაკლავდა ხოლმე ორ-სამ ძროხას, ხუთ-ექვს ცხვარს და ძალიან დიდ ქეიფსა მართავდა ხოლმე. თითონ თავზედ დავაადგებოდა და ძალიან გულითა გვთხოვდა, კარგად იქეიფეთო. ილიას კახური სიმღერები და მრავალკამიერი უყვარდა ძალიან. ილია ხან ერთ მხარეს მივიდოდა სუფრისა და ხან მეორეზე; ხან მაღლა აღიოდა და ხან ძირს ჩამოდიოდა, მარანში; ხშირად კი ჩვენთან იყო ხოლმე, სადაც ჩვენი სოფლის ხალხი ვეგულეობდით. ჩვენი სოფლის კაცი, თუ ვინმე მოახსენებდა მადლობასა, ილიას ეწყინებოდა ხოლმე: თქვე ბრეყებო, თქვენ რა მადლობლები ხართ, როცა თქვენი ნაშრომით ქეიფობთო... როგორი მასპინძელიც მე ვარ, თქვენც ისეთივე მასპინძლები ხართ, იმ უცხო სტუმრებისაო, მიგვეთითებდა ხოლმე სხვა სოფლებიდან და ქალაქიდან მოსულ 'ხალხზე. რაც მე ცხოვრება მაქვს, ცოტა მე შეკუთვნის და ბევრი კი თქვენიაო. ჩვენი სოფლის ქალები ცალკე ატარებდნენ დროს, იმათკენაც გაივლიდა და მოხუცებულ ქალებს ეტყოდა: აბა კარგა დრო გაატარეთ, იქეიფეთ, ღვინო ისევ ისე გიდგიათ, მიირთვით, დალოცეთ ცის ნამი და დედამიწა, რომელიც ჩვენ უხვ მოსავალს და საზრდოს გვაძლევსო და მერე ჩვენთან მოვიდოდა და გვეტყოდა: ქალებს ტკბილი ღვინო მოურბენინეთ ერთერთმაო, ჩვენ რომელიმე წამოვებტობდით და მარანში მივიდოდით და შიგვინც ჰყავდა დაყენებული, ვეტყოდით ილიას დაბარებულს; ისინიც მაშინვე ასრულებდნენ; ილიას სულ სახე უცინოდა და ღიმილი არა შორდებოდა სახიდანა. ასეთი ამბით გავატარებდით ხოლმე ილიაობა დღეს.

### იამოკრა შამხალაშვილი

ილიას ჰყვანდა ერთი მეეტლე როსტიაშვილი. ილიამ მითხრა ერთხელ ილიაობას (ილიას ძალიან უყვარდა ქართული ქიდაობა), რომ თუ დაეჭიდები როსტიაშვილს და წააქცევო, ერთ საყენ შეშას მოგცემო.

დავეკიდე. წავაქციე. რამდენიმე დღის შემდეგ მივედი და ილიამ უბრძანა ერთი საყენი შეშა უფასოდ გამოუწერეთო. მივიღე.

ჩემს ბაღლობაში მოხუც რაქდენა ტაკაშვილისაგან გამიგონია:

„როცა რუსი აპეკუნად დაუდგა საქართველოს, რუს ხელმწიფეს დაუწყია რუსების გადმოსახლება. ილიას ხელმწიფისათვის შეუთვლია— „ჩემ ხალხს ისეც ცოტა ალაგი აქვსო და შენ ამ ხალხს რალას ჰგზავნია“. იმის შემდეგ ხელმწიფე ხალხს აქეთ აღარ ასახლებდაო.

### მინა ფირადაშვილი, (83 წლ.)

მე ილიასთან ვმუშაობდი ხოლმე ხშირად, უკეთესი საფუტკრე სკებს. ერთხელ, როცა მე ილიასთან ვიყავი, საღამოთი მზე რო ჩაბრძანდა, ამოვიდნენ ჩვენი სოფლის რწმუნებულები: სოსიკო გზირიშვილი და მარტია უნდილაშვილი.

ილიამ უთხრა: „გამარჯობათ, ჩემო ბებრებო, რა გინდათ ბიჭებო?“

— თუ არ შეგვრისხამ ბატონო, მოგახსენებთ“.

— რაზე შეგრაახავთ სისულელეც რო სთქვათ, მე მაინც თქვენი ჭკვისა არ გავხდები-ო—სიცილით უთხრა ილიამ.

— აი რა არის ჩვენი თხოვნა: ტყეში ამა და ამ ალაგას ყრია აუარებელი ხმელი ხე, იქ ტყუილად ღვება და მოდი ისევ სოფელს გვაჩუქე-ო.

— მარტიავ: ნეხეს რათ აყრით ხოლმე მიწას?

— იმიტომ, ბატონო, რომ მიწა გასუქდეს—მიუფო მარტიაშ.

— ჰო, სწორედ ტყეშიაც ეგ ამბავია, ის ხმელი ტოტი რო ჩამოვარდება ხიდან, ფესვებზე დაეცემა, დაღვება და საზრდოს მისცემს ხეს. თქვენ კი მატყუებთ, რომ ხე ტყუილად ღვებაო. აზირ, ის მითხარით, რომ გვაჩუქეთ!

— მართალსა ბრძანებ, ბატონო.


— ჰოო და აიღეთ და გამოიტანეთ, მიჩუქებია სოფლისათვის, მხოლოდ ხეები არ დასჭრათ-ო. კიდევ ილაპარაკეს. მადლობა გადაუხადეს და წამოვიდნენ.

ილია ყველას ჭკვას არიგებდა. ერთხელ მე მითხრა: „მიხავ, ზოგი კაცი ფიქრობს ჭავჭავაძის ტყე რათა აქვს შეკრულიო. აი რა გითხრა—ეს ტყე რო არ იყოს, ამ სოფელს ნიაღვრები წაჰლევას. ამ სოფელს ეს ტყე ინახავს. მე, ხომ იცი, ერთი უშვილო კაცი ვარ, გადავბრუნდები და მოგვდები და ეს ყველაფერი თქვენ შვილებს და შვილიშვილებს უნდა დარჩეთ. მე რო ეს ტყე გავკაფო, თქვენი ჩამომავლობა დამწყველის“-ო.

### ძმეთო, ჯაგანისხვილი (75 წლ., ილიას პურის მცხობელი)

მუშას უღვინოთ პურს არ აკმევდა. ხშირად გადმოდგებოდა აივანზე და დამიძახებდა: „ქეთო, ქეთო, პური მიირთვი პური, ეგრე უჭმელი, როგორ უნდა გასძლოო!

ერთხელ პურს ვუცხოობდი ილიას. თონის სიცხის გარდა ისედაც ძალიან ცხელოდა და სახეზე ოფლი მქონდა. ამ დროს დამინახა ილიამ და გადმომძახა: დაისვენე, ქეთევან, დაისვენეო... ბარემა, მაგრამ ე პურს ვინლა გამოაცხობს, მე რო დავისვენო მეთქი? ცოტა რო დაუგვიანდეს პური სულ დამეკავდება და წახდება მეთქი. მერე ილიამ მითხრა, ისევ პური წახდეს შენს ავად გახდომას ისა სჯობიანო; შენი შვილების პატრონი ვილა იქნება შენ რო ავად გახდეთო. ეჰ, იმის მამკლავი სააქაოსაც დაიკარგოს და საიქიოსაც... თურმე, როცა ჰკლავდნენ, საწყალსა დაეძახნა ჰა, არ მამკლავთ მხეცებოვო!



1868-1872 წწ. სანჯიკის სასახლის ფოტო

### პეტრე რაჭმაძე (75 წ., ბიწმენდი)

მე ბევრგან მინახავს ილია და უფრო კი წინამძღვრიანთ კარში ილია წინამძღვრიშვილთან. ილიას ლაპარაკი ბევრჯერ გამიგონია, ხალხს მუდამ არიგებდა ხოლმე.

ერთხელ, დღეობაში იყო წინამძღვარიშვილთან, მე შორი-ახლო ვიდექი და მიეყურებოდა მათი ლაპარაკი. წინამძღვარიშვილი ერთ გლეხკაცს გაეხუმრა, ეს ხუმრობა ისეთი იყო, რომ იმ გლეხის დაცინვას წაავადდა. მერე, როცა გლეხი კაცი იქით მოშორებით რაღაც საქმისათვის წავიდა, მაშინ წინამძღვარიშვილს უთხრა ილიამა, ეგრე ურიგოთ ნუ ეხუმრებთ, სოფელში ცუდათ გაიტანს მაგ უბრალო ხუმრობასაო. ილია და მისი ცოლი თავიანთ მეველე გორიას უჯავრდებოდნენ ხშირად იმაზედ, რომ გლეხებს ნუ აწიოკებო!

— როცა მოეკლათ, ურმებით მივდიოდით და ცხედარს ზედ წავადექით გზაზე.

ილიას დროს ჯეელი ვიყავი: მისი მკვლევლობის დღეს, წიწამურას ქვემოთ, თორმეტი ურემი ერთად ვიყავით, მივდიოდით გზაზე, კნიაზი შეგვხვდა, ფაიტონით მოდიოდა საგურამოს. ცოტა კიდევ, რომ გავიარეთ, გვიცხრეს: ფაიტონით რომ კნიაზმა გაიარა, ის მოჰკლესო.

### სანდრო თარაშვილი (საგურამო)

ილიას ლაქია იაკობა როსტიაშვილი ოსი იყო, ჩემი მამიდაშვილი, საგურამოელი.

იაკობა 23 წლისა იყო. როცა იაკობას ესროლნა, მაშინ იაკობასთვის „ცენტრალკა“ დაეხალნათ. საფანტით ნიკაპი და მთელი გულმკერდი დაჩითული ჰქონდა. ერთი ტყვიაც შიგ ყანყრატოში ჰქონდა მოხვედრილი.

ილიას ბერდენკის ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარცხენა სუკში და გამოსულიყო მარცხენა ძუძუსი. ალბათ მკლავიც ამ დროს შეიქნია, რადგანაც ძუძუდან გამოსულ ტყვიას მარჯვენა მაჯის ძარღვები გადაექრა. გარდა ამისა, ილიას ჩამტვრეული ჰქონდა მარჯვენა წარბის თავი. როცა ექიმები სპრიდნენ, მე ვაბრუნებდი ორივე მიცვალებულს.

ილიას, როცა ურმით მოასვენეს, გახდილი ჰქონდა ტუფლები, იაკობასაც წაღები. დანარჩენი ყველაფერი ზედა ჰქონდათ. ილია ტანზე ძალიან მსუქნათ იყო. ექიმებმა გასკრეს ზალაში, სადაც ხალხს იღებდა ხოლმე ილია.

ილიას სიკვდილი ხალხს ძალიან ეწყინა. ბევრი კაცი და ქალი ბლავილით ტიროდა. ეხლაც ქალაქში რა დავინახავ ხოლმე ილიას სურათს, ცრემლები მომადგება ხოლმე“.

მოგონებანი ვაჟა-ფშაველას შესახებ



## თამარ რაზიკაშვილი

(ვაჟა-ფშაველას ქვრივი)

### ლუკა რაზიკაშვილი

1905 წელს ლუკა არ დარჩა ისე, რომ რევოლუციისათვის შორიდან ექ-  
ქირა და რამე მონაწილეობა არ მიეღო მასში. ვაჟას სწამდა, როდესაც რევოლუ-  
ცია გაიმარჯვებდა, საქართველო აუცილებლად ქანთავისუფლდებოდა რუსეთის  
თვითმპყრობელობის კლანჭებიდან.

იმ დროს ჩარგალში მღვდლად გიგო სონღულაშვილი იყო. ერთ დღეს  
დაუძახა ლუკამ მღვდელს და ეუბნება:—აბა, მღვდელო, აიღე შენი შესამოსი და  
ჯვარი, უნდა გამომყვე, სადაც მე წავალო!—სად უნდა წავიდეთო? ეკითხნა  
მღვდელს—სადა და ქინვალს, მაღაროსკარს, შუაფხოს, უკანაფშავს, ერთი სი-  
ტყვით ყველგან სოფლის მოსამართლეებს და მამასახლისებს უნდა შენდლები  
აფყარო და შენ კიდევ ხალხი საქართველოს ერთგულებაზე დააფიცოვო!

გახეთქოდა გული გიგო-მღვდელს—არ დამლუპო კაცო, რას ამბობ ციმ-  
ბირში გადაგვკარგავენ მეცა და შენცაო! ბევრს ნუ ლაპარაკობ, მღვდელო, თო-  
რემ ხომ ჰხედავ ამ მათრახს, უარეს დღეს მე დაგაყრი, თუ არ წამოხვალო და  
ისიც წაჰყოლოდა. მართლაც ვაჟას, სადაც კი, „სუღია“-მამასახლისები იყვნენ,  
აფყარა ყველასათვის შენდლები, მღვდლებს კიდევ სუყველას საქართველოს  
ერთგულებაზე აფიცებდა. როდესაც თითქმის მთელი ფშავი მოიარეს, მოვიდა  
შინ ლუკა, ერთი ტობრაკი შენდლები მოიტანა, გადმომიგლო სიცილით და მი-  
თხრა: აჰა, დედაკაცო, ამისი შიბი<sup>1</sup> გააკეთებინეო. გვეო ეს ამბავი თიანეთის  
მაზრის უფროსს თუ არა, დაეძახნა მაშინ პრისტავ ოზიაშვილისათვის და ეთქვა:  
წაიყვანე ასი სტრანეიკი, დაიქირე ვაჟა-ფშაველა და აქ მომგვარეო. ოზიაშვილს  
კიდევ ეთქვა: „აი, ბატონო, და მიეშვირა მკერდი, დაუძახე და ემ წუთში დამ-  
ხვრიტონ, ოღონდაც მაგას მე ცოცხალი თავით ვერ ვიზამო! ხალხი, ჩაგვეყო-  
ლავსო!

ამ ლაპარაკში იქ შესწრებოდა ერთი კარგი ვაჟას ნაცნობი, გვარი არ  
მახსოვს, ის მაშინვე გამოქექულიყო თიანეთიდან და მოვიარდა ჩარგალში. სულ  
ხვითქი გადასდიოდა, ლუკას უამბო ყველაფერი და თანაც ურჩია, სადმე გაქცე-  
ულიყო და დამალულიყო. ლუკამ კარგი პატივი სცა—იმ კაცს და მადლობა გა-  
დაუხადა, თანაც უთხრა, რომ მოვიდნენ და მეც აქ დავხვდები, ვნახოფ, რო-  
გორ დაიქერენ ვაჟა-ფშაველასაო! მაშინვე შეუდგა ლუკა თადარიგს: მოამზა-  
და იარაღი, ბერდანკა; დაუძახა ჩარგულ ახალგაზრდობას და უთხრა, რომ  
მზადა ყოფილიყვნენ დასახვედრად. მთელი სამი დღე და ღამე ამზადეს ვაზ-

<sup>1</sup> შიბი გულზე გასაკეთებელი ფშავური სამკაული—ავტ.

ნები. გავიდა ჩვენს იქით ტყეში და მთელი ორი კვირის განმავლობაში იქ იყო ჩასაფრებული. დანარჩენი ახალგაზრდები კიდევ ვაანაწილა სხვადასხვა ადგილებში, რომ მტერს დაჰხვედროდენ. ორ კვირაზე მეტი სულ ამ მოლოდინში ვიყავით.

### თამარ რაზიკაშვილი

(ვაჟა-ფშაველას ასული)

ჩემი ძმა ლევანი, როგორც იყო, მიაღებინა მამამ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, მე კი სიღარიბით სკოლას ჩამოვჩი, რადგანაც მამას არავინ ჰქავდა გულშემატკივარი, თუმცა კი აღარდებდა ჩემი დარჩომა უსწავლელად. მახსოვს, ვიღაც დიდი კაცები ჰყავდა და იმით ეუბნებოდა: „მე რომ თამარისთვის მესწავლა უთუოდ ხაყოფს გამოიღებდაო, მაგრამ მოვტყუედიო!

ბევრი გაჭირვება და გულის ტკივილი უნახავს. არაფერი რომ არ უკეთდებოდა, რაც გულთ უნდოდა, ამიტომაც უჩიოდა გულის ტკივილს. ხშირად იტყოდა ხოლმე: „ეს გოგო მგავს“-ო! მეც მიხაროდა, რაკი მამას ვგავდი სახითაც და ხასიათშიც.

ვცხოვრობდით ისე, როგორც ჩვენი მეზობლები—ღარიბად. ვხნავდით ვმკიდით და ვთიბავდით. რომ წამოვიზარდე გვერდზე ვედექ მკაში, თიბვასა და თივის ზიდვაში.

ხანდახან მოიტანდა საქმე, რომ თითონაც აიკიდებდა ტვირთს. საბლებით შეგკრავდი. ხან ცხენს ავკიდებდით. როცა თოვლი მოვიდოდა, დიდ ხარებს წაფიყვანდით „მარტულელას“ ვეძახდით. თითო ხარს შევებადდით ისე, რომ მარტულელს იქით-აქით დაშვებული ჰქონდა მხრებივით, ამაზე მოვებადდით თივას, რომელიც კავით იყო შეკრული მაგრად, რომ არ დაშლილიყო, როცა ვაშრებოდა, „მანჯიკის“ ვეძახდით იმაზე შევავდებდით და ისე წამოვიღებდით.

მამას ცხოვრებაში ბევრი ტანჯვა და დაღონება უნახავს. ხშირად მამაჩემს კაპარიც არა ჰქონდა, რომ დაეღია დაღალულს.

ერთ დამეს ვსთქვი, მოდი, მამაჩემი როგორ სწერს ყური დაუგლო, როცა დაეწვებოდით და კაცის ხმა მისწყვდებოდა ყველაფერი მყუდრო იყო, მაშინ იცოდა წერა. მე ლოკინში ჩუმად ყურს ვუგდებდი. ჩემი ფიქრით, როგორც მამა მოიტკეოდა მეც ლექსებს და მოთხრობებს დაეწერდი.

მამა გაივლ-გამოივლიდა, ხან ერთ კედელს მიაჩერდებოდა ხან მეორეს, ხან ფანდურს დაუკრავდა, კიდევ გაივლიდა, მივიდოდა მაგიდასთან და დასწერდა.

ხანდახან, როცა ნავთი გაგვითავდებოდა ზამთარში, არყის ანაყარი ქერქი იყო ჩვენი ჭრაქი. როცა ზაფხულში ხეს წყალი შეუვიდოდა მაშინ კარგად იყრებოდა, გახმებოდა, დაგრეხავდა და იმას ანთებდა და იმ ხის შუქზე სწერდა და კითხულობდა. ხშირად ბუხრის სინათლეზე, ბევრჯერ მახსოვს, მუხლზე დაიდებდა წიგნს და პატარ-პატარა ქაღალდებს დასდებდა ზედ და ისე სწერდა.

მამაჩემი ხშირად თითონაც თეხშიშველი ყოფილა და ცოლ-შვილიც ჩამოხეულ-ჩამოვლუჯილი ჰყოლია.

მამამ მკა და თიბვა ჩქარა იცოდა. მალ-მალე დაისვენებდა ხოლმე. ამოიღებდა ქაღალდს, ფანქარს ერთ ორს სტრიქონს მაინც დასწერდა, ხანდახან იქვე, ყანის მკის დროს დაჯდებოდა და დაიწყებდა წერას. ყანის მკა ჩქარა იცოდა, მხოლოდ თავთავს კი აბნევდა. არ მიყვარდა, როდესაც თავთავს გვაკრუფინებდა.

როცა დასწერდა ან საახალწლოს ან საშობოს, წაგვიკითხავდა და გვეტყოდა: „როგორ მოგეწონათ, ბალებო?“ ჩვენც რასაკვირველია ვეტყოდით—კარგია მა-  
მე, კარგიაო! დაგვირდებოდა—მე საკაბეს, ჩუსტებს, ლევანს ჩოხას და ახალუხს,  
პატარა ხანჯალს.

როცა „ბახტრიონი“ დაიბეჭდა და მოიტანა, პატარ-პატარა წიგნებდა,  
გარეთ ყდაზე იყო დახატული მამაჩემი თავისი ცხენით ნიკორათი, რომელიც  
ძალიან უყვარდა, მოგვცა თითო წიგნი და გვითხრა: „აბა, ვინც მალე ზებირად  
დაისწავლის, იმას დავასაჩუქრებ“-ო.

მამას არ უყვარდა, როდესაც მის მაგიდას ვინმე ხელს ახლებდა. თუ მივე-  
კარებოდით და ნაწერებს ავრევდით, ვაი ჩვენ ტყავს! როცა ის სწერდა, დღი-  
სით ბუზიკ ვერ გაფრინდებოდა. კარებს ვერ გავაღებდით, ხშირად გორაზე იცოდა  
ჯდომა ჩვენი სახლის გვერდით.

ვაჟას ნადირობა უყვარდა. გვეტყოდა ხოლმე, წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე,  
რომ ცარიელი არ მოვალო. როცა დიდი თოვლი მოვიდოდა, ნადირს ისეთ ალა-  
გებში დაიგულებდნენ, საცა ზოვი არ მოხდებოდა და ვაჟა იტყოდა ხოლმე,—ნა-  
თივარზე გამოდიანო, სხვა საშოვარი არა აქვსთო,—მართლაც არ მოვიდოდა  
ცარიელი. მაგრამ ბოლოს კი გაანება თავი ნადირობას.

როცა წამოვიზარდე მეტყოდა ხოლმე: „აბა, თამრო, ცხენი შემიკაზმე, შენ  
როცა შეკაზმავ კარგად ვმზავრობ, კარგად მაქვს დაცდილიო“.

როცა ერთად სადმე მოგვიხდებოდა მგზავრობა, მე ვხედავდი როგორ ავ-  
ლებდა მამა თვალს ტყეებსა და მთებს.

გზაში ვინც არ უნდა ბეჩავი ვინმე შეხვედრიყო, ნაცნობი თუ უცნობი და  
თუ „გამარჯვებს“ ის დაასწრებდა, აუცილებლად უბასუხებდა: „ვაგიმარჯოს  
ღმერთმა“, „ხელი მოგიმართოს“, „შენი ამჯობინოს შენის მტრისას“-ო. ასე  
პასუხით ვასცილდებოდნენ. იტყოდა ხოლმე: „პირველი საღამი თქვენ უნდა და-  
ასწროთ“-ო!

სადაც მწვანე ბუსნო იქნებოდა, იქ ჩამოხდებოდა, ცხენს მოვაძობდით.  
აპოილებდა უბიდან წიგნაკს და ჩასწერდა. ხანდახან როცა ცხენი ნელა მიჰყავ-  
და, მაშინაც სწერდა, და თან არაგვის ხეობას აყოლებდა თვალს.

ორაგული ძალიან უყვარდა, სადაც დიდი მორევი იქნებოდა, იტყოდა  
ხოლმე: „აქ უეჭველად ორაგული იქნებაო!“ უყვარდა კალმახი. ხშირად ნემს-  
კავითაც იჭერდა ხოლმე. ხან დასწურავდა წყალს, ჩვენც ვშველოდით. მეორე მხა-  
რეს გადაუგდებდით, საცა დეზი ჰქონდა წყალს. არაგვზე იცოდა წასვლა ბადით.

ჩვენებურ საკმელებში ყველაზე მეტად ხორცის ქადა უყვარდა. როცა  
გამოვაცხოვდით, მალიდან შემოაპრიდა ქერქს და იტყოდა ხოლმე:

„ქადაო, როგორ შეგჭამო,  
წვენ გიდეგა წურვილივითა,  
შეგჭამო, გულსა მამები  
ეთერის სურვილივითა!“

უყვარდა კიდევ სოკო ხისა, (ტყეში იცის გამხმარ წაქცეულ წიფლებზე),  
ბინკალი, უყვარდა კიდევ ჩაღუნა, (გაზაფხულზე იცის ხევის პირებზე მაღლა მთის

ძირას, როცა თოვლი ამრება, იხარშება რძეში.) კენკეშა, დუცი, მხალი (კლდე-  
 გში იცის), რომელსაც თითმავალას ვეძახით (ერბოთი კერცხში იხარშება.)

კაპარი კეთდება ქერის ფქვილით. ძალიან თხელს აღუღებენ, მერე ხაშს  
 მისცემენ სუფთა ქილაში—იფუფლებს. ხშირად იცოდა მამა ჩემმა წყლის მაგიფ-  
 რად კაპარის სმა. ზაფხულობით კი მწიფე პანტას მოვხარშავდით. გავსწურავ-  
 დით და ბოთლებში ვასხამდით. თითო ბოთლში ხუთ ექვს ქიშპის ჩაადებდა  
 და საცობს გაუკეთებდა. „აბა, ბალებო, საცა კაი პანტები იცი, მოიტანეთ  
 და თითო ბოთლს თქვენც შეგიზავებთო!“ ჩვენც ვზიდავდით, ზოგს არაყად გვა-  
 კეთებინებდა. იტყოდა ხოლმე: „ლიმონათი ღმერთმა შეარცხინოს“-ო, მართლა  
 მშვენიერი სასმელი იყო.

რაც დედა ჩემი მოკვდა, მამა ყოველთვის გვიკეთებდა საჭმელს. კომბოს-  
 ტოს და პამიდორის წნილსაც თითონ აკეთებდა, უზამდა ხუტკლრას, პანტას,  
 თანაც გვეტყოდა: „როგორ მოგწონთ, ბალებო, აი შრომა და მოცალობა ასეთი  
 არის, აბა, დაფაცურდით კარგი მათალო მოიტანეთ, რომ ბზეში ჩავეყაროთ,—  
 ზამთარში გამოგვადგება“-ო.

ჩვენც მოვიტანდით. ჩაყვრიდით ბზეში, როცა გაჰყინავდა, ჩამოგიტანდით  
 კალათით. ნელნელა გალხებოდა და შევექცეოდით. ეს იყო ჩვენი საუკეთესო  
 ხილი.

მამას უყვარდა, რომ ზამთარში ყველაფერი გვექონოდა. გვეტყოდა ხოლმე:  
 „დამიანს არაფერი არ უნდა ეზარებოდეს, შინ მოტანილი ქვაც ქადა არისო,  
 უნდა იცოდეს კაცმა ცხოვრებაში გამოსადეგი რაც არის, შრომა დაგაფასებთ  
 სიზარმაცე კი, შეგარცხენთო!“

მე მამაჩემისა ძალიან მეშინოდა. ეხლაც, რომ ვნაზო სიზმარში ისევ ისეთი  
 ხათრი და შიში მაქვს.

მამაჩემმა ხშირად იცოდა „ვეფხისტყაოსნიდან“ ადგილების კითხვა:

„ხატაელთ კაცი მოვიდენ მათნი მოსვლისა დრონია,  
 სიტყვანი შამათეთაღნენ ლაღნი და უკადრონია,  
 არცა ჩენა ვართ ჯაბანი, არც ციხე უმაგრონია,  
 თქვენთა მგელთაცა დასკამენ ჩენი ინდოთა თხანია;  
 ვინ არი თქვენი ხელმწიფე ჩვენზედა რა პატრონია?“

კიდევ:

„ლექვი ლომისა სწორია,  
 ძუ იყოს თუნდა ხვალა!“

კიდევ:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს  
 დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?“

კიდევ შაირებიდან:

„ენაცვლოს თავის პატრონი თავის თვალყვითელს ციცასა  
 დავალის წიწოლათასა, დამშრალს ხაქოსა ზიდვასა,  
 რომელიც უფრო კარგია წინა ფეხითა შინჯვასა,  
 ხსნილ-მარხვა გამაგებინა ეგამც დამყარის მიწასა!“

ან

„ბიჭო, პირი მოგიპარსავს,  
საარშიყოთ კისერი,  
ბიჭო, რატო ცოლს არ ირთავ  
ყურმუსალო, ვის ელი?“

\* \*

ფანჯარაში მტრედია  
ნეტავ ვისი ბედია?  
გამოუშვიოთ, მოფრინდეს  
გული გადამელია!

ლიტერატურის მატიაჲ

სადაც უნდა ყოფილიყო ბალიშს ქვეშ დაიდებდა და მუთაქას ზევიდან და ისე დაიძინებდა. ასეთი ხასიათი ჰქონდა, — ბალიშზე ვერ დავისვენებო, იტყოდა ხოლმე.

მამაჩემს ხშირად არ უყვარდა ქალაქში სიარული, როცა დასწერდა ბეგრს, ერთი ხურჯინი ჰქონდა, აავსებდა იმას, და მერე წავიდოდა ქალაქს.

მამაჩემი იტყოდა ხოლმე: — თიანეთში რო წამოვალ და ერწოსკენ გამოვემგზავრები და რომ მომავონდება ბოკონის გზები, ესევე გზიდან დავბრუნდებიო! ერთი ეს ბოკონის ქაობები მაშინებს და მეორე ბეჟანის ქალის წივილიო. კაცი ღავებრდი და წარბი ვერავინ შემახრევიანა, იმ ბებერმა კი, ჩვენ სახლის პირდაპირ რომ სდგას, იმის ხმა რომ შემომწვდება, მიძინარე ფეხზე უნდა დავდგე, ისე გამტეხა მაგის წივილიო! — იტყოდა ხოლმე სიცილით.

ერთხელ მამაჩემი, რომ ქუთაისში იყო, ერთი პატარა ბიჭი გაუგზავნა თავის პატარ-პატარა წიგნების გასასყიდად. ბიჭი რომ დაბრუნდა ეთქვა, რომ — ვაჟა-ფშაველა ორშაურად გავყიდო! — „ბიჭო, — აღერსით უთბრა ვაჟამ — ამოტელა კაცი ორშაურად როგორ გაჰყიდო?“ — აილო და ფული აჩუქა.

მამაჩემი დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა. ასეთი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ბევრმა უცმაყოფილო ცხოვრებამ სიცოცხლე მოუწამლა. ხან მკავე წყალს ედავებოდნენ. რამდენჯერ არ ააშენა, დაუნგრის, სულ წყალში გადაუყარეს მთელი ხე-ტყე. ესეც არ აკმარეს, ტყის მცველებმა შეიპყრეს, წამოიყვანეს თიანეთში ხელებ-შეკრული. თან თერთმეტი კაცი წამოყალია და მეთორმეტე ტყის უფროსი ყოფილა. მაზრის უფროსს რომ დაუნახავს, მაშინვე ხელები გაეხსნა. „არწივი“ მამამ ამაზე დასწერა, მაგრამ მამაჩემმა არ შეარჩინა ეს ამბავი. ერთხელ მამაჩემი მოდის თურმე თიანეთისკენ, ზევიდან კი ტყის უფროსი და ტყის მცველი მოდიან. მამაჩემმა გუნებაში ჩაიცინა, მოიძარჯვა მათრახი, მიუახლოვდა ტყის მცველს და უთბრა: „ხელი არ გაანძრიო, თორემ აქვე სულს გაგაფრთხო-ბინებო!“ ეტაცა ცხენის სადავე, გადმოეყვანა ცხენიდან, და სანამ გული არ მოიჯერა, მანამ ჩექმებით ეცემა, მერე კი ეთქვა: „წადი და სადაც შენი დი-კვებო, ჩემიც იქა სთქვიო“. იარაღიც აეყარა და სახლში მოიტანა.

მასსოვს ტყის მცველი რომ მოვიდა თავის თოფის წასაღებად მამაჩემმა უთბრა: — „ჯერ დაიჩოქე და მერე მიილე თოფი, ხალხს ნუ აწუხებო!“

## ვაჟა-ფშაველა

(მოგონებანი)

### სოფელი ჩარგალი და რაზიკაანთ ოჯახი

ჩემი ძმა ლუკა (ვაჟა-ფშაველა) დაიბადა ფშავეში, სოფელ ჩარგალში. ჩარგალი მთა-გორიანია, ჩავარდნილი ერთ ხეობაში, რომელსაც შუაზე ჩამოუდის გიქმაყი ჩარგლულა. ჩარგლულას პირი დასავლეთისაკენ უჭნია, სადაც ის არაგვის ერთვის. ამ ალაგს ჩარგლის-კარი ჰქვია. ჩარგლის-კარის მიდამოებში აუარებელი რკინისა და გოგირდის წყლებია. ჩარგალს თითქმის ყოველ მხრიდან დარაჯებად შემოჰხვევიან მაღალ კლდიანი მთები, რომელთა ჭიჭხეებში ძველ დროს ბევრი ჯიხვი და არჩვი (ფსიტე) ყოფილა. ამ მთების სახელებია: ჩარგლის თავი, სასოფეთთავი, საშუბო, ახუნი, დიყელის გორი, სარაყდრის გორი და ასავალთ-გორი. ჩარგალს სამი უმთავრესი ნაწილი შეადგენს: თვითონ ჩარგალი, ბოწახი და აფხუშო. ყველას კი საერთოდ ჩარგალი ჰქვია. ამითში ყველაზე ლამაზი აფხუშოა, სადაც უფრო მაღალი მთები და სალი კლდეებია. ჩარგალი შემოსილია მშვენიერი ტყით, რომელიც მაღლა მთამდე ასულა და შემდეგ თავის ალაგი დეკასათვის დაუთმია.

როგორც ჩარგალში, ისე აფხუშოში ძველ დროს ციხე-გალაგნები ყოფილა.

როგორც შიშინობა ყოფილა მაშინ, ამას ადასტურებს შემდეგი ძველი თქმულება: ერთხელ ზაფხულში, როდესაც ჩარგალელები სათიბრად მთებში ყოფილან ასულნი და სახლში მხოლოდ ბავშვები და დედაკაცები-ღა დარჩენილან, იმ დროს აფხუშოს შემოჰხვევიან დიდოელი ლეკები, რომლებსაც გაუცარცვით იჭაურობა, შემდეგ მოუკიდებიათ ცეცხლი იმ ციხე-სიმაგრისათვის და გაქცეულან. აფხუშოელებს რო დაუნახიათ მთებიდან ეს ცეცხლის ავარდნილი ალი, მაშინვე მიმხედარან თავიანთ უბედურობას, დიდხანს აღარ დაუყოვნებიათ. წამოუვლიათ ხელი ზოგს ცელისათვის, ზოგს კიდევ იარაღისათვის და აფხუშოელ ლაჭაურას წინამძღოლობით დასდევნიბიან უკან ლეკებს, დასწვიან და ისე ამოუყელტიათ, რომ ამბის წასაღებად ერთი აღარ დარჩენილა: თვითონ ლაჭაურას იმათი ბელადი მოუკლავს.

იმ ლეკების ბელადსაც თავის მხრით ლაჭაურასათვის დაუკრავს თავში ხმალი, რომლისთვისაც თავზე ნახური მუზარადი გადაუჭრია, მაგრამ ლაჭაურა კი გადარჩენილა.

ებლაც კი ციხე-სიმაგრის ადგილზე მრავალადა ჰყრია უზარმაზარი ქვები და ღორღი, ამოსულა თვალუწყდენელი იფნის ხეები, რომლებ შორის აფხუ-

შოელთ აუშენებიათ ქვის პატარა ქოხი, ამ ქოხზე ზედ სიბის ქვა დაუფარებიათ, და ეს ალაგი სალოცავად გაუხდიათ.

იქვე ინახებოდა ის ლაჭაურას მუზარადიც, რომელზედაც ის ხმლით ჩაჭრილი ალაგი სანთლით იყო ამოლესილი. ეს მუზარადი შემდეგ ჩარგლის ეკლესიაში ინახებოდა. აფხუშოს, ხატობას, როდესაც ხევისბერი „საკარგემო“<sup>1</sup> დაღვდა, პირველი შესანდობარი ლაჭაურასი უნდა ეთქვა და იმის ნახური მუზარადი სავსე ლუდით უნდა დაეცალა. ამ ხატში ვაჟასაც ბევრჯელ უთქვამს „საკარგემო“ და ბევრჯელაც გამოუცლია ლუდით სავსე ლაჭაურას მუზარადი.

ლექებისაგან აფხუშოს აკლემის შესახებ დარჩენილა შემდეგი ლექსები:

„ვინა სთქვა, ენამც გაუხმო  
ჩარგალში ცუდი ყმანია?  
აფხუშოს, კიკა ხევისა  
სამოცს ლეკს მაჰქრეს თავია.  
აფხუშურაზე<sup>2</sup> გამოჩნდა  
სისხლისა ალაზანია.  
წინ მიაქვ ფარი და ხმალი.  
უკან ლექების თავია“.

ჩარგალშიაც ერთი ნაციხვარის ადგილზე არის სალოცავი, სადაც დიდი ხატობა იცის, იქ ლუდის სადღუღებლად დიდი სალუდე ქვაბი ჰკიდია და იმაში ნადუღარ ლუდს ხატობას მლოცავებს ასმევედენ ხოლმე. მეორე ნაციხვარს სულა-კურდღლიანი<sup>3</sup> ჰქვია, რომლის გარშემო ბევრი აკლდამებია დარჩენილი.

### 2. რაზნიკაბანთი ოჯახნი

(ვაჟას მშობლები და და-ძმები)

ჩვენი მშობლები ფშავლები იყვნენ: მამა—პავლე ამავე ჩარგლიდან, ხოლო დედა გულქანი კი სოფელ სხოვანიდან (იორზეა), ფხიკლეთ ქალი. მისი ბიძა პარასკევა გათქმული მოლექსე ყოფილა. განა ისეთი ფშაველი იქნება, რომ მისი ნათქვამი ლექსები არ გაეგონოს? მამაჩვენის პაპა იმედაც ხომ განთქმული კაცი ყოფილა, როგორც თავის ვაჟაკობით, ისე თავის ჰქვითა, რომელსაც ერთხელ მეფე ერეკლესათვის ეთქვა: „ბატონო, ორი რომ შენ მიბრძანო, ერთი ჩემიც გაიგონეო!“

მამა ჩვენს წერა-კითხვა 15 წლისას დაეწყო, როდესაც ის ცხვარში დადგინილა. იმ დროს მთაში წერა-კითხვის მცოდნე სანთლით მოსაძებნი ყოფილა, გარდა იქაური მღვდელ-დიაკვნებისა, რადგან მთაში წიგნის სწავლა იმ დროს თემის ღალატად ყოფილა მიჩნეული. პავლეს ამ მღვდელ-დიაკვნებისაგან ესწავლა წერა-კითხვა.

პაპა ჩვენს გივის რომ გაეგო, პავლე წიგნსა სწავლობსო, წამოეველო თოფისათვის ხელი და მოსაკლავად გამოსდგომოდა: „როგორ თუ შენ წიგნსა სწავ-

<sup>1</sup> კარგი ყმის, სამშობლოსთვის თავდადებული შესანდობარი.  
<sup>2</sup> აფხუშოზე ჩამომდინარე ხევი.  
<sup>3</sup> სულა და კურდღელა ძმები ყოფილან, რომლებიც მტრების შემოსევის დროს დაუხოცნათ. (წ. მათ შესახებ სიმღერა ა. შანიძის „ხალხურ პოეზიაში“, I, № 748).

ლობ, შენ ამით რჯულსა სტეხ და თემსა ჰოლატობო<sup>4</sup>, მაგრამ პავლეს რაკი-ერთხელ წიგნის გემო გაეგო, მამის მუქარისათვის ყური არ ეგდო და თავისი მაინც გაეტანა. ის თურმე ჩუმად თავის ჩანთაში ქალაღდის ნახევებს ატარებდა და ცხვარში ყოფნის დროს სწავლობდა, რადგანაც პავლესათვის ასეთ პირობებში ჩარგალში დარჩენა საშიშო ყოფილიყო, ის სახლიდან კახეთში გაპარულიყო, მონასტერში 3 თუ 4 წლის განმავლობაში ისე კარგად მომზადებულიყო, რომ დიაკვნობა მიეცათ და ფშავში გაემწესებინათ. ამის შემდეგ ძმებიც გაჰყროდნენ.

„სულ ცარიელ-ტარიელნი გამოგვრეკეს, იტყოდა ხოლმე დედაჩემი: ერთი ქვაბი, ორი ხის ჯამი, ორი ხის კოვზი, ერთი ძველი ფარდაგი მოგვცეს და ისე გამოგვისტუმრესო. პირველად ძალიან გაგვიჭირდა ცხოვრება, მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ, სასოწარკვეთილებას არ მივეცით თავი და მხნედ შევეუდქეთ შრომას, რომ მტერი ჩვენზე არ გაგვეცინებინაო“. მამაჩემს ორი ძმა ჰყავდა, ორივენი მასზე უფროსები იყვნენ. მამაჩემი სულ უმცროსი იყო. სულ უფროსს ბოივარი ერქვა, მეორეს ნადირა, ბოივარი ლამაზი ვაჟკაცი იყო, წამოსადეკი ტანისა და მხარბუქიანი: მას ქორივით თუ ები ჰქონდა და ამშვენებდა გულამდე ჩამოკაული გრძელი უღვაშები. განთქმული მონადირე იყო. ჩვენსა რომ მოვიდოდა, სულ ნადარობაზე გვიამბობდა და ჩვენც გულდასმით ვუგდებდით ყურსა. იტყოდა ხოლმე: „სამჯგრა მაქვს აზარი<sup>1</sup> ათავებული და თოფიც სამი მაქვს მიწაში დამარხულიო“. ნადირა კი მეტის მეტად უზარმაზარი კაცი იყო და მეტად ზარმაცი, რის გამოც ის ძმებზე უფრო ღარიბად ცხოვრობდა.

მამაჩემი სილამაზესთან ერთად მეტად ღონიერი კაცი იყო. ამასთანავე იყო ძალიან ნიჭიერი და მომეცადინე. წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. იმ დროს ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს და ეურნალ-გაზეთებს საღაც კი მნახავდა, შეიძლება და სახლში მოიტანდა.

როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე დ. გურამიშვილის, ილია ქავკავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის და სხვ. ზოგიერთი ლექსები სულ ზეპირად იცოდა. უყვარდა ჩენი ქვეყნის გამოჩენილი მამულიშვილები და მოთაყვანე იყო საქართველოსი, რომლის განთავისუფლება რუსეთის თვითმპყრობელობიდან მას იდეალად ჰქონდა დასახული. იმასთანავე მეტად მჭევრმეტყველი კაცი იყო. ვინც გინდა განათლებული კაცი ყოფილიყო, ის მას კამათში არ ჩამოუვარდებოდა.

დედაჩემი ლამაზი, მეტად გულკეთილი, მოსიყვარულე ადამიანი იყო. შეუძლებელი იყო, რომ იმას ვისთვისმე მაღალი სიტყვა ეთქვა, ან ვისმე გასჯავრებოდა. ღარიბ-ღატაკნი ძალიან ებრალებოდა. როდესაც კი ვინმე ჩვენსა სამართხოვროდ მოვიდოდა, აღარ იცოდა როგორ დაჰმარებოდა: მაშინვე სახლიდან გამოუტანდა საკმელ-სასმელს, კარგად გააძღებდა, დანარჩენს კიდევ გულაში ჩაუდებდა და ისე გაისტუმრებდა. და თუ ვინმე იმთავანი შიშველტიტველი იქნებოდა, იმას კიდევ ჩვენს ნაცვამ ტანისამოსს მისცემდა და შეჰმოსავდა. ამისათვისაც იყო, რომ ჩვენს ოჯახს ბარაქა არ ეკიდებოდა და სულ გაჰირვებაში

<sup>1</sup> აზარის ათავება ნიშნავს ასი ნადირის მოკვლას. უწინ ისეთი ჩვეულება ჰქონიათ, რომ როცა ვინმე ას ნადირს მოჰკლავდა, თოფი მიწაში უნდა დაემარხა. ავტ.



ვიყავით: დედაჩემს გაგიყვებით უყვარდა თავის შვილები. როგორ შეიძლება, რომ იმას ჯერ თვითონ ექამა საქმელი, სანამ ჯერ შვილებს კარგად არ დაძღვება.

ხშირად ვაკეთებდით ხოლმე ხინკალს. ხინკლის გაკეთება უფრო ვახშმად ვიცოდით, რადგან დღისით ამის გასაკეთებლად არავის ეცალა, მეტადრე საქმის დღეებში, როდესაც ყველანი სამუშაოდ ვიყავით წასულები და როდესაც საღამოზე სამუშაოდან დავბრუნდებოდით, მაშინვე ვეცემოდით ზოგი ხორცს, ზოგი შეშას, დედაჩემი ფქვილს მოხელდა და ხინკალი მზად იყო.

ბევრჯელ მომხდარა ასეც, რომ გვიან გავვიკეთებია ხინკალი, და ამ ხინკლის მოლოდინში მაგრა დამძინებია, მაგრამ დედაჩემს ლოგინიდან წამოუყენებდნენ და უთქვამს: „აბა, შეილო, გენაცვალოს დედა, გაიღვიძე! აჰა, ხინკალი არ გინდა? ნახე, რა კარგიაო!“ გამაღვიძებდა და ნახევრად მძინარას მიღებდა პირში ხინკალსა.

ერთხელ ვაზაფხულის პირზე, ჩვენ სოფელზე ჩამომდინარი წყალი ჩარგულა ისე აღიდდა, რომ თავის ნაპირზე აყუდებული ბექები დახრამა და ამ ბექების პირზე ჩვენი სახლისაკენ მიმავალი გზა სულ მოსპო. აღდგომა მოახლოვებული იყო და მოუთმენლად მოელოდა დედაჩემი ჩემი ძმებბის მოსვლას (ისინი იმ დროს გორში სწავლობდნენ, როგორც საახალწლოდ, ისე სააღდგომოდ იმათ ორ-ორი კვირით ითხოვდნენ ხოლმე დასასვენებლად. აბა, იმათაც რაღა დააყენებდათ სახლში წამოუსვლელებს). დედაჩემს უფიქრია: „გაი თუ ი ბექებს გზაში დაულამდესთ. ეს გზა კი აქ გაფუჭებულია, ღამით ბნელაში ხომ ვერ შეამჩნევდნ და იმ ბექზე კი არ გადაცვივდნო!“ ერთ დღეს წამიყვანა. წავიღეთ თან ერთი ცული, დასჭრა ამ ცულით იქვე ახლო-მახლო მდგომი ჯაგები და იმ ბექის პირზე გაამწყვრივა, რომელხედაც გზა იყო გაფუჭებული. სწორედ მეორე დღეს, როდესაც მზე ჯერ კიდევ არ ჩასულა იყო დალილ-დაქანცული სემინარიელები კი მოგვადგენ კარებზე,

მცხეთიდან ფეხით წამოსულები ერთ დღეს მოვიდნენ სახლში. დედაჩემს სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა: ხან ტიროდა, თან შვილებს ეხვეოდა და დაეკოცნიდა. „გენაცვალოსთ დედა, ვინ იცის როგორ დაიდალენით და მშვიგრებოდა ხართ, თქვენ ბეჩავებო!“ უთხრა და მაშინვე შეუღლა სავახშმო თაღარიგს.

ნიკომ (ბაჩანამ) გორიდან თავის გიტარა მოიტანა, რაზედაც კარგად უკრავდა და მღეროდა. როდესაც იმან ვახშამზე თავის გიტარა ააქლერა და ზედ სევედიანი ხვით „მახსოვს პირველად“ დაამღერა, დედაჩემმა თავი ველარ შეიკავა და მორთოა კვითინი, რამაც მეც გული ამჩიყა და ტირილი დავიწყე.

დედაჩემი მეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო. როგორც ის, ისე მამაჩემი ბუნებით პოეტები იყვნენ. დედაჩემმაც აუარებელი საგმირო ლექსები იცოდა, ბევრი ზღაპარი და ლეგენდები, რასაც თავისუფალ დროს გვიამბობდა ხოლმე. როგორც მამაჩემი, ისე დედაჩემი ძალიან მშრომელები იყვნენ. ისინი ისე მუშაობდნენ, როგორც დანარჩენი ფშაელები. მამაჩემს თვითონ ეჭირა ხოლმე გუთანნი და შვილები კი მესხრებად ვიყავით ხოლმე. სამკალ-სათიბზედაც თვითონ დადიოდა. დედა ჩემმა ხომ დალაღვა არ იცოდა რა იყო. შინაურს საქმეს სულ ის

აკეთებდა: პურის გამოცხოვა, ძროხების მოწველა, მათი დაბინავება, საქონლისათვის საქმლის დაყრა, რძის შედგება, შვილებისთვის ტანისამოსის შეკერვა და მოქსოვა სულ იმისი საქმე იყო. როდესაც დაფქული გამოგველეოდა, საფქვევი წისქვილშიაც კი მას მიჰქონდა. ბევრჯელ მძინარას გათენებისას რომ გამოძლიძებია, მინახავს დედა ჩემი ბუხართან ზის და გააქვს საჩიჩელს წყრიალი, ის მატყლსა სჩიჩადა. ბევრჯელ ლამეს ისე გაათენებდა, რომ ლოგინში არც კი დაწყებოდა მეტადრე, როდესაც მამაჩემის მოლოდინში იყო. მამაჩემი მაშინ მღვდლად იყო ხევისურეთში და იქიდან წამოსული ზოგჯერ გათენებისას მოვიდოდა ხოლმე სახლში, გარედან შემოიძახებდა: „აბა ვინა ხართ შინა, ოჯახის შვილებო, გამოხედეთ კარშიო!“ დედა ჩემი გავიდოდა, ჩამოართმევდა ცხენს და თვითონვე დაბინავებდა, თანაც ეტყოდა ხოლმე: „კაცო, რას დახვალ ამ შუალამისას, შე ბეჩაო? რომ სადმე გადაიჩიხო მაგ კლდე-ღრეებში, ხომ დაჰლუპე შენი ცოლ-შვილიო!“ მაგრამ მამაჩემს არ ეშინოდა იმ კლდე-ღრეებისა, როგორც თვითონ მთის შვილსა.

ჩემს მშობლებს სულ ექვსი შვილი ჰყავდათ: ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. ყველაზე უფროსს გიორგი ერქვა, მისი მომდევნო იყო და მართა. მართას შემდეგ ლუკა (ვაჟა-ფშაველა), ლუკას მომდევნო იყო ნიკო (ბაჩანა), ბაჩანას მომდევნო თედო და სულ უმცროსი მე, სანდრო.

საცხოვრებლად ორი ოთახი და ერთი დარბაზი გვქონდა. ერთი ოთახი განსაკუთრებით მამაჩემს ეკავა, ხოლო მეორე ოთახში დედაჩემი იყო თავისი შვილები. დარბაზი კი საერთო იყო.

აქმელ-სასმელი სულ ამ დარბაზში გვქონდა. პურსაც კეცებში ამ დარბაზში ვაცხობდით. ამ დარბაზის შუაზე კერა იყო გამართული. თავში და ბოლოში რკინის კერები ეწყო, რაზედაც მთელი წიფლის ხეს წაყუდებდით, შევეუკეთებდით სხვა შესასაც და ზედ ამ შეშებზე ორივე მხარეს კეცებს მივაყუდებდით ხოლმე პურისათვის. კერის მალა კერში საკომი (საკომლე) იყო ამოჭრილი, საიდანაც ბოლი ადიოდა. კერიდან კერაზე ჩამოკიდებული იყო რკინის საკიდელი, რაზედაც ყურთან ქვაბებს ვკიდებდით საქმლის მოსახარშავად. კერის აქეთ-იქით ჩვენ მოვუხსნებოდით: ერთ მხარეს კაცები, ხოლო მეორე მხარეს ქალები.

ვინაიდან ეს დარბაზი მეტად ფარალალა იყო, უბედურობა იყო ხოლმე დიდი ცეცხლი, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც წინ მუცელზე გცხებოდა, ზურგები კი გაყინული გვქონდა სიცივისაგან. ამასთანავე იღვა ხოლმე საშინელი ბოლი. ამ კერის თავში გვედგა ხოლმე ერთი დიდი ქილა კაპარით (ბურაბით) სავსე და ერთი ც საფუარით სავსე ქოთანს პურის ვასაფუებლად.

### ვაჟა თელავის სასწავლებელში

გიორგი და ლუკა მამაჩემს პირველად თელავის სასულიერო სასწავლებელში მივლენინებინა. საცხოვრებლად კი ნათლიმამა სინიკო აჯიმაშვილთან დაეყენებინა. ამასთანავე ჩაეყვანა ჩემი და მართაც. თვითონ სინიკო ჩარგალში ვაჭრობდა, ლუქანი ჰქონდა, მისი ცოლშვილი კი თელავში ცხოვრობდა საკუთარ სახლში.

რადგანაც იმ ჯგუფში, რომელშიაც ლუკა მიეღოთ, ბევრი მოწაფეები ყოფილიყვნენ და იმისათვის დასაჯდომი ალაგიც კი აღარა ყოფილიყო, ის იქვე საკლასო ოთახის ერთ დიდ ბუხარში მოეთავსებინათ, საიდანაც „მარტოკა გამოვიტყუებოდით“, გვიამბო თითონ ვაჟამ.

თელავში ძმები თურმე კარგადა სწავლობდნენ. კრივში ხომ პირველები ყოფილიყვნენ. როგორც ამ ორი ძმის ყოფნის დროს, ისე შემდეგშიაც კიდევ დიდხანს იცოდნენ თელავში კრივი. კრივი უფრო ყველიერში იმართებოდა, რაც თელაველებს ჩვეულებადა ჰქონდათ გადაქცეული. მათთვის ეს კრივი ერთგარ გართობას წარმოადგენდა. თელაველები ამ კრივის დროს ორ ბანაკად გაიყოფებიან ხოლმე: ძველგალაგნელები ცალკე და ნაღიკერელები ცალკე.

ყველას, თავისი ფალანგები ჰყვანდათ. კრივის დროს საცქერლად თელავის დიდი და პატარა სულ იქ იყო. ზოგჯერ ეს კრივი ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცეოდა ხოლმე და, როცა საქმე გაჰიარდებოდა, კეტებსა და ქვებსაც იშველიებდნენ, რის გამოც ბევრი მათგანი თავგატეხილი და დაშავებული ბრუნდებოდა სახლში.

ასეთი კრივების დროს თურმე ვის მხარეზედაც ეს ორი ძმა ფშაველები იყვნენ, აუცილებლად იმ მხარეს უნდა გაემარჯვა. ჩემს თელავში ყოფნის დროს ბევრჯერ შემხვედრიან იმათდროინდელი განთქმული მოკრივეები: გოგრაქამია, ღირჯალა და ბუტყაქა, რომლებიც ქებით იხსენიებდნენ ხოლმე ამ ორ ძმასა. „იმათ მეტი ვერავინა გვცემდაო“, იტყოდნენ ხოლმე.

იმ დროს, როდესაც გიორგი და ლუკა თელავში სწავლობდნენ, იმავე სასწავლებელში სწავლობდა და იმავე სინიკოს ოჯახში ცხოვრობდა თურმე ჩემი ქვისლი ნიკო ნათიძე (მწერალი მელანია), რომელმაც ერთხელ მიაამო შემდეგი: „მე და გიორგი ამხანაგები ვიყავით, ხოლო ლუკა კი დაბალ კლასში იყოფო. როდესაც კი გიორგი სადმე იშოვიდა კარგ წასაკითხ წიგნს და შინ მოიტანდა, ლუკა იმდენს იზამდა, რომ რამენაირად ჩაიდებდა ხელში ამ წიგნს და წაუკითხავს არ გაუშვებდაო. თუმცა ლუკა გაცილებით პატარა იყო, მაგრამ როცა კი დამეჭიდებოდა, მაქცევდაო. ის ხანდახან გიორგისაც ეცემოდა და, როდესაც გიორგი მას შორს გასტყორცნიდა, ლუკა მაინც ფეხზე იღვავო.

ერთხელ დამით, როდესაც გვეძინა, საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა, დაუშვა კოკისპირული წვიმა, საშინლად გაიღვავა, ერთბაშად დაიქექა და სწორედ იმ ოთახს კი დაეცა მეხი, რომელშიაც ჩვენ ვიწვექითო: მე და გიორგი გულგახეთქილები აივანზე გამოვცვივდით, ლუკამ კი ყურიც არ გაიბერტყა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოსო. მეხი ლუკას ახლო მყოფ ბუხარს დაეცა და კიდევ ჩვენი იღბალი, რომ ფეხზე არ ვიყავითო“.

### მამა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელზე.

გიორგი და ლუკა თელავიდან თბილისში გადმოსულან: გიორგი სასულიერო სემინარიაში, ხოლო ლუკა კი საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში. გიორგი თურმე სემინარიაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. მამის ლექსებიც უწერია. მამაჩემი თურმე გიორგის ძალიან ხელს უწყობდა და თუ რამეს შოულობდა და პოულობდა, სულ იმას ანდომებდა.

ჯერ იმიტომ, რომ ის სიყრმის შვილი იყო და მეორეც, რომ კარგად სწავლობდა და ლექსებსაც სწერდა.

საგარეოდ მამაჩემს შეეკვრვინა მისთვის კარგი ჩოხა-ახალუხი. გაეკეთებინა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, მასრები, შეეკვრვინა მალალქუსლიანი წულები, რომლის ქუსლებზე ვერცხლის ნალები დაეკვრვინა. შეეკაზმებინა მისთვის ვერცხლით დამბაჩა და გაეკეთებინა გულზე ასახმელი აშურმები, რასაც იმ დროს ფშავში ხმარობდნენ და ძალიანაც ჰშენვროდათ.

გიორგის სემინარიაში ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთხელ, როდესაც ის თავის ამხანაგებით ალექსანდრეს ბაღში მსხდარან, იმ დროინდელ მეფის ნაცვალს მიხილს გამოველო, გიორგი და მისი ამხანაგები ფეხზე არ ასდგომოდნენ და მისთვის სალამი არ მიეცათ, რის გამოც ყველა ისინი, სულ 16 კაცი, სემინარიიდან დაეთხოვათ.

ამის შემდეგ რაქი ენახა გიორგის, რომ ის თბილისში ვერსად მოეწყობოდა სწავლის გასაგრძელებლად, პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შესულიყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

### ვაჟა გორის სასწავლებლო სემინარიაში

თბილისში, სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ლუკა გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა, სადაც შემდეგში დანარჩენი ძმები ნიკო და თედოც მიიღეს. იქ ამ დროს და შემდეგაც, სხვათა შორის, მასწავლებლად იყო მწერალი ნიკო ლომოური, „რომელმაც ჩვენზე დიდი გავლენა იქონია და ყოველნაირად ხელს გვიწყობდა განვითარების მხრივ“, იტყოდნენ ხოლმე ჩემი ძმები. ნ. ლომოური ჩემ ძმებს ძალიან უყვარდათ. სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო ლუკამ ლექსების წერა ჯერ ლიტერატურულ კილოზე „ლ. რ.-ზ. კ. შ-ლი“-ს ხელის მოწერით, ხოლო სემინარიის დამთავრების შემდეგ შეიცვალა ეს კილო და დაირქვა „ვაჟა-ფშაველა“ მისი პირველი ლექსები დაბეჭდილია „იმედში“.

### ვაჟა მასწავლებლად ეროვნოში

გორის სემინარიის დამთავრების შემდეგ ვაჟა დანიშნეს მასწავლებლად ეროვნოში, სოფელ ტოლათ-სოფელში, სადაც მე და დედაჩემმაც გავატარეთ მასთან ერთი ზამთარი. მე და დედაჩემის შემდეგ მასთან გაატარა თითქმის ერთი წელიწადი ჩემმა ძმამ თედომაც, რომელსაც იქ თვითონ ვაჟა ამხანაგებდა სემინარიაში შესასვლელად.

იმ დროს თვითონ ჩვენს სოფელშიაც იყო სკოლა, მაგრამ რადგან იმ სკოლაში რუსი მასწავლებელი გამოგზავნეს, რომელმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იცოდა, ხალხმა მამაჩემის მეთაურობით მას ბოიკოტი გამოუცხადა და სკოლაში შვილები აღარ გაგზავნეს, რის გამოც სკოლა მთავრობამ დაკეტა. თედოც რაქი იმ დროს ამ სკოლაში სწავლობდა, სკოლის გარეთ დარჩა და მეტი ჩარა არ იყო, ვაჟასთან უნდა წასულიყო მოსამზადებლად.

ვაჟას ტოლათ-სოფელში დიდი ხანი არ უმსახურია, რადგანაც ამავე სოფლის მღვდელმა აღნიევმა დააბეჭდა: „ეს მასწავლებელი აქ დასაყენებელი არ არის, რადგან „ნიღილისტი და სოციალისტი“, მოწაფეებს ხელმწიფის

საწინააღმდეგო აზრებს უნერგავსო!“ რის გამოსაძიებლად და სკოლის სარევიზიოდ მაშინდელი სახალხო სკოლების დირექტორი დარსკი მოვიდა. ვაჟამ ის პირველად სკოლაში არ შეუშვა, „ვიდრე არ მიჩვენებთ იმ ქალაქს, რის გამოც მე ბრალსა მდებთო“, და როდესაც კი ქალაქი უჩვენა დარსკიმ, მაშინ გამოირკვა ვისი ბრალიც იყო. ამის გამო ის სამსახურიდან დაითხოვეს. ამაზედ აქვს ვაჟას მაშინდელი დაწერილი ერთი ლექსი, რომელიც მაშინ არ დაუბეჭდეს სახელად: „მთიელის გოდება“, რომლის ოთხი სტრიქონი მოჰყავს:

ვერ შემაშინებ, ბილწო თათარო,  
თვალთა ბრიალით, კბილთა ღრქენითა,  
ვერ შემაძულებ ჩემ მოძმე ქართველთ,  
თუნდ ვადმიწყვიტო დაწვა-ცეცხლითა“ და სხვა.

### ვაჟა კეტილური

მართალია ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა, ის ჩამოვიდა თბილისში იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარებოდა და მოახერხებდა რუსეთში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, რადგან ის სწავლა, რაც იმასა ჰქონდა მიღებული, არ აკმაყოფილებდა. ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც დაჰპირდნენ, მაგრამ იმდენი არა მისცეს-რა. იმ დროს ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად ავჭალის ქუჩაზე კულა გლდანელის ბაჭში იყო ჩამომხდარი, სადაც კულას ბაქი ეჭირა და დუქანიცა ჰქონდა. იქ ვაჟა ფშაველებთანა ქეიფობს, რომლებთანაც თვითონ კულაცა ზის. ვაჟას, სხვათა შორის, ჩამოეგდო ლაპარაკი იმაზე, რომ იმას სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში უნდა წასვლა, მაგრამ საკმაო ფულის უქონლობის გამო ვერ მომიხერხებიაო. მაშინვე წამომხტარიყო კულა და ვაჟასათვის ეთქვა: „მოგოკედეს კულა თუ არ დაგეხმაროო“. მართლაც კულამ შეასრულა თავისი ნათქვამი: ის ამისათვის ავიდა თიანეთში, გამართა ჭიდაობა და იქიდან შემოსული ფული სულ ვაჟასთვის გადაეცა.

ამის შემდეგ წავიდა ვაჟა რუსეთში და პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შევიდა, სადაც ჩვენი უფროსი ძმა გიორგიც სწავლობდა.

რაკი ვაჟას ქართველი საზოგადოების იმედი გაუტრუვედა, და იმათგან აღარაფერი დახმარება არ მიიღო, რაც ფული ჰქონდა, ისიც გაუთავდა და შამაჩემსაც აღარა ჰქონდა იმდენი წელი, რომ ვაჟასთვისაც ეგზავნა ფული, ის იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო. პეტერბურგში იმან ორი წელი დაჰყო. სიზმარივით მახსოვს, როდესაც ის ჩამოვიდა, თან ლექსები ჩამოიტანა და სახლში კითხულობდა ხოლმე.

### ვაჟა კეტილური და პირველი ცოლის შერთვა

ვაჟა-ფშაველა რუსეთიდან, რომ დაბრუნდა, ჯერ რამდენიმე ხანს შინ იყო, შემდეგ კი ის ქართლში, სოფელ ოთარშენში, ამილახვრიანთ შინა-მასწავლებლად მიიწვიეს, სადაც დიდ ფეოდალს გიორგი ამილახვარს ასწავლიდა. „გიორგი ამილახვარი მეტის მეტი ვერპი იყოო, იტყოდა ხოლმე ვაჟა, ერთხელ ისე გამაჯავრა, რომ გაბრაზებულმა სილა ვავცხეო და რომ ველარაფერს ვახდა, ეცა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს და უნდა ჩემთვის ესროლაო, თანაც იმუქ-

რებოდა და ამბობდა: „ჰაი, დროებას რა უთხრა, რო ვილაცა ფშაველი ამი-  
 ლახეარსა სცემსო“.

ამილახერიანთ ოჯახშიაც ვაჟა დიდხანს არ დარჩა: ამათივე ოჯახში შეუ-  
 ყვარიდა მათი ნაბუშარი და მათივე გაზრდილი კეკე, კეკე ობოლი იყო და სხვა  
 პატრონი არა ჰყავდა. კეკე ლამაზი ქალი იყო. მიტად გულკეთილი, თავდაბალი  
 და მოსიყვარულე. იმის მზითევს ერთი სკივრი, ორი ხელი ლოგინი, დაირა და  
 ერთი „გარმონი“ შეადგენდა, რომლებზედაც კარგადაც უკრავდა.

ვაჟას მამაჩემისათვის მიეწერა, რომ ცოლი შევირთე, მანდ მოწყავს და  
 ვინძლო ამა და ამ დროისათვის მცხეთაში ცხენები დამახვედროთო. მამაჩემსაც,  
 როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა ჩვენი სოფლელი ახალგაზრდები, სულ  
 ასე 10 კაცამდე თავის ცხენებით, დანიშნულ დროისათვის გამოეგზავნა მცხეთა-  
 ში. ვაჟას გორიდან ბაჩანა და თედოც გამოჰყოლოდენ. მე კი იმ დროს დუშეთის  
 სკოლაში ვსწავლობდი. დუშეთისაკენ ამოვლისას, ვაჟას თედო კიდევ ჩემთან  
 გამოეგზავნა, რომ ის ბაღლიც წამოიყვანეო. მე და თედო ვაჟას და მის მაყ-  
 რიონს სოფელ ჟინვალში დავეწიეთ. ვაჟა თავის პატარძლით წინ მიდიოდა და  
 ამაყად იჯდა ცხენზე.

### ვაჟა ჩარბალში

ამის შემდეგ კარგა ხანს დარჩა ვაჟა მამაჩემთან ჩარბალში, სადაც მიჰყო  
 ხელი წერასა და თავისუფალ დროს კიდევ ჰშველოდა მამაჩემს საოჯახო საქმე-  
 ში. ვაჟას პატარძალიც მალე შეეჩვია იქაურს ავ-კარგს და როგორც დედაჩემი  
 მუშაობდა, ისე იმან დაიწყო ყველაფრის გაკეთება. ვაჟას სიყვარულით მან  
 ბევრი გაჭირვება და ხელმოკლეობა მოითმინა.

### ვაჟა მასწავლებლად სოფელ დიდ თონეთში და დაბრუნება

#### იმევ უპან ჩარბალში

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟა ახლა სოფელ დიდ თონეთში წავიდა მასწავ-  
 ლებლად, სადაც სამი, თუ ოთხი წელიწადი იმსახურა. იქაც გაუჩინდენ მტრები,  
 უფრო კი სოფლის წვრილდება მოხელეები, — მამასახლისი და სხვ. ვაჟა სამსა-  
 ხურს ვერ ეგუებოდა და ჰირივითა სძულდა მოხელენი. ამისათვის იმან ამაჯო-  
 ბინა სამუდამოდ დაენებებინა სამსახურისთვის თავი და ისევ მწერლობას შეს-  
 დგომოდა.

### ვაჟა იმევ ჩარბალში

თიანეთიდან წამოსული ვაჟა სამუდამოდ დარჩა ჩარბალში. მამაჩემი იმ  
 დროს მღვდლად იყო ჩარბალში. ხევსურეთიდან ის გადმოიყვანეს თავის სოფელ-  
 ში, სადაც ის სიკვდილამდე დარჩა. რადგან ვაჟა ამის შემდეგ სამსახურზე აღა-  
 რა ფიქრობდა და ზედაც დაწვრილდებოდა, ის უფრო მუყაითად შეუდგა წერას,  
 რომ ამითი დაეკმაყოფილებინა თავი და თავის ცოლშვილიცა. მაგრამ ის ამ  
 წერიდან მაინც ბევრს ვერაფერს ღებულობდა და ისევ მამაჩემის ჰირად გახდა  
 თავის ცოლშვილითა. მამაჩემი, რაც შეეძლო, მაინც უწყობდა ხელს და ძალიან  
 უხაროდა, რომ შვილები პოეტები ჰყავდა (ამ დროს ხომ ბაჩანაც და თედოცა

სწვრდენ!). სახლის წინ ერთი დიდი საგრილობელი გვექონდა, სადაც ზაფხულში ჩვენ—შვილები, ვიყავით ხოლმე: ჭამითაც იქა ვჭამდით და ძილითაც იქ გვეძინა. თუ სტუმარი ვინმე მოგვივიდოდა, იმასაც იქ ვამყოფებდით ხოლმე. ჩემი ყველა ძმები ძალიან კარგი თოფის მსროლელები იყვნენ. ყველას თითო „ბერდანკა“ ჰქონდა ნაშოვნის და სროლაში სულ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე. ჩვენი სახლის პირდაპირ ბექში ერთ ნიშანს დაედგამდით და ამ ნიშანს ესროდნენ, აბა, ვინ უფრო მოარტყამსო. ამ დროს ჩვენ სახლთან ისეთი თოფების გრიალი იდგა ხოლმე, იტყოდა კაცი, მტერი თუ შემოსევიათო. ხანდახან თოფს მეც მომცემდნენ, აჰა, შენც ესროლეო! თუ ვინმე ყაბახს<sup>1</sup> დასდგამდა, იქ ხომ ვაყას ვინ გაასწრობდა და ბევრი ყაბახიცა ჰქონდა აღებული, როგორც იმას, ისე ბაჩანასა. ზოგჯერ ყაბახის ასაღებად ვაქა და ბაჩანა ერთი დღის სავალზედაც წასულან და აულიათ კიდევ ყაბახი.

თავისუფალ დროს სათევზაოდ მივდიოდით. თუ თავის ცხენს არ წამოიყვანდა, მაშინ ჩვენ პატარებს წამოგვეკიდებდა ვაქა თავის ბადეს, რომლის სროლა ძალიან კარგად იცოდა. დანარჩენნი აიღებდნენ ნემსკავეებს და სათევზაოდ არაგვზე ჩავიდოდით, რომელიც ჩვენი სახლიდან სამი-ოთხი კილომეტრით იქნება დაშორებული. იქ აუარებელ თევზს ვიჭერდით. შემდეგ არაგვში ვბანაობდით. ვაქა, ბაჩანა და თედო ცურაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე. იქვე არაგვის პირზე თელაველებს დუქანი ჰქონდათ, სადაც, ხანდახან იმ დაქერილი თევზით მივდიოდით და მოვახარშვინებდით. დუქნის წინ კარგი ბაღა ჰქონდათ, სადაც ყოველნაირი მწვანელიულობა ედგათ. საქეიფოდ კიდევ გამართული ჰქონდათ საგრილობელი.

დავსხდებოდით თუ არა ამ საგრილობელში, ვაქა მაშინვე მოატანინებდა ამ მოხარშულ თევზს და ზედაც კახურ ღვინოს, რის შემდეგაც ფშურ სიმღერას დააგუგუნებდნენ. იქიდან წამოსულები, თუ დაღამებული არ იყო, ახლა ჩვენს წყალს ჩარგლულას შემოაყვებოდით ხოლმე ნემსკავეებით და შინაც ბევრი კალმახი მოგვექონდა. ყოველდღე ახალი თევზი გამოუღეველი გვექონდა.

ჩვენი სახლი ნამდვილი სამკითხველო იყო. ყოველ კვირა—უქმე დღეებში, როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა სულ ჩვენს სახლში იყრიდა თავს, ვაქა, ბაჩანა და თედო უკითხავდნენ სხვადასხვა წიგნებს და თავიანთ ნაწარმოებთ. ძალიან უყვარდათ ჩემი ძმების დაწერილი ლექსები და პოემები, ხოლო „ვეფხისტყაოსან“-ს ზეპირად სწავლობდნენ და ფანდურზედაც დამღეროდნენ.

<sup>1</sup> ძველ ფშავში დღესაც ჩვეულებად აქვთ, როდესაც ვისმე მიცვალებული ჰყავს, ის ამ მიცვალებულის სახელზე რამეს დაასახელებს, ე. ი. იმის სულის მოსახსენებლად რამეს გადასდებს: ზოგი საქონელს, ზოგი ფულს, ზოგი ტანისამოსს, იარაღს და სხვას. ამის შემდეგ დაპნიშნავს ერთ დღეს, როდესაც მის სახლში უნდა შეიკრიბონ თოფის მსროლელები. იმათთვის მომზადებული აქვს სასმელ-საჭმელი. შემდეგ ის კარგა შორს მანძილზე დასდგამს ნიშანს, რომელსაც დაუწყებენ თოფის სროლას. ვინც ამ ნიშანს მოარტყამს, ის დასახელებული საგანი იმას უნდა მისცეს. თუ ვინცობაა, იმ დღეს ვერაფერს მოახვედრა, მაშინ მიცვალებულის პატრონს გადააქვს შემდეგი დროისათვის.     ა ვ ტ.

საზოგადოდ, მთაში უფრო საგმირო ლექსების კითხვა უყვარდათ. ზოგიერთ მათგანს ჩვენსა წაკითხული წიგნები არ აკმაყოფილებდათ და ახლა თავიანთ სახლში მიჰქონდათ ხოლმე წასაკითხავად, ამიტომაც ჩვენი წიგნები სულ განანაგებელი იყო იმათგანა. იმის გარდა, ჩემი ძმები უცოდინარებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რის გამოც ჩვენს სოფელში ახალგაზრდა არ იყო, რომელსაც წერა-კითხვა არ სცოდნოდა. სემინარიაშიც კი მიაღებინეს ორი ფშაველი, რომლებიც ჩვენს სახლში მოამზადეს, ერთი მათგანი იყო გრიგოლ აფშინაშვილი (მწერლობაში ფშაველიშვილი) და მეორე კიდევ ჩვენი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილის მამა, კარატიელი, რომელიც თურმე ძალიან კარგად სწავლობდა, მაგრამ თავის მამამ, სემინარიიდან გამოიყვანა და ცხვარში გაგზავნა. კარატიელი თედოს და ბაჩანას დროს სწავლობდა. კარატიელს, სხვათა შორის, შესანიშნავი ხმა ჰქონდა.

ჩემი ძმები თიბა-მკაში ხომ შეუღარებლები იყვნენ: მეტადრე ბაჩანა და თედო, მომკლებში ვერაგინ სჯობდა, როდესაც სამკალად ჩვენს ყანას მივესოვდით, ერთი ყვირთა იდგა ხოლმე. ხუთ მომკალს ერთი ჩვენი და მართა გვიკონავდა ძნასა. რასაც სხვები ერთ კვირაში მომკიდნენ, ჩვენ ერთ დღეში ვმკიდით, თუმცა ეს ბევრსა ჰშურდა, მაგრამ რას გააწყობდნენ.

მკის დროს სადილს და სამხარს იქვე ყანის პირზე მდგომ კაკლის გრილში ვჭამდით. საღამოზე ყანის მკას, რომ მოვრჩებოდით და შინ დავბრუნდებოდით, მაშინვე ხინკლის გაკეთებას შეუდგებოდით. ხინკალს მოჰყვებოდა ლხინი და თამაშობა დაირა-ფანდურზე. ვეყას რომ სათამაშოდ ვადმოვიყვანდით ის ერთს კი დასჭყვივლებდა და ჩეჩნურად დაუვლიდა ხოლმე.

### თვალის გაფუჭება

ვაჟა, ლამაზი ვაჟკაცი იყო, მხარ-პეკიანი. სიარულში სულ ბიძა ბოიგარსა ჰგავდა.

ერთ ზაფხულს ბიძა ჩემმა მწარიახ ხარი დაჰკლა: (მწარია, ქვეთარი და ვასილი მამაჩემის ბიძაშვილები იყვნენ). ხარი თურმე ბედნიერით (ციმბირის ქირით) ყოფილიყო ავად და კი არა სცოდნოდათ. ვაჟა წავიდა მწარიახდან ხორციისათვის და რადგან ხორცი ძალიან კარგი ყოფილიყო, ხარის ნახევარი წამოიღო. სანამ ის შინ ხორცს წამოიღებდა. მწარიას იქვე მწვალები შეეწვა და ზედაც ფშაური არაყი მიეყოლებინათ. დილით წასული ვაჟა საღამოზე-ლა მოვიდა სახლში, კარგად შეზარხოშებული. ხორცი თავის ცხენისათვის აეკიდნა. ხორცი მართლაც ძალიან მსუქანი და გემრიელი გამოდგა. იმ საღამოზედვე გამოსჭრა ვაჟამ რბილი ხორცი, რომლისაც ხინკალი გვაკეთეთ და დანარჩენი რბილი ხორცი კიდევ ბასტურმად ქალაში ჩადო.

ამის მეორე, თუ მესამე დღეს ვაჟას სიცხე რომ მისცა და თვალის ქუთუთოზე ქავილი დაუწყო, რაზედაც მუწუქიც გამოუვიდა, შეატყო დედაჩემმა, რომ ის მუწუქი „ბედნიერი“ იყო. მაშინვე ხორცი მიწაში ჩავეფალით, რომ ძალღებ-საც კი არ ეჭამათ,



ვაჟა ამის შემდეგ ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი თვე, თუ თვე-ნახევარი ლოგინიდან არ ამდგარა. ვაჟას ცხენიც, რომელსაც ხორცი ეკიდა, არ ასცდა ამ ჭირს. მასაც გამოაჩნდა „ბედნიერი“, რომელიც ძლივს მოვარჩინეთ. დღეაჩემმა, რომელმაც შესანიშნავი მოვლა და ექიმობა იცოდა, ვაჟა შინაური წამლებით მოარჩინა. მხოლოდ ერთი თვალი კი დაუსახიჩრდა.

**ვაჟას დამოკიდებულება კმებათან და მეზობლებთან**

საზოგადოდ, უნცროს ძმებში, ვაჟას ხანდახან ბაჩანა თუ შეეკამათებოდა, თორემ სხვები რას გავუბედავდით, გვეშინოდა.

რადგანაც ვაჟას ბაჩანა ზოგჯერ არ უთმენდა და შეეკამათებოდა ხოლმე, ვაჟას არ მოსწონდა, რატომ არ მითმენსო.

ერთხელ გაბრაზებულმა ვაჟამ ბაჩანას შამფური დაართქა თავში, მაგრამ ბაჩანამ ისე მაგრა დაუჭირა ხელი, რომ ვაჟას ის შამფური ხელიდან გაჰვარდა. ბაჩანა საშინელი ღონიერი იყო.

ვაჟა თუმცა ამავი იყო, მაგრამ იმას თავის გამოჩენა არ უყვარდა. როდესაც ვისმე გაიცნობდა, ის არას დროს არ ეტყოდა მე „ვაჟა-ფშაველა“ ვარო, თავის გვარს ეტყოდა ხოლმე. ამის გარდა, სუფრაზე ჭაქას ჭიქახე არავის არ მიუჯახუნებდა, ეს ჩვეულება ქართული არ არისო.

ჩემი ძმები ახალგაზრდობაში თურმე ძალიან რევოლუციონერობდნენ და როგორც ერთმანეთს, ისე მამაჩემსაც ეკამათებოდნენ სხვადასხვა საკითხებზე. სხვათა შორის—ღმერთის ყოფნა არ ყოფნის შესახებაც. მაგრამ პავლე მღვდელი ძალიან მედგრად უხვდებოდა ყველას და არ აგარდებოდა.

ერთხელ ზაფხულში ჩვენს ყანაში შკა არის თურმე გახურებული; ჩემი ძმები ყანასა მკიან, და მართა ძნას უკონავს, ხოლო მამაჩემი კი ძნების ხუთეულეას აგებს, შუადღემდე კარგი ამინდი ყოფილიყო, მაგრამ ნაწუადღევს ერთ-ბაშად მოედრებოდა, თანაც ქარი ამოვარდნილიყო. საშინელი ქექა-ქუხილი და დაესხა შაბაუნა წვიმა. მომკლები, რომ არ დასველებულიყვნენ. იქვე ხეებს შეჭფარებოდნენ. აქ დროს ისე საშინლად დაიქექა, რომ ყველანი პირქვე დაცემულიყვნენ. თურმე შენი ჩამოვარდნილიყო და იქვე ახლო მდგომ კაკლის ხეს დასცემოდა. წააოხტარიყვნენ ეს ჩვენი „სოციალისტები“, მოეხალათ ქულები, თან თურქე პირჯვარს იწერენ და ღმერთს ევედრებიან; „ღმერთო შენ დაგვიფარე და, ღმერთო, შენ იყავ ჩვენი მფარველიო“.

მამა ჩემი კი შესცქერის შორიახლოდან ამ სეირს და სიცილით ეუბნება, „თითქოს, შვილებო, ღმერთი არ იყო, ახლა კარგად მოგავინდათო,“ მაგრამ ვინღა იყო ხმის ამომღები, ისე შეშინებულიყვნენ.

თუ ხატობების დროს ვაჟა ფშავში იყო, ის ამ ხატობებს არას დროს არ დააკლდებოდა და ისეთსავე მონაწილეობას იღებდა მათში, როგორც დანარჩენი ფშაველები. ასეთი ხატობები კი ბევრჯელ იცის: ლაშარ-ღვლეობა, ცაბა-ურთობა, კოპალას ქვაზე და ჩვენს სოფელში მარიამობა და ამაღლებობა, როდესაც ბევრი ყაბახის დაღვმა იციან და ამ ყაბახებისათვის მთელ დღეს თოფის სროლა. ამ ხატობას დიდი ღრეობა, ლექსაობა და ლხინი იციან. არ შეიძლება, რომ ვაჟა იქა ყოფილიყო და „საკარგემო“ არ დაეღია, რომელსაც ხევის

ბერი აუცილებლად იტყოდა და ყველას ფეხზე ადგომით და ქუდას მოხდით არ გამოეცალა ლუდით სავსე თასი.

ვაჟა-ფშაველა ფშაველის ლამაზ ქალებსაც არ ივიწყებდა და ჩუმად რამდენიმე წაწალიცა ჰყავდა. ერთი სიტყვით, ვაჟა ჭირში და ლხინში სულ თავის ფშაველებთან იყო და ნამდვილი ფშაველი იყო.

ვაჟას ქეიფი და დროს გატარება უყვარდა, მხოლოდ ძალიან დათრობას კი ერიდებოდა. როდესაც კი შეატყობდა, რომ სასმელი მეტი აღარ იყო საჭირო, რაც გინდა ბევრი ეხვეწნა კაცს, ერთ წვეთს ველარ დააღვინებდა. ზომა იცოდა. ამასთანავე ის მაგარი ხასიათის კაცი იყო. რასაც იტყოდა, აასრულებდა კიდევ. ავიღოთ მაგალითისათვის თუთუნის წვევა. ის თუთუნს მოწაფეობიდანვე ეწეოდა, მაგრამ ხანში შესულმა სთქვა, აღარ მოვსწევო და მართლაც აღარ მოუწევია.

### მშობლების სიკვდილის უამბავ

მშობლების სიკვდილის შემდეგ ძმები გაეცარნით, მაგრამ რა გაეცარნით, როდესაც ცხოვრების პირობებმა თვითონ გაგვყარა: თედო ქართლში სოფელ ხელთუბანში წავიდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლაში მასწავლებლად, ბაჩანა კახეთიდან გადმოსული, ახლა ხევსურეთში დანიშნეს მასწავლებლად, უფროსი ძმა გიორგი რუსეთიდან ჩამოსული თიანეთში ცხოვრობდა, სადაც ის გექილობას ეწეოდა, და მე კი ისევე ვსწავლობდი. ვაჟა კი იქვე ჩარგალში დარჩა თავის ცოლ-შვილითა. მამაჩემს მხოლოდ ჩემი ჯავრი გაჰყვა, რადგან ყველანი დაბინავებულები იყვნენ ჩემს მეტი.

მამაჩემი რო. კვდებოდა, იმ დროს ვაჟა და ბაჩანა ყოფილიყვნენ სახლში და თურმე ტირილი დაიწყეს. მამა ჩემს ეთქვა: „რა გატირებთ, შვილებო, ყველა სიკვდილის შვილები ვართ და ან რაა ჩემისთანა პატარა კაცის სიკვდილი, როდესაც თამარ ღედოფალი, შოთა რუსთაველი, ერეკლე და სხვა გამოჩენილი პირები დაიხოცნენო“.

გაყოფით, მხოლოდ, თუ რამე მოძრავი გვექონდა, ის გაჰყვეს. ვაჟას რაკი შინ დარჩა, მთელი სახლ-კარი და სახნავ-სათიბი მიწები გაუყოფელი დაუტოვეთ, რომ შემდეგშიაც დანარჩენებს უფლება გვექონოდა იქ მისვლისა და სარგებლობისა.

კახეთში ორი ვენახი გვექონდა: ერთი სოფელ ახმეტაში, მეორე ართანაში. ის ვენახი, რომელიც ართანაში გვექონდა მუქთად გადავყარეთ. ვაჟას მთავრობამ „ნალოგებში“ გაუყიდა, ბაჩანამ კიდევ თავის დროზე არ მიჰხედა და მეზვრეს მუქთად დარჩა.

მშობლების სიკვდილის შემდეგ ვაჟა-ფშაველას პირველ ხანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, რადგან შემოძრანი აღარავინა ჰყავდა და თვითონ კიდევ რედაქციები იმდენს არ აძლევდნენ რომ ეცხოვრა და ცოლ-შვილიც შეენახა. ჯერ კიდევ მამაჩემის სიცოცხლის დროს, ვაჟაკები ვიყავით და ის გვეგონა თითქოს ყველაფერი თავის თავად მიდიოდა, რომ თავის თავად არ მოდიოდა, ეს შემდეგში-ლა ვიგრძენით.

ვაქას პირველი ცოლიდან ოთხი შვილი ჰყავდა: ერთი ვაჟი და სამი ქალი. ვაქას ლევანი ერქვა, ქალებს კი თამარი, გულქანი და მარიამი. ვაქას, როგორც იყო, სათავადანაწრო გიმნაზია გაათავებინა და შემდეგ კი სწავლა ველარ გააგრძელებინა უსახსრობის გამო. ქალები კი უსწავლელები დარჩნენ, მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლეს და საოჯახო საქმე, სამივენი ფშავლებზე გათხოვდნენ. მართალია ვაქა გაქირავებითა ცხოვრობდა, მაგრამ ის მაინც მეტად დაუდევარი კაცი იყო. ცოლ-შვილს არაფრად ავდებდა. ამასთანავე თავმოყვარე იყო და არავისთან არ მივიდოდა სათხოვნელად. გაქირავებითა ცხოვრობდა, მაგრამ არ უტყდებოდა.

**ვაჟას ღამე მთავრობასთან**

ჩარგლის კარს, არაგვის პირზე მრავლად გამოდის მეთვე წყლები და აგრეთვე გოგირდისა. ამ წყლებთან პატარა მიწის ნაჭერი გვეჭირა, რომელსაც კარგა დიდხანსა ვფლობდით. იმ ადგილს ვაქამ ხელი ჩასქიდა და დაუწყო მთავრობას დავა, რომ ეს ადგილი მე მეკუთვინისო. მართლაც იმდენი ელავა, რომ ბოლოს საკუთრებად დაინარჩუნა. ახლა მეთვე წყალზე დაუწყო დავა და რომ საბუთები ჰქონოდა იმის დამამტკიცებელი, რომ ის მეთვე წყალიც იმისი იყო, ამისათვის, ამ წყლებზედ სამკურნალოდ მოსულ თუშებს ორ-ორი შაურს, თუ თითო აბაზს ახდევინებდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და სათანადო ქვითრებაც აძლევდა, ამან თუშების მხრივ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

რაოდესაც ძმებმაც ვუკეთინეთ მისი ასეთი მოქმედება რალაც გროშების გულისათვის, იმას გაეცინა და ერთხელ გვითხრა: „ბიჭო, იქნება შენა გგონია, რომ დავისაკუთრებ და არავის ვასარგებლებ? მე მარტო ჩემთვის კი არ მინდა, ჩვენი ხალხისთვის მინდაო. ოღონდაც კი ამ მთავრობას გამოვგლიჯო ხელდანაო და თუ რალაცა კაპეიებს ვახდევინებ და ქვითრებს ვაძლევ, ეს საბუთებად გამომადგება საჩივრის დროსაო“. ბევრი კი იმ აზრისა იყო, რომ ვაქა მიისაკუთრებდა იმ მეთვე წყალს და ბატონობას მოინდომებდა. ამის გარდა ის მთავრობას ტყესაც ედავებოდა, რის გამოც მაშინდელ ტყის მცველთან დიდი უსიამოვნება ჰქონდა. ერთხელ იმ ტყის გულისათვის დაქერილი და ხელემ-შეკრული ვაქა თიანეთშიც კი ჩაყვანათ.

**ვაჟას ღამე მოძრაობაზე პოლიტიკურ მოძრაობასადმი**

ვაქას თუმცა თავისათვისაც არა ჰქონდა-რა, მაგრამ რაც ჰქონდა, ისიც სხვებისათვის არა შურდა. რამდენ პოლიტიკურს შეუფარებდა იმის სახლისათვის თავი. მაგრამ ვინ დაინახა? ეს რომ მაშინდელ მთავრობასა სცოდნოდა, მგონი პირზე არ აკოცებდნენ, მაგრამ ვაქას ამისი არ ეშინოდა.

1905 წელს მოძრაობის დროს, ჩემი ძმა თედო და იმისი ქვისლი გავნიძეც, რომელიც წითელრაზმელი იყო, გაიქცნენ ფშავში და ვაქასთან შეაფარეს თავი, სადაც იმათ ერთი ზამთარი დაჰყვეს. ეს ამბავი ასე მოხდა: მე თბილისიდან რამდენიმე დღით თედოსთან წავედი ქართლში, სოფელ ხელთუბანში იქაურ თუმანოვების დაბეზღების გამო, მე, თედო და მისი ქვისლი ყახახებმა დავვიჭირეს, მე რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამანთავისუფლეს, ხოლო თედო

და იმისი ქვისლი კი თბილისში მეტეხის ციხეში გადმოგზავნეს. მაშინდელ გენერალ-გუბერნატორ ალფტანგის განკარგულებით თედო ოლონეცკის გუბერნიაში სამუდამოდ იყო გადასახლებული. გაგზავნეს კიდევ, მაგრამ ამნისტიამ გზაში მოუსწრო და ისევ უკან დააბრუნეს, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ამბავი, რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო საშინელი რეპრესია, დამსჯელი ექსპედიციები დაიარებოდნენ სოფლიდან სოფლად და ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდნენ, სადაც კი შენიშნულები ეგულებოდათ. სხვათა შორის თედოს სახლსაც მიაღწენ, მაგრამ თედომ და იმის ქვისლმა თავს უშველეს და ფშავში გაიქცენ. მაშინ მიაყოლეს თედოს სახლს და ზარბაზნებით სულ მიახგრ-მოანგრიეს. მაშინდელი ნასროლი ყუმბარა ეხლაც კი ისევ არის თედოს სახლის კედელში გაჩხირული.

### ვაჟა სულ უმცროსი ძმის მიმართ

მშობლების სიკვდილის შემდეგ, ვიდრე სასწავლებელს დავამთავრებდი, ცხოვრება მეც ძალიან გამძიმდებოდა, რადგან ცარიელ-ტარიელს რით უნდა მეცხოვრა. ვაჟა თვითონაც გაკვირვებული იყო და აბა რა უნდა მეუბოვო, მაგრამ ის მაინც შეძლებისდაგვარად მიგზავნიდა ხოლმე, აგრეთვე ბაჩანა. მხოლოდ უფრო თედოს დახმარებით გავთავიე სასწავლებელი. თუმცა სწავლის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ რითი გამეგრძელებინა, როდესაც მე თვითონ არაფერი მქონდა და ჩემ ძმებს კიდევ თავიანთი ცოლშვილიც ვერ შეენახათ. ბოლოს იძულებული გავხდი სასახურში შეესულიყავი. სასწავლებელში ყოფნის დროს ვაჟამ ფული რომ გამომიგზავნა, შემდეგსა მწერდა: „ძმაო სანდრო! გიგზავნი ექვს მანათს. მეტი უნდა გამომიგზავნა, მაგრამ ვერა იმ ადგილას. შენიც უნდა მომიტვიყო. მეტი კიდევაც გამოგიგზავნი, ოღონდ თავის საქმეზე მუყაითად იყავი. ჩვენ კარგადა ვართ, ხოლო შენი ამბის გაუგებლობა გვაწუხებს. წიგნი მომწერე. იყავ მშვიდობით. სააღდგომოდ წამოდი, თუ არ დაგეზარება.“

### შენი ძმა ვაჟა-ფშაველა

აი მეორე წერილიც: „ძმაო სანდრო! შენგან ერთის წერილის მეტი არ მიმიღია და ისიც მაშინ მივიღე, როცა დუშეთიდან დავბრუნდი. ფული გამოგზავნილი მქონდა. ეხლა ქავეთარს ვატან ერთ მანათს ფულსა შენს საგზაოდ. ცხენი ერთის კვიცის მეტი ხომ იცი არა მყავს და ნუ დამემდურები, ქვეითი წამოდი. სააღდგომოდ პირდაპირ შინ მოდი. აქ კიდევ ფულს გიშოვნი, ისე არ გაგზავნი.“

### შენი ძმა ვაჟა-ფშაველა

### ვაჟა უმცროსი ძმის მიმართ

ჩაცმა-დახურვით ვაჟა უბრალოდ იცვამდა: ტანზე ჩოხა-ახალუხს იცვამდა, ფეხებზე ხან ყელიან ჩუსტებს, ხან ჩექმებს ატარებდა.

თავზე ტყავის ქუდს იხურავდა, წელზე ხანჯალს ირტყამდა. თუ სადმე შორს მიდიოდა, მაშინ ხმალსაც ჩამოიკიდებდა ხოლმე. ამასთანავე თავის თოფსაც არ ივიწყებდა და თავის ძველ ნაბადს. როდესაც თიანეთში ჩავიღოდა, აუცილებლად ჩვენ ძმა გიორგისთან უნდა დამდგარიყო. რამდენჯერ უკვირებდა

ხოლმე გიორგი ვაქას იმის ძველ ნაბადზე: „არ იქნა, ვერ მოიშორე ე შენი ნაბადიო“. მაგრამ ვაქა მიინც არ იშორებდა. გიორგის ეფექტა: ამას თუ ერთი ოინი არ უყავი, ეს ამ თავის ძველ ნაბადს არ მოიშორებსო: და მართლაც მოაშორებინა.

ერთხელ, ვაქა თიანეთში გიორგისთან ყოფნის დროს, თავას საქმეებს რომ მორჩენილიყო, შინ წასასვლელად მომზადებულიყო: შეეკმაზა თავის იორლა ცხენი. აეკიდნა ხურჯინი, გავაზე კიდევ თავისი ძველი ნაბადი დაეკრა, თვითონ კი ბაზარში წასულიყო. ამ დროს გიორგის ეპოვა დრო: მოეხსნა ცხენისთვის ის ნაბადი, გაეშალა, თავის ცხენისათვის ამ ნაბდიდან ორი თექალთო გამოეკრა, შემდეგ დაეხვია ისევ ნაბადი და ისევ დაეკრა ვაქას ცხენისათვის. ასე, რომ ვაქას ეს ამბავი არა სკოდნოდა, როდესაც გამოეთხოვა ვაქა გიორგის, მოახტა თავის „ნიკორას“ და მოუსვა შინისაკენ. იერის მიხედვით რომ გაიარა, მიადგა სოფლიონის მთას. სოფლიონის მთას რომ გაივლის კაცი, იქიდან ჩვენს სოფელს გადაჰხედავს. ვაქაც შეუდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე კოკისპირულმა წვიმამ კი დაახა. მოხსნა ვაქამაც ცხენს ის თავის ნაბადი და მოიხვია, მაგრამ, ნაბადმა წვიმა ვერ დაიჭირა და უშენს ვაქას შიგ ზურგში. ვაქაც ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს და ხან აქეთ, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლის. ბოლოს რომ მიუსვ-მოუსვა ხელი და კარგად გაშინჯა, ჰხედავს, და რას ჰხედავს? იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია გამოკერილი, რომ შიგ თურმე ბულა კამეჩი გაძვრება. მაშინლა მიხვდა ვაქა ვისი „ძალლობაც“ იყო ეს ოინი, მაგრამ რალას გააწყობდა?

ასე კი მოაშორა გიორგიმ ვაქას ის თავისი ძველი ნაბადი.

### ვაჟა და სათავად-აწნაურო ბანკი.

როგორღაც მოჰხდა, რომ მაშინდელი სათავად-აწნაურო ბანკიდან თვეში ხუთი თუმანი პენსია დაუნიშნეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოუსპეს. დახმარება რომ არ მოესპოთ, მისი საქმე ძალიან კარგად იქნებოდა: შეიღებსაც ასწავლიდა და თვითონაც უფრო ბევრს დასწერდა. მაგრამ სად იყო იმდენი შეგნება ჩვენს საზოგადოებაში? ამის მიზეზი, თურმე როგორც ბოლოს გამოირკვა, იყო ისა, რომ ვაქა ჩამომავლობით თავადიშვილი არ იყო. ამაზე ვაქას ერთი ლექსი აქვს დაწერილი, რომელიც აქ მომყავს:

#### სათავისოდ (კაფია)

„ავილ-დავილე ცხოვრება,  
ჩემი შრომა და კაცობა.  
მე დიდკაცობად არ ვსახავ,  
ტანჯვა ჩემთვის არს გართობა:  
სხვებმა კი დიდად მიიღეს,  
მომიხსენიეს ქებითა—  
ხარი ფერდ-ფერდზე მიკრული  
შემომტვრეული რქებითა.  
ალარც თივია ჩემთვისა,  
ალარც ბზე, ალარც ნეკერი;

ქება და ქება უსახლოდ  
 მხოლოდ სალამი ერთფერი...  
 ამ ოინების მხილველსა  
 ჩამეცინება მწარედა:  
 თუ მართლა კარგი რამა ვარ  
 რად გამომაგდეს გარეთა?!  
 ამასლა ვამბობ: ალბათა  
 კიდევ თუ რამე მაკლია?!  
 ვიცი და იმასვე ვგოდებ,  
 ერთი დიდი მაქვს ნაკლია,  
 ის ჯადოდ ამეკვიტა,  
 იღბალიც შუა გამიყო...  
 რა იქნებოდა მაშინა,  
 ნეტავ, კნიაზიც რომ ვიყო?!  
 — სრულ ჰყოფდა ჩემს პრეტობას  
 და ყველაფერიც მზად იყო!..

### ვაჟა კახეთში სანადიროდ და პირველი ცოლის სიკვდილი

ვაჟას როგორც თევზაობა და თევზი, ისე ნადირობა და ნადირივე ძალიან უყვარდა. რადგანაც ზამთრობით ფშავში იმდენი სანადირო აღარ იყო რა, ის მაშინ სანადიროდ კახეთში მიდიოდა ხოლმე, უფრო კი ყვარელში, სადაც ჩვენი და მართა იყო გათხოვილი. ვაჟა რქ ჩვენ დისწულ მიხასთან და სიძე მეტესთან ერთად ბევრს ნადირსა ჰხოცავდენ. ნანადირევს უმეტეს ნაწილად ნაცნობ-მეგობრებს უგზავნიდენ, სახლში სკამდენ და ბოლოს ფშავში რომ ბრუნდებოდა, ზოგიც კი მიჰქონდა ვაჟასა.

ერთხელ ზამთარში, როდესაც ვაჟა ყვარელში სანადიროდ იყო წასული, სახლში ცოლ-შვილი ავად გაჰხდომოდა. ყვარელში ის დისწულ მიხასთან ერთად ნადირობს: ჰხოცავენ ირმებს, გარეულ ლორებს, მშვლებს და დათვებს. იმას ისე გაუტკბა ყვარელში ყოფნა, რომ სულ დაავიწყდა თავისი ცოლშვილი.

ალბათ გულმა თუ გაუგო ვაჟას ცოლის უკანასკნელი დღეები და ყვარელში ჩაგურგულაზე ყოფნის დროს დაეწერა ერთი ლექსი:

შენმა სურვილმა დამლია,  
 შენზე ფიქრმა და სევდამა.  
 შორს წასვლამ, ხშირად გაყრამა,  
 გულის თვალებით ხედემა.  
 მათკებს შენი გამზრდელი,  
 ვინც შენ გაგზარდა დედემა.  
 კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,  
 მე გულს მაწივებარ ნისლადა.  
 მინდა რო მძულდე, მოგშორდე,  
 გულზე მობმული ღვიძლადა.  
 და სხვ.

ერთ ღამეს ვაჟა ცულ სიზმარსა ჰხედავს. მეორე დღეს რომ გაიღვიძებ, ჩვენს და მართას ეუბნება: „დაო, წუხელ ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე და რაღაც უბედურება უნდა იყოს ჩემს თავსაო“. მართლაც, მეორე, თუ მესამე დღეს მოსდის ვაჟას ჩარგლიდან კაცი ბაჩანას წერილით, რომელიც ატყობინებდა ცოლ-შვილის ავადმყოფობას და სწერდა რომ ოჯახისათვის მალე მიეხედნა.

თუმცა ვაჟას ცოლი კიდევ მოჰკვდომოდა, მაგრამ ამას ბაჩანა არ ატყობინებდა. ის ბაჩანას კიდევ დაესაჯლავებინა. როდესაც ვაჟას ეს წერილი წაეკითხა, წამომხტარიყო და ჩვენი დისათვის ეთქვა: აი, დაო, ჩემი სიზმარი რაზე ამიციხადნაო“. მას შემდეგ დიდი ხანი აღარ დაეყოვნებინა, ამდგარიყო, შეეკმაზა ცხენი, თან ჩვენი და მართაც გაჰყოლოდა და ჩარგალში წასულიყვნენ, სადაც შვილები ავადმყოფები დაჰხვედროდნენ, ხოლო ცოლი კი უკვე დასაფლავებული. ამის შემდეგ დაქვრივდა ვაჟა და გლოვის ნიშნად, როგორც მთაში იციან, თმა-წვერი მოუშვა და ერთი წლის განმავლობაში აღარც უმღერია, თუმც იმ ხნის განმავლობაში ბევრი „სიმღერა“ კა დასწერა.

### მეორე ცოლის შერთვა

რადგან ძნელი იყო ვაჟასათვის შვილების მოვლა-პატრონობა, ის იძულებული გახდა მეორე ცოლი შეერთო, რომელიც სოფ. ხორხიდან<sup>1</sup> მიიყვანა, სხვის ნაცოლარი — დიდებანთ ქალი — თამარი.

მეორე ცოლიდან მხოლოდ ერთი ვაჟი ეყოლა, ვახტანგი. მეტ სახელს „ჩონქარა“-ს ეძახდა და მოპავალში ის მასხედ დიდ იმედს ამყარებდა.

### ვაჟას ცრუმორწმუნეობა

ვაჟას, როგორც სიზმარი, ისე ცხვირის დაცემინება და მკითხავები ძალიანა სწამდა. როდესაც კი ცხვირს დააცემინებდა, იმ დროს თუ ვინმე არ ეტყოდა: „ხეირი“-ო, ის თავის თავს თვითონ ეტყოდა ხოლმე: „ხეირი ჩემო თავო, ხეირიო!“

ვაჟას დილ-დილით თავის ბოსტანში უყვარდა ხოლმე გასვლა. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ის დილით თავის ბოსტანშია, იმისი პატარა ბიჭი ვახტანგი კი იმ დროს ჩვენი სახლის გაღმა გორაზე ძროხებს აძოვებდა. ვაჟას რომ ამ ბოსტანში ცხვირს დააცემინა, ვახტანგს იქ-გორაზე გაეგონა. ვახტანგი რომ შინ მოვიდა და შევიდა სახლში, ვაჟა იმ დროს თავის ბუხართან ზის და რალაზედაც ფიქრობს. მივიდა ბალღი ბუხართან და ვაჟას ეუბნება: — იცი, მამავ, შენ რომ ბოსტანში ცხვირს დააცემინე, მე იქ ახუნის გორაზე გავიგონეო! — მერე, რო გაიგონე, „ღვთის წყალობა“ არ მითხარიო?

— აბა რას გეტყოდი, შენ კი ვერ გაიგონებდიო, ეუბნება ვახტანგი. — მე თუ ვერ გავიგონებდი, ღმერთი ხომ გაიგონებდა, შე არ გასაზრდელი, შენაო, დაუყვირა თურმე ვაჟამ და მოეცხო კიდევ ამ ბალღისათვის სილა ყბაში, რომელიც ღრიალით კარში გამოვარდნილიყო.

<sup>1</sup> სოფ. ხორხი მდებარეობს ხორხულას ხეობაში, ჟინვალისა და რეაოდე კილო ეტრის და შორებით.

წინათ ავლაბარში ერთი გათქმული მკითხავი ყოფილიყო, სახელად „კოდელი ნინო“. ერთხელ, მიაშობ ვაჟამ, იმ კოდელ ნინოს ვაკითხვინე, და, სხვათა შორის, მითხრა, რომ „სახელიანი კაცი გამოხვალო“.

აჲ, ჩემთან, თბილისში ყოფნის დროს ვაჟა ხომ საქმეს უჭირებდა ხოლმე ჩემს მეუღლეს: „რძალო, ბაბო, აბა ერთი ქალაღი გამიშალე მალე იქნება ის - ფული თუ არაო?“ როდესაც რედაქციებიდან ფულს ელოდა, მაშინ იცოდა. ხოლმე ქალაღის გაშლინება. ხან და ხან თვითონაც უშლიდა ხოლმე ქალაღის თავის თავსა. ერთხელ ჩემმა სახლობამაც წაიყვანა ავლაბარში მკითხავთან, რომელსაც იგივე ეთქვა ვაჟასათვის, რაც „კოდელ ნინოს“.

### ვაჟა თბილისში ჩამოსვლის მომენტებში

ვაჟა-ფშაველას ფშავში წერა ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდა, მეტად რეზამთარში, იმ ბნელსა და ნესტიან ოთახში, რომლის დაბალი ფანჯრები ნახევრად სულ ქალაღით იყო გაკრული და გაბოლილი, ღამით კიდევ მშუტავ ლამაზზე. ამიტომაც ის ხშირად თბილისში ჩამოდიოდა და ჩემთან ცხოვრობდა ხოლმე, ჩემს ბინაში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა დაჩემებული და იქა სწერდა. როდესაც საღილს მოვრჩებოდი, ის ცოტას წაიძინებდა და როცა გაიღვიძებდა, მაშინ შეუღებოდა ხოლმე წერას, როცა რამეს დასწერდა, თავის ოთახიდან გამოძახებდა: „სანდრო, აბა, გამოდი აქა, ყური დაუგდე შენს ძმას, რა ცავეწრე, ერთი წაიკითხო!“ მეც მაშინვე გავიდი და ყურს დავეუგდებდი, რის შემდეგაც მოუწონებდი და ისიც ნასიამოვნები მეტყოდა ხოლმე: „იცის და შენმა ძმამა!“ ფშავიდან ჩამოსული ვაჟა, სახლში რომ ცოტას დაისვენებდა წერა-კითხვის საზოგადოებაში წავიდოდა ხოლმე და იქიდან რედაქციებში, ნაწერები მიჰქონდა.

ერთხელ სახლში ძალიან გაჯავრებული მოვიდა. როცა მიზეზი ვკითხე, ვაჟამ მითხრა: „კაცო, მოდი და კაცი ნუ გაჯავრდება, როდესაც ნაწერები კოუნდათ და ფულის მოცემა კი უზარებათო. ის ნინო ნაკაშიძე იყო გაჯავრებული, რომელიც იმ დროს „ნაკადული“-ს რედაქტორად იყო. მაშინ „ნაკადული“ ძმანი ზუბალაშვილები აძლევენ დახმარებას. „კაცო, შემძერალნ შეგათავებვიეთ ზუბალაშვილების საკუქნაოში და არხეინადა მხრავენ, შენ-კი ვაჟა-ფშაველავ, მოითმინეო!“ ამის შესახებ წერილიც კი მოათავესა „სახალხო ფურცელში“. იმის შემდეგ ვაჟას აღარ უთანამშრომლია „ნაკადული“-ს რედაქციაში. თბილისში ვაჟას უყვარდა ხოლმე დროების ტარებაც, ხან ძმ. ხელაშვილების სარდაფში, რომელსაც ვაჟამ „ქოსები“ დაარქვა, ხან „ოსების“ რესტორანებში, ან კიდევ ს. კურდღელაშვილის სარდაფში, „პურ-ღვინოში“ და სხვ. რადგანაც ვაჟას ბევრთან უყვარდა დროების ტარება, ამისათვის ყოველთვის რამდენიმე კაცი უნდა ვყოფილიყავით ერთად. ჩვენთან ხშირად იყვნენ ხოლმე: შიო მღვიმელი, ივანე ბუქურაული, ვასო მათურელი, ვალიკო გუნია, ირადიონ ევდოშვილი, დავით პავლიაშვილი („ნაპოლეონი“), ნიკო კურდღელაშვილი, ძლია აღლაძე, ია ეკალაძე და სხვანი.

ერთხელ როგორღაც მოხდა, რომ ვაჟა სახალწლოდ აღარ ჩამოვიდა თბილისში და სამაგიეროდ ასეთი წერილი მომწერა:



ძმავ სანდალაგ!  
 მოგილოცავ ახალწელს,  
 დაესწარი მრავალსა,  
 თუ იკითხავთ ჩემს ყოფნას,  
 ჩემ თავ-გადასავალსა,  
 არა მიჰირს დღესნამდგე:  
 ზინკალსა ვჰამ მრავალსა.  
 ვაყოლებ ზედ მჟავე წყალს  
 კლდიდან გამოწინავალსა.  
 შენ, ვასო<sup>1</sup> და შიო<sup>2</sup>  
 და ივანე თუშია<sup>3</sup>  
 „ქიზიყელთა პადვალი“  
 ვისაც დაუფუშია,—  
 რომ დასხდებით და ჩემზე  
 გეცინებათ გულშია,  
 უჩუჩულებთ რაღაცას  
 ერთმანერთსა ყურშია,  
 თან „ილიკოურს“ სვამთ  
 გამოდიხართ მუქთშია.—  
 ამ ეპისტოლეს გიძღვნით,  
 მე მოვდივარ ველარა.  
 ვინ იცის გიხარიანთ,  
 რომ მოგშორდათ ბეგარა?  
 მაგრამ ერთხელც იქნება  
 გესტუმრებით კიდევა,  
 და მაშინა ჟამ-კარი  
 თქვენი გადაირევა!

ეს ეპისტოლე გიძღვნით და თქვენ რომ არაფერს მიძღვნით ეგ რა  
 შიზენია? გადაეცი ჩემ მაგიერი მოკითხვა ჩემ რძალ ბაბოდან დაწყებული ყვე-  
 ლას, ვინც კი იკითხავს ჩემს ამბავს, რა გულითაც ვინ მიკითხავს, ღმერთმა  
 ვეფლოს იმ გულით უშველოს, ჩვენ კარგადა ვართ. ლუარსაბი თუ პნახო, უთხარი  
 წერილის პასუხი მალე მომწეროს.

შენი მოსიყვარულე ძმა ვაჟა

1912 წ. 8 იანვარი

### ვაჟა და მთიელთა ახალშენი შირაქში

ვაჟას საღლაც ყური მოეკრა, რომ შირაქის ველზე რუსები უნდა დაასა-  
 ზღონო, რადგანაც ვაჟამ კარგად იცოდა მიზანი ნიკოლოზის მთავრობისა, ის

<sup>1</sup> ფშაველი-ვასო მათურელი.

<sup>2</sup> შიო მღვიმელი.

<sup>3</sup> ივანე ბუჭურაული—მწერალი.

მაშინვე დატრიალდა, მოუხმო ყველა ჩვენს მთიელებს: ფშაველებს, მთიულელებს, ხევსურებს, მოხვეეებს, გულამაყრელებს და სხვებს, რომ შირაქში დასახლებულიყვნენ. მართლაც მაშინ მსურველი ძალიან ბევრი გამოჩნდა და დასახლებულიყვნენ შირაქში, სადაც ორი სოფელი დააარსეს: „ქვემო ქედი“ და „ზემო ქედი“. თვითონ ვაჟა კი რწმუნებულად ამოირჩიეს და იქ სახანავ-სათიბი ადგილიც მიუზომეს იმას, მაგრამ ვაჟას იმ მამულით არ უსარგებლია და ისევ სხვებს დარჩათ. ეს ამბავი, რასაკვირველია, მაშინდელ მთავრობას და თუშ-მსხვილ მეცხვარეებს ჰკვავი არ დაუჯდათ, რის გამოც ასტეხეს ერთი აურ-ზაური და საჩივარი, მაგრამ ვაჟამ თავისი გაიტანა და ის გადასახლებულები დღესაც იქა ცხოვრობენ.

ლოზინო-ლოზინსკის გუბერნატორობის დროს, ვაჟა ვილაცას შეეგულანებინა: მომრიგებელ შუამავლის ადგილი რომ ითხოვო, მოგცემინო. ამ თანამდებობას, როგორც მოგეხსენებათ, იმ დროს უფრო თავადიშვილებს აძლევდნენ. ვაჟასაც ჰკვავი დაუჯდა ეს ამბავი, თუ, რასაკვირველია, თიანეთის მაზრაში მისცემდნენ ამ სამსახურსა. ამის გამო ის აქ ჩამოვიდა, ერთი თვე თუ რაღაც თვენახევარი ემზადა და გამოცდა ჩააბარა, მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა ვაჟას და თიანეთის ერთი თავადიშვილი დანიშნეს. ეს ვაჟას ძალიან ეწყინა და თუმცა სხვა რაიონში აძლიეს ასეთივე სამსახური, მაგრამ უარი სთქვა სამუდამოდ.

**ვაჟას „ცრემლბინი“ გამოსვამა და ძმების მიმოწერა**

ამ 25, თუ 26 წლის წინათ, ვაჟა-ფშაველას ნებართვით, მ. გაჩეჩილაძემ, რომელსაც იმ დროს სტამბა „სორაპანი“ ჰქონდა, მისი ზოგიერთი რჩეული ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა („ცრემლები“). პირობებისამებრ, გაჩეჩილაძემ ვაჟას ნაწილი ფულისა წინდაწინვე მისცა, დანარჩენიც წიგნის გამოცემის შემდეგ უნდა მიეცა, ცოტა არ იყოს, გაუქიანურა. ასე რომ, საქმე ბოლოს „სამედიატოროდ“ გაუხდათ. მედიატორედ, სხვათა შორის, სამსონ ფირცხალავაც იყო.

მედიატორეთ საქმე ვაჟა-ფშაველას სასარგებლოდ გადასწყვიტეს ასე, რომ ის დანარჩენი ფული გაჩეჩილაძეს შიო მღვიმელისათვის უნდა მიეცა, ხოლო შიო მღვიმელს კი ჩემთვის უნდა გადმოეცა. გაჩეჩილაძეს როგორც იყო, ფული შიო მღვიმელისთვის მიეცა, მაგრამ რადგანაც შიოს ეს ფული შემოაბარჯოდა, დროზე ვერ გადმოცა. იმ ხანებში ზედ დატანებით, ერთმა მთიულმა, გვარად ბურდულმა, ვაჟა-ფშაველასათვის მიძღვნილი ლექსი მომიტანა და მთხოვა, რომ ის ლექსი რომელიმე ვახეთში დამებეჭვდინა, რადგანაც მე არ მიბეჭვადენო. მართლაც, ვინ დაბეჭვადედა, იმ ლექსს, რომელშიაც: „ჰა, ბეჩავ კენესამე ბალღებო“, და „დედობილთ მიერ კენესამეს“ მეტი შიგ არა იყო რა. ვაჟას ერთხელ რომ ის ლექსი მოუტანე და წაიკითხა, სიცილისაგან მუცელი ხელში მეჭირა.

ვაჟა-ფშაველა ახალგაზღობას თუ ამაყი, მოუთმენარი და სასტიკი იყო, სამაგიეროდ ის ხანში შესული ძალიან დადინჯდა. ძმებს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და უერთმანეთოდ მზე არ ამოგვდიოდა. როდესაც კი ერთად შევიყრებოდით, ჩვენ დანარჩენი ძმები, ვაჟას ხან რაზე დავცინოდით და ხან რაზე უფრო კი იმის ჩამოგლეჯილ თვალზე ვიციინოდით ხოლმე და თვითონ იმასაც ვაცივებდით. ხანდახან ეს ჩვენი ხუმრობა ლექსობაზედაც კი გადადიოდა ხოლმე.

რადგანაც მაშინ გაჩეჩილაძის საქმე და ბურდულის ლექსი კარგი მასალები იყო. ვაჟა ამ ბურდულის ჰანგზე პირველად მე ვალექსე, რომლის ნაწილიც აქ მოყვას.

**მიზაძვა ბურდულისა**

(ვაჟა-ფშაველას და გაჩეჩილაძის ბრძოლის გამო)

ჰა, ბეჩავ, ვაჟას კენესამე,  
 ცალ თვალს რომ ვერა ჰხუჟავსა;  
 ლოქო თევზს ძან რომ სწყალობს,  
 ზედაც ნუნუას ჰყლურჟავსა!  
 ლალად გაზრდილი მთაშია,  
 სოფელს ჩარგალ რო ჰქვიანო,  
 წყაროს წყლით არის ნაზარდი  
 ქიჟახევეს რო დიანო.  
 აჰასაცა ჰყავ მერანი,  
 რომელს ნიკორა ჰქვიანო:  
 იმის ნაფრენსა ჰალეგზე  
 ბალახნ აღარა დიანო.  
 გაისეირნებს თბილისში,  
 განა თუ პური ჰშიანო?  
 თვითონ იქ ჰაშნიკებს შინჯავს,  
 ცოლ-შვილ მშიერნი ჰყრიანო.  
 კენესამე შენი, ვაჟაო,  
 კენესამე შენი ხვისაო!  
 შემოუძახებს ვაჟაი  
 გაჩეჩილაძეს, ბიჭსაო.  
 რა უყავ, ბიჭო, ფულგები  
 იმ ჩემი „ცრემლგებისაო“?  
 არ გამომადგა ბეჩაეო,  
 მოწმობა სამსონისაო.  
 დაგათვლევინო მთლიანად  
 მადლმა ლაშარისჯერისაო!  
 ამოდოოდეს კუნელი  
 მაგ შენი „სორაპნისაო“.  
 მათრახსაც კარგადა ვხმარობ,  
 ხანჯარიც კარგად სჭრისაო,  
 შენს დღეში დარდის უნახავს  
 ახლა გაგიჩენ ქირსაო!  
 ქირიმე შენი, ვაჟაო,  
 შურთხი ხარ მადლის მთისაო.  
 იმედი მაქვს, აიტან,  
 არ გეწყინება ძმისაო.

ამისი მალეკსებელი  
 ქალაქ თბილისში ზისაო.  
 შენფერა ბიჭებისასა  
 სხვასაც მრავალსა სთხზვისაო!

ვაქას ეს ლექსი რო გადავეცი, წაიკითხა, ბევრი იცინა და გავიდა თავის ოთახში დამუქრებული. მართლაც არ გასულა იმის შემდეგ სულ ნახევარი საათი, რომ გამოვიდა ოთახიდან, გადმომცა ერთი ქალაღის ნახევი და მითხრა: „აბა ახლა შენ წაიკითხე, რა გიძღვენიო“, აი რა ეწერა იმ ქალაღის ნახევზე:

„მიბაძვა ბურღულისა“<sup>1</sup>  
 (ვუძღვნი ალ. რაჭიკაშვილს)  
 ჰა, ბეჩავ, სანდროს კვენესამე,  
 თვალების, უღვაშისაო:  
 ჰა, ბეჩავ ბოთლების მცლელი  
 და მტერო ქალებისაო.  
 ჰა, ბეჩავ, სანდროს კვენესამე,  
 შე ჯიხვო შავის კლდისაო:  
 შეუღრეკელო სმაშია  
 პირს ოფლი გადაგდისაო.  
 ჰა, ბეჩავ, სანდროს მოუფა  
 გორით წერილი ძმისაო  
 და სატრფიალო გოდება  
 მიხასი დისწულისაო,  
 ჰა ბეჩავ, სანდროს კვენესამე,  
 ქალზედა მაჩაბლისაო.  
 ჰა, ბეჩავ, ბეჩავ, ბიჭებო!  
 არა ჰღალატობთ ჯიშსაო.  
 გიპატიყებენ სმაზედა,  
 წერილი წერილს სცვლისაო.  
 ნეტავი თვალითა გნახოთ  
 დრო რო დადგება სმისაო,  
 თეთრიანი რო დაცლილა,  
 წითლიანს ქვევრსა ჰხდისაო  
 თევდორე: „ლვინოს უყურეთ  
 გემო აქვს ბადაგისაო“.  
 გავარდა საქართველოში  
 ხმა თქვენის ბიჭობისაო.  
 რა უჭირს ისეთს დედასა,  
 ვინც თქვენ ფერ შვილებს ზდისაო.  
 ჰა, ბეჩავ, ფშავლის შვილებო,  
 თვალის მთხრელებო მტრისაო!“

<sup>1</sup> იხილე ლექსი: „ვაქა-ფშაველს დედობილთ მიერ კვენესამე“ და „ჰა, ბეჩავ ბაღლებო“.

ამის შემდეგ ახლა თვითონ უძღვნა თავის თავს ვაჟამ ლექსი, რომელშიაც ჰგოდებს იმას, ვითომ როგორ წაიქეიფეს სხვებმა მისი „ცრემლების“ ფულებით და ის კი თვითონ ამ ქეიფს შორით უცქეროდა. აი ეს ლექსიც:

#### ფშაური მუხამბაზი

გაჩეილაძე ლილინებს  
მდგომი „სორაპნის“ მთაზედა,  
შენ გენაცვალე, უფალო,  
რომ დამარიგე ჰკვაზედა—  
ვაჟა-ფშაველამ მაწვინია.  
მეც მოვექეცი ახზედა.  
რაც ფული უნდა მიმეცა  
გადავიტანე სხვაზედა.  
იტყვიან შიო-მღვიმელსა,  
განთქმული არის სმაზედა—  
უკან არ იხევეს თუ საქმე  
მიდგა ლექსების თქმაზედა:  
თან წაფურჩულე: „შენ მიშველ,  
ძმავ, უმტკიცესო ძმაზედა—  
როგორც სამსონმა მიშველა  
მეღიატორედ სჯაზედა.  
შენ გქონდეს, ვაჟა-ფშაველას,  
რისათვის მივცე რაზედა?  
რა შრომა გაუწევია,  
დაჯდეს, ჰვა კენიტოს მთაზედა,  
არ ნილალატე, ძმობილო,  
მადლობელი ვარ მასზედა  
გიორგე ეხლავე ეცადო  
ძმა აანხედრო ძმაზედა...<sup>1</sup>  
არც სანდროს მისცე, არც ვაჟას,  
ხელი გეკიდოს ჰკვაზედა.  
ამ დროსა შიო მღვიმელი  
პადვალში იჯდა სკამზედა.  
ადლეგრძელეზდა რაც კი რამ  
არსებობს ქვეყანაზედა:  
სამშობლოს, ლიტერატურას,  
ჰეაც თუ საღმე ძეგს ჰვაზედა,  
თამადად ამორჩეულსა  
ჯდომა უხდება ჯარზედა.  
გვერდს უზის ბუქურაული  
ყანწებსა სცლიდა ყანწზედა.

<sup>1</sup> აქ გამოვტოვე ოთხი სტრიქონი, რომელიც შიოს ეხება.

მოსაკრავენი ატკობენ,  
კიკლია<sup>1</sup> ჰანგს სცვლის ჰანგზედა.  
მოსულა ვაჟა-ფშაველა  
ამ ქრიამულის ხმაზედა.  
სუცქერის კარებიდანა  
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.

აი მაშინდელი ვაჟას მოწერილი წერილი ჩემთან, ვიდრე შიო იმ ფულებს გადმოგვცემდა:

„ჰა, ბეჩავ, სანდროს, კენესამე! როგორ ხართ და რას კეთილ გუნებას? მე კარგად არა ვარ. გულის ტკივილი დამჩემდა. მოგვლით თქვენც და აღარ კი მოსდინხართ. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,—ეს რა ამბავია? შენ და გაჩეჩილაძე როგორა ხართ? გაძლევს ფულს თუ არა, მომწერე, ან შიოს საქმე როგორ არის? დემურია ნახე და უთხარი, რომ სამი თუმანი თუმც გამომიგზავნა, ორი თუმანიც გამომიგზავნოს. ფული ჩემთვის ძალიან საჭიროა. ალლაძეც ნახე და უთხარი, რომ „კაი ყმისა“ ფული გამომიგზავნოს. ჰა ბეჩავ, ბალოო, კაი ყმავ, წაიკითხე კარგად, დედის კენესამე გამზდლისა. ამ ლექსს რო წაიკითხავ, თორმეტი ყური შაიბი, თორმეტი გული ჩაიდევ, ხოლო თვალებს მომატება არ ესაჭიროება. ამ წერილს პაწაწა გრიგოლს ვატანთ. დიად იმ გრიგოლს, რომელმაც შუადლის დროს რომ დაუმიზნა შეგელს თოფი და შამოყენებული ჩახმახი დარჩა, ამ ჟამად წასთვლიმა, თვლემამ ძილი შობა და საღამომანმაც მოატანა: მზე უკვე ჩასული იყო როცა გაიღვიძა. ჰა ბეჩავ, ბალოო მონადირე! მომიკითხე ჩემი რძალი სიყვარულით და პატივისცემით. გელით უსათუოდ. წამოდი, რაღა, ფეხს უკანა სდგამთ, თქვე კაი კაცებო, ახალი თევზი ბლომად არის, რძე და ერბო, ყველი და ხაჭო, დოვი და შრატი. თუ წამოხვალთ, მომწერეთ დღეშეთში ცხენებს გამოგიგზავნი.

სიყვარულით შენი ძმა ვაჟა“

ეს წერილი და ლექსი „ფშაური მუხამბაზი“, რომელიც ზევით მოვიყვანე, ჩვენი ბიძაშვილი გრიგოლისათვის გამოეტანებინა. ის პაწაწინა კი არა, ისეთი უხარმახარი კაცია, რომ სახლის კარებში ვერ შემოეტევა და ამასთანავე მძინარაა მეტის-მეტად.

ვიდრე გაჩეჩილაძე გადმოგვცემდა იმ ფულებს, ვაჟამ კიდევ ერთი ღია წერილი მომწერა, რომელშიაც იწერებოდა შემდეგს:

„ძმაო სანდრო!

„იცოცხლე და იცხოვერ ბედნიერად. გიგზავნი ბუჩას (ბაჩანას) და თქვენ იცით როგორც იბუჩავებთ. ედილაშვილს წერილს ვწერ, რომ ფული ჩამოართონ გაჩეჩილაძეს და ჩაგაბარონ. მიიტანე იერიში, თორემ არაფერი გამოვარატომ ყურზე გძინავს? არ გიჭირს თუ რა ამბავია? მე მაკვირვებს შენი საქმე. მომიკითხე ნათიძიანი და მიუსამძიბრე ჩემს მაგივრად ილიას უდროო დაკარგვა. ძალიან მეწყინა. რა ბევრი ქართველები იზრდებიან, რომ ისინიც ეგრე უდროვოდ დაიხოცნენ.

<sup>1</sup> მუხურე, ამ ჟამათაც ცოცხალია.

მომიკითხე ძალუა ჩემი. იფხიზლოს და იფხიზლოს არსად გაეპარო. მეც იქნებ მალე ვნახო. გამარჯვებით იყავით“.

შენი ძმა ვაჟა

ვაჟა რომ მწერს: „ნათაძიანი მომიკითხე და მიუსამძიმრე ილიას სიკვდილი“ ის მწერს ჩემ ქვისლ ნიკო ნათიძეზე (მწერლობაში მელანია), რომელსაც იმ წელს შემთხვევით სტუდენტი შვილი მოუკვდა. ეს ის ნათიძეა, რომელიც ჩემს ძმებთან: გიორგი და ვაჟასთან ერთად თელავში სწავლობდა. ვაჟას და მელანიას ერთმანერთი ძალიან უყვარდათ.

**მამა სტუმრად გორში**

1910 წ. 30 ღვინობისთვის ქ. გორში ლევან ხიმშიაშვილთან ყოფილიყვნენ დაპატიებულები: ვაჟა-ფშაველა, ჩემი ძმა თედო და სხვანი. სუფრაზე მასპინძლის მამას ეთხოვა ვაჟა-ფშაველასათვის: „სამახსოვროდ პატარა ლექსი დაგვიწერო“ და იმასაც დაეწერა სახელდახელოდ შემდეგი:

„გული მეყოფა საამოდ  
ღვინოს ნუ მასმევთ უხვადა.  
თუ დაეთვერ, ეს მასპინძლობა  
მაშინ ჩაგვიფლის ფუჭადა.  
ტვინს ნუ დაეჩაგრავთ, ცოდვაა,  
ნუ გადავიქცევით კუჭადა,  
თორემ სმით ვერ შემაშინებთ  
თედო აქა მყავს ბურჯადა.  
მაშ რად უგდია ძმა ძმასა.  
არ გამოადგეს გურჯადა.  
მიართვით რამდენიც ვსურდეთ  
ღვინო ბიქს ჩასაყლურქადა!“

1913 წელს ვაჟა-ფშაველა აქ—თბილისის ჩამოსული კარგა ხანს დარჩა. მისი უფროსი შვილი ლევანიც აქ იყო. გიმნაზია დამთავრებული ჰქონდა და უსაქმოდ იყო. ამის შესახებ ვაჟას ჩვენი ძმა თედო სწერდა: „ძმაო ვაჟა! კაცო, მაგდენი ხანი მანდა ხარ და არაფრით არც გვახსენე, არც მოგვივონე და მგონი კი, რომ დასავიწყი ხალხი არა ვართ. კაცო, რასა შვრები, ეგ კაცი ლევანი, ეგრე უნდა ატარო?“

„ავი არ მაკადრიანო და კარგი არ მაღირსიანო“, თქვენი საქმე ისეა: ქალაქში ცხოვრება მგონი ორი კაპიკი არ ჯდება. თუ სამსახურში არ შეიყვან, მანდ რაღას უზის? კაცო, ძალიან პატარაა, რომ კიდევ ისეიროს? მე მივიგობს შენი საქმე, ორ თუმნიანი ადგილიც რო უშოვო, იოლას გამოვა. ინსტიტუტში არც მიიღებენ და არც ვაჭვზავნი, მე ეს კარგად ვიცი.

არ შეიძლება ეგრე. სადაც სთხოვ, ხომ იცი, ყველგან პატივსა გცემენ, რაც არის, შენი შვილია. თუ მოინდომებ, ყველაფერი გაკეთდება. კიდევ გიმეორებ, უპატრონე, ქვეყანაა, სირცხვილია: ჩვენ ხომ კრიტიკის გარეთ არ ვდგევართ. რო ჩამოვსულიყავ, მოგელაპარაკებოდი, მაგრამ მოცლა არ არის ეს ოხერი. მანდა ხართ შენ და თამარი და არ უნდა ამოხვედეთ? მგონი გვიამებით.

შენი თედო. 1913 წ. 23 ოქტ.

ჩვენ ძმა თედოს ხელთუბანში კარგი ხილის ბაღი ჰქონდა და ბლომა ფუტკარი ჰყავდა. თედო თავის მეც მიგზავნიდა ხოლმე, უფრო კი საახალწლოდ. მართალია თედოც ხშირად ჩამოდოდა ხოლმე თბილისში ვაჟას აქ ყოფნის დროს, მაგრამ ის მაინც აქ ნახვით არა კმაყოფილდებოდა და უნდოდა, რომ იმასთანაც წავსულიყავით ხოლმე.

ერთი, რაკი დაპირებინამებრ, ვერ მოგვიხდა თედოსთან წასვლა, ვაჟამ აქედან მისწერა წერილი, რომელიც თედოს ქალს გულქანს გაატანა, აი ის წერილი:

ძმავ თედო!

მოგილოცავ მომავალ დღესასწაულებს შობა-ახალწელს და ვისურვებ თქვენთვის ყოველს კეთილს:

„ყოველს კეთილს გისურვებთ  
იყენეთ ჯანით სალადა:  
არავინ არ გასცივდეთ  
და არ დაჰხდეთ ავადა.

გოზინაყის ჭამაში  
მადა გქონდესთ კარგადა  
და ღმერთმა ნუ გაგზადოსთ  
მეზობლების ბარგადა.

მე და სანდრო აქ ვყრივართ  
მოკუნტულნი ცალადა.  
და ვფიქრობთ რომ თქვენ თავლი  
არ შაგერგოსთ შხამადა.

მარტოკანი არ დასხდეთ  
ამ თავლისა ჭამადა—  
მოიჭარბოთ და მერე  
კიდევ გაჰხდეთ ავადა.

ცოტა გამოგვიგზავნოთ  
ჩვენც შავირგებთ კარგადა.  
თაფლის მოლოდინშია  
დღეებსა ვთელი შავადა.  
რალა ბევრი მოგწეროთ  
კარგად იგრძნობთ თავადა.

შენი ძმა ვაჟა

სანდრომაც მოგიკითხათ და ჩემმა რძალმაცა“.

ამის შემდეგ თედოს წერილი მივიღეთ, რომელიც იწერებოდა შემდეგს:

23 დეკ. 1913 წ. „ძმავ ვაჟა! შორიდან მოკითხვისათვის ძალიან გამაღლობთ,

მაგრამ თქვენი პირიდან რომ ჩემი ყურით გავიგონებდე, უფრო უკეთესი იქნება. რომ არ დაგპატიყთ, არ უნდა ამოხვიდეთ, შეაფურთხეთ ეშმაკს და დაგვხედეთ, ერთი ქართლური დავკაშნიკოთ, მაგ შენს 300 მანეთს დალოცვა არ უნდა?



თაფლს გიგზავნით, ე. ი. სანდროს ვუგზავნი, და შენ თუ გინდა, აქ უნდა ამობ-  
 ძანდე. სანდროს უთხარ, კიდევ გამოგიგზავნი-თქო. მოიწეროს, რა ღირს გამო-  
 ფენაზე გირივანქა. იყავით კარგათ, მოკითხვა მრავალი ყველას. უმეველად გე-  
 ლით. შენი ძმა თედო.“

ამ წერილის მომტანმა თან ერთი „ბეტონი“ თაფლიც მოიტანა. წერილი  
 ვაქას მისამართით იყო გამოგზავნილი. ვაქამ წერილი იქამდე რომ წაიკითხა,  
 სადაც თედო იწერებოდა: „თაფლს გიგზავნითო“, ვაქას არ დაემთავრებინა ეს  
 წერილი, რომ დამიძახა: „ნახე, სანდალავე, გასჭრა თუ არა ჩემმა წერილმაო“,  
 მაგრამ რო ვანაგრძო და წაიკითხა „სანდროს ვუგზავნიო“, ცოტა არ იყოს, უგუ-  
 ნებოდ გახდა. მე კი სიცილი ამიტყდა. თედოც ამას, რასაკვირველია, ხუმრობით  
 იწერებოდა.

ფშავში, როგორც არაგვის პირზე, ისე სხვა ხევებზე ლამში ურევია ყვი-  
 თელი ლითონის ბრჭყვიალა ნაწილები, რომელიც ოქროსა ჰგავს. ერთხელ ვაქამ  
 ამნაირი ქვიშის ოთხი ნიმუში განოგზავნა და თანაც მწერდა:

„ძმაო სანდრო!

გიგზავნი ოთხნაირ ქვიშას, წერა-კითხვის საზოგადოებაში დავალბული  
 მაქვს. გასჩხრეყავენ ამას, მართლა ოქროა, თუ არა? ყველა პარკს თავის ნომერი  
 აქვს და ამ ნომერზე პასუხი უნდა მომცენ რა არის.

ჰქვიფობთ უჩემოდ რაღა? იქნება არ შეგარჩესთ. მომიკითხე ვასო, შიო  
 ქუჩუკაშვილი, ივანე ბუქურაული. თუ ყვარელში ემზადებით, მომწერე როდის-  
 თვის? ჩვენ კარგად ვართ ყველანი, ნიკოც და მეც. ლევანის ამბებიც მომწერე-  
 ეს ქვიშა შიოსთან მიიტანე და იმან ცხვედაძეს და ინჟინერ დეკანოზიშვილს  
 უჩვენოს, მერე იმათ თვითონ იციან. ნომრები არ შესცვალათ. რა პარკშია  
 რა ნომერია, ისე უნდა დარჩეს. ხუმრობა საქმე არ არის“.

შენი ძმა ვაქა“

ის პარკები მე, რასაკვირველია, დანიშნულებისამებრ გადავეცი და შემდეგ  
 რა ბედი ეწია იმ პარკებს, აღარ მახსოვს.

1915 წ. 23 აპრილს მე და ვაქა ჩემ ქვისლ ნიკო ნათიძესთან ვიყავით სა-  
 დილად. იმ დროს ომი იყო გაჩაღებული და რუსის ჯარი უკვე კარპატების  
 მთებში იყო შეჭრილი, სადილზე, რასაკვირველია, ამ ომზე და იმის შედეგებზე  
 ჩამოვარდა ლაპარაკი. ყველა იმ აზრისა იყო, რომ რაკი რუსის ჯარი კარპა-  
 ტებში უკვე დაიკაიებდა ავსტრიას, შემდეგ გერმანიას შეესოდა. ვაქამ კი  
 დაჰხედა რა იქვე კედელზე გაქრულ ომის ასპარეზის რუკას, ჩემს ქვისლს ეუბნება:  
 „აი, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, თუ ეგერი იქ არ დამარცხდნო!“ მაგრამ არავინ  
 არ დაეთანხმა მის აზრს. ჩემმა ქვისლმა ზედ რუკაზე წააწერა ვაქას ნათქვამი,  
 რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ მართლა გამართლდა.

\* \*

ვაქას როგორც ბინკალი, ისე თევზეული ძალიან უყვარდა და მათ შორის  
 ლოქო.

ერთხელ ჩემს სახლობას დღეობაში ვაქამ „სანაზარეულო“ მიულოცა, რო-  
 მელზედაც წააწერა შემდეგი:

გიძღენის ამ წიგნს შენი მახლი  
 სამახსოვროდ, რძალო, ბაბო!  
 კარგი ხინკალი მოჭხარშო  
 მარილი არ მოაჭარბო.  
 ლოქის სანელი ისწავლო  
 ტკბილი იყოს, თანაც შამრგო.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟას თავის მეორე ცოლთან სურათი გადაეღო, რომელიც მე მისახსოვრა, შემდეგი წარწერით:

„იქნებ იამოს, ვიფიქრე ისა,  
 ძვირფას ძმას უძღვენ სურათი ძმისა  
 და მასთან ერთად სურათი რძლისა,  
 რა შეინახოს აღბოძრა თვისსა.“

ზემოაღნიშნული სურათი მე მწერალთა მუზეუმს შევსწირე.

ვაჟას შვილი ლევანი, თბილისიდან წასული გორში მოეწყო სამსახურში და იქაურ ქალზე დაინიშნა. ამის შესახებ მივწერე ვაჟას წერილი და ვულოცავდი შვილის გაბედნიერებას. ამის შემდეგ ვაჟას წერილი მომივიდა, რომელიც მწერდა:

„ძმაო სანდრო!

შენი წერილი მივიღე. მესიამოვნა რომ კარგადა ხარ. ჩემი თუ გინდა იცოდე რამე ვერაფერს სასიამოვნოს ვერ მოგწერ, რადგან მე ავადა ვარ. ჯერ შარშან ზაფხულში კინალამ მოგვედი. ეხლა, შენ სხვას დასცინი შიშის გამო და ცოტა არ არის, რომ თავადაც ფახაცი გქონია. კაცო, ძმობა რის ძმობაა, თუ გაჭირვების დროს შეგვშლიან და ერთმანეთს არ დაფეხმარებიან...

სხვა რა მოგწერო, აქ არაფერი ღირსშესანიშნავი არ ხდება და არც მომხდარა. ლევანის ამბავი ერთი მხრივ თუ მესიამოვნა, მეორეს მხრით მეწყინა. ვინ არი მისი საცოლდე, რა არი, აქვს რამ, არ აქვს? ისე არ მოუვიდესთ, კუტი კუტს არ აეკიდოს. ჩვენებმა ყველამ მოგიკითხესთ. მომიკითხე ჩემი რძალი, ნიკო ხუცესი და სხვანი.

მე ველარ ჩამოვდივარ სულში გახლადფორთებული საქმეების გამო. იყავით გამარჯვებით. ეგრე: ჩემი რძალი გამოგზავნე აქ და წინათვე ნაცნობე როდის გამოგზავნი.

შენი ძმა ვაჟა-ფშაველა

### ცრუ ვაშა

დათიკო წიკლაურის ნაამბობი: „მაშინ ვაჟა-ფშაველა ცოცხალი იყო. ერთმა ჩემმა კარგმა ნაცნობმა სადილად დამბატიყა და მითხრა, რომ ამა და ამ დროს გელოდები და ვინც გინდოდეს, წამოიყვანეო. მეც ავდექი და ერთი ჩემი ძველი მეგობარი კობახიძე წაიყვანე, მასპინძელს ის ჩემი მეგობარი ვაჟა-ფშაველად გავაცანი. მასპინძელს ძალიან გაუხარდა, რომ ვაჟა-ფშაველა მეწვიაო და აღარ იცოდა, როგორ ეცა მისთვის პატივი. სადილზე ამ ცრუ ვაჟას

ხან რას დავსცინოდი, და ხან რას, ხან კიდევ მე შეუკურობებდი, რაც მასპინძელს ძალიან სწყინდა და ერთხელ კიდევ წამჩურჩულა: „კაცო, შენ რამ გავასულელა, როგორ შეიძლება ვეჯასთან ეგრე მოქცევა, სირცხვილი არისო!“ შეზარბოშებულებმა ახლა ხუმრობა და ლექსების თქმა დაეიწყეთ, რასაც, რასაკვირველია, სიტყვებიც მოჰყვა. გამზიარულებულმა მასპინძელმა ახლა ცრუ ვაქას სთხოვა: ბატონო ვაქავ, ერთი თქვენც რამე ბრძანეთო“. ადგა ის ჩემი მეგობარი და მოჰყვა რაღაც ლულულს. მაშინ კი ველარ შევიკავე თავი და გაჯავრებულმა დაუყვირე: თუ რამეს ამბობ, თქვი რაღა, შე უბედურო, ვაქა-ფშაველა კი არა კობახიძე ხარ, ვის ატყუილებ მაშინღა მიხვდა ჩვენი მასპინძელი, რაშიაც იყო საქმე და ბევრი იცინაო“.

### პაროლი

ერთხელ, ჯერ კიდევ მოძრაობის დროს, ჩარგლიდან წამოსულები: ვაქა-ფშაველა, ბაჩანა და რამდენიმე იქაური ფშაველი თვალღეში, ბესო შანიძის დუქანში ისხდნენ თურმე და ქეიფობდნენ. ამ დროს იმავე დუქანში შემოსულიყო ნიკო ტლაშაძე, რომელიც იმ დროს მთაში პროპაგანდისტად დადიოდა, რომელიც, როგორც ვაქა-ფშაველას, ისე ბაჩანას კარგად იცნობდა და ბევრჯელაც ყოფილა იმათთან სახლში.

— რაზიკაშვილებს გაუმარჯოსო! — მიესალმა ტლაშაძე.

— ჰაი გაგიმარჯოს! უპასუხეს იმათ.

— შენი „პაროლი“? — ჰკითხა თურმე ვაქამ.

— თავისუფალი საქართველო, — ეპასუხნა ტლაშაძეს.

— იცოცხლე, იცოცხლე, ჩემო ნიკო, — ეთქვა ვაქას და გადაჰხვეოდა კიდევ ქეიფის გათავების შემდეგ შემოესევა ის ვაქას ცხენის გავაზე და ჩარგალში წაყვანა.

### ვაშახ უკანასკნელი ჩამოსვლა თბილისში

ვაქა-ფშაველას უკანასკნელი ჩამოსვლა იყო თბილისში 1915 წელს აპრილში. ის ჩარგლიდან ჩამოსული ვერის დაღმართთან შემხვდა. თბილისის სადგურიდან ფეხით წამოსულიყო. ნაბადი ჰქონდა მოხვეული და მხარზე კი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. გაგვიხარდა ორივეს ერთმანეთის ნახვა, გადაეხვეით და დავკოცნეთ ერთმანეთი. გამოვართვი ხურჯინი, ნაბადი კი არ მომეცა, რადგან ისევე ავდა ვარო, მითხრა და ვაი თუ გავცივდეთო. წამოვედით სახლში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, სხვათა შორის, ვკითხე მისი ჩამოსვლელობის მიზეზი იმ ზამთარს აკაკის დასაფლავებაზე.

— აქ ათასი ჯორი გაავრცელეს-მეთქი, ვუთხარი ვაქას, თითქოს შენა და აკაკის ერთმანეთი გძულდათ და ვითომ შენც იმისთვის არ ჩამოხვედი იმის დასაფლავებაზეო.

ამის გაგონება ვაქას ძალიან ეწყინა და გაჯავრებულმა წამოიძახა: „ვერ უყურებთ მაგ უსინდისოებს, რა მოუგონიათ? რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი, ან კიდევ საჯავრებელი? მე ვაქა-ფშაველა ვარ და ის კი აკაკიო“. ძმაო, დღე-ღერე, აი ხომ ჰხედავ როგორა ვარ?

იმ დროს როდესაც თბილისიდან დეპეშა მომივიდა, ლოგინში ვიწვევ, — ფილტვების ანთება მქონდა. აი ეს გვერდი ეხლაცა მტკივა. ან კი როგორ გადავჩრი ცოცხალი. აბა შენვე მითხარ, თუ ძმა ხარ, ეს ავადმყოფი კაცი სად უნდა წამოვსულიყავი.

ვაქა მართალი იყო. როდესაც აქა ნახეს ის ავადმყოფი კაცი მაშინ-ლა დაიჯერეს. როდესაც ქართველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ ვაქა მართლაც ავად იყო, მაშინ-ლა გამოიბერტყეს ყურები და ერთი საღამოს გამართვა ძლივს მოუხერხეს. ამასაც ვალიკო გუნიას უნდა ვუმადლოდეთ, რომლის ინიციატივითაც ეს საღამო მოხერხდა. საღამო ოპერის თეატრში მოუწყვეს, რასაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ამ საღამოზე სხვათა შორის თვითონ ვაქამაც წაიკითხა ორი, თუ სამი თავისი ლექსი.

როგორც ჩვენს ქართველ საზოგადოებას სჩვევიათ, საღამოს გათავებისას, ვაქას ორთაქალის ბაღში კარგი ვახშამი გაუმართეს, სადაც ეს ავადმყოფი კაცი მარტო ჩოხის აპარა წაიყვანათ. ვახშმიდან ის მეორე დღეს-ლა დაბრუნდა. ჩემს შეკითხვაზე, რად დაიგვიანე-მეთქი, გაჯავრებულმა მითხრა: „წამათორისე, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციესო“.

**ვაჟას ლოგინად ჩავარდნა**

მართლაც იმის შემდეგ ვაქა უარესად გახდა. ჩაწვა ლოგინში და ველარ წამოდგა. ერთ თვეზე მეტი ჩემ ბინაზე იწვა, და ჩემი სახლობა უვლიდა. აქვე ყოველდღე მოდიოდა ექიმები: ვანო გომართელი, გ. მუხამე, სპ. ვირსალაძე. აქ პატარა ოპერაციაც კი გაუკეთეს და გვერდიდან წყალ-მანკი გამოუშვეს. ამაზე ვაქას ცოტა შეღავათი მისცა. იმედიც კი მიეცა მორჩენისა, მაგრამ სად იყო მორჩენა? რადგანაც გამართულ საღამოდან ვაქას ერთი ოთხმოციოდე თუხანე ერგო. ერთხელ, წოლით გაბეზრებულმა, მიმხრა: „ადე კაცო, დაეთხოვე სამსახურიდან, ეს ფულები არის, რისა გეშინიან, დავიქირაოთ ერთი ავტომობილი, წაიყვანოთ თან შიო მღვიმელიც, წავიდეთ აქედან, თორემ მე ამ სიცხეში რა გამძაღბებინებს, მოვკვდები. ისევ მთაში, თორემ აქაური ცარიელი წამლები მე ვერას მიშველიანო, იძახდა და მართალსაც ამბობდა. ვანო გომართელიც სულ იმას გვეუბნებოდა, რომ ვაქა ისევ მთაში წავეყვანა ჰაერზე. მაგრამ მუხამემ რაკი სთქვა: „შეიძლება გვერდში წაილი ჩაუდგესო“, ამისათვის ჩვენც თავი გავანებეთ.

**პომპი ოვანეს თუმანიანი ვაჟასთან სანახავად**

ვიდრე ავადმყოფი ვაქა ჩემს ბინაზე იწვა, შემოვიდა ერთი მაღალი ტანის კაცი ფოსტაში, სადაც მე ვმსახურობდი, რასაკვირველია, ვუთხარი ჩემი ვინაობა. ისიც გამეცნო და მითხრა, რომ ოვანეს თუმანიანი ვარ, გავიკე ვაქა-ფშაველას ავადმყოფობა და ისიც, რომ თქვენს ბინაზე ყოფილა, მინდა მისი ნახვა და როდის შეიძლება მისი ნახვაო. მეც ვასწავლე ჩემი მისამართი და ვსთხოვე, რომ მეორე დღეს მოსულიყო. სახლში დაბრუნებისას ვლამზე ვაქას ეს ამბავი, რომელსაც იმა ასეთი მოულოდნელი ამბავი და მითხრა: „მოვიდეს, კაცო, ერთი გავიცნო, რა კაციოა. მეორე დღეს, დანიშნულ დროს მართლაც მოვიდა ოვანეს თუმანიანი, რომლის

მოსვლამდე ვაჟა ლოგინიდან წამოღება, ჩაიცვა ტანს და როცა ოვანესი სახლში შემოვიდა, გავაცანი ერთმანეთს. ოვანესმა ბოდიში მოიხადა, რომ საუბედუროდ, ქართული ენა არ იცოდა, რის გამოც რუსულად დაიწყეს ლაპარაკი. ერთმანეთის შოკითვის შემდეგ, ჩამოაგდეს ლაპარაკი მაშინდელ ომზე, მის შედეგებზე და თუ რას მოუტანდა ის ომი პატარა ერებს, ბენდინერებს, თუ უბედურებას. შემდეგ ოვანეს თუმანიანმა ჩამოაგდო ლაპარაკი, რასაკვირველია, მაშინდელ სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე, რადგანაც იმ დროს პრესაში დიდი კამათი იყო გამართული ტერიტორიების შესახებ. ამ ორი მგოსნის ლაპარაკი მეტად გულწრფელი იყო.

გამომშვიდობებისას თუმანიანმა სთხოვა ვაჟას, რომ ვაჟას გავლენა მოეხდინა ქართველ საზოგადოებაზე, რომ საქმე არ გაემწვაებინათ უფრო და სომეხების შესახებ ცუდი არაფერი ეწერათ. ვაჟამაც აღუთქვა, თუ-კი რამე იმისგან შესაძლებელი იქნებოდა და სამაგიეროდ სთხოვა, რომ ისიც ასევე მოქცეულიყო. ვაჟამ წასვლისას, ოვანეს თუმანიანს მაღლობა გადაუხადა.

**ვაჟას გაღაპრება ლაზარეთში**

ექიმების აზრით, ვაჟას გაგზავნა ისეთ ალაგას, სადაც ექიმები არ იყო, არ შეიძლებოდა. იმის გაგზავნა შეიძლებოდა სადმე ახლო-მახლო ავარაკებზე, სადაც ყოველ ჟამს შესაძლებელი ყოფილიყო ექიმის შოვნა. ვიდრე ისინი ასეთ ავარაკს მოსძებნიდნენ, დრო გადიოდა და ავადმყოფობა თავისას არ იშლიდა. ბოლოს გადასწყვიტეს, რომ ვაჟა გადაეგზავნათ ახლანდელ უნივერსიტეტის შენობაში, სადაც იმ დროს დაქრილებსათვის „წმინდა ნინოს სახელობის სამხედრო ლაზარეთი“ იყო მოთავსებული.

**ვაჟას გაღაცვალეზა**

ექიმების გადაწყვეტილების თანახმად ვაჟა ლაზარეთში გადავიყვანეთ და მოვითავსეთ სულ ზემო-სართულის ერთ დიდ ოთახში. იქ ექიმი მახვილადე ისე დასტრიალებდა თავს დღე და ღამ, როგორც თავის მშობელს. ქართველი მოწყალეების დებიც დარაჯებივით სულ გარს უგლიდენ. ყოველ სამ დღეში დანარჩენი ექიმები იკრიფებოდნენ ერთად და ისე შინჯავდენ.

მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი ბლომად ეძლეოდა, მაინც შინაური საქმელი ერჩივნა, რომელიც თითქმის ყოველ დღე მიმქონდა. გორიდან ჩვენმა დისწულმა ნანადირევი მწყრებიც კი გამოუგზავნა, რომელიც სახლში შეუწვით და მიფუტანე, რაც ძალიან იამა. ნაცნობ-მეგობრებიც ყოველ დღე მისდიოდნენ, რომლებსაც ზოგს რა მიმქონდა და ზოგს რა. სოლოლაკიდან სესიაშვილი ძველის ძველ წითელ ღვინოს უგზავნიდა ყოველ დღე თავის სარდაფიდან. მაგრამ თვითონ ბევრი არ ესმეოდა და ედგა იქ საესე ბოთლები. მე და შიო მღვიმელი მივიდიოდით იმასთან, იგი ვაჟას ძალიან უყვარდა, აგრეთვე შიოსაც, სიცილით გვეტყოდა ხოლმე ვაჟა: „აბა, ხომ ვიცი, რომ გემსუნაგებათ ე წითელი ნუნუა, თქვენს ცოდვაში არ ჩაესდგე, მოდი დალიეთო“ და ჩვენც უარს არ ვეუბნებოდით.

ვაქას ერთი მოწყალეების და ჰყავდა მიჩნეული, ანიკო კობიაშვილისა, რომლის შესახებაც გვეტყოდა ხოლმე სიცილით: „ეს ჩვენი ანიკო ქალი ხანდახან წაეპარება ამ წითლიანებს, ჰგონია ვერ ვამჩნევო“ და გვაცინებდა.

ჩემ ქვისლ მელანიას კრიალოსანი მიეტანა იმისათვის, გაერთობიო, რის გამოც ძალიან ნასიამოვნები იყო და მითხრა: „რა მშვენიერი ადამიანია ეს ჩვენი წვერავა, ძალიან ვერთობი ამაზედაო“.

ასე მიდიოდა დრო და იმისი ჯანმრთელობა კი დღითი-დღე უარესდებოდა მკათათვის საშინელი სიცხეები იდგა. ჯერ კარგათმყოფისათვის რა იყო იმ დროს აქ, თბილისში, ყოფნა და ავადმყოფისათვის ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იქნებოდა.

არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს საზოგადოებას, რომ სადმე გაეგზავნათ და უარესად დადნა ეს კაცი იმ სიცხე-პაპანაქებაში. ერთხელ წყაროს წყალი მოგვთხოვა, რომ მამა-დავითიდან ჩამოგვეტანა. მართლაც ჩამოვატანინეთ მისთვის ის წყაროს წყალი, მაგრამ როდესაც დალია, ის აღარ იყო, ცოტა გამთბარიყო. იმ ხანად საზამთრო ახლად იყო შემოსული და რაკი იმას უყვარდა, ყოველდღე მიქონდა.

26 მკათათვეს როგორღაც მოხდა, რომ სამსახურის გამო ვეღარ წავედი ვაქასთან თავის დროზე. თურმე მკითხულობს: „რა იქნა ის ბიჭი, რატომ არ მოდისო?“ დემეტრეინებინა იქვე ეზოში მდგომი ხეებისათვის ტოტები და იმისი ფოთლები ვაეშლევიანებინა იატაკზე და წამოწოლილიყო. 27-ში გამოეგზავნა ჩემთან ანიკო, რომელიც ჩემთან არ მოსულა. მე სამსახურში ვიყავი, ის კი ბინაზე მოსულიყო, შემდეგ მოეკითხა ქალადი და ფანქარი, მოენდომა რალაცის დაწერა, მაგრამ ვეღარ დაეწერა.

მე კი ჩვეულებისამებრ წაველე სადილი და ერთი საზამთრო, თან შიოც გამომყვა. შიო გარეთ დარჩა. მე კი ავედი ლაზარეთში. მივედი თუ არა იმის ოთახის კარებთან, იქ ექიმი მახვილადე და მოწყალეების ღები დამხედენ თვალ-ცრემლიანები. მაშინ-ღა მივხვდი რაშიაც იყო საქმე. ექიმი მახვილადე მუშბენება ტირილით: „მორჩა აღარ არის“. შენს მტერს, რომ მე გავხდი: შევედი შიგ ოთახში, ვხედავ ვაქას მკვდარს... ხმა ვეღარ ამოვიღე, ცრემლებიც არ მოდის ეს ტიალი! ვაკოცე ჯერ კიდევ თბილ შუბლზე. მივდივარ და მოვდივარ შეშლილივით. გამოვარდი კარში და შიოსაც ვამცნე ეს უბედურება. წავედი იქიდან „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში შესატყობინებლად. იმ დღესვე საღამოზე წავედით მე, შიო და რამდენიმე მუშა-ხელოსნები. ჩავასვენეთ კუბოში და წამოვასვენეთ ქაშვეთის ექლესიაში, სადაც ყოველდღე პანაშვილებს უხდიდნენ, ვიდრე დავასაფლავებდით. დასაფლავების დღეს, ქაშვეთის ეკლესიიდან გამოსვენების დროს პირველი სიტყვა ივანე გომართელმა სთქვა. დიდუბის პანთონში კი სხვათა შორის, ბაჩანამ და ვაქას შვილმა ლევანმა. დასაფლავების დროს გვირგვინები არა ყოფილა, იყო მხოლოდ ერთი გვირგვინი, მთელი ქართველი ერის სახელით.

### მოგონებანი დიდ პოეტზე

ვაჟა-ფშაველა პირადათ გავიცანი ცხრაას-ხუთიან წლებში. გამაცნო პოე-ტმა იროდიონ ევდოშვილმა.

ჩემს ალტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვაქვს ჩემთან სუფრაზე მჯდომს ვუცქეროდი.

მე ბავშვობიდან ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ ეს კაცი უნდა ყოფი-ლიყო დევის მაგვარი, გამოქვავულში მჯდომი ადამიანი, წვერ-ულვაშით შებურ-ძგნული (მას სურათშიაც წვერი ჰქონდა), ეხლა კი ვაქვს ვხედავდი კოხტა მას-რებიან ჩოხაში, გაპარსულს. მას ჰქონდა ხორბლის ფერი ვაჟკაცური სახე, არ-წივისებური თვალები, სწორე ცხვირი. ცალი თვალის ქვემო ქუთუთო რაღაც სნეულებას ამოეჭამა, მაგრამ ეს გარემოება ვაქვს სახეს არ ამახინჯებდა, პირი-ქით—იდუმალს შთაბეჭდილებას სტოვებდა ფართოდ გახედილი ცალი თვალი. მას ისედაც ფართო და ნათელი თვალები ჰქონდა!

ამ ხანად მე უკვე დაბეჭდილი მქონდა ორიოდ ლექსი გაზეთში „ა. შ.-ლის“ ინიციალებით.

ეს იცოდა ი. ევდოშვილმა და, როდესაც სადღეგრძელოში ვაქვს ჩემი თავი გააცნეს, ეს ინიციალებიც გახსნეს.

როგორც შევატყე, ვაქვს ესიამოვნა—გამომკითხა სადაურობა და ვინაობა და ძალიან კმაყოფილი დარჩა იმ გარემოებით, რომ მე მისი უფროსი ამხანაგის შვილი გამოვდექ.

შემოდგომობით და ზამთრობით ვაჟა თბილისის ხშირი სტუმარი იყო. როდესაც გაზეთში მისი ლექსები იწყებდა ბეჭდვას, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მთიდან ვაჟა ბარში ჩამოსულა.

ამხანაგები ოხუნჯობდნენ კიდევ, რომ „ვაჟა ჩამოვიდა და ხურჯინით ლე-ქსები ჩამოიტანაო“ ეს არა იმ გაგებით, თითქოს ლექსები მართლა ხურჯინით ჩამოეტანოს (ლექსებს ის მუდამ უბით ატარებდა), არამედ იმ გაგებით, რომ ჩამოვიდა ვაჟა და მთაში დაგროვილი ლექსები თან ჩამოიტანაო.

ამაყი და მორიდებული იყო. მე ის ქუჩაში მინახავს ხშირად. ხანდახან ეჭირა ხელში „ტროსტი“. ეცვა სუფთად დაწმენდილი ჩოხა-ახალუხი, გაკრია-ლებული ქართული წულები და ყელზე კოხტად გადაგდებული ჰქონდა ყაბალა-ხი, თავზე იხურავდა გარიბალდის, ან ძვირფასი კრავის ფაფახს.

\* \*

როდესაც ვაჟა ჩარგალიდან თბილისში ჩამოვიდოდა, თავის ძმასთან, სან-დრო რაზიკაშვილთან ჩამოხტებოდა ხოლმე, ვერაზე.

ვაქას თავისი წრე ჰყავდა, ვისთანაც დროს ატარებდა. ესენი იყვნენ: ივანე ბუჭუჩაული, შიო მღვიმელი, ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი), ირ. ევდოშვილი, რ. ბებიაშვილი, ვეფხო (მღვდელი) კავკასიძე, სიმონ დიაკონი, ტყემალაძე, ვ. გუნია და მუდამ ვაქას მახრობელი და დიდი თავყანისმცემელი „ნაპოლეონი“—დავით პავლიაშვილი.

ვაქას ნაცნობები მრავალი ჰყავდა „დიდნი და მცირნი“, მაგრამ ის თავისუფლად ჰგარჯობდა თავს და ძალიანაც მოილხენდა ხოლმე, როცა მასთან იყვნენ ზემო აღნიშნულნი.

\* \*

ვაქა, ილია ქავჭავაძის მკვლელობის გამო თბილისში ჩამოვიდა. მარტო დადიოდა, არავის ეკარებოდა, როდესაც სადილად წაიყვანდით, სულ ოხრავდა და ბორგავდა.

— თავბრუ-დასხმული გამოვეშურე—ამბობდა ვაქა—ეს რა ოხრობაა, გონს ვერ მოვსულვარ... ლამის ყველა მტრად ჩავთვალე და მკვლელად! ვაქა პურს ვერ სჭამდა: „კრიკა შემეკრაო!“ ამბობდა თვითონ.

ხშირად მაგიდას დაეყრდნობოდა და ფიქრს მიეცემოდა. თუ ვინმე არსებობდა მის ახლოს, იგი ვერ ჰგარჯობდა.

გავთავეთ სადილი, ანგარიში გავუსწორეთ და ავიშალენით, მაგრამ ვაქა მინც იჯდა.

ბოლოს მე გამოვარკვიე. შემომხედა და მითხრა: „ფიქრში წასულს ილიამესაუბრებოდაო“.

ილიას მკვლელობას მაშინდელი აბნეული ინტელიგენცია ვის არ გინდა, რომ არ აბრალებდა. ვაქამ მაშინ გამოსთქვა ის აზრი, რომ ილიას მკვლელობეფის ქანდაკმერიის მიერ არის მოწყობილიო.

— აღვილი შესაძლებელია მკვლელებად ქართველებიც იყვნენ, მაგრამ იმ ქართველებს იარაღად ხმარობს მეფის ქანდაკმერიაო.—დაბეჯითებით იმეორებდა ვაქა და ასკვნიდა:

— ეს მიტომ, რომ ჩვენ უბედური ქართველები ერთმანეთს შეგვაჯახონ და უფრო მაგრა ჩაგვიკვირონ კლანჭებში, ნიკოლოზმა თავისი დაუძინებელი მტერი მოიშორა და ჩვენი ხალხის თვალის ასახევედ მკვდარს ვერცხლის გვირგვინი მოართვა, არ დაუჯეროთ ჩვენი ხალხის მტარვალს!—დაბეჯითებით გვარწმუნებდა ვაქა და თან ილიას მკვლელობას დიმიტრი ყუფიანის მკვლელობას აღარებდა; ერთი და იგივე დასკვნა გამოჰყავდა, რომ ნიკოლოზის მთავრობას ჰსურს ჩაუკლას საქართველოს აზრი და ტვინიო.

\* \*

როდესაც კი ვაქა თბილისში ჩამოვიდოდა,—ჩამოსვლის ამბავს შეგვატყობინებდა უთუოდ დავით პავლიაშვილი, ხუმრობით წოდებული „ნაპოლეონად“, ას ეს გამოცვლითი სახელი თვით ვაქამ დაარქვა, რადგან სადღეგრძელოში მას რიბი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი დაბალი იყო და ოდნავ კუხიანი, ხოლო პრიფილით მართლაც, ნაპოლეონის კარიკატურას მოგავიწყებდათ.



აი ამ „ნაპოლეონისთვის“ ვაჟას ჩამოსვლით დიდების და სიხარულის დღე თენდებოდა. თვით ეს დავით პავლიაშვილი სემინარიელი იყო, კარგად იცოდა ძველი და ახალი ლიტერატურა, იყო ჟურნალისტი და ერთი უანგარო ინტელიგენტი და ქართველ მოღვაწეების, მწერლების და კომპოზიტორების დიდი თაყვანის მცემელი. ამ „თაყვანისცემაში“ მას ჯილდოდ ის ერგებოდა ხოლმე, რომ თუ სადმე სუფრა გაიშლებოდა, იქ უთუოდ „ნაპოლეონიც“ იყო, ხუმარა და ხალისიანი. ამ „ნაპოლეონმა“ ერთხელ მახარა, რომ ვაჟა ჩამოვიდა და დღეს საღამოზე „ქოსებთან“ დაგიბარაო.

„ქოსები“ იყვნენ ძმები გიორგი და მოსე ხელაშვილები; მათ ჰქონდათ ყოფილ ვორონცოვის ხიდთან განთქმული სარდაფი. იქ თავი შეუფარებია მრავალ რევოლუციონერს; ეს იყო ერთგვარი „საპაემანო“ პუნქტი მწერლებისთვის, ხშირად რევოლუციონერებისთვისაც.

აი, აქ ვიკრიბებოდით ჩვენც.

ერთხელ ჩვენი წრე გაფართოვდა. ჩვენთან იყვნენ მასწავლებლები, ბანკში მოსამსახურე ინტელიგენტები და ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი.

ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნულ-ნაციონალურ საკითხზე.

იყვნენ ჩვენს შორის ნილილისტები, რომლებიც საქართველოს ყოფნა-არყოფნას და მის მომავალს უიმედო თვალით შესცქეროდნენ, არ სჯეროდათ, თუ ოდესმე ქართველი ხალხი ფეხზე წამოდგებოდა!

ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შიო არაგვისპირელიც ამ ნილილისტებს მიემხრო და სთქვა, რომ დგება საქართველოს დასასრულიო...

ვაჟამ მაგიდას მუშტი დაჰკრა, მის წინ ლამფა ჩაქრა, რამდენიმე თევზი გატყდა.

ვაჟა მინც განავრძობდა ათრთოლებული ხმით ლაპარაკს:

— ვაი, თქვენი იმედის პატრონს! თევზი თავით აყროლდებოა—თქვენ არა თუ აყროლდებულხართ, თქვენ უკვე ლეშები გახრწნილხართ!—სთქვა და წამოვიდა. მე და „ნაპოლეონი“ ვაჟას გამოყვივით.

ვაჟას ჩაეწყო ჩოხის ჯიბეში ხელები და მტკვრის ხიდზე მარტოდ მიდიოდა.

ისე გაბრაზებული იყო, რომ ჩვენც აღარ გვცემდა ხმას.

\* \*

ვაჟა მე ძალიან მენდობოდა და ხშირად ჩემთვის თავის გულის საიდუმლო გაუხიარებია.

ერთხელ რედაქციაში შემოვიდა, რედაქტორი ინახულა და შემდეგ მე მითხრა:

— მარტო შენ მოდი ქოსების სარდაფშიო!

მეც მიველ. ეს იყო 1908—09 წლებში.

ვხედავ, კუთხეში მაგიდასთან ზის მარტო ვაჟა. მიმიწვია. მაგიდაზე ეწყო: თონის პური, ხმელი თევზი, მწვანილი და თუშური ყველი. წითელი საფერავი დამისხა და მითხრა:

— შენ თუმც ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენი იმედი მაქვს და მარტო შენ გენდობი!

მე ძალიან გულსწყურში ჩამავდო ასეთმა მომართვამ.

მე ვიცი, რომ ვაჟა ისე მეპყრობოდა, როგორც კეთილი მამა. მაგრამ ამ დღეს მე იგი მელაპარაკებოდა, როგორც წლოვანებით თანასწორი თანასწორს.

ვაჟამ დაიწყო ჩვენი წარსულის ისტორიით, შეეხო სააკაძეს, ერეკლე მეფეს და დაათვა:

— ეხლა ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ დამონებული ერი! — სთქვა ვაჟამ და თვალბში ჩამაცქერდა; მე მას განცვიფრებული და გაშტერებული ვუცქეროდი. იგი მიმიხვდა, რომ მე მისთვის შეკითხვა უნდა მიმეცა და მანვე განაგრძო.

— როგორ და რანაირად? მოდი დღეს ჩვენ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ და შენ მხოლოდ გავალებ, რომ კახეთში შეიგულო ათი სანდო კაცი, რომლებიც საქართველოს თავისუფლებისათვის სიცოცხლეს გასწირავენ. შენ იქნები მათი ათის თავი — ჩვენ ასეთი თავდადებულნი ამ მოკლე ხანში გვეყოლება ხუთი ათასი, რაც საკმარისია... ნიშანი იქნება და შენ შენი კაცებით ადგილზე მოხვალთ.

ვაჟა-ფშაველა იმ დღეს მართლაც მთის-არწივი იყო.

მისი აზრი და სიტყვა ჩემს გულში ელვის ნაპერწკლებს ისროდა.

მე ვუსმენდი აჯანყების გეგმას, რომელიც ვაჟას შეედგინა და ერთს დანიშნულ დღეს საქართველოს ყოველ კუთხიდან თბილისზე უნდა წამოგუსულიყავით.

ვაჟას იდეა არ განხორციელებულა, მაგრამ ჩემს გულში ისეთი ცეცხლი აინთო, რომელიც აღარ ჩამქარალა!

\*\*

ერთხელ ვაჟას ძალიან აწყენინა მელიტონ გობეჩიამ.

გაზეთ „სახალხო ფურცელი“-ს თანამშრომლები, თითქმის ყველანი დაიქირეს და გადაასახლეს კიდეც. ფედერალისტების მეთაურთაგანი დარჩა მხოლოდ გიგო რეხილაძე. ამან პასუხისმგებელ რედაქტორად და მდივანად დანიშნა მელიტონ გობეჩია. მეც ამ დროს რედაქციაში ვმუშაობდი.

ეს მელიტონ გობეჩია ბუნებით არ იყო ბოროტი კაცი, პირიქით, ყოველდღიურ შეხვედრის დროს სათნო ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მხოლოდ მას ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: რა საგანზედაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, ატრიალებდა საუბარს იქამდე, სანამ მთელს ყურადღებას თავისთავზე არ მიგაპყრობინებდა და რაკი ყურადღებას თავის თავზე გადაიტანდა, უკვე საშველი აღარ იყო, მას თავი წარმოედგინა, დიდ პოეტად.

მისი ღრმა რწმენით, მისი მეოხებით ფეხზე დადგა და გამშვენიერდა ქართული პოეზია მისი „კოლხეთის სონეტებით“.

ერთხელ შემოაღო რედაქციის კარი და შემოვიდა ვაჟა-ფშაველა. მე, რ. ბებიაშვილი და ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) აღტაცებით მივეგებენით. მან იკითხა ჩვენი აზრები, მაგრამ ჩვენ ვერაფერი საამო ვერ ვუამბეთ — იკითხა ილია აღლაძეც. ილია გადაასახლეს და მის მაგიერ მელიტონ გობეჩიაზე მივუთითეთ. ვაჟამ შეალო კაბინეტი.

ვხედავ, რომ გობეჩიამ სათვალეები გაისწორა, შეხედა ვაჟას, ჰკითხა, ვინ ხარო! — მელიტონმა ძალიან კარგად იცოდა, ვინც იდგა მის წინაშე, რადგან სხვა რომ არა ესტკევათ — რა ვაჟას დიდი სურათი რედაქციაში ეკიდა და იქიდან მაინც უნდა ეცნო, მაგრამ გობეჩიამ რედაქტორის პოზა მიიღო და ვაჟას ცივად ჰკითხა: რა გნებავთ?

ვაჟამ უბიდან ლექსები ამოიღო და გადააწოდა.

— მაშ თქვენ ვაჟა ბრძანდებით? მაშ ეს თქვენი ლექსებია?

მე გამოვიხურე კაბინეტის კარი და გამოველ.

მელიტონ გობეჩიას ჩვენთვის წინასწარ „ლექცია“ ჰქონდა წაკითხული, რომ ამიერიდან აღარ გაუშვებდა ისეთ ლექსებს, როგორსაც სწერდა ვაჟა-ფშაველა. მელიტონის აზრით, ვაჟას ლექსი იყო ველური ქარგონი, ყოველ მუსიკალობას მოკლებული.

ამ ეამად ვაჟა და ახლად მოვლენილი რედაქტორი იყვნენ კაბინეტში და, როგორც შემდეგ გავიგე, თურმე სკამიც კი არ შესთავაზა დასაჯდომად.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში აწეული ლაპარაკი ისმის. ვაჟას რაღაც უთქვამს და მელიტონს მისი ლექსები გადმოუყვრია, თან უთქვამს:

— სანამ მე ვარ, ასეთ უკულტურო ლექსებს არ დაგიბეჭდავო.

ვაჟამ გამოაჯახუნა კარი.

— ვინ დაგისვამთ ეს ნეხვი? — სთქვა ვაჟამ და ისე გავიდა გარედ, რომ აღარც ჩვენ გავცა ხმა.

\* \*

არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს, ვაჟა ნაკლებ კულტუროსანი იყო და არ იცნობდა არც ევროპის დღევანდელ ლიტერატურას და არც კლასიკოსებს. ეს დიდად უმართებულო კორია შეთხზული მისი ლიტერატურულ მოქიშპებებისაგან და შემდეგ გადასული სხვებზედაც. პირიქით, ვაჟა განათლებული პოეტი იყო, იცნობდა ყველა გამოჩენილ კლასიკოსებს, სთარკმნა შილლერი, ედგარ პო და სხვები და იმ დროს, როდესაც ჩვენი ინტელიგენცია და მეც მათ შორის ძალიან ვატაცებულნი ვიყავით „ნიცშეანელობით“, კერძო კამათში ვაჟა ისე აკრიტიკებდა ნიცშეს, რომ მისგან ნატამალი აღარ რჩებოდა, ასე ამბობდა: ღონეგამოლულს, დაწრეტილს, უსუსურს ენატრება „ზეკაცი“ ზარატუსტრა, ხოლო ჩვენში ყოველი ცხვირმოუხოციელი უფრო რაინდია. ხოლო ნიცშეს ზარატუსტრა არის: ვერაგი, სისხლის მსმელი, სუსტის მქელავი და მოვალეობის შემგინებელი.

ვაჟას არა თუ თბილისში, ზოგჯერ იწვევდნენ ბათუმში, ქუთაისში, გორში ფოთში, თელავში და იქ მას ხედებოდნენ დიდის აღტაცებით. მხოლოდ ზოგიერთებს არ მოსწონდათ ვაჟა და იმ ზოგიერთების ჩაძახილს იმეორებდნენ სხვებიც.

თბილისში რამდენჯერაც კი გამართულა საღამო და ვაჟა დასწრებია, ეს საღამო გადაქცეულა ვაჟას პატივსაცემ ოვაციად.

მახსოვს აკაკის იუბილეს ვუმართავდით.

მთელი საქართველო ფეხზე დადგა აკაკის პატივსაცემად. მე და რამდენიმეს გვეგონა, რომ ვაჟა ამ იუბილეზე არ ჩამოვიდოდა, რადგან აკაკიმ ვაჟას

წინაშე აწყენინა. მაგრამ უცბად მილოცვების დროს სცენაზე გადმოერთო ვაჟა და საზეიმო ხმით დასკუქა. შეინძრა მთელი დარბაზი. წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ყვავილები. მეგონა, თითქოს დარბაზი ინგრეოდა. ხოლო როდესაც გაისმა:

„—ნეტავი ბევრი გაზარდოს  
შენისთანები დედამა...“

ან და

„—სამშობლოს სამსახურისთვის  
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!“

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წამოვიდა. ვაჟა მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს. ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდათ... ვაჟას კერძო პიროვნებანიც დიდს პატივს სცემდნენ.

როდესაც კი გაიგებდნენ, რომ ვაჟა თბილისში იმყოფებოდა, შეცილებდა ჰქონდათ დაპატიყებაში და დიდი ზეიმის გადახდაში ვაჟას პატივსაცემად.

ასეთი სუფრები უქველად ლიტერატურულ სუფრად გადაიქცეოდა ხოლმე. იყო ლექსების და ექსპრომტების შეჯიბრება.

ერთხელ მიხ. აბაშიძესთან ვიყავით; დიდი სუფრა ჰქონდა; თითქმის ყველანი მოიპატიეა, ვისაც კი იმ დროს თბილისში რაიმე სახელი ჰქონდა.

შეიქნა ლექსების თქმა. სოსო ივანიძემ (მსახიობი იყო) ვაჟა ლექსის წერაში გამოიწვია და თემაც თვითონ დასახა, მასპინძლის ოჯახის წევრი ახალგაზრდა ქალიშვილი ლიზიკო.

ვაჟა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, გამოწვევა კი მიიღო, მაგრამ იმ დღეს ექსპრომტის წერას საათზე მეტი მოუწინა; ისიც მხოლოდ დასწერა ორი ტაეტი. ხოლო ივანიძემ გაკიმა უშველებელი სიგარძის ლექსი და იმის კითხვით არა თუ ვაჟას, თვით მასპინძელსაც მოაწყინა თავი.

იყო დიდი ოხუნჯობა, ივანიძე თავს იწუგებდა:

— ოდესმე იტყვიან, რომ ვაჟას ლექსების წერაში ივანიძე გაეჯიბრა და აჯობა კიდევალს ვაჟას ექსპრომტი დავსტამბე ვაზეთ „საქართველოში“.

\*\*\*

რამდენადაც ვაჟას ფართო მასა პატივს სცემდა და მისდამი აღფრთოვანებას იჩენდა, იმდენად „ჩვენი ქვეყნის მესვეურებს და მოამბეებს“ გულცივი განწყობილება ჰქონდათ მისდამი.

ვიცოდით, რომ ვაჟა ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, ნახევარზე თითქმის მშვიერი იყო, მაგრამ მისთვის დახმარების მიზნით ხელი არ გაუწვდია, არც რომელიმე რედაქციას, არც წერა-კითხვის საზოგადოებას, არც ქართულ ბანკს, რომელიც აუარებელ ფულს ჰხარჯავდა სხვა საქმეებში.

შურით იყო, ინდიფერენტობით თუ სხვა რამ მიზეზით, საკითხიც კი არ წამოუყენებიათ, რომ ვაჟა რამდენსამე ათეულ წელიწადს მწერლობდა და ღირსი იყო მისთვის იუბილე გადაეხადათ.

1915 წელს ვაჟა თბილისში ავადმყოფი ჩამოვიდა. მე და ჩემმა ახალგაზრდა ამხანაგებმა კატეგორიულად დავაყენეთ საკითხი, რათა მისთვის გადაგვეხადა იუბილე; როგორც იყო, დიდის ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ, გაღას-

წყდა კიდეც იუბილეს საკითხი. ამის გამო მე კარიკატურა დაგხატე გაზეთ „საქართველოში“, სადაც გამობატული იყო უზარმაზარი ვაჟა-ფშაველა. ჩვენი მესვეურნი ფეხის კოჭებამდე ძლივს სწვდებიან და ასეთი ბუმბერაზის ქვეშ იყო წარწერა: „შემნიშნეს!“

\*\*

ეს იუბილე უკანასკნელი ზეიმი იყო:

ამის შემდეგ ვაქას ავადმყოფობამ (ამბობენ გრიპმა) თანდათან კლანჭები ჩასჭიდა. არც თვითონ გვიმელანებდა, არც ჩვენ მივაქციეთ ყურადღება, მის ჯანმრთელობის დაავადებას.

ბოლოს როდესაც ძალიან შეწუხდა, დიდი მოწყალება მოიღეს ამა ქვეყნის „მამებმა“ და სამადლოდ მოათავსეს წითელი ჯვრის საავადმყოფოში, რომელიც იმყოფებოდა დღევანდელ უნივერსიტეტის სულ მაღლა სართულში.

იქ, სხვა დაჭრილ ჯარისკაცებთან ერთად, ერთს ოთახში, რომლის ფანჯრებიც აღმოსავლეთს უცქერის, სიცხე-პაპანაქებაში ებრძოდა ავადმყოფობას. აქ ვინახულვბდი ხოლმე ვაქას და საყვედურით მომმართავდა.

— რად მკლავთ? რატომ არ წამიყვანთ ჩარგალში? გეფიცებით, თქვენ რომ მე იქ წამიყვანდით, სადაც ჩემი დეკა და ღვიანი მთებია, იქაურს წყალს შეგსვამდე, იქაურს ჰაერს ვისუნთქავდე ჯერ კიდეც იმდენად არ დავაბუნებულვარ, ვიცი მოვრჩები, წამიყვანთ მთაში!

ჩვენ ეს სურვილი ვაქას ვერ შევუსრულეთ, ექიმები ჯიუტობდნენ: არ შეიძლება მისი ადგილიდან დაძვრაო. ასეთი კატეგორიული განცხადება ჩემს ენერჯიასაც ჰკვეცავდა!

ერთხელ ავადმყოფ ვაქასთან მე და შიო მღვიმელი მივედი. შიოს სახამთრო ეყიდნა თვით ვაქას დავალებით. გასინჯა გემოდ და სთქვა, მწარეაო და პირი აღარ დაუქარებია.

ძალიან ესიამოვნა ჩვენი მისვლა. ლოგინზე ჩამოჯდა, ხან ადგომაც დააპირა, მაგრამ ჩვენ ამის ნებას არ ვაძლევდით.

ამ დღეს გამოვემშვიდობე და დაეპირდი კვლავ მალე განახავ და მხატვარსაც მოგიყვან, რომ გადაგხატოს და როცა მორჩები, მაშინ სურათი შენ თავს შეადარე-მეთქი.

ვაქას რატომღაც სურათების გადაღება არ უყვარდა. მე კი ვატყობდი რომ ვაჟა უკანასკნელ დღეში იყო.

მხატვრის მოყვანა იმით გავამართლე, რომ შემდეგ თავის სახისთვის შეედარებინა ეხლანდელი გამზდარი სახე. შევატყობინე მხატვარს, ვ. სიღამონ-ერისთავს. მხატვარი უკვე დილიდანვე მისულიყო და ვაქას მძიმე-მძიმედ ჰხატავდა; მეც მიველ. ამ დღეს ვაჟა თითქოს მხიარულ გუნებაზე დამხვდა.

მისი მომგლეღი იყო მოწყალების და კობიაშვილი;

ვაჟა ამ ქალისადმი დიდს მადლობას აცხადებდა, ხოლო ექიმებს აგინებდა, „ჩარგალში წასვლის ნებას არ მაძლევენო!.. მე და ვაჟა ვლაპარაკობდით, მხატვარმა გაათავა სურათი და წამოვიდა.“

— ჯაან ვეფხო! რომ არ დაგავიწყდი!

— შენ მტერსაც არ დაავიწყდები, არა თუ მოყვარეს!

— მე ერთი მტერი მყავს... ხომ იცი, ჩემო შანშე, (ხშირად სახელის მაგერი შანშეს მესძახდა) ხომ იცი ვინ არის ჩემი მტერი. არ იცი? იცი!

სთქვა და კვლავ წამოდგომა დააპირა. მე ხელი ვტაცე და საწოლშივე დავტოვე. როდესაც ხელი წავავლე, ვიგრძენ, რომ სიცხე ჰქონდა.

— საქართველოს მტერი—ჩემი მტერია!

სთქვა ვაჟამ და შუბლი შეიკრა.

— ყორნებს ჩაუგდიათ ჩემი დაქრილი არწივი...

ლაპარაკობდა ვაჟა ნაწყვეტ-ნაწყვეტად... მე გამახვილებული ვუსმენდი-მისი წინადადება ხან ერთს სურათს წარმომიდგენდა, ხან მეორეს.

პაუზებს შორის ალბათ ვაჟა იგონებდა, რომ ყველაფერი სთქვა და კვლავ სხვა ამბავზე გადადიოდა. მოვიგონა ჯარის კაცის წერილი დედასთან და უცბად წამოიძახა: „ღაირღვა ფრონტი! ხიშტებით მეფის სასახლეს იღებენ, მეფე კი გაიქცა“... იმ დროს არავითარი ფრონტი არ იყო დარღვეული.

მე ვაჟას შევაწყვეტინე. მივიხედ-მოვიხედე. ასეთს ლაპარაკს თვით ავად-მყოფსაც არ აპატიებდნენ. მაგრამ ვაჟა თითქოს ჯიბრზე ისეთს ამბებს იგონებდა, რაც სხვა დროს ჩემთან არ უთქვამს და არც გახსენებია.

„მაშ ფრონტი რომ ირღვევა, ხიშტებით გვეძახიან... წუხელ კიდევ მივიღე ერთი წერილი ჯარისკაციდან... დედას კი არა, მე მწერდა: ფრონტი ირღვევა!“


ვაჟა დადუმდა, თითქოს გამოერკვა და შემომხედა. შემატყო რალაც შიშის და განცვიფრება.

— ვაჟო! მე ბურანში ვიყავ! სიზმარს თუ ვიამბობდი! არაფერია!

სიტყვა მე ბანზე გადავუგდე, ლაპარაკი სულ სხვა საგანზე ჩამოვაგდე, ვაგამხნევე და შემდეგ გამოვემშვიდობე.

რამდენსამე დღეს აღარ მინახავს. ერთს დღეს დილით ხმა გავარდა, ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალაო, მთელ საქართველოს ვაცნობეთ დეპეშებით, თურმე უკანასკნელ წუთში ფანჯრებს და კედლებს ეხლებოდა. გარედ გაქცევას ლამობდა. ლოგინიდან დგებოდა და ოთახის კუთხეში წვებოდა.

მაშინდელმა „მესვეურებმა“, მიუხედავად ჩემი და ჩემი მეგობრების დაბეჯითებით თხოვნისა, ღირსად არ სცნეს ვაჟა მთაწმინდაზე დაეკრძალათ.



ვაჟა-ფშაველა  
(ნახატი ნატურიდან მოსე თოიძის)

## ვაჟა-ფშაველას ხალხურ პოეზიაში

### ვაჟას სიკვდილი

გაიგეს ვაჟას სიკვდილი,  
მთებმა დახუტეს თვალები,  
მიინძრ-მოინძრენ საფლავში,  
გმირ მამა-პაპათ ძვალები.  
ფერად-ფერადმა ყვავილმა,  
ტანზედ ჩაიცვეს შავები.  
ცა მოიღრუბლა, ატირდა,  
ცრემლით აევსო თვალები,  
ვერხემა შეწყვიტა შრიალი,  
დადუმდა განამწარები.  
და გაებუტა ნიაესა,  
მუდამ მის შენაყვარები,  
ვეფხვმა იკბინა თათზედა,  
გულზედ დაისო ბრქუალები,  
დაიჭრა ხელმეორედა,  
ვინ არის შემაბრალები?!  
ბერი აკენესდა წიფელი,  
ამოზუზუნდენ ქარები,  
შველი ახავლდა ხევშია,  
ჩაშავდა მწვანე ქალები.  
ჯიხვი კლდის წვერზე გადმოდგა,  
ყური დაუგლო ნიაესა,  
იქნებ არ მოაქვს სწორადა  
მწარე ამბავი ტიალსა.  
ფრინველთ მოსხიპეს ჭიკჭიკი,  
დადუმდა მინდორ, მთა-ველი,  
რადგან მოვიდა ამბავი,  
მოკვდაო ვაჟა-ფშაველი.<sup>1</sup>

ჩასწერა მირზა გელოვანმა

<sup>1</sup> ეს ლექსი, როგორც გადმომცეს, ნათქვამი უნდა იყოს ხალხურ მოღვესე გიორგი მგელთაშვილის (ყრუ გიორგი) მიერ. მღერის რამდენიმე მოღვესე და ყველა ერთნაირად. ისე რომ ვარიანტები ვერ ვიპოვე.

მირზა გელოვანი



## ბანკისელი მოღვაწე

ფრუშკას<sup>1</sup>

ტყუილად მოჰკვებ, ფრუშკაო!  
 იხრინწიანებ ხმასაო,  
 იჩემებ მელექსეობას,  
 ლამაზი სიტყვის თქმასაო.  
 მოელი დიაცთ ქებასა,  
 სახელის გავარდნასაო,  
 მოღექსე ისეთი უნდა,  
 ვაჟა რო ჰყავდა ფშავსაო,  
 ჩარგალში სიტყვას იტყოდა —  
 ქალაქს აწვდენდის ხმასაო.  
 ვაჟას მნახველნი ფშაველნი,  
 აღარ ვინდომებთ სხვასაო.  
 მოდი დანაშაუმი, ფრუშკაო,  
 მოდი, ნუ იგდებ თავსაო.

## დაკარგვან რაზიკაშვილი

## ვაჟა-ფშაველას სიკვდილის გამო

მთამა სთქვა: გლოვნა გულისა  
 ერთობ შეიკარით პირიო,  
 აღარ მოველით გაზაფხულს,  
 ახლა გვეწვია ჭირიო!  
 აღარ გვიყოის გულ-მკერდი,  
 ბუნება გამოცვლილიო,  
 აღარა ლახავს ჩვენს კალთებს,  
 მგოსანი — ჩვენი გმირიო.  
 აღარ ვაივლის ვაჟაი,  
 ცხენ-აბჯრით შამოსილიო,  
 ლამაზთა შვილთა დანოცას;  
 ვგლოვობთ დედა და შვილიო!

<sup>1</sup> ფრუშკა არტნელი მჭედელია.

შენი შენა: ფრუშკას ლექსები ფრიად გავრცელებულია ფშავში. ერთხელ დაეკვება:

„არა მაქვს საწერ-კალამი,  
 არ ვალღევიწებ მაჯასო,  
 მაგრამ რით დაუფარდები  
 რაზიკაშვილსა ვაჟასო.“

ერთ უცნობ პანკისელ მოღვაწეს, ეს ლექსი კვების პასუხად გამოუგზავნია ფრუშკასთვის, მაგრამ იგი ფრუშკამდე არ მისულა და გზაშივე გავრცელებულა.

ბურდულ პავლესაგან ჩაიწერე. მირზა გელოვანი

### ლუკა ზრიზ. რაზიკაშვილი

#### ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას

მომწონხარ, მთაო მაღალო,  
 სასოვეთ თავო კლდიანო,  
 თავის კალთებით მორთულო,  
 სიტურფით ლამაზიანო.  
 შემკულო ყვავილებითა,  
 ათასად ფერადიანო,  
 დაღლილის დასასვენებლად  
 ციენი წყარონი დიანო.  
 იმისთვის გაძლევე სალამსა,  
 მინდა რომ გავეხმიანო!  
 იმ დროს ვინატრებ, რომ თქვენს თავს  
 არწიენი ბუდობდიანო  
 მარად გვახსოვხარ, მგოსანო  
 ვაჟაო სახელიანო!

### 3. ბატარაშვილი

#### ვაჟა ფშაველას სიკვდილზე

დიდება ერსა შენს მშობელს,  
 მაღალო ფშავის მგოსანო!  
 საფუძველად გრძნობა იხმარე,  
 მით ჰყავ ბრწყინვალე ნიშნები.  
 დახეთქე ნერგი კეთილი,  
 შაამკე ჩენი მიწები.  
 დაამსუბუქე წყალ-ღვარი,  
 გაუწყე მკვიდრი ხიდები,  
 ეხლა ადვილად გადიან  
 ჩენი მიწა-წყლის ბიჭები!  
 თუ კი მოგემხრნეს მხცოვანად  
 იგივე სამშობლოს გვრიტები!  
 დაირგე მათი ვარამი  
 გულს ჰყარე ტანჯვის სიპები!  
 გაჰკვერე აზრი ქვეყნისა  
 შიგ ჩასწყე მარგალიტები.  
 მოსთქვაძლი ჭირსა და ლხინსა  
 დატრემლე—ჩემო კალამო!  
 მიგიძღვნის ფშავის სახელი  
 ქართველებისა სალამო!  
 მით ვაადვიძე არაგვი—  
 შე—ფშავის-ხევის მაღამო!

შენი ხმა წანაპირობდეს,  
 საქართველოსა მცველობდე!  
 წინ მიგიძლოდეს დიდება,  
 მისი ბედისად მსჯელობდე.  
 მოსთქვამდე ფშავის ტანჯვასა  
 ლუხუმისათვის ჰხელობდე!  
 გიყვარდეს სურვილისებრა,  
 შენი ძმა ბერი ლუხუმი,  
 ჩამოლალული ომშია,  
 იმის სამშობლო თუთხუმი.  
 სახიერებლით ამ საგანს,  
 საკოცნად მიველირები,  
 რომ არ დაცვილდა უბრალოდ  
 მათი ლამაზი პირები.  
 ჩამოთვლილ-მოხსენებული  
 ი წინანდელი ქირები.  
 დაჩაგრულ წმინდა ადგილი  
 მტრისაგან ანატირები!  
 ნალიდებ-ნახსენებები  
 შენი უკვდავნი გმირები!  
 ვინემ ქართველი იქნება,  
 მათ ედგმისთ წმინდა ნათელი,  
 დაუნთე ერსა ძეგლათა,  
 გაუქრობელი სანთელი,  
 სადც ხსენდებიან ისინი,  
 იქ ბრწყინავს შენი სახელი!  
 ირჩივე მძიმე ცხოვრება  
 და ჩამოჰყარე ცრემლები.  
 მით ააყვავე სიმღერით,  
 ქართლ-ფშავის ხევის ველები.  
 დაგიშვინებენ სიცოცხლეს,  
 ყოფნას არაგვის ველები,  
 ხუ თუ აღარ გვყავს, მეგოსანო,  
 ვატები სანატრელები?  
 უჭირს სახელი ქართველისა,  
 უჭირს ჩვენს გოგოჭურებსა,  
 სუ იმას ჰფიქრობ როგორმე:  
 „ვუშველო დაჩაგრულებსა“!  
 ხელ-ფეხთ გაუხსნა ექვანნი  
 ფშავეთში დაშაულებსა.  
 გულზე მოვფხანო წყალულები,  
 არ ვისგან დაფარულენსა.  
 გამარჯვება დამხნეობა  
 მაუღის ცაბარუებსა!

შალვა მიგრიაული

ვაჟა ფშაველა <sup>1</sup>

წუხანდელ ნაქეიფარი  
 ვაჟა გამხდარა ავადა;  
 გაჯავრებული მთის ლომი  
 ნახშირით არაყს სდალაგდა!  
 შამაჰბევოდენ მგლის ლეკვნი: <sup>2</sup>  
 „როდისა გნახავთ სალდა“?  
 უაღერსებდა შალვაი <sup>3</sup>  
 ძმობილ მოგარჩენს თავადა!

ვაჟა ფშაველას მეორე ქორწილზე

ქორწილობს რაზიკაშვილი მეორ-მესამე დღე არი,  
 გადასაველელი მთები აქვს, აონ-მაონი ტყიანი.  
 ვაჟა-ფშაველას უხმობენ, ვაჟკაცი არის სვიანი.  
 ქალ მოუტაცავე ხორხითა, თვალ წარბა შავა თმიანი.  
 არვის დაუთმობ ქალასა, ხმალი არტყავის ფხიანი.

სოფ. არზილოს (შირაქი) მოსახლის  
 ალექსანდრე ბეჭაურის გადმოცემული

<sup>1</sup> შირაქში ყოფნის დროს ვაჟა ფშაველად გამხდარიყო და ამანდ შალვა მიგრიაულს ეთქვა მისთვის ეს ლექსი. პოეტის წვილის ვახტანგ რაზიკაშვილის სიტყვით ეს ლექსი თვითონ ვაჟას უთქვამს და არა მიგრიაულს. რედ.

<sup>2</sup> ვითომ მწყვესებო

<sup>3</sup> შალვა მიგრიაული.

მ ა ს ა ლ ე ბ ი  
იაკობ გოგებაშვილის  
ბიოგრაფიისათვის

## იაკობ გოგებაშვილი

(მოგონება)

იაკობ გოგებაშვილი იყო შუა ქართლელი, სოფელ ვარიანიდან. ვარიანი მდებარეობს ქალ. გორიდან, ჩრდილოეთ-დასავლეთით, ათი ვერსის დაშორებით.

იმ დროს, როცა მე პატარა ვიყავი ვარიანი ციებ-ცხელებიან სოფლად ითვლებოდა. სხვათა შორის მეც მაციებდა და დედაჩემი, რომ ველარაფერს გახდა და მოიღალა და მეც მომღალა სოფლის სხვადასხვა რჩევა-დარიგებით და წამლების მიღებით, ვილაცის რჩევით ერთ მშვენიერ დღეს, დილით, როდესაც ვაციების დრო მოვიდა ამწია დედაჩემმა უტბადა და ჩვენი კარმიდამოს წინ ჩამომდინარე რუში მისროლა ტანისამოსიანად. ერთი ორჯერ გამასრიალ-გამომასრიალა მდინარეში, ამომილო საჩქაროდვე, გამომიცივალა საცელები და ჩამაწვინა ლოვინში...

სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი ეს გამიხდა მიზეზად, რომ ციებამ თავი დამანება.—ალბად უცაბედი შიშისაგან, როგორც სოფლის ქალები იტყოდნენ ხოლმე.

ვარიანს სამხრეთით ახლდა დიდი ქაობი, რომელსაც „ჩალიანი“-ს ეძახდნენ. ამ ქაობიანში მუდამ ზაფხულობით ჩალასა გლეჯდნენ ქილობების საქსოვად და იპერდნენ წურბელებს მოსაკიდებლად.

ალბად ეს იყო თავი და თავი მიზეზი, რომ იაკობ გოგებაშვილმა, რაც თავი შეისწავლა და ცხოვრებაში გამოვიდა თავის სოფელ ვარიანს, სადაც მან სიყმაწვილე ვაატარა, ახლოს აღარ გაჰკარებია.

როცა ძმების და ნათესაეების ნახვა მოუწოდებოდა თბილისიდან გორში აღიოდა ერთი დღე-ღამით და იქ დაბარებული ნახულობდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ვარიანში მუდამ, თითქმის განუწყვეტლივ, ქარი ქროდა, მაინც შმორის სუნი ტრიალებდა ჩამყაყბული „ჩალიანი“-ს წყალობით.

ვარიანი იმ დროს ერთთავად ვალიანიც იყო. წურბელა ჩარჩ-ვაჭრების ბუნავად იყო ეს სოფელი გადაქცეული და სძვრებოდა ხალხს ტყავი იმ უდიერ პევაზუნებისაგან. ამას ხელს უწყობდა გორის და ცხინვალის სიახლოვე. გორიდან სომხები აღიოდნენ, ცხინვალიდან კიდევ ბოლჩა აკიდებული ურიები ჩამოდოდნენ.

ვარიანი არც შეშის მხრივ იყო უზრუნველყოფილი. ფერიწვევის ტყე, საიდანაც ვარიანელები ეზიდებოდნენ შეშასა და ფიჩხს, ძალიან იყო დაშორებული სოფელს, ორი თუ სამი დღე-ღამე უნდებოდნენ ურმით მისვლა-მოსვლას.

უტყეობისა, დავალიანებისა და ერთთავად ქარიანობის გამო ხალხმა ვარიანს გამოუთქვა შემდეგი მოკლე და მარტივი ლექსი:

ვარიანი ვალიანი,  
 უტყუო და ქარიანი.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, რაც რუსეთიდან დაბრუნდა, გამუდმებით თბილისში ცხოვრობდა. მხოლოდ ზაფხულობით მიდიოდა საავგარაკოდ ან ბორჯომში, ან სურამში, უფრო კი ხშირად უკანასკნელ ავარაკში.

უყვარდა ბალი, მზიანი და მშრალი ალაგი. რაც ხანი გოგებაშვილს ვიცნობდი სულ მთა წმინდაში იდგა, ჯერ მამადავითის ბალის მახლობლად, თითქმის შეძენაც კი უნდოდა იმ ბინისა, რომელშიაც თავად იდგა და რალაცამ შეუშალა ხელი, შემდეგ იმის ჩამოდაღმა, ყიფიანის ქუჩაზე ყარაევის სახლში.

ერთხელ რალაც მიზეზის გამო გადავიდა ძირს, დაბლა, ალექსანდროვის ბალის მახლობლად, ერისთავის სახლში, მაგრამ ისევ მალე გადაბარგდა თავის ყოფილ ბინაზე ყარაევის სახლში და სიკვდილამდე აღარსად არ გადასულა ამ ბინიდან.

მართლაც და მშვენიერი, მზიანი ოთახები იყო, რომ იტყვიან ნამდვილი მზის გული იყო. ეჭირა ორი მოზრდილი ოთახი სამზარეულოთი და აიენით, მეორე სართულში.

ზაფხულში ერთთავად ღია ჰქონდა ოთახის ფანჯრები, რასაკვირველია თუ ქარი არ იდგა, რომ მტვერი არ შესულიყო ოთახებში.

ზამთარში ძალიან თბილად ინახავდა ოთახებს. მაშინაც უეჭველად აღებინებდა მოსამსახურის სარკმლებს პაერის გასაწმენდათ, როცა თავად გარედ გამოდიოდა, საქმეზე თუ სასეირნოდ.

12 საათზე ან პირველის ნახევარზე, დასაუზმების შემდეგ, უეჭველად გამოდიოდა გარედ და ბრუნდებოდა სახლში სრულ ოთხ საათზე.

ხშირად უყვარდა ალექსანდროვის ბალში გავლა-გამოვლა თუ ქარიანი დღე არ იყო. თუ ცუდი ამინდი იყო, იმ დღეს სულ არ გამოვიდოდა გარედ და თუ გჭედავდა, ძალიან ერიდებოდა ორპირ ქარიან ქუჩებს. პირზე შალ-ახვეული სისწრაფით გაირბენდა ხოლმე ამ ქუჩების მახლობლად.

ყოველ დღე დაიარებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მოადგებოდა თუ არა ხსენებულ საზოგადოების სამართველოს და წიგნის მალაზიას, მაშინვე დაიძახებდა, ან მოსამსახურის ან ჩემ სახელს და გვეტყოდა თუ ფანჯრები დაკეტილი არ არის, ახლავე დახურეთო. ფანჯრების დაგულვა და იაკობის უცბად შემოსვლა ერთი იყო. მშინშარა კურდღელივით უეცრად შემოხტებოდა და კარებს იმ წუთშივე მიხურავდა, რომ ნიავე არსაიდანა სცემოდა.

ძალიან ფრთხილი და მეტის მეტი თავის მომვლელი იყო იაკობ. გოგებაშვილი. ერთი ბეწო მიზეზი იყო საემარისი, რომ ექიპ ქიქოძესთან ეფრინა კაცი. ექიმის საერთოდ კაი დაჯილდოვება იცოდა იაკობმა. მისი განუშორებელი და განუყრელი ექიმი იყო ბ-ი ქიქოძე. ხანდახან ბორჯომსა და სუ<sup>ა</sup>ანშიაც კი დაბარებდა ხოლმე იაკობი ქიქოძეს ტელეგრამით.

მეტის მეტი გადაჭარბებული თავის მოვლა-გაფრთხილება იყო მიზეზი, რომ იაკობს მოუგონეს ჭორი, ანეგდოტი: იაკობი თურმე მტკვარში შედიოდა თავის დასალაჩობად. წყალში ფეხი რომ ჩადგა უეცრად გამოტრიალდა, გავცივდები და ფილტვების ანთება დამემარუებო!

იშვითად ნახავდით იაკობს თვით ზაფხულის სიცხე-პაპანაჭებაშიც კი უკალოშოს. პლედი ხომ განუშორებელი თანამგზავრი იყო მისი მხრებისა. ერთი ბეწო ნიავი თუ საიდანმე წამოუბერავდა მაშინვე ცხვირ-პირს მოიფუთინდა.

განსაზღვრული ჭონდა იაკობს ყოველი დრო: ადგომის, დაწოლის, სადილის, საუზმის, ჩაის დალევის, მნახველთა მიღების, მუშაობის, გაზეთების გადათვალეერების და გარეთ გამოსვლა-გამოსეირნების. უბრალოდ და უდროოდ არავის მიიღებდა. ერთი სიტყვით ყოველი დრო განაწილებული და განიხრული ჰქონდა.

ცხოვრობდა სულ მარტოკა, არც არავისთან დარჩებოდა ღამე, არც თვითონ დანიარჩუნებდა ვისმე. მუდამ მოსამსახურის ანაბარა იყო. მოსამსახურის აყვანაშიც დიდ სიფრთხილე-სიუხიზლეს იჩენდა. სანამ კარგად, ძირფესვიანად არ გამოჰკითხავდა ვინაობას და არ დააროხვინებდა ყველაფერს, მანამდე თვალსა და გულს არ გაუსწორებდა.

ცოლი არას დროს არა ჰყოლია. ცოლის შერთვის უარისმყოფელი არას დროს არც ყოფილა და არც იყო, მაგრამ, რაკი ერთხელ დაუზიანდა ფილტვები, სტუდენტობის დროს და დიდხანს მოუნდა მათ გამოსაღება-გამომთელეზას და რაკი ხანმაც გაიარა, აღარ მოეკიდა ცოლ-შვილიანობას. სულ მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ავადმყოფმა კაცმა, ავადმყოფები აღარ უნდა მოამრავლოს. ამისი საშინელი და უსასტიკესი წინააღმდეგი იყო. ჯანსაღი კაცისათვის კი დიდი დანაშაულობაა ცოლის შეურთველობაო. მაშ როგორ უნდა მომრავლდეს ხალხიო, მით უმეტეს ჩვენისთანა მცირე-რიცხოვანი ერიო.

ერთმა ქართველმა ახალგაზრდა მოღვაწემ მოინდომა ქართველივე მოღვაწე ქალის ცოლად შერთვა და რჩევისათვის მიმართა იაკობ გოგებაშვილს. ცოტა არ იყოს იმასაც ფილტვები სუსტი ჰქონდა.

იაკობმა უთხრა: არა ვარ საერთოდ ცოლის შერთვის წინააღმდეგი. მეც მიხნდოდა ვყოფილიყავი ცოლ-შვილით ბედნიერი კაციო, მაგრამ რომ დაუფიქრდი, თუ რა დიდ მოვალეობას გვიდებდი ხელს და როგორ დიდ ბოროტმოქმედებას ჩავიდენდი კაცობრიობის წინაშე, ჩემი ცოლის შერთვით, უკან დავიხიეო. ის არ იყო საკმარისი, რომ მე ავადმყოფი, ფილტვებ-შემინებულ ადამიანი ვიყავი, რომ მე კიდევ სხვა ავადმყოფი ხალხი გამეჩინა ქვეყნისათვისო! ეს ხომ დიდი დანაშაული იქნებოდაო, არა ჩემო კარგო, დაიცადე ერთი შვიდი-რვა, უკეთესი იქნება ათი წელიწადიც, დრო გაქვს კიდევ და როდესაც დაატყო, რომ ფილტვები გამოგიმთელდა და აღარავითარი ზადი აღარა გაქვს, მხოლოდ მაშინ გაბედე ცოლის შერთვაო. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენთვის ხომ ცუდი იქნება, ქალსა, და თუ შეიღობიც გაგიჩნდა სამუდამოდ დაღუპავო. ნურავის ცოდვაში ნუ ჩადგები და შენს თავსაც ადრე და მალე ნუ მოუღებ ბოლოსაო დეე სხვებმა, ჯანსაღმა ქართველებმა შეითონ ცოლებიო და მოგვიმრავლონ ჯანსაღი ხალხი, ჩვენ კი შორიდან უყუროთ მათ ბედნიერებასაო.



იაკობი მუდამ მომხრე იყო შერეული სისხლის, სხვადასხვა მოდემის ჯიშის სისხლის შენაკადებისა. ჩენი თავად-აზნაურობა და საზოგადოდ ესეთი ხალხი, იმან დააჩივავა, დაახურდა და დაასწულა, რომ სულ ერთი-ერთმანეთის ქალებს ირთავდნენ და ირთავნო. ერთი და იმავე მოდემის, ჯიშის სისხლი დგას მათში, გადახალისება არა ხდება და ესაა მიზეზი, რომ გადაშენების, გადაგვარების გზაზე დგანანო. თავად-აზნაურმა გლეხის ქალი უნდა შეერთოს, გლეხმა კიდევ მათი ქალებიო და ამით სულ მთლად განახლდება მათი სისხლი და მომავალი თაობაც ჯანსაღი იქნებაო.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხის სისხლის შერევა აუცილებლად, უქველად, საჭიროაო. იმერი ამერს და ამერი იმერს უნდა დაუნათესავდესო, და მაშინ ნახავთ რა დიდებულად გამოკეთდება, ამ ორი მოდემის ჩამომავლობაო.

იაკობი არც ღვინის წინააღმდეგი იყო. მაგარი სასმელები თავის დღეში არ დაუღვია. უყვარდა საშინელი ზომიერება. მთელ თავის სიცოცხლეში, იშვიათად ასულა ნახევარ ბოთლზე ზევით. მხოლოდ ერთხელ მოუხდა თავის-დაუნებურად, შეუმჩნევლად დათრობა.

ალ. ფრონელს (საშა ყიფშიძე) ისტუმრებდნენ ჯავახეთის ახალციხეში შუამავლად, როგორც კარგ მოღვაწესა და ისტორიულ მონოგრაფიების ცოცხლად მწერალს, ქართველმა ინტელიგენციამ გაუმართა გამოსათხოვარი სადილი, გიორგი სხირტლადის საზაფხულო ბაღში. სხვათა შორის, იმ დღეს იაკობის ბედზე, მშვენიერი და წყნარი ამინდი იყო. იაკობიც დაესწრო ზემოხსენებულ ნადიმს. არ ვიცი მაისის, რომელი რიცხვი იყო. მთელი სუფრა სულ ვარდ-ყვავილებით იყო მორთული. თითო კაცის წინ, თითო მალაყელიანი ბროლის ვაზა იდგა, სამფეროვანი ვარდებით.

ნადიმი ნელნელა გაჩაღდა, შევიდა ხალხში სიმხიარულე, ზედ მოჰყვადროის შესაფერი სიტყვები და სიტყვებს კიდევ სიმღერა.

იყო ხობტა-შესხმა, რჩეულთა დაფასება და შიგადაშიგ საზოგადო საქმეებზედაც ლაპარაკი.

ღვინომ თავისი გაიტანა. ახალგაზრდობა მეტ ნაწილად გადავიდა სიმღერების მხარეზე. ხანში შესულები და უფრო დარბაისელი მოღვაწეები, საზოგადო საქმეებზე—ლაპარაკში გართულები, ნელნელა ღვინოსაც შეექცეოდნენ და ხანდახან სიმღერებსაც მოუბრუნდებოდნენ მოსასმენად. ზოგიერთი თავის დაუნებურად, თითქმის შეუმჩნევლად ისე მოგპარა ღვინომ, რომ ვერაფერი გაიგო. სხვათა შორის იაკობსაც, კაცს მეტად ფრთხილსა და ზომიერს, დემართა ასეთი საქმე.

მაშინ მთელი ქარვასლის, სათავადაზნაურო ტანკის და ბალის არე-მარე გაზის შუქით ნათდებოდა.

გაზის ამმუშავებელი მანქანები ბალის უკანა ნაწილში იყო მოთავსებული. ამ მაშინების გამგე და მმართველი იყო გერმანელი, ვინმე დუნანი.

ამ მეტის მეტმა მხიარულმა და ხალისიანმა ქართულმა სუფრამ, დააინტერესა, ეშხში მოიყვანა ეს კაცი და სუფრის გამამხიარულებელ თამადას გამოუგზავნა ბარათი, თუ შეიძლება, მეტ მიმიღეთ თქვენს სანადიმო სუფრაზეო.

ბარათის მომტანის პირით სთხოვეს მობრძანებულიყო. გვესტუმრა ღუნანი და მის მოსვლასთან ერთად შიგა და შიგ სუფრაზე გაჩნდა თავმოუხდელი შამპანიურით საცხე ბოთლები, და შამპანის დასასხმელად წვრილ ღეროიანი მალი-ლი ბროლის ქიქები.

შამპანიური ღუნანს გამოეგზავნა სხირტლადის ბუფეტთან.

საზოგადოებამ რომ გაიგო ეს ამბავი, მოითხოვა შამპანიურების უკან გაგზავნა და ფულის დაბრუნება ღუნანისათვის, მაგრამ ზოგიერთებმა უხერხულად ჩათვალეს და თავაზიანი საყვედურის თქმით მადლობა გადაუხადეს ღუნანს.

ასიკო ცაგარელი და ვასო აბაშიძე ერთად იხსდნენ; მეც მათთან ახლოს ვიჯექი.

შეზარხოშებულმა ვასომ მოავლო მათ წინ დადგმულ შამპანიურის ბოთლს ხელი და ისროლა ზურგთ უკან ბაღში: „მამის სული გაუშვიათ და პაპის სულს გამოსდგომიან“.

ღუნანი სუფრის თავში იყო მიწვეული და მან ეს გარემოება სრულებითაც ვერ გაიგო და კიდევაც რომ გაეგო ისე იყო ვასოსთან ლუდსა და ღვინოში შეზღლილი, რომ სრულებით არაფერს იტყოდა. მაგრამ ასიკომ ტუჩებზე ხელი მიათარა და უთხრა: შე გიგო, შენი ოხრობა აღარ უნდა მოიშალოო, ეგ ხომ სტუმრის შეურაცყოფა არისო!

დაასხეს ქიქებში შამპანიური, ლაპარაკი ჩამოვარდა ახალციხის ქართველობაზე და ა. ფრონელის მოღვაწეობის შესახებ. სიტყვის თქმის ნება მოითხოვა იაკობ გოგებაშვილმაც. წამოდგა ფეხზე შამპანიურით, რამდენიმე სიტყვის შემდეგ კიქა ისე მაგრა დადგა მაგიდაზე, რომ ღერო მოეფშვინტა. წაიქცა და შამპანიური დაიღვარა.

იაკობს შეუმჩნევლად მიუტოცეს მეორე კიქა, მაგრამ ამასაც ის დღე დაადგა რაც პირველს და იაკობმაც სუფრის უკან-უკან დაიწყო დაწევა თავის და უნებურად.

სიცილით და ხუმრობაში გატარებით გაუყარეთ მკლავში ხელი და ნელნელა შეუმჩნევლად ბალის უკანა კარებიდან ლაპარაკით გამოვიყვანეთ სასახლის ქუჩაზე. აქ დაუძახეთ ფაიტონს და მე და გრიგოლ ტატიშვილი, (მეტ სახელად „ფიგარო“, პირველი ქსილოგრაფი საქართველოში) მოუსხედით აქეთ-იქით და წაიყვანეთ სახლში.

ფაიტონში ჩაჯდომის უმალვე იაკობმა ამოიღო ჯიბიდან საფულე და ვიდრე არ მივედით სახლში, ჯიბეში აღარ ჩაუდგია, ალბად ერიდებოდა ჩვენ არ გადაგვეხადა ფაიტონის ფული.

შევიყვანეთ სახლში, გაეხადეთ ტანისამოსი, დავაწვინეთ და ვიდრე არ ჩაეძინა, არ მოვშორებვართ. შემდეგ კი მოსამსახურეს მივანდეთ მისი თვალყურის დევნება.

მეორე დღეს ათ საათზე რომ ავედით მე და ფიგარო სანახავად, სულ თავზე ცეცხლი დაგვაყარა:

— ჯერ იმ ოხერმა სხირტლადემ მომწამლა თავისი წითელი ღვინით და მერე კიდევ თქვენმა წინდაუხედავმა საქციელმაო. როგორ შეიძლებოდა, რომ წინდებმა მხდიდითო, რომ გამეღვიძა, თურმე ფეხიდან შემცივნიოდა, თავი მიბჭუ-

ოდა, მთელი სახლი ტრიალებდა და თვალებიდანაც ცუდად ვხედავდითო. ალბათ ეს გაციების ბრალიაო.

ფიგარომ უთხრა: (ის უფრო ხანში შესული კაცი იყო) ღვინის სმის შემდეგ, მეც მაგრე მომსვლია ხოლმეო.

იაკობს ეწყინა საშინლად, ყველაფერი სხირტლაძის ღვინოს და ჩვენ დავგაბრალა და მადლობის მაგივრად საყვედურით გამოგვისტუმრა.

იაკობი ვიდრე სააგარაკოდ წავიდოდა ერთთავად სხირტლაძის ბაღში სადილობდა ხოლმე. იმ დღის შემდეგ კი მას იქ ფეხი აღარ შეუდგამს და ძალიან ხშირად მოუყვებოდა ხოლმე ნაცნობებს, როგორ მოიწამლა სხირტლაძის ბაღში ა. ფრონელის გამოსათხოვარ სადილზე.

როდესაც დაეიწყებას მიეცა ეს ამბავი, და იაკობსაც ნელ-ნელა მოუბრუნდა გული, დაუბრუნდა ისევ სხირტლაძის ბაღს და იქსადილობას. იშვიათად-ღა გაიხსენებდა იმ ამბავს, იმ საყვედურებს, რითაც ის იყო უკმაყოფილო.

ერთ რამეს თუ იტყოდა იაკობი ძალიან ძნელად გადათქვამდა, ძალიან თავის ნათქვამი კაცი იყო.

იაკობი მეტის მეტად ცხარე კაციც იყო; ერთი ბეწო რამეზე გაბრაზდებოდა და როგორც ცეცხლი ისე აენთებოდა. თუ მისი წყენა უსაბუთოდ იყო გამოწვეული ვისგანმე, რაც უნდა საყვარელი კაცი ყოფილიყო ისე გამოთათხავდა და შეარცხენდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა: ჭორი და ტყუილები საშინლად ეჯაერებოდა. ახლდა დიდი გულკეთილობა.

აკაკი წერეთელი ძალიან უყვარდა და დიდ პატივსაცა სცემდა. აკაკის უთქმელად და უთხოვნელად ფულითაც ხშირად ეხმარებოდა. ეს მე ვიცოდი მხოლოდ და მუდამ იმას მეუბნებოდა გოგებაშვილი, რომ სხვისთვის არავისთვის მეთქვა. აკაკის რუსეთში ყოფნის დროსაც, სულ ჩემის ხელით და ფოსტის საშუალებით უგზავნიდა ფულს

მე და ილიკო აგლაძე ვასწორებდით გოგებაშვილის „დედაენისა“ და „ბუნების-კარის“ კორექტურას. იაკობი კორექტურის შესახებ მეტის მეტი ფრთხილი და მკაცრი კაცი იყო. ერთი კორექტურული შეცდომა არ უნდა ყოფილიყო მის სახელმძღვანელოებში დაშვებული. ვისაც არ უნდა ვაესწორებინა მის სახელმძღვანელოების კორექტურა, ვიდრე დაიბეჭდებოდა, უსათუოდ მესამე პირისათვის უნდა მიენდო მისი ხელახლად გადათვალეირება. თითო კორექტურულ შეცდომის პოვნაში მესამე პირს აძლევდა მანეთს. და სულ ბოლოს, უკანასკნელ კორექტურას მიანდობდა ხოლმე ვასილ ჩერქეზიშვილს, ქალაქის თავს. მას ამეგებისთვის თუმცა არ ეცალა და არც ფულის ინტერესი ჰქონდა, მაგრამ ხათრს ვერ უტეხავდა ხოლმე. ხან შაქრო ბილანიშვილს, ხან ახნაზაროეს და ხან კიდევ საშა ნიკიტინს მიანდობდა ხოლმე კორექტურას.

იმ წელიწადს, როდესაც მე და ილიკო აგლაძე ვასწორებდით ზემოხსენებულ სახელმძღვანელოების კორექტურას, რადგან ჩერქეზიშვილს დრო არა ჰქონდა, უკანასკნელი კორექტურის გადათვალეირება მიანდო შაქრო ბილანიშვილს და რადგან ერთი თუ ორი უბრალო კორექტურული შეცდომის მეტი ვერა ნახა რა, ვახარებულმა იაკობმა ორივე კორექტორი ბორჯომში დავგვატიეა, სადაც ის იმ წელს იყო სააგარაკოდ წასული. დავეიტოვა ხვედრი ხელფასის გარდა გზის ფულიც.

მთელი ზაფხული რომ მონდომოდა იაკობის სახელმძღვანელოებს ბეჭედა, სანამ წიგნების უკანასკნელ გარეკანსაც, ყდას არ დაბეჭედავდა თბილისიდან ფენს არ მოიცილიდა. ყოფილა მაგალითი, როდესაც მხოლოდ შემოდგომაზე წასულა სააგარაკოდ ერთი თვით.

ხანდახან მოხდებოდა ხოლმე ისე, რომ თუ სახელმძღვანელოებს რაიმე მიზეზით მოუხდებოდა დაგვიანებით ბეჭედა, ის მიდიოდა მაინც სააგარაკოდ. მაგრამ ყოველი ფორმის დაბეჭდვის დროს ის უწყველად ჩამოდიოდა თბილისში გადასახედად. თუ რაიმე მიზეზით ვერ ჩამოვიდოდა, ის მაშინვე ტელეგრამას მისცემდა, რომ ვადმოელოთ დაზვიდან დასაბეჭდად დაშაბეჭდული ფორმა მის ჩამოსვლამდე. თუ რაიმე ხარჯები იყო მოსალოდნელი მისი მიზეზით, ის ყველა ამებებს თავის თავზე კისრულობდა. ერთის სიტყვით არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა, ოღონდ წიგნი სუფთად და კარგად გამოსულიყო.

მართო სხვა კორექტორებს არ ენდობოდა, მიუხედავად, მართლაც კარგი ხნაინობისა, უეჭველად, თავადაც კითხულობდა თავის სახელმძღვანელოების კორექტურას.

იციოდა ხოლმე აგრეთვე დაჯილდოება მაშინისტიცა და ასოთამწყობისა, რომ უფრო მეტის ყურადღებით მოქცეოდნენ მის სახელმძღვანელოებს, არც ამკინძავეებს აკლებდა ყურადღებას და პატივისცემას.

აი ასეთი მოპყრობა, მოქცევა იყო მიზეზი, რომ იაკობის ქართული თურქული სახელმძღვანელოები თუ სხვა მისი წიგნები სულ მუდამ სუფთად და ლაზათიანად იბეჭდებოდნენ.

მე და ილიკო ავლაძე იაკობ გოგებაშვილთან მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში წავედით სალამოს ნავიანევი მატარებლით.

ხაშურში ბორჯომის მატარებელზე გადასაჯდომით საათ-ნახევარი თუ ცოტა ნაკლები დრო მოგვინდა. ჯერ ისევ სისხამი დილა იყო. იქ, სადგურის მოსამსახურე დიანოს ბასიშვილი შეგვხვდა, რომელმაც ოჯახში ხაჭაპურზე და არაყზე დაგვპატივა. მოვიდა მატარებლის გასვლის ვადა და ჩვენც ვაყვეით. მაინც ადრე შევედით ბორჯომში, ვიცოდით რომ იაკობს ადრე უყვარდა ადგომა. მაგრამ მაინც შევივიანეთ, გავიარეთ აქეთ-იქით, დავათვალიერეთ ბორჯომის ახლო-მახლო მიდამოები და ცხრა საათზე დაუკარით იაკობს თავი.

გავვიჯვარდა. ჩაიხე გელოდით და რად დავივიანეთო. კაი, რომ პირი ბორჯომის წყლით მაგრა გამოვირეცხეთ, თორემ ცეცხლს დაგვაყრიდა, რომ შეეტყო ჩვენი დასაუხმება და არაყის დაღევა.

ჩვენც მიუკბი-მოუკბივით და მიუსხედით მაგიდას. დაუწყეთ ყველსა და პურს ჭამა, ვიდრე ჩაის ხელახლად გააცხელებდნენ და ცოტა არ იყოს ჭამაში შეგვატყო სიზნატე, მეტადრე მე.

ჩაი რომ გიახელით, იაკობმა გვითხრა: ახლა წადით, გაიარ-გამოიარეთ, დაათვალიერეთ ბორჯომის არე-მარე, არ გამოვრჩეთ პარკი. ზოგან მწვანეზედაც ვაგორ-გამოგორდით, ნამგზავრები ხართ, მოგიხდებათო, და სამ საათზე სადილად აქ მოდიეთო, სეირნობის შემდეგ სადილი გემრიელად შეგერგებათო.

ჩვენი მართლა სულ მთლად დავიარეთ იქაურობა, ვნახეთ რაც კი რამ იყო სანახავი და სწორედ სამ საათზე მივედი იაკობთან სადილად.

— აბა თამარ, (კოწია თავართქილაძის ოჯახობა და იაკობ გოგებაშვილი ერთი კაციის ბინაზე იდგნენ) სტუმრები მოვიდნენ და თუ სადილი მზად არის გამოგვითანო.

ვაიწალა სუფრა, მოვიდა სანოვაგე, წვნიანი, ჩახობილი, ბადრიჯანი და ნახევარი ბოთლი წითელი ღვინო.

მე და ილიკოს არაფრად გვექაშნიკა ასე მცირე სასმელი და ერთმანეთს ჩუმად გადავხედეთ. ვიფიქრეთ კი, შეიძლება ჯერ ეს ნახევარი ბოთლი დაგვალეგინოს და მერე მთელი ბოთლი ვახსნასო, მაგრამ ჩვენი მოსაზრება ტყუილი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ იაკობს მთელი ზაფხულისთვის სამყოფი ღვინო, წითელი, კახეთიდან მიჰქონდა ხოლმე დაბეჭდილი ბოთლებით, მაინც არაფერი გამოვიდა.

ზემოდაცა მაქვს ნათქვამი, რომ იაკობი ღვინოს ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა და სხვასაც აფრთხილებდა, რომ ზედმეტი არ დაეღიათ.

კაცმა ასი წელიწადი უნდა იცოცხლოს თუ თავს კარგად მოუარაო. ამას გვიმტკიცებს რუსული სიტყვა „человек“, მაგრამ კაცმა თავის თავის ყადრი არ იცის. ლოთობა, პაპიროსის წევა და სხვადასხვა გვარი გარყვნილება, ადრე უსწრათებს მას სიცოცხლესაო.

ხმა მაღლა და ბეჯითად იტყოდა ხოლმე: მიუხედავად იმისა, რომ მე ავადმყოფი კაცი ვარ, მაინც უნდა დაუმტკიცო ჩვენი ხალხს ჩემი ერთი საუკუნის სიცოცხლის გაძლებითა, რომ კაცმა უქველად საუკუნე უნდა იცოცხლოს.

მართლაც ისე უფლიდა იაკობი თავის თავს, ისე უფარეზებდა, რომ მეტად ყოჩაღად და სულ მუდამ ცოცხლად გამოიყურებოდა. ისე მედგრად ექირა კალამი და ისე აწიქწიკებდა ასოებს, როგორც ოცდაათი წლის ახალგაზრდა.

იაკობი უქველად შეასრულებდა ქადილს, რომ მას ნაწლავებში კუ არ გასჩენოდა და არ მოელო ბოლო ამ იშვიათი კაცისათვის.

ისე ბრგედ და ისე მკვირცხლად დადიოდა ეს სამოცდათხუთმეტი წლის აღამიანი და ისე მკახედ და ისე გულმთელად ჩაახველებდა ხოლმე, რომ მას მოხუცებულობისა არაფერი ეტყობოდა.

რაც შეეხება ღვინის ღირსებას, თეთრ ღვინოს ის სრულებით არაფრად აგდებდა. მუდამ უზირატესობას აძლევდა წითელ ღვინოსა. თეთრი ღვინო მავნებელიაო, წითელი კი სამკურნალოა.

რომ ეტყოდნენ, იაკობ, ნუ ხარ ახირებული კაციო, ის სხვადასხვა ექიმების გამოკვლევას და დასკვნებს მოიყვანდა ხოლმე.

წითელი და თეთრი ღვინოს ღირსება-ნაკლულოვანების შესახებ ჰქონდა რამდენიმე წერილი პატარა გაზეთ თუ ჟურნალ „მეურნე“-ში, რომელიც გამოდიოდა იმ დროს ქუთაისში ილია ჭკონიას რედაქტორობით.

იაკობი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ ჩუმი ქველმოქმედი კაცი იყო. არ უყვარდა ვახშაურება და თავის გამოჩენა, როგორც უკვე ვთქვი, ისე უგზავნიდა ერთხანად რუსეთში მყოფ აკაკის თვეში ხუთ, ათ თუმანს, რომ ჩემს მეტმა კაცმა არ იცოდა. არც მე მეცოდინებოდა, რომ იაკობს ფოსტაში შესვლისა და იქ დგომისა არ ჰშინებოდა.

უქველად ეხმარებოდა ეგნატე ნინოშვილსაც, რადგან მის უმწეო მღვთმარობაზე და ავადმყოფობაზე ძალიან ფრთხილად ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს.

ეხმარებოდა აგრეთვე ძმისწულებს, დისწულებს, სკოლებს და ღარიბ მოწაფეებს ფულით თუ სასწავლო ნივთებით.

მთელი მზითვეითაც კი დაეხმარა ერთ-ერთ თავის დისწულს.

არც ერთი ბენეფისი არ ჩაივლიდა ჩვენი გამოჩენილი თუ საშუალო მსახიობებისა, რომ ყოველ წელიწადს მათთვის რამე საჩუქარი არ გაეგზავნა.

ყოველი ქართული წარმოდგენის ბილეთს აუცილებლად ყიდულობდა. წავიდოდა თუ არ წავიდოდა, ეს სულ ერთი იყო მისთვის, ბილეთს მაინც იძენდა. რაიმე საზოგადო საქმისათვის გასაღებ ფულს ის სულ მუდამ დაუზარებლად იხდიდა.

უბრალოდ და უმიზნოდ კი ფულის დახარჯვა არ უყვარდა.

ყოველ ახლად გამოსულ წიგნს ის უქველად იძენდა იმ მიზნით, რომ, ჯერ ერთი წაეკითხა და მერე გაეგო სასარგებლო იყო თუ მავნებელი საზოგადოებისათვის ესა თუ ის წიგნი. წიგნს მყიდველ-წამკითხველი უნდა ჰყავდესო, თორემ წიგნი უამისოდ საზოგადოებას ვერ გაეცნობაო.

ერთი წიგნი რამდენიმე პირმა არ უნდა წაიკითხოსო. ამითი ყოველ ახლად გამოსულ წიგნს მუშტარი ეკარგება და წიგნის გაყიდვა მეტად ბრკოლდებაო.

თუ არ საქველმოქმედოდ თავის ახლად გამოსულ წიგნს არავის უფეშქაშებდა. ჩემი წიგნი, რომ ყველა ჩემს ნაცნობ-მეგობრებს დაურვიგო სად წავაო, მაშ ვიღამ უნდა იყიდოსო.

მისი სახელმძღვანელოების ძველმა, დიდხინის გამომცემელმა ზაქარია გრიჭუროვმა, და შემდეგ, როცა გამომცემლობა გადმოვიდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხელში, სთხოვეს იაკობს „დედა-ენა“, „ბუნების კარი“-ს და „Русское слово“-ს გარე კანზე ყოფილიყო მისი სურათი დაბეჭდილი, მაგრამ არ დასთანხმდა არც ერთს, საჭიროდ არ სცნო და სანამ ცოცხალი იყო არავის თხოვნა არ შეასრულა.

ასევე მოიქცა მისი იუბილეს გამართვის შესახებაც. ჯერ ვინც უფრო ჩემზე ღირსია იმას გადაუხადეთ პატივისცემაო და მერე ვნახოთო. ამას ამბობდა ილია ჭავჭავაძის შესახებ. ილია ჭავჭავაძემ პირველსავე გაგონებაზე ხელები გაასაგესა და სრული უარი გამოაცხადა მისი იუბილეს გადახდაზე.

მაშინდელმა მწერალ-მოღვაწეებმა ბევრი სწერეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს შესახებ, მაგრამ ამაოდ.

სხვათა შორის სანოს (სტეპკო ჭრელაშვილი) ჰქონდა მოთავსებული გაზეთში ერთი თუ ორი ფელეტონი ზემოხსენებულ იუბილეს შესახებ, მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, ვერც სანომ და ვერც მთელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ დაიყბულებს ილია. სთქვა და გაათავა. იტყოდა და ზედ ისეთ ბეჭედს დაასვამდა, რომ მას ველარავინ წააშლევინებდა. თავის სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც: ქილიკობა ეჯავრებოდა.

როგორც მასწავლებელი, იაკობი დიდებული ყოფილა და ჰყვარებიათ კიდევ მოწაფეებს მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილებზე მკაცრად და სასტიკად იქცეოდა.

მისი ნამოწაფარი სამსონ ინასარიძე იტყოდა ხოლმე: გაკვეთილზე რომ შემოვიდოდა, კარებიდანვე გაშლიდა ხელებს და სახე გაბრწყინებული იქიდანვე დაიწყებდა გაკვეთილის ახსნა-განმარტებასაო. მეტად მკაფიო და ცოცხალი გადმოცემა იცოდა გაკვეთილებისაო. ძალიან უზადრუჟი უნდა ყოფილიყო მოწაფე, რომ მისი ახსნილი გაკვეთილი ვერ გაეგოო.

იაკობს ერთი ინტელიგენტი ქართველი ახალგაზრდა ქალი გაეცნო და სთხოვა, ნება მიეცა იაკობს, მასთან საღამოობით სიარულისა, როცა თავისუფალი დრო ექნებოდა, რომ მისი მეოხებით გარკვეულიყო სხვადასხვა საკითხებში.

იაკობმაც როცა ნახა, რომ ქალს მართლაც დიდი სურვილი და ცნობის მოყვარობა აქვს, დართო ნება.

იაკობის ტკბილმა საუბრებმა ისე გაიტაცა ეს ქალი, რომ მას გოგებაშედის სახლიდან წამოსვლა ავიწყდებოდა ხოლმე.

იაკობი მუდამ პირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდიშები არ იცოდა.

რამდენჯერმე, რომ შემოალამდა ქალს თერთმეტ-თორმეტ საათამდე, თუ პირველამდე და წასვლა ეზარებოდა ხოლმე. იაკობმა უთხრა: მე ცოლის შემართველი კაცი არა ვარ, ვერავის მოვალეობაში ვერ ჩაედგები და ვინც განახავს ჩემი სახლიდან ასე უდროოდ გასულს, რას იფიქრებსო. მოდი, ნურც შენ და ნურც მე ტყუილად სახელს ნუ გაეიტეხოო. რაც გადმოგეცი, რაზედაც გესაუბრე, ამაზე მეტს სხვას ვერაფერს გეტყვი და დღეიდან მშვიდობით ვიყენეთო!

იაკობი სულ მუდამ თავის ნათქვამი კაცი იყო, მას ადვილად ვერავინ გასტეხდა და ვერ დაიმორჩილებდა, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო.

ვერც ერთმა სახალხო განათლების დირექტორმა და ვერც თვით მთელი ოლქების მზრუნველმა იანოესკიმ იაკობს ვერაფერი დააკლეს.

ბევრი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ ხოლმე სკოლებში ქართული ენის სწავლების და სახელმძღვანელოების შესახებ.

რა წამს გაიგებდა, რომ ამა თუ იმ სკოლაში ქართული ენის გაკვეთილები შემცირდა, ან კანტი-კუნტად მიმდინარეობს მაშინვე ერთ აურ-ზაურს ასტეხდა ხოლმე გაზეთებში.

აქ, თბილისში, თუ ვერაფერს გახდებოდა რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებში აფრენდა ხოლმე მრავალნაირად დასაბუთებულ წერილებს და იქ აბეჭდვინებდა. ძალიან ხმალ-ამოღებულ კაცი იყო და არავის უშინდებოდა. ძალიან ხშირად უხდებოდა ქართული გაკვეთილების შესახებ კამათი ოლქის მზრუნველთან, თუ დირექტორთან და ხშირადაც იხრებოდა მისკენ სრული სიმართლე. ასიკო ცაგარელი ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყოდა: ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო, არავის გაახარებს თუ ჯიბრზე მიდვა საქმე.

იაკობმა ხანდახან ტყუილი გულის მოსვლაც იცოდა. როდესაც არ შეეძლო გარედ გამოსვლა უამინდობისა თუ ავადმყოფობის გამო, მისი სახელმძღვანელოების ყოველ თვიურად გადაკრებილი ხვედრი ფული სახლში მიმქონდა ხოლმე წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიიდან.

ერთხელ ოცი თუ ოცდაათი თუმანი ოქროს ფული მივიტანე ბინაზე, კარები მოსამსახურემ გამიღო და ისიც თან შემომყვა იაკობის საწოლ ოთახში.

მიხვდა რაშიაც იყო საქმე და ვიდრე მე ფულს ამოვიღებდი, მკითხა შესაჩერებლად: "შიო, რა არის თქვენსკენ ახალი ამბებიო. ახალი ამბები იმას ნიშნავდა, რომ ვინ საიდან, რომელ ქალაქიდან ან დაბიდან, რამდენი ცალი სახელმძღვანელო დედა-ენა, ბუნების კარი და ან რვეულები დაიბარა (მაშინ ქართული წერის რვეულებიც გოგებაშეიღისა იყო), „Русское слово“-ს პირველი და მეორე ნაწილი რამდენ რამდენი ცალი გაწერეს და სხვა.

რომ მოუყე ყველა სახელმძღვანელოების ამბებს, სად რამდენი წავიდა და სად უნდა გავგზავნო კიდევ და აი ჩავალ თუ არა მალაზიაში და რაც გაუმზადებელია ეხლავე უნდა გავამზადოთ, ამ თქმასთან ერთად ამოვიღე ოქროები და დაულაგე საწოლის წინ მდგარ პატარა მაგიდაზე და ვთხოვე ბარათის მოცემა.

ბარათის მოცემის მაგიერ გაცხარდა იაკობი და აყვირდა, კაცო, რად მინდოდა ეს ფული, რომ აქ მოგქონდა? ან შენ და ან მდივანმა არ იცოდით, რომ ამ ფულს სხვას ვიყავი შეპირებული, ამას გარდა ხომ იცით რომ დიტიატკოვსკის სხვაც ბევრი მმართვეს ქალაქისაო? წაიღე უკან ეხლავე და გადაეცით მასო.

ამ დროს ვილაცამ ჩამორეკა ზარს. ბიქს უთხრა: გახედე და ვინც უნდა იყოს მეორე ოთახში მოაძღვეინეო. ბიქი რომ ვაეიდა, ყსილად გაჯავრებული დამიტკბა და მითხრა: კაცო, განა არ იცი, რომ ოცდა ათი კი არა ათი თუმანისთვისაც ჰკლავენ კაცსაო. თავის ღღეში ვინც უნდა იყოს მასთან ფული არ უნდა მომცეო.

ოქროები ბალიშქვეშ შეაწყო და ბიქის გასავგონად ხმა მალა მითხრა: აბა, როგორც ვითხარი ისე მოიქეცი და დანარჩენი ფულიც პირდაპირ დიტიატკოვსკის წაუღეთ და ფულის მიღების ბარათიც ჩამოართვიეთ ხოლმეო.



ვანო ავალიანი

**იაკობ გოგებაშვილი**

იაკობ გოგებაშვილი არ იყო ჯანმრთელი, მისივე სიტყვით ქლეჩიანი იყო, მაგრამ შეხედულობით კი სალი და ქარმაგი! თუმცა შუა ქარისა ემინოდა და წიგნის მალაზიაში ისე არ შემოვიდოდა, თუ სადმე ფანჯარა ღია იყო. თითქმის ყოველ დღე მოდიოდა ზედ 12 საათზე, უყვარდა ბაასი და მსჯელობა.

ზოგჯერ იაკობის სახელმძღვანელოების კორექტურას მე ვასწორებდი. რომელიღაც სახელმძღვანელოში ნათქვამი აქვს, რომ ოფოფი ზაფხულობით „გუგუს“ იძახისო და გუგული „კუკუსო“. მე რასაკვირველია, წინააღმდეგი გავუხდი და ვუთხარი, რომ ეს შეცდომაა. ოფოფი „ოფოფოს“ იძახის და ოფოფიც იმიტომ დაერქვა.

— ეროპა, ახლა მაგაზე აიტყუე!— შემომხედა იაკობმა— ოფოფი „გუგუს“ იძახის და არა ოფოფს. აი, ელიაშვილიც თავის წიგნში ასე ამბობს.— სიტყვა იაკობმა დარწმუნებულის კილოთი.

— იქნება ელიაშვილი სხვა ვინმემ შეაყვინძურა და ჩვენც იმას უნდა გავყვით? ჩვენ უნდა დაგუგუროთ თვით ოფოფს. ეს სახელი მისი ძახილისაგან არის წარმომდგარი. ოფოფი სხვანაირად არ იძახის; ყოველგან ოფოფს იძახის. ნება მომეცით წიგნშიაც ასე შევასწორო.—

არ დამეთანხმა იაკობი და წიგნში დასტოვა თავისებურად, მაგრამ მაინც არ შეშვებოდა:

— ვანო, მაშ, შენ ვერ დაგაჯერე, რომ ოფოფი „გუგუს“ იძახის და არა ოფოფს?— რამდენიმე დღის შემდეგ მალაზიის კარებიდან, შემომძახა იაკობმა: ფანჯრები ხომ არსად არის ღია, დაახურონე!

შემოვიდა თუ არა „ოფოფის“ საკითხი კვლავ განახლდა.

— მაგაზე აღარა მიფიქრია რა. ოფოფი „ოფოფს“ იძახის მორჩა და გათავდა. ერთხელ არ გამიგონია და ორჯელ, პატივცემულო, იაკობ, მე რომ შეეცდებოდა რაშიმე, გაივლის უშედეგოდ; თქვენი შეცდომილება სხვა არის, წიგნში იბეჭდება და ამ შეცდომილებას წამკითხველი ითვისებს.

— კი, მაგრამ მე არა ვცდები, მე შენზე ქართლელი ვარ!

კი, მაგრამ თქვენ ორმოცი წელიწადია ვარიანში არა ყოფილხართ და კიდევ დაგავიწყდებოდათ ოფოფი რა ფერისაა, მე თითქმის გუშინ მოვედი ბრეთიდან, ოფოფიცა ვნახე და მისი „ოფოფოს“ ძახილიც გავიგონე. თუ არა და, ვარიანში ოფოფის რომ დიძახებს, ბრეთში გვეყურება ხოლმე და ყოველგან ეს ფრინველი ერთსა და იგივეს იძახის.

ასე, ოფოფ-გუგუსის ძახილზე იაკობი არ მეშვებოდა და უნდოდა დავერწმუნებინე, რომ ოფოფი გუგუს იძახის; არც მე ვუარდებოდი. ბოლოს დავიბრდი იაკობს, რომ ქართლელი ვინმე რომ ჩამოვა, აქ მალაზიაში მოვიყვან და

თქვენს მოსვლამდის მოვაცდევინებ. იაკობიც დამთანხმდა და ამის შემდეგ ყოველ დღე მოდიოდა წიგნის მალაზიაში, შემოაღებდა რა კარებს, უპირველესად იკითხავდა ხოლმე: ფანჯრები ხომ არ არის ღია? მერე დაუმატებდა—ჰა, სოფლიდან არავინ არის?

ზედ დატანებზე რამდენიმე დღის შემდეგ წიგნის მალაზიაში შემოვიდა სალოლაშენი მოხუცი გლეხი შუბითიძე. (სალოლაშენი ქართლშია, ბრეთის ახლოს 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> კილომეტრის მანძილზე). ბებრი ლოდინი არ დაგვეკირდა და იაკობიც მობრძანდა. ახლა საქმე იმაში იყო—გლეხეცს რა კილოზე დაუწყოთ ლაპარაკი ოფოფ-გუგულზე, რომ ნამდვილი პასუხი მოგვეცეს? ხომ გლეხეცს ამფრინველებზე ლაპარაკი ძალიან ეჩოთირება და მეტადრე თბილისში. გადავწყვიტე ისევ მე შევკითხებოდი შუბითიძეს: მიცნობდა, მისი მეზობელი ვიყავი და უფრო მენდობოდა. იაკობს კი არ იცნობდა—ქალაქელია და შეიძლება ეფიქრნა, რომ უცხო კაცი დასაცინავად შეკითხებო.

— გიგო, თუ ძმა ხარ გეთხარი, აი, იაკობ გოგებაშვილი, გაიცანით, შეხირებული ვართ ერთ რამეზე. სახელდობრ ი მყრალი ოფოფის ძახილზე. ესენი წიგნებს წერენ ბავშვების სასწავლოდ და უნდა ჩაიწეროს ოფოფის ძახილიც, როგორც ჰყვირის. ჩემი არა სჯერა და თუ ძმა ხარ, სთქვი ის ხმაც, როგორც ოფოფი იძახის?

გიგო შუბითიძემ აგვათვალღერა და ჩავვათვალღერა ორთავე. შეემჩნა ყოყმანი; შემდეგ ცოტათი გაიღიმა. თითქოს ამ ღიმილში გამოხატა—უკაცრავად, თქვენ მე ვერ მაცდენთო. აი, მთაში რომ ოლოლიაო, დაიწყო შუბითიძემ—ის ასე იძახის—ჰო, ჰო, ჰოოო!—სიტყვა ბანზე ააგდო შუბითიძემ და ოფოფი სიტყვა სულ არ ახსენა. სხვაგან მეჩქარებო და გარეთ გავიდა.

— გაიგონე, ვანო, შენი მოყვანილი კაცი იყო და შენვე გაგამტყუნა. ეს ჰო, ჰო, ჰოოო! რომელს უფრო გავს გუგუსს თუ ოფოფს? აბა შენ მითხარი!

— არც ოფოფის ხმასა ჰგავს და არც გუგუსს, მაგ კაცმა მასხარად ხომ არ მიგდებნო, ჩვენი შეკითხვა არ შეისმინა, სიტყვა ბანზე აგვიგდო და გაგვექცა კიდევ,—ფუთხარი იაკობს, მაგრამ იმან თავისი არ დაიშალა. რამდენიმე დღის შემდეგ „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის წერილი ასეთის შინაარსისა: ოფოფი „გუგუს“ იძახის და გუგული „კუკუს“—მართალი გამოდგა. ვანო ავალიშვილი გაამტყუნა თავისივე მოყვანილობა გლეხმა, რომელმაც სთქვა, რო ოფოფი ჰგო-ჰგო-ჰგოსს—იძახისო, რაც ძალიან წააგავს გლეხეცის ნათქვამს გუ-გუ-გუსო.

ეს იყო ენკენისთვეში და ამ თვეში ისეთი დიდი მუშაობა გვექონდა წერაკითხვის საზოგადოებაში, რომ ვერ მოვიცალე გოგებაშვილისათვის პასუხი გამეცა გაზეთითვე. საქართველოს ყოველ კუთხეს სასწავლებლებში სახელმძღვანელოებს ვგზავნიდით და ვერ მოვიცალე, მერე გავცემ პასუხს-მეთქი—კიფიქრე. მერე სულაც მიმავიწყდა დაწერა. ამ გვარად დავრჩი დამარცხებული.

მაგრამ მაინც არ გველეოდა ერთმანეთში დავა. მომანდო 1914 წელს „ბუნების-კარის“ კორექტურის შესწორება. აკაკის თხზულება „ჩემი თავგადასავალი“—

დან“ მოყვანილია ბუნების კარში ამ სათაურით: „სოფელში გაბარება და ბედნიერი ბავშვობა“, აკაკის ერთ ადგილას ასე აქვს ნათქვამი: ქალაქელს ფენსაცმელი უკერს და მაზოლები სტანჯავს: მე სიტყვა მაზოლები ამოვშალე და აბედლები ჩავურთე. მესამე კორექტურას თვითონაც ათვალეირებდა. მაზოლი ამოშლილი რომ ნახა, განცვიფრებით მითხრა: ვანო, როგორ შეიძლება იმოდენა პოეტს, აკაკის სიტყვას უცვლი? ეს არ შეიძლება!—იაკობს ანაზე ვუპასუხე, რომ პოეტს, ლექსში სიტყვას ვერ შეუხსწორებთ, რომ რითმა არ დაიშალოს. აქ პოეტის თვითნებობაა და შეუცვლელად უნდა დარჩეს. მაგრამ მითხრობაში ვინც უნდა დიდი პოეტი იყოს, თუ რამე უსწორობა შევნიშნეთ, უეჭველად უნდა გავუსწოროთ. აკაკიმ ქართულად მაზოლი არ იცოდეს, ჩვენი რა გადასახადია? ვეაჯ დიდი პოეტი, მაგრამ „ხავრები“ გავუსწორე „ხარვეზად“. ისიც პირველად თითქოს გამიწყრა, მაგრამ სიტყვარები რომ ვუჩვენე, მერე ისიც დამთანხმდა. გოგებაშვილიც მომიღბა და შემომეკითხა:

— ჩუბინაშვილს როგორ აქვს ნახმარი?

— აბედა, ბებერა, თქვენ რომელიც უფრო სისწორით გეჩვენებათ, ის ვინმართ.

ამოარჩია აბედა. მხოლოდ მაზოლი ისევ დამატოვებინა და აბედა ფრჩხილებში ჩამასმევინა.

მე და იაკობს საერთოდ მეგობრული დამოკიდებულება გვქონდა. თუ რასმეს იმის სახელმძღვანელოში შევნიშნავდი შეუფერებელს სიტყვას და მივუთითებდი, გულდასმით მოისმენდა ხოლმე. მაგალითად შევნიშნეთ (დედაენა II ნაწ.) ქათმის შესახებ სახალხო ლექსში: ქათმისა მიყვარს ფრენაო და სხვა...და სხვა... თუ საბძელსაც მომიმატებთ, ჩემთვის ისიცა კმარაო. გადგუშალე იაკობს და წავაკითხე:

— ეს ლექსი დამახინჯებულია.— ვუთხარი მე.

— საიდან, როგორ, აბა კიდევ წამიკითხეთ.—

— აი, ეს ადგილი—თუ საბძელსაც მომიმატებთ, ვითომ ქათმის ნაჭერსა-ქათამს საბძელი არა აქვს. საბძელი ისეთი შენობაა, სადაც ბზე ინახება. ქათმის ზურგის დიდ ნაჭერს, რომელსაც მხოლოდ კანი აქვს გადაკრული ძეფებზე, ჰქვინან საბძელა, ვითომც ისეა გამოზმმარი, როგორც საბძელი. აბედი რომ ვსთქვათ, მაშინ ნამდვილი აბედი უნდა ვიგულისხმოთ: ბებერას მაგიერ რომ ვსთქვათ ბებერი, რასაკვირველია სასაცილო გამოვა. აქაც ისეა—თუ საბძელსაც მომიმატებ—ესე არ შეიძლება, უნდა იყოს თუ საბძელსაც...

— მერე, თუ საბძელსაც მომიმატებ, ხომ ამით ლექსის წყობილება ირღვევა?

— უნდა იყოს—თუ საბძელსაც მიბოძებთ, ჩემთვის ეგეცა კმარაო—ვუთხარი მე.

— ეგ კი კარგად არის. ამას იქით შენ უნდა გაასწორო ჩემი სახელმძღვანელოების კორექტურაო. მაგრამ მე ამისათვის ყოველთვის არა მქონდა მოცალეება, უმეტესად შემოდგომაზე, როდესაც პროვინციებში მრავალი წიგნები იგზავნებოდა.

1907 წლის 1 სექტემბერს, დილით გავაღე თუ არა წიგნის მალაზია და შევედი, არ მახსოვს ვიღაც შემოვიდა და სთქვა, გუსმინ ილია მოუკლავთო. ჩვენ

მაშინვე გამცნეთ გამგეობის წევრებს, რომელნიც სწრაფად შეიკრიბნენ. ის საზარელი ხმა დაირბა და ქართული საზოგადოება ბუზივით შემოგვეხვია, ილიას მოკვლის ნამდვილი ამბავის გასაგებად. ყველა გვეკითხებოდა, ვაივო, როდის, რა დროს, სადა, ვინ, რისთვის? ამოიჩა კომისია ილიას გვამის დასაკრძალავად და ილიას დაკრძალვის შესრულების ამბავი ცალკე წიგნად არის გამო-სული და ამიტომ ჩვენ ამის შესახებ არას ვიტყვი. ილია რომ მიგებარეთ მიწას მთაწმინდაში, შემდეგ ვეკითხებოდით ერთმანეთს, რატომ ილია არ გაფრთხილდა, ან რატომ სხვამ არ გააფრთხილა? ხომ ვისაც ჰქვავენ, იმას წინდაწინ ჯერ დემუქრებიან და მერე ასრულებენ. არ შეიძლება, რომ არავის სცოდნოდა ვისმეს შინაურობაშიო. ერთხელ მაინც ვინმე ყურს მოჰკრავდა, რომ ემუქრებიანო. ვაივო, რომ ილიას მოურავად ჰყოლია ვილაღ ჯაში, რომელსაც— ვითომ საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული. საერთო აზრი ტრიალებდა, რომ ამ ჯაშს უნდა წინდაწინ სცოდნოდა, ილიას მოკვლის განზრახვა. ეს ხმა უტბად გავრცელდა და მიადწია თვით ჯაშამდის, ასე რომ ბოლოს თვით ჯაში წოიქრა წ. კ. საზოგადოებაში და სთქვა, რომ ჩემზე ხმა გავრცელდებულა, რომ ვითომ ვიცოდი წინდაწინ ილიას მოკვლის განზრახვა და უნდა თავი ვიმართლო. ამიტომ ვთხოვთ თქვენ, იაკობ სვიმონისძე, ხელი შემიწყით, რომ ხალხს ვაუწყო ჩემი სიმართლეო. გეფიცებით თუ ილიას მოჰკვავდნენ, მე არა ვიცოდი-რაო — ასე შეგხვეწა ჯაში იაკობს და იმანაც აღუთქვა. ეს იყო დილის 9 საათზე. 12 საათი იქნებოდა, რომ ვგონებ ქართული თეატრის ფოიეში შეიკრიბნენ საკმაოდ დაინტერესებული პირნი და გოგებაშვილიც იქ წავიდა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ იაკობი დაბრუნდა. მალაზიაში რომ შემოვიდა, თავის ფერზე აღარ იყო. საშინლად იყო აღლევებული. ჩვენ შევეკითხეთ საქმის ვითარების შესახებ.

— დაიწყო რაღაც აბლა-უბლები, მიკბა-მოკბა!... არა, იმან არამც თუ წინასწარ იცოდა ილიას მოკვლის განზრახვა, არამედ თვითონაც უნდა ერიოს კვლავში. მე ველარ გაუძელი იმის როტვას და წამოველ, — სთქვა გოგებაშვილმა. დიდხანს ვერ დაიმშვიდა გული; შემდეგ მომმართა მე: ვანო, თუ მაზეგ არ ჩამოვედი, მომიკითხეთ. — სთქვა და წავიდა შინ. მე დამქირდა დანიშნულ დროს იაკობის ნახვა და წავედი იმასთან. გამგეობამაც იმასთან ფული გამატანა. ლოგინად იწვა და კიდევ საზიზღარ ჯაშის მსჯელობაზე ჯავრობდა.

მორჩა იაკობი. დაიწყო საზოგადოებაში სიარული, მაგრამ რაღაც მოუხშირა ავადმყოფობამ. მეც ხშირად მიხდებოდა იმასთან სიარული მისი წიგნების გამოცემის შესახებ. ზოგჯერ თვითონაც დამიბარებდა ხოლმე, რომ მეამბნა საზოგადოების საქმეების ვითარება. იაკობი ცხოვრობდა მთაწმინდაში და ეჭირა ორი მოზრდილი ნათელი ოთახი თავის სამზარეულოთი; ცოლი არას დროს არა ჰყოლია და მარტოცა ცხოვრობდა.

კაცს ალბად შთამომავლობით აქვს თვისება, რაც უნდა თავისი ოჯახი არ ჰყავდეს, მაინც ვილაცახე ზრუნავს, გულშემატკივრობს, ნუგეშის საცემლად ვილაცას გაიჩენს — რასაკვირველია, თუ ის აღამიანი. ასეთი იყო იაკობ გოგებაშვილიც. თავისი საკუთარი ოჯახი რომ არ ჰყავდა, მის სანაცვლოდ სთვლდა წერა-კითხვის საზოგადოებას თავის საკუთარ ოჯახად. ამიტომაც ამ საზოგადოებაზე დიდი ყურადღებით იყო; ისე უყვარდა, როგორც თავისი საყვარელი

ოჯახი. დიდ პატივსა გვეცმდა, როგორც გამგებობის წევრებს, ისე მოსამსახურეებს. ჰყავდა თავისი ნათესავეები ვარიანში და ისინი შორს იყვნენ. მხოლოდ ზრდიდა შ. გოგებაშვილს—(ძმისწულს). ნათესავეებს, ვისაც მისწვდებოდა, ყოველის მხრით ეხმარებოდა.

ბოლოს იაკობი ლოგინადაც ჩავარდა. ექიმების თქმით საშიში გახდა მისი მდგომარეობა. მუცელში რალაც ზედმეტი ხორცი გაუჩნდა და გაუმაგრადა, თან უდიდებოდა. მე თითქმის ყოველ დღე დავდიოდი. ავადმყოფს არა შორდებოდა შ. გოგებაშვილი. ავადმყოფის სანახავად დადიოდნენ აგრეთვე გამგებობის წევრნიც.

ზოგი ექიმების აზრით, რომელნიც აგრეთვე გამგებობის წევრნიც იყვნენ—მისი შორჩენა არ შეიძლებოდა; აპერაციას ვერ აიტანდა; სულ რამდენიმე დღეს იცოცხლებსო.

თუმცა ყოველ დღე დავდიოდი ავადმყოფთან და ეს თვით ავადმყოფმაც იცოდა, მაგრამ ერთ დღეს შემომითვალა ჩქარა მენახა. მეც მაშინვე ვავექანე მთაწმინდაში. იაკობს მივესალმე და გამოვკითხე ავადმყოფობის მდგომარეობა. შემდეგ შევეკითხე, ხომ არა სურს რა შეეუსრულო, ან ხომ არ ესიამოვნება მოუტანო რამე.

— არაფერი არა მინდა—რა, მითხრა ავადმყოფმა, მხოლოდ ჯერ შენ დაიხვენი, აღმართი გქონდა ამოსარბენი, მერე კაპოდის ზემოთა უჯრა გამოიღე; მარცხენა მხარეს ხელი შეჰყავი, იქ სამალავი მაქვს, ნახავ ქალაღს და გამოიღე.—მეც შევეასრულე. რამდენიმე მთელი თაბახი მთლად იყო დაწერილი, რომ გავშალე, სათაური ამოვიკითხე—ანდერძი.

— ერი-ჰა! იაკობ, თქვენ შეგშინებიათ, ანდერძიც დაგიწერიათ.

— მე სრულებითაც არ მეშინიან სიკვდილისა. თუმცა ვგრძნობ, რომ ორ დღესაც ვერ ვიცოცხლებ. ვიცოცხლებ თუ მოკვდები, ჩემი ყველაფერი წერაკითხვის საზოგადოებას უნდა დარჩეს. აბა წაიკითხე ხმა მალა ანდერძი, ყური დავუგდო, ხომ რამე არ გამომეპარა—რა—მითხრა იაკობმა ისეთის ჩვეულებრივის მაგარის კილოთი, როგორც მელაპარაკებოდა წ. კ. საზოგადოებაში, როგორც სალი კაცი. ანდერძით იაკობი უტოვებდა წერაკითხვის საზოგადოებას ყოველ თავის მიერ შეთხზულ წიგნებს და თანხასაც. თანხის ნაწილს ურიგებდა თავის ნათესაობას ას მანეთიდან 200 მანეთამდე. ავალებდა საზოგადოებას გაეხსნა ს. ვარიანში სამაგალითო სკოლა, რისთვის შესაფერი შენობაც უნდა აშენებულყო. სხვათა შორის მე, ვანო ავალიშვილი და ვასო ედილაშვილიც საზოგადოების ბუხალტერი არ დავავიწყდით და გვიანდერძა ას-ასი მანეთი.

ჩვენ ამ ას-ასმა მანეთმა ისე არ გვასიამოვნა, რამდენადაც იმან, რომ ჩვენ დიდი ადამიანის ყურადღება და ნდობა დავიმსახურეთ. ანდერძში დასამარხი ხარჯებიც იყო მოყვანილი, ასე რომ მთელი თანხა სულ იყო განაწილებული, სად რამდენი უნდა დახარჯულიყო. ასე გასინჯეთ დამკრძალავი კომისიის ერთ წევრს თვითონ ასახელებდა ანდერძში.

„სამარხ კომისიაში დამისახელებია ვალერიან გუნია, იმან კარგად იცის წესიერების დაცვა“.



იაკობ გოგებაშვილი  
(1840—1912)

გავათავე წაკითხვა ანდერძისა და იაკობი შემომგითხა ანდერძის შესახებ, როგორიაო? რასაკვირველია, მე მოვუწონე, მაგრამ ვუთხარი—ეს შავია და გადაწერა საჭირო-მეთქი, რადგან შიგა და შიგ ხშირად წაგიშლიათ, სიტყვები, აზრები რამდენიმე სტრიქონებით შეგიცვლიათ, რომლებიც ბოლოს უნდა იყოს მოყვანილი—ამა და ამ ალაგას წაშლილია. ეწყინა იაკობს, მწუხარებით წამოიძახა: ვიმიე, რალა მეშველებ, როდის-ღა გადაიწერება ეს ამდენი,—მე დავამშვიდე და ვუთხარი ეხლავე ვიპოვი რცხილაძეს, ის ხომ ვეჭილია და ჩვენი გამოგობის წევრი, ვთხოვ ამოვიდეს და ნახოს ანდერძი, იქნება კიდევ სხვა იურიდიული ნაკლი აქვს რამე, ის გვეტყვის. თან გამოვაყოლებ ჩემს თანაშემწეს გ. ლომთათიძეს. იმას კაი ხელი აქვს და სწრაფად გადასწერს. ამასთან, იაკობ, ბოლოში ორი მოწვევ უნდა ადასტურებდეს, რომ თქვენ სრულიად სალი მოსახრებით და შეგნებით მოაწერეთ ხელი. ეს მოწვევები ვინა გსურთ? იაკობს მოეწონა რცხილაძის მოწვევა ანდერძის საჩვენებლად. დავამშვიდე იაკობი. რცხილაძე, ლომთათიძე და მე შალე შივედიო ისევ იაკობთან. ამ დროს საზოგადოების საქმის მწარმოებელი გ. ბურკულაძეც იქ შეგვესწრო. რცხილაძემ მიუთითა ლომთათიძეს ანდერძზე, როგორც უნდა შემდგარიყო და რამდენიმე საათში მზად იყო ანდერძი კანონიერად შემდგარი და ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული.

მეორე დღეს ვინახულე იაკობი და მივესალმე. სრული დამშვიდებული მელაპარაკა:

— ეხლა დარდი აღარაფრისა მაქვს. სრულიად დამშვიდებულ ვარ, რომ ერთი რამ არ მაწუხებდეს, სთქვა იაკობმა.

— რა იაკობ, გვითხარით და იქნება ისიც მოვახერხოთ და გავიჭარვოთ.

— არა, ვანო, გვიან არის!—ამ დროს იქ მდგომმა შალვა გოგებაშვილმა, რომელიც ავადმყოფს არა შორდებოდა, მანიშნა და მეორე ოთახში გავედით.

— რაშია საქმე, შალვა, რა ადარდებს იაკობს?—

— სწორედ ამიტომ გამოგიხმე. ის ადარდებს, რომ ბ-ქემ ანდერძში ამოკითხა შენ და ვასო ედილაშვილს მიეცეს ას-ასი მანეთიო, ის მომაკვდავთან მივიდა და ეუბნება,—ერთი ასი მანეთი ჩემთვისაც რომ მოგეცათ, კარგს თნებდდითო. ამაზე იაკობმა უპასუხა, რომ ისინი ძველი მოსამსახურეები არიანო, ვიფიქრე თქვენზედაც და ლომთათიძეზედაც; თქვენ თითქმის ორ-ორი თვე არც კია, რაც საზოგადოებას ემსახურებთო.—ესენი კი დიდი ხანია მსახურობენო. უთხრა იაკობმა ბ-ქეს, მაგრამ მთელა ღამე იწუხა, იდარდა, ვერ მოისვენა. როცა შევეკითხე ძიას, რათა ოხრავს, რა გაწუხებს, მიპასუხა, რომ ბ-ქემ მეც შიანდერძით ერთი ასი მანეთიო, მე უარი ვუთხარი, თქვენ ჯერ ახალი მოსულეები ხართ-მეთქი, მაგრამ ვინ იცის, როგორ უჭირს და მე თანხა სულ განაწილებული მაქვს და ამასა ვწუხებარო.

გამოკვლევები და ნარკვევები



იონა მეუნარგია

ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა

(დაუბეჭდავი თავები)

იონა მეუნარგია დასწერა „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“. ის, ჯერ ყურნალ „მოამბეში“ და შემდეგ ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა (1905 წ.). მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის სინამდვილეში მწერლის ასეთი ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა პირველი ნაბიჯი იყო. ამ პირველ შრომას ნაკლიც ახლდა. ეს ნაკლი ხშირად აღნიშნულა, რომ ამ ბიოგრაფიიდან გრ. ორბელიანი გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის სამხედრო მოღვაწე და კავკასიის შთაფარმართებელი უფრო მოსჩანს, ვიდრე პოეტი.

ერთი მხრით ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ცხოვრების აღწერა იმ კაცისა, რომელსაც სამოც წელზე მეტი სამხედრო კარიერაზე გაუტარებია, — ბუნებრივია, ასეთ ფარგლებში უნდა განვითარებულიყო.

გრ. ორბელიანის ხანგრძლივი სიცოცხლე სამხედრო მოქმედებათა ისტორიაა, დაუსრულებელი ბრძოლები, გამარჯვებანი, სამხედრო აღლუმები, ზეიმები და ჯილ-ღოები, ქიფი და დროსტარება, ყაბახი და დოლი, „ცხენთა გრიალი, შუბთა ტრიალი ჯირითთ სრიალი“, მაგრამ ყველა ამ მომენტს განუყრელად თან ახლავს მისი დიდი პოეტური — აზროვნებაც, პოეტიც თავის თავს უყენებს მოვალეობად — გახა ცხოვრებისა განვლოს და აღბეჭდოს ნავალი.

ეს ნავალი მისი პოეზიაა და არა სამხედრო მოღვაწეობა. ამას ბიოგრაფიც კარგად გრძნობს, როცა ცდილობს ყველგან პოეტ გრ. ორბელიანზე ილაპარაკოს. მაგრამ, როცა თავს ვერ აღწევს ამ განუწყვეტელ სამხედრო აღლუმებს, თავისი შრომის მე-160 გვერდზე მკითხველს გარკვეულად ჰპირდება: ქვემოთ, ცალკე, განსაკუთრებით პოეტის ნაწერებზე გვექნება ბაასიო.

მაგრამ ასეთი ბაასი ზემო დასახელებულ წიგნში არ არის. მოკლედ რომ ვთქვათ ავტორმა დაპირება არ შეასრულა. მკითხველმა კი იგრძნო, თუ რა აკლდა ამ შრომას, მხოლოდ ვერ შენიშნა ავტორის დაპირება, თუმცა ეს დაპირებაც რომ არ ყოფილიყო მოცემული, მაინც უნდა გვეფიქრნა, რომ ავტორი ამ თემას დაამუშავებდა. უნდა გვეფიქრნა იმპროვიზაცია, რომ იონა მეუნარგიას მიერ დაწერილ სხვა მწერალთა (გიორგი და დავით ერისთავები, ნ. ბარათაშვილი, მ. გუარიელი, გ. ჭალადიძელი, ალ. ჭავჭავაძე და სხვ.) ბიოგრაფიებში ეს საკითხი მხედველობიდან არც ერთ შემთხვევაში არ არის გამოტრეპნილი.

მე უნარგიას ხელთნაწერებში მართლაც აღმოჩნდა გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის ახალი თავები, ჯერ უცნობნი და გამოუქვეყნებლნი, ესენი, ცხადია გამოცემული წიგნის უშუალო გაგრძელებაა, საცა დაწერილებით გარჩეულია გრ. ორბელიანი, როგორც საზოგადო მოღვაწე, „გონიერი ადმინისტრატორი“ და „რეფორმატორი“, პოეტი და ორატორი, — მოაზროვნე და მწერალი.

დასახელებულ, 1905 წ. გამოცემულ წიგნში თუ ვერ შევიდა ეს თავები, უთუოდ საცენზურო პირობების მიზეზით. ამას თვით მასალის შედგენილობა და შინაარსი გვაფიქრებინებს<sup>1</sup>. საგულისხმოა ისიც, რომ მთელ რიგ კერძო წერილებში, რომელთა ნა-

1 ი. მეუნარგიას მეუღლის — ნიკოლას გადმოცემით — ჟურ. „მოამბის“ რედაქტორმა და აღნიშნული წიგნის გამომცემელმა ალ. ქუციანამ უკანვე დაუბრუნა ავტორს გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის რამდენიმე თავი იმ მოტივით, რომ მათი გამოქვეყნებით ავტორიცა და გამომცემელიც, როგორც მთავრობის, ისე ორბელიანების გულისწყრომასაც დაიმსახურებდა. — ს. ც.

წილი გამოყენებულია, როგორც მასალა, თავისუფლად შეღავნდება გრ. ორბელიანის გულწრფელი ზრახვები, სურვილები, მოწინავე აზრები და გეგმები სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე.

ის უფრო პრაქტიკული მოღვაწე სჩანს, ვიდრე თეორეტიკოსი და ამ თავის პრაქტიკულ მოსაზრებებს ამითუმი გაუღვნიან პირთან მიწერ-მოწერაში ცოცხალი ფაქტებითა და მასალებით ასაბუთებდა.

„მუშა ბოქლეაძის“ ავტორმა უძველესად განიცადა ჩვენი მესამოციანელების გავლენა. „მამათა“ ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმართულების მეთაურმა „შვილთა“ შემოტყვის შემდეგ ბევრი რამ დათმო. ცხადია, ეს დათობა არ იყო უმსხვერპლო, მაგრამ გრიგოლ ორბელიანმა, როგორც თავის დროის განათლებულმა ადამიანმა, რომელსაც მისი ბიოგრაფის თქმით, ზურგს უმაგრებდა 60 წლის სწავლა და გამოცდილება, — პირველმა დაინახა, რომ სიმართლე „შვილებისაგან“ იყო, თუნდაც ქართული ენის საკითხებში, რის გამოც ის პირველი ეკეთა ახალი ენის კანონმდებელს და „შვილთა“ მეთაურს ილია ჭავჭავაძეს.

ცნობილია ეს პოლემიკაც. „რა ენა წაბდეს, ვრიც დაცეს“ — გაიძახოდა გრ. ორბელიანი, მაგრამ სულ მალე იმავე ორბელიანის თვალწინ დამტკიცდა, რომ „შვილებს“ ენა არ წაუბდენიათ. 70-ნ წლებიდან გრ. ორბელიანი თანდათან სთმობს თავის პოზიციებს; მისი ენა უფრო მარტივდება, როგორც მის პოეტურ ქმნილებებში, ისე კერძო წერილებშიც.

კერძო წერილებში გრ. ორბელიანი უთუოდ უფრო გულწრფელად აშკარავებდა თავის ზრახვებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების გეგმებსაც, იგი როგორც საზოგადო მოღვაწე, თავის პრაქტიკულ მოსაზრებებს გამოსთქვამდა გავლენიან პირებთან მიწერ-მოწერაში, ცხადია, არა დროის მოსაკლავად და სალაღობოდ, არამედ ამ „გავლენიან პირთა ზედა“ გავლენის მოსაბდენად. აღწევდა თუ არა გრ. ორბელიანი ამ მიზანს, ამის აღწესება ჩვენს მოვალეობას აღემატება, მაგრამ ეს კი ცხადია, ყველა ეს ბარათები და პრაქტიკული ზასიათის მოქმედებანი გვიბრუნებს გრ. ორბელიანს, როგორც იმ დროისათვის მოწინავე მოქალაქეს, რომელსაც არც ისე პატარა გავლენა ჰქონდა მეფის რუსეთის მართველობებზე.

პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მემატანიეს, ორბელიანის პრაქტიკული მოღვაწეობა და საზოგადოებრივი წყობილებისადმი რევოლუციური შეხედულებანი უმთავრესად მიწერ-მოწერის ქარგაზე აქვს დამუშავებული და თავის შრომაში ცალკე თავად შეტანილი.

დანარჩენი მომდევნო თავებიც მისს უშუალო გავრცელებას წარმოადგენენ. ეს ავტოგრაფის პაგინაციითაც დასტურდება. რის დადგენა იოლია, რა კი ვიცით აღნიშნული შრომის დაბეჭდული ნაწილი XXI თავზე მთავრდება, თუმცა წიგნი შედგომით ბოლო თავზე აღნიშნულია XX, რაც გამოწვეულია XVIII-ის ორჯერ გამეორებით (იხ. გვ. 145, 163), მაგრამ ეს შეცდომა რომ გავასწორებთ, უკანასკნელი თავი სწორედ XXI-ზე მოვიკიდა. ამგვარად, ჩვენ მიერ მოპოვებული ავტოგრაფის პირველ თავზე დასმული XXII მას ნამდვილ გაგრძელებად წარმოგვიდგენს.

კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება ეს ფაქტი, როცა აღნიშნული XXII თავის დასაწყის სტრიქონებს წაგიკითხავთ, საცა იწყება გრ. ორბელიანის გარძობა-გონების ქმნილებათა გარჩევა, როგორც ავტორი იტყვის: „სრული მისი გონებითი და ზნეობითი ავლა-დიდების სასწორზე დადება“.

თუმცა ეს გარჩევა, ერთობ შორი მანძილიდან მოიმართება, აქ დიდი ადგილი ეთმობა ორბელიანის ეპოქის გაშუქებას, იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, სასულიერო იერარქიის მიწინააღრებას და კერძოდ, ანტონ I, — კათალიკოსის დიდ გავლენას სამწერლს ენაზე, სასწავლებლებისა და ეკლესიის ურთიერთობას, ბეჭდვითი სიტყვის უქონლობით გამოწვეულ მდგომარეობას, რის შედეგად — აღნიშნავს ავტორი, გრიგოლ ორბელიანი კი არა, შეილგერი რომ დაბადებოდა იმ დროის საქარ-

თველოს, იმასაც უბით უნდა ეტარებინა თავისი ნაწერები და მომავლისათვის შევედრებოდა თავისი დიდი იმედებით.

საყურადღებოდ შექმდებოდა აგრეთვე გრ. ორბელიანის შენგედულტბანი მშობლიურ ენაზე, მისი გრამატიკული ნორმები და თეორიული მოსახრებანი, ენის ემანსიპაციის საკითხები და თვით გრიგოლ ორბელიანის ენა; გრ. ორბელიანის აზრი—ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, ალ. ყაზბეგის, ან. ფურცელაძის, აკაკის და სხვ. შესახებ. ესთეტიკის საკითხები; მწერლობის, როგორც პროფესიის განსახლება, ორბელიანის ლირიკა, მთავარი მოტივები მისი პოეზიისა და მასზე ალ. ჭავჭავაძის გაველენა და სხვა.

ყველა ეს საკითხი მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს, რომელთა უმეტესობა ჯერაც უცნობია ჩვენ მწერლობისათვის.

სამწუხაროდ, ავტორადი ჩვენს წინ მდებარე შრომისა, რომლის შედეგები<sup>1</sup> ამ ეამად ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმშია დაცული, ძალზე დაზიანებულია, ალგა-ალგა სტრიქონები და ცალკე სიტყვები წაშლილია და ტექსტი ძნელად ამოსაკითხი. აგრეთვე, როგორც ქვევით დავინახავთ ხელნაწერის მთელი რიგი ბოლო გვერდებისა სრულიად გაშქრალია. 1934 წლიდან დაწყებული ჩვენ დავეძინეთ ის ადგილები, საცა კი შეიძლება ი. მუხარბაის შესახებ ცნობების, ან მისი რაიმე ხელნაწერის მოპოება, რის შემდეგაც არის ჩემომოყვანილი კიდევ დაუმთავრებელი ტექსტი, XXII, XXIII, XXIV, XXV და XXVI თავებისა გრ. ორბელიანის ბიოგრაფიის დაუმთავრებელი ნაწილიდან. ხოლო, XXVII თავიდან დაწყებული ის ჯერ კიდევ შეუქმნელია და აღუდგინელი ბოლომდე ამ მხრით მუშაობა, ცხადია, გრძელდება და შეიძლება არც უშედეგო დარჩეს.

კომენტარებიც სხვა საკითხებზე ამ შემთხვევაში საჭიროდ აო ვთვლი, რადგან უფრო მასალის მიმოხილვით ვარ და მის გარშემო ზოგიერთი ფაქტის აღმუშავებით. მასალას კი ვაქვეყნებთ ისე, როგორც ის ჩვენ მოვაპოვეთ და აღვადგინეთ—ავტორის სტილის, მაოლწერისა და თავების თანამიმდევრობის დაცვით.

1939 წ. 12—III.

სოლომონ ცანიშვილი

XXII

ყოველ-დღიური მატრიანე პოეტის ცხოვრებისა ნებას არ მაძლევდა აქამდის თავი დამენებებია ფაქტებისათვის და სინთეზის მალობებში მეგემა მისი მდიდარი გრძობა-გონება. ეხლა კი დროა, ვირგილის თქმის არ იყოს, დაედვით სისწორზე სრული მისი გონებითი და ზნეობითი ავლა-დიდება.

Eh bien, დიდი ხანია დავებტები ქვეყნად. ბევრი შესანიშნავი ქართველი კაცი ვამიცნვია, ბევრის კი არა, თითქმის ყველა ჩვენი საჩინო მწერლები ის თუ არ მეგობარი, ახლო ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელ-დადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ. შეიძლება ამის დასამტკიცებელი საბუთი ვერც კი წარუდგინო მკითხველს და იმ ფრანცუზისა არ იყოს, რომელიც, „პატოხანის სიტყვით“ უმტკიცებდა მის მეგობარს ქვეყანა ბრუნავსო, მეც ლიტონ სიტყვად ჩამომერთვას ამგვარი აზრი ორბელიანზე, მაგრამ წინ და წინ გულწრფელად ვალიარებ: თუ მკითხველი ვერ დარწმუნდა ამაში, ბრალი ჩემი იქნება და არა ორბელიანისა.

თითო ოროლა განათლებული და კუთხით ნაჭები კაცები, მალობა ლმერთს, დღეს ჩვენშიც მოაპოვება. ზოგს ენა უკრის ჩვენთაგანს და ჩინებულნი მოსიტყვება, ზოგს კალამი ერჩის და წერით ქებულია, მაგრამ რომ მოინდომოს კაცმა ამათი დაფასება და ახლო დააკვირდეს მათ ორატორობას და წერას, შენიშნავს,

<sup>1</sup> 1938 წ. კაპიტონ მუხარბაის ოჯახში აღმოჩნდა ავტორისაგან გადათვრებული პირებიც (თუშუცა ისიც დაუმთავრებელი), რომელიც მთლიანად გადმომეცა, რისთვისაც თამარ და კაპ. მუხარბაიებს დიდ მალობას მოვახსნიებ.—ს.ც.

რომ მთელი მათი მშვენიერსიტყვაობა და აზრების სიუხვე უფრო წიგნებიდან არის ამოღებული მზა-მზარეულად და არა ცხოვრებიდან გამოხდილი საკუთარი ქუთის მეოხებით. თითოეულ იმათ აზრს, პარადოქსს, ეფექტებს, პათეტური მდგომარეობის კარგი მეძებარი კაცი, იმათი ახლო მცნობი, თითქმის შეუცვლელად იზოვის სხვადასხვა მწერლებში და წიგნებში გაფანტულად.

რატომ?

აღბათ იმიტომ, რომ დიდიდამ სალამომდის და სალამოდამ დილამდის ეს კაცები წიგნის კითხვაში არიან გართულნი და ცხოვრებისა არა ეკითხებთ რა, ან, უფრო მაღალი სიტყვებით რომ ვთქვათ, არიან თეორიის კაცები და არა პრაქტიკისა. ცოცხალი აზრი კი ტვინში დაბადებული და არა წიგნში ამოკითხული აზრი—პრაქტიკული ცხოვრების შვილია. ის არის მხოლოდ სიტყვიერ თარგმანი სისხლით და ოფლით ცხოვრებიდან შეძენილ ქეშმარიტებისა.

ამ მხრით ორბელიანი არ იყო მსგავსი ჩვენი შინაური მოაზრებისა. იმის კუთა-გონება მტკიცედ დამყარებული იყო ცხოვრებაზე. სამოცი წლის განმავლობაში, რომელიც იმან სამსახურში გაატარა, გამოიარა ზედი-ზედ კამანდირობა როტისა, ბატალიონისა, პოლკისა, ბრიგადისა, დივიზიისა; მმართველობა ზაქათალისა, მთავარ-სარდლობა კასპიის მხარეთა ჯარებისა, მმართველობა დაღესტნისა, მთავარმართებლის რჩევის თავმჯდომარეობა, თბილისის გენერალ-გუბერნატორობა, მთავარმართებლის თანამდებობის ასრულება და ამასთან რამდენიმე ბრძოლის თავოსნობა. ამ გვარს, მრავალ-მხროვან და მრავალ-ხროვან სამსახურს რამდენი ცოდნა უნდა მიეცა პოეტისათვის, რამდენი დაკვირვება და გამოცდილება შეეძინა, ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულ ნიქს, რა დიდი სულიერი საზრდო უნდა ეპოვნა ამ გვარ მდიდარ ცხოვრებაში?

დიდმა ფრიდრიხმა შეუთავალა ერთხელ თავის ელჩს პარიზში: გადაეცი ჩემი პასუხი საფრანგეთის მმართველობას და გახსოვდეს, რომ თითოეულ შენს სიტყვას ზურგს უკან ორასი ათასი შეიარაღებული სალდათი უდგასო, იმისი არ იყოს, ორბელიანის თითოეულ აზრს ხალხის მმართველობაზე, სამხედრო მსახურებაზე, ეროვნებაზე, მის ეკონომიკაზე, სწავლაზე, ზნეობაზე, ჩვეულებაზე ზურგი ჰქონდა გამაგრებული სამოცი წლის მისის სამსახურითა, სწავლით და გამოცდილებით. ამის გამო, როდესაც ყურს უგდებდით იმის ლაპარაკს უნებლიეთ განიმსჯვალებოდით მისდამი პატივის-ცემითა და ნდობით.

ვეებერთელა თავი გაშლილი მაღალი შუბლით თითქო უხილავი ქარხანა იყო, საიდანაც გამოსჰვირვოდა ცოცხალი და ნათელი აზრი. იმას არ ჰქონდა ჩვეულება ლაპარაკისა საქმის უცოდინარობით და თუ იტყოდა რასმე, იტყოდა ქეშმარიტებს, რომლის მიუღებლობა ხშირად სასინანულოდ ურჩებოდა საზოგადოებას და მთავრობას, რომელთადმი მიმართული იყო მისი სიტყვა, გონიერს თავს მოციქულად ტყბილი ენა ჰყავდა პოეტისა და ეს უფრო საამოდ ხდოდა მის სიტყვას, რომელსაც ამის გამო,—სითბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა—რა სავანზედაც უნდა ყოფილიყო სჯა, თუნდა ეს სავანი, ასჯერ თქმული და გაგონილი ყოფილიყო, ასჯერ მიწაში დამარხული, რაკი ორბელიანის ენა, ან კალამი მოხვდებოდა იმას, იგი ხელახლა ცოცხლდებოდა. მას ხელთ ეპყრა ფერიების წკეპელა; გააქნევდა თუ არა ამ წკეპელას, უეცრავ აღმოჩნდე-



გრიგოლ ვარბულიანი  
(1800—1883)

ბოდნენ ახალნი და ახალნი საბუთნი, ახალი სპეტაკნი სახენი პოეტურის აზრისა, რომელნიც აღვიძებდნენ და ახალისებდნენ კაცის გონებას.

ცოტა ქვემოთ, როდესაც პოეტის ნაწერებზე მოვა სჯა, უფრო ნათლად და ვრცლად დავინახავთ მისი მოძრავე ტალანტის ღირსებას; ეხლა კი მისი მაღალი გონიერების დამამტკიცებელ საბუთად, ნება მიბოძეთ ვადავიკითხოთ ზოგიერთი ადგილები მისი ნაწერებისა, რომელნიც შეიქმენ ჩემის ფიქრით, ორბელიანისაგან ნამდვილსა სახელმწიფოს სამართავად განმზადებულ კაცსა.

ჯერ კვიანს და გამოცდილ ადმინისტრატორს დაუვდოთ ყური. ვნახოთ როგორი თვისების უნდა იყოს იმის აზრით, მმართველი ხალხისა. 1879 წელს, როდესაც ყარსიდამ და აქარიდამ დაიწყო ხალხმა ოსმალეთში გადასახლება, ორბელიანი სწერდა ამ საგანზე მირსკის:

„Из Аджарии и Карса продолжается переселение жителей во внутрь Турции. Чему приписать это неизменное явление—бегство иноверцев от владычества русских? Крым опустел; черкесы, более 200 тыс., выселились из Кубани; Абхазия осталась без населения. Теперь жители Аджарии и Карса, даже армяне, бегут от нас, точно от чумы! Неужели все это объясняется фанатизмом? Конечно, отчасти влияет и фанатизм, но существуют и другия не менее важныя причины. По моему убеждению, где правители пекутся о благосостоянии населения, там не проявляется фанатическое чувство противу правительства, разве в единичных случаях, потому что человек, к какой бы религии он не принадлежал, прежде всего желает и ищет себе жизни спокойной, безтревожной, жизни без обид, без притеснений и безропотно покоряется справедливым законам, на каком бы то языке не было написанным.

И совершенно в этом духе жалуает действовать наше правительство.

Но где же корень зла? Он находится в выборе второстепенных правителей, сомнительного происхождения, не подготовленных ни наукою, ни воспитанием. Чтобы сделаться начальником дивизии, в которой всего до 16 т. человек, нужна 30-ти летняя служба, выказавшаяся или заслугами, или замечательными способностями ума. Такие личности уже заранее известны и правительству и обществу. Рождается вопрос: чем и кому известен какойнибудь участковый заседатель, которому вручается население в 20 тыс. душ? Почему никто из них не был приглашаемы во дворец к обеду? А потому, что они считаются недостойными быть даже у меня за обедом. А между тем судьба 20 т. душ находится в их власти. Небольшое жалованье, конечно, не привлекло бы их на эту службу, если не было бы убеждение, что в течении нескольких лет они будут иметь большое состояние, и потому им нет надобности беспокоиться о счастье вверенного им народа. Напротив, они отравляют лучшия намерения правительства ядом ненасытной жадности нажить себе деньги всеми неправдами. Следствием чего, естественно, в жителях рождается чувство неудовольствия, недоверия, тайной зло-

ბს, проявлением, которых редко бывают взрывы народных волнений. Это самое я высказывал и Георгию Мухранскому, советуя ему ежегодно выпускаемых из выших учебных заведений молодых людей не помещать в канцеляриях губернаторов и главном управлении, а назначать их прямо в уезды для смены, разом, всех прежних чиновников, между которыми, конечно, существуют и исключения. Эти молодые люди с лучшими гуманными направлениями, подготовленные наукою, в начале, если и ошибутся, то все-таки внесут в управление честность, правду, безкорыстие, доступность, при вежливой обходительности, которая так украшает начальника в глазах населения и привлекает к нему сердца людей, вселяя в них доверчивость, убеждение в том, что он искренно печется об их благосостоянии. При таких начальниках население скоро почувствует силу благотворного управления и исчезнет чувство враждебного фанатизма и скопыко в последствии принесут пользу и правительству те молодые деятели, ознакомившись ближе с населением и изучив его образ мысли, понятий, обычаи, нравы, религию, его потребности, что в сущности, составляет жизнь и человека, и народа!<sup>1</sup>

ქვეყნის ცოდნა და ხალხის ზნეობის შესწავლა მოუცილებელ საქმეობას შეადგენდა კავკასიაში მოსამსახურე პირთათვის, რეალი ისე წავიდა თავის სამმართველოდამ, რომ თუშეთს დუშეთიდან ვერ არჩევდა. ამ გვარი მმართველობისაგან ქვეყანას რა ხეირი უნდა დაჰყოლოდა? სულ სხვა იყო კავკასიაში დიდხანს ნამსახური კაცი. როდესაც გენერალ-ლეიტენანტმა ბარონ ნიკოლაიმ გაანება თავი სამსახურს, პოეტი დიდი ნაღველით სწერდა ბარბარე ორბელიანისას<sup>2</sup>:

„Редеют здесь прежние деятели; на место их являются новые личности, которые не тратили жизни своей для усмирения Кавказа и водворения там мира и порядка; не трудились для благоденствия этой страны, для сближения враждебных народов с Россиею, следовательно, у этих личностей нет и воспоминаний, т. е. силы, связующий их с Кавказом“<sup>3</sup>.

ორბელიანი ითხოვდა ქვეყნის მმართველებისაგან, სხვა ღირსებათა შორის, ხალხის სიყვარულს. 1866-ს წელს, როდესაც ლევან მელიქიშვილმა ყაითალი დაამშვიდა, პოეტმა გამარჯვება მიულოცა და თან აფხაზეთის ამბები მისწერა ამ სიტყვებით:

„აქამდის მიიყვანეს იქაურმა (აფხაზეთის) ნაჩაღნიკებმა ხალხის შეწუხება, უგუნურის ქცევითა, ლანძღვა-თრევითა, ყოველგვარ შევიწროებითა, უსამართლოებითა, რომ ხალხმა ველარ გაუძლო და მოჰკლეს კონიარი, ჩერებოვი, იზმაილოვი და მათთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაპეცია და ნახევარი სუხუმი, სადაც ოთხი დღე იყო ომი. ახლა გაუგზავნეს 24, მგონია ბატალიონი, მილიცია იმერეთიდან, გურიიდან, მინგრელიიდან და ეძებენ მიზეზსა აღშფოთებისა. მიზეზი რა შორს არის? ჩვენ ვართ მიზეზი! უფრო არ ვუგდებთ და არ ვიცით ვინ

<sup>1</sup> წერილი 11 ნო.შბ. 1879  
<sup>2</sup> შემდეგ საგინაშვილზე გათხოვილი.  
<sup>3</sup> წერილი 22 თებერვ. 1868.

სად გაგვზავნოთ ხალხის მოსაველეად. ამასთან წარმოიდგინე: გუშინ აფხაზეთიდან გამოიყვანეს მთავარი და დღეს გაგზავნეს 1. კამისია სტატისტიკურის აღწერისათვის მხარისა. 2. კამისია განთავისუფლებისათვის ყმებისა. 3. კამისია О правах личных. 4. კამისია о правах имущественных და 5. კამისია აღწერისთვის მთავრის მამულებისა და იფიქრეთ ახლა ეს ამდენი კამისიები ერთს დროს, ერთს ქვეყანაში შესულნი ვის არ აბუნტებენ და მიზნსა სადღა ეძებენ? და აი ერთის დაუღვეველის განკარგულებისაგან რაოდენი უბედურება წარმოსდგა, რაოდენნი დაიხოცნენ, რაოდენნი გაოხრდნენ და ახლა რაოდენნი დაისჯებიან, რაოდენთა მიადგებათ უსამართლოება და ამასთან თვით მართებლობასაც როგორ დაუჯდება ჯარებისა იქ შეყრა, რომელნიცა ბუჯითად მუშაობდნენ რკინის გზასა<sup>1</sup>, ახლა მოგვიტანეს ამბავი, რომ იარაღსა ართმევენ ხალხსა. დიახ, კარგი, მაგრამ განა იარაღი იყო მიზეზი ხალხის აშლისა? ეგ იარაღი ხომ შარშანაც ჰქონდათ და უფრო ადრეცა, მაშინ როდესაც აფხაზეთის გარემეო იყო საშინელი ბრძოლა? მაშასადამე, ჩემის ფიქრით, იარაღს ართმევენ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგში რაც უნდა მწუხარება-მიადგესთ, ხალხმა ველარა სთქვას რა, ესევე ღონისძიება შენთვისაც მოეწერათ დაღესტნის დამშვიდებისათვის და მე დიდად და დიდად მიამა, რომ ყური არ ათხოვე. ჰსურსთ ხალხის უიარაღობა? შეიყვარონ ხალხი და ზრუნვიდნენ მისთვის კეთილსა! ამაზე მეტი არა უნდა რა. მაგრამ მახლას, რა გაეწყობა? აი კიდევ მეორე მაგალითი: ლუბერნატორს აგოლინსა სძულს იმერეთი და იმერეთსა აგოლინი და რაღა კეთილი წარმოდგება ამ გვარ მდგომარეობისაგან? რა ჰქნას ველიკი კნაიზმა? აფხაზეთში არის კარკოვი დამნაშავე, ე. ი. მისი უკოდინარობა აფხაზეთისა და იმერეთში ბარონ ნიკოლაი, რომელიცა არ აბოლოებს ამ საქმესა, რათა არა დაამკიროს ლუბერნატორობის მნიშვნელობა. ბატონო, ვინც არ ვარგა, არ ვარგა; მაშასადამე, უნდა უკეთესი დანიშნონ,—აქ რაღა ლაპარაკი უნდა. აი ახლა აგოლინმა ვლადიმერიც მიიღო, ახლა რაღა ჰქნას მთელმა იმერეთმა და გურიამ, რომელთაცა ირთვლეს აგოლინზე და დაუმტკიცეს ფაქტებით იმის უსამართლოება ბატონყმობის საქმეში და უნიკობა ხალხის მოვლაში? გიორგიმ, მუხრანსკიმ, რომელიცა იყო წარგზავნილი ამ საქმის გასარჩევად, წარადგინა რაპორტი დაწერილი დიდის სიმართლით და დიდად მშენებრად, რომელშიაც დაწერილებით სწერს მისსა უნიკობასა და ამასთან მისსა ხალხის სიძულვილსა, ან ხალხის ჩივილს დაუჯერონ და ან გამოძიების სიტყვებსა<sup>2</sup>»

გონიერი და გამოცდილი მმართველი, ორბელიანი, სულ ყოველთვის აფრთხილებდა მთავრობას არც ერთ მხარეში არ შეეტანათ ახალი კანონები მოუშაბდებლად და შეუჩვენებლად, რადგანაც მისი აზრით, შეუძლებელი იყო ერთბაშად დარღვეულიყო წესი და დამოკიდებულება ხალხისა საუკუნოებით დაფუძნებული და დამკვიდრებული—და ცხოვრებამ არა ერთგვის გაამართლა დაღესტანში, ზაქათალას, აფხაზეთს, სვანეთში, ოსეთში, და თვით ქართლ-საქარსტი-

<sup>1</sup> ფოთი-თბილისის რკინის გზის ლიანდაგზე საღდათები მუშაობდნენ.

<sup>2</sup> წერილი 6 სექტ. 1866 წ.





86. ჩელიშჩევი.

ნინა გრიბოედოვა—კავკასიაში

ნაწილაკ ორბელიანის რჩევის საფუძვლიანობა. როდესაც დადგმქელიანმა; ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი მოჰკლა, პოეტი სწერდა დ. ჯორჯაძეს: „აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობდი, რომ ავრე ერთბაშად, სხარტულად ახალის რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა არ ვარგა ქვეყანაში“<sup>1</sup>, მსგავსადვე, როცა ოსმალეთის საქართველო შემოუერთდა ჩვენს ქვეყანას, პოეტს სულ იმისი შიში ჰქონდა ახალს მხარეში, სხვათა სიკეთეთა შორის, მეათე ტომი არ შეეტანათ. „დიდად მეშინიან, რომ აქარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოის სუდიები და არ აღზნდეს ახალს შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკებისა“<sup>2</sup> სწერდა ის ლევან მელიქიშვილს.

ხალხის ცუდად მოვლას აწერდა პოეტი იმ გარემოებას, რომ ბათუმის მაზრა და ყარსისა დაიკალა მცხოვრებთაგან, რომ აფხაზეთიდან ხალხი გალაგდა და ჩაჩნები გადასახლდნენ ოსმალეთში. ამ უკანასკნელთა გადასახლების თაობაზე ის ირონიულად სწერდა ლევან მელიქიშვილს: რა გაეწყობა, სხვა უკეთესი სისტემა ხალხის მოვლისა რომ ვერ მოგვიგონია მაშინ რა ვქნათ, თუ არ გავალალოთ“<sup>3</sup>. ხალხი თავის მტერი როდი იყო. თუ კაცთმოყვარეობით მოექცეოდნენ იმას, ის თავის დღეში არ გაუწევდა მთავრობას წინააღმდეგობას.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ აზიის ხალხებს ვერ იცნობდნენ რუსის ჩინოვნიკები. პეტერბურგის უმაღლესმა მთავრობამაც ლამის სულ არ უარჩყო ერთ დროს კავკასიის ადმინისტრაციული განცალკევება. განა შეიძლებოდა ნების პროსპექტიდამ მინისტრებს, თუნდა აჩქებიაწებს, ემართათ რიგიანად სამი ათას ვერსტზე დაშორებული ხალხი? შეიძლებოდა კავკასიის მთავარ-მმართველს არ ჰქონოდა რუსეთის გუბერნატორებზე მომეტებული უფლება? ის სწერდა მირსკის:

„Убеждение министров в не признании особенностей Кавказского Края есть величайшее несчастье для спокойствия здешнего населения, отличающегося разнообразием религий, языков, обычаев, понятий; а между тем без признания присущих им особенностей не могут, быть поняты нужды и потребности населения и, следовательно, не могут достигнуть своей благотворной цели самая мудрая, благая распоряжения правительства, направляемая к благоденствию края. Ну, что общего между Петербургом и Зангезуром, лежащем на берегу Аракса?“<sup>4</sup>.

თუ მაინცა და მაინც არ დაიშლიდნენ თავისას და კავკასიის მთავარმმართველს წაართმევდნენ უფლებას, დაინახავდნენ, რომ:

„Канцелярское сочинение не всегда есть—евангельская правда, и что главноначальствующий без доверия и власти—лишнее бремя“.<sup>5</sup>

განცალკევება კავკასიისა, ყველაზე უფრო საჭირო იყო ჩვენი სასამართლოებისათვის. ორბელიანი სულ იმას ჩიოდა, რომ ჩვენში სასამართლოები ხალ-

<sup>1</sup> წერილი, 7 ნოემბ. 1857 წ.

<sup>2</sup> წერილი 5 სექტ. 1878 წ.

<sup>3</sup> წერილი 26 მაისს, 2865 წ.

<sup>4</sup> წერილი 1852 წ 20 ნოემბ.

<sup>5</sup> i—d.

ხისათვის უცნობ ენაზე აწარმოებენ საქმეს. იმის აზრით იმგვარ სასამართლოს, საცა დამნაშავეს არ ესმის მსაჯულის ენა და მსაჯულმა არ იცის ენა დამნაშავეისა, სიმართლე არა აქვს. ჩვენში არაფრად მიგვაჩნდა ამ გვარი ერთმანეთის გაუგებლობა მსაჯულისა და თანაშემწისა, თორემ „რას იტყოდა რუსის ხალხი მოსკოვში, რომ ინგლისურ ენაზე გაემართათ სასამართლოებშიო“ — ეკითხებოდა პოეტი ზევით ნახსენებ წერილში მირსკის.

სასამართლოების რეფორმებისა მიანიც დიდი მადლობელი იყო პოეტი, თუმცა „კი სასამართლო მსწრაფლი და მართალი“ ხშირად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ძველებური ჩვენი სასამართლო თუ უფრო „მართალი“ არ იყო, უფრო მსწრაფლი მიანიც იყო. მიხვიდოდი, იჩივლებდი და იქვე განაჩენს მიიღებდი. რამდენჯერ გამიგონია პოეტისაგან ლექების სამართლის ქება. „აი, თქვენი კონსტიტუციაც იმათ ჰქონდა. ხალხი რომ შეკრებებოდა, წამოდგებოდა მომჩივანი და უხუცესების წინ განაცხადებდა საჩივარს. ის რომ გაათავებდა, წამოდგებოდა წინააღმდეგი მხარე და იტყოდა თავისას. ამასთან ყოველ კაცს შეეძლო მომჩივან-მოპასუხის გამოსარჩლება და სჯაში მონაწილეობის მიღება, რადგანაც სამართალი საყოველთაოდ ხდებოდა, გაშლილ მინდორზე, მიდგომა და კრძობა, შეუძლებელი იყო. განაჩენი რომ დაიდებოდა თემი მიანდობდა ერთს ვისმე განაჩენის ასრულებაში მოყვანას. ეს კაცი დაიკავებდა ხელში ჯოხს და წავიდოდა გამტყუნებულისას. კარგი იქნებოდა გაებედნა წინააღმდეგობა, — მაშინვე სახლს დაუქცევდენ. — „Вот вам и английский полисмен“ — დაამატებდა პოეტი კმაყოფილებით ამ ხელჯოხიანზე.

ეხლანდელი სოფლის სასამართლოებზე ის სწერდა ა. პ. პრინცს: „Недавно я возвратился из Коды, где провел летом у Сагиновых в тишине, в мире, часто в обществе бывших моих крестьян, по прежнему почтительных, по прежнему услужливых, весьма хорошо понимающих и принимающих добрые советы. Надо видеть их гласный суд на площади, у церкви, или у родника, чтоб вполне оценить то благо, которое происходит от введения нового сельского управления на началах самоуправления. Сегодняшняя жалоба разрешается сегодня же. Что может быть благоворнее такого суда? Это как бы незаметно учреждение выставляет во всем блеске все величие и благость души государя императора“<sup>1</sup>.

მაგრამ მომრიგებელი და ოლქის სასამართლო, პალატა, სენატი, ყველაფერი კარგი იყო ამ სასამართლოებში, ერთს გარდა: სანამ სამართალს მიიღებდა იმათგან კაცი, იმას ქლექი დაემართებოდა. ერთი საქმე, რომელიც პირადად პოეტის ქონებას შეეხებოდა, სამოცი წელი დადიოდა სასამართლოდამ სასამართლოში და დასასრული არ მიეცა. ბოლოს პოეტმა გაგზავნა ამ საგანზე თხოვნა ხელმწიფის სახელზე, რომელმაც ბრძანა საქმე გადაეცათ სახელმწიფო რჩევაში და სახელმწიფო რჩევამ ის ხელახლა დაუბრუნა სენატს. ეს რომ პოეტმა შეიტყო, მისწერა სახელმწიფო რჩევის წევრს სტარიცკის:

<sup>1</sup> წერილი 15 სექტ. 1867 წ.

„Что это за несчастное заколдованное дело, которое как вечный жид, в течение 60 лет, ходил из инстанции в инстанцию, не находя себе нигде успокоения? Неужели этот самый обыкновенный, самый простейший вопрос „кому принадлежал имение“ может потребовать почти столетие для его решения?“

„Припомните, уважаемый Егорь Павлович, какие великие перевороты в это же время совершились в Европе и какие великия открытия в науках уже применены к жизни; Во Франции пали Бурбоны, Наполеоны; Италия объединилась; Пруссия проглотила Германию; Россия дошла до стен Китая, до Тихого океана, навсегда сокрушив грозное влияние Турции в Европе, восстановив новыя царства славян; Пароходы, телеграфы, железные дороги покрыли земной шар; аэростаты, телефоны, микрофоны приспособляются к практической жизни, а наш знаменитый процесс о клочке земли неизменно живет и не умирает.

Не удивление ли?“<sup>1</sup>

კავკასიის განცალკევება აქაურ სასწავლებლებსაც უნდა დასტყობოდა. აი რა პროგრამისა უნდა ყოფილიყო სკოლები ჩვენში:

„Приехал сюда генерал Корсаков открывать в Тифлисе военную гимназию, а во Владикавказе прогимназию,—სწერდა ის თბილისიდან ვანო ორბელიანს.<sup>2</sup> Конечно, правительство делает великое благодеяние краю, привлекая тысячи праздных молодых людей к образованию; но, по моему мнению, здешний край и даже вся Россия в настоящее время более нуждаются в политехнической школе, недостаток которой с каждым днем становится более обязательным.

Гимназии, университеты, академии доставляют людей только для государственной службы и этих людей увидишь только в канцеляриях или на плацу. Все они живут на счет правительства и всетаки масса их умирает в бедности, не принеся никакой пользы своими познаниями сельскому хозяйству, цветущее состояние которого составляет единственную основу благоденствия и для населения и для государства. Вызгалов, великий математик—магистр, сидит в канцелярии у губернатора и вместе с Кола Эристовым нумерует текущие бумаги. И сколько, таким образом, погибают в канцеляриях умственных и нравственных сил! Для чиновников весьма достаточны существующия учебныя заведения. Нам нужны теперь люди иной науки, которые возделывали бы землю, извлекая из недр ея сокрытыя сокровища, и тем обогащали бы и себя и весь край! Чего нет здесь? Железо, медь, свинец, сера, мрамор, нефть, уголь, шелк, хлопчатная бумага, марена, виноград, фрукты всякого рода, скотоводство, овцеводство, шерсть, табуны лучших в мире лошадей; в лесах—орехи, каштаны, нежной пальма, все, все а между тем население бедно, бедно! Вот здесь то единственную

<sup>1</sup> წერილი 28 მაისს 1879.

<sup>2</sup> ივანე ორბელიანი (მანანას ვაჟი)—იხ. წერილები გრ. ორბელიანისა გვ. 273 ტ. II.



помощью может явиться только политехническая школа, а не греческий язык; она в скором времени изменила бы вид всего края, разлив бы знание полезного труда, результатом которого везде и всегда—довольство и благоденствие. А когда народ богат, государство богато, и самое правительство не было бы поставлено в необходимости истрачивать столько материальных средств на народное образование, Те-же самые расходы, ассигнованные ныне заботливым правительством на содержание военной гимназии, принесли бы иную великую пользу, употребив их на учреждение политехнической школы. В течении 70 лет мало что изменилось здесь в сельском хозяйстве; тот же плуг, та же арба, тот-же способ жатвы и молотбы, уничтожающий силу, самую жизнь работников и рабочей скотины и тот-же прадедовский маран-მახლას!<sup>1</sup>

ამ წერილის დაწერის შემდეგ 13 წელიწადი გაივლის, 1887 წელი დადგება და მხოლოდ მაშინ დაინახავს უმაღლესი ცენტრალური მთავრობა, სახალხო განათლების სამინისტრო, ამ გვარი პროგრამის საჭიროებას და თავის სიმბატონას განუცხადებს რეალურ სასწავლებლებს. მე არ გამოუდგები აქ დაწერილებით პოეტის აზრებს ყმაწვილების აღზრდაზე. მკითხველებმა გაიცვენს რამდენათაც არის,—ნისი შეხედულება ამ საგანზე მაშინ, როდესაც ბაასი გვექონდა გიორგი ორბელიანის აღზრდაზე<sup>2</sup>. დავსძინოთ მაშინ ნათქვამს მხოლოდ ის, რომ პოეტი ურჩევდა ყმაწვილ კაცებს „დღიურები“ გაეჩინათ და შიგ ეწერათ ყოველი დღის მათი თავგადასავალი. ამგვარი მუშაობა ჯერ ერთი, რომ წერას ასწავლიდა იმათ და აზრების ქალაღდზე გადაცემას და მერმე, ნამდვილ სარკეს მისცემდა ხელში კაცს, რომელშიაც შემდეგში ის დაინახავდა თავის ყმაწვილ-კაცობას.

თუ ახალი თაობის აღზრდა კეთილად იქნებოდა წარმართული, თუ ქვეყნის მმართველნი კაცთ-მოყვარენი იქნებოდენ, ხალხიც ბედნიერი იქნებოდა. რკინის-გზა შეაერთებდა შავსა და კასპიის ზღვას, ამათ მოჰყვებოდა ვაჭრობისა და მრეწველობის გაჩაღება და საქართველო დაუახლოვდებოდა ევროპას, სპარსეთს, ინდოეთს და ზემო აზიის ხალხებს. ქვეყანა ჩვენი მიეცემოდა წარმატებას. განა ცოტა სამსახური მიუძღოდა იმას მსოფლიო ისტორიის წინაშე? განა ქართველი არ ებრძოდა „შავსა ბედს“? არავის არ უნდა დავიწყნოდა ის გარემოება, რომ ქართველმა „მარტოდ-მარტო დამდგარმან ხმალ-ამოღებულად, მოპირდაპირედ მთელის აზიისა არ გადუშვა კავკასიის იქით მაჰმადიანობა და დაიკვარუსეთი და თვით ევროპაცა გაოხრებისაგან“. „საქართველოს ღვაწლი ჯერ ისტორიის ვერ აღწონია“—ო იტყოდა ხშირად პოეტი.

რუსეთის მეფენი, „შვიდთა იულიმთა მპყრობელნი“, შემუსრავდენ ჩვენს მტერთა ძლიერებას, რუსეთი „დიდებული იმპერია იყო, რომელსაც დიდი მომავალი ჰქონდა“.

როდესაც ლორის მელოქოვს რევოლუციური ესროლეს და პოეტმა განსაცდელის გადარჩენა მიულოცა გრაფს „Голов“-მა დაბეჭდა ქება მისი დებეშისა

<sup>1</sup> წერილი 4 მარტი, 1875 წ.

<sup>2</sup> იხ. „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა“, ტფილისი, 1905 წ. გვ. 177—185—ს. 6.

და სხვათა შორის წარმოსთქვა აზრი, რომ რუსეთი კავკასიამ უნდა იხსნასო. მთელს სტატიაში პოეტზე ქების გარდა სხვა არა იყორა. ასე რომ სხვა ვინმე, იმის აღვიღებ ამ გემრიელ შარბათს გულ-დამშვიდებით და პირზე ღიმილით ჩაიტკბარუნებდა, მაგრამ პოეტი სულ სხვა ჯურის კაცი იყო. ყოველვის სიმართლის თაყვანის-მცემელმა და კეთილ-გონიერების მორჩილმა; იმან აი რა პასუხი მისცა ამ დებუშის გამო ოღლა გრუზინისკისას:

... „Вам понравилась моя телеграмма к графу Лорису и я искренно радуюсь, что мог доставить моей царице хоть минутное удовольствие; однако-же не скрою от вас, что слова „Голоса“: „Спасение из Кавказа“ легли тяжелою грустью на сердце. Ведь они означают полнейшую безнадежность растерявшегося общества. Не хочется верить, чтобы в столице великой Империи существовал такой упадок духа. И зачем? Где-же то блаженное государство, жизнь которого проходила без сильных внутренних потрясений? Государство подобно человеку, в своем развитии по временам болеет. И России очень памятливы события, быть может еще более грозныя и опасныя, чем ныне: жизнь Петра Великого не прошла ли в кровавой борьбе не только с врагами внутри Государства, но даже и с врагами домашними? А славное царствование Великой Екатерины разве не было возмущено страшным появлением Пугачева? Разве Невский проспект и самая дворянская площадь не были свидетелями кровавой битвы при Императоре Николае? И что-же? Россия всех этих тяжелых испытаний появилась могущественно обновленною. Зачем же теперь падать духом? Явилась эпидемия, являются и могучие люди—исцелители. Вот почему, слова „Спасение из Кавказа“ кажется мне малодушием, но и оскорблением всех тех лучших людей, славные подвиги которых вели Россию к величию в самые тяжелые времена. И что может сделать один граф Лорис без сердечного содействия этих людей. Россия больной человек; у нея в запасе найдется и много силы ума, и много силы воли и верю я все темное есть только убежище безсилia и порока. Сила же в свете! Помнится и мне, как сильно волновалась наша столица увлекательною диалектикою Герцена, но когда заговорили „Моск. Ведомости“, замолк „Колокол“, исчезло и очарование. Не Кавказ, а русские должны спасти и могут спасти Россию“<sup>1</sup>.

ნეტა ეს სიტყვები საქართველოს საუკეთესო შეილისა წააკითხა ყველა იმათ, ვინც ან მართლა ფიქრობენ, ან განგებ, ბოროტ-განზრახვით, ამბობენ ქართველები ცუდის მოსურნე არიან რუსებისაო. ეგებ მაშინ მაინც დაიჯერონ ამ ურწმუნოთა, რომ ჩვენ „რუსებზე უფრო რუსნი ვართ“, სიტყვასაებრ იმავე ორბელიანისა.

ჩვენ ძლიერ შორს წავალთ, რომ დავეყვით ამრიგად და უამბოთ მკითხველებს ორბელიანის ავტორიტეტული აზრი სხვადასხვა საერო და სამმართველო კითხვებზე. დრო იქნება და სულ ყველა მისი „აზრები, პროექტები და სიტყვე-

<sup>1</sup> წერილი, 27 მარტს.

ბი“ იხილავენ ქვეყანას. მაშინ ყველას შეეძლება თვითონ გახდეს მსაჯული ამ გონიერის და ქეშმარიტად იშვიათი კაცისა.

## XXIII

ჩვენ აქამდის ხმა არ ამოგვიღია ორბელიანზე, როგორც მწერალზე, როგორც ვნახეთ, მისმა ცხოვრებამ სულ სხვა გეარ ზრუნვაში განვლო, ვიდრე სპეკულიატურ მსჯელობაში და პოეტურ აღმადრენაში. მისმა ნამსახურებთმა სიამ კავკასიის სამხედრო სამსახურში, თანამდებობა არ დაგვირჩინა, რომელიც იმას არ სჭეროდა, არცერთი მაღალი სამოქალაქო პოსტი, რომელზედაც ის არ მდგარიყო.

ლოცვითა და კურთხევით გადმოლახა მან ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ჰყოფს საწყალს, დღეში ცხრა-შაურთანს პრაპორჩიკს სრული გენერლისაგან და მთავარ-მმართველისა და ამ დიდს და გრძელ სასამსახურო კარიერაში ის, როგორც თანამდებობის მოვალეობით, ისე გულის მიდრეკილებით ზრუნავდა არა სამწერლო დიდებაზე, არამედ ქვეყნის ბედზე და სიკეთეზე.

სად ჰქონდა ამ გეარ კაცს მოცალეობა მწერლობისათვის. ის წერდა მხოლოდ inter arma მაშინ როცა გული ერჩოდა, ზეცით მონაბერი სული მოველინებოდა, ენსპირაცია შეიცავდა. დანარჩენ დროს ის ხმლითა და ცირკულარებით მოქმედებდა.

მაგრამ ამ რჩეულ კაცს ქართულ სამწერლო აგარაკზედაც დიდი დამსახურება მიუძღვის, უფრო დიდი, ვიდრე სამოქალაქო და სამხედრო სამსახურზე: მისი ქვეყნიური მსახურება, მისი „საქმე“ მოკვდა მასთანვე; მას არც უფლება ჰქონდა, თუნდ ვორონცოვისა, არც მისი განათლება და გავლენა, რომ უკვდავექმნა მისი ხსენება კავკასიის ისტორიაში: არც ერთი დაწესებულება, არც ერთი დიდი აზრი, ჩვენში გავრცელებული, არ ჰსთვლის იმას თვისდა შემოქმედად, მაგრამ სამაგიეროდ, მისდა სამარადისო სახსენებლად, დაგვრჩა ჩვენ მისი „სიტყვა“. ის იყო, ვახტანგ ორბელიანის თქმისა არ იყოს—

„მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე“

და როგორც ლექსთა მეფე მისი სახელი დარჩება უკვდავად, სანამ არ მოკვდება ქართული ენა. „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა, იგი იყო „მეფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა“,<sup>1</sup>—ამბობს იმაზე ილია ჭავჭავაძე. იგი იყო—„ზეთაგონებით განსწავლული მეფე ქართული სიტყვიერებისა და და პოეზიისა“<sup>2</sup>—დაამატებს ამას, რაც უნდა იყოს მაინც ნიჭიერი, დავით კეზელი.

საუტუნოები განვლენ, გაჰქრება ხსენება მისთა „საქმეთა“ და „სამსახურთა“, წარბიოცება მეხსიერებისაგან ქართველთა ისიც კი, რომ ის იყო მთავარ-მმართველი კავკასიისა, ისიცა, რომ მის მკერდს ამშვენებდენ სხვანი და სხვანი ნიშანი მსახურებისა, მაგრამ მისი სიტყვა ისევ ისე ცოცხალი იქნება, ისევ ისე ნაცნობი გულისა, როგორც დღეს. ჩვენში ის ჯერ არ არის დაფასებული ღირ-

<sup>1</sup> „დროება“ № 65, 1883.

<sup>2</sup> ი-დ





ჩელიშვილი.

„ქართული საღამო“. (თბილისი)

სეულად. ნემეტა დიდმა პოეტმა ბოდენშტეტმა მიუჩინა მას ადგილი რიცხვთა შორის უდიდესთა ლირიულთა პოეტთა ამა საუკუნისა და მართლაც თუ გავარჩევთ იმის ნაწერებს, დავაკვირდებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა, როცა პოეტმა იმაში ფეხი შემოდგა და დაეინახავთ რა მდგომარეობაში დატოვა იმან ეს მწერლობა, ჩვენ არ შეგვეძლება არ დავეთანხმოთ ბოდენშტეტს და ორბელიანი არ ვიცნოთ დიდ პოეტად.

ვენახით ჯერ რა მდგომარეობაში იყო მწერლობა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, როცა დაიბადა გრ. ორბელიანი. ხეს თუ ძირი არ გაეისინჯა კაცი აზრს ვერ შეადგენს იმ ნიადაგზე, რომელმაც ასაზრდოვა მისი შტოები.

პოლიტიკურ არეგ-დარეგზე უფრო დიდ არეულობას განიცდიდა იმ დროის ქართული მწერლობა; როგორც ძველიდგან, ეს მწერლობა და მისგან განუშორებელი საერო განათლება იმ დროსაც ეკლესიის საფარქვეშ იყო მოთავსებული.

ერეკლე მეფის დროს საქართველოში დაარსებული სასულიერო სემინარიები თბილისისა და თელავისა იყვნენ ორნი უმაღლესნი სასწავლებლნი სამეფოსა. ამას მოსდევდნენ სამონასტრო და საეკლესიო სკოლები თბილისისა, ქართლ-კახეთისა და იმერეთის. გარეშე ამათდა არავითარ სასწავლებელს—არც სამოქალაქოსა და არც სამხედროს, არ იხსენიებს წარსული საუკუნის მატინე. იქა-აქ თუ სადმე დიდ ოჯახებში ქალები ასწავლიდნენ ბავშვებს წერა კითხვას და ისიც... მათ სწავლებასაც საეკლესიო ხასიათი ჰქონდა, რადგანაც პირველი წიგნი, რომელსაც ისინი მისცემდნენ ბავშვებს შემდეგ ანაბანისა იქნებოდა ან დავითნი, ან ლოცვანი.

სწავლა-განათლების სასულიერო მიმართულება ახალი არ იყო ჩვენში. ქართველი კაცი დასაბამიდანვე წიგნს იმიტომ სწავლობდა, რომ ლოცვები სკოდნოდა. საეკლესიო სასწავლებლები ამ მხრით სრულიად აკმაყოფილებდა მისს მოთხოვნილებას. მშვენიერი ენით თარგმნილნი: დავითნი, საშოციქულო, სახარება და სხვა სამღვთო წიგნები და მათი განმარტება იმისთვის ისტორიაც იყო, კატეხიზმოც, ღვთის-მეტყველებაც. ამ წიგნებისა და სასწავლებლების მეოხებით, ქართველმა ათასი წელი შეინახა თავისი სჯული, სახე და ენა. სამრევლო სკოლა ჰყოფნიდა საეკლესიო მსახურებსაც და სახელმწიფოს სამმართველოდ განმზადებულ პირსაც, ღვდელსაც და სტატს-სეკრეტარსაც, ჩვენი სტაქანი პატარა იყო, მაგრამ ამ პატარა სტაქნით ჩვენ ვსვამდით, მიუსეს თქმისა არ იყოს.

მეთვრამეტე საუკუნეში კი, დროთა ვითარების წყალობით, ამ სასულიერო განათლებას მოჰყვა სამოქალაქო განათლების მოთხოვნილება. მოთხოვნილებამ კაციც დაჰბადა. საქართველოში გამოჩნდა ერთი უჩვეულო პირი, რომელმაც იგრძნო საჭიროება სასულიერო განათლების პროგრამის შეცვლისა. ამ კაცს, რომელსაც ძარღვებში რეფორმატორის სისხლი უღვდოდა, ყველაფერი ხელთ ჰქონდა თავის აზრის განსახორციელებლად: ის იყო დიდად განსწავლული და ამან შეძლება მისცა მას, თითონ დაეწერა, რაც რომ საჭირო წიგნი იყო სკოლები-სათვის: ის იყო მდიდარი და ამან გაუადვილა მას შრომა და შრომისათვის საჭირო წიგნების შეძენა, რუსულ, ლათინურ, და ქართულს ენებზე.

ის იყო საქართველოს ეკლესიის თავი და ამან დააჩქარა მისი წიგნებისა და აზრების შეთვისება სკოლებთაგან; ის იყო მეფის ძმა და ამან გააერთიანა მისი წიგნები ქალაქ-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ყოველ ოჯახში, საცა ქართული იწერებოდა და იკითხებოდა. საზოგადო განათლების პროგრამა ამ დროს ითხოვდა რუსეთში და ცოტა რუსეთს გარეშეც ღვთის-მეტყველებას, ფილოსოფიას, ლოლიკას, პსიხოლოგიას, ისტორიას, ფიზიკას; რომ ჩვენს ქვეყანაშიაც შემოეღო საზოგადო განათლება და ჩვენი ერის გონებითი მოძრაობისათვის ერთი ნაბიჯი წაედგმეინებინა წინ, ანტონ კათალიკოზმა—თქვენ, რასაკვირველია მიხედით, რომ სჯა იმაზე არის—ნახევარი საუკუნის დაუცხრომელი შრომით და ღვაწლით შეადგინა ქართულ ენაზე: წყობილ-სიტყვაობა, ე. ი. გალექსილი ბიოგრაფია ჩვენი ქვეყნის ისტორიულთა პირთა და მწერალთა, ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, ლოლიკა, მეტაფიზიკა, ფიზიკა, კატეხიზმო და სხვა სასულიერო წიგნები.

ჩვენს მონასტრებს და ეკლესიებს, ე. ი. ჩვენს სასწავლებლებს სასიქადულოდ მიაჩნდათ მეფის ძმისა და ეკლესიის უფალის ანტონ კათალიკოზის წიგნებით სწავლება სხვადასხვა მეცნიერებისა. სკოლებიდან წიგნები ვრცელდებოდა საქართველოში და ამ წიგნებთან იმათი დამწერის გავლენაც.

თვისი სიცოცხლის უკანასკნელი 25 წელიწადი, რომლის განმავლობაში ანტონი, რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ, ხელ-ახლა კათალიკოზობდა საქართველოში, ის იყო სწორედ მეფედ საქართველოს გონებისა და ზრახვისა.

დიდი კეთილი უნდა დაჰყოდა ჩვენს ქვეყანას იმის სიუხვისაგან, ერთს გარემოებს რომ არ დაებრკობოდათ საქმე. ენა ვერ შეხვდა იმას საკმაოდ მდიდარი ყველა ამ მეცნიერებათა გამოსათქმელად, ენის ნაკლოვანება ნამდვილი სტიქიური დაბრკოლება იყო, რომელსაც პირადი მეცადინეობა ვერა სძლედა.

კათალიკოზმა მოინდომა ამ შეუძლებელის შეძლება და თვითონ შეიქმნა ძლეული. მისი ენა, რუსულ-ლათინურზე გამოკრილი, ნაძალადევი გამოდგა და მაშასადამე, ქართული ენის ხასიათს მოკლებული, გაუგებარი. სულ ყველა მისი აზრები, მთლიანი ფილოსოფიური აზრები, რალაც-გვარ ნისლ-ლრუბელშია გახვეული, რომელიც უშლის კაცს საგნების ცხადად დანახვას. აიღეთ რომელიც გინდათ მისი ფილოსოფიური თხზულება, თუნდ „სპეკალი“<sup>1</sup>, მაგალითად, გადაშალეთ პირველივე გვერდი, წაიკითხეთ პირველი სტრიქონები და მითხარით თუ ბევრი გაიგეთ შიგ. აი ეს სტრიქონებიც, თუ გინდათ: „ახიარა სადამე სახელითა აობამან ყოველნი მყოფნი ორად სადამე ნამდვილმყოფისა და ზედ-შემოსრულისა მართ განკვეთითა ამის უაღრესისა მყოფისათვის თქვა არისტოტელი საქმე არსო თვით მყოფი არავისდამი მოქნე“.

ახლა ამავე წიგნში წაიკითხეთ ამავე წიგნის წინასიტყვაობა ტიმოთე მიტროპოლიტისა: „რამამად ივალობებოდედ უმიზნუო მიზეზი მიზეზოვანისა, რომლისათვის ხმოვანება სიტყვათა არს ჩვენი უოცნოსა მის გვარისადმი უგვაროვსა და ურამამოსათვის წინავან სიტყვა ფილოსოფოსთა და კვალად ატიკელებრივი და ლექსვა ძნიადობენ მეებნეობა და რიტორთა თხზვა წინა უკმო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „სპეკალი“ თხზ. ანტ. კათალიკოსისა, გვ. 1.

ბევრი ვაიგეთ? კარგი, თუნდ ამას თავი ვანებოთ; ეს ფილოსოფიურს საგანზეა დაწერილი და ფილოსოფია ნემეცურ ენაზედაც ძნელი გასაგებია. აიღეთ უბრალო ბარათი ანტონ კათალიკოზისა. წაიკითხეთ, მაგალითად, როგორ იწყებს იგი თავის წერელს ზაქარია მღვდელთან: „თქვენის მაღალ ღირსების ოდესმე ძეთავანი მითვე წმიდითა მით პირველებრითა სიყვარულითა დავსდებ დასაბამად სიტყვასა სიყვარულსა, რომელ არს ნამდვილ სატრფიალო იგი და ყოველად საყვარელი არსება“.

ენა არის ერთადერთი ორგანო გამომხატველი აზრისა. თუ ეს ენა არ იქნება ფილოსოფიაც წყალს წყულია და ლოლიკა-ფსიქოლოგიაც.

საკვირველი და სამწუხარო აქ ის არის, რომ ანტონ კათალიკოზი იმ შემთხვევაშიაც, როცა შეეძლო კარგად წერა, განზრახ გაუგებრად სწერდა. ქართულს ენას, იმის სწავლით, სამგვარი კილო უნდა ჰქონოდა: ეკლესიური (ეს იყო მაღალი ხარისხის სიტყვიერება), დარბაისლური და გლეხური. ან დაშვებითი. ამათგან: მისგან დაწერილ სამოქალაქო წიგნებს უფრო ჰშვენოდა დარბაისლური, ე. ი. მუდამ თავ-დაჭერილი, მუდამ მორთულ-მოკაზმული შეხამებული ენა.

ყოველი ცოცხალი სიტყვა, ყოველი შინ-სახმარი მდაბიო ლექსი უნდა განზორებოდა სამოქალაქო მწერლობას. ეს აკია-ბაჰიას ენა იყო, რომელშიაც ნამდვილი მწერალი ენას და კალამს არ გაისვრიდა. ვაიგებდა თუ არა მკითხველი მწერლის აზრს, ან თვითონ მწერალს ესმოდა რამე იქილამ, რასაც სწერდა თუ არა, ამას ვინ დასდევდა. სულ ყველა ამ კატეგორიებს, რიტორიკებს, მეტაფიზიკას, ლოლიკას გაჰქონდათ ერთი გამოუღვეელი რახა-რუხი სიტყვებისა და ქართველის უფრო სულ ყველაფერს ისმენდა მოთმინებით და მორჩილებით.

იოანე ბატონიშვილივით „მშვიდობა შენდა“ და „და სულისაცა შენისათანა“-ს თუ ეტყოდნენ ერთმანეთს, ნაცვლად „გამარჯება გაგიმარჯოს“-ი,— თავი დიდად სწავლულად და ბედნიერად მიაჩნდათ და ყველაფერი კარგად იყო ამ ყველაფრით საუკეთესო საქართველოში.

ამგვარი დაბნელება ქართული ენისა, მარტო ანტონ კათალიკოზის ბრალი როდი იყო. იგი. უეჭველია, სხვაზე უფრო დამნაშავე იყო ამ საქმეში, რადგანაც სხვაზე უფრო ბევრი უწერია იმას და მის ნაწერებს სხვაზე უფრო დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოში, მაგრამ ბნელად და გაუგებრად გამოთქმა აზრებისა საზოგადო იყო მთელს მე-18 საუკუნის მწერლებიათვის, შემდეგ ვახტანგ მეფისა და მის თანამედროვეთ—სულხან-საბასი და დავით გურამიშვილისა.

ბნელად, გაუგებრად და უკანონოდ სწერდნენ ის ღირსეულნი მღვდელთმთავარნი და სმღვდლო პირნი, ქართველთაგანნი, რომელნიც იღვწოდნენ რუსეთში ქართულის „დაბადების“ გამოცემისათვის; ბნელად და გაუგებრად სწერდნენ ყველა, სახელმწიფო მდივნები, სოლომონ მსაჯულდამ დაწყებული, ყველა გუჯრების და სიგელების მწერლები; ბნელად და უაზროდ სწერდნენ თვით პოეტები, რომელთაც შეიძლება ბევრი ჰარმონია ჰქონდათ, მაგრამ კაცური აზრი და ღვთისაგან განაჩენი არა მოეძიოდათ რა. უაზრობა მეტადრე ამ უკანასკნელებისათვის მიუნიჭებია ბოროტ ხვედრს.



ჩელიშვილი.

ბარონ გრიგოლ ვლადიმერისძე როზენი. თბილისი, 1896 წ.

საუბედუროდ ჩვენი ძველითი-ძველად ასეთი წესი იყო: ვინც ანაბანა იცოდა, უთუოდ ლექსების მწერალი იყო და უთუოდ საარწიყო ან საღვთო ლექსებით იწყებდა თავის დაუპატიებელ მსახურებას ქართული მწერლობისადმი. მაგრამ რა იყო და არ იყო, მაღალო ღმერთო პარნასისაო, იმათი ნაწერები?

პოეზია ისე იყო გარყვნილი, რომ სწორად ვთქვა, თვით ბესიკიმ და ალექსანდრე ჭავჭავაძემ ვერ გაითავისუფლეს თავი სრულად ამ საზოგადო უაზრობისაგან.

არ ვიცი ჩვენი ძველი მწერლობის გარემოება და ვერ ვიტყვი რისგან მოხდა ამ მშვენიერი ენის დაბნელება, რომელიც ანდამატებით ბრწყინავს დავით-სახარებაში და ვისრამიან-ვეფხისტყაოსანში, — სპარსეთის წყალობაა, უეჭველია, ან რუსულ-ლათინურისა, მაგრამ ის კი ცხადია, ჩემთვის, რომ ჩვენი ძველების გონება გარჩევით ვერას ხედავდა ქართულ წიგნებში.

მეფე გიორგი, რომელსაც მემკვიდრეობის დროს თვით ბიძა მისი ანტონ კათალიკოზი უკითხავდა თავის ფილოსოფიას. ენერგიულად იტყოდა: „არა მესმის ესე, ვნაყავ წყალსა“. ღმერთო შეგცოდდე და, მგონია ამ მეფეს მთელი მისი სამეფო ეხმარებოდა წყლის ნაყავაში.

იმ საუკუნის ბოლოს საქართველოს პოლიტიკური ბედი რომ არ შეცვლილიყო, ანტონ კათალიკოზის მეტაფიზიკისა და ენის მეფობა დიდ ხანს გასტანდა და სულთა-მხუთავი უაზრო რახა-რუბი სიტყვებისა დიდ-ხანს დააგვიანებდა სანათურის და ჰაერის შეტანას ქართველის გონებაში. მაგრამ დრონი იცვალნენ და ანტონის ფილოსოფიამ გზა მისცა ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას. ახალმა ცხოვრებამ ახალი მწერლობა დაბადა.

ეს მწერლობა ერთბაშად როდი მოსულა. ამ საუკუნის დასაწყისს ქართველი კაცის გონება სულ სხვა საგანს დასტრიალებდა თავს, ვიდრე მწერლობას. შინ მწერლობისა ვისა სცხელოდა, გარედ ხომ ქვეყანა ინგრეოდა. ათასსა და ორთ-ათასს წელში დატკეპნილი საზოგადო ცხოვრების ნიადაგი ფეხქვეშ დამ უსხლტებოდა ჩვენს ქვეყანას და ახალ ცხოვრებას ახალი განწყობილების დაქერა სჭირდებოდა. პოლიტიკური და საზოგადო კითხვები სრულიად ისაკუთრებდნენ ქართველების ყურადღებას. მწერლობა იღვა შორს, ძლიერ შორს, სადღაც მეათე, მეთორმეტე პლანზე. ეს ღვთის-წყალობა ქართული ენა ხელთ გვჭონდა კავშირად და სახსოვრად ძველის დროებისა, მაგრამ მწერლობაზე ფიქრს სორგუნავდა სხვა, უფრო მწვავე, სასტომაქო კითხვები.

ამგვარი ჩამოქვეითება სულიერი ინტერესებისა, რასაკვირველია, ცუდად მოქმედობდა მწერლობის წარმატებაზე. არამც თუ ახალი მწერლების გამოჩენა რჩებოდა შეუმჩნეველად საზოგადოებაში, თვით მწერლობა მიფარებული იყო თვალთაგან.

ამის მიზეზი პოლიტიკური გარემოების გარდა, სხვათაშორის ისიც იყო, რომ ჩვენს ცხოვრებას აკლდა სტამბა, რომლის გარეშე არავითარი სულიერი წარმატება არ არსებობს თანამედროვე საზოგადოებაში. ვახტანგ მეფის სტამბა აღა-მაჰმად-ხანმა დასწვა; იოსებ სამებელის სტამბა, სტამბა ბაქარისა, საჩხერეს

სტამბა, ქრისტესია მღვდლის ბადრიძის სტამბა ან სულ ერთიანად გაუქმდნენ, ან თუ იმათგან ვადარჩენილი ასოები კიდევ სხვა რასმე ბეჭდადნენ, ეს იყო ან სამღვთო წიგნები, ან ისეთნი, რომელთაც თანამედროვე მწერლობასთან არაფერ-თარი კავშირი არ ჰქონდათ.

გრიგოლ ორბელიანი კი არა, შილლერი რომ დაბადებოდა ამ დროს საქართველოს, იმასაც უბით უნდა ეტარებინა თავისი ნაწერები და მომავლის დროისათვის შეევედრა თავისი დიდი იმედები.

ისეთი კაცი, ან მკითხველი საზოგადოება სად იყო ამ დროს, რომელსაც ნიჭიერი მწერლის ნაწერი წაეკითხა და ახალი მწერლობის მოახლოება ეგრძნო.

მაგრამ ცოტ-ცოტათი დრომ თავისი გაიტანა. ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ახალი ცხოვრების მეოხებით მოიწმინდა მოღრუბლული ცა მეთვრამეტე საუკუნის მწერლობისა და გონების მოძრაობისა. ახალმა, ციციანოვისაგან დაფუძნებულმა სასწავლებელმა და ახალი რუსული მწერლობის გაცნობამ ცოტ-ცოტად გაათავისუფლეს ქართველთა მოზარდი თაობის გონება საეკლესიო მეცნიერების მონობიდან და გზამიუგნებელ ფილოსოფიიდან. გაჰქრა სამუდამოდ უნდილი ენა ანტონ კათალიკოზისა და დამკვიდრდა იმის ნაცვლად სუფევა ყოველთათვის გასაგები, უბრალო ქართულის ფრაზიორობა.

ნამდვილმა, გულის სიღრმიდან ამოსულმა და გულისავე სისხლით შეღებილმა პოეტურმა გრძნობამ დასთრგუნა ის ნაწილი ქართული მწერლობისა, რომელსაც შეცდომით ქართულ პოეზიას ეძახდნენ. ნაცვლად მოჩვენებათა, რომელნიც უგალობდნენ მოჩვენებათ, გამოჩნდნენ ნამდვილნი პოეტნი, რომელნიც რაცხვიდენ კაცის სულიერ მოძრაობას და მისს გრძნობას.

ამ სამწერლო რევოლუციის მოთავენი არიან ის პირნი, რომელთაც პირველად წეასრულეს სწავლა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. იმათ რიცხვში თავი და პირველი ადგილი უჭირავს გრიგოლ ორბელიანს.

XXIV

ორბელიანმა, როგორც ადრე ვთქვით,<sup>1</sup> ქართული წერა-კითხვა ანჩისხატის დეკანოზისაგან ისწავლა. შემდეგ ქართულ ენაში განვითარება განაგრძო იმან კეთილშობილთა სასწავლებელში მღვდელ ხელაშვილისაგან, რომლის გრძელ-კანკებიანი სიტყვები „გაისიერნ-ქალწულ-პაერე“ სიკვდილის დღემდის არ დავიწყებია. თუ არ უმეტესი, არა ნაკლები მასწავლებელი ქართული ენისა იყო პოეტისთვის მისი საკუთარი ოჯახი და ნათესაობა, საცა ლაპარაკობდენ საუკეთესო ქართულს კაცები და მეტადრე ქალები.

მამა მისი, როგორც ვნახეთ, მღვდელ-დიაკვნებს კითხვას უსწორებდა, როცა იმათ ალლილუია რამე შეეშლებოდათ, მისი ნათესავი ქალებიც დიდნი მცოდნენი იყვნენ მწერლობისა. რამდენჯერ მოუწერიათ პოეტისათვის ამ ქალებს. — სხვათა შორის მინანა ორბელიანისას, სალომე ქავეკაეძისას — რაიმე საამოდ

<sup>1</sup> იხ. „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“ — თბილისი—1905 წ., გვ. 19—ს. ც

საკითხი წიგნი ვადმოეთარგმნა იმას ქართულ ენაზე. ეს წიგნები მსურველთ დღესაც შეუძლიათ ნახონ პოეტის ქალაქებში.

ქართული ენის სწავლა პოეტს არც სამსახურში ყოფნის დროს შეუწყვეტია. საცა უნდა ყოფილიყო, რუსეთში, დაღესტანს, ზაქათალას, თბილისში, ის მუდამ თავს დასტრიალებდა ქართული ენის მშვენიერებას და თუ ცუდად დასწერდნენ ამ ენაზე, ან უკანონოდ ილაპარაკებდნენ, მისს მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. მისი საყვარელი წიგნები ქართულს ენაზე იყო: „დავითნი“, „სახარება“, „ვეფხისტყაოსანი“. ხშირად მოიგონებდა ეგნატე იოსელიანის სიტყვებს: „თქვენმა მზემ, რუსის მთავრობისა რომ არ მეშინოდეს, „ვეფხისტყაოსანს“ შევიტანდი და ზედ ტრაპეზზე დავასვენებდიო“.

„დავითნს“ ყოველ-დღე თითო კანონს კითხულობდა.

„სახარება“ არც ერთს ენაზე არ იყო ისე ლამაზად თარგმნილი, როგორც ქართულზე“.

რაც უფრო წინ მიდიოდა დროება და ქართულ ენას ივიწყებდა ჩვენი საზოგადოება, პოეტი უფრო და უფრო ეძლეოდა სასოწარკვეთილებას. „ასე გასინჯეთ—სწერდა პოეტი ჯავრიანად თავის რძალს, სოფიო ორბელიანისას— ჩემი იაკინთეს<sup>1</sup> ქალი ერთხელ შეუხებოდა: „მე კართული არ ვიცი“ და საბრალოსა დიდ ქებად ეგონა უცოდინარობა თავის ენისაო“.<sup>2</sup> მაგრამ თუ სადმე ვაიგონებდა კარგ ქართულს, მის აღტაცებას ბოლო არ ჰქონდა.

ერთხელ პრინცესსა სალომე მიურატის<sup>3</sup> მიეწერა პოეტისათვის წიგნი ქართულ ენაზე. ამას იმდენად ესიამოვნებია პოეტი, რომ მთელი მისი გულის ვარამი ეხლანდელ საზოგადოებაზე გადაეშალა იმისთვის პასუხად მისის წერილისა. აი ერთი ადგილი ამ წერილიდამ; ის დავგანახებებს რა მალალის აზრისა იყო პოეტი საშობლო ენაზე: „მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა, ჩემო მშვენიერო სალომე, და აბა როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიეღსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, იგი უნდა ცდილობდეს მის შესწავლებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარს ჰყოფდნენ ქართულს ენასა და შეურაცხებით ტუჩებ აშვერით ამბობდნენ: „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“. ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას უმეცრელია არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა! ენა არის შენახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმას მამა-პაპები, როგორ ჰსცხოვრობდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რას იმეღროდნენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდნენ, ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა, სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულსა, როგორიცაა გა-

<sup>1</sup> მესხიშვილი—პოეტის რძლის, ზაქარიას მეუღლის ძმა (ს. ც)

<sup>2</sup> წერილი 15 სექტ. 1875 წ.

<sup>3</sup> დავ. დადიანის ქალი, გათხოვილი ფრანგ აშილ მიურატზე (ს. ც.).





ხელისუფლება.

სალამო კულინოვისას, (პეტერბურგი).

ოაზინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა ირაკლიმ და გიორგიმ, რომელთაცა თავის ნებით, თავის სურვილით დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავის შვილებით და მისცეს თავის სამეფო რუსთ ხელმწიფესა. ოლონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად! სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოჰკლეს და არ უარყო მან ქრისტიანობა. ვანა ამისთანა ერის ენა და ისტორია, არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთის-მეტყველ-მქადაგებელთა, მერწმუნე, ჩემო, სალომე, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორც ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტებსა“<sup>1</sup>.

როცა ქართულ ურნალ-გაზეთებს კითხულობდა პოეტი, ან წიგნს, უმთავრესი მისი ყურადღება ენაზე იყო მიქცეული. ფერადი კარანდაშით აღჭურვილი, ის კითხულობდა ამ ნაწერებს და ყოველ შეცდომას, ენის წინააღმდეგ, ასწორებდა თაბახის კიდებზე. ვის არ მოხვედრია ამ კარანდაშის წვერი აკაკი-დამ დაწყებული ჩემამდის. თითო-თითო ყველას ერგო: გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ანტონ ფურცელაძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ეკატერინე გაბაშვილისას, ა. მოჩუბარაძეს.<sup>2</sup> ყველას თითო წიკიურტი, თითო კლანჭი.

ყველაზე უფრო გააფთრებული იყო პოეტი ნეტარ-ხსენებულ სერგეი მესხის წინააღმდეგ, რადგანაც ამ კაცს ორგვარი მოვალეობა აქენდა წინაშე ქართული ენისა, მოვალეობა მწერლისა და მოვალეობა გაზეთის რედაქტორისა.

პოეტი ტყუილად არ ამბობდა: ცუდი მწერლობა „თვით უკანონობას კანონად გახდის შემდეგათვისაო“. უწინ ეს მაინც იყო—ამბობს იგი ერთ წეროლში, —რომ ბერები მონასტრებში, ეკლესიებში მღვდლები და მეტადრე დარბაისლობაში ჩვენი ქალები დიდად უფროთხილდებოდნენ ჩვენს ენასა და ინახავდნენ შეურყეველად მისსა კანონებსა და მისსა სიწმინდესა, ვითარცა საუნჯესა. ახლა რედაქციის მეტი ვინდა დაგვრჩა ენის მფარველად, რომ—ესეცა ასე დაუდევრელად, გულ შეუტკივრად, ბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის ჰაზრით რედაქციას აძევს მოვალეობა, რომ სასტიკო ყურადღება მიაქციოს ჩვენს მართლწერაზედაც და კანონიერად ენის ხმარებაზედ, თორემ სრულებით უსარგებლოდ დაჰშობება ესოდენი მისი ღვაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვისათვის სიწმინდით ჩვენისა ენისა“<sup>3</sup>.

აქედან აიხსნება განბოროტება პოეტისა მესხის წინააღმდეგ. ის რას დასდევდა, რომ ს. მესხი წმინდა მოწამე იყო ქართული მწერლობისა, რომ იმან ამ მწერლობას, მთელი მისი სიყმაწვილე და შეძლება შესწირა, იმან ენა არ იცოდა და მაშასადამე, რედაქტორობა მისი საქმე არ იყო. „დროების“ 27 №-ში 1879-ს წელს ბაერელის ფელეტონის გამო, რომელსაც, სხვათა შორის, დაეწერა: „ამ სოფელი შორიდან ეტყობოდა, რომ ცეცხლს გადაეწვა“ პოეტი სწერს კარანდაშით შემდეგ უსიამოვნო სიტყვებს: „ოჰჰ, რა უბედური ენა შეიქმნა საწყალი ქართული ენა! ეს ცოდვა იყოს შენს კისერზე მესხი“ და სხვაგან, სხვა სტატიების და ფელეტონების გამო: „უზადრუკო მესხი, აქამდის ვერ ისწავლე

<sup>1</sup> წერილი 12 აგვ. 1877 წ.  
<sup>2</sup> აღ. ყაზბეგს  
<sup>3</sup> „ცისკარი“ 1874, სექტ. ოქტომბ.

ქართული და ვერც ისწავლი შენს სიცოცხლეში“ (1875 № 32); „მესხია ჩვენის ენისა აღმადგენელი, ვაი ჩვენს ენას, ვაი ჩვენს ლიტერატურას, ვაი თვით მესხის“, (1875—№ 134). განბოროტება ორბელიანისა იქამდის მივიდა, რომ პოეტმა ერთხელ ლექსით შერისხა იგი. ეს ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

ვერ ისწავლა მესხმა წერა  
ვერა ვერა

მგონი, ბევრს გაუგონია და წაუკითხავს, თუმცა მე კი არასოდეს არ მქონია შემთხვევა იმის ნახვისა.

მეორე რედაქტორის, გიორგი წერეთლის წინააღმდეგ პოეტმა მთელი სტატია დაბეჭდა „ცისკარში“. ეს სტატია თითქმის მთლად ენის უსწორ-მასწორობას ეკუთვნის. პოეტი ჰყვედრის ჩვენს ნიჭიერ ბელეტრისტს, რომ ის ხშირად ზედ-შესრულ სახელებს არ ათანხმებს არსებით სახელებთან, ქვემდებარეს შესმენილთან, რომ წერაში ის ხან მოუსომხებურებს ქართულ ენას, ხან მოურუსულებს. ქართული ენა კარგად რომ სცოდნოდა გ. წერეთელს ის როგორ იტყოდა: „ყოველი კაცის“ (ნაცვლად „ყოვლის კაცის“), „სტუდენტები დაგვიხვდა“ (ნაცვლად, „სტუდენტები დაგვიხდნენ“), „თავი გავიქნიე“ (ნაცვლად „თავი გავაქნიე“), „შავი წვერები“ (ნაცვლად „შავი წვერი“) სადაური ქართული იყო „საკუთარი ფეხებით ჩემ აზრზე დამდგარ-ვიყავ“? ვის გაუგონია: „აქვარტალდებოდა“, „შემოასხვერტებენ“. „ჯერ გარიბალდის ფონი გასავალსა აქვს“ და სხვ. ათასი კაცი კითხულობდა ამ გვარ ენის უკანონობას და ათასი კაცი უკანონო წერა-ლაპარაკს ეჩვეოდა.

სხვა მწერლებიდან მაგალითების მოყვანამ ვაი თუ შორს წაგვიყვანოს და ამიტომ თავს ვანებებ დანარჩენებს. მხოლოდ ერთზე კი ვთხოვ ნება მომეცეს ორბელიანის აზრი მოვიყვანო აქ. რადგანაც ეს ერთი ყველაფრით განსხვავებულია ჩვენს მწერლობაში: აკაკიზე. აკაკის ლექსს ისე არ წაიკითხავდა პოეტი, რომ ქვეშ არ მოეწერა: „ბარაქალა, აკაკიავ! „მაშალაპ! აკაკიავ“, „შენ მიინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა, აკაკიავ“ და სხვ. მაგრამ პროზაში კი ის არა ყოველთვის იყო მისი თაყვანისმცემელი. „დროების“ ერთ ნომერში, რომელშიაც აკაკის მაქაბელაძის შესახებ დაბეჭდა „მცირე შენიშვნა“, ორბელიანი სწერდა სიყვარულით: „უი, შე ღვთიკელა იმერლო, როდის ისწავლი ქართულსა!“<sup>2</sup> ორბელიანის პოეტურ ენაზე ჩვენ ქვემოთ გვექნება შესაიფი, მანამ ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ მის გრამატიკაზე და ლექსიკონზე.

ორბელიანი არ არის სამაგალითო მცოდნე ქართული ენისა. ხშირად იგი დიდის გაჭირვებით წერს ქართულს და რომ პოეტური ძალა არ უდგამდეს მის პროზას სულს, მისი ენა ბევრით არ იქნებოდა სხვაზე უმჯობესი. ზოგიერთ ფრაზებს იგი რუსულიდან სთარგმნის და ზოგიერთს, როგორც თითონ თქვენ დაინახავდით ზემოთ, გაჭირვების დროს, სულ რუსულად ამბობს.

ლექსის წერაში კი ამ მხრით იგი თითქმის უცოდველია. მე არა მგონი რომ მისი ერთად ერთი „წარღვნითა ემუქრებიან“, ნაცვლად „წარღვნასა ემუქრებიან“ დიდი შეცდომა იყოს. ხომ ამბობენ „ჯოხითა ემუქრებიან“, „ხანჯლით ემუქრებიან“ და სხვ.

<sup>1</sup> დროება № 101.1876

მისი გრამატიკა, რომლის უცოდინარობას პოეტი ჰყვედრიდა ახალ მწერლებს სულ უბრალოა. ორ მის ნაწერში იაკინთე ალექსიევი-მესხივითან და გიორგი წერეთლის სვანეთის მოგზაურობის გარჩევაში პოეტი ჩამოუთვლის მკითხველს შემდეგ კანონებს ენისას და მართლ-წერისას: 1. ზედ-შესრული, ნაცვალსახელი, მიმდგობა და მათი არსებითი სახელი უნდა ექცეოდნენ ერთს ბრუნვაში და ერთს რიცხვში: კეთილი კაცი, კეთილის კაცისა, კეთილსა კაცსა და არა კეთილი კაცისა, კეთილ კაცსა; 2. ზნა და მისი უფალი უნდა ექცეოდნენ ერთს პირში, ერთს რიცხვში და ერთს დროში; 3. თანდებული ზედა, ანუ ზე, შინა, ანუ ში, მოითხოვენ მიცემითსა ბრუნვასა. არ უნდა ვიტყოდეთ: „ჩემი ახალი სახლში მობრძანდით“, არამედ „ჩემს ახალს სახლში მობრძანდით“. თვით იმ არსებითმა სახელმა, რომელსაც მოემატება ბოლოს თანდებული „ში“, უნდა შეინახოს დასასრულში მიცემითი ბრუნვის დაბოლოება ს. (ეს უკანასკნელი აზრი პოეტმა შესცვალა შემდეგში. ის სწერდა: „ვინიცოხაა თუ ეს მოხსენებული ტეორია მართლად დაძველდა, გაცუღდა და აღარ შევნიას აწინდელსა ჩვენს ენასა, მაშინ არ შეიძლება, რომ დაიდვას კანონად ესე—უკანონობა კი არ შეიძლება—სიტყვა, რომელსაც უნდა მიემატოს თანდებული, დაიდვას წრფელობითში, მაგ. ქვეყანაზე, მიწაში, ხეში, ხეზე, ოქროში, ოქროზე და სხვანი; მაგრამ ამ სიტყვებსა თუ აქვსთ ზედშესრული, მაშინ ესე უკანასკნელი კი უთუოდ მიცემითში უნდა იყოს, მაგ. მალალს მთაზე, ჩემს ქვეყანაში, ფოთლიანს ხეზე, ღრუბლიანს დღეში და სხვ: რათა იგულისხმებოდეს მაინცა, რომ არამართო ზედშესრულნი, არაჲდ არსებითნიც არიან მიცემითში“). 4. მართლწერის კანონები ითხოვდა გვეყერა: ჰერი, ჰაზრი, თავი, თვისება; ზღუა; ქუა; ჩუჴნ, თქუჴნ იმისთვის, რომ გამოთქმის დროს ეს და სხვა ამათგვარი სიტყვები ყურში ასე გვესმის და არა ისე, როგორც ეხლანდელს მწერლობაში სწერდნენ იმათ. ამავე გამოთქმის ძალით: შემოქმედებითი ზმნის მიმოხერას მუდამ უნდა ეხმარებოდეს ასო ჰ: ვჴსწერ ჰსწერ ჰსწერს... და ზმნის ზედა უთუოდ უნდა დაბოლოვდებოდეს დ-ზე და არა თ-ზე მსგავსად, კეთილად, ცხადად და სხვადასხვა.

აი ეს კანონები იყო პოეტის ციხე-დარბაზი, საიღამაც ის ებრძოდა მოწინააღმდეგე რაზმთა. როგორც ხედავთ დიდი არაფერი იყო ეს ციხე და ვახტანგ მეფის სიტყვების არ იყოს „ეს კანონები მე კი დავსწერე, მაგრამ არა მგონი ქართველებმა აასრულონო“, არც პოეტს ჰქონდა იმედი, რომ იმის რჩევას აასრულებდნენ ქართველი მწერლები. და რალა მწერლები, თითონ პოეტი არ მისდევდა თავის თეორიას თავის ნაწერებში.

## XXV

ეხლა მინდა ორბელიანის ნაწერებზე დავიწყო ლაბარაკი, მაგრამ საქმე ის არის, რომ კიდევ შემეძლოს იმის ღირსების დაფასება ენა კი მომცემს ნებას ჩემი აზრი გამოვხატო თავისუფლად? შეუძლია დღეს ქართველ მწერალს თუნდ აკაკი ერქვას იმას, თუნდ ილია, თუნდ თვით გრიგოლ ორბელიანი—ილაპარაკოს თავისუფლად პოეზიაზე და მისს ათასს გვარ სხვადასხვაობაზე ისე, რომ ათასჯერ არ გადაიმეტრიოს ხელში კალაში და ფრაგები არ შეაქრას თვისს ფე-



მე. ზელიშვილი.

ცნობა რევინორის მოუღივანელი ჩამოსვლისა.

რად აზრებს, რომელთაც ჩვენ აღზრდის პირობათა გამო რუსულ ენაზე ვადგენთ ჩვენს გონებაში? არა. არ შეუძლია. არ შეუძლია არა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ ქართული ენა, არ შეუძლია, იმიტომ რომ ქართული ენა არ არის საკმაოდ შემუშავებული და მდიდარი, რომ იმაზე შეიძლებოდეს თავისუფლად ლაპარაკი და წერა ისეთ ყველ-პურისაგან ვაშორებულ საგნებზე, როგორც არის კაცის სულის სფერა და სხვა მაღალი აბსტრაქტული საგნები, რომელნიც შეიქმნენ პოეზიის შინაარსს. მეთვრამეტე საუკუნემ აშკარად დაგვიანახა რამდენად მართალი არის ეს აზრი. უაშისობაც არ იქნებოდა. საზოგადოდ რომ ენა მდიდარი იყოს, რომ ამ ენას დიდი მწერლობა ჰქონდეს და დიდი მწერლები ჰყავდეს პირველი და უკანასკნელი პირობა ის არის, რომ ამ ენას რამდენიმე მილიონი კაცი მაინც ლაპარაკობდეს. ბერძნულ და ლათინურ ენებზე ლაპარაკობდა რამდენიმე მილიონი, ახალ ენებთაგან ინგლისურზე ლაპარაკობს 115 მილიონი კაცი, ფრანგულზე 45 მილ.—ნემეცურზე 100, მილ.—რუსულზე 102—ამის გამო ყველა ეს ენებიც მდიდარია და ყველა ამათ დიდი მწერლები ჰყავთ. ჩვენი ტომი კი არასოდეს არ გადასცილებია ერთს ან ორ მილიონს. გვეტყვიან: ცოტანი ლაპარაკობდენ ქართულ ენას, მაგრამ მაგიერად დიდხანს ლაპარაკობდენო. ეს კი მართალია, დიდი ხნის პრაქტიკას მართლაც უნდა გამოეყვიდა სიმცირისაგან მომხდარი ნაკლოვანება ენისა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში სულ სხვას ვხედავთ. ცუდი ისტორიულ პირობების წყალობით, მეათე-მეთერთმეტე და მეორამეტე საუკუნეში უკეთესად ლაპარაკობდენ და სწერდენ, ვიდრე მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში. თუთხმეტი უმკველი საუკუნე მაინც არის მას აქეთ, რაც ჩვენში მწერლობა არის და ჩვენ დღემდის ვერ გადაგვიწყვეტია როგორი ბოლო უნდა ჰქონდეს ჩვენს სიტყვებს: „უფი“ თუ „ებუფი“, „ცია“ თუ „ციონი“. თუთხმეტი საუკუნე, ესე იგი ისეთი დიდი ისტორიული პერიოდი, რომლის წინათ არ იყო ქვეყანაზე არც ერთი ეხლამდელი ევროპული ენა: არც რუსული, არც ინგლისური, არც ფრანგული, არც ნემეცური... მას აქეთ ახალნი ხალხნი დაიბადნენ, ახალნი ენები გამოჩნდა, ახალნი მწერლობანი დაფუძნდნენ, რომელთაც ანბანიდამ დაიწყეს და შექსპირ-გიოტემდის ავიდნენ და ეს ჩვენი ენა კი ისევ იმ ერთ ალაგზე არის და სდგას, საცა ათასი წლის წინათ „მამაო ჩვენოს“ სთარგმნიდა პირველი ქართველი ქრისტიანი. და დღეს ქართველმა მწერალმა, რომელიც ქართულ ლექსებზე აპირებს ლაპარაკს არ იცის რა ჰქნას, როგორ გაავებინოს მკითხველებს მნიშვნელობა ისეთი სიტყვისა, რომელიც ყოველი ესთეტიკის კრიტიკოსისათვის შეადგენს ანაბანას. კიდევ კარგი, თუ ისეთი სიტყვები მოჰყვა კალამს, რომელნიც საზოგადო ხმარებაში არის მთელს ევროპაში, როგორც მაგალითად ჰარმონია, სიმეტრია, ცეზურა, იდილია, დრამა, იდეა, იდეალი... ამ სიტყვებს, ბევრიც რომ იჯავრონ პურისტებმა, ჩვენ ქართულად ვიხმართ, მაგრამ როგორ უნდა გამოხატოს ქართველმა მწერალმა: творчество, вдохновение, ощущение, восприятие, отвлечение, душевное настроение, миросозерцание, обаяние, штрихи და სხვა ამგვარი სიტყვები, იმან ჯერ ბევრი უნდა ეძებოს, იმდენი ეძებოს, სანამ არ დაავიწყდება თვით ის აზრი, რომლის გამოთქმაც უნდოდა და მერე, რომ ვერ

<sup>1</sup> ეს ციფრები ეყუთენის დოქტორ ბერტილიონის გამოკვლევას.

მოკვის გამოხატოს თავისი აზრი როგორმე... დაახლოვებით... ისეთი სიტყვებით, რომელთაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ამ ძეხვამ და რჩევამ ხომ შეუძლებელი გააკეთა ჩვენი ნაწერის ძალა. ხომ აზრი ამ შემთხვევაში ზელტერის წყალს დაემსგავსა, რომელსაც თუ ხანი დაეყოფნდა სტაქანში, ერთმეფა ყოველი თავისი სუსხი და ძლიერება? ხომ წაერთვა იმას სინამდვილე, რომელიც შეადგენს მიუცილებელ თვისებას კარგი ნაწერისას? ხომ მოგველო ჩვენ შეძლება თითონ შევიდეთ მოძრაობაში, ავაჩქაროთ ენა და ფეხი, ავიყოლიოთ მკითხველი და დავტყუოთ იგი, გავიტაცოთ და საბოლოოდ რაიმე ძლიერი შთაბეჭდილება დავუტყუოთ იმას ჩვენი ნაწერ-ნალაპარაკებითა!

ეს ერთი დაბრკოლება ბეჩავი ქართველი კრიტიკოსისა. მეორე უფრო ნაკლები, მაგრამ მაინც საგრძნობელი და თავსატეხი დაბრკოლება ის არის, რომ ჩვენს ხალხში ძლიერ ცოტა ცნობებია გავრცელებული ხელოვნებაზე. ჯერ-ჯერობით არც ერთი თხზულება არა გვაქვს ამ საგანზე. ქართველმა მკითხველმა დღემდის არ იცის რადარა საგნები შეადგენენ ხელოვნებას, რომელ ხელოვნებას ვინ ჰყავდა უმთავრესი წარმომადგენელი, როდის დაიწყო, როგორ აღორძინდა, რა მდგომარეობაში არის ესლა თითოეული ამ ხელოვნებათაგანი. ულიტერატურო და უმუხუზმო ქვეყანაში იმას არც წაუკითხავს და არც უნახავს ამ ხელოვნებათა უწარჩინებულესი ქმნილებანი. ხელოვნების კრიტიკოსებისა მით უმეტეს არა გავგებათ რა. პლატონი, არისტოტელი, პორაცი, ბუალო, ლესინგი, სენობიოვი, ტენი, ბელინსკი, იმათთვის უცნობი სახელებია. ან თუ პირველი ორი სახელი გაუგონიათ, როგორც ფილოსოფოსებისა და არა ხელოვნების უფალთა. ამ გვარ პირობაში ხელოვნებაზე ლაპარაკი მეტის-მეტად ძნელია. ჩვენში, ჯერ კრიტიკა კი არა ანაბანადამ დაწყებული სახელმძღვანელო უნდა დაიწეროს ხელოვნებისა მოკლე მოთხრობით, როგორ დაიწყო და ფეხი აიდგა თითოეულმა ხელოვნებამ, ვინ იყვნენ და რით არიან შესანიშნავი ხელოვნების უფალნი: ჰომიროსი, ვირგილი, დანტე, შექსპირი, გიოტე, ვიქტორ-ჰიუგო, პუშკინი, ფილია, მიქელ-ანჯელო, გუდონი. რაფაელი, ტიციანი, მურილიო, ბეტ-ჰოვენი, მოცარტი, ბულონი, გუნო, ვერდი, და მხოლოდ შემდეგ მოხერხდება თავისუფლად ლაპარაკი ხელოვნებაზე.

პირველი დაბრკოლება სტიქიონური დაბრკოლებაა, რომელსაც ჩემდა-თავად ვერას გზით ვერა ვსძლებ. სასწაულთმოქმედება უნდა თავს-ვიდვა — უნოდ ლაპარაკი დაიწყო და შთაბეჭდილების მოხდენა ზრახვად ვიქონიო. მეორე დაბრკოლების შესამსუბუქებლად კი ნებას ვითხოვ რამდენიმე გვერდი ამა წიგნისა მოვანმარო საზოგადოდ ხელოვნებაზე და პოეზიაზე ლაპარაკს. უამისოდ პირდაპირ მეძნელება ორბელიანის ნაწერებზე გადასვლა.

შაირობა — ის ხელოვნება, რომლებზედაც რუსთველი ამბობს სიბრძნისა ერთი დარგიო — ერთი იმ ხუთთა დიდთა ხელოვნებათაგანი არის, რომელთა შემწეობით კაცი სახავს მშვენიერებას, არა მარტო თვალთა წინ გაშლილს ბუნების დაუსრულებელს მშვენიერებას — ამ შემთხვევაში შაირობა უბრალო ხელობა იქნებოდა ფოტოგრაფისა, არამედ უფრო და უმეტესად ხატავს და სახავს ისეთ მშვენიერებას, რომელიც თვით ხელოვანის გონებაში დაიბადა და მისმა მდიდარმა ფანტაზიამ შეამკო. ეს არის კლასიკური, ბერძენ-რომაული განსაზღვრა

შიარობისა, რომელსაც დღემდის შესავალი არა აქვს. ხელოვნება, რა გვარადაც უნდა განმარტონ ის, მიუცილებლად უნდა იყოს მშვენიერი, თვალ-ყურისათვის საამო, გრძობა-გონების დამატკობელი. იმას სახელადაც იმიტომ ჰქვიან მშვენიერი ხელოვნება, *прекрасное искусство, beaux-arts*.

მშვენიერებას სხვადასხვა გვარად დახატავს ხელოვანი: ან კარგი შენობით, ან კარგი სტატუთით, ან კარგი სურათით, ან კარგი ხმით, ან კარგი წერა-ლაპარაკით. მეცნიერება, რომელსაც აქვს სავანად მშვენიერების გამოსახვა იმ ხუთ გვარ წყაროს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც კაცის ნიჭიერებას შეუძლია ღვთაებრივი მოქმედებითი ძალა გამოიჩინოს—მშვენიერი საგანი დაბადოს ქვეყნად. ამ წყაროებისადა გვარად თვით ხელოვნება მშვენიერებისა იყოფა ხუთ სხვადასხვა სახეობად, რომელნიცა არიან: არქიტექტურა, სკულპტურა, მხატვრობა, მუსიკა და პოეზია.

ესენი საგნით არ განირჩევიან ერთი მეორისაგან, ყველა ამათი დანიშნულება ის არის, რომ მშვენიერი საგანი დასახონ ქვეყნად. განსხვავდებიან იგინი მარტო საშუალებით: სკულპტურა და არქიტექტურა დაფუძნებულია ფორმებზე, მხატვრობა-ფერადობაზე, მუსიკა—ხმაზე, პოეზია—სიტყვაზე.

პირველი ადგილი ამათში უჭირავს პოეზიას. იმას ისეთი მასალა აქვს აღსაგებად თავის მშვენიერის ქმნილებისა, რომ შეუძლია გამოსახოს არქიტექტორის ტაძარ-სასახლეც, სკულპტორის სტატუთიც, მხატვრის სურათიც, მუსიკოსის მელოდიაც და თან მთელი ეს გონება მიუვალი მსოფლიო, მთელი ეს ხილული და უხილავი ქვეყანა, ყველაფერი, რასაც კი კაცის ფიქრი მისწვდება და რას არ მისწვდება ეს ფიქრი—წყარო და შემოქმედი სიტყვიერების მშვენიერებისა, ამასთან სხვა უპირატესობაცა, თვალთათვის საამო პლასტიკურს ხელოვნებას არქიტექტურას, სკულპტურას და მხატვრობას—მარტო ერთ რომლისაში მომენტის წარმოდგენა შეუძლია ცხოვრებიდამ, როგორც მაგ. ვარანცოვის ძეგლი<sup>1</sup> წარმოადგენს კავკასიის მთავარმართებელს ფეხზე მდგომარედ, ქულდ მოხდილად და დაფიქრებულად შორს განხედად, ან ბეთანიის თამარ მეფის სურათი წარმოადგენს თამარ მეფეს განზე მიმართულის ხელებით. პოეზიას კი შეუძლია გამოხატოს, როგორც ერთი მომენტი, ისე სხვა მომენტებიც—წარსულიც, აწმყოც და მყობადიც კერძო პირისა, თუ საზოგადოებისა (ლუარსაბ თათქარიძე, თორნიკე ერისთავი, ელაგუჯა), ამ მიზეზთა გამო პოეზია ყველა სხვა ხელოვნებაზე უფრო გავრცელებულია კაცობრიობაში.

განსაზღვროთ ეხლა დაწვრილებით ეს ხელოვნება. რა არის პოეზია და რით განირჩევა ის მეორეგვარის მწერლობისაგან, რომელსაც ეტყვიან პროზას სხვადასხვა განსაზღვრებიდან, რომელიც ოდესმე მსმენია ან წამიკითხავს პოეზიაზე თუ არ ყველაზე ნამდვილი, ყველაზე მარჯვე და მარტივი განსაზღვრება არის შოპენჰაუერისა. ფილოსოფიის ესთეტიკა ამბობს: „პოეზია ისეთი ხელოვნებაა, რომელიც სიტყვის საშუალებით ფანტაზიას მოძრაობაში მოიყვანს“. ამ გვარადვე საზღვრავს პოეზიას სენობიოვი. „პოეზია—იმის სიტყვით—ის კი არ არის კაცს სულ ყველაფერი უთხრათ, ის არის, რომ იმას სულ ყველაფერზე ოცნება აუშალოთ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იდგა ახლანდელ კარლ მარქსის მოედანზე,—ს. ც.

<sup>2</sup> La poésie ne consiste pas à tout dire mais à tout jaire rever.





მხ. ჩელიშვილი.

ლეკური სოფ. მეჯვრისხევეში (გორი 1841)

ეს ფანტაზიის აშლა და მუშაობაში გაბმა შეადგენს მიუცილებელ პირობას პოეზიისას. საცა ფანტაზია არ მუშაობს, საცა ოცნება არ არის, საცა ჩვენ არა თუ არა ვართ მონაწილენი პოეტის ფანტაზიის მოძრაობისა, არამედ არ ვედევნებით, და არ უწინაურდებით იმას, არ ვივანებთ პოეტის განზრახვას, არ ვადიდებთ და არ ვამცირებთ ჩვენებურად მის აზრს, რომელიც ხშირად სამი წერტილით არის გამოთქმული, ერთი სიტყვით, როცა, გიორგი ერისთავის თქმისა არ იყოს, არ დაენაგარდობთ ღრუბლებში და ოცნებაში, იქ პოეზიაც არ არის. იქ ფილოსოფიაა, იქ დრამაა, იქ სულ ყველაფერია, გარდა პოეზიისა. პოეზია, ფანტაზიის მოკლებული, უნაყოფო ბერწია, რომელსაც არავითარი საზრდო არ მოაქვს სულისთვის.

როგორცა ვთქვით, ფანტაზია—ორგანო პოეზიისა—უნდა იყოს გამომხატველი მშვენიერებისა. მაგრამ საქმე ის არის, თუ რა არის თვით მშვენიერება? ჩვენ რომ ვთქვათ: მშვენიერება ისეთი რამ არის, რასაც სრული სიმეტრია აქვს ნაწილებისა, რაც სრული ჰარმონიის მექონია, ან კიდევ: რაც უტყუარი სახეა ნათესავისა, რასაც სინათლე ახლავს და სიმართლე, რაც ანდამატებით იზიდავს ჩვენს თანაგრძნობას და სხვა ამგვარები ჩვენ მაინც ვერ განვსაზღვრავთ მშვენიერებას, რადგანაც იმისი გრძნობა უფრო ადვილია, ვიდრე განსაზღვრა. ის არის რალაც ზეცოური, ღვთაებრივი ძალა. რომელიც გადმოაფენს რა ჩვენზე თავის სხივებს, აღძრავს გულში სიხარულს უნებლიეთ მიიტაცებს იმას და პატიმარ-ყოფს, როგორც სიყვარულს, თავის წინამძღვარსა და განუყრელ ამხანაგს, იმასაც შეუძლია უთხრას მოეტმა მისი ცნობილი:

„... ძალსა შენსა ვინ არს, რომელ არ მონებდეს“.

იმის მონაა კაცი გულითაც, გონებითაც. გულით იმიტომ, რომ ის განათლებულია მშვენიერების და სიკეთის სხივით; გონებით, ამიტომ, რომ იგი ხედავს ამ მშვენიერებაში ქეშმარიტებას. ამ ადგილზე პოეზია უერთდება ფილოსოფიის და ეთიკას. მშვენიერების გამომხატველმა ხელოვნებამ უნდა დაუახლოვოს ჩვენი სული კეთილისა, ქეშმარიტების და მშვენიერების იდეალებს, უნდა აღგვამალლოს ჩვენ და შეგვაყვაროს სულ ყველაფერი ის რაც კარგი, მშვენიერი, მაღალი, დიდი. უნდა მიმართოს ჩვენი ზნეობაც კეთილად, უნდა „გაააზნაუროს“ როგორც ამბობდა ბატონიშვილი დავით, ჩვენი ბუნება, დაბადოს ჩვენში სიყვარული იდეალისა, დაუსრულებელისა, ერთი სიტყვით იქონიოს ჩვენზე არა მარტო ესთეტიური ზემოქმედება, არამედ მორალურიც. ამიტომაცაა, ამბობენ ხელოვნებას კაცის ველური ბუნების მოტეხაში დიდი ადგილი უჭირავსო.

მწერლობის ისტორია ორ გვარ უმთავრეს განმარტებას წარმოადგენს მშვენიერებისას. ერთი ეკუთვნის პლატონს, მეორე—არისტოტელს.

პლატონის აზრით პოეზიამ და საზოგადოდ ხელოვნებამ უნდა გამოსახოს მშვენიერება ღვთაებრივი. იდეა მშვენიერებისა, როგორც საზოგადოდ ყველა სხვა იდეა, არსებობს შექმნილად დასაბამიდან სოფლისა, პოეტმა უნდა იხილოს ეს იდეა და გამოსახოს იგი. ამ გვარად პოეზია აჩრდილია ოდენ იდეალურ ღვთაებრივი მშვენიერებისა.

არისტოტელი ითხოვს ხელოვნებისაგან ბუნების მიბადვას, პოეტმა ის უნდა გამოსახოს თავის ქმნილებაში, რაც არის ქვეყნად, რაც იმას უნახავს, რაც გაუგონია. მხოლოდ სახელდობრ ესა და ეს საგანი, ესა და ეს კაცი, ესა და ეს ფაქტი კი არა—ეს რომ ასე იყოს მაშინ ქმნილება არ იქმნება—უნდა ბევრი ნახული საგნებისაგან, ბევრი კაცისაგან, ბევრი ფაქტისაგან ერთი რამ გამოხატოს, რომელშიც ყველა კერძო საგნების თვისება იყოს შეერთებული, რომელიც ამგვარად იქნება ის, რასაც ჩვეულებრივად უწოდებენ ტიპად, ან იდეალად. ე. ი. ნათესავის წარმომადგენლად.

ამ ორ ფილოსოფოსთა განმარტება მშვენიერებისა დაედვა საფუძვლად ახალი დროების შეხედულებას პოეზიაზე. ზოგთა სრულებით უარ-ჰყვეს ბუნების მიბადვა, მიატებეს ჩხირი ამ ქვეყანას, შეიკეტეს გონების კარები და ფრთები აუსხეს გამოხატულებას გამოსასახავად თუ არ პლატონის იდეასი საკუთარი იდეალებისა მაინც. ზოგთა ბუნების მიბადვა დაუდევს კანონად პოეზიას და იმდენად და იმდენად დაუმორჩილეს პოეტის გამოხატულებამ ამ ქვეყანას და ქვეყნის საქმიებს, რომ მოითხოვს პოეტისაგან ცხოვრების ოქმის შედგენა ნაცვლად აქტიური შემოქმედებითი თავის ჩენისა. გამოჩნდნენ ამგვარად ერთის მხრით „ხელოვნებისათვის მოხელენი“, მეორეს მხრით მოხელენი—ფოტოგრაფები, მოხელენი—პროტოკოლისტები, რომელთაც დაარქვეს დაციწვით სახელი „უხელოვნო მოხელეთა“.

ჩვენ, შორს წაგვიყვანს ლაპარაკი იმაზე, თუ რომელ მიმართულებას ეკუთვნის ამ ორში უპირატესობა. მაგრამ ერთი კი მაინც არ შეიძლება არა ეთქვათ. პოეტურმა ქმნილებამ უთუოდ უნდა მოგვასვენოს ქვეყნის კვეთებისაგან, დაგვაეფიყოს ამ წუთი სოფლის მწუხარება, სასოწარკვეთილებიდან გამოგვიყვანოს, მოგვეცეს იმედი, სასოება, ე. ი. შეიქმნას ჩვენთვის იმ ანგელოზთა გალობად, რომელმაც ფაუსტს მოაშორა პირიდან შხამით სავსე ფიალა. „Для успокоения и примирения всех нисходит в шире высокое создание искусства“, —როგორც ამბობს მშვენივრად გოგოლი.

პოეზიის მეტოქე მწერლობაში არის პროზა. ორნივე ისინი ჰემმარტების მაძიებელნი არიან, მაგრამ პროზა საბუთების მოყვანით და ანალიზით იგნებს ჰემმარტებას, პოეზია კი უბრალო—სურათებით და საგნის კარგად დანახვებით. პროზა უბრალო მუსაიფის მსგავსია და დამშვიდებით, დაწვრილებათ, თითო-თითოდ გამოიკვლევს ჰემმარტებას, პოეზია ერიდება წვრილმანებს, სჯის სურათებითა, ნათლად, ცოცხლად—à grand trait—და უფრო ძლიერად მოქმედობს კაცის სულზე, ვიდრე პროზა. როცა კითხულობ „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოს აზხრების აღწერას, გამოუღვეველი სისხლის ნიაღვარს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მტერი ღვრიდა საქართველოში, თქვენ კითხულობთ პროზას, როცა ამავე აზრს სურათებით გამოხატავს თორნიკე ერისთავის დამწერი და იტყვის:

„აღდგომის კვერცხს დაემგასავა წამებული საქართველო“.

თქვენ გაქვთ თქვენს წინაშე პოეტური სურათი, იგივე აზრი საქართველოს აზხრებისა, იგივე მამული, სისხლით მორწყული წარმოვიდგებათ უფრო ცოცხლად, უფრო ძლიერად. როგორც პროზას, ისე პოეზიას საფუძვლად ჰემმარტი-

ტება აქვს და ამის გამო პოეზია, რომელიც ჰემზარიტებას არის მოკლებული, რაც უნდა მშვენიერი იყოს მისი ფორმა, დღე-ნაკლულია. მხოლოდ მეორე მხრით პოეზია, რომელშიაც მარტო კარგი აზრია გამოხატული მაგრამ ეს აზრი არ არის ჩასმული კარგ ხელოვნურ ფორმაში კიდევ უარესია. ამ ორ ჭირში ისევ პირველი სჯობს, რადგანაც თავი და პირველი პოეზიისა ის არის, რომ პოეტურ ქმნილებას კარგი ფორმა ჰქონდეს. მშვენიერმა ქმნილებამ უთუოდ უნდა შეაყვაროს თავი კაცს თავის სიმშვენიერით, უთუოდ უნდა გაიტაცოს იგი ისე, როგორც მშვენიერმა ქალმა, რა აზრი არის ამ ქმნილებაში, რამდენადაც სასარგებლოა ის,—ეს მეორე კითხვაა ისე, როგორც მეორე კითხვაა, ჭკვიანია თუ არა ის ქალი, რომელმაც თქვენ გაგიტაცათ თავისი სდამაზნით, თავი და პირველი ის არის, მშვენიერი ხელოვნების ქმნილება მშვენიერი იყოს და გულს აამბედეს.

სამგვარი გზა აქვს პოეტს თავის ქმნილების გამოსახატავად. იმან ან უნდა გვიამბოს ობიექტურად, მომხდარი გარემოება, ან უნდა გადმოგვიშალოს თავისი საკუთარი სუბიექტური გრძნობა, რომელიც ამ გარემოებამ გამოიწვია, ან უნდა ეს გარემოება ათქმევინოს ჩვენ წინ სხვათა, რომელთაც მწერლობაში მოქმედ პირებად უწოდებენ. ამისდა შესაფერად პოეტურნი თხზულებანი განიყოფებიან სამგვარად: ეპიურად, ლირიულად და დრამატულად.

ამათგან ლირიული პოეზია,—რომელსაც ეკუთვნის ყველაფერი, რაც კი დაუწერია ქართულად გრ. ორბელიანს—გამოხატავს ძლიერ სულიერ მოძრაობას, ან ენებას: სიყვარულს, სიძულვილს, მრისხანებას, განცვიფრებას, სიხარულს, აღტაცებას, მწუხარებას, სასოწარკვეთილებას, იმედს, ჰმუნეს... ამით გამოხატვაში პოეტი მხოლოდ თარჯიმანია თავის სულიერი მდგომარეობისა. როგორც ქნარის სიმი, რომლის სახელიც დაერქვა ამ რიგს პოეზიისას (ლირა ქნარია ბერძნულად), ჟღერს მხოლოდ იმ დროს და იმდენად, რა დროს და რამდენადაც შეეხება იმას თითი, ისე ლირიული პოეტი უნდა აელერებდეს თავის ქნარს, ე. ი. თავის გულს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გული მოვა მოძრაობაში. პოეტის ღირსება ის არის, რომ ეს გულის ჟღერა წმინდად და განსაკუთრებით უმეტ-ნაკლებოდ გადმოგვეცეს თავის ქმნილებაში. ნამდვილი ლირიული პოეტი არ იღებს კალამს სანამ არ მოვა ძლიერ სულიერს მოძრაობაში. არ ურევს თავის ქმნილებაში ისეთ აზრს და ფიქრს, რომელიც პირდაპირ აღძრული სულის მდგომარეობიდან არ გამოდის. ფსიხოლოგიური ენით რომ ვილაპარაკოთ, ჰემზარიტი ლირიული თხზულება ის არის, რომელიც არის რეფლექსი გარედამ მიღებული შთაბეჭდილებისა.

საუკეთესო ფორმა ლირიული თხზულებისა და საზოგადოდ პოეზიისა არის ლექსი. ეს ემორჩილება წინდაწინ განსაზღვრულ სიტყვათა ზომას, რომელსაც ბერძნულად უწოდებენ რითმას. ეს რითმა, შემკობილი ცეზურითა და რითმით უფრო დიდს შნოს აძლევს პოეზიას, ვიდრე თავ-აშვებული და დისციპლინის ურჩი პროზა. ცეზურა, ე. ი. დაყოფა ერთი სტრიქონისა—ტაქტის ორ ნაწილად, ორ-ნახევარ ლექსად და რითმა, ე. ი. ლექსთა ბოლოს სიტყვების ერთხმოვანება, განზომილ სიტყვას ჰყოფენ უფრო მუსიკალურად, უფრო ძლიერად ვიდრე პროზა. იპპოლიტე ტენი ადარებს რა პროზას პოეზიასთან



მხ. ჩელიშვილი.

თბილისის კომენდანტი. (თბილისი 1845)

ამბობს: „გიოტემ თვისი „იფიგენია“ ჯერ პროზად დასწერა და მერე ლექსად. პროზაში ის მშვენიერია, მაგრამ საღ პროზა და საღ ლექსი, ჩვეულებრივი ენის შეცვლა და რითმა—ზომიერების მოხმარება პიესას თითქოს არაჩვეულებრივი ბეჭდით აღბეჭდავს, შთაბერავს მაღალ და სპეტაკ სულს. ფრთა გაშლილსა და თავდაჭერილ ტრაგიულ ხმოვანებას, ამ ხმოვან სმენაზე სული ადის და ზემოდამ დაჰყურებს ცხოვრების სისაძაგლეს და თვალწინ ხედავს ძველ, დაკარგულ დროის გმირებს და მათ შორის დიდებულ ქალწულს, ღმერთთა ნების გამომეტყველს, დამცველს კანონებისას, მაღლის მომფენს კაცობრიობაზედ. ამ ქალწულში ერთად თავ-მოყრილია კაცთა ბუნების სრული სიკეთე, სრული დიდსულოვნება, რათა აღიღოს კაცთა სახელი და აღგვიმაღლოს ჩვენი გული“.

## XXVI

ქართულ მწერლობას, გარდა იმ პაწია ლექსთა კრებისა, რომელსაც ყოველი კაცი იცნობს, გრ. ორბელიანისაგან დარჩა: ხუთიოდ საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა, ერთი კრიტიკული სტატია, „ციცქარში“ დაბეჭდილი, ერთი პატარა დღიური 1837 წლისა, რამდენიმე პროექტი და მოსაზრება [და 300—400—ამდე კერძო წერილი სხვადასხვა პირებთან მიწერილი. ამათგან ნამდვილ მწერლობას ეკუთვნის მხოლოდ ის პატარა ლექსთა კრება, რომელიც შეიცავს სულ 45-მდე ლექსს და ერთ პოემას. დანარჩენი, თუმცა საესენი არიან მშვენიერებით, შეადგენენ უფრო ცხოვრების აღწერის მასალას, ვიდრე მწერლობას.

ორბელიანის ნაწერებიდამ, ქართულ მწერლობას, რაოდენობით ბევრი არა შესძენია რა. ორმოცი, ორმოცდა ათი ლექსი ისეთი მჩატე სამწერლო ბაღაია საზოგადოდ, რომ ძნელია იმათი შემწეობით არა თუ საუკუნოების ყურადღების დამსახურება, არამედ უბრალო სამწერლო საზოგადოებაში შესვლაც.

ამ მძიმესა და მრუდე დროს, რომელშიაც ჩვენ ეცხოვრობთ კაცმა ერთობ გრძლად უნდა ილაპარაკოს, ერთობ ბევრი სწეროს, რომ საზოგადოებამ შენიშნოს იგი და ყურადღება მიაქციოს. ესლა უმეტესად, ვიდრე რუსთაველის დროს, პოეტს „მოშიარე არა ჰქვიან, განალა სთქვას ერთი ორი“.

ამგვარი ნაწერის რაოდენობით და არა ნაწერის ღირსებით დაფასება მწერლისა, მარტო უბრალო ხალხს არ ეძახვის. ბევრი მოწინავე კაცი იტყვის ორბელიანზე: კაცმა ოთხმოცი წელიწადი იცხოვრა და ოთხმოცი ლექსიც ვერ დასწერაო.

ამ საყვედურს თუ პასუხი ერგება მხოლოდ იმიტომ, რომ ერთობ გავრცელებულია ჩვენში. დრონი იცვალნენ და ჩვენშიაც დაუწყეს მწერლებს იმ ვალის თხოვნა, რომელიც მართებს მხოლოდ დიდი ხალხების და დიდთა მწერლობათა მწერლებს. დიდებსავით ჩვენშიაც ეუბნებიან იმათ: რად არა სთქვით, რად არა სწერეთ, რად არ მიეცით მხარი წმინდასა საქმეს და სხვა ამგვარებს.

კარგი და პატიოსანი. ვთქვით ყველაფერი ეს უნდა მოეთხოვოს მწერალს, მაგრამ თუ მწერალი არ არის? თუ მწერლობა, როგორც პროფესია არ არსებობს? მწერლობა ხომ ხელოვნებაც არის და ხელობაც. ხომ ეს მწერლობა უნდა იყოს მწერლისათვის შეშაც, წყალიც, საკმელიც, ტანისამოსიც, ასეა ყველგან.

რაც უფრო დიდია ხალხი და მწერლობა მდიდარი, ამ ხელოვნებას უფრო დიდ პატივი აქვს და მაშასადამე უფრო დიდი მოთხოვნილება.

ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში გამოჩენილი მწერლის ხელობა უფრო დიდ შემოსავალს აძლევს კაცს, ვიდრე მინისტრის ხელობა. რაც უფრო დაბლა ჩამოდის ხალხის სიმრავლე და მწერლობის სიდიდე, მწერლობის ხელობასაც აკლდება შესაბამისი პატივი.

ჩვენამდის რომ ჩამოვა ეს კიბე, მწერლობის ხელობა სრულებით იკარგება ცოტა ხალხია, ცოტა მკითხველია და მაშასადამე, მწერალიც ცოტაა და ხელობასაც გასაღალი არა აქვს. რიგინანს საზოგადოებაში—ზარემც ბოლომდის ვაგიყვანოთ ეს აზრი—ყოველი ნორმალური კაცი თავისმა ოფლმა უნდა აცხოვროს. რითი უნდა იცხოვროს ქართველმა მწერალმა? უთუოდ სხვა რამ ხელობით, რომელსაც—და არა მწერლობას—უნდა მისცეს მთელი თივისი ნიჭი და მოცალეობა. ოცდახუთი წლის მწერლობის სამსახურისათვის აკაკი წერეთელმა ილია ქავჭავაძეს ერთი ქოთანი იმერულად შემზადებული ლობიო გაუგზავნა. ვინ იცის, ილიამ ამ ლობიოს ამოავლო ეგებ ყველაზე უფრო გემრიელი, თუ არ ერთად ერთი ლუკმა, რომელიც ოდესმე შეუძენია პოეტს მისი მწერლობისაგან ამის გამო, როდესაც გრ. ორბელიანზეა ლაპარაკი, ან სხვა თანამედროვე ქართველ მწერალზე, საყვედური კი არ ეკუთვნის იმათ ცოტა წერისათვის, მადლობა მართებთ, რომ ისიც დასწერეს, რაც დასწერეს.

ეს ერთი საბუთი ორბელიანისადმი მიმართული საყვედურის უსაფუძვლობისა.

მეორე საბუთიც ეს არის: კარგი, თუნდ ეს შეწყალება ნუ იქნება, სად გაუგონია კაცს, თუ არ ჩვენში, რომ ჰყვედრიდენ მწერალს რატომ მეტი არ დაწერია. ბევრის წერა თუ ჩაიგდო მწერალმა გულში, ღირსების მაგიერ, რაოდენობა დადგება პირველ რიგზე და ნამდვილი მწერლობა დაეცემა, ნეტავი, თვით რუსთველს არ დაეწერა ასე გრძლად მისი „ვეფხისტყაოსანი“.

განა ცოტა მწერლებია საქვეყნო მწერლობაში, რომელთაც ორბელიანზე ნაკლებ უწერია, მაგრამ უკვდავ უქმნიათ თავიანთი სახელი? რა ბევრი უწერიათ გრიბოდოვს, კოლცოვს? ვინ ინგლისელი დაივიწყებს ვოლფის სახელს, რომლისაგან ორი თუ სამი ლექსი მართა არის ინგლისურ მწერლობაში, რომელი ფრანგი არ მოიხდის ქედს რიუჟე-დ-ლილის ხსენებაზე, რომლისაგან ერთად-ერთი მარსელიეზის ლექსი და ხმა დარჩენია საფრანგეთს?

ცოტაა ორბელიანის ნაწერები, მაგრამ სამაგიეროდ კარგია *Pauci sed bona*. ცოტაა მისი ლექსები, როგორც ცოტაა ოქრო და ვერცხლი, მაგრამ ამ ლექსებიდამ ისეთი პოეტური ნიჭის ძალა გამოშუქს, ისეთი ხელოვნების შარავანდედი, რომ ჩვენს წინაშე იგი ისახება სვეტად—კარიატიდად, რომელსაც მარტოდ-მარტო შეუძლია იტვირთოს სახელი და პატივი ქართული მწერლობისა. კიდევ უკეთესი, რომ ცოტა ლექსებით დაიჭირა ამ კაცმა ასეთი დიდი ადგილი მწერლობაში.

ჩვენ ზემოთ ვთქვით რა მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა იმ დროს, როცა დაიბადა გრ. ორბელიანი, ვნახეთ რა გაუგებარი და აბნეული ენა სუფევდა მწერლობაში, რა უაზრობა და გონებითი სიღარიბე არსებობდა.

ქართული პოეზია თითქმის არ არსებობდა. ბესიკი მკვდარი იყო; საიათ-ნოვა მკვდარი. ჩვენი პარნასი ბედლანს დამსგავსებოდა, რომელშიაც ირეოდნენ ანბანთმაჭებელნი და მოზმენი. მარტო ალექსანდრე ჭავჭავაძე, ჯერ ისევ ყმაწვილი, იღვწოდა სამწერლო ნიადაგზე და ახალდროში გადმოსული, ებრძოდა ძველი დროების გავლენას, ცდილობდა ძველი ენის ბორკილებიდან განთავისუფლებას. ნაცვლად მხოლოდ ბერძნული ქნარისა, იმას ხელთ ეპყრა სპარსული თარი და დამღერდა იმაზე თეჯლისს, გაუს, მუხამბაზს, ბაიათებს; უგალობდა ყვავილებს, ფრინველებს, ზილფ-ლაწვ-ბაგეთა მშვენიერებას და იყო, მაშასადამე, დიდად, დიდად დაშორებული ახალი დროების ლირიულ მოძრაობისაგან, როგორც პოეტური მოტივებით, ისე სურათებით.

ორბელიანზე სხვა მწერალთ უფრო, ალ. ჭავჭავაძეს ჰქონდა გავლენა. პირველი ლექსები პოეტისა დაწერილია იმის მამულში, წინანდალს, მშვენიერების სატახტო სოფელში, სადაც ოდესმე პოეტი ჰბობდა:

„გულ-მხიარული, სულ აღტაცებით“.

პოეტი თვით მოგვითხრობს ამას ერთს წერილში სამეგრელოს დედოფალთან:

„მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილ-ქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მალაღ-ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით—სწერდა პოეტი სამეგრელოს მთავრინას—მართლად კარგი დრო იყო, საევე მხიარულებითა, უზრუნველობითა და ამასთანაცა საითაც შეეხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს, სავათნავას ლექსსა „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს“. ხშირად, ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო, ჩემის აწ დაბერებულის გულისა გასამხიარულებლად, გასაყმაწვილებლად! ღმერთმან გიშველოსთ, მეტად კარგები იყავით და ეხლაც ჩემი თავი მით მიმანია ბედნიერად, რომ მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი. თქვენ გამოიმყვანეთ მე კაცად, პოეტად, და ახლაც თქვენვე ხართ ჩემი ნუგეშის-მცემელი“.<sup>1</sup>

პირველი ლექსი ორბელიანისა „ანტონს“ დაწერილია 1827-ს, სარდარ-აბადის და ერევნის ალების წელს, უზრუნველ და უდარდელ ამხანაგ—აფიცურთა შორის. პოეტი ნელის ნაბიჯით და ხმა-მიკმედით არ შეშოსულა ქართულ მწერლობაში, როგორც წესია ახალთა მწერალთა, იმან ჯირითით და ყიფინით შემოაჭენა თვისი პევასი ამ მწერლობაში. ის ყმაწვილი იყო, ოცდაშვიდის წლისა, ლხინის მოყვარე, მხიარული, არშიყი, და ამ ლხინს უმღერდა იგი, ამ განცხრობაზე იწვევდა თვის მეგობარს „ანტონს“:

„ჰე, ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენი განატარე:  
იმხიარულე, შეეჭე, ილხინე და შეიყვარე;  
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვდეს სახე მოცინარე,  
სიცოცხლითა აწვე დასტკბი, მხიარულობს გული ვიდარე“.

<sup>1</sup> წერილი, 4 აგვ. 1879.



იგი არც ცეზურას დასდევს აქ, არც რითმის. მოთმინება ვინ მისცა ახალ-გაზრდა პორუჩიკს, რომელსაც სიცოცხლე ესწრაფება, ლექსს დაუჯდეს და რით-მები ეძებოს. ცხოვრება სდულს და გადადულს და ამ ცხოვრებას სულ ყველა-ფერი უნდა მისცეს იმან—„მზიარულებს გული ვიდრე“.

დრო მოვა და რითმა-ცეზურასაც დაუბეჯითდება პოეტი, მაგრამ ეს მზიარულება და უზრუნველობა, ეს ცხოვრებისგან ბეგრის აღება, ეს ეპიკურის შედგომა სამუდამოდ დარჩება პოეტის ხასიათში.

სულით ერთნო, მოღზინნო, აწ შეკრებით  
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფშებით!

ეუბნება ის მეგობრებს. ალავერდა, ყოჯა-ბულბულ, მირზაჯანა, ლოპიანა, ბეიანა მკერვალი, სიკვილამდის დარჩებიან პოეტის საყვარელ პირებად. ორთა-ჰულა, როგორც ვნახეთ, მოხუცებულებაშიაც ედგმია მისთვის. მოთალი, თევზი, მწვანილი, ღვინით აესილი აზარფეშა და გვერდით დუდუკი და ქალაქელი ბიჭე-ბის შექცევა ლეკურ-სადღევრძელობით—ამას სხვა რა სჯობდა. თვალმც ბრძენთ დასდგომიათ, რომლებიც,—ალ. ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს—„სულ სიკვილიწე ფიქრობენ“.

სიყვარულითა და ღვინით ჩემბერ დაითვერ,  
დაღუბე ეშხში და ღვინოში ყოვლი სიმწარე.

.....  
თვარა გონებით გინდ ცა მოვლო, ჩემბერ იქნა მტვერ!

ათქმევიწენებს პოეტი ლხინის პაპის მირზაჯანა მდათოვის ეპიტაფიას. ლხინი, შექცევა, სიყვარული, ე. ი. დაბადების სიტყვით რომ ვთქვათ ღვინო და ქალი შეადგენენ ამგვარად უმთავრეს მოტივს ორბელიანის პოე-ზიისას.

ათასში ერთხელ ამ პოეზიას სვედის ნიაგი გადაჰკრავს და პოეტი საკუ-თარ მწუხარებას გადაგვიშლის წინ, გადაგვიშლის მწარედ, საგრძნობლად, მაგ-რამ იმ წამსვე ამ საკვირველს ხელოვან მწუხარებიდამ სიხარულში გამოგყვევართ და გულს დატანჯულს ენატრების კვალად სიცოცხლე.

**Земля, я снова твой,** გვათქმევიწენებს ჩვენ იგი ფაუსტივით სასოებაში მო-სულთა.

შემდეგში, პოეტის სიბერის დროს, ამ თემას მიემატება მეორე, უმთავ-რესი პოეტური მოტივი ორბელიანისა მამულის სიყვარული და საქართველოს ისტორიის თაყვანისცემა. ამ შინაარსით დაწერილი შაირ-სიტყვაობა ორბელია-ნისა შეადგენს ქეშმარიტ მის დიდებას.

ყველაზე უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას იმის ლექსთა-კრებიდან სტოვეებს ჩვენს გონებაში სახელდობრ ის ლექსები, რომლებიც უგალობენ საქართველოს წარსულ დიდებას და იმის ბუნების მშვენიერებას. აქ ორბელიანის ღირა მი-იღებს ეპიურ ხასიათს და სწვდება უმაღლეს პოეზიას. ორიოდ სხვა შინაარ-სით დაწერილი ლექსით („მუშა ბოქულადე“, „პასუხი შეილთა“) პოეტმა მხოლოდ ის დაგვიმტკიცა რომ იმისთვის არაერთარი ჟანრი არ იყო ძნელი, არც ერთი მოტივი შეუძლებელი...

ისეთი მდიდარი ცხოვრებისათვის, როგორიც იყო ორბელიანისა, ამგვარი სიღარიბე შინაარსისა—თქმა არ უნდა, პოეტური მოტივებით ღარიბია ორ-

ბელიანი—უნდა აიხსნებოდეს მხოლოდ იმით, რომ მწერლობა არ იყო ორბელიანის ხელობა. ათასი სხვადასხვა, არა მარტო საზოგადო, არამედ საისტორიო კითხვანი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ და მოდიოდნენ მის თვალწინ, ათასი ზრუნვა და ოხვრა ათასი სიამოვნება ჰხვედრია წილად მის ქვეყანას, გარნა პოეტმა არც ერთ ამათგანს არ ააყოლა მისი ჩანგი, არც ერთს არ მისცა პოეტური ხარკი. მისი ქნარი 50 წელი უვალაობდა მარტო მშვენიერებას, მშვენიერებისა და სიკეთის საუკუნო იდეალებს.

ეს შინაარსი თვალმარგალიტში ჩასვა ორბელიანმა და ისე განახორციელა, როგორც არაეინ საქართველოში, მაგრამ... ეჰ, ისევ თქმა ჯობს არა თქმასა... მაგრამ, ღმერთო შეგცოდნე და, ნუ თუ ამ საყოველთაო თემას გარდა, ჩვენმა დიდებულმა პოეტმა სხვა ვერა ჰპოვა რა ჩვენს ცხოვრებაში? სიყვარულზე და მშვენიერებაზე ხომ ათასი წელიწადი უწერიათ ჩვენს პოეტებს და ისე უწერიათ, რომ ყოველივე მდაც დაუკარგავთ ჩვენთვის ამათ კითხვისა. ეს კითხვა ჩემგანვე გამობილი ზემოთ, უნებლიეთ იბადება ამ კალმის ქვეშ, როდესაც ლაპარაკი ვრ. ორბელიანზე არის.

სხვა უბრალო მწერალზე რომ ყოფილიყო სჯა, ჩვენ კმაყოფილი ვიქნებოდით იმითაც, რაც მოგვცა იმან, მაგრამ როდესაც სჯა ისეთ კაცზე, რომელიც ჩემის ფიქრით, განხორციელებდა ჩვენი ნაციონალური გენიისა, ჩვენი ერის სიყვარული ნებას არ მაძლევს გულ-ნაკლულად და ნაღვლიანად არ ვიკითხო: ნუ თუ სულ ყველაფერი, რასაც ქართული სახელი ჰქვია ასე ნაკლული უნდა იყოს, ნუ თუ არ იყო შეძლება ამ საუკუნო თემის გარდა სხვა თემაზედაც ეწერა ქართველთა პოეტს? სად არის მისს ლექსში სხვა გრძნობა, სხვა სულიერი ზრუნვა გარდა სიყვარულისა, — ქალის სიყვარულისა და მამულის სიყვარულის? სად არის ჰმუნვა, კეთილანი, ოხვრა გულისა, ოცნება, იმედი, სასოება, სასოწარკვეთილება, სარწმუნოება, სათნოება და სხვა ფართოდ-ფართოდ მოზღვავებული მსოფლიო კითხვები, — სულ ყველაფერი, რაც შეიქმნა დიდ პოეტსა, რაც ჩვენ გვინახავს ვიოტეს, ბაირონის, შილდერის, პუშკინის და სხვათა თხზულებაში? შორს ჩვენგან აზრი, გავეიცხოთ პოეტი, რატომ არ შეეზო იგი პრაქტიკულ კითხვებს! ჩვენ ვამბობთ მხოლოდ სულის სხვადასხვა მდგომარეობაზე და არა ამ კითხვებზე.

რაც შეეხება პრაქტიკულ კითხვებს, ჩვენ რა პირით შეგვიძლია უთხრათ პოეტს რატომ არ გამოასარჩლა იმან თვისი ქნარი ამ კითხვებს და არ მოახმარა იგი ჩაგრულთა და ტვირთ-მძიმეთა, რომ მთელი მისი სიცოცხლე იმან ამ კითხვების ხსნაში გაატარა.

ერთმა ჰქვიათ კაცმა სთქვა: „ათი წლის ოპოზიციას ერთი წლის უფლება სჯობსო“. <sup>1</sup> ორბელიანს სამოცი წელი ხელთ ეპყრა უფლება, დასაწყისში პატარა, დასასრულს მთავარ-მმართველისა და რას ემგვანება რომ ვუთხრათ იმას ქვეყნის საქმეებს თვალყურს არ აღევნებლიო. ქვეყნის საქმეებისა ის პირდაპირი მოსამსახურე იყო; რა რიგია, რომ კაცმა ასეთი პოეტი გვერდზე ამოუყენო პოეზიის იმგვარ სიბარიტს და კვიეტისტს, როგორიც არის მაგ. ფეტი, რომელ-

<sup>1</sup> გამბეტა.

საც სხვა ასპარეზი არა ჰქონდა თვის მსახურების გამოჩენისა გარდა მწერლობისა?

გაზეთ „ივერიაში“ ერთმა ვილაკამ დაწერა: „ორბელიანს ხმა არ ამოუღია გლეხების განთავისუფლებაზეო“. დარწმუნებული ვარ, რომ არც ბიჩერსტოუს რომანს გაუთავისუფლებია ამერიკის ნეგრები და არც ტურგენევის მოთხრობებს რუსეთის გლეხები, ეს ლიტონი სიტყვაა და ასე ითქმება მწერლობისგანვე, ამათის თავმოყვარეობის დასაქმყოფილებლად; დარწმუნებული ვარ მსგავსადვე, რომ ორბელიანის ლექსებიც, თუნდ რომ ასი ამგვარი ლექსი დაეწერა იმას, ერთს იოტზედ ვერ შესცვლიდა საგლეხო კითხვების მდინარებას ჩვენში და მაშასადამე, არც მის ლექსს ექნებოდა ის პრაქტიკული შედეგი, რომლის გამოისობითაც ასე დიდად უნდოდათ ზოგიერთებს მიეშველებინა ორბელიანს ამ საგნისთვის თავისი პოეტური სიტყვა. პოეტსაც უნდა ჰქონდეს უბრალო კაცის თავმოყვარეობა და ერიდებოდეს ლაპარაკს, როდესაც ეს ლაპარაკი ან უდროულია, ან დროგადასულია და არაფერს შედეგს არ მოიტანს ცხოვრებაში. სანამ რუსეთში არ გათავედებოდა გლეხების გათავისუფლება და ჩვენში კავკასიის ომი, გლეხების გათავისუფლება ჩვენში შეუძლებელი იყო და ამ გარემოების ლექსი კი არა თვით დრაგუნის ჯარიც ვერ შესცვლიდა.

დრო რომ მოვიდა, ორბელიანმა სიტყვიტაც ილაპარაკა ამ საგანზე და საქმითაც იმოქმედა. ილაპარაკა, როგორც საქართველოს თავადიშვილმა და იმოქმედა, როგორც მმართველობის წარმომადგენელმა. აქ ადგილი არ მძღვეს ნებას უფრო გრძლად ვილაპარაკო ამ საგანზე, რადგანაც პოეტზე ვლაპარაკობთ და არა სახელმწიფო კაცზე, მაგრამ რა კი სიტყვამ მოიტანა, ნებას ვითხოვ მოვიყვანო აქ დასაწყისი იმ სიტყვისა, რომელიც წარმოსთქვა ორბელიანმა ბატონ-ყმობის შესახებ თავადანაშურთა ერთს ყრილობაზე. აი ეს სიტყვა ლიბერალთა კრიტიკის გულის მოსაჯერებლად:

„მოვიდა დრო, როდესაც საქართველოსი ძველი ჩვეულება, ძველი წესი დამკვიდრებული, დამყარებული საუკუნოებიდგან უნდა დაირღვეს, დაიქცეს და მათ ნანგრევზე აშენდეს და დაფუძნდეს ახალი წესდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის. ამ დღით საქართველო მიიღებს ახალსა სახესა, ახალს ცხოვრებასა. როდესაც განვიხილავთ ამ საგანს, მხოლოდ გხედავთ ერთსა აუცილებლად: მებატონეთა უნდა შესწირონ მსხვერპლი შეძლებისამებრ, მაგრამ ამ დანაკლისში ვითარცა ქრისტიანენი, უნდა ვნუგეშობდეთ იმ ჰაზრით, რომ ასი ათასი სული თავისუფლდება, ასი ათასი სული გამოდის საშინელის მდგომარეობისაგან. ნუ გეწყინს ეს სიტყვა. კაცი ჩვენებრ დაბადებული, რომელსაც საქვეყნოს საქმეში არა აქვს არცა ხმა, არცა რაიმე უფლება, რომლისათვისაც თითქმის სამართალშიაც არა სწერია სანუგეშოდ და არცა აქვსთ საკუთრება რა არის მართლად თუ არა ტყვე?.. გემართებს, რომ გულ-დამშვიდებულად სისხლ აუღლეგებლად, ყოვლის ყურადღებით და მოთმინებით მოვისმინოთ პროექტი, წარმოდგენილი ჩვენდა განსახილველად და ამასთან ესეცა უნდა ვსთქვა, რომ ნუცა დავემდურებით ვისმე, რომელიცა არა იყოს თანახმა ჰაზრისა ჩვენისა, რადგანაც იმედი გვაქვს, რომ ვინცა რას ამბობს, ამბობს სიკეთისათვის საზოგადოებისა“.

პოეტზე არანაკლებ ვაფასებ მე ორბელიანში კაცს და ამ კაცის ღირსების აღსადგენად აქ უნდა მომეგონებინა მკითხველისთვის ყველა ის სულიერნი თვისებანი, რომელნიც შეამკობენ მის ცხოვრების აღწერას. მაგრამ ეს განმეორება იქნებოდა ერთჯერ თქმულისა და თავს ვანებებ მეტის ლაპარაკს.

პირადად მე დიდად მიყვარს ის ამპარტავენი მუზა ორბელიანისა, რომელიც უგალობს მხოლოდ საუკუნო იდეალებს და უყურადღებოდ სტოვებს ქვეყნის წარმავალ უსწორ-მასწორობას. ცხოვრების პრაქტიკული კითხვა, რომელიც დღეს არის და ხვალ არა, იმისთვის არ არსებობს, ადრე თუ გვიან მშვიერი გაძიება, უსამართლო მსაჯული დაისჯება, მტარვალობა ადგილს დაუთმობს გულკეთილობას. ე. ი. ადრე თუ გვიან პრაქტიკული კითხვები დასრულდებიან და ერთი, მხოლოდ მშვენიერება—და შენ ყველაზე წინ, მშვენიერო მამულო—დაადგრები უცვლელად და საუკუნოდ.

ორბელიანიც უგალობს ამ საუკუნოს. ის არავის არ ასწავლის, არავის არ ამბილებს, არავითარ ტენდენციას არ ეწევა. ის მხოლოდ გვიმღერის გულის ღირიულ მოძრაობას და გვიამბობს სიმშვენიერისაგან აღძრულს გულის ნეტარებას.

ბევრი კიცხავენ იმას ამ გვარი, უქმი ხელოვნებისათვის. არც პოეტი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო, ამბობენ ესენი ორბელიანზე ბარათაშვილის ლექსით.

რა უნდა უთხრას კაცმა ამათ? დიდი რევოლუცია ისე გათავდა, გერმანია ისე აიკლო, ნაპოლეონმა და ამ ქვეყნის განთავისუფლება ისე შესრულდა, რომ გიოტეს ქნარს ხმა არ ამოუღია სამშობლო ქვეყნის ბედზე და უგალობდა მხოლოდ მის მარგარიტასა და ფაუსტს, მაგრამ ვანა ამიტომ გიოტე არარის ფაუსტის დამწერი, ე. ი. უდიდესი პოეტი მე-19 საუკუნისა?..

მე ვერაფერს ვერ ვკადრებ ორბელიანის მკითხველთა, იმათ ნობათად მივართმევ მხოლოდ შემდეგ სიტყვებს ბელინსკისას:

„ . . . Смешны и жалки те глупцы, которые смотрят на поэзию, как на искусство втискивать в размеренные строчки с рифмами разные нравоучительные мысли . . . и которые не способны увидеть поэзию в самом вдохновенном произведении, если в нем нет общих нравоучительных мест“ . . . თითონ პოეტსაც შეეძლო ეთქვა იმათთვის პუშკინის სიტყვები:

Не для житейского волненья,  
 Не для корысти, ни для битв,  
 Мы рождены для вдохновенья,  
 Для звуков сладких и молитв.

## XXVII

ქართული ენა, ის ქართული ენა; რომლის სადიდებლად ჩვენს ძველებს უთქვამთ; „ომში ძლიერიო, შევრილობაში უცხო შემაქცევარიო, საქმეში კარგი გამგებელი და ლოგინში მეტი დამატკობელიო“<sup>1</sup>, კილოს მხრით განიყოფება ორ გვარად: საეკლესიოდ და მდაბიოდ. საეკლესიო კილო ის არის, რომლითაც

<sup>1</sup> აღ. ორბელიანი, გვ. 240.

დაწერილია სამღვთო წიგნები; მდაბიო, — რომლითაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომლითაც მოკითხვის წიგნსა ვწერთ ნაცნობ-მეგობართა.

უწინ, როდესაც სწავლა-განათლება საეკლესიო მსახურთა ხელთ იყო, წერაში მარტო ერთი კილო იყო — საეკლესიო. მეორე, როცა სწავლა-განათლებამ თავი დაიხსნა ეკლესიის გავლენიდან, ენამაც გაიზინდგრა და თავისუფლება იშოვა. მთელი ეს საუკუნე, ქართული ენის ისტორია არის ისტორია ენის ემანსიპაციისა საეკლესიო გავლენიდან. გიორგი ერისთავმა დაიწყო ეს ემანსიპაცია და აკაკი წერეთელმა თითქმის სრულიად შოათავა.

გრ. ორბელიანის ენას ამ ორთა ენათ შორის შუა ადგილი უჭირავს. ეს ენა უფრო მდაბიოა ვიდრე საეკლესიო: მდაბიო ენისა იმას აქვს ნაკვთი, საეკლესიო ენისა — სიტყვები და სიტყვის ფორმები, რომელსაც ჩვენი ეხლამდელი მწერლობა არ ხმარობს. პირველი ენის თვისება პოეტის ენას ხდის ყოველთვის გასაგებად, მეორე ენის ელემენტი აძლევს მას ძლიერებას და სიმალეს.

ვის და სად წაუკითხავს მთელს ჩვენს მწერლობაში იმაზე უფრო ძლიერი მალალი ენა, რომელიც ესმის კაცს ორბელიანის თუნდ შემდეგ სიტყვებში, რომლითაც განსაზღვრავს პოეტი სიტყვას:

„სიტყვა არის პირველი მიზეზი სწავლისა და განათლების მოფენისა ქვეყანაზე: სიტყვამ გამოიყვანა კაცი ველურისა მღვდმარეობისაგან: სიტყვამ დაუშვიდა შას მხეტური გული, ჰყო იგი ლმობიერ, მოსცა შებრალება და აღიყვანა სახიერებისა სიმალლედ, სადაც სუფევს მეუფება სიყვარულისა და მოწყალებისა! აწცა სიტყვისავე ძალითა ირყევა ქვეყანა! სიტყვა გამომთქმელი ქემარობისა, არის უკვდავი და მოქმედ მრავალ ეამს!..

დაირღვენ ეგვიპტისა პირამიდები, ბაბილონი შთანთქა მიწამ, მაგრამ სიტყვა, თქმული მოსესაგან, ჯერეთცა არის ცოცხალ და მფლობელობს ქვეყანაზე ვითარცა სჯული, სიტყვამ დააყენა კაცი მალალსა მას დიდებისა ხარისხზედ, საიღამაც აწ ხელმწიფურად ჰბრძანებს და ბრძანებასა მისსა მორჩილებითა ისმენენ ჰაერი, ცეცხლი, ოყვანე, სიტყვა არის ძალი მღვთაებრივი, რომლისა შემწეობითა კაცი შეიქმნა მეფედ ქვეყანისა“<sup>1</sup>.

არის ერთი რუსული სიტყვა, რომელიც ქართულად ვერ მითქვამს კარგად, მაგრამ რომელიც ჩინებულად გამოსახავს ორბელიანის ენის საზოგადო თვისებას. ეს სიტყვა არის — торжествоный, — დიადი, ზეაობითი. რაზედაც უნდა სწერდეს ორბელიანი მეტადრე ლექსით, იმის ენას განუყრელად დაჰბერავს ეს მალალი რალაცვარი სადღესასწაულო ხმა, რომელიც შეიპყრობს კაცსა და მიიზიდავს ანდამტრეით. ღმერთო შეგცოდე და, რამდენჯერ მომსვლია თავში, შეიძლება თვით დიდება ორბელიანისა სანახევროდ ამ მალალ კილოდამ იყოს წარმომდგარი.

ჩვენ უნდა დაუკვირდეთ პოეტის ნაწერს და განვსაზღვროთ რა წილი ეკუთვნის იმის დიდებაში ენას და რა, ნამდვილ პოეტურ გრძნობას და შემოქმედებით ძალას.

<sup>1</sup> „ცისკარი“ სექტ. ოქტ. 1874.

კოტა მალა უნდა ავუწიოთ თავი კითხვას და გამოვიკვლიოთ რა გეგმად უხდება ძველი ტანისამოსით მოსილი ახალი ენა ჩვენს თანამედროვე შაირსიტყვაობას. ასე იცის დიდი პოეტის ნიჭის ძალამ. იმაზე ლაპარაკის დროს უნებლიედ საზოგადო კითხვებს უნდა შეეხოს კრიტიკა.

ძველი და ახალი ენის ერთმანეთთან შედარება—ბოდიშს ვიხდი წინდაწინ, თავისთავზე ლაპარაკისათვის—ყოველთვის შეადგენდა ჩემს კეშმარტ სიამოვნებას. ამ რვა-ცხრა წლის წინა<sup>1</sup>, როდესაც ამ საგანზე მქონდა სჯა განსვენებულ დიმიტრი ყიფიანთან, მე ვსთხოვე იმას გადაეთარგმნა ჩემთვის ერთი ნაწყვეტი ბოსნიუეტის ქადაგებისა პავლე მოციქულზე. მე მქონდა სახეში არა ის, თუ როგორ გამოვიდოდა ეს ნაწყვეტი ძველ ან ახალ ქართულ ენაზე, არამედ ის, შეიძლებოდა თუ არა ქართულ ენაზე ბოსნიუეტის მალალი და გამტაცი სიტყვა მალავე და სწრაფად გადათარგმნილიყო. ჩვენი ლაპარაკის შემდეგ, ორი კვირა რომ გავიდა, მე მომივიდა ყიფიანისაგან შემდეგი თარგმანი, რომელმაც სულ სხვა მხრით მიიქცია ჩემი ყურადღება. მაგრამ ჯერ აი ბოსნიუეტის ორიგინალი: <sup>2</sup>.

„ბოსნიეტის ამ სიტყვას—მწერდა დ. ყიფიანი—მე ვთარგმნი ორგვარად:

1. „წარვალს, მკვერ-მეტყულების ხელოვნებისა უმეცარი იგი, დრკულდ-მოუბარი და ლექსთა მწნახავი უცხო ქტეყნითგან მოსულისაებრ, —წარვალს საბერძნეთსა მას გაბრწყინებულსა, რომელ არს დედა ფილოსოფოსთა და ორატორთა, არა მიმხედ ქტეყნის წინააღმდეგობისა, დააფუძნებს მუნ ეკკლესიათა, უმრავლეს მოწაფეთა მათ, რომელნი მოპოვებულ ჰყავდა პლატონსა, ღვთიურად წოდებულთა მით მშტენიერ—მეთქტეობითა თვისითა. იქადაგებს იგი იესოზედ ათინასა შინა; და უფროსცა უშორეს განაგრძობს ძღვეათა თვისთა,—დაამებს ქტეშე ფერხთა მაცხოვარისათა რომაელთ უფლების დიდებულებასა სახედ რომლისამე პროკონსულისად და აათრთოლებს სამსჯავროთა შიგან მსაჯულთამათ, რომელთა წინაშე თვით შემეცნებულ იქნების. თავად რომიცა ისმენს ხმასა მისსა და მოვალს დღე, ოდეს მფლობელსა ამას ქალაქსა უმეტესად სასიქადულოდ ექმნეს ერთიოდენ ეპისტოლე პავლეს კილოსი, მიმართული მისთა მოქალაქეთა მიმართ, ვიდრე განთქმულნი შესხმა-მეტყულებანი ცოცერონისა თვისისანი“.

2. „წავა ეს უმეცარი ტკბილ-მოუბრობის ხელოვნებისა, თავისი მკვახე ლაპარაკითა და იმ თავისი კილოთი, რომლით უცხო ქტეყნიდამ მოსული იცნობება, მივა იმ გაბრწყინებულს საბერძნეთში, დედა რომ არის ფილოსოფოსებისა და ორატორებისა,—და იქ, ქტეყანამაც რომ უწინააღმდეგოს, მაინც იმდენ ეკლესიას დააფუძნებს, რომ გადააქარბოს პლატონის მოწაფეების რიცხვსაცა, ღვთიურად წოდებული მკვერმეტყველობით რომ ჰყავდა მონაგები. იესო-

<sup>1</sup> ამ შრომის დაწერის დროდ უნდა მივიღოთ 1888 წელი, რადგან დიმიტრი ყიფიანის ეს წერილი ამ შრომის ავტორისადმი დაწერილია 1881 წლის 9 ოქტომბერს—ს. ც.

<sup>2</sup> აქ მოჰყავს ფრანგული ტექსტი ბოსნიუეტიდან, ჩვენ საჭიროდ არ ვთვლით ამ ტექსტის მოთავსებას, ხოლო მისი ქართული თარგმანი, რაც საინტერესოა ჩვენთვის იხ. ქვევით—ს. ც.

ზედ იქადაგებს ათინაში. ბევრით უფრო შორს უწევს კიდევ გამარჯვება იმისი. მაცხოვრის ფეხთ ქვეშე დასცემს რომელების დიდების ბაირალსა, რომელსამე პროკონსულს რომ გააგდებინებს ხელიდამ და სასამართლოებში იმ მსაჯულებსაც აათრთოლებს, ვისთანაც თითონ იქნება დასმენილი. თავად რომი გაიგონებს იმის ხმასა, და დაადგება დღე, რომ ამ ქალაქთ ბატონმა ერთი პავლეს ეპისტოლე, იმის მოქალაქეებთან მიწერილი, უფრო დასაქადებლად მიიჩნიოს, მანამ იმდენი სახელგანთქმული ქადაგება თავის ციცერონესი<sup>1</sup>...

<sup>1</sup> დედნის დაზიანებისა გამო მონოგრაფია აქ წყდება. ავტორის არქივში მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია, რომელთა გამოკვეყნებას არ ვაპირებთ, ვიდრე დასასრულამდე არ აღმოჩნდება. ამ მხრივ იმედი ჯერ არ დაგვიკარგავს—ს. ც.

## უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა

„...ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით,  
ვილაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში“,  
ნ. ბარათაშვილი (1845 წლის  
9 თებერვლის<sup>1</sup> წერილი მაიკო ორბე-  
ლიანთან).

გზები თბილისიდან რადიუსად მიიმართებოდნენ ყოველმხრით. ერთი ასეთი გზა მიდიოდა სამხრეთით დიდ-სოღანლუხზე. მანძილი ფოსტის სადგურებს შორის დიდი არ იყო: მგზავრები პირველად სოფ. კოდაში ჩერდებოდნენ, ქალაქიდან 25 ვერსზე. შემდეგ, ელისავეტპოლის (განჯის) ტრაქტით მიმავალი ეტლი გაივლიდა ხოლმე სადგურ მულანლოს, მერე გავიდოდა ხრამზე გადაკიდულ წითელ ხიდს და უკვე ხიდს იქით გაუხვევდა მარჯვნივ — მთებისკენ. განჯისკენ მიმავალი გზა მიღმევ რჩებოდა.

მთელი გზა აზილისიდან ასტანბელის სადგურამდე — 75<sup>1</sup>/<sub>4</sub> ვერსი — მიდიოდა ნაკლებად შესამჩნევ მიდამოზე ერთფეროვანი და თვალისთვის მოსაწყენი ბუნებით და ადვილად ჰლლიდა მგზავრს. ხოლო ასტანბელის იქით თვალს იტაცებდა საამური სანახაობა. რაც უფრო წინ მიიწევდით, მით უფრო მდიდარი და ნაირნაირი მცენარეულობა იშლებოდა თქვენ წინ. ისტი-სუს ხევსა და დილიჯანს შორის კი, ასე 30 ვერსის მანძილზე, ბუნებას თითქო სურდა გაეკვირვებინა მგზავრი თავისი შემოქმედების ძლიერებით: კლდეები გადმოკიდული იყო ვით მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები; მთები მოფენილი სხვადასხვა ჯიშისანი — წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეებით; მარდად მსრბოლი დილიჯან-ხევი აცოცხლებდა პეიზაჟს; უკანა პლანზე კი თოვლით ნაკვეთი მწვერვალები — მზეში ვარდისფრად შეღებილი, მწუხრში — ლილისფრად.

დილიჯანიდან გზა სულ აღმართით მიდის, სოფ. ჩიბუნლამდე. ჰაერი სუსხიანდება და ბუნებაც მკაცრდება. აქ, ორკილომეტრიან სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ბუნებას გადმოუსროლია სევანის ტბა. მისმა თავისებურმა მშვენიებამ და ირგვლივ შემორკალულმა უდაბურმა კლდეებმა, დიდხანი არ იყო, რაც სევდით გამსჭვალეს მეორე პოეტის გული — ალექსანდრე ჰაეკავაძისა,<sup>2</sup> რომელსაც არაერთხელ გაეგლო ამ ადგილას.

<sup>1</sup> თარიღები ყველგან ძველი სტილით არის დატოვებული.

<sup>2</sup> ლექსი „გოგჩა“.





1844 წლის ნოემბერში<sup>1</sup>, აქ მიემგზავრებოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლევან მელიქიშვილი, ნახჭევნიისკენ მიმავალნი, სადაც 17 ნოემბერს მელიქიშვილი მაზრის უფროსად იყო დანიშნული.

ნახჭევანი მიერთებული იქნა რუსეთზე 1828 წელს. მაშასადამე, სულ თოთხმეტმა წელმა განვლო, რაც ეს მხარე მოსწყდა ირანს. განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო ურთიერთობის დასამყარებლად ადგილობრივ მოსახლეობასთან და ნამეტნავად კი ხანებთან, რომელთაც სჩვეოდათ უსაზღვრო ბრძანებლობა უფუფლებო და უენო გლეხობაზე, და ჯერ კიდევ არ დაეკარგათ თავიანთი გავლენა. ლევან მელიქიშვილი, პროფესიონალური მხედარი, რომელმაც ის იყო ბრწყინვალედ ისახელა თავი, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთს ცხენოსანი რაზმის (მილიციის) უფროსმა, — ალაღბედად, იოლად არ იყო იქ დანიშნული: რუსეთის სამოქალაქო ადმინისტრაციამ, რომ იტყვიან, პირი ვაიშავა — მოხელეთა თვითნებობასა და მექრთამეობაზე საერთო ჩივილი პირდაპირ სამარცხვინო ხასიათისა იყო. ამიტომ სამხედრო ხელისუფლებამ, რომელიც ღრდად დაინტერესებული იყო ამ სანაპირო ზოლის მშვიდობიანობით და უშიშროებით, უფლება გამოითხოვა გაეგზავნა იქ თავისი კაცები ფართო უფლებამოსილებით სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შედგენის სფეროში. ნახჭევანში მაზრის უფროსებად თითქმის ყოველთვის სამხედრო პირები ინიშნებოდნენ — ან სამსახურგადამდგარი თავან, ან მომქმედი რაზმებიდან<sup>2</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელიქიშვილის მიერ თანამშრომლად მიწვეული, გულში ღარღლით წავიდა ნახჭევანს და ისიც მხოლოდ სამსახურში დაწინაურების იმედით და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მისი ოჯახის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული იყო, მთელი თავისი შერძლება ნიკოლოზის მამამ — მელიტონმა საკუთარი ქინიანი სურვილების დაკმაყოფილებაზე გაფლანგა. იგი მთლად იმაზე იყო გადაგებული, რომ ჟანცვიფრებაში მოეყვანა თავისი სტუმრები სხვადასხვა ახალ-ახალი, სხვაგან არ ნახული და გაუგონარი საქმელებით ან ზიზილბიპილა ჩაცმულობით, როგორიც, მაგალითად, ნამდვილი ოქროს ეპოლეტებით<sup>3</sup>. თავისი ბავშვების მომავალი მას

<sup>1</sup> „აი სამი თთვეა აქა ვარ“ — ნ. ბარათაშვილის 1845 წლის 9 თებერვლის წერილი მაკო ორბელიანთან, 17 ნოემბრის განკარგულება მელიქიშვილის დანიშვნის შესახებ დაბეჭდილია „საგვ. ვესტს“-ში ოფიც. განყ. 1844 წ., № 50, 17 დეკ. 294 გვ.

<sup>2</sup> მელიქიშვილის წინამოადგილედ იყვნენ: 1842 წელს — სამსახურგადამდგარი კაპიტანი გვარდიისა ბრისკორნი, ხოლო 1843 წელს — სამსახურგადამდგარი ფლოტის მე-2 რანგის კაპიტანი ფოფანოვი.

<sup>3</sup> 1832 წლის 30 აგვისტოს მელიტონი აცნობებდა გრიგოლ ორბელიანს რუსეთში თავის მაიორობას და პენსიის დანიშვნას. იგი სწერდა: „ახლა შენ იცი როგორს კარგს ნასტაიჩის კავალერიის ყეთელს ეპოლეტებს გამომიგზავნი და რასაც მისცემ ჩემგან ერთი-ორად მოიკივა. მიზურთნი არ იყოს ნასტაიჩი ზოლოტო შტაბ-აფიცრისა და პირველს ფოსტაში გამომიგზავნე ჩემო გრიგოლ შენმა ვახდამ სარგებლით გამოვიგზავნი“ („მნათობი“, 1938 წ. № 12, პუბლიკაცია ი. ბ. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები“).

პენსიის დანიშვნის თაობაზე იხ. მელიტონის 1846 წლის 28 თებერვლის თხოვნა, რომელშიც იგი დახმარებას ითხოვდა — „გუგუშვილის პუბლიკაციით („მნათობი“, 1937 წ., № 4 — ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის ახალი მასალები“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თხოვნა მიმართულია მეფის ნაცვლის კანცლარის დირექტორის სტეპან ვას. საფინოვისადმი და არა გენ. მეტუთოვისადმი, როგორც შეცდომით გუგუშვილსა აქვს აღინიშნული.

აინუნშიაც არ მოჰქონდა. სოფლის მამულებიდან ნასახიც არ დასტოვა. ქალაქის სახლი გაეყიდა, თუ ვალებში ჩამოერთვა. ჯერ კიდევ 1832 წელს მელიტონს მიენიჭა კავალერიის მაიორობა და იმავე დროს დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. პასკევიჩის შუამდგომლობით მის დაუნიშნეს იმ დროისათვის საკმაოდ კარგი პენსია—900 მან. ვერცხლად წელიწადში. მაგრამ მისი კერძო ვალები, რასაც იგი წლიურად იხდიდა, 1,000 მან. უდრიდა და ამიტომ ნახევარი პენსია ამ ვალების იძულებით გადახდევინებას უნდებოდა. იმავე პენსიიდან ურიცხავდნენ ბინის ჭირასაც 250 მან.<sup>1</sup> ასე რომ საცხოვრებლად რაღა დარჩებოდა?! ცოლის ძმები შველოდნენ მელიტონის ოჯახს, მაგრამ ამ დახმარებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.



პოეტის ერთერთი და კატორის იყო მიათხოვეს რევანჯერისათვის, გორის მჯობის ახალგაზრდა შეძლებულ მემამულეს, რომელსაც თვით პოეტი დიდი სიმპატიით ექცეოდა<sup>2</sup>. მელიტონსა და ეფემიას — მშობლებს — ეთაკილებოდათ, რასაკვირვე-

მხ. ჩელიშვილი. ორლოვი. პირველი დალა. გორი. 1841. ლია, რომ იმათი ქალი ხელცარიელი შესულიყო უცხო

ოჯახში და იმის მეტი რაღა დარჩენოდათ, რათა უკანასკნელი ძალღონე მოეკრიბათ ახალი „ენინას“ საკადრისი მზითვეის მოსამზადებლად. ძველი ჩვეულება აღსრულებულ იქნა, მზითვეი მართლაც სანაქებო გამოვიდა—პოეტი სწერდა თავის ბიძას: „მზითვეი გაშინჯეს, ზაქარიაე, მთელ ქართლში გაითქვა“. მშობლები მარტო ნივთებს არ დასჯერდნენ. ფულად ასი თუმანი გააყოლეს, რისთვისაც ვალი იქნა აღებული ერთი წლის ვადით<sup>3</sup>. კატოს გაფუფუნებულმა ქორ-

<sup>1</sup> პ. გუგუშვილის პუბლიკაცია—თხოვნა ვორონცოვის სახელზე 1846 წლის 8 ივნისის თარიღით.

<sup>2</sup> 1844 წლის 15 აპრილის წერილი ზაქ. ორბელიანისადმი და შემდეგი წერილი მისად. მივე უთარილო.

<sup>3</sup> ეფემიას 1844 წლის 15 სექტემბრის წერილი ზაქ. ორბელიანისადმი—საქართ. მუხხელნაწ. განყ. S—d—1872.

წინებამ თუმცა ახლობელთა თავმოყვარობას გუნდრუკი უქმია, მაგრამ მანვე საშინლად და საბოლოოდაც თავში ჩაჭკრა ოჯახის კეთილდღეობას, დაამთავრა რა მისი დანიავება. მელიტონს საღ შეეძლო მისი ფეხზე წამოყენება, თუნდაც გონზე მოსულიყო? მას თავისტიკიელი დასჩემდა<sup>1</sup> და სამსახურის უნარი აღარა ჰქონდა. პირიქით, მელიტონი იმ აზრისა იყო რომ შეიღმა უნდა იმსახუროს მისთვისაც [მელიტონისათვის] და თავისთვისაც<sup>2</sup>, ერთადერთი იმედი ოჯახისა— შრომისუუნარო მამისა, გატანჯული დედისა და სამი ვასათხოვარი დისა ტატოლა (ნიკოლოზი) იყო. მამის მულანგველობა უკვე ერთზეულ იმის მიზეზი იყო, რომ მან ხელი აიღო უნივერსიტეტში შესვლაზე, ახლა კი მისგან ახალ მსხვერპლს მოითხოვდნენ: სამშობლოსათვის თავი უნდა დაენებებინა, რათა სამსახურში დაწინაურებულიყო საღდაც მივარდნილ, გამოყრუებულ ადვილას, ვინაიდან აქ ეს დაწინაურება უფრო ადვილი იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილს სამსახურში ბედი არა სწყალობდა: მისი საქმიანობის უნარი აღნიშნეს პოზნენაც, რომელიც სისხლის საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს პალატის (ყოფ. Экспедиция суда и расправы) რევიზიას ახდენდა და თვით პოეტის უფროსმაც ილინსკიმ. რაკი იძულებული იყო მოხელედ შესულიყო, იგი მსახურობდა ხალისით, „რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციანზე კარგს ადვილს ვერ ვიპოვნინდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადვილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა...“<sup>3</sup> ამასთანავე, არამცთუ ზარმაცი არ იყო, პირიქით, როგორც თითონ ამბობდა, ზარმაციები სძავდა.<sup>4</sup> მინც ყველა თავის მეგობარს ჩამორჩა: სახელმწიფო სამსახურში იგი 1835 წელს შევიდა; წლინახევრის შემდეგ მას ჯერ კიდევ „ჩინი“ არა ჰქონდა; იგი მხოლოდ წარდგენილი იყო. 1843 წლის დამდეგს ნიკოლოზს, წელთა ნამსახურობის გამო, მიეცა გუბერნსკი სეკრეტრობა ე. ი. მეორე ჩინი რანგთა [ხარისხთა] ტაბელის მიხედვით<sup>5</sup>.

ახლა პოეტი შორეულ მხარეს მიემგზავრებოდა. გულისტიკიელით სტოვებდა თბილისის მხიარული მღელვარებით გატარებული ზაფხულის შემდეგ—საყვარელი დის ქორწილისა და მეგობრებთან ერთად მთელი ქართლის შემოვლის შემდეგ.

ნიკ. ბარათაშვილი და ლევ. მელიქიშვილი ნახჭევანს ზამთრის პირზე მივიდნენ, გადალახეს რა მათ 380 ვერსი მანძილი, არ უგრძენიათ ნახჭევანის დამცდელი ზაფხულის პაპანება და ციებ-ცხელება. მაგრამ ამ გადაკარგული, ქეშმარიტად ახიური კუთხის საყოფაცხოვრებო პირობების ატანა ზამთარში ზაფ-

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> მელიტონია 1816 წლის 8 ივნისის თხოვნა ვორონცოვის საბელზე—პ. გუგუშვილის პუბლიკაციით.

<sup>3</sup> ნიკ. ბარათაშვილის 1837 წლის თებერვლის წერილიდან გრიგ. ორბელიანთან.

<sup>4</sup> წერილი გრიგ. ორბელიანთან 1837 წლის თებერვლისა და ზაქარია ორბელიანთან 1844 წლის 15 აპრილისა.

<sup>5</sup> შემდეგი ჩინის მიცემა მოხდა 1843 წლის 26 იანვარს, 1842 წლის 14 აგვისტოს დასკვნისამებრ. ნ. ბარათაშვილს იმ დროს (1842 წლის აგვისტოში) მაგრძის უფროსის თანამდებობა ჰქონდა სისხლის საქმეთა სასამართლოს პალატაში (ყოფ. ექსპედ.)—იხ. „ზაკავკ. ვესტნი“ 1843 წ., № 20.

ხულისაზე ადვილი არ იყო. ოდესღაც ნახჭევანი დიდი და აყვავებული ქალაქი ყოფილა. ტაძრებითა და საზოგადოებრივი ხასიათის შენობებით. ძველი გადმოცემით, ნახჭევანში 30.000-მდე სახლი იყო. პირობით, ბარათაშვილის დროს, რამდენიმე წანგრევის გარდა, აღარაფერი მოგაგონებდათ „ნაშთსა ძველის დიდებისას“. თითქმის ყოველი სახლი ერთ ყაიდაზე იყო აგებული: თითოსართულიანი, სწორე ბახებიანი, გარშემო მაღალ კედლებშემოვლებული, რომლებიც თიხაში არეული ნაკები ჩაღისა და საყორე ქვით იყო ნაშენი, ამის გამო ქალაქს მეტისმეტი დაღვრემილობის იერი სდევდა. მთლად მის ოღრო-ჩოღრო და ვიწრო ქუჩებს ისე დაივლიდით, რომ ვერაფერს და ვერავის დაინახავდით რუხი კედლების გარდა, რომლებიც ამართული იყო ქუჩების ორივე მხრით<sup>1</sup>. ქუჩაზე ფასად-გამოდგმული სახლების შენება ის-ის იყო დაეწყოთ. სახაზინო შენობები თითქმის სრულიად არ მოიპოვებოდა. მოხელენი და სახელმწიფო დაწესებულებანი მოთავსებულ იყვნენ კერძო სახლებში. ქალაქგარეთ იდგა შედარებით კარგი სახლი ნახჭევანის ყოფილი ხანის ექსანისა, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგაც მართავდა ნახჭევანს რუსი გენერლის ჩინით დაჯილდოებული<sup>2</sup>. ქალაქში არსებობდა საკარანტინო-საბაჟო სამმართველო, სამაზრო სასწავლებელი, სამხედრო ჰოსპიტალი 105 საწოლით, ფოსტა და ზოგიერთი სხვა დაწესებულება. აქვე იყო საუბნო სამმართველოები. გარნიზონს ჯარისკაცთა ასეული შეადგენდა.

ამ პატარა ქალაქში, სადაც მოსახლეობა ოთხი ათას ხუთას სულს ძლივს აღწევდა (მათ შორის დაახლოებით ორ მესამედს ქენერლები და თურქომანები შეადგენდნენ და ერთ მესამედს სომხები) „საზოგადოება“, რაღა თქმა უნდა, მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა. მაინც იგი შედარებით უფრო ნაირნაირი იყო, ვიდრე სხვა პროვინციულ ქალაქებში. უპირველეს ყოვლისა ნახჭევანი იდგა არა მარტო თითქმის ირანის საზღვარზე, არამედ აგრეთვე ირანიდან რუსეთში მიმავალ გზაზე. მაშასადამე, მას ვერ ასცდებოდა ვერც ერთი მგზავრი, რომელიც ირანიდან რუსეთს მიდიოდა კავკასიაზე გავლით. ნიკ. ბარათაშვილის წერილიდან მაიკო ორბელიანისადმი ვიცით, რომ ქალაქის მახლობლად (30 ვერსზე) კარანტინი იყო. ამიტომ მგზავრები ყოვნდებოდნენ აქ რამდენსამე დღეს. იმ პირთა შორის, რომელთაც ნახჭევანზე უნდა გაეგლოთ, იყვნენ ისეთებიც, ვისთანაც ნიკ. ბარათაშვილს უხდებოდა სამსახურებრივი მოვალეობის გამო ურთიერთობის დაქერა<sup>3</sup>. ამას გარდა, ვაჭრობა ირანთან ნახჭევანის მეშვეობით ვიდოდა.

<sup>1</sup> „კავკ. კალენდ.“ 1852 წლისა— ნახჭევანი“ ნ. ენგელჰარდტისა.  
<sup>2</sup> „Voyage dans l' Inde et en Perse“, აღუქსეი სალტიკოვისა, პარიზი, 1858 წ., გვ. 827.  
<sup>3</sup> ნახჭევანზე გამვლელთა შორის იყვნენ ხოლმე უცხოეთის დიპლომატებიც: მაგალითად, 1845 წლის შემოდგომაზე (მართალია, იმ დროს ნ. ბარათაშვილი უკვე იქ აღარ იყო) ნახჭევანზე გაიარა თბილისისაკენ და უკან გამოიარა ირანის ელჩმა მამედ-ხანმა ამალით; აქვე გაიარა 1845 წლის I ოქტომბრის თებერვანის სამეფო კარზე მყოფი ინგლისური მისიის პირველმა მდივანმა პოლკოვნიკმა ფერენტმა, რომელიც თბილისს მიდიოდა და შესდევ ოდენაში.—იხ. „კავკ. ვესტ.“, 1845 წ., № 40, 43, 46.

ყველა მინიშნება „კავკ. ვესტ.“-ზე ფულისხმობს ამ გაზეთის ოფიციალურ ნაწილს.

ხოლო მუდმივ საზოგადოებას ნახვევანში შეადგენდნენ რამდენიმე ათეული შოხელე, ექიმები და ოფიცრები თავიანთი ოჯახებით. მათ შორის ქართველებიც იყვნენ, მაგალითად, სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი გაბრიელ ესტატეს-ძე ჩერქეზიშვილი. ადგილობრივი ხანები არ ეუცხოებოდნენ ამ „საზოგადოებას.“ და ნიკ. ბარათაშვილსაც, როგორც ოფიციალურ პირს, ჰქონდა მათთან ურთიერთობა, მათ შორის, რასაკვირველია, ექსან-ხანის შვილებთანაც<sup>1</sup>. იგი პირადად იცნობდა აგრეთვე ერთი ხანის ქალს—გონჩა-ბეგუმს, მიუხედავად მუსლიმანურ კარდაზშულობისა ქალებისათვის და, საერთოდ, ჩვეულებათა სისასტიკისა („ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და მარილიანია; ბევრში წარმოგიდგენთ ორ-ლოვის ცოლს“—სწერდა ნ. ბარათაშვილი ნაიკოს).

ნიკ. ბარათაშვილი ხვდებოდა მრავალ პოლონელს, ნახვევანში რომ მსახურობდნენ; ზოგი გამოდევნილი იყო კავკასიაში პასკევიჩის მიერ 1831 წ. აჯანყების დამარცხების შემდეგ და აქ სახელმწიფო სამსახურით თავს ირჩენდა; ზოგმა კავკასიას მოაშურა, ვინაიდან თავიანთ სამშობლოსა და რუსეთის შიდა-გუბერნიებში ისინი სამსახურებრივ შევიწროვებას განიცდიდნენ. მათ შორის იყვნენ—მაზრის ექიმი ვიქტორ კაზიმირის-ძე ლუნკევიჩი, რომელიც აქ დაქორწინდა და სამუდამოდ კავკასიაში დარჩა; მისი ძმა—სამხედრო ჰოსპიტალის მთავარი ექიმი ივანე კაზიმირის-ძე ლუნკევიჩი და ბევრი სხვანი. სამშობლოს მოწყვეტილნი, უცხო მხარეს გადმობეჭვილნი—ისინი მტკიცედ იცავდნენ ნაციონალურ ტრადიციებს და თავიანთი ლიტერატურისადმი სიყვარულს. ნიკ. ბარათაშვილი, როგორც მიცკევიჩის პოეზიის მცოდნე და მოსიყვარულე და ახალგაზრდა პოლონეთის სურვილთა და პოლიტიკურ მისწრაფებათა თანამგრძნობელი, ხვდებოდა გადმობეჭვილ პოლონელებს არა მარტო სამსახურის საქმეების გამო, არამედ კერძო ცხოვრებაშიაც, სხვადასხვაგვარ საღამოებზე და კრებებზე.

რადგანაც ლევ. მელიქიშვილს აქ ერთი ხელით რომ საადმინისტრაციო აპარატი უნდა შეექმნა, ხოლო მეორეთი დაეცვა მხარე გარეშე გავლენისაგან და რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი გლემენტების სარწმუნოებრივ-პოლიტიკური პროპაგანდისაგან,—ამიტომ, რაღა თქმა უნდა, არც ნიკ. ბარათაშვილი იჯდა უსაქმოდ.—„ალარც მე მცალიან ვისთვისმე—სწერდა იგი მაიკოს,—ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევკსძლენ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა...“<sup>2</sup>

<sup>1</sup> ნახვევანში ნ. ბარათაშვილის ყოფნის დროს თითონ ექსან-ხანი, გვგონია, ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო. ხოლო ნახვევანის საუბნო „ზასედატელის“ აღ. კლიჩის 1847 წლის 5 დეკემბრის წერილი მიხედვით თუმანიშვილისადმი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ექსან-ხანის შვილებს ურთიერთობა ჰქონიათ „უფროსებთან“ („начальством“). კლიჩი ატყობინებს მ. თუმანიშვილს—„თანამდებობა დავიკავე, გავეცან უბანს და მის მცხოვრებთ, განსაკუთრებით კი ექსან-ხანის შვილებს ჭებიალა და ნილ (?—გაურკვეველია) ხანებს, მირზა-ყული ხანს“ და სხვა შემაპულეებსაო, „რომელნიც თქვენ ყველანი პატოვისცემას ვიცხადებენ“ (იხ. საქართვ. მუხეუშის ხელნაწ. განყოფ. ხელნაწერთა კონა № Q—440). მიზ. თუმანიშვილი ნახვევანში იყო სარევიზიოთ 1845 თუ 1846 წ., როდესაც ხანებსაც გასცნობრა.

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილის ყველა წერილი, გარდა ცალკე აღნიშნულებისა, ციტირებულია ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის (1922 წლის) მიხედვით.

მაგრამ პოეტის ცოცხალი ბუნება მარტო სამსახურის საქმით ვერ დაკმა-  
ყოფილდებოდა. და დიდი მოტრფიალე მუსიკისა და სიმღერისა, იგი ორი დღე  
და ღამე უსმენს სულეიმან-ხანის მიერ ირანიდან ჩამოყვანილ მომღერალ ჯაფარას  
ისმენს მთელ მის „რეპერტუარს“; <sup>1</sup> იგი იწერს გონა-ბეგუმის მიერ შეთხზულ



პოეტი ვაბტანგ ორბელიანი  
(1812—1890)

ლექს-სიმღერას და თარგმნის<sup>1</sup> ქართულად; აქედან, ამ სიშორიდან იგი გაფა-  
ციცებით თვალს ადევნებს თავის საყვარელი მომღერლის, შესანიშნავი სათა-  
რას სახელისა და დიდების შეუბღალაობას და წერილში თავს ესხმის მათ,  
ვინც ბედავს და უკვე თბილისში ჩასულ ჯაფარას სათარაზე მალლა აყენებს;

<sup>1</sup> სულეიმან-ხანი, პოდოლკოვნიკი, შეკის სელიმ-ხანის ვაჟი. სულეიმანი და ჯაფარა ნახ-  
ჭევანი ჩამოხდნენ მელიქიძეების და ბარათაშვილის სახლში.

იგი თავრიზიდან იბარებს კრიალოსნებს თბილისის მანდილოსნებისათვის და წერილებში მუდამ ეკითხება თავის კორესპონდენტებს თბილისის ახალ ამბებს. აქ იგი სწერს 10 იანვარს უკანასკნელ ლექსს (ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით აღმოჩენილთა შორის) „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“-ს.

ბანქოს თამაში ნახჭევანში, ისე როგორც ყველა სხვა პროვინციულ ქალაქშიაც, ერთი ჩვეულებრივი გართობათაგანი იყო მოსამსახურე ხალხისათვის, შეიძლება ყველაზე უფრო საყვარელიც და სასურველიც. აქ მდიდარი მემამულენი იყვნენ და ამიტომ ნახჭევანელები შედარებით დიდ ფულზე თამაშობდნენ ხოლმე. ნ. ბარათაშვილმა, რომელიც აგრეთვე მონაწილეობას იღებდა ამ თამაშში, ერთ ლამეს, ნახჭევნიდან ლევან მელიქიშვილის წამოსვლის წინ, ერთბაშად 200 მან. წააგო<sup>1</sup>. ლევანმა ეს გარემოება ხელზე დაიხვია და დააჯერა ტატო დაუყოვნებლივ მას ვაჰყოლოდა: ლევანს ეშინოდა, ვაი თუ ტატომ უფრო მეტი წააგოს და საგზაო ფული აღარ დარჩებაო<sup>2</sup>.

ბანქო მთავარი ვასართობი იყო, მაგრამ არა ერთადერთი. პოეტს, თუმცა იგი მოიკოტლებდა, ცეკვაც უყვარდა<sup>3</sup>. ისინიც საკმაოდ იყვნენ, ვისთანაც ცეკვა შეიძლებოდა: ი. სულხანიშვილი, რომელმაც ლევან მელიქიშვილის ადგილი დაიკირა, ერთერთ თავის წერილში (1845 წლის დეკემბ.) სწერდა: „აქ თუმცა პატარა ობჩესტვოა, მაგრამ კვირაში ერთხელ-ორჯერ ვეჩერები არ გვაკლია თავისის გაწყობილის ტანცაობით. წარმოიდგინეთ, რომ ზანდახან მეც მოხუცებულს კაცს არ მომეშვებიან ჩამომატარებენ ხოლმე. — აქაური ქალები ოთხმოცის წლის კაცსაც გააყამაწვილებენ, წამოდით აქ ერთს ორს კვირას, თავდებათ გიდგები რომ ციება საუკუნოთ თავს დაგანებებს“<sup>4</sup>.

არც დიდ მუშაობას, არც პროვინციულ დროგატარებას არ შეეძლო შეეგუებინა პოეტი ნახჭევანთან, სადაც უცხო „საზოგადოება“ და მანკიერი ჰავა<sup>5</sup> სულის მომწყვლელად მოქმედებდა მასზე. იგი მარტოდ-მარტო გრძნობდა თავს — „ეს ერთი კაცი გვეყვანდა პოლკოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტოდავრჩით!“<sup>6</sup>. პოლკოვნიკი კარლ გუსტავის-ძე ფორსტენი<sup>7</sup> კავკასიაში მყოფ ჯართა მთავარ შტაბთან ირიცხებოდა. იგი დროებით ნახჭევანში ცხოვრობდა, ალბათ, ადგილობრივი გარნიზონისა და საზღვრის ახლო მდებარე პუნქტების გარნიზონთა საინსპექციოდ: ნახჭევანში ერთერთი ქართული სახაზო ბატალიონის ასეული იდგა, ხოლო ფორსტენი მალე კავკასიის სახაზო ბატალიონების მე-2 ბრიგადის კომანდირად დაინიშნა, იგი კულტურული ოჯახიდან იყო: მისი ძმა პოლკოვნიკი გუსტავ გუსტავის-ძე ფორ-

<sup>1</sup> აკად. გამოც. 1922 წლ., გვ XXXV.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იხ. გრიგ. ორბელიანისადმი წერილი 1837 წლის თებერვლისა.

<sup>4</sup> მიხ. თუშანიშვილს — ხელნაწ. კონა № Q-440 — საქართვ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფილებაში.

<sup>5</sup> სულხანიშვილი გულისხმობს მალარიას, რომელითაც მიხ. თუშანიშვილი აქედ გაზდა ნახჭევანში.

<sup>6</sup> ... ავადმყოფობათა შორის ყველაზე უფრო მეტად არის ჯირკვლების ზურვება და შენაკვლებითი ციებ-ციხელება\* [ცხრო] — ნ. ვხვლავარდტის მარკვევიდან.

<sup>7</sup> ნ. ბარათაშვილის წერილიდან მიიკო ორბელიანისადმი, ნახჭევნიდან — უთარილო.

<sup>8</sup> შთამომავლობით შედეი.



სტენი, რომელიც აგრეთვე კავკასიის ჯართა შტაბთან ირიცხებოდა, გენერალური შტაბის ოფიცერი იყო, გარნა მშინ გენერალური შტაბის აკადემიაშია მხოლოდ კარგად განათლებულ ოფიცერებს იღებდნენ. ნიკ. ბარათაშვილი, მართლაც ჰპოვებდა ფორსტენის პიროვნებაში საინტერესო მოსაუბრეს, რომლის წასვლაც მას ასე სწყინდა.

ნახჭევანში ნიკოლოზ ბარათაშვილის ყოფნის დროს მელიტონს დამბლა დაეცა. ეს იყო 1844 წლის დეკემბერში ან 1845 წლის იანვრის დამდეგში. ამ ახალ უბედურებას შეეძლო სრულ სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო პოეტი, რომელსაც ისედაც უბედურება უბედურებაზე თავს ატყუებოდა. სწორედ ასეთს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ამ ამბავმა მისი ბიძა გრიგოლ ორბელიანი<sup>1</sup>. ამიტომ, მახლობლებმა დაუშლეს ნიკოლოზს მამის დაავადება—ყოველ შემთხვევაში, მის ნახჭევანისეულ წერილებში არავითარი საამისო გამოხმავლება არა სჩანს.

ხოლო ლევანის ავადმყოფობამ პირდაპირ აუტანელი ვახადა ნახჭევანში ცხოვრება. პოეტი სწყველის ნეიდჰარდტს<sup>2</sup>, რომელმაც ეს ორი მეგობარი იქ გაგზავნა. „ჩენი ცხოვრება—სწერდა იგი მაიკოს ნახჭევანიდან წამოსვლის წინ—ჰსწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობის მეტი არა არის რა! ლევანი ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუდა სიცხისაგან, რასაც ეს ნეიდჰარდტს სწყველის აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცი ითუ რა მოუვლეს“.

ნეიდჰარდტის წასვლა და მეფის-ნაცვლად ვორონცოვის დანიშვნა მთელი იმ წრისათვის, რომელსაც პოეტი ეკუთვნოდა, დიდი ამბავი იყო. მეფის მონაცვლეობის დაარსებასთან დაკავშირებული იყო ახალი ვაკანსიებისა და სახეირო სამსახურის იმედები, ვინაიდან მეფის-ნაცვალს მინისტრის უფლებები ჰქონდა მიკუთვნებული. უკეთესი მერმისის მოლოდინს, სხვათა შორის, თვით ვორონცოვის პიროვნებაზე ამყარებდნენ, ვინაიდან ახალგაზრდობისას იგი კავკასიაში მსახურობდა, კარგად იცნობდა მხარეს და აქაურ საზოგადოებას და თანაც დიდი გავლენის მქონე იყო სამეფო კარის ავან-ჩაევანთა შორის. თბილისამდე მალე მოაღწია იმ ამბავმა, რომ ვორონცოვი მოდის განსაკუთრებული უფლებამოსილებით და დიდი ამაღის თანხლებით, რომელსაც შეადგენენ რუსეთში გამოჩენილ გვარეულობათა წარმომადგენელნი. ამბობდნენ, საქართველოს დედა-ქალაქში და კავკასიაში მოეწყობა პაწია „სამეფო კარი“ და კავკასიაში სამსახურის მნიშვნელობა ძალიან გაიზრდებაო, ოდესელი მოხელენი ავიშვიშდნენ, ხოლო თბილისელნი აღტაცებას მიეცნენ. „მთელი ოდესა ღელავს—მთლად აქაური ხალხი მას [ვორონცოვს] მოსდევს, როგორც წინამძღოლს. ოდესა ცარიელდება

<sup>1</sup> „ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლაობას—სწერდა გრიგოლი ჯენგუთაიდან თავის ძმას ზაქარიას 1845 წლის 19 იანვარს.—შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე ამ ამბითა, რა უნდა ჰქმნას სიყრმითვე ვეფხიაში, რით შეინაზოს ესოდენი წერილი შეილები, სრულიად დატაკად დაშთომილნი. ტატო ნახჭევანში წასულა ლევანთან ერთად. ამდენს ჩენის თავის ვაიგვალახს ესლა გვაკლდა; რა უყვით; რითა, ან როგორ შევიწიებთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიებებს სრულად, ნეტავი მოვკვდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე“ („გრიგოლ ორბელიანი—წერილები“, ა. გაწერელაის რედ., ტ. I, 1936 წ.).

<sup>2</sup> კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირი და მთავარმმართველი კავკასიაში—1842 წლის ოქტომბრიდან 1844 წლის დეკემბრამდე.

და შეიქცევა, რომ აქ დავრჩე“—სწერდა ი. პოლონსკი (ცნობილი რუსი პოეტი, მაშინ ოდესელი მოხელე) ნ. მ. ოროლვს 1845 წლის 10 იანვარს ვორონცოვის გამოცილების გამო<sup>1</sup>. „აქ სხვა საქმე არა გვაქვს სულ *Ворониов-*ზედ ვლაპარაკობთ—ატყობინებდა 1845 წლის 16 იანვარს დიმიტრი ჯორჯაძე თბილისიდან მიხეილ თუმანიშვილს, რომელიც იმ დროს ქალაქიდან წასული იყო, ისე როგორც ნიკ. ბარათაშვილიც—ყველას უხაროან იმის დანიშვნა, *всякий что-нибудь* *расчитывает* *выиграть*, მაგრამ მე და ჩვენი ზაქარია<sup>2</sup> ნეიდლარტის მოშორებებს ენანობთ“<sup>3</sup>.

მოსალოდნელ ცვლილებათა ამბავმა ნახტევანმდევ მიიღწია. ლევან მელიქიშვილი დაეშურა და მაზრის უფროსის მოვლეობისაგან განთავისუფლების თაობაზე თხოვნა შეეტანა. თანაც იგი უშამდგომლობდა, მომქმედ არმიაში გამგზავნეთო. 1845 წლის 12 მარტს, ე. ი. ორი კვირით ადრე თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამდე, გაიცა განკარგულება იმაზე, რომ „შტაბს-კაპიტანი თავადი მელიქოვი თავისუფლდება მისი თხოვნისამებრ, ნახტევანის მაზრის გამგებლობისაგან“<sup>4</sup>. იმავე დღეს მის მაგიერ ნახტევანის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნა იასე ზაქარიას ძე სულხანიშვილი, რომელსაც საკმაოდ ვაჭიანურებული და საკმაოდვე გაუგებარი სახელწოდება ჰქონდა: „ტფილისის საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის წევრი მთავრობისაგან და საერობო ბეგართა საგუბერნიო კომიტეტის აუცილებელი [მუდმივი] წევრის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი“ („Член от правительства Тифлисского городского общественного управления, исправляющий временно должность неперменного члена губернского комитета о земских повинностях“)<sup>5</sup>. იგი დაუყოვნებლივ ნახტევანს გაემგზავრა, ხოლო ნიკ. ბარათაშვილი და ლევ. მელიქიშვილი თბილისს წამოვიდნენ.

თბილისში პოეტის დაბრუნების დროის გამოსარკვევად მნიშვნელობა აქვს იმავე ჯორჯაძის წერილს მიხ. თუმანიშვილისადმი, რომელსაც იგი ხელთუბანში ატყობინებდა „დღეს სულხანიოვი ნახტევანს გავისტუმრეთ ნაჩაღნიკათ ლევანის ადგილს. ის და ტატო აქვე მოდიან...“<sup>6</sup>. წერილი დაწერილია არა უგვიანეს 12—15 მარტისა. მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ სამაზრო აღმინისტრაციის უფროსი ლევ. მელიქიშვილი და მისი უახლოესი თანაშემწე ნიკ. ბარათაშვილი (თუ კი ნიკ. ბარათაშვილს მართლა თანაშემწის ადგილი ეჭირა) ისე ერთბაშად წამოსულიყვნენ ახალი უფროსისათვის საქმეების ჩაუბარებლად.

<sup>1</sup> მართლაც, პოლონსკი მალე კავკასიაში გადმოვიდა და თბილისში ჩამოვიდა 1846 წლის 25 ივნისს. იხ. „Я. Полонский, Стихотворения и поэмы“, საბჭ. შვერლ. გამოცემა 1965 წ., გვ. 621.

<sup>2</sup> ალბათ, ზაქარია ფალავანიშვილი, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მიხ. თუმანიშვილთან და დიმი. ჯორჯაძესთან.

<sup>3</sup> ხელნაწ. კონა № Q—440.

<sup>4</sup> „ზაკავგ. ვესტნ.“, 1845 წ., № 15.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> მ. ხელთუბნელი — „სალიტ-საზოგად. წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 50.

სულხანიშვილის ნახევანში მისასვლელად, მელიქიშვილის მიერ მისთვის საქმეების ჩასაბარებლად და მელიქიშვილისა და ბარათაშვილის თბილისში დასაბრუნებლად საჭირო იყო, სულ ცოტა, სამ კვირამდე. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკ. ბარათაშვილს და ლევ. მელიქიშვილს შეეძლოთ დაბრუნე-



კონსტ. მამაკაშვილი  
(1814—1900)



ლევან მელიქიშვილი  
(1817—1892)

ბულიცენი თბილისში მხოლოდ აპრილის ნახევრისათვის. დაბრუნების დრო შეიძლება უკან გადაიწიოს, მარტში, თუ დამტკიცდება, რომ მელიქიშვილის ოფიციალურ თანაშემწედ სხვა პირი იყო. მაშინ მელიქიშვილს, რაკი ადგილობრივი თანაშემწე ჰყავდა, შეეძლო საქმეები მისთვის ჩაებარებინა და ისე წამოხულიყო, რომ სულხანიშვილისათვის არ დაეცადა.

1844 წლის „ზაკაკ. ვესტნ.“-ის არც ერთ ნომერში არ არის განკარგულება ბარათაშვილის დანიშვნის შესახებ ნახევანში. ამას გარდა 1845 წლის ამავე ოფიციალური გაზეთის მე-15 №-ში მოთავსებულ განკარგულებათა შორის, რომლებიც საქართველო-იმერეთის გუბერნიას ეხება, არის განკარგულება, სადაც ნათქვამია, რომ 1845 წლის 16 მარტს „ვადაყვანილ არიან: ნახევანის მაზრის უფროსის თანაშემწე პორუჩიკი მადეენკო გურისის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო გოგჩის საუბნო „ზასედატელი“, ტიტულიარნი სოვეტნიკი ლინეცკი—ნახევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ“. ვინაიდან ყოველი მაზრის

უფროსს ჰყავდა მხოლოდ თითო თანაშემწე, ამიტომ ოფიციალური ცნობის მიხედვით, ლევ. მელიქიშვილის თანაშემწედ იყო არა ნიკ. ბარათაშვილი, არამედ მაყენკო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე დროს განთავისუფლებულია თანამდებობისაგან ლევ. მელიქიშვილი და (4 დღის შემდეგ) გადაყვანილია მისი თანაშემწე მაყენკო და იმავე დროს მათ ადგილას დანიშნულ არიან სხვა პირნი; ნიკ. ბარათაშვილზე არაფერია ნათქვამი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გრიგოლ ორბელიანი ჯენგუთაიდან გაგზავნილ წერილში (იხ. ზევით) ამბობს „... ტატო ნახჩევანში წასულა ლევანთან ერთად“—აო და არ აღნიშნავს, რა თანამდებობაზე წასულა ტატო.

მეორეს მხრით არის ცნობები, რომ 1843—44 წლებში თბილისის საუბნო „ზასყდატელის“<sup>1</sup> თანაშემწედ ითვლებოდა „გუბერნსკი სეკრეტარი თავ: ბარათოვი“. ამ თანამდებობაზე იგი დაინიშნა 1843 წლის 29 სექტემბერს და დათხოვნილ იქნა მისივე თხოვნით 1845 წლის 20 მარტს, ე. ი. წელიწადნახევრის შემდეგ<sup>2</sup>. განკარგულება მისი დათხოვნის თაობაზე გამოქვეყნებულია „ზაკავკ. ვესტნ.“<sup>3</sup> ის იმავე ნომერში, რომელშიც გამოქვეყნებულია ლევ. მელიქიშვილის განთავისუფლება ნახჭევნის მაზრის უფროსის თანამდებობისაგან.

თავისთავად იბადება საკითხი, ნიკ. ბარათაშვილზე ხომ არ არის აქ ლაპარაკი?<sup>3</sup>

ნახჭევნის მაზრა შედიოდა მაშინ იმავე საქართველო-იმერეთის გუბერნიის შედგენილობაში, როგორც ეკუთვნოდა თბილისის მაზრაც. შესაძლებელია, რომ თბილისის უბნის „ზასყდატელის“ თანაშემწედ ყოფნის დროს ნიკ. ბარათაშვილი დროებით მივლინებულ იქნა ნახჭევანში მელიქიშვილის თხოვნით.

აღსანიშნავია რამდენიმე კურორტული გარემოება, რაც სულ მოკლე დროის მანძილზე ერთი მეორეს დაემთხვა: ის იყო, პოეტის ნახჭევნიდან თბილისის დაბ-

<sup>1</sup> „ზალხის ცხოვრების უშუალო მეთვალყურედ, კულტურის გამტარებლად და ადმინისტრაციისა და სასამართლოს ყველა განკარგულების აღმასრულებლად დაყენებული იყო პოლიციის მოხელე—უბნის „ზასყდატელი“; იგივე აწარმოებდა გამოძიებას ყველა დანაშაულის შესახებ და ასამართლებდა მცირე მნიშვნელობის მქონე დანაშაულთა გამო; ხოლო მის მთავარ მოვალეობას შეადგენდა—თვალყური ედევნებინა ხარკის წესიერად გადახდისათვის და ყოველგვარი ბეგარის მოხდისათვის.—ბ. ესაძე, „Историческая записка по управлению Кавказом“, ტ. I. 1907 წ. გვ. 76.

<sup>2</sup> „ზაკავკ. ვესტნ.“ 1843 წ. № 44 და 1845 წ. № 15.

<sup>3</sup> ცნობები პოეტის მუშაობაზე პალატაში (ყოფ. ექსპედიციაში) არსებობს მხოლოდ 1842 წლის ავისტოს ნახევრამდე (იხ. განკარგულება გუბერნსკი სეკრეტარის ჩინის მიცემაზე—„ზაკავკ. ვესტნ.“, 1843 წ., № 20). საყურადღებოა შემდეგი გარემოებანი: 1) 1843—1845 წლებში ნიკ. ბარათაშვილს ჰქონდა იმავე გუბერნსკი სეკრეტარის ჩინი; 2) მისი მამა მელიტონი კარგახანს თბილისის მაზრის თავადაზნაურების წინამძღოლი იყო და მას ადგილად შეეძლო მოეხერხებინა შეილისათვის თანამდებობა თბილისის მაზრაშივე; 3) უბნის „ზასყდატელის“ გუბერნსკის სეკრეტარის ბარათოვის დათხოვნა მოხდა 20 მარტს, ე. ი. ერთი კვირის უკან მას შემდეგ, რაც გადაწყდა ლევ. მელიქიშვილისა და ნიკ. ბარათაშვილის ნახჭევნიდან წამოსვლის საკითხი.

რუნდა, რომ მეორე ბარათაშვილი იმავე ნახჭევნის მახრასში გაემგზავრა და სწორედ პოლიციურ თანამდებობაზე<sup>1</sup>. ამავე დროს ერთერთი ბარათაშვილიც გარდაიცვალა ნუხაში, სადაც უბნის „ხასედატელად“ იყო<sup>2</sup>.

II

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ  
საფლავებს შორის;  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს  
ცრემლი მწუხარის“.

ნ. ბარათაშვილი, 1842 წ. „მერანი“

ასე იყო თუ ისე 1845 წლის გაზაფხულზე, ნახჭევნიდან დაბრუნებისას, პოეტი შეუდგა ახალი სამსახურის ძებნას. ლევან მელიქიშვილი, რომლისთვისაც ნახჭევანში ყოფნა მხოლოდ უმნიშვნელო ეპიზოდი იყო (სხვათა შორის, ლევან მელიქიშვილის არც ერთი ბიოგრაფი საპიროდ არა სთვლის ამ ეპიზოდის აღნიშვნას), მალე დარწმუნდა, რომ ვორონცოვზე დამყარებული იმედები, ყოველ შემთხვევაში, მისთვის უქმი არ იყო: სახელისა და დიდების მოყვარე ვორონცოვის სურდა კავკასიაში თავისი დანიშვნა აღენიშნა რაიმე თვალსაჩინო გამარჯვებით და ამიტომ მან განიზრახა გაბედული სამხედრო ოპერაცია. დაიწყო რაზმის შედგენა თითქმის მიუდგომელ აული დარგოს ასაღებად, სწორედ ამ აულში იყო შამილის რეზიდენცია. რაზმს შეთაურობდა თვით ვორონცოვი. მასთან იყო პრინცი ალექსანდრე ჰესსენი; რომელიც მიტომ იყო მიწვეული, რათა შემდეგ მთელს ევროპაში გაეთქვა ვორონცოვის სახელი და დიდება. თბილისში დაბრუნებისათანავე ლევ. მელიქიშვილი დაინიშნა მომქმედ ჯარში, გაემგზავრა დაღესტანს და, ერთი მოწინავე რაზმის სათავეში მდგარმა, მან 5 ივნისს აიღო იერიშით ანჭიმერის სიმაღლე. ამ სიმაღლის აღებამ გზა გაუხსნა ვორონცოვის დარგოსაკენ<sup>3</sup>, ხოლო მელიქიშვილს სწრაფმსრობილი და ბრწყინვალე სამხედრო კარიერისაკენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პერსპექტივები უფრო სადა იყო და ნაკლებ აღმაფრენი: მისმა გიმნაზიელმა ამხანაგებმა—თითქმის ყველამ—უკან მოიტოვეს იგი: ლევან მელიქიშვილი (1817—1892) უკვე კაპიტანი იყო; ილია ორბელიანი (1817—1853)—აგრეთვე კაპიტანი; მიხეილ თუმანიშვილი (1818—1875), რომელმაც გიმნაზია მასზე ერთი წლით გვიან გაათავა და მასავით პალატის (ექსპედიცია) სამსახურში ირიცხებოდა 1839—42 წლების პერიოდში,—უკვე ტიტულიარნი სოფეტნიკის (მეოთხე) ჩინით იყო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფი—იონა შეუნარგა—მოგვითხრობს პოეტის თანამედროვეთა გადმოცემით, რომ იგი, თბილისში დაბრუნებისას,

<sup>1</sup> 1845 წლის 16 აპრილს პრაპორშნიკი გრიგოლ ბარათოვი დაინიშნა ორდუბათის პოლიციურ კომისრად („ხაკავ. ვესტნ.“, 1845 წ., № 18).  
<sup>2</sup> ნუხის საუბნო „ხასედ.“ კაპიტანი ბარათოვი „დათხვნილ“ ქნა სამსახურიდან 1845 წლის 9 მარტს სიყვდილის გამო („ხაკავ. ვესტნ.“ 1845 წ., № 15).  
<sup>3</sup> დარღოს ექსპედიცია, რომელმაც დიდი მსხვერპლი და აუარებელი საჭურვლის დაღუპვა გამოიწვია, დაწყებულ იქნა 1845 წლის 31 მაისს და დამთავრდა 20 ივნისს.

თხოვლობდა თელავში დაენიშნათ. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა. იგი დანიშნა თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ და ეტლი („ტროიკა“), რომლითაც ნიკოლოზი თელავს უნდა წასულიყო, უკვე გამზადებული ჰყავდა, რომ მასთან მოვიდა თურმე მამუკა ორბელიანი, ელისავეტპოლის მაზრის უფროსი, და დაითანხმა იგი, თელავის ნაცვლად, განჯაში წაჰყოლოდა.<sup>1</sup>

ეს ცნობები, ზოგადად, ალბათ, სინამდვილეს შეესაბამება; ესეც არ იყოს, მამუკას ხელისუფლებასთან იმოდენა კავშირი ჰქონდა, რომ შეეძლო ეს „მეცლა“ მოეხდინა, მაგრამ ამ ცნობებში არის რაღაც ზოგი რამ გაუგებრობა დეტალების მხრით: მამუკა ორბელიანი, რომელმაც უნებლიედ საბედისწერო როლი ითამაშა ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებაში, ელისავეტპოლის მაზრის მმართველად 1844 წლის 21 დეკემბერს დანიშნა, როდესაც ნიკოლოზი ჯერ კიდევ ნახჭევანს იყო. მამუკამ ეს დანიშვნა დროებით მიიღო პოლკოვნიკ ლუცენკოს<sup>2</sup> მოსვლამდე, რომელიც იმ დროს ან მომქმედ ჯარში იმყოფებოდა, ან შიდა-რუსეთში. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რაღაც მიზეზით, ლუცენკო არ მოვიდა და მამუკა განჯაში დარჩა. მის თანაშემწედ ითვლებოდა ვინმე „ტიტულიარნი სოვეტნიკი ბენზარი“. უნდა ვიფიქროთ, უფროსი და მისი თანაშემწე ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ, ვინაიდან 1845 წლის 21 მარტს ბენზარი გადაყვანილ იქნა ახალციხის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო მამუკას დაუნიშნეს ახალი თანაშემწე — რამაზ ანდრონიკაშვილი, რომელიც აქამდე ბორჩალოს უბნის „ზასედატელად“ იყო<sup>3</sup>. მაგრამ ამ თანაშემწემაც გაისაძღისა ძლივ-ძლივით სამ თვეს: 19 ივნისს იგი გადაყვანილ იქნა მისსავე სამშობლოში, კახეთში, თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო „თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდ.“ აღმასრულებელი, გუბერნსკი სეკრეტარი თავ. ბარათოვი — ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლადვე<sup>4</sup>.

ამნაირად, ნიკ. ბარათაშვილი განჯაში აღმოჩნდებოდა არა უადრეს ივნისისა. ხოლო, მივიდა იგი განჯაში მარტო, თუ მამუკასთან ერთად, — ეს ძნელი სათქმელია; მართალია, მამუკა ზაფხულს იყო თბილისში. ეს აღნიშნულია ოფიციალურ გაზ. „ზაკაეკ. ვესტნ.“-ში (№ 30) და ეხება იელისის თვეს, როდესაც მამუკა თბილისში ორ დღეს დარჩა<sup>5</sup>; ძნელი საფიქრებელია, რომ მიმოსვლის მაშინდელი პირობების გამო მამუკა ივნისშიაც ყოფილიყო თბილისში და იელისშიაც.

<sup>1</sup> აკად. გამოც. 1922 წლისა, გვ. XXXV.

<sup>2</sup> „ნი ი შ ნ ე ბ ი ა ნ“: 20 დეკემბერს [1844 წ.] პოლკ. ლუცენკო — ელისავეტპოლის მაზრის უფროსად; 21 დეკემბერს — კავალერიაში მყოფი მაიორი ჯამბაკურია — ორბელიანოვი, მთავარ-მმართველის ნებით, ვიდრე ლუცენკო მოვიდოდეს, ელისავეტპოლის მაზრის საგამგებლოდ“ („ზაკაეკ. ვესტნ., 1845 წ., № 1).

<sup>3</sup> „ზაკაეკ. ვესტნ.“, 1845 წ., № 15.

<sup>4</sup> „ზაკაეკ. ვესტნ.“, 1845 წ., № 29.

<sup>5</sup> შესაძლებელია, ნიკოლოზი წავიდა განჯაში მამუკას მიწვევით ჯერ კიდევ დანიშნამდე და, გაეცნო რა სამსახურის პირობებს, შეუთანხმდა რამაზ ანდრონიკაშვილს ადგილის გაცემაზე.

განჯა უფრო მიიზიდავდა ნიკოლოზს, ვიდრე ნახჭევანი—მანძილის სი-  
 შოკლითაც (194 ვერსი), ჰავეითაც, საზოგადოებითაც. მართალია, იმ დროს იგი  
 საკმაოდ დაცარიელებული იყო ლეკების ხშირი თავდასხმის გამო. ბარონი  
 აღექს. პავლეს-ძე ნიკოლაი, კავკასიის მეფის-ნაცვლის მთავარი სამმართველოს  
 მომავალი უფროსი, ხოლო იმ ქამად ახალგაზრდა კამერ-იუნკერი,<sup>1</sup> ამბობს თა-  
 ვის გამოუქვეყნებელ დღიურში,<sup>2</sup> რომ ყველგან ჩანს ნგრევის ნიშნები, „ბაზარი



მხ. ჩელიშვილი.

მანანა ორბელიანი (კარიკატურა).

ჩინებულია, მაგრამ უკაცრული“ და ნანგრევებშია, „ქალაქს სასაფლაოს სანა-  
 ხაობა აქვს“. მაგრამ იმასაც კი აღნიშნავს, რომ ქალაქი ძალიან დიდია და  
 მთლად ბალებით მოფენილი. თვით პოეტიც ეკითხებოდა მაიკოს: „აბა რა გა-  
 მოგიგზავნო? ბროწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, დურაჯი, ჯეირანი, აბრე-  
 შუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ფაბრიკებში და მალაზიებში, ამის მეტი  
 არა არის რა“<sup>3</sup>.

უძველესი ქალაქი განჯა. 1804 წელს დაპყრობილი და რუსეთთან მიერ-  
 თებული, მაშინვე გადარქმეულ იქნა ელისავეტოპოლად. 1845 წელს იგი საქარ-

<sup>1</sup> ნიკოლაი მოვიდა კავკასიაში თდგისიდან, სადაც წინად ვორონცოვის კანცელარიაში  
 მსახურობდა, კავკასიაში ნიკოლაიმ დაიწყო თავისი კარიერა მეფის-ნაცვლის განსაკუთრებულ  
 მინდობილობათა მოხელის თანამდებობით, ე. ი. იმავე ვორონცოვთან. განჯაში იგი ერთ დღეს  
 დარჩა ბაქოდან თბილისში მიმავალი.

<sup>2</sup> საქართველოს სალიტერატურო მუზეუმშია.

<sup>3</sup> 1845 წლის 10 აგვისტოს.

თველო-იმერეთის გუბერნიის სამაზრო ქალაქი იყო და მასში ითვლებოდა 12.000 მცხოვრები—თურქთა რიცხვი მცირედად აღემატებოდა სომეხთა რიცხვს. ქალაქს ჰყოფდა მდინარე „მუსლიმანური“ და „სომხურ“ (მთიან) ნაწილად. მთავრობის დაწესებულებანი მოთავსებული იყვნენ სომხურ ნაწილში, სადაც ცოტაოდენი, აგურით ნაშენი, სახლები იყო (განჯაში მეტწილი სახლები საყორე ქვითა და თიხით შენდებოდა, მაღალი თაღებით). აქვე იყო ის სახლები, რომლებშიაც ადმინისტრაცია ცხოვრობდა, მასასადამე, აქვე ცხოვრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ციხე, გარნიზონი და რუსების ეკლესია, (რომლის გალავანშიაც დაასაფლავეს შემდგომ ნიკ. ბარათაშვილი) მუსლიმანურ ნაწილში მდებარეობდნენ. ქალაქში სხვადასხვა უწყების მოხელენი ბლომად იყვნენ, აგრეთვე ოფიცრობაც. აქაც, ისე როგორც ნახჭევანშიაც, ნიკოლოზს პოლონელი მოხელეები ეხვივნენ გარს; სამაზრო სამმართველოს მდივნად, ე. ი. ისეთ პირად, რომელთანაც (გარდა მაზრის უფროსისა) მას მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, პოლონელი იყო, ბენედიქტ ბენედიქტის-დე სატანოვიჩი, მაზრის მოსამართლედ—მეორე პოლონელი, ვალერიან სტანისლავის-დე ვერეხბიციკი; მაზრის პროკურორი სობოლევსკი, ფოსტმეისტერი კრივანოვსკი და ზოგიერთნი სხვანი აგრეთვე პოლონელები უნდა ყოფილიყვნენ.

განჯასა და განჯის მაზრაში თბილისელების პატარა კოლონიაც იყო. მას, ნიკ. ბარათაშვილისა და მამუკა ორბელიანის გარდა, ეკუთვნოდნენ ელისავეტ-პოლის „გოროდნიჩი“ შტაბს-კაპიტანი ჯორჯაძე<sup>1</sup>, რომელიც 1845 წლის 20 ივლისს ილია იაკობის-დე სავარსამიძემ<sup>2</sup> შესცვალა. ჰაირუმის უბნის „ზასედატელი“ ალექსანდრე იოსების-დე მელიქოვი,<sup>3</sup> შამშადინის უბნის „ზასედატელი“ პეტრე აბესალომის-დე ბებუთოვი,<sup>4</sup> მისი თანაშემწე მიხ. იოსების-დე

<sup>1</sup> დავით ივანეს-ძე ჯორჯაძე ახლო ნათესავი იყო გრიგოლ ორბელიანის კანცელარიის მმართველის (დალესტანში) და ნიკ. ბარათაშვილის კარგი ნაცნობის დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძისა.

<sup>2</sup> შა მამინ უკვე გარდაცვალებულის გენერ.-მაიორის ლეონტი სავარსამიძისა, რომლის ოჯახსაც ნიკ. ბარათაშვილი იცნობდა. პოლკოვნიკი სავარსამიძე დაინიშნა ელისავეტ-პოლის „გოროდნიჩად“, ჯორჯაძის ნაცვლად 1845 წლის 20 ივლისს (ხაჯავ. ვესტნ. 1845 წ., № 32). ჯორჯაძე იყო „გოროდნიჩად“ 1845 წლის 19 მარტიდან („ხაჯ. ვესტ. 1845 წ. № 15).

<sup>3</sup> ალექსანდრე და მიხეილ მელიქოვები, როგორც გვეონია თავადთა მელიქოვების სომხურ შტოს ეკუთვნოდნენ.

<sup>4</sup> პეტრე აბესალომის-დე ბებუთოვი (1816—1899)—მამაა ქართველი სცენის რეჟისორის (80-იან წლებში) მიხეილ პეტრეს ძე ბებუთოვისა. ნიკოლოზ ბარათაშვილი იცნობდა აა ოჯახის სხვა წევრებსაც (მაგალითად მელიქ-ხაღე ბებუთოვს და სხვ.). ცნობილია, რომ იგი დაჯარბებოდა სოფ. წყნეთში, რომელიც ბებუთაანთ საგვარეულო მამულია. ერთერთი ბებუთოვთაგანი, მიხეილ არსენის-ძე (1818—1882), შოშავალი მთარგმნელი ცრილოვის არაქიბის ქართულად, ნ. ბარათაშვილის გამიზახიელი ამხანაგი იყო და თანამოკალმე იმ სალიტერატურო წრისა, რომელიც სცენად „თბილისის გიმნაზიის ყვავილს“ („Цветок Тифлисской гимназии“). დაბოლოოს, ცნობილი გენერლის ვ. ი. ბებუთოვის (1791—1858) ოჯახი დაახლოებული იყო ორბელიანთა ოჯახებთან, განსაკუთრებით გრიგოლის ოჯახთან. ნიკოლოზის ნათესავი—მიხეილ (მიხაკო) ჭიხობროს-ძე ორბელიანი (გარდა. 1846 წ.) ადვოკატად იყო 1845—46 წლ. ვ. ი. ბებუთოვთან. ბებუთოვი პირადად იცნობდა მელიტონს, რომელთანაც ის სწავლობდა კეთილშობილთა სასწავლებელში და რომელთან ერთად გაემგზავრა 1812 წ. პეტერბურგში. ის, ალბათ იცნობდა თვით ტატოსაც, როდესაც ტატო გარდაიცვალა, ვ. ი. ბებუთოვი შუამდგომლობდა ვორონოვის წინაშე—მოეხსნა მელიტონისათვის ის ვალი, რაც ტატოზე ირიცხებოდა. (იხ. „მნათობი“, 1937 წ., № 4, პუბლიკაცია პ. გუგუშვილისა).

რაკი იმ პირთ ვასახლებლთ ქართველთა შორის, ვინც ნიკოლოზ ბარათაშვილად განჯაში მსახურობდა, საქირთა აგრეთვე აღინიშნოს, რომ თითონ ნიკოლოზის მამა—მელიტონი ოდესღაც (1824—26 წლებში) განჯაში პოლიცემისტრად იყო,—ხოლო შემდეგ ამავე ოლქის უფროსად.



მელიქოვი, ყაზახის უბნის „ხასენდატელი“ არაკლი მიხეილის-დე ღამაზოვი. ნიკ. ბარათაშვილის ხელქვეითი იყვნენ აგრეთვე სხვა ქართველი მოხელენი, როგორც, მაგალრთად, სამაზრო სამმართველოს არქივარიუსი ჯორჯაძე<sup>1</sup>. საერთოდ, თბილისელები იოლად მიდიოდნენ სამსახურისათვის განჯასა და მის მაზრაში, როგორც ცენტრალური ადგილმდებარეობის მქონე პროვინციაში, აქ მსახურობდნენ ქართველები ნიკ. ბარათაშვილამდეც<sup>2</sup>, ე.-ი. ვიდრე იგი განჯაში მოვიდოდა, და მისი სიკვდილის შემდეგაც<sup>3</sup>. იყვნენ ქართველები აგრეთვე განჯის ციხის გარნიზონის ოფიცერთა შორისაც<sup>4</sup>.

მაზრის უფროსი სრული „ბატონ-პატრონი და პირველი პირი“ იყო მაზრაში. იგი თავის ნებაზე განაგებდა მოსახლეობის ბედ-იღბალს. მაგრამ „პატივთან“ ერთად—მას მრავალი საქმეც და საზრუნავიც აწვა კისერზე: თითქმის მუდამ მიმოსვლა უხდებოდა, მაზრის ამათუიმ კუთხეში ყოფნა, რათა ადგილობრივ გადაწყვეტა საქმეები და ხელმძღვანელობა გაეწია პოლიციის მოქმედებისათვის ყაჩაღთა აუარებელი გუნდების დასაქერად: დაბოლოს, იგი უნდა დახვედროდა ყველა „უფროსს“, ვინც კი მის საბრძანებელში შეიხედავდა და თან ხლებოდა მას მოგზაურობის დროს. ელისავეტპოლის მაზრა გზად იღვა ბაქსა და ჩრდილოეთ-კავკასიისაკენ; განჯით იგზავნებოდა ჯარი დალესტანში შამილის წინააღმდეგ, ასე რომ განჯას ხშირად მოეგინებოდნენ ხოლმე მალალ ხარისხოვანი წარჩინებულ პირნი, ხანდახან თეთ მფის-ნაცვალი ვორონცოვიც კი და ირანის ელჩნიც. ყოველ მათგანს საკადრისი დახვედრა და გაცილება სჭირდებოდა, დროის დაკარგვა და ენერჯის დახარჯვა.

მამუკა ორბელიანი მეტისმეტად მოძრავე ადამიანი ყოფილა; ხან სად ამოჰყოფდა თავს თავის მაზრაში, ხან სად... თბილისშიაც ჩადიოდა და

<sup>1</sup> ზაქ. ვესტნ., 1846 წ., № 25.

<sup>2</sup> ამ მოხელეთა შორის იყვნენ, სხვათა შორის, ელისავეტპოლის სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველი რაქენდ ფორაქიშვილი, რომელიც 1843 წელს გარდაიცვალა (ცნობები ფორაქიშვილზე მიღებული გვაქვს ნ. ვიცილოფოვისაგან, ხოლო სხვა ქართველებზე—„კავკასიის კალენდრიდან“ ამოღებული სათანადო წლების მიხედვით, აგრეთვე ადმინისტრაციის განკარგულებიდან, რომლებიც იბეჭდებოდა „ზაქ. ვესტნ.“-ის ოფიც. ნაწილში), რამაზ ანდრონიკაშვილი და სხვ.

<sup>3</sup> 1846—47 წლებს იმ ქართველთა შორის, ვინც ელისავეტპოლის მაზრაში მსახურობდა, იყვნენ აგრეთვე პოეტის სკოლის აშანაჯი ისევ ადამის-დე ანდრონიკაშვილი (ელისავეტპოლის მაზრის მოსამართლე); ერთერთ წინა სკოლითაში მოხსენებული დავით ივანეს-დე—ჯორჯაძე, რომელიც ნ. ბარათაშვილის დროს მსახურობდა განჯაში, შემდეგ სხვაგან გადავიდა და კვლავ დაბრუნდა აქ უკვე ელისავეტპოლის უბნის „ხასენდატელის“ თანამდებობაზე; იოსებ ქრისტეფორეს-დე მამაცაშვილი (მაზრის მოსამართლე, მთა კონსტანტინე მამაცაშვილისა, რომელიც პირადი მგზობარი იყო პოეტისა; მამაცაშვილი 1844 წელსაც მსახურობდა განჯაში); სხვადასხვა დროს, პოეტის სიკვდილის შემდეგ აქვე მსახურობდნენ მისი ნათესავები და ახლო ნაცნობები—ილია ორბელიანი—1846—1848 წლ., ფრიდონ ჭავჭავაძე—1849—1851 წლ., მამუკა ორბელიანი—1851—1856 წლებში.

<sup>4</sup> როგორც ცნობილია, პოეტის საფლავის გვერდით იყო საფლავი პორუჩიკის გიორგი ბარათაშვილისა, აღბათ, მისი ნათესავისა, რომელიც როგორც პრესაში გამოქვეყნებული წარწერიდან (საფლავზე) ჩანს, გარდაცვლილია 1826 წელს. იგი 21 ქვეითი ჯარის დივიზიის ოფიცერი ყოფილა.

<sup>5</sup> ამას ადასტურებს იმ დროის წერილები, კერძოდ, იმ ხელნაწერთა კონა Q—440. საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. განყოფილებაში.

რატომ-ღაც ახალციხეშიაც ყოფილა. პოეტი რჩებოდა მის ადგილზე მაზრის მმართველად და ბევრ შეწუხებას იტანდა, ვინაიდან იმასაც ხშირად უხდებოდა მიმოსვლა სხვადასხვა საქმის გამო.

ზაფხულის თვეებს ნ. ბარათაშვილი მრუთში (მურუთში)<sup>1</sup> ატარებდა, განჯის სიციხისაგან ლტოლვილი. მურუთი—სომეხთა მონასტერია. არაფრით არ არის ღირსშესანიშნავე, იმის გარდა, რომ უძველესია. იგი განჯიდან 14 ვერსზეა, მდინარე განჯის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ზურნაბადის მახლობლად განჯის მაზრის იმ ნაწილში, რომელიც მთიან-ყარაბაღს ეკვრის. აქ იყო კარგი ტყე, კარგი წყალი და განჯიდან აქ მოდიოდნენ სააგარაკოდ<sup>2</sup>. ალბათ, ზაფხულობით აქვე გადმოდიოდა სამაზრო სამმართველოც.

მაგრამ აქაც ნიკოლოზი დიდხანს ერთ ადგილას არ იჯდა ხოლმე. ჯერ კიდევ 10 აგვისტოს იგი სწერდა მაიკოს, რომ თვის ბოლოს ყაზახის უბანში (მაშინ ქალ. ყაზახი არ არსებობდა) აპირებს წასვლას და რამდენიმე დღით დილიჯანში შეივლის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, იაკობ ორბელიანის<sup>3</sup> ასული თამარი ცოლად ჰყავდა სამხედრო-საინჟინერო უწყების გზათა და საჯარო შენობათა კორპუსის ამიერკავკასიის VIII ოლქის მე-4 განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ანდრია სტეფანეს-ძე სანკოვსკის—„ტიფლისკია ვედომოსტის“ ყოფილი რედაქტორის და ა. ს. პუშკინის მეგობრის—პაულე სტეფანეს-ძე სანკოვსკის ძმას.

ანდრია სტეფანეს-ძე სანკოვსკი დილიჯანში იყო, რომელიც სავაო მშენებლობის ერთერთ მთავარ ობიექტად ითვლებოდა. სანკოვსკი ავად გამხდარი იყო და აქ ლოჯინად იწვა. თამარის და კატო ცოლად ჰყავდა მძავე უწყების ოფიცერს—მაიორ ნიკოლოზ ალაპის-ძე ივანოვს<sup>4</sup>. აპირებდა რა დილიჯანში წასვლას, ნიკოლოზი ეკითხებოდა მაიკოს: „ნიკოლაი ალაპიჩი და კატო ქალაქშივე არიან თუ წავიდნენ? ამ თთვის გასულს მეც ვაპირებ ყაზახში წასვლას და თამართან შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე.—კარგად არ ვიცი, ხომ დასევდიანებული იქნება“.

თუმცა ხშირი მიმოსვლა მაშინდელ პირობებში საკმაოდ მომქანცველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორცა ჩანს, პოეტს ეს არ უმძიმდა: მოძრაობა, გარეთ გასვლა აშორებდა მას პროვინციულ მოწყენილობას, გულგამწვრილებელ, გვრეთწოდებულ „კანცელარშინას“, სახელმწიფო სამსახურის აზრგამოქმულ ინტერესებს და ხელს უწყობდა—თავისუფლად ამოესუნთქა, განრინებოდა ცხოვრების დახაშვულ ჰაობს, მოხელეთა იმ წრეს, რომელიც „невыгоден для образования нравственности“, როგორც თითონვე ამბობს<sup>5</sup>. იგი ეხვეწებოდა თავის თბილი-

<sup>1</sup> შენახულა ორი მისი წერილი მურუთიდან—1845 წლის 10 და 23 აგვისტოსი.

<sup>2</sup> იმ დროს არ არსებობდა აჯიკენტი, რომელიც შემდგომ განჯის ადმინისტრაციის საზაფხულო ადგრლსამყოფელი იყო, როგორც სააგარაკო დაბა. განჯელები ზაფხულობით მურუთსა და ზურნაბადში მიდიოდნენ.

<sup>3</sup> ის ცნობა, რომ იაკობ ორბელიანს ჰყავდა ქალი თამარი, სანკოვსკივე გათხოვილი. მიღებულია გ. ლეონიძესაგან.

<sup>4</sup> სანკოვსკისა და ივანოვის სამსახურებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა ამოღებულია 1846 წლის კავკ. კალენდრიდან (1845 წლის ცნობების მიხედვით).

<sup>5</sup> პოეტის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი 1837 წლის თებერვლისა.

სელ მეგობრებს წერილები მომწერეთ, რათა არ დავიღუპო „ამ უდაბურ ადგილას“-ო.— „ხომ იცი აქ ძნელად შევიტყობ მანდაურს კორებს—სწერდა იგი ხუმრობით 23 აგვისტოს თავის ნათესავს ბარბარე საგინაშვილისას<sup>1</sup>—თუმცა შენ კორი არ ვიყვარს, მაგრამ ჩემის გულისთვის, ვიცი, რომ გაიგონებ განჯებ და მასიამოვნებ ამ უდაბურ ადგილს.— მე აქაური რა მოგწერო? აქაური პირველი ფრანტიხა ჯორჯაძის ქალი ბარბარე ბრძანდება<sup>2</sup>. ამით წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა; თუ ღმერთი არ შემეწია, გავსულელდები ამდენს თარაქამებში!“

ალექსანდრე საგინაშვილისთვის მიწერილ წერილში პოეტი ამბობს: „... ქალაქიდან განჯა ორასი ვერსია, თუნდ ვაჯავრდეთ, რას შეგებუებით. მაგრამ ტყუილად ვხუმრობ, скучно, грустно!...“<sup>3</sup> იგი თითქო ოხუნჯობას ლამობს, მაგრამ ამ ხუმრობაში აშკარად გამოისმის იღუმალი ჩივილი ბედზე, უნიათო ცხოვრებაზე, რომელმაც<sup>4</sup> გააცამტვერა მისი ოცნება და ჩაფლა „უდაბურ ადგილს“, უდაბურსა არა ნამდვილი, რეალური მნიშვნელობით, ვინაიდან განჯა დანგრეულ-დაქცეულიც კი, სულაც არა ჰგავდა უდაბნოს, არამედ უდაბურსა სულიერად, გონებრივი ინტერესებით.

მთლად ჩახშული, უსიხარულო არსებობის ვითარებით, იგი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თითქმის არაფერსა სწერს (თუ არ ვიგულისხმებთ, რომ ამ ხანის ნაწერები დაკარგულია) და იმ სულიერ განწყობილებას, რაც ასე მძაფრად გამოიხატა ერთერთ მის უკანასკნელ საუკეთესო ლექსში— „სულა ბოროტოში“, უფრო საშინლად უნდა ეწამებინა და ექენჯნა პოეტის მგრძობიარე არსება, როგორც პირშეკრულ, მაგრამ შიგნით დაჩირქებულ იარას.



პ. ჩელიშვილი. ალექსანდრე საგინაშვილის პალატის მოხელე მ. პ. თბილისი 1852.

<sup>1</sup> გრ. აბაშიძის პუბლიკაცია „ნ. ბარაშვილის ახლად აღმოჩენილი წერილები“. — „ლიტ. საქ“, 1937 წ., № 3

<sup>2</sup> დავ. ივ-ძე ჯორჯაძის ქალი ან და?

<sup>3</sup> ლერმონტოვის ლექსის გამოძახილი უნდა იყოს: И скучно, и грустно и некому руку подать в минуту душевной „незгоды“. ლერმონტოვის ამ ლექსის მოტივები გაისმის აგრეთვე პოეტის მეორე წერილშიაც (1843 წლის 21 თებერვლისა) გრიგოლ ორბელიანისადმი.

... რა ვარ აწ სოფლად დაშენილი უსაგნოდ, მარტო?  
 ბკუთი ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?

ზაფხულის ბოლოს პოეტს, მართლაც, დილიჯანში ვხვდავთ. იგი აქ პირველად არ უნდა ყოფილიყო. ამრიგობაზე ნიკოლოზი აქ პრინცი ალექსანდრე ჰესსენელის,<sup>1</sup> დასახვედრად მოვიდა. დილიჯანის ხეობის ხილვას ნიკ. ბარათაშვილისათვის დიდი სიამოვნება უნდა ეგრძნობინებინა, ვინაიდან იგი ოცნებობდა ხოლმე პატრიარქალურ ცხოვრებაზე უბრალო ბუნების წიაღთა შორის („... провел бы патриархальную жизнь в лоне простой природы“).<sup>2</sup> აგვისტოს ბოლო აქ უკვე შემოდგომის დადგომას მოასწავებდა. დღისით სიცხე საკმაოდ დაჩლუნგებული იყო, ღამდამობით საგრძნობლად ციოდა, დილა საოცნებოდ მშვენიერი; საუცხოო გზატკეცილი, ნიკ. ბარათაშვილის იქ მისვლამდე 7—8 წლით ადრე გაყვანილი სამხედრო ინჟინრების მიერ, პოლკოვნიკი ესპეხოს<sup>3</sup> ხელმძღვანელობით (რუსეთის სამსახურში მყოფი ესპანელი); მიდამოების ტურთა სანახაობა, მუდამ მოძრაობა გზატკეცილზე, მომთაბარეთა აქრელებული ალაჩუხები, ახლად აგებული სისადგურო სახლები, სადაც გუნებირად დასვენება შეიძლებოდა—ყოველივე ეს, ერთად აღებული, სისიამოვნოდ ჰქმნიდა მოგზაურობას. „დილიჯანის ხეობა—ფართო, უსასრულო წალკოტია, რომელიც ახალისებს სულსა და გულს და რომლის ხშირი ტყეების ღრმა ყუდროვანი ჩრდილი იწვევს ოცნებასა და საამო გრძნობას“—აღნიშნა თავის დღიურში ერთმა მოგზაურმა, პოეტის იქ ყოფნის შემდეგ რომ მალე იმ ადგილებზე გაიარა.<sup>4</sup>

თვით დილიჯანი, რომელიც პატარა, რამდენიმე ათეულ-სახლიან დაბას წარმოადგენდა, აგვისტოში ძალიან აჟრიაშულებული იყო: საზაფხულოდ აქ გადმოსული ყაზახის ადმინისტრაცია, უშნის „ზასედატელი“ არკადი გამაზოვის<sup>5</sup> მეთაურობით, ჯერ კიდევ ადგილიდან არ დაძრულიყო; აქვე იყვნენ ბევრი მოავარაკენი, სამხედრო მობანაკენი, საგზაო სამუშაოების მეთვალყურე ინჟინრები—კაპიტ. რედკინი, დამონი, ლორენცო და სხვ.<sup>6</sup>

<sup>1</sup> დარლოს ექსპედიციის შემდეგ პრინცი ჰესსენელი ისვენებდა კავკასიის მინერალურ წყლებზე. 9 აგვისტოს იგი, ვიტჰენშტეინისა და სამსონოვის თანხლებით, გამოემგზავრა საქართველოს სამხედრო გზით თბილისში (ცნობა ამოღებულია ნიკოლაის დღიურიდან). წასვლას აპირებდა ირანში, საითყენაც გზა დილიჯანზე იდგა.

<sup>2</sup> 1844 წლის 15 აპრილის წერილიდან ზაქარია ორბელიანისადმი.

<sup>3</sup> სალტიკოვის ციტირებული წიგნი, გვ. 318.

1845—46 წლებში ესაუბო გენერალის ჩინით უფროსობდა გზათა კორპუსის VIII (ა/კავკ.) ოლქს (კავკ. კალენდ. 1846 წლ.).

<sup>4</sup> გზ. „კავკასია“, 1846 წ., № 25 ანონიმი ავტორის „Поездка в Чмиадзийский монастырь“. ეს ნარკვევი ნაწილობრივ გამოყენებულია გზის ასაწერად ამ სტატიის დასაწყისში.

<sup>5</sup> განწესებული იყო 1845 წლის 2 იანვარს, დათხოვნილ—1846 წლის 28 თებერვალს („ზაკავკ. ვესტნ.“, 1845 წ. № 6 და 1846 წ. № 13).

<sup>6</sup> „ზაკავკ. ვესტნ.“ ცნობებიდან იმ პირთა შესახებ, რომელნიც თბილისს მოდიოდნენ და თბილისიდან მიდიოდნენ.

დილიჯანის ახლოს ადგილია, რომელსაც იქაურები დღესაც „Редкин лагерь“-ს უწოდებენ.

პორუნიკი ტიმოფეი ალექსანდრეს-ძე ლორენცო გზათა კორპუსის VIII ოლქის სამმართველოში ირიცხებოდა (იხ. 1847 წლის კავკას. კალენდ.).



მანანა ორბელიანი შობუცებაში.  
(უცხუ დგას—მანანას მმისწული, კონა ერისთავის ვაგი)

მურთოში დაბრუნებისას, პოეტი სწერდა 23 აგვისტოს ბარბარე საგინა-  
 შვილისას: „ამ ოთხი დღის წინათ თამართან ვიყავ დილიჯანში, პრინცს მოვე-  
 ლოდი გატეხილს ხიდზე, აღარ მოვიდა და იქ შევებრუნდი.— გასულელებულა,  
 სულ იცინის. მართლაც ორი დღე ვიყავ, ძალიან მხიარულად ვავატარეთ დრო“...  
 სანკოვსკის ავადმყოფობაში გარდატეხა მომხდარიყო გამობრუნებისაკენ და პო-  
 ეტი სთხოვდა საგინაშვილისას „ძალუა ნინოს“ (თამარის დედას) შეატყობინეო.

როდესაც პოეტი შიგადაშიგ, მგზავრობის შემდეგ, მურთოში მოხვდე-  
 ბოდა ხოლმე, დროს განმარტოებულად ატარებდა. მუშაობისაგან მკირე ხანს  
 იკლიდა და ამ მოკლილობას შემთხვევით ადამიანებთან ატარებდა. სხვათა  
 შორის, აქ ნიკე. ბარათაშვილი შეხვედროდა ვიღაც მათუხოვის ცოლს. იმავე  
 23 აგვისტოს წერილში იგი სთხოვდა ბარბარე საგინაშვილისას— გადაეცა მათუ-  
 ხოვას სახელით მოკითხვა ნინო გრიბოედოვისათვის და თანაც დასძენდა: „წენი  
 დროს გამტარებელი ეს არის [ე. ი. მათუხოვა], მაგრამ ძნელი ეს არის, რომ  
 ამისი ენა ჯერ არ მესმის“<sup>1</sup>.

მამუკა ორბელიანი აგვისტოს კვლავ საღაც წაფიდა და მაზრის მართვის  
 მთელი სიმძიმე ისევ ნიკოლოზს დააწვა<sup>2</sup>. მოუსვენარი დრო იყო— ყველგან ყა-  
 ჩაღთა გუნდები დაძრწოდნენ, თავს ესხმოდნენ სოფელს, სძარცვავდნენ მგზავ-  
 რებს გზაში. ადგილობრივი პოლიცია ფხას ვერ იჩენდა მათთან ბრძოლაში და  
 მაზრის უფროსს თვით უხდებოდა მათ უკან დევნა კახაკთა პატარ-პატარა რაზ-  
 მებით. მთიან ადგილას, ნამეტნავად ყაზახის უბანში, საღაც ყაჩაღთა მთავარი  
 ბუნავი იყო, ყაჩაღების დაქერა მეტისმეტად ძნელდებოდა. ხშირი ტყე, მიუვალი  
 მთები, მცხოვრებთა თანაგრძნობა ფირალეებისადმი ზოგჯერ ნათესაობისა, ზოგ-  
 ჯერ მათ წინაშე შიშის გამო— ყოველივე ეს საქმეს ძალიან ართულებდა. შემო-  
 დგომის წვიმასა და ტალახში, ქარსა და ნისლში პოეტს არა ერთი და ორი ათე-  
 ული ვერსის მანძილზე უხდებოდა ცხენის ქნება ოღრო-ჩოღრო გზებით, ზოგ-  
 ჯერ ვიწრო ბილიკებით, ზოგჯერ კი გაბურღულ ტყეში გაძვრენ-გამოძვრენით.  
 უკეთეს შემთხვევაში შეიძლებოდა ევრეთწოდებული „პერეკლადნიით“ („ტროი-  
 კით“) მიმოსვლა, მაგრამ ესეც ისეთი „დალოცვილი“ ეტლი იყო, რომ 30—40  
 ვერსის გავლისას, ჯანჯღარისაგან ადამიანის შიგნეული გათქვეფილი კვერცხის  
 ხარვეზად გადაიქცეოდა ხოლმე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მავარი აგებულების პატრონი იყო. არასდროს არ  
 ავადმყოფობდა 1844 წლამდე, როდესაც გზაფხულის დასაწყისს, პირველად მის  
 სიტოცხლეში, რაღაც ავადმყოფობამ დასძლია. ეს დაავადება ძლიერად დააჩნდა  
 მის ფსიქიკას: „Я был болен сильно, чуть не переселился в Елисейские  
 поля.— ატყობინებდა იგი 1844 წლის 15 აპრილს ზაქარია ორბელიანს.— Не  
 зная до того времени никакой болезни, я почувствовал странное влияние ей,

<sup>1</sup> მათუხოვი—სომეხთა გვარია, რომელიც კახეთში გვხვდება. ნინო გრიბოედოვისას ის  
 ქალი, აღბათ, ან თელავით იცნობდა, ან თბილისით. ყველა გარემოება გვაფიქრებინებს, რომ  
 მათუხოვა დემოკრატიულ ფენას ეკუთვნოდა—ცოლი უნდა ყოფილიყო რომელიმე წვრილფეხა  
 მოხელესა.

<sup>2</sup> „მამუკა ზე არ იყო და ჩქარა ნახვ შენ თითონ ქალაქში“—სწერდა ნიკოლოზი 1845  
 წლის 23 აგვისტოს ალექსანდრე საგინაშვილს.

быть может, на всю мою жизнь. Непостижимость цели нашего назначения, безграничность желаний человеческих и суета всего подлунного наполнили душу ужасною пустотою“.<sup>1</sup>

ამ ავადმყოფობის შემდეგ იგი გამოკეთდა, მაგრამ თვით რკინის ქაციკი ვატყუდებოდა იმ მძიმე პირობებში, რომლებშიაც პოეტმა გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. უნდა ვიფიქროთ, რომ განჯაში ნიკოლოზი მამუკა ორბელიანთან ერთად ცხოვრობდა. ცხოვრობდნენ ისინი უოჯახოდ, მამუკასა და მამუკა—დაუდევრად, უთავბოლოდ, უპატრონოდ. „უთვალმტკივნეულოდ“. რას წარმოადგენდა მამუკას ბინა?

„5 ოქტომბერს [1845 წლისა] გადავწყვიტე წავსულიყავ პირდაპირ ელისავეტპოლის [შემახის მახრიდან], მიველ იქ შუადღისას—39 ვერსი—ჩამოვხტი თავ. მამუკა ორბელიანის სახლში, საშინელ ქოხში<sup>2</sup>. ეს—ბარონ ნიკოლაის ჩანაწერია დღიურში. იგი მივიდა განჯაში ოთხი დღით ადრე პოეტის გარდაცვალებამდე, თუ პოეტი მამუკასთან<sup>3</sup> ერთად ცხოვრობდა—და ეს კი, გვგონია, ასე იყო—მამუკის ნიკოლაის შენიშვნა მრავალმეტყველია! და თუ პოეტი ცალკე იდგა, ადვილად შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რა საცოდაობა იქნებოდა მისი, თანამშემოს ბინა, როდესაც ზაზრის უფროსის სახლი „საშინელი ქოხი“ იყო [„affreux bouge“]. უჩვეულო ჰავა, საძაგელი ბინა, მომქანცველი როინი—თავისას გაიტანდა: კონსტ. მამაცაშვილის სიტყვით, ნიკ. ბარათაშვილი „გახდა ავად განჯის ცუდის ცივებითა“.<sup>4</sup> მღვდელი მიხეილ მძინარაშვილი, რომელიც განჯაში 1868 წლიდან ცხოვრობდა, ამბობს,<sup>5</sup> რომ „პოეტი მთაში სადღაც წასულა ყაჩაღების დასაქურად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად, რადგანაც უდროოდ დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დაეღია“.

იმ დროში ყოველგვარ დაავადებას, რაც დიდ სიცხეს იწვევდა, პროვინციული ექიმები ან „ხურეზად“ („горячка“), ან „ციებ-ციხელებად“ („лихорадка“) სთვლიდნენ. ამიტომ არც ერთი ამ სიტყვათაგანი იმის ასახსნელად არას გვეუბნება, თუ რა ხასიათისა იყო ნამდვილად პოეტის დაავადება, თუმცა ნიკ. ბარათაშვილის ავადმყოფობა შეიძლება, მართლაც, „ავთვისებიანი ციებაც“ იყო, მით უფრო, რომ მაღარია განჯაში საკმაოდ იყო გავრცელებული, მაგრამ უფრო კუესთან ახლოა ის, რასაც მოგვითხრობს მღვდელი მძინარაშვილი, თუ შედევლობაში მივიღებთ პოეტის ცხოვრების პირობებს და იმას, რომ მძინარაშვილს ცნობები პოეტის ავადმყოფობის თაობაზე იქვე, ადგილობრივ ჰქონდა გაგონილი, ხოლო მამაცაშვილი ეყრდნობოდა იმ განმარტებებს, რაც მან თბი-

<sup>1</sup> აკადემ. გამოც. 1922 წლისა, გვ. 109.

<sup>2</sup> კურსივი ჩვენია—მიხ. ზელთუბნელი.

<sup>3</sup> კ. მამაცაშვილის მოგონებანი—(„დროება“, 1881 წ., № 206, 232) შემდეგ ცალკე ბროშურად გამოცემული.

<sup>4</sup> მამუკას ევთი წერილის მიხედვით კონსტანტინე თარხნიშვილისადმი, ზაზრის უფროსის კანცელარია მოთავსებული იყო მის ბინასთან.

<sup>5</sup> აკად. გამოც. 1922 წლ., გვ. XXXV.

ლისში მოიხმინა<sup>1</sup>. საეკლესიო დავთარის ჩანაწერი, სახელდობრ გრაფაში „რი-საგან გარდაიცვალა“, ასახელებს აგრეთვე „ხურვებას“ (-горячка-ს)<sup>2</sup>, „ხურ-ვება“ ამ შემთხვევაში უფრო ფილტვების ანთება უნდა ყოფილიყო ან პლევრითი. ასეა თუ ისე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილი უეცარი არ იყო.

... დაე მოგვედგე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
(„მერანი“).

წინასწარმეტყველური თქმაა თავის ხედვარზე!

მცირედი გამობრუნების შემდეგ პოეტი კვლავ მწუხარე ავადმყოფი შეი-ქმნა. იგი კვდებოდა შშობლებს, ნათესავებს მოწყვეტილი, გვერდით არაფერ მახ-ლობელი არა ჰყავდა. მამუკა ამ დროს ახალციხეს იყო, პოეტს მხოლოდ ის მოვლა-პატრონობა ჰქონდა, რაც შეეძლოთ გაეწიათ მისთვის შემთხვევითოს გან-ჯელ მსახურებს. იგი სულსა ლევდა სრულიად უცხო, უთვისტომო მათთვის, ვინც შემთხვევით მის გარშემო იყო, ვისაც იგი ბრმა ბედმა შეახვედრა.

საშინელებაა იმის წარმოდგენა, თუ რას განიცდიდა ამ ტრაგიკულ წამს პოეტის დიადი სული, მისი მაღალი გონება, მისი მგრძნობიარე გული. ბრძო-ლის ველზე მაინც აღსრულებულიყო—მისი რომანტიული არსება უფრო იოლად და შეიძლება აღმოაფრენითაც შეგებებოდა ასეთ დასასრულს...

მეფის კამერ-იუნკერი, გრძნობაგამოფიტული „ჩინოსანი“, ახალგაზრდა კარიერისტი, ბარონ ნიკოლზი, რომელიც თითქმის პოეტის სიკვდილის წამს იყო განჯაში, არც კი იხსენიებს თავის დღიურში მის სახელს. ან რა იყო მის-თვის ნიკოლოზ ბარათაშვილი—ბედუქულმართი პოლიციელი, სულ სხვა წრის და ქვეყნის კაცი? მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი იტოვებოდა, ვიდრე არსებობს პოეზია; ბარონ ნიკოლაი კი აღარაფერს ახსოვს, გარდა ჩრჩილისაგან ნახევრად შექმულ ოფიციალურ ანგარიშებისა...

II ოქტომბერს, გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გვამი, პოლიციის მოხელის „მუნდირში“ გახვეული, დაკრძალულ იქნა ციხის პაწია ეკლესიის გალავანში, მაღლობზე, რომლიდანაც მთელი ქალაქი მო-ჩანს<sup>3</sup>. მღვდელმა, სტეფანე ვერდერეესკიმ, რომელიც თურმე დაესწრო პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს, ელისავეტპოლის მოხელეებმა, რომელნიც გა-მოცხადდნენ სამსახურებრივი მოვალეობისამებრ მის დასაფლავებაზე, უკანას-კნელი ჩინოვნიკური ვალი მოიხადეს თავისი ახალგაზრდა უფროსისა და თანა-მოსამსახურის წინაშე.

ერთერთაგანმა ამ უსახელო ადამიანთა შორის, ვინმე ბ. პონაროვსკიმ (იხ. კონ. მამაცაშვილის მოგონებანი)—წერილფეხა მოხელემ თუ ეკლესიის მსახურმა —უჩვენა შემდგომ პოეტის მახლობლებს მისი თითქმის დაკარგული საფლავი.

ეს იყო უკანასკნელი წელი დიდი პოეტისა, რომელიც ცხოვრებამ დაა-მარცხა, მაგრამ სიკვდილმა კი ვერა...

<sup>1</sup> გაიხსენოთ, მამაცაშვილმა ისიც-კი ვერ შესძლო, რომ მიეღო პოეტის მახლობ-ლებისაგან მისი გარდაცვალების ნამდვილი თარიღი.

<sup>2</sup> იხ. „ლიტერ. მემკვიდრ.“-ში ი. ბალახაშვილის სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“.

<sup>3</sup> ეკლესიების დაფორებში ეს ეკლესია ქალაქის („градская“) ეკლესიად იწოდება, ხოლო ციხეში კი იდგა.



III

„გულს ცეცხლი მეკიდება, ვეყედები და აღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა განჯას და რფიკზე ჩვენი ცხოვრება“.

ილია ორბელიანის 1845 წლის 29 ნოემბრის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი.

7 ოქტომბერს მამუკა ორბელიანი ახალციხიდან თბილისს ჩამოვიდა<sup>1</sup>. ცნობა მიიღო ნიკ. ბარათაშვილის მძიმე ავადმყოფობაზე, რის გამოც მთელი მაზრა უგამგებლოდ რჩებოდა თუ დაამთავრა ახალციხეში რაც საქმე ჰქონდა და იმიტომ წამოვიდა, —ეს არ ვიცი. მაგრამ თუნდაც იმ დღეს წასულიყო განჯას, რა დღესაც თბილისში დაბრუნდა, მიინც პოეტს ცოცხალს ვერ მიუსწრებდა. უკეთეს შემთხვევაში იგი მიუსწრებდა მხოლოდ დაკრძალვას.



პ. ჩელიშვილი. ახალციხის მილიციის მხედარი, თბილისი 1836.

მამუკას პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნო იმისათვის, რაც მოხდა, რადგანაც მან დაიყოლია პოეტი განჯაში წაჰყოლოდა და, როგორც სჩანს, მისი სასოწარკვეთილება ამ ტრაგედიის გამო დიდი ყოფილა: ყოველ შემთხვევაში მამუკამ გადასწყვიტა თავი დაენებებია განჯაში სამსახურისათვის და დაუყოვნებლივ განცხადება შეიტანა ამაზე; უკვე 13 ნოემბერს გამოიტა განკარგულება, რომლითაც იგი, მეფის-ნაცვლის ნებართვით, განთავისუფლებული იყო მაზრის უფრო-

<sup>1</sup> „ზაკავკ. ვესტნ.“, 1845 წ., № 41.

სის თანამდებობის აღსრულებისაგან<sup>1</sup>. მამუკას თხოვნა იმდენად დაბეჯითებითი იყო, რომ მეფის-ნაცვალმა ნება დართო გენთავისუფლებინათ იგი მოადგილის დანიშვნამდეც კი; ორ კვირას მატრა უფროსოდ იყო, თითქმის ორ თვეს არც უფროსის თანაშემწე ყოფილა განჯაში<sup>2</sup>.

ერთ ხანს მამუკას ვერსად ნახავდით, ვერც საზოგადოებაში, ვერც სამსახურის ასპარეზზე; იგი რჩებოდა თავის მამულში ყოფნას, მეურნეობას ეწეოდა<sup>3</sup>. ხოლო ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ისევ განჯისაკენ გასწია გულმა: 1850 თუ 1851 წლიდან იგი დანიშნეს ელისავეტპოლის მაზრის უფროსად და ამ თანამდებობაზე 1857 წლამდე დარჩა.

პოეტის სიკვდილის ამბავმა მალე მიიღწია თბილისამდე. მშობლებმა ორი-ოდე დღის შემდეგ გაიგეს ეს უბედურება და 16 ოქტომბერს მელიტონმა სთხოვა თავის მძახალს, ანწისხატის ტაძრის დეკანოზს დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს, რომელიც მის პირდაპირ ცხოვრობდა, გადაეხადა შვილის სულის მოსახსენებელი წირვა-ლოცვა<sup>4</sup>. სხვა დრო რომ ყოფილიყო მელიტონი ეცდებოდა აღენიშნა შვილის სიკვდილი „ხარ-ზეიმური“ აღაპით. ახლა მას ცოლ-შვილის თაღუბისათვისაც კი არ გააჩნდა ფული<sup>5</sup>. ტატოს სიკვდილმა წაართვა ოჯახს „მზრუნველი შვილი, მეოხი ძმა და უკანასკნელი იმედი არსებობისათვის საჭირო სახსარისა“ („почетительного сына, заботливого брата и последней надежды на средства к своему существованию“)<sup>6</sup>. მელიტონი, დიმიტრი ყიფიანისა და ვას. ოს. ბებუთოვის ხელწყობით, შეუდგა შეამდგომლობას<sup>7</sup>, რათა „პირველი საჭიროებისათვის“ 50 ჩერვონეცი მიეცათ (150 მან. ვერცხ.) და დენიშნათ დახმარებად 750 მან. ვერცხლად—შვილის წლიური ჯამაგირი, როგორც მაზრის უფროსის თანაშემწისა. წლიური ჯამაგირი<sup>8</sup> მან შედარებით მალე მიიღო, ხოლო 50 ჩერვონეცი კი მოგვიანებით.

სიღამებლისაგან მცირედად გამოკეთების შემდეგ მელიტონი 1846 წლის ივნისის პირველ რიცხვებში პირადად ეახლა ვორონცოვს. მან უჩვენა ვორონცოვს თავისი ნამსახურობის ნუსხა, სადაც ჩამოთვლილი იყო მისი დამსახურება

<sup>1</sup> „ხაკავ. ვესტნ.“, 1845 წ. № 5.

<sup>2</sup> მხოლოდ 27 ნოემბერს სამსახურგადამდგარი პოდოლკ. ბოგდან სვიმონის-ძე მადათოვი „დაშვებულ იქნა ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად“ და მხოლოდ 3 დეკემბერს სამსახურგადამდგარი მაიორი ფედოტ თომას-ძე დობრენსკი დაინიშნა მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდ. აღმასრულებლად („ხაკავ. ვესტნ.“, 1845 წ., № 52).

<sup>3</sup> 1847 წლის 22 სექტემბერს გრ. ორბელიანი სწერდა ქეთევან ორბელიანს: „სანდრიკო ჩამიკოცნე, შევიტყე მითომ ვაშლოვანს იყო მამუკასთან და ქეთევანთან“ (მამუკას ცოლად ჰყავდა სენატორის გიორგი ერისთავის ქალი ქეთევანი—იბ. „გრ. ორბელიანის წერილები“ ტ. I).

<sup>4</sup> მელიტონის ბარათი, დაბეჭდილი 1922 წლის აკად. გამოცემაში, გვ. 243. დიმიტრი-მესხიშვილის ქალი ცოლად ჰყავდა ზაქარია ორბელიანს.

<sup>5</sup> მთავარი სამმართველოს უფროსის გენ.-ლეიტ. ლადინსკის მოხსენებით წერილი მეფის-ნაცვლისადმი 1845 წლის 30 ოქტომბრის თარიღით, შედგენილი დიმიტრი ყიფიანის მიერ (იბ. პ. გუგუშვილის პუბლიკაცია).

<sup>6</sup> იმავე მოხსენებიდან.

<sup>7</sup> ვორონცოვმა 11 დეკემბერს უბრძანა საზახინო პალატას მიეცა მელიტონისათვის შვილის წლიური ჯამაგირი და 21 დეკემბერს თბილისის ხაზინამ მიიღო საზახინო პალატის განკარგულება ამ ფულის გაცემაზე (პ. გუგუშვილის პუბლ. და 1922 წლის აკად. გამოც., გვ. 244).

მეფის მთავრობის წინაშე 37 წლის მანძილზე. მან სთხოვა მეფის-ნაცვალს მიექცია „განსაკუთრებული ყურადღება“ მისი მდგომარეობისათვის. მელიტონმა წერილობითაც სთხოვა ეორონცოვს ამაზევე, მაგრამ ამაოდ: როგორც ჩანს, ეორონცოვი იმ აზრისა იყო, რომ 900 მან. ვერცხ., რასაც მელიტონი პენსიად იღებდა, საკმარისი იყო.

საყვარელი შვილის დაკარგვა—იმ შვილისა, რომელიც საკუთარი ხელით აღზარდა და რომელმაც დედისაგან მიიღო მისი ხასიათის საუკეთესო თვისებანი, ისეთი ელდა იყო, რომ საცოდავმა ეფემიამ შეება ველარაფერში ველარპოვა. არც დიდხანს უცოცხლია ტატოს სიკვდილის შემდეგ (იგი 1849 წელს ვარდაიკვალა). მისი ცხოვრება—ნამდვილი ტანჯვა და დამცირება იყო ქმრის აულაგმავი ხასიათისა და მრავალი წლების განმავლობაში მატერიალური უსახსრობის გამო. ლეიძლი ძმა გრიგოლ ორბელიანი მას „უსახლკაროს, უპუროს და უტანისამოსოს“ უწოდებს, ასეთ მდგომარეობაში მისი ერთადერთი ნუგეში და იმედი ტატო იყო. „შე უბედური უბედურად ქმნილი მოვალედი ჩემს სიხარულს შვილს და რა შვილს, რომლისაგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ეფი და ეფი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას“,—სწერდა საცოდავი დედა თავის ძმას გრიგოლს 1847 წელს 3 ივნისს, მეორე ძმის, ზაქარიას, სიკვდილის შემდეგ—„ღმერთმა ჩემისთანა ცეცხლი ნურავის მოავლინოს ორის საშინელის უბედურებისაგან ამ შეჩვენებულის წყეულის სოფლისა სიყრმითგან სულ უბედურათ განმატარებინა ჩემი სიცოცხლე. ამ მწუხარებაში მყოფს აღარც მერჩის თვალი და აღარც ყურით მესმის. ხელის ცახცახივ მაქვს“<sup>1</sup>.

პირველ შეძლებისათანავე ეფემია განჯას გაეშურა შვილის საფლავის სახეადა. აქ მას ვადასცეს შვილის შემდეგ დარჩენილი რაღაც საცოდაობის ქონება, რომელიც ისე იყო დამპალი, რომ სახმარებლად არ ვარგოდა და მან აქვე დაურიგა იგი იმ პირთ, ვინც განსვენებულს ემსახურებოდა.<sup>2</sup>

განჯაში მომხდარმა უბედურებამ ნამდვილი სულიერი ბორკვა გამოიწვია პოეტის ნათესავეებშიაც და მეგობრებშიაც. იგი უყვარდათ ახლობელ ნათესავეებსაც—ორბელიანთ—და მისი სიყრმისა და სიჭაბუკის მეგობარ-ამხანაგებსაც. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც 16—17 წლით მასზე უფროსი იყო, გულშე-

<sup>1</sup> ი. გრიშაშვილის პუბლიკაცია—„ლიტ. საქ.“, 1938 წ., № 25 და აგრეთვე ი. ბასაშვილის 1938 წ., № 12.

<sup>2</sup> „... მიიღო რა შვილის შემდეგ დარჩენილი უმნიშვნელო ქონება... [ეფემიამ] დაურიგა იგი იქვე შვილის მოსამაზებრებებს, საიდანაც ჩანს, რომ შვილის აღნიშნული ქონება მოხიფეულის [მელიტონ ბარათაშვილის] სახლში მოტანილი არ იყო...“ (გენ.-ლიტ. ვ. ო. ბებუთოვის 1849 წლის 20 დეკემბრის მოხსენებიდან—პუბლიკაცია პ. გუგუშვილისა).

<sup>3</sup> ეფემიას მოუხდა, მამუკა ორბელიანის დახმარებით, შეეცა სახანო ფულის დანაკლისი, რაზედაც ნიკ. ბარათაშვილმა, ავადმყოფობის გამო, ანგარიშის ჩაბარება ვერ მოასწრო (300 თუ 501 მან.). პოეტის სიკვდილის შემდეგ პოლიცია მოეთხოვა აგრეთვე მშობლებისაგან ის 245 მან. ვერცხ., რომელიც განსვენებულს მიღებული ჰქონდა აქამდე ჯამაგირის ანგარიშში განჯაში წასვლის დროს. ვ. ო. ბებუთოვის შეამდგომლობით მელიტონი განთავსდებოდა იყო ამ თანხის გადახდისაგან (იხ. პ. გუგუშვილის პუბლიკაცია).

ვარდნილი იყო მასზე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პატარა ტატო დაჰყავდა ხოლმე თავისთან ყაბახზე სეირნობის დროს. დედის, სხვა ძმებსაც—ზაქარიას და ილიას (ილია ტატოს თანამოკლასე იყო გიმნაზიაში)—იგი ღვიძლ ძმასავით უყვარდათ. მათ დამოკიდებულებაში ცელქ და ენამახვილ ტატოსადმი ნათლად გამოსჭვიოდა, ნათესაურ გრძნობასთან ერთად, რალაც ამხანაგური იერიც, რაშიაც ერთსადიამივე დროს თანასწორობაც მოჩანდა, უფროსობაც (სხვა არა იყოს რა—ბიძები იყვნენ), შეწყყნარებაც და თითქო მისი უპირატესობაც.

გრიგოლ ორბელიანი ერთერთ თავის წერილში ჯენგუტაიდან (დალესტანი) ეკითხება ზაქარიას: „წიპრუა ჩვენი დისწული ხომ არ კადრულობს? ... მეორე წერილში ილიასადმი იგი შენიშნავს: „არა, ეგ ჩინჩხვრის კაცები ტატო და ვანო, რომელთაც ჰგონიათ თავიანთი თავები ლომებად. რატომ არასა მწერენ?“. ასევე ალერსიან ოხუნჯობას იჩენს ზაქარიაც ტატოსადმი: „Поцелуй от меня племянника Тато, могоניה თავგსავით დაძვრება“.

ახალი ზაქათალის ციხე-სიმაგრეში მყოფი ილია ორბელიანი თბილისს 22 ოქტომბერს ჩამოვიდა<sup>1</sup>. მან მისწერა გრიგოლს თემირ-ხან-შურაში დისწულის სიკვდილის ამბავი, მაგრამ წერილი მიხეილ ორბელიანს ჩაუვარდა ხელში. გრიგოლი მისთან ცხოვრობდა, მიხეილმა გახსნა წერილი<sup>2</sup> და, რადგანაც იცოდა რომ ეს ამბავი გრიგოლზე ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა, სიტყვიერად აცნობა, ტატო მიძიმედ ავად არისო. იმ ექვსი გამო, რომ სიმაართლეს უმაღავედენ, გრიგოლი ავად გახდა მღელვარებისაგან, ლოგინად მყოფი „ხურვებისაგან“ და მთლიანად გატანჯული უამბობის გამო, იგი 12 ნოემბრის წერილით ეკითხება ილიას, რომელიც აგრეთვე ავად გახდა: „ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია, თუ მკვდარი?—ეხვეწებოდა იგი ალღელებით—უცნობლობა მკლავს“.

ილია ორბელიანის პასუხმა ექვები განუფანტა გრიგოლს—მისი საყვარელი დისწული ცოცხალი აღარ იყო. აწ უკვე დაგვიანებული იყო სინანული გრიგოლისა თავისი გულგრილობის გამო დისწულის ბედ-იღბლისადმი, როდესაც იგი ცხოვრების ბრწყალეშში უიმედოდ ფართხალედა.

ზაფხულის ბოლოს<sup>3</sup> მოქმედი ჯარიდან თბილისს დაბრუნებული ლევან მელიქიშვილი და თბილისში მყოფი მიხეილ თუმანიშვილი<sup>4</sup> პირველი შეძლებისთა-

<sup>1</sup> 1844 წლის 8 ოქტ.—იხ. „გრიგოლ ორბელიანის წერილები“ ა. ვაწერელიას რედაქციოდ. ტ. I, 1936 წ.

<sup>2</sup> 1843 წ., იქვე.

<sup>3</sup> წერილი ილიასადმი, 1843 წ.—ხელნაწ. კონა № Q-155—ბ, საქ. მუხ. ხელნაწ. გან-ში, „ზაკავ. ვესტნ.“, 1845 წ., № 48.

<sup>4</sup> იხ. ილიას 1845 წ. 29 ნოემბრის წერილი გრიგოლისადმი—ბუბლ. ი. ბ.-სა.

<sup>5</sup> „გრიგოლ ორბელიანის წერილები“, ტ. I.

<sup>7</sup> ლევ. მელიქიშვილი აღნიშნულია მოქმედი ჯარიდან / ჩამოსულთა შორის 1845 წლის 17 აგვისტოს (იხ. „ზაკავ. ვესტნ.“, № 34) და ელისავეტპოლიდან ჩამოსულთა შორის 29 ნოემბრის თბილისში („ზაკ. ვესტნ.“, № 49).

<sup>8</sup> იხ. მისადმი მიმართული წერილები მ. მელიქი-ახიჯანოვისა 1845 წ. 7 დეკემბრის თარიღით და ბ. ხ.-სა 29 ნოემბრის თარიღით განჯიდან, თუმანიშვილის არქივში (საქ. მუხ. ხელნაწ. განყ., კონა Q-440).

ნავე—1845 წლის ნოემბერში—განჯას გაემგზავრნენ, რათა ადგილობრივ გაეგოთ მეგობრის სიკვდილის დაწვრილებითი ამბავი და ენახათ მისი საფლავი. „სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმო დაკარგვა იმ ადამიანისა, რომელიც თავისი მზურვალე გულით, თავისი მგზნებარე სულით გვარიგებდა ადამიანებს, ამ არარაობათ, სუსტთ, პირშავთ და ბოროტთ...—სწერდა შემდგომ ლევ. მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს—... მითხარ, რად უნდა წართმეოდათ ასე უღრზოდ ადამიანებს—მეგობარი, სამშობლოს—ერთგული და მოსიყვარულე შვილი, ბრწყინვალე ნიჭით აღბეჭდილი, მშობლებს—შვილი წელთა ყვავილობაში და უკანასკნელი საყრდენი—მითხარ—მეთქი, სად სჩანს აქ სამართლიანობა?“ (დედანი რუსულადა).



კატერინე კავტაძე (დადიანი)  
(1816—1882)



ბ. რბარე  
ხერხეულიძე-ქობულაშვილისა

მიხეილ თუმანიშვილზე, როგორც სჩანს, მეგობრის სიკვდილმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ისინი, ვისაც მასთან მუდმივი მიწერ-მოწერა ჰქონდა, გაოცებულნი იყვნენ მისი ხანგრძლივი სიჩუმის გამო, მაშინ როდესაც მათ იცოდნენ, რომ მიხეილი, როგორც მიწერ-მოწერაში დიდად მუყაითი კორესპონდენტი ამ რიგობაზე ასე აგვიანებს წერილებს<sup>1</sup>. 1851 წელს იგი კვლავ

<sup>1</sup> 1846 წლის 19 იანვრის წერილი.

<sup>2</sup> იხ. წერილები დიმიტრი თუმანიშვილისა 1845 წლის 18 ნოემბრის თარიღით ჯან-იათლიდან და სხეებისა. (ხელნაწ. კონა № Q-440, —საქ. მუხ. ხელნაწ. განყ.).

მიდის განჯას, სარგებლობს რა შემთხვევითი საქმეებით და მამუკა ორბელიანთან ერთად ნახულობს პოეტის საფლავს<sup>1</sup>.

გიორგი ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანმაც ღრმა მწუხარება განიცადეს: გიორგიმ ლექსიც უძღვნა პოეტს, ხოლო ალექსანდრე, მიმართავდა მის ხსოვნას შემდეგი ეპიტეტებით „საქართველოს უზადო პოეტო“, „ქართველების მომავლო დიდო პოეტო!“<sup>2</sup>.

1846 წლის 14 იანვარს რევავ ანდრონიკაშვილთან შეიკრიბა ახალგაზრდობა ნინოობა-დღის გამო. აქ თავმოყრილნი იყვნენ განსვენებული პოეტის მეგობრები და სრულიად ბუნებრივია, რომ მათი ფიქრი და აზრი უნებურად მის ხსოვნასაც შეეხო. სთხოვეს ყაფლან ორბელიანს „სულო ბოროტო“ ემღერა, მაგრამ მან ეს საერთო თხოვნა ვერ შეასრულა თავისდაუნებურად: არც მას, არც სხვებს ლექსი ზებირად არ ახსოვდათ. აქვე გადასწყვიტეს დაებეჭდათ პოეტის ლექსები. 15 იანვარს ხელისმოწერას შეუდგნენ და ხუთი დღის განმავლობაში ჩვიდმეტმა კაცმა 1.000 მან. ჭერცხ. გამოიღო, „აქედან შეგიძლიან დაინახო, რა ძლიერი იყო სიყვარული მისდამი მისი ნაცნობებისა“ — ატყობინებს 1846 წლის 19 იანვარს ლევან მელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს.

ორბელიანთა ოჯახის წევრთა განჯა ახლა სათუკვარ ადგილად მიაჩნიათ — ეს დაგვიანებული დანაწება უდროოდ დაღუპული ნათესავისა, რომელსაც სიცოცხლეში ასე უდარდელად ეპყრობოდნენ. ერთიერთმანეთზე მიყოლით ისინი ინიშნებიან განჯაში, რომელიც გადაიქცა მათთვის მწუხარების, მაგრამ მაინც მიმზიდველ ადგილად. ილია ორბელიანი ავადმყოფობისაგან გამობრუნების შემდეგ, ე. ი. 1845 წლის ბოლოს, გაიგზავნა ელისავეტპოლს ყაჩაღთა გუნდების მოსასპობად. 1846 წლის 13 თებერვალს იგი „ღროებით“ ელისავეტპოლის მაზრის უფროსად დაინიშნა მადათოვის ნაცვლად და ამ თანამდებობაზე დაჰყო ორ წელიწადზე მეტ ხანს.<sup>3</sup> ყაფლანი შეგლოდა მას ყაჩაღების წინააღმდეგ ყაზახის უბანში და დიდ გულმოდგინებასაც იჩინდა. იგი ჰუმორით სავსე და დიდი ფართი-ფურთოების ადამიანი იყო და ახერხებდა თავის „საქმიანობაში“ ეფექტიანობისა და იმპოზანტობის გამოჩენას. ყაჩაღთა ქერა სწორედ მისი „გუნების“ საქმე იყო. ოთხი შეპყრობილი ყაჩაღი თითონ მან „წაასხა“ თბილისში. „ილიკო ელისავეტპოლის მაზრაში ავაზაკებს იჭრს. ყაფლანიც თანა ჰყავს. იმ დღეს ოთხი ავაზაკი გამოეტანებინა ყაფლანისათვის. უნდა გენახა ყაფლან იარაღში ჩამჯდარი და ოცის ყაზახით რომ შემოვიდა ქალაქში და მთავარმართებელთან მისახარაზბონიკები“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მ. ხელოვნელი, „სალიტ.-სახოვადგებრივი წარსულიდან“, გვ. 51.

<sup>2</sup> იმ. ალექსანდრე ორბელიანის თხზულებანი, 1879, გვ.—252—253.

<sup>3</sup> „ზაკავკ. ესტა.“, 1846 წ., № 15 და კავკ. კალენდ.

<sup>4</sup> ლევ. მელიქიშვილის 1846 წლის 19 იანვრის წერილი გრ. ორბელიანისადმი. სრული ტექსტი ი. ბ-ის პუბლიკაციით („მნათობი“, 1938 წ., № 12).

სხვათა შორის, საქ. ორბელიანი სწერდა კონსტანტინე თარხნიშვილს, ყუბის მაზრის მმართველს: „დასამწიფებლად განჯისა, გააზავეს ჩემი ძმა ილია, რომელმაც დიდთ ისაქმა ასე, რომ სულ ასწყვიტა იჭრაზობნიკები... ილიამ ძალიან განიღო ხელი. ძალიან სპოსობნი“ კაცი არის ნაღმისათვის ასე, რომ მე მისთანა იმ ხანის კაცებში არავინ შეგულება. ეტყობა, რომ შენს ხელში ვაშთუვლია და დიდათაც უყვარს ის გრანტოვსა“. (II/III 1846 წ., საქ. მუხ. ხელნ. H-d—10-808).

ეს მოხდა 1846 წ. 14 იანვარს და იმავე საღამოს რევაზ<sup>1</sup> ანდრონიკაშვილისას ყაფლანი, „კახურით“ შეხურებული, მოუთხოვრებდა იქ მყოფთ ფათერაკებით სავსე თავგადასაყულს და თანაც იგონებდა ტატოს. ყაზახი მას მოსწონებოდა და გამაზოვის წასვლის შემდეგ იგი, „სამსახურგადამდგარი პორუჩიკი თავ. ყაფლან ორბელიანივი“, დაინიშნა 22 მარტს ყაზახის უბნის „ზასედატლად“<sup>2</sup>, მაგრამ ორი თვეც არ გასულიყო, რომ იგი გადავიდა „ზასედატლადვე“ ბორჩალოში თავისი<sup>3</sup> მამულის მახლობლად.



მამუკა ორბელიანი (მოხუცებაში).  
(1800—1871).

მცირედი ხარვეზის შემდეგ ელისავეტპოლს კვლავ მოევლინა ორბელიანთ გვარეულობის წევრი—მამუკა ორბელიანი, რომელმაც 6—7 წელიწადს დაჰყო იქ მასრის უფროსად.

ძველს განჯის საულავეზე პოეტა ვერ იქნა და ვერ ეღირსა, თუმცა რევაზ ანდრონიკაშვილის სახლში, 1846 წლის 14 იანვარს, პოეტის შეგობართ შორის

<sup>1</sup> გაზ. „კავკაზის“ 1846 წლის მე-3 №-ში ყაფლანი აღნიშნულია თბილისში ჩამოსულად 14 იანვარს.

<sup>2</sup> „ზაკავ. ვესტნი“, 1846 წ., 19.

<sup>3</sup> „ზაკავ. ვესტნი“ 1846 წ., № 35.

მომხდარი თათბირის შემდეგ შეგროვილი ფული მელიტონს გადაეცა. მარმარილოს საფლავის-ქვა რუსული წარწერით, ალბათ, ილია ორბელიანის მეოხებით უნდა ყოფილიყო დადებული, და არც პოეტის ოჯახში, არც თბილისელ მეგობართა შორის, როგორც ჩანს, ამ ქვის თაობაზე არა იცოდნენ რა. თორემ, რითი შეიძლება იხსნას ის გარემოება, რომ კონ. მამაცაშვილმა, რომელიც ლამობდა დაედგინა პოეტის გარდაცვალების წელიწადი, ნათესავებისაგან ვერა გაიგორა; ერთნი თურმე ამბობდნენ—1846 წელს გარდაიცვალაო, მეორენი—1847 წელსაო. თავის დროზე ოჯახში ზედმიწევნით იცოდნენ პოეტის სიკვდილის დღე. ზევით აღნიშნული იყო, რომ უკვე 1845 წლის 14 ოქტომბერს, მელიტონმა თხოვნა შეიტანა დახმარების დანიშვნის თაობაზე შვილის გარდაცვალების გამო, ხოლო გენ.-ლეიტ. ლადინსკის ქალაქში იმავე საგანზე, რასაც ხელს აწერს აგრეთვე დიმიტრი ყიფიანი, როგორც კანცელარიის დროებითი უფროსი (ალბათ, თვით ქალაქი მისი შედგენილი უნდა იყოს), პოეტის გარდაცვალების დღედ აღნიშნულია 1845 წლის 10 ოქტომბერი. დედაც არ შესცდებოდა ამ მხრივ, ვინაიდან იგი განჯას გაემგზავრა მცირე ხნის შემდეგ, რაც უბედურება ეწვია, მაგრამ იმ დროს, როდესაც კონ. მამაცაშვილი ცნობებს აგროვებდა, არც ეფემია, არც მელიტონი უკვე ცოცხლები არ იყვნენ. ნ. ბარათაშვილის დებს (მამაცაშვილი, ალბათ, მათ გულისხმობდა), გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს, ლევან მელიქოშვილს და სხვა პირთ, თბილისში მყოფთ, ალბათ, არა სცოდნიათ მარმარილოს ქვის ამბავი. ამის მცოდნენი კი—ილია ორბელიანი უკვე კარგა ხნის გარდაცვალებული იყო, აგრეთვე მამუკაც, ხოლო მიხ. ბირთვ.-ძე თუმანიშვილი, რომელმაც არამცთუ თავისთავად იცოდა ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალების წელი, არამედ ანოკითხა კიდევ იგი ქვაზე, ახალი გარდაცვალებული იყო, როდესაც მამაცაშვილი ცნობებს აგროვებდა. ამრიგად, შემოსენებულ პირთა პირველ ჯგუფს მარმარილოს ქვის არსებობა რომ სცოდნოდათ თუ თვით ისინი ვერ მისცემდნენ მამაცაშვილს სათანადო პასუხს, შესაფერვზას მაინც უჭვენებდნენ ამის გასაგებად. ასე რომ, როდესაც მამაცაშვილმა ელისავეტპოლის მაზრის უფროსს განძიელსა და მღვდელ მძინარაშვილს მიმართა—დამეხმარებით ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალების დღის აღდგენაშიო,—თვით მამაცაშვილმაც როგორც ეტყობა, არ იცოდა, რომ საფლავზე მარმარილოს ქვა იყო, რომელიც შემდგომ მოენსნათ და ეკლესიაში შეეტანათ<sup>1</sup>.

ნიკ. ბარათაშვილის მარმარილოს საფლავის-ქვა დამზადებული იყო არა უგვიანეს 1846 წლის აპრილის თვისა: წარწერა აღნიშნავს პოეტს გუბერნსკი სეკრეტრად; ხოლო, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ, სახელდობრ, 1846 წლის აპრილში ოფიციალური ვაზეთის „ზაკავკ. ვესტნ.“ მე-14 №-ში გამოქვეყნებული იყო ბრძანება ნიკ. ბარათაშვილისათვის შემდეგი—კოლესკი სეკრეტრის—ჩინის მიცემის თაობაზე (1843 წლის 6 ნოემბრიდან). ეს ბრძანება მელიტონმა გამოქვეყნებამდე აღრე გაიგო—თებერვალში: 1846 წლის 28 თებერვლის განცხადებაში მეფის-ნაცვ-

<sup>1</sup> „გზლა ჩვენის პოეტის საფლავი ბაღში იცნობა მხოლოდ იმითი, რომ იმაზედ არის ამოუსული დიდი, მაღალი და მშვენიერი კიპაროზის ხე, ყოველთვის მწვანე ხაფხულ-ზამთარში“—მღვდ. მძინარაშვილის წერილიდან პონოროვსკის სიტყვით („დროება“, 1881 წ., № 292, კ. მამაცაშვილის წერილში).



ლის კანცელარიის დირექტორის ს. ვ. საფონოვის<sup>1</sup> სახელზე იგი იხსენიებს თავის შვილს არა გუბერნსკი სეკრეტრად, როგორც წინანდელ განცხადებებში ასახელებდა, არამედ კოლეჟსკი სეკრეტრად. ვინაიდან საფლავის ქვაზე პოეტი ძველის ჩინით არის დასახელებული (გუბერნსკი სეკრეტრად), ამიტომ იგი თებერვალზე გვიან არ უნდა იყოს ვაკეთებული (თუ მას ოჯახის შეკვეთით აკეთებდნენ), ან არა უგვიანეს აპრილისა (თუ იგი ვაკეთებინა ილიამ, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო არ შეეძლო არ ეკითხა განჯაში ოფიციალური სამიერკავკასიო ვაზეთი)<sup>2</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის გამო გლოვობდა და ჭირისუფლობდა ყველა, ვინც კი თავის-თავს ქართველი საზოგადოების უაღრესად მოწინავე ნაწილის რიგებში სთვლიდა. ხოლო ვაიარა მცირედმა ხანმა და ვერც ერთ მის მახლობელს ვერ მოეგონებინა პოეტის სიკვდილის წელი. აი, იმ კონტრასტების ერთერთი გამოვლინება, რომლებიც ასე დამახასიათებელი იყო პოეტის მთელი სვე-ბედისა. მართლაც და.. მთელი მისი ცხოვრება რალაც საბედისწერო წინაღმდეგობათა ხლართია და ეს მეტ-წილ იმ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებით აიხსნება, რომელ ზღუდეშიაც იგი იყო მოქცეული, მეუფის ქმთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკა, თავად-აზნაურ-მემამულეთა კლასის უიდეობა, პრესის უქონლობა, იმ წრის საერთო კულტურული ჩამორჩენილობა, რომელშიაც პოეტს უნდა ეცხოვრა—აი, ის პირობები... მდიდარი ოჯახის შვილი — ცხოვრებაში ფეხსა სდგამს უკვე თითქმის მთლად ღარიბ-ღატაკი. სულით უტეხი, დამოუკიდებელი — იგი ემორჩილება ოჯახის მოწოდებას და ხელს იღებს სამუდამოდ იმ ცხოვრებაზე, რომელზედაც ოდიანეე ოცნებობდა, უნარმოსილი და შრომისმოყვარე—იგი ჩამორჩა სამსახურში ყველა თავის ამხანაგს, გლეხების კეთილდღეობაზე მეოცნებე („...ხელი მოჰკიდე მამულს—სწერდა იგი ზაქარია ორბელიანს 1844 წლის 15 აპრილს—და ეს იქნება სხვაგვარი დიდება—გააბედნიერო შენი გლეხები“)—იგი ცხოვრობს მებატონეთა შორის. მაღალ სულიერ მოთხოვნილებათა საწყაული—იგი იძულებულია თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე იტრიალოს ან „კანცელარისტებს“ შორის ან ფუჟსავატ, ზეზურ, ეგრეთწოდებულ „მაღალ“ საზოგადოებაში, რომლისთვისაც მისი სულიერი მოთხოვნილება, მისი ბედ-ილბადი არარა იყო. დიდი გრძნობის პატრონი, რომანტიული გატაცების შვილი—იგი იზინდება ტრფიანობით და მის სიყვარულს აბუჩად იგდებენ. სოფლად, განმარტოებით ცხოვრებას ელამუნება და—ნამდვილად კი, მთელ წლებს ატარებს სულის შეხუთველ (პირდაპირადაც და ნართულადაც) პალატის ატმოსფეროში. ნაცვლად „საქართველოს ისტორიისა“, რომლისთვისაც გულდადებით ემზადებოდა,—იგი, სწერს საკანცელარიო „ოტნოშენებს“. ეძიებს საზოგადოებას მაღალი იდელებით და

<sup>1</sup> იხ. პ. გუგუშვილის პუბლიკაცია.

<sup>2</sup> როგორც კუროიზი უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილს სიკვდილის შემდეგ არა მარტო შემდეგი ჩინი მიეცა, არამედ აგრეთვე იგი დაბარებული იყო ოფიციალურ ვაზეთში განცხადებული განცხადებით სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს საქართველო-იმერეთის პალატაში რალაც შემოწმებული დოკუმენტების ჩასაბარებლად („ზაკავკესტნ.—1845 წ., № 40, ოქტ.“).

პრობებს ადამიანებში „გაუმადლარ“ (მისივე თქმით) ქმნილებათ. დაბოლოს, ნატრობს საქართველოში დიმიარხოს და—თითქმის ნახევარი საუკუნე მისი ნეშტი განჯის მიწას აპოხიერებს. იყო დიდი პოეტი—საცოდავთა, პაწია ენებების მოხათა შორის...

და იმ საზოგადოებამ, რომელსაც იგი სძლენიდა მთლად თავის სულხორცის ძალას, გვერდი აუარა პოეტს, ვერ შეიგნო რა მისი ტრაგედია; „...ახლა ტფილისის ამბები. აქ მალმალ ტანცაობა აქვთ, დაიარებიან ხან თეატრში, ხან ვოლტიჟორებთან და აკრობატების სანახავად, ხან მექანიკურ თეატრში, და ძაღლების კომედიაც არის. წარმოიდგინე სამსავე ამ გართობას კვირაში სამ-სამჯერ წარმოდგენა აქვს და მუდამ ხალხით სავსეა. დავილუპენით ვამდიდრების მაგიერათ, და ლუბერსკი პრავლენიამაც მოუხშირა ვადის დანიშვნა აქაურ მებატონეთ მამულების გაყიდვისა“<sup>1</sup>

1845—1846 წლების ზამთარში თბილისის „მაღალი“ საზოგადოების ქრონიკა მეტისმეტად მდიდარია სხვადასხვაგვარი წვეულებებითა; საღამოებითა, სადილებითა, მიღება-დახვედრითა, ბალებითა, მასკარადებითა და სხვა მისთ. მთელი ეს საზოგადოება, რომელიც თავის-თავს ქვეყნის „მარილად“ სთვლიდა, ამ ზამთარს თითქო გაორკეცებულის ენერჯით მხიარულობდა და ხალისიანობდა. ყველა ცდილობდა ერთმანეთისათვის დაესწროთ მეჯლისების გამართვა. მანდილოსნები იკრიბებიან ხან ელენე ერისთავისას, ხან სხუასთან და ქალღალდ თამაშობენ („ფოფანს“). მამაკაცები, ვინც კი დაღესტანში არა ომობს, ისწრაფიან „კარიერის გაკეთებას“ ევროპის „სალონებში“.

1845 წლის მიწურულში, ის-ის იყო პოეტის სიკვდილის შემდეგ, იმართებოდა დიდი ზეიმები და წვეულებები ირანიდან ახლად ჩამოსული ელჩის დასახვედრად. 8 ნოემბერს ქართველმა თავადაზნაურობამ მოაწყო კლუბში დიდი ბრწყინვალე ბალი ცოლ-ქმარ ევროპოვთა საპატიოდ. 2 დეკემბერს ჩამოვიდა ირანიდან კიდევ ერთი ელჩი და კვლავ დაიწყო მიღება-დახვედრის ზეიმები. ჭავჭავაძიანთ ოჯახი, რომელთანაც ასე მჭიდროდ დაკავშირებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი, რასაკვირველია, სხვებს არ ჩამორჩენია. ეკატერინე—ოდესლაც მეფე მეგონის გულისა და, შეიძლება კიდევ, ერთერთი ფარული მიზეზი მისი სამშობლოდან გადახვეწისა—მთლად შთანთქმული იყო „მაღალი“ საზოგადოების „ქალთა ასპარეზობასა“ და სამეგრელოს საქმეებში. ნინო—მისი და,—რომელიც გადაჭრით უარზე იდგა, გრიბოედოვის შემდეგ, ვისთანმე თავისი ბედის გაზიარებაზე, არ ეუცხოებოდა მაინც „მაღალი“ საზოგადოების საერთო ქრიამულს. 1846 წლის 8 იანვარს ბალი ჰქონდათ ჭავჭავაძიანთ. „ნინო საუცხოოა“ („Nine superbe“)—ლაკონიურად აღნიშნავს თავის დღიურში ბარონ ნიკოლაი, რომელმაც მალე მესამე და—სოფიო—შეერთო.

დარჩა თუ არა განჯაში ნიკოლოზ ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ მისი პირადი არქივი?

გვეგონია, რომ ამაზე „ჰო-ს“ თქმა შეუძლებელია. ამისათვის არავითარი სერიოზული საბუთი არა ვაქვს.

<sup>1</sup> ლევ. მელიქიშვილის 1846 წლის 19 იანვრის წერილიდან გრიგოლ ორბელიანისადმი



პ. ჩელიშვილი. მთხოვნელი ქალი, თარჯიმანი და პოლიცემისტერი ა. ა. შოსტაკოვი (თბილისი)

ლევან მელიქიშვილის მიერ გრიგოლ ორბელიანისათვის 1846 წლის 19 იანვარს გაგზავნილი წერილის მიხედვით—უნდა დავასკვნათ, რომ პოეტის ოჯახს მისი ნაწერები არა ჰქონდა: „ყველანი სწუხდნენ, რომ განსვენებულის მშენიერი ნაწარმოები იკარგებიან“. პოეტის დედას ეფემიას რომ განჯაში შვილის ლიტერატურული არქივი მიეღო და გადმოეტანა, მაშინ ხომ მის მეგობრებს არ მოუხდებოდათ აქა-იქ ნაწილ-ნაწილ ეგროვებინათ ეს არქივი. სხვათაშორის, იმავე წერილში ლევან მელიქიშვილი სთხოვდა გრიგოლს, გაეგზავნა მისთვის დასაბეჭდად რაც რამ გრიგოლს ლექსები ჰქონდა ნიკ. ბარათაშვილისა და დაეწერა არა მარტო წინასიტყვაობა თხზულებათა კრებულისათვის, არამედ აგრეთვე ეპიტაფიაც ძეგლისათვის. 1846 წლის 27 ივლისს ლევანივე სთხოვდა ილია ორბელიანს იმ დროს, როცა ის განჯაში იყო: „ილიკო, აქაც ვთხოვე და კიდევაც ვთხოვე, საწყალი ტატოს ლექსები რომ გაქვს მანანას ქალისაგან წაღებული, გამომიგზავნე, რჩება დაუბეჭდველი და ბედი ქართლისაც შენ გაქვს. ფულებს კი აღარ ვგონებ, ეგენი მაინც გამომიგზავნე“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხელნაწ. კონა № Q-155-ბ—საქართ. მუხ. ხელნაწ. განყ.-ში.

გიორგი აბჯიანიძე

**6. ბარათაშვილის ერთი ლექსის განმარტება**

„ნეტა რა ქარმან დააზრო მისი სიცოცხლის ყვაველი,  
მეც ამატირა მის მხედრმა, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში“.

ასე მთავრდება სიყვარულის თემაზე დაწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ლექსი „ქეთევან“. ინტერესს იწვევს ვინ იყო ის ქალი, რომლის მწარე ხედრმა ასე აატირა ჭაბუკი პოეტი. ხომ არ იყო იგი პოეტის სიყვარულის საგანი?

ლექსის დაწერილობითმა ანალიზმა, ამ მხრით, ჩვენ გარკვეულ დასკვნებამდე მიგვიყვანა.

ლექსის რეალიები გვიჩვენებენ კვალს გავიგოთ ქეთევანის ვინაობა. მოვიყვანოთ ლექსს მთლიანად:

**ქეთევან.**

ზვირთები მოდუღუნებენ,  
ქალები ბუჩქნარებენ.  
ხშირნი ღამაზთა კიდეთა,  
მჩქეტრად მდინარის ქსნისათა.

მიმჭრალებული მთოვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა;  
მდინარის პირზე ჰზის იგი, ხელთა ჩონგურის მპყრობელი;  
გიშრისა თმანი ნაშალნი, ჰშვენიან სპეტაკს საცმელსა,  
და დამღერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

„აე-ენანო, ოდეს დაჰსცხრეთ,  
მოასვენოთ ეზდენ სული?  
რა გარგოთ რომ შეიშურეთ  
უბიწოო სიყვარული?“.

„გულის-ჰსწორო, ერთის ცილით  
აგრე როგორ შეიცვალე,  
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით  
მას აგრე მჰსწრაფელ ანაცვალე?“.

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდნი:  
„მე შენი ვარ საუკუნოდ!“.  
სიყმაწვილეს რად მიღებდნი,  
თუ მოჰკლავდნი ასე უდროდ!“.

„რად შემიპყარ მე გლახ გული,  
 უმანკო და უზრუნველი;  
 რად დამიქენე მე ყვავილი  
 ყმაწვილობის, ჯერ უშლელი!“

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,  
 რომე არის სხვა სოფელი;  
 ოდეს ჰსცნა, რომ ვარ უბრალო,  
 მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“

ჰსდუმდა—და მეცა ვიცანი  
 ქეთევან ჰაეროვანი,  
 ქეთევან ნაქები გულით,  
 ნაქები მშვენიერებით!

ნეტა რა ქარმან დააზრო მისი სიცოცხლის ყვავილი?  
 მეც ამატირა მის მხვედრმა, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:  
 ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო, ღელვილი;  
 მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში!

1835.

როგორც ვხედავთ, ქეთევანი თავის მწუხარე სიმღერას მღერის მდინარე ქსნის პირად, იგი მისტირის თავის დაკარგულ სიყვარულს. ვინ უნდა იყოს შუა ქსანში სილამაზით განთქმული ქეთევან? („ქეთევან ჰაეროვანი, ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით?.)

ამ კითხვის გასაღებს გვაძლევს ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო, ღელვილი;  
 მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთებში!“

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსების ვ. გუნიასეულ ვარიანტში „ამილბარის“ მაგივრად სწერია „ელიზბარი“. პოეტს ჯერ დაუწერია „ელიზბარი“, შემდეგ გადაუსწორებია „ამილბარად“. დანარჩენ ვარიანტებში დარჩენილია „ამილბარი“. ექვს გარეშეა პოეტს საგანგებოდ გადაუსწორებია სახელი ელიზბარი კვალის დეფარვის მიზნით. ამ რიგად ქეთევანის სახელი უკავშირდება ელიზბარს.

ამ დეტალმა ლექსის ზემოაღნიშნულ რეალიებთან ერთად მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ბარათაშვილის ლექსის ობიექტი უნდა იყოს ქეთევან შალვას ასული ერისთავისა (1819—1907), ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის (1808—1871) მეუღლე. მართლაც ამ დროს 30-ან წლებში ქსნის ხეობაში განთქმული იყო ქეთევან ერისთავი, რომელიც ნიკ. ბარათაშვილს შორეულ ნათესავადაც კი მოხვდებოდა. ქეთევან ერისთავი იყო ყაფლან ორბელიანის დისწული. აღნიშნული ლექსი გვაფიქრებინებს, რომ ქეთევან ერისთავი იყო პოეტის გატაცების საგანი.

ჩვენი მოსაზრებები სრულად დადასტურეს ბიოგრაფიულმა ფაქტებმა, რომლებიც გადმოგვცეს ქეთევან ერისთავის ქალიშვილებმა ნინო ელიზბარის ასულმა ქობულაშვილმა და ელისაბედ ერისთავმა. მომყავს სიტყვა-სიტყვით 79 წლის მოხუცის ნინო ქობულაშვილის საუბარი:

„დედა ჩემი ქეთევან შალვას ასული ერისთავისა, ღრმა მოხუცებული-გარდაიცვალა. იგი იყო დაი რევან ერისთავისა, „შეშლილის“ მთარგმნელის. მამა-ჩემი ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი იყო 1832 წლის აჯანყების პირველი მეთაური (მას ოფიციალურად ეძახდნენ ელიზბარ პავლოვიჩს). მან სწავლა მიიღო პეტერბურგის არტილერიის სკოლაში.

„დედა ჩემი 1907 წელს გარდაიცვალა. კარგად მახსოვს მისი ნაამბობი. იგი საყმაწვილეში ტფილისში ხშირად ჩამოდიოდა თავის ბიძასთან, ყაფლანთან, ეგრეთ-წოდებულ ორბელიანთა აულში. იქ იყო ხოლმე ქართული შექცევა და დროის ტარება.

„დედა დიდი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილსა. იგი მოიგონებდა ხოლმე: ტატო ძალიან მზიარული იყო. როცა ქალები ვიყავით და ნარდს ან ლოტოს ვთამაშობდით უცებ ხან ქუდს გადმოგვიდებდა ფანჯრიდან და ხან ბაყაყს, ერთს წივილ-კავილს მიყვებოდით, ვიტყოდით: ალბათ ტატო მოვიდაო! მერე თვითონ შემოყვებოდა და გვეტყოდა: „აბა შექორეებო, მიაბზეთ რა ქორები იცითო“. ძალიან ლამაზი კი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო შესახედავი იყო.

„როგორც სჩანს ნ. ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით. დედა გვკეთიზხდებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს და გვეტყოდა, რომ ლექსი „ქეთევან“ მე მომიძღვნაო. ეს ლექსი ასე თავდება „ქეთევან ნაქები გულით, ნაქები მშვენიერებით“.

„ტატოს დედაჩემისთვის უჩუქებია „ვეფხისტყაოსანი“, ამ წიგნს ფერადი სურათები, ორნამენტები ჰქონდა მოყოლებული ყოველ ფურცელზე, უჩუქებია აგრეთვე თავიანი ლექსების წიგნი. ტატოს ხელნაწერი ლექსების წიგნი, დედას ძალიან უყვარდა და ბოლოს გადასცა დავით ერისთავს, დრამატურგს. პატარა ტანისა იყო ხელნაწერი, ფურცლები შეკერილი იყო. „ვეფხისტყაოსანი“ კი დავეწვია, როცა ჩვენი სახლი დაიწვა.

„დედას არ ნდომებია მამა ჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა, მაგრამ მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ. გიორგი ერისთავსაც უნდოდა თორმე დედა-ჩემის შერთვა, მაგრამ როგორც ნათესავს, ჩამოცილებია. გიორგი ერისთავმა, სხვათაშორის, ლექსი მიუძღვნა ქეთევანის დას. სოფიოს“.

ასეთია ნინო ქობულაშვილის მოგონებანი.

ეს მოგონებანი საბოლოოდ ადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსის „ქეთევან“-ის ობიექტი უნდა იყოს ქეთევან შალვას ასული-ერისთავი, პოეტის ერთ-ერთი პირველი სიყვარული.

სოლომონ ცაიშვილი

## ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

„ბარათაშვილის სამწერლო ბიოგრაფია, ისეთივე მოკლეა, როგორც საზოგადოდ მისი ცხოვრების აღწერა“-ო, ამბობს იონა მეუნარგია, რომელიც ცდილობს კავშირი გააბაზნ. ბარათაშვილის ყველა ნათესავთან, ნაცნობ-მეგობრებთან და მასთან რაიმე ურთიერთობაში მყოფ პირებთან. მას ეს ნაწილობრივ მოუხერხებია. ჩვენამდე მოღწეულ მისს ე. წ. „სამახსოვრო წიგნებში“ ჩაწერილია მთელი რიგი საუბრებისა, ან როგორც თვითონ უწოდებს „მუსაიფი“ ისეთ პირებთან, როგორც იყვნენ პოეტის დები: ბარბარე ვეზირიშვილი, ნინო ბარათაშვილი და სოფიო სუმბათაშვილი; ბიძა გრიგოლ ორბელიანი, ბიძაშვილი გიორგი ორბელიანი, დავ. ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ლევან მელიქიშვილი, ქეთევან ორბელიანი ივ. მუხრან-ბატონი. ალ. საგინაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, გრიგოლ დადიანი, კონსტ. დადიანი და თვით ეკატერინე ჭავჭავაძე—დადიანისა, ეს „პაეროვანი“ სატრფო პოეტისა.

ნ. ბარათაშვილის თანამედროვეთა შორის ბიოგრაფიული მასალების ამდენი ძიების მიუხედავად, პოეტის ცხოვრებაში ბევრი რამ დარჩა საიდუმლო და ჯანლით მოცული.

ჩვენ მაინც ვეცადეთ პოეტის პირველი ბიოგრაფის უბის წიგნაკთა კაბადონებიდან, ამოგვეკრითა ის წვრილმანები, ზევით დასახელებულ პირებთან ჩატარებულ საუბრებიდან, რომელთა უმეტესობა სხვადასხვა მიზეზებისა და გარემოებისა გამო იმ დროისათვის თვითბიოგრაფს ვერ, ან არ გამოუყენებია, ან, თუ გამოუყენებია, სხვა სახით.

თითოეული ჩანაწერის კომენტირება საჭიროდ არ ვცანით. ზოგი ჩანაწერი უკომენტარიოდაც ნათელია. ხაზგასასმელია მხოლოდ რამდენიმე:

პირველ რიგში: გრიგოლ ორბელიანის ცნობა, რომ ნ. ბარათაშვილი „სიკვდილის ეამს 27-ის წლისა იყო“. ეს თარიღი არ ეთანხმება, დღემდე მიღებულ პოეტის დაბადების თარიღს (1816). თუ ბარათაშვილი 27-ის წლისა გარდაიცვალა, მაშინ 1818 წელს დაბადებულა, რაც ამართლებს 1845 წ. მაიკოსადმი მიწერილ ბარათში ნათქვამ პოეტის სიტყვებს „რომ ჩვენ წელს 26-ისა შევსრულდითო“, რასაც ი. მეუნარგია შემდეგ შენიშვნას უკეთებს: „ოცდარვა უნდა



იყოს, ნაკლებს განგებ ამბობსო<sup>1</sup>.<sup>1</sup> საკულისხმოა ეს შენიშვნაც, გრიგოლ ორბელიანის ცნობაც და თვით პოეტის სიტყვებიც.

გრიგოლ ორბელიანის სიტყვით ნ. ბარათაშვილი განჯაში правителья канцелярии-ს თანამდებობაზე ყოფილა და არა მაზრის უფროსის თანაშემწე (რომელიც არც ისე პატარა თანამდებობა იყო მაშინ), ან „გუბერნსკი სეკრეტარი“.

რაც შეეხება იასე ანდრონიკაშვილის ცნობას, ის ერთგვარი ანაქრონიზმია იმ მხრივ, რომ იმ ხანებში არც ერთი მეფე, თუ ხელმწიფე არ მომკვდარა (თუ არა რომელიმე ბატონიშვილი—ბაგრატიონი), მაგრამ ცნობა მაინც პოეტის სულისკვეთებისა და განწყობილების მკვეთრი გამომხატველია.

ბარათაშვილის ოჯახთან დამოკიდებულების გამოსარკვევად, საკულისხმო ცნობას იძლევა აგრეთვე ალ. საგინაშვილი, მამის ვალის გადახდა ტატოს ხშირად უხდებოდაო.

მოყვანილ მოსაუბრეთა შორის ყველაზე მდიდარია, ამ შემთხვევისათვის, ლუკა ისარლიშვილის ცნობები. საყურადღებოა, რომ მის მიერ პოეტის სახის აღწერილობა თითქმის ყველაფერში ემთხვევა სხვა მომგონებელთა (პოეტის დები, დ. ყიფიანი და სხვა) გადმოცემებს.

ისარლიშვილის ზოგი ცნობა მანანას სალონზე და გიორგი ერისთავის შესახებ, მთლიანად არ ეხება ნ. ბარათაშვილს, მაგრამ მაინც მოგვყავს, როგორც დამახასიათებელი მასალა ეპოქისა და იმ გარემოსი, რომელშიც თვითონ პოეტი ტრიალებდა. ასეთივეა ცნობა გრ. ორბელიანის დღიურების შესახებ.

რაც შეეხება მოსაუბრეთა დაუსახელებლად ი. მეუნარგიას მიერ თავის „სამახსოვრო“ წიგნებში ჩანაწერებს (როგორც არის: „მელიტონი 1839“, „ბარათოვი. ლიზა საგინოვი. ტასო. ლანგ“. 1872 და სხვ.) ჩვენს მიერ გაუშიფრავია და მათ ვაქვეყნებთ, როგორც მასალას ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა საყურადღებოდ.

დასახელებული უბის წიგნები, საიდანაც ეს ცნობებია ამოკრეფილი, დაცულია იონა მეუნარგიას არქივში, რომელიც ინახება ზუგდიდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში, ხოლო ნაწილი ჩვენთან.

ცნობებში დაცულია ჩაწერის პირვანდელი სახე (სტილი და მართლწერა). შევცვალეთ მხოლოდ ზოგიერთი უსწორო გამოთქმები და გადაჭარბებული რუსიციზმები („დნენიკი“ და სხვ. ასეთები). ამის საბუთს თვით მეუნარგია იძლევა. ის წიგნაკში იწერს ისე, როგორც მას გადმოცემენ, დაუმუშავებლად და ნაკუწ-ნაკუწ, მაგრამ როცა შრომაში გადააქვს, სწმენდს მას არასწორ გამოთქმებიდან, ჩვენ მხოლოდ რუსიციზმს მოვექეცით ასე, სხვა მხრივ ჩანაწერები უცვლელად მოგვყავს.

### გრიგოლ ორბელიანი:

— ბარათაშვილი, ჩემი დისწული, იყო დიდად ნიჭიერი ყმაწვილი. ის მსახურობდა პალატაში; ბევრი სირბილი უყვარდა. ცოტას კოჭლობდა. ერთხელ

<sup>1</sup> იბ. ნ. ბარათაშვილი, 1922 წ. გვ. XXVIII.

ილინსკიმ რევიზია გაუკეთა და ყველაფერი რიგზე რომ ნახა, უთხრა თურმე  
 В таком роде продолжайте бегать, сколько вашей душе угодно.



პ. ჩელიშვილი. ყაზახები ცოლებით რუსულ თეატრში. თბილისი

— ის (ნ. ბარათაშვილი, —ს. ც.) ეხვეწა მამას, რომ უნივერსიტეტში გაეგ-  
 ჯენა მაგრამ მამამ არა ჰქნა. მოკვდა განკაში, საცა ასრულებდა правителя  
 канцелярии-ს თანამდებობას. სიკვდილის ეამს 26 თუ 27 წლისა იყო. დაიმარბა

იქაურს ციხეში. იმისი პორტრეტი კოლა ერისთავის დედასა ჰქონდა და არ ვიცი რა უყო.

— სამჯერ დამელუბა ჩემი დღიურები. ერთხელ დონში ჩავცვინდით და კინალამ მეც დავიხრჩვი; მეორეჯერ, როცა ავარიის ხანი ვიყავი შამილის დროს. უცებ წინანდალში შემხვდა გამოქცევა და ტანისამოსები და წიგნები იქ დამეკარგა. მესამეჯერ, გამჩხრიკეს, როცა პოლიტიკური ორგულობა შემწამეს და სხვა წიგნებთან ერთად ჩემი მესამე და უკანასკნელი დღიურებიც დამეკარგა. შემდეგ ბევრი ვიხვეწე, ბევრი ვიმუდარე, მაგრამ არაფერს უყო და არ მომამტკია და დღესაც დაკარგულად ვაველი იმ წიგნებსა და დღიურებს.

**ბიძინა ჩოლოყაშვილი:**

ნიკო ბარათაშვილი ბევრს დარბოდა. ბევრგან არც კი იღებდენ სიყვარულით: „უთხარიო, შინ არ არის-თქო“.

— უყვარდა ფალავანდოვის ცოლი. ამ ქალმა კი კონსტანტინე დადინი ირჩია.

— ბებუთოვი, ფალავანდოვი, ენიკოლოფოვი, მამაკოვი, ბარათოვი, ლევანი და დავით ჭეჭევაძე ამხანაგები იყვნენ, მარტო ამათ იცოდნენ კარგი ქართული.

— თელავში უნდა გამწესებულყო, ტროიკაც მოიყვანეს წასასვლელად, როდესაც მამუკა მოვიდა.

— ჯერ ნახჭევანში იყო ლევანის პომოშნიკად, რომელიც გაზგანვილი იყო „უეზდის ნაჩალნიკად“, მერე მამუკას „პომოშნიკად“ დანიშნეს განჯაში.

— ყაჩაღების დევნის დროს გაციებულა. ის იყო, უნდა მორჩენილიყო, რომ ერთბაშად ბევრი ლუდი არ დაეღია სიციხეში მყოფს, ხელახლა გაცივდა და მოკვდა, დამარხულია იქვე, განჯაში.

— ფეხი პატარაობისას ჰქონდა ნატყენი.

**იახე ანდრონიკაშვილი:**

— „კნიაზ“ ერისთავის ქორწილზე ბევრი ხალხი იყო. ივან მაღხაზიჩი (ანდრონიკაშვილი, —ს. კ.) მეორე ოთახში იყო და იქ ჰქონდა გაშლილი სუფრა. ქეიფი გაიმართა. ოროველა და სხვა ბევრი სიმღერები შემოსძახეს.

— თქვე, დურაკებო, ბრიყვებო, ხელმწიფე მომკვდარა, რა გემღერებათო, —დაიყვირა მაღხაზიჩმა. ტატო ბარათაშვილი დიდი ყანწით ღვინოსა სვამდა და უცბად:

— ვინ ხელმწიფე, მისი დედაც მ.....

— Арестовать!

ტატო გამოხტა გარეთ, შეჯდა ცხენზე და მოჭკურცხლა.

— ეხლა უბრძანე, კნიაზ, „არესტუი“...

**დიმ. ყიფიანი:**

— ერთხელ, ერთს შეყრილობაზე ბევრი ყმაწვილი კაცები ვიყავით. საუბარმა მოიტანა და ბაბო ხერხეულიძის (შემდეგში ცნობილი შახიოზი ბ. ავა-

ლიშვილისა,—ს. ც.) მამამ იკითხა: ეს ყველაფერი კარგა, მაგრამ ე, ბერძნებს რომ ყველაფრის ღმერთი ჰყოლიათ, ნეტავი, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ? ტატო ბარათაშვილმა სხარტულად მიუგო:

— ეს პლატონს უნდა ჰკითხოთ, ის არის ბოდ-ასლოვიო და პლატონ იოსელიანისაყენ მიუთითა.



პ. ჩელიშვილი. ვასეირნება ავლაბარში.  
(თბილისი 1848 წ.)



საგანგებო დაეაღებათა მოზელე  
ა. ა. ვალაბუგვი. (თბილისი 1836 წ.)

**ალ. საგინაშვილი:**

- მელიტონი, ტატოს მამა, ტფილისის მაზრის მარშლად იყო. აგრეთვე გუბერნიის წინამძღოლადაც. ფართოდ გაშლილი ოჯახი ჰქონდა. მისი სუფრა მუდამ დატვირთული იყო და მთელს ტფილისში ნაქები სიუხვით. მაგრამ მალე სიღარიბეში ჩავარდა. ტატოს, მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია.

**გრიგოლ დადიანი:**

- პლატონ იოსელიანს ძალიან მოსწონდა ნიჭიერი ნ. ბარათაშვილი და წინასწარმეტყველის ნიშნით სულ იმას გაიძახოდა:
- ეს კარგი გამოვაო.

**ლუკა ისარლოვი:**

— ნიკო ბარათოვი და მე ერთად ვსწავლობდით. გიმნაზია ერთად გავათავით 1834 წ. ჩვენი ქართულის ოსტატები იყვნენ სოლომონ დოდაევი და ეფრემ ალექსეევ-მესხიევი. ყველა ლექსს მე მიკითხავდა. ხნით მე უფროსი ვიყავი. ვკითხულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით. ვკითხულობდით აგრეთვე „ვისრამიანს“, ჩახრუხადეს, ალ. ჭავჭავაძეს. იდგა დიმიტრი ორბელიანის ცოლის სახლში, на площ. Мазарха, нильшии дом... იდგა დედმამსთან, მამა თარჯიშანი იყო; უყვარდა ფრანკუზის, ბაშმანიკის (?) ქალი დელფინი, ძალიან უყვარდა ეს ქალი. ერთხელ გაეშუტა და მაშინ დასწერა: „რად მრისხანებ“.. თუ ამგვარი ლექსი.

— მინანა ორბელიანის სალონი იყო, საცა „ცისკრი“ გამოცემასა და ქართულ თეატრს მიეცა დასაწყისი. აქ იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ნიკო ბარათაშვილს ასე ეძახდნენ), გიორგი ერისთავი, ბირთველიძე, მაღალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა.

ერთ საღამოს სთქვეს: მოდი ერთი ჟურნალი გამოვცეთო და ის იყო... ვარანცოვი მინანასთან ხშირად დადიოდა და აქ შეიტყო ამ განზრახვის შესახებ და გიორგი ერისთავზეც. მოიწონა და შემწეობა მისცა ჟურნალის გამოცემისა და თეატრისათვის.

— გლუხარიძე (გ. ერისთავი,—ს. ც.) был шутник, стерлся. (?) ვარანცოვმან წალოში მოამწყვდია. ნასადილევი ვიყავი, გაფარალათებული,—მოგვიყვა ერთხელ ის—ვარანცოვი ფეხით მიმოვივლიდა ქალაქს დავეინახე რომ ამოდიოდა, ვისკუბე წალოში. კარები ერთის ყოფით მოვიკეტე. ბიჭს ვუთხარი: შინ არ არის-თქო, ის შემოვიდა გაიარგამოიარა. გადაურჩი განსაცდელს. საღამოს он от'ехал всех и рассказал (სწორედ შვილს ჰგვანებია).

— გიორგი [XIII], რომ ტახტზე ავიდა მისს სიძეს (დის ქმარს) ნინია ბარათაშვილს ეთქვა: ეს, რა მეფობას შეიძლებს ესაო! როცა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ექვსი თვე გასულა და ტრაური გათავებულა, მეფის კარისკაცს ჩვეულებრივად დაუყვირნია: ბატონის სიძე მოზრძანდებოა,—ქუდი ჩამოიხადეთ!.. შემოვიდა თვითონაცა. ბიჭებო, მიშველეთ, დაჰკარით! დაჰკრეს.

— შემიძლია თუ არა მეფობა, დაჰკარით, გაავდეთო!—გასძახა გიორგიმ.

— ბარათაშვილი გიმნაზიაშივე ეპიგრამებს სწერდა და ბევრს იმღურებდა. მამა ცუდი ხასიათისა იყო და წაკიდებული ჰყავდა...

— ერთხელ მარტყოფში ვნახე და მშვენიერი ლექსური ითამაშა. ილიკო ორბელიანმა (ბიძამ) დუღელში გამოითხოვა, ლევანი (მელიქიშვილი,—ს. ც.) სეკუნდანტი იყო და შეარიგა.

— ბარათაშვილს პორტრეტი დარჩა, მაგრამ ვისთან იპოვება ჯერ არ ვიცით. ერთი კოლას დედასა ჰქონდა და რა უყო არ ვიცი. ისე: შოთერთო სახისა იყო. პირხმელი, შავი ცოცხალი თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა: ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ იყო დახრილი. წვეს არ ატარებდა. ხშირად არც უღვაშსაც. სახე შორიდან შნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმეკილსა ჰკვანდა. იცვამდა ბუზმენტთან ქულაჯას. უფრო ხშირად სერთუჯი ეცვა. საგრძნობლად კოქლობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა.

— ლექსის, „ჩემს მერანს“, სიუჟეტი ნასესხებია მიცკევიჩის „ფარისიდან“, ჩვენს დროში ეს ლექსი („ფარისი“) ძალიან მოდაში იყო, დაბეჭდილიც იყო კიდევ.

ი. მეუნარგიას უბის წიგნებში ჩანიშნულები:

— ბარათაშვილი, 1843 წ. ზაქარია ამბოზს, თავივით დაძვრებაო.

— 1846 წ. ლევან მელიქოვი სწერს ილიას. ტატოს ლექსები გამოიმი-გზავნეო.

— მელიტონი 1839. (იქვე)

— ბარათოვი. }  
ლიზა საგინოვი. } 1872  
ტასო. ლანგ. }

— 1846 წ. ლევანი სწერს გრიგოლს ქალაქიდან. ბარათოვის სიკვდილმა დაგვამწუხრა... მოწყენილი ვიყავით გუშინ! სადილად ანდრონიკოვთან. ყაფლანმა „სულო ბოროტო“ იმღერა. ყველამ ზეპირად ვიცით მისი ლექსები... პირველი მისი სიყვარული ნინო იყო... შევაჯროვეთ 1.000-მანეთი. შენ ბიოგრაფია დაგვიწერე.

\*\*

— უკვდავყო თავის სახელი იმით, რომ შეიქნა დედა ქვეყნის სასიქადუ-ლო ნ. ბარათაშვილისა. ნეტარ იყვნენ ძუძუნეი, რომელთა სწოვდიან ამდენნი სახელოვანნი შვილნი საქართველოსა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეს ბოლომინაწერი შექვევლია ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის დედას და გრ. ორბელიანის სათაყვანო დას, შთამგონებელს ორბელიანის საუცუეთესო პოეტური ქმნილებისა „ჩემს დას ეფემიას“. — ს. ც.

სოლომონ ცაიშვილი

**მასალები ალექსანდრე ჭავჭავაძის  
ბიოგრაფიისათვის**

როგორც ავტობიოგრაფიიდან<sup>1</sup> გვაცნობებს, იონა მეუნარგიას, ყველაზე ადრე „ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ შედგენისათვის დაუწყია ზრუნვა; რადგან მისი აზრით, მე-19 საუკუნის სხვა მწერლებზე უფრო ალ. ჭავჭავაძე „იყო საუკუნეთა შემაერთებელი მწერალი და პოლიტიკური მომქმედელი“. და ასეთი კაცის „ხსოვნა ჩვენს მწერლობას ესაჭიროება, მწერლობას მართო კი არა, ჩვენს თანამედროვე ისტორიასაც“—დასძენს ის. მაგრამ განზრახვა ავტორმა მთლიანად მაინც ვერ განახორციელა.

ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიაზე მუშაობიდან ავტორის ხელნაწერებში დარჩა: 1. მხოლოდ ის ფრაგმენტული სახის ნარკვევი, რომელიც 1937 წ. გამოვაქვეყნეთ ჟურნ. „მნათობში“ (№ 1—2) და შემდეგ ცალკე წიგნადაც, 2. გაზეთის ერთ ფელეტონად გამზადებული სტატია რუსულ ენაზე (ამჟამად პოეტი. გრიშაშვილის არქივშია დაცული) და 3. ქვემოთოყვანილი მოკლე ცნობები სხვადასხვა პირთაგან განაგონად ჩაწერილი მის „სამახსოვრო წიგნებში“.

ამ ცნობების მიწოდებლებია: ქეთევანი, გრიგოლ დადიანი (მწერლობაში კოლხიდელო), კონსტანტინე დადიანი და სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე. თითოეული მათგანი მომსწრეა პოეტის ცხოვრებისა და ზოგიც მასთან ერთად მოქმედიც. მაგ., გრიგოლ და კონსტ. დადიანები—ძმები სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ალ. ჭავჭავაძის სიძის დავ. დადიანისა—პოეტის თანამედროვენი იყვნენ, ხშირად მასთან მოქმედი სამხედრო პირები; ეკატერინე—პოეტის ასული, რომელმაც მამის ლექსები „სულ ზებირად იცოდა“ (ი. მეუნარგიას ვადმოცემით); რაც შეეხება ქეთევანს, ამის შესახებ ჩანაწერებში არაფერია განმარტებული გარდა იმისა, რომ სათაურად უწერია: „მუსაიფი ქეთევანთან“.

ამ „მუსაიფის“ ქვეშ მოცემულია სხვა მრავალი ცნობებიც (ამ შემთხვევისათვის მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეზე ამოგკრიფეთ), საიდანაც ჩანს, რომ ეს ქეთევან ორბელიანი, მამუკა ორბელიანის მეუღლეა, ასული „დიდ კნიაზად“ წოდებული გიორგი ერისთავისა—თავის დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი.

„მუსაიფი ქეთევანთან“ ჩაწერილია ჩვეულებრივ უბის წიგნაკში, ხოლო დანარჩენი, გარდა დედოფლის ცნობებისა საერთო რეველის ცალკე ფურცლებზე, რაც „სამახსოვრო წიგნიდან“ დაფანტული გვერდებია. დედოფლის ცნობები კი მიწერილია ზედ, ალ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის სხვადასხვა გვერდებზე ლექსების მიხედვით.

1. ვერ გამოთქვეყნებელია, დაცულია ჩვენთან. ს. ც.

ქვემომოყვანილი ლექსი „მეგრულ ფერხულზე“ გრიგოლ დადიანის ცნობით ალ. ჭავჭავაძეს ზუგდიდში ზეპირად წაუტეხავს, რომელიც ჩაუწერია გრ. დადიანს თავის რვეულში. ეს ტექსტი ამჟამად ჩვენთან ინახება.

ცნობებს ვაქვეყნებთ უცვლელად, იმ თანამიმდევრობით და ავტორების ქვეშ, როგორც აღნიშნულ წიგნაკებშია მოცემული.

### ქეთევან ორბელიანი:

— დიდი გარუსებული სახლი. ყოველი რუსი ვინც გადმოვიდოდა იმას სახლებში იყო. გარსევანი ელჩად იყო რუსეთში. ალექსანდრე დაიბადა პეტერ-ბურგს და მონათლა მეფემ, ალექსანდრე პირველმა.

— [ალექსანდრე ჭავჭავაძე] ბუნტობაში ერია. მაშინ დაწერა ლექსი:

„მე იგივე ვარ მარად და მარად“.

— გარსევანს რუსები დაპირდნენ ბორჩალოს და ველის-ციხეს, შემდეგ აღარ მისცეს. ჩემს ყმაწვილობაში უბოძეს ბორჩალოსთვის 800 თუმანი და ველისციხისთვის ერთი ზვარი.

— ალექსანდრე პარიჟში იყო—დაჭრილი.

— ალექსანდრეს დედა დიდი ჭკვიანი დედაკაცი იყო—ავალიშვილის ქალი მარიამ, დიდად გაზრდილი.

— ალექსანდრეს ცოლი—ივანე სარდლის, ორბელიანის ქალი სალომე. სალომეს დედა ჩოლოყაშვილის ქალი, ანასტასია.

— მუდმივად წინანდალში ცხოვრობდა, იქ ჰქონდა სახლები.

— ვალიც იმან შემოიღო პირველად და ანდრონიკაშვილმა თომამ. დიდ აუგად იყო მიჩნეული ყოველ ოჯახში. ამბობდნენ დიდი სირცხვილია თავადი-შვილს ვალი ემართოსო. ცხოვრებამ უყო.

— ფლავი და ბოზბაში ნამდვილია კნენა, სუბი და პიროშკები ნისია, — მითხრა ერთხელ მან.

— ალექსანდრემ თავის ქალი, ნინო მიაბარა ახვერდოვის ქალს. ახვერდოვი ყიზლარელი იყო, გუბერნატორის ცოლი, კარგად გაზრდილი, მოსკოველი ქალი. ეს პირველი ქალი იყო ქალაქში რუსულად გაზრდილი.

— ნინო ივანე ერისთავის დანიშნული იყო აკვანში, მაგრამ არ მისცა ალექსანდრემ.

— 1812 წ. დიმიტრი კნიაზმა დაახლო ბუნტი. ამ დროს მაიორი პონო-მარევი გაიგზავნა თავადების დასაქერად. მუჟუხანს, დიმიტრის და გულბათის<sup>1</sup>

<sup>1</sup> ჭავჭავაძე, — ს. ც.



და თამარ მოეწონა და თქვა: მომეცით და ძმებს გავათავისუფლებო. ქალმაც სთქვა,—თუ არ მიმეცით გავიქცევიო.

— დედა-ჩემის ძიძის ქალმა მართამა სთქვა: თუ არ გაქცეულს, თუ არ გარყვნილს, რუსს ვინ მისცემდა ქალსო.

— ვარანცოვი არ სწყალობდა ალექსანდრეს, არც ერმოლოვი.

— ვარანცოვი, რომ მობრძანდა ყველანი წარსდექით, ეკატერინე და დედამისიც წარსდგნენ. ალექსანდრეს არ სცალოდა. მერე უთხრა ცოლშვილმა, წადი და ნახეო. წავიდა და გზაზე ეტლიდან გადმოვიარდა.

— ერმოლოვი იმდენხანს აქ იყო და იმათ სახლში არ მისულა. წასვლის დროს მივიდა იმის დედასთან, იმან არ მიიღო: ამდენხანს აქ იყავი და არა მნახე, ეხლა რათ გაისარჯეო.

— უწინ რედიკულები არ იყო. მაკა ჭავჭავაძისა (მარიამის რძალი) ხელსაქმის კარგი გამკეთებელი იყო. მარიამმა მოაქსოვინა იმას სალომესთვის რედიკული მარგალიტით. მერე ქალებმა დაუწუნეს და დაარღვევინეს. ალექსანდრემ ამაზე ლექსი დაწერა.

— თინია იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის მამიდაშვილი, გიორგი ორბელიანის ცოლი, ესეც გარუსებული, 95 წლისა მოკვდა.

— ალექსანდრე ადრე მოკვდა, ექვს თვეს უკან ხოლერით მისი ცოლიც—, ის [ცოლი] შუამთას ველარ წაიღეს, რადგან ხოლერა იყო და ამიტომ მთაწმინდას დაასაფლავეს.

— ბარონ ნიკოლაი ვარანცოვს მოჰყვა. ტასო გაგარინისა უნდოდა იმისთვის. ვეჩერი გაუმართეს. ვეჩერის წინ სოფიოს გამოუტხადა სიყვარული და მერე მოვიდა ვეჩერში.

— [ალექსანდრე ჭავჭავაძე], შუათანა ტანისა, კარგი თვალადი, კარგი ზრდილი. თავმდაბალი, როგორც ეკადრებოდა დიდი კაცის შვილს. კარგი მოლაპარაკე, ბატონიშვილის თამარის შერთვა ნდომოდა (იულონის ქალის). იყო შესანიშნავი მოლხინე და მოარშიყე, ოლონდ კი ქალი ენახა. მისს ლექსებს მღეროდა თათარი.

როდესაც ბაგრატი წაუყვანიათ პეტერბურგს, იმას ხედება ზაზა ანდრონიკოვი. ეს ყოფილა დანიშნული მარიამ ბატონიშვილის ქალზე ანასტასიაზე. ზაზა პეტერბურგს რომ მისულა დონსთიეის ეპისკოპოსთან (მაშინ უბრალო ბერი იყო) საბანაოდ წასულან და ზაზა დამხრჩვალა. ეს ყმაწვილი „ერთად ქამაში“ ნაწყოფი ყოფილა ანასტასიასთან და რომ გაუმელავნეს მოწყენილი იყო. ამ დროს მოიყვანეს ალავერდა საზანდარი. ამ სიმღერაში ეს საზანდარი შეუყვარდა. იმან მოიტაცა და წაიყვანა თავის სახლში აბანოსთან. კათალიკოსმა წამოაყვანინა ქალი და დაუწყეს დევნა. ის [თათარი] მაშინ შევიდა გოგილოს აბანოსთან გამოქვაბულში. მთელი ქალაქი მიდიოდა მისი აზანის (ლოცვა) საყურებლად. ანასტასია რომ

მოკვდა, იმან სალამური გასტეხა და თარი აიღო. აი ეს მოდიოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში. მერე აღარც ცოლი შეურთავს.

— ერმოლოვის დროს დროშკა: ერთი თეკლე ბატონიშვილს ყავდა, მეორე გრიგოლ სარაჯიშვილს (აჭაური ვაჭარი იყო), გიორგი კნიახსა და გიორგი



პ. ჩელიშხევი. მფგრელი მხედარი 1836 წ.



სენატორი, თავადი გ. ერისთავი.

თუმანიშვილს. სულ ოთხი იყო მთელ ქალაქში. დადიოდნენ ქალაქში ცხენით. საცხენოსნო ტანისამოსი სხვა იყო. ალექსანდრეს საუკეთესო ცხენები ჰყავდა. ეკიპაჟები როზენის დროს გავრცელდა.

— ივანეს ქალი არ მისცა, თუმცა ეკატერინესაც უყვარდა.

— ალექსანდრე წერა-კითხვის და საქმის დროს სათვალეს იკეთებდა. ერთ ხელ კადრაკს ეთამაშებოდა გრიგოლ წერეთელს:

— ვეე, სათვალეს ხმარობ, სიბერის ნიშანია, — „რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“! ალექსანდრე ქვეყაეადე უკეთესი მოზაირე იყო, გრიგოლ წერეთელი უკეთესი მწერალი. გრიგოლ მომხვეკეი, ალექსანდრე უხვი; სტუმრად გრიგოლ სჯობდა, მასპინძლად ალექსანდრე; გრიგოლს იარალი უყვარდა, ალექსანდრე უკეთესი ვაჟაკი იყო.

### კონსტანტინე დადიანი:

შემოდგომის მზე რომ მთაწმინდის უკან დაიმალებოდა, მეოთხე-მეხუთე საათზე ბანზე იყო ყრილობა, საცა მიირთმევდნენ დუთმას და ალექსანდრეს ღვინოს. ერთხელ სტოლიპინმა უთხრა: ამ ღვინოს რიუმეკებით უნდა სვამდნენ. ალექსანდრემ ჩვეულბრივად მარჯვენა ხელი მოუსვა თავის მარჯვენა მხარეს ყურის უკან და უთხრა: а кто вам мешает, если угодно пить из стакана пива!

— ალექსანდრეს ქალი, ნინო გრიბოედოვისა რომ დაიბადა, მამამ ერთ ქვევრში ღვინო ჩაასხმეიინა მის საჭორწილად. 17 წლის შემდეგ, ნინოს ქორწინებისას, მოხადა და ჩინებული ღვინო გამოდგა.

— ნიკოლოზ ჩარკვიანმა ჩემი ძმის (გრ. დადიანის—ს. ც.) ლექსი უთხრა ალექსანდრე ქვეყაეადეს რუსულად:

Каждый любит существовать  
Где родился тот селения,  
Не может без его  
Если есть как я чувствительния.

Золото не имею, не надо  
Слаби сердца высохнелия,  
Вино довольно для питания  
Холст тела согретения<sup>1</sup>

ალექსანდრე ქვეყაეადემ პასუხად უთხრა:

Великий поэт Чарквиания  
Кажду душу согревания.

<sup>1</sup> ქართულად ასეა გრიგოლ დადიანის ეს ლექსი:  
უყვარს ყოველსა ცხოველსა  
სამშობლო, მისი სოფელი,  
ვერ გასძლეზს გული უმისოდ  
თუ არის ჩემებრ მგრძობელი.

ოჭრო არა მაქვს, არც მინდა  
სუსტ გულთა განმამზობელი.  
ლომი შევოფა დიდებად,  
ტილო—ტანთ განმათობელი.

(იხ. „ლექსთა კრება“ კოლხიდელისა, გამოც. 1901 წ. ქუთაისი. ლექსი „სამშობლო“).

— პეტერბურგში, ყაზანის სობოროში ალექსანდრემ გრიგოლ დადიანი ნახა. — ამაზე დიდი ეკლესია გინახავს? — ჰკითხა გრიგოლს.

— არა.

— სცდები. მცხეთა უფრო დიდია. აქაური მარტო სვეტებია დიდი.

პეტერბურგიდამ რომ წამოვიდა, გრიგოლმა (დადიანმა) გააცოლა.

— მიამა, რომ გამაცილე. შემგებებოდი მეწყინებოდაო, — უთხრა ალექსანდრე ქავჭავაძემ.

— ალექსანდრეს სასახლეში სულ მუდამ იყვნენ: გრიგოლ ქავჭავაძე „პაკუა“ (ცხვირი ჰქონდა ასეთი) ილიას მამა, მასხარა და სხვ. სალომესთან მოვიდა ორი ნათესავი ჯორჯაძე, ლარიბი და ჩაუცმელი თავადები. წვიმა იყო. ნაბღიანები და ფეხებ დატალახიანებული რომ ავიდნენ კიბეზე, გრიგოლმა უთხრა: პარკეტნი იატაკს შეხედეთ! — ამათ გახადა წალები და გაკონილის წინდებით შეიყვანა მაგრამ უთხრა: დაროკეას შუაზე არ დააბიჯოთო და ინდაურებივით კიდე-კიდე აქეთ-იქეთ წაიყვანა. რა შეხედა, შექნა ხარხარი ალექსანდრემ.

— მობრძანდით, მობრძანდით. სულ შენი ოინები იქნება ეს, გრიგოლ!

#### გრიგოლ დადიანი:

— იმერლების დედოფალი მარიამი, მშვენიერი და ზრდილობიანი ქალი იყო. ალექსანდრე ვიზიტით მოდიოდა მასთან. ეარსიყებოდა კიდევც.

ულვაშს იღებავდა. დავითზე დაბალი იყო ტანით, или одного роста. თინია ჩოლოყაშვილისას (ორბელიანის ქვრივი); მარხვის დროს, დააწვა სკამზე უკანიდამ და სთქვა:

მმარხველნო, მანამ ცხონდებით  
 ნეტავ ქარებით რად კვდებით!  
 ლობიო ღვინით დაახრჩეთ,  
 თორემ აქავე წაწყმდებით!

— ალექსანდრე მშვენიერად უკრავდა ჩონგურზე; თითონ ჩონგურს უკრავდა და ქალებს გარსშემოიხსამდა: ელენე ერისთავს, მარიამს (ლიზას დედას), სალომეს (მის ცოლს), ეკატერინეს (მის ქალს) და თავის ლექსებს ამღერებდა.

— ზუგდიდში მოვიდა დავითის დროს, აღდგომას (1841 წ.). მოეწონა მერგული ცეკვა, ფერხული და შემდეგი ლექსი დასწერა:

ამა ველს —	ურთი-ერთ,
ნოხს მწვანეს	მპრობნი ხელთ
შენია რაბამად,	წამოსვლად ჯაჭვად,
ტურფათა	ხან წყნარად,
ქალ ყრმათა	ხან ჩქარად,
როკვა ვრთბამად.	ცეკვობენ რგვლივად.
ამოს თქმით,	იგბად,
ტკბილის ჰხმით	ხამბახად
ვითა მღერიან,	და სოსან-ვარდად,
ალვანი,	ესკვრიტოთ, ვით
მოძრავნი	ღვივიან
ვით ირხვეიან.	ფერად-ფერადად.

იხარეთ,	შესწიროთ მადლობა
იხარეთ	მადლსა უფლისას
ჰე, ბედნიერნო,	და ყოვლსა
მიწისა ძლიერის	მიზეზსა
შვილნო ძლიერნო!	ამ განცხრომისასა !.

— ალექსანდრე რომ მოვიდა ზუგდიდს (1841 წ.) ნადირობა გაუმართეთ. მწვერებიც მასვე მისცეს და შელებიც მიურეკეს. რამდენიმე დიპიოა. კარგი ცხენოსანი კაცი იყო. პეპუა<sup>2</sup> თან გვახლდა.

— ქალაქში ხუთი წელი ვიყავი. ვიდექი იმათთან და ერთხელ წარბშეკმუხვნილი არ მინახავს არც ის, არც მისი ცოლი და არც არაიენ მის სახლში. ყოველდღე დიდი სტუმრობა ჰქონდათ. ვინც კი მოვიდოდა პეტერბურგიდან გვარდიიდან და სხვა დიდაცობა ექსპედიციაში აქ მოდიოდა და აქედამ... სალტიკოვები, ნარიშკინები, ბარანოვები, ბეკენდორფები... ფლიგელადიუტანტი, ლიბგუსარი, პრეობრაჟენეცო და ა. შ.

— ალექსანდრე თამაშობდა ავგუსტოს.

— საქართველოს მგონის, ალექსანდრე ქავჭავაძის ოჯახთან ეძიებდა კავშირს მაშინ მთელი იმ დროის თბილისის მაღალი საზოგადოება და რუსეთთან შამილთან საბრძოლველად ჩამომავალი სამხედრო არისტოკრატია.

— ალექსანდრემ, 15 წლისამ იწყო ლექსების წერაო (ეკატერინეს ცნობა).

— ჩონგურზე საუკეთესოდ უკრავდა.

— 1852 წლამდის, ე. ი. სანამ არ გაჩაღდებოდა ბექდვა ჩვენში, ალექსანდრეს ნაწერები ვრცელდებოდა ხელნაწერად. შემდეგში ბექდვადა ჟურნ. «ცისკარში» გიორგი ერისთავი.

— ალექსანდრეს ნათქვამი:

— მე ჩიბუხისა წევითა ვერ გადავივლი მთასაო,  
ასე რომ ბოლი მიყვარდეს, ბუნარში შეეყოფ თავსაო!

რას კითხულობ,  
შენ, ეს ლეინო დალიე,  
სხვასაც სწყურის,  
ნულარ დაახვალე.

ზ მ ა ე კ ა ტ ე რ ი ნ ე ზ ე :

ალექსანდრე ქავჭავაძის ზუგდიდში ყოფნის დროს ზმბში დახელოვნებულ კარის მღვდელ იოსელიანს შეუკვეთეს, აბა ერთი, ეკატერინეზე სთქვი ზნაო. იოსელიანმა ჯერ ითხოვა, რომ რუსული სიტყვის გამოკრევის ნება მისცემოდა და შემდეგ სთქვა:

<sup>1</sup> ჩაწერილია ზუგდიდში 1841 წ. გრ. დადიანის მიერ და ინახება ჩემთან. ს. ც.

<sup>2</sup> პეპუა მეუნარგია— იონას პაპა, ოქრომჭედელი სამეგრელოს მთავრის კარზე. ს. ც.

— გამიგონე კატერი ნავს ჰქვიან, მგონი რუსულად.

— ცამ დამირეკა ტირი ნარნარად,—განა ქართულად არ ითქმოდაო,—  
 უპასუხა სიტყვა-მოსწრებით ალექსანდრე ჰავჭავაძემ.

აღ. ჰავჭავაძის ზოგიერთ ლექსზე მინაწერი ი. მეუნარგიას მიერ:

— მართას ავადმყოფობა და ექიმის ნახვა“ (გვ. 77)<sup>1</sup>

„ქნ. ავალოვისა, ბაბუშოვის ცოლი, ნინოს ძიძა. ქერივი იყო და ჩვენთან  
 ცხოვრობდა. კარგი ხელსაქმი იცოდა (დედოფლისაგან<sup>2</sup>).

— „აჰა ასე ვარდ-ზამბახნი“.. (გვ. 85). დაწერილია თავის ქალ ნინოზე  
 (კოლა ერისთავის ცნობით).

— „მე შენ არ გეტყვი“ (გვ. 95). „ყაფლან ორბელიანი მღეროდა“ (დედო-  
 ფალი).

„სეკმ მიწვიმა მანანა“ (გვ. 99)—ბიცოლა—მანანახეა,—დავით ორბელიანის  
 ცოლი (დედოფლის ცნობა).

— „თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ“ (გვ. 99): სიტყვა „ერთგზის“ გადა-  
 სწორებულია „ერთხელად“. სტრიქონი: „ჭირი ვერად შემიპყვრიდა“—„ფიქრსა  
 ვერვინ შემირყვედა“. ეს—დედოფლის ხელით არის გასწორებული.

— ანჩარ“ (პუშკინით) გვ. 103 „имел обыкнов. писать...  
 (გაურკვეველია) ходить и так писать.

— „გოგჩა ტბა ვრცელი“.. (გვ. 105): „последнее сочинение... (გაურკვე-  
 написано 1846 г.“ (?)

— „საჰარის ხმაზედ“ (გვ. 115): „Перевод Одоевского, ეს მაზურკად გა-  
 დაღებული იყო და მაზურკის ხმით მღეროდნენ“. იქვე სტრიქონები:

„დამსაკუთრე ბუღბუღსა,  
 მაშინ ნახვე ჩემს უსულსა“,

გადასწორებულია ამგვარად:

„დაუსაკუთრე ვე ბუღბუღს  
 და მაშინ ნახვე ჩემს უსულს“.

ამავე ლექსის ბოლოში: „ზეპირად წაიკითხა“ (ცხადია, სამეგრელოს დედო-  
 ფალმა, რომელსაც მამის ლექსების უმეტესობა ზეპირად სცოდნია, როგორც  
 თვით მეუნარგია გადმოგვცემს.—ს. ც.).

\*\*\*

დასასრულ, ალექსანდრე ჰავჭავაძის საბიოგრაფიო მასალების უბის წიგნში  
 ჩაბატულია, უკეთ რომ ვთქვათ მოხაზულია ქალის სახე ქართულ სამოსელში,  
 გულზე ჯვრით, მიძევებით და თავზე გვირგვინათ, რომელსაც მეუნარგიას ხელით  
 უწერია: „მარიამ—გარსევეან ჰავჭავაძისა“ ე. ი., უნდა იყოს ალექსანდრეს დედა,  
 მარიამ ავალიშვილის ასული.

<sup>1</sup> იხ. აღ. ჰავჭავაძის ლექსების წიგნი—1881 წ.

<sup>2</sup> კატერინეს ცნობა.

ბიოგრაფიული ლექსები

# ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო

შენიშვნები

წინასიტყვაობა

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლის შესრულ-  
ბასთან დაკავშირებით 1945 წლისათვის, ჩვენ ვამზადებთ ვრცელ მონო-  
გრაფიულ ნაშრომს „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. მასალის და-  
გროვებისა და დამუშავების პრეტენსიი ზოგიერთ ფრაგმენტებს წინასწარა  
შენიშვნების სახით ცალკეულად ვაქვეყნებთ. ვრცელის მთრიგ №-ში და-  
იბეჭდება შეშვები შენიშვნებიც.

ავტორი

**1. პოეტის შორეული წინაპრები და რვაჯგუფი ბარათაშვილი**

1820 წელს, ოქტომბრის 16-ს, პოეტის მამას, მელიტონ ბარათაშვილს, მთავრობის ბრძანების თანახმად, საქართველოს სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოში თავის თავადობის დასამტკიცებლად და გვართა წიგნში ჩასაწერად წარუდგენია თავისი გვარეულობითი შტო, თვისი ნამსახურობისა და ჯილდოების საბუთები და წინაპრებისადმი თეიმურაზ პირველის (17 ს.) მიერ ნაწყალობევი სიგელი (იხ. საქ. ცენტრარქივის ფონდი № 117, საქ. სათავადაზნ. დეპუტატთა საკრებულოს საქმე № 2029, ფურცელი 1).

გვარეულობით შტოს მიხედვით პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის წინაპრები ყოფილან:

მელქისედეკ ბარათაშვილი — [XVI საუკუნე]

↓  
რევაზ [XVII საუკ.]

↓  
შერმაზან [XVII საუკ.]

↓  
ლუარსაბ [XVII—XVIII საუკ.]

↓  
ნიკოლოზ [ნინია] [XVIII საუკ.]

↓  
მელიტონ

↓  
ნიკოლოზ [პოეტი]

გვარეულობითი შტოს მიხედვით, პოეტის პაპა ნიკოლოზი ყოფილა, ჩვენის აზრით იგივე ნინია ბარათაშვილი, ერეკლე მე-II-ის სიმე, რომელიც, 1810 წელს თან გაპყლია პეტერბურგში გადასახლებულ ბატონიშვილ თეიმურაზს, როგორც ნათესავი და მის ამაღლაში ჩარიცხულა (იხ. АКТЫ, ტ. II, გვ. 77). ლუკა ისარლოვის შეუწახავს გადმოცემა, თუ როგორ დაუსჯია იგი ფიზიკურად მეფე გიორგი მე-XIII-ის, მისი მეფობის საწინააღმდეგო ლაპარაკისათვის (იხ. ლუკა ისარლოვის ლექსები, გვ. 140-142).

მაშასადამე, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაგრატიონთა სახლის პირდაპირი ნათესავი უნდა ყოფილიყო.

რამდენიმე სიტყვა პოეტის ერთ-ერთ შორეულ წინაპრის შესახებ:

ჩვენს დოკუმენტში მოხსენებული რევაზ ბარათაშვილი ცნობილი ისტორიული პირია. 1633 წელს, სპარსეთის მიერ განდევნილ თეიმურაზ პირველის ნაცვლად ყაენმა ქართლში გამოგზავნა გამაჰმადიანებული როსტომ, რომელიც შემდეგში 1658 წლამდე მეფობდა ქართლის ტახტზე. მოწინავე ქართველი ფეოდალები სასტიკი წინააღმდეგობით შეჰხდნენ სპარსოვილ როსტომის დანიშვნას და მთელი მისი მეფობის პერიოდში ცხადად, თუ ფარულად ებრძოდნენ და არა ერთი შეთქმულება მოუწყვეს. ერთი ასეთი შეთქმულება



მოხდა 1646 წელს. შეთქმულებმა გადასწყვიტეს, ცხირეთს მცირე ამალით მყოფი როსტომი გამოეტყულებინათ ბრძოლის ველზე და ომში მოეკლათ, „რომ სამარტოთ არავის დაებრალსო“ (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 42). სომხითის მელიქის ლალატის გამო შეთქმულებამ „ცუდათ ჩაიარა“; როსტომმა შეთქმულები დაიჭირა, ზოგს თვალები დასთხარა, ზოგი დააღრჩო (ქათალიკოსი), ხოლო ერთი აქტიური შეთქმულთაგანი რევაზ ბარათაშვილი კახეთს გარდაიხვეწა თეიმურაზ პირველთან.

კახეთში გადავარდნილი რევაზ ისევ მხნედ იბრძოდა გარეშე დამპყრობელების წინააღმდეგ და ახალ შეთქმულებას უწყობდა სხვებთან ერთად მაჰმადიან როსტომს, მვგრამ თეიმურაზის საიდუმლო დავალებით, იმერეთისკენ ფარულად მიმავალი რევაზი საკუთარმა სიძემ, როსტომის მომხრე როინ ჯავახიშვილმა ქართლში ვერაგულად შეიპყრო და როსტომს წარუდგინა. რევაზს აღმოაჩნდა როსტომის საწინააღმდეგო თეიმურაზის საიდუმლო წერილები იმერეთის შეფესთან და გამძვივებულმა როსტომმა რევაზ ბარათაშვილს თვალები დასთხარა. „რა როინის ჯალაბმან (ე. ი. რევაზის დამ) ძმა ნახა თვალებდათხრილი, ქმარი გაუშვა, ჩოხანი ჩაიცივა და რა ცოცხალი იყვნენ, ქმარი თვალთ აღარ იხილა ძმის დაჭირვის ჯავრითა“, გადმოგვცემს ფარსადან გორგიჯანიძე (ისტორია, 46).

ასეთი კეთილშობილი პატრიოტი ყოფილა „ბედი ქართლის“ ავტორის შორეული წინაპარი.

სწორედ ამ რევაზთან დაკავშირებულია თეიმურაზ I-ის მიერ გაცემული წყალობის სიგელი. 1647 წელს, <sup>1</sup> ალბათ ზემოდმოსხენებულ რევაზის ერთგულების გამო თეიმურაზს უწყალობებია მისთვის დარბაზი შულავერში, შუა ბოლნისის მოურაობა, და ნაძალადევად სხვისგან წართმეული მკვიდრი მამულები: რაზანთ ქალაქი (?) (რუსულ თარგმანში: „Резант караки“), მუსრეთიანი, ქობევანი, ძველი დმანისი, თეკეთამი (Текепами), მიჯა და ყველა ის მამულები, რასაც რევაზის მამა და ბიძა ჰფლობდნენ თავისი გასავალ-გამოსავალით მთაში თუ ბარში. ეს მამულები სამხრეთ საქართველოსი-ძველ საბარათიანოს ფარგლებში შედიოდა.

**2. ბარათაშვილი და ალ. პუშკინი**

ბ. ბარათაშვილი ერთ თავისს წერილში (გრივოლ ორბელიანისადმი, 21 აგვისტო, 1843 წ. თბილისი) ეგნატე იოსელიანზე სწერს:

„Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан“ (\*ფედერაციის“ გამოცემა, გვ. 86). ეს გამოთქმა სიტყვა-სიტყვით ნასესხებია ალექსანდრე პუშკინიდან. პუშკინის „Борис Годунов“-ში მემატთანე პიენი ამბობს:

„Минувшее проходит предо мною  
Волнуясь, как море-океан“.

ბ. ბარათაშვილის და პუშკინის სიტყვების იგივეობა ცხადია.

<sup>1</sup> თარგმანში სიგელი შეცდომით დათარიღებულია 1743 წლით. გვარუფლობითი შტო და სიგელი გამოვლინებულია სპ. ცენტრარქივში, ჩვენი დავალებით მუხეუმის თანამშრომლის ნინო ზოშტარიას მიერ.—რედ.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ პუშკინის ლექსის ერთი ფრაზა „Смирись Кавказ“, გვხვდება ბარათაშვილის ლექსში: „ძრწოდე კავკასო!“ რომელიც პუშკინის ხსენებული ლექსის განწყობილების ერთგვარ ზევაულენით უნდა იყოს დაწერილი.

ეს პატარა, მაგრამ მეტად საყურადღებო წერილმანი გვიმტკიცებს, რომ ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა პუშკინის პოეზიას და მისდამი სიმპატიით იყო გამსჭვალული. ეს ფაქტი საყურადღებოა თვით ადრესატის, იმ დროინდელი გრ. ორბელიანის მიმართაც, რომელსაც ჯერ კიდევ 1835 წელს მანანა ორბელიანი სთხოვდა „Руслан и Людмила“-ს ქართულად გადმოთარგმნას.

### 3. კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე

თვით თანამედროვენი აღმერთებდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილს, „ქართველების მომავალ დიდ პოეტს“, „უბრწყინვალეს და ნიჭიერ პოეტს“ უწოდებდნენ. დიდი თაყვანისცემისა და სიყვარულის ნიშნად ბარათაშვილის ახლო მეგობრები პოეტის გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ დიდი ენტუზიაზმით შეუდგნენ მისი ნაწერების ბეჭდვის სამუშაოს და საკუთარი ჯიბიდან შესაფერისი საგამომცემლო თანხაც გაიღეს. გამოცემასთან დასართავად განზრახული ყოფილა პოეტის ბიოგრაფიაც, რომელიც გრიგოლ ორბელიანს უნდა დაეწერა. მაგრამ გამოცემის საქმეს ბოლო ვერ მიეცა და ბიოგრაფიის შედგენის განზრახვაც ჩაიშალა, მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის ცხოვრების აღწერილობა ბრწყინვალედ შეეძლოთ შეესრულებინათ პოეტის სხვა ამხანაგებსაც: გიორგი ერისთავს, ვახტანგ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს, გრ. რჩეულიშვილს, ლუკა ისარლიშვილს, ლევ. მელიქიშვილს, მიხ. თუმანიშვილს, პლ. იოსელიანს და სხვ. სამწუხარო ინდიფერენტობის გამო მეგობრებმა ვერ შეასრულეს თავისი მოვალეობა დიდებული პოეტის წინაშე, რომლის უდროო საფლავს ასე დასტიროდნენ:

„ახ! უდროვო ესე ძილო, ასე ბედკრულო, შენ უბედურო...“

ობლობისა ცრემლსა იხოცს შენს საფლავზე საქართველო!“

შემდგომი თაობა უკვე სუსტად იცნობდა ნ. ბარათაშვილს და მით უმეტეს მის ცხოვრებას. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ერთი ფაქტი: 1865 წ. დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი, მოწინავე ქართველი ინტელიგენტი—პეტერბურგიდან მამას ეკითხებოდა: „ნეტა ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ, მგონია იცნობდი, სწავლა სად მიიღო? სამსახურში ყოფილა თუ არა, უცლია სადმე, ან რუსეთში, ან იქით სპარსეთში. რა ხასიათისა იყო, საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა?“ (იხ. საქ. ლიტ. მუზეუმის წერილების ფონდი № 883/2). ასეთივე კითხვები უნდა აღძროდა პეტერბურგში მყოფ სტუდენტ. ილია ჭავჭავაძესაც, რომელსაც სამეგრელოს დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ პირველად გადასცა ბარათაშვილის ლექსები, როცა ჭაბუკ ილიას „ცხადლივ თუ სიზმარში ბარათაშვილი ელანდებოდა“. მაგრამ საკვირველია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე და მისი თაობაც გაუგებარი გულგრილობით მოექცა ბარათაშვილის ბიოგრაფიის საქმეს. მათ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო არა ერთი მეგობარი, მახლობელი და ნათესავი



ამნიარად საზოგადოება ახმაურდა და ამ პატარა შენიშვნებმა შეჰქმნა ინტერესი პოეტის ბიოგრაფიის გარშემო. 1884 წელს ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე მუშაობა დაიწყო იონა მეუნარგიამ. იმ დროს მიხედვით საქმად ვრცელი ბიოგრაფიული გამოკვლევა გამოაქვეყნა ვახ. „ივერიაში“ 1893 წ. (იხ. № № 85, 87, 88, 93, 96, 98, 103). მეუნარგიაზე ადრე, სახელდობრ 1885 წელს, ზ. მთაწმინდელმა (ზ. ჭიჭინაძემ) ცალკე წიგნად დაბეჭდა ბიოგრაფიული ნაშრომი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“<sup>1</sup>.

ი. მეუნარგიას და ზ. მთაწმინდელის ნაშრომებს საფუძვლად დაედო ფრაგმენტული ცნობები ბარათაშვილის მეგობრების—გრიგოლ ორბელიანისა, ვახტანგ ორბელიანისა, ლევან მელიქიშვილისა, ლუკა ისარლოვისა, ბარათაშვილის თანამოსამსახურის ვინმე გრიგორიევისა და შპირველესად კი მთლიანი და საინტერესო ბიოგრაფიული მასალა კონსტანტინე მამაცაშვილისა.

კ. მამაცაშვილი ნიკ. ბარათაშვილის სკოლის ამხანაგი იყო. დამახასიათებლად მათი მეგობრობისა, რომელიც იწყება 1828 წლიდან, აღსანიშნავია, რომ პოეტი მას უზიარებდა თავის ლიტერატურულ საქმიანობას. მაგ. კ. მამაცაშვილს პოეტმა წაუკითხა პოემა „ივერიელნი“, რომელიც დღემდე დაკარგულია.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მამაცაშვილს მეგობრობა ჰქონია რუს პოეტ ლერმონტოვთან, იგი გვიამბობს: „მე დაახლოვებით ვიცნობდი ლერმონტოვს. 1840 წელს მთელი წელიწადი ლაშქარში ერთად ვიყავით ჩაჩანში, ხშირად მქონია იმასთან დროს გატარება და ლაპარაკი“ („დროება“ 1881, № 206). საბჭო არ უნდა იყოს, რომ კ. მამაცაშვილის საუბრის საგანი ლერმონტოვთან ზოგჯერ დიდებული ქართველი პოეტის პიროვნებაც უნდა ყოფილიყო. მამაცაშვილის მოგონებები დღემდე ერთდერთი მემუარული ნაწარმოები იყო ნ. ბარათაშვილზე, შემცველი მეტად ძვირფასი ცნობებისა და სანდო ყოველმხრივ. ეს მოგონებები მთავარი წყაროა ბარათაშვილის ბიოგრაფიისთვის, ამიტომ ვბეჭდავთ მას, რათა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს დამოუკიდებლივ მისი გაცნობისა, მით უმეტეს, დღეს იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 22 ნოემბერს, 1816 წელსა, ქ. თფილისში.

მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თ. მელიტონ სცხოვრობდა სიყმაწვილიდან თფილისში. მელიტონი იყო ქართულს ენაზე გაზდილი და განათლებული

<sup>1</sup> ქართველი საზოგადოების ასეთ გულგრილობას და „უბედობას“ ზედ ერთვოდა ის დაბრკოლებაც, რომელსაც რუსის პოლიცია ჰქმნიდა, როდესაც იგი ქართულ მწერლობის მკვლევარებს ყოველ გვარად უხშობდა მისავალ გზას სათანადო არქივებისადმი. მაგ., როცა იონა მეუნარგია ბარათაშვილის ბიოგრაფიის წერის პროცესში, საგანგებოდ ჩაიდა განჯას, ის მიხნით, რათა განჯის საგუბერნიო მმართველობის არქივი გადაეთვალთვინა, შესაფერ ცნობების საპოვნელად და ამოსაკრებად (რადგან ბარათაშვილი განჯაში იყო მახრის უფროსი თანაშემწედ), ადგილობრივმა პოლიციამ იგი არქივში არ დაუშვა განჯეთი „დროება“ მუშაობისათვის აღნიშნავს ამ ფაქტს თავის ქრონიკაში: „ეს არქივი არ უჩვენებია ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც უთქვამს, რომ თუ არ მინისტრის განკარგულებით, უცხო პირს არხივს ვერ გავასინჯებთ“ („დროება“, 1884, № 244).

კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე ქართული ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ ქართველებს, იმათ შორის თითქმის ყოველ დღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი (მამა ჩვენის მწერლის პლატონ იოსელიანისა). ეგნატე იოსელიანმა ჩინებულათ იცოდა ქართული და სომხური ლიტერატურა, იყო ღრმად მოხუცებული, გაზდილი მეფის სასახლეში და მნახველი ჩვენის საქართველოს ცხოვრებისა წარსულს საუკუნეში, მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდისინ.

მელიტონის სახლში ხშირად დადიოდნენ პოეტი (ღენ.-ლიტენიანტი) ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდისშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინოვები (დისწულნი მელიტონისა) და ბევრი მამინდელის დროის განათლებულნი ქართველნი. თ. მელიტონ ბარათაშვილი რამდენჯერმე იყო ამორჩეული მარშლათ თფილისის უფედში.

დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა იყო ასული თ. ზურაბ<sup>1</sup> ორბელიანისა ეფემია, უფროსი და ჩვენის წარჩინებულის პოეტის გრიგორ დიმიტრის ძის ორბელიანისა. ეფემია იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზრდილი. ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყავდა ოთხი და, ამათში სამნი არიან ეხლაც ცოცხალნი<sup>2</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მამას უყვარდა კარგი ცხოვრება, სიუხვე და პურმარილობა; იმისი სადილები გათქმული იყო თფილისში.

ამისთანა სახლში იზრდებოდა პატარა ნიკოლოზი (რომელსაც უწოდებდენ აგრეთვე ტატოს). ყმაწვილი ფხიზელი ცნობის მოყვარე იყო და მიმღები ყოველივე კეთილის შთაბეჭდილებისა.

1827 წელსა, სექტემბერში, ნიკოლოზ ბარათაშვილი მისცა მამამ თფილისის საკეთილშობილო სასწავლებელში (რომელიც მერე, 1830 წელს გიმნაზიით გადააკეთეს). თითონ ნ. ბარათაშვილისაგან გამიგონია, რომ ქართული წერა-კითხვა პატარამ, რვა წლისამ იცოდა.

ჩემი პირველი ვაცნობა ნიკოლოზისა იყო 1828 წელსა, როდესაც შევედი საკეთილშობილო სასწავლებელში, პირდაპირ მესამე კლასში (რადგანაც გორში უფედის სასწავლებელში გავათავე სწავლა) ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგათ სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მზიარულის ხასიათით, სიმარდით. პირველი მოტანცავე იყო საკუთრად ლეკურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი.

მე წავედი რუსეთში 1831 წელს, პეტერბურღში, კურსი შეევასრულე და არტილერიის აფიცრათ მოვედი 1837 წელსა თფილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილი დამხვდა ახალს გიმნაზიაში კურს შესრულებული (1835 წელსა) და მსა-

<sup>1</sup> თ. ზურაბ ორბელიანის ნათლობის სახელი—დიმიტრი.

<sup>2</sup> უფროსი და ნიკ. ბარათაშვილისა, რომელიც იყო მეუღლე რევას ქსნის-ერისთავისა, გარდაიცვალა, მეორე და მეუღლე პოლკოვნიკის დიმიტრი გვირიოვისა, მესამე—მეუღლე ვასილი სუმბათოვისა და მეოთხე ქვრივი და ბარათაშვილისა.

ხურებდა სტოლნიჩაღნიკად პალატაში (Палата уголовного и гражданского суда). ძველი ჩვენი ამხანაგური მეგობრობა განვაახლეთ დიდის სიამოვნებით. ნიკოლოზს სიკვდილამდისინ ჰქონდა შეუცვლელი მეგობრული კავშირი თავის ამხანაგებთან, იმათ შორის ჩემთანაც.

იმ დროს თფილისში არაფერი გასართობელი ადგილი არა გვექნდა: არც კონცერტები, არც კლუბები.

ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად მოვიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლევან ივანეს-ძე მელიქოვთან, ხან სადილათ გარეთუბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზე, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენს ვარემოებაზე... ქართული დარბაისლური მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა. ვისაც სურდა ქალაღდს თამაშობდა, ნარდს, ჭანდრაკს. ქალაღდის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერმე მეგობრული ვახშამი და ვახშამის შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბალშიაც (მაშინ მთელი თუალიისი შემორტყმული იყო ბაღებითა, მთელი სოლოლაკის უბანი ბაღები იყო).

ხშირად გვექნდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე: ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში ვადავწყვიტეთ, რომ რადგან არა გვაქვს ქართული რიგანი ისტორია, ვაგიყოთ V-ის საუკუნიდგან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეიადგინოს ისტორია იმ საუკუნისა; პლატონ იოსელიანს მიანდევს დაწერა ძველის საუკუნოების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ V-ს საუკუნემდისინ. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატრიანები დაუანტული იყო, არც ძველი საეკლესიო გურჯები, არც ბევრი საინტერესო გრამატები თავად-აზნაურების სახლებში, მართო მატრიანეთ იყო „ქართლის ცხოვრება“.

მახსოვს ერთ ივლისს ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენივრათ ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე 18-ის საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულების გამო უღონობაზე, ჩვენის თფილისის წასდენაზე, 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხ....

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს ყოველთვის მოცინარს და მზიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოციტ ცრემლების წმენდა და აღუღებულმა მოთხრა:

— ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა! და ოხვრით დაუმატა:

— ვაი ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავ-ჩაღუნულნი და მოწყენილი...

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო ლექსების წერა. ზოგიერთი ლექსები დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი იმისი დაწერილი ლექსები დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდვა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა.

მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს — „ი ვ ე რ ი ე ლ ნ ი“ ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი აპყავებული ცხოვრება 10, 11 და

12 საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო.

ყმაწვილობაში სწერდა ხშირად სიყვარულზედ, მიჯნურობაზედ და ქალებზედ. ასრე დაუწყვიათ ყოველივე დიდ პოეტებსაც, როცა ყმაწვილნი ყოფილან. 1839 წელს გამოვიდა სულ სხვა მიდრეკილებით პოემა „ბედი ქართლისა“, რომელმაც უკვდავი გახადა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს პოემა, რომელშიაც არიან გამოხატულნი მეფე ერეკლე, იმისი მრჩეველი ბრძენი სოლომონ ლეონიძე, ერი ქართლ-კახეთისა და სხვა, თავის მალღის და ღრმა ჰაზრით, პატრიოტულის გრძნობით და მშვენიერის სტილით შემდეგ „ვეფხისტყაოსნისა“, შეუღარებელია და უპირველესია აქამდისინ ქართულს ლიტერატურაში.

სხვა სულ რომ არაფერი დაეწერა ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმის საიღიდებლად საკმაო იყო ერთი პოემა „ბედი ქართლისა“.

აგრეთვე პატარა პოემა „მირბის, მიმადრენს უჯო უკვლოდ ჩემი მერანი“ და სხვა პატარა ლექსები იმავე ჰაზრისა და მიდრეკილებისა არიან, როგორც „ბედი ქართლისა“.

თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო მ. ლერმონტოვი, თითქმის ერთი ხნისა. იმათ აქვს მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს აწმყო; მაგრამ მაშინ იმისთანა დრო იყო, რომ პატრიოტობა ორგულობათ მიაზნდათ. ჩემის ჰაზრით პოემა „ბედი ქართლისა“ თუ მალა არა დგა ლერმონტოვის ლექსებზე, არას-დროს არ ჩამოუვა<sup>1</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1844 წელს წავიდა თფილისიდან ნახჭევანში თანაშემწედ მასრის უფროსისა (სადაც დროებითად იყო მასრის უფროსად გაგზავნილდ თ. ლევან ივანეს-ძე მელიქოვი). მერე 1845 წელსა გადაიყვანეს ელიზავეტპოლში იმავე თანამდებობაზე; ეს თანამდებობა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება ისე გამოიკვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი.

მაშა ნიკოლოზისა თფილისში ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში, შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცებაში, მამულები ვალში გაეყიდა, ამის გამო ნიკოლოზს, არა თუ შემწეობა ჰქონდა სახლიდგან, თითონ ეწეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდან... დაუტყბრომელ შრომაში და სამსახურში 1845 წელს ზაფხულში გახდა ავად განჯის ცუდს ცივებითა და ავეისტოს 21-ს გარდაიცვალა.

გვამი ნიკოლოზ ბარათაშვილისა არის დამარხული ელიზავეტპოლში, პატარა, რუსის ეკლესიის ვალაევანში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნებით ნიჭიერი, აღიზარდა იმისთანა საზოგადოებაში, რომელსაც დიდი მოქმედება და გავლენა ჰქონდა იმის პოეტურის მიდრეკილებაზედ. მე გგონია, ყველაზედ მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას, ჩვენს პოეტს თ. გრიგორ დიმიტრის ძე ორბელიანს.

<sup>1</sup> მე დაახლოებით ვიცნობდი ლერმონტოს 1840 წ., მთელი წელიწადი ლაშქარში ერთად ვიყავით, ჩაჩანში ხშირად მუშაობდა იმისთან დროს გატარება და ლაპარაკი. 1841 წელს პიატიგორსკში დღეღნი მოკლა ლერმონტოვი თავის ამხანაგმა მარტინოვმა.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი სასწავლებელში იყო, ჩემს დროს იცემდა ქართულად, როგორც სხვანი იმის ამხანაგები; მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუხმენტით მორთულ ჩოხაში, დიბის ახალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდი. ქართულად რომ იტყვიან, კობტურად ჩაცმული, შემდეგ სამსახურში რუსულად იცემადა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ჩინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოთ მიმზიდველი (ქართულათ რომ იტყვიან მარილიანი). თფილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლობა სცხოვრობდა ანჩხატის ქუჩაზედ, ქეთიკირის სახლებში, პირდაპირ ეხლანდელი ანჩხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიევის სახლისა.

კონსტანტინე მამაცაშვილი

29 სექტემბერს, 1881 წ.  
ქ. თფილისი.

4. დიმიტრი ყიფიანის მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე

როგორც ზემოდ ვთქვით, კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებანი ბარათაშვილზე, დღემდის ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა პოეტის ბიოგრაფიისათვის. ჩვენდა სასიხარულოდ, დღეს აღმოჩნდა მეორე ასეთივე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი—პირადი მოგონებანი ნ. ბარათაშვილზე, მისი ახლობელი მეგობრის დიმიტრი ყიფიანისა.

ზემოდ ჩვენ მოგვყავდა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებით დაინტერესებულ ნიკოლოზ ყიფიანის<sup>1</sup> შეკითხვა თავისს მამისადმი პოეტის შესახებ.

<sup>1</sup> ნიკოლოზ ყიფიანი (1846—1905)—დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟი, სწავლობდა პეტერბურგში. იყო ცნობილი ვეჟილი, ჟურნალისტი, ხალხური წიგნების გამომცემელი 1870-იან წლებში. მან პირველმა გამოსცა „არსენას ლექსი“. 1872 წ. „კრებულში“ № 7, გამოცემა 1—6, დაბეჭდა წერილი: „ქართული პოეზიის ნიმუში და იმათი განხილვა ნიმუში პირველი: „ინანიარი“ ილია ჭავჭავაძისა. ნ. ყიფიანი კრიტიკულ, პუბლიცისტურ წერილების („დრკაება“, „ივერია“) გარდა სწერდა აგრეთვე ლექსებს და მოთხრობებს, რომელთაგან ზოგი ნაწიგდაუბეჭდებელი (1861 წ. „სიკარზი“ № 11, გვ. 340—341 ანტონ ფურცელაძე მას ლექსად უძღვნის).

1895 წელს, ერთი რომანტიკული ისტორიის გამო, იგი საქართველოდან სამუდამოდ გ. გი დაიხვეწა და რუსულ გვარს ივან მარტიანოვს ამოფარებული ძლიერ შევიწროებული ნ. თიერად, ცხოვრობდა ბელგიაში. 1900 წლიდან მას, ქ. ბრიუსელში რუსულ სიტყვიერების კათედრა ეკავა. იცოდა ფრანგული, ინგლისური, იტალიური ენები (იხ. ლიტერატურის მატრიანე № 1—2, გვ. 129—130, ევ. ვაბაშვილის მოგონებანი). ერთ-ერთ თავისს წერილში ნიკ. ყიფიანი ბრიუსელიდან სწერდა ანტონ ფურცელაძეს:

„მინდა გამოგიგზავნო ერთი ორიოდე სამიოდე ჩემი ნაწერი. ამასთანავე ნიმუშად გიგზავნი ერთს იმ ნაწერთაგანს. მინდა გთხოვო დააბეჭდვიინო როდესაც სუყველა, რაც მაქვს დასაბეჭდი მოგივა. თავდაპირველად მინდა გთხოვო დააბეჭდვიინო ერთი ლექსი, რომელსაც შენ გიძღვნი და რომლის სათაური არის: „ვისაც ვახსოვარ“, სულით და გულით ქართველი ვარ, დაგერი ქართველი... თუმცე ვადმოთხროცნა ბედმა მალამაც—საქართველოდამ ცხრა მთას აქეთა... რა დამავიწყებს ჩვენს საქართველოს, ჩვენს რუსთაველსა ან ბარათაშვილს... როგორ მიმეცა დავიწყებასა ჩემი მშობელი, დაუვიწყარი და თავდადებული დიმიტრი ყიფიანი...

გაგზავნი ექვს ჩემს ლექს-ნაწერსა. ერთი ამათგანი „კაენი“ ვერ დაიბეჭდება, მგონია. შენი აზრი მომწერე, თუ როგორ გჩვენება ეს ექვსი ლექს-ნაწერი.



როდესაც ჩვენ ნიკ. ყიფიანის ეს შეკითხვა გამოვაჭეყნეთ (იხ. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., წიგნი I, ჩემი წერილი „ნ. ბარათაშვილის პოეტური სახელის ისტორიისათვის“, გვ. 628). იქვე ესწერდით შენიშვნაში: „როგორც ერთი წერილიდან ირკვევა, დიმიტრი ყიფიანს ნაწილობრივ დაუკმაყოფილებია თავისი უფროსი ვაჟის ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ამ დოკუმენტს ჩვენამდე ვერ მოუღწევია“.

ჩვენდა სასიხარულოდ, რამდენიმე წლის ძიების შემდეგ, ეს საპასუხო წერილი აღმოჩნდა: 1940 წელს, მარტში, აღნიშნული წერილი გიორგი მოხდოკელის საშუალებით საქ. სახ. ლიტერატურულ მუზეუმს გადმოსცა ანა კონსტანტინეს ასულმა ისარლი შვილმა<sup>1</sup>. წერილი მოთავსებულია საფოსტო ქალაქდზე, შეიცავს 8 გვერდს და დათარიღებულია 1865 წლის 5 აპრილით (ზედ ნიკოლოზ ყიფიანის მინაწერი აქვს ქართულად: „მივიღე 18 აპრილს“).

წერილი დაწერილია რუსულად (საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის ფონდი №  $\frac{5207}{2}$ )

მოგვყავს აღნიშნული დოკუმენტი მთლიანად. დოკუმენტი იბეჭდება პირველად:

5 Апреля 1865, Тифлис.

Христос воскрес!

Сыночек мой милый К о к у н и,

На-днях я получил два письма от тебя,—от 17 и 21 марта.—Радуюсь, что ты здоров и что имеешь надежды и в университет поступить, и гимнастикой заняться, и танцам учиться. Во всем этом я совершенно полагаюсь на твою уверенность,—и баста! Перестанем говорить об этих вещах. Перейду к твоим вопросам о Николае Баратове: знал-ли я его и пр. и пр.?—Знал я его очень близко,—и расскажу тебе все, что мне об нем известно.

Во-первых—при жизни его называли не иначе, как т а т о Бараташвили—был он родной племянник Гр[игория] Дм[итриевича] Орбельяни.—Отец его—Мелитон. Баратов не имел никакого имени, никакой собственности и содержал довольно большое семейство только содержанием, которое получал по званию переводчика при бывших главных начальниках края, около 900 р. Тато был единственный его сын, маленький, приземистый,

<sup>1</sup> „ვისაც ვახსოვარ“ ამ დღებში გამოვიგზავნი. ქართულად ნაწერი—საქართველოს წარსულის შესახებ, ისტორიული მოთხრობანი და სხვა, მაქვს რამდენიმე თითქმის გათავებული, რომ ვიცოდე, რომ უპატრონებ, გამოვიგზავნი“.

<sup>2</sup> ცნობილი „მესამოციანელის“, ილია ჭავჭავაძის ამხანაგის უნივერსიტეტიდან ი ა კ ბ პეტრეს-ძე ისარლი შვილის მეუღლე, როდზვიის ასული, რომელსაც დოკუმენტის გადმოცემისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

курносенький, но чрезвычайно живой, веселый, находчивый; вместе с тем чрезвычайно бескорыстный, несмотря на нужду во всем и всегда готовый помочь, чем бы ни было, нуждающемуся. Воспитание получил он неблестящее: в бывшем благородном училище он отставал от меня кажется двумя классами, по возрасту; потом перешел в гимназию и вышел, кажется, из 5 класса; вышел за тем, чтобы поступить на службу и чтоб жалованьем своим облегчить сколько нибудь отцу содержание семейства. Начальствующие знали его, как замечательного плясуна в лезгинке, которой он умел давать смысл.

Друзья знали его, как отличного товарища, который всегда умел оживлять беседу, смеяться, смешить, острить, развлекать и сосредоточивать иногда внимание всех на своих произведениях. Стихи его читались всегда в кругу товарищей и родных. Сверстники его чаще всего собирались у меня (когда я был холост) и тут в особенности бывал он в своей тарелке. Повторю тебе анекдот, который ты не раз слышал от меня. На одном из холостых моих вечеров, в которых принимали иногда участие и люди предшествовавшего нам поколения, как напр.: покойный Андрей Херхеулидзе и—все равно что покойный—знаменитый *օնդլատշն*,—Андрей Херхеулидзе предложил честной компании следующий вопрос: *եմբռնեն, Երեմեմնի սքեղան տառաջին ի տի Յուզընու ը զտի մտեհարու, զորեմն ի տի զլու սլուո!*—Тато покатился с хохоту от едкой остроты, которая блеснула у него в голове; но тотчас принял серьезный вид и, указывая на Платона, сказал, что об этом надобно его спросить: «ведь он между нами богослов (бог ослов)! Теперь вся компания разразилась гомеровским хохотом. Платон рассердился не на шутку и обозвал всех дураками.—«Ну, это еще слава богу,—отвечал ему Тато хохоча, по крайней мере нельзя сказать, что мы были под твоим влиянием!...» С тех пор этому господину давно не было другого имени, как бог ослов.—Поэтический талант Тато развился в этом кругу; в нем он прочитывал в первый раз свои стихотворения; в нем он выслушивал замечания, которые делал каждый искренно и в нем же он прочитывал их по исправлению. Впрочем, я должен сказать, что замечания эти касались только того, что могло служить к уяснению или к более рельефному выражению мысли.—В Тифлисе он бывал везде, и везде принимали его, как родного.

Но нужда заставила его пойти на должность помощника Уездного Начальника в Елисаветполь, где он, через год или полтора, пал жертвою климата. Было бы невероятно, чтоб родители горевали об нем меньше, чем друзья его и знакомые; но я думаю, что это было так.—Не знаю, видал ли ты когда-нибудь княжну Баратову, которая, вместе с семейством Давида Чавчавадзе, была в плену у Шамиля. Она родная сестра Тато—и они наружностью были очень похожи друг на друга.—Родители пережили его многими годами—остаются теперь в живых только две сестры; одна из них—

за Дмитрием Визировым Осиаурским; другая—за Баратовым же; третья была за Ревазом Эрнстовым,—которому родила Колю, воспитывающегося у Датики,—и умерла.

Вот все, что я мог припомнить, для твоей любознательности, о нашем поэте Николае Баратове.—Круг, среди которого он вращался,—если исключить из него Херх[зулидзе] и Плат[она]—состоял весь из поэтов; но их произведения не сохранились или сохранились в единственной книжке, в которую они вписали их и подарили, как сборник, Манане Орб[ельяни], которая радушно принимала их у себя и, как уважаемая женщина, поощряла их к подобным трудам. Круг этот распался за смертью Тато и все эти поэты сделались деловыми людьми,—в которых трудно и предполагать теперь, чтобы обитал когда-нибудь луч поэзии. Но грузины, маломальски грамотные, по крайней мере тогда, были все поэты. Теперь—дело совсем иное.

Больше писать уж некогда. Пора на почту. Целую тебя крепко, крепко. Твой Па п а ш а.

Вот адрес Маркозовых: близ Большого театра на Торговой улице, дом Муселиуса, № 12.

Целую тебя тьму тьму раз и благословляю,  
твоя М а м а ш а.

5 აპრილი, 1865, თბილისი.

თარგმანი:

### ქრისტე აღდგა,

ჩემო საყვარელო შვილიყო კოკუნი!

ამ დღეებში შენგან ორი წერილი მივიღე, — 17 და 21 მარტისა. — მიხარის, რომ ჯანსაღად ხარ და იმედი გაქვს უნივერსიტეტშიაც შეხვიდე, გიმნასტიკა-შიაც ივარჯიშო, ცეკვებიც ისწავლო. ყველა ამაში სრულიად ვენდობი შენს რწმენას, — და გათავდა! თავი დავანებოთ ამებზე ლაპარაკს.

გადავალ შენს კითხვებზე ნიკოლოზ ბარათოვის შესახებ: ვიცნობდი მას თუ არა და სხვა მისიანებს! — ვიცნობდი მას ძალიან ახლო, — და გიამბობ ჩველაფერს, რაც მე მასზე ვიცი. —

ჯერ ერთი — სიცოცხლეში მას სხენაირად არ ეძახდნენ, თუ არა 'ტატო ბარათაშვილი. — იგი ღვიძლი დისწული იყო გრ[იგოლ] დიმ[იტრის-ძის] ორბელიანისა. — მის მამას — მელიტონ ბარათოვს არა ჰქონდა არავითარი მამული, არავითარი საკუთრება და საკმაოდ დიდ ოჯახს იგი ინახავდა მხოლოდ ჯამაგირით. რასაც იღებდა მხარის უფროსთა თარჯიმნის წოდების მიხედვით, და ახლოებით 900 მან.. ტატო ერთადერთი ვაჟი იყო მისი, პატარა, ტანდაბალი, ნოღაცხვირიანი, მაგრამ მეტისმეტად ცოცხალი, მზიარული, მოსწრებულ თანაც მეტისმეტად უანგარო, მიუხედავად გაჭირებისა ყველაფერში, და ყოველთვის მხადმყოფი დახმარებოდა გაჭირებულს რითაც კი შეიძლებოდა. აღზრდა-განათლება მიიღო არც თუ ბრწყინვალე: კეთილშობილთა ყოფილ სასწავლებელში იგი ჩამომრჩებოდა მე მგონია ორი კლასით ასაკის გამო; მერე გადავიდა გიმნა-

ზიაში და გამოვიდა, მგონია, მე-5 კლასიდან; გამოვიდა იმისათვის, რათა სამსახურში შესულიყო და რათა თავისი ჯამგავრით რამოდენადმე შეემსუბუქებინა მამისათვის ოჯახის შენახვა.

უფროსები იცნობდნენ მას, როგორც შესანიშნავ მოცეკვავეს ლექურისას, რასაც იგი აზრით ჰმოსავდა.

მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ართობდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებზე. მისი ლექსები იკითხებოდა ყოველთვის ამხანავთა და ნათესავთა წრეში. მისი მოასაკენი ყველანაე ხშირად ჩემთან იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი) და აი, აქ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით თავის კალაპოტში. გავიმეორებ ანეკდოტს, რომელიც ჩემგან არა ერთხელ გავიგია. ერთ-ერთ საღამოზე იმ ჩემ მარტოხელურ საღამოთა შორის, რომელშიაც ხანდახან მონაწილეობას ჩვენი წინამორბედი თაობის ადამიანებიც იღებდნენ, როგორც მაგალითად: განსვენებული ანდრია ხერხეულიძე და თითქმის განსვენებული სწორი—სახელოვანი ის ფლათუნ, —ანდრია ხერხეულიძემ შემდეგი კითხვა მისცა მომზიარულ კომპანას: ამბობენ, ბერძნებში ყველას თავთავისი ლთი ჰყავდაო და ერთი მათხარით, ვირების ლთი ვილა იყოო!—ტატოს სიცილი წასკდა იმ მწვევე მახვილი სიტყვის გამო, რომელმაც თავში გაუღღვა, მაგრამ უმაღვე სერიოზული სახე მიიღო და, მიუთითა რა პლატონზე, სთქვა, რომ ამაზე მას უნდა ვკითხოთო: „ჩვენში ხომ ეგ არის ბოგოსლოცი (ბოგოსლოცი)! ახლა კი მთელმა კომპანიამ იგრილა ჰომერული სიცილით. პლატონი გაჯავრდა ხუმრობა-გაშვებით და ყველას მან „დურაკები“ გვიწოდა“.—ეგ კიდევ მადლობა ღმერთს, უბასუხა სიცილით ტატომ, —რაც უნდა იყოს, ის, ხომ არ ითქმის, რომ ჩვენ შენი გავლენის ქვეშ ვიყენეთ!“ მას იქით ამ ეაცბატონს კარგა ხანს სხვა სახელი არა ჰქონდა, თუ არა ბოგოსლოცი.

ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას. —თბილისში იგი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს.

მაგრამ გაჭირვებამ აიძულა იგი მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე წასულიყო ელისავეტპოლში, სადაც ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ჰავამ იმსხვერპლა. დაუჯერებელი იქნებოდა, რომ მშობლები უფრო ნაკლებად დამწუხრებულიყვნენ მასზე, ვიდრე მისი მეგობრები და ნაცნობები; მაგრამ მე მგონია—ეს ასე იყო. —არ ვიცი, გინახავს თუ არა როდისმე კნიაენა ბართოვა, რომელიც დავით ქაჭავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ ჰყავდა შამილს. იგი ღვიძლი დაა ტატოსი—და ისინი გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. —მშობლებმა კიდევ ბევრ წელს იცოცხლეს მის შემდეგ—ახლა ცოცხალია მხოლოდ ორი და; ერთი მათგანი ცოლად ჰყავს დიმიტრი ვიზიროვს ოსიაურელს;

მეორე—ბარათოვსვე; მესამე ჰყავდა რევანს ერისთავს,—რომლისაგანაც მიეცა კოლია, დათიკოსთან<sup>1</sup> რომ იზრდებოდა,—და გარდაიცვალა.

აი, ყოველივე ის, რის გახსენებაც შეეძელი შენი ცნობისმოყვარეობისათვის, ჩვენს პოეტ ნიკოლოზ ბარათოვზე.—ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა,—თუ გამოვაკლებთ ხერხ[ელდიძეს] და პლატ[ონს]—შესდგებოდა მთლად პოეტებისაგან; მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულია ერთადერთ წიგნაკში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და აჩუქეს, როგორც კრებული, მანანა ორბელიანს], რომელიც მათ გულლიად იღებდა და, როგორც პატივცემული დედაკაცი, ახალისებდა მათ ამგვარი შრომისათვის. ეს წრე დაიშალა ტატოს სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიქნენ საქმის კაცებად, რომლებშიაც, ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ ოდესმე შევრდომილი იყო სხივი პოეზიისა. მაგრამ ქართველები, სულ ოდნავ მცოდნენი წერა-კითხვისა, მაშინ მაინც, ყველა პოეტი იყო, ახლა—სულ სხვაა.

მეტი წერისათვის აღარ მცალიან. დროა ფოსტაში წასვლისა. გოცნი მაგრად, მაგრად. მამაშენი.

აი მარკოზოვების<sup>2</sup> ადრესი: დიდი თეატრის ახლო ტორგოვაიას ქუჩაზე, მუსელიუსის სახლი, № 12.

გოცნი უამრავჯერ უამრავად და გლოცავ დედაშენი.

ეს პატარა წერილი მეტად დიდ მნიშვნელოვანი დოკუმენტია ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

ჯერ ერთი, იგი ეკუთვნის პოეტის მომსწრეს და მერე ისიც მწერალს<sup>3</sup> და არა შემთხვევით შემუარისტს, ნეორედ—დიმიტრი ყიფიანი იყო არა მარტო ბარათაშვილის სკოლის დროინდელი ამხანაგი, არამედ თვით ბარათაშვილის სალიტერატურო წრის აქტიური წევრი<sup>4</sup> და მესამედ ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ, თუ კონსტანტინე მამაცაშვილის მოგონებანი დაწერილია ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 36 წლის შემდეგ, ჩვენი ახალი დოკუმენტი მას უსწრებს ქრონოლოგიურად, წინ მთელი 16 წელიწადით.

<sup>1</sup> დათიკო—დავით ყიფიანი, ცნობილი მესამოციანელი, „საქართველოს, მოამბის“ თანამშრომელი, ლიტერატორი, კრიტიკოსი (იხ. „ცისკარი“, 1863 წ., № 7,9; 1864 წ., № 1) ჰქონდა კერძო პანსიონი, სადაც 60-იან წლებში მასწავლებლობდა გიორგი წერეთელი.

<sup>2</sup> მარკოზოვი—შვილი იმ სამხედრო პირისა, რომლის სახლში, კვუკაში, იმ ხანად ბინადრობდა დიმიტრი ყიფიანი.

<sup>3</sup> დ. ყიფიანი სხვათა შორის იყო შექსპირის პირველი მთარგმნელი ქართულად. მან 1840—41 წლებში სთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, ხელმოერედ 1859 წელს, (იხ. „ცისკარი“, 1859, №№ 5,6); „ორი ვერონელი ახნაური“, („ცისკარი“, 1867, №№ 4,5); „ვენეციელი ვაჭარი“ („მნათობი“, 1872, №№ 3,4), მანვე სთარგმნა მოლიერის „ეოლის შერთვევინება“ („ცისკარი“, 1861 წ., № 3; დაიდგა 1865 წ.); ოკტავ ფელიეტის „ლარიბი კაცი რომანი“, („ცისკარი“, 1860, №№ 2, 3, 4, 5) და სხვა.

<sup>4</sup> დიმიტრი ყიფიანის მეუღლე ნინო, თავის შვილს კოტეს ასე უამბობდა დიმიტრის და ნ. ბარათაშვილის მეგობრობის შესახებ: „был большой друг моего Дмитрия и все время пропадал у нас с утра и до поздней ночи, и обедал у нас и ужинал, только не ночевал“ (ბარათაშვილის 1922 წ. გამოცემა, გვ. 245).

უპირველესად დიმიტრი ყიფიანს ძვირფასი ცნობები აქვს დაცული პოეტის სახისა და გარეგნობის შესახებ: „პატარა, ტანდაბალი, ნოღაცხვირიანი, მაგრამ მეტის-მეტად ცოცხალი, მზიარული, მოსწრებული იყო“-ო. ეს ცნობა ეთანხმება აგრეთვე კონსტანტინე მამაცაშვილის ჩვენებას. რაკი პოეტის პორტრეტი არ მოგვეპოება, კ. მამაცაშვილის მიერ პოეტის გარეგნობის აღწერილობასთან ერთად პოეტის მეორე მომსწრის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

საყურადღებოა მეორე ცნობაც, რომ პოეტი ცოცხალი, აგზნებული ადამიანი ყოფილა და მიუხედავად სიკოქლისა,—შესანიშნავი მოცეკვავე და მოლექურის სახელი ჰქონდა დავარდნილი. აქედან ჩანს, რომ პოეტი მხოლოდ ოღნავე კოქლი ყოფილა. ყიფიანის ცნობას ადასტურებს ერთი ჩვენებაც ლ. ისარლიშვილისა, რომელსაც მარტყოფში, „ღუთაების“ დღეობაში უნახავს პოეტის შესანიშნავი ლექური (აღბად 1843 წ. 15 აგვისტოს. იმავე წლის 21 აგვისტოს ვრ. ორბელიანისადმი მიწერილს წერილში, პოეტი ლაპარაკობს მარტყოფის „ჯვარობის“ ამბებზე).

ახალი ცნობაა აგრეთვე ბარათაშვილის „არც თუ ბრწყინვალე“ განათლების შესახებ. ყიფიანის ცნობით, პოეტს არ დაუსრულებია სწავლა და გიმნაზიის მე-5 კლასიდან გამოსულა იმ მიზეზით, რათა „სამსახურში შესულიყო და რათა თავისი ჯამაგირით რამდენადმე შეემსუბუქებინა მამისათვის ოჯახის შენახვა“. ახლად აღმოჩენილ სხვა დოკუმენტებით მართლაც მტკიცდება, რომ პოეტის ოჯახი ნიუთიერად პირდაპირ კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სწორედ ოჯახის გაპირება ყოფილა აგრეთვე მიზეზი პოეტის წასვლისა საბედისწერო განჯაში მამრის უფროსის თანაშემწედ.

მაგრამ მეტად საყურადღებოა დ. ყიფიანის ცნობა ნ. ბარათაშვილის სალიტერატურო წრის შესახებ. ბარათაშვილის დროს არსებულია წრე, სადაც პოეტის ლექსები იკითხებოდა.

დიმიტრი ყიფიანის გარდა, მეორე მაშინდელი ლიტერატორი—ლუკა ისარლიშვილიც გადმოგვცემს: „მანანა ორბელიანთან იკრიბებოდნენ და კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ნ. ბარათაშვილი), გიორგი ერისთავი, ისარლიშვილი, ბირთველიჩი (მიხ. თუმანიშვილი), მალალაშვილი, ხანდახან ყიფიანი და სხვა“. ისარლიშვილის მიერ დასახელებულ პირებს უნდა მიუმატოთ: ლევ. მელიქიშვილი, ილია ორბელიანი, ალექსანდრე ჩიქოვანი, დავით მაჩაბელი, ვახტანგ ორბელიანი, ზ. ავთანდილაშვილი, ზაქარია ორბელიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, ზაქარია ერისთავი, დიმიტრი ჯორჯაძე, ანდროი ხერხეულიძე, გრ. რჩეულიშვილი, ზაქ. ფალავანდიშვილი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს მუზეუმში არსებობს დიმი. ყიფიანის „რომეო და ჯულიეტას“ თარგმანი ავტოგრაფი, სადაც ნათქვამია, რომ „რომეო და ჯულიეტა“ თარგმნილია საგანგებოდ მანანა ორბელიანისათვის. ბარათაშვილის წერილში მოხსენებულ კითხვის საღამოს მტრალ „ქართველ ქალებში“ უპირველესად მანანა უნდა ვიგულისხმოთ ნინა და ეკატერინა ჭავჭავაძეებთან ერთად.

ბარათაშვილის წრე ზშირად იკრიბებოდა, როგორც მანანასთან, ისე ჭავჭავაძეების ოჯახში და შემთხვევითი არ არის ზ. მთაწმინდელის ცნობა, რომ პოეტს „ბედი ქართლისა“ ჭავჭავაძე-

დ. ყიფიანის სიტყვით, ბარათაშვილის წრე თითქმის მთლად პოეტ-ბისაგან შესდგებოდა. შემდეგში, დიმიტრისვე სიტყვით, — „ეს პოეტები ყველანი გადაიქცნენ საქმის კაცებად, რომლებშიაც ძნელი წარმოსადგენია ახლ, თუ ოდესმე შევრდომილი იყო სხივი პოეზიისა. მაგრამ... მაშინ მაინც ყველა პოეტი იყო“.

ეს ის ხალხია, რომელთა შესახებ სწერდა ერთ წერილში ნიკ. ბარათაშვილი: „ლიტერატურა ჩვენი ღვით, დღე და ღამე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოკლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და, მარტობაში შეეწევიან მამულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრუიალებსა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ ჰსძინავთ გონებით“.

კონსტანტინე მამაცაშვილი იგონებს: „ხშირად შევიყრებოდი თ ხოლმე ამხანაგები ნიკოლოზ ბარათაშვილთან. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზედ“.

დიმიტრი ყიფიანის სიტყვით ბარათაშვილის „პოეტური ნიკი ამ წრეში განვითარდა; აქ იგი კითხულობდა თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თვითველი გამოსთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ“. ბარათაშვილი და მისი წრე იყო მებრძოლი ქართული მწერლობის ევროპეიზაციისათვის და ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ლიტერატურულმა წრემ, რომელსაც მეთაურობდა ბარათაშვილი, პირველმა დააყენა შექსპირის საკითხი ქართულ მწერლობაში.

1841 წელს, მაისის 28-ს, პოეტი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვნა: ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“; შექსპირის ტრალედია და მე ვთარგმნე „იული ტარენტელი“; ტრალედია ლეიხვეიცისა; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ისე გასინჯე, იტირეს“.

პოეზიის გარდა ბარათაშვილის წრეს სხვა ასპარეზიც ჰქონია, მხოლოდ ბარათაშვილის წრეს პირველად დაუსვაშს საქართველოს „რიგიანი“ ისტორიის შედგენის საკითხი. წრის წევრებს განზრახვა სისრულეში კიდევ მოუყვანიათ; მათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ძველი საუკუნეები. თვით ბარათაშვილის გადმოცემით, თავისი ნაწილი დაუწერია და პლატონ იოსელიანისათვის გადაუცია („დროება“, № 79, 1880 წ.) ეტყობა პლატონ იოსელიანს, როგორც სპეციალისტს, ისტორიკოსს, წიგნის საერთო რედაქცია უქისრნია<sup>1</sup>.

გბის ოჯახში წაუკითხავს პირველად, იმ პერიოდში, როდესაც ბარათაშვილისა და ე. კაკუაძეს შორის რომანი არსებობდა. წრეში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე: შაიკო ორბელიანი და მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ბარათაშვილის წრის წევრებს შეუდგენიათ თავისი ნაწერების სპეციალური კრებული და საგანგებოდ მანანა ორბელიანისათვის მიუძღვნიათ.

<sup>1</sup> თუ ეს გადმოცემა სწორია, მაშინ ბარათაშვილის ისტორიული ნაშუქგვარი უნდა ვეძებოთ პლ. იოსელიანის არქივში, რომელიც დაფანტულია ჩვენს საქველეთა საცავებში.

აღსანიშნავია აგრეთვე ბარათაშვილის წრის მეორე საქმიანობა თეატრის ირგვლივ. თვით ყიფიანის და ბარათაშვილის თარგმნილი პიესები ვიქტორობო დასადგმელად იყო განკუთვნილი. აქ დაუჯერებელი არაფერია, ჩვენ ვიცით, რომ, სწორედ ბარათაშვილის წრის უფროსი წევრები, ჯერ კიდევ მაშინ (1832 წ.), როდესაც პოეტი სკოლის სკამზე იჯდა, პ. კარატიგინის ქართულად ნათარგმნ ერთ-ერთ პიესას ამხადებდნენ თბილისში დასადგმელად. (პიესის დადგმაში მონაწილეობდნენ: თვით პიესის მთარგმნელი პოეტი ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი და სხვები).

სწორედ ბარათაშვილის წრის წინასწარ მუშაობის წყალობით ჩამოყალიბდა შემდეგში (1850 წელს) ქართული მუდმივი თეატრი გიორგი ერისთავის წინამძღოლობით და შემთხვევითი როლია, რომ 1850 წლ. 2 იანვრის პირველი ქართული წარმოდგენის (გ. ერისთავის „ვაყრის“) მონაწილენი—სწორედ ბარათაშვილის სალიტერატურო წრის წევრები იყვნენ, როგორც: ილია ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი და სხვები.

და ბოლოს ბარათაშვილის წრეს უმეცადინია ქართული ჟურნალის გამოცემისათვის, მას შესაფერი განცხადებითაც მიუმართავს მთავრობისთვის. რამდენიმე წლის შემდეგ გამოცემული პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ ამ წრის წინასწარ ორგანიზაციული მუშაობის ნაყოფია და ხსენებული ჟურნალის რედაქტორადაც ხომ წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი გიორგი ერისთავი იყო.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდვე სიტყვით არ შევჩერდეთ ზემოდმოყვანილ დოკუმენტში დ. ყიფიანისგან გახსენებულ ერთს ანექლოტურ ინციდენტზე, რომელიც ბარათაშვილის წრის ერთ-ერთ სალიტერატურო შეკრებაზე მომხდარა ბარათაშვილისა და პლატონ იოსელიანს შორის<sup>1</sup>.

ცხადია, ეს უბრალო შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ აქ საქმე უნდა გვექონდეს წრეში არსებულ ერთგვარ ლიტერატურულ განხეთქილებასთან, რომლის ნიადაგზედაც უნდა მომხდარიყო ხსენებული შეჯახება<sup>2</sup>.

იოსელიანი, როგორც ვიცით, არქაისტი იყო, ფანტიკოსი ძველი, გაყინული ლიტერატული ნორმების, ძველი სტილის, —ძველი ტრადიციების ადამიანი, ხოლო ბარათაშვილი ახალი იდეების და ფორმის შემქმნელი, ახალი ლიტერატურული მოძრაობის ბელადი. და ბარათაშვილის ერთს წერილში (1841 წ.) ირონიული წამონაცდენი პლატონის „ფილოსოფიური სახის“ შესახებ და თვით

<sup>1</sup> ეს ინციდენტი ჯერ კიდევ 1885 წ. მოჰყავს თავის წიგნაკში ზაქარია კიკინაძეს (იხ. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, გვ. 13), შესაძლოა, იმავე დიმიტრი ყიფიანის გადმოცემითაც.

<sup>2</sup> ამ ინციდენტს ხ. კიკინაძე დასტენს აგრეთვე მეორე ანექლოტურ ამბავს: „გამოვიდა, რომ სწორედ ასეთივე ომუნჯობა შემთხვევით ერთხელ მგზავრობის დროს, ბარათაშვილსა და ერთ სხვას აუტუხნიათ განძრახ, რომ იოსელიანი გიყიო, საცა მივიდოდნენ თურმე, მიკიტხანაში ან ფოშტებში, მოსამსახურეთ ეუბნებოდნენ, რომ აგერ ის წოწოლა უღლვამ გაპარსული და დიდ საყვლიანი კაცი გიყია და უფროზილდით, რომ არა დაგარტყათ რაო. მთელს მგზავრობაში იოსელიანს თურმე ერთობ ერიდებოდნენ მიკიტხანის მსახურნი, საცა კი იოსელიანი მოითხოვდა რაშეს, მოსამსახურე რომ მიუტანდა, შორიდან მიაწოდებდა და შემინებული გაქცევით მოშორდებოდაო. ბარათაშვილი და თავის მეგობარი კი შორიდან უტკბოდნენ სიერს და იცინოდნენ თურმე. იოსელიანს წინეთ კი ვერ შეუშინებია ეს და შემდეგ კი შეუტყუა ცუდადური, მიჰყლია და ბარათაშვილი და მისი ამხანაგი საქმარისად დაულანძლავს“ (გვ. 13—14).



ჩვენს დოკუმენტში დ. ყიფიანის მიერ პლატონის აღიარება—„განსვენებულთა სწორი—სახელოვანი ისფლათუნ“—ად, უსათუოდ ანარეკლია ამ ლიტერატურული შეჯახების და განხეთქილებისა ორს ლიტერატურულ მიმდინარეობას შორის. ცხადია, მოწინააღმდეგე ბანაკის მეთაურად, „ძველი ფილოსოფოსი“ და „რიტორი“ პლატონ იოსელიანი ითვლებოდა (შესაძლოა ამ გარემოებითაც აიხსნას, რომ პლატონს თავის უამრავ ნაშრომებში ერთი სიტყვითაც კი არ ჰყავს ნახსენები არსად ბარათაშვილი).

ვენ ეკუთვნოდა პლატონის ლიტერატურულ ბანაკს? ეკვი არაა,--ძველი პოეზიის ეპიგონები—აღ. ჩიქოვანი, დ. მაჩაბელი და სხვ.

და შემთხვევითი როდია, როდესაც ამ ბანაკის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პოეტი ალექსანდრე ჩიქოვანი „მდაბიურ“, „დაბალ სტილს“ უკიყინებს „ბედი ქართლისა“—ს ავტორს. ამ პოემის მეორე გვერდზე, 1843 წ. ა. ჩიქოვანს ლექსად მიუწერია თავისი შთაბეჭდილება პოემის შესახებ, სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„ვინცაა შენი მწერავეი, ჯერია ეძღვნას მადლობა;  
 ნიჭთ, ღვაწლთ, მოლექსეთ, ჰაზრთათვის უჩნს დია უცხო ზრდილობა,  
 თუმცა მდაბიო ქართული ჰმეტობს აქ ზოგან თქმულეზა;

გარნა უცხოა, კარგია,—ამგვარ მამულიშვილობა“.

აქ არქაისტი და ეპიგონი ბარათაშვილს უსაყვედურებს „მდაბიო ქართულს“, ე. ი. სტილის დამდაბლებას ხალხურობამდე, ანუ პოეტური სიტყვის იმ სიახლეს, რომელიც ნოვატორმა ბარათაშვილმა ახალ იდეებთან და ახალ ფორმასთან ერთად შემოიტანა ქართულ პოეზიაში<sup>1</sup>.

მაგრამ მალე შესწყდა წრის ნაყოფიერი მუშაობა დიმიტრი ყიფიანის კატეგორიული თქმით „ეს წრე დაიშალა ტატოს (ნ. ბარათაშვილის) სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიქცნენ საქმის კაცებად“<sup>2</sup>. აქედან ჩანს, თუ რა გავლენით სარგებლობდა ამ წრეში ნიკ. ბარათაშვილი, როგორც მეტრი, და 40-იან წლების ლიტერატურული მოძრაობის მეთაური.

ამიერიდან სხვაგვარად გვესახება ბარათაშვილის საზოგადოებრივი პროფილი. უკვე შემდეგში მის მიერ დაწყებულ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის ტვირთის სიმძიმეს ასწევს მისი მოწაფე და შემკვიდრე ილია ქავეჯავაძე.

## 5. ბარათაშვილის ერთი ლექსის ირგვლივ

ნ. ბარათაშვილის ლექსების—„როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „ცისა ფერს“—შესახებ, პოეტის მესამე გამოცემის (1886)

<sup>1</sup> გაიხსენეთ ბარათაშვილის 1845 წ. წერილში ნათქვამი მისი ერთი ლექსის („მადლი შენს გამჩენს ლამაზო“) შესახებ: „ამ ქართულ ლექს გიგზავნი მ და ბ ი უ რ უ ლ ა დ და წ ვ რ ი ლ ს, როგორადაც ფიქრში მამივიდა,—მე ვარ და ჩემი ნაბადი, „მის ხმაზედ“ (წერილი შაიკო ორბელიანისადმი).

რედაქტორი, — ბ. უმიკაშვილი წინასიტყვაობაში დასძენს: „ეს ლექსები არიან მიბაძვა რუსულისა, თუმცა კი შენიშნულნი არ არიან ამგვარად. ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერაო ფორტოპიანოზედ და რუსულად ასე იწყებინა: <sup>1</sup>

1) „Как счастлив я, коль с тобой бываю“

Ты не поверишь, ты не поверишь“.

2) Черный цвет, мрачный цвет, ты мне мил...“

ცვლილება იქნება იმაში იყო-ს მხოლოდ, რომ შავი თვალები ცისფერ თვალებად გადაუკეთებია პოეტს“-ო (გვ.5-6).

უკანასკნელი ლექსის („ცისა ფერს“) გენეზისი გამორკვეულია, შეწერდეს პირველის გარშემო.

როგორც ირკვევა ამ ლექსს საფუძვლად სდებია ძველი კვარტეტის „კლიუჩ“-ის ძირითადი შელოდვის ერთ-ერთი ვერსია, XVIII-XIX. ს. ს. ერთი იმ მუსიკალურ ნაწარმოებთაგანი, რომელიც, როგორც საყვარელი ნომერი საშინაო მუიკალურ პროგრამისა ცნობილი იყო რუსეთში და როგორც ირკვევა ჩვენს არისტოკრატიულ სალონებშიც. იმ დროს მუსიკის მოყვარულნი ამ სიმღერით აღტაცებაში მოდიოდნენ.

ბარათაშვილის ლექსის და „კლიუჩ“-ის ვერსიის მსგავსება ზედმიწევნითაა მოტივით. წყობით, (რასაკვირველია შინაარსის განსხვავებით) და თვით რეფერენით.

ქართულად: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“.

რუსულად: „Как счастлив я коль с тобой бываю“.

ქართულად: „არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,  
თუ ვით სატრფო ხარ.“

რუსულად: „Ты не поверишь, ты не поверишь“.

საინტერესოა ამ სიმღერის წარმოშობა.

გადმოცემით, ეს მშვენიერი მუსიკალური ნაწარმოები, შეთხზულია XVIII საუკუნეში, მოცარტის მიერ. დიდებული კომპოზიტორი ხშირად დადიოდა რუს დიპლომატიურ მოღვაწის ალ. არსენიევის (1751-1840) ოჯახში. ერთხელ არსენიევეთან იმართებოდა საშინაო სპექტაკლი, მოცარტს სთხოვეს ამ საღამოსათვის რაიმე დაეწერა და მან მართლაც შექმნა პატარა პიესა გერმანული სიტყვებით. სწორედ ეს იყო შემდეგში რუსული სიმღერა „კლიუჩ“. სიმღერის გერმანული სიტყვები ვილაცამ უზვიოდ სთარგუნა რუსულად და ამ სახით „კლიუჩ“ შემოტანილი იყო რუსეთში. ასეთია გადმოცემა (შდ. კრებული „Звенья“, 1933, 2, 622).

ლექსის „როს ბედნიერ ვარ“-მიზეზია პოეტის სიყვარული-ეკატერინე ქავჭავაძე და „კლიუჩ“-ის კულტურტრევერიც მისი ოჯახი უნდა ყო-

1. ეს პატარა ნაკლვევი გამოქვეყნებული იყო 1933 წ. „სალიტერატურა გაზეთში“ (№-8) იბეჭდება მცირეოდენი შესწორებით. იქვე დაიბეჭდა იმავე წელს: „ნ. ბარათაშვილი — მოხელე“, „პოლკოვნიკი — ფორსტენი“ / ნბ № 12).

ფილიყო. ეკატერინეს მამა — ალექსანდრე ჭავჭავაძე აღიზარდა პეტერბურგის არისტოკრატიულს წრეებში, ეკატერინე მეორე დედოფლის ნათლული, იგი იყო შვილი დიპლომატისა, რომელიც 1783 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში, როგორც საქართველოს სამეფოს ელჩი (ადვილად შესაძლოა, რომ დიპლომატი გარს. ჭავჭავაძე იცნობდა რუსეთის ელჩის ატაშეს ალ. არსენიევისა) და ბოლოს მისი ოჯახი იყო ერთად-ერთი ევროპული ოჯახი თბილისში, როგორც დასძენენ თვით იმ დროის უცხოელებიც. ჭავჭავაძეების სალონში თავს იყრიდა „რაც იყო თბილისში წარჩინებული მწერლობაში, ხელოვნებაში, მმართველობაში“. სტუმრები განსაკუთრებით აღტაცებაში მოჰყავდა ალექსანდრეს და მისი ორი ქალის ნინას და ეკატერინას სიმღერას, მათ თარს და ჩონგურს, რომელიც ასე იყო განთქმული.

თართან და ჩონგურთან ერთად „ფორტოპიანოზედ“ და სხვა საკრავებზედ ალ. ჭავჭავაძის ოჯახში ისმოდა ევროპული მელოდიებიც, რომელთა გადმოქართულებაში თვით ალექ. ჭავჭავაძე იღებდა მუხრვალე მონაწილეობას. მაგ., როგორც ნ. ბარათაშვილი გადმოგვცემს, ეკატერინას საყვარელი სამღერალი ლექსი „ბულბული და ვარდი“ („ვარდსა და ბულბულს მოელხინარე“) ყოფილა „სამღერალე ნათარგმნი რუსულიდან ალ. ჭავჭავაძისა“ (შენიშვნა ნ. ბარათაშვილისა. აკად. გამ., 22); მანვე სთარგმნა რუსულიდან სამღერალი ლექსი.

„Черный цвет, черный цвет, ты мне мил“.

(ქართულად: „ფერსა ბნელს, ფერსა შავს, მე ვეტრფი მარად ქამს“), რომლის მიბაძვით ნ. ბარათაშვილმა დასწერა ცნობილი ლექსი „ცისა ფერს“.

კერძოდ ბარათაშვილის სატრფო ეკატერინე საკმაოდ მუსიკალური პიროვნება ყოფილა, გადმოცემის გარდა, თვით ნ. ბარათაშვილის ლექსებიც გვიმოწმებენ. ერთს ლექსში („თავადის ქ...ძის ასულს, ეკ...ნას“) პოეტი ასე მიმართავს ეკატერინას:

„ხმით მშვენიერით,  
 ტკბილის სიმღერით;  
 ჰაეროვანო, სულს ელხინებ...  
 მახსოვს სიამით,  
 ოდეს ტკბილის ხმით,  
 ვარდსა და ბულბულს მოელხინარე;  
 პირმცინარითა,  
 სინარნარითა,  
 მგონისს ყარიბს გულს ესხვიმფენარე!“.

მომღერალ ეკატერინესადმი მიმართულია მეორე ლექსიც „[ეკატერი] ნა... ფორტოპიანოზედ მომღერალი“:

„ხმა საკრავისა  
 ნელ ნარნარისა  
 სულს განახარებს  
 და მშვენიერის  
 ენა ამიშლის  
 გულისა ქირებს!“.

ორივე ლექსში პოეტი გადმოგვცემს თუ მის „ყარბ გულზედ“ როგორ მოქმედებდა ეკატერინას „ტკბილი სიმღერა“. „ტკბილი ხმა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს ეს პატარა მუსიკალური შედევრი უყვარდა, როგორც სატრფოს საყვარელი მუსიკალური ნაშრომი, და მიტომ ეს სიმღერა თავისი ქართული ლექსით მას მიუძღვნა, შეიძლება ეკატერინას თხოვნითაც. შემთხვევით კი არ აღმოჩნდა ეს ლექსი ეკატერინას არქივში.

საყურადღებოა, რომ ეს სიმღერა—ლექსი დაკავშირებულია ბარათაშვილის გარდა აგრეთვე ლ. ე. ტოლსტოის სახელთანაც. ახლა გამოირკვა: ეს ის სიმღერაა, რომელსაც ნატაშა როსტოვა მღერის „Война и Мир“-ში (იხ. „Звенья“, 1933, II, Игорь Ильинский и С. Толстой—квартет в романе „Война и Мир“, стр. 618—628).

ეს ძველი მუსიკალური პიესა ტოლსტოის გადაურჩენია დაეწყებისაგან,— რადგან განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა.

ამ სიმღერის შესახებ მკვლევარი ივანე ილინსკი გადმოგვცემს:

„Ключ видимо настолько нравился Льву Николаевичу, что он старался привить его и детям, и молодежи. Эта песенка была известна в его семье и пелась в Ясной Поляне“ („Звенья“, 1933, II, стр. 620).

სოფია ტოლსტოი გვიამბობს: „В Ясной Поляне, „Ключ“ певали нередко. Ввел его в музыкальный репертуар нашей семьи отец. Пел его и соло, и на два, и на три голоса и хором“ (Звенья“ II, стр. 627).

60-ან წლების დასაწყისში ტოლსტოი ამ სიმღერას ასწავლიდა ახალგაზრდობას ბერსების ოჯახში, როგორც იგონებს კუზმინსკაია: „Он часто собирал нас к роялю,—и учил петь „С тобой вдвоем сколь счастлив я“.

იასნაია პოლიანას მოწაფე 1859—1863 წ. წ. გვიამბობს:

„Он (Толстой) любил пение и играл на фортепьяно,—а я обладал хорошим голосом, и мы с ним пели его любимую песню: „С тобой вдвоем сколь счастлив я“ („Звенья“, 619).

1928 წ. 12 სექტემბერს ტოლსტოის საიუბილეო საღამოზე იასნაია პოლიანაში, ტოლსტოის სახელის პატივსაცემად სხვათაშორის იქნა შესრულებული „Ключ“, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია. იგი ამავე დროს გადაეცა რადიო ცენტრით, ხოლო წინასწარ გამოიკვლია სამხ. სამეცნ. აკადემიის ისტორ. მუსიკალურმა ჯგუფმა.

ამ რიგად ეს მუსიკალური ნაწარმოები შეერთებულია მოცარტთან, ბარათაშვილთან, რუსული ლიტერატურის შედევრთან („ვოინა ი მირ“) და მის გენიალურ მხატვარ ლევ ტოლსტოისთან.

### 6. ეპოთი ღაშიწყაბაშვილი ღაშვილი 6. ბარათაშვილი

ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით ინდიფერენტუზმს ბარათაშვილის მიმართ, რომელიც გამოიჩინა მისმა თაობამ პოეტის ნაწერების გამოცემის საქმეში. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს თაობა აღმერთებდა მას და „უზნადო პოეტს“ უწოდებდა. და შემთხვევითი არ არის, როცა „ცისკრის“ ერთს განცხადებაში, პოეტის გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ, ბარათაშვილის სახელი მოხსენე-

ბულია რუსთაველის გვერდით. ამ მხრივ საგულისხმოა დიმიტრი ყიფიანის და მიხეილ თუმანიშვილის წერილები (იმავე ხანებში დაბეჭდილი ვაზ. „კავკაზში“), გიორგი ერისთავის და ლუკა ისარლოვის ლექსები ბარათაშვილის გარდაცვალებაზედ, სადაც ისინი პოეტს მიუწყავენ თავისას. ამ ლექსებსა და წერილებს, რომლებშიც კარგად ჩანს თანამედროვე ქართველი საზოგადოების მიერ პოეტის ერთხმად დაფასება, უნდა მიუმატოთ ერთი გამოხმაურებაც დაეწეებული მგონის ვანო ბარათაშვილისა, რომელიც 1863 წ. (№ 7) დაიბეჭდა „ცისკარში“. მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად, რადგან დღემდის მისთვის არც ერთს მკვლევარს ყურადღება არ მიუქცევია.

მ ა მ ა რ ა

(თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზედ ნათქვამი.)

მირბის დროება და მწუხარება,  
შენი ლექსები არ გვაფიწყებდა.

შორით მაშესმა ნაზი ბულბულის ხმა მშვენიერი,  
გზაზედ დავედქი, უნდა მეკითხა: შენ ვის დამღერი?  
მაგრამ დამასწრო და ვააგრძელა ტკბილი ვალობა;  
ოხ! შემაწუხა სევდიანმა მიმტაცა გრძნობა,  
თითქმის ნაცნობი იყო სიმღერა და მამაგონდა,  
ხმა და ქიკქიკი, „სულო ბოროტოს“ ემგზავსებოდა,  
ვერ გასძლო გულმან და მივახლოვდი მე იმ ადგილსა,  
უნდა შემეტყო ვის დამღეროდა რომელსა გვარსა,  
საფლავს მივედი, უბრალო ქვაზედ ვნახე წერილი:  
„აქა მარხია საწყალი ნიკო ბარათაშვილი“,  
რომ წაეკითხე გული დამეწო და დაიოქილი;  
ქვას ვეხვეოდი ბევრსა ვტიროდი, როგორც ყმაწვილი.  
— რა დროს ძილია ჩემო პოეტო, მითხარი დარდი?  
რა მიზეზია უღროვოთ, რომ გახმა კოკობი ვარდი!  
ადექ პოეტო! აგვიხსენ შენი „ბედი ქართლისა“,  
თორემ არიან მრავალნი კაცნი, ვერ მიხვდნენ აზრსა,  
შენს ლექსებიდგან სჩანს რომ გიყვარდა თავისუფლება,  
და იმიტომ გაქვს შენ კაცისგან დიდი ღირსება—  
რამ დაგაჰლექა შენ ეგრე მალე, ყმაწვილი კაცი?  
ოჰ! საქართველოს უბედურებამ, განა არ ვიცი.—  
შენ ხარ საწყალი, სული ობოლი, ამოწყვეტილი  
ღმერთმა მოგხედა, გამოაჩინა შენი სახელი.  
მშვიდობით ძმაო! და მოგშორდები მე მეწვეს გული,  
ჩემ მაგიერათ გასიამოვნებს ნაზი ბულბული.

ამ უხმო და გულუბრყვილო ლექსში ჩვენთვის საყურადღებოა რამდენიმე პტრიხი: უბირველესად, ცნობა პოემის „ბედი ქართლისა“ პოპულარობისა, და მის გარშემო არსებულ სჯა-კამათისა მაშინდელს ლიტერატურულ წრეებში და

რაც მთავარია, ბარათაშვილის აღიარება პოლიტიკურ თავისუფლების აპოლოგეტად და მით ავტორის მიერ სწორად განკერძოება ნ. ბარათაშვილის პოემის იდეისა.

ლექსში ნ. ბარათაშვილი აღიარებულია დიდ პატრიოტულ მოღვაწედ, რომელსაც სიცოცხლე მოუსწრაფა საქართველოს უნუგეშო პოლიტიკურმა ვითარებამ:

რამ დაგაკლესა შენ ვერც მალე ყმაწვილი კაცი.  
ოჰ, საქართველოს უბედურებამ, განა არ ვიცი.

და ბოლოს ლექსის ერთი სტრიქონი ხაზს უსვამს ბარათაშვილის პოეტური სახელის დამკვიდრებას და აღიარებას იმ ხანისთვის.<sup>1</sup>

### 7. ნ. ბარათაშვილი—მოხელე

გიმნაზიის დასრულების (1835 წ.) შემდეგ პოეტი აპირებდა სამხედრო სამსახურს. მისი მოწოდება, „სურვილი იყო ჯარისკაცობა“. „იგი მზრდიდა მე აქომამდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შემომეპარება ხოლმე“ სწერს ერთ წერილში. ფიზიკური მიზეზით (სიკოკლით), ეს ოცნება ვერ გაუხორციელდა, ხოლო ოჯახური მდგომარეობით ვერც რუსეთს წასვლა და იქ უნივერსიტეტის

<sup>1</sup> ვაწო ბარათაშვილი 50—60-იან წლების ცნობილი ლიტერატორი იყო. მას ეკუთვნის ლექსები: „სიმარია“ („ციცკარი“, 1863, № 8) „რევანი და ნინო“ პოემა-დრამა 3 მოქ., („ციცკარი“, 1864, № 5), „ბოეტი და მე“ („ციცკ., 1866, № 5), „რომანიო“, („ციცკ., 1866, № 5), „ქართულ ნანიდამ“ („ციცკ., 1867, № 7—8), „ყვედრება“; („ციცკ., 1868, № 1 და აგრეთვე კომედიები: „სიმართლე თავისას გაიტანდა“, („მნათობი“, 1871, № 7, ჟურნალის სარჩევში მოხსენებულია, მაგრამ დაბეჭდილი არ არის, ალბად საცენზურო პირობების გამო), „სხვა რიგი სიყვარული“ (ვოდ. 1 მოქმ. იხ. „ციცკარი“, 1870, № 5).

მამინდელი ჟღერალები სათანადო ანგარიშს უწყევდნენ ვაწო ბარათაშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას. ასე 1870 წ. „ციცკარი“ აცნადებს: „თ. ვაწო ბარათაშვილი დაგვიკრძა სტატიებსა“ („ციცკ., 1870, № 3). იმავე წელს, „მნათობი“ აუწყებს მკითხველებს: „თ. ივ. ბარათაშვილმა აღგვიოქვია თანამშრომლობა“-ო (№ 4).

ლექსთან ერთად დაბეჭდილია ვაწო ბარათაშვილის მიმართავ „ციცკარის რედაქციისადმი:

### უფალო ცისკრის რედაქტორო

ამ წლის მარტის თვეში გაუგზავნე ჩემ მიერ შედგენილი ეპიტაფია: თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზედ ნათქვამი, უფალს რედაქტორს საქართველოს მოამბისას, რომ დაებეჭდათ თავიანთ ჟურნალში, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით არ აღასრულეს ჩემი თხოვნა და აცნადებდეს; ამის შემდეგ რაღა თხოვნა სურდათ ჩემგნით, რომ დაებრუნებინათ ეპიტაფია უკან და ამის ღირსიც არა მყო, როდესაც რომ ვალი აქვთ რედაქტორებს თუ რომ სტატია არ მოეწონებთ, კანონია, უნდა უკან დაუბრუნონ. ამის გამო ხსენებულს ზემოთე ეპიტაფიას თქვენ გიგზავნით და გთხოვთ ცისკარში დაბეჭდოთ. და თუ რომ ჩემი ეპიტაფიის ახრისა თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ დაწერილი აღმოჩნდეს რომელსამე ჟურნალშია, გთხოვთ უფალო მკითხველნი შეათანასწოროთ.

რედაქცია ამაზე დასძინდა:

„რედაქცია ჰფიქრობს, რომ თუ ავტორს ჰქონდა სახეში რომელიმე ლექსი აღებული და გამოკრებილი ამის ლექსიდან, უნდა ის ლექსიც ეჩვენებინა მკითხველი საზოგადოებისათვის“.

განათლების მიღება ვერ მოახერხა: „ესთხოვე (მამას) უნივერსიტეტში მაინც ვაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს“. მაშინ პოეტი დამორჩილდა „მკაცრსა ბედსა“ (— „თუმცა ხანდიხან ჯავრით დავეუპირობ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება?“) რახან ასე მოხდა, ექსპედიციიზე კარგი ადგილი ვერ იშოვნა. მას მოსწონს, რომ „ეს ადგილი ყმაწვილი კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა“. და შედი' „სტოლონაჩალიკად“ პალატაში (Палата уголовного и гражданского суда).

იმავე დროს პოეტი სიმწარით დასძენს ჩინოვნიკურ გარემოცვას. „Круг чиновников не выгоден для образования нравственности“.

ცხადია, ეს ატმოსფერა მისთვის მომწამვლელი იყო და შემთხვევითი არაა, რომ თავის ნათესავს და მეგობარს ზაქარია ორბელიანს ურჩევს დასტოვოს ეს საშინელი წრე: „ოსტავ სლუჟბუ, ზაიმის იმენიემ“. მაგრამ არც ზაქარიას და არც პოეტს არ შეეძლოთ ამ ოცნების განხორციელება, რადგან მათი მედროვე საზოგადოება დიდად აფასებდა ჩინოვნიკურ კარიერას და „გამდიდრებას“. შემთხვევით არ სწერს პოეტი ვრ. ორბელიანს (1844 წ.) თავისი დედის და ერთი ნათესავი ქალის შეხედულებას „ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავებათ, გამდიდრდი თუ არაო?“

ჩინოვნიკურ წარმატებას პოეტისათვის ძალაუნებურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მეგობარი კ. მამაცაშვილი ვეიამბობს, რომ „პოეტს ჰზარავდა ჩინოვნიკობა, ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება ისე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი. მამა ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში. შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცებაში. მამულები ვალში გაეყიდა, ამის გამო ნიკოლოზს არა თუ შეშვეობა ჰქონდა სახლიდან, თითონ ეწეოდა სახლსა, თავისი მცირე ჯამაგირიდან“ (გვ. 7.). ამიტომაც არას, რომ მშობლების მოყვარული პოეტი ცდილობს „დაუცხრომელი შრომით“ და ბეჯითობით წარმატებას, ჩინოვნიკურ კარიერის შექმნას. „ზარმაცობა სხვისიც მეჯავრება ჭეშმარიტად. არა, ზარმაცი არ ვარ, მაგრამ რა ვჰქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას“. და ეს თვისება პოეტისა იყო მიზეზი, რომ 1842 წელს, როდესაც სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა რევიზია მოახდინა თბილისის სამოქალაქო დაწესებულებაში, პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ იმის შეოხებით მძანება გამოსცა, ქართველებს უპირატესობა მიეცით სამსახურში“-ო (?), ხოლო პალატის უფროსმა ილინსკიმ წარმოსთქვა: „Баратов на моем месте будет сидеть“!

პოეტიც ხომ ამბობს ერთგან: „ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადოებას შევძლევნ. დრო არის რივიანად სამსახურისა“.

ამავე დროს იგი ცხოველი ინტერესით ეკიდება მისი მეგობრების ჩინოვნიკურ კარიერას, დაწინაურებას. ასე, ზაქარია ორბელიანს სწერს: „მოვილოცავს პოლკოვნიკობა... მე ახლა ჩქარად ღენერლობის იმედიცა მაქვს, მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დალისტანში იმსახურო... და, მერე იცი, რა გავფიქრე შენთვის, — კასპიის ობლასტის ნაჩალიკობა!“ ხოლო მეორე მისი წერილი ეხება იმ ამბავს, მის მეგობარ „ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ“.

გასაგებია, რომ პოეტი მოხელე ცდილობს „უკეთესი ხვედრის“ შოვნას და ის დაქინებით სწერს გრიგოლ ორბელიანს: „ეცადე, რომ რენენკამპფთან დამანიშნინო, ხომ ამ პირობით წახველი!“ (გენ-მაიორი რენენკამპფი 1842 წ. მთიელთა წინააღმდეგ მოქმედ ჯარის დივიზიის უფროსად ითვლებოდა).

ბოლოს პოეტი, სტოლონაჩალინიკი ელირსა პატარა წარმატებას და 1844 წ. ის დანიშნეს ქ. ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზედ, ხოლო 1845 წ. 12 ივნისს, — განჯაში ამავე სამსახურში.

ამჟამად ჩვენ გვინტერესებს ეს ორი უკანასკნელი მომენტი ბარათაშვილის ჩინოვნიკურ კარიერისა: ხელთა გვაქვს მცირე ახალი მასალა.

როდის დაინიშნა პოეტი ნახჭევანში მაზრის უფროსის თანაშემწედ?

1845 წ. 9-ს თებერვალს პოეტი იწერება ნახჭევანიდან, რომ ის უკვე სამი თვეა იქ არის, მაშასადამე, 1844 წ. ნოემბრის პირველ რიცხვებში გაუმწესებიათ. არა გვაქვს ცნობა, თუ როდის დასტოვა ბარათაშვილმა ნახჭევანი, მაგრამ რაკი მისი უფროსი — ლევან მელიქიშვილი გაუნთავისუფლებიათ მისივე თხოვნით მაზრის უფროსის თანამდებობიდან 1845 წ., 12 მარტს (იხ. „ზაკ. ვ.“ № 15; ოფიც. გან.) და ჩვენ ვიცით რომ ბარათაშვილმა მასთან ერთად დატოვა ნახჭევანი<sup>1)</sup>, მაშასადამე, ბარათაშვილი ნახჭევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ ოთხი თვე ყოფილა (1844 წ. ნოემბრიდან, — 1845 წ. 12 მარტამდე).

ნახჭევანის შემდეგ პოეტი „ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანაშემწეობის ადგილზე. მისი თხოვნა მთაქობამ შეიწყინარა კიდეც და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოსულა მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯის მაზრის უფროსად იყო და თელავის მაგიერ წაიყვანა განჯას“.

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ დამადასტურებელი ცნობა, რომ ბარათაშვილი ვიდრე განჯას წავიდოდა, მართლაც თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ ყოფილა დანიშნული, მხოლოდ დაუნიშნავთ ტფილისში და კახეთს ჯერ არც კი იყო წასული, რომ განჯაში წაუყვანიათ. ოფიციალური ცნობა კი რომელსაც, ახლა ვაქვეყნებთ, ამკლავნებს, თითქოს ბარათაშვილი ამ თანამდებობას უკვე ასრულებდა. რასაკვირველია, უფრო დასაჯერებელია ბიოგრაფის — მესნარგიას ცნობა, რადღაც ნახჭევანიდან წამოსვლის დღიდან განჯაში დანიშვნამდე მხოლოდ სამს თვეს გაუვლია (12 მარტი, 12 ივნისი და ასეთ მცირე ხნის განმავლობაში, შესაძლოა ბარათაშვილი თელავს არც წასულიყო. ცნობიდან ირკვევა, რომ პოეტს თავისი ადგილი გაუცვლია რამაზ ანდრონიკაშვილისათვის, რომელიც მანამდის განჯის მაზრის უფროსის თანაშემწის ამსრულებლად ყოფილა.

ეს ცნობა ნ. ბარათაშვილის დანიშვნისა, განჯის მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილზე, — ამოღებულია „ზაკეკასესი ვესტიკ“-ის ოფიციალურ განყოფილებიდან: „Распоряжения Грузино-Имеретинской палаты:

1) ი. მესნარგიას სიტყვით, მელიქიშვილი და ბარათაშვილი ნახჭევანიდან ერთად წამოსულან: ორასი მანათი თურმე წაგო ქალაქში და მელიქიშვილს, რომელმაც იცოდა მესნარგიას ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ მერე გზის ფულსაც ვერ იშვოვი, და ჩამოყვანა ტფილისში (1922 წლ. გამ. გვ. 351).





მხ. პ. ჩელიშვილი  
ბოტანიკური ბაღის გამგე, თბილისი



მხ. პ. ჩელიშვილი  
„ჩვენ გავაბედნიერებთ საქართველოს“  
გო. ნესელოვი.

„Помощник Елисаветопольского уездного начальника (перемещен), коллежский секретарь кн. Рамаз Андроников—помощником Телавского уездного начальника, губернский секретарь князь Баратов,—исправляющим же должность помощника Елисаветопольского уездного начальника“.

ამ თანამდებობაზედ ბარათაშვილი დარჩენილა 12 ივნისიდან 9 ოქტომბრამდე (ძვ. სტ.), ე. ი. სიკვდილის დღემდე, დაახლოვებით სამი თვე.

1845 წ. დეკემბრის 3-ს, გარდაცვლილ ბარათაშვილის თანამდებობაზე დაინიშნა ვინმე დობრჯანსკი: „Добржанский допущен к исправлению должности помощника Елисаветопольского уездного начальника („Закав. Вестн.“, № 52).

#### 4. პოლკოვნიკი ფორსტენი

წერილში მაიკო ორბელიანთან პოეტი ასწერს რა თავის მოწყენილ ცხოვრებას მიყრუებულ ქ. ნახჭევანში, სადაც მახრის უფროსის თანამეგობარად ითვლებოდა, („ჩვენი აქ ცხოვრება, ჰსწორე გითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნების მეტი არა არის რა“), დასძენს: „ეს ერთი კაცი გვყავდა პოლკოვნიკი ფორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მართო დავრჩით“ (1922 წლ. აკად. გამ. 120).

ვინ არის პოლკ. ფორსტენი და რატომ დაენანა პოეტს მისი წასვლა ნახჭევანიდან? ჯერ-ჯერობით გამოიჩვენა, რომ ფორსტენი შეედი ყოფილა, რუსის სამსახურში. ხომ არ იყო იგი ცნობილი ლიტერატურული ინტერესებით?¹.

#### 8. სად გარდაიცვალა ნ. ბარათაშვილი?

ჩვენ ვიცით, რომ ნ. ბარათაშვილი სიკვდილის წინა თვეებში ცხოვრობდა მურუთში. ასე, უკანასკნელი მისი წერილები: (მაიკო ორბელიანისადმი და ბაბაღე და ლევან საგინაშვილებისადმი) დათარიღებული — პირველი 10 აგვისტოთი, მეორე — 23 აგვისტოთი დაწერილია მურუთში. მურუთი განჯიდან 14 კილომეტრზე დაშორებული მთაში, ძველი საავარაკო ადგილი იყო განჯისა (ელისავეტპოლი), რადგან განჯა ცხელი ადგილია, განჯის შეძლებული მოსახლეობა მურუთში გადიოდა საპეროდ.

ბარათაშვილსაც უკანასკნელი ზაფხული (1845 წ.) მურუთში გაუტარებია. საინტერესოა, სად გარდაიცვალა პოეტი თვით განჯაში, თუ ავარაკზე — მურუთში? რადგან სექტემბერი, როცა პოეტი ავად გახდა განჯისთვის ცხელ თვედ ითვლება, ამიტომ ვფიქრობთ, იგი მურუთიდან განჯას ჯერ არ უნდა ჩამოსულიყო. ამას გარდა ყუჩადღებას იქცევს ერთი ფაქტიც, ბარონ ა. პ. ნიკოლაიმ ბარათაშვილის სიკვდილის თითქმის წინა დღეს, სახელდობრ, 5 ოქტომბერს (პოეტი კი გარდაიცვალა 9 ოქტომბერს) განჯაში ინახულა ის ბინა, სადაც პოეტი ცხოვრობდა, მაგრამ ნიკოლაის იმ ბინის მობინადრეები — მამუკა ორბელიანი, რომელიც მაშინ განჯაში არ იმყოფებოდა, — და თვით ნ. ბარათაშვილი თავისი დღიურში ნახსენები არა ჰყავს. დღიურის მიხედვით კი ვიცით, რომ ნიკოლაი სწორად მათ სადგომში გაჩერდა. იგი ასწერს კიდევ ამ ბინას: „საშინელი ქობ-მახიაო“ („affreux bouge“). 5 ოქტომბერს კი ბარათაშვილი სასიკვდილო აგონიას განიცდიდა და შეუძლებელია, ნიკოლაის კრინტი მაინც არ დაეძრა, რომ იმ ბინაში, სადაც ის გაჩერდა, ადამიანი კვდებოდა. სხვა არ იყოს, მომაკვდავის სახლში ბინად იგი არც გაჩერდებოდა, მით უმეტეს ბარათა-

1. 1933 წელს, ჩვენ შეცდომით მივიჩნიეთ ფორსტენი ინგლისელად. ჩვენი შეცდომა „ფედერაციის“ გამოცემამაც გაიმეორა. ფორსტენის შესახებ იხ. „ლიტ. მატ.“-ის ამ წიგნში მოთავსებული მის. ხელთუბნელის ნარკვევი „უკანასკნელი წელი ნიკოლაოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა“, გვ. 350.

იაშვილის ბინა, სადაც ნიკოლაი გაჩერდა, აპარტამენტებს კი არ წარმოადგენ-  
და, არამედ ვიწრო „ქოხ-მახს“.

ამიტომ, ფეიქრობთ, შესაძლოა ბარათაშვილი გარდაიცვალა მურუთში,  
აღაც მან ზაფხული გაატარა და საიდანაც მძიმე ავადმყოფობის და ჯერ კი-  
ვევ სიცხეების გამო, შეიძლება ვერ მოახერხა განჯას ჩამოსვლა.

### 9. ბარათაშვილის უმცროსი და

თავის ერთ წერილში (2) აგვისტო, 1843 წ., თბილისი) ნ. ბარათაშვილი  
სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და  
აპლიპუტილამ მოგვიტახეს“. დღემდის ნ. ბარათაშვილის ყველა გამოსულ  
გამოცემებში „აპლიპუტილა“ განუმარტებელია, ხოლო ბარათაშვილის უკანასკ-  
ნელი გამოცემის („ფედერაცია“) კომენტარიებშიც „აპლიპუტილა“-ს კითხვითი  
ნიშანი უხის.

წერილში მოხსენებული: კატო, ბაბალე, ნინუცა—პოეტის დები არიან,  
მათთან ერთად „აპლიპუტილა“ ნინუცას მომდევნო დაა, სულ პატარა—სოფიო,  
რომელიც შემდეგში ვასილ სუმბათაშვილს მისთხოვდა. პოეტს განსაკუთრებუ-  
ლი აღერსით უყვარდა თავისი პატარა და, რომელიც ხსენებულ წერილის და-  
წერის მომენტში, 2 წლისა იყო (დაიბადა 1841 წ.).

ჩვენს ცნობას ადასტურებს სხვათა შორის, მოხუცი ანასტასია მაყაშვილიც,  
რომელმაც გადმოგვცა: „ძალიან ჰყვარებია ბარათაშვილს თავისი უმცროსი და  
სოფიო. ყოველ წერილში, რომელსაც კი სახლში ჰგზავნიდა, უსათუოდ ჰკით-  
ხულობდა „როგორ არის ჩემი „ლილიპუტაო?“ ცხადია აქ სიტყვის არევასთან  
გვაქვს საქმე და „ლილიპუტა“ „აპლიპუტილას“ გადამხინჯებას უნდა წარ-  
მოადგენდეს.

### 10. ნ. ბარათაშვილი და ეგნატე იოსელიანი

ნ. ბარათაშვილის მიმოწერაში ეგნატე იოსელიანი (1766—1843) რამდენ-  
ჯერმე იხსენიება. 1841 წ. ოქტომბრის 18-ს პოეტი სწერს გრიგოლ ორბელიანს:  
„მამა ეგნატიმ შემოგითვალა: „ქრისტემ გაკურთხოს“, ხოლო 1843 წ. 21  
აგვისტოს ორბელიანს ატყობინებს: „მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა<sup>1</sup>. იმიერ  
სოფლიდან, —ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა საწყალი! Вот человек, который  
по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило пер-  
ед ним и волновалось, как море — океан“.

ეგნატე იოსელიანი — მამა ცნობილის პლატონ იოსელიანისა — მეტად საყუ-  
რადლებო ფიგურაა თავის დროისა.

ერეკლე მეფის კარის მწერალი — კ. მამაცაშვილის სიტყვით, „ჩინებული  
მცოდნე იყო ქართული და სომხური ლიტერატურისა, გაზდილი მეფის სასახ-

1. ეგნატე იოსელიანის შესახებ იხ. პლ. იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. *Акты*, I; ალ. ორბელიანის დაუბეჭდავი ნაწერები, როტიერის მოგზაურობა და სხვ.

ეგნატე იოსელიანს მიმოწერა ჰქონდა დავით ბატონიშვილთან, გიორგი ავალიშვილთან,  
აღ კავკავაძესთან და სხვა.

ლეში და მნახველი საქართველოს ცხოვრებისა მეფის ირაკლიდგან მეფის გიორგის გარდაცვალებამდის“. იმავე კ. მაშაცაშვილის გადმოცემით, ნ. ბარათაშვილის მამის მელიტონის სახლში ძველ სწავლულ ქართველებს შორის „დაიარებოდა მღვდელი ეგნატე იოსელიანი“. ამ უკანასკნელი ფაქტისა და ბარათაშვილის წერილებიდან ზემოთ აღნიშნულების მიხედვით ეგნატე იოსელიანი ერთი იმ პიროვნებათაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც სარგებლობდა პოეტის სიმპატიითა და მეგობრობით, მაგრამ აქ ერთი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას.

ცნობილია, რომ ეგნატე იოსელიანი მეტად დაახლოვებული პირი იყო ერეკლე მეორესთან, როგორც მისი კარის მღვდელი და კარის მოძღვარი. ალ. ორბელიანი ერთს უცნობ, გამოუქვეყნებელ ნაკვეთში გვიამბობს, რომ ერეკლე მეფემ კრწანისის დამარცხების (1795 წ.) შემდეგ ეგნატე იოსელიანს, როგორც სანდოს და ერთგულს, საიდუმლოდ მიანდო ამ ბრძოლის დროს თბილისის სავაჭრო წრეების მიერ ჩადენილ ღალატის გარკვევა და მისი მიზეზები. იოსელიანს, რომელიც ამ წრეებს დაახლოვებული ყოფილა, საკითხი საფუძვლიანად შეუსწავლია და მეფესთან შესაფერი მოხსენებაც წარუდგენია.

ჩვენ ვიცით, რომ ეგ. იოსელიანი მეტად მტრულად იყო განწყობილი რუსთა მმართველობის წინააღმდეგ, მისი კანონის, სამართლის და მორალისა. „ძლიერნი ძალით სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამუასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთგან დაშორებულნი და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა. მიხედეთ ამათ, მართლმსაჯულებასა? გარნა კაცი დააწყობს ესრეთსა სამსაჯულოსა? აზიურთა და ძველთა ჩვენთა ჰსჯულის დებათა ეციინან, განიხილან! რომელია უკეთესი, უმოკლეს და უმეტეს მართლმსაჯულებით? ქრთამიო—იტყვიან. გარნა ესოდენი და ესეთი მექრთამობა შესაძლებელია სადმე? რა გაეწყობა? მივიღოთ ყოველივე სიმდაბლით და დავემორჩილოთ განვებისა ხელსა“. (პ. იოსელიანი, ცხ. გიორგი მე-13-ისა, გვ. 251—252).

ასეთი შეხედულებისა იყო ეგნატე იოსელიანი იმ სახელმწიფოებრიობაზე, რომელიც მის თვალწინ დამყარდა საქართველოში. ცხადია, ამ სიტყვების მოქმედი გულში ფარულ შურისძიებას ატარებდა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც დაამხო „ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო“ ირაკლი მეორისა. თუმცა მისი შვილის პლატონის სიტყვით, ეგნატე „იყო დიდად ფრთხილი სიტყვისა წარმოთქმისა“, მაგრამ ალ. ორბელიანის გადმოცემით, იგი „წარსულის სანატრელ“ ამბებთან ერთად, სასტიკ ავტოკრატის ეწეოდა რუსთა მთავრობის საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებით ახალ თაობაში, რომელშიც იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა<sup>1</sup>.

ფიქრობთ ამ ვაკლენას არ ასცდებოდა ბარათაშვილიც, რომელსაც თავისივე ოჯახში ეგნატეს ფარული, მაგრამ მკაცრი საუბრები სამშობლოს თავისუფლების დაკარგვის შესახებ, არა ერთხელ უნდა მოესმინა. შესაძლოა ეგნატესთან შეხვედრებამაც, სხვათა შორის, შეუწყეს ხელი ბარათაშვილის პოეზიაში ირაკლი მეფის და სოლომონ ლეონიძის კულტის მკვეთრად ჩამოყალიბებას და ბოლოს, ჩვენ გვგონია, რომ ბარათაშვილისთვის პოემის „მედი ქართლისა“—ს ერთ-

1. ეგნატე იოსელიანი 1832 წლის შეთქმულებაშიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ერთი სანდო ინფორმატორი უნდა ყოფილიყო ეგნატე იოსელიანი, როგორც მომსწრე და ზედმიწევნითი მცოდნე საქართველოს სამეფოს უკანასკნელი დღეებისა.

და თუ გავითვალისწინებთ ზემორე მოყვანილ ალ. ორბელიანის ჩვენებას, რომ ეგნატე ერეკლეს დავალებით იკვლევდა შინაგამცემლობის ამბებს და იმავე დროს გავიხსენებთ ბარათაშვილის პოემის ამ ადგილს:

ალა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!  
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით  
მაგრამ ვერა რა აენო ვერ საით.—  
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,  
და თურმე ყოვლით იმედ მიხდილი  
ქართლიდან წასვლას დააპირებდა;  
მაგრამ იუდა ქამს ეძიებდა!  
აჰა, მან იგი აწ მოიხელთა  
და მუხთალისა ანგართა ხელთა  
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბქენი!  
მან მტერთ უმსხვერპლა თვისი მოძმენი!..  
ჰსცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,  
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,  
მყისვე აღენტო ხელმწიფე გული.

შესადლოა ვიგულისხმობთ, რომ ეგნატე იოსელიანი ბარათაშვილის ერთი მთავარი ინფორმატორთაგანი უნდა ყოფილიყო ერეკლეს მეფობის სხვა მომსწრე სანდო პირებთან ერთად, რომელთა ისტორიულ ჩვენებებზე დაამყარა პოეტმა თავისი დიდებული პოემა „ბედი ქართლისა“.

### 11. ბარათაშვილს მემორაბეზი და თანამედროვე პოეტები. დავით მაჩაბელი და ალექსანდრე ჩიქოვანი

ზემოთ, ბარათაშვილის სალიტერატურო წრის შესახებ ლაპარაკის დროს ჩვენ ვახსენეთ ამ წრის ორი წევრი—არქანსტი პოეტები—დავით მაჩაბელი და ალექსანდრე ჩიქოვანი. რადგან ისინი სრულიად „დავიწყებული“ რიცხვს ეკუთვნიან, ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით შევეხოთ მათ ცხოვრებას და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ამ ორთა შორის დავით მაჩაბელი (1814—1873) უფრო პოპულარული იყო, როგორც ნიჭიერი პედაგოგი. 1832 წლის შეთქმულების მასალებიდან ირკვევა (მაჩაბელი ამ შეთქმულებაში ერია), რომ მოწაფე მაჩაბელს, როგორც ნიჭიერს ახალგაზრდას და პოეტს პირადად ხელმძღვანელობდა თვით სოლომონ დოდაშვილი<sup>1</sup>).

<sup>1</sup>. ერთს ჩვენებაში სოლომონ დოდაშვილი ამბობს: „Ужني быд у меня в доме. Читали сочинение ученика Мачабелова и рассуждали; говорили составить общество, положить сумму, из суммы купить библиотеку и типографию“.

ამავე მასალებიდან ჩახს, რომ ჯერ კიდევ ყრმა დავითი ცხოვრობდა ცნობილ მწიგნობარ ეფრემ ალექსი-მესხიშვილთან.

დ. მაჩაბელმა (ბარძიმის ძე) 1835 წ. დაასრულა თბილისის გიმნაზია და თვით ბარათაშვილის წრეში ჰქონდა რეპუტაცია „განათლებული კაცის“- „რუსულს ენაზედ კარგად მცოდნარე, ძველისა და ახლისა ყოვლისა ისტორიისა და საგნისა გამომრკვეველ მცოდნარე“. ასე ახასიათებს დ. მაჩაბელს „ცისკარი“, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით იპყრობდა „ლექსთხულებანი მისნი სასიამოვნო გემოვანი და შეწყობილნი კარგის ხელოვნებითა“. ამიტომ მაჩაბლის პოეზიისადმი სიმპატიისთვის ბევრის მოქმელია ის ერთი განცხადება, რომელიც „ცისკარმა“ გამოაქვეყნა 1852 წ. (№ 4, გვ. 75); „რედაქცია ამა ჟურნალისა განუცხადებს გულითად მადლობას თავადს დავით ბარძიმის ძეს მაჩაბელს, რომელმანც განამშვენა და ბრწყინვალისა ლექსებით კვალად იმედულობს რომელ, სიყვარულასთვის თვისის მშობლიურის ენისა, წარმოგზავნის თვისთა შრომათა“.

დავით მაჩაბლის ლექსებიდან „ცისკარში“ დაბეჭდილია: „ვარდი“, („ცისკარი“, 1852, № 4), „ლოცვა ტრფიალისა“ („ცისკარი“, 1853, № 4), „ალერსი“ (იქვე), „უმანკობა“ („ცისკარი“, 1853, № 4) „ქართლოს-ძეულად“ 1853-სა 4-5 და 1856-სა წელთა („ცისკ.“, 1857, № 7), „კალამი“ („ცისკ.“, 1859, № 2), „ჩონგური“ (იქვე), „დიდი პარასკები“ („ცისკ.“, 1859, № 1), „ჩემი ლოცვა“ („ცისკ.“, 1857, № 6), „ვიხილე არე ჰაეროვანი“ („ცისკ.“, 1860, № 11), „ჩემს მინერვას“ („ცისკ.“, 1864, № 5), „ფილონისადმი“, თარგმანი, („ცისკ.“, 1864, № 11), გარდა ამისა დ. მაჩაბლის ლექსი, „თოვლი“, დაბეჭდილია ჟურნალ „თბილისის უწყებაში“, 1832 წელს, № 4.

მასვე ეკუთვნის: „ქართველ ზნეობა“ 1. ვალობა („ცისკ.“, 1864, № 5); „მადლობა რედაქტორისადმი ჟურნალისა ამის მიმღებისაგან და მცირე რაიმე შენიშვნა სასარგებლოდ ჟურნალისა ავქსონთა და წამკითხელთა“. („ცისკ.“, 1857, № 1).

დავით მაჩაბელი, რომლის ლექსი სხვა მის თანამედროვე პოეტებისაგან გარჩევა მუსიკალობით, უსათუოდ შესწავლის ღირსია, როგორც პოეტი და და როგორც ბარათაშვილის პირადი მეგობარი<sup>1)</sup>.

დ. მაჩაბელი მოკლეს 1873 წ. მძინარე თავის სახლში ბოროტგამზრახელებმა, ხოლო მის სახლს ცეცხლი მოუკიდეს („ცისკარი“, 1873 წ., № 9).

\* \*

მეორე საინტერესო პიროვნება ბარათაშვილის წრეში იყო პოეტი ალექსანდრე ჩიქოვანი (1806-1858), ნიკ. ბარათაშვილის ახლობელი მეგობარი.

<sup>1)</sup> ზ. მთაწმინდელი თავის წიგნაკში: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ სწერს: „სკოლაში ყოფნის დროს ბარათაშვილზე ერთობ დიდი გავლენა ჰქონია დ. მაჩაბელს, ეს დავით მაჩაბელი იყო მის მასწავლებლათაყო. ამ დ. მაჩაბელთან ხშირად დადიოდა ნიკოლოზი და თავის ლექსებსაც უკითხამდა ხოლმეო (გვ. 29). ჭიჭინაძის ცნობა შემცდარია. დ. მაჩაბელი, რომელიც დაიბადა 1814 წელს, ცხადია ბარათაშვილის მასწავლებლად ვერ იქნებოდა. ზედმეტია ლაპარაკი ბარათაშვილზე მაჩაბლის ლექსების გავლენაზედაც. ერთი ცხადია, ჭიჭინაძემდე მიუღწევია ცნობას ნ. ბარათაშვილის და დ. მაჩაბლის მეგობრობის და ლიტერატურულ ურთიერთობის შესახებ.

„ალ. ჩიქოვანი „ცისკრის“ პირველ ხანებში საკმაოდ ცნობილი იყო ქართველ მწერლებისაგან“ („ივერია“, 1887 წ., № 74). იგი მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძალად ითვლებოდა, „ცისკარმა“ მას უწოდა „კალამში მხნე“, ხოლო მისი სიკვდილი შემდეგი სიტყვებით აღნიშნა:

„შეგვიძლიან გაბედვითა ვსთქვათ, რომ „ცისკრის“ რედაქცია შეიმსკვალა წარსულს თვეში მწუხარებითა, რა მოაკლდა მას იმ გუარი თანამშრომელი, რომელიცა განაშვენებდა ჩუენს ქართულს ლიტერატურასა, თავისის მეცადინეობით მწერლობით: მაისის 26-ს, შუადღითგან 5 საათზედ გარდაიცვალა თვით უმცირეს ქაშში, გარნა სასტიკ სნეულებით, თანამედროვე მწერალი ჩუენი, რომოცდაათ-თორმეტის წლის მექონე თავადი ალექსანდრე ჩიქოვანი. რომელთაცა წარუკითხავთ განსვენებულის ლექსები: „ვედრება“, „ნუგეში გულისადმი“, „დროება საუკუნისადმი“ და სხვ. სარწმუნო ვართ განიყოფენ ისინიცა ჩუენთან მწუხარებასა<sup>1)</sup>.

ალექსანდრე ჩიქოვანს ეკუთვნის „ცისკარში“ დაბეჭდილი ლექსები: „დროება საუკუნოებისადმი“, („ცისკა“, 1857 წ., № 3), „ვედრება“ („ცისკა“, 1857 წ., № 4), „ნუგეში გულისადმი“ („ცისკა“, 1857 წ., № 5), „ქორი და ბუ“ („ცისკა“, 1859 წ., № 2), „შაშვი“ („ცისკა“, 1858 წ., № 11) და სხვ. მაგრამ მისი ნაწერები უმთავრესად დაკარგულია.<sup>2)</sup>

ვაზ. „ივერიის“ სიტყვით ალ. ჩიქოვანის „ნაწერები უთაურობით ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიკარგა. ზ. შთაწმინდელის (ზ. კიკინაძეს) გადმოცემით, 1878 წ. „თბილისის იარმუჯაზე“ გაიყიდა ჩიქოვანის მდიდარი ბიბლიოთეკა. ეს წიგნები იყიდეს იარმუჯის მეწვრიმალებმა ფუთოზით. ეს წიგნები მეცა ვნახე, საიდანაც ამოვარჩიე რამდენიმე ხელთნაწერი წიგნები და ვიყიდე... ამავე წიგნებში მე მოვიპოვე ბარათაშვილის ლექსები, თითქმის ყველა ის ლექსები, რაც კი დაბეჭდილნი არიან“. ამავე ძველ წიგნებში ერია ერთი ძველი რალაც პოემა, რომელიც „ივერიელთა“ სახელწოდებით იწყობოდა, მაგრამ ბოლოზე კი არ ჰქონდა მიწერილი დამწერის სახელი; ეს პოემა 20 კაპ. მაძლია მეწვრიმალემ, მაგრამ მე ფული აღარ მეყო და ვიდრე მეორედ ჩავიტანდი და ვიყიდდი, ის უკვე სხვას ეყიდნა“. (იხ. ნ. ბარათაშვილი ზ. შთაწმინდელისა, 1885 წ., გვ. 16-17).

## 12. მიხაკო ორბელიანი

(1817—1846)

ბარათაშვილის ახლო მეგობრის მიხაკო ორბელიანის ვერსიფიკატორობა გამოირკვა 1916 წელს, როცა გამოქვეყნდა ნ. ბარათაშვილის, მიხეილ ორბე-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1858, № 7; აქვეა დაბეჭდილი ივ. კერესელიძის და ზაალ ზაალოვის ლექსები, ჩიქოვანის გარდაცვალებაზე.

<sup>2</sup> ალექსანდრეს შეიღმა გიორგი ჩიქოვანმა (1841-1887), სთარგმნა ვიქტორ ჰეგოს „საბრალონი“ (Les Misérables), რომელიც 1863 წ. იბეჭდებოდა „საქ. მოამბეში“ (იხ. № № 2 მ, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12). ნ. გოგოლის მოთხრობა „რაზე მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანის ივან ნიკოლოზთან“ (ნ. ნიკოლაძის „ქრებული“ 1871, № № 2, 3, 4, 5), და სხ. (იხ. ნეკროლოგი, „ივერია“, 1887 წ., № 74).

ლიანის, ელენე ერისთავის და მარიამ ფალავანიშვილის ეპიგრაფული ექსპრომტები.

ცნობილია მარიამ ფალავანიშვილის პასუხი მიხაკო ორბელიანისადმი (მიხაკო ორბ. და ბარათაშვილის პირველი ექსპრომტები დაკარგულია) და ნ. ბარათაშვილისადმი და შემდეგ მიხაკოს ორივე პასუხი (იხ. „ფედერაციის“ 1939წ. გამოცემა, 127—128). გრიგოლ ორბელიანის ერთი წერილიდან სჩანს, რომ მიხაკო ეპიგრაფისტი ყოფილა. 1846 წელს გრიგოლ სწერს მანანა ორბელიანს (გვ. 120) მისი ვაჟის ივანეს შესახებ: „ოჰ, ერთი ჩამივარდეს ეგ (ივანე) ხელში, რომ ცხარის ცრემლით ვაწყველინო სიცოცხლე! მიხაკო ტყუილად კი არ ამბობს:

„ვანო ჩვენი ყვიციანი,  
სულთ, ხორკით ჩიხიბიხო!“

და წერილის ბოლოში: „ვიცი, გამლანძღავს, თავისი ნებაა, მაგრამ მაგის დევიზი კი მანამ ეს არის:

„ჩვენო ვანო,  
ყვიციანო,  
სულთ, ხორკით ჩიხიბიხო!“

გრიგოლის მიერ მოყვანილი სტრიქონები, ეტყობა ფრაგმენტია მიხაკო ორბელიანის რომელიმე სატირულ ეპიგრამისა, რომელსაც ეტყობა ერთგვარი გამოხმაურება ჰქონია, რომ გრიგოლს ზეპირადაც კი სცოდნია, მაგრამ ხსენებულ სატირას ჩვენამდის კი ვერ მოუღწევია.

როგორც ახლა ირკვევა, მიხაკოს უწერია „ნამდვილი“ ლექსებიც, გიორგი ერისთავის ალბომში ჩვენ ვნახეთ (საქ. ლიტ. მუზ. ხელნაწერი №.  $\frac{516}{1}$ ) მიხაკო ორბ. ერთი ავტოგრაფული ლექსი ანაკრონული შინაარსისა. ლექსს თარიღად უზის 1841 წ., 21 მაისი. მოგვყავს ეს ლექსი მთლიანად:

ქეიფთა ლხენას  
უზრუნველობას,  
ძმანო მივაგოთ  
დღენი ჩვენია,  
ვისა რა სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე მოვიდეს  
ჩვენთან სალხენად!  
ღმერთმან რო შგჭმნა სოფელი ესე,  
საკვირველებით აქცია სასმე,  
რადგანაც აქა ყველა ბევრია,  
ლხენას მივაგოთ დღენი ჩვენია.  
ვისაც რო სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე მოვიდეს  
ჩვენთან სალხენად!  
ჩუენ რასა გებაძმთ ფილოსოფოსთა  
ან ჩუენ რადა ვთვლით მაღლა ვარსკვლავთა—  
იმათი დღენი სიბრძნით ტანჯულნი



განვლიან მწარედ ამა სოფლადა.  
ვისაც რო სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე მოვიდეს  
ჩუენთან საღებნად!  
ფილოსოფოსნი—ჩუენი გულია  
ცისა ვარსკვლავნი—ჩუენნი ქალები!),  
გული გავალოთ—ქალთა უწოდოთ,  
ჩუენთვის და მათთვის სადღეგრძელო ესოთ.  
ვისაც რო სურდეს  
ბედნიერ ყოფად,  
დეე მოვიდეს  
ჩუენთან საღებნად!

თ. მიხეილ ორბელიანი

1841 года, 24 мая  
Колупан (?)

\* \* \*

როგორც მკითხველი დაჩმუნდება, ეს ლექსი შემთხვევით ვერსიფიკატორს არ უნდა ეკუთვნოდეს. ასე თუ ისე ავტორი გამოცდილი კალმის პატრონია. ცხადია, მიხ. ორბელიანის სხვა ლექსები ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ენლა ცხადი ხდება ნ. ბარათაშვილის მეგობრობა და სულიერი კავშირი მიხაკო ორბელიანთან. ნათესაობის გარდა, ალბად, მათ ლიტერატურული ინტერესებიც აკავშირებდათ. საინტერესოა ისიც, რომ ლექსის ტექნიკით იგი ბარათაშვილის სკოლის მიმდევარი ყოფილა და არა არქაისტი, როგორც იყვნენ ბარათაშვილის მეგობარი-პოეტები: დავით შაჩაბელი და ალექს. ჩიქოვანი. ბარათაშვილს და მიხაკო ორბელიანს ერთმანეთთან მიწერ-მოწერაც ჰქონიათ. 1845 წ. 9 თებერვალს, "ბარათაშვილი ნახუევანიდან სწერს მაიკო ორბელიანს: „ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი . . . ძმა წიგნს არა მწერს“-ო. სამწუხაროდ, მათს მიწერ-მოწერას ჩვენამდის ვერ მოუღწევია. ცნობილია ბარათაშვილის გულითადი მეგობრობა მიხაკოს დასთან მაიკოსთან, რომელიც შესანიშნავ რომანტიულ პიროვნებად გვევლინება. ეს მეგობრობა ბავშვობიდან სიკვდილის დღემდის არ გათავებულა. „ვიცი რომ, გიყვარ-ვარ, მაგრამ შენმა გაზდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე“ სწერს ერთს წერილში<sup>1)</sup>. მაიკოს პოეტი უზიარებდა არა მარტო თავის უინტიმურეს გრძნობებს, არამედ თავისს პოეტურ შემოქმედების კურსშიც მუდამ შეჰყავდა ხოლმე. ცხადია, ეს მეგობრობა მაიკოს ძმაზედ უფრო მეტად უნდა გავრცელებულიყო, როგორც პოეტზედ, მით

1) დედანში: ქაღინა.

2) თვით პოეტის ჩვენამდე მოღწეული უკანასკნელი წერილიც კი (1845 წ. 23 აგვ.) მაიკოს გახსენებით თავდება: „მაიკოს უთხარ, რა ხანია თავის წიგნის პასუხი ვაპოვებავენო“ (ბაბაღ ნავინაშვილისადმი). ამ წერილს, ისე როგორც ზოგ სხვა წერილს მაიკოსადმი, ჩვენამდის არ მოუღწევია.

უმეტეს მიხაკო ორბელიანი ბარათაშვილის სულ ახლო ნათესავი იყო (დედის ბიძაშვილის-შვილი) ვარდა იმისა, რომ ისინი ერთად იზრდებოდნენ. <sup>1)</sup>

\*\*\*

რამოდენიმე სიტყვა მიხაკო ორბელიანის ბიოგრაფიისათვის:

ჩემის ცნობით მიხ. ქაიხოსროს-ძე ორბელიანი დაბადებულია 1817 წელს. ხოლო გრიგოლ ორბელიანის პირად წერილებიდან ირკვევა, რომ მიხაკო ორბელიანს 1836 წელს ოფიცრობა მიუღია, 1839 წ. პორუჩიკი ყოფილა, შემდეგ გენ. ვ. ბეზუთოვის ადიუტანტი დალესტანში, სადაც იგი მოულოდნელად გარდაცვლილა 1846 წ. სრულიად ახალგაზრდა. 1846 წ. 29 აპრილს გრიგოლ ორბელიანი სწერს თავის ძმას ზაქარია ორბელიანს: „ჩვენის საბრალოს მიხაკოს სიკვდილს მგონია, ჩვენის წერილით აქაჲდის შეიტყობდი; მაცნობე, ქაიხოსრომ შეიტყო თუ არა; ბეზუთოვმა კი მისწერა“ (წერილები, ა. ვაწერელიას რედ. გვ. 121), ხოლო იმავე წლის 27 მაისს, იქიდანვე სწერს მეორე ძმას ილიას: „ჯერ დავმარხე საბრალო ჩვენი მიხაკო, რომელიცა აღდგომა დღეს ვადმოვარდა ცხენითგან და მაშინვე მოკვდა“<sup>2)</sup> (გვ. 123), ხოლო 1847 წელს, 28 აპრილს სწერდა ქეთევან ორბელიანს: „მაიკოს შეუთვალეთ, რომ საბრალოს მიხაკოს ორივე ბექედი—ქალაღდების საბექედით—ერთი გვაროვნობისა და ერთი პატარა, რომელზედაც გამოკრილია მისი სახელი, აქა მაქვს. საბრალო მიხაკოს ბიჭი ჩერქეზა მოკვდა ქლეჩით და დაიმარხა მიხაკოს საფლავთან“ (გვ. 152). აქედან სჩანს, რომ მიხაკოც ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ მომკვდარა. მალე (1849 წ.) ქლეჩით გარდაიცვალა მაიკოც, რომელმაც სულ მცირე დროში დაჰკარგა ორი ძვირფასი მეგობარი.

### 13. მამუკა ორბელიანი

(1800—1871)

მამუკა ორბელიანიმა ძალაუნებრივ საბედისწერო როლი ითამაშა ბარათაშვილის ცხოვრებაში. 1845 წელს თელავში გასამგზავრებლად გამხადებულს

<sup>1)</sup> მაიკოს და მიხაკოს მამა—ქაიხოსრო გიორგის ძე ორბელიანი და ბარათაშვილის დედა—ეფემია ნამდვილი ბიძის შვილები იყვნენ.

<sup>2)</sup> გრიგოლ ორბელიანი მიხაკოს, როგორც ახლო ნათესავს დიდი „სიყვარულით“ კითხულობს ჯერ კიდევ 1836 წელს ქ. კონიდან (წერილები, გვ. 42); მეორე წერილში, 23 დეკ. 1839 წ. გორიდან სწერს თავის ძმას ილიას—„ამბავი მაცნობე წერილად, აგრეთვე პორუჩიკის მიხაკოს (50). ილია და მიხაკო თანშეზრდილი მეგობარები ყოფილან სამხედრო სამსახურშიც ერთსა და იმავე დროს შესულან. 1836 წ. გრიგოლ ორბ. სწერს ილიას დინაბურლიდან: „მიხაკოს სიყვარულით მოვიკითხავ. გინძლო, რომ ერთმანეთი გიყვარდესთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს (ბარათაშვილის ? გ. ლ.) გვიყვარდა ურთიერთი.—მშვიდობით ძმებო. ღი იყოს მფარველი თქვენდა (წერილები, გვ. 43).

სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ბარათაშვილის სიკვდილის ამბავი ჯერხანად გრიგოლისთვის დაუშალიათ და მხოლოდ მიხაკოსთვის შეუტყობინებიათ: „ტატოს ამბავი“, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი, მომწერე, ცოცხალია თუ გვედარი?—უცნობლობა მკლავს. შენ მიხაკოსთვის მოგწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა. ამაწაც წიგნი არ მაჩვენა, ისე, ზებირად მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს.—ახ, ეს დამალვა რა არი, თუ მიხაკოს სწერ, მე რაღა ვარ?“ (წერ., 118)—სწერდა გრიგოლი ილიას.

პოეტს მამუკამ გადაათქმევინა სამსახურის გევმა და განჯაში წაიყვანა თავის მოადგილედ, თუმცა, როგორც გადმოცემა ამბობს, ბარათაშვილს განჯისკენ გული სრულიადაც არ მისწევდა.

მამუკა ორბელიანი პოეტის უფროსი მეგობარი იყო. 1844 წელს, ნ. ბარათაშვილს მამუკასთან ერთად ვხედავთ ახალგაზრდს, თავისი დის ქორწილში... „მერე შე და მამუკა გორს გადავედით...— იქიდან ატენში გადავედით, კნიაზი (ერისთავი) ძალიან კარგად დაგვხვდა; სულ შუშურები გვასვა, — ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა“. სწერდა ქართლში მოგზაურობით ნასიამოვნები პოეტი ზაქარია ორბელიანს.

მამუკა ორბელიანი განთქმული იყო გმირული ვაჟკაცობით კავკასიის ბრძოლებში (მის შესახებ ცალკე ბროშურაც კი არსებობს რუსულად. ვაზ. „კავკასის“ გამოცემული).

მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, სახელოვანი მხედარი და ვაჟკაცი, რუსეთის არმიის გვარდიელი, — მწერლობის ინტერესებით გამსჭვალული ადამიანი ყოფილა და სწორედ ეს მომენტია ჩვენთვის საგულისხმო მამუკას და ნ. ბარათაშვილის მეგობრობაში. მამუკას გარდაცვალების გამო მოთაყენებულ ნეკროლოგში „ცისკარი“ ხაზს უსვამდა მის პოეტურ პიროვნებას, როცა სწერდა: „პოეტი არ იყო ის კაცი? განსვენებული სწორედ პოეტი იყო, ისეთი პოეტი, რომელიცა ბევრით ჰგავდა იმ პოეტებს, რომელნიც სწერენ ლექსებს და გული კი სავეთ აქვთ ღვარძლითა“. მართლაც, მამუკას ვაჟკაცურ ცხოვრებასთან ერთად განთქმული იყო მისი „გრძნობით სავეთ გული“, და „ნათელი გონება“, („ცისკარი“, 1871 წ., ივ. კერესელიძის წერილი).

სხვათა შორის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მამუკას ერთი ლექსი, — „აღარა ვხედავ წარსულს დროებას“ დაბეჭდილია 1862 წ., „ცისკარში“ (№ 9, გვ. 10—13).

ელისაბედ ორბელიანის სიტყვით, მამუკას უყვარდა ლექსები, საერთოდ პოეზია, მოსწონდა პუშკინი და ხშირად იმეორებდა მის პოემას („Братъя раз-бѣйники“).

ცნობილია აგრეთვე, თუ რა შთაბეჭდილება მოუხდენია მამუკაზე პუშკინის სიკვდილს, როცა მან გამოსთქვა სურვილი პუშკინის მკვლელ დანტესთან ხმალში გამოსვლისა შურის საძიებლად.

მამუკა მშობლიური მწერლობის დიდი მზრუნველი ყოფილა. ამ შემთხვევაში ბევრის მეტყველია 1865 წლ. „ცისკრის“ ერთი განცხადება:

„კნიაზმა მამუკა ორბელიანმა, რა არის „ცისკრის“ გამოცემა არ მოისპო-სო, ინება ხელის მოწერა თხოუმეტ წიგნზე და ფულიც შემოიტანა თორმეტი

<sup>1</sup> მისი ოჯახის წევრმა ელისაბედ ორბელიანმა გადმოგვცა ერთი უცნობი ეპიზოდი მამუკას ცხოვრებიდან: ერთხელ, მამუკა ზოპერის პოლიკს ყმაწვილ ყაზახებით შეხვდა ყაზახის ერთ ადგილს. ყმაწვილი ყაზახები სულ გაიქცნენ და მამუკასთან დარჩა მხოლოდ ერთი ქართველი კაცი ნინია. მამუკა და ყაზახი შეეტაკნენ ერთმანეთს. მამუკა მოერიდა და მიიმეღ დასჭრა ყაზახი. ამ უკანასკნელმა სახლში წაყვანილმა დალია სული. სიკვდილის წინ ყაზახიმა დამბაჩა გაზოფუზაგანა მამუკას და შემოუთვალა: მე ვერ მოვახერხე შენი მოკვლა, მაგრამ გიგზანნი ჩემ დამბაჩას და ამასთან ფუცხადებ შურისძიებას ყველა ორბელიანებსო“.

თუმანი, ისიც იმ პირობით, რომ რედაქციისაგან მიერთმეოდეს ყოველ თვეში მხოლოდ თითო წიგნი თავისი დამატებით „გუთნის დედით.“ ამგვარს კეთილშობილურს გრძნობას ვაცხადებთ სახალხოდ და სახალხოთვე მოვახსენებთ უფულოთადესს მადლობას“ („ცისკარი“, 1865 წ., ნომბრის).

ცალკე ხაზგასმულია მამუკას ოჯახის მოღვაწეობა ქართულ თეატრის საქმეში. ასე, თუ რომ მამუკას მეუღლის—ქეთევან ორბელიანის შესაფერი აქტიურობა, არა, შეიძლება დაბრკოლებულიყო 1850 წ. პირველი ქართული წარმოდგენის „გაყრის“ დადგმა. გიორგი წერეთელი გვიამბობს, იმ ბრკოტის დროს, რომელიც ძველი თაობის არისტოკრატიულმა ოჯახებმა გაუმართეს პირველ ქართულ წარმოდგენას, მართლაც რომ გ. ერისთავი ამ საქმეს თავს ვერ მოაბამდა, გონება განათლებული და კეკელამჯდარი კნენია ქეთევან ორბელიანისა, რომ არ გასჩენოდა მფარველ ანგელოზად. ქეთევანმა მტკიცე ხასიათი გამოიჩინა... ის თანაუგრძნობდა თავის ნათესავის (ქეთევანი ერისთავის ქალი იყო) ნიქს, წინდაწინვე გულში იხატავდა, რა დიდ საქმედ იქნებოდა მომავალში ქართული თეატრის დაარსება. აი ამ ქალმა მიიმხრო სხვა წარჩინებული გვარის ქალებიც“-ო.

ქართული კულტურის მეცენატობის ტრადიციას აგრძელებდა მამუკას ასულიც, ალექსანდრა—ლევ. მელიქიშვილის მეუღლე.

ქურნალ „კრებულის“ (№ 9, 1899, გვ. 3) ერთ-ერთ სარედაქციო წერილში, აკაკი სწერდა:

„როცა ზეპირსიტყვაობის პროგრამა გამოაცხადე, ბევრმა სიხარულით მიიღო და თითო-ორიოლა გროში კიდევ შემოსწირეს შეძლების-და გვარად თანამგრძნობლებმა და მასთანვე ყოველწლიური დახმარებაც იკისრეს, მაგრამ როცა შეუდგეით საქმეს, თვალი აგვარიდეს და მიგვანებეს თავი. მხოლოდ ერთმა, კნენია ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქოვისამ, რომელიც კალმითაც გვეხმარებოდა, აღმოუჩინა ფულითაც ჩვენ ნაკისრავ საქმეს. მის მეტს არც კი ვახსენებია ვისმე“-ო.

ალექსანდრა ცნობილ ლევან მელიქიშვილის მეუღლე მწერლობაშიც იღებდა მონაწილეობას. იგი უცხო ენებიდან მხატვრულ თარგმანებს ათავსებდა ქურნალ „ივერიაში“ და აკაკის „კრებულში“.

#### 14. სად ცხოვრობდა თბილისში ნ. ბარათაშვილი?

როგორც ირკვევა, პოეტს ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია გარეთუბანში (ორბელიანთ უბანში), შემდეგ ერეკლეს ნასახლარის სიახლოვეს (ყოფ. ეგზარხოსის, ახლა ბებელის მოედანთან), ხოლო 1841 წ. პოეტის ოჯახი დაბინავებულია ანჩისხატის უბანში. 1841 წ. მაისის 28-ს პოეტი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენც ახალ სახლებში გადავედით, ანჩისხატის უბანშიო“.

რადგან პოეტის სხვა დაბინავებები არ შენახულა და ამასთან ანჩისხატის უბნის ბინა უკანასკნელი სადღური იყო პოეტისა თბილისში, ამიტომ მისი ადგილმდებარეობის დაზუსტება დიდ ინტერესს იწვევს.



სახლი (ჩაბრუხაძის ქ. № 17), რომელშიც ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი (მარცხნივ, ქვედა სართული)  
ნახ. დ. გველესიანისა.

კარგა ხანია, რაც ჩვენ საკმაო კვლევა-ძიება ჩავატარეთ ამ საკითხის გარშემო და პოეტის უკანასკნელი ბინის ადგილსამყოფელიც საბოლოოდ დავადგინეთ.

რომელი სახლი იყო ანჩისხატის უბანში პოეტის-ბინა? პოეტის ახლო ამხანაგი, ცნობილი კონსტანტინე მამაცაშვილი 1881 წ. ვახეთ „დროებაში“ წერდა: „ბარათაშვილის სახლობა ცხოვრობდა ანჩისხატის ქუჩაზედ, ქვეითკირის სახლებში, პირდაპირ ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი მესხიევის სახლისაო“.

დიმიტრი მესხიშვილის სახლი დღემდე შენახულა. იგი მართლაც მდებარეობს ანჩისხატის სიახლოვეს, ჩახრუხადის ქუჩაზე (ყოფ. ბაგრატიონის ქ. № 14), ხოლო მის პირდაპირ დვას სახლი № 17, რომელშიც, მამასადამე, უცხოვრია ნ. ბარათაშვილს. ეს სახლი ანჩისხატის ეკლესიის პირდაპირ დვას (ანჩისხატის ქუჩა № 10), ხოლო ზურგით ჩახრუხადის ქუჩაზე გადის. სახლი წინათ ჰკუთვნებიათ ფურცელაძეებს, შემდეგ მდივნებს. მამაცაშვილის ცნობის გარდა, ამ სახლის ძველ მებატრონეთა ოჯახშიც დაცული ყოფილა გადმოცემა, რომ სწორედ ამ სახლში ნ. ბარათაშვილს უცხოვრია. ჩვენ ვესაუბრეთ სახლის ყოფ. მებატრონე ფურცელაძეთა ოჯახის ერთერთ წევრს, რომელმაც დაგვიდასტურა ქ. მამაცაშვილის ცნობა. ქეთევან ქაიხოსროს-ასული ფურცელაძე-ჯაფარიძისა გადმოგვცემს: „დედაჩემ ეკატერინე ფურცელაძისაგან ვამიგია, რომ ჩვენს სახლში უცხოვრია ნიკ. ბარათაშვილს. ეს ისე დანამდვილებით იცოდა დედაჩემმა, რომ ერთ დროს უნდოდა გაეკეთებინა ჩვენს სახლზე დაფა შესაფერი წარწერითო“. ქეთევანის დედა ეკატერინე დიმიტრის ასული (ღვინიაშვილი) თავის დროისათვის ცნობილი იყო, როგორც საზოგადო მოღვაწე და მშობლიური ლიტერატურის მონაწილე. მისი მხატვრული თარგმანები ფრანგულიდან და რუსულიდან იბეჭდებოდა ძველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში; ცხადია, ასეთ მოწინავე ქალს ნამდვილად გამორკვეული და შემოწმებული ექნებოდა გადმოცემა მათ სახლში ნ. ბარათაშვილის ბინადრობისა.

ფურცელაძის სახლი-ნ. ბარათაშვილის დროს ჰკუთვნებიათ პავლიაშვილებს, მათგან შეუძენია დიმიტრი ღვინიაშვილს, ეკატერინეს მამას, რომელიც 1853 წ. გარდაცვლილა. სახლი ძველად ბანიანი ყოფილა, ჩახრუხადის ქუჩიდან ერთსართულიანი, ხოლო ანჩისხატიდან—ორსართულიანი. სახლს შესავალი ანჩისხატის მხრიდან ჰქონია, ხოლო ჩახრუხადის ქუჩისკენ ფანჯრები გადიოდა. მეორე სართულში ყოფილა 4-5-ოთახიანი ბინა. როცა ეკატერინე და ქაიხოსრო ფურცელაძეები გადმოსულან გორიდან (1895 წ.), სიძველის გამო სახლი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ და სართლიც მოუდგამთ.

ეს ცნობები, ფურცელაძეების გარდა, გადმოგვცეს ანჩისხატის უბნის ძველმა მობინადრეებმაც: სარდიონ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილმა, რომელიც ამ სახლის მეზობლად ცხოვრობდა (1864-1872 წლებში) და რომელიც 1939 წ. გარდაიცვალა 76 წლისა, ვარაზაშვილმა, რომელიც 1880-იან წლებიდან ცხოვრობს აქ, აგრეთვე ალექსი ჭილაშვილმა (68 წლ.).

აქვე მოგვყავს ძველ „ანჩისხატის უბნელთა“ ჩვენებები, რომელიც ჩვენი დავალებით და მითითებით ჩასწერა საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმის თანამშრომელმა გიორგი მოზლოკელმა:

**ალექსი-მესხიშვილი სარდიონ სარდიონის ძე 75 წლ.**

(თბილისი, ვარდისუბნის ქ. № 4)

პაპა ჩემს დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს ჰქონდა საკუთარი სახლი ანჩისხატის უბანში, ბაგრატიონის ქ. № 146. სახლი მაშინაც და ეხლაც ორსართულიანი—მხოლოდ ბანიანი იყო. ჩვენს პირდაპირ იყო სამი სახლი, თითოეული მათგანი და № 17 ბანიანები იყო მაშინ და ერთსართულიანი. მე 8 წლისა ვიქნებოდი, როცა დაეიარებოდი გრიგოლ პავლიაშვილის სახლში, ეხლა ის გადაკეთებულია ორსართულად. ეს იყო ძველებური სახლი, შიგ იქნებოდა 4—5 ოთახი, ეზო ჰქონდა ანჩისხატის უბნისკენ. შემდეგ მე წავედი სასწავლებლად რუსეთს. იქ დიდხანს დავრჩი და მას მერე აღარ მიცხოვრია იმ უბანში.

**ვარაზაშვილის ქვრივი**

ჩვენს გვერდით იყო ფურცელაძიანთ სახლი. ისინი დიდ ხანს არა ცხოვრობდნენ თბილისში. შემდეგ როცა გადმოვიდნენ გორიდან, მათ შეაკეთეს თავიანთი სახლი, რომელიც ერთი მხრით გადიოდა ბაგრატიონის ქ-სკენ და მეორე მხრივ—ანჩისხატის ეკლესიისაკენ. გადაკეთებისას 3-სართულიანი სახლი გაშართეს წინათ კი 2-სართულიანი იყო. № 17-ის გვერდით სახლი ეკუთვნოდა თამარ მდივანს, რომელსაც ეს სახლი დარჩა თავის მამის—გრიგოლ პავლიაშვილის შემდეგ. ფურცელაძე ქაიხოსრომ (ექიმი იყო) თავის სახლი გადააკეთა დაახლოებით 40 წლის წინათ.

**ქილაშვილი ალექსი გიორგის-ძე 67 წლ.**

(ქ. თბილისი, გუნიბის შეს. № 28)

მე კარგად ვიცნობდი ამ სახლის მეპატრონეს ქაიხოსრო ფურცელაძეს და მის ცოლს ეკატერინეს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მოღვაწე ქალი, იღებდა მონაწილეობას ქალთა წრეში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. ეკატერინე დიმიტრის ასული ლენიაშვილის ქალი იყო. მას ეკუთვნოდა ორ-სართულიანი სახლი ანჩისხატის უბანში ბაგრატიონის ქ. № 17. საითქინაც გადიოდა ფანჯრები, მაგრამ შესავალი ანჩისხატის ეკლესიის პირდაპირ ეზოდან ჰქონდა, საიდანაც იყო ძირის სართული, როცა ფურცელაძენი გადმოსახლდნენ გორიდან, სადაც ქაიხოსრო იყო ექიმად, მაშინ მათ გადააკეთეს თავიანთი სახლი ისე, როგორც ეხლა—ბაგრატიონის ქუჩიდან არის 2-სართულიანი და ანჩისხატის ქუჩიდან ერთ სართულიანი. ეს მოხდა დაახლოებით 42 წლის წინათ, მაშინ მეორე სართულში იყო 4—5 ოთახი, სახლი ბანიანი იყო.

ის სახლი, რომელშიც, მე ეხლა ვცხოვრობ, იყო უწინ ქაიხოსრო ფურცელაძის ქალის ქეთევანის და, იმან სხვაზე გაყიდა. ძალზე მოხუცებულ ქარბაძის ცოლს, რომელიც ცხოვრობდა ჩვენს უბანში, და რომელიც ეხლა-ბან მოკვდა, ჩვენთვის უთქვამს, რომ ამ სახლში, უწინ ბარათაიანი ცხოვრობდნენ და ეზოში თონე ჰქონდათო.

ქეთევან ქაიხოსროს ასული ჯაფარიძე, 45 წლ.

(მცხოვ. თბილისში, ძერეინსკის ქ. № 11)

დედა ჩემის—ეკატერინე დიმიტრის ასულ ფურცელაძისაგან ჯამიგია, რომ ჩვენს სახლში, როჰელიც ვაყვიდეთ და რომელიც მდებარეობს ზაგრატიონის ქ. № 17 უცხოვრია პოეტ ნიკ. ბარათაშვილს. ეს ისე დანამდვილებით იცოდა დედა ჩემმა, რომ ერთ დროს უნდა ვაეკეთებინა ჩვენს სახლზე დაფა წარწერით, რომ აქ ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი. დედა ჩემი იყო დიმიტრი ლვინიაშვილის ქალი, სწავლა მიიღო თბილისში ყოფ. „ზავედნიაში“, ძალიან უყვარდა ლიტერატურა, სთარგმნიდა ფრანგულიდან, რუსულიდან; ეს თარგმანები მოთავსებული იყო თავის დროზე „მოამბეში“, „ივერიაში“. ჩემი დედამა დიდხანს ცხოვრობდა ქ. გორში; სადაც დედა ჩემი ცნობილი იყო, როგორც სახוגადო მოღვაწე.

მათთან დაიარებოდნენ: სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური. სოფრომ მგალობლიშვილი დედა ჩემს იხსენიებს თავის მოგონებაში. დედა ჩემი იყო ერთად ერთი შვილი დიმიტრი ლვინიაშვილის და მისი მეუღლის ანნასი, რომელიც იყო აბულაძის ქალი, როგორც ჯამიგია პატარაობას, ჩემი დიდედა ანა დარჩენილა ქერვიად 18 წლისა თავის ქმრის დიმიტრი ლვინიაშვილის შემდეგ, რომელიც გარდაცვალებისას 28 წლ. ყოფილა. მე თითონ არ მახსრავს, მაგრამ ვიცი, რომ ჩემმა მშობლებმა, გორიდან გადმოსვლისას, 1895 წ. ვადააკეთეს სახლი, რომელიც უწინ ყოფილა ზაგრატიონის (ჩახრუხაძის) ქუჩიდან ერთ სართულიანი, ხოლო ანჩისხატის ქუჩიდან ორ-სართულიანი. ჩემი ბებია ანა გარდაიცვალა 70 წლისა 1905 წელში, დაბადებული ყოფილა, მამასადამე 1835 წელს. როგორც გამოარკვია დედა ჩემმა ამ სახლში ცხოვრობდა პოეტი ნიკ. ბარათაშვილი. ეს სახლი პაპაჩემს დიმიტრი ლვინიაშვილს უყიდნია, მხოლოდ არ ვიცი ვისგან, გვერდითი სახლი იყო თამარ მდიენისა, რომელმაც ეს სახლი მიიღო შემკვიდრეობით თავისი მამის—გრიგოლ პავლიაშვილისაგან\*.

ბარათაშვილის სახლში ივ. კერესელიძის ვადმოცემით, ძველებური დარბაზი ყოფილა გამართული.

ბარათაშვილის დროს ეხლანდელ ჩახრუხაძის ქუჩას, რომელზედაც მაშინ ამ სახლის ფანჯრები გამოდიოდა, „ღვთაების ქუჩა“ ერქვა; (რადგან აქ იყო მარტყოფის „ღვთაების“ მონასტრის მეტოქი, რომლის კარიბჭის ნაშთიც დღემდის შემონახულია). ხოლო რუსის პოლიცია „Грязная улица“-ს უწოდებდა. ამავე ქუჩის დღ. № 13-ში ცხოვრობდა და გარდაიცვალა (1860 წ.) დანიელ ჭონქაძე, ხოლო ქუჩის დასაწყისში (დღ. № 6), ცხოვრობდა პლატონ იოსელიანი. ამავე სახლის სიახლოვეს ცხოვრობდა სოლ. დოდაშვილი (1820-ან წლ. დასასრულს); ლევ. მელიქიშვილის ოჯახი; ომან ხერხეულიძის ოჯახი, აქვე, დაიბადა ცნობილი სომხის მწერალი ვაბრიელ სუნდუკიანცი.

როგორც ბარათაშვილის წერილიდან ჩანს, წინედ ამ სახლში უცხოვრიათ თავად აფხაზებს<sup>1</sup>. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ სახლში მოხდა პირველი

<sup>1</sup> შემდეგში ამ სახლში ცხოვრობდა პეტრე უმიკაშვილი.



დაპატიმრება 1832 წლის ცნობილ შეთქმულების ერთ-ერთი წევრის ანტონ აფხაზისა (10 დეკემბერს).

ბარათაშვილის დროს ამ უბანს ერქვა „ანჩისხატის უბანი“, „მესხიანთ უბანი“, „ხემო-უბანი“. სხვათა შორის, ამ უბანზე „ზემოუბნის“ სახელწოდებით არაერთხელ ლაპარაკობს გრიგოლ ორბელიანი თავის პირად წერილებში.

ამიერიდან ჩვენთვის გარკვეულია, თუ რომელ სახლში ცხოვრობდა დიდებული პოეტი თავის სიცოცხლის ბოლო პერიოდში (1841—1845 წ. წ.) სწორედ ამ სახლიდან გაემგზავრა (1845 წ. ივნისს) ბარათაშვილი განჯას, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

ამ სახლში უნდა იყოს დაწერილი: „მერანი“, „სულო ბოროტო“, „სუმბული და მწირი“, „ჩინარი“, „ეპოვე ტაძარი“, „სათლავი მეფის ირაკლისა“, „შევიშრობ ცრემლსა“ და სხვ.

**15. ბარათაშვილის პორტრეტისათვის**

ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილია რეალური პორტრეტი არ არსებობს. შენახულა რამდენიმე ზეპირი გადმოცემა პოეტის გარეგნობის შესახებ, რომელიც თავის დროზე ჩაუწერიათ ბარათაშვილის პირველ ბიოგრაფებს ზ. მთაწმინდელს და იონა მეუწარგაის. არსებობს აგრეთვე პოეტის ამხანაგის—კ. მამაცაშვილის მიერ დაბეჭდილი აღწერილობა პოეტის გარეგნობისა. სამივეთა დამოწმებით ბარათაშვილი მოთეთრო სახისა, პირხმელი, შავის ცოცხლის თვლებით, წაბლისფერის თმით, საშუალო ტანისა და სისქისა<sup>1</sup>. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადღობილი. წვერ-უღვაშს არ ატარებდა, რის გამო მისი სახე შორიდან ლაზათიანი, ახლოდან ცოტა დაქუანული იყო (აკად. გამც-მა, 1922 წ., გვ. 25—26)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ალ. ორბელიანი (1802—1869) იკონებს პოეტის „პატარას ლამაზ თავს“ (მისი ნაწერები, გვ. 252). ხოლო განჯაში, საფლავის გახსნის დროს, პოეტის თავის ქალა საკმოდ დიდი აღმოჩნდა (გახ. „ივერია“, 1895 წ., № 88).

<sup>2</sup> ბარათაშვილის პორტრეტის მოძიებას ჯერ კიდევ 1800-ან წლებიდან შესდგომიან ასე, 1861 წელს, „ციცქარი“ აცხადებდა: „მომავალს წელიწადს ისე გაემართებო ჩვენ რედაქციას ყოველს წიგნში იქნება პორტრეტი ძეგლის მწერლებისა, მაგალითად: რუსთველისა, თ. ნ. ბარათაშვილისა, თ. ალ. კეჭელაძისა და სხ. რასაკვირველია, რომლის სახესაც ვიშოვნით. ამას გარდა ახლათ გამოჩენილ მწერლებსა“.

1885 წელს ზ. მთაწმინდელი წერდა: „1878 წ. თ. გ. ორბელიანს მე ვსთხოვე, რომ იქნება ბარათაშვილის სურათი მოიძიეთ სადმე, ჩვენ გვეყოს, ლექსების გამოცემაში დავბეჭდოთ მეთქი. მისი სურათი მგონი იმის დას უნდა ჰქონდესო, ქართლში, ქსნის სეზობაზეო წერილს მივსწერო, ამაზე იმ დროის ჯაზეთ „დროებაშიაც“ დავსწერე და მივმართეთ მრავალი თხოვნითა, რომ თუ ვისმეს აღმოაჩნდებოდა სურათი, გამოეგზავნათ ჩვენთვის, მაგრამ არსაიღამ არა იქმნა და გრ. ორბელიანსაც უარი მოსვლიდა, რომ ჩვენ არა გვაქვსო.“ („ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 16).

1891 წ., გახ. „ივერია“ (№ 137) კრონიკაში აცხადებდა: „ჩვენ შევიტყუეთ, რომ განსვენებულს გრ. ორბელიანს უთქვამს 1879 წელს, ბარათაშვილის სურათი და ნაწერები ალ. საგინაშვილის პირველ მეუღლეს (ცნობილი ბაბაღე ორბელიანი—საგინაშვილისა, პოეტის ახლო მეგობარი და ნათესავი, გ. ლ.) ჰქონდაო“. ხოლო ამაზე ადრე იგივე „ივერია“ კრონიკაში იუწყებოდა: გახ. „Нел. Обществу“ ერთს მეტად სასიამოვნო ამბავს გვხანგრძობს და ღმერთმა იწიგოს, რომ ეს გამართლებულხყოსო. განსვენებულის პოეტის სურათი, რომლის შესახებ ამბობდნენ, აღარსად მოიპოვებაო, რადგან ერთად-ერთი სურათი პოეტისა ცეცხლმა შეიწირა დუბელის ლიტოგრაფიის დაწვის დროს, აღმოჩენილა მისის ძეგლის მეგობრის, გენერლის თავ. მელიქიშვილის სახლობაში“ („ივერია“, 1891 წ., № 125).

1915 წ. დეკ. 19-ს ბარათაშვილის დამ (ბარბარე ვეზირიშვილისამ) ერთ-ერთ ინტერვიუში ასე ასწერა პოეტი—ძმის გარეგნობა:

„ნიკო ძალიან მღვანე, მარდი იყო და მიმზიდველი სახისა. შუათანა ტანისა, არც გამზდარი, არც მსუქანი, წაბლის ფერი თმა, ბუდეშურად მოყვანილი თვალები, წარბები შეერთებული; წვერ-ულვაშს იპარსავდა. იცვამდა ევროპიულს სამოქალაქო ტანისამოსს, (იქვე 942), ხოლო დიმიტრი ყიფიანის მეუღლე თავის ვაჟს კოტე ყიფიანს ასე უამბობდა პოეტის გარეგნობის შესახებ: „Нико, называли его Тато. был низенького роста, чистое лицо и маленькие черные усики, волосы на голове всегда стриг под гребенку. Не любил длинных волос, говорил -скороговоркой и был очень живой“ (ქვე 245).

მისივე სიტყვებით, თურმე პოეტის და სოფიო (სუმბათაშვილისა) ძალიან ჰკავდა თავის ძმას ნიკოს, ისე რომ სოფიოს უღვაშები რომ დაეხატა თავის ტუჩებზედ, ვერ გაარჩევდით, ეს მართლა სოფიო არის თუ ნიკო ბარათაშვილი? ამიტომ ეტყოდა ხოლმე კოტე ყიფიანს მისი დედა: „Вот уговорите Софию сняться в фотографии, приделайте ей усики и наденьте ей сюртук и будет у вас портрет поэта“.

ნინო ყიფიანის იდეას განმზოვრციელებელი მალე გამოუჩნდა. პირველი ცდა ბარათაშვილის პორტრეტის აღდგენისა მოხდა 1904 წელს, როცა ჟურნ. „მოგზაურმა“ პრემიად გამოსცა პოეტის სურათი ტ. მომცელიძის მიერ დახატული. ბარათაშვილის რუსულ კრებულში (Баратовский томик, 1905 г.), ამ სურათის შესახებ ნათქვამია: „Портрет этот воспроизведен молодым художником Мом целидзе по чертам лица сестры покойного, которая наружностью напоминает своего брата“.

სურათზე პოეტი წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ტანისამოსში (რასაც მომსწრეთა სიტყვით უფრო მოწაფეობაში ატარებდა და ყოველთვის სერთუში იყო გამოწყობილი), აგრეთვე წვერით და უკან გადავარცხნილი დიდი თმით, რასაც თურმე ასევე არ ატარებდა. არც სახის იერი შეესაბამება ბ. ვეზირიშვილისა, ნინო ყიფიანის და კ. ზამბაცაშვილის გადმონაცემს. აქ წარმოდგენილ პოეტს არავითარი მსგავსება არა აქვს თავისი დის სახესთანაც. შესაძლოა თვით ცნობაა შემცდარი, თითქოს, ამხ. მომცელიძის, სოფიო სუმბათაშვილის სახის იერით აღედგინოს ბარათაშვილის პორტრეტი, და მხატვარს არავითარი ანგარიში არ გაუწევია დოკუმენტალობისათვის. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ პოპულარულს პორტრეტს, რომელიც ასეა გავრცელებული საქართველოში, არაფერი საერთო არა ჰქონია პოეტის რეალურ, გარეგნულ გამოსახულებასთან და ამიტომ იგი თავის დროზევე უარყოფილი იქნა. მიუხედავად ამისა, ეს აპოკრიფული ნაწარმოები გამოსცა სახელგამმა 1929 წელს და ნიუ-იორკში დაკანონება მისცა მას.

1916 წელს, მის. თუმანიშვილის (1818—1875 წ.) არქივში აღმოჩნდა პოეტის ნამდვილი სურათის ესკიზი თვით თუმანიშვილის მიერ ფანქრით შესრულებული, სადაც ბარათაშვილი წარმოდგენილია ჭუნგრულ ტანისამოსის დაგვარს საშინაო ტუალეტში. ესკიზს მიწერილი აქვს ორი ინციალი: Н. [иколай] В. [аратов]. საყურადღებოა, რომ აქ წარმოდგენილი სახის მოხაზულობა ნ. ყიფიანის, ბ. ვეზირიშვილის და კ. ზამბაცაშვილის ცნობებს ესაბამება. მ. თუმანი-

შვილი ახლობელი მეგობარი იყო ბარათაშვილისა და მისივე შვილის სიტყვით მას კარგად არ სკოდნია ხატვა და ნაპოვნ ესკიზში ალბად დატულია საერთო მონახულობა ბარათაშვილის სახის (გვ. 240).

მაგრამ ბარათაშვილის პორტრეტის საკითხი, როგორც 1922 წ. გამოცემა დასძენდა, ჯერ კიდევ გამოურკვეველად უნდა ჩაითვალოს და მისი გადაწყვეტა მომავლის საქმეა.

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ბარათაშვილის ყალბი გამოსახულების წარმოშობა. ზემოდ მოვიყვანეთ ცნობა, რომ თითქოს ამხ. მომცელიძეს პოეტის დის სურათით ესარგებლოს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ახლა შესაძლოა ვიფიქროთ, რომ მხატვარს სხვა უფრო რეალური წყარო ჰქონია. ასე, ამ დღეებში (1933 წ.) ჩვენ მივიღეთ ერთი საინტერესო ცნობა სურათის სადაურობისა და წარმოშობის შესახებ. ძველმა მოღვაწემ და მთარგმნელმა ივანე ავალიშვილმა ჩვენს შეკითხვაზე გამოგვიგზავნა საყურადღებო ცნობა თავის მოგონებებიდან. ეს ინფორმაცია ინტერესს არ არის მოკლებული. მოგვყავს იგი შემოკლებით:

„ს. ქარელში ცხოვრობდა თავადი იასონ დავითის ძე ციციშვილი (ცნობილი მწიგნობარი და ავტორი რამდენიმე პოემისა „სარდლის კოშკი“, „დიდი ორშაბათი“, — გ. ლ.); მწერლობასთან ერთად მას უყვარდა ხატვა და თავის სა-მწიგნობრო კაბინეტში გამართული ჰქონდა სამხატვრო კუთხეც ფერებ-იარაღებით. იქვე, კედელზე ეკიდა მისი ნახატი სურათები. იასონი მხოლოდ თავის გასართობად ხატავდა, როგორც მხატვრობის მოყვარული. საერთოდ მას უყვარდა ფოტოსურათების გადაღება და შეფერადება ტანისამოსისა შესაფერი ფერებით. ერთხელ, როდესაც მას ქარელში ვესტუმრე, ერთმა მშვენიერ ჩარჩოიანმა სურათმა მიიქცია ჩემი ყურადღება მის კაბინეტში. სურათს ქვეშ ეწერა: ალექსანდრე ციციშვილი. თუმცა იგი დღესაც მიჩნეულია ნ. ბარათაშვილის გამოსახულებად. ჩემი ვაკვირება იასონს გაუხიარე, ხოლო მან მიპასუხა: ეგ ხომ ბარათაშვილი არ არის; რა ექნა, ვერ იცანი ჩემი ძმა ალექსანდრე, პეტერბურგში ალექსანდრე მეორეს რომ საპატიო დარაჯად ახლდა? ეს მაშინდელი ქულაჯაში გამოწყობილი, გადაღებული ფოტოგრაფიაა, სურათი სხვაფერე ჩემი შეფერადებულია და გადიდებული, ხოლო ბარათაშვილად კი — შემდეგ ჯადოქრობამ გადააქცია: რამდენიმე ხნის წინედ, ჩემი მეგობარი ზაქარია ჭიჭინაძე მეწვია. ჩემი ძმის სურათი მეტად მოიწონა და მთხოვა. მეც დაუთმე, მხოლოდ შევეკითხე, თუ რათ უნდოდა? ზაქარიამ მიპასუხა: ლამაზად არის გამოწყობილი ქართულს ტანისამოსში, ნახატიც კარგია, ჩემს ოთახში ჩამოვკიდებო. როცა წასვლისას სურათი ქალაღში გაუხვიე და გადავეცი, გულით შემეხვეწა: ძალიან გთხოვ, თუ სადმე შეგხვდეს ეს სურათი არაფერი სთქვაო; არც ისა სთქვა, რომ თქვენგან წამოვიღეო. მეც შევპირდი.

„გავიდა რამდენიმე ხანი. თბილისში ჩაველი და შოთას გამხიარე, ერთო მაღაზიის ვიტრინაში გაცოცხლებმა ვნახე ჩემი ძმის ალექსანდრეს სურათი ლითოგრაფიით დაბეჭდილი, ქვეშ წარწერით: „ნ. ბარათაშვილი“, პირველად მეტად გამიკვირდა, მერე კი მემგონდა ზაქარიას სათხოვარი. სხვათა შორის, პორტრეტის გამოცემამდის ზაქარიას გაიფრცხლებინა ხმა: ერთ ოჯახში ენახე

ბარათაშვილის პორტრეტი, ვაბეკდენებ და ამ დღეებში გასასყიდათ გამოვოა“<sup>1</sup> ასე გამაცნო იას. ციციშვილმა ჩვენში პოპულარული ნ. ბარათაშვილის სურათის ისტორია“.

ამის შემდეგ დროა ალიკვეთოს ნ. ბარათაშვილის ყალბი პორტრეტი, ხოლო ამიერიდან სათანადოდ შესწავლილი და გამორკვეული იქნეს მიზ. თუმანიშვილის ესკიზი<sup>2</sup>.

**16. „მერანი“-ს ბენეფიცი და ილია ორბელიანის ტყვეობის ამბავი.**

ილია ორბელიანი<sup>2</sup> პოეტის უმცროსი ბიძა თითქმის მისი თანამოასაკე და თანშეზრდილი იყო. ისინი ერთად აღიზარდნენ. ერთად სწავლობდნენ და სიკვდილამდის მათი მეგობრობა გაუყრელი იყო. 1842 წ. მარტში გენერალ-ლეიტენანტ ფეხეს ადიუტანტი ილია ორბელიანი ყაზიყუმუხში დაატყვევეს შამილის ნაიბებმა. ცხადია, რა თავზარდამცემი ამბავი იქნებოდა ეს ამბავი პოეტისთვის. სწერს რა დაწვრილებით ილიას ტყვეობის ამბებს მისს უფროს ძმას გრიგოლ ორბელიანს, ბარათაშვილი დასძენს, რომ მან ილიკოს ტყვეობის ზეგავლენით დასწერა ლექსი „მერანი“.

„არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაც ვირველია, იმიტომ რომ, ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე.—ილიას დაჭერა რომ შევიტყე, ჰსწორე ვითხრა, ძალიან შეეწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუნებული ვიყავი ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შეგება მომცა, ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციენებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა“.

ამრიგად შესანიშნავი „მერანის“ შემოქმედებითი გამომწვევი მიზეზი ბარათაშვილისთვის—ილია ორბელიანის ტყვეობა იყო. პოეტი მწვავედ განიცდიდა მეგობრის ტრალედიას და სხვა ახლობლებთან ერთად ფიქრობდა მის გამოხსნაზე. პოეტი ცდილობს მორალურად მაინც გაამხნეოს ტყვეობაში მყოფი თავისი ლექსის გაგზავნით. ამ შემთხვევაში, ბარათაშვილის რაინდული თვისება, რომელსაც მისი ამხანავი დიმიტრი ყიფიანიც აღნიშნავს, ზემოდ მოყვანილ მოგონებაში, უსათუოდ დაუფიქარია.

რვა თვის საშინელი ტანჯვის შემდეგ ილია ორბელიანი განთავისუფლებულ იქნა. მისი ტყვეობის ისტორიას დიდი გახმაურება ჰქონდა მაშინდელს საზოგადოებაში. ბუნებრივია, რომ ილიამ დააკმაყოფილა ახლობელთა ცნობისმოყვარეობა და უამბო თავისი თავგადასავალი ვერდერევესკის, რომლის ჩანაწერი: „Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля“, ვაზ. „კავკაზმა“ (1849 № 1—5) დაბეჭდა და შემდეგ დამატებად დაურთო თავისს

<sup>1</sup> ეს წერილი დაიბეჭდა „სალიტ. ვაზ.“ 1933 წ. (№ 7).  
<sup>2</sup> ილია ორბელიანი უკვე გენერალ-მაიორის ხარისხით, გმირულად მოკვდა ბაშკადიკლარში თურქებთან ბრძოლაში. მისი ტრალეკული დაღუპვა აქვს აღწერილი დემნა შენგელაიას-თავის მშენიერ მოთხრობაში „ბაშკადიკლარ“.

წიგნს „В плену у Шамиля“ (წიგნი დავით ჭავჭავაძის ოჯახის ტყვეობაზედ)-  
რადგან ილია ორბელიანის მემუარები „მერანის“ ერთგვარ კომენტარს წარმო-  
ადგენს და რადგან ეს დავით გურამიშვილისებური ეპოქა სრულიად უცნობია  
ქართველ მკითხველისათვის, ამიტომ მოვკვავს თარგმანი ისე, როგორც აქვს  
დაბეჭდილი ვერდერევისკის:

ნ ა წ ე ვ ე ბ ი

ილია ორბელიანის მოთხრობიდან შამილთან ტყვეობის შესახებ.—1842 წ.

შამილთან ტყვეობის შესახებ მოთხრობის მეოთხე თავის მეორე ნაწილში  
ამ სამწუხარო ამბის ამწერს უნებურად მოუხდა შეედარებინა შამილის ქვეყნის  
უწინდელი და დღევანდელი ზნე-ჩვეულებანი. ამ შედარებიდან აშკარად სჩანს  
მათი საგრძნობი შერბილება. ეს სახუგეშო დასკვნა გამოვიტანეთ განსაკუთრე-  
ბით ერთი რუსი ოფიცრის მოთხრობიდან, რომელიც ტყვედ  
ჩააჭვარდნოდა შამილს 1842 წელს.

რომ მკითხველების თვალში ცხად ვყოთ ასეთი დასკვნის უტყუარობა, აქ  
წარმოვადგენთ ნაწყვეტს გენერალ-მაიორის თავადი ორბელიანის ნამდვილი  
ნაამბობიდან. ეს ორბელიანი გახლდათ ჩვენი მოთხრობის მთავარი გმირის კნენი  
ბ. ი. ორბელიანის მეუღლე. განსვენებული გენერალი იყო სწორედ ის ტყვე,  
რომლის მხატვრულსა და ნამდვილ მოთხრობაზე ავაგეთ ჩვენი პარალელები  
უწინდელსა და დღევანდელ შამილს შორის. აქ ჩვენ მოვიყვანთ არა მთელს მოთხ-  
რობას, არამედ მხოლოდ იმას, რაც უფრო მეტად ადასტურებს ჩვენს აზრს  
დღევანდელ მთიულთა ზნე-ჩვეულების შერბილების შესახებ უწინდელთან შედა-  
რებით.

...როდესაც ჩვენს ბარგი-ბარხანას ყარაულები მიუყენეს, მათ წარგვადგი-  
ნეს შამილთან მე და აფშერონის ქვეითი პოლკის პრაპორშჩიკი ა—, რომელიც  
აგრეთვე სამსახურის გამო ყაზიყუმუხში იმყოფებოდა. შამილის სახლის წინ აუა-  
რება ხალხი ფუსფუსებდა. ჩვენს მიახლოვებაზე ბრბომ გაცოფებული ღრიანცე-  
ლი ასტეხა:

— ქრისტიანი ღორები მოჰყავთ, ქრისტიანი ღორები!

ამ კიჟინს მოჰყვა მათი წყევლა-კრულვა და გინება. რა თქმა უნდა, ასეთი  
დახვედრიდან კარგი რამის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა. შამილს ჩვენს შე-  
სახებ მოახსენეს. შიგნით შეგვიყვანეს. არ მეგონა, თუ ოდესმე იქიდან ცოცხა-  
ლი თავით გამოვალწვედი. მინდოდა, ერთხელ კიდევ თვალი მომეელო მზისთვის  
და შორეული მთებისათვის, რომლებიც დარაჯებად გადაჰყურებდნენ ჩემ მშობ-  
ლიურ აკვანს.

ბურუნდუკ-კალესთან შესვენების შემდეგ აშხანაგებმა გამოთხოვებისას  
მითხრეს:

— აბა, ვინძლო რომ გიორგის ჯვრით დაგვიბრუნდე, აი!

მაშინ სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა და ნაღვლიანად წავიბუტბუტე:

— დიახ, ზოგს ჯვარი გულს დაუმშვენებს, ზოგს კიდევ საფლავს, მე კი — არც ერთს და არც მეორეს.

ჩვენ შეგვიყვანეს საკმაოდ დიდ ოთახში. შამილის მცველებით გავესოთ ეს ოთახი. შემდეგ ვამოგვიყვანეს მეორეში აქ ენახეთ სწორედ ის, შამილი.

შამილს მარს ერტყნენ მისი თანამოღვაწენი და ყაზიყუმუხეი სპატიო დებუტატები. მარჯვნივ და მარცხნივ უსხდნენ ნაიბები: კიბით-მაჰმადი — ანდელი-თავადი, აბდურახმან-დიბირი — ყარახსელი და მოლალატე ჰაჯი-იაგა ყაზიყუმუხეი მმართველის ძმა<sup>1</sup>.

შამილს შიგნით კარებთან 150 მცველი ჰყავდა. ყველანი საზიზღრად, მხეცებივით იყურებოდნენ, ხმლებ და ხანჯლებ გაშიშვლებულები, თოფებით და დამბაჩებით; ყველას ჩახმახები მეორე ფეხზედ შეეყენებინათ.

ლევები სილამაზით ვერ შეიქებენ თავს, ვერც გარეგნული მოყვანილობით. ველური, მკაცრი სახის მეტყველება ოდნავადაც არ შენელებიათ, რის გამოც სიამის იერს ვერ შენიშნავთ. რამდენადაც მხეცური შეხედულობისა იყვნენ ისინი, იმდენად უფრო გამომეტყველი და წარმოსადგევი იყო მათი წინამძღოლი, თვითონ შამილი. მეტად მშვენიერი, თეთრი და მასთან ნორჩი სახე, ოდნავად ნაყვავილარი, ცისფრად მოელვარე კროლა თვალები, საიდანაც გამოკრთოდა შორს მჭკრეტელობა, ჭკუა-გონება და იმისი სულის სიძლიერე. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ოდნავად გაპობილ ბაგედან ორი შწყრივი თეთრი კბილები მოუკრთოდა, რაიც მოწმობდა მის ცბიერებასაც და გულკეთილობასაც. ინით შეღებილი წითელი წვერიც ძალიან ამშვენებდა მის სახეს. ტანად საშუალო იყო, ჩამკვრივებული, ლამაზად ჩასხმული, იყურებოდა მეტად ბრგედ. ვაჟკაცურად. ამ წარმოსადგევი აღნიშნის ისე ეკირა თავი, თითქოს 35 წლის ვაჟკაცი იყო, მაშინ როდესაც ზევრად ხნირი უნდა ყოფილიყო.

როდესაც პირველად თვალი შეგავლე მას, მეტად მომეწონა თითონაც, მისი მდიდრული ჩაცმულობაც და შეიარაღებაც, რაც უფრო აძლიერებდა მის ვაჟკაცობის სილამაზეს და სიკისკასეს. თავი წითელი ჩერქეზული ქუდით შეეფარგლა და თეთრი დოლბანდით დაემშვენებინა. ტანთ ეცვა ახალობი. ზემოდან წითელი მაუდის ჩოხა, სულ მოსირბული და ვერცხლის პატარა მასრებით მოქარგული. მხარზე ეკიდა ხმალი. წელთ ეკრა ქამარი, რომელშიც გარკობილი ჰქონდა ორი დამბაჩა. წინ კიდევ ხანჯალი ეკიდა. ასეთი იყო შამილი.

— აგერ იმამინალ-აზამი — წაგვჩურჩულეს მურიდებმა, როდესაც შამილთან მიგვიყვანეს.

მან შემოგვხედა თავისი ჩვეულებრივი ღიმილით, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

ხანგრძლივმა დუმილმა და აუარება ბრბოს ცნობისმოყვარეობამ გული გამიწყალა, მივუბრუნდი და ვეუბნები შამილს:

— შამილ, ჩვენ ჩენი მოვალეობის ასრულების დროს ტყვეებად ჩაეცევივდით და აგერ გაახლეს ჩენი თავი. ეხლა ჩვენ შენს ხელთა ვართ. რა გუსურს?

<sup>1</sup> აბდურახმან-დიბირი შამილს გამოკლად ჰყავდა ყაზიყუმუხეში. ასეთი მოლალატეობისთვის შამილმა სახანოს მმართველად დააყენა იგი, მაგრამ ამ ადგილზე დიდხანა არ გაუჭირებია: რიჩის საქმის შემდეგ ისევე გადააყენა ამ თანამდებობიდან, როგორც უნიკა კაცი.

რას იზრახავ ჩვენი ბედისთვის? მალე გადასწყვიტე ჩვენი ხვედრი, გამოგვიცხადე რა მოგველის: სიკვდილი, ტყვეობა თუ თავისუფლება.

იგივე გაიმეორა პროპორზიკმა ა—მ.

— ჩემს გარდაწყვეტილებას თავის დროზე გაიგებთ,—გვიპასუხა შამილმა,—ეხლა არ მცალიან.

ამ სიტყვებზე ხელი ჩაიქნია და უბრძანა წაგვეყვანეთ და ჩავემწყვდიეთ ვისიმე სახლში.

მართლაც, შამილს ჩვენთვის არ ეცალა. მას ელოდა საიდუმლო დებუტაცია აკუშოდან და ცუდახარიდან. გარდა ამისა,—საქირო იყო მძევლების მოკრება, საქირო განკარგულებათა გაცემა შარიათისა და შურიღიზმის ვასავრცელებლად ახლად დაპყრობილს სახანოებში.

ჩვენ წაგვეყვანეს იღრისის სახლში. სახლის პატრონი გულმტირალი შემოგვეყარა. ის უჩიოდა მართლმორწმუნე მურიდებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ დავლისა და სიმდიდრის შესაძენად არ მოესულვართო, ნამდვილად კი ისე გაეძარცვათ იქაურობა, რომ აღარაფერი დაეტოვებინათ. თუ ჯერ კიდევ გუშინ იღრისის შამილი ცამდე აპყავდა და სულ იმის ქება-დიდებაში იყო, ასევე უქებდა თანამოღვაწეებს, ეხლა იგი სიტყვებსაც ვერ ჰყოლობდა, რომ თავისი გულსწყრომა გამოეხატა.

ჩვენ ერთი ოთახი დაგვითმეს. ჯერ საშინი შეგვეყარეს, შემდეგ შემოგვემატა ექვსი ყაზახი და ერთი ქართველი, რომელიც მე მახლდა. ბოლოს კიდევ ერთი შემოიყვანეს—რიგითი ჯარისკაცი ზაგორსკი, რომელიც მსახურებდა პოდპოლკოვნიკ ს-სთან და კიდევ ორი მისი თანამსახური.

შამილი და მურიდები მეც იღრისზე არა ნაკლებ მომექცნენ: მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა, ტანისამოსი, ოქროს საათი, ორლულიანი თოფი, ორი დამბაჩა, შევერცხლილი ხმალი, ხალიჩები, სპარსული შალი, ფულად 340 მან. და ოთხი ცხენი მათ დავლად დაიტოვეს. ასეთივე ბედი ეწიათ ჩემი ტყვეობის თანამხანაგებს.

ჩვენ ყარაულად მოგვიყენეს ჩერქეზები<sup>1</sup>, მთიელებს შამილი ძალიანაც როდი ენდობა. მათ გამოგვითხე ჩემი ჩვიდმეტი ნუკერის ბედი.

— იმამ,—მიპასუხეს მათ,—ამ ავაზაკებს რა უნდა ელოდეთ, თუ არა ლუქ-მა-ლუქმად აჩეხვა.

ამის ვაგონებაზე მე მოვუხმე ჩემთან შამილის ერთ მახლობელს, სახელად ჰაჯი-იავას (ესეც ჩერქეზი იყო) და ვთხოვე, შუამდგომლობა გაეწია შამილის წინაშე, რათა მას ჩემი ნუკერებისთვის ეპატიებინა, რადგანაც მათი ბრალი ის იყო, რომ ყაზიყუშუხში წასვლისას ისინი ძალით წავეყვანე გამოვლებად. ამისთვის მე დავპირდი ჰაჯის ჩემი სერთუკი, სხვა მეტი არაფერი აღარ გადამრჩა. ის შამილთან წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ამასობაში შემომესმა ხშირი სროლის ხმა. მალე ამბავი მომივიდა, რომ უბედური ჩემი ნუკერებიდან ცოცხალი არაფერ გაუშვეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ხმალ და ხმალ ასჩეხეს.

<sup>1</sup> სოფ. ჩერქის ადების შემდეგ ორასზე მეტი ოჯახი შამილის ერთგული და მახლობელი ბელი ხალხი შეიქნა. ისინი მეტწილად დასახლებულები არიან დარგოში.

მურიდების ბრბო ბრბოზე მოდიოდა ჩვენთან, გეწყვილიდა, გვაგინებდა, ვგაფურთხებდა და მიდიოდა. ბოლოს, საღამოთი, ჩვენ იმ სახლში გადაგვიყვანეს, რომელშიც შამილი ბინადრობდა. იქ ფეხსადგილში შეგვყარეს და ყარაულები მოგვიყენეს. ასე გაიარა ჩემთვის იმ სამწუხარო და მარადქამს დაუფიწყარ დღემ, 22 მარტმა.

მეორე დღეს, გათენებისას, სუფთა ჰაერზე გავვიყვანეს. ჩემთან ორი მურიდი მოვიდა, რომელთაც მთიელები განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდნენ. სჩანდა, რომ ისინი პატივისცემი პიროვნებანი უნდა ყოფილიყვნენ, და მართლაც, შამილის დიდი მეგობრები გამოდგნენ ისინი, ჩოხელი მურიდები: მუსა-აჯი და მაჰმუდი.

ერთმა მათგანმა პირო იბრუნა ბრბოსკენ, ჩემსკენ მოათითა და ეუბნება:

— აი, ეს ყველაზე დიდი ურწმუნო ძაღლია. მაგან სამიათასზე მეტი კომლი წავკართვა ანდაალის საზოგადოებაში და ერთგულებაზე დააფიცა. მე შამილს ვთხოვე, მაჩუქოს ამის თავი, რომ საკუთარი ხელით მოვკლა და სამოთხე დავემსახურო. მე დიდი ხანი ვცხოვრობდი მექაში და ჯერ შემთხვევა არ მქონია, რომ ვიპურების სისხლი დამეღვარა.

შუადღის ნამაზის შემდეგ, რომელმაც შამილმა გულმოდგინებით შეასრულა დიდი პატივცემულ პირთა თანდასწრებით, ჩვენ მოგვაკითხეს და მასთან მიგვიყვანეს.

შამილი უკვე მდიდრულად ჩაცმული აღარ იყო, როგორც წინა დღეს. ეხლა ვაქონილი პერანგი ეცვა. უშეველია, ისიც როგორც ყველა მთიელი, საცვალს არ იცვლის, ვიდრე პერანგის ერთი ძაფი მაინც მთელია, ან და სანამ ზედ არ შემოაღებება და მხრებიდან არ დასცივია. მას მცველები ირგვლივ ეხვია. ხელთ იარაღი მზად ექირა. იქვე ჩამოჯდა და მრისხანედ მოგვმართა:

— თუ რუსები ჩემს შვილს დამიბრუნებენ, მეც თბილისში გავიშვებთ ყველას, არა და აქვე აგჩეხავთ და ჯოჯობეთში თავს გიკრავთ.

— შამილ, — მიუვგე მე, — აქ ორჯელ და სამჯერაც მეტი ტყვეები რომ გყოლოდით, მაშინაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები არ დასთანხმდებოდნენ შენს ასეთს წინადადებას. ხელმწიფე ჩვენი დიდად აფანებს ჩვენს სიცოცხლეს, თუმცა მას ერთ საათში შეუძლიან თვითთული ჩვენგანი სხვა ასეულებით შეაფასოს. მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სიცოცხლე. ამიტომ აზრადაც ნუ მოგივა, რომ ჩვენზე შენი შვილი გადასცვალო. უმჯობესია, შამილ, ჩვენ ის მოგვთხოვო, რის ვაკეთებაც შეგვეძლება ჩვენ, ან ჩვენს უფროსებს. გენერალმა ფეხზე უნწუყულში ორასამდე ტყვედ წაიყვანა, შენი კაცები და, აი იქიდან შეიძლება რამდენიმე კაცი გადასცვალონ ჩვენზე. ეხლა რაც გინებოს, ის გვიყავი, გინდა ავჭებე, გინდა ცოცხლები გავვიშვი, მაგრამ იმისი იმედი ნუ გეჭნება, რომ შენ შვილი დაგიბრუნონ.

მან გაიღიმა და სთქვა:

— კეთილი, არ დაგზოცავთ. წადით დარგოში, იქ მოვილაპარაკოთ.

მე მას მოვასხენე, მთებში ფეხით სიარულს ნაჩვევი არა ვართ-მეთქი. ვთხოვე, მურიდებმა რომ ცხენები წავგართვეს, დაგვიბრუნეთ, ვიდრე დარგოში ავალთ-მეთქი. მაგრამ ბარბაროსებმა ცხენები არ მოგვცეს. ის კი არა, შამილთან



საჩივლელადაც კი არ მიგვიშვებს. იძულებული შევიქნით დარგომდე სულ ფეხით გვევლო.

23 მარტს ცამეტი კაცი გავკვიყენეს ყაზიყუმუხიდან სოფელ დარგოსკენ. საკმაოდ მოხერხებული გზით მივალწიეთ მოსახლურე სოფ. ბუხტს, სადაც შევხვდით ბევრს ჩემს მეგობრებს. ყველას ვულწრფელად სწყინდა ჩემი უბედურება და წყველა-კრულვით ავსებდნენ შურიდებს.

მთიელთა შემოსევამდე ყაზიყუმუხელები კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ცხოვრებით: სახნავე-სათესი თავიანთი სამყოფი ჰქონდათ, ასევე საქონელი. ეხლა კი ყველგან დარბევისა და განადგურების კვალი სჩანდა: შურიდებს გაეძარცვათ მოსახლეობა, მთელი მათი სარჩო-საბადებელი გაეტაცნათ.

ბუხტიდან გავემართეთ სოფელ სუგრატალისკენ, სადაც კარგი საურმე გზა მიდის. გზა ჯერ მთას ასდევს, შემდეგ მწვერვალთან უხვევს, სწორედ იქ, სადაც წყაროა, აქედან კი დაბლა ეშვება სოფლისაკენ. მე ცნობისმოყვარეობით თვალყურს ვადევნებდი ამ ადგილს, რომელიც მიუვალად იყო ცნობილბ, გარდა ამისა, ეს ადგილი ისტორიულადაც ცნობილია: აქ წარსულ საუკუნის მეორმოცე წლებში მთიელებმა გაანადგურეს სპარსეთის ლომის ნადირ-შაჰის ურდოები. ნადირ-შაჰმა ალყა შემოარტყა სუგრატალს და ქვემოდან შემოუტია, ხეობიდან, რაიც მართლაც დიდ ძალღონეს თხოულობდა და რაც უსათუოდ მთელი ლაშქრის განადგურებით უნდა დამთავრებულიყო, მაშინ, როდესაც სოფელ ბუხტიდან პატარას ვახვალთ თუ არა, ზედ თავზე გადასცქერით მას. საკმარისია პატარა სიმილღე დაიკაეოთ, ვააწყოთ არტილერია, რომ სოფელი ჩაგბარდეთ.

სუგრატალის ქოხმახებს გავცდით. გზა სულ ციცაბებზე იკლაკნება და უდაბურია. აქედან დავეშვით სოფ. უნტიში, რომელიც თვითონ ბუნებას ციხესიმაგრედ შემოურტყია მისთვის. იგი თვალუწვდენელ უფსკრულში მდებარეობს და გარს სულ პიტალო კლდეები არტყია. მოსახლეობა ირწმუნება, აქ ჯერ მშინ სხივს არ შემოუხენდნიაო. თუმცა ამ ადგილს სამხედრო თვალსაზრისით არავითარი სტრატეგიული მნიშენელობა არა აქვს.

უნტიში ღამე გავათიეთ. ვანთიადისას ჩვენ გაგვრეკეს რუგჯავასაკენ. აქ სულ ციცაბებზე გვიხდებოდა გადასვლ-გადმოსვლა. ყოვლად შეუძლებელია, რომ აქ ცხენით შესძლოთ გავლა: ცხენები წამდაუწუმ ფორხილობენ, ეცემიან, ფეხებს იტეხენ, კლდეებზე იჩიებიან. ასე მიდის გზა თვითონ რუგჯავამდე, შემდეგ გაშლილი გზაა, რომელიც ასდევს ფერდობს და შგჰყავხართ თვითონ სოფელში.

რუგჯავიდან ჩვენ გაუდქვით ტილიტლის გზას. აქ ღამე გავგათევიენეს და ვანთიადისას გავწიეთ გოლოთლოში, რომელიც ტილიტლიდან რვა ვერსითაა დაშორებული. გზა იქ გაუყვანიათ რუსებს 1837 წელს. ეს გზა ფერდობებით მიდის თვით გოლოთლამდე.

ხუნჯახის დაღმართის პირდაპირ ჩვენ შემოგვეყარა მთიელ ყარაულების საკმაოდ ძლიერი რაზმი. ჩვენს პირდაპირ მწვერვალზე ციცაბოზე ვადმომღვარიყო ანმედ-ხანის გუშაგები. რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გოლოთლესაც და მთიულებსაც. უეჭველია, მას შეეძლო დავენახეთ ჩვენ, თუმცა გარჩევით ვერ გაარჩევდა, რომ რუსის ტყვეებს მოერგებოდნენ ჩვენი სახით. გულმა ძგერა დავვიწყო, როდესაც ამ საგუშაგოებს მოვკარით თვალი. ჩვენ შევლას მოველო-

დით მათგან, ასე გვეგონა, ჯგერ-აგერ ჩვენს გამოსახსნელად ხმას ამოიღებენო, მაგრამ იმედი ამოა ოცნებად დაგვრჩა. გოლოთლეში ჩვენი ბაძრაგობა გააძლიერეს. სასტიკად ვეიკრძალავდნენ, ხუნზახის მთისკენ არ გაიხედოთო იქ ჩვენი ყარაულები გულშავობდნენ. თითქმის სირბილით გადავვატარეს ავარიის ქოისუს მარცხენა ნაპირი, ვიწრო და ხევხუეებიანი. ბილიკებით, სადაც წამდაუწყემ აგვახეთქებდნენ და ჩამოგვახეთქებდნენ ხოლმე. აქ ცხენები და ჯორებიც კი ძნელად მიიკვლევდნენ გზას.

ხიდათლის საზოგადოების ნაწილს რომ გავეცდით, ჩვენ გადავლახეთ მეტად მჩქეფური მდინარე, გაუხუეით მარჯვნივ და მივატოვეთ ავარიის ქოისუ. შემდეგ ვიწრო ხეობაში შეგვკლალეს და ბოლოს, საღამოთი ძლიეს მივალწიეთ ბაოლუსს, რომელიც ტილიტლიდან ორმოციოდე ვერსითაა დაშორებული, ხოლო ხუნზახიდან—ოცდაათი ვერსით. ეს სოფელი ძვეს ერთი კლდის ძირს, რომელიც მძაფრად შემორკალვია თითქმის მთელს ავარიას, ჯერ ავარიის ქოისუსის მხრით, შემდეგ გაჰყვება აუხვაზის მახლობლად და კარატინის საზოგადოებით იხურება.

ლამსათევად ჩვენ მიგვიჩინეს ერთი ფარდული. შორი გზით ნაწოწილები და გაწამებულნი, შიმშილისაგან და დაღლილობისგან მიხწყულნი იქვე დავეცივდით. ახლა ლამემ შემოგვიტია და ყინვით აგვაკანკალა. მეორე დღეს ინათა და ჩვენმა ველურმა მთიელებმა კვლავ წინ გაგვირეკეს, არაეისაც არ აღარდებდა, გვშიოდა თუ გვწყუროდა.

როდესაც თოვლით დაფარული აუხვაზის მთის ქედი გადავლახეთ, საღამოთი ჩვენ მივალწიეთ თვითონ სოფელ აუხვაზს, რომლის სახელიც მთელს საზოგადოებაზეა გავრცელებული. ძნელად ასაწერია და შეუძლებელი რამეს შეადარო აქაურების სილატაკე: მამაკაცებისა და დედაკაცების ერთადერთ საშოს გრძელი ხამის ტილოს პერანგი შეადგენს, რომელზედაც წამოუცვიათ ცხვრის ტყაპუკი. აუხვახელთა ენა სრულებით არ წააგავს სხვა ტომთა ენებს, არც თუ თვით ავარიელებისას, რომელიც გავრცელებულია მთელს დაღესტანში. მთიელებს საზოგადოდ თავთავისი ენა აქეთ, თუმცა უმეტესობა არაბულს ენაზე ლაპარაკობს. გარეგნობითაც აუხვახელები სხვა მთიელებს არა გვანან. ისინი უფრო ქერათმიანები არიან.

როდესაც ჩვენი მისელის ამბავი გაიგეს, მთელი მოსახლეობა ყველა მხრიდან ჩვენსკენ გამოეშურა, რომ ვენახეთ. ერთმა ქალმა ჩემთან მოირბინა და ქართულად მეკითხება:

— შენ ქართველი ხარ?

როდესაც ვუპასუხე, ქართველი ვარ მეტქი, მან მიამბო, მეც ქართველი ვარ, ტყვედ წამომიყვანეს კახეთიდან, სოფელ ართანიდან და მიმათხოვეს ერთ გამოქცეულ რუსს, რომელთანაც აგერ 15 წელია რაც ვცხოვრობო. საღამოთი მოვიდა ერთი მოხუცი, ისიც ლტოლვილი ჯარისკაცი. ის ჯერ კიდევ ზუბოვის დროს, ორმოცდაექვსი წლის წინ, გამოქცეულიყო დარუბანდიდან. მან მომგვარა თავისი ვაჟიშვილი, ბევრი აქო, კარგი ვაჟაკითაო და მითხრა, თუ კარგ სასყიდელს ვაიღებ, ამას შეუძლიან გადავმალოს და შემდეგ ხუნზახში გადავიყვანოს, თუ ამ ყარაულებს თავს დაახწყე და გაქცევას მოახერხებ, ამა და ამ წისქვილთან დაგელოდები და სამშვიდობოზე ვაგიყვანო. ის წისქვილი

ფარულად დამანახა. ბედი როგორ არ მეცადნა. იმედის სხივი მაცდურად ამიციმციმდა. გასაქცევად გავეშხადე, მაგრამ ლეკებმა შემატყვეს რასაც ვიზრახავდი და ხელფეხი დამიბორკეს.

აუხეხიდანაც გაველით. აქედან მეტად კარგი გზით მივიდიოდით. რამდენიმე სოფელს გავცდით და მალე მივალწიეთ მიუვალ სოფელს კარატის, სადაც 500—600 კომლი მოსახლე იქნება. სოფელი გაშენებულია მთაზე და სრულიად გამოყოფილია წინა მხრის ავარიელების მთებიდან. მისი ფერდობები მეტად მკვეთრად ეშვება. თვითონ სოფელში შუამავალი გზა საცალფეხოა, კლდეებს შუა მიიკლაკნება, რომლებიც ერთმანეთიდან სამი საჯენით არიან დაშორებულნი, ხოლო ბოლოს გაერთიანებულია მაგარი კედლით, რომელშიც ქიშკარი აუმართინათ ზედწამოდგმული საფეშაგო კოშკით, სადაც ყოველთვის რამდენიმე გუშაგი სდგას და შეუძლიანთ შეაკავონ საკმაოდ ძლიერი რაზმი.

ავარიის მთებზე, კარატის პირდაპირ, მდებარეობს რამდენიმე სოფელი კარატის საზოგადოებისა, რომლებიც აიღო და გადაჰბუგა გენერალმა ფეზემ.

კარატელებმა კარგად მივიღეს, დაგვებინავეს, გვასვეს გვაჭამეს, ვისაც რით შეეძლო.

კარატში მე ვნახე მრავალი საცოდავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ლეკებს კახეთიდან გამოეტაცნათ. როდესაც თავიანთი თანამემამულე დამინახეს, შემომეხევივნენ, სამშობლო გაიხსენეს და შწარედ ასტირდნენ.

კარატის საზოგადოების მოსახლეობა ბოგოლალურს ენაზე ლაპარაკობს, რომელიც სრულებით განსხვავდება აუხეხურსა და ავარულ ენებიდან. საკმაო კარგი გზით ვიარეთ კარატთან ანდიამდე. როცა მთები გადავლახეთ და შესასვენებლად შეეჩრდით ინხვოლში, რომელიც მდებარეობს ანდიის ქოისუს შესართავ პატარა მდინარის გვერდით, ჩვენ ეს მდინარეც გადაველით და ღამის გასათევად შეველით სოფ. კვონხიდათლში. ეს სოფელი კარატიდან ათი ვერსითა დაშორებული, მდიდარია თავისი სუფრის მარლით, რომელსაც მოსახლეობა იღებს მთიდან დაქანებულ მლაშე წყაროებიდან. ინხვალსა და კვონხიდათში 300 კომლი მოსახლე იქნება. ორივე სოფელი მიწერილია ტენხეტალის საზოგადოებაზე, რომელსაც თავისი საკუთარი ენა ჰქონია.

მეორე დღეს, გათენებისას, წამოგვლალეს და ეხლა ანდიისაკენ დაგვაქერინეს გზა. ხუთიოდე ვერსი სულ ანდიის ქოისუს ნაპირით ვიარეთ, შემდეგ გავუხვიეთ მარცხნივ სოფ. მონაოში, სადაც აუარება ხილის ბაღები და 150 კომლი მოსახლეობა. აქედან ანდიის პირველ სოფელამდე გზა მისდევს კირნარევე კაკობზე, შემდეგ ეშვება ხეობაში, სადაც მოსჩქეფენ თვითონ ანდიისა და გოგათლინის ლელები<sup>1</sup>.

სალამოთი მივალწიეთ ანდიის, სადაც დაგვხვდნენ შამილის მიერ გამოგზავნილი ყაზიყუმუხური მძევლები. მათ შორის იყვნენ ყაზიყუმუხის მმართველი მაჰმუდბეგი, მისი ძმა ჯიბრაილ-ბეგი, შვილი ჰარუნ-ბეგისა, მირზა ზოკო და სხვები.

<sup>1</sup> მდინარე, რომელსაც ჩვენში ანდიის ქოისუს უწოდებენ, ანდიის საზოგადოების არც ერთ სოფელს არა რწყავს, ამ საზოგადოებიდან იგი თითქმის 50 ვერსითა დაშორებული, ამიტომ ეს სახელწოდება შემდარად მიგვარჩია, თუმცა ამზობენ, ამ მდინარის სათავე თუ შეთ-შიაო. იქ თუზმე მას თუშეთის ალახანს უწოდებენ.

მეორე დღეს გაგვალაღეს სოფელ დარგისკენ. გზა უღელტეხილს კარგად აპყვებოდა ასე რომ მძიმე ტვირთის გადასაწიდათაც კი გამოდგებოდა. ჯერ ოთხიოდე ვერსი სულ მალა-მალა მიიშარებოდა, მიწისგორების მწვერვალისკენ. აქ ანდიელებს აქვთ თავიანთი პატარა სოფლები, სათიბები და საძოვარი ველები. ანდიდან ათიოდე ვერსის დაშორებით ჩვენ შეგვხვდა ორი წყარო, ორივე თხემზე ამოსჩქედდა. სამ ვერსს იქით გზა დაბლა-დაბლა ეშვება და ასე მისდევს ორი ვერსის მანძილზე. მის ძირს ამოსჩქედს საკმაოდ ძლიერი შდარევიანი. აქედან ზიპყება უხარმაზარი კლდოვანი და ტყეებით დაფარული ხეობა, სადაც მოიპოვება მღ. აქსაის სათავე (თათრულად-ალსუ, რაც ნიშნავს-თეთრ მდინარეს, ანუ თეთრ წყალს). ხეობაში სამი ვერსიც არ გაგვეყო, რომ წინ გადაგვეშალა მშვენიერი ველი, რომელიც ყოველ მხრიდან ხუთი თუ ექვსი ვერსის მანძილზე ძირს ერტყმის დარგოს. სოფელ ბოიანამდე, წუვეტერამდე, შემდეგ ბოლმითამდე და მის ირგვლივ ვიდრე ხეობის საწყისამდე.

31 მარტს, ნაშუადღევს ოთხ საათზე, ჩვენ მივალწით ჩვენი ბედის გადამწვეტ დილეგს.

ძიელი სოფელი, მამაკაცებიც, დედაკაცებიც და ბავშვებიც ქლივილ-ხივილით გამოგვიგებნენ, ჩვეულებრივი ლაღანით:

—ლა-ილახე-ილა-ალაჰ!

ეს იყო სამადლობელი ჰიმნი ზეციერ შემოქმედისადმი, რომელმაც ძლევა-მოსილი ჰყო შამილ და ბედნიერად გაამარჯვებინა ყაზიყუმუხზე და მრავალი ტყვე წამოაყვანინა. ჩვენ შამილის სახლში მიგვიყვანეს, სადაც, როგორც თვითონ შამილი დავგვირდა, კარგად მიგვიღებდნენ. და მართლაც, მისმა პირველმა ცოლმა, სახელიად ფატიმატმა, უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეკლათ ჩვენთვის ერთკემალი და პური გამოეცხოთ. ასეთი მოპყრობიდან ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ჩვენს წამებას ბოლო მოეღებოდა და შემდეგში ასევე აღამიანურად მოგვეპყრობდნენ მაგრამ დიდად მოგტყუვდით. მეორე დღეს მურიდებმა სოფელს გარედ გავგიყვანეს, რომელიც ფარდულში, აქ ჩვენ გვაჩვენეს ბნელი ხარო, ჩავახედეს და გვითხრეს:

— აი, აქ ეყრებით იქამდე, ვიდრე შამილის შვილს არ დაგვიბრუნებენ, არა და აქ ჩაძლიდებით, როგორც ქრისტიანი ლორები.

პირველად ა. ჩაუშვეს ხაროში, შემდეგ მე მიმავალეს მის კვალს. ხაროს ძირზე ჯაჭვების ჩხარა-ჩხური მოგვესმა. აქ ჩვენ ენახეთ ერთი ყიზლარელი სომეხი, რომელიც ყიზლარსა და მოზდოკს შუა შეეპყროთ ჩინებს და შებორკილი აქ ჩაეგდოთ.

ხარო, რომელიც ბნელ დილეგად გადაგვეშალა, სიღრმით ერთი საყენი იქნებოდა და ნახევარი საყენი სიგანე, ასე რომ დასაძინებლად რომ ვწვებოდით, იძულებული ვიყავით ერთმანეთზე ფეხები დაგვეწყო. ჰაერი მხოლოდ მალლიდან ჩამოდიოდა, საიდანაც ჩვენ ჩამოგვიშვეს. საღამოობით ჩვენს დილეგს სახურავით ჰკეტავდნენ. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო ფარდულაჰ, უკედ საყარაულოთი, რის გამოც ჰაერი უფრო გვეხუთებოდა. მალე შემოგვიმატეს ერთი ქაბუკი ჩინენი, რომელსაც მკვლელობას აბრალებდნენ. ბოლოს სულ 15 კაცი მოვემწვევდით, რომელთაც არსად არ გვიშვებდნენ, თვით ფეხისადგილისთვისაც კი.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ გავეწამებოდით ამ ბნელ ხაროში, როგორ სული მოგვეხუთებოდა ასეთი აყროლებული ჰაერიდან. ამ ყოფაში გავატარეთ სრული სამი კვირა. დღე და ღამეში ჩვენ გვადლებდნენ სამ-სამს ხინკალს. ეს იყო მოხარული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, ყოვლად უკემური, უნაწივრო და იმდენად სამყოფი, რომ კაცი არ მომკვდარიყო.

სამიოდე დღის შემდეგ ჩვენ გვეწვია სოფელ დარგის ყადი, სახელად ნურმახმა. იგი ჩერკეელებიდან იყო გამოსული. მან უბრძანა, რომ ხაროდან ამოვეყვანეთ, უკანასკნელი ტანისამოსიც წაგვართვია და პერანგის ანაბარად დაგვტოვა. როდესაც მან გულზე წმ. გიორგის ვერცხლის ხატი დამინახა, რომელიც შემეული იყო ძვირფასი თვლებით და წმინდა ნაწილებით, მან გაცოფებით ჩამომგლიჯა, დამიწყო გინება, ლანძღვა, პირში მიფურთხებდა, ასევე დააფურთხა ხატს, შემდეგ შემოაცალა ძვირფასი სამკაული, ხოლო თვითონ ხატი ცეცხლში ჩააგდო, ასე გამოვეთხოვე ჩემს იმედს, ხატს, რომელიც მით უფრო იყო ჩემთვის ძვირფასი, რომ დედამ იმითი დამლოცა და სამახსოვროდ გამომატანა.

მე და ა-ს ფეხში ბორკილები გავვიყარეს და ისევ ხაროში ჩავვიყარეს. ამ დღიდან ჩვენი კვება გაუარესდა. სასტიკი სიმშლის ვიტანდით. ბოლოს, როგორც იყო, დარგოდან დაბრუნდა თვითონ შამილი. გული მოგვეცა. გვეგონა ის შემოგვისუბუქებდა ხედრს, მაგრამ ამოდ. ერთხელ მან შემოგვიგზავნა ქალადი და საწერ-კალამი და გვიბრძანა ჩვენი ხელისუფლებისთვის მიგვეწერა ის პირობები, რომლითაც შეეძლებოდა მის ჩვენი განთავისუფლება. ამ პირობების მთავარ მუხლს შეადგენდა, რომ პოლკოვნიკ ს—ს თავში მისი ვაჟიშვილი დაებრუნებინათ, ხოლო ჩემში—მისი ძმის წული; პრაპორშჩიკ ა-ში სთხოვდნენ ახულგოელ ალი-ბეგის ვაჟს, ხოლო დანარჩენებში—ორ-ორ ტყვეს, რომლებიც იმავე სოფლიდან წაიყვანათ. ჩვენ დიდხანს ვუარობდით და ვარწმუნებდით, ამაზე ჩვენი მთავრობა არასოდეს არ დასთანხმდებაო. ბოლოს იძულებული შევიქნით დაემორჩილებოდით მის ბრძანებას. ჩვენი წერილი გადაუგზავნეს თემირ-ხან-შუბრაში გენერალ-მაიორს ფონ-კლუგენაუს.

ასე ვცხოვრობდით ჩვენ იმ ხაროში, მზის შუქს დანატრულებულები. ჩვენ არც დილა გავგაჩნდა და არც საღამო, მხოლოდ მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა, ახალი დღე იწყებოდა. ეს მაშინ, როდესაც იგი მოსახლეობას მოუწოდებდა დილის ან მწუხრის ლოცვებისთვის. დიდის ყურადღებით ვითვლიდით დღეებს, რომ არ გამოგვპარვოდა აღდგომის დღე. დადგა ეს ბრწყინვალე დღეც ეს იყო 19 აპრილს. მუსეიმი მართლმორწმუნეებს მოუწოდებდა დილის ნამაზისთვის. ჩვენ ერთმანეთი გვაღვიძებთ, გულმხურვალედ ვილოცეთ, ვიგალობეთ „ქრისტე აღსდგა“ და ნაღვლიანად გადავხვიეთ ერთმანეთს. ეს ბრწყინვალე დღე ჩვენ ვავატარეთ მოგონებაში, წარსულ ამბების მოყალბაში, ხაროს სიბნელე და მძაფრი ჰაერი სულს გვიხუთავდა, გულს ვვიკლავდა.

მაგრამ ეს დღესასწაული ჩვენს მახსოვრობაში ერთი ამბით აინიშნა, რამაც კინაღამ სამუდამოდ ჩავვიარხა ყველანი ამ მიწის ქვეშ. მეორე თუ მესამე დღეს (აღარ მახსოვს) თავლი წამოღუშინა და მძაფრი ქარბუქი ამოვარდა. ჩვენს თავზე გადმოხურული ფარდული წამოიქცა, ის პატარა ქუქრუტანაც ჩავვიხშო, საიდანაც ჰაერი მოგვიდოდა. ორი ყარაულიც ქვეშ მოიტანა და გაჰყლიტა.

მესამე მოახერხა გამოძრომა, გაიქცა დარგოში და შეატყობინა, რაც მოხდა. ჩვენ კი საშინელ მდგომარეობაში ჩავკვივდით. ჰაერი სრულებით მოიხუთა, წუთით წუთზე სუნთქვა გვიძნელდებოდა, ბოლოს მთლად შეუძლებელი შეიქნა, გულზე რალაცა მძიმე წამოგვაწვა, თითქოს მაჯლაჯუნა გვახრობსო, ზოგიერთ ჩვენგანს გული წაუვიდა. კიდევ რამდენიმე წუთი და არც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი აღარ დარჩებოდა. საბედნიეროდ, მასველი ხალხი მოვიდა. ყველანი მისიენენ ხაროს თავზე წამოკეცულ ფარდულს, ხაროს თავი აჭადეს, ამოგვიყვანეს და თვითონვე გავვისუფთავეს ხაროს ძირი.

ამოდ ვევედრებოდით შამილს, რომ რომელიმე ფარდულში გადავეყვანეთ, ან სახლში, მაგრამ არაფერმა გვიშველა: ჩვენ ისევ ხაროში ჩაგვყარეს, რომლის თავზე ახალი ფარდული წამოადგეს, უფრო გამძლე და მაგარი საგუშავო, რომელსაც ირგვლივ თხრილები შემოუვლეს. ღამ-ღამობით ყარაულები გაგვიძლიერეს. ქარბუქებსა და ავდარში გუშავები შიგნით შედიოდნენ, სახლში, ეს ის გარემოება ვახლდათ, რამაც შემდეგ ხელი შეგვიწყო გაქცევაში.

მაისის პირველ რიცხვებში შამილს ცნობა მოუვიდა, რომ რუსების მცირე რაზმმა რაჯასთან დაამარცხა მთიულები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ჰაჯი-იაგი და აბდუსახამან-დინი—კარახელი ნაიბი. შამილმა უბრძანა ჩეჩნეთისა და აუხის ნაიბებს, ესე-იგი, იჩქერელ შუემბუს, შუბუთელ ჯავათ-ხანს, აუხოველ ულუბების და დიდი ჩეჩნეთის ახვერდ-მაჰმადს, რათა მათ შეეკრიბათ ხუთასი რჩეული ცხენოსანი. რამდენიმე დღეში ბრძანება შესრულებული იქნა. ახალი რაზმი ახვერდ-მაჰმადის მეთაურობით უნდა გამგზავრებულიყო ყაზიყუმუხის სახანოში. ამ დღეს შემოდხსენებული ჩეჩნეთის ნაიბები მოვიდნენ დარგოდან და შამილის ნებართვით ჩვენ გვინახულეს. როდესაც ხაროდან ამოგვიყვანეს და მათ წინაშე წარგვადგინეს, მათი მცველები წინ წამოდგნენ. მე შეძლება მომეცა გაცნობილი შამილის ზოგიერთ თანამოსაგარეს,—ი ესენიცი:

ახვერდი-მაჰმად, შუატანის ვაჟაკი, დაახლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა. სახეზე გულკეთილობის იერი დაჰკრავდა, თანაც ცივი უნდა ყოფილიყო. ჩამკვრივებული სხელი მოწმობდა მის ჯანსაღობას და ღონეს. ჩეჩნებში მას ყველაზე საუკეთესოდ ეცვა. მთებში და ჩეჩნეთში მისი ვაჟაკობის ხმა გრგვინავდა. იგი ჩეჩნეთის უფროსთა შორის ყველაზე სახელოვანი მოღვაწე იყო, დაუმრეტელი ძალღონით, რომელიც თარეშით ქვეყანას ზარს სცემდა.

შუემბი პატარა ტანის კაცი იყო, შავვერმანი, ოდნავად ნაყვავილარი სახით, მეტად მარდი, ჩაუქი, განსაკუთრებით ქებული, როგორც ცხენოსანი. აგრეთვე ცნობილი იყო იგი როგორც ცბიერი, მკვირცხლი და გონება მახვილი ადამიანი, მარჯვე მოთარეშე, უბადლო ხმლის მომხმარებელი და დახელოვნებული წინამძღოლი.

ულუბები, ახალგაზრდა ქაბუჯი, ასე ოცდა ხუთის წლის ვაჟაკი, კარგი შეხედულობისა და ტანადი, სახელოვანი მოთარეშე და მამაცი, რომელიც წინა ჩამოთვლილებს არაფრით არ ჩამორჩებოდა. პირადად თითონ თავის თავს შუემბზე მალა აყენებდა, რომელსაც საკმაოდ უჩიოდა და არც თუ პატივსაცემდა, რამდენადაც ეს გამოირკვა ჩვენთან საუბრის დროს. როგორც ულუბების, ისე შუემბს მხრებს ზემოდ გულზე ვერცხლის ხუთქიმოვანი ვარსკვლავი ჰქონდათ

ჯავათ-ხანი მათთან ერთად არ ყოფილა. ის დაქრილი იწვა, რამაც თან გადაიტანა კიდეც.

შეგზი და ულუ-ბეი ჩვენს წინ სულ რუსების გინებაში იყვნენ, ამბობდნენ, შამილმა ხომ ტყვედ წამოგვიყვანათ, ახლა კლუგენაუსაც მისწვდება, გრაბესაც და ბოლოს, ღვთის შეწევნით, თბილისსაც აიღებს, სარდალს დაატყვევებს, გაჟლიტავს გიაურების ჯარს და სალაყბოდ აქ ჩამოვიყრით სომხებს, ქართველებს და რუსებსაო. და როდესაც ისინი ასე ტრაბახობდნენ, სხვები ხარხარით ბანს აძლევდნენ.

ახვერდი-მაჰმადი მონაწილეობას არ იღებდა ამ ლაპარაკში. ის მოვიდა ჩემთან, შემდეგ ა—ს დაუძახა, დაჯდა და გვთხოვა, ჩვენც დავმსხდარიყავით. შემდეგ ტბილად გაგვიბა:

— თქვენს თავზე, მეგობრებო, შამილი თავის შვილს თხოულობს. ძალიან უყვარს ის. იმედოვნებს, რომ თქვენს თავში-მის დაუთმობენ. ამიტომ ჰყვებათ ისეთ ადგილას ჩამწყვდეული, საიდანაც გაქცევას ვერ მოახერხებთ. და რომ უფრო ბეჯითად სთხოვოთ თქვენს უფროსებს და თვითონ თქვენი უფროსობაც მოლბნენ და ადვილად დასთანხმდნენ შამილის მოთხოვნას, ის ასე ცუდად გკეებათ, ცუდად გეპყრობათ: მაგრამ თქვენ სამხედროები ხართ და არ უნდა გატყდეთ სულიერად, მოთმინება და ვაჟაკობა. ღმერთს უნდოდა თქვენი დასჯა და აკი დაგსაჯათ კიდეც. თუ თქვენს ხსნას მოისურვებს, ის გიხსნით კიდეც. ამიტომ ნუ დაეცემით სულიერად, ვაჟაკურად გეპყროთ თავი. აბა შემოგვხედეთ მე და შამილს, რამდენი ჭრილობით დაიკემსა ჩვენი სხეული. რამდენჯერ პირისპირ წარუდგეპით გიმრწო, ტილითში, ახულგოში. ახულგოში როცა დავინახეთ, რომ ხსნა არ იყო რუსებისგან, ას ორმოცდა ათი ყველაზე საიმედო მურიდი გავგზავნეთ შამილის ოჯახის გადასარჩენად, რომელიც შესდგებოდა ორი ცოლისა და ორი ვაჟიშვილისაგან. ერთი ამ ვაჟიშვილთაგანი დაქრილი იყო,<sup>1</sup> მესამე უფროსი გადაეცა გენერალ-გრაბეს. ერთმანეთი თოკებით ჩაუშვით სალი კლდის უფსკრულებში ქოისუსთან და ხმაღ და ხმაღ გადავერით თქვენს მწყრივებს გზის ვასაკაფავად. შამილის ერთი ცოლთაგანი მოკლული იქნა და იქვე მივატოვეთ. მეორე შვილი ტყვიით დაუტრეს. ორივენი მხრებზედ შევისვით და, როგორც იყო, სამშვიდობოზედ ვაველით. ას ორმოცდა ორი კაციდან, იქ, ჩვენ დავტოვეთ ოთხმოცდა ხუთი ვაჟაკის გვამი. ვანა ცოტა მწუხარება გადავიტანეთ? მერე მარტო რუსებისგან ხომ არა, თვით ჩვენებისაგანაც, მუსლიმანებისაგან, რომლებსაც არ უნდოდათ მიელოთ და შეესრულებინათ შარიათი. მაგრამ მტკიცედ და ვაჟაკურად გადავიტანეთ ყველაფერი უბედურება და აი, როგორც ჰხედავთ, დღეს უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ღმერთი დიდია! არვინ იცის, ვის რა ელის! იყავ ნება მისი, ურომლისოდაც არაფერი არ კეთდება. თქვენც ასევე უნდა მოითმინოთ თქვენი უბედურება, ღმერთი მოწყალეა, ალბათ ესეც გაივლის და თქვენ დასტკებით ახალი ბედნიერებით.

ველური მთიელის ასეთმა აზრებმა და ამ უბრალო სანუგეშო სიტყვებმა, რომელიც გამოიმეტა ჩვენთვის ახვერდი მაჰმადმა, ღრმად აგვალეღვა ყველანი.

<sup>1</sup> ჯემალ-ედინი.

ჩვენ მადლობა გადაუხადეთ ასეთი თანაგრძობისათვის და ვსთხოვეთ, გშუამდგომლა შამილის წინაშე ჩვენი ბედის შესამსუბუქებლად.

— თუ შამილი წინად (უღდად გვეპყრობოდა, — ეუფუნები, — ალბათ იმიტომ, რომ ვაძულებინეთ და უფრო სურათოვნათ აგვეწერა ჩვენი ტანჯვა-წამება, რათა დაგვერწმუნებინა ჩვენი უფროსობა, ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაში, მალე დაებრუნებინათ შამილის შვილი და სხვები, მაგრამ ეხლა რაღად უნდა გვაწამებდეს, როდესაც ჩვენ უკვე წერილობით გავგზავნეთ ჩვენი თხოვნა, რატომ არ უნდა გვიმსუბუქებდეს მდგომარებას? თუ მას ჩვენი გაქცევისა ეშინიან და იმიტომ არ ამოგყვევართ ამ ხაროდან, შიმშილით მაინც ნულარ გვხოცავს. ჩვენ ხომ საკმელის ვაუმჯობესებას არ ვთხოვეთ, ცოტაოდენი მოგვიმატოს, განა რუსები ასე ეპყრობიან თქვენს ტყვეებს? ტყვეებს ყველას თავთავისი წოდებისა და ხარისხის მიხედვით ინახავენ, საკმაო ჯამაგირსაც აძლევენ, ასე რომ მათ არ იციან, რა არის ვაჭირება.

— ვიცო, საყვარელო, ვიცო, ძალიან კარგად ვიცო. — მეუბნება ახმედ-მაჰმადი და აღმითქვა: შამილს ვთხოვ, რომ ხინკალი მოგიმატონო.

მაგრამ მართალია ის, რომ შამილმა არც მისი შუამდგომლობა შეიწყინარა: ჩვენი თხოვნა არ შეუსრულებია და მდგომარეობა არ შეგვეცვლია. მაგრამ ახვერდი-მაჰმადმა მარტო სიტყვებით კი არ დაამტკიცა თავისი გულკეთილობა. გამოთხოვებისას შამილის ნებართვით მეც და ა-საც ვერცხლის თითო მანეთიანები გვაჩუქა. შიმშილისაგან განაწამები ვიყავით და ეს საჩუქარი დიდის მადლობით მივიღეთ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ეს ორი მანეთი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ორი ათასი მანეთი სხვა დროს და სხვა პირობებში. რარიგად გვიხაროდა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ კარგი საკმელობით შევიმაგრებდით ჩვენს ძალღონეს და ჩვენი ამხანაგების ჯანპრთელობას, მაგრამ ეს სიხარულიც ამაო გამოდგა: საზიზღარმა ყარაულემა, როდესაც ეს ფული ხელთ იგდეს, დაგვეცინეს, ფული ჩაიჯიბეს და ჩვენ გადმოგვიყარეს ათიოდე ქადის პაწია კვერი და ქონის სანთლის ნამკცა ნაჭერი. ამაოდ ვემუდარებოდით, რომ მათ ჩვენთვის ცოტაოდენი ხორცი ეყიდათ, — კედელს ცერცი შეაყარეო, — გაგონება არც კი უნდოდათ. გაცრუებული იმედები, შიმშილი და გულისწყრომა სულსა და გულს გვიქვენიდა, მაგრამ რა უნდა გვექნა.

მეორე დღეს, ახვერდი-მაჰმადი, ჩვენთა ცხენონებით წავიდა სალაშქროდ და მას შემდეგ აღარც გვინახავს, ვიდრე ილალინის საქმეებს არ მორჩა, სადაც მან დიდად ისახელა თავი.

ჩვენთან სხვა ნაიბებიც დაიარებოდნენ, როგორც მაგალითად ანდიის ყადი, გუმბეთელი აბაქარ-დიბირი, ტულოხელი ჰაჯი-მურატი, ყილაღელი და სურხაი ანალიოელი და ტლითელი კიბით-მაჰმადი და სხვები.

მაისის შუა რიცხვებში მთიელებმა ყაზიყუმუხისკენ დაიჭირეს გზები. მათ მალე დაედევნა თვითონ შამილი, რომელმაც ჩვენთა შუემბისა და ულუბების განკარგულებაში დასტოვა. ორივეს ისე ენდობოდა, როგორც საკუთარ მარჯვენას. იმავე თვის ბოლოს დარგოლელებში ხმა დაირხა, რომ რუსები ჩვენებზე აპირებენ ლაშქრობასაო.



პირველ იენისს გენერალი გრაბე შევიდა იჩქირის ტყეებში. დღითი დღე ზარბაზნების ხმა ძლიერდებოდა, ასე რომ მათი გრიალი ბოლოს ჩვენამდეც აღწევდა. ისე მოსჩანდა, თითქოს თავისუფლების სხივი აგერ-აგერ ჩვენს დილეგ-შიც ჩამოანათებდა. მაგრამ მალე იმედი გავვიკარა, რომ ჩვენები როდისმე სოფელ დარგომდე მოაღწევდენ.

ქაბუჯი ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან მკვლელობის გამო იჯდა, დის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, თითქმის ყოველ დღე სამჯერ მაინც ნახულობდა მას ეს და თან მოჰქონდა საკმელები. მისგან მალე გავიგეთ დაწვრილებით საქმის ნამდვილი ვითარება და სხვადასხვა ამბები, ერთი სიტყვით თუ რამეს ვტყობილობდით, სულ იმ ქალის წყალობით. ქაბუჯი დიდად ნაღვლობდა, რომ რუსებმა სალაშქროდ უხეირო მხარე აირჩიეს, სრულიად უწყლო და უდაბური მხარე; ამოიპდა იმასაც, რუსის ჯარებს სოფელი ბიანი რომ აერჩიათ სალაშქროდ, მაშინ უსათუოდ გაიმარჯვებდნენო, აქ გაყვანილი გზები ჯარების მოძრაობას გააადვილებდაო, მაშინ, ჩვენც ადვილად მოვახერხებდით გაქცევას აგერ ამ მხრითაო,—და თან მიგვითითა თუ რა გზით და რომელ მხრით შეიძლებოდა ჩვენი ხსნა, გადაარჩენა. შემდეგ სასოწარკვეთილებით ხელი ჩაიქნია და სოქვა:

— ეხლა ამისი იმედი აღარ უნდა გვექონდეს. გადაპრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსები დარგოს ველარ მოაღწევენ. შამილი დაბრუნდება ყაზიყუმუხიდან, ხელახლად ჩეჩნეთის მფლობელი შეიქნება და გაქცევაც რომ მოვახერხოთ, მაშინ ჩემი მშობლები, ძმები დღეები სიკვდილით დაისჯებიან ჩემს გამოო.

შუენები და ულუბები გენერალ გრაბეს შეხვდნენ იჩქერელებისა და აღხაველების რაზმებით. სხვა შთიელები ვერ მიეშველნენ, ან და არ უნდოდათ მონაწილეობა მიელოთ საფათერაკო ბრძოლაში. ჩვენ თითონ დავინახეთ ასამდე ანდიელი, როგორ გულდამშვიდებით ისხდნენ თავისთვის დარგოში. ორივე ნაიბი განუწყვეტლივ უკზავნიდნენ თხოვნას შამილის ოჯახობას, ანდიაში გადასახლდით, ანდა დალესტინის შორეულ მთებშიო. ისინი უთვლიდნენ მას (შამილის ოჯახს):

— ჩვენ, რა თქმა უნდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძობებით, რუსებს არავითარი შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, რომ დარგოს მიიღწიონ, მაგრამ იმასთან ერთად ნურც იმას დავიფიწყებთ, რომ მტერი ძლიერია, ვინ ითავდებებს, რომ თუ გენერალი გრაბე მოისურვებს, თავისი არ გაიტანოს, რანაირი მსხვერპლიც არ უნდა მოუვიდეს მას.

ეს საზოგადო აზრი იყო ყველა მთიელებისა გენერალ გრაბეს შესახებ და ეს რწმენა ისე აფრთხობდა ჩეჩნებს, რომ თუმცა იმედი ჰქონდათ რუსები დარგოს გზამდე ვერც კი მოაღწევენო, მაგრამ მაინც შიშობდნენ და ოჯახებით იხიზნებოდნენ უფრო მიუვალს და უშიშარს ადგილებში. შამილის ოჯახობაც მთელი თავისი ავლა-დიდებით ანდიაში გაიხიზნა.

შამილის ოჯახის გახიზნის შემდეგ მურიდები შეიკრიბნენ ჩვენი ხბროს თავზე წამოდგმულ სახლში და მოჰყვენ ბქობას, რა ვუყოთ ამ ტყვეებს, როდესაც რუსები დღითი დღე გვიახლოვდებიან და თვითეულმა ჩვენგანმა თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროსო.

— რა გქნათ, რა მოვაგვაროთ?— შესძახა შამილის ბიძაშვილმა, სახელოვანმა გიმრელმა ამბრაგმა იბრაჰიმმა— რუსები რომ ურტყამენ ჩვენს მუსლიმანებს, მოდი და ჩვენც ამოუუკლიტოთ მათ თავიანთი ერთმორწმუნენი, აი ეს ტყვე ღორები. ამით ჩვენი ძმების შურს ვიძიებთ, ლეთის სასურველ საქმეს ჩავიდენთ და ჩვენს სულს ვაცხოვნებთ კიდევ.

ჩვენ აშკარად გავიგონეთ ეს სიტყვები. გავიგონეთ ისიც, თუ დარგოელმა ყადმა, როგორ უბრძანა მურიდებს, იარაღი მოამზადეთ და ტყვეები სათითაოდ ამოიყვანეთო. ისე სჩანდა, რომ ჩვენი განკითხვის ეამმა დაჰკრა, მაგრამ ამ თავადაც სიკვდილმა გვიბრალა და გვერდი აგვიხვია.

ჩვენდა საბედნიეროდ, ამ დროს მურიდებთან მივიდა ერთი ყაზიყუმუხელი ჯტოლვილი, რომელმაც გადასწყვიტა ჩვენი ბედი. როდესაც მან გაიგო მათი განზრახვა ჩვენს შესახებ, წამოდგა და ასეთი წინანდადებით მიმართა:

— აბა, რაზე ტყვილა-უბრალოდ უნდა დახოცოთ ეს ტყვეები? განა უკეთესი არ იქნება ჩვენს ტიტელიკანა მლოცველებს ვუთხრათ და ბამბის ტილოს ერთ ძაფში<sup>1</sup> მაგათ ანდიის იქითაც კი გადაიყვანენ. თუ შამილი მოისურვებს მათ გაუიღვას გაჰყიდის კიდევ და ერთი ათჯერ მეტს აიღებს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

მურიდებმა დაიჯერეს ეს რჩევა, უბრძანეს ტყვეები ხაროდან ამოიყვანეთო და მლოცველებს თან გაგვაყოლეს სოფელ ანდისაკენ.

მაერზე რომ ამოგვიყვანეს, ჩვენი თვალით დავინახეთ იჩქერის ტყეში ავარდნილი კომლის ღრუბლები. ზარბაზნის ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა. თოფების ერთბაში სროლა გრიალით მიჯირითობდა მთებისაკენ.

ჩვენ მოველით ანდიაში. ამ სოფლის მოსახლეობა, გარდა ორმოციოდე კაცისა, რომლებიც სასტაკი მურიდები იყვნენ, ყველანი სიზარულთ მოელოდნენ რუსების მოსვლას. მაგრამ ისინიც გულგატეხილები იყვნენ, გენერალმა გრაბემ სალაშქროდ ძალიან ცუდი მხარე აირჩია და ძნელად, რომ დარგომდე მოაღწიოსო.

ანდიელებს ორი მიზეზის გამო ენატრებოდათ რუსების გამარჯვება: ერთი ის იყო, რომ ანდიელები ძალიან ღარიბები არიან და უძნელდებათ ცხოვრების წყაროს აღმოჩენა, რადგანაც მათ ვეღარ შეეძლოთ გაესაღებინათ თავიანთი ნაბდები მას შემდეგ, რაც მათ აუკრძალეს იმ ადგილებში მისვლა, სადაც რუსის

<sup>1</sup> ეს ტილო ჭრელია და მთებში სულ სხვადასხვა მხრიდან შემოაქვთ: ანკათელები მას ეზიდებიან ზარბელაქანის მხრიდან, ყაზიყუმუხელები და ჩოხელები—თბილისიდან, აკუშელები და ცუდაბერელები—დარუბანიდან, ახტინელები, რუტულელები და სხვები—უზბიდან ურიების საზღვლებით, ავარელები, გუმბეთელები და ქოისუბელები—თემირ-ხან-შურიდან ჩენნეთში ამ ტილოს ფარულად ეზიდებიან. აქვე მოაქვთ სადგურ ვენახანოიდან, აქსაიდან, გროზნოდან და კავკაიდან. ცალი ასეთი ტილოსი ღირს I ვერცხლის მანეთიანი. ეს ტილო დიდ ხმარებაშია, რადგან შარიათით აკრძალულია აბრეშუმელის ტარება. ჰკვიანმა შაფი<sup>1</sup> (სუნიტები, როგორც ვიცით, ოთხ სექტად განიყოფიან: შაფი, ანაფი, მალაქი, ალალი. დაღესტანელები შაფის ეკუთვნოდნენ), რომლის სექტასაც ეკუთვნის მთელი დაღესტანი, ღარიბი მთიელებისთვის რომ ზღლი აეღებინებინა ფუფუნებაზე, დაადგინა აბრეშუმისა და ოქროს მოხმარება ტანისამოსსა და იარაღზე უდიდესი ცოდვა არისო. თავის მიმდევართ ისიც კი აუკრძალა, უეცრივ ახლებში არ გამოეწყეთო.

ჯარმა ფეხი შესდგა. ანდიელებს არასოდეს ხენა-თესვა არ იინტერესებდათ. მათი საქმიანობა მენაბდობა იყო. მათი გაკეთებული ნაბადი მთელს კავკასიაში იყო განთქმული. თითო ნაბადში იღებდნენ 5, 10, ხშირად 20 მანეთს, როგორც დაღესტანში, თბილისში, ის მთელს საქართველოში. აქ ისინი მცირე ფასებში იძენდნენ ბამბეულ ქსოვილებს და სხვა ნივთებს, რაც საჭიროა მთიელებისთვის, გადაჰყიდდნენ ხოლმე დაღესტანში, ან მთებში და ორჯერ-სამჯერ მეტ ფასს იღებდნენ, ვიდრე თითონ ჰქონდათ გაღებული. აი ამ ფულით ისინი იმარაგებდნენ წლიურ სარჩოს. ამასთან ერთად ისინი აუმჯობესებდნენ და ავრცელებდნენ მეცხვარეობას, როგორც თავიანთი შემოსავლის პირველ წყაროს. ესლაკი მათი გასაღება შეუძლებელი ხდება, მიწის დამუშავებაც აკრძალული აქვთ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ მათ სძულთ შამილი, რომელიც სასტიკად ეპყრობა მათ, ნაკლებად ენდობა და ამ პატივცემულ საზოგადოების წევრები ძალიან ბლომად დასაჯა სიკვდილით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიმკაცრისთვის სძულთ იმამი, იმავე დროს ისინი შიშით ძრწვიან და ვერაფერი ვერ უღონიათ. მათ აიძულებთ მხოლოდ რუსების მოსვლა, რომ მათ დაამხონ შამილის ბატონობა და ეს ხალხი იხსნან საცოდავ მდგომარეობიდან.

როდესაც გენერალ გრაბეს უკან დახვევის ამბავი გაიგეს, ისინი მოვიდნენ ჩვენთან და ნაღვლიანად გვეუბნებიან:

— ჩვენ თქვენების მოსვლის-მოლოდინში ვიყავით, რომ გამოჩენილიყვნენ, მათ ჩვენ თქვენთან ერთად პურმაროლით შევხვდებოდით. გარემოებაც ხელს გვიწყობდა: შამილი აქ არ არის და წინააღმდეგობას ვერვინ გაგვიწევდა. ალბათ გენერალს მთლად არ ჰქონდა ჩვენი იმედი: რუსები რომ თუნდა ოდნავად მოახლოვებოდნენ დარგოს, ჩვენ გავიდოდით შესაგებებლად, როგორც მოძმე და მეგობრები. მაგრამ ვინ უთავდებებდა მათ ჩვენს გამო. ხომ შეიძლებოდა რომ ჩვენც შევხვდებოდით მათ საშინელს ხეობაში, რომელიც დარგის ქედიდან მიიმართება, უცბად იარაღზე გაგვეკრა ხელი და დაგვეწყო ხოცვა-ჟლეტა. მაშინ ხომ ისინი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობოდნენ. ვთქვათ, ხუთი-ექვსი ათასი კაცი დაეკარგათ და მოესწროთ ხეობის დაქვერა. ამასობაში შამილი მოასწორებდა მოსვლას, მწვერვლებიდან ნიშანში ამოიღებდა რუსებს, ზურგიდან ჩიჩნებს მოგისევდათ და ერთსაც არ გაგიშვებდათ ცოცხალს, რომ თქვენი დალუპვის ამბავი წაგელოთ სადმე. რუსებს ჩერკეიდან უნდა დაეწყეთ შეტევა დანულისა, არლუნისა და მესხეთის მიმართულებით. იქ მათ არავითარი დაბრკოლება არ გადელეობოდათ წინ, არც ბუნებრივი და არც მოსახლეობის მხრივ. დარგი და ჩეჩნეთი სრულიად უბრძოლველად დაემორჩილებოდათ.

ეს სიტყვები ღრმად აღიბუქდა ჩემს მახსოვრობაში და შემდეგში, გაქცევის დროს, ან როდესაც გუმბეთში ვიმყოფებოდი, და ბოლოს განთავისუფლების შემდეგ, მე დიდის ყურადღებით დავათვალიერე ყველა გზეზი და ადგილმდებარეობა, მაშინ დავრწმუნდი, რომ გუმბეთისა და ანდიის ადგმა სრულებით ადვილი საქმე ყოფილა, რომ ჩეჩნეთს არ შეუძლიან დიდხანს გასძლოს, როდესაც ანდიიდან მას თავზე დავეყვლებთ მწვერვლებით; რომ თლოხი, თენუშის საზოგადოების ნაწილი, აუხვახი და ბოთლუხი, მთელი სივრცე ავარიის ქოისუს

მარცხენა ნაპირამდე ხელის გაქნევაზე დაგვემორჩილება, სრულიად პატარა მსხვერპლის ვალდებით. მნიშვნელოვან ადგილებს დაეიკავებდით და მაშინ, მართლაც, მტკიცედ მოვიციდებდით ფეხს მთელს დაღესტანში.

გენერალ გრაბეს უკან დახევის შემდეგ, ჩვენ კვლავ დარგოში გადავვრეკეს და ძველ ხაროში ჩავყვარეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა თვითონ შამილიც, რომელიც მოეშურებოდა ჩეჩნეთისა და თავის ოჯახის დასახმარებლად. მას ასე ეგონა, თითქოს ერთიც და მეორეც, ისევ სახიფათო მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვენილნი. როდესაც რუსები აღარ დახვედრიან დარგოში, შამილი ნაწყენი დარჩა, ყაზიყუმუხის საქმეებს რად ჩამომამოხრეთო.

— იქ, — ამბობდა ის, — რუსებს ზურგში მოვექცეოდი, მოვუსპობდი ყველანაირ საშუალებას, რომ მათთვის სურსათი არ მიეშველებინათ და სულ შიმშილით ამოეხოცდი.

მაგრამ შამილს ამ წყენამ მალე გაუარა, დაცხრა და ძალიან ტკბილად მიულერსა ორივე ნაიბს შუემბის და ულუ-ბეის, რომელთაც მამაცობისა და ვაეკაცობისთვის, იჩქერის ტყეში რუსების ამოკლეტისათვის, აჩუქა მათ ჩვენი ორი დროშა, რომლებიც ხელთ იგდო მან ყაზიყუმუხში ასლან-ხანის მეუღლისაგან. ასლან-ხანს თავის დროზე ეს დროშები მიეღო ძღვნად ერეკვის გრაფ პასკევიჩისაგან, რადგანაც სპარსეთთან ომიანობის დროს ამ ხანმა მთელს დაღესტანში მშვიდობიანობა არ დაარღვია.

დარგოში მისვლისთანავე, ჩვენ დაულალავად შეეფუდქით ახალ საშუალებათა გამონახვას, რომ ტყვეობიდან როგორმე თავი დაგვეღწია. საბედნიეროდ ის ახალგაზრდა ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან ერთად იჯდა, ანდიდან დაბრუნებისას აქ აღარ დაგვხვედრია. შეუძლებელი იყო მახე რაიმე იმედი დაგვემყარებინა, არც იმაში, რომ მონაწილეობა მიეღო ჩვენს გაქცევაში და არც იმაში, რომ ყოველ შემთხვევაში ის ჩუმად იქნებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ჯერ ამ ხაროდან ამოვსულიყავით, ამისათვის კი მხოლოდ ერთი საშუალება იყო, — როგორმე გვერდითა კედელი გაგვერღვია. ვახსენეთ ღმერთი და შევფუდქით საქმიანობას.

ანდიდან დაბრუნებისას გზად ერთი ხმელი, მაგარი და წვეტიანი ჯოხი ეიპოვეთ, ეს ჯოხი ფარულად შევმაღე კალთების ქვეშ და ხაროში ისე ჩავიტანე, რომ ყარაულებს არ გაუგიათ. ხაროს ჭერში ეს ჯოხი შევარქე სანდო ადგილას. — აი, ამ ჯოხის წყალობით გავითხარეთ კედელი. მუშაობა მარჯვედ მიდიოდა. გამოღებულ მიწას იქვე ხაროს ძირზე ვფენდით. რამოდენიმე დღის შემდეგ ხერელი უკვე მზად იყო, ორი-სამი საყენის მანძილზე, სიმაღლით კი იმოდენა იყო, რომ ხოხვით შევკმლებოდა გაცოცება. ჩვენსა და თავისუფლებას შუა მხოლოდ პატარა იაგთალი და დავგრჩენოდა.

რომ ყარაულები არ მიხვედრილიყვნენ ჩვენს განზრახვას, როდესაც ზოგჯერ ჩვენს ხაროს ათვალეირებდნენ ხოლმე, ხერელის თავის დასაფარავად ლასტი დავწანით იმ ფიჩხისაგან, რომელზეც ჩეჩენს ეძინა ხოლმე, შემდეგ ეს ლასტი გავლესეთ თიხით, რომელსაც ვზილავდით ჩვენთვის სასმელად ჩამოშვებულ წყლით.

ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა როგორ და საით გაექცეულიყავით, რომ ჩვენს გარნიზონებამდე მიგვეღწია. აქ ჩვენს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი: ზოგნი ამბობდნენ უმჯობესია გერზელ აულისკენ გავიქცეთო; ზოგი კიდევ ვენჭაპნოის მიმართულებას ამჯობინებდნენ, მე კი უფრო შორეული გზა ავირჩიე. რომელიც ანდისა და გუმბეთის მთებს უხვევდნენ. მე ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ ჩვენი ყარაულები, როდესაც ჩვენი გაქცევის ამბავს გაიგებდნენ, პირველ ყოვლისა იმ ორ პატარა გზას გაჰყვებოდნენ, რომლებსაც ჩვენების ს-მაგრებამდე მიჰყავდათ. ამნაირად, ჩვენ სამ ჯგუფად გავიყავით. მე მხარი დამიჭირა ზაგორსკიმ და ერთმა ყაზახმა. გერზელ აულის მიმართულება აირჩია ა—მ, მას შეუერთდა პოდპოლკოვნიკი ს—, თავისი ორი მსახურით, ორი ყაზახი, სომეხი და ერთიც ქართველი. ყაზახმა შჩედრინმა ორი თავისი ამხანაგით ვენჭაპნოის მიმართულება აირჩია. ამაზე შეთანხმების შემდეგ ჩვენ წილი ვყარეთ, ვინ გავსულიყავით ხაროდან პირველად: წილი მე მხვდა და ჩემს თანამოაზრეებს. ყველაფერი მზად იყო. ჩვენ მხოლოდ შესაფერ შემთხვევას ველოდით.

დადგა 22 ივნისის ღამე. ჩამოხნულდა. გრივლი მძინვარებდა. წვიმის ღვართქაფი ლეკავდა ყველაფერს. ჩვენ გვესმოდა, ჩვენი ხაროს თავსახურზე წვიმა, როგორ შხაპა-შხუპით ეცემოდა. გუშაგები გინებით მოგვშორდნენ და საყარაულოს შეაფარეს თავი. ეს დრო საუკეთესოდ მივიჩინეთ. საერთო ძალით მოვეყეთ უქანასქნელი კედლის გათხრას. შუალაშისას ჩვენი ხერხის მეორე თავი ჯკვე გარედ გავიდა. სუფთა ჰაერმა სიმბნე შემოგვშატა. ჩვენ ერთმანეთს დავემშვიდობეთ, დავლოკეთ, გადავიწერეთ პირჯვარი და დავიწყეთ გარედ გამოსვლა. ერთი ფეხიდან როგორც იყო ბურკილი ჩამოვიხსენი და მისი რგოლი მეორეზე მივაკარი, რადგანაც ვერას დიდებით ვერ მოვახერხებ მისი შემოხსნა, გასაღები კი მე არ გამაჩნდა, არც სხვა რამ იარაღი. ტანთ დაფხრეწილი პერანგი მეცვა და უხვირო წაღები.

ხერხიდან გამოძრომისთანავე გავიარეთ დარგო, ანდისის ხეობაზე მივეწვიეთ, შემდეგ მარცხნივ გაუხვიეთ და უღრან ტყეში შევეყეთ თავი. თვითუფლ ჩვენთაგანს ორ-ორი ხინკალი ლა ვგჭონდა. მაგრამ გზადაგზა სირბილის დროს რაკი ლა წამდაუწყებ ვეცემოდით, ხან ფფორხილობდით, კვლავ ვეცემოდით—მთელი ეს საცოდავი მარაგიც ხელიდან გამოგვეცალა. ამასობაში წვიმა უფრო და უფრო მატულობდა. ტყეში ისეთი წყვილია ჩამოწვა, რომ ერთ ნაბიჯზეც კი ვერაფერს ვაარკვევდით. ჩვენ შეეჩრდიო. განთიადისას ბელახლა წამოვდექით და გზა აღმოსავლეთისკენ დავიჭირეთ. სულ უგზო-უკვლოდ მივდიოდით, ხან უშველებელ აღმართს შეუდგებოდით, ხან დაღმართზედ ვცურდებოდით. ზოგჯერ იძულებული ვხდებოდით ხის ტოტებს მოვკიდებოდით, გავქანებულებიყავით და ისე გადავმხტარიყავით ნაპრალის თავს, ან უფსკრულის თავს, ან ძირს ჩავშვებულებიყავით, იქიდან ხეებისა და ტოტების საშუალებით ისევ მაღლა ამოვსულიყავით. სასტიკად დავიქანცეთ. ყოველ ათიოდე წუთში ჩვენ გვიხდებოდა შესვენება. ნაშუადღევზე მთებში ძლიერი სეტყვა მოვიდა და მძვინვარე გრივალმა გადაიქროლა. შიმშილმა, ყინვამ და დაღლილობამ ყველაფერს უნარი წაგვართვა. იქვე მიწაზე მივეყარენით. მზე ჩავიდა და კვლავ ზარდამცემი წყვილია გადახეხრა დედამიწას. ჩვენ იძუ-

ლებულები გაეხდით იმავე ადგილიდან ფეხი არ მოგვეცვალა და მთელი ღამე იქ გავეთენებინა.

მეორე დღეს წამოვდექით და კვლავ გავუდექით ჩვენს მძიმე გზას. გეზი სულ აღმოსავლეთისკენ გვეჭირა, ანდის ქედისაკენ. შიმშილმა დიდად შეგვაწუხა. არაფერი არ იყო, რომ კუჭი დაგვეკმაყოფილებინა. გამწარებით ბალახს მივესიეთ და იმას ვძოვდით. როდესაც ნახეერად დამპალს მძალე ლანძილს წავაწყდით, ხარბად დავუწყეთ ჭამა, მაგრამ ყელი ამოგვეხახა და დაგვისივდა. მალე ანთებამ იჩინა თავი, რამაც ისე გავვამწარა, რომ ბოლოს წყლის ყლაპასაც კი გვიშლიდა.

როგორც იყო მივახწიეთ მეხელთის გზას, რომელიც ანდიიდან მიდის. აქედან ძირს დავეშვიეთ, აუხის ტყისკენ და მდინარე ლამან-სუს გავყეთ.

როდესაც მდინარის ნაპირს ვუახლოვდებოდით, უეცრივ თვალი მოვკარით, რომ იქვე მახლობლად ოთხი ბიჭი ცხვარს აძოებდა. იმათაც შეგვნიშვნეს, ასე რომ შეუძლებელი შეიქნა თავი აგვერიდებინა მათთვის, ამიტომ მიველით მათთან და ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ვუბნებით, ასე და ასე ჩვენი საქმე, ვითომც ჩვენ გამოქცეული ჯარის კაცები ვიყავით და ტაშოვ-აჯიას ემისახურებოდით, ვითომც ანდის მთებში მის ცხენებს ვაძოვებდით, რომლებიც გამოგვექცნენ, ვითომც გავვევო, რომ ის ცხენები ეხლა სოფელ ალმაყში ჰყავთ და მათ წამოსაყვანად მივდიოდით.

პატარა მწყემსები ხინკალით გავვიმასპინძლდნენ. დიდის გაჭირვებით და ტკივილებით ვღეჭავდით და ვყლაპავდით ხინკალს, როგორც იყო ჩვენს მტანჯველს შიმშილს მოუყალიბთ უნიიანობა. გამოვეთხოვეთ პატარა მწყემსებს და გზა განვაგრძეთ, ვითომც იმ სოფელში შესასვლელად, რომელიც ჩვენ დავასახელებთ.

ამ შემთხვევამ ჩვენ გავვამახვილა, რომ შემდეგისათვის უფრო ფრთხილად მოვექცეულიყავით. ამხანაგებს წინადადება მიეცეოდა ყოველ შემთხვევისათვის კეტებით შეიარაღებული კყოვილიყავით, რომ შეგვძლებოდა რანდენივე მთიელს ზაინც გავსწორებოდით. ასეთი სიფრთხილე, მართლაც, დროული გამოდგა. ის, ის იყო, ძლივას გადავეფარეთ ჩვენს მასპინძელ პატარა მწყემსებს, რომ მე ორი ჩეჩენი თავს დამეჩხა. მე ყველაზე წინ მივდიოდი. მათ ხანჯლები გაიშეშლეს და შეძომიტიეს. ერთ წუთში თვალწინ გამირბინა ჩემი მღვდმარეობის საშინელებამ და ყველა იმან, რაც უნდა მოყოლოდა ჩემს შეპყრობას და შემდეგ იმ ამბავს, რადესაც ხელახლა შამილთან წარმადგენდნენ. შამილი ენით გაწოთქმელს ახალ წამებას ხელმეყენებდა და ისეთ დილეგში ჩამანწყვდივდა, რომ სამუდამოდ გამოვებოდით ნათესაობასაც და ტყბილ სამშობლოსაც.

მთელის გამაძფრებით ავმართე ის კეტი და ელვის სისწრაფით დავუშვით თავში ერთ-ერთ ჩეჩენთავანს, რომელიც წინ მოიწვედა. მაგრამ მან თავზე ხელი დაიფარა და შემდეგ ორივენი გაიქცნენ ისე, რომ არც კი გახსენებიათ თავიანთი იარაღი და ის გარემოება, რომ მათ წინ სრულიად უმწეო ადამიანი იდგა, არაქათგამოლეული, რომელიც ფეხზე ძლივს-ლა იდგა.

როდესაც თავი გამანებეს ისინი მიესიგნენ ჩემს ამხანაგებს, რომლებიც შორი-ახლოს იდგნენ და, მიუხედავად იმისა, რომ პირობა გვქონდა მიცემული

ურთიერთის დახმარებისა, გულგრილ მაყურებლებად თვალს მადვენებდნენ. ჩეჩნებმა სრულიად ადვილად შეიპყრეს ისინი და წინ გაირყვეს.

ჩემი ამბანაგების სიმბდალემ დამარწმუნა, რომ მათი შველის იმედი არ უნდა მქონოდა, ამიტომ ვანებე მეც თავი და მდინარე იამან სუს ნაპირებს გავყე სირბილით. მალე გადავლახე იგი, თვალს გადავფარე იმ ჩეჩნებს, ერთ გამოქვაბულს წავაწყდი, შეველი შიგნით და წამოვწყექა ძალ-ღონის მოსაკრებლად.

პატარა შესვენების შემდეგ კვლავ გზას გაუდექი. ველური ხეფხუფებით და ნაპრალთა შორის ხეტიალით, როგორც იყო, მივადექი ანდიის უკანასკნელ ფერდობს და გუმბეთის მთას, რომლებიც უწებლად გადავიარე.

როდესაც სალათის მთის აღმართს შეუდექი (ბურთუნის მახლობლად), კვლავ საშინელმა სეტყვამ წამოუშინა. თუმცა სეტყვამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ დიდად დამასუსტა და გამაცოცხა. მზემ გამოანათა თუ არა, იქვე ფერდაზე წამოვწყექი, რომ გავმთბარიყავი.

მაგრამ მეტათ ძვირად დამიჯდა ეს პატარა შესვენება. ამ ფერდობას იქით ცხვრის ფარა გამოშალეს, რომელსაც სდარაჯობდა ხუთმეტრიოდე კაცი და რამდენიმე ძაღლი. მე ჯერ კიდევ ვიწექი და მზეზე გვერდებს ვისურებდი, რომ ორი პატარა ბიჭი მოვიდა ჩემთან. ერთი მათგანი ლეკურად გამომელაპარაკა:

— შენ ვინა ხარ?

ნამძინარევი ვიყავი და გონზე ადვილად ვერ მოველი. პასუხი არ მიმიცია, წამოხტი და სირბილით შევქერი მახლობელ ტყეში. ბიჭებმა ყვირილი მორთეს. დანარჩენი მწყემსები წამოიშალნენ, დამედევნენ და ძაღლები მომასიეს. მთელი ძაღლონე მოვიკრიბე, რომ როგორმე თავი დამეღწია მათგან, მაგრამ ვატყობდი, რომ მსხლმა მიღალატა, მე ნაპრალებს გავყე ნაპირ-ნაპირ, რამელთა ძირი ორა საყენის სიღრმეზე იკარგებოდა. რა კი ლა ხსნის სხვა იმედი აღარ მქონდა, ავიდე და ნაპრალში გადავევი იმ აზრით, რომ თუ ეს უკანასკნელი ნახტომი მარჯვე გამოვიდოდა, მაშინ გადავრჩებოდი, რადვანაც, უეჭველია, მწყემსები თავს აღარ გამოიღებდნენ, რომ თან გადაწყლოდნენ.

მაგრამ თურმე ჩემი წამება ამით არ თავდებოდა, როდესაც ნაპრალის ძირზე წამოვხტი, ვიგრძენი რომ ფეხი საშინლად მღრძობია, მარჯვენა ხელიც ამომკარდნია ბუღიანად, იქვე ჩავტუტქვდი, მაგრამ უმაღვე გული წამივიდა.

მთიელებმა შორიდან შემოურბინეს ნაპრალს, მომპარუნეს და იმ ადგილას მიმიყვანეს, სადაც ცხვრის ფარა ჰყავდათ გაშლილი. ამაოდ ვარწმუნებდი, რომ მე ვითომ გამოქცეული ჯარისკაცი ვიყავი და ვცდილობდი, რომ მათთვის გზა-კვალი ამერია. მათ არ სჯეროდათ ჩემი სიტყვა, თურმე მათ ყურამდინაც მოედწია ჩვენი გაქცევის ამბავს. შამილს თურმე მდევრები ყველგან დაედევნებინა ჩვენთვის, მთელი იჩქერი გადაებრუნებინათ, თვით დიდი ჩეჩნეთიც კი, ალბათ ეგონათ, რომ ჩვენ გროზნიშკენ გეზს დავიქურდი.

როდესაც მივხვდი, რომ ჩემი განმარტებანი ვერას მოშველის, ავდექი და და მათ ქრთამად ასი მანეთი შევაძლიე, იმ პირობით, რომ როგორმე სოფელ ჩერქამდე მივყვანეთ. ისინი თითქოს დამთანხმდნენ. ფეხები დამისივდა, როგორც ნაღრძობი ადგილი, ისე მთლად, რადვანაც დიდი ხანია რაც წაღეს

გამოვეთხოვე, მაგრამ იმ იმედით, რომ მალე ჩემს ტანჯვას მოეღებოდა ბოლო, გამვხნევი და ტკივილებს არ ვიძინევი.

თუმცა უკუნეთი ღამე იყო და წვიმაც თავისას არ იშლიდა, მაგრამ როდესაც მეხელთის მთაზე ავიდით, ადგილმდებარეობამ მიმახვედრა, რომ ჩვენ ბურთუნაის მიმართულებით არ მივდიოდით. ეს ადგილები ჩემს მახსოვრობაში მშვენივრად იყო აღბეჭდილი ჯერ კიდევ 1841 წლიდან, როდესაც გენერალ ფეხეს წინამძღოლობით ჩვენ გავიარეთ სალათის მთები.

— სად მივყევართ? — შევეკითხე ჩემს გამყოლებს. მთიელებმა არაფერი მიპასუხეს, ეს ცუდ ნიშნად მივიღე.

გათენდა. ჩერქის ნაცვლად ჩემს წინ მეხელთი დავინახე. შორს ზარბაზნის ხმა გაისმოდა. შემდეგ გავიგე, რომ გენერალ გრაბეს იჩქერის ტყისთვის თავი რომ გაენებებია, ახლა სოფელ ილალისკენ წამოსულიყო, რომელიც მეხელთიდან, ექვსი თუ შვიდი ვერსითაა დაშორებული. ეს მეორედ ვიყავი ასე ახლოს ხსნასთან და ჩემიანებთან. მაგრამ მეორეხელვე უნდა დავშორებოდი ამ სანუკვარ წუთს. ბედს თითქოს განგებ ყველაფერი ისე მოეწყო, რომ დასასრული არ ჰქონდა ჩემს აშდენ ახეთქება-ჩამოხეთქებას, დაუსრულებელ აღმართებსა და ხეგზულებში ხეტიალს და იმედებიდან ახალ წამებაზე გადასვლას. მეხელთაში მე კვლავ შემბორკეს და ისევ დარგოს გზას გამიყენეს.

ჩვენი გაქცევა მიზეზი შეიქნა იმისა, რომ შამილს მონაწილეობა აღარ მიუღია ილალის ლაშქრობაში. მან მეტისმეტად ბევრი დრო მოანდომა და არაფერი არ დაუზოგნია, რომ ჩვენ შევიყვართ. როდესაც ხმა დაირხა, რომ პოდპოლკოვნიკმა ს მ ვენზანაიას მშვიდობით მიადწია, ხოლო მე დარგოში დამბარუნეს, შამილმა ილალებებისათვისაც მოიცალა, მაგრამ გოგათლაში უკვე ამბავი მოუვიდა გენერალ გრაბეს უკან დახვეის შესახებ და შინ დაბრუნდა.

დარგოში ჩემი ტყვეობის თანამონაწილეებიდან მხოლოდ ცხრა კაცი დამხვდა. გადარჩენილიყო მხოლოდ პოდპოლკოვნიკი ს—თავისი ორი მსახურით. შამილის რისხვა უსაზღვრო იყო. პირველი მისი სიტყვა ის იყო, რომ ჩვენთვის თავები დაეურკინებინათ, მაგრამ ჩერქელი მურიდები წამოდგნენ და მოახსენეს:

— თავებს კი დავაყრევივით, მაგრამ აქედან რა გამოვივა? ვანა მთიელი ტყვეები არ გაშორებიან რუსეთის ციხეებიდან? შეიძლება ამ ტყვეების თავში შენი შვილი გამოიმეტონ, ან შენი ძმისწული, ან რამდენიმე კეთილი მუსლიმანი.

შამილმა შესცვალა ბრძანება, მაგრამ ისეთი მძიმე პირობები შეგვიქმნა, რომ სიკვდილი გაცილებით უმჯობესი იყო. რამდენჯერ მინატრია ჯალათის ნაჯახი. მე სხვებთან ერთად დამბორკეს უზარმაზარი წისქვილის ჯაჭვებით. ეს ჯაჭვები ისე მძიმე იყო, რომ უნებურად უძრავად უნდა ვწოლილიყავი ცარიელ მიწაზე, როდესაც საკმელს გვაძლევდნენ, ჯაჭვებს ქვემოდან ხის ბოძებს შეუდგამდნენ ხოლმე, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი იყო წამოდგომა: არა ერთხელ ვუხმობდი სიკვდილს, როგორც უკანასკნელ ხსნის საყუდელს, კეთილისმყოფელს. ის რაც მაშინ გადამიტანია, ზორციელ და სულიერ ყველა ტანჯვას აღემატება, რაც მანამდე თავს გადაამხედია.

მაგრამ ღმერთი მოწყალეა. მან იცის საზღვარი ჩვენი ტანჯვისა, რომელსაც მალლით მოგვივლენს ხოლმე, იცის ჩვენი უღელის სიმძიმეც, რომლის იქით ჩვენ მეტს ვერ ვზიდავთ. და აი ეხლაც გადმოვგხედა.



იელისის დამლევის მოლაპარაკება გაიმართა ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. განთავისუფლების იმედმა კვლავ ფრთა შემასხა და ნახევრად ცოცხალ-მკვდარი აღამიანი წელში გაკაწორდი. ს—ს გაქცევამ შამილს იმედი დაუკარგა, რომ შვილის დაბრუნებას ოდესმე ელირსებოდა. რაჟი-ლა იცოდა, რომ ჩვენს თავში მის შვილს არ გამოიშეტებდნენ, შამილს გაგონებითაც არ უნდოდა გავეზნა კეთილი სიტყვა, ჩვენი განთავისუფლების შესახებ, მაგრამ აქ ბედი დაგვეხმარა. საბედნიეროდ თურმე თბილისში ტყვედ ჰყოლოდათ წაყვანილი ორი ჰაჯი: სალათელა შამხანდარი და სუგრათელი აბდურახმანი, რომლებიც გულმოდგინედ სთხოვდნენ შამილს, იღონე რამე და ჩვენი თავი ტყვეებზე გადააცვლივინო. უთვლიდნენ აგრეთვე ჩემც. ჩემი ნათესაობაც ფეხზე იდგა და შუამდგომლობას სძრავდა ჩემი უფროსებისა და შამილის წინაშე, სასყიდელს არ დავერიდებითო, ოღონდ ჩვენი ტყვე გამოიხსენითო. ამ გარემოებამ გასტეხა შამილის ჯიუტობა. ჩემს თავში მან მოითხოვა ხსენებული იმ ორი მურიდის განთავისუფლება, აგრეთვე ზედმეტად კიდეც თერთმეტი სხვა კაცისა. დანარჩენ ჩემთან მყოფ ტყვეებში სჯერდებოდა თორმეტი ტყვის განთავისუფლებას.

ასეთი წინადადება არ შეიწყნარეს თბილისში. შამილს ჩვენს თავში აღუთქვეს მხოლოდ ცამეტი მურიდის განთავისუფლება, რომელთა შორის ეს ორი ჰაჯიც იყო მოხსენებული. შამილი თავისას არ იშლიდა, იქნებ ამ მოლაპარაკებიდან მართლა არაფერი გამოსულიყო, თუ კეთილ ჯემალ-ედინის შუამდგომლობას არ გაექრა. როდესაც გაეგო, თუ როგორ ჯიუტობდა შამილი, მან წერილი მოსწერა და სასტიკად გაჰკიცხა თავისი მოწაფე, შენ წარიბათს ჰქადაგებ და ასრულებით კი არ ასრულებო!

— წარიბათში სწერია, —ატყობინებდა იგი, —რომ თვითულ ტყვე მოლაზე შეიძლება ასი ურწმუნოს განთავისუფლება, და რომ, მაშასადამე, ორ მოლაზე, რომლებიც თბილისში ტყვეობას განიცდიან, შენ უყოყმანოდ უნდა მისცე ეს ტყვეები, მოკალე ხარ ასე მოიტყე...

ამ მოლაპარაკებაში გადიოდა დღეები და ჩვენი ტანჯვა გვტეხავდა, მისწრაფებები უიმედოდ ცას შევეყურებდით. დღითი დღე ვსუსტდებოდით, დღითი დღე ველოდით, რომ წამებაში აშოგვხდებოდა სული.

ხსენებულ ჰაჯების ნათესაეები წაპოვდნენ შამილის წინაშე და მოახსენეს:

— ჩვენი ტყვეების სიცოცხლე განსაცდელშია, შეიძლება დაიხოცონ და მაშინ სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ იმედს, ჩვენი ნათესაეების ტყვეობიდან განთავისუფლების შესახებ...

როგორც მათი თხოვნა, ისე ჯემალის შუამდგომლობა, რომელიც თითონვე მოვიდა დარგოში და არა ერთხელ გვინახულებდა ხოლმე ჩვენ ხაროში, მე მამხნევებდა და თავდებობას მიწვედა, რომ ხსნა იქნებოდა. ბოლოს გადასწყდა: შამილმა ჩემი თავი გაიმეტა იმ ორს ჰაჯში, ამ ჰაჯების ნათესაეები პირობას სდებდნენ, რომ სიკვდილიდან მიხსნიდნენ, მშვიდობიანად მიმიყვანდნენ გუმბეთში, სადაც მოხდებოდა ტყვეების გაცვლა-გამოცვლა და უკანასკნელი პირობების შესრულება.

ამნაირად, სექტემბერში მე გავემგზავრე გუმბეთის საზოგადოებაში, სოფელ ყაღარში, სადაც საქმიანი მოლაპარაკება გაიმართა. მე დიდად დავალებული

ვარ გენერალ-მაიორ ფონ კლუგენაუს მიერ, რომელმაც მამობრივი მზრუნველობა გამოიწვია, რომ ჩემი ხვედრი შეემსუბუქებინა და მალე გამოვეხსენი ტყვეობიდან. მის გულკეთილობას ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

ჩაწამა კლუგენაუმ გაიგო, რომ მე ყაღარაში მიმიყვანეს, უმაღლესე გამომიგზავნა ფული, ჩაი, შაქარი და სხვა. მე შემძლო ტანისამოსი შემეძინა. საკულისასმელი გავიუჯობესე. თავისუფლების იმედმა გამამხნევა, ძალღონე შემმატა.

მაგრამ, შევხედოთ, მოლაპარაკებამ მოულოდნელად მკაცრი და არასასურველი მიმართულება მიიღო. გენერალ-მაიორმა თავადმა არღუთინ-დოლგორუკიმ, რომლის მეოხებითაც სწარმოებდა მოლაპარაკება შამილთან, ბრძანება გასცა, რომ ჩემს თავში მხოლოდ ერთ ჰაჯის გაიმეტებდნენ და რომ ამითი უნდა მოთავებულყო მოლაპარაკება. სხვების ხსენება სულაც არ ყოფილა. შამილს სასტიკად ეწყინა ასეთი წინადადება, მოვიდა ჩემთან და მეუბნება:

— მე ერთი კაცი არ მენანება, დაე, ის ერთი დაიღუპოს თბილისში, მეორეს კი აქ ტანჯვაში ამოხდეს სული.

ეს რომ სთქვა, ბრძანება გასცა, რომ ისევ დარგოში წაეყვანეთ. სასოწარკვეთილებით ეს ამბავი შევატყობინე გენერალ-ფონ-კლუგენაუს. მე ვიცოდი რომ პირველ წინადადების თანახმად შურში მოიყვანეს ცამეტი მურიდი ჩვენზე გადასაცვლელად. მე ვთხოვდი კლუგენაუს, იქნებ მოახერხოთ და როგორმე ამ მთიელების რიცხვს დაუმატოთ აგრეთვე ცხრა ქალი, რომლებიც ტყვედ ახულოში წაიყვანეთ, და ამქამად თეპირ-ხან-შურში გყავთ დამწყვედული-მეთქი.

— ამასთან ერთად, — დავაკენიდი ჩემს შუამდგომლობაში, — შეატყობინეთ შამილს, რომ ეს იქნებოდა თქვენი უკანასკნელი წინადადება. თუ შამილი ამაზე არ დასთანხმდება, მაშინ ხელს ჩაიკენევ და მთელს იმედს მარტო ღმერთს მივანდობ.

მაგრამ შამილის ბრძანება უბრალო სიტყვა არ იყო და ჩვენ ისევ დარგოს ხაროში გვიკრეს თავი. ამის შემდეგ არც შამილი და არც ჯემალ-ედინი აღარ გვინახავს. ისინი წავიდნენ ჩვენეთში, საიდანაც იმ დროს ყიზლარისკენ აწყობდნენ თარეშა. შემდეგ წავიდნენ სოფელ შელში, სადაც შამილმა მესამედ იქორწინა ყაზ-ყუმუხელ აბდულას ქალიშვილზე. ეს აბდულა ჯერ კიდევ ერმოლოვის დროს სახანოდან გამოსულიყო და ჩვენეთში გადასახლებულიყო. შამილთან დანათესავების შემდეგ იგი ერთი უძლიერესი და უბატოცემულესი კაცი შეიქნა მთელს ჩვენეთში.

დარგოში კვლავ ძველ ხაროში მომთავსეს, იმავე უზარმაზარი ჯაჭვებით კინაღამ სული ამომხადეს. სხეულის ტკივი უბს დაერთო სულის საშინელი შფოთვა, ნაღველი. ასე გაიარა თხუთმეტმა დღემ. ბოლოს შამილიც დაბრუნდა დარგოში ჩვენეთიდან ჯემალ-ედინთან ერთად. სწორედ ამ დროს მან მიიღო წერილი გენერალ ფონ-კლუგენაუსგან, რომელშიც იგი სწორედ იმ წინადადებით მიმართავდა შამილს, რომელიც თვითონ მე შევადგინე ჩემს მიწერილს ბარათში.

— მე მოვალე ვარ, — სწერდა კლუგენაუ შამილს, — დავიცვა ის ქალები, რომელთა ქმრებიც შენ შემოგვიწირნენ ..

ამ წერილმა და ჯემალის რჩევამ გასჭრა და შამილმა გადასწყვიტა მიეღო ფონ-კლუგენაუს წინადადება. ბოლოს, როგორც იყო, დადგა ეს მარად კურთხე.

ული განთავისუფლების საათიც. ერთ საღამოს ჯემალ-ედინი გაბრწყინებული სახით მოვიდა ჩვენთან და აღტაცებით შეუბნება:

— ხვალ შენს სამშობლოში იქნები..

მეორე დღესაც მინახულა, თავისთან წამიყვანა და ჩაით გამიმასპინძლა. შემდეგ ერთად წავედით შამილთან, რომელმაც გზა დამილოცა და მითხრა:

— ეხლა ჩვენ მეგობრები ვართ, ნათესაეები... როდესაც გინდოდეს, მოდი სტუმრად. შენ აქ ჩემთან არავითარი საფრთხე არ გელის და ისე მიგიღებ, როგორც საკუთარ შვილს...

ასე მეგონა, დედამიწაც ფეხქვეშ გამიქრა, თითქოს ცაში დაფრენდი. სიხარულმა გამომაცოცხლა. ბევრი რამ გადავიტანე გზაში, სიცივე, უტანაყ-მელობა, უფხსაცმელობა, ქარბუქები, რომლებიც გზა და გზა თავს გვატყდებოდნენ გუმბეთამდე. მაგრამ რა მოსატანი იყო ყველა ეს, რაც ჩვენ გადავიტანეთ უკვე განვიღო ცხრა თვის მანძილზე. ეს მეოთხედ მივდიოდი ამ გზით, რომელსაც ანდიდან გუმბეთამდე მიეყვადით, მეოთხედ მივდიოდი ამ გზით, მაგრამ სულ სხვადასხვა გრძნობებით და განცდებით: წინაღ ხან იმედის სხივი მალეღებდა, იქნებ მართლა თავი დაეღწიო ტყვეობის მარწუხებსა-მეთქი, ხან მიმუხთლებდა ბედი და ისევე სატანჯველში მაგდებდა, ახალ-ახალ წამების გოლგოთაზე ასასვლელად. ეხლა კი მე თავისუფალი ადამიანი ვიყავი: უკან დავტოვე ყოველივე უბედურება, ტანჯვა-წამება, წინ კი სიხარული მელოდა, ბედნიერება და ახალი ცხოვრება ჩემს უტკბეს ნათესავთა შორის.

და აი, ამ გრძნობებით აღელვებული, თბილი, მზურვალე ლოცვების აღმვლენელი მე შეეხვდა 28 ნოემბერს, სალათის მთებზე რუსის კომანდას. მათ ჩემზე გადასაცვლელად მოეკვანათ ცამეტი მურიდი და ზემოდ მოხსენებული ქალები, რომ თავის მხრით აქედან ჩვენი თავი ჩაებარებინათ რუსებისათვის სამშვიდობოზე გასაყვანად, მშობლიური კერის სახილველად.

გიორგი აბზიანიძე

**უფლან ორბელიანი—ნიკოლოზ ბარათაშვილის  
პოეზიის პერსონაჟი**

როგორც პუშკინმა „ევგენი ონეგინში“ დაგვიხატა თავისი დროის ახალგაზრდობის არისტოკრატიული ცხოვრება და დროისტარება, ისევე გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გიორგი ერისთავმა თავიანთ ლექსებში ასახეს 30-იანი წლების ქართველი არისტოკრატიული ახალგაზრდობის გართობა.

გრიგოლ ორბელიანი 1835 წ. რიგაში სწერს ლექსს „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“), რომელშიც მოცემულია ქართველი ფეოდალური ლზინი:

„სულით ერთნო, მოღზინნო, აწ შვარბით,  
თასით, ჯამით, ყანწით, ახარფეწებით  
ლზინის სუფრა მოჰფინეთ ყვავილეზი,  
ალაფერდა დასვით თარით ნაჭებით,  
ყოჯა ბულბულ ტკბილის ზმით აღულუნეთ,  
დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ...“

ლზინის პაპა, საზით არაბისტნელი,  
ლვინისა და ეწზისათვის შექმნილი,  
ტოლუმბაშად დასვით ჭუდ ჩაკეცილი.  
მის სკოლაში ვინ არა ვართ ნასწავლი.  
ორმოცი წლის რომ შეიქნეს,—გააგდეთ  
დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ...“

ლექსის დასასრულს იგრძნობა პუშკინის „19 ოქტომბრის“ სევდა, შემოცლილი მეგობრების მოგონებით გამოწვეული:

„მომოიხედეთ, რამდენთ ველარ იპოვნით  
ერთად მსხდომთა, მონარული თქვენთან ყოფნით.  
სად არიან? ზოგნი შორს ვლენან ოზვრით;  
ზოგნი უდროდ განვიდნენ სოფლის ლზინით.  
ამ თქმაში რად, ცრემლნო, თასში შთაცინდით,  
და ჰკირთ მდევნი ლვინო ტკბილი დამწარნეთ...  
დიპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ...“

30-ანი წლების ქართული არისტოკრატიული ახალგაზრდობის გასართობისა და შექცევის მთავარი ადგილი იყო ყაბახი—ეზლანდელი კოშონგრაძის ჯე...

ყაბახს უკავშირდება 30-ანი წლების ქართველი ახალგაზრდობის რომანტიული განცდები, გართობანი და გატაცებები.

ჯერ კიდევ 1832 წ. გრ. ორბელიანმა „იარაღში“ ასე დაგვიხატა ყაბახი:

„გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,  
შექცევით, ღვინით მოწოდებულნი,  
კაბაჯ მხედარნი ყაბახსა ვრცელსა  
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,

ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,  
ესრედ მოჭკრიან ვითა ნიავეი;  
ჭკრეს ნალარასა—განიყვნენ ორად,  
აჰა, სააშო სჩანს სანახავეი.

ცხენთა გრიალი,  
შუბთა ტრიალი,  
ჯირითთ სრიალი,  
ყურთ-მავთ ბრიალი,  
უზანგთა ცემა,  
ცხენით ქვე ბტომა,  
კვალად შებტომა,  
უზანგთა ცემა,  
და ხმაღთ კრიალი...  
ზოგი არწიგსა  
ზეკას მფრინავსა

ისრითა მკვეთრით განუბობს გულსა.

ჯირითი ზოგის  
ზეზუნით მოჭკრის

დაწმობდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა“.

სამშობლოსგან განდევნილი პოეტი გიორგი ერისთავი 1836 წელს ლიტვაში სევდით იგონებს ყაბახს, სადაც „სეირნობაში ითრობოდა ლეილას მზერით“.

„ჰოი, მოედანო, მიყვარდა შე/ეამს გაზაფხულის  
წმომოსვლა შენზედ, დავსტკებოდი წმინდის ჰაერით,  
შენიღგან გვერუტდი მჯდომარესა სატრფოსა გულის,  
სეირნობაში დაშატოებდი ლეილას მზერით.

ოდეს რაზედმე, ან რისთვისმე, რა გვმუნვარებდი.  
შენზედ სეირნით მყის კავშანს განვიქარებდი.  
ვით გრინობის სარკე, ამაო სოფელს დამანახებდი,  
ვითა მეგობარს, ზეაშიად გულის—შენ გარწმუნებდი“.

ყაბახი იყო ნ. ბარათაშვილის ლექსების თემაც. 1836 წ. ნ. ბარათაშვილი უგზავნის თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს ორ ლექსს ყაბახზე და სწერს:

„... ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შევნიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შევნიებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელეზრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება. კოჯრის ნიავეის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგრნდით, მაშინ მომიგონდა: „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის

ნიავე განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ლამეს უთუოდ აღეწერ და გავუღზავნი ძია გრიგორის-მეთქი; და კიდევ აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა სავანმა პირველ დამასია გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის“<sup>1</sup>.

ყველაზე შესანიშნავი სურათი ყაბახისა რომანტიულ ფერებში დაგვიხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსში „ღამე ყაბახზე“. ამ ლექსში პოეტი ავციწერს მისი დროის ახალგაზრდობის შექცევასა და დროის გატარებას:

„მიყვარს ყაბახის არე მარე, თვალად საამო,  
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;  
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შექით  
მოჭფენს ყაბახსა და კოჯორით დაჭქრის ნიაგი,  
და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტყვარი,  
მხოზრავს შორით, ვით მიჯნური, ეამთ მონივარი.

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე  
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე,  
აქა გუნდ-გუნდად დარახმულნი აქ იქა ქალნი,  
პირად-პირადად სვირობდენ, ყვალუც-მოსილნი,  
და მათ გარემო შეჭფრფნიდენ ყრმაწვილნი კაცნი,  
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფილა და ზოგნი ანცნი,  
თვითონ ცის მთვარეც-მოწიწებით ღრუბელთ ეფარა:  
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.—

„მსოქვი რამ, გტყვიან ყაფლანს ზოგნი ერთი ქალები  
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანჭვას ნუ კი მოაყვები“.  
ყაფლანც სულდგმული აშოკობით დაილილინებს  
გულის საკედავად და თან და თან ყელს მოიღერებს.  
ვის არ ჰსმენია ლექსი ესე, რომ მყის სვედები—  
არა აშლიდეს ჩვენსა ქალსა-ტრფობის ტირები.

.....

ყურადღებას იქცევს ამ ლექსის პერსონაჟ ყაფლან, რომელსაც ქალები შესთხოვენ იმღეროს „თავსა უფლად“<sup>2</sup> და ისიც მთვარიან ღამეს ყაბახზე „სულდგმული აშოკობით“ დაილილინებს.

ყაფლან ორბელიანი—ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლო წნათესავე და მეგობარი იყო.

<sup>1</sup> „ნ. ბარათაშვილი“ 1922 წ. გამოც., გვ. 90.

<sup>2</sup> „თავსა უფლად“—ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსია „თავსა უფლად ნურვინ გონებს“ იხ ა. ჭავჭავაძის ლექსები—ი. გრიშაშვილის რედ. გვ. 91.

გიატერინე ჭავჭავაძის ცნობით ყაფლან ორბელიანი მღეროდა აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს „მე შენ არ გეტყვი“. (იხ. ი. მუხნარგია, „ალ. ჭავჭავაძე“, ს. ცაიშვილის რედაქცია 1937 წ. გვ. 64).

1812 წლის აჯანყების მონაწილის, ცნობილ პატრიოტის ასლან ორბელიანის შვილი—ყაფლან ორბელიანი მტკიცედ ინარჩუნებდა აღმოსავლურ იერს და თავს არ უდებდა ცხოვრების ახალ ევროპიულ ფორმებს.

ტანად ბრგე, აღმოსავლური აზით მოსილი, ჩატეხილი ქუდით, სადაც გამოჩნდებოდა ყაფლან ორბელიანი, შექონდა მხიარულება და აღტაცება. ბევრს მისი სიმღერის შნო და ხმა (ტენორი) სათარას ხმაზე მეტად მოსწონდა. დიდი მომლხენი, სტუმართმოყვარე და დარდიმანიდი, ქალების გატაცებული მოტრფიალე, ყაფლან ორბელიანი იმ დროის ახალგაზრდობის სული და გული იყო. გრიგოლ ორბელიანი ერთგან სწერს: „ყაფლან ამბობს, რომ ქვეყანა ქალია“.

... ნიკოლოზ ხელმწიფის დროს, მთელს რუსეთის ჩინოვნიკობას პირზე სამართებელი დასტრიალებდა. ჩვენშიაც ისე ფიცხლად ასრულებდნენ ამ ბრძანებას, რომ როცა 1837 წელს ხელმწიფე ჩამოვიდა საქართველოში, იმათაც კი დაიპარსეს წვეგრ-ულვაში, ვინც საზოგადოების არჩევანით მსახურობდა, ისე რომ თვით ყაფლან ორბელიანს ჩამოაცალეს წვეგრ-ულვაში: საწყალი ზსედატელი თურმე იყო<sup>1)</sup>. გავგონებთ სვიმონ მაჩაბლის ნაღვლიანი ჩივილი ამ საგანზე: ღმერთო ე რა დღეს მოვესწარიო, ჩვენს დედ-მამები ამბობდნენ: თუ ეს ღეჩაქი მხურავს, თუ ეს უღვაშები მასხიაო... და ჩვენ ერთიც დაგვეკარგა და მეორეცაო“.

ნიკოლოზ ბარათაშვილთან ყაფლან ორბელიანს ახლო მეგობრობა ჰქონდა. იგი პოეტს მოხვდებოდა ბიძაშვილის შვილად (დედის მხრით). ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილებში ხშირად არის მოხსენებული ყაფლანი. ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების მეორე წელს, როცა პოეტის მეგობრები შეიკრიბნენ ერთ საღამოს და მოიგონეს უდროვოდ დაკარგული პოეტი,—მათ პირველად ყაფლანს მიმართეს თხოვნით ემღერა „სული ბორცოტა“<sup>2)</sup>. ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანისადმი 1844 წელს მიწერილ ერთს ბარათში აღწერს თავისი დის კატოს ქორწილს და ყაფლან ორბელიანის დარდიმანდულ შეძახილებს.

საინტერესო მოგონებები მოგვაწოდა ყაფლანზე 80-წლის ნინო ქობულაშვილმა: „ყაფლან ორბელიანი იყო დედაჩემის ბიძა. იგი ცხოვრობდა ორბელიანთა აულში. პატარა სახლი ჰქონდა გრიგოლ ორბელიანის სახლის პირდა-

<sup>1)</sup> როგორც ირკვევა ყაფლან ორბელიანი 40-იან წლებში სახელმწიფო სამსახურში შესულა. 1846 წლის „კავკასიის კალენდარში“ იგი აღნიშნულია, როგორც ბორჩალოს მხარის მმართველი. გრ. ორბელიანი 1843 წლის 13 იანვრის თარიღით გამოგზავნილ წერილში იღ. ორბელიანს სწერს:

„ბაკლანა აღექანდრე იწერება, რომ მითომ ჩვენს ყაფლანზედ იყოს სდგესტყვი; გეთაყვანე შემატყობინე, რა საქმეა, ანუ რა მიზეზია. სწორედ ვითხრა ძალიან მეწყინა, ან მაგ ღვთის რისხვა ყაფლანს რა დემართა, რომ ვე უბრალო თანამდებობის აღსრულებაც ვერ შეუძლიან; მაშ რა კაცია, უჩასტკის ზსედატლობას რა დიდი მინისტრის ჭკუა უნდა“.

<sup>2)</sup> იხ. საქ. საზ. მუზეუმის პალეოგრაფ. განყ. ხელნაწერ, S—2484.

პირ. მტკვარს გადაყურებდა. ეს სახლი აქამდე შემორჩა, მაგრამ ძლიერ დაძველებულია. ყაფლანი იყო დარდიმანი შხიარული, მოსწრებული, მომღერალი. დიდი ტანისა იყო, ლურჯი თვალები ჰქონდა, ნუშისებური. იცემდა ქართულად, ყაფისფერ აბას ატარებდა, ყელზე ყოველთვის ქალაღია ქონდა შემოხვეული. მისი სიმღერის მოსმენას არაფერი სჯობდა. ტკბილი ხმა ჰქონდა. ყელმოდერებით მღეროდა, უმისოდ ლხინი არ გაიმართებოდა. მოლხენის თავი იყო. მე ძალიან კარგად მახსოვს ყაფლანი. როცა გარდაიცვალა მე 18-19 წლის ვიქნებოდი. მე და ჩემი და ხშირად დავედიოდით მათთან. ხოლო ზაფხულში ჩვენს დიდდასთან თავის დასთან ეკატერინესთან ხშირად ჩამოდიოდა გორში. ერთხელ, გორიდან წამოსვლისას, როცა თავის დას ეთხოვებოდა, მოითხოვა ჯურა და დაამღერა: „ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, მეც მიყვარდა, მეც ვტკბებოდი“. ყველა ატირდა და თვითონ ყაფლანსაც ცრემლები მოერიო. ყაფლანი მუდამ იყო ვინმეთი გატაცებული. დიდი თაყვანისმცემელი იყო ქალებისა. იტყოდა ხოლმე: თქვენ ახალგაზრდებმა სიყვარული არ იციოთ. როცა მე ვინმე მიყვარდა, მთელს ღამეს მის ფანჯრის ქვეშ ვათენებდი და ვმღეროდიო. ხანდახან სატრფო ფანჯრიდან გადმომძახებდა: ყაფლან, გეყოფა გაცოდებო. მეც ვეტყოდი: მაშ შენი საბურველი გადმომიგდეო და მართლაც გადმომიგდებდაო. ჩვენს დროს მეორე ცოლი ჰყავდა ელისაბედ ბარათაშვილი, ძალიან მოსული ქალი. ორი შეჩვეული მსახური ჰყავდა—კირუშკა და როსტომა. კირუშკა სულ უკან დასდევდა. უყვარდა შუშუელობის ყიდვა. კვირაობით სახლს შუშუებით აავსებდა. ცოლი სულ ესაყვედურებოდა: „რა არის კნიაზო ყაფლან, ამდენი მიწეულობის ყიდვაო.“

ძალიან უყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი: ერთხელ ბარათაშვილზე თქვა: ნიკით აღსავეს იყოვო, რომ უდროვოდ არ დაღუპულიყო ყველა პოეტებზე აღმატებული იქნებოდაო. როცა ყაფლანი დილით ადგებოდა და მის წინ აივანზე მოსიარულე გრიგოლ ორბელიანს დაინახავდა, გადასძახებდა: „ა, კურკა, კურკა!“. გრიგოლიც საპასუხოდ გაეხუმრებოდა ხოლმე“.

გრიგოლ ორბელიანის სიყვარული ყაფლანისადმი გამოხატულია პოეტის გამოუქვეყნებელ წერილებში. ერთ წერილში გრიგოლ ორბელიანი სწერს ყაფლანს:

„საყვარელო ძმაო ყაფლანი!

მეტად და მეტად დაიგვიანე და დამავდე ამდენი ხანი მარტოდ, ობლად; საშინელი ავდარი, ნისლი, ნისლი ისეთი, რომ თითქმის ქაშვეთიც არა ჰსჩანს, სევდებს მიშლის და ველი და ველი, როდის ჩამოხვალ, რომ ჩემმა გულმა მართლად გაიხაროს და განვისვენო. (საქ. სახ. მუხეუმის პალეოგრაფ. განყ. ხელნაწ.— § 2660)

1855 წელს თემირ-ხან-შურაში ახლობლებზე დანატრულებული პოეტი ყაფლან ორბელიანს პორტრეტის გამოგზავნას თხოვს:



„ჩემო თვალის ჩინო ყაფლან!“

თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, დაეხატვინე დაღეროტიპსა და გამომიგზავნე შენი პორტრეტი. შენ გენაცვალოს ჩემი თავი ჟარს ნუ მეტყვი.

შენი ძმა გრიგოლი“.

8 ივლისს 1855 წ.  
თემირ-ხან-შურიტ.

ლხინი უყაფლანოდ ძნელი წარმოსადგენი იყო და გრიგოლ ორბელიანი გულთ სწუხს ერთ წერილში, რომ მისს საახალწლო ბალს, დიდკაცური დროის გატარებას აკლდა მხოლოდ ყაფლანი:

„ჩემო ბატონო ძმავ ყაფლან!“

მოგილოცავ ახალწელიწადსა, ღმერთმან დაგიფაროს შენი სახლეულობით ყოვლისა მწუხარებისაგან.—საახალწლოდ მქონდა დიდი ბალი; ბალი ჩინებული, დიდკაცური, სარდალ-დარბაისლური, მხიარული და ლაშაზებით სავსე. არა მყუანდი მხოლოდ შენ, რომ კარტინა მეჯლისისა ყოფილიყო სრული. ხვალ, ესე იგი, ორშაბათს აქვს თეატრში აღასაფარას ბენეფისი და ამ ბილეთიდან ჰსცნობ, რასაც იმღერის. თუ შეგიძლიან მოდი პირდაპირ ჩემს ლოჯაში.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

3-ს იანვარს  
1860.

მაგრამ ფეოდალური საქართველოს მწუხრი დგებოდა. ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი შლიდა ცხოვრების ფეოდალურ-პატრიარქალურ ფორმებს. „ორბელიანთ აულში“ ჩინოვნიკები და ვაჭრები მკვიდრდებოდნენ. გრიგოლ ორბელიანი მწუხარებით ატყობინებს ყაფლანს:

„ჩვენს აულში კიდევ ჩამოეთესლა ერთი ჩინოვნიკი“.

ძველი ნაღიმები და დროის ტარების აღმოსავლური იერი ისტორიას მიჰქონდა თან.

ლენინი უკეთებს რა გენიალურ ანალიზს ძველი საქართველოდან ახალი საქართველოს დაბადების პროცესს, კაპიტალიზმის შეჭრას ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურაში სხვათაშორის სწერს:—„ეცემოდა რქების დაბუშავება ყანწებად,—საქართველოში ფეოდალური წყობილების და ისტორიული ნაღიმების დაცემის გამო“<sup>1)</sup>.

ნიკოლოზ ბარათაშვილის აღწერილი ყაბახის ღამე და ლხენა გარეთუბანში მხოლოდ მოგონებებში ცოცხლობდნენ. ძველი ადამიანები, ძველი ადათები და ჩვეულებანი ეჯახებოდნენ ახალ ურთიერთობებს და შეუბრალებლად იმსხვრეოდნენ. ამ დროს ეკუთვნის ნინო ქობულიშვილის მოგონებებში გადმო-

1) საქ. სახ. მუხეზის პალეოგრ. განყ. ხელნაწ. №—2660  
2) ლენინი, თხზ. ტ. II, გვ. 575.

ცემული ყაფლან ორბელიანის თვალცრემლიანი სიმღერები: „ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერ, მეც მიყვარდა, მეც ვტკბებოდი“.

ამ დროის ყაფლან ორბელიანს შესანიშნავად გვიხატავს 50-იანი წლები პოეტი, ცნობილი არქაისტი რევაზ შალვას ძე ერისთავი (1827—1899) ლექსებში „ბიძაჩემს ყაფლანს“ და „ყაფლან ორბელიანი“.

ეს ლექსები, რომლებიც ეხლახან აღმოჩნდა რევაზ ერისთავის საგვარეულო არქივში, მთლიანად მოგვყავს აქვე.

### ბიძაჩემს ყაფლანს

გულით მხნეთა ვარ, ჯერ ტრფობის ცეცხლი  
მწამს მე, სურვილით მეგზვნება სისხლი,  
ჯერ კიდევა მაქვს კოცნის წყურვილი,  
კვალად მეზმანვის მე სიყვარული.

მაგრამ ქალები, მივალ რა მათთან  
ტურ-აბზუებით მორცხობენ ჩემთან,  
მოხუცის სახე ჩემი ჰსძაგთ მათა,  
კალარა წვერიც ჰსჩანთ საშორათა.

ხან და ხან ვეძებ სხვა გვარს ღამაზსა,  
მე მის მაზესა ვცდილობ გაბმასა,  
მაგრამ ტაბუნი იქაც მიშლიან,  
მიმზერენ ქვეშ ქვეშ და დამცინიან.

დამიდუნდება უცებ მკლავები,  
რა მაგონდება სატრფო დღეები—  
—რა ვიყავ, რა ვარ, რა შევიქმნები.  
გული მივენესის, რომ ასე ვკრები.

მარტო ჯავრობით, სიმწარის ოზვრით  
ენუგეშობ ეამბობ თავ ჩამოგდებით:  
„—აქა ღამაზო, შენცა დასტკნები,  
„გაგიოთოდება ვგ შავი თმები;

„ვისაც შენედავ არშიყის თვალით  
„გულს ჩაგითოთქვენ ცივის ღიმილით.  
„გამოუცლებით, ჩუმათ ტირილით  
„და მომიგონებ შენ სინანულით.

თ. რევაზ ერისთავი.

**ყაფლან ორბელიანი**

მინდა ორიოდ სიტყვა ყაფლანის შესაფერად,  
ის დრო უნდა დავხატო არა თუ პირსაფერად.  
მშვენიერი, ბეჭადა, მოღნიწ სახანდარად,  
მოხუშარ შოარშივე, იმ დროს ქალთ დასატებობრად.  
ვინღა გვეავს ჩვენ ყაფლანი? წაეიდა ქართველობა,  
მისწყდა იმის ტკბილი ხმა, ჩონგურით ხელოვნება,  
ქართულ ჩაცმა დანურვა, ფაჭიხათ მორთულობა,  
საქართველოს არშიყმაც შესწყვიტა ლექსთ თქმულება  
აღარა გვეავს გრიგოლი, არ არის ბედ კრულობა.

ვაი ჩემი ბრალიცა, რა ვიყავ და რაღა ვარ,  
ხელის-ხელ სატაცები ეხლა ვის რათ უნდივარ,  
თეთრ ყორმიზი, ლამაზი, შავი თმით და წვერითა,  
ეხლა კი თეთრ თმიანი დაკმაჰწული პირითა.  
ამისთანა სიკოცხლე ვისთვინ რა სახმარია,  
მე სხვისაც კი არ ვიცი, ჩემთვის კი სამარვა.

უკანასკნელი ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1878 წელს. ამ წლის 13 ივნისს (ძვ. სტ.) გარდაიცვალა ყაფლან ორბელიანი<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ყაფლანის გარდაცვალების ხმა ყალბად გავრცელებულა 1850 წელს. რევაზ შალვას ძე ერისთავი თავის დღიურში სწერს: „27 ივლისს, პარასკევი, 1850 წელი, მართლა, ყაფლან მომკვდარაო.. მე გავოცდი.. დღეს ჩეტტენიაში წაიკითხეს. თითქმის თავხარი დამეცა, მაგრამ არ მეგერა, ტყუილია“. (სახელმწ. ლიტერატ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილება №  $\frac{1880}{4}$ ).



## მასალები ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის

### I

#### ნიკოლოზ ბარათაშვილის უცნობი წერილი

მელიტონ ბარათაშვილის აქ გამოქვეყნებული თხოვნა, ნიკოლოზ ბარათაშვილის საკუთარი ხელით დაწერილი მამის სახელზე, აღმოჩენილია ჩემს მიერ საქართველოს სახ. ცენტრ. არქივში ტფილისის პალატის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სასამართლოს „საქმეში“ (ფ. 173, № 161).

იგი მეტად საინტერესოა იმ მხრივ, რომ აჩვენებს, თუ სად მდებარეობდა ბარათაშვილის საგვარეულო მამული.

მამული, რომლის შესახებ ლაბარაკი არის თხოვნაში, ქ. ტფილისიდან 5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, კოჯრის მხარეს ტაბახმელამდე, დაფარდებულ ყვავილოვან ადგილზე. მებატონეთა სახლი, რომელიც დღევანდლამდე შენახულა, ეხლა გამოყენებულია სოფლის სკოლად. როგორც ამ სოფლის მოხუცები ირწმუნებიან, ეს სახლი აშენებულია 50—60 წლის წინად ნაცვლად ძველი სახლისა, რომელიც შუაგულ ბაღში იდგა. პირი მიბრუნებული აქვს ჩრდილოეთით; ყველაფრიდან სჩანს, რომ სახლთან ოდესღაც ყოფილა დიდი ბაღი: შენარჩუნებულია კვალი ქვებით მოფენილი დიდი აუზის ნაგებობისა და იასამნის ბუჩქები.

თხოვნაში ნათქვამია, რომ ოთხი კომლი გლეხი, რომელთაც 200 დღიური სახნავი მიწა აქვთ, მელიტონ ბარათაშვილმა მიიღო მემკვიდრეობით მამისაგან; ის ჰყიდის მათ აბელ გურგინბეგოვზე.

რევოლუციამდე სოფ. შინდისში მებატონედ იყო ზემოხსენებული მყიდველის ვაჟი—პალატონ აბელის-ძე გურგინბეგოვი, რომელიც ფლობდა ამ სოფელში 1000 დესეტინა მიწას ბალით. ცხადია, ეს მამული შექმნილი იყო მებატონეთაგან, რადგან გლეხი იშვიათ შემთხვევაში თუ შეეღეოდა მიწას.

სოფ. შინდისში მცხოვრებმა, ჩემს მიერ დაკითხულმა მოხუცმა გლეხებმა დაამოწმეს, რომ ამჟამად ნონიაშვილებისა და ავეტიკაშვილების ოჯახები აღარ არიან; ნონიაშვილის ოჯახი აღარავის ახსოვს; ავეტიკაშვილებს სოფელში დიდი სამსახურებრივი თანამდებობანი ექირათ, მიწა მათ არა ჰქონდათ.

დოკუმენტში მოხსენებული 200 დღიური სახნავი—ზომით 100 დესეტინას უდრის. ასეთ შედარებით დიდ ნაკვეთს იშვიათად, მაგრამ მაინც ფლობდნენ გლეხები; 1848 წ., 3 მარტის ბრძანების გამოცემამდე ყმები სარგებლობდნენ უძრავი ქონების საკუთრებად შექმნის უფლებით.

ეს მოგვეცემს საფუძველს მივიღოთ ქვეშაირტებად „თხოვნაში“ ნათქვამი, მაგრამ ზოგიერთ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მე-ლიტონ ბარათაშვილი ჰყიდა თავის საკუთარ მიწას. ამას ადასტურებს მთელი რიგი ვითარებანი:

1) 2000 მან. ვერცხლით შეუსაბამო იყო მაშინ არსებულ ფასებთან გლეხებზე; უეჭვოა აქ სკარობდა მიწის ღირებულება.

2) მელიტონ ბარათაშვილის ასეთი სურვილი დაეფარა მიწის გაყიდვა, აიხსნება წმინდა უფლებრივი ხასიათის მოსაზრებებით. 1844 წ., როგორც სჩანს მრავალი წყაროებიდან, მელიტონის მატერიალური მდგომარეობა ძალიან ცუდი იყო, რამაც აიძულა ის, გაეყიდა თავისი მიწის უკანასკნელი ნაწილი.

მაგრამ წინაგაყიდულობა თავის სახელზე არ უნდოდა გაეკეთებინა, რადგანაც ამით ის კარგავდა სათავად-აზნაურო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რაც ყოველთვის მეტად აინტერესებდა მას.

ცნობილია, რომ არჩევნებში მონაწილეობისათვის, ამრჩევლები მოვალენი იყვნენ, ჰქონოდათ არა უმცირეს 150 დესეტ. მიწისა, აქედან გამომდინარეობდა ასეთი შენიღბული გაყიდვა მამულისა—გლეხების გაყიდვის სახით.

შინდისი რომ ნამდვილად ბარათაშვილის სამემკვიდრეო მამული იყო, ამის დამადასტურებელია ის მინაწერი „თხოვნაში“, სადაც ნათქვამია, რომ გლეხები იყიდებოდნენ მიწით, რომელიც ერგო მელიტონს მემკვიდრეობით მამისაგან.

ასეთია ის მოსაზრებანი, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ მამული შინდისი იყო ბარათაშვილის მემკვიდრეობითი სამფლობელო.

№ 4095

4 июля 1844 г.

№ 1290

Всепресветлейший, державнейший великий государь император Николай Павлович, самодержец всероссийский, государь все милостивейший!

Просят майор князь Мелитон Николаев сын Баратов и поручик нижегородского полка Авель Григорьев сын Гургинбегов, а в чем наша просьба, тому следуют пункты

1-й

Из нас князь Баратов состою должным коллежскому секретарю Степану Исарлову (уже умершему) 680 рублей серебром по заемному письму и особому условию, засвидетельствованном в Грузино-имеретинской палате уголовного и гражданского суда 18-го ноября 1842 года. Здешнее губернское правление, по претензии Исарлова, основанной на этих обязательствах, наложило запрещение на принадлежащие мне че-

ИМПЕРАТОРСКИИ, ДИПЛОМАТИЧЕСКИЙ  
 ВЕЩИКЪ ГОСУДАРЬ ИМПЕРАТОРЪ  
**НИКОЛАИ ПАВЛОВИЧЪ**  
 ИМЕННОМУ КРАТКОМУ  
 НАШОМУ КРАТКОМУ, ВСЕРОССИЙСКИИ, ГОСУДАРЬ ВСЕМИЛОСТИВЪЮЩИИ

1864. 11. 15.

Мысль наша есть, что мы желаем  
 чтоб вы были и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали

1.

Мысль наша есть, что мы желаем  
 чтоб вы были и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали

2.

Мысль наша есть, что мы желаем  
 чтоб вы были и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали  
 чтоб вы бы желали и вы бы желали

სანაწიფო დოკუმენტი  
 საქართველოს  
 განათლების  
 მინისტრის  
 კაბინეტის  
 მიერ  
 1864 წლის  
 ნოემბრის  
 15-ს  
 დადგენილი

5. ბარათაშვილის ავტოგრაფი.  
 მელიტონ ბარათაშვილისა და აბელ გურგინგეგოვის თხოვნა.

თყრე დყმე კრესყნი, ჯივუიყი ტიფლისკოე უეზდო ვ დერეწე შინდისი, დოსტავიყსო პო ნოსლედსუოტო ოტ ოტცო, ვპრედო დო ოკონყანიო მემუდო მწოეო ი ისოროვყმე როსყტო კო სემუ. კო სემუ<sup>1</sup>:

## 2-ი

ნყნი ეტი ყეტირე დყმე კრესყნი, ა იმენიო, 1-ი კოზორო ნონიოშვილი 32 ლეტი, 2-ოი არყოტინო ნონიოშვილი 38 ლეტი, 3-ი ჰოსრო ავეტიკოშვილი 37 ლეტი ი 4-ი იოსიფო ავეტიკოშვილი 30 ლეტი, სო ვსემი იყ სემეისტოვო, სოსოიყსიმი იო დევოტი დოი მუჟესკოეო ი დევოტი ჯენსკოეო პოლო, ი ს იმენიემ, ჯოკლუოყიყსიმე ვო პოყოტნყ, ნეპოყოტნყ ჯემლყ, პოსტიშოყო ი სენოკოსნყ მესოტო მეროე დვისტიდნევიო პოყონიო, პროდოლ ი, კიოზო ბოროტოვ, იო ნოს პოროყიკო გურგინბეგოვო ჯო დვე ტყსოყი რუბლეი სერებრომ, იო კოიყ ტყსოყო ტრისო დოვოცოტო რუბლეი პოლუყილ ოჟე ი ბოროტოვ, ა ოსოტოლინე სესოტო ვოსემოდესოტო რუბლეი სერებრომ, ა რეო ნოიო რუბლეი პოტოდესოტო ოდნო კოპეიკო სო პოლოვიოე იო ნოს გურგინბეგოვო ორეპრესოტოვოტო პრე სემ, პერვოე დოო ოდოვლესოტოვო ისოროვო, ა პოსლედნიე დოო სლოჟენიო ჯოპრეშენიო ს ონიოყენიყ კრესყნი, ი ვსლედსტიე ოტოე ვსეპოდოდიწეესო პრესიმ, პროშენიო, პროშენიო<sup>2</sup>.

დობო ვოვლეწო ბოლო, სდელოვ რასპოროჟენიე ო სლოჟენიე სო სკოზონიყ კრესყნი ჯოპრეშენიო, სოვრშიტი ნო იყ ს ოპისონიყ იმენიემ იო ნოს პოროყიკო გურგინბეგოვო კოპყოეო კრესყნი ვო დვე ტყსოყი რუბლეი სერებრომ, ი პო სოვრშენიო კოპყეი ვოდოტო ნოსლედიკო მოწრეშო სტეპონო ისოროვო პრე სემ 680 რუბ. სერებრომ — იოლი 4 დნი 1844 გოო გ. ტიფლის. კო პოდონიო პოდესჟიტი ვ გრუზიო-იმერეტიწკოეო პოლათო ოგოლოვნიო ი გროჟდოინსკოეო სოდა. პროშენიე ოტო სოყიწილ ი პერეპისოვოლ სწი პრესიტელე კიოზო ბოროტოვო, გუბერნისკიო სეკრეტორო კიოზო ნიკოლოი მელიტოლოვ სწი ბოროტოვო. რუკო პრელოჟილ მოიორო კიოზო მელიტო ბოროტოვო. რუკო პრელოჟილ პოროყიკო აველე ეგოროვ სწი გურგინბეგოვო.

კოპყოეო კრესყნი სოვრშენო 14 იოლი ი ვოდონო ჯო № 251. ფ. 173. ტიფლ. პოლათო ოგ. ი გრ. სოდა, № დ. 161, ლ. 1,2<sup>3</sup>.

## II

ნიკოლოზ ბოროტოშვილის ხაზხაზურებრივი მიწერ-მოწერის გამო.

ქვემოლ გომოქვეყნებულო მიწერ-მოწერო წორომოოდგენს ქოროტოლ-იმერეტიწკოეო პოლათოს სისხლის სოპოროტოლის დო სოპოქოლოკო სოსოპოროტოლოს (ყოფ. „სულა ო რასპოროვი-ს“) კონცელოოროის სოქმეებიდოწ ამონოწერს. „სოქმის“ ომ ნოწილში მო-

<sup>1</sup> სოვო პოვოტორენე ვო პოდოწიწიკე. რ. დ.

<sup>2</sup> სოვო პოვოტორენე ვო პოდოწიწიკე. რ. დ.

<sup>3</sup> 4 იოლი სესოტო ვოსემოდესოტო რუბ. სერებრომ პოლუყილ

[დოლეს დვე სოტოკი ნეროზბოროყიწი]. 5 იოლი 1844 გ.

№ 711

პრეპისკო იო პოლიყ პროშენიო.

ცემულია რეზუმე იმ დაუსრულებელ მიწერ-მოწერიდან, რომელიც სწარმოებდა წიწამურის მიწების დავის გამო ძმებ ზაქარია და თადეოზ გურამიშვილებს შორის.

საბუთი აღნიშნულია 1841 წ. 10 ივლისის თარიღით. ამ საბუთზე რომელიც შეად არის შედგენილი, ბოლოში ხელის მოწერაა— „Князь Баратов“. ეს ხელის მოწერა ამედავენებს—ავტორს ნიკოლოზ ბარათაშვილს.

მართლაც, როგორც ჩანს პოეტის საბუთებიდან, გიმნაზიიდან იგი სამსახურში შევიდა (1836 წ.) „ექსპედიცია სულა ი რასპრავე“-ში, სადაც დაჰყო ოთხი წელიწადი და ასრულებდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებს.

1841 წელს იგი მსახურებდა მაგიდის უფროსად იმ განყოფილებაში, სადაც ირჩეოდა სასამართლოს საქმეები მაჟულეების შესახებ.

აღნიშნული საბუთი წარმოადგენს პოეტის ავტოგრაფს და ადასტურებს ნიკ. ბარათაშვილს „მიერ რუსული ენის საუცხოვოდ ცოდნას და მის უნარს საქმის ვითარებაში, სწრაფად გარკვევას (რამაც პოეტს თანამშრომელთა შორის სახელი გაუთქვა საუკეთესო მოხელისა).

ხანგრძლივ და გრძელ მიწერ-მოწერის შთლიან შინაარსს, პოეტი საქმიან მოკლე მოხსენებით ბარათში გარკვევით ამოსწურავდა ხოლმე.

მის მიერ შედგენილი ბარათი ვაგზავნილი იყო სენატში.

გენიალური პოეტი, ახალგაზრდობიდანვე მძიმე ნივთიერი პირობების გამო იძულებული იყო ასეთ წერილმანებლისთვის მოეწოდებინა თავისი ძვირფასი დრო, ცოდნა და ფიზიკური ძალღონე.

Передаю 10 июля

1841

1841 г. марта 8 дня в Грузино имперетинской палате уголовного и гражданского суда в журнале записано: слушали указ Правительствующего Сената от 12 прошлого февраля за № 117 следующего содержания: указом временного общего собрания сената от 25 мая 1838 года предписано было бывшей Грузинской Экспедиции суда и расправы выдать на владение проданных князем Давидом Гурамовым князю Туманову в деревне Цинцамуре крестьян давшую со взысканием в казну пошлин по той цене, какая написана в заключенных между сими лицами в 1818 и 1820 годах продажных условиях, если нет к тому препятствия по производящемуся между Гурамовыми разделу имения, и буде такового препятствия не встретится, то дозволить князю Захарию Гурамову выкупить от Туманова крестьян. Раздел имения Гурамовых, как видно из доставленных сею палатою сведений окончен, но истребованы ли от кого следует продажные условия и были ли со стороны палаты какие распоряжения, кроме первоначаль-

<sup>1</sup> აღნიშნული დოკუმენტი აღმოჩენილია ჩემს მიერ საქ. სახ. ცენტრ-არქივში.



ного предписания Тифлисской градской полиции, от 28 июля 1838 г. о том, после 26 мая 1839 г. никаких донесений в общее собрание Сената не поступало.—Между тем, получив от сына Давида, князя Александра Гурамова прошение об отказе Захарию Гурамову в выкупе от Туманова означенных крестьян, так как они выкуплены уже им, просителем, и поступили в его владение, палата рапортом 9 сентября 1838 г. представила о сем на разрешение Сената присовокупя, что за сим она с своей стороны, по 367 статье 3 книги уложения царя Вахтанга и 2 пункту 828 статьи 10 тома свода законов встречает препятствие в выдаче князю Туманову данной и представления выкупа имения князя Захария Гурамова. Временное общее собрание Сената, усматривая из сего, что палата не озаботившись донные приведением в действительное исполнение указа Правительствующего Сената, последовавшего ей еще 25 мая 1838 г, дозволила себе сверх того войти в рассмотрение обстоятельства о праве на выкуп имения князя Александра Гурамова в совершенную противность тому указу и вопреки решению 4-го департамента Сената состоявшемуся в 1836 г., коим домогательство вдовы князя Давида Гурамова об отдаче детям ее на выкуп проданных Туманову крестьян, оставлено без уважения, определяет: поставя палате на вид медленность в действиях ее по исполнению предписания общего собрания Сената и неуместность представления о препятствиях, заключающихся в неправильной сделке Туманова с Александром Гурамовым, подтверждает, чтобы по точному содержанию указа общего Сената собрания немедленно истребовала продажные условия на крестьян деревни Цицамур и если не окажется препятствий, по соображению собственно с производством о разделе имения Гурамовых, выдала князю Туманову данную, поступив в дальнейшем исполнении предписанным ей порядком.—За сим обращаясь к разрешению вопроса о том, кому за смертью Захария Гурамова должен быть предоставлен дозволенный ему Сенатом выкуп от князя Туманова четырех дымов крестьян в деревне Цицамуре, общее собрание находит, что за силою вышеприведенного решения 4 департамента Сената, правом этим не может пользоваться, ни Александр Гурамов, ни кто-либо другой из детей отца его Давида, а как со стороны Захария Гурамова пред'явил себя наследником по нем один только брат его титулярный советник Фаддей Гурамов, который в доказательство родства своего с Захарием, представил свидетельство, подписанное 12 благородными особами, в том числе Тифлиским уездным предводителем дворянства и удостоверенное в подлинности тамошним уездным судом, то временное общее собрание Сената и полагает к выкупу от князя Туманова крестьян в деревне Цицамуре допустить вместо Захария, законных его наследников, на из'ясненном в указе 25 мая 1838 г. основании.

приняв в соображение предъявленное Фаддеем Гурамовым право и доказательство на оное и справку, по коей оказалось: временное общее собрание Правительствующего Сената, указом от 25 мая 1838 г. за № 167 предписало сей палате, чтобы она, за смертью продавца князя Давида Гурамова выдала на владение в деревне Цицамуре 4 дымов крестьян Гигола Омарашвили, Ростома Тандилашвили, Петра Цицкарашвили и Бежана Варданашвили с их семействами, имуществом и землею данную, вместо купчей крепости, со взысканием подлежащих в казну пошлин по той цене, какая написана в продажных условиях, заключенных между упомянутыми лицами в 1818 и 1820 г. г., с тем однакож, если нет на это законного препятствия по производящемуся между князьями Гурамовыми разделу именина, и в сем случае, т. е. буде препятствия не встретится, дозволить князю Захарию Гурамову выкупить от Туманова крестьян на точном основании определения 4 департамента Сената, последовавшего о первых четырех данных и оставленного в силе ныне решением общего собрания, в противном же случае, отобраз означенных крестьян из неправильного владения статского советника князя Туманова, возвратить в первобытное владение рода Гурамовых по принадлежности, а ему Туманову предоставить отыскивать претензию свою по покупке этих крестьян, с кого следует.

Во исполнение этого, палата сия указом от 28 июня того же года за № 2449 предписала Тифлисской градской полиции объявить этот указ временного общего собрания Правительствующего Сената статскому советнику князю Георгию Туманову или поверенному его и, истребовав от него продажные условия, заключенные им с покойным князем Давидом Гурамовым 14 ноября 1818 г. и 1 мая 1820 г. на продажу последних первому именина и крестьян, представить их в сию палату.—Между тем, поверенная статского советника князя Туманова и князь Александр Гурамов 30 июня 1838 г. вошли с прошениями в палату, коими довели до сведения ее, что последний из них принял в свое владение поименованных выше крестьян, проданных умершим отцом его князем Давидом Гурамовым статскому советнику князю Туманову и сверх того именина проданных отцом его по купчим других четырех дымов крестьян и части деревни Цицамури и возвратил покупщику полученные покойным отцом его деньги.—Палата сия об этих прошениях княгини Тумановой и Александра Гурамова рапортом от 24 августа за № 546 донесла временному общему собранию Правительствующего Сената на благоусмотрение и разрешение его, присовокупив при том, что палата с своей стороны за изясненными в тех прошениях обстоятельствами и за силою 367 статьи 3 книги уложения царя Вахтанга и 2 пункта 829 статьи продолжения тома 10 встречает препятствие в выдаче князю Туманову данной и на представление выкупа именина князю Захарию Гурамову.

Приказали: об об'явлении настоящего указа Правительствующего Сена-  
 та князьям Фаддею и Александру Гурамовым, предписать Тифлис-  
 скому уездному начальнику; о об'явлении княгине Тумановой предпи-  
 сать градской полиции с тем, чтобы она непременно отобрала от кня-  
 гини продажные условия, заключенные в 1818 и 1820 годах между  
 князьями Давидом Гурамовым и мужем ея умершим ст. совет. Тумано-  
 вым и представили бы немедленно в палату, по получении же этих  
 условий, выдать по ним за смертью князя Гурамова наследнику его  
 надлежащую данную, для чего выписку с сего журнала передать в кре-  
 постную часть, а о распоряжении почтеннейше донести Правительствую-  
 щему Сенату, получение же указа показать по месячной ведомости.  
 Подлинный подписали: председатель палаты Ильинский, товарищ пред-  
 седателя Филиппов, советники: Гавриленко и Сараджев, заседатели: от  
 дворян князь Орбелианов и от граждан Романов, скрепил секретарь—  
 Сургунов.

Верно: секретарь—Н. Сургунов.

Выписка сия передана из текущего в крепостной стол 10 июля  
 1841 г. за № 2881.

Отписано 22 марта 1841 г.

В Сенат № 279

Тиф. уезд. нач. № 1324

Полиции № 1325

12 июля исполнение учинил выдачею данной  
 по явке Гурамова и по присылке продажных  
 условий советн. Гавриленко.

(подпись)

Князь Баратов

Ф. 173, л. 41

1841 г., лл. 4—7.

*[Handwritten text in Georgian script, likely a list of names or titles. The text is difficult to decipher due to cursive handwriting.]*  
 ...  
 ...  
 ...  
 ...  
 ...

5. ბარათაშვილის ავტოგრაფი, გურამიშვილების საქმის რეზუმე 5. ბარათაშვილის ხელწერით.

თაკოზ ბალახაშვილი

**ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტობიოგრაფიული წერილი**

1836 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან პოეტის მამა საკმაოდ დიდი ხნით ლოგინად ჩა-  
ვარდა.

მელიტონის ავადმყოფობის მეხუთე თვეს ბარათაშვილებს გრიგოლ ორბელიანისაგან პოე-  
ტის მამის სახელზე ბარათი მოუვიდათ.

საპასუხო წერილის დაწერა მელიტონს მძიმე სნეულობის გამო არ შეეძლო. „ჩვენი ამბა-  
ვი—სწერდა ვუფროსი გრიგოლ ორბელიანს—ეს არის შენი სიძე ხუთი თვე არის დიდად აეთ  
მყავს, იფიქრე ჩვენი ცხოვრება.“<sup>1)</sup>

მაშინ ნიკოლოზ ბარათაშვილს „გიმნაზიის კურსი“ უკვე შესრულებული ჰქონდა და „ექს-  
პედიცია სულა ი რასპრავას“ მოხელეთ ითვლებოდა. საპასუხო ბარათის დაწერა ავადმყოფმა  
დააკისრა პოეტს და მან ეს დავალება შეასრულა.

საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოს გაურჩეველ საბუთებში ამ რამდენი-  
მე ხნის წინათ ჩვენ ვიპოვეთ მელიტონ ბარათაშვილის თხოვნით ნიკოლოზის ხელით გრიგოლ  
ორბელიანისადმი 1837 წლის პირველი მარტის თარიღით მიწერილი ბარათი.

ქვემოთ მოთავსებულ წერილს, მართალია, ბოლოში ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელითვე  
აწერია: „შენი ძმა მელიტონი“, მაგრამ იმავე ბარათში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მე კი ასე  
ავადა ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერინებ“.

ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს აღნიშნული წერილის ავტორად ნიკოლოზ ბარათა-  
შვილი მივიჩნიოთ, რომელმაც მამის კარნახით კი არ დაწერა ეს წერილი, არამედ თვითონ  
შეადგინა საპასუხო ბარათის ტექსტი. აი თვითონ წერილიც:

ძმაო გრიგოლ!

შენი წიგნი მომივიდა, რომელმაც დიდად მასიამოვნა შენის მშვიდობით  
ყოფნით. ხანჯალი გეთხოვნა და ამასთანავე გიგზავნი; იმედი მაქვს რომ მოგე-  
წონოს; შენი დისათვის რომ წინდები გეთხოვნა, ისიც ამაში ძვეს.

ვჰსცან, რომ შენის დათხოვნეს არზა უკვე დაუბრუნებიათ. დიდად მეწყი-  
ნა. როგორ არ იცოდი, რომ როგორ მიგერთმევეინა შენის დათხოვნისთვის  
აქაც ჰკითხეს და აქედგანაც წამოვიდა ვოგნის მინისტრთან შენი აქ წამოსვლის  
ნება. მე კი ასე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერინებ.

შენი ძმა მელიტონი.

წელსა 1837-სა მარტის 1-სა

ჭ. ტფილისი.

<sup>1)</sup> უფრ. „მნათობი“ 1938 წ., № 12 გვ. 166

## ა ძ ტ ი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების შესახებ შიდასახეობის კანთონიდან მთავრის მხარეთა კანთონში.

1988 წლის 15 თებერვლს, დილის 8 საათზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოტანი კომისიის წევრების ა. მაშაშვილის, შ. დადიანის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის და პროფ. ვლადიმერ ჟღენტის თანადსწრებით დიდუბის პანთონში გათხრილ იქნა პოეტის ნიკოლოზ მელიტონის - ძე ბარათაშვილის საფლავი. საფლავიდან ნეშტის ამოღებას დაესწრო მწერალთა აქტივი.

საფლავში აღმოჩნდა ცინკის კუბო დახურული, კარგად შენახული. კაკლის ხის კუბო დაშლილია. ცინკის კუბო არის სიგრძით 97 სანტიმეტრი, სიმაღლით 25 სანტ., სიგანით-56 სანტ.

8<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი გადასვენებულ იქნა მთავრის მხარეთა პანთონში. პროფ. ვლ. ჟღენტმა მოახდინა ნეშტის მეცნიერული დათვალიერება და ჩონჩხის აღდგენა—გაზომვა. ასისტენტობდა დოც. ა. ჯორბენაძე. მეცნიერული ექსპერტიზის დასკვნა ასეთია:

ნ. ბარათაშვილის ნეშტის ჩონჩხი ძირითადად კარგად არის შენახული. ჩონჩხის აღდგენის სურათი ადასტურებს, რომ პოეტი საშუალო ტანის და ძვალმსხვილი კაცი ყოფილა. მარცხენა ქედა კიდურის წვივკოჭის მიდამოში ძვლებს ეტყობა ოდნავი დაკოეიება. თავის ქალა და პირისახის ჩონჩხი კარგად შენახულია. თავის ქალა საშუალო ზომისაა.

12 საათზე და 45 წუთზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი ჩასვენებულ იქნა ახალ აკლდამაში.

კომისიის თავჯდომარე: ალიო მაშაშვილი

კომისიის წევრები:

1. ვლ. ჟღენტი
2. ა. ჯორბენაძე
3. გ. ლეონიძე
4. ი. მოსაშვილი
5. შალვა დადიანი

მდივანი: გ. აბზიანიძე

შინაგანაშენი

## ილია ჭავჭავაძის უცნობი ესთეტიკური ფრაგმენტები

ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში ილია ჭავჭავაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული კრიტიკის სახელოვანი ტრადიციები. სამოციანი წლების გარიჟრაჟზე მან პირველმა ააფრიალა რეალისტური ესთეტიკის დროშა.

ილია ჭავჭავაძის პირველი ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილები მთელს ეპოქას ქმნიან ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

„მამების“ პატრიარქალურ-ფეოდალური მსოფლმხედველობის პირველი გამანადგურებელი შეტევა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო ენისა და ესთეტიკის საკითხების კრიტიკით. მან სასიკვდილო მახვილი ჩასცა არქაისტების ესთეტიკურ დოგმებს, როცა ცრუკლასიციზმის და სენტიმენტალიზმის სრული ჩამორჩენილობა გამოამჟღავნა. თავის ცნობილ „პასუხში“ („ცისკარი“, 1861 წ., № 6) ილია ჭავჭავაძე თანაბრად ამათრახებს, როგორც რუსული სანტიმენტალური სკოლის მწერლებს, ისე მათ ქართველ მთარგმნელებს. ჭავჭავაძე მოაზროვნე შესანიშნავ ანალიზს უკეთებს იმ ფაქტს, თუ როგორ მოუჭრა თვალი ცრუკლასიციზმის ნორმატივით დათრგუნვილ მწერლებს პირველმა „დამატკობელმა სხივმა პოეზიისამ“ და მათ გიოტეს დიდებულ „კერტერში“, როგორ ყალბად „მოესმათ სანტიმენტალური სულისკვეთება.“ ილია ჭავჭავაძეს აქ მზის სინათლეზე გამოაქვს ძველი ლიტერატურული მიმართულებების სიყალბე და რეალისტური ესთეტიკის საფუძვლებს ამტკიცებს.

ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ მოძღვრებაში თავის დასაბუთებას პოულობს ხელოვნების უტილიტარულ-რეალისტური თეორიის თვალსაზრისით ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა—ხელოვნების ცნების, ტიპიზაციის, შემოქმედებითი ტალანტის და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული კონცეპციის ძირები ორგანიულად უკავშირდება ბესარიონ ბელინსკის ესთეტიკურ სისტემას. ეს კარგად შეამჩნიეს ილია ჭავჭავაძის იდეურმა მოწინააღმდეგეებმა. მის წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ წერილში „ცისკარი“ სწერდა, რომ ილია ჭავჭავაძეს „მარცხენა ხელში ეჭურა ფარის მავიგრად ბელინსკის ტომები და ისე დაიარაღებული გამოილაშქრა საქართველოზე“ („ცისკარი“, 1861 წ., № 4). ანტონ ფურცელაძე თავისებური სარკაზმით აღნიშნავს: „ბელინსკობას რომ ჩემობთ, კოჭიც უნდა მიგიგავდესთ მასო“.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობის მჭიდრო კავშირი ბელინსკის ესთეტიკურ სისტემასთან ბუნებრივად აყენებს კითხვას: განიცადა თუ არა ილია ჭავჭავაძემ ბელინსკის პირველი იდეალისტური პერიო-

დის გავლენა? გაიარა თუ არა მან გენიალური რუსი კრიტიკოსის წინააღმდეგობით სავსე გზა იდეური განვითარებისა, თუ იმთავითვე განისაზღვრა ბელინსკის რეალისტური კონცეპციით?

სწორია თუ არა ქართულ ლიტერატურაში გამტკიცებული შეხედულება, რომ ილია ჭავჭავაძე ქაბუკობიდან მოხუცებამდე მონოლიტურია და შეუცვლელი თავის ესთეტიკურ-ლიტერატურულ პრინციპებში?

საქ. სახელმწ. ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ილია ჭავჭავაძის უცნობი ფრაგმენტები ამ საკითხებს სრულიად ახლებურად სწყვეტენ.

ეს ფრაგმენტები შემოგვინახა ილია ჭავჭავაძის ერთმა მომცრო წიგნაკმა, რომელიც ყველა ნიშნებით მისი სტუდენტობის პირველ წლებს ეკუთვნის. (საქ. სახ. ლიტერატ. მუზეუმი ხელნაწ. № 3/4).

ფრაგმენტი № 1 ეხება ხელოვნებისა და ფილოსოფიის ურთიერთობას, № 2-ში მოცემულია ხელოვნების ცნების განსაზღვრა იდეალისტური ესთეტიკის თვალსაზრისით.

მოგვყავს ორივე ფრაგმენტი უცვლელად:

### ფრაგმენტი № 1

— „ხელოვნება ხელოვნებისათვის როგორც უსათუო კუთვნილება პოეტისა

ფილოსოფია და პოეზია სრულაბით არ არიან (ორი განკიდურებანი)<sup>1</sup> კაცის სულიერის ხმარის (უნდა იყოს: მხარის, მხრის—გ. ა) შეტყველების განკიდურებანი და დამრღვეველნი ერთმანეთისა, ორივეს ერთი და იგივე წყარო აქვს. ერთი და იგივე საფუძველი—ქეშმარიტება. ხოლოდ ორნივე ესე განიყოფებიან გამოთქმის საშუალებაში, პირველი ე. ი. ფილოსოფია აღინიშნება ზოგად, უსაზო გამოთქმებია, ქეშმარიტება ფილოსოფიისა ამისა განო, არ გამოიხატება წარმოდგენაში, როგორც რაიმე სახე რადგან უსაზო (უსაზო—გ. ა.)—აზრი მაგალ. (აზრი ამ . . . . რომ იტყვიან არ წარმოუდგება კაცს . . . . კაცი ნიკოლოზი, ბაქარა . . . . არამედ მთელი ზოგადი კაცი)<sup>2</sup>.

### ფრაგმენტი № 2

ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც უსათუო კუთვნილება პოეტისა

ხელოვნება არის განხორციელება იდეისა, მისთვის გარე არა აქვს განძრახვა, მიზანი; იგი თავისთავშივე არი ჩაკეტილი და მისი პირდაპირი მიზანი (თვითონ) არის ღარმონია, სიმთელე და მშვენიერება, რომელიც ერთად შეადგენენ ხელოვნებასა, ანუ უფრო მოკლედ ვსთქვად, ხელოვნებია მიზანი თვითვე ხელო-

<sup>1</sup> რაკალში მოთავსებული სიტყვა ხაზგადასმულია გ. ა.

<sup>2</sup> რაკალში მოთავსებული სიტყვები წაშლილია, წერტილებით აღვნიშნეთ გაურკვეველი სიტყვები გ. ა.



ნება. პოეზია არის ნაწილი ხელოვნებისა და თვით პოეტი მოვეცი, მწიროველი, მსახური ჩიხი. ყოველ პოეტის თბხულებში ვეძებ ჩვენ პირველად ხელოვნებასა, ესე იგი სახესა, რომელშიც განხორციელებული უნდა იყოს [ს] იდეა მშვენიერებისა“.

№ 1 ფრაგმენტში მეორე წინადადება დასრულებული არ არის, მაგრამ ლოლიკური წინამძღვრები მოცემულია აზრის დასრულებისათვის. მეორე წინადადებაში გარკვევით არის ნათქვამი, რომ ფილოსოფია არ გამოხატავს ქეშმარიტებას სახეებით. ეს არის ნეგატიური მტკიცება. პოზიტიურ დასაბუთებაში, ლოლიკურია, ნაფულისხმევი უნდა იყოს ის აზრი, რომ ფილოსოფია ცნებებით გამოხატავს ქეშმარიტებას და პოეზია სახეებით. პირველ წინადადებაში ხომ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ფილოსოფიის და პოეზიის ერთი და იგივე წყარო და საფუძველი აქვს—ქეშმარიტება, „ხოლოდ ორნივე განიყოფებიან გამოთქმის საშუალებაში“, თუ ფილოსოფიის სპეციფიკა, როგორც ილია აღნიშნავს, „ზოგადი უსახო გამოთქმა“ ე. ი. ლოლიკური კატეგორიები, ცნებები,—ბუნებრივია ხელოვნების სპეციფიკა „სახიან“ გამოთქმაში (სახეებში) იგულისხმება. ეს აზრი ილია ჭავჭავაძეს გამოთქმული აქვს ნძ-იან წლების სტატიებშიც: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა; მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია—სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგან სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა“—(ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, გვ. 31—32).

№ 1 ფრაგმენტში გამოთქმული აზრი ფილოსოფიისა და ხელოვნების ურთიერთობის და მათი სპეციფიკის შესახებ ილია ჭავჭავაძეს შემუშავებული აქვს ბელინსკისა და ჰეგელის გავლენით. ძნელია ჯერ-ჯერობით იმის თქმა, რომ ილია უშუალოდ იცნობდა ამ პერიოდში ჰეგელს. უფრო მოსალოდნელია აღნიშნული კონცეპტია მან ბელინსკის ნაწერების საშუალებით შეითვისა.

№ 1 ფრაგმენტი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი პოზიტიური ხასიათის სათაურით: „ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც უსათუოდ კუთვნილება პოეტისა“. ამ სათაურიდან ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს სურდა ამ ნაწერში გაეტარებია წმინდა ხელოვნების პრინციპი, მაგრამ როგორც დაინახეთ ნაწერი შეწყვეტილია და ჩვენამდე ფრაგმენტის სახით არის მოღწეული.

მაგრამ წმინდა ხელოვნების კონცეპტია ილია ჭავჭავაძეს გარკვევით ჩამოყალიბებული აქვს № 2 ფრაგმენტში.

აქ ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავს იდეალისტური ესთეტიკის პოზიციას. იგი აღიარებს პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ილია ჭავჭავაძე ამ ფრაგმენტში ატირებს ჰეგელის იდეალისტური ესთეტიკის კონცეპციას მშვენიერების იდეის შესახებ. ეს კონცეპტია მას უშუალოდ ბელინსკიდან აქვს შეთვისებული. როგორც ცნობილია, ბელინსკის გავლილი აქვს იდეური ევოლუციის უაღრესად რთული გზა. მისი ფილოსოფიური განვითარების პირველი პერიოდი აღინიშნება ფიხტეს, შელინგის და მემარჯვენე ჰეგელიანელობის გავლენით.

ბელინსკის ამ პერიოდში ხელოვნება მიაჩნია „მარადიულ იდეის“ გამოვლენად, ჰეგელის აბსოლუტური სულის სხვადასხვადასახელებად. იგი/სწერს: ხელოვანი „მომხიბვლელ სახეებში ანხორციელებს ღვთაებრივ იდეას თავის თავისთვის, და არა სხვა გარეშე და მისთვის უცხო მიზნებისთვის“.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე პირდაპირ იმეორებს ბელინსკის აზრებს—წმინდა ხელოვნებისა და მშვენიერების იდეის შესახებ.

ცხადზე ცხადია—ილია ჭავჭავაძეს განუცდია ბელინსკის პირველი იდეალისტური პერიოდის გავლენაც. „კაცია ადამიანის“ ავტორის ნორჩს გონებაზე პირველი გავლენა დაუტყვია ბელინსკის მემარჯვენე ჰეგელიანურ შეხედულებებს, მაგრამ ამ გავლენისაგან მალე განთავისუფლებულა და ხარბად შეუთვისებია „მშფოთვარე ბესარიონის“ რეალისტურ-რეგოლუციური ნააზრევი. როგორც ცნობილია, ბელინსკის პირველი პერიოდის შემცდარი გზა, მისი სულიერი დრამა გრძელდება 40-იან წლებამდე. 1842 წელს ბელინსკი გერცენის საშუალებით დიდ ფრანგ მატერიალისტ ფეიერბახს ეცნობა, რაც არსებით გარდატეხას იწვევს მის ცნობიერებაში. იგი ხდება მემარცხენე ჰეგელიანელი, სოციალური უსამართლობის აგზნებული მებრძოლი, რეალისტური ხელოვნების უძლიერესი მესიტყვე.

მეფის რუსეთის საწინააღმდეგო სინამდვილის ქიშხე დაიმსხვრა ბესარიონ ბელინსკის წმინდა ხელოვნების ხომალდი და ჰეგელის მშვენიერების აბსოლუტური იდეა. გენიალურმა რუსმა კრიტიკოსმა თავის ნაწერებში საბედისწერო ვანაჩენი გამოუტანა ნიკოლოზის რუსეთს, ხელოვნება აღიარა ცხოვრების საკვება და მას წმინდა მოვალეობად ხალხის სამსახური დაუსახა. ბელინსკი ამ პერიოდში სწერდა: „შეგნებული ვგაქვს რა, რომ ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ხელოვნება უნდა იყოს, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ შეხედულება რაღაც განყენებულ, წმინდა ხელოვნებაზე, რომელიც თავის საკუთარ სფეროში ცხოვრობს,—არის განყენებული აზრი, ოცნება. ასეთი ხელოვნება არასდროს და არსად არ ყოფილა... ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისათვის სამსახურის უფლების წართმევა—ნიშნავს არა მის ამოღებას, არამედ მის დამცირებას, რადგან ეს ნიშნავს მოაკლოთ მას ყველაზე მეტი სასიცოცხლო ძალა ე. ი. მოაკლოთ აზრი, ვახლოთ იგი რაღაც სიბარიტულ დატკობის საგნად, უქნარა ზარმაცების სათამაშოდ“.

ილია ჭავჭავაძე ბ. ბელინსკის მზგავსად დიდ ადგილს უთმობს რეალიზმის თეორიის დასაბუთებას. მის აზრებს ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობაზე ბელინსკის დიდი გავლენა ატყვია. „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის—სწერს ილია—დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზე... პოეტსა ხალხი ჰზადავს და ხალხის ცხოვრება ძეძუს აწოვებს; ამ საფუძვლით ამზობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამოთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაამუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებისა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გადამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებისას“.

ილია ჭავჭავაძემ ჩანასახშივე დასძლია ბელინსკის პირველი პერიოდის მცდარი შეხედულებების გავლენა. ის ხარბად დაეწაფა ბელინსკის რეალისტურ აზროვნების წყაროს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მესამოციანე-

ლის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა დიდად არის დავალებული გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის ჩერნიშევსკის ესთეტიკურ კონცეპციიდანაც. მაგრამ ძირითადში მაინც ილია ჭავჭავაძე ამ მხრით „მშფოთვარე ბესარიონის“ გავლენას განიცდის. ილია ჭავჭავაძე მთელ რიგ საკითხებში აღრმავეებს და თავისებურ ელფერს აძლევს ბელინსკის ესთეტიკურ პრინციპებს (ხელოვნების და ცხოვრების ურთიერთმოქმედება, მხატვრული ტალანტის პრობლემა, თამაშის თეორია და სხვ.), მაგრამ ამ საკითხების ანალიზი ჩვენი წერილის ფარგლებს სცილდება.

ახლად აღმოჩენილი ი. ჭავჭავაძის ფრაგმენტები მნიშვნელოვან ფურცელს შლის ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში, კერძოდ ისინი მეტად საინტერესო მასალას იძლევიან დიდი ქართველი პოეტის და მოაზროვნის იდეური ევოლუციის შესასწავლად.



**სოლ. ცანიშვილი**

**„დროებიდან“ — „იშვარიაშვილი“**

ქართული ევრონაღმისტიკის ისტორიაში პირველ ევროპული ყვირის გაზეთად უნდა ჩითვალეს გაზეთი „დროები“, რომელიც გამოვიდა 1866 წელს გიორგი წერეთლის რედაქტორობით.

ევროპული გაზეთის ასე დაგვიანებით გამოცემა საქართველოში სრულიად გარკვეული მიზეზებით იყო გამოწვეული. ამგვარი გაზეთისათვის სულის ჩადგმა უთუთოდ არ შეეძლო საქართველოში მანამდე მოქმედ მოღვაწეთა სხვა ჯგუფებს თუ არა იმ თაობას, რომლის რიგებს ამშვენებდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

აი, ამ „დროების“ ცხრამეტნახევარი წლის უანგარო სამსახურზე, ქართველი ხალხის წინაშე მასზე დაკისრებული როლის შესრულებაზე და გავლენაზე ბევრ რასზე გვეუბნება ქვემოთყვანილი დოკუმენტი, შედგენილი „დროების“ ერთერთი თანარედაქტორის იონა მ. გ. უნარგიას მიერ.

როგორც თვით „დროებიდან“ და სხვა წყაროებიდან (ი. მ. ავტობიოგრაფია, დ. მესხის მოგონებანი) ჩანს, 1879 წლიდან, ვიდრე ეს გაზეთი დაიხურებოდა, ი. მუნარგია ერთერთი აქტიური მონაწილე იყო „დროებისა“ და ხშირად ს. მესხისა და განსაკუთრებით ივ. მაჩაბლის რედაქტორობის დროს რედაქტორის მოვალეობასაც კი ასრულებდა.

მაშინდელი მეფისნაცვლის—დუნდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას დაჯახებულმა „დროებამ“ 1885 წლ. სექტემბერს საბოლოოდ დალია სული.

ამ მოვლენას, როგორც მოყვანილ საბუთიდან დაინახავთ, ქართველ მკითხველთა შორის დიდი მწუხარება გამოიწვევია. ტუფლისში შემდგარა გაზეთის მონაწილეთა კრება, სადა აურჩევიათ კომიტეტი, რომელსაც სხვა ახალი გაზეთის დაარსებისათვის უნდა ეხარუნა!

როგორც სჩანს, ამ კომიტეტში ივ. მაჩაბელი და ი. მუნარგიაც ყოფილან არჩეული. უკანასკნელისათვის დაუვალეობათ მოყვანილი მიმართვით ბარათის ტექსტის შედგენა, რომლის შავი შესწორებულთა ფანქრით—როგორც ეს ხელნაწერების შედარებიდან ჩანს—ივანე მაჩაბლის მიერ.

ცხადია, ამის შემდეგ მიპართვა, როგორც ერთგვარი ცირკულარული ბასიათისა, უნდა გადაბეჭდილიყო შერჩეულ პირებისადმი განაცხადი, რომელთაც შეძლებისდაგვარად ფულადი წვლილი უნდა გაეღოთ მომავალი გაზეთის გამოსაცემ ფონდისათვის.

მგონა, როგორც ძიებამ დაგვარწმუნა, ეს ბარათი ისევ შეავადე დარჩენილა მუნარგიას ხელნაწერებში და აღნიშნულ პერიოდშიც არაერთი ასეთი ფონდი არ შექმნილა. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ „დროების“ დახურვიდან სამი თვის შემდეგ—1885 წლ. 1-ლ იანვარს, ყოველ დღიური გაზეთი, „ივერია“, უკვე გამოვიდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით და მისი საკუთარი სახსრებითაც. საგულისხმოა ისიც, რომ მოყვანილი მიმართვის დამწერი, იონა მუნარგია იმ ხანებში უკვე პეტერბურგს გამგზავრებულა, სადაც ილიასაგან დებულთხმ 1885 წლ. 20 დეკ. დათარიღებულ წერილს.<sup>1</sup> აღნიშნულ წერილში მოთხოვნილია ილიას მიერ, თუ როგორ სწარმოებს მუშაობა 1-ლ იანვრისათვის გაზეთის გამოცემის შესახებ და მუნარგიასა და ნ. ნიკოლაძეს აქტიური მონაწილეობის მიღებასა სთხოვს.

<sup>1</sup> იხ. ი. მუნარგია „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“. 1967 წ. გვ. 33.

აქედან დასკვნა, რაკი ილიას უკისრნია გაზეთის გამოცემა, აღნიშნულ კომიტეტს საჭიროდ არ უცვნია საზოგადოებრივი სახსრებით ფონდის შექმნა და იგი დაშლილა. უკეთ რომ ვთქვათ, მომავალი გაზეთის, „ივერიის“ გარშემო შემკიდროვებულან, მისი (კომიტეტის) წევრებიცა და ამომრჩეველებიც. ამას „ივერიის“ ნომოების გადათვალთვლება ააშკარავებს.

ამგვარად, „დროებიდან“—„ივერიამდე“ წარმოებულ სამხადისში, ამ ბარათს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული, მაგრამ ის მნიშვნელოვანი ღირსების მატარებელი საბუთია იმიტოვ, რომ გამოხატველია იმ კომიტეტის მოსახრებისა, რომელსაც „დროების“ შემდეგ ახალი გაზეთის შექმნისთვის უნდა ეხრუნა. იგი გამოხატველია თვით ივ. მაჩაბლის მოსახრებისა, რამდენად მის მიერ არის ის რედაქტირებული. მასთან გამოხატავს იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასა და ნაწილობრივ საქართველოს ინტელიგენციის განწყობილებასაც.

ბარათი, როგორც ეს მიმართვის წესია, ზოგადია და რაც შეიძლება ნეიტრალური ზახის გამოხატველი, სხვაგვარად არც მოხერხდებოდა, სხვადასხვა ადრესატისათვის ერთნაირი ტექსტის დაცვა. იმ დროინდელი პოლიტიკური ვითარების მიხედვით ტექსტს უძვეველად აკრავს დიდი სიფრთხილით შედგენის იერი, ჩვენ მას ვაქვეყნებთ მაჩაბლის ზესწოების მიხედვით, ხოლო კვადრატულ ფრზბილებში ვსვამთ იმ სიტყვებს, წინადადებათა და ადგილებს, რომლებიც ან ფაქტით გადაშლილია, ან გამოსატოვებლად მიჩნეული და შემოხაზული.

ხელნაწერი უთარიღოა, მაგრამ ის, უძვეელია, დაწერილია 1885 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში—„დროების“ დახურვის განკარგულების გამოქვეყნების შემდეგ.

აი ეს ტექსტიც:

მოწყალეო ხელმწიფეც . . . . .  
 თქვენ შეიტყობდით „დროების“ განცხადებიდამ, რომ ამ გაზეთის გამოცემა საბუღამოდ აკრძალულ იქნა [უმაღლესის მთავრობის განკარგულებით].

ჩვენდა სანუგეშოდ ერთერთი ქართული ყოველდღიური გაზეთის მოსპობამ გამოიწვია დიდი მწუხარება მთელს ქართველს საზოგადოებაში: ასეც უნდა მომხდარიყო <sup>1</sup>.

[შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ, მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს სამწუხარო გარემოება, შეუნიშნავად არ ჩაივლის ჩვენს საზოგადოებაში].

ღმერთმა ინება და ხელახლად დაგვიდგა ისეთი დრო, რომ ჩვენც შეედექით, ერთის ფეხით არის მაინც, განათლების გზაზე, ჩვენც მოვიწიფენით დამოკიდებულთა თაგიდამ ჩვენი ჩვეულებრივი გულგრილობა, ჩვენი გმობილი უზრუნველობა და ვიგრძენით საუკეთესო საზოგადოებრივობის და სამოქალაქო ცხოვრების მოთხოვნილებს. ღმერთმა ინება და ყველა გონიერი და ზნეობით დაუმანინჯებელი კაცისათვის ცხადი შეიქნა ჩვენში, რომ მშობლიური ენა ისეთსავე საჭიროებას შეადგენს კაცისათვის, რაგვარს საჭიროებასაც შეადგენს მისთვის თვით სამშობლო მიწა-წყალი, თვით სამშობლო ჰაერი; ღმერთმა ინება და ყველას სულს უდგამს ჩვენის ეროვნების წარმატების მოთხოვნილება, ჩვენი წარსული ბედნიერების მოგონება, ჩვენი გონების განვითარება. რაკი ამ ბედნიერ გზაზე დამდგარა ჩვენი ხალხი, რაკი გაუღვიძნია მისს დროებით მიძინებულს ნაციონალურს გრძნობას, უეჭველია, არც ამ გრძნობის უსარგებლოდ და უკანონოდ ჩაფუშვია შეიძლება და არც ისეთი მოვლენის უსურადღებოდ დაგდება, რო-

<sup>1</sup> მთელი ეს აბზაცი ფაქტით ჩამატებულია სხვა ხელით, რომელიც ივ. მაჩაბლისად მიგვაჩნია.—ს. ც.

გორიც არის დახურვა გაზეთისა, რომელიც ცხრამეტ წელიწადნახევარი წმინდად და უანგაროდ ემსახურა ჩვენს საზოგადოებას.

„დროება“ მოისპო, „დროება“ აღარ არის. დღეის იქით მისი სახელი ეკუთვნის ჩვენი გონების განვითარების ისტორიას, ჩვენი კულტურის მატრიანეს, რომელშიაც მან აღბეჭდა თავისი ნაყოფით აღსავსე ნავალი, ჩვენი სულიერი წარმატების მთხრობელნი, რაც უნდა მტერი იყოს ის ბეჭდვითი სიტყვისა, მაინც ვერ აუვლის გვერდით ამ გაზეთის მნიშვნელობას. ათასთა სხვათა პირობათა შორის, რომელთაგან შემდგარა ჩვენი საზოგადოების კეთილი წარმატება, ის იპოვის ამ ჩვენს პატარა „დროებასაც“, რომლის გავლენას ის ვერ ააცდენს თვალს, რომელსაც ყველა სხვა კერძო პირობათა უფრო დიდი სამსახური გაუწევია ჩვენდ ერის სულიერი აღორძინებისათვის. დიდი დრო გაივლის სანამ დავიწყების მტერი დაეყრებოდეს იმ ცხრამეტ-ცხრამეტ ტომებს, რომელნიც დაცულნი არიან თბილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში, გაუქმებულს რედაქციაში და ორგან თუ სამგან რუსეთში.

ამ მცირე წერილში ძნელია მოათავსოს კაცმა რა დამსახურება მიუძღვის ჩვენი საზოგადოებისათვის „დროებას“. თავდაპირველი დამსახურება „დროებისა“ ის იყო, რომ ჩვენს საზოგადოებაში კითხვა მოთხოვნილებად გახადა ამ გაზეთმა. ეს საკიროება ნამდვილი სამოქალაქო მონათვლაა ჩვენი საზოგადოებისა. ეხლანდელი ევროპიელი საზოგადოება, რომლის კვალსაც ჩვენ მივსდევთ შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა უგაზეთოდ. შიშობის მოითმენს ეს საზოგადოება, წყურვილს დასთმობს, უჯარობას, უვაჭრობას, უგზობას აიტანს, მაგრამ უგაზეთობა კი ისე შეუძლებელია მისთვის, როგორც შეუძლებელია უპაროდ ცხოვრება იმიტომ, რომ გაზეთის საშუალებით კაცი ხდება მონაწილე მსოფლიო განათლებისა და მოძრაობისა, იმიტომ, რომ გაზეთი არის მისი სულიერი საზრდო. იქიდან ტყობილობს ის, რაც ხდება მეცნიერებაში, ვაჭრობაში, პოლიტიკაში, როგორ უნდა აიცილოს კაცმა თავიდან ბევრი უბედურება, როგორ წარმართოს კეთილად თავისი ცხოვრება და სხვ. ამ გზაზე რაკი ფეხი შეგვადგმევია „დროებაში“ ჩვენს ნამდვილს სამოქალაქო და საზოგადო აღორძინებასაც დასაწყისი დაედო და წინასიტყვაობაც დაეწერა. აწინდელის და მომავლის დროისათვის ამას იქით ადვილი შეიქნა უარერის განათლებისაკენ წინ წაწევა ჩვენის საზოგადოებისა.

ეს ითქმის „დროების“ მნიშვნელობაზე, როგორც გაზეთისა საზოგადოდ, რომელსაც აქვს საგნად ხალხის გონებრივი და ზნეობრივი წარმატება. მაგრამ, მართა ამით არ გამოითქმის მისი დამსახურება. უფრო დიდი და შესამჩნევია მისი ღვაწლი ჩვენის ეროვნებისა და ენის სასარგებლოდ.

თავდაპირველი ავლა-დიდება ყველა ეროვნებისა არის ენა, ის ენა, რომელსაც დიდებულმა ჩვენმა პოეტმა მართლად „ტაძარი წმინდა“ უწოდა. ამ ენას ჩვენში სხვადასხვა გარემოებათა წყალობით არც სასწავლებლებში დასწავლიან, არც სასამართლოში დაპარაკობენ, არც სამმართველოში და—ასე გასინჯეთ ჩვენი სიმუხთლე, —თითქმის არც ოჯახებში. ერთადერთი ადგილი, საცა ქართულ სიტყვას გაიგონებდა კაცი, იყო ქართული გაზეთი. ამის საშუალებით ყოველდღე ერთი თაბახი ქალაღი მოგიტანდათ თქვენ ქვეყნის გარემოებას ცოცხალის ქართულის

ენით დაწერილს. რუსთაველის ენა ავად თუ კარგად განუწყვეტელს მოძრაობაში და წარმატებაში იყო. დღეს, საქართველოს რაც უნდა განშორებულ და მივიწყებულ კუთხეში მიხვიდეთ, ყველგან გაიგონებთ „დროებისგან“ შემოღებულ სიტყვებს, გრამატიკულ ფორმებსა და თვით აზრებსაც, ყველგან შეხედვებით „დროების“ გავლენას და იგრძნობთ ქართული ენის მოძრაობას უკეთესობისადმი.

ესლა, რაკი გაზეთი დაიხურა, დაშრა ის ერთადერთი წყაროც, რომლისაგანაც გამომდინარეობდა ცოცხალი ქართული ენა.

რა უნდა უყოს კაცმა ასეთ მდგომარეობას? რამ უნდა დააკმაყოფილოს როგორც საზოგადო მოთხოვნილება ყოველის ცნობის და ქეშმარიტების მოყვარე ქართველისა, ისე კერძო მოთხოვნილება ენის აღორძინების მსურველი იყოსა?

[მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა მოისმინეთ იმაზე, თუ ვის რად უნდოდა „დროების დახურვა“. ფრანგები იტყვიან: თუ ძალის წყალში დახრჩობა გინდოდეს, მოუკანე, ცოფიანი არისო. წერილფეხა ჩინოვნიკებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ჩვენი ბედობალი, კარგად შეუთვისებიათ ეს ფრანგული ანდაზა. როდესაც იმათ ან შურთ, ან უნიჭობით, ან მეტოქეობით უნდათ დასჩაგრონ ქართველი, ისინი მაშინვე მოყვებიან ქართველების ორგულობაზე და ლალატზე ლაპარაკს. აქაო-და საშიშნი არიანო, რუსები არ უყვართო. ქეშმარიტია, ყველა ჩვენგანს სულით და გულით სძულს ის რუსი, რომელსაც უნდა ან ჩინის მიღებისათვის, ან მიღგომით და ქრთამით დასჩაგროს მართალი კაცი, ქართველი იყოს ის თუნდა სომეხი.

საუბედუროდ, საყოველთაო ვედრებად დაგვრჩენია სულ ყოველს ქართულ საზოგადო კრებებზე, რომ გუბერნიის მარშალმა თუ საქალაქო თვითმმართველობამ, თუ სასულიერო უწყებამ და სხვათა დაწესებულებათ მიაღწევიან ხელმწიფე იმპერატორის ყურამდის, რომ ამ ერთგულს ერს დაუშაახურებლად სჩაგრავენ მისი [წერილფეხა] ხელისუფლები, რომელნიც თავიანთის წინდაუხვდავის და ხშირად აშკარად უსინდისო მოქმედებით საწინააღმდეგო გრძობასაც იწვევენდენ ზოგიერთთა შორის. ამგვარი მოქმედება გამოიჩინეს მათ ქართულ ეკლესიებში ქართული წირვის მოსპობით, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის აღკვეთით, ქართველების სამსახურში დაჩაგვრით და სხვაგან. ამგვარივე მოქმედება ჩაიდინეს იმათ „დროების“ დახურვით.

გულანდელი მთავარმმართველი პირველად რომ ჩამოვიდა კავკასიაში, გენსომებათ, როგორის სიყვარულით მოეპყრო ადგილობრივ ყურნალ-გაზეთებს. მან დაიბარა თბილისის გაზეთების ყველა რედაქტორი და გამოუცხადა მათ დაებეჭდათ თუ რასზე ბოროტმოქმედებას შეიტყობდნენ მისი ჩინოვნიკებისას. „დროება“ დამორჩილდა მთავარმმართველის ბრძანებას და მან გამოაშკარავა არა ერთი და ორი მაზრის უფროსის და სხვათა მოსამსახურე პირთა ბოროტება. იმათ იჩივლეს—არ შეგვიძლიან ქვეყნის მართვა, „დროება“ ხელს გვიშლისო“. იჩივლეს ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ. საჩივართ მთავარმმართველთან მიაღწევიან და საქმე იმით გათავდა რომ „დროება“ მოსპეს [ვითომდა] მცენებლის მიმართულების გამო. რაკი წვირილ ჩინოვნიკებს და საზოგადოდ ადგილობრივ მთავრო-

ბას კარგად გაჰყავთ თავიანთი სურვილი და ჩვენი წინააღმდეგი განკარგულება ზღვება უმაღლესი მთავრობის სახელით, ჩვენც პირი დაგვიხმავს და გაჩუმებულნი ვართ იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან უმაღლესი მთავრობაც შეიტყობს ქეშმარიტებას და რაც წვრილ ჩინოვნიკებმა უსამართლობა ჩაიდინეს გასწორდება.

ახლა, ამჟამად საქმე ის არის, რა უნდა უშველოთ იმ მდგომარეობას, რომელიც დაგვიდგა ჩვენ გაზეთის გაუქმებისაგან].

როდესაც „დროება“ დაიხურა ყველა ისინი, ვისაც კი მიგვიღია მონაწილეობა გაზეთში და ქალაქში ვიყავით, შევიკრიბებით ერთად და მსჯელობა გვქონდა იმაზე, თუ რა უნდა გვექნა, რომ „დროებისგან“ აღძრული გაზეთის კითხვის მოთხოვნის დაგვეკმაყოფილებია და გადავწყვიტეთ, რომ გაუქმებული გაზეთის ნაცვლად, სხვა ახალი გაზეთი დაგვეუფუძნებია და მივანდეთ კიდევ მწერლობაში ცნობილ ორ-სამ პირთ, თხოვნა შევიტანეთ მთავრობასთან და გაზეთის გამოცემის უფლება გამოვითხოვეთ.

უფლებას, რასაკვირველია, მთავრობა მოგვეცემს გაზეთის გამოცემისას და იმედიც გვაქვს, რომ გაზეთი გამოცემთ, მაგრამ არ იკითხავთ რა დიდი ჰაბანწყვეტა უნდა ამ გამოცემას?

მწერლების სიმცირისაგან დამოკიდებულ ლიტერატურული ნაწილის სიღარიბეს თავი ვანებოთ—როგორც არის ამ ჯაფას აიტანს მრავალტანჯული რედაქცია—მაგრამ თქვენ ისა სთქვით, როგორ უნდა აუღიდე კაცი გაზეთისათვის საჭირო ხარჯს, გაზეთის გამოცემას წელიწადში ათასი თუმანი უნდება, სულ რომ ცოტა ჩავადგოთ, შემოსავალი რვაას, ცხრაას თუმანს არ ასცდენია ჯერჯერობით. მაშ ყოველ წელიწადს ას-ასი თუმანი თავის ჯიბიდან უნდა დააყაროს რედაქტორმა გაზეთს, რომელსაც თითონ უსასყიდლოდ ემსახურება. ამგვარ პირობებში გაზეთის გამოცემას დიდი გამბედაობის ჭარდა, დიდი შეკლებაც უნდა და ქართველებზე, მეტადრე მწერალ ქართველებზე გამბედოვანი კიდევ შეიძლება ითქვას, მაგრამ მეორე ზედმესრული კი იმათთვის არ არის დაბადებული. ახალი გაზეთის ხელის მოკიდება ყველასათვის სამძიმო შეიქნა.

მაშინ საზოგადო კრებაში აგვიჩინა ჩვენ და მოგვანდო, მიგვემართა, ქართველი მკითხველი საზოგადოებისადმი—აღმოჩინათ თანაგრძნობა გაზეთისათვის. ერთის მხრით ზნეობრივი ვალი აწევს ჩვენს საზოგადოებას ხელი მოუმართოს დავალიანებულს, მაგრამ დამსახურებულ ძველს რედაქციას, მეორე მხრით მისივე მოვალეობაა ხელი გაუმართოს ახალს რედაქციას თავის მოქმედების დასაწყისში.

ამ მინდობილობის ასასრულებლად გვაქვს პატივი მოგმართოთ თქვენ, თხოვნით, განუზიაროთ თქვენს ნაცნობ-მეგობრებს ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა ქართული გაზეთისა და აღმოუჩინოთ მას ამ საქმისათვის შემწეობა. თქვენთან იმედი გვაქვს თქვენი ნაცნობ-მეგობრებიც დათანხმდებიან, რომ ეს შემწეობა პირადად ქართულ გაზეთში მწერლების შემწეობა კი არ არის, შემწეობა არის თვით საზოგადოებისა, ე. ი. თავისთავის დახმარება, თავის ინტერესის მოვლა, რადგანაც ამ შემწეობის გარეშე ქართულს ენაზე გაზეთის გამო-



ცემა შეუძლებელია და საზოგადოება მოკლებული იქნება ყველა იმ სიკეთეს, რომელიც მოაქვს გაზეთს და რომელზედაც მოგახსენებდით ამ წერილის დასაწყისში. სწორედ ამგვარს შემწეობაზე უთქვამს ჩვენს დიდ რუსთველს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

კომიტეტის წევრნი:

P. S. შესაწვევი ფული გთხოვთ გამოუგზავნოთ „ივერიის“<sup>1</sup> რედაქციაში [სახოცადღებისაგან] არჩეულ პირს: გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილს, თბილისში.

<sup>1</sup> „ივერია“ მაშინ გამოდიოდა მხოლოდ ჟურნალის სახით. — ს. ც.

## НИНА КОБРО

### МОЕ ЗНАКОМСТВО С О. П. ПАВЛИЩЕВОЙ<sup>1</sup>

В архиве Гос. Литературного Музея Грузии хранятся воспоминания Нины Карловны Кобро о племяннице (по мужу) великого русского поэта А. С. Пушкина—Ольге Сергеевне Павлищевой.

Мы печатаем, с небольшими сокращениями, воспоминания Кобро на русском языке, на котором они и написаны.

Редакция.

Ольга Петровна Павлищева—вторая жена Льва Николаевича Павлищева, племянника А. С. Пушкина, сына его сестры Ольги Сергеевны, бывшей за Николаем Михайловичем Павлищевым.

Лев Николаевич—это тот самый „Лоло“, о котором Ольга Сергеевна упоминает в своих письмах к отцу из Варшавы. „Лоло“ было всего около трех лет, когда так преждевременно и трагически погиб его знаменитый дядя.

С Ольгой Петровной я познакомилась приблизительно в 1919—20 годах совершенно случайно.

Мы жили в Лесном, предместье Петрограда, где я работала преподавательницей немецкого и английского языков в известном тогда 8-ми-классном Коммерческом училище.

Вот как я познакомилась с Ольгой Петровной. Шла я по делу во двор того самого домика, где она жила. Не успела я войти в этот двор, как пошел дождь, и я стала под навес крылечка, чтобы переждать. Вдруг позади меня открылась дверь и любезный голос по-французски пригласил меня войти в комнату. Я быстро обернулась и увидела маленькую, всю согнутую чуть не пополам, старушку—ей тогда было 72—73 года—чрезвычайно чистенькую и беленькую, очень опрятно одетую в простенькое платье; ее седые букии были покрыты довольно изящным чепчиком. Она тут же мне отрекомендовалась Ольгой Петровной Павлищевой, племянницей Пушкина по мужу.

Пушкин был с ранней юности—могу сказать, с детства—моим любимейшим поэтом и такое знакомство меня очень обрадовало. Мы разговорились, и я узнала, что Ольга Петровна жила, сбывая кое-какие

<sup>1</sup> საკბართ. სახელ. ლიტერატურულ მუზეუმის არქივში დაცულია ნინა კობროს მოგონება დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დისწულის—ოლგა სერგეის ას. პავლიშჩევას შესახებ, მასალას ებეჭდავთ მცირეოდენი შემოკლებით. მოგონება დაიწერა ჩვენი დავალებით.

პეში, за кусок хлеба. Мы приняли в ней горячее участие и делились с ней буквально всем, что нам перепало. Моим знакомством очень заинтересовались в Коммерческом училище и стали ее тоже поддерживать по мере сил. Далее, большое участие принял в ней Политехнический институт, находившийся в тесной связи с Коммерческим училищем: последнее было основано на общественные средства Лесного, по инициативе Политехнического Института. Его профессора входили в Попечительный совет училища и их дети учились у нас. Понятно, поэтому и общее участие этих двух учебных заведений Лесного к тяжелому положению свойственницы гениального поэта. Несколько профессоров угovorились по очереди посылать ей ежедневно обед, так как профессора тогда пользовались усиленным пайком КУБУ (Комитета улучшения быта ученых) и могли пойти ей навстречу.

Когда жизнь стала улучшаться, тем же Политехническим институтом О. П. была выхлопотана вполне приличная пенсия из Литературного фонда.

В 1923 г., в августе мы покинули Петроград. Через два года после нашего отъезда Ольга Петровна скончалась.

Вот и все внешние данные относительно знакомства с этой милой старушкой.

Что же касается моих личных с ней отношений, то наше случайное знакомство мало по-малу перешло в большую дружбу.

Ольга Петровна подарила мне на память записную книжку со стихами Александра Сергеевича, бывшую в его боковом кармане в день дуэли с Дантесом, с двумя карандашами Пушкина, стул от его письменного стола, сохранившийся в их семье, как реликвия (уезжая я вернула его ей и куда он потом девался—я не знаю), портреты Ольги Сергеевны, ее мужа и двух сыновей Пушкина—Александра и Григория, и брошюру—письма Ольги Сергеевны к отцу, на французском языке, с надписью Л. Н. Павлищева.

От записной книжки А. С. Пушкина мне дан был только переплет, так как стихи были Ольгой Сергеевной вырваны. Она вшила в нее, повидимому, его же бумажник и употребляла его, как кошелек.

Все эти вещицы я передала Государственному литературному музею Грузии. Себе оставила один его карандаш.

Личных воспоминаний об Александре Сергеевиче и его семье у нее не сохранилось—ее мужу, повторяю, было около трех лет в день смерти поэта. Как будто она что-то говорила об Ольге Сергеевне, о ее как бы гордости и сухости, по личному ли с ней знакомству, или по рассказам других—я не помню.

Г. Тбиацви, Гоголевская № 6.  
23/V—1939 г.

## მაქსიმ გორკის წერილები

აქ გამოქვეყნებული წერილები მაქსიმ გორკიმ გამოუგზავნა თბილისში თავის მეგობარსა და მასწავლებელს ა. მ. კალიუენის (1854—1938 წ.). დიდი რუსი, მწერალი განუსაზღვრელად დავალებული იყო კალიუენისგან. მაქსიმ გორკიმ თბილისში, რკინისგზის ჩემ მოსამსახურის კალიუენის ბინაზე, დასწერა თავისი პირველი მოთხრობა „მკარ ჩუდრა“. კალიუენიმ გააბედეინა ახალგაზრდა ალექსეი პეშკოვის წაელო ეს მოთხრობა დასახებდათ გაზ. „კავკაზ“-ში.

ამ მოთხრობით დაიწყო გორკი—ლიტერატორის გზა, რომელმაც იგი მსოფლიო დიდებამდე მიიყვანა.

სხვებზე წერილები კალიუენიმ 1936 წელს გადასცა საჩუქრად საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს.

ვაქვეყნებთ გორკის წერილების ტექსტს უცვლელად.

რედაქცია

### I.

С какой радостью увижу я вас, Александр Мефодиевич!

А пока представляю вам моего приятеля доктора Леонида Валентиновича Средина и очень прошу вашей ласки для него.

Мы не видались с вами почти 9 лет, но я прекрасно помню все пережитое с вами и никогда не забывал, что именно вы первый<sup>1)</sup> толкнули меня на тот путь, которым я теперь иду.

До свиданья, до завтра!

Максимыч.

С какой радостью увижу я вас  
Александра Мефодиевич!

А пока представляю вам моего  
приятеля доктора Леонида Вален-  
тиневича Средина и очень прошу  
вашей ласки для него.  
Мы не видались с вами почти 9  
лет, но я прекрасно помню все пере-  
житое с вами и никогда не забывал  
того именно вы первый толкнули  
меня на тот путь, которым я  
теперь иду.

До свиданья, до завтра!

Максимыч

II.

*Дорогой друг Александр Мефодиевич!*

Только третьего дня—т. е. 25-го числа вернулся домой, посылаю вам книги—Дюно<sup>1)</sup>—после,—портрет и будьте добры передать Ольге (Фоминишне<sup>2)</sup>) следующее:

Единственное место, куда я смогу помочь ей устроиться—школа московского художественного театра. Школа—серьезная, курс четырехгодовой, но уже со второго года ученики и ученицы участвуют в спектаклях, исполняя роли в народных сценах.

Если она хочет поступить в эту школу, ей нужно приехать в Москву к 15-му августа и явиться на приемный экзамен. О выезде и дне прибытия в Москву—надо известить меня, я предупрежу директора школы, Немировича-Данченко. Театр помещается в Газетном переулке. Немировича зовут Владимир Иванович. Завтра телеграфом переведу на ваше имя для О. Ф. 150 р. на дорогу. Если по экзамену окажется, что у О. Ф. нет способностей—обратный путь ей устроят. Вот и все.

Ну, вас, наверное, неприятно поразил мой отказ говорить с Корсаком<sup>3)</sup>. Увы, я его не люблю и насиловать себя тоже не люблю. С Кузьмовной<sup>4)</sup>—тоже трудно мне говорить, ибо не понимает она моего отношения к Мих.<sup>5)</sup> и обидно ей покажется это мое отношение. Скрывать же его у меня нет причин.

А вот вас я люблю и уважаю и нет силы, которая могла бы вытравить из моей души эту любовь и уважение. И нет людей, которым я смог бы сказать это так легко и свободно, как говорю вам, дорогой друг.

Прогулялся я—хорошо. Очень много ходил пешком, поздоровел. Увидите Акима<sup>6)</sup>—скажите Чирикова<sup>7)</sup> я еще не видал, отдайте ему, Акиму, прилагаемый портрет. Кланяюсь низко и крепко жму руку. В будущем году увидимся.

Всего доброго!

*А. Пешков.*

III.

*Дорогой друг и учитель мой,  
Александр Мефодиевич!*

С той поры, как я, счастливо для себя, встретился с вами, прошло тридцать четыре года; с того дня, как мы виделись второй и последний раз—истекло двадцать два года.

За это время я встретил сотни людей, среди них были люди крупные и яркие, но—поверьте!—никто из них не затемнил в памяти моей ваш образ.

Это потому, дорогой друг, что вы были первым человеком, который отнесся ко мне воистину по-человечески.

<sup>1)</sup> ხაზგასმულია ავტორის მიერ.

Вы первый, памятным мне, хорошим взглядом мягких ваших глаз, взглянули на меня не только как на парня странной биографии, бесцельного бродягу, как на что-то забавное, но—сомнительное.

Помню ваши глаза, когда вы слушали мои рассказы о том, что я видел и о самом себе. Я тогда же понял, что пред вами нельзя хвастаться ничем и, мне кажется, что благодаря вам, я всю жизнь не хвастался собою, не преувеличивал моей самооценки, не преувеличивал и горя, которым щедро напоила меня жизнь.

Вы первый, говорю я, заставили меня взглянуть на себя серьезно.

Вашему толчку я обязан тем, что вот уже слишком тридцать лет честно служу русскому искусству.

Я рад случаю сказать вам все это на людях,—пусть знают, как хорошо отнестись к человеку человечески сердечно.

Старый друг, милый учитель мой, крепко жму вашу руку  
*Алексей Пешков—М. Горький.*

25-X-25  
Sorrento.

#### IV.

То, что я не мог, не нашел времени повидаться с вами, дорогой Александр Мефодиевич, очень тяготит меня. Но, случилось так, что помимо моей воли, я очутился в положении „знатного иностранца“ и с первых же дней по приезде в Россию было мне ошеломлен массой впечатлений, которых не ожидал и буйным шумом, от которого отбык за четыре года тихой, уединенной жизни. Приехав в Тифлис узнал, что вы на даче, решил заехать к вам по дороге в Эривань, но это не удалось мне. Уверен, что увижу вас весной, если удастся проехать отсюда на пароходе до Батума или до Одессы. Так или иначе—буду на Кавказе, хочется пожить в Баку, значит—буду и в Тифлисе.

Видеть и послушать вас очень хочется, поверьте. Так странно вышло, я не встретился почти ни с кем из моих личных, старых друзей. Вся эта поездка носила характер фантастический и было в ней весьма много такого, что не могло не поразить меня. Сильно изменились люди за эти шесть лет. „Жить торопятся и чувствовать спешат“ они так, как, наверное, еще никогда не торопились и не спешили. Не говорю о тех местах, где я не был лет 20—25, напр.—Н.-Новгород, но даже людей Крыма, где я жил лето 15 года, я рассматривал как новых людей,—говорю о татарах.

Что наиболее поразило меня, так это активное, требовательное отношение к жизни очень, на мой взгляд, возросшее за эти года. Возможно, разумеется, что видишь то, чего хочешь.

Не напишете ли вы мне? Это было бы хорошо и очень бы обрадовало меня. А то я опасаясь, что вам неприятен факт моего путешествия „мимо“ вас,—невольного путешествия, как я уже сказал.

Будьте здоровы А. М., всего доброго.

*А. Пешков.*

26.X.28  
Italia, Sorrento.

## გორკის წერილების შენიშვნები 1)

### წერილი პირველი

ლიტერატურული მუზეუმის არქივი №- $\frac{4154}{2}$

ეს წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ რადგანაც ვიცით რომ ლ. ვ. სრედინი იყო თბილისში 1901 წლის ზაფხულში (მის შემდეგ თვით გორკიც ჩამოვიდა), შეგვიძლიან წერილის თარიღი დანამდვილებით მივაკუთვნოთ ხსენებულ პერიოდს.

### წერილი მეორე

ლიტ. მუზ. არქ. №- $\frac{4155}{2}$

წერილი არ არის დათარიღებული, მაგრამ შენახულ ამ წერილის კონვერტზე აღნიშნულია, რომ წერილი გამოგზავნილია 30 ივლისს, 1903 წ. ნიენი ნოვგოროდიდან.

#### შენიშვნები:

1. წიგნი „Дни“, უნდა ვიგულისხმოთ—„На дни“.
2. ო ლ ლ ა ფ ო შ ი ნ ი ჩ ნ ა — მისი გვარი კამენსკიაა.
3. კ ო რ ს ა კ — ბოლესლავ პეტრეს-ძე, კალიუენის თანამოსამსახურე ამიერ—კავკას. რკინის გზის სამმართველოში, მსახურობდა სტატისტიკოსად.
4. კ უ ზ მ ო ვ ნ ა — ანა კუზმინის ასული ნაჩალოვისა, ამ წერილში მოხსენებულ ნაჩალოვის მეფულე.
5. მ ი ხ ( ა ი ლ ) ი ა კ ო ბ ს ძ ე ნ ა ჩ ა ლ ო ვ ი, თანამოსამსახურე ამიერ—კავკასიის რკინის გზის სამმართველოში.
6. ა კ ი მ ი — აკიმ ვასილის-ძე ჩეკინი, რომლის ბინაზე გორკი ცხოვრობდა ნიენი-ნოვგოროდში. გორკის ტფილისში პირველ მოსვლის დროს მსახურობდა ამიერ—კავკასიის რკინის გზის კონტროლში.
7. ჩ ი რ ი კ ო ვ ი — მასწავლებელი.

### წერილი მესამე

ლიტ. მუზ. არქ. №- $\frac{4156}{2}$

ამ წერილს თავისი პატარა ისტორია აქვს.

1925 წ. შესრულდა ა. მ. კალიუენის ამიერ—კავკასიის რკინის გზაზე სამსახურის 35-წელი. კალიუენის თანამოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ამ თარიღის აღნიშვნა, ამოიღოთ თავისი კომიტეტი, რომელმაც იცოდა რა იუბილარის მეგობრული დამოკიდებულება გორკისთან, შეატყობინეს გორკის სარეზოლოში კალიუენის იუბილეს დღესასწაულის გადახდის დრო. წერილში სთხოვდნენ გორკის პასუხი უშუალოდ მათთვის გამოგზავნა, სურდათ ამ მოულოდნელი საჩუქრით გაეხარებინათ კალიუენი.

პასუხი მიიღეს 1925 წლის ნოემბერში და წაკითხულ იქნა იუბილეს დღესასწაულის დღეს.

### წერილი მეოთხე

ლიტ. მუზ. არქ. №- $\frac{4157}{2}$

1928 წელს გორკი ტფილისში იყო, მხოლოდ კალიუენის ნახვა ვერ მოუხდა, რადგანაც, როგორც კალიუენიმ სთქვა, ამ დროს ის აგარაკზე იყო, გორკის დეპუტე მიიღო დაგვიანებით, რამაც ხელი შეუშალა მის ნახვას.

1) შენიშვნები ეკუთვნის ი. ენიკოლოფოვს.

### ბორკი საქართველოში

საქართველოსთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული რუსული ლიტერატურის გენიალური წარმომადგენლები: პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი და ახალ დროში—სოციალისტური მწერლობის გიგანტები—გორკი და მაიაკოვსკი.

ბესარიონ ბელინსკიმ საქართველოს უწოდა „რუსული პოეზიის აკვანი“. გენიალური რუსი კრიტიკოსი ამ პოეტურ სახეში გულისხმობდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსული პოეტური მეტყველების მწვერვალებს—პუშკინს და ლერმონტოვს, მას არ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს შედარება დიდათ გაფართოვდებოდა.

მე-19 საუკუნის მიწურულში ქართულ სოფელში დაიწა აკვანი ვლადიმერ მაიაკოვსკისა— „სოციალისტური ეპოქის უდიდესი მწერლის“, ამავე დროს საქართველოს დედა-ქალაქში ტფილისში დაიბადა, როგორც მწერალი მაქსიმ გორკი—პროლეტარიატის გენიალური მხატვარი.

ტფილისი არის გორკის სამწერლო მოღვაწეობის სათავე. ხანდახმულობაში გორკი სიყვარულით სწერდა საქართველოზე, როგორც წარმტაც ქვეყანაზე, რომელმაც ბრადიაგიდან დაბადა დიდი მხატვარი: „სწო“ედ ამ ქვეყნის დიადმა ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიულმა სირბილემ—სწორედ ამ ორმა ძალამ მომცეს მე ბიძგი, რომელმაც შექმნა ბრადიაგადან ლიტერატორი“.

მაქსიმ გორკი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1891 წ. ნოემბერში. სამწუხაროდ გორკის საქართველოში ყოფნა ნაკლებ შესწავლილია. განსაკუთრებით სრულიად გაუშუქებულია საკითხი—დიდი რუსი მწერლის დამოკიდებულებისა იმ დროის ქართულ ინტელიგენციასთან.

უშუველია—გორკის ადრინდელი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა 90-იან წლების რევოლუციონერად განწყობილმა ქართველმა ინტელიგენციამ;

ქართველი ინტელიგენციიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გორკის მჭიდრო მეგობრობა რევოლუციონერ ხალხისთვის მეტად სიმპატიურ ფიგურასთან შოი ჩიტაქესთან, ცნობილ ქართველ მწერალთან ეგნატ ნინოშვილთან და ხალხისან მოღვაწესთან ექიმ ნიკო ხუდადოვთან.

როზნინის მოგონებებში, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვაქვეყნებთ გარკვევით მითითებულია იმ ფაქტზე, რომ კრასნოვარსკის ქუჩაზე არსებულ კომუნის ხშირი სტუმრები რევოლუციონერი ქართველი ახალგაზრდობა. დასახელებულთ გარდა აღსანიშნავია, რომ ამ წრეში იღებდნენ მონაწილეობას მისა ცხაკია, ფ. მახარაძე, ლადო დარჩიაშვილი, მწერალი ი. ალლაძე და სხვ.

გორკის შეხვედრას ნინოშვილთან ასე აგვიწერს ს. რობაქიძე თავის მოგონებებში:—„ერთ კვირა დღეს ინსტიტუტიდან გაპარული ინსტიტუტის მოწაფეები კონსპირაციულ ბინაზე მივედით. იმ ბინაზე დაგვიხვდა ახლად ჩამოსული ეგნატ ნინოშვილი და ალექსი პეშკოვი. მოსულეებმა თან მოვიტანეთ გახეთ „ივერიის“ ნომრები, რომლებშიაც დაბეჭდილი იყო ნინოშვილის ერთი მოთხრობათაგანი (სახელი არ მახსოვს), მოთხრობა წაიკითხეთ და ყველანი ეგნატს დაესტრიალებდით სხვადასხვა კითხვებით შესახებ მისი მოთხრობისა. პეშკოვი ნაღვლიანი სახით მისწერებოდა ტელექის მიერ დატარებული სახის მქონე ადამიანს და გულდათუთქული ხმით ეუბნებოდა: „Ты счастлив товарищ тем, что своими глазами видишь, как любят и уважают тебя“. ვგანტემ რუსული ენა კარგად იცოდა, თუმც გამოთქმა არ ჰქონდა წმინდა რუსული; თავის რუსულ-იმერული გამოთქმით უთხრა ლექსი პეშკოვს: „Напиши то, что ты так



хорошо рассказываешь и также увидишь, как все полюбят тебя“ ეგნატეს ხშირად უამბობდა ხოლმე პეშკოვი თავის თავგადასავალს და ნიჭიერი მწერალი ხედავდა, რომ ასეთი მოსაუბრე პიროვნება კარგად დაწერასაც შესძლებდა და არც მოსტყუვდა.

ეგნატე ნინოშვილი ამ დროს ყალიბდებოდა, როგორც მარქსისტული მოაზროვნე. ორი წლის შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ „მესამე დასში“. ექვს გარეშეა ისეთი რევოლუციური მსოფლმხედველობის მწერალი, როგორც იყო ეგნატე ნინოშვილი გავლენას მოახდენდა ახალგაზრდა ალექსი პეშკოვზე.

ალსანიშნავია, რომ მაქსიმ გორკის განზრახული ჰქონია ქართველ ახალგაზრდებთან ერთად დრამატული დასი ჩამოეყალიბებია. ამ ცნობას ერთხმად ადასტურებენ გორკის მანინდელი მეგობრები.

გორკისთან ერთად განსაკუთრებით გატაცებული არტისტული ხელოვნებით ყოფილა შიო ჩიტაძე. მათ თეატრალურ გატაცებაში ცოტა წილი არ მიუძღვის დიდებულ ქართველ აქტიორს ელადიმერ მესხიშვილს. ამის შესახებ ზემოთაღნიშნულ მოგონებაში ჩვენ ვკითხულობთ „ჩვენ წრეში იყო მხოლოდ ორი წევრი, რომელთაც თავისი თავი შესანიშნავი მსახიობი ეგონათ. ერთი ასეთი იყო შემდეგ ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი და შემდეგ უღრვოდ დაღუპული შიო ჩიტაძე და მეორე თვით ალექსი პეშკოვი. საქმე იმაშია, რომ ამ დროს ტფილისის ქართულ თეატრში მუშაობდა ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ელადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი, რომელიც გასაკვირველად ასრულებდა შილერის ცნობილ „გაჩაღებიდან“ ფრანც მოორის როლს.

შიო ჩიტაძე გატაცებული იყო ფრანც მოორის როლის შესრულებით და ალექსი პეშკოვი კარლის მოორის როლით. ეს ორი პიროვნება ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ამ როლების შესრულებაში და ხშირად ისე ბრახდებოდნენ ერთმანეთის კრიტიკით, რომ ფიზიკური ხელის შეხებითაც კი ემუქრებოდენ ერთმანეთს.

დიდი როლი ითამაშა მაქსიმ გორკის განვითარებაში 90-იან წლებში ტფილისში დაარსებულმა ე. წ. იაჟმა ბიბლიოთეკამ, რომელიც ჯერ მიხაილოვის (ეხლანდელი პლენანოვის) ქუჩაზე და შემდეგ ე. კირიანის (ეხლანდელი ჟორესის) ქუჩაზე არსებობდა. მაქსიმ გორკი იყო ამ ბიბლიოთეკის ყველაზე აქტიური მკითხველი.

ქვემოდ გამოკვეთებული მოგონებებიდან მტკიცდება, რომ ამ ბიბლიოთეკით ფართოდ სარგებლობდნენ გორკისთან ერთად, კრასნოვარსკის კომუნის წევრები—გორკის მეგობრები.

ალსანიშნავია, რომ 90-ან წლებში ამავე ბიბლიოთეკით სარგებლობდა ამხ. **ო. ხტალინიც.**

ეს მტკიცდება მთელი რიგი დოკუმენტებით, მაგ. სასულიერო სემინარიის თვალყურისდევნების წიგნში 1896 წლის ნოემბერში ნათქვამია: „ჯულაშვილს, როგორც გამოირკვა აქვს სააბონიმენტო ფურცელი „იაფი ბიბლიოთეკისა“, რომლის წიგნებითაც იგი სარგებლობს. დღეს მე მას ჩამოვართვი ე. ჰიუგოს თხზულება: „ზღვის მშრომელებს“, სადაც ვნახე აღნიშნული ფურცელი.

ინსპექტორის თანაშემწე ს. მურაზოვსკი.

სემინარიის ინსპექტორი „იერომონაზი გერმოგენი“.

დაბეზლებზე არის წარწერა: „დასიაჯოს კარცერში ხანგრძლივი ჯდომით. ჩემს მიერ უკვე იყო გაფრთხილებული გარეშე წიგნის ე. ჰიუგოს „მწ წელის“ გამო“.

1897 წლის მარტში არის ასეთი ჩანაწერი: „11 საათზე მე ჩამოვართვი ჯულაშვილს იოსებს, ლეტურნოს წიგნი: „ხალხთა რასების ლიტერატურული განვითარება“, რომელიც მას გამოუტანია „იაფი ბიბლიოთეკიდან“. წიგნში აღმოჩნდა ბიბლიოთეკის სააბონიმენტო ფურცელი. აღნიშნული წიგნს კითხულობდა ცელსისი კიბეზე. იგივე ბიბლიოთეკის წიგნების კითხვაში აღნიშნული მოწაფე შენიშნულა უკვე მეცამეტეჯერ... ინსპექტორის თანაშემწე ს. მურაზოვსკი“. დაბეზლებზე რექტორის მიერ წარწერილია: „დასჯილ იქნეს კარცერში დიდი ხნის ჯდომით, მიეტეს მკაცრი გაფრთხილება“.

ქვემოდ გამოკვეთებული მოგონებები გორკის მეგობრების და ნაცნობების როზლინის, მაიკოვის, ზაკომოდინოს და გურეშიძის ვებთან გორკის საქართველოში ყოფნას. (1891—2 წ. წ. 1898 წ.).

აღნიშნული მოგონებები საინტერესო მასალას იძლევიან დიდი რუსი რევოლუციური მწერლის ცხოვრების შესასწავლად, შუქს ფენენ მის პირველ ყოფნას საქართველოში.

## მოგონებები ა. მ. გორაკის შესახებ<sup>1</sup>

### I

როსტომი ვლადიმერ იაკობის-ძე (დაბადებულია 1867 წ.)

1888 წელს როსტოვიდან ჩამოვედი ტფილისში, სამხედრო ბეგარის მოსახდელად. ვიყავი არტილერიის მერივე ჯარისკაცი. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ვაძლევდი კერძო გაკვეთილებს. 1892 წელს მოვეწყვე ქალაქის მართვლობის წყალსადენის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე ათეული წელიწადი ვმუშაობდი განუწყვეტლად: 90-იან წლების ტფილისში მნიშვნელოვანი რევოლუციონური მუშაობა იყო გაშლილი. ამ მუშაობის გაღვივებას განსაკუთრებით უწყობდა ხელს რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებული პოლიტიკური დამნაშავენი.

განსაკუთრებულ მოვლენას 90-იან წლების დასაწყის ტფილისში წარმოადგენდა ოლგა ვლადიმერის-ასულ კაიდანოვას ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ პლენხანოვის ქუჩაზე არსებობდა და შემდეგ კარკის ქუჩაზე გადმოვიდა. ამ იაფი ბიბლიოთეკის გარშემო ვიყრიდით თავს ჩვენ რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა. ყველა გატაცებით ვკითხულობდით ამ ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. რა თქმა უნდა, აქ ბევრი იყო თავისუფალი ხასიათის წიგნები. ეს წიგნები ზრდიდა და ამტკიცებდა ჩვენში რევოლუციონურ რწმენას.

ოლგა ვლადიმერის-ასული შესანიშნავი ქალი იყო, განვითარებული, მოწინავე ქალი, გულკეთილი, მათთან მტკიცე და პრინციპული ხასიათისა. ის დიდ გავლენას ახდენდა მისი დროის ახალგაზრდობაზე. ეს ბიბლიოთეკა აგრეთვე იყო ადგილი, სადაც პროგრესული ახალგაზრდობა ერთმანეთს ეცნობოდა.

1891 წელს, ნოემბერში თუ დეკემბერში ჩვენ გეთხოვეს მორიგეობა გავგეწოა ავადმყოფ გოლა ჩიტაძესთან, რომელიც ჩუღურეთში თოიძის ბინაზე იწვა. ჩვენ ვაგვაგზავნა სამორიგეთო ექიმმა ნიკო ხუდადოვმა, ცნობილმა, ხალხოსანმა რევოლუციონერმა. ერთ დღეს მართო ვიმორიგევე, მეორე დღეს მოვიდა ჯანმრთელი რუსი ახალგაზრდა. მე და ფედია აფანასიევი ვიყავით იმ სალამოს ჩიტაძესთან. გამოველაპარაკეთ ამ ახალგაზრდას, რომელიც გვარად პეშკოვი გამოდგა, — კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. მორიგეობა გვიძინებდებოდა, რადგან ჩიტაძე სულით ავადმყოფი იყო. ალექსი პეშკოვი, რაღაც გასაოცრად აწყნარებდა ავადმყოფს, ისე მოხერხებულად ეპყრობოდა. ამ მორიგეობის დროს ძალიან დავეგობრდით პეშკოვი, მე და აფანასიევი. პეშკოვი გვიყვებოდა თავის მრავალფეროვან ცხოვრების ისტორიას, პირდაპირ ფანტასტიურ თავგადასავალს.

ამას ყველაფერს ისე გატაცებით და მხატვრულად ჰყვებოდა, რომ თვალს ვერ ვაცილებდით. ერთად გატარებულმა ღამეებმა ჩვენ სულიერად დაგვაახლოვა ერთმანეთს და გადავწყვიტეთ ერთად გვეშოვნა ბინა. სულ მალე ჩვენ მოვინახეთ ერთი სარდაფი კრასნოგორსკის ქუჩაზე (ებლა უკვე გორკის ქუჩა), და

<sup>1</sup> მოგონებები ჩასწერა ანა ნიკოლაძემ.

იქ დავიწყეთ ერთად ცხოვრება—პირველად გორკიმ, აფანასიევმა და მე. შემდეგ სხვებიც შემოგვიერთდნენ (ბილანიშვილი, მიწის მზომელი საიდი და სხვ.).

პირველად, მოგვინახულა შიო ჩიტაქეშ, გოლას ძმამ, შიო ძალიან დაუმეგობრდა გორკის. შიო ჩიტაქე დიდი ნაკითხი ახალგაზრდა იყო, გრძნობიერი, მღელვარე, სოციალისტური იდეებით გატაცებული. გორკიმ და ჩიტაქემ მალე გამონახეს საერთო ენა. გარდა იდეური დაახლოვებისა მათ აახლოვებდათ აგრეთვე გატაცება თეატრით. ორივენი შილლერის „ყაჩაღების“ დიდი თაყვანისმცემელი იყვნენ.

ჩვენ ხშირად ვაწყობდით ლიტერატურულ საღამოებს. ამ საღამოებზე ხანდახან ასამდე კაცი იკრიბებოდა. მოდიოდნენ სემინარისტები, რევოლუციონურად განწყობილი ახალგაზრდობა. ამ ლიტერატურულ საღამოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალი, იმ დროს „კავკაზის“ კორექტორი ფლეროვსკი—ბერვი, რევოლუციონურ საქმიანობისთვის საქართველოში გადმოსახლებული.

გორკის ეჭირა ყველაზე დიდი ოთახი. იმ დროს გორკის ჰქონდა უკვე ორი დიდი რვეული, რომლებშიაც საკუთარი ლექსები და მოთხრობები ჰქონდა ჩაწერილი. 1891 წელს გორკი მოეწყო ა/კავკასიის რკინის გზებზე „მონაგარიშე-ტაბელშიჩკად“. გორკის ამ მხრივ ძალიან ეხმარებოდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ექიმი ხუდადოვი. როდესაც გორკი პირველად მოეწყო რკინის გზაზე, ჯერ გამოუცდელი იყო და მე ვეხმარებოდი.

1892 წლის ივნისში გორკი გადავიდა კალიუჟნისთან ბინაში. კალიუჟნისთან მე უფრო ადრე ვიყავი დამეგობრებული ივანე ჯაბადარის მეშვეობით და გორკისა და კალიუჟნის დაახლოებაშიც მავიღე მონაწილეობა. რამდენჯერმე მივიყვანე გორკი კალიუჟნისთან.

ივანე ჯაბადარი შესანიშნავი პიროვნება იყო. ყველა გადმოსახლებულებს და რევოლუციონურ ელემენტებს დიდ დახმარებას უწევდა.

გორკი შემდეგ ვნახე 1924 წელს, როცა ტფილისში ჩამოვიდა, გამომკითხა ძველ აზნაულებზე. სიხარულით მოვიგონეთ ერთად გატარებული დღეები კრასნოგორსკის კომუნაში.

II

მასილ ივანეს-ძე მაიკოში (დაიბადა 1860 წ., გარდაიცვალა ტფილისში 1940 წლის ოქტომბერში)

1878 წ. გავაზავე კურსკის გიმნაზია, პეტერბურგში ვიყავი თავისუფალ მამენელად 1878—79 წლ. ტფილისში ყირიმიდან ჩამოვედი 90-ან წლების დასაწყისში. ყირიმში ჟანდარმერია სასტიკად მდევნიდა რევოლუციური მუშაობისათვის. მაშინ ნაროდოვოლეცი ვიყავი. 1880—83 წლებში რამდენჯერმე ვიყავი დაპატიმრებული.

1895 წელს ოჯახიც გადმოვიყვანე ტფილისში. ერთი წლით ადრე კი ივანე სპირიდონის-ძე ჯაბადარის შემწეობით მოვეწყვე ტფილისის ქალაქის სამხარეთელოს წყალსადენის განყოფილებაში. ჯაბადარი იყო აქ გადმოსახლებულთა ნამდვილი მამა. მან დიდი სამსახური გაუწია კალიუჟნისა და მონაწილეობა

მიიღო გორკის მოწყობაში. კალიუენი იყო მეტის-მეტად ფაქიზი და ადამიანური კაცი, პატიოსნებით სავსე. იგი ტფილისში, ისევე, როგორც მე და ჩემი ამხანაგები ცხოვრობდა, ჟანდარმერიისაგან დევნილი.

მაქსიმ გორკი მე მასთან გავიცანი. ახალგაზრდა გორკი (მაშინ ალექსი პეშკოვი) სტოვებდა მეტად მკვეთრ შთაბეჭდილებას. ათას კაცში გამოარჩევლით მაღალი, მტკიცე სახე, ოდნავ მოხრილი, ცოცხალი მოსაუბრე. კალიუენიმ პირველ შეხვედრისთანავე მითხრა, რომ პეშკოვი განსაკუთრებული ტალანტის ადამიანია.

გორკის უახლოესი ადამიანი იყო აგრეთვე ფედია აფანასიევი და შიო ჩიტაძე. ფედია აფანასიევი გორკისთან ერთად ცხოვრობდა კრასნოგორსკის ქუჩაზე. იგი ძალიან ამაყობდა გორკის მეგობრობით. შიო ჩიტაძე ყველასათვის საყვარელი რევოლუციონერი იყო: თავის აზრებს ყველას გადასდებდა ხოლმე. გორკი და ის ხშირად დადიოდნენ ერთად, კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ხშირად ჩხუბობდნენ კიდევ.

კრასნოგორსკის ქუჩაზე ლიტერატურულ საღამოებში რკინიგზის რევოლუციონერი მუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. გორკი იყო ამ საღამოების მთავარი ორგანიზატორი. გორკის გარდა ამ საღამოებიდან მახსოვს უფრო მკვეთრად ბერვი და შიო ჩიტაძე. სხვათა შორის ჩიტაძე და გორკი ერთად აპირებდნენ მოგზაურობას და ამის გეგმას ადგენდნენ.

გორკის მეგობრებიდან აღსანიშნავია ნაჩალოვი, ა-კ რკინიგზების მოსამსახურე. პირველი რეკომენდაცია გორკის მან გაუწია, თორემ შეიძლება ეტაპით უკანვე გაეგზავნათ ჩამოსვლისთანავე. ხოლო სამსახურის შოვნაში ხუდადოვი დაეხმარა. ნიკო ხუდადოვს ყველა ჩვენ დიდ პატივს ვცემდით. მას გავლენა ჰქონდა. ვიცოდით, რომ თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ხშირად მივმართავდი ხოლმე დახმარებისათვის.

გორკი მეორეჯერ ვნახე 1901 წელს, როცა ჩეხოვთან ერთად ჩამოვიდა ტფილისში. მაშინაც კალიუენიმ წამიყვანა მასთან. გორკის უკვე სახელი ჰქონდა მოპოებული, მაგრამ ძველებური უბრალოება და ადამიანური უშუალოება მას ამშვენებდა კიდევ უფრო მეტად.

### III

#### სლავინსკი ალექსანდრი ივანეს-ძე (დაბ. 1852 წ.)

პეტერბურგის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე 1882 წლის აგვისტოდან ტფილისს მეორე ვაჟთა გიმნაზიის რუსული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად.

აქ ჩამოსვლისთანავე დამხვდა და დიდი მზრუნველობით მიმიღო მასწავლებელმა ივანე ევდოკიმეს-ძე გამყრელიძემ მოვეწყვე.

1891 თუ 1892 წელს ჩვენთან გიმნაზიაში მოვიდა ახალგაზრდა კაცი უბრალოდ ჩაცმული, პიჯაკში. ის ძალიან მაღალი იყო, ოდნავ მოხრილი, ხმას უმაღლებდა ო-ზე. მოკვეთით, მძიმედ ლაპარაკობდა, თან ლიტერატურულად და დამაჯერებლად.

იგი გამოდგა ალექსეი პეშკოვი. ჩვენთან პეშკოვი გამოეგზავნა ნიკოლოზ ალექსის-ძე ხუდადოვს. პირველი შთაბეჭდილებით პეშკოვი უბრალო კაცი გვეგონა, ისე უბრალოდ იყო ჩაცმული, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდით, რომ საქმე გვექონდა მოაზროვნე ახალგაზრდასთან, ლიტერატურულად განათლებულ კაცთან. ის გვთხოვდა სურათებს ჯადო ფანარისათვის (Волшебный фанарь) ბუნების მეტყველებიდან. მისი ლაპარაკიდან ჩვენ გამოვარკვეით, რომ იგი ძალიან დაინტერესებული იყო არა მარტო ლიტერატურით, არამედ ბუნების მეტყველებითაც. პირდაპირ ხარბად ეწაფებოდა ყოველ ახალ, მისთვის უცნობ მოვლენას ბუნების სამყაროდან. ძალიან დაინტერესებას იჩენდა აგრეთვე ასტრონომიით. ჩვენზე პეშკოვი სტოვებდა ბუნების შვილის, არაჩვეულებრივი ნიჭიერი ახალგაზრდის შთაბეჭდილებას, ახალგაზრდისა, რომელიც თავდავიწყებით მისწრაფოდა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისაკენ. სურათები, რომელსაც ჯადო ფანარისათვის თხოვდა პეშკოვი, ებარა ივანე ჯაბადაძეს, როგორც ფიზიკის კაბინეტის ხელმძღვანელს.

როგორც მახსოვს, გორკიმ ეს სურათები ჩვენგან ხუთჯერ-ექვსჯერ წაიღო. ბოლოს ჩვენ იმდენად დაინტერესდით გორკით, რომ მე და ჯაბადაძე წავედით კრასნოგორსკის ქუჩაზე, სადაც გორკი ცხოვრობდა აფანასიევთან, როხლინთან და სხვებთან ერთად. ეს სახლი ეხლაც იმავე სახით დგას, როგორც იმ დროს. გორკი და მისი მეგობრები ცხოვრობდნენ დაბლა სართულში, სარდაფში რამდენიმე ოთახი ეჭირათ.

როგორც მახსოვს გორკის ჩვენგან წაღებული სურათები უნდოდა არა მარტო კრასნოგორსკის კომუნისათვის, არამედ უფრო რკინისგზის მუშებისათვის. იმ დროს გორკი რკინის გზაზე მუშაობდა, ახლო კავშირი ჰქონდა რკინის გზის რევოლუციონურ მუშებთან და მათი გათვითცნობიერებისათვის მეტად ზრუნავდა სხვა მაშინდელ ქართველ რევოლუციონერებთან ერთად.

სხვათა შორის გორკის „მაკარ-ჩუღრა“-ს შესახებ პირველი კრიტიკული სტატია 1892 თუ 1893 წლებში პირველად დასწერა ჩემმა მეგობარმა პირველი გიმნაზიის ლიტერატურის მასწავლებელმა კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე შულგანმა (1860—1920).

IV

გურაშიძე, მიხეილ ზოსიმეს ძე (დაბ. 1880 წ.)

900-იან წლებში მე ვმუშაობდი ტფილისში იარაღოვის მექანიკურ ქარხანაში (ეხლანდელი კალინინისა)—ზეინკლად. ამ ხანებში მე გავიცანი სოციალ-დემოკრატი ქ. ორიოლდან გადმოსახლებული სემინარისტი ვლადიმერ კარლოს ძე როდზევიჩი. მისი გავლენით მე ჩავეწყვე არაღმგაღურ სოციალ-დემოკრატიულ წრეში.

1902 წლის თებერვალში მე დამიჭირეს და რამდენიმე თვე დავეყავი მეტეხში. იქიდან გადამასახლეს ქუთაისში პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

ქუთაისში იმ დროს იყო ცნობილი რევოლუციონერი პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, რომელიც აღვივებდა ქუთაისში რევოლუციონურ მუშაობას.

ამ ხანად—1903 წლის ზაფხულში ჩამოვიდა მაქსიმ გორკი არტისტ პიატნიცკისთან ერთად. გაჩერდნენ ისინი ტფილისის ქუჩაზე სასტუმრო „ფრანკიაში“.

სალამოს მოვიდა ჩემთან როდზევიჩი და წამიყვანა გორკისთან. გორკიმ სიყვარულით მიგვიღო. ჩაკეტა კარები და ბერი გვესაუბრა. მას აინტერესებდა უმთავრესად მუშათა მოძრაობის საქმე. გამოგვკითხა დაწერილებით მუშაობის განწყობილება. მათი ეკონომიური მდგომარეობა, რევოლუციონური მუშაობის გაშლა.

ამას გარდა გამოგველაპარაკა ეროვნული საკითხის გარშემო და ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო რომ იქ ნაციონალური შუღლი გადავივებული არ იყო. სათითაოდ გვკითხავდა ყველა რევოლუციონერ მომუშავეზე. როცა ადგილობრივმა ინტელიგენციამ გაიგო გორკის ჩამოსვლა, მოუწყო ბანკეტი თოფურისას საავადმყოფოს ბაღში. ამის ორგანიზაცია ითავა ძველმა ხალხოსანმა რევოლუციონერმა სნეგიროვმა. ამ ბანკეტზე ჩემსა და როდზევიჩის გარდა დაესწრენ გამოჩენილი ექვამი თოფურია, ექიმის დონდაროვი (მწერალ აზიანის ძმა), სტუდენტი პუშკარიოვი და სხვები.

გორკი ძალიან დაინტერესდა ქუთაისის წარსულით. ძალიან მოეწონა რიონი თავისი მხატვრული ნაპირებით და პირდაპირ აღტაცებული დარჩა მოწამეთის ტაძრით და დიდებული ბუნებით. მოწამეთაში მე წავიყვანე. იქ მონასტრის ყოველ დეტალს ათვალეირებდა.

მოწამეთაში წავედი ფაეტონით. გზაზე დაწვრილებით გამომიკითხა ჩემი ისტორია. როცა გაიგო, რომ ახლად განთავისუფლებული ვიყავი მეტეხიდან და განაჩენს დღე-დღეზე ველოდი, მითხრა: არ გინდა, რომ გადასახლების მაგივრად საზღვარგარეთ წახვიდეო. მე უთხარი—ძალიან მინდა, მაგრამ ფული არ მაქვს. მეთქი. „ფულს მე გიშოვნია“, მითხრა გორკიმ, პასპორტი კი შენ იშოვნეო. ხელში რაღაც წიგნი ეჭირა, ჩაიწერა ჩემი მისამართი და დამპირდა, რომ ნიკინოვგოროდიდან გამომიგზავნიდა ფულს. თან დასძინა: მე ასეთი ჩვეულება მაქვს, როცა წიგნს ვიყიდი რომელიმე ქალაქში, წაკითხვის შემდეგ ბიბლიოთეკას შეეწირავ ხოლმეო. შეიძლება ეს წიგნიც შეეწირო და დაიკარგოს თქვენი მისამართი, ამიტომ თუ ჩემმა პასუხმა დაიგვიანოს, შემახსენეთ თქვენი ამბავიო. ორი თვე გავიდა ამის შემდეგ. გაზეთებიდან გავიგე, რომ ის ნიკინოვგოროდში იყო. მივწერე წერილი და სულ მალე მივიღე ორასი მანეთი, თან მთხოვდა, რომ ჩემი საზღვარგარეთ წასვლის ამბავი შემეტყუობინებინა.

როცა მოწამეთიდან ქუთაისში დაებრუნდი, მთხოვა მეჩვენებინა ქუთაისის რომელიმე სამიკიტნო, სადაც ადგილობრივი გლეხობა გროვდებოდა. მე წავიყვანე წითელ ხიდთან (იქ ონში წამსვლელები იკრიბებიან), სამიკიტნოში, რომელიც ერთი მხრით რიონს გადაყურებდა, იქ მოვითხოვეთ ყიფიანის ღვინო, რომელიც ძლიერ მოეწონა გორკის. სმის დროს მთვრალ გლეხებს აკვირდებოდა, ისინი მღეროდნენ „ოდელია რა ნუნის“. გორკიმ მთხოვა სიტყვების გადათარგმნა. მე უთხარი ამის გადათარგმნა ძნელია-თქო. იქ ერთი-ორი საათი დაჟყავით. გორკი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მეორე დღეს გორკი თავის თანამგზავრით ქუთაისიდან წავიდა.

როცა მე საზღვარგარეთ გორკის დახმარებით (ყენევაში) წავედი, იქიდან გორკის გაუგზავნე წერილი. მისგან მივიღე პასუხი, რომელშიც მეკითხებოდა, ხომ არ მჭირდებოდა, ნივთიერი დახმარება. მე პასუხის მიწერა ვერც კი

მოვასწარი, როცა მივიღე მისი გამოგზავნილი 100 მანეთი. ამ ფულის მიღების-  
თანავე მე გაუგზავნე ბარათი გორკის, რომელშიც მადლობას ვუხდელი და ვწერ-  
დი, რომ დახმარებას აღარ ვსაჭიროებ, რადგან „ისკრის“ რედაქციაში მოვეწყ-  
ვე ასოთამაშყობად-მეთქი.

მგონი 1927 წელს გორკი ვნახე ბაქოში, გარშემო ათასი ბავშვი ეხვია.  
როცა ჩემი თავი გავახსენე, ძალიან გაეხარდა და გამომიკითხა ჩემი ამბავი, თან  
ახლდა თავისი ვაჟი.<sup>1)</sup>

V

**ჯაკომოლინი, ალექსეი პეტრის-ძე (დაბ. 1881).**

პირველი რევოლუციონური ნათლობა მივიღე მე ა/კავკასიის რკინის გზა-  
ზე. ჩვენს განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა იაფ ბიბლიოთეკას  
კიროვნის ქუჩაზე. ამ ბიბლიოთეკის დამაარსებელი იყო კაიდანოვა, რომელიც  
გულთბილად გვიღებდა მუშებს და გვიჩვენდა ლიტერატურას. გორკის პირველი  
ჩამოსვლა საქართველოში მე არ მახსოვს, მაშინ სულ პატარა ვიყავი. მისი  
საქართველოში ყოფნაზე ბევრი გამიგონია სერგეი იაკობის ძე ალილუევისაგან,  
რომელიც იცნობდა გორკის აღრევე.

გორკი პირველად მე ვნახე 1903 წელს ქუთაისში. ამ დროს იქ ვიყავი  
ჩასული მოწინავე მასწავლებელ პუშკარიოვთან სტუმრად.

როცა გორკიმ გაიგო, რომ დაქერილი ვიყავი და სოციალ—დემოკრატი-  
ულ მუშაობას ვეწეოდი, დაინტერესდა ჩემით. დიდხანს მესაუბრა. ჩვენი თემა  
იყო ტფილისის რკინის გზის მუშათა მდგომარეობა. გორკის ძალიან გაეხარ-  
და, როცა მე უთხარი, რომ ტფილისის მუშებში დიდი რევოლუციონური შეგ-  
ნება არის შეტანილი მეთქი. იმ დროს ჩვენი პოლიტიკური აღმზრდელი იყო  
ამხ. სტალინი. ის გვინერგავდა ჩვენ რევოლუციონური იდეებს და სჭედავდა  
ჩვენს ნებისყოფას მეფის ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

პუშკარიოვი გორკის გატაცებული თაყვანისმცემელი იყო. მან მიაბზო, რომ  
გორკის მეშვეობით ბევრი რევოლუციონური მუშა წავიდა საზღვარგარეთ ან  
არალეგალურ მუშაობაზე გადავიდაო. სხვათაშორის გორკის შემწეობით საზღვარ-  
გარეთ წავიდა მუშა-ზვინკალი გურუშიძე, რომელიც ამჟამად ცოცხალია.

პროლეტარიატის დიდ მწერალთან შეხვედრა დაუფიქციარი შთაბეჭდილება  
მთელს ჩემს ცხოვრებაში.<sup>2)</sup>

1) მ. ზ. გურუშიძე ამჟამად ტფილისის ტრამვაის ტრესტის ინჟინერია.

2) ა. კ. ჯაკომოლინი ეხლა ტფილისის სტალინის სახელობის ვაგონ-სარემონტო ქარხ-  
ნის საინჟინლო ცენტის უფროსია, არჩეულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს წევრად.

### 3. ნათამაძე

## კოსტა ხეთაგუროვის უცნობი ლექსი

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა შეიძინა (ალექსანდრა) ანა სოლომონის ასული გედევანიშვილის ალბომი, რომელშიაც კოსტას ხელით ჩაწერილია ლექსი, შიძღვნილი მისადმი.

აი თვით ლექსი:

„Мне нравится мой друг, что ты глядишь пытливо

И тщетно разгадать стараешься меня,

Когда я говорю тебе полушутливо,

Что я устал любить, устал страдать, любя.

Мне нравится твой взор задумчиво-глубокий,

Сомнения твои и непритворный страх,

Когда я говорю, что люди все жестоки,

Что нет небесного созвучья в их сердцах.

Не верь моим речам, исполненным проклятья,

Насмешки злой и лжи-я им не верю сам,

Напротив, верь, что мы, как любящие братья

Воздвигнем на земле один всеобщий храм.

Храм жизни трудовой, насилью, недоступный,

Сознательной борьбы без пыток и крови,

Храм чистой совести и правды неподкупной,

Храм просвещения, свободы и любви.

ნადეკდა თევდორეს ასულმა დოდაშვილმა, რომელმაც ეს ალბომი გადმოსცა ლიტ. მუზეუმს, ანა გედევანიშვილის ვინაობაზე შემდეგი ცნობები მოგვაწოდ: ანას მამა სალამბეგ სოლომოს ისაკის-ძე ყაზანელი თათარი იყო. განათლება მოსკოვში მიიღო, დაამთავრა აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტი, ცხოვრობდა თბილისში, ქართველ მეფეების სასახლეში, თბილისშივე მსახურობდა. მისმა ქალიშვილმა ანამაც მოსკოვის კეთილშობილთა ქალთა ინსტიტუტი დაამთავრა და მამასთან ცხოვრობდა. სალამბეგის ოჯახში იკრიბებოდნენ ხშირად ქართველი მოწინავე საზოგადოების პირები და მწერლები. იმ დროს კოსტაც დადიოდა ამ ოჯახში და ამ ლექსის ჩაწერაც ალბომში იმ დროს უნდა ეკუთვნოდეს.

კოსტა რუსულ ენაზე იყო აღზრდილი და რუსულად კარგად ეხერხებოდა ლექსების წერა და უყვარდა კიდევ რუსული ენით წერა. მის სტილს ლერმონტოვის გავლენა ემჩნევა, სამოქალაქო ლირიკულ ლექსებში კი ნეკრასოვისებური მოტივები იგრძნობა.

ექვს გარეშეა კოსტა ვერ აცდებოდა ქართული კულტურის გავლენასაც. ეს საინტერესო საკითხი შესწავლას მოითხოვს.


ცნობილია, რომ კოსტა ხეთაგუროვზე დიდი გავლენა მოუხდენია ნიკიერ ქართველ მესამოციანელს მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანს, რომელსაც ეკუთვნის



ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ სპირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილები ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხებზე. მიხ. ყოფიანის გარდაცვალებაზე კოსტამ ორი ლექსი დაწერა, ერთი რუსულად, ერთი ოსურად, ოსური ლექსი უფრო შინაარსიანია და ღრმა მგრძობიერი. კოსტამ დახატა წმ. ნინოს სურათი, რომელიც განირჩეოდა ჩვეულებრივ მიღებულ წ. ნინოს შაბლონური სურათისაგან პოეტური თავისებურობით და რეალიზმით, სურათი დიდი, მეტრნახევარი სიმაღლისა იქნებოდა.

კოსტა თავის წერილებში ხშირად მადლობით იხსენიებს „ჩვენს სონიას“—სოფიო თარხნიშვილისას, ცნობილ მწარველს პეტერბურგის კავკასიელ სტუდენტებისა, რომლის გაელენამ და მეცადინეობამ დაიხსნა კოსტა შორეულ ციმბირში გადასახლებიდან და შეუცვალეს ხერსონში გადასახლება, რამაც იხსნა ავადმყოფი მგოსანი აუცილებელ დაღუპვისაგან.

კავკაში ცხოვრების დროს განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებოდა იქაურ ქართულ კოლონიის კულტურულ საქმიანობას და თავის ცხოვრების უკანასკნელ ხანებში, როდესაც ტანჯულმა მგოსანმა დაჰკარგა სულიერი თანასწორობა, ქართველებთან პოულობდა მყუდროებასა და სულის სიმშვიდეს. ანა სოლომონის-ასული გათხოვილი იყო ილია ზურაბის-ძე გედევანიშვილზე. ილიას რაღაც წარმოება ჰქონდა გორში, დიდი დარდიმანი, ხელგაშლილი პიროვნება იყო, ქეთის მოყვარე. ილია ჩემი დედის ბიძაშვილი იყო. ანა ბოლოს ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1939 წელს (ანას ხშირად აღექსანდრასაც ეძახდენ).



## ი. მნიშვნელოვანი

### ა. დიუმას ავტობიოგრაფი

ა. დიუმა, რუს მწერლებიდან, ყველაზე მეტად დააინტერესა ლერმონტოვმა (თითქოს ეს იყო პოეტისა როსტოპჩინასთან ხანგრძლივი მიწერ-მოწერის შედეგი).

რუსეთში თავის მოგზაურობამდე, მან პირველმა საფრანგეთში, თავის ორგანოში „Moniteur“ მოათავსა „Герой нашего времени“ სტოლიპინის თარგმანით.

ლერმონტოვის მთელი რიგი ლექსებისა თითონ მან გადათარგმნა. როდესაც ა. დიუმა ჩამოვიდა რუსეთში, შემთხვევა ჰქონდა დარწმუნებულიყო ლერმონტოვის პოეზიის პოპულარობაში. დიდი ნაწილი მისი ლექსებისა გადაღებული იყო მუსიკაზე. განსაკუთრებით მისი ყურადღება მიიზიდა ლექსმა „Горные вершины“, მისი აზრით პოეტს ეს ლექსი დაუწერია გოეთეს ან ჰეინეს მიბაძვით („Горные вершины“-ს სიუჟეტი პოეტ ლერმონტოვმა ისესხა გოეთესაგან).

კავკასიაში მომავალმა დიუმამ ქ. ყიზლარში კვლავ გაიგონა რამდენიმე სიმღერა „რამდენიმე საუცხოვო რუსული რომანსი“ და მათ შორის „Горные вершины“ ლერმონტოვისა.

თბილისისკენ მომავალმა დიუმამ გამოიარა შემახაზე. აქ, როგორც ვაღმოგვეცემს კორესპონდენტი ი. ევლახოვი, სასიამოვნო „ვეჩერინკის“ შემდეგ, რომელიც ვაუმართა ადგილობრივმა კომენდანტმა ოკოლინიმ, დიუმამ მოითხოვა ქალაქი და მსურველთათვის სახსოვრად დაწერა რამდენიმე მის მიერ ფრანგულად გადათარგმნილი ლერმონტოვის ლექსი.

თბილისში, საფრანგეთის კონსულის დახმარებით მას დაუთმეს მშვენიერი ბინა ერენის მოედანზე ივანე იაგორის-ძე ზუბალაშვილის სახლში.

მედლობის ნიშნად კარგი მასპინძლობისათვის სახლის პატრონს დიუმამ აჩუქა „Горные вершины“-ს თავისი ავტოგრაფი:

აქ გამოქვეყნებული ავტოგრაფი დიუმასი არის ის საჩუქარი, რომელიც მიიღო იაგორ ზუბალაშვილმა. ზუბალაშვილისაგან გადავიდა ბიბლიომანის მ. ი. თამაშვეის ხელში. თამაშვემა მთელ თავის მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად ის შესწირა თბილისის ქალაქის თვითმართველობას, საიდანაც ხსენებული ავტოგრაფი მიიღო საქართველოს სახელმწ. ლიტერატურულმა მუზეუმმა.

## ნიკო ლომოშვილის ავტობიოგრაფია<sup>1</sup>

დიდათ პატივცემულ ძმად დათიკო!

დავიბადე გორის მაზრის ს. არბოში 1853 წ. 19 თებერვალს. მშვენიერი მღებარეობა აქვს ამ სოფელს: მაღალ ვაკეზეა გაშენებული და დაცქერის პატარა ლიახვის აყვავებულ ხეობას, ხოლო თვით სოფელს ამაყად გადმოსცქერნიან კავკასიის მთის თეთრ თავიანი ქედები, პატარა სოფელია არბო და მცხოვრებელნი ზოგი ნათესავეები არიან, ზოგიც ნათელპირონნი ჩვენი ოჯახისა, ამის გამო პატარაობითვე მთელი დღენი და ბევრჯელ დამეებიც ამ პატიოსან, მოსიყვარულე ხალხთანა მაქვს გატარებული. მათ უყვარდი, მიფრთხილდებოდნენ, მიაღერებდნენ და რაღა საკვირველი იქნება, რომ ბავშვის გულიც მათ მიჰკროდა.

ქართული წერა-კითხვა მასწავლა ერთმა დიაკვნამა. შემდეგ ვიწყე სწავლა გორის სას. სასწავლებელში, მაგრამ არ გამითავებია: მეორე კლასიდან თბ. სას. სასწავლებელში გადავედი. მეოთხე კლასში მასწავლებლად იაკობ გოგებაშვილი იყო. გეოგრაფიას გვასწავლიდა. პირველად ქართულად აგვისხნიდა, მერმე რუსულად და გაკვეთილს იქვე კლასში ვსწავლობდით. ესეთი გაკვეთილი პირველი და უცნაური ხილი იყო ჩვენთვის. კაკაქურ ზეპირობას, ტევასა და ცემა-ტყეპას დაჩვეულნი, მოხსენებულ გაკვეთილებს სარწმუნოებრივის თაყვანისცემით შევცქეროდით. ყველამ კარგათ ვიცოდით, რომ იაკობი დამოუკიდებელი ხასიათის კაცი იყო: ბერებს არ ემონებოდა, ეკლესიაში არ დადიოდა, გამუდმებით წიგნებს კითხულობდა, ლიბერალი იყო აზროვნებით და საქართველო უყვარდა. ყველა ეს ძლიერ გავლენას ახდენდა ბურსაკებზე და ისე შევცქეროდით ამ პატიოსან კაცს, როგორც იდეალს. ცხადია, რა დიდი გავლენაც იქნებოდა ამას ჩვენზე. მას ვბაძავდით ყველაფერში, ხშირად წვრიმალობაშიაც კი, მაგ. ლაპარაკის კილოში, სიარულში და სხვ. ეს იყო პირველი სხივი გააძლიერებს ნ. ცხვედ აძემ, გ. იოსელიანმა. ამ დროს ი. ჭავჭავაძეც გავიცანით. წინთ გამოუთქმელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე ამისმა „გლახის ნაამბობმა“, რომელშიაც ისეთის ალტაცებულის გრძნობით არის აწერილი გლეხკაცი. ჩვენებური გლეხები ხომ პატარაობისასვე მიყვარდნენ, როგორც ნათესავეები, ჩვენი ოჯახის წევრნი. მოხსენებულმა წიგნმა ახლა პატივისცემაც აღძრა ჩემს გულში გლეხებისა. ამავე დროს წავიკითხე დობროლი უბოვი, ჩერნიშევსკი, გლ. უსპენსკი, ნეკრასოვი. ამათ ერთი ათად გააფართოვეს ჩემი შეხედულებანი, გრძნობანი, რწმენანი გლეხის შესახებ. შესდგა ერთგვარი, გამორკვეული მიმართულება, რომლის გზა და კვალს დავადექ და მას აქეთ ამ გზისთვის აღარ გადამიხვევია: ავით თუ კარგად ვემსახურებოდი გლეხ-

<sup>1</sup> დავით კარიჭაშვილის არქივში, რომელიც ეხლანან შვიძინა ლიტ. მუზეუმმა, აღმოჩნდა ნიკო ლომოშვილის წერილი მიმართული დ. კარიჭაშვილისადმი, 1904 წ. აპრილის 19-ის თარიღით. წერილი შეიცავს ავტობიოგრაფიას. ვებქდავთ, როგორც საინტერესო მასალას. რ დ.

კაცის ფეხზე წამოყენებას. ხალხოსნობა, სახალხო მიმართულება (народничества) გარდქევა მთელი ჩემი სიცოცხლის გზის მიჩვენებელ ვარსკვლავად. პირველად ლექსების წერა ვიწყე. განსვენებულმა ს. მესხმა 1872 წ. დაბეჭდა ერთი ჩემი ლექსი „დროებაში“. იმავე წელს დაიბეჭდა „დროებაში“-ვე ფელს[ს]ტონათ „ხმა პროვინციიდან“. პსევდონიმით ვხმარობდი „სემინარიელი“, შემდეგ „პროვინციელი კიევიდან“ — „თქვენებური“. ამ ჟამად — „არბოელი“. ორიოდ შემთხვევის მეტი არ მახსოვს, რომ ჩემი სახელი მოწვეწეროს რომელიმე ჩემი ნაწერისათვის. ხშირად სხვა პსევდონიმებსაც ვხმარობდი. უნდა გამოგიტყდე, დათიკო, და გითხრა, რომ რაღაც განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობდი, როდესაც ჩემი სახელი არ ეწერა, მაგრამ მკითხველი მიხვდებოდა და ამბობდა: ეს ნ. ლ.-ს ნაწერიაო. რას იხამ? აღამიანი ნაპირუტყვავი არსებაა და ესეთი ვიწრო თავმოყვარეობა ბევრს მათგანს სენივით აქვს გამჟღარი. სემინარიის მეორე კლასში ვ[ს]წავლობდი. აკაკიმ წაიკითხა ჩემი ხელთნაწერი ლექსები და მითხრა: შენს ლექსებში პოეზია ძიელ მცირეა, აბა პროზა სცადეო! ამის შემდეგ დაეწერე მოხსენებული „ხმა პროვინციიდან“. აკაკის წაგეითხა და ძლიერ აქო. ამის შემდეგ სრულიად დავანებე თავი ლექსებს და ვიწყე კორესპონდენციების წერა. პირველი მოთხრობა „ალი“ 1878 წ. კიევში მყოფობის დროს დაეწერე. აკადემიაში მიმიღეს 1875 წელს. ეს მოთხრობა ლაპარაკის დროს ანტონ ფურცელაძეს ეძაგებინა (უსიამოვნოთ ვიყავი მაშინ). მაშწერეს და ცუდათ იმოქმედა, მაგრამ ამ დროს მამივიდა ი. ქავკავაძის წერილი, რომელშიაც დიდათ აქებდა „ალსა“. იაკობსაც ექო და ამ გარემოებამ საბოლოოთ გადამაწყვეტინეს მოთხრობების წერა. სულ დაწერილი მაქვს შემდეგი მოთხრობანი 1. „ალი“, 2. „ბედი უბედურთა“, 3. „გიგო ღრუბელაშვილი“, 4. „ამას აღარა ეშველება-რა“, 5. „ქრისტეანი ლექები“, 6. „სამფეხა ამირანა“, 7. „წინაპართა აჩრდილნი“, 8. „წუთისოფელი“, 9. „ქაჯანა“, 10. „ყოველის მხრიდან“, 11. „ბერუა ქრისტესიაშვილი“, 12. „დათიკა ქრისტესიაშვილი“. სამი თუ ოთხი ნათარგმნი მაქვს. ცხადია, რომ კოტაა, მაგრამ ყველა მაპატიებებს, ვინც კი იცის ჩემი ყოველდღიური ცხოვრება.

თქვენ აგირჩევით „ყოველის მხრიდან“ არა უშავს-რა, მაგრამ ქრისტომატიისთვის, ჩემის აზრით „ბერუა ქრისტესიაშვილი“ სჯობდა. ეს უკანასკნელი უფრო მეტის აღფრთოვანებით და უკეთესის ნებით არის დაწერილი. „ხანგმა“<sup>1</sup> „ცნობის ფურცელში“ გაარჩინა ეს მოთხრობა და მის დღდა-აზრად სცნო ისა, რომ ვითომც მე წარსულისკენ უთითებდე მკითხველსა და ვქადაგებდე: ხსნა დიდრონ პატრიარქალურ ოჯახების შექმნაშია მეთქი... რაღა თქმა უნდა შეცდომაა: სიზმრადაც არ მჩვენებია ეს აზრი. საშა ხახანაშვილი<sup>2</sup> უფრო მართალს ამბობს.

თქვენი პატივისმცემელი ნ. ლომოური

<sup>1</sup> „ხანგი“ — კრიტიკოსი გრიგოლ რცხილაძე.  
<sup>2</sup> სკაშა ხახანაშვილი — პროფ. ალ. ხახანაშვილი.  
 შენი შევნი: პირველი გვერდის ქვედა არხზე: უკაცრავად, დათიკო, თავი შეგავწყინე ამდენი უმნიშვნელო ლაპარაკით!  
 მესამე გვერდის ზედა არხზე: ვნის მხრივ დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე ტურგენემა, ბერნემ და ჯან-ჯაკ რუსოს „ემილია“.

დ ა მ ა ო ე ბ ა

## მიხეილ ხალთუზაძელი

### ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები

როგორც შემოქმედი პიროვნება, ნიკოლოზ ბარათაშვილი ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი უშესანიშნავესი გამოვლინებაა ცხოვრების ახალ პირობებში. ამასთანავე, ყველასათვის ახლო და ვასაგები მისი ქმნილებანი ნაციონალური ხელოვნების ფარგალს სცილდებიან და ღირსეულად იჭერენ თავიანთ ადგილს ზოგადკაცობრიულ საგანძურში. ხოლო ადამიანური ინდივიდუალობითაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მეტად მაღლა იდგა თავის წრეზე: როგორც მოაზროვნემ მან თავის ეპოქას ძალიან შორს გაუსწრო.

ამ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ საკვლევაძიებო-მუშაობისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობების მეოხებით, „ბარათაშვილოლოგიამ“ თვალსაჩინო წარმატებას მიიღწია. მაგრამ ეს წარმატებაც ფეხდაფეხ ვერა სდევს იმ გულმხიერებას, რომელსაც იწვევს ჩვენს თანამედროვეთა შორის XIX საუკუნის ამ დიდი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. ამ გზის ფაქტური მხარე ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი.

ამ შრომას მიზნად აქვს მისცეს არა მარტო მკითხველს, არამედ აგრეთვე ლიტერატურის მკვლევარსაც ყველა ის ცნობა, რაც საჭიროა პოეტის პირადი და შემოქმედებითი ბიოგრაფიის დამოუკიდებლად შესწავლისათვის.

წყაროებზე და სათანადო ლიტერატურაზე მითითება შესაძლებელ გახდის თვითეულ ცალკე შემთხვევაში ძირითადი ტექსტის ცნობების შემოწმებას და თვითეული ამ ცნობის დეტალების გაცნობას.

რამდენადაც მთელ რიგ შემთხვევაში (პოეტის დაბადების წელი, მისი პორტრეტის საკითხები, საცხოვრებელი ადგილისა, გიმნაზიის დამთავრებისა და სხვა მისთ. საკითხები) ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების ცალკეული მომენტების ანალიზია აქ გაკეთებული, იმდენად ამ შრომას აქვს შერეული საცნობო-საკვლევო ხასიათი.

---

ყველა თარიღი 1918 წლამდე ამ ნამუშევარში მოყვანილია ძველი სტილით. წყაროების სახელწოდება (წიგნებისა, სტატიებისა, მიწერმოწერისა), როგორც საერთო წესი, ნაწვევებია პირველად დასახელების დროს—სრულად, ხოლო შემდგომ შემთხვევაში—ან შემოკლებით ან და აღნიშნით „ციტირებული ნამუშევარი“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელთქონებული ლიტერატურა შესაძლებლობას არ იძლევა ზედმიწევნით იქნეს დადგენილი ესა თუ ის წელი, რომელსაც ეკუთვნის, პოეტის ცხოვრების ან შემოქმედების განსაზღვრული მომენტი, ტექსტს დაერთვის აღნიშვნა „ვარაუდით“ ან „თარიღი სავარაუდოა“, რაც სწორე ფრჩხილებში ჩაისმის.

ნიკ. ბარათაშვილის წერილებისა და ლექსების თარიღები აღნიშნულია 1922 და 1939 წლების აკადემიური გამოცემების მიხედვით.

მოკლე აღნიშვნა „აკადემიური გამოცემა“, რაც ამ ნაშრომში ხშირად გვხვდება, გულისხმობს ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა და წერილთა სრულ კრებულებს, რომლებიც გამოცემულია 1922 წელს (ი. მეუნარგიას შესავალი ნარკვევით) და 1939 წელს („ფედერაციის“ გამოცემა). თვითუფლ ცალკე შემთხვევაში ნაჩვენებია ციტირებული გამოცემის წელი.

გამორკვეული არ არის, რა წლებში დაიწერა, პოემა „ივერიელი“ და ლექსები „... ნა ფორტოპიანოზედ მომღერალი“, „დამქროლა ქარმან“, „როს ბედნიერი ვარ“, „ცისა ფერს“, „ვლოცავ დღეს“, „კ. დ. ჩ.“ და ეპიგრამა „ელენეს და მაროს“.

ნიკ. ბარათაშვილის დების და ძმების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ნაჩვენებია ა. ზუნდაძის (კომუნისტი“, 1937 წ., № 59) და ი. ბალახაშვილის (დაუბეჭდავი) ნამუშევარების მიხედვით. ამავე წყაროების მიხედვით აღნიშნულია ნათლიების გვარებიც.

მელიტონ ბარათაშვილის ფორმულარული ნუსხა ციტირებულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ასლების მიხედვით.

საარქივო მასალა, რომელიც ეხება თბილისის გიმნაზიის პანსიონში პოეტის მიღებას და აგრეთვე მიწერმოწერა სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში მისი შესვლისა და წინმსვლელობის თაობაზე — დაცულია საქცენტრარქივში<sup>2</sup>. ამ მასალის შემოწმების გასაადვილებლად ამ ნამუშევარში აღნიშნულია სათანადო საარქივო საქმეთა სახელწოდება და №№.

ყველა იმ შემთხვევაში, რაც ზევით არ არის მოხსენებული, აღნიშნულია სათანადო წყარო.

ამა თუ იმ ცალკეული სიტყვების ასო-ასოდ დაყოფა ეკუთვნის ამ ნამუშევარის ავტორს.

1817

დეკემბერი 15-ს. მელიტონ ნიკოლოზის ძე ბარათოვს (ბარათაშვილს) და მის მეუღლეს ეფემიას, ზურაბ-დიმიტრი ორბელიანის ასულს, დაებადათ შვილი ნიკოლოზი (ტატო).

[1. საქ. ცენტრარქივი, ფ. 138, საქართველო-იმერეთის სინოდალური კონტორის საქმე 4953.

<sup>1</sup> „როს ბედნიერი ვარ“ და „ცისა ფერს“ არიან მიბძევა რუსულია—იბ. 1. ნიკ. ბარათაშვილის ლექსების 1888 წ. გამოცემის წინასიტყვაობა (ავტორი—პ. უმიკაშვილი); 2. გ. ლეონიძე „ნიკ. ბარათაშვილი, მოცარტი და ლ. ტოლსტოი“ „სალიტ. ვაზ.“, 1933 წ., № 8.

<sup>2</sup> საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის დავალებით გამოვლინებულია და გადაწერილი ი. ენიკოლოფოვისა და ნ. ხოშტარიას მიერ.

2. მელიტონის ფორმულარ. ნუსხაში, რაც შედგენილია 1833 წელს, აღნიშნულია მისი (ე. ი. მელიტონის) ასაკი—33 წლისად, ხოლო დაბადების თარიღი ნაჩვენებია არ არის; დღემდე ხელთკონებელი დოკუმენტები შესაძლებლობას არ იძლევიან დადგინონ იქნეს ზედმიწევნით, როდის დაიბადა იგი—1795 წელს, თუ 1796 წელს. მისი გარდაცვალების წელი—1860-ია. დასაფლავებულია სოფ. ოსიურში.<sup>1</sup>

ფეშვას დაბადების თარიღი—ვარაუდით 1799 წლიდან 1800 წლამდე—განისაზღვრება მისი ძმების გრიგოლისა (1800—1883), ჰაქარაის (1806—1847) და ილიას (1816—1853) ასა-  
1817

კის მიხედვით, ხოლო ფეშვია და მისი ძმები შეიღებები იყვნენ ზურაბ (იგავე დიმიტრი) ორბელიანისა (XVIII საუკ. მეორე ნახევ. და XIX საუკ. პირველი მეოთხედი) და მისი მფუძლის ხორეშან ანდრონიკაშვილისა (1784—1833), რომელიც ქალი იყო ვრცელე მეფის (გარდ. 1798 წ.) წულის ელენე ბატონიშვილისა (გარდ. 1784 წ.).

ამას გარდა, თანამედროვეთა მოთხრობით, კერძოდ მისი ქალისა (იხ. ბარბარე ვეზირი-შვილის მოგონებანი 1922 წლის აკად. გამოც, გვ. 242), ფეშვია მისთხოვებია მელიტონს 15 წლისა, ხოლო ქორწინება ეკუთვნის 1815 ან 1816 წელს. საეკლესიო დაეთარის ჩანაწერში სიკვდილის შესახებ ფეშვიას ასაკი ნაჩვენებია 43 წლისად. თუ ამ თარიღს დაეუფერებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი 10 წლისა გათხოვდა.

მამაკაშვილი აღნიშნავს თავის მოგონებებში, ფეშვია „უფროსი და“ იყო გრიგოლისა. და ბოლოს, დისადმი მიძღვნილი ლექსი გრიგოლ ორბელიანისა არავითარი ეჭვს არა სტოვებს იმის თაობაზე, რომ ფეშვია მიხი უფროსი და იყო ან, ყოველ შემთხვევაში, მცირედით უმცროსი, ხოლო, რასაკვირველია, მეორე ძმა ჰაქარიაზე უფროსი.

ფეშვია გარდაიცვალა 1849 წელს და დაკრძალულია ქვაშვეთის ეკლესიაში.

ნიკ. ბარათაშვილის დაბადების თარიღის საკითხი მრავალჯერ გამხდარა მსჯელობის საგნად. ტრადიციული თარიღი—1816 წლის ნოემბრის 22—მიღებულ იქნა ქართული ლიტერატურის ისტორიაში პოეტის მეგობრის კონსტ. მამაკაშვილის ცნობის თანახმად („ნიკ. ბარათაშვილი—მასალა ბიოგრაფიისათვის“—იხ. გაზ. დროება, 1881 წ., № 206). მაგრამ იმავე წელს ელ. მიქელაძე („დროება“, 1881 წ., № 234) აპოკრიფება, რომ მას უნახავს დოკუმენტი, რომლიდანაც ჩანს, რომ 1830 წელს ნიკ. ბარათაშვილი 12 წლისა ყოფილა, და ამ დოკუმენტის თანახმად იგი პოეტის დაბადებას 1818 წელს აკუთვნებს.

საქართველოს ცენტრარქივში დატულია დოკუმენტი, რომელსაც მიქელაძე ყრუდ იხსენიებს (იხ. ქვევით 1830 წ.). ეს დოკუმენტი—სიაა ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორის მიერ მთავარსარდალის პასკევიჩისათვის წარდგენილი მოსწავლეებისა პატაკითფრთ, რომელშიაც იგი სთხოვს ნებართვას, რათა ეს მოსწავლეები მიღებულ იქნენ სახელმწიფო ხარჯზე გიმნაზიასთან დაარსებულ ერთიანობითა ბანიანში. ნიკ. ბარათაშვილის ასაკი აქ, მართლაც, ნაჩვენებია 12 წლისად. ხოლო, რადგანაც სია შედგენილია 1830 წლის ივნისში და ამისთანა სიისათვის სიუსტუე სავალდებულო არ იყო, თუ მით ვიხედვით დანაწევრებთ, ნიკ. ბარათაშვილის დაბადება შეიძლება თანასწორი უფლებით 1817 წელსაც მივაკუთვნოთ.

შემდგომ „დროება“, 1881 წ., № 236) მამაკაშვილი ეკამათება მიქელაძეს, მიუთითებს საფლავის ქვაზე და იკავს თავის ქვერსიას 1816 წლის შესახებ. ქვას შემდეგი წარწერა აქვს რუსულ ენაზე: „Здесь лежит прах грузинского князя, губернского секретаря Николая Мелитоновича Баратова, скончавшегося во ивте лет, на 29 году, 9 октября 1845 года“.

მამაკაშვილი განმარტავს, რომ 1819 წლამდე და უფრო გვიანაც საქართველოში დაბადებათა რეგისტრაცია არ იყო და დოკუმენტების გაცემის დროს მღვდლები კმაყოფილდებ-

<sup>1</sup> მელიტონი, ნიკოლოზის შვილი და ლუარსაბ ბარათაშვილის შვილიშვილი, სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში; 1810 წელს შევიდა თარჯიმნად საქართველოს ცალკეული კორპუსის სარდლის შტაბის კანცელარიაში. 1811 წლის 6 აპრილს მას მიეცა პრაპორშჩიკობა, ხოლო 1813 წ., 7 ნოემბერს—პოდპორუჩიკობა.



ბოუნენ იმ ცნობებით, რასაც მშობლებისაგან მიიღებდნენ. ზოლო მშობლები ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, სკოლაში შეიღის მიზარების დროს) დაინტერესებულ იყვნენ იმით, რომ ბავშვის ასაკი ნამდვილზე მეტი ან ნაკლები ყოფილიყო ნაჩვენები<sup>1</sup>.

1935 წელს ი. ბალახაშვილი თავის სტატიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ., I, გვ. 636) მოჰყავს ელისავეტაოლის (განჯის) რუსული ეკლესიის დავითის ჩანაწერის ტექსტი პოეტის გარდაცვალების შესახებ. ეს ჩანაწერი საბოლოოდ განსაზღვრავს ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალების დღეს, თვეს და წელს, რაც წინათ აგრეთვე დავის საგანს შეადგენდა. ზოლო ასაკად ნაჩვენებია 25 წელი, ე. ი. დაბადება მიკუთვნებულია 1920 წლისთვის. ამ თავისთავად უტყუარ ჩანაწერს გარდაცვალების თარიღზე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნიკ. ბარათაშვილის დაბადების წლის დადგენისათვის, რადგანაც მას საფუძვლად უდევს დოკუმენტები კი არა, არამედ შემთხვევითი პირების—სამაზრო სამმართველოში პოეტის თანამოსამაზურეთა გამონაკითხი.

იონა მეუნარკიას უბის წიგნაკების მიხედვით, სოლ. ცაიშვილმა რომ გამოაკვეყნა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ (1938 წ., № 25), გრიგოლ ორბელიანს უთქვამს ი. მეუნარკიასათვის, ვითომც ნიკ. ბარათაშვილი 27 წლისა გარდაცვლილიყოს, გარნა გრიგოლის ცნობა ამ შემთხვევაში სერიოზულ დამოწმებად არ გამოდგება, ვინაიდან იგი, მაგალითად, იმასაც ამბობდა თურმე, ვითომც პოეტი ელისავეტაოლის მაზრის კანცელარიის მართველად ყოფილიყოს, ნამდვილად კი ნიკოლოზი მაზრის უფროსის თანაშემწედ იყო.

1939 წლის აკადემიური გამოცემის ბიოგრაფიული ნარკვევისა და უფრ. „მნათობში“ (1938 წ., № 10) მოთავსებულ „შენიშვნების ავტორი პ. ინგოროყვა, უკეთებს რა ანალიზს თვით პოეტის 1845 წლის 9 თებერვლის წერილს ნახჭევრიდან (იხ. ქვევით) მაკო ორბელიანისადმი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ პოეტი 1818 წელს დაიბადა.

ერთადერთ ოფიციალურ დოკუმენტად, რომელშიაც მოხსენებულია პოეტის დაბადების წელი, უკანასკნელ დრომდე ითვლებოდა საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის დადგენილება („ორბედელნიე“), საქართველოს ცენტრალურში დაცული (საქართველოს უზენაესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის ფონდი № 5, საქ. <sup>6960</sup>/<sub>10</sub> — 1836 წლის 4 იანვრის თარიღით და 10 №-ით—სასამართლოს და განჩინების აქაური ექსპედიციის შეტყობინებით, იქ სამსახურში თავად ნიკოლოზ ბარათოვის განწყობის შესახებ; გადაწყვეტილია 1836 წლის 24 ოქტომბერს). უკანასკნელი მიწერმოწერა დამყარებულია იმავე „ორბედელნიეზე“.

ეს „საქმე“ პირველად მოხსენებულია გაზ. „კომუნისტი“ 1936 წ.

თვით მიწერმოწერას თუ მიემართავთ, დავინახავთ, რომ „საქმის“ საქალაქში ყოფილია ნიკ. ბარათაშვილის დედანი დოკუმენტები, რომლებიც მას წარუდგენია სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში (ექსპედიცია სულა ი ჩასპრაეი) არხითურთ სამსახურში განწყობის თაობაზე. ეს დოკუმენტები, საქმიდან ამოღებულია, ზოლო ვის მიერ—არა ჩანს. სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის მიმართვაში 1836 წლის 3 იანვრის თარიღით აღმასრულებელი ექსპედიციის სახელზე ჩამოთვლილია წარდგენილი დოკუმენტები, მათ რიცხვში „მეტრიკული მოწმობა, მიცემული საქართველო-იმერეთის სინოდალური კონტორიდან 1835 წლის 24 დეკემბერის თარიღით და 2625 №-ით მოხვედრის დაბადებაზე და მონათვლაზე მაიორი მელიტონ ბარათოვისა და მისი ცოლის ეფემიას კანონიერი ქორწინებიდან 1817 წელს დეკემბრის 15 დღესა“. ამჟამად ნახოვანია თვით ამ მოწმობის რემარკა, შავი („ჩვენი თაობა“, 1940 წ., № 4).

ნიკ. ბარათაშვილის მეტრიკაზე გუვის მითანისათვის, თუნდაც იგი მიცემული იყოს 1835 წელს, არა გგონია, საფუძველი არსებობდეს, ვინაიდან მელიტონს, აშკარაა, ინტერესი არა ჰქონდა შეიღისათვის წელიწადზე გაუღივებინა. მეტრიკაზე წინდახედული უნდა იყო ადამიანი, რათა იქვე, თითქმის ბავშვის დაბადების წამს, წინასწარ გაითვალისწინოს შეიღის ასაკის გადაიდების საპირობა, ვთქვათ, თუნდაც გიმნაზიაში მიზარებისათვის. ამავე დროს თვით მელი-

<sup>1</sup> ნამდვილად კი დაბადებათა რეგისტრაცია შემოღებული იქნა საქართველოში 1818 წლის დასაწყისში.

ტონი თავიდანაწარმოების დეპუტატთა საკრებულოსათვის შირთმეულ განცხადებაში მისი თავადობის დამტკიცების თაობაზე, 1820 წლის ოქტომბერს, აღნიშნავს, რომ მისი შვილი სამის წლისაა, სხეანარად რომ ეთქვას, პოეტი 1817 წელს დაბადებულა.

მაშასადამე, მეტრიკულში აღნიშნული თარიღი არ ეწინააღმდეგება არც საფლავის ქვის წარწერას (მე-29 წელზე, ე. ი. 28 წლისა: 1845—28 = 1817), არც მელიტონის ჩვენებას, არც ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორის „პატაკს“. მართალია, ნიკ. ბარათაშვილის ერთერთი მეგობარი, მამაკაშვილი, ასახელებს 1816 წელს, თვით თვესაც და დღესაც, რაც მან, მისი სიტყვით, პოეტისაგანვე იცოდა, მაგრამ აი, მეორე თანაწლოვანი პოეტისა, მიხეილ თუმანი-შვილი, ეთანხმება საფლავის ქვაზე აღნიშნულ ასაკს (იხ. მიხ. ხელთუბნელი „სალიტერატურო-სახოგადოებრივი წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 52); ხოლო საფლავის ქვა, როგორც ჩანს, ახლობელი ადამიანის— ილია ორბელიანის—მიერ იყო დადებული (იხ. მიხ. ხელთუბნელი—, „ნიკ. ბარათაშვილის უკანასკნელი წელი“— „ლიტერატურული მატანიე“, 1940 წ., წ. 1) და მას ნიკ. ბარათაშვილის დაბადების წელი უნდა სცოდნოდა არა ნაკლებ, ვიდრე თვით პოეტს.

ხელნასაკიდი საბაბი 1817 წლის წინააღმდეგ შეიძლება იყოს თვით პოეტის აღნიშვნა მის წერილში, რომელიც ხევით მოვიხსენიეთ. მაგრამ ეს აღნიშვნაც შეიძლება ნაკარნახევი იყო ვარეშე მოსახრებით, თუნდაც იმ სურვილით, რომ გაეღიზიანებინა ის ქალი (ნაგულისხმევი ხომ არ არის თვით ადრესატი—მაიკო ორბელიანი—ლევან მელიქიშვილის საცოლდე?) რომელზედაც პოეტი ამბობს იმავე წერილში: „დიახ ნუ რა ვის მოვაგონდები! იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრაძანებია, რომ აქ მოგეწყინდნენ და ჩაეყარეთო! ეგვეც აგრე იყოს. მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენი წელს ოცდა ექვსისა შეესრულდით, და წინაც უფრო ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძეგეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოცდა რვა წლისაა და აღარც არას ამ სოფელის კმაყოფილებას მოელის“!... ეს „ჩვენ“ ხომ ამ წერილში—თითონ არის და აგრეთვე ლევან მელიქიშვილი; ხოლო მელიქიშვილის დაბადების თარიღი ოფიციალური დოკუმენტით ვიცით—1817 წელია).

— დეკემბრის 19-ს. მელიტონს მიეცა პორუჩიკობა.

[ფორმ. ნუსხა].

— დეკემბრის 20-ს. ნიკ. ბარათაშვილის ნათლობა დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ხელით. ნათლია ნადეორნი სოვეტნიკი და კავალერი ნიკოლოზ არღუთინსკი—დოლგოპოლკოვი, მოწმენი: კოლესკი სოვეტნიკი ლუარსაბ სუმბათაშვილი, ტიტულიარნი სოვეტნიკი მელიქადაე ბებუთოვი და გუბერნსკი სეკრეტარი დავით ბარათაშვილი.

[სინოდ. კონტორის მოწმობა].

1818

— სექტემბრის 21-ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის დავითის დაბადება. ნათლია გეორჯ არწრუნი.

[გეორჯ არწრუნი—მამა გენერალი ივრემია არწრუნისა და პაპა ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწის და გახ. „მშაკის“ დამარსებლის—გრიგოლ არწრუნისა.

წარმოშობით გეორჯ არწრუნი—ქ. ვანის მცხოვრებია, ახალგაზრდობაში თბილისს გადმოსახლებული].

1819

— ივნისის 4-ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის დავითის გარდაცვალება ქუთთარუშისაგან.

— ოქტომბრის 24-ს „უმბლესი ბრძანება“ იმის თაობაზე, რომ მელიტონს ჯამაგირი ეძლეოდეს არა ასიგნაციებით, არამედ ვერცხლით (200 მან.). მას „ეწყალობა“ უფლება—ატაროს მსუბუქი კავალერიის საერთო მუნდირი.

[ფორმ. ნუსხა]

1820

— აპრილის 5-ს, ნიკ. ბარათაშვილის ძმის ალექსანდრეს დაბადება. ნათლია—ხიკოლოზ არღუთოვი (არღუთინსკი-დოლგორუკოვი).

— მაისის 17-ს, მელიტონს მიეცა კაპიტანის ჩინი.

[ფორმ. ნუსხა].

— ოქტომბრის 30-ს, მელიტონის 16 ოქტომბრის თხოვნის თანახმად საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს გამოაქვს საოქმო დადგენილება მის თავადობის ღირსებაში აღიარების თაობაზე.

[საქართველოს ცენტრარქივის ციტირებული საქმე  $\frac{6960}{10}$ , ფურც. 5]

1821

— სექტემბრის 21-ს, ნიკ. ბარათაშვილის დის ეკატერინეს დაბადება. ნათლია—გუმბერნატორის „სვიმონოვიჩის“ ცოლი—ბარბარე.

[მელიტონმა მონაწილეობა მიიღო 1812 წელს კახეთის ამბოხების ჩახშობაში გენ. სიმონოვიჩისა და გენ-ორბელიანის ხელმძღვანელობით].

ნოემბრის 10-ს, ნიკ. ბარათაშვილის ძმის ალექსანდრეს სიკვდილი ცხელებით.

1823

— ივნისის 2-ს, ნიკ. ბარათაშვილის დის დარიას დაბადება. ნათლია ისაკ სურგუნოვი.

[სურგუნოვი—თბილისის მოქალაქეა. შემდგომ (მისი შვილი?) ნ. სურგუნოვი ამხანაგი იყო ნიკ. ბარათაშვილისა სასამართლოს და განჩინების ექსპედიციიში].

1824

— ივნისის 3-ს, ნიკ. ბარათაშვილის ძმის გიორგის დაბადება. ნათლია—მარიამ თუმანიშვილისა.

[მარიამი—ეშყაბაშ თამაზ ორბელიანის ქალია, ცნობილი იმ დროს თავისი სილამაზით, გრივალ ორბელიანის გატაცების საგანი. მას ეძღვნა ალექსანდრე ჰუკავაძის არაილი „ვერცხლმა მავკირვა მერთოლვარემ“. მარიამ ცოლად ჰყავდა გიორგი ევანატეს-ძე თუმანიშვილს (ლიტერ. ფსევდონიმი „მუშაქი“); გიორგი იყო მეცენატი და მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში საქმოდ პოპულარული პოეტი (გარდ. 1837 წ.).

მარიამის და გიორგი თუმანიშვილების ქალი შემდგომ ცოლად ჰყავდა მეფის-ნაცვლის ვორონოვიის ექიმს ცნობილ ე. ს. ანდრეევსკის].

— აგვისტოს 1-ს, მელიტონი დაინიშნა ელისავეტპოლის პოლიციისტიერად.

[ფორმ. ნუსხა]

1825

— აპრილის 28-ს, ნიკ. ბარათაშვილის დის ბარბარეს დაბადება. ნათლია—პოდპორ. „შამირხან ბეკლარბეგოვი“.

[„შამირხან ბეკლაროვი“—კავალერიის ოფიცერი იყო; დიდხანს მსახურობდა საქართველოს მთავარ სამმართველოში, ხოლო შემდეგ კავკასიის მთავარ სამმართველოში; ბორჩალოს მახრის მემამულე; წარმოშობით ყარაბაღის სომეხ მფლობელ მელიქთ ეკუთვნოდა].

— ოქტომბრის 16-ს, ბარბარეს გარდაცვალება ყვავილით.

იმავე წელს:

— ნიკ. ბარათაშვილი სწავლობს ქართულ წერა-კითხვას.

[1. კ. მამიაკაშვილი, ციტირებული მოგონებები;

2. ნიკ. ბარათაშვილის ბავშურ ცვლქობაზე, მის ოინებზე სხვა ბავშვების მიმართ იხ. ზაქ. მთაწმინდელი „ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 6].

1826

მარტის 25-ს. მელიტონი უმაღლესად დამტკიცებულ იქნა თავადობის ღირსებაში.

[ცენტრარქივის საქმე  $\frac{6960}{10}$ , ფურც. 5]

— ივნისის დასაწყისი. ნიკ. ბარათაშვილის დის დარიას გარდაცვალება წითელით.

— ივნის-სექტემბერი. ირანელების მიერ განჯის დაქერისა და რუსთა ხელისუფლების წინააღმდეგ ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის აჯანყების დროს მელიტონს მეტად გაძილებულ პირობებში უხდებოდა ევაკუაცია. მტრისაგან საფრთხეში ჩავარდნილმა მელიტონმა სიტყვიერად უბრძანა ნაწილის ბოქაულს პროტოპოპოსს გადაეცა ელისავეტპოლის ოკრუგის უფროსი სიმონოვისათვის 1859 მან. და 71 კაპ. სახაზინო ფული, რაც ბოქაულმა თურმე შეასრულა, ამისდა მიუხედავად ფული დაკარგულიყო. ეს შემთხვევა კვალიფიცირებულ იქნა როგორც „უწესრიგო ბრძანება“ და მელიტონი დამნაშავედ სცნეს ამგვარი ბრძანების გაცემაში და სენატის 1831 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა—განთავისუფლებულ იქნეს მელიტონი 1826 წლის 22 აგვისტოს მანიფესტით პირადი სასჯელისაგან, ხოლო გადახდეს მას თანხის ის ნაწილი, რომლის მიღებაც სიმონოვისა და პროტოპოპოვისაგან ვერ მოხერხდება.

[საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მასალების მიხედვით].

— ოქტომბრის 10-ს. მელიტონი დაინიშნა ელისავეტპოლის ოკრუგის უფროსად.

[ფორმულ. ნუსხა]

იმავე წელს:

— ნიკ. ბარათაშვილი კალოუბნის სკოლაშია.

[ვარაუდით.

ბ. მთაწმინდელი—„ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1885 წ., გვ. 5].

1827

— მარტის 26-ს. ინფანტერიის გენერალი, გენ.-ადუტანტი პასკევიჩი ინიშნება კავკასიის მთავარსარდლად და მთავარმმართველად ერმოლოვის ნაცვლად.

[კავკ. კალენდარი 1852 წლ.]

— სექტემბერი. ნიკ. ბარათაშვილის მიბარება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში.

[კ. მამაცაშვილი, ციტირ. მოგონებანი].

— ოქტომბრის 19 ს. მელიტონი განთავისუფლებულ იქნა ოკრუგის უფროსის თანამდებობისაგან და სამსახურის გარეშე დარჩა.

1829

— მარტის 17-ს. 1 წლისა, 4 თვისა და 28 დღის განმავლობაში სამსახურის შეწყვეტის შემდეგ მელიტონი დაინიშნა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ თბილისის გუბერნიის მარშალ (თავადაზნაურობის წინამძღოლ) გენერალ-მაიორ ბაგრატიონ-მუხრანსკისთან და მონაწილეობას იღებს ქართული მილიციის ორგანიზაციაში.

[ფორმ. ნუსხა]

— იენისის 18-ს. ნიკ. ბარათაშვილის დის ნინოს დაბადება. ნათლია— არქიმანდრიტი ეპიფანე.

[ეპიფანე ბუჭიაშვილი?].

— აგვისტოს 5-ს. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთება.

**იმავე წელს:**

— თავადაზნაურობის არჩევნები 1830—1833 სამწლეულისათვის. მელიტონი გამორის თავისთავის კანდიდატურით თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე, მაგრამ მარცხდება, მიიღებს რა 21 თეთრ კენჭს, ხოლო 37 შავ კენჭს.

[საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მასალების მიხედვით.

იმავე მასალების თანახმად ამ დროს მელიტონს ჰყავდა 15 კომლი გლეხი მიწით, რომელთაგან იგი იღებდა სურსათსა და 200 მან. ვერცხლად წელიწადში].

### 1830

— მარტის 1-ს. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის საბოლოო გარდაქმნა გიმნაზიად.

[გ. ნოვოპარიევსკი—„თბილისის I-ლი გიმნაზიის 50 წლისთავის მოკლე ნარკვევი“—გაზ. „კავკაზი“, 1881 წ., № 226]

— აპრილი. თავადაზნაურობის დებუტატთა საკრებულო აძლევს ნიკ. ბარათაშვილს მოწმობას მის თავადობის ღირსებაში დამტკიცების თაობაზე, რაც მისთვის საჭიროა გიმნაზიასთან დაარსებულ კეთილშობილთა პანსიონში შესასვლელად.

[საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 117, საქმე № 2029, ფ. 17].

— იენისის 4-ს. ამიერკავკასიის სასწავლებლების დირექტორი სთხოვს მთავარსარდალს პასკევიჩს—ნება დართოს მან, რათა ნიკ. ბარათაშვილი მიღებულ იქნეს სახელმწიფო ხარჯზე გიმნაზიასთან დაარსებულ კეთილშობილთა პანსიონში.

— დეკემბრის 28-ს. თბილისის გიმნაზიასთან კეთილშობილთა პანსიონის გახსნა. ნიკ. ბარათაშვილი განწესრიგებულია პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე პასკევიჩის 17 იენისის ნებართვის თანახმად.

[1. ვ. ნოვოპარიევსკი, ციტირ. ნარკვევი;

2. საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 8, საქართველოს მთავარმართებლის კანცელარია, საქმე № 2013/1154, ფურც. 129—130]

**იმავე წელს:**

— ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებელმა სოლ. დოდაშვილმა გამოსცა თავისი „გრამატიკა“ გრეჩის რუსული გრამატიკის მიხედვით. შემდგომ ქართული ენის სწავლება გიმნაზიაში დოდაშვილის წიგნით სწარმოებდა. ეს წიგნი ყველა მოსწავლემ შეიძინა, გარდა ნიკ. ბარათაშვილისა, რომელსაც საამისოდ ფული არა ჰქონდა.

[... როცა ავტორი-მასწავლებელი შემოვიდა კლასში და კმაყოფით გადახედა წიგნებს, რომელთაც წინ ეწყობო მისი ახალი თხზულება, შენიშნა, რომ ბარათაშვილს წიგნი არ ჰქონდა.

— ბარათაშვილი!

— ბატონო!

— მამაშენი რა არის, ლოტრანგია თუ ქართველი?

— ქართველი გახლავთ, შენი კირიმე.

— მამ რატომ წიგნი არ უყიდნია? წადი და მოახსენე: თუ დღესვე წიგნი არა გქონია, კლასში არ შემოვიშვებ.

მეტი რა ღონე იყო, ამ ულტიმატუმმა შეაშინა პოეტის მამა და აყიდვინა იმას ერთის ვაი-ვაგლაბით დიდაშვილის „სწორ-მეტყველება“ (ლევან მელიქიშვილისაგან გაგონილი)“.

(ი. მეუნარგია, 1922 წლ. აკად. გამოც., გვ. IX-XI).

— გარდაცვალება დავით ორბელიანისა, მანანას ქმრისა, სალომე კავკაჟაძის ძმისა და ეფემია ბარათაშვილის ბიძაშვილისა.

1831

— თებერვლის 14 ს. ნიკ. ბარათაშვილის დის ელენეს დაბადება.

— თებერვლის 28-ს. ელენე ბარათაშვილის ნათლობა. ნათლია—ქეთევან ყაზბეგი.

[ნიკ. ბარათაშვილის მამიდაშვილი ქეთევან საგინაშვილისა—ცოლი იყო მიხეილ გაბრიელის-ძე ყაზბეგისა, მწერალი ალექსანდრე ყაზბეგის მამისა (თვით ალექსანდრე მიეცა მიხეილს მეორე ცოლისაგან—თუმანიშვილისაგან, რომელიც თარხნიშვილის ასული იყო). ქეთევან ყაზბეგზე იხ. აქვე—1836 წ.].

— აპრილის 28-ს. ფელდმარშალი პასკევიჩის პოლონეთში გამგზავრება.

[კავკ. კალენდ. 1852 წლ.]

— აგვისტო. მელიტონი აგირავებს გრიგოლ ორბელიანის მამულს.

[მელიტონის წერილი გრ. ორბელიანისადმი 1831 წ. 3 სექტემბ., იხ. ი. ბ. ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ახალი მასალები—ქუთნ. „მნათობი“, 1938 წ., № 12].

— აგვისტო. ინფანტი. გენერალი, გენერალ-ადეუტანტი ბარონ გრიგ. ვლად. როზენი ინიშნება კავკასიის ცალკეული კორპუსის სარდლად და საქართველოს მთავარმართებლად.

[კავკ. კალენდ. 1852 წლ.]

— სექტემბრის 3-ს. ნიკ. ბარათაშვილის ცნობილ წერილთაგან პირველი წერილი (გრიგოლ ორბელიანისადმი). წერილი რუსულადაა. ბარათაშვილი სთხოვს სასწაელო ინსტრუმენტების გამოგზავნას.

— სექტემბრის 16-ს. ნაკ. ბარათაშვილის დის ბარბარეს გარდაცვალება ყვავილით.

— სექტემბერი-ოქტომბერი. ნიკ. ბარათაშვილი და ილია ორბელიანი აბარებენ გამოცდებს და გადაიყვანებიან მეოთხე კლასში დაუჯილდოებლად.

[ილია ორბელიანის წერილი გრიგოლისადმი 1831 წ. 5 ნოემბრ., იხილეთ ი. ბ., იგივე პუბლიკაცია].

იმავე წელს:

— ნიკ. ბარათაშვილი ეუფლებოდა გერმანულ ენას.

1. [გერმანული ენა, როგორც არასავალდებულო საგანი, შემოღებული იყო გიმნაზიაში მისი დარსების დღიდან (1830 წ.), ხოლო ფრანგული სავალდებულოდ გახადეს.

2. ილია ორბელიანის წერილი გრიგოლისადმი 1832 წლ. თებერვლ.—1939 წლ. აკად. გამოც., გვ. LXXXIV.

3. ვ. ნოვომარიეცკი, ციტირ. ნარკვ. მელიტონის 1832 წლ. 30 აგვ. წერილი გრიგოლისადმი—იხ. ი. ბ., იგივე პუბლიკაცია].

1832

— იანვარი-თებერვალი. მელიტონი სთხოვს ერმოლოვს (გრ. ორბელიანის მეშვეობით) მიქცევისას მასზე, მელიტონზე, ახალი მთავარმართებლის როზენის ყურადღება.

[მელიტონის 1832 წლ. 15 იანვრისა და 4 თებერვლის წერილები გრიგოლისადმი—იხ. ი. ბ., იგივე პუბლიკაცია].

— თებერვლის დასაწყისი. ეფემიას ავადმყოფობა.

[მელიტონის წერილი გრიგოლისადმი 1832 წლ. 4 თებ.—იხ. ი. ბ., იგივე პუბლიკაცია].

— მარტი. მელიტონისათვის მაიორის ჩინის მიცემა სამსახურიდან გადაყენებით და წლიურად 900 მან. (ვერცხ.) პენსიის დანიშვნით.



— აგვისტოს 30-ს. მელიტონი სთხოვს გრიგოლ ორბელიანს უყიდოს და გამოუგზავნოს ოქროს ეპოლეტები კავალერიის შტაბ-ოფიცრის ყაიდისა.

[მელიტონის იგივე წერილი].

— სექტემბრის 3 ს. ნიკ. ბარათაშვილის დის სოფიოს დაბადება. ნათლია პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

[სამსახურგარეშე მყოფი შტაბს-კაპიტანი პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი, ალბათ, ის პოეტი პავლე თუმანიშვილია, რომლის რამდენიმე ლექსი შემდგომ გამოქვეყნებული იყო ჟურნ. „ცისკარში“ და მერე მოთავსებულ იქნა 1838 წელს ვასო აბაშიძის მიერ გამოცემულ „ჩანგში“].

— დეკემბრის 9—11. შეთქმულების აღმოჩენა და მასში მონაწილეთა დაპატიმრება, მათ შორის ნიკ. ბარათაშვილის მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილი-მალარაგელისა და გინეზიის მასწავლებლების დიმ. ყიფიანისა და ზ. ავთანდილიოსისა.

[გ. ზოხალიშვილი „1832 წლის შეთქმულება“, 1338 წ., ტ. I].

— დეკემბრის 17-ს. მელიტონი აირჩიეს თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად 1833—1836 სამწლეულისათვის 55 ხმით 7 წინააღმდეგ. მაშინვე იგი ერთხმად არჩეული იქნა გუბერნიის წინამძღოლის კანდიდატად.

1. ფორმ. ნუსხა;
2. საქ. ლიტერ. მუხეუმის მასალები;
3. მელიტონ იყო კართულს ენაზე განათლებული კაცი, კარგი მოლაპარაკე, ზედმიწევნით მცოდნე კართულ ლიტერატურისა. იმის სახლში ნახავდით ძველს ჩვენს სწავლულ კართელებს, იმთა შორის თითქმის ყოველდღე მელიტონთან დაიარებოდა მღვდელი ვგნატე იოსელიანი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, ორნი ძმანი ნიკოლოზ და მიხეილ ფალავანდიშვილები, სოლომონ მეითარი თარხნიშვილი, გიორგი და ალექსანდრე საგინაშვილი და ბერნი მამინდელს დროს განათლებულნი კართელებნი“.

(კ. მამაცაშვილი, ციტირ. მოგონებები).

„მისი [მელიტონის] ოჯახი ფართედ გაშლილი ოჯახი იყო და სუფრა ღონეზე გადაშტებულად მდიდარი და ნაქები მთელს ქალაქში (გენერალის ალექსანდრე საგინაშვილისაგან განაჯონი)... მის გულ-ფიცობისაგან მის სახლობას არა ერთხელ ცხარე ცრემლი უფერია და მწარე აური უჭამა. ერთხელ მაზრის მარშლად ყოფნის დროს, იმან გუბერნატორის სეკრეტარი გალანა, რომელმაც რაღაც ქალაქის მოძებნისა უარი უთხრა (ივ. კერესელისაგან განაჯონი)“.

(ი. მუხნარგია—იხ. 1922 წ., აკად. გამოც., გვ. VII).

„...[მელიტონის] სახლში წიგნი ბევრი ჰქონდათ. ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს. ჰქონდათ სხვადასხვა საკრავები: დარია, დიპლიმატი, ჭიანჭური, თარი, სანთური. ნიკომ არ იცოდა დაკერა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა“.

(ბ. ვეხიურიშვილი—იხ. 1922 წ., აკად. გამოც., გვ. 242).

**იმავე წელს:**

— მელიტონი აგროგებს მილიციას ჭარ-ბელაქნის ოკრუჯის აჯანყებულ მთიელებთან საბრძოლველად.

[ფორმ. ნუსხა].

— ქავჭავაძიანთ ოჯახი ზამთარს თბილისში ატარებს ივან კარლის-ძე დენერის სახლში „კუზნეციკი“ (მჭედლების) ქუჩაზე.

[1. ტორნაუს მოგონებანი, „რუსიკ ვესტნიკ“. 1869 წ., ტ. 79—80].

2. მჭედლების ქუჩა (რომელსაც მოგვიანოც ერქვა) ეხლანდელი პუშკინის ქუჩის გაგრძელებას შეადგენდა მუხომანის ქუჩის კუთხიდან (ამჟამად—საკოლმეურნეო სკვერის პირდაპირ). ალ. ქავჭავაძის ოჯახი იმ წლებში, როდესაც ზამთარს თბილისში ატარებდა, თავის სახლში ცხოვრობდა მთაწმინდის ქვეით. მიიღო რა მთავრობისაგან დიდი სესხი, ალ. ქავჭავაძემ დაიწყო ახალი სახლის შენობა, რომელიც ახლანდელ „ქავჭავაძის ქუჩაზე“ გამოდიოდა (იხ. ი. ეზიკოლოფოვი „ალ. ქავჭავაძის საცხოვრებელი ბინა თბილისში“—საბჭ. ხელთუხანება, 1940 წ., № 5). ხოლო დროებით იგი სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდა, სხვათა შორის, დენერის სახლშიაც].

1833

— იანვრის 1-ს. მელიტონი თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობას იქერს.

[ხეშთ ციტირ. მასალები]

— მაისი-ივნისი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ბრალდადებული და რუსეთში დაპატიმრებული გრიგოლ ორბელიანი ჩამოჰყავთ თბილისში და დატუსაღებულია ავლაბრის ყაზარმებში.

[იხ. ქვევით].

— აგვისტოს ბოლოს. ეფემია ბარათაშვილისა, გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანების დედის ხორეშანის გარდაცვალება.

[გრ. ორბელიანის 1833 წლ. 11 სექტ. და 1835 წლ. 25 დეკემბ. წერილები ზაქარია ორბელიანისადმი და გერმელტისადმი—იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“, ა. გაწერელის რედ. და შენიშვნ. ტ. I, გვ. 9 და შენ., გვ. 221].

— თბილისის გიმნაზიის დირექტორი ევერესტ გრუბერი ვილნოს სასწავლო ოლქის მზრუნველად ინიშნება; მის ადგილს იჭერს ევგ. ჰასსენ-მილლერი, რომლის ხელშეწყობა ნიკ. ბარათაშვილმა დაამთავრა გიმნაზია.

[ვ. ნოვომარიევსკი, ციტირ. ნარკვევი]

**იმავე წელს:**

— თბილისის გიმნაზიის გადატანა სასახლის ქუჩიდან (ერევნის მოედნ. კუთხე)<sup>1</sup> საკუთარ დიდ შენობაში, რომელიც აგებულ იქნა მეფის მოედანზე<sup>2</sup>.

[ვ. ნოვომარიევსკი, ციტირ. ნარკვე].

— ხელნაწერი კრებული ს შედგენა გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, დავით ყორღანოვის, დავით მაჩაბლის, გიორგი ერისთავის და მიხეილ თუმანიშვილის ლექსებისა. ტექსტები გადაწერილია მიხ. თუმანიშვილის ხელით. ნიკ. ბარათაშვილის ლექსებიდან მოთარგმნულია: „ვარდი და ია“, „ნარგოზი და ყაყაჩო“, პოემა „კავკასიური მოთხრობა“ და პირველი ვარიანტი ლექსებისა: „ვარდი და ბულბულ“ და „შემოღებება მოაწმინდაზედ“.

[I. ს. გორგაძე—ახლად აღმოჩენილი კრესტომატია და ნიკ. ბარათაშვილის ყრმობის ლექსები, ყურნ. „დროშა“, 1924 წ., № 16—17;

2. ი. ბალახაშვილი—„პუშკინის კავკასიის ტყვეს“ პირველი ქართული თარგმანი—ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 1 და „პუშკინის დღემდე უცნობი ქართველი მთარგმნელი“, ყურნ. „მნათობი“, 1937 წ., № 1—2 (იგივე—კრებულში „ა. ს. პუშკინი საქართველოში“, 1938 წ.);

3. მიხ. ხელთუბნელი—„სალიტ.-სახოგ. წარსულიდან“, გვ. 27—28;

4. 1939 წლის აკად. გამოც., გვ XVII.

5. „ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო წერა ლექსებისა. ზოგიერთი ლექსები დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი იმისი დაწერილი ლექსები დაკარგული არიან, რადგან დაბეჭდა იმათი მაშინ არ შეიძლებოდა. მე მახსოვს იმისი დიდი პოემა, რომელიც ჩემთან წაუკითხავს „ივერიელი“\*. ამ პოემაში იყო აღწერილი ჩვენი ახვედებული ცხოვრება 10, 11 და 12-ის საუკუნოებისა. ამ ლექსების გადაკეთება უნდოდა, რომელნიც ისეც მშვენიერი იყო.

ყმაწვილობაში სწავრა ზშირად სიყვარულზედ, მიჯნურობაზედ და ქალებზედ—ასრე დაუწყვიროთ ყოველივე დიდ პოეტებსაც, როცა ყმაწვილი ყოფილან\*.

(კ. მამაცაშვილი, ციტირ. მოგონებები).

6. „ლექსების შესახებდ. ისარლოვემაც განმარტა, რომ ბარათაშვილი ლექსებს სკოლაშივე სწერდათ. ბარათაშვილს ბევრი თავის ლექსები ისარლოვისთვისაც წაუკითხავს. მე ბევრისაგან გამიგია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლის“ შინაარსი

<sup>1</sup> სასახლის ქუჩა—ამჟამად კომინტერნის ქუჩა.

<sup>2</sup> ერევნის მოედანი—ამჟამად ბერიას მოედანი.



სკოლაში ყოფნის დროს დაშობადა თავშია, მე იქვე განვიძრაზე ამის დაწერა, რამდენიმეჯერ დაწერე კიდევ, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევამუშავებდი. მრავალჯერ ბარათაშვილს თავის ზოგიერთი საკუთარი ლექსებიც უარ უყვია ზოლმე, რომ ეს და ეს ლექსი მე არ დამიწერიაო. რასაკვირველია იმ შემთხვევაში, როცა უფროსნი ჰკითხავდნენ, რომ შენ ლექსებს სწერავო?\*

(ხ. მთაწმინდელი „ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 8).

— ნიკ. ბარათაშვილი მონაწილეობას იღებს გიმნაზიაში კონცერტის მოწყობაში, სწერს სატირიკულ ლექსს იმ პირთა მიმართ, ვინც აბრკოლებდა კონცერტის გამართვას და უგზავნის სატირას თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ფალავანდიშვილს; მომხდარი გამოძიების შედეგად ნიკ. ბარათაშვილი გადაიკა მელიტონის განკარგულებაში დასასჯელად.

[1. წელი—ეარაუდით].

2. 1922 წლის აკად. გამოც., გვ. XIV—XVI.

3. „...ალბათ დიდი რამ საწინააღმდეგო უნდა წერებულყო ამ ლექსში, რომ მთავრობამ ასე დიდი ყურადღება მიაქცია იმას, რომ ვერ გაეგოთ, ვისგან იყო გაგზავნილი ლექსი, ბეჭედზე დაწერილი გვარი დაემახსოვრებინათ—ეს ბეჭედი ბარათაშვილის ამხანაგის მონასტირსკისა იყო—და ერთხელ, როდესაც სასწავლებლის მებუფეტეს წიგნი მიეწერა ვილასთისაც და წიგნი მონასტირსკის ბეჭედი დაბეჭედა, ფოსტამ—რომელიც გაფრთხილებული იყო—ბეჭედი იცნო, შეტუფეტე დაიჭირა და მთავრობას წარუდგინა. იმავე საღამოს სასწავლებელში მოვიდნენ უმცროსი: ქანდარმის აფიკერი, პროკურორი, პოლიციის უფროსი. შეინიშნა ოთახში მონასტირსკი და დაუწყეს კითხვა. ამხანაგებმა კაცი აფრინეს ტატოსთან (ტატო თუმცა პანსონში იყო, ლამაზე შენ მიდიოდა). მაგრამ მთავრობამ სულ ყველაფერი შეიტყო და საქმე ასე დაბოლოვდა: მთავარ-მართებლის გოლოვინის<sup>1</sup> ბრძანებით, დამნაშავენი: ნიკო ბარათაშვილი და პეტრე ბაგრატიონი გაიგზავნენ თავიანთ მშობლებთან დასასჯელად. ამ ბრძანების თანახმად, ტატო წაუყვანეს მის მრისხანე მამას. პროცესია ამ რიგად უმდიოდა: წინ მიდიოდა დამნაშავე, იმას უკან მისდევდა გუვერნიორი და გუვერნიორს დარაჯი „როგზით“. ადვილად წარმოსადგენია, რაც დღე დადაგებოდა ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ვოლტერს თავის სატირისათვის. იმის სიხარულით, რომ შეილი სკოლიდან არ გამოურიცხეს, მამამ კინალამ სული არ ამოართვა, იმდენი სცემა“.

(ი. მეუნარგია, იჭვე).

4. „თბილისში საახნაურო სასწავლებელში ვწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და პისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამოგონია შირებით დიდკაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ზოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვხვევოდით გარს, უცბად აეუწყებდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუტდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მკვნიდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა თბილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰანონარარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადავიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქვეო, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამოგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“<sup>2</sup>.

(აკაკი წერეთელი პეტრე ბაგრატიონის სიტყვით—„ჩემი თავგადასავალი“, 1929 წ., გვ. 128).

5. გორგი მიხეილის-ძე ანდრონიკაშვილის მოგონებებში, რომლებიც გადმოცემულია პ. ცხელიძის (პოლ. კარბელაშვილი) მიერ გვხ. „ივერიაში“ [1893 წ., № 79—„ნიკოლოზ ბარათაშვილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის 4 კლასში, ნაამბობი ტატოს ნაამხანაგარის 73-წ. მოხუცის თ. გორგი მიხაილის ძე ანდრონიკაშვილისა“], იგივე შემთხვევა მოთხრობილია სხვა ვარიანტის სახით. ანდრონიკაშვილის სიტყვით, ნიკ. ბარათაშვილის ეპი-

<sup>1</sup> უნდა შევცდომა იყოს, რადგან გოლოვინი იყო მთავარ-მართებლად 1837—42 წლ.  
<sup>2</sup> პეტრე ბაგრატიონის ნაამბობის ერთი სხვა ვარიანტი იხ. უფრ. „მწყემსი“, 1898 წ., № 5-6.

გრამა მიმართული იყო ბარონ როზენის წინააღმდეგ, რომელმაც გასცა განკარგულება მოგონდინათ გამოძიება. როდესაც გამოიარკვა ნიკ. ბარათაშვილის „დანაშაული“, იგი ორი კვირით კარცერში თურმე ჩასვეს და შემდეგ გაწვიკეს საჯაროდ შობილებსა, გინაზიელებისა და მასწავლებლების თანდასწრებით. ამასთანავე, მელიტონი თურმე გაიძახოდა „მეგრა დაჰკათ მაგ საძაველო!“ დედა-კი იხვეწებოდა—აბატეთო. ტატო-კი ამხნევებდა დედას—მე ამით ვერ მომკლავენ და ენას ვერ მომჭირანო (შეადარ. გურიელის ნაამბობს ორი კვირით დაპატიმრებანე). ამ მოგონებებზე ჩვენ ყურადღება მიგვაქცევინა გიორგი ლეონიძემ).

— ნიკ. ბარათაშვილის განხრეკა, რასაც მოჰყვა ორი კვირით დატუსაღება აკრძალული შინაარსის ეპიგრამების გავრცელებისათვის.

1. წელი ვარაუდით.

2. ზაქ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს ამ შემთხვევას გრ. გურიელის სიტყვით.

(ხ. ჭიჭინაძე, „სოლომონ დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 17).

3. იმავე წიგნში მოყვნილია რამდენიმე პირის დამოწმება, რომელნიც ადასტურებენ ნიკ. ბარათაშვილის მონაწილეობას 1832 წლის შეტემულებაში, მაგალითად, ვინმე გრიგორიევს, რომელსაც ხელქვეითადაც ერთ დროს ნიკ. ბარათაშვილი მსახურობდა სასამართლოს და განიხიბების ექსპედიციაში, უამინია ზაქ. ჭიჭინაძისათვის, ვითომც პოეტის ხშირად დიარებოდა სოლო. დოდაშვილთან და თბილისში გადმოსახლებულ პოლონელ პროფესორებთან<sup>1</sup>, და ვითომც „ნიკ. ბარათაშვილის დიდი ამხანაგი იყო ფილადელფოს კონამეც. ვანა არა ნიკ. ბარათაშვილს თავის მამაც კი ხშირად ეტყობდა ხოლმე, რომ სოლო. დოდაშვილს და კონამეც ბერს თავი გაანებებ, თორემ შენ გაითოკებო“ (გვ. 13). ზაქ. ჭიჭინაძის ცნობით, თითქმის დოდაშვილს ნიკ. ბარათაშვილი ფარულ საზოგადოებაში მიღებულიც კი ჰყავდა და იგი ყოველდღე დიარებოდა დოდაშვილთან ან შინ, ან „თბილ. უწყ.“ რედაქციაში, ან და სტამბაში<sup>2</sup>.

პოეტი ვახტანგ თაბულიანის სიტყვების მიხედვით ზაქ. ჭიჭინაძე მოგვიხიბრობს, რომ „ნიკ. ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლო. დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო მან მამულიშვილური მიმართულება. თუ სოლო. დოდაშვილი არ ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკ. ბარათაშვილი ყოფილიყო. ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სამთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ქართველი ერის წინაშე იწოდა“ (გვ. 15.)

— ივნიისის 7-ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის დავითის დაბადება. ნათლია-დავით აფხაზი. მოწმე—კოლ. ასეს. იერონიმე ალექსიევი.

[შტაბს-კაპიტანი დავით აფხაზი—მეამულე იყო სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანაზში]

1834

— ივნიისის 17-ს. ნიკ. ბარათაშვილის დის სოფიოს გარდაცვალება ქლექისაგან.

— იელი სი. ეფემია ბარათაშვილის ბიძაშვილის ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალება.

[ხაქარია ორბელიანის წერილი გრიგოლისადმი 1834 წლ. 23 სექტემბ.,—საქ. მუზეუმის ხელნ. განკ., გრ. ორბელიანის არქივი].

— ეკატერინე ჰაჰკავაძის (დედითურთ) ჩამოსვლა წინანდლიდან თბილისში, მისი ბიძის ლუარსაბ ორბელიანის გარდაცვალების გამო.

[იგივე წერილი].

იმავე წელს:

— ნიკ. ბარათაშვილმა ფეხი მოიტეხა.

<sup>1</sup> ხ. ჭიჭინაძის სიტყვით, დოდაშვილის სტამბა დაარსებულია 1828 წელს („თბილ. უწყება“ გამოდის 1829 წლიდან). მისივე ცნობით, სტამბა, რედაქცია და დოდაშვილის ბინა მოთავსებული იყო ახლანდელ რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ახლა რუსთაველის თეატრის შენობაა.

[წელი—ვარაუდით: გრიგოლ ორბელიანი 1835 წლ. 25 ივლისის წერილში (იხ. 1922 წლ. აკად. გამოც. დანართი) ეკითხება თავის ძმა ზაქარიას, კოკლეობს თუ არა ჯერ კიდევ ტატო და რასა სწავლობსო. წერილის ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ნიკ. ბარათაშვილის ჩამოვარდნა თითქო იმ ხანებში უნდა მომხდარიყო. ხ. მთაწმინდელის გაცილებით უფრო გვიანი ცნობით („ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 7), ბარათაშვილმა ორივე დეხი მოიტეხა კიბიდან ჩამოვარდნის დროს 1832 წელსაო. „ბოლოს დიდი წამლობით მოუჩჩინიათ“].

— ილია ორბელიანი ფეხი მოიტეხა.

[გრიგოლ ორბელიანი 1834 წლ. 16 მაისის წერილში (იხ. გრ. ორბელიანის „წერილები“, ტ. I, გვ. 12) ეკითხება ილიას—ფეხი როგორ გაქვს, ხომ არ კოკლეობ]

— ეურ. „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“-ს I-ლი №-ის გამოშვება.

— დაწერილია ლექსი (საბოლოო ვარიანტი) „ბულბული ვარდზედ“.

[საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფ. № H-2701 მიხედვით დაწერილია 1833 წლ. 18 იანვარს—იხ. 1839 წლ. აკად. გამოც., გვ. 116]

— გრ. ორბელიანი უძღვნის თავის და ეფემიას ლექსს „ჩემ დას ეფემიას“.

— ქაიხოსრო ორბელიანმა სხვა ორბელიანების სახელით აღძრა მელიტონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, ბრალად დასდო რა, რომ როდესაც მელიტონი, როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლი, საჯარო ვაჭრობას აწარმოებდა მათ მამულზე, მან მიეკრძებოდა დააფასა მამული, შეარჩია რა დამაფასებელი კომისიის წევრებად ორბელიანებისადმი მტრულად განწყობილი პირები, და აგრეთვე რომ, იგი ითვისებდა ორბელიანთ დაგორავებული მამულების შემოსავალს. საქმემ სენატამდე მიიღწია, მაგრამ სენატმა მელიტონი გაამართლა. [საქ. ლიტერ. მუზეუმის მასალები].

1835

— იანვრის 25-ს. მელიტონი შეუდგა გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობათა აღსრულებას. შემდეგშიაც იგი არა ერთხელ ასრულებდა ამ მოვალეობებს კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკის ავადმყოფობის ან სხვაგან ყოფნის დროს.

[ფორმ. ნუსხა].

— იანვრის ბოლო—თებერვალი. მელიტონის შიშმედ დაავადება. თებერვლის ნახევარში მდგომარეობა აითქმის უიმედოა. ავადმყოფობა ზაფხულამდე გრძელდება.

[1. ზაქარია ორბელიანის 1835 წლ. 18 თებერვ. წერილი გრ. ორბელიანისადმი—იხ. ი. ბალაზაშვილი „სამი შენიშვნა“—„ლიტ. საქართვე.“, 19:9 წ., № 19;

2. გრიგ. ორბელიანის 1835 წლ. 11 აპრ. წერილი ზაქარიასადმი დაბა ბირჟიდან—იხ. „წერილები“ ტ. I, გვ. 27;

3. იგივე—მასვე 1835 წლ. 25 ივლ.—იხ. 1922 წლ. აკადემ. გამოც., გვ. 242—243].

თებერვლის 10-ს. ქორწილი ზაქარია ორბელიანისა და ანჩისხატის ტაძრის დეკანოზის დიმიტრი ალექსეევ-მესხიშვილის ქალის ქეთევანისა (1812—1891).

[ზაქარია ორბელიანის 1835 წლ. 18 თებ., 12 მარტის და აპრილის წერილები გრიგოლისადმი; გრ. ორბელიანის 1835 წლ. 11 აპრ. წერილი ზაქარიასადმი—იხ. ი. ბალაზაშვილი—„სამი შენიშვნა“, გრ. ორბელიანის „წერილები“, ტ. I, გვ. 27; შენიშვ., 231 გვ.].

— მარტის დასაწყისი. მელიტონის ავადმყოფობის კრიზისის პერიოდმა გაიარა.

[ხაქ. ორბელიანის 1835 წ. 12 მარტი წერილი გრიგოლისადმი—საქ. მუზეუმის ხელნ. განკ, გრ. ორბელიანის არქივი].

— მარტ-აპრილი. საუბარი მელიტონისა შვილთან ამ უკანასკნელის მომავალის თაობაზე. შვილი სთხოვს მამას ან სამხედრო სამსახურში გაგზავნას ან უნივერსიტეტში. მამა არც იმაზე დაეთანხმა, არც ამაზე,

[ვარაუდით.

ნიკ. ბარათაშვილის 1837 წლ. თებერვლ. წერილი გრიგოლისადმი].

— აპრილ-მაისი. მელიტონის დაჯილდოება მე-3 ხარისხის სტანისლავის ორდენით შთიელთა წინააღმდეგ 1832 წლის სამხედრო ოპერაციებში წარჩინებისათვის.

1. გრ. ორბელიანის 1835 წლ. 4 ივნ. წერილი ხაქარასადმი—ხ. „წერილები“, ტ. I, გვ. 32;

2. გ. ნადირაძე „ბარათაშვილი“, 1839 წ.].

— მაის-ივნისი. ხელნაწერი ჟურნალის „თბილისის გიმნაზიის ყვავილი“-ს (Цветок Тифлисской гимназии) 1-ლი №-ის გამოშვება პოპულარული „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“-ს მსგავსად. რედაქტორი—მიხ. ბეშუთოვი; გამომცემელი მიხ. თუმანიშვილი; თანამშრომელი (ალფაბეტის მიხედვით): იასე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ ბეშუთოვი, ბ. ბეჟანოვი, გარსევან ევრამოვი, ეგორ ვილემს, გიორგი გასპაროვი, ა. იზიუმსკი, ალექსანდრე მონასტირსკი, ლევან მელიქიშვილი, დანიილ პოდორ(?)?, ივანე ტიტკოვი, მიხ. თუმანიშვილი, მირიან ჭყონია (ჩყონიეე).

ჟურნალი რუსულ ენაზე იყო. გამომცემელი, რედაქტორი და თანამშრომელი—თბილისის გიმნაზიის მე-5—7 კლასის მოწაფენი იყვნენ.

— სექტემბერი ოქტომბერი. ნიკ. ბარათაშვილი გიმნაზიის კურსს ამთავრებს.

[დმ. ყიფიანი 1865 წლ. 5 აპრილის წერილში შვილისადმი, საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში რომ ინახება („ლიტ. მატ.“ 1940 წლის წიგნი I, გ. ლეონიძის პუბლიკაცია). სხვათაშორის ამბობს, ნიკ. ბარათაშვილს გიმნაზია არ დაუშთავრებიაო. გ. ანდრონიკაშვილიც (ციტირებული ნაამბობი—გახ. „ივერია“, 1893 წ., № 79) ამტკიცებს, ვითომც „...[1833—1834 წ.წ.] ტატომ შეუგდო [გიმნაზიის] აივანზე ბარ. როზენს სამასხარო ნახატი, რომელშიდაც ბარონი აბუხად იყო ადგიუფლი. ეჭვკ მიიტანეს ტატონზე და ამისათვის გამოირიცხეს სასწავლებელიდან... გაამწესეს მწერლად საჯებრნიო სამმართველოში“.

ყიფიანის და ანდრონიკაშვილის სიტყვები ეწინააღმდეგება ფაქტებს, სახელდობრ:

1. თვით პოეტი თავის 1837 წლ. თებერვლის წერილში გრ. ორბელიანისადმი ამბობს: „აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე“. ამ სიტყვებს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გიმნაზიის გათავების დროს გამოსარკვევად.

2. ლუკა ისარლიშვილი თავის მოგონებაში ნიკ. ბარათაშვილზე, იონა მეუნარგიას რომ აქვს ჩაწერილი (სოლ. ციციშვილის პუბლიკაცია—ლიტ. საქართვე., 1938 წ., № 25 და „ლიტ. მატ.“, 1940 წ. წ. I) ამბობს, რომ ბარათაშვილმა დაასრულა გიმნაზიის კურსი მასთან ერთად, თუმცა ისარლიშვილი შეცდომით დამთავრების დროს 1834 წელს აუთვინებს.

კონსტ. მამაცაშვილის (ციტირ. მოგონ.) იხსენიებს პოეტის მიერ გიმნაზიის გათავებას 1835 წელს. იხ. აგრეთვე მისი სიტყვა 1881 წ., 29 სექტ. თბილისის გიმნაზიის არსებობის 50

წლის თავის აღსანიშნავად გამართულ სახეიშო სადილზე: „... ნიკოლოზ მელიტონის-მე თავადმა ბარათოვმა ამ გიმნაზიაში დაამთავრა კურსი 1835 წ.“. (კრებული - ვ პაპიატ 50-ტილეტია 1-თი ტიფლ გიმნაზია, 1881 წ., გვ. 4)

მ. ნიკ. ბარათოვილის მიერ სასამართლო და განჩინების ექსპედიციაში შესვლის დროს (იხ. ქვევით—1836 წ.) წარადგენილ დოკუმენტებს შორის აღნიშნულია „ატეტატაჲ ი ნა-უჟან იხ სოვეტა ტიფლისკოი გიმნაზია“, ატეტატები ეძლეოდათ მართლად მენიერებათა სრულ კურსს და მთავრებულ პირთ, ზოლო შვიდ-კლასიანი კურსის დამთავრებამდე გიმნაზიიდან გამოსულთ ეძლეოდათ მხოლოდ მოწმობა აქდენ და ამდენი კლასის გავლია თაობაზე).

— **ოქტომბრის 25-ს.** ნიკ. ბარათოვილთან ერთსადამივე კლასში მყოფი ლევან მელიქიშვილი იღებს გიმნაზიის გათავების ატეტატს. მელიქიშვილს გაუვლია გიმნაზიაში შემდეგი საგნები: სალეთოსჯული და საღმრთო ისტორია; რუსული გრამატიკა და სიტყვიერება; რიტორიკა; ლოგიკა; ზოგადი ისტორია და გეოგრაფია; მათემატიკა კონუსურ კვეთამდე; ფიზიკა; ხატვა და ხაზვა; ფრანგული, გერმანული, ქართული და თათრული ენები.

ვინაიდან ცნობილია, რომ ლ. მელიქიშვილმა გიმნაზიის კურსი ნიკ. ბარათოვილთან ერთად დაამთავრა, მაშასადამე უნდა დავასკვნათ, რომ იგივე საგნები გაიარა ნიკ. ბარათოვილმაც.

[1. ლ. მელიქიშვილის ატეტატის ასლი ინახება საქართვე. ლიტ. მუზეუმში;

2. ი. მუნარგია ლ. მელიქიშვილის სიტყვების მიხედვით—1922 წლ. აკად. გამოცემა, გვ. XVI].

— **ნოემბერი-დეკემბერი.** „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ მე-4 ნომერში ნიკ. ბარათოვილის სტატიები და შენიშვნები, „პისმო იხ დერეენი“; „ო პაპსკოიხ ვლასტი“ — I. ვოზნიშენიე პაპიზმა, II. ოპადენიი ეგო. იპავე ნომერში მოთავსებულია სარგის თმოგველის ქართული რომანის „ვისრამიანი“-ს ნაწყვეტი, ნიკ. ბარათოვილის მიერ თარგმნილი.

[„ვისრამიანი“-ს თარგმანზე იხ.:

1. მიხ. ხელთუბნელი—„სალიტ. საზოგად. წარსულიდან“, 1938 წ., გვ. 42-43;

2. ა. გაწერელია—„ლიტერატურული ძეგანი“, ნარკვევები, 1938 წ., გვ. 199—210].

— **წლის უკანასკნელი ქვარტალი.** ნიკ. ბარათოვილი შედის საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის სამსახურში.

ვარაუდით).

სამსახურში მისაღებად საჭირო დოკუმენტები პოეტს წარუდგენია დეკემბრის ბოლოს (ეს დოკუმენტები სასამართლოს და განჩინების ექსპედიციას გადაუგზავნია აღმასრულებელ ექსპედიციაში 1836 წლ. იანვრის 3-ს; იხ. ქვევით 1836 წ.). ნიკ. ბარათოვილის სამსახურში მიღება გაფორმებულია 1836 წელს, მაგრამ არსებობს საფუძვლები, ვიფიქროთ, რომ ფაქტიურად მას მუშაობა სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში დაუწყია გიმნაზიის გათავების ახლა ხანში და ორი სამი თვე უმუშავნია გაუფორმებლად. ამას მოწმობს:

1. თვით პოეტის სიტყვები 1837 წლ. თებერვლის წერილში გრ. ორბელიანისადმი: „აგერ წელიწად ნახევარია რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში“;

2. სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის 1836 წლის იანვრის 3-ის თარიღისა და 10 №-ის მიმართვაში აღმასრულებელი ექსპედიციისადმი ნათქვამია, რომ ნიკ. ბარათოვილი „აცხადებს სურვილს განაკრძოს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამოქალაქო სამსახური ამა ექსპედიციაში კანცელარიის მოხელეთა რიცხვში“. შემდგომ მიწერილ-მოწერილ ნახშირი სიტყვა „გაწესება“ („ორკედლენიე“ სამსახურში, თანამდებობაზე) გულისხმობს ფორმალურსა და

არა ფაქტობრივ მომენტს. ასეთი ხარვეზი სახელმწიფო მოსამსახურის ნამდვილად სამსახურში შესვლის დროსა და ფორმალური ჩარიცხვის დროს შორის (გამოცდის ვადა) ჩვეულებრივი აბაჯი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ თვით ფიციტ კი (სამსახურში ჩარიცხვის ერთერთი ძირითადი მომენტთან) მიუღებინებიათ პოეტისათვის მხოლოდ 1836 წლის ივლისში და მაშინვე ჩამოურთმევიათ ხელწერილი, რომ იგი საიდუმლო სახვადაფებათ არ ეყუთენის,—ე. ი. ნახევარ წლის შემდეგ, რაც მოხდა სამსახურში მისი ოფიციალურად ჩარიცხვა; იხ. ქვევით 1896 წ. I.

— დეკემბრის 24-ს. საქართველო-იმერეთის სინოდალური კონტორი აძლევს ნიკ. ბარათაშვილს მეტრიკულ მოწმობას დაბადებისა და მონათვლის თაობაზე.

[აღმასრულებელი ექსპედიციის ციტირ. საქმე № 6960/10, ფურც. 5].

— დეკემბრის 27-ს. მელიტონ აირჩიეს თბილისის თავად-აზნაურობის წინამძღოლად 1836—1839 სამწლეულისათვის 67 ხმით 1 წინააღმდეგ და გუბერნიის წინამძღოლის კანდიდატად 200 ხმით 17 წინააღმდეგ.

**იმავე წელს.**

— დაწერილია ლექსი „ქეთევან“

[გ. აბზიანიძე, „ნიკ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი“—იხ. „ლიტერ. მატიაბე“, 1940 წ., წ. I].

თბილისის გიმნაზიის აღარ აქვს პრივილეგიური ხასიათი, მასში შესვლა შეუძლიანთ ყველა თავისუფალი წოდების პირთა შვილებს. განზრახულია გაიგზავნოს რუსეთს, უნივერსიტეტებში, ხუთი საუკეთესო მოწაფე იმ პირობით, რომ მათ შემდეგ იმსახურონ ამიერკავკასიის მხარეში მასწავლებლებად არა ნაკლებ ექვსი წლისა, ხოლო ათი მოწაფე—კადეტთა კორპუსში.

გრიგოლ ორბელიანი, როგორც ჩანს ამ განზრახულებასთან დაკავშირებით, ურჩევდა მელიტონს ეთხოვნა მთავარმართებელ როზენისათვის, რათა მისი შვილი გაეგზავნათ სახელმწიფო ხარჯით დოპატის უნივერსიტეტში.

[1. ვ. ნოვომ. რივესკი. „თბილისის 1-ლი გიმნაზიის 50 წლისათვის მოკლე ნარკვევი“, იხ. გახ. „კავკაზი“, 1881 წ., № 226;

2. გრ. ორბელიანის 25 ივლისი; (1835 წ.) წერილი რივიდან ზაქარიასადმი—იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. 242—243;

3. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ სკოლაში კარგათ სწავლობდა, უმეტესად განსხვავებული იყო ამხანაგებში თავისი მზარდულის ხასიათით, სიპარდით, პირველი მოტანცევე იყო, საკუთრად ლექტურისა, ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“.

(კ. მამაცაშვილი, ციტირ. მოგონებები).

4. „[ლუკა ისარლიშვილმა განმარტა რომ ბარათაშვილი მეტის-მეტე მოტანცევე იყო, მოთამაშე მარდი, ცქვიტი, დიდი ნაუიერი... სკოლაში ერთბაშე კარგათ სწავლობდა. სკოლის სხვა თავის ამხანაგებში პირველი იყო. მეორეს გარდმოცემით, სკოლაში ქართული წერა-კითხვა ჰყვარებია“.

(ხ. მთაწმინდელი, „ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 7).

5. „ჩვენე ქართულის ოსტატები იყვნენ სოლ. დოდაცი (დოდაშვილი) და ეგრემ აღექსევე-მესხივე. ყველა ლექსს მე მიკითხავდა. ხნით მე უფროსი ვიყავი. ვეკაზულობდით „ვეფხისტყაოსანს“ და მთელი ადგილები ზეპირად ვიცოდით, აგრეთვე „ვისრამიანი“, ჩახრუხაძე, ალ. ჰაგვაძის ლექსები“.

(ლუკა ისარლიშვილი—იხ. სოლ. ცაიშვილის პუბლიკაცია „ლიტ. საქ“, 1938 წ., № 25)

6. „დოდაშვილის შემდეგ დოპატისას იმისევი წიგნით ასწავლიდა ყორღანოვი, კაცი დიდად უნიკო. ანისი უბედურება ის იყო, რომ დოპატისას მარტო ზნაშვილის იცოდა, ამის გამო მთელი წელიწადი სულ ამას იძახდა: „ზნაშვილის გაიკვეთეთ“, „ზნაშვილის გაიკვეთეთ“ და შვირდებიც სულ ზნაშვილის ზეპირობდენ (ი.სე ანდრონიკაშვილისაგან გაგონილი). ეს პატროსანი კაცი

რუსულ ენას ასწავლიდა დაბალ კლასებში, იმ „რაზლოვორების“ საშვალეებით, რომელშიაც მთელი ფრაზები იყო დაბეჭდილი რუსულ-ქართული ... რუსულ ღრამატიკას და ენას ასწავლიდა მაღალ კლასებში მასწავლებელი დემენტიევი... რასაც გვესწავლიდა, ისე კარგად გვესწავლიდაო, სთქვა ლუკა ისარლიშვილმა, თითქო პირში ლუკმას გვიდებდაო... მეტადრე კარგად კითხულობდა თურმე ეს მასწავლებელი მიცკევიჩის ლექსს „ფარისს“, რუსულად ნათარგმნს“.

(ი. მეუნარგია—იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XI-XII).

7. „სხვაზე უფრო დაწინაგებული იყო ბარათაშვილი ტანცაობითაც. სასწავლებელს ჰყავდა ტანცების მასწავლებელი და ჰქონდა საკუთარი ტანცკლასი. ყოველ შაბათობით მოდიოდა სასწავლებელში ოსტატი აღდადანიოვი, რომელიც სხვათაშორის ლეკურსაც ასწავლიდა. ბარათაშვილი პირველი მოტანცავე იყო და უპირველესი მოლექსურე თემაჲ მესამე კლასში იყო თუ მეოთხეში“ (იქვე გვ. XII).

— ცალკეული ეპიზოდები, რაცნიკ, ბარათაშვილის გიმნაზიაში ყოფნის პერიოდს ეკუთვნის, აწერილი აქვს იონა მეუნარგიას (ინციდენტა ფიზიკის მასწავლებელ შესტაკოვთან და გიმნაზიელ გარსევან ვარლამოვთან, რომელსაც „ევგენი ონეგინი“ ქართულად უთარგმნია—იხ. 1922 წლის აკად. გამოც. გვ. XII—XIII), აგრეთვე ი. ქუონიას თავის მოგონებებში („კრივი“ გიმნაზიაში და ნიკ. ბარათაშვილის დამოკიდებულება უმცროს ამხანაგებთან—იხ. „ჩემი დღე და სოფელი“—„მნათობი“, 1932 წ., № 5—6).

#### 1836

— იანვრის 2-ს. მელიტონის დამტკიცება მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე 1836—1839 სამწლეულისათვის.

[ფორმა ნუსხა].

— იანვრის 3-ს. საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიცია აცნობებს იმავე მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას, რომ ნიკ. ბარათაშვილი „აცხადებს სურვილს განაგრძოს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის სამოქალაქო სამსახური ამა ექსპედიციაში კანცელარიის მოხელეთა რიცხვში“ და ამიტომ სასამართლოს და განჩინების ექსპედიცია უგზავნის აღმასრულებელ ექსპედიციას მის დოკუმენტებს და სთხოვს თანხმობას ბარათაშვილის „განწყესებაზე“.

პოეტის მიერ წარდგენილი იყო ასლი საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ოქმისა მელიტონის თავადობის ღირსებაში ცნობის თაობაზე, მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლის შესახებ და ატესტატი.

[ციტირ. საქმე № 6900  
10, ფურც. 2].

— იანვრის 11-ს. აღმასრულებელმა ექსპედიციამ, მოცმინა რა ნიკ. ბარათაშვილის საქმე, განკარგულება გასცა მისი განწყესების თაობაზე სასამართლოს და განჩინების ექსპედიციაში კანცელარისტის წოდებით.

ამასთან ერთად აღმასრულებელმა ექსპედიციამ დაადგინა გადახდეს ბარათაშვილს ორი მან. სპილენძად, რადგანაც მან თავისი თხოვნა დაწერა არა ღერბიან ქაღალდზე, არამედ ორ თაბან უბრალო ქაღალდზე, გაიგზავნოს ეს ფული თბილისის ხაზინაში და ეცნობოს ეს სახაზინო ექსპედიციას.

[იგივე საქმე, ფურც. 3,4].

— იანვრის 16-ს. ნიკ. ბარათაშვილის გამდელს მიასს, ნონია ზაგრაშვილის ქალს, დაებადა არაკანონიერი ქალი მარიამი, რომელიც მონათლეს 18

ინვარს: ნათლიები იყენენ პრაბორაშჩიკი დავ. ივ. სულხანიშვილი და გუბ. სეკ-რეტ. ვასილ მათევიჩის ცოლი—ბარბარე არტემას ასული.

მარიამის მამა, როგორც ჩანს, მელიტონი იყო.

[არკ. ზუნდაძე „ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის“—გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. № 59].

— ი ა ნ ვ ა რ - თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ე უ რ ნ. „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ უკანასკნელი რვეულის (№ 5) გამოშვება.

— მ ა რ ტ ი ს 1 4 -ს. ნიკ. ბარათაშვილის დის ელენეს დაბადება.

— ა პ რ ი ლ ი ს 15-ს. ელენე ბარათაშვილის ნათლობა. ნათლია—ქეთევან ყაზბეგი, საგინაშვილის ასული. მოწიებები: დეკანოზი ეგნატე იოსელიანი, ზაქარია ორბელიანი, კავიტანი გიორგი საგინაშვილი—ნიკ. ბარათაშვილის ბიძაშვილი მამის მხრივ.

— მ ა ი ს ი. ნიკ. ბარათაშვილის პირველი სატრფიალო გატაცება ნინოთი.

[1. ნიკ. ბარათაშვილის 1837 წლ. თებერვლ. წერილი გრიგოლისადმი;

2. ლექსები „ძია გ... სთან“, „ღამე ყაბახედ“;

3. „... პირველი მისი [ნიკ. ბარათაშვილის] სიყვარული იყო ნ. ო.-ის ქალი, რომელსაც უძღვნა ლექსი:

მიყვარს თვალები, მიბნედილებო...<sup>1</sup>

მაგრამ მიიღო თუ არა იმან ნაცვალი გრძნობა ამ ქალისაგან, არავინ იცის“.

(ი. მეუნარგია—იბ. 1922 წ. აკად. გამოცემა. გვ. XXVII).

4. ნინოს ვინაობა ამოუცნაბელი რჩება. ი. მეუნარგია წერს (იქვე, გვ. XLIII): „ერთი შესამედი ბარათაშვილის ლექსების არის ნაყოფი სიყვარულისა და მშვენიერებისა. გვატყობინე ჰავკავაძისა, ნ ი ნ ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა, ნინო გრიბოედოვისა, მისი დედინა და სხვანი ერთი ერთხანეთუე უკეთესნა—შეადგენდნენ მისთვის დაუღლებელს წყაროს პოეზიისას“. „არ ვიცი—წერს ლევ. ძელიქიშვილი გრიგოლ ორბელიანს (ი. ბ.-ის პუბლიკაცია ეურნ. „მნათობში“)—იცი თუ არა, რომ პირველი სიყვარული საწყალისა [ნიკ. ბარათაშვილისა] იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ არა, რომელი ნინო იყო“.

— მ ა ი ს - ი ე ნ ი ს ი. ალექსანდრე ჰავკავაძის დედის მარიამის სიკვდილი. მანანა ორბელიანი წინანდალში.

[ალექსანდრე ჰავკავაძის 1836 წლ. 22 იენისის წერილი ფალავანდოვისადმი, პეტერბურ-გიდან თბილისს—იბ. ი. ბალახაშვილი „სამი შენიშვნა“—„ლიტერ. საქართვ.“, 1939 წ., № 19].

— ი ე ნ ი ს ი ს 2 1 -ს. „ზაკაკ. ვესტნიკის“ გამოცემა თბილისში.

[კავკ. კალენდ. 1852 წლ.]

— ი ე ლ ი ს ი ს 4-ს. ნიკ. ბარათაშვილი (.კანცელარისტ კნიაზ ნიკოლაი ბარათოვ“) აძლევს სასამართლოს და განჩინების ექსპედიციას სახელმწიფო სა-სახურში შემსვლელ პირთათვის დაწესებულ ხელწერილს:

„1836 წლის ივლისის 4 სა დღესა მე, ქვემოთე ამისა ხელისმომწერელი, საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციას მივეცი ესე ხელწერილი მასზედ, რომ როგორც აქამდე არ ვკუთნებდით, ისე ამიერიდან არ ვეკუთნებები საიღუმლო საზოგადოებათ.

კანცელარისტი ნიკოლოზ ბარათოვი“

<sup>1</sup> ხალო ლექსი „მიყვარს თვალები“ დაწერილია მხოლოდ 1842 წელს. მამასადამე, ეს ლექსი ან ნიკ. ბარათაშვილის პირველ გატაცებას არ ეხება, ან და არსებობდა კიდევ პირვან-დელი ვარიანტი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.



ხელწერილის მიცემას დაესწრნენ ექსპედიციის უფროსი და მრჩეველ გავრილენკო და თუმანიშვილი.

იმავე დღეს სასამართლოს და განჩინების ექსპედიციამ გადაუგზავნა ნიკ. ბარათაშვილის ხელწერილი და ცნობა ფიცის მიღებაზე აღმასრულებელ ექსპედიციას.

[იგივე საქმე № 6960  
10, ფურც. 5,6;

გავრილენკო ანუ გავრილენკოვი—მოხელე, რომელიც დიდხანს მსახურობდა კავკასიაში და რომელმაც აქვე ცოლად შეირთო გვატერინე მელიქიშვილისა, იგი გარდაიცვალა დაახლოებით 1841 წელს.

თუმანიშვილი გიორგი შიოს ძე, შვილაშვილა მე-XVIII საუკ. ბოლოს და მე-XIX საუკ. დასაწყისის სახელმწიფო მოღვაწის მდივნის სულხანისა.

სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის უფროსად მოჰლად იმ ხნის განმავლობაში რაც იქ ნიკ. ბარათაშვილი მსახურობდა იყო ვასილი ივანეს ძე ილინსკი (1789—1845), რომელსაც ცოლად ელითრიშვილების ქალი ჰყავდა. ექსპედიციის უფროსის თანამდებობა მას ეკირა 1823 წლიდან 1844 წლამდე, როდესაც გადაყენებულ იქნა თანამდებობისაგან იმის გამო, რომ ერთერთმა მისმა მოხელეთაგანმა სამსახურებრივი დაუდევრობა ჩაიდინა.

ქ. თბილისის მუხეშმის დირეკტორის ნ. ბადრიაშვილის ცნობით, სასამართლოს და განჩინების ექსპედიცია მოთავსებული იყო 1840 წლამდე გიორგი მე-XIII ყოფ. სასახლეში სალაცხოსთან (ამჟამად ბებელის სახელობის შესახვევში).

— ი ვ ნ ის - ა გ ვ ის ტ ო. ნიკ. ბარათაშვილი ესტუმრა თავის მამიდაშვილს ქეთევან საგინაშვილისას ყაზბეგთა მამულ სტეფანწმინდაში საქართველოს სამხედრო გზაზე.

[1. წელი სავარაუდოა, თანახმად ი. ბალაბაშვილის მიერ გამოთქმულა მოსახრებისა მის სტატიაში „ნ. ბარათაშვილი და ყაზბეგი“—იხ. „ლიტერ. საქართვ.“, 1933 წ., № 25;

2. სოფოი თარხნიშვილი, „მოგონება“—ქურონ „მნათობი“, 1927 წ., № 8—9].

— ო ქ ტ ო მ ბ რ ის ნ. ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის დავითის სიკვდილი ქლექისაგან.

— ო ქ ტ ო მ ბ რ ის 24-ს. აღმასრულებელმა ექსპედიციამ მოისმინა დაწერილებითი მოხსენება სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის სამსახურში ნიკ. ბარათაშვილის განწესებაზე, ფიცის მიღებაზე და ხელწერილის ჩამორთმევაზე და დაადგინა—ეცნობოს ეს სენატის საგეროლდო დეპარტამენტს.

[იგივე საქმე 6960  
10, ფურც. 7]

— ო ქ ტ ო მ ბ რ ი. მელიტონის მძიმე ავადმყოფობა, რაც გავრძელდა არა ნაკლებ 5—6 თვისა.

[ეფემია ბარათაშვილის 1837 წლ. 1 მარტ. წერილი გრ. ორბელიანისადმი—იხ. ი. ბ., იგივე პუბლიკაცია ქურონ. „მნათობი“].

— ნ ო ე მ ბ რ ის 28-ს. აღმასრულებელი ექსპედიცია 21022 № ის პატაკით მოახსენებს სენატს ნიკ. ბარათაშვილის სამსახურში შესვლის გარემოებით

[იგივე საქმე 6960  
10, ფურც. 8].

იმავე წელს:

— დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი ა ლ ე ქ ს ი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (1833—1836).

— დ ა წ ე რ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ე ბ ი: „ხმა იღუმალი“, „ძია გ...თან“, „ღამე ყაბახზედ“.

ქვაბანი—უხარმახარი უშენი ადგილი იყო ორბელიანთა აულის (უბნის) წინააღილი სასერო, სხვადასხვა სათამაშოებისა, ჯიროთისა და პარადებისათვის (ყაბახის ნაწილებს მა- დათოვის მოედანი და ალექსანდრეს მოედანი ერქვა).

წარსული საუკუნის 50-იან წლებში ყაბახის ადგილას გააშენეს ალექსანდრეს ბაღი—ამ ვამად კომუნართა ბაღი.

ყრმობისას ნიკ. ბარათაშვილი ხშირად დასერილობდა ყაბახზე გრიგოლ ორბელიანთან ერთად, რომელთანაც თითქმის ყოველდღე დადიოდა სასწავლებლიდან და გიმნაზიიდან. იქვე, ყაბახზე, ნიკ. ბარათაშვილი მონაწილეობას იღებდა ბურთაობასა, რბენასა და დოღში. ერთ- ხელ ცენმა გადმოგადო კიდევ, მაგრამ არაფერი დაშვებია, გარდა მცირედი ტყენისა.—იხ. ხ. მთაწინდელი „ნიკ. ბარათაშვილი, გვ. 6. ყაბახთან ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების შესახებ იხ. გ. აბზიანიძე „ყაფლან ორბელიანი ნ. ბარათაშვილის პოეზიის პერს. ნაწი“—„ლიტ. მატ.“ 1940 წ., № 11.

1837.

— ი ა ნ ვ ა რ ი . აღმასრულებელი ექსპედიცია აღგენს ნიკ. ბარათაშვილს პირველ ჩინზე—კოლლექსი რეგისტრატორისას.

[თარიღი სავარაუდოა.

1. ნიკ. ბარათაშვილის 1837 წლ. თებერვლ. წერილი გრ. ორბელიანისადმი.

2. ამიერკავკასიის სასწავლებლების 1835 წლის დებულების თანახმად, გიმნაზიაში მეც- ნიერებათა კურსდამთავრებულნი იმენდნენ მე-XIV კლასის ჩინის უფლებას (კოლლექსი რე- გისტრატორი—რანგების ტაბელის მიხედვით პირველი ჩინი იყო) სამსახურში შესვლის დღი- დან ერთი წლის ვადის გასვლისას].

— თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი . ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრიგოლისადმი თბი- ლისიდან (გარეთუბანი). სწერს, რომ ერთი წელიწადია გიმნაზიის კურსი და- ამთავრა, ირიცხება სასამართლოს და განჩინების ექსპედიციის მოხელედ, წარ- დგენილია ჩინზე და მიღებას ახლო ხანში ელოდება; ატყობინებს თავის ლაპარაკს მშობლებთან თავის მომავალზე—მელიტონი დაბეჯითებით მოითხოვდაო, ტატო სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და მატერიალური დახმარება გაეწია ოჯახისათვის.

წერილთან ერთად ნიკ. ბარათაშვილი უგზავნის გრიგოლს მისთვის მიძღ- ვილს ლექსებს „ძია გ...თან“ და „ღამე ყაბახზედ“.

[1. „...არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომ- დენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება გულში. მაშ რაღამ დამიშალა, რუკი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიხედვით ეს მომიდეს, რომ კოლტი ხართ და თუ არ იხვალდის კომანდაში სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფერხი უკეთ შექონდა და კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვბჭო და კიდევ ვტანცობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოცობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემსრულეს. უბედურებისა გამო, მაშაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემ თხოვნაზე, ასე შეტყვოდა: „შვილო, რომ მხედავ შენის სახლის გარემოება- საო, იქნება მე ვეღარც კი გავაწიო ამ სწეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემ- დევ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამუ- ლში; განესწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხელმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი მკოლდა: ეს არის რომ! *круг чиновников невыгоден для образования нравственности*, მაგრამ ეს თავიზნდ არის დამოკიდებული... ჩემი აქ დარჩომა სისარმატეში არ ჩამომართოთ. დემრამ დადიარაში: ეს თვისება სხვისაც შეუჯერება“...

(იგივე წერილი)

2. „სამართლებლოში ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთობ სამართლებრივად განაგებდა, ქალაქდებობის გადაწერა ერთობ მალე იცოდა, არა საქმეს არ გააჩერებდა დიდხანს. ამის დროს-კი ერთობ მოადებული იყო საქართველოში მოქრთამობა, ხალხი ხალხ სამართალს და სამართლებლოს წესებს არ იცნობდა და იმ დროს მოხელენი რასაც მოისურვებდნენ იმას ჩადიოდნენ. განსაკუთრებით ქრთამების აღება და გლეხთა შევიწროება. ბარათაშვილი კი ამბებისაგან ერთობ შორს მდგარა და როგორც გამიგია, ამან არც ქრთამის აღება იცოდა და არც სხვა რამ ამისთანაო... ბარათაშვილი კაი ხასიათის იყო, ამის სიტყვით ცხარე შეხედულობა კი ჰქონია. მოსამსახურეებს თავს არ უყადრებდა, ლაპარაკში ან სხვა რამეში, თმცა ხშირად არც მათ შეაწუხებდა ხოლმე... მოსამსახურეებთან თავის გაყადრება და ლაღობა კი არ სცოდნია, მაგრამ მის ნაცვლად სხვებზე არ იყო მედიდური, სხვა თავადისშვილებივით ამას არ უყვარ და კნიაზს კნიაზის! ძახილი და მათებზე თავის გამოჩენა“.

„... [1845 წ.] ნიკ. ბარათაშვილი ერთობ ეხმარებოდა თავის სახლობასა და თავის ჯამაგირის ნახევარზე მეტს შინ უხვანდოდა საკუთრივ თავის ხელით“ (ზ. მთაწმინდელი, „ბარათაშვილი“, გვ. 9 და 21).

3. [„ნიკ. ბარათაშვილი იყო] მეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებელი, ამავე დროს ყოველად უნაგარო მიუხედავად დიდად შევიწროებული მდგომარეობისა, იგი მუდამ მზად იყო დახმარებოდა გაპირებულს ყველაფრით, რითაც კი საჭირო იყო... მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუკეთესო ამბანავს“.

(დ. ყიფიანი, ციტირ. კერძო წერილი 1865 წ.)

4. [„ნიკ. ბარათაშვილის მამა ჩავარდა სიღარიბეში. ამის გამო ნიკოლოზს არა თუ შეძლება ქონდა საზღიდაგან, თითონ ეწეოდა სახლსა თავისი მცირე ჯამაგირიდან“.

(კ. მამაცაშვილი, ციტირებული მოგონებები).

5. „... ტატოს, მამის მიერ აღებული ვალი ბევრჯერ გადაუხდია“.

(ალ. საგინაშვილი—იბ. ი. მუენარგაის უბის წიგნ.—სოლ.

ცაიშვილის ციტირებული პუბლიკაცია).

— ოქტომბრის 7-ს: ნიკოლოზ I ჩამოსვლა თბილისში.

მელიტონი ასრულებს თარჯიმანის მოვალეობას მეფესთან.

ნიკოლოზ I მოწადინებულია ასიამოვნოს რიაიმე მელიტონს, როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლს, და შვილს უქებს.

[1. „... ნიკოლოზ I რომ ჩამოვიდა ქალაქში, ნიკოს ქულაჯა ეცვა—ქულაჯა ყოლოსფერისა ბეწე-მოვლებული, ხალხი ციკი მკრთალი, შალვარი შავი მალდისა, წაღა თეთრი ქართული წვეტიანი. ხელმწიფეს ძრიელ მოწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო!“

(ბ. ვეზირიშვილი, ციტირებული მოგონებები)

2. კიდევ როგორ იცვამდა პოეტო:

კ. მამაცაშვილი: „[ბარათაშვილი] სასწავლებელში იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმის ამხანაგები: მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუმბულთი მორთულ ჩოხაში, დიხის ახალუბით, თავზედ პატარა ქართული ჩაქეცილი ქუდი. ქართულად რომ იტყვიან, კონტურად ჩაცმულ, შედეგ სასწაულში რუსულად იცვამდა“.

(„დროება“, 1881 წ., № 206).

ლ. ისარლიშვილი. „... იცვამდა ბუმბულთიან ქულაჯას. უფრო ხშირად სერთუკი მცვა“.

(ი. მუენარგაის უბის წიგნ., ს. ცაიშვილის პუბლიკაცია „ლიტ. მატ.“ 1940 წ., I).

ზ. მთაწმინდელი. „პატარაობის დროს ბარათაშვილს ქართული ტანთსაცმელი სცმია, თვით სკოლაშიაცა, თეთრი მაუდის ჩერქესკა, თავადური პატარა ღურჯი ქუდი, პატარა ხანჯალი, ვერცხლის ქამარი—ბუმბულთიან, გარდა ამგების შემოსილი ყველა იმ ნივთებით როგორათაც მაშინდელს თავადის პატარა შვილებს რთავდნენ და აცმევდ-ჯავდნენ. პანსიონში პანსიონის მუნდირი სცმია“.

„სკოლიდან გამოსვლის შემდეგ ნ. ბარათაშვილს ევროპული ტანსაცმელი ჩაუვარდა, ჩალის ქუდი აუხურნია, ასე ჩაემულ-დახურული ერთხელ კერესელძისაც უნახავს ანჩბატის ეზოში“.

„ტანზე ევროპულად სცმია. გრძელი შავი სერთუკი, დიდი და სქელი პალიტო, შავი მაუდის ჩინოვნიკური ქუდი, ზანდისზან ჩალის ქუდაც იხურავდა. ჭუჭუდი ყველთვის ერთაირს ხმარობდა“.

(„ნ. ბარათაშვილი“, გვ. 7, 9, 30).

ნ. ყიფიანი. „ბარათაშვილი ყოველთვის სერთუკში იყო ხოლმე გამოწყობილი, ქართულ ტანსაცმის არა ხმარობდა“.

(1922 წ. აკად. გამოც., გვ. 245.)

— ნოემბრის 30-ს. ინფანტ. გენ. გოლოვინი ინიშნება კავკასიის კორპუსის სარდლად ბარონ როზენის ნაცვლად და საქართველოს მთავარმართებლად.

[კავკ. კალენდ. 1852 წლ.]

**იმავე წელს:**

— ნიკ. ბარათაშვილის სატრფიალო გატაცება (დელფინა ლაბიელით?).

[იხ. ქვევით—1838 წ.]

— დაიწერა ლექსები: „ფიქრნი მტკერის პირას“, „ჩონგურს“, „ჩემს ვარსკვლავს“.

[„ჩემს ვარსკვლავს“ ეძღვნება დელფინა ლაბიელს?]

— ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბრუნება გადასახლებიდან (ვორონეჟიდან).

**1838**

— ივლისი. ნიკ. ბარათაშვილი უგზავნის მიხ. თუმანიშვილს კახეთში თავის ლექსს „Astra“. მიხ. თუმანიშვილი უპასუხებს ლექსითვე „ასტრას“ (ასტრაზედ).

[იხ. ქვევით]

— ქართველი ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა 1837 წლის ბოლოს თუ 1838 წლის დასაწყ. ნ. ბარათაშვილის სახლში განიზარახა საქართველოს ისტორიის დაწერა—ამ ისტორიის ცალკეული პერიოდების განაწილებით წრეში მონაწილეთა შორის. ნიკ. ბარათაშვილის საუბარი გარეთუბანს კონსტანტინე მამაცაშვილთან საქართველოს ისტორიაზე (ივლისი).

1. „ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ენოვრებაზე და ტრაგიულს დასასრულზედ 18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობისა გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზე, 1795 წელს, 14 სექტემბ. და სხვა...“

ამ ლაპარაკის დროს, ნიკოლოზს, ყოველთვის მოციინარს და მზიარულს, საზე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითარა:

— „ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! და თხვრით დაუშავა: ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“  
(კოტე მამაცაშვილის ციტირებული მოგონებები).

2. „... ხშირად ევიყრებოდი ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლ. ი. მელიქიშვილთან, ხან სადილად გარე იუბნის ბაღებში.“

ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვადასხვა ჩვენს ვარემოებაზედ... ქართული, დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შეტყვევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა, კალაღის თამაშობა, ნარდს, კადრასკ, კალაღის თამაშობაში ხანდისხან ნიკოლოზ ბარათაშვილიც მიიღებდა ხოლმე მონაწილეობას, მერე მეგობრული ვახშამი და ვახშმის შემდეგ სვირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ზაღშიაც“ (იქვე).

— ა გ ვ ი ს ტ ო ს 6 - ს . ნიკ. ბარათაშვილის წერილი რუსულ ენაზე მიხეილ თუმანიშვილისადმი თბილისიდან კახეთში. სწერს ქალაქში სეირნობაზე მთავარიან ლამეს, უპასუხებს თუმანიშვილის წერილზე თავისი ლექსის გამო და განუმარტავს სიტყვა „astra“-ს მნიშვნელობას. ნიკ. ბარათაშვილი სწერს თავის ვატაცებაზე და ეკითხება თუმანიშვილს მის ასეთსავე ვატაცებაზე.

[კომენტარები ამ წერილისა:

1. 1922 წლ. აკად. გამ. ც., გვ. 155—157;
2. 1939 წლ. აკად. გამოც., გვ. XLIII—XLVII;
3. მიხ. ხელთუბნელი—„სალიტ.-სახოგ. წარსულიდან“, გვ. 155—157;

ნიკ. ბარათაშვილის და მიხ. თუმანიშვილის ურთიერთობაზე იხ. იგივე წიგნი, გვ. 26—28, 44—52, 123—127, 184—185].

— ნიკ. ბარათაშვილი რამდენიმე დღით მიდის სოფ. წყნეთს, სტუმრად მიპატიებულნი [მადამ ლაბიელის მიერ?]

[იხ. ზემოაღნიშნული წერილი მიხ. თუმანიშვილისადმი.

ნიკ. ბარათაშვილის ვატაცებებზე ფრანგი ქალი დელფინა ლაბიელით იხ.:

1. 1922 წლის აკად. გამოც., გვ. XXVII;
2. ლ. ისარლიშვილის ნაშრომი ი. მუხნარგაის უბის წიგნაკიდან, გამოქვეყნებული სოლ. ცაიშვილის მიერ—„ლიტ. საქართვე.“, 1938 წ., № 25;
3. მიხ. ხელთუბნელი—ციტირ. წიგნი, გვ. 46—49 და მისივე „ერთი ეპიზოდი ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან“—„ლიტ. საქართვე.“ 1940 წ., № 3.

ლაბიელსვე გულისხმობს, როგორც ჩანს, მიხ. თუმანიშვილის ლექსიც „ასტრა“ („ასტრაზედ“).

ლ. ისარლიშვილის ცნობით (ზემოაღნიშნული პუბლიკაცია ს. ცაიშვილისა), ლაბიელ—მეწაღის ქალი იყო, ხოლო მუხნარგაის ცნობით (1922 წლ. აკად. გამოც., გვ. XXVII), რომლის წყაროც გამოჩვენებული არ არის, მებუღის ქალი იყო; ამასთანავე, მუხნარგაია მას „ლაბიერა“ უწოდებს.

20-იანი წლების ბოლოს მთავრობა შეუდგა თბილისში აბრეშუმ-სახვევი ფაბრიკის მოწყობას, ხოლო საჭირო ნედლეულის მისაღებად გასუენებული იქნა თუთის ხის ბალი. ამ საქმეზე დაიხარჯა თვალსაჩინო სახსარი და საფრანგეთიდან მოიწვიეს ამ საქმის სპეციალისტი კასტელლა (Castellas). იგი მალე გარდაიცვალა, ხოლო მისმა ცოლმა დაარსა თბილისში ერთერთი პირველთაგანი ქალთა პანსიონი. ამ პანსიონში, სხვა მოხარდთა შორის, სწავლობდნენ ვატაცებრინე ჯეკვაძე, ელენე ორბელიანი (შემდგომ ერისთავის მეუღლე), მარიამ ორბელიანი (შემდგომ დიმიტრი ვახტანგის-ძე ორბელიანის მეუღლე), მარიამ ერისთავი, სოფიო ორბელიანი, ბარბარე თუმანიშვილი (შემდგომ ანდრეევსკის მეუღლე) და სხვ.

ცნობილი ე. ს. ანდრეევსკი სწერს თავის მოკონებებში („ზაპისკი ე. ს. ანდრეევსკოვ“ ს. ავალიანის რედაქციით და შენიშვნებით, თფსა, 1914 წ., ტ. I), რომ „პირველ მომუშავედ აბრეშუმსავევის ხელობაში იყო მადამ ლაბიელ, კეთილი და სასაცილო ფრანგი ქალი პროვანსიდან. მან დაარსა თბილისში ტრაქტორი, დაათხოვა თავისი ქალები რუს ოფიცრებზე და ცხოვრობს იგი თავისთვის ტკბილად-თბილად“.

„ტრაქტორი“ ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ეს მიღებული იყო მე-XIX საუკ. ბოლოს და შემდეგაც: ტრაქტორად წინად გულისხმობდნენ სასტუმროს ან ნომრებს რესტორანით. მადამ ლაბიელს (Labielle) ჩვენის ცნობით ჰქონდა ერეენის მოედნის და შუაბახრის კუთხეში რაღაც კაფე-რესტორანისავით, რომელიც განთქმული იყო ძველ თბილისში ნამდვილი შამანიურით და საუცხოო შვეიცარიის ყველით. მას ჰყავდა ორი ქალიშვილი. აქედანაა, როგორც ჩანს, მუხნარგაის ის ვერსია, რო დელფინა „მებუღე ფრანგის ლაბიერის ქალია“-ო.

თუმცა დელფინას ოჯახი დემოკრატიული ჩამომავლობისა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, 30-იანი წლების ბოლოს იგი ღარიბად არა ცხოვრობდა და ისეთ, მოღვაწე შემოღლებულ. საგარაკო ადგილებში ახერხებდა ზაფხულობით გასვლას, როგორც იყო ბებუთანთ მამული—

წყნეთი, ხოლო ოჯახის ნამდვილმა კეთილდღეობამ თავი 40-იან წლებში იჩინა, როდესაც ნიეთიერმა შეძლებულებმა და ქალების დათხოვებამ შეიყვანა ლაბიელები სამხედრო პირთა და მოხელეთა წრეში, თითქმის „მაღალსაზოგადოებაშიაც“ კი. მაღამ ლაბიელის ერთერთი ქალი, შეიძლება სწორედ დელფინა—(ეს საკითხი გამორკვეული არ არის)—ცოლად ჰყავდა ბორჯომის მინკრალური წყლების სამმართველოს უფროსს მიხ. პეტრ. შულგინს (ოფიცერი) და ქმართან ერთად ბორჯომში ცხოვრობდა. ბარონ ა. პ. ნიკოლაის გამოუქვეყნებელ დღიურში, რომელიც საქართველოს ლიტ. მუზეუმშია დაცული, გვხვდება ჩანაწერები 1850 წლის 21—23 ივლისს, საიდანაც ჩანს, რომ 22 ივლისს ირაკლი გრუზინსკისას მისი აგარაკის ბაღში გამართული იყო დიდი წვეულება სადილი—ირაკლის დედის ბატონიშვილი მარიამის სახელწოდების ალსანიშნავად. სადილზე სტუმართა შორის იყვნენ აგრეთვე „მაღამ ლაბიელ თავისი ქალით“—ა.ო. ნიკოლაი 21 ივლისს ყოფილა შულგინებისას, ხოლო 30 ივლისის ჩანაწერში აღნიშნულია მის მიერ „შულგინების ს'ლონი“ სტუმრად მისვლა. ანდრეევსკისა და ნიკოლაის სიტყვებიდან ჩანს, რომ მაღამ ლაბიელ ქკრივი ყოფილა,—ყოველ შემთხვევაში, მისი ქმარი თბილისში არ იმყოფებოდა.

ფრანგთა კოლონიას თბილისში, რომლის წევრადაც იყო მაღამ ლაბიელ და მისი ოჯახი, ჰყოლია ს.ხეა წარმომადგენლებიც. მაღამ ლაბიელისა და მისი ოჯახის გარდა, აქ 30-იან წლებში იყვნენ რამდენიმე ფრანგი ზედამხედველი, ოსტატი-ქალი და ოსტატი-მამაკაცი, რომლებიც მუშაობდნენ აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში. ფაბრიკის მმართველად იყო ფრანგი ტესსერი (Tessert). გერმანელთა კოლონიაში (ამჟამად პლენაროვის პროსპექტი) ნაპოლეონის დროის სოლდათ პოლს, რომელსაც ცოლად გერმანელი ქალი ჰყოლია, ჰქონდა „პანსიონი“. ამავე „პანსიონში“ ცხოვრობდა საფრანგეთის კონსული გრაფი დე-ლარატი მანტონი (de-la-Rati-Menton)<sup>1</sup>.

ნიკ. ბარათაშვილის სამიჯნურო გატაცებათა სია არ ამოიწურება ნინო ო.თი, დელფინა ლაბიელით და ეკატერინე ჰეგევაძით. იონა მეუნარგიას მიერ გაკონილი ამბების მიხედვით, ეს სია შეგებულ უნდა იქნეს სხვა სახელებითაც. ერთ ასეთ გატაცებაზე ი. მეუნარგია მოგვითხრობს: „ერთმა ქალაქის ჩინოფნიკის ცოლმაც, რომელსაც აადუნვა პოეტმა თავისი სიყვარული, პოეტის ჩანგი გასცვალა მეგრულ ოფიცრების დეზებზე...“ (1922 წლის აკად. გამოცემა, გვ. XXVII). ცნობა პოეტის ამ ტრფიალზე ი. მეუნარგიას ვადასცა, ალბათ, ბიძინა ჩოლოყაშვილმა. ყოველ შემთხვევაში, იონა მეუნარგიას უბის წიგნში შენახულა ჩანაწერი, რომელშიც (ი. ბ. ჩოლოყაშვილის სიტყვების მიხედვით, აღნიშნულია, რომ ნიკ. ბარათაშვილს ჰყვარებია ფელდვანდიშვილის ცოლი, ხოლო მას აურჩევია კონსტანტინე დადიანი (სწორედ ეს არის „მეგრელი ოფიცერი“?).

**იმავე წელს:**

— დაიწერა ლექსი „ნაპოლეონ“.

— ნიკ. ბარათაშვილის შეხვედრა პოლონელ პოეტთან თადეუშ ლადა-ზაბლოცკისთან, რომელიც გადმოსახლებული იყო იმავე 1838 წელს კავკასიაში.

- 1. „პოლონელი პოეტი ლადა-ზაბლოცკი კავკასიაში“—გაზ. „ხაკეკახე“, 1911 წ.;
- 2. დ.—„საინტერესო წერილების აღმოჩენა“—გაზ. „თემი“, 1911 წ., № 51;
- 3. მიხ. ხელთუბნელი—„სალიტ.-საზოგ. წარსულიდან“—შენ. გვ. 189, 190;
- 4. ლევან ასათიანი—„ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი“—„ლიტ. საქართვე.“—1936 წ., № 20;
- აგრეთვე 1939 წლ. აკად. გამოცე., გვ. 145—148;
- 5. ი. პოლონსკი—„ლიტბი ი პოემი“—1935, შენიშვ. გვ. 649].

<sup>1</sup> ცნობები ფრანგთა კოლონიაზე 30-იან წლებში ამოღებულია ინგლისელის Wilbraham-ის წიგნიდან „Travels in the Trans-Caucasian Provinces“, London, 1839.

1839

— იანვრის 9-ს. ნიკ. ბარათაშვილი, გიორგი დიმიტრის-ძე თარხნი-შვილთან და ვასილ დიმიტრის-ძე საგინაშვილთან ერთად მეჯვარეა როსტომ კაციას-ძე გამყრელიძისა და მარიამ ივანეს-ასული ნაზუქაძის ქორწილში. ჯვრის-წერა ანჩისხატის ტაძარში.

[1. არტ. ზუნდაძე—ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის—გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ., № 59;

2. ნაზუქაძე ივ. ქვეთი—1840 წ.]

— მაისის 18-ს. ეკატერინე ჭავჭავაძისა (1816—1882) და დავით დადიანის ჯვარისწერა ქვაშეთის ეკლესიაში.

— ივლისის 12-ს. სასამართლოს და განჩინების ექსპედიციამ დაადგინა დანიშნოს ნიკ. ბარათაშვილი თავადაზნაურობის სამეურვეო ნაწილის მაგიდის უფროსად.

[საქართვევ. ცენტრარქივი, საქმე № 18, 1839 წლ. 12 ივლ. (დამთავრებულია 1839 წ. 18 ოქტომბ.)—„კოლეგსკი რეგისტრატორის ნიკოლოზ ბარათაშვილის თავადაზნაურობის სამეურვეო ნაწილის მაგიდის უფროსად განწესების შესახებ“—ფონდი 3, საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციისა, № 6900, 18, ფურც. 1]

— სექტემბრის 12-ს. ნიკ. ბარათაშვილმა მიიღო თავადაზნაურობის მეურვეობის საქმეები მაგიდის ყოფილი უფროსის კოლ. სეკრეტ. ნ. სურგუნოვისაგან, რომელიც დაინიშნა ექსპედიციის მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

[იგივე საქმე, ფურც. 2, 24]

— დეკემბრის 15-ს. სასამართლოს და განჩინების ექსპედიციამ იმსჯელა იმ საკითხის თაობაზე, რომ ჯერ კიდევ თებერვლიდან სააპელაციო ნაწილს არა ჰყავს მაგიდის უფროსი, ხოლო მისი თანამდებობის დროებით აღმასრულებელი გუბერნ. სეკრეტ. გოძინი ვერ ერევა სამუშაოს („უძნელდება მისი ასრულება“). „ხოლო ვინაიდან ნაწილი ესე საჭიროებს ნიჭიერ და კეთილსაიმედო“ მაგიდის უფროსს, ურომლისოდაც შოსალოდნელია მასში უწყისობაც და თვით საქმეთა მიმდინარეობის გაჩერებაც, ამიტომ ბრძანეს: სააპელაციო ნაწილის მაგიდის უფროსად გამწესდეს სამეურვეო ნაწილის მაგიდის უფროსი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ხოლო ამა ნაწილის საქმეთა გამგებლობა მიენდოს ამა ექსპედიციაში კანცელარიის მოსამსახურეთა შორის მომსახურეს მარკოზოვის...“

[საქართვევ. ცენტრარქივი, საქმე № 26—1839 წლ. 15 დეკემბრისა, დამთავრებულია 1840 წლ. ივნისში—სააპელაციო ნაწილის მაგიდის უფროსის თანამდებობიდან გუბ. სეკრ. ივანე გოძინის დათხოვნისა და მის ადგილზე სამეურვეო ნაწილის მაგიდის უფროსის თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის განწესებისა, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე—კანცელარიის მოსამსახურის არტემ მარკოზოვის განწესების შესახებ“—ფონდი 3, საქართველოს უზენაესი მთავრობის სასამართლოს და განჩინების ექსპედიციისა, № 6904/26, ფურც. 3.

ნიკ. ბარათაშვილმა სულ მოკლე ხნის—სამი თვის—განმავლობაში, რაც იგი „სამეურვეო მაგიდას“ განაგებდა დაიმსახურა, როგორც ჰკვიანმა მომუშავემ, იმოდენა ყურადღება, რომ

\* „კეთილსაიმედობა“ ამ შემთხვევაში ისე უნდა გაეგოთ, როგორც „შესაძლებლობა დაენდო უწყებულ პირს საქმიანობაში“.

იგი დ.ნიშნის უფრო პასუხსაგებ თანამდებობაზე ბრწყინვალე ატესტაციით (იხ. ზევით). ეს ფაქტი საეცებით ადასტურებს ი. მუხნარგას ცნობას (1922 წლის აკად. გამოც., გვ. XXXIII), რომ ექსპედიციის უფროსი ილინსკი დიდა აზრისა იყო ნიკ. ბარათაშვილის ნიჭზეო („ბარათოვი ჩემს ადგილზე იჯდებო“-ო—ამბობდა თურმე იგი)].

**იმავე წელს:**

— დაიწერა ლექსები: „თავადის ქ...ის ასულს, ეკ...ნას“, „საყურე“, „ჩჩილი“, „სული ობოლი“ და პოემა „ბედი ქართლისა“.

— ნიკ. ბარათაშვილში იფეთქა სატრიალო ვატაცებამ ეკატერინე ჰავცა-ვაძისადმი, რომელსაც იგი ბაღმობიდან იცნობდა. მასთან შეხვედრა საგინაშვილის სიღვდოლით. ეკატერინესთან შეხვედრის შთაბეჭდილებით დაწერილია ლექსი „საყურე“. მასვე მიეძღვნა იმავე წელს ლექსი „თავადის ქ...ის ასულს ეკ...ნას“.

[1. 1922 წლის გამოც., გვ. XLVIII.

2. საგინაშვილის სიღვდარი. ნიკ. ბარათაშვილის მამიდაშვილმა ალექსანდრე დიკიტრის-ძე საგინაშვილმა ცოლად შეირთო 1839 წელს (იხ. გრ. ორბელიანის 1839 წლ. 23 დეკემბრის წერილი ილია ორბელიანისადმი—„წერილები“, ტ. I, გვ. 49) სამარაგდონ ორბელიანის ქალი ბარბარე. მამსადადამ, საგინაშვილის სიღვდრად უნდა ვიგულისხმოთ სამარაგდონის მეფულე—ელისაბედი].

— მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევი (1784—1856), სიმბირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, მასონი, შემდგომ ტაინი სოვეტნიკი და გამოჩენილი ნუმისმატი, ინიშნება საქართველოს საბაჟო ოლქის უფროსად და გაიცნობს მელიტონსა და მის ოჯახს. 1846 წლის 30 სექტემბერს, ბარათაევი სწერდა მელიტონს, უკვე პოეტის სიკვდილის შემდეგ, რაც მან არ იცოდა: „მეტის მეტად გამაბარებდა ჩვენი საერთო საყვარელი თ. ნიკოლოზ მელიტონის ძე, თუ თავის უხვის ცოდნითა და ნიჭით შეავსებდა თავის მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს, განსაკუთრებით ისეთის ამბების მოთხრობით, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ბარათაშვილების მცოვან ოჯახის წინაპრები“ (აქ ლაპარაკია ბარათაევის წიგნზე „ნუმისმატიჩესკიე ფაქტი ვრუზინსკოგო ცარსტვა“, სპბ, 1844 წ.).

[1922 წლ. აკად. გამოც., გვ. 144—145].

**1840**

მარტის 8-ს. ნიკ. ბარათაშვილი აბარებს თავადაზნაურობის სამეურვეო ნაწილის საქმეს კანცელარისტ მარკოზოვს, რომელმაც იგი შესცვალა.

[ციტირ. საქმე № 6904/26, ფურც. 29]

— დეკემბრის 6-ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის გრიგოლის დაბადება. მიმრქმელები ელისაბედ პეტრეს ასული ელიავა—ქვრივი ივანე ელიავასი და მარიამ ივანეს-ასული ნაშუქაძისა.

— დეკემბრის 14-ს. ნიკ. ბარათაშვილის ძმის გრიგოლის სიკვდილი.

— დეკემბერი. ლეიზევიცის ტრაგედიის „იულიოს ტერენტელის“ რუსული თარგმანის დაბეჭდვა ჟურნ. „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“-ში.

**იმავე წელს:**

დაწერილია ლექსები: „ჩემი ლოცვა“, „აღმოსხდა მნათი“.



1841.

— მაისი (28 რიცხვამდე). ნიკ. ბარათაშვილი ახალ ბინაზე გადადის, „ანისი-ხატის უბანში, უწინ რომ აბხაზი იღვა“, დეკანოზა დიმიტრი მესხიშვილის სახლის პირდაპირ.

[ნიკ. ბარათაშვილის 1841 წლ. 28 მაისის წერილი გრ. ორბელიანისადმი თბილისიდან—1939 წლის აკად. გამოც., გვ. 80.

სახლი, რომელშიაც ნიკ. ბარათაშვილი 1841 წლიდან ცხოვრობდა, დღემდე შენახულია. პოეტის ოჯახი განაგრძობდა ამ სახლში ცხოვრებას პოეტის გარდაცვალების შემდეგაც. ზაქარია კიკნაძე „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში“ (1925 წ., ტ. IV—VI, გვ. 382—385) ი. კერესელიძის სიტყვების მიხედვით, ირწმუნება, ვითომც პოეტი ამავე სახლში დაბადებულიყოს. ცნობები ნიკ. ბარათაშვილის საცხოვრებელ ადგილზე ერთი-მეორის საწინააღმდეგოა. ეს ცნობები ეხება სხვადასხვა პერიოდებს; პოეტის ოჯახმა რამდენჯერმე გამოიცვალა ბინა, რითაც აიხსნება ამ ცნობების სხვადასხვაობა.

თვით პოეტის მიერ თავის წერილში ნაჩვენები ზემოაღნიშნული ბინის გარდა, გვაქვს კიდევ სხვა ცნობებიც:

ბარბარე ვეზირიშვილისა: ნიკო ბარათაშვილის მამა მეღვთიანი, ეხლა რომ ეკზარბოსის მოედანია, იქ ცხოვრობდა ორბელიანების ნაშითვე სახლში, არქიელის სახლის<sup>2</sup> ცოტა იქით. სახლი ერთსართულიანი იყო, ბანიანი როგორც ყველა სახლი მაშინ, რვა ოთახისაგან შენდებოდა. უკან პატარა ეზო ჰქონდა. წინ პირდაპირ ქუჩაზე გამოდიოდა. ეს ადგილი ეხლა მანთაშვილისაა და იქ სხვა სახლია აშენებული. მეღვთიანის სახლის გვერდით ცხოვრობდა ქეთევან<sup>3</sup> ბატონიშვილი, დედა ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანისა. შემდეგ მეღვთიანი, სამების ეკლესია რომაა, იქ ცხოვრობდა შიო მღვდელის სახლში<sup>4</sup> (1922 წლის აკად. გამოც., გვ. 241).

კონსტანტინე მამაცაშვილი: „თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლობდა ცხოვრობდა ანჩბატის ქუჩაზედ, ქვითკირის სახლებში, პირდაპირ ეხლანდელი ანჩბატის დეკანოზის დიმიტრი ი. მესხიევის სახლისა“ („დროება“, 1831 წ., № 206).

პოეტის წერილის შენიშვნა. „წინად პოეტის მამის ოჯახობა სცხოვრობდა კათალიკოსის სახლის იქით სიონისკენ, ორბელიანთა ნაშითვე სახლში, შემდეგ გადმოსახლდნენ ანისიხატის მახლობლად“ (იქვე, აკად. გამოც., გვ. 157).

ი. მეუნარგია: „მეღვთიან სახლობით ჯერ მუხრანთან ზიდის ახლო იღვა...“ (იქვე, გვ. VIII).

ი. მეუნარგია ივ. კერესელიძის სიტყვით: „მეღვთიან თავის სადგომში რომ გააბამდა ყვირილს ანისიხატის გვერდით, თეკლე ბატონიშვილის სახლში გვესმოდაო, კანტორის<sup>5</sup> პირდაპირ“ (იქვე, გვ. VII).

<sup>1</sup> ამჟამად ბებელის მოედანი.

<sup>2</sup> ამჟამად—მილიციის კლუბი.

<sup>3</sup> უნდა იყოს—თეკლე ბატონიშვილი.

<sup>4</sup> ახლა განათლების ქუჩაზე, რომელიც ბარალელურია ახლანდელ კეცხოველის ქუჩისა (ყოფ. ლორის-მელიქოვისა).

<sup>5</sup> „კანტორა“—სინოდალური კონტორა, რომელიც მოთავსებული იყო იმ შენობაში, ახლა რომ მილიციის კლუბს უჭირავს.

ამასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეღვთიანის შვილების დაბადების ჩანაწერებში მეღვთიანი თბილისში მცხოვრებათა არის ნაჩვენები, ხოლო 1831 და 1836 წლების ჩანაწერებში იგი აღნიშნულია როგორც „გარეთუბანს მცხოვრები“.

ნიკ. ბარათაშვილის უკანასკნელი ბინის შესახებ იხ. გ. ლეონიძე—„სად ცხოვრობდა ნიკ. ბარათაშვილი“, „ლიტ. მატ.“, 1940 წ., წ. I.

გიორგი ანდრონიკაშვილი .... [1882—1883 წ.წ.] ორბელიანთ უბანში იდგა მელიტონ ბარათაშვილი“ (ციტირებული ნაშრომი—„ივერია“, 1893 წ., № 79).

ლუკა ისარლიშვილი: „... იდგა [ბარათაშვილი] დიმიტრი ორბელიანის ცოლის სახლში ნა პლეთიადი გვარაზა, ბოლოში დომ, იდგა დედ-მამასთან“. (ი. მუხარკაის უბის წიგნაკი,—იხ. ს. ციხიშვილის პუბლიკაცია „ლიტერ. საქრთ.“, 1938 წ., № 25 და „ლიტ. მატ.“, 1940 წ., № 1.).

ლ. ისარლიშვილის ცნობა გულისხმობას, ალბათ, გინაზიურ პერიოდს, ე. ი. 30-იან წლებს, გინაიდან შემდგომ ისარლიშვილი მეტწილად უფრო პროვინციური ცხოვრობდა, ვიდრე თბილისში და ნიკ. ბარათაშვილს ხშირად არა ხედებოდა. ისარლიშვილის სიტყვები, რომ მელიტონზე სახლი გადავიდა მისი სიდდერისაგან, ე. ი. ანჯრონიკაშვილის ქალისაგან, მართლაც ჭკავს, მით უფრო, რომ ბ. ვეხიანიშვილის გამოთქმა „ორბელიანების ნაშნითვე სახლში“ აგრეთვე ის უნდა გაეფიქროთ, რომ ორბელიანებმა ეს სახლი ვისგანღაც მემკვიდრეობით მიიღეს; სახლიც ხომ „ორბელიანების აულის“ გარეთ იდგა.

— ნიკ. ბარათაშვილმა გადათარგმნა ლეიზეიცის ტრაგედია „იულიოს ტარენტელი“ დაბეჭდილი „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“-ს 43 ტომში 1840 წელს დეკემბრის წიგნში (იხ. ზევით 1839 წ.).

ტრაგედია გადათარგმნა ყურნალის სათანადო წიგნის თბილისში მიღებისათანავე. „მე ძალიან მომიწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე ვასინჯე, იტირეს“—სწერდა ნიკ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს, გულისხმობდა რა, ალბათ, ლიტერატურულ კრებებს მანანა ორბელიანისას.

[1. იგივე წერალი;

2. ცნობები დაბეჭდვის შესახებ—„ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“ კომპლექტის მიხედვით.

3. გ. ნადირაძის ნაწიკვევი 1939 წელ. აკად. გამოც.

4. ნაქ. კიტიანიძე. ნ. ბარათაშვილი დრამატულ მოღვაწეობის ასპარეზზე“ („თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ., № 15): „... ამ ტრაგედიის დაკარგვის შესახებ მე ვიცი შემდეგი: ნ. ბარათაშვილის ლექსები და ეს ტრაგედია, მის სიკვდილის შემდეგ, მისსავე ბიძას მგოსანს გრ. ორბელიანს შეუკრებია. ყველა ეს ნაწერები 1852 წ. ქართული თეატრის დამაარსებელს გიორგი ერისთავს გამოუერთმეგია, სდომებია მათი „ცისკარი“ ბეჭდვა. რამდენიმე ლექსიც დაუბეჭდია. 1853 წ. პოლელს „ცისკარი“ დაიბეჭდა. ნ. ბარათაშვილის ხელნაწერები გ. ერისთავმა ისევ გრ. ორბელიანს დაუბრუნა. მის მერე 1857 წ. „ცისკარი“ განახლდა, ნ. ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კი აღმოჩენილა გრ. ორბელიანის ხელში, ხოლო ტრაგედია „იული ტარენტელი“ კი აღარ. სხვისთვის უთხოვებია და დაკარგულა.

1878 წ. მე ვკითხე მგოსანს გრ. ორბელიანს, ნეტა ვის გადაეცით ნ. ბარათაშვილის ტრაგედია, იქნება ჩვენ მოვსებნით და ვიპოვით მეთქი. მან მომიგო: იგი ვათხოვე წასაკითხად ჩემი მეზობლის აღ. საგინოვის მფუღლესსაო. ის ქალი გარდაიცვალა და, ვგონებ, რომ ის ტრადუცია ნ. ბარათაშვილის დას ქართლში უნდა ჰქონდეს წაღებულთა მეც მიესწრო წერილს და იქნება აღმოჩენილსო. ჩვენ ვეძებეთ, მაგრამ არსად არაფერი აღმოჩნდა. ასე დაიკარგა პოეტის შრომა“].

— მაისის 28-ს, ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი თბილისიდან. სწერს თბილისის ცხოვრებაზე, „რომეო და ჯულიეტა“-ს (დომ. ყიფიანის მიერ) და „იულიოს ტარენტელის“ (იხ. ზევით) ქართულად გადათარგმნაზე, აგრეთვე ახალ ბანაში გადასვლაზე.

— ოქტომბრის 18-ს, ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი თბილისიდან. სწერს თავის შთაბეჭდილებას ქართული მილიციის მოქმედებაზე დალესტანში; აღნიშნებს თბილისის ახალ ამბებს (ყაფლან ორბელიანის ვაჟის დაბადებას, პლატონ იოსელიანის ბაკენბარდების შემთხვევას—„სხვა თბი-

ლისი ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“), სწერს ქართ-  
 ველი ახალგაზრდობის ლიტერატურულ ინტერესებზე.

— დეკემბრის 13-ს. ნიკ. ბარათაშვილის დის სოფიოს დაბადება.  
 ნათლია სალომე დიმიტრის ასული თარხნიშვილისა.

[სალომე დიმიტრის ასული თარხნიშვილისა ცოლი იყო შემდგომ ექიმის ივანე კარლის-  
 ძე დენერისა. 1844 წლის ზაფხულს დენერი გარდაიცვალა და ნიკ. ბარათაშვილი იმავე წლის  
 აგვისტოს სწერდა ზაქარია ორბელიანს: „ივანე კარლინი გარდაიცვალა. სალომე კარგი ქვრივი  
 დარჩა. სულ ყოველი საცხოვრებელი ამას უანდერძა **ЗАКОННЫМ АКТОМ**“.

დენერის სახლი კუხნეცი (მჭედლების) ქუჩაზე იყო. ამ სახლში 30-იანი წლების და-  
 საწყისი ალექსანდრე ჭავჭავაძე ცხოვრობდა (იხ. ზევით—1832 წ.). თუმცა, ი. კ. დენერმა თავისი  
 ქონება ცოლს უანდერძა „კანონიერი აქტით“, მაგრამ მაინც მისმა ძმამ ეს ანდერძი სადაოდ  
 გამოაცხადა, რაც 1845 წლის ოფიციალური მიწერმოწერით დასტურდება].

### იმავე წელს:

— დაიწერა ლექსები: „ჩემთ მეგობართ“, „არ უკიენო სატრფოო“,  
 „ვპოვე ტაძარი“

### 1842.

— მაისის 2-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი  
 თბალისიდან. სწერს შამილის მიერ ილია ორბელიანის დატყვევების ამბავს;  
 უგზავნის ლექსს „მირბის, მიმადრენს“ („მერანს“).

[საქართველოს მუზეუმის (ხელნაწერთა განც. H-1115 ხელნაწერში ლექსს თარიღად—  
 1842 წლის 9 მაისი უხის—იხ. 1939 წლ. აკად. გამოც., გვ. 122].

— მაისის დასაწყისი. საქართველოში სამხედრო მინისტრის ჩერნი-  
 შევის ჩამოსვლა.

[1. კავკ. კალენდ. 1852 წლ.;

2. ნიკ. ბარათაშვილის 1842 წლ. 2 მაისის წერილი გრიგ. ორბელიანისადმი].

— სექტემბერი. დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით 29 ახალგაზრდამ—გა-  
 დასწყვიტა გაეხსნათ თავიანთი სახსარით კერძო ბიბლიოთეკა. ესენი იყვნენ:  
 შტაბს-კაპიტანი ზაქარია ერისთავი, კოლეჟსკი სეკრეტარი ზაქარია ფალავანდი-  
 შვილი, პორუჩიკი ვახტანგ ორბელიანი, პოდპოლკ. ზაქარია ორბელიანი, პოდ-  
 პოლკ. ელიზბარ ერისთავი, კორნეტი კონსტანტინე დადიანი, გუბერნ. სეკრეტ.  
 ალექსანდრე ონიკოვი, პორუჩიკი ლევან მელიქიშვილი, გუბერნ. სეკრე-  
 ტარი ნიკოლოზ ბარათაშვილი, კოლეჟსკი სოვეტნ. ფეოდორ კოცებუ,  
 ნადეორნი სოვეტნ. მიხაილ ზნაჩკო-იავორსკი, სტატსკი სოვეტნ. ნიკ. ბეზაკ,  
 კოლეჟსკი ასესორი კონსტანტინ ორლოვსკი, გუბერნ. სეკრეტ. მიხეილ თუმანი-  
 შვილი, გუბერნ. სეკრ. დიმიტრი ჯორჯაძე, კოლეჟ. ასესორი დავიდ არზანოვი,  
 კოლეჟ. ასესორი სერგეი ვასილკოვსკი, პორუჩიკი დავით ჭავჭავაძე, ივანე ორბე-  
 ლიანი, პოდპოლკ. გრიგოლ ორბელიანი, ივანე სოლომონის-ძე აბესალომოვი,  
 გიორგი რევაზის-ძე ერისთავი, ალ. ალექსის-ძე ბორზენკო, ივანე კონსტანტინეს-  
 ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ვასილი ტიშოტეს-ძე ბელიავევი, ივანე ივანეს-ძე  
 ნაზაროვი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და კონსტანტინ ივანეს-ძე ზახი.

11. კ. ყიფიანი — ტიფლისისკაია პუბლიკანია ბიბლიოტეკა — იხ. ნოვოე ობოზრენიე, 1889 წ., № 224;

2. დიმი ყიფიანის „მემუარებო“-ს. ხუნდაძის რედაქტორობით, 1930 წ., გვ. 105—106.

— ოქტომბერი. გენ.-ადიუტანტი ნედიჰარდტი ნინიშნება კავკ. ცალკ. კორპუსის სარდლად და მთავარმართებლად.

— ოქტომბრის 31-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი (გარდ. 1849 წ) თბილისიდან. სწერს თბილისის ახალ ამბებს (მთავარმართებლის გოლოვინის ცოლის წასვლას და სხვ.), გრძნობს თავისთავს მარტოდ მარტო და გულგატეხილად ადამიანებისადმი.

„არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულეგზია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვეკავის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ვრცელს სოფელში! ვინც მალაღის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო, ვისაც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია; ვისაც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ, ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?...“

ნიკ. ბარათაშვილი ნუგეშსა სცემს მაიკოს:

„დაიმაჩე მშვენიერება სულისა, უმანკობა გულისა, აი ქეშმარტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან...“

ნიკ. ბარათაშვილი მოკითხვას უთვლის გიორგი ერისთავს:

„შენ გაზდას, მაიკო, თუ გლუხარინი ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარა რა ღმერთი გაგიწყრა, რომ ავრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაქენა თქო. როგორ აღრა ავონდება რა სასიამოვნო შენს პოეტურ სულსა თქო.“

[წლოვანების განსხვავების მიუხედავად (გ. ერისთავი 1811 წელს დაიბადა) ორივე პოეტს შორის დიდი მეგობრობა იყო. მართალია, პირადად ერთმანეთს ზნირად არა ზედუბოდნენ რადგანაც 1839 წლიდან გიორგი ერისთავი უპირატესად ზიდისთავში ცხოვრობდა. ზოლოდ. ისარლიშვილი თავის მოგონებაში (იხ. ი. მუხარაგიას ციტირ. უბის წიგნის ჩანაწერები), მანანა ორბელიანის სალენში მოსიარულეთა შორის გ. ერისთავსაც აღნიშნავს. ნიკ. ბარათაშვილი ზომ მუდმივი მონაწილე იყო მანანას სალიტერატურო სადამოებისა.

გ. ერისთავი თავის პირველ კომედია „შეშლილში“, რომელიც 1838 წლის ბოლოს ან 1839 წლის დასაწყისს დაიწერა, გამოეხუმრა ნიკ. ბარათაშვილს: მან იგი ახალგაზრდა მეტორედ გამოიყვანა. ამის საბაბი იყო ნიკ. ბარათაშვილის მეტისმეტად ცოცხალი, დაუდგრომელი ხასიათი. ზაქ. მთაწმინდელი სერს:

„ზოგერთთა განმარტოვო, სადმე რომ კრება ყოფილიყოს და იქ ბარათაშვილი დასწრებოყოს, ეს მაშინვე თავისებურს ოხუნჯობას ასტებდაო! ამის სიტყვა პასუხი და ყოველი აღმონაქმენი თურმე მეტისსისწრაფით იფინებოდა მაშინდელს ცუდდულელა და ხასიათით ზარმაც ქართველთაში... ამას თურმე ერთის ქალის კოორი მეორესთან მიჰქონდა, მეორესი შესამესთან და ამ მოტან-მოტანით ხშირად საშინელ ჭორებსაც სტებავდაო. რასა გამო გ. ერისთავმა აი ამაზე დასწერა თავის ლექსებშიო, რომ „აი ჩენი მეტორე კიდევა შემოვიდაო“ და სხვანი. ესევე საკანი სწორეთ უწყვეთ აღიარა გ. ორბელიანმა, ამან განმარტა: ჩენს როგორ მოვიფიქრებდით, რომ ამ ცუდდულეს, მეტორეს და ქალების ამჟოლს ქარიან ნიკოლოზ ბარათაშვილს ისეთი ნიჭი და პოეტური ძალა გამოეჩინა რაც შემდეგ აღმოჩნდა მასშიო. ზოგნი იმასაც უწყვიან, რომ ამ გვარი კოორიანობა, ცუდდულეობა და ცელქობა ბარათაშვილი დიქხანს არ გასტანაო...“ (ზ. მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, გვ. 12).



... არა ჭირჭირი, არა ღამისხვევა, არა ყრილობა არ იყო თბილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავ-მომღებნად და შეშაქცევარად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებელი მოლაპარაკე, მოღვესე, მოღვეურე, მკინგურე, ჩეთარე, ჯალადის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწრობი, ყოველგან შინაური კაცი, ბარათა-შვილი შეიქნა საზოგადოების საყვარელ კაცად. საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს მაინც არ სწევოდა ის, ამბები და ჭორები არ მოეტანა იქ, არ გამოეტანა... დროც ის ფულები არ ჰქონდა (დაეტონებია მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოვლი ფულები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიეები ხომ ზემირად იცოდა (ეს ლ. მელიქიშვილისაგან გამიგონია). ოჯახებში ხშირ-ხშირმა სიარულმა იქამდე მიიყვანა ის რომ ვთქვათ?—ორ სამ ალაგას, იმ ანდაზისა არ იყო, რომელიც დილის ოქროს საღამოს ვერცხლადა ჰდის, ბარათაშვილს ხანდახან „შინ არ ბრძანდებია“—საც ვუბნებოდენ (ბიძიან ჩოლოყაშვილისაგან გაგონილი).—მაგრამ საზოგადოთ კი მისთვის ყველგან ფართოდ გადებული იყო კარები—ორბელნიანების ოჯახში, მეტადრე მანანა ორბელიანთან... აღექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში, ბარათაშინში, ფალავანდიშვილებში, ერისთავიანთში, ციციშვილებში, ბარათაშვილი მუდამი სტუმარი იყო, შემტანი მოძრაის გონებისა და მხიარულების. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არ შეიყობდა. სიყვარულისა და ცოლის შერთვის დროც დაუდგა პოეტს, მაგრამ წარმატება არსად იყო...  
(ი. მუხნარგია—1922 წ. აკად. გამოსც., გვ. XXV).

როგორც ბიძა მისი გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილიც დიდად მოყვარული იყო ქალების საზოგადოებისა. ის იმათ აჯავრებდა და ხუმრობით თუ ბოროტ-განზრახვით წაჰკიდებდა ერთმანეთს, იმათთან უყვარდა ყოფნა, მუსაფიო, ხუმრობა, ცუქობა, ბეტიაობა... ერთს ქართველ თავადიშვილს [ხაჭარია ფალავანდიშვილს], რომელსაც ცუქელი ეკიდებოდა იგ...ის [ნიკ. აგაბ. ივანოვის? ] ცოლის სიყვარულისაგან, პოეტი ვუბნება ერთს საღამოს:

— ხაჭარია, ხაჭარია! კატოს თვალი უჭირავს შენზე, კაბა გაისწორე და მარჯვედ დაჯექი.

საბრალო ტრფიალი რომ დამშვენებს თავს, ის მიუბრუნდება იგ...ის ცოლს:

— კატო, კატო! ხაჭარიას შენზე თვალი უჭირავს!  
— თვალები იმას დასდგომიან! რა უნდა ჩემგან, რას გადამიკიდებია, უთხარი თავი დამანებოს (ლუკა ისარლიშვილისაგან გაგონილი). და ამგვარად დაახლოვების მაგიერ იმან დააშორა კაცი და ქალი ერთმანეთს“.

(ი. მუხნარგია — იქვე, გვ. XXVII—XXVIII).

...ასეთი მხიარული იყო, რომ ვერაეინ შეატყობდა, მწერალიყო. ყოველ ღმინზე სათარას მოიყვანდა. მთელი ქვეყნის გასათხოვარი ქალები ამბავი დაწერილებით იცოდა. უყვარდა ნათესავობა და მუდამ დღე მათში დადიოდა. ნიკოს ახლობელი ამზანაგები იყვნენ გრიგოლ, ილია, ხაჭარია, ივანე, აღექსანდრე ორბელიანები. ხშირად დადიოდა აგრეთვე ნიკოსის მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი...“

[ბარბარე ვეზირიშვილი—იბ. 1922 წ. აკად. გამოსც., გვ. 242].

„გ. ერისთავის პიესა „შემღილის“ უკანასკნელ სცენაში... შემოიბრბის ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც ყვება ყველაზე უკანასკნელ, ყველაზე სენსაციურ ამბავს... ამ ყმაწვილში, რომელსაც ქალები მეტორეს ეძახიან, აეტორის განსახიერებელი ყავს განსვენებული ბარათაშვილი“.

(გ. თუმანიშვილი „Характеристики и воспоминания“, წ. I. 1913 წ., გვ. 149).

„შემღილის ადრინდელ რედაქციაში „ყმაწვილის“ ნაცვლად ყველგან ჩაწერილია „ტატო“. გ. ერისთავის ლექსთა კრებულ-ავტოგრაფს მ. მ. მოთავსებულ პოემის საბოლოო ტექსტის მომქმედ პირთა სიაში ამ „ყმაწვილის“ სახელი „ტატოა“, ხოლო პოემაში კი იგ „ყმაწვილის“ სახელით მოქმედებს“.

(„გ. ერისთავი—თხულებანი“, შ. რადიანის და ი. ბალახაშვილის რედაქციათ, 1936 წ., შენიშვნები, გვ. 399).

გ. ერისთავის კომედია ნიკ. ბარათაშვილმა, რასაკვირველია იცოდა, რადგანაც ეს კომედია ბელაწერებად გავრცელებული იყო საზოგადოებაში. მაიკოსათვის გაგზავნილი წერილის

1 იაკობ ორბელიანის ქალი კატო.

(იხ. ზევით) მინაწერიდან ჩანს, რომ პოეტი უკმაყოფილი როდი იყო თავის მეგობრისა კარიკატურისათვის. მეორეს მხრით, ნიკ. ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ, გ. ერისთავმა უძღვნა მას ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზე“, რომელიც დიდის გრძნობით არის დაწერილი (იხ. გ. ერისთავის თხზულებათა კრებ., გვ. 47<sup>1</sup>). აგრეთვე აღქმსანდრე ორბელიანიმაც მზრგავლენ სიტყვები უძღვნა უდროოდ დაღუპულ პოეტს (თხზ. კრებ., 1879 წ., გვ. 252-253).

**იმავე წელს:**

— დაწერილია ლექსები: „მიყვარს თვალები“, „სუმბული და მწირო“, „შენნი დალალნი“... „რად ჰყუდრი კაცსა“, „მირბის მიმადრენს“ („მერანნი“), „ქნიაზ ბარატაევის აზარფეშაზედ“, „საფლავი მეფის ირაკლისა“.

[1. ნიკ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანისადმი (1842 წ. მაისის 2-სს): „ილიას დაპყრა რომ შევიტყუე, მსწორე გითხრა ძალიან შეგწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავე ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაეწერე და თითქოს ამან რაღაც შეგება მომცაო.“ („მერანზეა“ ლაპარაკი).

2. ილია ჭყონია (ციტირებული მოგონებანი „ჩემი დღე და სოცელი“—„მნათობი“, 1982 წ. № № 5-6), თავისი მამის მირიანის სიტყვების მიხედვით, გადმოგვცემს ვითომც ლექსი „მერანი“ ნიკ. ბარათაშვილის ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს დაეწეროს—„მამა[ჩემი] ამბობდა—ააო, ბარათაშვილს „მერანი“ გიმნაზიაში სწავლის დროსა აქვს დაწერილი, არიან მეტყვის გაკეთილხეო. კარგათ მახსოვს, რომ „მერანი“ მე ზეპირად ვიცოდი ჯერ კიდევ გიმნაზიაში“.

შეიძლება, აქ ლაპარაკია ამ ლექსის რომელსამე პირველ ვარიანტზე, რომაც ჩვენამდე არ მიაღწია].

— ნიკ. ბარათაშვილი უგზავნის გრ. ორბელიანს ლექსს „საფლავი მეფის ირაკლისა“-ს და წერილში აცნობებს, რომ [მიხეილ პეტრეს-ძე] ბარატაევის თხოვნით ეს ლექსი მს. ალბომში ჩაეუწერო.

[ნიკ. ბარათაშვილის სიტყვიდან ჩანს, რომ ბარატაევი „ამ ორი დღეს უკან პეტერბურგს მიდის და აღნიშნული ლექსი პოეტის „უკანასკნელი ლექსია“. არის ცნობები (იხ. 1939 წლის აკად. გამოც. XVIII წერილის შენიშვნა), რომ ბარატაევი წასულა პეტერბურგს 1844 წელს; ხოლო, მეორეს მხრით, ცნობილია, რომ ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ დაწერილია 1842 წელს. რადგანაც ლექსის დაწერის დროის განმსაზღვრავ მომენტად უნდა ჩაითვალოს თვით პოეტის ჩვენება („უკანასკნელი ლექსი“), უნდა ვიფიქროთ, რომ ბარატაევი წასულა პეტერბურგს დროებით აგრეთვე 1842 წელსაც, ან განზრახული გამგზავრება 1842 წელს რაიმე მიზეზის გარეშე გადადებულ იქნა უკანასკნელ წ.მს. ყოველ შემთხვევაში, ამ წერილის 1842 წლისთვის მკუთვნება, როგორც ეს 1922 წლის აკადემიურ გამოცემაშია, უნდა ჩაითვალოს საფუძვლიანად.

გინ.იდან 1939 წლის აკადემიური გამოცემის-რედაქტორებს ეჭვი აღძვრათ ამის თაობაზე, ამიტომ ამ გამოცემაში წერილი მოთავსებულია პოეტის ყველა წერილის შემდეგ].

კ ა ვ კ ა ს ი ი ს და წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა რ ე ვ ი ზ ი ა ს ტ ა ტ ს - ს ე რ ე ტ რ ი ს მ ი ბ . ი ე . პ ო ზ ე ნ ი ს მ ი ე რ .

პოზენი იწონებს ნიკ. ბარათაშვილის სამსახურებრივ მოღვაწეობას.

[1922 წლის აკად. გამოცემა გვ. XXXII]

<sup>1</sup> გ. ერისთავის თხზ. კრებულში ლექსის თარიღად აღნიშნულია „1852 წ.“, მაგრამ ნამდვილად „ცისკარში“ თარიღი როდია დასმული, და უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსი გაცილებით უფრო ადრეა დაწერილი ნიკ. ბარათაშვილის გირდაცვლებით გამოწვეული უშუალო შთაბეჭდილების გაფლენით.



— მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი ხატავს ნიკ. ბარათაშვილს.

[თარიღი სავარაუდოა].

ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტზე არსებობს დიდი ლიტერატურა. ამ პორტრეტის ისტორია ასეთია:

I. 1876 წელს ახალგაზრდათა წრე, პეტრე უმიკაშვილის ხელმძღვანელობით, აპირებდა გამომეშვა ნიკ. ბარათაშვილის ლექსთა პირველი გამოცემა. პოეტის პორტრეტის პოვნა ვერ მოხერხდა. მაშინ ამ წრის ერთერთმა წევრმა, გიორგი თუმანიშვილმა, სცადა მოეძებნა იგი თავისი მამის მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილის (1818—1875) არქივში. ეს უკანასკნელი მეგობარი იყო ნიკ. ბარათაშვილისა და ახლად გარდაცვალებული. მართლაც, მან იმავე 1876 წელს<sup>1</sup> იპოვა ნახევარი თაბახი სქელი თეთრი ქაღალდი, რომელზედაც ასახული იყო ორი მამაკაცის პორტრეტი-ესკიზი ერთისა ზევით, მეორესა— ქვევით. პორტრეტებ ქვევით იჯდა ინიციალები, მის. თუმანიშვილის ხელით დასმული: ერთზე— „H. E.“, მეორეზე— „З. П.“

„H. E.“ წარწერილი ესკიზის გამო გიორგი თუმანიშვილი სწერდა: „პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ ეს მისი [ნიკ. ბარათაშვილის] პორტრეტია, მაგრამ არც თუ ისე მოსწრებელი. ანასაბი, მათის სიტყვით, მოგვაგონებს უფრო პოეტის ბიძას, გენერალ თავად ილია ორბელიანს, ვიდრე თვით პოეტსაო. ასე გადმოგვცა ჩვენ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ, რომელმაც გამოგვართო მამიჩემის ანასაბი, რათა პოეტის დისთვის და სხვა ნათესავეებისთვის ეჩვენებინა. ანასაბი იგი ხელიდან ხელში გადადიოდა და, ბოლოს, დაიკარგა“.

ესკიზი დაკარგულად ითვლებოდა ყოველ შემთხვევაში, 1913 წლამდე, ვინაიდან გიორგი თუმანიშვილის „დახასიათებათა და მოგონებათა“ I ტომის მეორე, შეესვაბული გამოცემა, რომელიც 1913 წელს გამოვიდა, არ შეიცავს არავითარ ცვლილებას ნიკ. ბარათაშვილზე დაწერილი ნარკვევის იმ ნაწილისას, რაც პორტრეტს ეხება (გვ. 151—153). ხოლო 1916 წლის ნოემბერში, როდესაც საქართველო აღნიშნავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავს, ყველა ქართულმა გაზეთმა და ჟურნალმა მოათავსა „თუმანიშვილისეული ესკიზიდან“ გადაღებული ფოტოსურათი, სათანადო განმარტების დართვით, და ყვერსოდ იხ. ვახ. „საქართველოს“ 1916 წელ. სურათებიანი დამატების № 46-ში: „ახლად ნაპოვნი ფოტო-სურათი— ნახატო მ. თუმანიშვილისა მკანსის სიცოცხლეში“. ზემონათქვამიდან უნდა დავაცვენათ, რომ ესკიზი კვლავ იქნა ნაპოვნი 1913 წელსა და 1916 წელს შუა.

იმ დროიდან ესკიზი ინახებოდა გიორგი მიხეილის-ძე თუმანიშვილის დასთან—ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელთან. 1915—1916 წლებში ნახატარმა მოსე თოიძემ დახატა პოეტის სურათი ფერადებით. (დაბეჭდილი ვახ. „საქართველოს“ 1916 წელ. სურათებიანი დამატების № 46-ში შემდეგი წარწერით: „ნიკ. ბარათაშვილი. გადმოღებული მ. თუმანიშვილის ფანქრით ნახატ. სურათიდან მ. თოიძის მიერ“). პორტრეტს საფუძვლად დაედვა „თუმანიშვილისეული“ დედანი ესკიზი. მ. თოიძის მიერ დახატული პორტრეტი ინახებოდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას მის სიკვდილამდე—1932 წლის 7 თებერვლამდე. რა ბედი ეწვია შემდეგში ამ პორტრეტს—გამორკვეული არ არის. ხოლო „თუმანიშვილისეული ესკიზი“ ანასტასიამ ჩვენს საუკუნის ოცანი წლებში გადასცა იროლიან სონლულაშვილს და შემდეგ, ყოფ. იტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების ფონდების ნაწილთან ერთად, გადაეცა მეტრეხის მუზეუმს სადაც დღემდე ინახება.

მახტვარ ა. მრგვლიშვილის მიერ დახატულ პორტრეტსაც საფუძვლად „თუმანიშვილისეული“ ესკიზი აქვს.

დედანი ესკიზზე ნათლად ჩანს, რომ თავდაპირველად მის. თუმანიშვილს განზრახვად ჰქონდა ანასაბი პროფილით ყოფილიყო, ხოლო შემდეგ შესცვალა განზრახვა და პორტრეტი ნახევრად მობრუნებული გააკეთა. მაგრამ, ამასთანავე, ესკიზზე დარჩა წინად დახატული ნაწილი თავისა (ეჭვა და მარტყენა ყურთ).

<sup>1</sup> იხ. მისი სტატია, დაბეჭდილი 1893 წელს „ნოვოე ობოზრენიე“-ში და შემდეგ გადაბეჭდილი მისსავე წიგნში „დახასიათებანი და მოგონებანი“, ტ. I.



მ.ხ. თუმანიშვილის ესკიზები. ჰევეით ესკიზი  
3. II-ს ნიშნით ქვეყნდება პირველად.





„თუმანიშვილისეული ესკიზი“ არაერთხელ ყოფილა წარმოქმნილი შემდგომაც. იგი დაბეჭდილია აგრეთვე 1922 წლის აკადემიურ გამოცემაში მოკლე განმარტებით და შენიშვნით: „ჩვენ ვბეჭდავთ აქ მიხ. თუმანიშვილის ნახატს (რომლის დედანი დღეს გუთუნის პატრიკეპულს ანასტასია თუმანიშვილ-წირეთლისას), მაგრამ ცხადია, რომ საკითხი ნ. ბარათაშვილის პორტრეტისა დღესაც გამოურკვეველია და ამის გადაწყვეტა უნდა მივანდოთ მომავალს“ (გვ. 240).

1937 წელს „სალიტ. გაზეთი“-ს მე-7 №-ში სტატ. „ნ. ბარათაშვილის პორტრეტისათვის“ გიორგი ლეონიძე პირველად მოგვითხრობს პოეტის ყალბი სურათის (გ. თ. ი. როსტომაშვილის და ზ. ჭიჭინაძის მიერ მოკონილი სურათის) ისტორიას. განსაკუთრებით მდიდარი იყო ლიტერატურით „თუმანიშვილისეული ესკიზზე“ 1936—1938 წლები.

გახ. „კომუნისტში“ 1938 წელს მოთავსებული იყო სტატეები და შენიშვნები დოცენტის გ. აბზიანიძისა<sup>1</sup> „აღლადგინით ნიკ ბარათაშვილის პორტრეტი“ (№ 243), გ. ლეონიძისა „ნიკ ბარათაშვილის პორტრეტისათვის“ (№ 245); „ლიტერ. საქართვ.“ (№ 25) იმავე წელს— გ. აბზიანიძის დიდი წიგნილი „ნიკ ბარათაშვილის რეალური პორტრეტისათვის“. იმავე წლის ოქტომბერში პოეტის გარდაცვალების მორიგ წლისათვის დაკავშირებულ თბილისის გაზეთებშია „ლიტ. საქართვ.“, „კომუნ.“, „ხარია ვოსტ.“ და სხვ. მოთავსეს პოეტ. გულდავილისა, ვ. კროტკოვისა და სხვა მხატვრების ნახატები. მეტწილ ნახატების საფუძვლად აქაც მიღებული იყო „თუმანიშვილისეული ესკიზი“.

დაბეჭდვის იმავე 1938 წელს მომხდარს 21 ს გ. აბზიანიძემ საქართველოს მხატვართა კავშირში მოხსენება გააკეთა შემდეგ თემაზე— „ნიკ ბარათაშვილის პორტრეტის საკითხი“, რასაც მოჰყვა კამათი ბევრი მხატვრის მონაწილეობით (გახ. „მეშა“, 1938 წლ. 23 ნომბ.), გ. აბზიანიძემ დააყენა საკითხი პოეტის პორტრეტის კლექტიურად დაუშუაებების თაობაზე და გადაცა კავშირს მის ზედი ჯონებულის მასალა.

1938 წელსვე ჟურნ. „მნათობში“ (№№ 9, 10) მოთავსებული იყო პ. ინგოროყვას ნარკვევი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. ნარკვევის ავტორი დარწმუნებულია, რომ „თუმანიშვილისეული ესკიზი“ წარმოადგენს არა ნიკ ბარათაშვილის ანასასხ, არამედ ვილაც სხიკასს,—როგორც სჩანს, ნიკოლოზ ბებუთოვისას, რომელიც ოფიცირი იყო და მოკლულ იქნა 1852 წელს ჩანჩბთან ბრძოლაში.

გიორგი თუმანიშვილის გუმანი, რომ „პ. II“ წარწერა იგი ესკიზი—ზაქარია ფალავანდიშვილს გამოხატავს, დასტურდება შემდეგი გარემოებით: 1. არ შენახულა არავითარი ცნობა, რომელიც გვაფიქრებინებდეს, რომ მიხ. თუმანიშვილის მეგობართა და ნაცნობთა შორის ყოფილიყო სხვა ვინმე პირი ანალოგიური ინიციალებით, ზაქარია ფალავანდიშვილის გარდა; 2. პირაქით, მიხედვით თუმანიშვილის მიწერმოწერიდან ახლო ნეგობრებთან (იასე ანდრონიკაშვილთან, დიმიტრი ჯორჯაძესთან) ნათლად ჩანს, რომ 40-იან წლებში მიხ. თუმანიშვილი ძალიან ხშირად ატარებდა დროს თბილისის ყოფ. სამოქალაქო გუბერნატორის უმცროს მძასთან ზაქარია იოსელიანს-ძე ფალავანდიშვილთან. ეს უკანასკნელი იყო ახალგაზრდა, დაახლოებით იმავე წლოვანებისა, რა წლოვანებისაც ნიკ ბარათაშვილი და მიხ. თუმანიშვილი იყვნენ, და იგი ძალიან დაინტერესებული იყო სასოვადობრივი საქმეებით და ლიტერატურით, მშველდა აკად. ბროსისეს საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ შრომების გავრცელებაში, კერძოდ, 1841 წ. ბროსისეს, თვით ნ. ფალავანდიშვილის და დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული ჯეფუხის ტყანსისა<sup>1</sup>. 1842 წელს, ნიკ ბარათაშვილთან და მიხ. თუმანიშვილთან ზაქ. ფალავანდიშვილი ვერტიკულ მონაწილეობას იღებდა იმ ლიტერატურულ წრეში, რომელმაც კერძო ბიბლიოთეკა დაარსა (იხ. ზევი). ზაქ. ფალავანდიშვილი 1845 წელს გარდაიცვალა ანეროიშით, გ. ი. იმავე წელს, რა წელსაც ნიკ ბარათაშვილი. აწიარად, მისი პორტრეტის ანასასის დახატვა ამ წელსვე გვიან არ შეიძლებოდა. რაკ ესკიზები გაცემებულია ერთსადაიმაც ფურცელზე, სრულიად ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ სწორედ ერთსადაიმაც დროს არის გაკეთებული ორივე ესკიზი. ბოლო ნიკ ბარ., მიხ. თუმ. და ზ. ფალავ. ხშირად შეხვედრის დროდ—1842 წელიწადი, როდესაც ისინი იკრიბებოდნენ სალიტერატურო საქმეზე სასაუბროდ.

1842 წელს ნიკოლოზ ბებუთოვი მხოლოდ 13 წლისა იყო (დაბ. 1829 წ.), ბოლო 1845 წელს ის ზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება გაკეთებულიყო ესკიზები—16

<sup>1</sup>. ჟურნ. ადრე, 1836 წელს, გახ. „კომუნისტში“ (№ 308) მოთავსებული იყო მისი სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი“. იხ. აგრეთვე გ. ლეონიძის ნარკვევი პორტრეტის შესახებ „ლიტ. მატინე“, 1940 წ., წ. 1.



წლისა. ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა ვთქვათ, რომ „თუმანიშვილისეული ესკიზი“ გვიბატავს ყრმას კი არა, არამედ სრულიად დაუკაცოებელ, მოწიფულ ადამიანს. პ. ინტოროყვას მოსაზრება, რომ ესკიზი გამოხატავს სამხედრო პირს, დამყარებულია გაუგებრობაზე. ტანისაშოსო, რომელშიაც გადაღებულია „ბებუთოვი“, სრულიადც სამხედრო არ არის—იგი ვერაზიული ყაიდის კურტაკია, რომელიც ჩაკმულია გახაშბებულ საყელიან პერანგზე; საყელის ჩამოკრძელებული ვიწრო ბოლოები აქვს. ასეთი კურტაკი, ზონრებით გადახლართული „ვენ-გერკაა“ ყაიდაზე, საკმაოდ იყო გავრცელებული წარსული საუკუნის ევროპიელ და რუს აზნაურთა შორის და ჩვენში იმათგან გადამოვიდა. ამგვარი კურტაკი მეტწილად ჯქემების ყელისფერი მალუდისა იკრებოდა. მას საშინაოდ ხმარობდნენ, — ყოველ შემთხვევაში, ინტიმურ ვითარებაში.

მის. თუმანიშვილის მეგობართა და ნაცნობთა შორის „H. B.“ ინიციალები შემდეგ პართ ჰქონდათ:

- ნიკოლოზ ბარათაშვილი;
- ნიკოლოზ ბეხაკი;
- ნიკიფორ ბლავატსკის;
- ნიკოლოზ ბერძენოვს (ბერძნიშვილს).

თუ მათ მივუმატებთ ნიკოლოზ მელიქიანადეს ძე ბებუთოვის<sup>1</sup>, რომლის ნაცნობობაზედაც მის თუმანიშვილთან — შეიძლება მხოლოდ გუმანი ვიჭინოთ, სულ 5 კაცი ყოფილა ზემოაღნიშნული ინიციალებით. უფრო გარკვეული მსჯელობა იმაზე, ვის გამოხატავს ესკიზი, შეიძლება ვიქონიოთ მაშინ, თუ უპირველეს ყოვლისა გამოვრიცხავთ მათ, ვინც არ შეიძლება იყოს ამ ნახატზე. მართლაც, თუ ეს ნიკოლოზ ბეხაკი არ არის, არც ნიკიფორ ბლავატსკი, არც ნიკოლოზ ბერძენიშვილი და არც ნიკოლოზ მელიქიანადეს-ძე ბებუთოვი, მაშასადამე, ეს უნდა იყოს ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნიკ. ბერძენიშვილის ფოტოსურათი არსებობს და ესკიზს არ ჰკავს. ესკიზზე გამოხატული პიროვნების აშკარად აღმოსავლური ტიპი გვაფიქრებინებს, რომ ეს არც ბეხაკია და არც ბლავატსკი. ნიკოლოზ მელიქიანადეს-ძე ბებუთოვიც სათვალავში მისაღები არ არის ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა გამო. სამაგიეროდ, ისეთი ნიშნები, როგორც შეერთებულ წარბები, რაც ნათლად ჩანს დედან ესკიზზე; ოდნავ ამოწეული ყვირიმალის ძვლები და ნოღა ცხვირის სახე (იხ. აღწერილობა ბარბარე ვეზირიშვილისა, დიმიტრი ყიფიანისა—ამ უკანასკნელის წერილში თავისი შვილის ნიკოლოზისადმი, და სხვ.); დაბოლოს, ის გარემოება, რომ ესკიზის „ობიექტს“ მეგობრულ ვითარებაში ზღვებოდნენ ერთსადანიძე დროს ესკიზის ავტორიც და ხაქ. ფალავანდიშვილიც, იმავე ქალაქზე ასახული, — ყოველივე ეს იმ დასკვნას იწვევს, რომ, ალბათ „თუმანიშვილისეული ესკიზი“ გამოხატავს სწორედ ნიკ. ბარათაშვილს. ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება „ობიექტის“ უღვაშებიც, ე. ი., თუ ერთის ცნობით (ბარბ. ვეზირიშვილისა)— პოეტრი უღვაშებს იპარსავდა, სხვა ცნობით (დიმიტრი ყიფიანის ცოლისა და ი. მეუნარეას ჩანაწერი, სოლ. ცაიშვილის მიერ გამოქვეყნებული)—იგი ზოგჯერ უღვაშებს ატარებდა.

ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული დამოწმება, გიორგი თუმანიშვილის მიერ გადმოცემული („პოეტის თანამედროვეებმა სცნეს, რომ ეს მისი პორტრეტია, მაგრამ არც თუ ისე მისწობებულა“), პოეტის არც ერთ ნათესავს არ უარუყვია, არც თვით ილია ჭავჭავაძეს, რომელიც ცოცხალი იყო 1893 წელს, როდესაც გ. თუმანიშვილმა გამოქვეყნა „ნოვ. ობზორ.“-ში თავისი ცნობა. უფრო მეტიც: ნიკ. ბარათაშვილის თანამედროვეთა აზრი დასტურდება ახლა, ჩვენ დროს, ილია ჭავჭავაძის გადმოცემის დამოუკიდებლადაც.

მხატვარი მხოლოდ თითქმე გადმოგვიცემს<sup>2</sup>, რომ პოეტის დისწულის ვეზირიშვილის თხოვნით მან ინახულა პოეტის და ვეგდუყოფი ბარბარე ვეზირიშვილისა (გარდაიცვალა 1919 წ.) ამ ნახვის მიზანი იყო—გაცნობოდა საგვარეულო ფოტოსურათებსა და დის მოგონებებს ნიკ. ბარათაშვილის პორტრეტის შესაქმნელად. როდესაც ვეზირიშვილისს ესკიზი უჩვენეს, მან ამ ესკიზში თავისი ძმა იცნო, თუმცა თანაც უკმაყოფილება გამოსთქვა, იგი ნახატზე უფრო უღამაზოა,

<sup>1</sup> მელიქიანდე ბებუთოვის (1793—1852) შესახებ იხ. ხეივთ—1817 წ.

<sup>2</sup> მ. თოთის ნაბობი, მისივე ზღმლოწერით, ინახება საკართე. ლიტ. მუზეუმში. საუბარში პრ. თოთემ შეავსო თავისი მოთხრობა დეტალებით და გამოსთქვა თავისი აზრი სახის საერთო-საგვარეულო ნაკეთების თაობაზე.

ვიდრე ნამდვილად იყოთ, თოიძე ამბობს, რომ განცვიფრებული ვიყავ ესკიზის მსგავსებით იმ პირებთან, ვისი ფოტოსურათებიც ვეხიროსწვილისამ მიჩვენაო, და თვით ვეხიროსწვილთანაო. მას, როგორც მხატვარს, მაშინვე თვალში ეცა საკვირველი ხელოვნება ბუნებისა, რომელმაც სისხლით ერთმანეთთან ახლო ადამიანებს დაანათლა სახის საერთო-საგვარეულო ნაკვთები, მაგრამ ამავე დროს შთასახა მათში სულ სხვადასხვა შინაგანი გამოუმეტყველება. ვეხიროსწვილის ხელთკონებული ფოტოსურათები შემდგომ დაიკარგა, მაგრამ ბარათაშვილების ოჯახის დღემდე შენახული ფოტოგრაფიები (იხ. 1922 წლის აკად. გამოც.), სუმბათაშვილების ოჯახის ფოტოგრაფიები, განსაკუთრებით, პოეტის დის სოფიო სუმბათაშვილისა, ილია ორბელიანის ფოტოგრაფიები, და პორტრეტები, აგრეთვე ახლა თბილისში მცხოვრებ-ს, პოეტის დის-წულის გიორგი სუმბათაშვილის სახის ნაკვთები აშკარად მოწმობენ ესკიზის მსგავსებას ბარათაშვილებისა და ორბელიანების ოჯახის წევრთა გამოხატულებებთან.

II. ნიკ. ბარათაშვილის მეორე დას—ნინოს ჭკონია დავეროტიპი, რომელიც პოეტს გამოხატავდა (იხ. ი. მეუნარეას „ცხოვრება და პოეზია ნიკ. ბარათაშვილისა“, გვ. „ივერია“ 1893 წ., № 87 და 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XXV). იგი გამოუთმევია ილია ჭავჭავაძის საერპროდუქციოდ, მაგრამ ეცებლში დამწვარა, დუბლირის ფოტოგრაფისა ხანძარი რომ გასწვინა.

1904 წელს ეჭრნ. „მოგზაურის“ რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა გაავრცელა თავისი ეჭრნალის ხელისშემოწერთა შორის „ბარათაშვილის პორტრეტი“, რომელზედაც პოეტი ქართულ ტანსამოსშია ასახული, და რომელიც შემდგომ საყოველთაოდ ცნობილი გახდა, ნამდვილად კი ეს იყო პორტრეტი ალ. ციციშვილის ფოტოსურათიდან გადაღებული, ზაქ. ჭიჭინაძის ინიციატივით, მხატვარ ტარასი მომეცილიძის მიერ.

III. ნიკ. ბარათაშვილის გარეგნობის აწერილობა:

1. ბ ა რ ბ ა რ ე ვ ე ხ ი რ ი შ ვ ი ლ ი ს ა : „ნიკო ძალიან მალბაზი, მარდი იყო და მიმიხედველი სახის. შუათანა ტანის, არც გამოხდარი, არც მსუქანი; წაბლის ფერი თმა, ბუდუმურად მოყვანილი თვალები; წარბები შეფრთხული; წვერულგანს იმარსავდა, იცვამდა ვეროპოულს სამოკადაქო ტანისაფოს“ (1922 წლ. აკად. გამოც., გვ. 242).

2. დ ი შ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ... დაბალ-დაბალი ჩამკერივებული (приземистый), ნოლა (журносенкии), მეტისმეტად ცოცხალი, მზიარული, მოსურბული“ (დმი. ყიფიანის 1865 წლის 5 აპრილის წერილი თავის შვილის ნიკოლოზისადმი, დედას წერილი ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, იხ. გ. ლეონიძის ნარკვევები „ლიტ. მატ.“, 1940 წ., წ. I).

3. დ ი შ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ც ვ ლ ი — ნ ი ნ თ : „... იგი დაბალი ტანისა იყო, წმინდა სახე და პატარა შავი უღვანეზი. თმას ყოველთვის მოკლედ იკრეკავდა, არ უყვარდა გრძელი თმა. ლაპარაკობდა სბასსუპით და ძალიან ცოცხალი იყო“.

დმი. ყიფიანის ცოლის სიტყვით—პოეტის დის სოფიო სუმბათაშვილის პორტრეტს რომ „უღვაშები“ („უსიკი“) გაუკეთდეს, „და სერთუკი ჩააცვათ, თქვენ პოეტის პორტრეტი გექნებათ“. (1922 წლის აკად. გამოც., გვ. 245).

ლო უ ა ი ს ა რ ლ ი შ ვ ი ლ ი : „... მოთფორთ სახისა იყო, პირხმელი, შავის ცოცხალის თვალებით, წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჭკონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაკენ—იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც უღვაშავდა. სახე შორიდან წნოიანი, ახლოდან ცოტა დაღმევილსა ჭგავდა. იცვამდა ბუნუნტკანს ქულაჯას. საგრძობლად კოჭლიობდა, მაგრამ მაინც ბევრს დარბოდა“.— (ს. ცაიშვილი, „ნ. ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალები“— „ლიტერ. საქართვე.“, 1938 წ., № 25).

4. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი : „ნიკ. ბარათაშვილი იყო შუათანა ტანისა, ზინებული ტანადი, ცოტა პირხმელი, ცოცხალი შავის თვალებით, წაბლის ფერის თმით, სახე საგანგებოთ მიმიხედველი (ქართულად რომ იტყვიან მარილიანი)“.

5. ხ. მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი . ... [ნ. ბარათაშვილი] მოთფორთ სახის კაცი ყოფილა, სახით გრძელი, შორიდან მარილიანი შესახედი, ახლოდან კი დაქყანული. შავი თვალებით, წაბლის ფერის თმით, ტანით შუათანა, საშუალო სისქისა“. („ნ. ბარათაშვილი“, გვ. 30).

6. ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა (პოეტის თანამედროვე სხვადასხვა პირთა სიტყვით). „გაგონებთ ბარათაშვილი იყო მოთფორთ სახისა, პირხმელი, შავის ცოცხალის თვალებით, წაბლისფერის თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. მისი ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი და თვა-

დღები ოდნავ დაზარალი ცხვირისაკენ ამხილებდნენ მასში ოდესმე ჩინეთიდან გადმოსახლებულ წინაპართ ჩამომავალს. წვერულვას არ ატარებდა, რის გამო მისი სახე შორიდან ლახათიანი, ახლოდან ცოტა დაჭყანული იყო, ხეშოთ ნათქვამს თუ ისიც დაუშატო, რომ ბარათაშვილი კოჭლი იყო, თქვენ სრულიად დარწმუნდებით, რომ პოეტს არა ჰქონდა აპოლონის მშვენიერება, (1922 წლის აკად. გამოც., გვ. XXVII).

7. ალ. ორბელიანი: „... ეზლა მის პატარას ლამაზს თავზედ მამულისა პოეტობის ბრწყინვალეობას გვირგვინს დაადგამენენ“... (ალ. ორბელიანის ნაწერები და ოთხი ლექსი ვახტანგ ვახტანგისძის ორბელიანისა, გამოც. ზაქ. კიკინაძისაგან, 1879 წ.).

— დაახლოებით იმავე პერიოდს—ოცდაათიანი წლების ბოლოს და ორმოციანი წლების დასაწყისს—უნდა მივაჯვთნოთ ორი ეპიზოდი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებიდან, რასაც მისი ბიოგრაფები იხსენიებენ დროის დაუზუსტებლად:

დუფელი ილია ორბელიანთან. პოეტისა და მისი მკვაობრის მალალაშვილის დაცინებით მოთმინებიდან გამოყვანილმა ილია ორბელიანმა გამოიწვია თავისი დისწული დუფელში სეკუნდანტებად იყვნენ: ორბელიანის მხრით—ოფიცერი ატაფუკინი, ხოლო ბარათაშვილის მხრით—მალალაშვილი. მაგრამ საქმეში ლევან მელიქიშვილი ჩაერია და დუფელი ზემოთით და შერიგებით გათავდა: დამაზნები თურმე მხოლოდ დენთით იყო გატენილი, უტყვიად (ი. მეუნარგია, იხ. 1922 წლის აკად. გამოც., გვ. XXX—XXXI).

უსიამოვნება პლატონ იოსელიანთან. პლატონ იოსელიანის უღამაზო სახე, გულზევი თავისდაპირა და გაბერილი სიტყვა-პასუხი მუდამ პოეტის მხრით დაცინვას იწვევდა (სხვათაშორის, ნიკ. ბარათაშვილი 1841 წლის 18 ოქტომბრის წერილში გრიგოლ ორბელიანისადმი ოხუნჯურად ასწერს იმ ამბავს, თუ როგორ ძილში ეცა კატა პლატონ იოსელიანს ბაკენბარდებში). ერთხელ დიმიტრი ყიფიანისას წვეულების დროს სიტყვა ჩამოვარდნილა ბერძენთა და რომაელთა ლმერთებზე. ზერზეულიძეს (ომან მდივნის შვილს) ხუმრობით უკითხავს—„გ, ბერძენ-რომაელებს რომ ყოველისფერის ლმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ლმერთი ჰყავდათ?“

— ამაზე პლატონს უნდა გვითხროს—უბასუხა თურმე მოსწრებთ ნიკ. ბარათაშვილმა—ის არის ნოგ ოსლოვ (ორლესული სიტყვა).

(1. დ. ყიფიანის ციტირებული კერძო წერილი; 2. ი. მეუნარგია—იხ. 1922 წ. აკად. გამოც. გვ. XXI; 3. ზ. მთაწმინდელი „ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 13).

1843

— იანვრის 23-ს. ნიკ. ბარათაშვილს, რომელსაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პალატის (ყოფილი სასამართლოს და განჩინების ექსპედიცია) მაგიდის უფროსის თანამდებობა ეკირა, მიეცა გუბერნსკი სეკრეტრის ჩინი წელთა ნამსახურობისათვის.

[„ზაქავ. ვესტნ.“ ოფიც. ნაწ; 1843 წ. № 20]

— ივლისი. ბარათაშვილის ოჯახის უახლოესი მეგობრის ეგნატე იოსელიანის გარდაცვალება;

[ნიკ. ბარათაშვილის 1843 წ. 21 აგვისტოს წერილი გრ. ორბელიანისადმი]

— აგვისტოს 21. ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი თბილისიდან. პოეტი ზქივის ცხოვრების მძიმე პირობებს, მაგრამ გრძნობს თავის შინაგან ძალას: „...მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო!“ ხოლო არსიდან დახმარებას არა ხედავს. წერილი გამსჭვალულია ღრმა პესიმიზმით. პოეტს მოჰყავს ლერმონტოვის ლექსი „И скучно, и грустно“ თანაც თავის ლექსს „სულო ბოროტო“-ს უგზავნის.

— ნოემბრის 6-ს. ნიკ. ბარათაშვილს მიეცა კოლეჯ. სერ. ჩინი, მაგრამ სათანადო ბრძანება გამოქვეყნდა მხოლოდ პოეტის გარდაცვალების შემდეგ „ზაკავ. ვესტნ.“ 14 №-ში 1846 წლ. აპრილს (ოფიც. ნაწ.).

**ამავე წელს:**

— დაიწერა ლექსები: „სულო ბოროტო“, „შევიწროვ ცრემლსა“,

**1844**

— მარტი—აპრილის დასაწყისი. ნიკ. ბარათაშვილის პირველი სერიოზული ავადმყოფობა.

[ნიკ. ბარათაშვილის 1844 წლ. 15 აპრ. წერილი ზაქარია ორბელიანისადმი].

— აპრილის 6-ს. ნიკ. ბარათაშვილის დის ეკატერინეს დანიშვნა გორელ მემამულეზე, პრაპორშჩიკ რევაზ ლუარსაბის-ძე ქსნის-ერისთავზე.

[იხ. ქვევით]

— აპრილის 15-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი თბილისიდან რუსულ ენაზე. ახლო ხანში გადატანილი სერიოზული ავადმყოფობის განცდათა გამო პოეტი მისცემია მწუხარე ფიქრებს. „მიუწვდომლობამ ჩვენი დანიშნულების მიზნისამ, უსაზღვროებამ ადამიანთა სურვილებისამ და ამოებამ ყოველივე სამთვარისქვეშეთოსისამ აღმივსო სული გასწინელის სიცარიელით“. წერილში გაისმის „იულიოს ტარენტელის“ აშკარა გამოძახილები [იხ. ზევეით—1841 წ.]. ოჯახური ამბები—პოეტის დის კატოს მომავალი ქორწინება.

— მაისის 10-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი თბილისიდან. ულოცავს სამხედრო და სამსახურებრივ წარმატებას. აცნობებს თავის წრის ახალგაზრდობის დაღესტანში წასვლას შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. უწინასწარმეტყველებს მ. ზ. არლუთინსკის ბრწყინვალე მომავალს.

— მაისის 23-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი გრ. ორბელიანისადმი თბილისიდან ოჯახურ საქმეებზე. ირონიით ლაპარაკობს დაღესტანში წასულ ახალგაზრდობაზე.

— მაის-ივნისი. სამზადისი ეკატერინეს ქორწილისათვის. საცოლეს მშობლები არა კმაყოფილებიან ას თუმნად ღირებული ნივთებით და ფულადაც ას თუმანს აძლევენ, რისთვისაც ვალს იღებენ ერთი წლის ვალით. კატოს გათხოვება უკანასკნელი მეტი იყო, რომელმაც დაასრულა მთელი ოჯახის განიავება. [კატოს გათხოვების გამო:

1. ეფემიას 1844 წლ. 15 აპრ. წერილი ზაქარია ორბელიანისადმი.—იხ. ი. გრიშაშვილის პუბლიკაცია 1839 წლის აკად. გამოცემაში, გვ. 169;

2. მელიტონის 1844 წლ. 15 აპრ. წერილი ზაქ. ორბელიანისადმი.—იხ. ი. გრიშაშვილის იგივე პუბლიკაცია;

3. ეფემიას 1844 წლ. 15 სექტ. წერილი ზაქ. ორბელიანისადმი.—იხ. მიხ. ხელთუბნელი „ნიკ. ბარათაშვილის უკანასკნელი წელი“—ლიტერ. მატრიანე“, 1940 წ., წ. I;

4. ნიკ. ბარათაშვილის წერილები ზაქარია და გრიგოლ ორბელიანებისადმი—15 აპრ., 10 მაისისა, 23 მაისისა და უთარილო—ყველა 1844 წლ.]

— ივნისის 19-ს. ეკატერინე ბარათაშვილისა და რევაზ ერისთავის ჯვარისწერა ანჩისხატის ტაძარში, მეჯვარეები—საქმროს მხრით: გივი ბარძიშის-ძე ამილახვარი და ალექსანდრე „ჩოლოკოვ“ [ესე იგი ჩოლოყაშვილი]; სა-

ცოლეს მხრით: ლუარსაბ ბიძინას-ძე ქსნის-ერისთავი, დავით ერისთავი, ალექსანდრე სუმბათაშვილი.

ივნიისის 20-ს. ნიკ. ბარათაშვილის წასვლა ახალგაზრდაში (ქართლი) დის გასაცოლებლად და აგრეთვე სტუმრების—მანანა ორბელიანისა ქალითურთ ანასტასიით (შემდეგში გაგარინა), ყაფლან და მიხეილ ქაიხოსროს ძეს ორბელიანთა, ალექსანდრე სუმბათაშვილისა და სხვათა წასვლა ახალგაზრდაშივე. ნიკ. ბარათაშვილს თან ახლდა აგრეთვე ცნობილი მომღერალი სათარა. სალამოთი—სოფ. მუხრანში მისვლა—ქაიხოსრო მუხრანსკის მამულში.

— ივნიისის 21-ს. საღილი ქაიხოსრო მუხრანსკისას, შემდეგ მისვლა სოფ. ოძისში, სადაც ნიკ. ბარათაშვილი ნახულობს ბიძინა ერისთავს. სოფელში შესვლისას სტუმრებს ეგებებათ ლევან ერისთავი ადგილობრივი თავადებისა, აზნაურებისა და მგალობელთა გუნდის თანხლებით.

სალამოთი—სოფ. ახალგაზრდის მისვლა.

— ივნიისის 22-ს. საქორწილო ზეიმის დასაწყისი.

[იონა მეუნარგას უბის წიგნში, რომელიც გამოაქვეყნა სოლომონ ცაიშვილმა („ლიტერ საქარ“, 1938 წ. № 25 და „ლიტერ. მატრიანი“, 1940 წ., წიგ. I) მოთხრობილია ინციდენტი ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილს რომელმაც აუწყა სტუმრებს რუსეთის მეფის გარდაცვალება, და ნიკოლოზ ბარათაშვილს შორის, რომელმაც თურმე აუცი სიტყვით მოიხსენია გარდაცვალებული. ინციდენტი უმზღარა „თავად ერისთავის“ (ხაქარია ერისთავის, გ. ი., 1836 წ. ანუ რევუზ ერისთავის, გ. ი. 1844 წ. ქორწილში). რადგანაც ნიკოლოზ I გარდაიცვალა მხოლოდ 1855 წელს—ამიტომ გაუგებარია, ვის გულისხმობდა ივ. მალხ. ანდრონიკაშვილი.]

— ივნიისის ბოლო. ნიკ. ბარათაშვილი და მამუკა ორბელიანი მიდიან გორს, შემდეგ ატენში—იქაც და აქაც შეხვედრა ადგილობრივ მემამულეებთან. ნიკ. ბარათაშვილი სწერს ქართლის ერთერთი ეკლესიის კარზე სათარა-სადმი მიძღვნილ ლექსს.

[1 ი. მეუნარგია დიმიტრი ვესირიშვილის სიტყვების მიხედვით—იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XXXI;

2. სათარა—ირანელი მომღერალი-ტენორი—იყო ფრიად სახელგანთქმული საქართველოსა—და ამიერკავკასიაში წარსული საუკუნის 30-ან—40-იან წლებში. ნიკ. ბარათაშვილი, რომელსაც საერთოდ მუსიკა ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით კი აღმოსავლური, დიდის სიამოვნებით ისმენდა სათარას სიმღერას ბაღებში და თავისას (იხ. ბარბარე ვესირიშვილის მოგონებანი 1922 წლის აკად. გამოცემაში და ეფუძნა ბარათაშვილის წერილი).

ნახტევნიდან მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ წერილში ნიკ. ბარათაშვილი ამგვარგანებს, რომ იგი აღტაცებული თავყანისმცემელი ყოფილა ამ მომღერლისა (იხ. ქვევით—1844წ.)

— ივლიისის 1—3-ს. ნიკ. ბარათაშვილის დაბრუნება თბილისში.

— ივლიისის 4-ს. მელიტონი თხოულობს ნებართვას—გაყიდოს 4 კომლი გლეხა სოფ. შინდისში მათი ოჯახებითურთ—სულ 18 სული—და მიწით (მელიტონმა 1842 წელს ისესხა სტეფანე ისარლიშვილისაგან—ლუკა ისარლიშვილის მამისაგან—680 მან. ვერცხ. და, რაკი ვალი ვერ გადაიხადა, აღნიშნულ გლეხებს ყადაღა დაადეს). მელიტონის თხოვნა დაწერილია პოეტის მიერ საქუთარის ხელით.

— ივლიისის 41-ს. მელიტონმა, მიიღო რა ნებართვა, გაყიდა 4 კომლი გლეხი და 100 დეს. მიწა 2.000 მან. ვერცხ.

[საქართვე. ცენტრარქივი, ფ. 178 სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სასამართლო პალატა, საქმე 161, ფურცლ. 1,2].

— ივლისის ბოლო ან შუა აგვისტოს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი ზაქ. ორბელიანისადმი დის ქორწილის აწერით.

— აგვისტოს 15-ს. ნიკ. ბარათაშვილი მელიტონთან ერთად მოინახულეს კატოს ახალგორში, სადაც ორ დღეს ატარებენ. ნიკ. ბარათაშვილი ესწრება დღესასწაულ „აღვეობას“.

[ხუმბოსენებული, 15 აგვისტოს წერილის გარდა, იხილეთ 1922 წლის აკადემ. გამოცემა გვ. XXXI].

— სექტემბრის 23-ს. დაიწერა ლექსი: „ომი საქართველოს თავდაზნაურ-გლეხთა პირისპირ დადისტინისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძლევანბლობისა ქვეშე ლუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის-ძე ო[რბელიანისა]“.

[ამ ლექსზე იხ. გ. ლეონიძის სტატია „ლიტერატურულ შემკვიდრობაში“, 1935 წ., წიგნი I].

— ნოემბრის 17-ს. ლევან მელიქიშვილი ინიშნება ნახჭევანის მაზრის უფროსად.

[„ზაკავა. ვესტნიკ“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 4].

— ნოემბერი. ნიკ. ბარათაშვილისა და ლევან მელიქიშვილის ნახჭევანში წასვლა.

1. ნიკ. ბარათაშვილის 1845 წლ. 9 თებერვ. წერილი მაიკო ორბელიანისადმი ნახჭევნიდან;

2. „... წასვლის წამს ბარათაშვილს გული მეტის მეტად ეთანაღრებოდა თურმე, იგი მწუხარებით განმარტავდა: რომ ჩვენს ტურფა საქართველოს მხარეს უნდა მოვსორდე და წავიდე იქით, სადაც არც გული მიმელტვის და არც სულით. წასვლის წინა დღეებში ორ სამს ალაგას სადილებიც გაუმართავს და ყველა თავის მეგობრებზე მიუწვევია“. (ხ. მთაწინდელი „ბარათაშვილი“, გვ. 21)].

— დეკემბრის 21-ს. მამუკა ორბელიანი ინიშნება ვანჯის მაზრის დროებით მმართველად.

[„ზაკავა. ვესტნიკ“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 1].

დეკემბრის 27-ს. ნეიდპარტი დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან „ავადმყოფობის გამო“. გენერ.-ადუტანტი გრაფ ვორონცოვი დაინიშნა კავკასიის მეფის ნაცვლად და კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდლად.

[„ზაკავა. ვესტნიკ“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 4].

დეკემბერი. მელიტონს დამბლა დაეცა.

[გრაფ. ორბელიანის 1845 წ. 19 იანვრის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი ჯუნგთაიდან.—იხ. „წერილები“, ტ. I, გვ. 106].

**იმავე წელს:**

დაიწერა ლექსი „ჩინარი“.

1845

— იანვრის 10-ს. დაიწერა ლექსი „მადლი შენს გამჩენს“.

— თებერვლის 9-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი ნახჭევნიდან. პოეტი ეკითხება თბილისის ახალ ამბებს. აცნობებს მთლად სამსახურის საქმეებში ჩაგვბიო. სწერს გონწა-ბეგუმის მიერ შეთხზულ ლექსს სიმღერაზე. აღშფოთებულია, რომ უკანასკნელ ხანს თბილისში მომღერალი ჯადარა უფრო მოსწონთ, ვიდრე სახელგანთქმული სათარა. უგზავნის თავის ახალ ლექსს „მადლი შენს გამჩენს“.

— თებერვალი. ლევან მელიქიშვილის ავადმყოფობა ნახჭევანში.

[ნიკ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი ნახტევნიდან — უთარილო].

— თებერვლის მეორე ნახევარი ან მარტის დასაწყისი. ნიკ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი ნახტევნიდან. პოეტი სწყევლის თავისი ცხოვრების მძიმე პირობებს ნახტევანში, უჩივის მარტოობას პოლკოვან ფორსტენის წასვლის შემდეგ.

[პოლკოვნიკი კარლ ფუსტავის-ძე ფორსტენი კავკასიაში მყოფი ჯარების მთავარ-შტაბთან იმყოფებოდა. დროებით ნახტევანში იყო, როგორც ჩანს, ადგილობრივი გარნიზონის საინსპექციოდ — იხ. მიხ. ზელთუნელი „უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა“, „ლიტერ. მატინა“, 1940 წ., წ. 1].

— მარტის 12-ს. ლევან მელიქიშვილის განთავისუფლება ნახტევნის მაზრის უფროსის თანამდებობისაგან.

[1. „ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 15;

2. „ნიკ. ბარათაშვილი ნახტევანში“ ორასი მანეთი თურმე წაგო ქაღალდში და მელიქიშვილს, რომელმაც იცოდა მეგობრის ვნება, ეთქვა მისთვის: ტატო, ჩქარა ქალაქს, თორემ მერე გზის ფულსაც ვერ იშვითო, და ჩამოყვანა თბილისში“.

(ი. მუხარგია-იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XXXV)].

— მარტის 21-ს. რამაზ ანდრონიკაშვილი დაინიშნა მამუკა ორბელიანის თანაშემწედ განჯაში.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 15].

— მარტის 24-ს. ვორონცოვის ჩამოსვლა თბილისში.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 15].

— მარტი-აპრილი. ნიკ. ბარათაშვილისა და ლევან მელიქიშვილის დაბრუნება თბილისში.

[მიხ. ზელთუნელი „უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა“].

— მაის-ივნისი. ნიკ. ბარათაშვილი დაინიშნა თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, მაგრამ მიდის განჯას მამუკა ორბელიანის მიწვევით.

[„ქალაქიდან ბარათაშვილი ცდილობდა თელავში გადასვლას იმავე თანაშემწის ადგილზე. მისი თხოვნა მთავრობამ შეიწყნარა კიდევ და ის იყო, პოეტი უნდა წასულიყო კახეთს, ტროიკაც მოეყვანათ წასასვლელად, მაგრამ ამ დროს იმასთან მოხვლა მამუკა ორბელიანი... და თელავის მაგიერ წაყვანა განჯას“...]

(ი. მუხარგია იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XXXV)].

— ივნისის 19-ს. რამაზ ანდრონიკაშვილი გადაყვანილია კახეთში თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ, ხოლო ნიკ. ბარათაშვილი დაინიშნა ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

[1. „ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 29];

2. „ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობა ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება იხე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი“.

(კ. მამაცაშვილი, ციტირებული მოკონებები).

3. გ. ლეონიძე „ნ. ბარათაშვილი მოხელე“ — „ლიტ მატ.“, 1940 წ., წ. II].

— მაისის 31-დან ივლისის 20-მდე. ვორონცოვის ლაშქრობა დალესტანში, შამილის სამყოფელი ადგილის დარღოს აღება. კავკასიაში პრინც ალექსანდრე ჰესენის ჩამოსვლა და მონაწილეობა დარღოს ექსპედიციაში.

[კავკას. კალენდ. 1852 წ.].



— აგვისტოს 10-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი მურუთიდან. პოეტი უჩივის ცნობების სიმცირეს თბილისიდან. სთხოვს, თბილისის ახალი ამბები მომწერეთ.

[„განჯაში მყოფ ბარათაშვილს დაახლოებით მიწერმოწერა ჰქონია გრ. ორბელიანთან. ბარათაშვილი ორბელიანს წერილობით სთხოვდა და ეხვეწებოდა, რომ ეგები საქართველოში რამე ადგილი მიშოვნო და გადმომოყვანონ მანდეთო; გრ. ორბელიანი იმედებს აძლევდა და ჰპირდებოდა, რომ მოკიხერხებო, ცოტა მოითმინე და გიშოვნი და გადმოგაყვანთ აქეთო. ამის შესახებ უუკვოთ განპარტა ერთმა მოზუცმა და ესევე გადმოიცა თ. რაფ. ერისთავმა.

(ხ. შთაწმინდელი „ნ. ბარათაშვილი“, გვ. 21)].

— აგვისტოს პირველი ნახევარი. ნიკ. ბარათაშვილი სიძხის გამო აგარაკზე იმყოფება მურუთის მონასტერში, განჯიდან 14 ვერსზე.

— შუა აგვისტო (20-მდე). თბილისიდან მიწერილობის მიხედვით ნიკ. ბარათაშვილი მიდის დილიჯანს პრინცი ალექსანდრე ჰესენის შესახვედრად და იქ ორ დღეს ატარებს თავის ნათესაებთან — ანდრია და თამარ სანკოცკებთან.

[ნიკ. ბარათაშვილის წერილები (1845 წ. 10 აგვისტოში) მაიკო ორბელიანისადმი და ბარბარე საგინაშვილისადმი (1845 წ. 23 აგვ.);

2. მიხ. ხელაშვილი — „უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა“].

— აგვისტოს 23-ს. ნიკ. ბარათაშვილის წერილი ბარბარე (ბაბაღე) საგინაშვილისადმი მურუთიდან. პოეტი აუწერს განჯაში ცხოვრებას, უჩივის მოწყენილობას „ამ უდაბურს ადგილს“, ატყობინებს დილიჯანში ყოფნას.

— ნიკ. ბარათაშვილის წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი მურუთიდან (სახელდობრ ბარბ. საგინაშვილის წერილზე მინაწერი) საოხუნჯო შინაარსისა.

[იქვე].

— აგვისტოს მეორე ნახევარი. ნიკ. ბარათაშვილი მურუთში. შეხვედრები მათუნოვასთან.

[იქვე].

— სექტემბერი. ნიკ. ბარათაშვილის ავადმყოფობა.

[„... (ნიკოლოზ ბარათაშვილი) 1845 წელს ზაფხულში გახდა ავად განჯის ცულს ცივებითა“.

(კ. მამაცაშვილი, ციტირებული მოგონებები).

„ამბობენ, პოეტი მთაში საღალა ცხელა ყაჩაღების დასაქერად და იქ გაციებულა. ერთხანს მორჩენილა, მაგრამ ხელახლა გამხდარა ავად. რადგანაც უდროო დროს ერთობ ბევრი ცივი ლუდი დაეღია. ეს ამბავი გაუგონია განჯის ეკლესიის მღვდელს მძინარაშვილს ბარათაშვილის განჯელ მეგობრისაგან,<sup>1</sup> რომელსაც იმისთვის ის ადგილიც უჩვენებია, საცა იყო დასაფლავებული პოეტი“.

(ი. მეუნარგია, 1922 წ. აკად. გამოც., გვ. XXXV).

„ყაჩაღების დევნის დროს გაციებულა, ის იყო უნდა მორჩენილიყო რომ ერთხანად ბევრი ლუდი დაეღია სიციხეში მყოფს, ხელახლა გაცივდა და მოკვდა“.

(ბიძინა ჩოლოყაშვილის სიტყვით — იხ. ი. მეუნარგიას უბის წიგნი, სოლ. ცაიშვილის პუბლიკაცია „ლიტერატურის მატთან“-ში, 1940 წ., წ. I)].

1. ბ. პონაროვსკისაგან?

— ოქტომბრის 7-ს. ახალციხიდან მამუკა ორბელიანის ჩამოსვლა თბილისში.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 41]

— ოქტომბრის 9-ს. ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალება.

[ი. ბალახაშვილი, „ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების თარიღი“—„ლიტერ. მე-მევიღრეობა“ 1935 წ.]

— ოქტომბრის 11-ს. ნიკ. ბარათაშვილის დაკრძალვა განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში. დაასაფლავა მღვდელმა სტეფანე ვერდერეცკიმ.

[იქვე]

### პოეტის გარდაცვალების შემდეგ

1845

— ოქტომბრის 16-ს. მელიტონი სთხოვს ანჩისხატის ტაძრის დეკანოზს დიმიტრი ალექსი-მესხიშვილს—პანაშვიდი გადაიხადოს.

[1. 1922 წლის აკად. გამოც. გვ., 243.

2. მელიტონი იძულებული იყო მხოლოდ უბრალო პანაშვიდს დასჯერებოდა და უარი ეთქვა ზარ-ზეიმური აღაპის გამართვაზე, როგორც ამას მისი წრის ჩვეულება მოი-ხოვდა, რადგანაც არამც თუ საამისოდ, არამედ თვით ცოლშვილისათვის თაღბების შესაკერად მას სახსარი არ გააჩნდა—იხ. კავკასიის მეფის-ნაცვლის მთავარ-სამმართველოს უფროსის გენერალი ლადინსკის 1845 წლის 20 ოქტომბრის მოხსენებითი წერილი—ბ. გუგუშვილის პუბლ. ჟურნ. „მნათობი“, 1937 წ., № 4]

— ოქტომბრის 22-ს. ახალ-ზაქათალაში მყოფი ილია ორბელიანი თბილისში ჩამოდის.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 48].

— ოქტომბრის 30-ს. მელიტონის თხოვნით გენ. ლადინსკი (იხ. ზევით) შუამდგომლობს მეფის-ნაცვლის ვორონცოვის წინაშე, რათა მელიტონს მიეცეს „პირველ საჭიროებისათვის“ შვილის სიკვდილთან დაკავშირებით, 50 ჩერვონეცი (150 მან. ვერცხ.) და დაენიშნოს დახმარებად 750 მან. ვერცხ.—შვილის წლიური ჯამაგირი, როგორც მაზრის უფროსის თანამემწისა. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა დეკემბრის 11-ს.

— ნოემბრის 12-ს. გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ავად გახდა ელდისაგან ნიკ. ბარათაშვილის მძიმე ავადმყოფობის ამბების გამო, სთხოვს თავის ძმას ილიას აცნობოს მას ნამდვილი მდგომარეობა.

[„წერილები“, ტ. I, გვ. 118].

ნოემბრის 13-ს. მამუკა ორბელიანს, მისი დაბეჯითებითი თხოვნის გამო, ანთავისუფლებენ ელისავეტპოლის მაზრის უფროსის თანამდებობისაგან.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1845 წ., № 52].

— ნოემბრის 29-ს. ილია ორბელიანი ატყობინებს თავის ძმას გრიგოლს პოეტის გარდაცვალებას.

[ი. ბ.-ის პუბლიკაცია, „მნათობი“, 1938 წ., № 12]

1846

— იანვრის 14-ს. ნიკ. ბარათაშვილის მეგობრები, რომელთაც თავი მოიყარეს რევან ანდრონიკაშვილთან, უხიარებენ ერთმანეთს მოგონებებს პოეტზე და გადასწყვეტენ მისი ლექსების დაბეჭდვას და ამისთვის ფულის შეგროვებას. წიგნის გაყიდვით შემოსული ფული მიზნარდება ძეგლის აგებას, ხოლო ნაშთი გადაეცემა პოეტის ოჯახს.

გრიგოლ ორბელიანს ავალებენ წიგნის წინასიტყვაობისა, პოეტის ბიოგრაფიისა და ძეგლის ეპიტაფიის დაწერას.

[ლევ. მელიქიშვილის 1846 წლ. 19 იანვრის წერილი გრ. ორბელიანისადმი, პირველად გამოქვეყნებული პ. უმიკაშვილის მიერ 1893 წელს გაზ. „კვალის“ მე 3 №-ში (სტატია — „ბარათაშვილის გვამის გადმოტანა და თ. ლევან მელიქიშვილის წერილი პოეტზე“). წერილი გადაეცა პეტრე უმიკაშვილისათვის გრიგოლ ორბელიანს და ამჟამად ინახება საქართველოს მუზეუმის ხელნაწ. განყოფილებაში S-2484].

— იანვრის 15-ს. ნიკ. ბარათაშვილის მეგობრები იწყებენ ფულის შეგროვებას და 5 დღის განმავლობაში პოეტის 17 მეგობარს და ნაცნობს შეაქვს 1.000 მან. ვერცხ. მთელი თანხა გადაეცა მელიტონს.

[1922 წლის აკად. გამოც., გვ. XXXVIII].

— თებერვლის 13-ს. ილია ორბელიანი დროებით ინიშნება ელისავეტპოლის მაზრის უფროსად.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1846 წ., № 15].

— მარტ-აპრილი. ილია ორბელიანი ადებს ქვას ნიკ. ბარათაშვილის საფლავს შემდეგი რუსული წარწერით: „Здесь лежит прах грузинского князя губернского секретаря Николая Мелитоновича Баратова, скончавшегося во цвете лет на 29 году, 9-го октября 1845 г.“. შემდგომ ეს ქვა აუღიათ და სასაფლაო გაუუქმებიათ.

[„მამა მიხეილ მიხნაროვი მწერს, რომ როგორც იმას აჩვენა იკაურმა დამსწრემ დასაფლავებაში ბარათაშვილისა—ბ. პონაროვსკიმ, უბლა ჩვენის პოეტის საფლავი ბაღში იცნობა მხოლოდ ამითი, რომ იმაზედ არის ამოსული დიდი, მაღალი და მშვენიერი კიპარისის ხე, ყოველთვის მწვანე ზაფხულ-ზამთარში“... (კ. მამაცაშვილი, „დროება“, 1881 წ., № 232—პასუხი პ. უმიკაშვილის შენიშვნაზე „ერთი შენიშვნა ნ. ბარათაშვილზე“, რომელიც დაბეჭდილია „დროების“ იმავე წლის 208 №-ში).

ის მოსაზრებანი, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლიან ვიგულისხმოთ, რომ საფლავის ქვა დაუდგია ილია ორბელიანს, მოყვანილია ჩვენს ნამუშევარში „უკანასკნელი წელი ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა“—„ლიტ. მატ.“, 1940 წ. № 1—2].

— აპრილი. „ზაკავ. ვესტნ.“ ოფიციალურ ნაწილში გამოქვეყნებულია ბრძანება ნიკ. ბარათაშვილისათვის შემდეგი — კოლეცკი სეკრეტრის — ჩინის მიცემაზე.

[„ზაკავ. ვესტნ.“, ოფიც. ნაწ., 1846 წ., № 14].

— ივლისის 27-ს. ლევან მელიქიშვილი სთხოვს ილია ორბელიანს გამოუგზავნოს მას განჯიდან ილიას ხელთ ქონებული ლექსები ნიკ. ბარათაშვილისა დასაბეჭდად.

[საქ. მუხ. ხელნ. განყ., გ. ორბელიანის არქივი].

1846—1848

ეფემია ბარათაშვილის გამგზავრება განჯაში შვილის საფლავის სანახავად და დარჩენილი ქონების განკარგულებისათვის.

[პ. გუგუშვილის ციტირებული პუბლიკაცია, „მნათობი“, 1937 წ., № 4].

1849

თებერვლის 4-ს. ეფემია ბარათაშვილის სიკვდილი „დიდის ხნის სწულეებით“. დასაფლავებულია თბილისს, ქვაშეთის ეკლესიაში.

[1. ბ. ვეზირიშვილის მოგონებანი. იხ. 1922 წ. აკად. გამოც., გვ. 242;

2. ქვაშეთის საეკლესიო წიგნი—ი. ბალახაშვილთან დაცულ მასალებიდან].

1852.

პირველი დასახელება ბექდვითი სიტყვით ნიკ. ბარათაშვილისა, როგორც პოეტისა, თანაც როგორც პოპულარული პოეტისა ქართველ ხალხში.—მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილის სტატია „ქართული თეატრი“ („Грузинский театр“—გაზ. „კავკაზი“, № 12).

— „ცისკრის“ აპრილის ნომერში პირველად დაბეჭდილია გიორგი ერისთავის მიერ ნიკ. ბარათაშვილის ლექსები, სახელდობრ: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „ქალი“ („რად ჰყვებდრი კაცსა“) და „სულ ბოროტო“.

იქვე გ. ერისთავის მიერ მოთავსებულია ნიკ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“.

1860

— მელიტონ ბარათაშვილის სიკვდილი. დასაფლავებულია სოფ. ოსიაურში.

[ბ. ვეზირიშვილის ციტირებული მოგონებანი].

1872

— ნიკ. ბარათაშვილის კერძო წერილების (გრიგოლ ორბელიანისადმი) პირველი პუბლიკაცია ჟურნ. „კრებულში“. შემდგომი პუბლიკაციები გაზ. „დროებასა“ და „ივერიაში“—იხ. პ. უმიკაშვილის სტატია 1893 წლის „კვალში“, ციტირ. ზევით.

1876

ნიკ. ბარათაშვილის რჩეული ლექსების პირველი გამოცემა.

1893

— აპრილის 25-ს (მაისის 7-ს) ნიკ. ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენება განჯიდან თბილისში და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე.

1905.

— ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი რუსული გამოცემა („Баратовский томик“).

1922

— ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა და წერილთა პირველი სრული კრებული აკადემიური ხასიათისა.

1938.

— ოქტომბრის 15-ს ნიკ. ბარათაშვილის ნეშთის გადასვენება პანთეონში მთაწმინდაზე.

1939

— ნიკ. ბარათაშვილის თხზულებათა და წერილთა მეორე აკადემიური გამოცემა.

---

## რ ე ლ ა ქ ე ტ ი ნ ს ა ზ ა ნ

ქურ. „ლიტერატურის მატრიანს“-ს ამ №-ში ჩვენ ვათავსებთ მთელ რიგს კარიკატურებისა და შარკებისას, რომლებიც შესრულებულია ასი წლის წინათ.

ოცდაათიან-ორმოციან წლებში, წარსული საუკუნისა რუსეთის მხედრობის იმ ნაწილში, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა (გორში, თბილისში, თეთარწყლებზე, ალექსანდროპოლში, ჩენქეთში) მსახურობდა ოფიცერი პ ლ ა ტ ო ნ ი ვ ა ნ ე ს-ძე ჩ ე ლ ი შ ჩ ე ვ ი. ჩელიშჩევი კულტურული კაცი იყო, მახვილი იუმორის პატრონი, სამხატვროდ ემარჯვებოდა ფანქარი.

ჩელიშჩევი მუდმივ უხდებოდა ყოფნა საქართველოს გრენადერთა ადგილობრივ მცხოვრებთან თანამოსამსახურეთა შორის: გრიგოლ ორბელიანთან, მიხეილ თარხნიშვილთან და სხვებთან. ახლო გაცნობა ოფიცერთა და მთხელეების წრესთან, მისი ბუნებრივი დაკვირვებითი ნიჭი საშუალებას აძლევდა შესრულებინა ჩანახატები გარშემომყოფ ტიპებისა, შარკები და სცენები ადგილობრივი ცხოვრებიდან. მისი ჩანახატები ძვირფას მასალას წარმოადგენენ იმ ეპოქის საილუსტრაციოდ, ხალხის, ზნე-ჩვეულებისა და ტანისამოსეუის შესასწავლად.

ეს ის წრე იყო, რომელთანაც ყოველდღიურად უხდებოდათ ურთიერთობა ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და ალ. კვაჭავაძეს.

თავის შარკებში და კარიკატურებში, რომლებიც გამიზნული იყო ნაცნობთა და მეგობართა ვიწრო წრეთათვის, ჩელიშჩევი ჩვეულებრივ ეხმაურებოდა დღიურ პირგარამს, ჭორებს, რომლითაც სულდგმულობდა მისი გარემო საზოგადოება.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მისი ნახატების გაგება შეუძლებელია იმ დროინდელი ქრონიკების შესწავლელად.

საქართველოში ყოფნის დროს მის მიერ შესრულებული ჩანახატები, მას შეჭონდა ალბომებში, რომელთა რაოდენობა დღით-დღე იზრდებოდა და საბედნიეროდ, თუ მთლიანად არა—დიდმა ნაწილმა მაინც მოაღწია ჩვენამდის და დაცულია მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

საქართველოს სახელ. ლიტერატურული მუზეუმის დირექტორმა გ. ლეონიძემ გ. წ., მოსკოვში ყოფნის დროს, გადააღებინა პირები ამ ძვირფასი მასალისა, რომლის ნაწილიც ამ ეჟმად ქვეყნდება „ლიტერატურის მატრიანში“ ფართო საზოგადოების გასაცნობად.

ჩელიშჩევი ნატავდა კავკასიაში ჩამოსვლამდინაც, თავის მსოფლმხედველობით, იგი უახლოვდებოდა მისი დროის საზოგადოების მოწინავე ნაწილს.

მის ფანქარს ეკუთვნის მახვილი კარიკატურა 1831 წ. უნიკო პოეტ ხეოსტოვზე, რომელიც რეაქციონერ წრეებს ეკუთვნოდა. ეს კარიკატურა გამოქვეყნებულია ა. ს. პუშკინის თხზულებათა კრებულში (გამოც. ბროკჟაუსისა 1907—1911 წ. წ.). ხეოსტოვი გამოხატულია ჭონდრის კაცად ბუმბერაზ პუშკინის გვერდით.

## საკუთარ სახელთა საძიებელი

- აბაშიძე, გრიშა—106, 186.  
 აბაშიძე, გრიგოლ (პოეტი)—361.  
 აბაშიძე, ვასო—279, 526.  
 აბაშიძე, ლიზიკო—264.  
 აბაშიძე, მიხეილ—264.  
 აბდურაჰმან—444.  
 აბესალაშვილი (მასწავ.)—17.  
 აბესალოშვილი, ივანე—546.  
 აბზიანიძე, გიორგი—379, 466, 484, 485, 533, 537, 552.  
 აბო—65.  
 აბრამ მღვდელი—72, 73, 78.  
 აბრამ მღვდელი—50.  
 აბრამ რექტორი—95.  
 აგლაძე, ილია—244, 250, 262, 280, 502.  
 აგოლინი (გუბერნატორი)—302.  
 ავალიანი, სიმონ—540.  
 ავალიშვილი, გიორგი—425.  
 ავალიშვილი, ვანო—286, 441.  
 ავალიშვილი, ლევან—142.  
 ავეტიკაშვილი, იოსებ—474, 477.  
 ავეტიკაშვილი, ხოსრო—474, 477.  
 ავთანდილოვი, ზაალ (ხაქარია)—412, 526.  
 აღდადანოვი (მასწავლებელი)—534.  
 ალექსანდრე მეორე (იმპერატორი)—441.  
 ალექსევი-მესხივეი—იხ. მესხიშვილი.  
 ამილახვარი, გივი—556.  
 ამილახვარი, გიორგი—288.  
 ამილახვარი—191.  
 ამირეჯიბი, მაკინე—138, 142, 185.  
 ამირეჯიბი, სარდიონ—138, 141, 144, 185.  
 ანდრეევსკისა (თუმანიშვილი) ბარბარე—540.  
 ანდრეევსკი, ერასტი—522, 540, 541.  
 ანდრონიკაშვილი, გიორგი—528, 531, 545.  
 ანდრონიკაშვილი, იასე ადამის-ძე—359, 382, 383, 385, 412, 531.  
 ანდრონიკაშვილი, იოსებ—155.  
 ანდრონიკაშვილი, ივანე მალხაზის-ძე — 385, 557.  
 ანდრონიკაშვილი, ლელა—180.  
 ანდრონიკაშვილი, რამაზ—356, 359, 422, 428, 559.  
 ანდრონიკაშვილი, რევაზ—372, 373, 388, 561.  
 ანდრონიკაშვილი, ხორეშან—იხ. ორბელიანისა ხორეშან.  
 ანტონ კათალიკოსი—296, 313, 314, 316, 317.  
 არაგვისპირელი, შიო—261.  
 არისტოტელი (ფილოსოფოსი)—78, 325, 329.  
 არსენიევი, ალექსანდრე—416, 417.  
 არღუთინსკი, მოსე—464, 556.  
 არღუთინსკი, ნიკოლოზ—521, 522.  
 არწრუნნი, გეორგი—521.  
 არწრუნნი, გრიგოლ—522.  
 არხანოვი, დავით—546.  
 არჯევანა—იხ. უნდილაშვილი.  
 ასათიანი, ლევან—541.  
 ასლან-ხანი—458.  
 ატაშკინი (თფიცერი)—555.  
 ატოცელი—85.  
 აფანასიევი, ფედა—506.  
 აფხაზი, დავით—529.  
 აფხაზი (ნახაროვისა) კატო—170.  
 აფხაზი, ნინო—170.  
 აფხაზი, კობა—159.  
 აღმაპხმადნანი—316.  
 აღ-სათარა, იხ. სათარა.  
 ალნიევი—232.  
 ახვერდ, მამად—452—4.  
 ახვერდოვი, პრასკოვია—390.  
 ახნაზაროვი, არტემ—171, 280.  
 აჯიშამუდოვი, სონიკო—230, 231.  
 ბაგრატიონი, პეტრე—528.  
 ბაგრატიონ-მუხრანსკი—იხ. მუხრანსკი.  
 ბაგრატიონები—383, 398.  
 ბადრაშვილი, ნიკოლოზ—586.  
 ბაირონი, ჯორჯ—336.  
 ბაკარიძე—67, 68, 98.  
 ბალაბაშვილი, იაკობ—366, 483, 518, 520, 525, 527, 530, 535, 536, 548, 561, 563.  
 ბართაევი, მიხეილ—543, 549.

ბარათაშვილი, ალექსანდრე მელიტონის-ძე—523.  
 ბარათაშვილი, ბაბაღე მელიტონის ასული—425.  
 ბარათაშვილი, გიორგი—359.  
 ბარათაშვილი, გრიგოლ—355.  
 ბარათაშვილი, გრიგოლ მელიტონის-ძე—543.  
 ბარათაშვილი, დავით მელიტონის-ძე — 521,  
 536.  
 ბარათაშვილი, დარია მელიტონის ას.—522.  
 ბარათაშვილი, ელენე მელიტონის ას.—525.  
 ბარათაშვილი, ელენე მელიტონის ასული (მეორე)—535.  
 ბარათაშვილი, ეფემია—345, 369, 374, 378,  
 388, 425, 527, 529, 536, 556, 557, 563.  
 ბარათაშვილი, ვანო—420.  
 ბარათაშვილი, ეკატერინე მელიტონის ასული—  
 345, 425, 555, 556, 558.  
 ბარათაშვილი, ლუარსაბ—398, 519.  
 ბარათაშვილი, მელიტონ—344, 346, 351, 354,  
 355, 368, 369, 374, 383, 385, 386, 388,  
 398, 403, 407, 409, 425, 426, 475—477,  
 483, 518—526, 529, 530, 531, 533—536,  
 538, 545, 556—558, 561—563.  
 ბარათაშვილი, მელქისედეკ—398.  
 ბარათაშვილი, ნიკოლოზ—228, 295, 342, 344,  
 346—350, 352—362, 364—367, 369, 370,  
 373—376, 379—388, 397—432, 515,  
 517—554.  
 ბარათაშვილი, ნინო—398.  
 ბარათაშვილი, ნინო მელიტონის ასული—382,  
 408, 411, 425, 554.  
 ბარათაშვილი, რევაზ—398, 399.  
 ბარათაშვილი (ნიკ. ბარათაშვილის სიძე) —  
 408, 409, 411.  
 ბარათაშვილი, სოფიო მელიტონის ას.—526.  
 ბარათაშვილი, სოფიო მელიტონის ას. (მეორე)  
 სუმბათაშვილისა—382, 425, 440, 546, 554.  
 ბარათაშვილები—554.  
 ბარანოვი—395.  
 ბარნოვი, აბრამ—78, 96, 98.  
 ბარნოვი (ბარნაველი), ვასილ—37-40.  
 ბარნოვი, ხაქარია—38, 40, 50, 59, 83, 84, 98.  
 ბარნოვი, იაგორ—62, 63, 98.  
 ბარნოვი, იაკობ—38, 54, 55, 96, 97, 98.  
 ბარნაველი, სარა—40.  
 ბასიშვილი, დიანოს—281.  
 ბატარაშვილი, პ.—270.  
 ბაქარია—316.  
 ბაქრაძე, დიმიტრი—38, 320.  
 ბანანა—229, 230, 232, 234, 235, 236, 238, 240,  
 243, 250, 254, 255, 258.

ბებურიშვილი—107.  
 ბეზიაშვილი, რ.—260, 262.  
 ბებუთოვი—385.  
 ბებუთოვი, ვასილ—344, 358, 368, 369, 432.  
 ბებუთოვი, მელიქაძე—358, 521, 558.  
 ბებუთოვი, მიხეილ პეტრეს-ძე—358.  
 ბებუთოვი, მიხეილ არსენის-ძე—531.  
 ბებუთოვი, ნიკოლოზ—552, 552.  
 ბებუთოვი, პეტრე—358.  
 ბეგლაროვი, შამიხბან—522.  
 ბედუქიძე, გიორგი—214.  
 ბედუქიძე, სანდრო—210.  
 ბეზაკი, ნიკოლოზ—547, 553.  
 ბელიავევი, ვასილი—546.  
 ბელისკი—325, 338.  
 ბელლინი, ვინჩენცო—325,  
 ბენკენდორფი—395.  
 ბენზარი—356.  
 ბეიანი—225.  
 ბეჟანოვი, ბ.—531.  
 ბერძინიშვილი, გიორგი—191.  
 ბერძინიშვილი (ბერძენოვი) ნიკოლოზ—553.  
 ბეტოვი—225.  
 ბეჭაური, ალექსანდრე—272.  
 ბილანიშვილი, შაქრო—200, 280, 505.  
 ბიჩინგაური, ვანო—212.  
 ბლავატსკი, ნიკოლოზ—553.  
 ბოდენშტედტი, ფრიდრიხ—312.  
 ბორზენკო, ა.—546.  
 ბროსენ, მარი—552.  
 ბუალო, ნიკოლოზ—325.  
 ბურდული—246, 247, 249.  
 ბურჭულაძე, გიგო—292.  
 ბურბონები—306.  
 ბუსლავევი—178.  
 ბუტყაპა (მოკრივე)—231.  
 ბუტირსკი (სკოლის ინსპექტორი)—19.  
 ბუტურაული, ივ.—178, 244, 245, 249, 253, 260.  
 გაბაშვილი, ალექსანდრე—119, 138.  
 გაბაშვილი, ბესიკი—316.  
 გაბაშვილი, ეკატერინე—101, 119, 320.  
 გაგარინი (გუბერნატორი)—304.  
 გაგნიძე—239.  
 გავრილენკო—481, 536.  
 გამახოვი, არკადი—359, 362, 373.  
 გამყრელიძე, როსტომ—542.  
 გასპაროვი, გიორგი—531.



გაზეზილად, მ.—246, 247, 248, 250.  
 გაწერულია, აკაკი—370, 432, 527, 532.  
 გედგენიშვილი, ანა—510, 511.  
 გედგენიშვილი, ილია—511.  
 გედგენიშვილი, მიშა—190.  
 გელიშვილი, სიმონ—176.  
 გელოვანი, მირზა—268.  
 გერცენი ალექსანდრე—309.  
 გზირიშვილი, მართა—213.  
 გზირიშვილი, სოსიკო—199, 207, 214, 216.  
 გიორგი მეცამეტე—320, 337, 403, 425, 536.  
 გლატკა (მოკრივე)—35.  
 გლდანელი კულა—233.  
 გობენია, მელიტონ—262, 263.  
 გოგიძე, იოსებ—211.  
 გოგებაშვილი, იაკობ—65, 66, 67, 71, 72, 98, 125, 171, 191, 273, 292, 513, 514.  
 გოგებაშვილი, შალვა—290, 292.  
 გოვლინიძე, სიმონ—19.  
 გოვლო, ნიკოლოზ—429.  
 გოგრაქაძია (მოკრივე)—231.  
 გოგუა, ვოლფგანგ—325, 336, 338, 512.  
 გოხალიშვილი, გიორგი—526.  
 გოლოვინი, ვენეი—59.  
 გოლოვინის ცოლი—547.  
 გოლუბინსკი (პროფესორი)—48, 49.  
 გომართელი, ვანო—256, 258.  
 გონჩა-ბეგუმი—349, 558.  
 გორგასიძე—214.  
 გორგაძე, სერგო—527.  
 გორკი, მაქსიმ—V, 497, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 509.  
 გოძინი (მოხელე)—542.  
 გოჭი-ბიჭი (მოკრივე)—35, 36.  
 გრაბე—455.  
 გრეჩი—524.  
 გრიბოედოვი ალექსანდრე—333, 376.  
 გრიბოედოვისა ნინო—იხ. ქვევავაძე ნინო  
 გრიგორიევი (მოხელე)—402, 529.  
 გრიქუროვი, ზაქარია—283.  
 გრიშაშვილი, იოსებ—369, 389, 468, 556.  
 გრუბერი, ვერესტ—527.  
 გრუზინსკი, ირაკლი—541.  
 გრუზინსკი, მიხეილ—186.  
 გრუზინსკისა, ოლღა—309.  
 გრუზინსკი, პეტრე—180, 186.  
 გნეშვილი პაატა—344, 345, 346, 363, 369, 375, 561, 563.  
 გუნია, ვალერიან—244, 256, 260, 290, 380 .  
 გუნო, შარლ—325.

გურამიშვილი, ალექსანდრე—478, 481.  
 გუზამიშვილი, დავით—223, 314.  
 გურამიშვილი, დავით (მემამულე)—478, 481.  
 გურამიშვილი, დარო—112.  
 გურამიშვილი, ეკატერინე—114.  
 გურამიშვილი, ზაქარია—478, 479, 481.  
 გურამიშვილი, თადეოს—107, 108, 110, 112, 114, 117, 161, 479, 4-1.  
 გურამიშვილი, თადეოსის ქალები—114.  
 გურამიშვილი, მარიამ—107.  
 გურამიშვილის ცოლი—108.  
 გურგინბეგოვი, აბელ—474, 475, 476, 477.  
 გურგინბეგოვი, პლატონ—474.  
 გურევი (პროფესორი)—52.  
 გურუშიძე—503, 507, 509.  
 გურიელი, მამია—295.  
 გუსევი (პროფესორი)—52.  
 \*  
 დადიანი, გრიგოლ—382, 387, 389, 390, 393, 394, 395.  
 დადიანი, დავით—318, 389, 394, 542.  
 დადიანი, ეკატერინე—იხ. ქვევავაძე ეკატერინე.  
 დადიანი, კონსტანტინე—382, 389, 393, 541, 546.  
 დადიანი, შალვა—424.  
 დავით ბატონიშვილი—425.  
 დათა (მსახური)—177.  
 დამონი (ინჟინერი)—362.  
 დანტე, ალიგიერი—325.  
 დანტესი, ეროტ—497.  
 დარჩიაშვილი, ლადო—502.  
 დევდარიანი, ნიკო—52.  
 დეისაძე (მსწავლემელი)—4.  
 დეკანოზიშვილი (ინჟინერი)—253.  
 დემეტრიევი (მსწავლემელი)—534.  
 დემურია მარიამ—250.  
 დენერი, ივანე—526, 546.  
 დენერისა (თარხნიშვილი) სალომე—546.  
 დიასამიძე, დავით—107.  
 დიასამიძე, მარიამ—107.  
 დიასამიძე, ნიკო—107.  
 დიასამიძე, ნინო—107.  
 დიასამიძისან თეზაი—112, 114.  
 დიდებანთ თამარა—243.  
 დიდებულები—136, 137.  
 დიდუმა, ალექსანდრე—512.  
 დობროლიუბოვი, ნიკოლოზ—513.  
 დობრჯანსკი, ფედოტ—368, 424.  
 დოდაშვილი, სოლომონ—438, 524, 525, 526, 529, 533.

დოდაშვილი, თამარ—102.  
 დოდაშვილი, ნადეჟდა—510.  
 დოღმაზანთ ქეთევან—96  
 დონდუკოვი-კორსაკოვი, ალექსანდრე—490.  
 დონდაროვი (ქეიმი)—508.  
 დოსითეი (ეპისკოპოსი)—391.  
 დუბელირი (ფოტოგრაფი)—554.  
 დუშანი (გამგე გაზის მანქანებისა)—278, 279.  
 ედილაშვილი, ვასო—290.  
 ედილაშვილი, ლადო—187, 250.  
 ედილაშვილი, სონა—187.  
 ეფენი (ექზარხოსი)—307.  
 ეფდოშვილი, იროდიონ—182, 244, 259, 260.  
 ევლახოვი, ივანე—512.  
 ევსევი (ექზარხოსი)—47, 49, 50, 57, 69, 70, 76, 97, 98.  
 ეკალაძე, ია—244  
 ეკატერინე შეორე—309, 416.  
 ელენე ბატონიშვილი—519.  
 ელიავა, ივანე—543.  
 ელიავა, ელისაბედ—545.  
 ელიაშვილი (მღვდელი)—76, 77.  
 ენგელჰარდტი, ნ.—347, 350.  
 ენიკოლოფოვი, აბრამ (წ)—385.  
 ენიკოლოფოვი, ივანე—359, 474, 501, 511, 518.  
 ეპიფანე (არზიპანდრიტი)—524.  
 ეპსტეინი—95.  
 ერეკლე შეორე—312, 320, 398, 403, 425, 426, 519.  
 ერისთავი, ბიძინა—557.  
 ერისთავი, გიორგი (გლუზარჩი)—295, 528, 839, 372, 381, 383, 387, 395, 412, 414, 419, 434, 466, 527, 545, 547, 548, 549, 563.  
 ერისთავი, გიორგი (სენატორი)—368, 389, 392  
 ერისთავი, გიორგი რევახის-ძე—546.  
 ერისთავი, დავით (1844 წ)—557.  
 ერისთავი, დავით გიორგის-ძე—121, 295, 381.  
 ერისთავისა, ეკატერინე—იხ. ბარათაშვილი, ეკატერინე.  
 ერისთავი, ელენე—376, 394, 430, 540.  
 ერისთავი, ელიზბარ—380, 381, 546.  
 ერისთავი, ელისაბედ—380, 381.  
 ერისთავი, ზაქარია—412, 546, 557  
 ერისთავი, ივანე—390.  
 ერისთავი, კოლა—306.  
 ერისთავი, ლევან—557.  
 ერისთავი, ლუარსაბ ბიძინას-ძე—557.  
 ერისთავი, ლუარსაბ—112.  
 ერისთავი, მარია—546.

ერისთავი, ნინო—107, 108, 110, 112, 125.  
 ერისთავი, ნუჯარ—177.  
 ერისთავი, ნიკოლოზ და\_ოთის ძე—138, 139, 141, 142, 185.  
 ერისთავ-ხოშტარია, ანსტასია—146.  
 ერ. სთავი, რაფიელ—560.  
 ერისთავი, რევან შალვას-ძე—381, 401, 472.  
 ერისთავი, რევან ლუარსაბის ძე—345, 406, 411, 555, 556, 557.  
 ერისთავი, სოფიო—381.  
 ერისთავი, ქეთევან შალვას ასული—381.  
 ერისთავი, ქეთევან—იხ. ორბელიანისა ქეთევან.  
 ერისთავი, შალვა—380, 381.  
 ერისთავი—276.  
 ერისთავიანთ გვარი—548.  
 ერშოლოვი, ალექსეი—391, 392.  
 ესაძე, ბორის—354.  
 ესპეხო (ინჟინერი)—362.  
 ექსან-ზანი—348.  
 ევალბუევი, ა.—386.  
 ვანო (დიაკვანი)—47.  
 ვაფა-ფშაველა—150, 199, 219—272, 288.  
 ვარაზიშვილი—437.  
 ვარლამოვი, გარსევან—531.  
 ვასილუვსკი, სერგეი—546.  
 ვახტანგ (მეფე)—314, 316, 322.  
 ვეზირიშვილისა (ბარათაშვილი), ბარბარე—382, 440, 526, 538, 544, 545, 548, 553, 554, 557, 563.  
 ვეისერიშვილი, დიმიტრი—403, 409, 410, 553, 558, 559.  
 ვერდერევეცი, (რედაქტორი)—442, 443.  
 ვერდერევეცი, სტეფანე—366, 561.  
 ვერზბიცი, ვალერიან—358.  
 ვერდი, ჯუზეპე—325.  
 ვიზგალოვი—306.  
 ვილბრემ (რეგლისელი მოგზაური)—541.  
 ვილემსი, იაგორ—531.  
 ვირგილი—325.  
 ვირსალაძე, სპირიდონ—256.  
 ვიტგეშტეინი—362.  
 ვოლტერი, ფრანსუა—526.  
 ვოლუი (პოეტი)—393, 316.  
 ვორონოვი, მიხაილ—107, 114, 310, 326, 351, 352, 355, 357, 359, 368, 369, 372, 376, 387, 391.  
 ვორონოვი-დაშკოვი, ილარიონ—195.  
 ზაალოვი, ზაალ—429.  
 ზაბლოცი, იხ. ლადი—ზაბლოცი.

- ზაგორსკი—(ჯარისკაცი) 445.  
 ზაგრაშვილი, შაია—534.  
 ზაგრაშვილი, მარიამ—535.  
 ზალიკო—110, 112.  
 ზაკომოდინი, ალექსი—503, 509.  
 ზასიკინი (პოლიციმესტერი)—194.  
 ზაღლაშვილი, თემურა—153.  
 ზაც, კონსტანტინე—546.  
 ზოლა, ემილ—44.  
 ზნაჩხო-იაგორსკი, მიხეილ—546.  
 ზუბალაშვილები—244.  
 ზუბალოვი, ივანე—512.  
 ზურაშვილი, ნიკო—153.  
 თავართქილაძე, თამარ—282.  
 თავართქილაძე, კოწია—282.  
 თამაშშვი, ნ.—194.  
 თამარ ბატონიშვილი—391.  
 თარაშვილი, სანდრო—218.  
 თარხნიშვილი, გიორგი—542.  
 თარხნიშვილი, კონსტანტინე—365, 372.  
 თარხნიშვილი, სლომონ—403.  
 თარხნიშვილი, სოფიო—511, 536.  
 თაქთაქიშვილი, ვასო—145.  
 თაყაიშვილი ეჭვ—125.  
 თედო (შეეტლე)—160, 162, 166.  
 თეგელ ბატონიშვილი—392.  
 თეიმურაზ ბატონიშვილი—398.  
 თეიმურაზ პირველი—398, 399.  
 თოიძე, გიგო—159.  
 თოიძე, შოსე—550, 553.  
 თოფურია, სამსონ—508.  
 თულაშვილი, ივანე—153.  
 თუმანიანი, თვანეს—256, 257.  
 თუმანიშვილი-წერეთლისა, ანატასია—102,  
 119, 121, 122, 550, 552.  
 თუმანიშვილი, ბარბარე, იხ. ანდრეევსკისა.  
 თუმანიშვილი, გიორგი მიხეილის-ძე—441, 543,  
 550, 552, 553.  
 თუმანიშვილი, გიორგი ეგნატეს-ძე—392, 522.  
 თუმანიშვილი, გიორგი შიოს-ძე—478, 482, 536.  
 თუმანიშვილი, დიმიტრი—371.  
 თუმანიშვილი, კ.—191.  
 თუმანიშვილისა (ორბელისანი), მარიამ—522.  
 თუმანიშვილი, მიხეილ („ბორთველინი“)—348,  
 350, 352, 355, 374, 387, 400, 412, 419,  
 440, 442, 527, 531, 539, 540, 546, 548,  
 550-552, 563.  
 თუმანიშვილი, პავლე—525, 526.  
 თუმანოვები—239.  
 იაგორ პავლეს-ძე, იხ. სტარიციკი.  
 იაკობი (შღედელი)—47, 49, 50, 51, 57.  
 იანოვსკი,—234.  
 იარალოვი—507.  
 ივანიძე, სოსო—264.  
 ივანოვი (აისორი)—49, 50.  
 ივანოვი, იხ. ყიფიანი ნიკ.  
 ივანოვი, ნიკოლოზ—360, 548.  
 ივანოვისა (ორბელისანი), ეკატერინე—360, 548.  
 იზიუმსკი, ა.—531.  
 იზმაილოვი (სამხედრო პირი)—301.  
 ილიაშენკო (გამომგებელი)—165.  
 ილინსკი, იგორ—418.  
 ილინსკი, ვასილი—346, 384, 481, 536, 543.  
 ილინსკისა (ელიოზიშვილი)—536.  
 ილურიძე—18.  
 იმერლიშვილი, ალექსი—153.  
 ინასარიძე, სამსონ—284.  
 ინაშვილი, გიორგი—200, 205, 206.  
 ინაშვილი, ვანო—166.  
 ინგოროყვა, პავლე—520, 552.  
 ინწიკრეელი (პოლკოვნიკი)—161.  
 იოანე ბატონიშვილი—314.  
 იოსელიანი, გ.—513.  
 იოსელიანი, ეგნატე—318, 399, 403, 425, 426,  
 535.  
 იოსელიანი, პლატონ—386, 387, 400, 403, 404,  
 406, 409, 410, 411, 413, 414, 415, 425,  
 426, 438, 545, 555.  
 იოტიკო (პროფესორი)—129, 131, 132.  
 ირემაწი გაბრუა—53, 54.  
 ისარლიშვილი, იაკობ—407.  
 ისარლიშვილი, ანა—407.  
 ისარლიშვილი (ისარლოვი), ლუკა—382, 383,  
 387, 400, 402, 412, 419, 531, 533, 534,  
 538, 540, 545, 557.  
 ისარლიშვილი, სტეფანე—475, 477, 557.  
 კაცაძე, ვფხო—260.  
 კაიდანოვა, ოლღა—504, 509.  
 კალატოზიშვილი, აბელ—166, 187.  
 კალატოზოვისა, იულია—185.  
 კალღოვი, დიმიტრი—178, 180.  
 კალიუენი, ალექსანდრე—498—502, 505, 506.  
 კამენსკაია, ოლღა—499, 501.  
 კანდელაკი, შაქრო—178, 191.  
 კანტი, ემანუელ—52.  
 კარატიგინი, პეტრე—414.  
 კარატიელი (მომღერალი)—236.  
 კარიჭაშვილი, დავით—513, 514.  
 კარცოვი—302.

კასტელა (ფრანგი)—540.  
 კეხელი, დავით—310.  
 კეკე (ამილახვრის განხრდილი)—234.  
 კერესელიძე, ივანე—429, 438, 526, 539, 544.  
 კეცხველი, ლადო—V.  
 კიბით-შაჰმადი, ანდელი—444.  
 კიკელია (მეზურნე)—250.  
 კიკნაძე, ფილადელფოს—529.  
 კირიონი (ეპისკოპოსი)—190.  
 კირიცი, სერგეი—V.  
 კირუშკა (შახურტი)—470.  
 კლიჩი, ალექსანდრე—348.  
 კლუგენაუ (გენერალი)—453.  
 კლუჩევსკი, ვასილი—38, 48, 96, 97.  
 კობახიძე—254, 255.  
 კობიაშვილი, ანიკო—258, 265.  
 კობრა, ნინო—496.  
 კოდელი, ნინო—244.  
 კოვალევსკი, მაქსიმი—190.  
 კოვარაშვილი, იასე—153.  
 კოლცოვი, ალექსეი—333.  
 კონიარი (სამეხდრო პირი)—301.  
 კოროლევსკი (მღვდელი)—70.  
 კორსაკ, ბოლესლავ—499, 501.  
 კორსაკოვი (გენერალი)—306.  
 კოცებუ, თედორე—546.  
 კრილოვი, ივანე—358.  
 კრიჟანოვსკი—358.  
 კუდინოვი—319.  
 კუდრიავცევი, ვიქტორ—38, 52, 97.  
 კუშინსკი (ინსპექტორი)—50, 95.  
 კურდელია (დეკანოზი)—87, 88.  
 კურდელიაშვილი, ნიკო (ნარკანი)—244, 290, 292.  
 ლაბაური, გიორგი—200.  
 ლაბაური, პელო—212.  
 ლაბიელი, დელდინა—387, 535, 539, 540, 541.  
 ლაბიელი (დელდინეს დედა)—540, 541.  
 ლადი—ზაბლოცკი, თადეუშ—541.  
 ლადინსკი (გენერალი)—368, 374, 561.  
 ლავრევი (მასწავლებელი)—16.  
 ლალიაშვილი, პავლე—39.  
 ლაშაური, სალკა—162, 208, 210.  
 ლეიხვეცი, იოჰან—543, 545.  
 ლესტი არტურ—124, 126.  
 ლეონიძე, გიორგი—360, 397, 484, 515, 518, 529, 531, 544, 552, 554, 558, 559.  
 ლეონიძე, სოლომონ—405, 426.  
 ლენინი, ვლადიმერ—471.

ლერმონტოვი, მიხეილ—158, 361, 402, 405, 502, 511, 512, 555.  
 ლესინგი, ვერაიმ—325.  
 ლინევსკი—353.  
 ლოზინო-ლოზინსკი (გუბერნატორი)—246.  
 ლოლაძე, სალომე—149.  
 ლომიძე, თედო—142.  
 ლომა (წიწამურდიან)—166.  
 ლომოური, ნიკო—146, 232, 438, 513, 514.  
 ლომთაოიძე, გ.—292.  
 ლორთქიფანიძე, ანტონ—129.  
 ლორთქიფანიძე, კირილე—490.  
 ლორის-მელიქოვი მიხეილ—309.  
 ლორენცო (ინჟინერი)—362.  
 ლოხოში (მოკრივე)—35.  
 ლუარსაბი—245.  
 ლუნევიჩი, ვიქტორ—348.  
 ლუნევიჩი, ივანე—348.  
 ლუცენკო (პოლკ.)—356.  
 მადათოვი, ბოგდან—368, 372.  
 მათევიჩისა, ბარბარე—535.  
 მათევიჩი, ვასილ—535.  
 მათუხოვი—364.  
 მათურელი, ვასო—244, 245.  
 მაიკოვი, ვასილი—503, 505.  
 მაისურაძე, ანდრო—199.  
 მაისურაძე, დიმიტრი—200.  
 მაისურაძე, ლევან—153.  
 მამაცაშვილი, კონსტანტინე—155, 353, 365, 374, 400, 401, 402, 406, 411, 412, 413, 421, 425, 426, 436, 439, 440, 512, 520, 521, 523, 526, 527, 531, 533, 535, 538, 539, 544, 559, 560, 562.  
 მამაცაშვილი, ქრისტეფორე—359.  
 მამედ-ხანი—347.  
 მამულაშვილი, ილია—211.  
 მამფორია, იუსტინე—570.  
 მანსვეტაშვილი, იაკობ—117.  
 მანუგო (მოხელე)—353, 354, 385.  
 მარიამ ბატონიშვილი—391.  
 მარიამ ბატონიშვილი, მელიქ ალამალოვის ას.—541.  
 მარკოზოვი, ვასილ—409, 411.  
 მარკოზოვი (მოხელე)—543.  
 მასლოვი, დანიელ—178, 209.  
 მალალაშვილი, მიხეილ—114.  
 მალალაშვილები—387, 412, 555.  
 მალალაშვილი (მასწავ.)—161.  
 მაცაშვილი, ალექსანდრე—149, 150, 153.

მაცაშვილი, ანასტასია—425.  
 მაცაშვილი, ბარბარე—149.  
 მაცაშვილი, ვახუშტი—150.  
 მაცაშვილი, კოტე—133.  
 მაცაშვილი, მაკა—170, 171.  
 მაცაშვილი, ნინა—150.  
 მაცაშვილი, პელაგია—149.  
 მაჩაბელი, დავით—412, 415, 427, 428, 527.  
 მაჩაბელი, ივანე—117, 118, 122, 124, 126, 135, 136, 137, 139, 144, 145, 147, 148, 155, 156, 180, 182, 187, 490, 491.  
 მაჩაბელი, მათა—156, 182, 187, 188.  
 მაჩაბელი, სვიმონ—469.  
 მაშაშვილი, ალიო—481.  
 მაჭავარიანი, პეტრე—138.  
 მაჭარაშვილი, ალექსი—36.  
 მახარაშვილი, ვანო—211.  
 მახარაძე, ფილიპე—502.  
 მახარაძე, ვანო—95.  
 მახვილაძე—257, 258.  
 მაღალბლიშვილი, სოფრომ—438.  
 მეველე—იხ. მიკელაძე.  
 მეხარიშვილი, გიგა—186.  
 მეღანი—იხ. ნათიძე ნაკო.  
 მელიქ-ახიჯანოვი—370.  
 მელოიოვი, ალექსანდრე—358.  
 მელიქაშვილი, ალექსანდრა—433.  
 მელიქაშვილი, ლევან—301, 304, 344, 346, 348—353, 370, 371, 372, 374, 378, 382, 385, 387, 388, 400, 402, 404, 405, 412, 422, 438, 439, 521, 531, 532, 535, 539, 516, 548, 558, 559, 562.  
 მელიქიშვილი, მიხეილ—359.  
 მესხი, დავით—430.  
 მესხი, კეკე—122, 121.  
 მესხი, სერგეი—122, 124, 297, 320, 321, 490, 514.  
 მესხიშვილი, დიპატრი—3 '8, 406, 436, 437, 530, 514, 561.  
 მესხიშვილი, ვლადიმერ—503.  
 მესხიშვილი, ფორემ—387, 533.  
 მესხიშვილი, იაკინთე—322.  
 მესხიშვილი, ივრონიმე—529.  
 მესხიშვილი, სარდიონ—436, 437.  
 მეუნარგია, თამარ—297.  
 მეუნარგია, იონა—295, 355, 382, 383, 388, 389, 396, 402, 422, 439, 468, 469, 490, 518, 520, 525, 526, 528, 532, 534, 538, 540, 541, 543, 544, 515, 547, 548, 553, 554, 555, 557, 559, 560.  
 მეუნარგია, ნინო—295.  
 მეუნარგია, კაპიტონ—297.

მეუნარგია, პეტა—395.  
 მიგრიაული, შალვა—272.  
 მილი, ჯონ—190.  
 მირსკი—300, 305.  
 მიურატ, ავილ—318.  
 მიურატ, სალომე—318.  
 მიუსე, ალფრედ—312.  
 მიქელ-ანჯელო—325.  
 მიქელაძე, დავით (მეველე)—124, 125, 138, 182, 185, 186, 187, 190.  
 მიქელაძე, ვლადიმერ—136, 190, 401, 519.  
 მიხა (ვაჟას დისწული)—242.  
 მიცკევიჩი—329, 348, 332.  
 მიხედოველი, გიორგი—407, 436.  
 მომკელიძე, ტარასი—440, 441, 554.  
 მონასტირსკი, ალექსანდრე—528, 532.  
 მოსაშვილი, ილო—484.  
 მომზუბარიძე—იხ. ყაზბეგი.  
 მოტარტი, ვოლფგანგ—325, 416, 518.  
 მოძღვარიშვილი, ილია—215.  
 მოჩაიელი, გოლა—36.  
 მურახოვსკი, ჰ.—503.  
 მურმანიშვილი, მოსე—160, 163, 168, 169, 170, 200, 202, 207, 208.  
 მუსხელიშვილი (გენერალი)—156, 180.  
 მუხაძე, გ.—256.  
 მუხრან-ბატონი, (მუხრანსკი)—132, 185, 382.  
 მუხრანსკი, გიორგი—301, 302.  
 მუხრანსკი, კონსტანტინე—524, 530, 546.  
 მუხრანსკი, ქაიხოსრო—557.  
 მურელიო (შატვარი)—325.  
 მღვბრიშვილი, გაბო—205.  
 მღვბრიშვილი, ვანო—164.  
 მღვიმელი, შიო—იხ. შიო მღვიმელი.  
 მიონაროვი (მღვდელი)—560, 562.  
 მკედლიშვილი, ძეგლა (მოკოივე)—52.  
 ნადირაძე, ანდრო—186.  
 ნადირაძე, გიორგი—531, 545.  
 ნაეფარაშვილი, იორდანე—209.  
 ნავილი (ფილოსოფოსი)—69.  
 ნახაროვი, ივანე—546.  
 ნახუტაძე, მარიამ—542, 543.  
 ნათიძე, გიორგი—510.  
 ნათიძე, ნიკო (მწერალი მელანი)—231, 251, 253, 258.  
 ნაკაშიძე, ნინო—244.  
 ნაკაშიძე (მასწავლებელი)—161.  
 ნაკაშიძე, პეტრე—113.  
 ნარიშკინ—395.  
 ნაჩალოვი, მიხეილ—499, 501, 503.

ნაჩალოვა, ანა—499, 501.  
 ნეიდპარდტი, ალექსანდრე—351, 352, 547, 558.  
 ნემიროვიჩი - დანჩენკო, ვლადიმერ—499.  
 ნესელროდე (მთხვლე)—423.  
 ნიკიტინი, საშა—280.  
 ნიკოლაი ბარ., ალექსანდრე—302, 357, 362, 365, 376, 391, 424, 425, 541.  
 ნიკოლაი, ლეონტი—301.  
 ნიკოლოზ პირველი—309, 469, 475, 538.  
 ნიკოლოზ მეორე—245.  
 ნიკოლაძე, ანა—502, 504.  
 ნიკოლაძე, ნიკო—113, 120, 121, 157, 297, 320, 429, 490.  
 ნინოშვილი, ეგნატე—283, 502, 503.  
 ნიკიშე, ფრადრიხ—263.  
 ნოვოპარიფევსკი, ვ.—524, 527, 533.  
 ნონიაშვილი, არუთინ—474, 477.  
 ნონიაშვილი, ლახარ—474, 477.  
 ობრაცოვი, ვასილ—41, 43, 44, 97.  
 ოდოევსკი—396.  
 ოხიაშვილი (პრისტავი)—221.  
 ოკოლინიჩი—512.  
 ონიკოვი, ალექსანდრე—546.  
 ონიკაშვილი—120.  
 ორბელიანი, ალექსანდრე—372, 573, 414, 426, 439, 527, 548, 549, 555.  
 ორბელიანი, ალექსანდრე (სანდრიკო)—368.  
 ორბელიანი, ალექსანდრე (ბაკლანა)—469.  
 ორბელიანი (გაგარინისა), ანასტასია—391, 557.  
 ორბელიანისა ბარბარე (ილიას ასული)—443.  
 ორბელიანი, გიორგი—308, 382, 391.  
 ორბელიანი, გრიგოლ—295—305, 308, 309, 310, 312, 317, 318, 320, 321, 325, 329, 332, 333, 339, 344, 346, 350, 351, 354, 358, 360, 361, 372, 374, 376, 378, 382, 383, 400, 402, 403, 405, 407, 409, 430, 432, 434, 439, 442, 466, 467, 468, 470, 471, 483, 515, 520, 525—527, 529—533, 535, 537, 544, 545, 548, 549, 555, 556, 561, 563.  
 ორბელიანი, დავით—396, 525.  
 ორბელიანი, დიმიტრი ვახტანგის ძე—387, 390, 403, 518, 519, 540.  
 ორბელიანი, დიმიტრი (გენერ.)—390.  
 ორბელიანი, დიმიტრი თამაზის ძე—558.  
 ორბელიანი, ეკატერინე—470.  
 ორბელიანი, ელისაბედ (ილია ჭავჭავაძის და) 125.  
 ორბელიანი, ელისაბედ (ბარატინისკისა)—394.

ორბელიანისა ელისაბედ (გრუზინსკი)—433.  
 ორბელიანი, ელისაბედ, სამარაგლონის ცოლი—543.  
 ორბელიანი, ვახტანგ—310, 349, 400, 402, 412, 414, 519, 546, 547, 555.  
 ორბელიანი, ხაქარია—318, 345, 346, 351, 352, 362, 364, 363, 369, 370, 372, 388, 412, 432, 519, 527, 529, 530, 531, 546, 548, 556, 558.  
 ორბელიანი, თამაზ—522.  
 ორბელიანი, თამარ, იხ. სანკოვსკისა.  
 ორბელიანი, ივანე—306, 546, 548.  
 ორბელიანი, ივანე (სარდალი)—390.  
 ორბელიანი, იაკობ—360.  
 ორბელიანი, ილია—351, 355, 359, 367, 370, 372, 378, 387, 412, 414, 432, 442, 443, 519, 521, 525, 527, 529, 530, 531, 546, 548, 549, 550, 555, 561, 562.  
 ორბელიანი, ლუარსაბ—529.  
 ორბელიანი, მაიკო—344, 347, 348, 350, 351, 357, 360, 382, 415, 424, 432, 547, 557—560.  
 ორბელიანი, მამუკა—356, 358, 359, 364, 365, 366, 367, 368, 372, 373, 385, 389, 422, 432, 433, 434, 559, 561.  
 ორბელიანი, მანანა—306, 317, 357, 363, 378, 387, 396, 400, 409, 411, 412, 413, 545, 557.  
 ორბელიანი, მარიამ ივანეს ასული—314, 413, 540.  
 ორბელიანი, მარი მ ვახტანგის ას.—147.  
 ორბელიანი, მიხეილ—370, 429, 430, 431, 432, 557.  
 ორბელიანი, ნინო—535, 541.  
 ორბელიანი, სამარაგლონ—543.  
 ორბელიანი სოფო—318, 540.  
 ორბელიანი, სულხან-საბა—314.  
 ორბელიანი ტაიხოსრო—432, 530.  
 ორბელიანი, ქეთევანი (მამუკას ცოლი)—368, 382, 390, 435.  
 ორბელიანი, ქეთევანი, დიმიტრი მესხიშვილის ასული—368, 530.  
 ორბელიანი, ყაფლან—372, 373, 380, 331, 388, 396, 461, 466, 473, 537, 557.  
 ორბელიანისა, ხორეშან—519, 527.  
 ორბელიანები—132.  
 ორბელიანოვი—481.  
 ორბელიანები—545.  
 ორლოვი—345.  
 ორლოვი ნ. პ.—352.  
 ორლოვსკი, კონსტანტინე—546.  
 ოძელაშვილი, არსენა—50, 51.

პავლიაშვილი, გრიგოლ—437, 438.  
 პავლიაშვილი, დავით („ნაპოლეონი“)—244, 260, 261.  
 პავლიშვილი, ლევ—496.  
 პავლიშვილი, ნიკოლაი—496.  
 პავლიშვილი, ოლგა—495, 496, 497.  
 პაპიაშვილი, დავით—175.  
 პაპიაშვილი, ტ.—175.  
 პასკევიჩი, ივანე—348, 519, 523, 524, 525.  
 პატარაკიანი, ელენე—96.  
 პერესვეტ-სლოტან—5.  
 პეტრე პირველი—309.  
 პლატონი (ფილოსოფოსი)—78, 325, 328, 329, 340.  
 პიმპულაძე,—104.  
 პო, ედგარი—263.  
 პოდორ, დანიშ—531.  
 პოზნი, მიხეილ—346, 549.  
 პოლონსკი, იაკობ—352, 541.  
 პოლტორაკი, ივანე—113, 114, 116.  
 პოლტორაკი, ივანეს ცოლი—120, 121.  
 პონაროვსკი, ბ.—366, 560, 562.  
 პონომაროვი (მაიორი)—390.  
 პრინც, ა.—305.  
 პროტოპოპოვი—523.  
 პროდანი, პიერ—94.  
 პროტანოვი, ემელიან—309.  
 პროტაროვი (მასწავლ.),—508, 509.  
 პროშკინი, ალექსანდრე—325, 336, 360, 399, 400, 433, 466, 495, 496, 497, 502, 515, 527.  
 პროშკინი, გრიგოლი—497.  
 ქვანოვი, ანდრეი, V.  
 ქლენტი, ვლადიმერ—484.  
 რადიანი, შალვა—543.  
 რაზიკაშვილი, ბაბო—244, 245, 254.  
 რაზიკაშვილი, ბოიგარ—228.  
 რაზიკაშვილი, გივი—227.  
 რაზიკაშვილი, გიორგი—230-233, 238, 241.  
 რაზიკაშვილი, გულქან (ვაჟს დედა)—227-230, 212, 234.  
 რაზიკაშვილი, გულქან (ვაჟს შვილი)—239.  
 რაზიკაშვილი, გულქან (თედოს შვილი)—252.  
 რაზიკაშვილი, დარეჯან—269.  
 რაზიკაშვილი, ვახტანგ—243, 272.  
 რაზიკაშვილი, თამარ (ვაჟს ქალი)—222, 289, 251.  
 რაზიკაშვილი, თამარ—221.  
 რაზიკაშვილი, თედო—230, 232, 234, 235, 236, 238, 239, 240, 251, 252, 253, 256.

რაზიკაშვილი, იმედა—227.  
 რაზიკაშვილი, ლევანი—222, 223, 239, 251, 254.  
 რაზიკაშვილი, ლუკა-იბ. ვაჟ-შვილი  
 რაზიკაშვილი, მართა—230, 236, 242, 243.  
 რაზიკაშვილი, მარიამი—239.  
 რაზიკაშვილი, ნადირა—228.  
 რაზიკაშვილი, ნიკო-იბ. ბაჩანა.  
 რაზიკაშვილი, პავლე—227, 232, 234, 236, 238.  
 რაზიკაშვილი, სანდრო—226-266.  
 რაზმაძე, პეტრე—218.  
 რატი-მანტონი (კონსული)—541.  
 რაფაელ (მხატვარი)—117, 129, 325.  
 რეადი (გენერალი)—301.  
 რედკინი (ინჟინერი)—362.  
 რიბაქიძე, ს.—502.  
 როზენი, გრიგოლ—315, 392, 525, 533, 539.  
 რომან ილიჩ (სტუდენტი)—52.  
 როსტომ (მეფე)—399.  
 როსტომაშვილი იაკობ—215, 218.  
 როსტომაშვილი, ივანე—552, 554.  
 როშვიანი—508.  
 როზლინი, ვლადიმერ—503, 504.  
 რუსთაველი, შოთა—178, 325, 332, 406, 492.  
 რჩეულიშვილი, გრიგოლ—400, 412.  
 რეზილაძე, გრიგოლ—262, 292, 516.  
 რეზილაძე ვასო - 161, 191.  
 საგინაშვილი, ალექსანდრე—364, 382, 383, 403, 439, 526, 538, 543, 560.  
 საგინაშვილისა (ორბელიანი), ბარბარე—301, 364, 424, 431, 439, 543, 560.  
 საგინაშვილი, გიორგი—403, 535.  
 საგინაშვილი, ელისაბედ—102, 130, 170, 171, 196, 383, 388.  
 საგინაშვილი, ვასილ—543.  
 საგინაშვილი, ლევან—424.  
 საგინოვები—305.  
 სავარსამიძე, ილია—358.  
 სავარსამიძე, ლეონტი—358.  
 სავარსამიძის ცოლი—114.  
 სათარა-ალა (მონღოლადი)—471, 548, 557, 558.  
 სალამბეგ, სოლომონ—510.  
 სალტიკოვი, ალექსი—347, 362, 395.  
 სამსონოვი—362.  
 სანდრიკო, იბ. ორბელიანი ალექსანდრე.  
 სანკოვსკი, ანდრეი—360, 364, 560.  
 სანკოვსკი, პაველ—360.  
 სანკოვსკისა (ორბელიანი) თამარ—360, 264, 560.  
 სარაჯიშვილი, ალექსანდრე—125.  
 სარაჯიშვილი, დავით—101, 171.

სარაჯიშვილი სერგო—392.  
 სარაჯული—481.  
 საფონოვი, სტეპან—344, 375.  
 სენტ-ბოვ (კრიტიკოსი)—325.  
 სესიაშვილი—257.  
 სიდაშონ-ერისთავი, ვალდერიან—265.  
 სიმონ (დიაკონი)—260.  
 სიმონოვი—523.  
 სიმონოვიჩისა, ბარბარე—522.  
 სირანიკა-ციოლუნდია—55, 56.  
 სლავენსკი, ალ—506.  
 სნეგირიოვი—608.  
 სობოლევსკი—358.  
 სოკოლოვი (პროფესორი)—93.  
 სოლიკო-ბიძა—52, 53, 72, 73, 77, 78, 87, 97.  
 სოლომონ მსაჯული—314.  
 სონღულაშვილი, გიგო—221.  
 სონღულაშვილი, იროდონ—550.  
 სრედინ, ლეონიდ—498.  
 ს ტ ა ლ ი ნ ი, იოსებ V, 11, 12, 13, 14, 15,  
 50?, 509.  
 სტარიცი, იაგორ—305, 306.  
 სტაროსელსკი—107, 108, 110, 112, 161.  
 სტუჩაიტის (პროვიზორი)—161.  
 სტუჩაიტისა (ცოლი)—161.  
 სტოლიპინი—393, 512.  
 სულა—227.  
 სულეიმან-ბანი—349.  
 სულთაშვილი, დავით—53.  
 სულხანიშვილი, დავით—3.  
 სულხანიშვილი, იაკე—350, 352, 353.  
 სუმბათაშვილი, ალექსანდრე—557.  
 სუმბათაშვილი, გიორგი—554.  
 სუმბათაშვილი, ვასილი—403, 425.  
 სუმბათაშვილისა სოფიო იბ. ბარათაშვილი ს.  
 სუმბათაშვილი, ლუარსაბ—521.  
 სუმბათაშვილები—554.  
 სუნდუკიანცი, გაბრიელ—438.  
 სურგუნოვი, ისაკ—522.  
 სურგუნოვი, ნ. (მოხელე)—481, 542.  
 სხირტლადე, გიორგი—278, 279, 280.  
 ს . . . . . ივანე (პროფესორი)—93, 94.  
 ტაკაშვილი, რაქვენ—215  
 ტარასაშვილი, იაკობ—152, 154, 162, 165, 169,  
 170, 202.  
 ტარიელი (მოკრივე)—52, 53, 152, 154, 165,  
 169, 170, 252.  
 ტატიშვილი, გრიგოლ—279.  
 ტატო, იბ. ბარათაშვილი, ნიკ.

ტენი, იპოლიტი—325.  
 ტესსერი (ფრანგი)—541.  
 ტიმოთე მიტროპოლიტი—318.  
 ტიტკოვი, ივანე—531.  
 ტიციანი (მხატვ.)—325.  
 ტლაშაძე, ნიკო—255.  
 ტოლსტოი, ლევ—158, 418, 518.  
 ტოლსტოი, სერგეი—418.  
 ტომაშევსკი—165.  
 ტორნაუ, თეოდორ—525.  
 ტურგენევი, ივან—124, 337.  
 ტერიაშვილი, ლიზა—21.  
 ტყემალაძე (ბლაღოჩინი)—184.  
 ტყემალაძე—260.  
 ულუბეი—452-455.  
 უმიკაშვილი, ბეტრე—401, 416, 490, 518, 562.  
 უნილაშვილი, ალექსა—200.  
 უნილაშვილი, არჯევანა—176, 177.  
 უნილაშვილი, ვანო—212.  
 უნილაშვილი, მარტია—200, 216.  
 უნილაშვილი, შავლე—207.  
 უნილაშვილი, სანდრო—212.  
 უნილაშვილი, სოფიო—213  
 უსპენსკი, გლეზ—513.  
 ფალავანდიშვილი, ზაქარია—352, 412, 546,  
 548, 551, 552.  
 ფალავანდიშვილისა (თრბელიანი), მარიამი—  
 430.  
 ფალავანდიშვილი, მიხეილ—403.  
 ფალავანდიშვილი, ნიკოლოზ—403.  
 ფალავანდიშვილის ცოლი—541.  
 ფალავანდიშვილები—543.  
 ფალავანდივი—385.  
 ფარჩა (მოკიდავე)—54.  
 ფეხე (გენერალი)—442.  
 ფელიეტ, ოქტავე—411.  
 ფიდაია (მოქანდაკე)—325  
 ფილიპოვი—481.  
 ფირადაშვილი, მიხა—216.  
 ფიხტე, იოჰან—487.  
 ფელეროვსკი—505.  
 ფორაქიშვილი, რაქვენ—359.  
 ფორსტენი, კარლ—350, 416, 424, 559.  
 ფოფანოვი—344.  
 ფრიდლანდშვილი, სოლომონ—214.  
 ფრიდრიხ დიდი—298.  
 ფრონელი, ალექსანდრე—278, 279.  
 ფრუშკა (მედიკი ფშავში)—269.



ფურცელაძე, ანტონ—142, 190, 297, 320, 406, 514.  
 ფურცელაძე, ეკატერინე—437, 438.  
 ფურცელაძე, ქაიხოსრო—436, 437.  
 ფურცელაძისა (ჯაფარიძე), ქეთევან—436, 438.  
 ფურცელაძე (დირექტორი)—161.  
 ფურცელაძეები—436.  
 ფშავლიშვილი, პავლე—166, 188.  
 ფშარაველი—176, 177.

ქარენაშვილი, ადამ—153.  
 ქავთარაძე, თინა—172.  
 ქავთარი—240.  
 ქართველიშვილი, გიორგი—495.  
 ქეუციან (დედოფალი)—320.  
 ქიქოძე (ქეიმი)—276.  
 ქობულაშვილი, ნინო—380, 381, 469, 471.  
 ქურციკიძე, ოზანა—176.  
 ქუჩუკაშვილი, შიო—იხ. შიო მღვიმელი.

ღამაზოვი, არკადი—იხ. გამაზოვი  
 ღვინიაშვილი, ანა—438.  
 ღვინიაშვილი, დიმიტრი—438.  
 ღვინიაშვილი, ეკატერინე—436.  
 ღვინიაშვილი, ლევან—153.  
 ღვინიაშვილი, ლაზარე—149, 153.  
 ღვინიაშვილი, სოფიო—149.  
 ლოლობერიძე, ნიკო—101.  
 ლაჭაურა—226, 227.  
 ღირჯალა—231.

ყაზაროვი, არტო—171.  
 ყაზბეგი, ალექსანდრე (მონაზუბარიძე)—297, 320, 525.  
 ყაზბეგი, გიორგი—113, 114, 121.  
 ყაზბეგი, დიმიტრი—113, 114.  
 ყაზბეგი, მიხეილ—525.  
 ყაზბეგისა (საგინაშვილი), ქეთევან—525, 535, 536.  
 ყაზბეგისა (თარზნიშვილი), ეკატერინე—525.  
 ყაზბიჩი—433.  
 ყარაგვი—276.  
 ყიფიანი, დავით—113, 409, 411.  
 ყიფიანი, დიმიტრი—39, 129, 130, 140, 141, 185, 340, 368, 374, 382, 383, 385, 378, 400, 406-415, 419, 442, 526, 531, 538, 546, 547, 543, 554, 555.  
 ყიფიანი, ელენე დიმიტრის ასული (ლოლა)—129.  
 ყიფიანი, ვარო—129, 131, 132.

ყიფიანი, ლუარსაბის ქალი—138.  
 ყიფიანი, კოტე—138, 140, 411, 440, 547.  
 ყიფიანი, ლევან—136.  
 ყიფიანი, ლუარსაბ—138.  
 ყიფიანი, მიხეილ ქაიხოსროს-ძე—146, 511.  
 ყიფიანი, ნიკოლოზ—129, 130, 131, 400, 406, 407, 409, 553, 554.  
 ყიფიანი, ნესტორ—69.  
 ყიფიანისა, ნინო ნიკოს ასული—129, 131.  
 ყიფიანი, ნინო იაგორის ასული—409, 411, 440, 539, 554.  
 ყიფიანი, ნინო ბეჟანის ას.—135.  
 ყიფიანი, პალიკო—187.  
 ყიფიანი, პეტრე—138.  
 ყიფშიძე, ალექსანდრე—185, 186, 187.  
 ყიფშიძე, გრიგოლ—138, 171, 185, 186, 187.  
 ყიფშიძე, ზაქარია—185, 186, 187, 188, 190.  
 ყორღანოვი, დავით—527.  
 ყორღანოვი, ზაქარია—533.

შაბურიშვილი, ზელებუხა—175.  
 შამანაური—173.  
 შ.შილი (იმაში)—355, 359, 395, 408, 410, 442 + 446, 452-457, 462, 464, 559.  
 შამხალაშვილი, იაგორა—215.  
 შანიძე, ბესო—255.  
 შანშიაშვილი, სანდრო—259.  
 შაქრო (მოქიდავე)—54.  
 შეენიგინა, მანია—58.  
 შეენიგინა, სოფიო—58, 59.  
 შელინგი, ფრიდრიხ—487.  
 შექსპირი, უოლიამ—324, 325, 411, 418.  
 შვარცი—169.  
 შილდერი, ფრიდრიხ—263, 296, 317, 336.  
 შიო მღვიმელი—193, 244, 245, 246, 249, 253, 256, 257, 258, 260, 265, 275.  
 შოთნიაშვილი, ალექსი—198.  
 შუბითიძე, გიგო—287.  
 შუენი—452, 455.  
 შულაგინ, კონსტანტინე—507.  
 შულგინი, მიხაილ—541.  
 შუბიაშვილი—176.

ჩალაური, ილო—202.  
 ჩარკვიანი, ნიკოლოზ—393.  
 ჩაბრუხაძე—387, 533.  
 ჩეიზ, იაკობ—499  
 ჩელიშვილი, პლატონ—303, 307, 311, 319, 323, 326, 331, 343, 345, 357, 361, 367, 377, 384 386, 392, 423, 515.

ჩერებოვი (სამხედრო პირი)—301.  
 ჩერნაშევსკი, ნიკოლაი—513.  
 ჩერქეზიშვილი, გაბრიელ—343.  
 ჩერქეზიშვილი, ვასილ—280.  
 ჩხუბი, ანტონ—5 6.  
 ჩიბუტარაანთ, მართა—96.  
 ჩიკოძე—113.  
 ჩირიკოვი—499, 501.  
 ჩიტაძე, გოლა—507.  
 ჩიტაძე, შიო—503, 505, 506.  
 ჩიქოვანი, ალექსანდრე—412, 415, 427, 428, 429  
 ჩიქოვანი, გიორგი—429.  
 ჩიქორთაიანი—95.  
 ჩოლოყაშვილი, ანასტასია—397.  
 ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე—138, 143, 185-  
 197, 556.  
 ჩოლოყაშვილი, ბიძინა—382, 385, 541, 548, 560  
 ჩოლოყაშვილი, კეკელიძე—139.  
 ჩოლოყაშვილი, თინა—391.  
 ჩრდილელი, ალექსანდრე—175.  
 ჩუბინაშვილი, დავით—104, 552.  
 ჩუდოვიცი (რექტორი)—39.  
 ცაგარელი, ასიკო—279.  
 ცაიშვილი, სოლომონ—95, 207, 382, 389, 468,  
 490, 520, 533, 538, 553, 5 7, 560.  
 ცვეტკოვი, ივანე—42.  
 ცისკარიშვილი, გიორგი—174.  
 ციციშვილი, ალექსანდრე—441, 554.  
 ციციშვილი, იასონ—441, 442.  
 ციციშვილი, ლევან—112.  
 ციციანოვი, პაველ—317.  
 ციციშვილები—548.  
 ცხაკაია, მიხა—502.  
 ცხედაძე, ნიკო—125, 253, 513.  
 ძაგნიძე (მოკრივე)—36.  
 ძამუნაანთ, ბარბარე—96.  
 წერეთელი, აკაკი—38, 125, 126, 128, 135, 147,  
 209, 210, 228, 255, 263, 264, 280, 282,  
 287, 288, 321, 322, 333, 514, 528.  
 წერეთელი, გიორგი—320-322, 411, 490.  
 წერეთელი, გრიგოლ—393.  
 წიკლაური, დათიკო—254.  
 წინამძღვარიშვილი, ილია—104, 170, 218.  
 წულუკიძე საშა—V.  
 ჭავჭავაძე, ალექსანდრე—142, 295, 297, 316,  
 334, 335, 389—396, 403, 417, 425, 439,  
 468, 515, 522, 526, 5 3, 535, 539, 546.

ჭავჭავაძე, გარსევან—390, 396, 417.  
 ჭავჭავაძე, გრიგოლ (პეტუა)—394.  
 ჭავჭავაძე, გულბათ—390.  
 ჭავჭავაძე, დავით—382, 385, 408, 410, 546.  
 ჭავჭავაძე (დადიანისა) ეკატერინე—371, 382,  
 389, 391, 392, 394, 396, 400, 412, 417,  
 418, 468, 535, 541, 542, 513.  
 ჭავჭავაძე, ზალ—168.  
 ჭავჭავაძე, ილია—13, 38, 99-218, 228, 260, 283,  
 2 8, 289, 296, 310, 322, 333, 401, 485—  
 489, 490, 491, 511, 513, 514, 550, 553-  
 554.  
 ჭავჭავაძე, მაცა—391.  
 ჭავჭავაძე, მარიამ—390, 391, 396.  
 ჭავჭავაძე (გრიბოედოვისა), ნინო—303, 364, 393,  
 396, 412, 417, 535.  
 ჭავჭავაძისა (გურამიშვილი), ოღლა—101, 102,  
 104, 106, 112, 114, 116, 117, 127, 125,  
 126, 128, 131, 133, 150, 151, 162, 164,  
 165, 168, 170, 171, 198, 207, 209, 214, 218.  
 ჭავჭავაძისა (ორბელიანი), სალომე—317, 3 0,  
 394.  
 ჭავჭავაძე, სოფიო—376, 391.  
 ჭავჭავაძე, ფრიდონ—359.  
 ჭავჭავაძეები—377, 526.  
 ჭალაძე, გიორგი—295.  
 ჭილაშვილი—437.  
 ჭიჭინაძე, ზაქარია—402, 414, 428, 429, 439,  
 441, 523, 528, 529, 530, 533, 537, 533,  
 543, 545, 546, 547, 552, 554, 555, 560.  
 ჭონაძე, დანიელ—438.  
 ჭრელაშვილი, სტეფანე (სანო)—283.  
 ჭყონია, ილია—125, 282, 534, 549.  
 ჭყონია, მირიანია—531, 549  
 ზახანაშვილი, ალექსანდრე—514.  
 ზევეტორიანი, ზაქარია—210.  
 ზეთაგუროვი, კოსტა—510.  
 ზელაძე, ლუარსაბ—194.  
 ზელაშვილი, მღვდელი—317.  
 ზელაშვილი, გიორგი—244, 261.  
 ზელაშვილი, მისე—244, 261.  
 ზელთუბნელი, მიხეილ—342-378, 517, 521, 527,  
 532, 540, 541, 556, 559, 560.  
 ზერხეულიძე, ანდრია—408-412, 385, 555.  
 ზერხეულიძე, ბაბო—515.  
 ზერხეულიძე-ქობულაშვილისა, ბარბარე—371.  
 ზგიაშვილი, ეთერი—154.  
 ზვოსტოვი (პოეტი)—515.  
 ზიზანაშვილი, ნიკო—104, 138, 142, 143.  
 ზოდელი (მოკრივე)—35, 36.

ხოლერა (მოკრივე)—35, 36.  
 ხოშტარია, ნინო—518.  
 ხუდადოვი, ნიკო—502, 504—507.  
 ხუნდაძე, არკადი—518, 535, 542.

ჯაბადარი, ივანე—505, 507.  
 ჯავახიშვილი, ხაქარია—206.  
 ჯავახიშვილი, ქეთო—216.  
 ჯავახიშვილი, ნიკოლა—206.  
 ჯავათზან—452, 453.  
 ჯანაშვილი, დიმიტრი—46, 97.  
 ჯანდიერი, ლევან—138, 139, 141, 143, 185, 188.  
 ჯაფარა (ჰომდერალი)—349, 558.  
 ჯაფარიძე, გრიგოლ—169.  
 ჯაფარიძე, ნოსრევეან—152.  
 ჯაფარიძე, უზა—13.  
 ჯაფარიძე, პროკოფი (ალიოშა)—507.  
 ჯაში, დიმიტრი—164, 165, 168, 194-197, 289.

ჯიბოშვილი, ფილო—153.  
 ჯორბენაძე, ა.—184.  
 ჯორჯაძე, ბარბარე—361.  
 ჯორჯაძე, დავით—353.  
 ჯორჯაძე, დიმიტრი—352, 558, 412, 546.  
 ჯორჯაძე—359.  
 ჯორჯაძეები—394.  
 ჯულაშვილი, სოსო (იოსები)—იხ. ს ტ ა ლ ი ნ ი,  
 იოსებ,  
 ჯუნა (მოჭიდავე)—53.

პასენ-მილერი, ევგენი—527.  
 პაჯი-იაგა—444, 445.  
 ჭეგელი (ფილოსოფოსი)—487, 488.  
 ჭეინე, ჭენრიხ—512.  
 ჭესენი, ალექსანდრე—355, 559, 560.  
 შიფტო, ვიქტორ—124, 325, 429, 508.  
 ჰომეროსი—325.  
 ჰორაციუსი—325.

ნ ა ხ ა ტ მ ზ ი ს ს ი ა

1. ძველი გორი (1830 წ.)—ნახ. პერსივეტ-სოლტანისა . . . . .	5
2. გორის სასულიერო სასწავლებელი . . . . .	9
3. სემინარიელი იოსებ ჯუღაშვილი გაზ. „ივერიის“ რედაქციაში ილია ჭავჭავაძესთან—ნახ. უჩა ჯაფარიძისა . . . . .	13
4. ბარნოვი, ვასილ—ნახ. კ. მალაღაშვილისა . . . . .	32
5. ი. ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ოლღა საგურამოში . . . . .	103
6. „ილიაობა“ საგურამოში . . . . .	105
7. იგივე . . . . .	109
8. საგურამოელი მებაღეები ულოცავენ ი. ჭავჭავაძეს სახელწოდების დღეს . . . . .	111
9. გლეხები სტუმრად ი. ჭავჭავაძესთან . . . . .	115
10. ი. ჭავჭავაძე სათაფ.-აზნ. ბანკის თანამშრომლებთან ვერის ბაღში . . . . .	123
11. იგივე . . . . .	123
12. ი. ჭავჭავაძის და ელ. საგინაშვილის . . . . .	130
13. ი. ჭავჭავაძე პოლანელ სტუდენტთა ჯგუფში 1859 წ. . . . .	132
14. ი. ჭავჭავაძე პირველი კურსის სტუდენტი, 1858 წ. . . . .	163
15. ი. ჭავჭავაძე პეტერბურგელ ამზანაგებში . . . . .	167
16. ი. ჭავჭავაძე თავის ნათესავებში . . . . .	179
17. ი. ჭავჭავაძე დუშეთის საზოგადოებაში 1872 წ. . . . .	181
18. ი. ჭავჭავაძე 1880-ან წლებში . . . . .	183
19. ილიას კარმიდამო ყვარელში . . . . .	189
20. ი. ჭავჭავაძე დუშეთის საზოგადოებაში 1872 წ. . . . .	192
21. ი. ჭავჭავაძე 1870-ან წლ. . . . .	201
22. ილიას მკვლევლობის ადგილი . . . . .	203
23. სახლი დუშეთში, სადაც ილია ცხოვრობდა 1868—1872 წ. წ. . . . .	217
24. ვაჟ-უშაველა—ნახ. მოსე თოიძის . . . . .	267
25. ი. გოგებაშვილი . . . . .	291
26. გრ. ორბელიანი . . . . .	299
27. გრიბოედოვა, ნ.—ნახ. ჩელიშჩევისა . . . . .	303
28. გუბარბოსი ვევენი, მისივე . . . . .	307
29. ჭართული საღამო, მისივე . . . . .	311
30. ბარ. როზენი, მისივე . . . . .	315
31. საღამო კუდინოვისას, მისივე . . . . .	317
32. ცნობა რევიზორის მოულოდნელი ჩამოსვლისა, მისივე . . . . .	323
33. ლეკური სოფ. მეჯვრისხევეში, მისივე . . . . .	327
34. თბილისის კომენდანტი, მისივე . . . . .	331
35. წყარო მაჰადავითზე, მისივე . . . . .	343
36. ორლოვი, მისივე . . . . .	345
37. ვახტ. ორბელიანი . . . . .	349
38. კ. მაშცაშვილი . . . . .	353
39. ლ. შელიქიშვილი . . . . .	353
40. მანანა ორბელიანი (კარიკატურა)—ნახ. ჩელიშჩევისა . . . . .	357

41. სისხლის სამართლის პალატის მოხელე, მისივე . . . . .	361
42. მანაა ორბელიანი . . . . .	363
43. აფხაზეთის მილოციის მხედარი ნახ ჩელიშჩევისა . . . . .	367
44. ვ. ჭავჭავაძე . . . . .	371
45. ბარბარე ხერხეულიძე-ქობულაშვილისა . . . . .	371
46. მამუკა ორბელიანი . . . . .	373
47. მოხოველი ქალი, თარჯიმანი და პოლიცმეისტერი—ნახატი ჩელიშჩევისა . . . . .	373
48. ყაზახები ცოლებით რუსულ თეატრში, მისივე . . . . .	384
49. გასეირნება ავლაბარში, მისივე . . . . .	386
50. მოხელე ა. ა. ვალაბუევი, მისივე . . . . .	386
51. მეგრელი მხედარი, მისივე . . . . .	392
52. სენატორი გ. ერისთავი, მისივე . . . . .	392
53. ბოტანიკური ბაღის გამგე, მისივე . . . . .	423
54. გრ. ნესელროდე . . . . .	423
55. საბლი, რომელშიაც ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი . . . . .	435
56. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფი . . . . .	476
57. იგივე . . . . .	482
58. მაქსიმ გორკის ავტოგრაფი . . . . .	498
59. ა. დუმას ავტოგრაფი . . . . .	541
60. მ. თუმანიშვილის ესკიზები (ნიკ. ბარათაშვილი და ზ. ფალავანდიშვილი) . . . . .	551



## ს ა რ ჩ ი ვ ი

გვ.

V

წინასიტყვა . . . . .	3
1. სულთაშვილი, დ.—გორის წარსულიდან . . . . .	3
2. ბარნაველი, ს.—ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) ბიოგრაფია . . . . .	38
3. ბარნოვი, ვ.—სამწუბრო ღიმი . . . . .	41

### მასალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის

4. გაბაშვილი, ეკ.—მოგონებანი ილ. ჭავჭავაძეზე . . . . .	101
5. გაბაშვილი, ეკ.—რამდენიმე შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან (დახასიათება) . . . . .	119
6. ყიფიანი, ნ.—ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან . . . . .	135
7. ერისთავ-ხოშტარია, ან.—მოგონებანი წარსულიდან . . . . .	146
8. მაცაშვილი, ბ.—ილია ყვარელში . . . . .	149
9. ჯაფარიძე, ნ.—მოგონება ილიაზე . . . . .	152
10. ანდრონიკაშვილი, ი.—მოგონება ილ. ჭავჭავაძეზე . . . . .	155
11. მასლოვი, დ.—ჩემი მოგონებანი ილიას შესახებ . . . . .	158
12. ახვლედიანი, ნ.—მოგონებანი . . . . .	170
13. შამანაური, მ.—ცოტა რამ ილია ჭავჭავაძეზე . . . . .	173
14. პაპიაშვილი, ტ.—„გადახტი ბატონი“ . . . . .	175
15. ბუჭუჩაძე, ივ.—ილია ჭავჭავაძე . . . . .	178
16. ამონაწერები ზაქარია ყიფშიძის კერძო წერილებიდან . . . . .	185
17. ბერძენიშვილი, გ.—ილიასთან . . . . .	191
18. ხელაძე, ლ.—ვინ იყო დ. ჯაში . . . . .	194
19. საგურამოელი გლეხები ილია ჭავჭავაძის შესახებ . . . . .	198

### მოგონებანი ვაჟა-ფშაველას შესახებ

20. რაზიკაშვილი, თ.—ლუკა რაზიკაშვილი . . . . .	221
21. რაზიკაშვილი, ს.—ვაეა-ფშაველა . . . . .	226
22. შანშიაშვილი, ს.—მოგონებანი დიდ პოეტზე . . . . .	259
23. ვაჟა-ფშაველა ხალხურ პოეზიაში . . . . .	268

### მასალები იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიისათვის

24. მღვიმელი, შ.—იაკობ გოგებაშვილი . . . . .	276
25. ავალიშვილი, ვ.—იაკობ გოგებაშვილი . . . . .	286

### გამოკვლევები და ნაკვეთები

26. მელნარგია, ი.—ცხოვრება და ლეაწლი გრ. ორბელიანისა . . . . .	295
27. ხელთუბნელი, მიხ.—უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა . . . . .	342
28. აბხაზიანიძე, გ.—ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი . . . . .	379
29. ცაიშვილი, ს.—ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის . . . . .	382
30. ცაიშვილი, ს.—მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის . . . . .	389
31. ლეონიძე, გ.—ნიკ. ბარათაშვილის გარშემო . . . . .	397

32. აბზიანიძე, გ.—ყაფლან ორბელიანი—ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის პერსონაჟი . . . . .	466
33. ენიკოლოფოვი, ი.—მასალები ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის . . . . .	474
34. ბალახაშვილი, იაკ.—ნიკ. ბარათაშვილის ავტოგრაფული წერილი . . . . .	483
35. აქტი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადასვენების შესახებ დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა პანთეონში . . . . .	484
36. აბზიანიძე, გ.—ილია ჭავჭავაძის უცნობი ესთეტიკური ფრაგმენტები . . . . .	485
37. ცაიშვილი, ს.—„დროებიდან“—„ივერიამდე“ . . . . .	490
38. კობრო, ნ.—ჩემი ნაცნობობა ო. პ. პავლიშჩევასთან . . . . .	496
39. მაქსიმ გორკის წერილები . . . . .	498
40. ნიკოლაძე, ა.—გორკი საქართველოში . . . . .	502
41. ნათაძე, გ.—კოსტა ხეთაგუროვის უცნობი ლექსი . . . . .	510
42. ენიკოლოფოვი, ი.—ა. დიუმას ავტოგრაფი . . . . .	512
43. ლომოურჯი, ნ.—ავტობიოგრაფია . . . . .	518

**დ ა მ ა ტ ე ბ ა**

44. ხელთუბნელი, მიხ.—ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თარიღები . . . . .	517
45. რედაქციისაგან . . . . .	565
46. საკუთარ სახელთა საქმეები . . . . .	566
47. ნახატების სია . . . . .	579





## СО Д Е Р Ж А Н И Е

	Стр.
От редакции . . . . .	V
Суданшвили Д.—Из прошлого г. Гори . . . . .	3
Барнавели, С.—Василий Барнов (Барнавели), биография . . . . .	38
Барнов, В.—Скорбная улыбка . . . . .	41

### Материалы для биографии Ильи Чавчавадзе

Габашвили Е.—Воспоминания о И. Чавчавадзе . . . . .	101
Габашвили Е.—Несколько встреч с И. Чавчавадзе (характеристика). . . . .	119
Кипиани Н.—Из жизни И. Чавчавадзе . . . . .	135
Эристави - Хоштария А.—Воспоминания о прошлом . . . . .	146
Макашвили В.—И. Чавчавадзе в Кварели . . . . .	149
Джапаридзе Н.—Воспоминания о И. Чавчавадзе . . . . .	152
Авдроникашвили И.—Воспоминания о И. Чавчавадзе . . . . .	155
Маслсв Д.—Мои воспоминания о И. Чавчавадзе . . . . .	158
Ахведиани Н.—Воспоминания о И. Чавчавадзе . . . . .	170
Шаманаури М.—Несколько слов о И. Чавчавадзе . . . . .	173
Папиашвили Т.—Прыжки, барин . . . . .	175
Букураули И.—Илья Чавчавадзе . . . . .	178
Из частных писем Захария Кипшидзе . . . . .	185
Бердзивишвили Г.—У Ильи Чавчавадзе . . . . .	191
Хеладзе А.—Кто был Д. Джаши . . . . .	194
Сагурамские крестьяне о И. Чавчавадзе . . . . .	198

### Воспоминания о Важа-Пшавела

Разикашвили Т.—Лука Разикашвили . . . . .	226
Разикашвили С.—Важа-Пшавела	
Шаншвишвили С.—Воспоминания о великом поэте . . . . .	259
Важа-Пшавела в народной поэзии . . . . .	268

### Материалы для биографии Якова Гогобашвили

Мгвимели Ш.—Яков Гогобашвили . . . . .	275
Авалишвили В.—Яков Гогобашвили . . . . .	286

### Исследования и очерки

Меунаргия И.—Жизнь и деятельность Г. Орбелани . . . . .	295
Хелтубиди Мих.—Последний год Ник. Бараташвили . . . . .	342
Абзанидзе Г.—Генезис стихотворения Ник. Бараташвили „Кетеван“ . . . . .	379
Цаишвили С.—К биографии Н. Бараташвили . . . . .	382
Цаишвили С.—Материалы для биографии Ал. Чавчавадзе . . . . .	389
Леонидзе Г.—Окружение Ник. Бараташвили . . . . .	397



171/468

აბზანიძე გ.—Каплан Орбелиანი, персонаж поэзии Ник. Бараташвили . . . . .	466
Ениколопов И.—Материалы для биографии Ник. Бараташвили . . . . .	474
Балахашвили Я.—Письмо - автограф Ник. Бараташвили . . . . .	483
Акт о перенесении останков поэта Ник. Бараташвили в пантеон писателей на Мтацминда . . . . .	484
Г. აბზანიძე—Эстетические взгляды И. Чавчаваძე (неизвестные фрагменты) .	485
Цაიშვილი С.—От „Дрозба“ до „Иверии“ . . . . .	490
Кобро Н.—Мое знакомство с О. П. Павлищевой . . . . .	496
Письма Максима Горького . . . . .	498
Николаძე ა.—Горький в Грузии . . . . .	502
ნათაძე გ.—Неизвестное стихотворение Коста Хетагурова . . . . .	510
Ениколопов И.—Автограф А. Дюма . . . . .	512
Асмоури Н.—Автобиография . . . . .	513

**Приложение**

Хелтубელი Мих. „Даты жизни и творчества Ник. Бараташвили“ . . . . .	517
От редакции . . . . .	565
Указатель собственных имен . . . . .	566
Список рисунков . . . . .	579

